

თეიმურაზ ტულუში, გიორგი ბურჯანაძე,
გიორგი მშვენიერაძე, გიორგი გოცირიძე, ვახუშტი მენაბდე

ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
საქართველოს სახალხო დამცველი
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თბილისი
2013

თეიმურაზ ტულუში, გიორგი ბურჯანაძე,
გიორგი მშვენიერაძე, გიორგი გოცირიძე, ვახუშტი მენაბდე

სამეცნიერო რედაქტორი: მაია კოპალეიშვილი

ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა

1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
საქართველოს სახალხო დამცველი
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თბილისი
2013

გამოცემა მომზადებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს სახალხო დამცველისა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ექსპერტების მიერ, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა და ავსტრალიის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

გამოცემის შინაარსი და მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და არ გამოხატავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა და ავსტრალიის საელჩოს შეხედულებებს.



giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH



რედაქტორი: ზაალ ჩხეიძე

დიზაინი: ხათუნა ყვირაღაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე



აიწყო და დაკაბადონდა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო

(+995 32) 295 23 53, 293 61 01

ტირაჟი: 1200

დაიბეჭდა შპს სეზანში

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საავტორო უფლებების მფლობელთა წერილობითი ნებართვის გარეშე

ISBN-978-9941-0-5432-7

© 2013, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

The given publication – **“Human Rights and Case-Law of the Constitutional Court of Georgia”** is a novelty as there has been no other book available up to now, that would provide as comprehensive analysis of the case-law and landmark judgments of the constitutional review body of Georgia – the Constitutional Court of Georgia, as is provided in the present publication. The book gives analysis of the case-law of the Constitutional Court of Georgia on human rights and freedoms guaranteed in the second chapter of the Constitution of Georgia separately, chronologically for each Article (scope of rights) of the second chapter of the Constitution from the date of establishment of the Constitutional Court of Georgia (1996) till November of 2012. Based on the analysis of the case-law of the Constitutional Court of Georgia it can be stated that the court has walked the peculiar way of dynamic development.

The book does not provide full texts of rulings of the Court; the case-law of the Constitutional Court is presented by specific extracts, interpretations and analysis which will help the interested readers to familiarize with the position, views of the Constitutional Court on the contents of different rights, legal norms.

The present book was written in cooperation with the Constitutional Court of Georgia, Public Defender of Georgia, Georgian Young Lawyers Association, and with the financial assistance of the German International Cooperation (GIZ) and the Embassy of Australia.

The experts involved from the partner organizations were (the representative organizations concerning the authors are indicated considering the existing reality at the period of working on the book) Teimuraz Tugushi (Constitutional Court of Georgia), Giorgi Burjanadze and Giorgi Mshvenieradze (Public Defender of Georgia), Giorgi Gotsiridze and Vakhtang Menabde (Georgian Young Lawyers’ Association).

The scientific editor of the book is Ms. Maia Kopaleishvili, Member of the Constitutional Court of Georgia, Full Professor of Faculty of Law, Administrative Law direction of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

The book will help practicing lawyers, law students, representatives of the state organs and citizens to familiarize with case-law of the Constitutional Court of Georgia with regard to the human rights and freedoms recognized and guaranteed by the Constitution of Georgia, which will help popularization of the constitutional jurisprudence as well as effective protection of the rights and freedoms by the interested individuals.

შინაარსი

სამეცნიერო რედაქტორის წინათქმა	6
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წინასიტყვაობა	11
საქართველოს სახალხო დამცველის წინასიტყვაობა	13
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარის წინასიტყვაობა	14
გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წინასიტყვაობა	15
მუხლი 12	17
მუხლი 13	22
მუხლი 14	28
მუხლი 15	60
მუხლი 16	73
მუხლი 17	83
მუხლი 18	102
მუხლი 19	158
მუხლი 20	186
მუხლი 21	221
მუხლი 22	280
მუხლი 23	289
მუხლი 24	290
მუხლი 25	314
მუხლი 26	355
მუხლი 27	374
მუხლი 28	380

მუხლი 29	393
მუხლი 30	407
მუხლი 31	443
მუხლი 32	451
მუხლი 33	460
მუხლი 34	464
მუხლი 34 ¹	474
მუხლი 35	475
მუხლი 36	493
მუხლი 37	512
მუხლი 38	527
მუხლი 39	534
მუხლი 40	553
მუხლი 41	566
მუხლი 42	591
მუხლი 43	697
მუხლი 44	698
მუხლი 45	704
მუხლი 46	713
მუხლი 47	722
ავტორთა შესახებ	731

წინათქმა

სამეცნიერო რედაქტორისაგან

*„საკონსტიტუციო სასამართლოს სიძლიერე დამოკიდებულია
მისი განმარტებების დამაჯერებლობაზე,
მის „სამართლებრივ არგუმენტაციაზე“¹*

ძვირფასო მკითხველო,

თქვენს წინაშე წარმოდგენილი გამოცემა - „ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა“ სრულიად სიახლეს წარმოადგენს ქართულ სამართლებრივ სივრცეში. აქამდე საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის ანალიზისა და სასამართლო პრეცედენტების შესახებ ასეთი მაშტაბური სახის წიგნი არ გამოცემულა. ამ წიგნის განსაკუთრებულობა იმაშიც გამოიხატება, რომ მასში საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის ანალიზი მოცემულია კონსტიტუციის მეორე თავში მოქცეული თითოეული მუხლის (უფლებრივი სფეროს) მიხედვით ცალ-ცალკე, ქრონოლოგიურად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნის² დღიდან 2012 წლის ნოემბრამდე.

საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის ამ სახით შემოთავაზება მრავალი ფაქტორითაა განპირობებული. კერძოდ, ჩვენი მიზანია უშუალოდ სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე წარმოვაჩინოთ თუ რამდენად ეფექტურად მოახერხა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთი მხრივ, მისი უმნიშვნელოვანესი ფუნქციის შესრულება - საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების გზით დაიცვას საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები და მეორეს მხრივ, როგორია საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განვითარების დინამიკა მისი შექმნის დღიდან დღევანდელობამდე. გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის მუხლებთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის წარმოჩენა დაინტერესებულ მკითხველს დაეხმარება იმის გარკვევაში, თუ

¹ ჰერმან შვარცი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, 2003 წ. გვ. 376;

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსების კონსტიტუციური გარანტია საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციაშია მოცემული, მაგრამ მან ფუნქციონირება, ბუნებრივია, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე შეძლო. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ მიღებული იქნა 1996 წლის 31 იანვარს (N95-რს), საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ მიღებული იქნა 1996 წლის 21 მარტს (N159-II ს). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი აქტები ფიქსირდება 1996 წლის სექტემბრიდან;

რომელი უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ არის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა საკმაოდ ვრცელი ან არ არის მდიდარი ან სასამართლოს საერთოდ არ გააჩნია სამართალწარმოება.

განვლილი თექვსმეტი წელი ერთი მხრივ, არც ისე მცირე დროა სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის შესაფასებლად, საფუძვლიანი დასკვნების გასაკეთებლად, პრაქტიკის განზოგადებისთვის, მეორე მხრივ, ის ძალიან მცირე დროა იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს ეფექტიანი და წარმატებული პრაქტიკისათვის უდიდესი როლი ენიჭება სასამართლოსთვის კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის უფლების მქონე სუბიექტების აქტიურობას, მათ სამართლებრივ მომზადებულობას, განსახილველ სარჩელთა დასაბუთებულობას, საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლოს გზით ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის ინტერესის არსებობას, კონსტიტუციური სარჩელების დადგენილი პროცედურის დაცვით წარმოდგენას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ სასამართლომ დინამიური განვითარების განსაკუთრებული გზა განვლო. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ასევე იმ გარემოებამაც, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსის განმარტებისას ხშირად მიმართავს ევროპის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკას.

აღსანიშნავია, რომ ძირითადი უფლებები სამართლის განმარტებისა და ფორმირების კონსტიტუციურ მასშტაბს განსაზღვრავს. ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არა აქვს კონსტიტუციის ნორმათა განმარტების დამოუკიდებელი უფლება და სასამართლოს მხრიდან უფლებების შინაარსის გარკვევა და განმარტება კონკრეტულ ინდივიდუალურ კონსტიტუციურ დავასთან მიმართებით მიღებულ გადაწყვეტილებაში ხდება. ცნობილია, რომ სასამართლო მის შესახებ მხარეებს, საზოგადოებას, დაინტერესებულ მკითხველს ესაუბრება თავისი გადაწყვეტილებებისა და სამართლებრივი არგუმენტების მეშვეობით. შესაბამისად, ამ წიგნის განსაკუთრებულობას ისიც განაპირობებს, რომ მასში დინამიკაშია წარმოჩენილია ყველა ის განმარტება, ახსნა და დაზუსტება, რომელიც ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შინაარსის თაობაზე თავის გადაწყვეტილებებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გააკეთა მისი შექმნის დღიდან მითითებულ თარიღამდე. ამასთან, წიგნში საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართალი გადმოცემულია სასამართლოს აქტების არა მთლიანი ტექსტის სახით, არამედ მხოლოდ იმ კონკრეტული ამონარიდებით, განმარტებებით, ანალიზით, რომლებიც უკვე დაეხმარება დაინტერესებულ მკითხველს გაეცნოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციას, შეხედულებას ამა თუ იმ უფლების შინაარსის, სამართლებრივი ნორმის თაობაზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ წიგნში მითითებულია ასევე ამონარიდები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა განსხვავებული აზრებიდან, მათ შორის, ისეთ საქმეებზეც, რომლებზეც გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლეთა ხმები თანაბრად გაიყო და მოქმედი კანონმდებლობის თანახმად

კონსტიტუციური სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ამ საკითხმა (განსხვავებული აზრების ანალიზმა) წარმოაჩინა საკონსტიტუციო სასამართლოს განსხვავებული პრაქტიკა დინამიკაში, რომელთა თაობაზე წიგნში შესაბამისი კონსტიტუციური სარჩელების განხილვისას არის მითითებული. კერძოდ, ადრეული პრაქტიკის მიხედვით თვით გადაწყვეტილებაში/სასამართლოს აქტში ხდებოდა განსხვავებული აზრის/პოზიციის დაფიქსირება, ისე, რომ არ იყო მითითებული კონკრეტული მოსამართლის/მოსამართლეთა ვინაობა, შემდგომ პრაქტიკა შეიცვალა და გადაწყვეტილებაშივე იყო მითითებული მოსამართლეთა განსხვავებული აზრები (მოსამართლეთა ვინაობის დაფიქსირებით), უფრო გვიანდელი პრაქტიკის მიხედვით მოსამართლის/მოსამართლეთა განსხვავებული აზრი ცალკე წერილობითი სახითაა ფორმულირებული და თან ერთვის სასამართლოს გადაწყვეტილებას.

მკითხველის ინტერესს, ბუნებრივია, იწვევს ის საკითხი, თუ რა სახითაა წარმოჩენილი საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით განსაზღვრული მუხლების მიმართ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა. კონსტიტუციის ამა თუ იმ მუხლთან მიმართებით არჩეულია ერთი საერთო მიდგომა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის ყოველი მუხლის ყოველი პუნქტის მიხედვით სასამართლოს პრაქტიკა გაანალიზებულია შემდეგი სქემით: *შესავალი, დაცული სფერო, უფლების სუბიექტი, დასკვნა*. რიგ შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებათა შინაარსის და პრაქტიკის გათვალისწინებით, ზემოთ შემოთავაზებული სქემა საერთოა მთელი მუხლისთვის (მიუხედავად იმისა, რომ ის, შესაძლოა, რამდენიმე პუნქტის იყოს). კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის სპეციფიკის, უფლების შინაარსის, სასამართლოს პრაქტიკის მოცულობის, ამა თუ იმ კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით სასამართლოს პრაქტიკის მნიშვნელოვანი ხელშესახები განვითარების გათვალისწინებით, მითითებული სქემა უფრო მრავალკომპონენტანია და მას სხვადასხვა მუხლებთან მიმართებით ემატება ისეთი საკითხები (ან ქვეპუნქტები), როგორცაა: *უფლების შეზღუდვის საფუძვლები, უფლების ფარგლები, უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შეფასება, ლეგიტიმური მიზანი, თანაზომიერების ტესტი და სხვ.* აღნიშნული მიდგომა კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს ამა თუ იმ უფლებრივ სფეროსთან მიმართებით სასამართლოს პრაქტიკის განვითარების დინამიკას. კონსტიტუციის მუხლთან, მუხლის პუნქტთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის არ არსებობის შემთხვევაში, მითითებულია ამის შესახებ. თითოეული კონსტიტუციური უფლების თაობაზე სასამართლო აქტების უკეთ მოძებნის მიზნით, დასახელებული სქემის მიხედვით სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის ანალიზს თან ერთვის *იმ საქმეებზე სასამართლოს აქტების ჩამონათვალი*, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის კონკრეტულ მუხლებთან მიმართებით.

წარმოდგენილი წიგნი იმ ორგანიზაციათა და ავტორთა ღვაწლის და პარტნიორობის შედეგია, რომლებიც ზრუნავენ ხელი შეუწყონ ქვეყანაში კონსტიტუციური მართლმსაჯულების პოპულარიზაციას, საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განვითარებას. განსაკუთრებულ მადლობას ვუძღვნით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას (საია), რომელსაც ეკუთვნის წიგნის შექმნის ინიციატივა და რომელმაც

ორგანიზაციულად უზრუნველყო მის გამოსაცემად საჭირო პროექტის განხორციელება. წარმოდგენილი წიგნი შეიქმნა დასახელებული პროექტის ფარგლებში **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თანამშრომლობით**. მადლობას ვუხდით საქართველოს სახალხო დამცველს ამ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაში თანამშრომლობისათვის. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი წიგნის შექმნისა და გამოცემის უზრუნველყოფა მოხდა **გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) და ავსტრალიის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით**, რისთვისაც გულწრფელ მადლობას ვუცხადებთ მათ. დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ყოველთვის მზადაა ითანამშრომლოს ყველა დაინტერესებულ პირთან და ორგანიზაციასთან საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პოპულარიზაციის, სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესახებ საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნებისათვის.

გამორჩეულად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მხრიდან ჩართული ექსპერტების (წიგნის ავტორების) თავდაუზოგავმა შრომამ განაპირობა პროექტის მიზნის მიღწევა და ამ წიგნის შექმნა. მიუხედავად ავტორთა დატვირთული სამუშაო გრაფიკისა, მათ შეძლეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა გადაწყვეტილების, განჩინების, საოქმო ჩანაწერის სისტემატიზაცია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებული კონკრეტული მუხლების მიხედვით, მათი შესწავლა-ანალიზი, სასამართლოს აქტებიდან მნიშვნელოვანი განმარტებებისა და ამონარიდების გაკეთება, შესაბამისი დასკვნების წარმოჩენა. წიგნის ავტორებს წარმოადგენენ³ **თეიმურაზ ტულუში (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო), გიორგი ბურჯანაძე და გიორგი მშვენიერაძე (საქართველოს სახალხო დამცველი), გიორგი გოცირიძე და ვახუშტი მენაბდე (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია)**. გულითადი მადლობა მათ ასეთი მნიშვნელოვანი და ფასდაუდებელი გარჯისთვის.

წინამდებარე გამოცემას არა აქვს პრეტენზია სრულყოფილებაზე. იმის გათვალისწინებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ კონსტიტუციის ნორმათა შინაარსის განმარტებისათვის, ავტორთა მიზანი იყო დაინტერესებული მკითხველის წინაშე საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა წარმოეჩინა ამ პრაქტიკის მიმართ ყოველგვარი მისი სუბიექტური დამოკიდებულების გარეშე. აღნიშნულს აქვს თავისი გამართლება, რადგან პროექტის მიზანი იმთავითვე იყო არა კრიტიკული ანალიზი, რაც დაინტერესებული მკითხველისთვის მიგვინდია, არამედ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში არსებული განმარტებების, სტანდარტების ერთიან ფორმატში მოქცევა, რაც მეტად ხელმისაწვდომს

³ ავტორებთან მიმართებით შესაბამისი წარმომდგენი ორგანიზაცია მითითებულია ამ წიგნზე მუშაობის მომენტისათვის არსებული რეალობის გათვალისწინებით;

გახდის სასამართლოს პრაქტიკას. შესაძლოა დაინტერესებულ მკითხველს გაუჩნდეს თავისი კრიტიკული მოსაზრება და პოზიცია წიგნის ფორმალურ და შინაარსობრივ მხარესთან მიმართებით. ჩვენ მივესალმებით ჯანსაღ და ობიექტურ კრიტიკას და გავითვალისწინებთ მომავალი მუშაობისას.

წიგნი ხელს შეუწყობს პრაქტიკოს იურისტებს, იურისტ-სტუდენტებს, სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენლებს, მოქალაქეებს გაეცნონ საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკას საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და გარანტირებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებთან მიმართებით, რაც ხელს შეუწყობს როგორც საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პოპულარიზაციას, ასევე დაინტერესებულ პირთა მხრიდან საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტურ დაცვას.

მაია კოპალეიშვილი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის
ადმინისტრაციული სამართლის მიმართულების
სრული პროფესორი

წინასიტყვაობა

თანამედროვე დემოკრატიის პირობებში, რომელიც ხელისუფლების დანაწილების პრინციპსა და სამართლებრივი სახელმწიფოს პოსტულატს ემყარება, კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფას არსებითი მნიშვნელობა აქვს. დემოკრატიულ სახელმწიფოში კონსტიტუცია წარმოადგენს ქვეყნის უზენაეს კანონს, იგი განამტკიცებს სახელმწიფოს სამართლებრივ საფუძვლებს და ამასთანავე, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკურ გზას, მის კურსს. სახელმწიფოს ძირითადი კანონის მოთხოვნებისა და შესაბამისი სტანდარტების დაცვაზე კონტროლის უმთავრეს მექანიზმად კი, როგორც წესი, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევა. კონსტიტუციის უზენაესობის გარანტირება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დემოკრატიული სამყაროს ყველა წარმომადგენლისთვის და, რა თქმა უნდა, არც საქართველოა ამ მხრივ გამონაკლისი. საქართველოს კონსტიტუციის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.

კონსტიტუციის მნიშვნელობა და დანიშნულება სახელმწიფოს სამართლებრივი საფუძვლების ჩამოყალიბებით არ ამოიწურება. კონსტიტუციას გააჩნია ასევე უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა თანამედროვე დემოკრატიის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტის განვითარების კონტექსტში, იგულისმება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუცია თავად წარმოადგენს სახელმწიფოში ამ უფლებების „უზენაეს წერილობით წყაროს“. უფლებათა ზემოხსენებულ კატალოგს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი შეიცავს, ხოლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ უმთავრეს უფლებამოსილებას წარმოადგენს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა და გადაწყვეტა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს ნორმატიული აქტების კონსტიტუციის მეორე თავში მოცემულ დანაწესებთან შესაბამისობის საკითხს, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს ადამიანის შესაბამის უფლება-თავისუფლებათა დაცვას. საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უმნიშვნელოვანეს ფუნქციაზე თავად სასამართლოს შესახებ არსებული კანონმდებლობა მეტყველებს, რომლის თანახმადაც, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებას და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას (საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, პირველი მუხლის პირველი პუნქტი).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნათელი ხდება კონსტიტუციის მეორე თავში რეგლამენტირებულ საკითხებთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მნიშვნელობა და დატვირთვა. ამ მნიშვნელობას, შესაბამის სასამართლო აქტებში მოცემულ ფუნდამენტურ სამართლებრივ განმარტებებთან ერთად, განაპირობებს ის გარემოება, რომ საქართველოს

საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებები ეხება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თემებს, საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ პრობლემებს. აქედან გამომდინარე, მოცემული გამოცემა მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს არა მარტო ქართველი იურისტებისთვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვისაც.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესახებ წინამდებარე გამოცემა ერთ, უმთავრეს მიზანს ემსახურება. ეს მიზანია, შესაბამისი ადრესატებისთვის სასამართლოს მიერ განხორციელებული ფუნდამენტური განმარტებების შესახებ ინფორმაციის კომპაქტური ფორმით მიწოდება. ზემოაღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, თითოეულ დაინტერესებულ პირს გაუადვილდება საკუთარი დასკვნის გაკეთება საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომებთან დაკავშირებით. საბოლოო ჯამში, მკითხველი მიიღებს საჭირო „სახელმძღვანელოს“ კონსტიტუციის შესაბამისი მუხლებით დაცული სფეროს შესახებ, ამგვარ ინფორმაციას კი, აკადემიურთან ერთად, უდიდესი პრაქტიკული დატვირთვაც აქვს, რადგან იგი კონსტიტუციის ნორმების განმარტების შედეგად არის მიღებული. მოცემული ინფორმაცია საინტერესო იქნება როგორც აკადემიური იურიდიული წრეებისა და პრაქტიკოსი იურისტებისთვის, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოში პოტენციური მოსარჩელებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

წინამდებარე გამოცემა ასევე შეუწყობს ხელს საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოს - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა პოპულარიზაციას, რაც სამართლებრივი სახელმწიფოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

გიორგი პაპუაშვილი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისისა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთობლივ პროექტს. წიგნში მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის (საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი) დაწვრილებითი, მუხლობრივი კომენტარები, რომლებიც ეფუძნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას, კერძოდ, კონსტიტუციურ უფლება–თავისუფლებათა საკონსტიტუციო სასამართლოსმიერ განმარტებებს და მის პოზიციებს.

აღსანიშნავია, რომ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოში გამოიკა ამგვარი ნაშრომი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია საქართველოში ადამიანის უფლებათა სამართლისა და კონსტიტუციური სამართლის მეცნიერული და პრაქტიკული შესწავლის თვალსაზრისით.

ძალიან მოხარული ვარ, რომ აღნიშნულ პროექტში მონაწილეობას იღებდა საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი. მხედველობაშია მისადები, რომ საქართველოს სახალხო დამცველი სარგებლობს საკონსტიტუციო სასამართლოში ე.წ. „აბსტრაქტული კონსტიტუციური კონტროლის“ ინიცირების უფლებამოსილებით, რომელსაც იგი, სხვა, შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტებისაგან განსხვავებით, ყველაზე აქტიურად იყენებს. კერძოდ, სახალხო დამცველის მიერ, საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებული იქნა არა ერთი ნორმატიული აქტის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავთან მიმართებით. ამ კონსტიტუციურ სარჩელთა დიდი ნაწილი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იქნა დაკმაყოფილებული. ამდენად საკონსტიტუციო სასამართლოს მდიდარი პრაქტიკის შექმნაში, საქართველოს სახალხო დამცველის წვლილი მნიშვნელოვანია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახალხო დამცველი კვლავაც აპირებს, თავისი ამ უფლებამოსილების აქტიურად გამოყენებას, რომელიც კიდევ უფრო გაამდიდრებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას.

ვიმედოვნებ, რომ ეს წიგნი საკმაოდ პოპულარული და საინტერესო იქნება, არა მხოლოდ, ქართველ და უცხოელ იურისტთა წრეში, არამედ, ადამიანის უფლებებით დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის.

პატივისცემით,
უჩა ნანუაშვილი
საქართველოს სახალხო დამცველი

წინასიტყვაობა

შიეძლება ითქვას, რომ კონსტიტუცია არსებითად არის ის, რადაც მას პრაქტიკა აქცევს. ხშირად კონსტიტუციის ზოგად დებულებებს ნამდვილ შინაარსს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ანიჭებს. როდესაც ქვეყნის ძირითადი კანონს პარლამენტში კენჭს უყრიან, მისი ავტორები ან/და კენჭისყრაში მონაწილენი ზოგჯერ ვერც კი წარმოიდგენენ რა შინაარსი შიეძლება მიენიჭოს დროთა განმავლობაში მათ მიერ ჩამოყალიბებულ თუ მხარდაჭერილ დებულებებს. აღნიშნული ზოგადად კონსტიტუციას ეხება, მიუხედავად იმისა, თუ მის რომელ ნაწილზე ვსაუბრობთ. თუმცა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ეს სიტყვები მაშინ იძენენ, როდესაც საქმე ადამიანის უფლებების სტანდარტების შემცველ დებულებათა ინტერპრეტაციას ეხება. უზენაესი კანონის ეს ნაწილი ყველაზე მეტად დინამიური და სწრაფად განვითარებადი. კონსტიტუციამ უნდა გაუძლოს დროს. ამასთან, შესაძლებელია, მის ნორმებში ჩადებული აზრი იმდენად სწრაფად შეიცვალოს, კონკრეტულ სფეროში მოღვაწე სამართლის სპეციალისტების გარდა, სხვებისთვის ძნელი გახდეს ცვლილებებისადმი თვალის მიდევნება, მისი არსის სწორად აღქმა და გაგება. ამ დინამიურობის ინსპირატორი და შემოქმედი კონსტიტუციური მართლმსაჯულებაა. საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს კონსტიტუციის და, მათ შორის, ადამიანის უფლებების თავის მნიშვნელობას, ადგენს სამართლებრივად სავალდებულო კონსტიტუციურ სტანდარტებს. ეს სტანდარტები გაბნეულია სასამართლო აქტებში, რაც დაინტერესებულ საზოგადოებას ურთულესს მისი მოძიებისა და აღქმის შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია მათი ერთ ფორმაში მოქცევა და ერთგვარი სისტემატიზაცია.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია თავის პარტნიორებთან - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საქართველოს სახალხო დამცველს ერთად წარმოიდგენთ გამოცემას „ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა“. შიეძლება ითქვას, რომ ეს არის პირველი მცდელობა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიქმნას კონსტიტუციის მეორე თავის („საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“) განმარტებები. წარმოდგენილი ტექსტი მაქსიმალურად დაცლილია სუბიექტური შეფასებებისგან, ავტორები წარმოაჩენენ მეორე თავის დებულებების შინაარსს ისე, როგორც ეს საკონსტიტუციო სასამართლოს ესმის.

მინდა, მადლობა გადავუხადო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საქართველოს სახალხო დამცველს, მათ მიერ გაწეული უდიდესი შრომისათვის, შემდგარიყო ეს პროექტი; ავტორებს თეიმურაზ ტულუშს, გიორგი ბურჯანაძეს, გიორგი მშვენიერაძეს, გიორგი გოცირიძესა და ვახუშტი მენაბდეს, რომელთაც რამდენიმეთვიანი თავდაუზოგავი შრომის შედეგად შექმნეს ეს მნიშვნელოვანი პროდუქტი; სამეცნიერო რედაქტორს, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს, პროფესორ მაია კოპალეიშვილს, რომელის სახელმძღვანელო მეთოდოლოგიური მითითებების შედეგად ტექსტმა აკადემიური ხასიათი და საბოლოო სახე შეიძინა.

მადლობას ვუხდის გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასა (GIZ) და ავსტრალიის საელჩოს - წინამდებარე ნაშრომის შექმნა და გამოცემა მათი ფინანსური მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მცდელობა - მოვახდინოთ ქართული კონსტიტუციური მართლმსაჯულების პოპულარიზაცია, წარმატებული იქნება და მიზანს მივაღწევთ.

კახა კოჟორიძე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე

წინასიტყვაობა

„კონსტიტუცია არის ის, რასაც მოსამართლეები იტყვიან მასზე“
ჩარლზ ევანს ჰიუზი
აშშ-ის უზენაესი სასამართლოს
თავმჯდომარე, 1930-1941წწ.

ალბათ, იშვითია საქართველოში ისეთი კანონი, რომელზეც ასე ბევრს საუბრობენ და რომელზეც ასე ცოტაა ნათქვამი, როგორიც საქართველოს კონსტიტუციაა. პოლიტიკოსები და ამომრჩევლები, ადვოკატები და მათი მარწმუნებლები, უფლებადამცველები და უფლებადარღვეულები ჭეშმარიტების ბოლო ინსტანციად ხშირად კონსტიტუციას იშველიებენ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია, ყველა სხვა კანონთან შედარებით, ალბათ, ყველაზე უფრო ახლოს დგას ხალხთან, როგორც ხელისუფლების წყაროსთან, ის მაინც იურისტთა ქმნილებად რჩება და მის სწორად წაკითხვას ფილიგრანული იურიდიული ტექნიკა სჭირდება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, როგორც ყოველთვის, პროფესიონალურად გაართვა თავი ამ მოცულობით მეტად შრომატევად და თავისი შინაარსით უაღრესად საპასუხისმგებლო საქმეს და შექმნა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში პირველი სასამართლო პრაქტიკაზე დაფუძნებული სახელმძღვანელო, რომელიც საშუალებას აძლევს მკითხველს, გაეცნოს, ჰიუზის გაგებით, ნამდვილ კონსტიტუციას, ანუ კონსტიტუციას ისეთს, როგორსაც მას საკონსტიტუციო სასამართლო ხედავს.

როდესაც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მოგვმართა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე დაფუძნებული ნაშრომის შექმნის იდეის განხორციელებაში მხარდაჭერის თხოვნით, ჩვენ ეს იდეა მაშინვე ავიტაცეთ, ვინაიდან გვჯერა, რომ თანამედროვე საქართველოში სამართლებრივი აზრის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი წინაპირობა თანამედროვე იურიდიული ლიტერატურის არსებობაა. სწორედ ამიტომ, 1993 წლიდან მოყოლებული, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დავალებით ახორციელებს სამართლებრივი რეფორმების ხელშეწყობის პროგრამას, რომელიც კანონმდებლობის რეფორმირებისა და ახალი კანონების ცხოვრებაში დანერგვის პარალელურად უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს თანამედროვე იურიდიული ლიტერატურის შექმნას – იქნება ეს კანონთა კომენტარები, თუ სახელმძღვანელოები.

ნაშრომის ავტორებს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლებს, ბატონებს: ვახტანგ მენაბდეა და გიორგი გოცირიძეს, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებს, ბატონებს: გიორგი მშვენიერაძესა და გიორგი ბურჯანაძეს და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წარმომადგენელს, ბატონ თეიმურაზ ტულუშს განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნით იმ გამორჩეული შრომისთვის, რომელიც მათ გაუწიეს ქართულ იურისპრუდენციას იმით, რომ მოახდინეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნიდან დღემდე არსებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, სისტემატიზაცია და

მისი მეცნიერული დამუშავება. ასევე განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო ჩვენი ორგანიზაციის ხანგრძლივი პარტნიორის, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის, ქალბატონ *მაია კოპალეიშვილის* მიმართ, რომელმაც სამეცნიერო რედაქტორის საპასუხისმგებლო შრომა გასწია.

დარწმუნებული ვარ, რომ წინამდებარე ნაშრომი, კონსტიტუციური სამართლის სფეროში მოღვაწე მეცნიერებსა და პრაქტიკოს იურისტებთან ერთად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებისთვის, რომლებსაც ავტორები, თეორიისა და პრაქტიკის ერთ კონტექსტში განხილვით, აჩვენებენ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების რთულ სამართლებრივ ტექსტებთან მუშაობისა და მათი გააზრების გზას.

დაბოლოს, იმედი მაქვს, რომ წინამდებარე ნაშრომი, ნათელი სტრუქტურისა და ენობრივი სიცხადის წყალობით, საქართველოს არაიურისტ მოქალაქეებსაც დააინტერესებს და მისცემს მათ შესაძლებლობას, თავად გაერკვნენ საკუთარი უფლებების არსში.

შალვა პაპუაშვილი –
ჯგუფის ხელმძღვანელი,
გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის
საზოგადოების (GIZ) პროგრამა
„სამართლისა და იუსტიციის რეფორმების
კონსულტაცია სამხრეთ კავკასიაში“

მუხლი 12

1. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით და ნატურალიზაციით.
2. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა ამ პუნქტით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.
3. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით .

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი #3272-სსმI, #2, 07.02.2004წ., მუხ.5)

შესავალი

1. დაცული სფერო
2. სუბიექტები
3. დასკვნა
4. საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლთან მიმართებით

შესავალი

გარდა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების გამომხატველი ნორმებისა, საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავში კონსტიტუციის მე-12 და მე-13 მუხლების სახით დადგენილია პიროვნებისა და სახელმწიფოს პოლიტიკურ სამართლებრივი კავშირის - საქართველოს მოქალაქეობის ძირითადი დებულებები. სამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, კანონმდებლის მიერ ზემოაღნიშნულ დებულებათა მე-2 თავში ერთად მოაზრება ადასტურებს შეხედულებას იმის თაობაზე, რომ მოქალაქეობა ადამიანის კონსტიტუციური, ძირითადი უფლებაა.⁴

საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლი 2004 წლის 6 თებერვალს შეიცვალა, შევიდა მასში დამატება და მეორე პუნქტში ორმაგი მოქალაქეობის აკრძალვის იმპერატიული ნორმის მიმართ დადგინდა საგამონაკლისო წესი.

1. დაცული სფერო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა კონსტიტუციის მე-12 მუხლთან მიმართებით ფაქტობრივად არ არსებობს. მხოლოდ ერთი საქმის დასახელება შეიძლება, რომელშიც კონსტიტუციის მე-12 მუხლის სამივე პუნქტთან მიმართებით დაყენებული იყო სასარჩელი მოთხოვნა, მაგრამ სასამართლოს კონსტიტუციის ნორმაზე არსებითი მსჯელობა და ნორმის განმარტება არ მოუხდენია.

„საქართველოს მოქალაქე გურამ შამანიდის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს წინააღმდეგ“⁵ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს ერთობლივი ბრძანება.

მოსარჩელე საქართველოს ტერიტორიაზე მინდობილობით მართავდა ცხინვალის რეგიონში მუდმივად მცხოვრები პირის კუთვნილ, ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სანომრე ნიშნების მქონე სატრანსპორტო საშუალებას და მას ამ ავტომანქანის არღივხვაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი უწყების მიერ ეთქვა უარი იმ საფუძველით, რომ მხოლოდ ცხინვალის რეგიონში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეებს შეუძლიათ ასეთი ავტომანქანის დროებითი აღრიცხვა, ხოლო მოსარჩელეს, როგორც საქართველოს სხვა რეგიონში მცხოვრებს, არ ჰქონდა მისი რეგისტრაციის უფლება, რადგან აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებები არ იყო გაფორმებული საქართველოს საბაჟო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად და არ იყო რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.⁶

⁴ კონსტიტუციური სამართალი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, რედაქტორი ა. დემეტრაშვილი. თბილისი, 2005 წელი, გვ. 117;

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 23 აპრილის #2/1/130 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე გურამ შამანიდის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს წინააღმდეგ;

⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 23 აპრილის #2/1/130 გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი;

მოსარჩელისათვის უფლების ძირითადი დაცვის საშუალებას წარმოადგენდა საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები, მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტი, რადგან ის მიიჩნეოდა, რომ სადავო ბრძანება არ ცნობდა საქართველოს მოქალაქეს და ათანაბრებდა უცხო ქვეყნის მოქალაქესთან. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ სადავო ბრძანებით ირღვევა „როგორც ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოქალაქეების, ასევე საქართველოს სხვა რეგიონებში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეების საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით აღიარებული უფლებები. კერძოდ, დარღვევა იმაში გამოიხატება, რომ ცხინვალში მცხოვრებ მოქალაქეებს ... ეკრძალებათ მინდობილობით სამართავად გადასცენ თავიანთი კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები საქართველოს სხვა რეგიონში მცხოვრებ მოქალაქეებს, რაც ამავდროულად, ... არღვევს მისი და საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების უფლებებს, საქართველოს ტერიტორიაზე მინდობილობით მართონ ცხინვალის რეგიონში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეების კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები.“⁷

სასამართლომ დავის საგანი საერთოდ არ დაუკავშირა საქართველოს მოქალაქეობის საკითხს და იგი რეგისტრაციის პროცედურების კანონისმიერ საფუძვლებთან კავშირში განიხილა. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლის და „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონის თანახმად, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, კერძოდ, ცხინვალის რეგიონი, როგორც ტერიტორიული ერთეული, ითვლება საქართველოს შემადგენლობაში. აქედან გამომდინარე, სამხრეთ ოსეთი, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, საერთოდ არ არსებობს და შესაბამისად, თვითგამოცხადებული, ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის „რესპუბლიკის“ სატრანსპორტო საშუალებათა სანომრე ნიშნები და რეგისტრაციის სხვა დამადასტურებელი დოკუმენტებიც საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამო და არაკანონიერია.“⁸

შესაბამისად, სასამართლომ განაცხადა, რომ „სასამართლო კოლეგია ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მოთხოვნას იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სადავო ბრძანების ... არაკონსტიტუციურობის საკითხის დადგენას საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებთან და მე-13 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით ... სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ სადავო ბრძანების ... კონსტიტუციურობის საკითხი არ შეიძლება განხილულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციის დასახელებულ დებულებებთან მიმართებით, რადგან სადავო ბრძანების ... ნაწილი შეეხება საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამო სანომრე ნიშნების მქონე სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის შეზღუდვის საკითხს საქართველოს ტერიტორიაზე. კონსტიტუციის დასახელებული დებულებები კი არსებითად განსხვავებულ საკითხს მოიცავს.“⁹

⁷ საქართველოს კონსტიტუციის სასამართლოს 2002 წლის 23 აპრილის #2/1/130 გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი;

⁸ იქვე;

⁹ იქვე;

2. სუბიექტი

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლთან მიმართების საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა მხოლოდ ერთი გადაწყვეტილებისაგან შედგება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დღემდე არ მიეცა შესაძლებლობა განემარტა კონსტიტუციის მე-12 მუხლით დაცული უფლების სუბიექტი.

3. დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შემდეგ შესაძლებელია აღვნიშნოთ, რომ

- საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლი, მისი შეზღუდვის ფარგლები არ არის განმარტებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.
- არ არის დადგენილი კონსტიტუციის მე-12 მუხლით დაცული უფლების შინაარსის სუბიექტი.

4. საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლთან მიმართებით:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

საქართველოს მოქალაქე გურამ შამანიდის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 23 აპრილის #2/1/130 გადაწყვეტილება/

მუხლი 13

1. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა.
2. მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია .
3. საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია .
4. საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. გადაწყვეტილება მოქალაქის გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

შესავალი

1. დაცული სფერო
2. სუბიექტები
3. დასკვნა
4. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლთან მიმართებით.

შესავალი

გარდა საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლთან მიმართებით შესავალში აღნიშნულისა, მივუთითებთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლი ადგენს მოქალაქეობის, როგორც ძირითადი კონსტიტუციური უფლების ე.წ. პოზიტიურ (ძირითადი უფლება ავალდებულებს სახელმწიფოს და მოითხოვს მისგან აქტიურ მოქმედებას მოქალაქის დასაცავად) და ნეგატიურ (სახელმწიფო შეზღუდულია ამ ძირითადი უფლებით) სტატუსს.

1. დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლი არეგულირებს შემდეგი ტიპის გარანტიას: საქართველოს მოქალაქეთა მფარველობა სახელმწიფოს მხრიდან, მოქალაქეობის ჩამორთმევის აკრძალვა, მოქალაქეთა გაძევების დაუშვებლობა, მოქალაქეთა უცხო სახელმწიფოთათვის გადაცემის აკრძალვა, გარდა გამონაკლისებისა, მოქალაქის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა კონსტიტუციის მე-13 მუხლთან მიმართებით შემოიფარგლება მხოლოდ ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით. ამასთანავე, სასამართლო პრაქტიკა საქართველოს კონსტიტუციის მე-12 და მე-13 მუხლებთან მიმართებით, გარდა ქვემოთ აღნიშნული გამონაკლისისა, მსგავსია. „საქართველოს მოქალაქე გურამ შამანიდის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს წინააღმდეგ“ საქმეში მოსარჩელეთა მოთხოვნა ერთდროულად იყო დაყენებული ორივე მუხლის მიმართ. ამ საქმეში სასამართლოს ცალ-ცალკე არ უმსჯელია თითოეულ მუხლთან მიმართებით. ამდენად, ის რაც აღინიშნა სასამართლოს პრაქტიკის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლთან მიმართებით, რელევანტურია საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლთან მიმართებითაც. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელმეორედ იმავე ფაქტობრივი გარემოებების და სასამართლოს მსჯელობის ციტირება აქ არ მოხდება, გარდა იმ გამონაკლისისა, რომელიც უშუალოდ ამ მუხლთან მიმართებით აღინიშნა და სწორედ ამის გამოა, რომ მე-12 მუხლთან მიმართებით დასახელებული გადაწყვეტილების განხილვისას არ გამოიხშირა მე-13 მუხლი და მასზე მითითებაც დარჩა, ისე როგორც ეს სასამართლოს განჩინებაშია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასარჩელო მოთხოვნა დაყენებული იყო საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მხოლოდ პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით,¹⁰ მაგრამ სასამართლოს კონსტიტუციის ნორმაზე არსებითად არ უმსჯელია და ნორმის განმარტება არ მოუხდენია.

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 23 აპრილის #2/1/130 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე გურამ შამანიდის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს წინააღმდეგ;

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ სადავო ბრძანება, აგრეთვე არღვევდა „საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებით აღიარებულ საქართველოს მოქალაქეთა უფლებებს. კერძოდ, სადავო ბრძანების პირველი პუნქტის თანახმად ცხინვალის რეგიონში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეებს ეკრძალებათ 72 საათზე მეტი ხნით საქართველოს რომელიმე რეგიონში შესვლის შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებში დროებითი აღრიცხვის გარეშე მართონ თავიანთი კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები. მოსარჩელის თქმით, როდესაც მან მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებს მის დროებით სარგებლობაში არსებული ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სანომრე ნიშნების მქონე სატრანსპორტო საშუალების დროებით აღრიცხვაზე აყვანის მოთხოვნით, მას უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალების დროებით აღრიცხვადნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დროებით აღრიცხვას მოითხოვდა სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე, ცხინვალის რეგიონში მუდმივად მცხოვრები პირი.“¹¹

როგორც კონსტიტუციის მე-12 მუხლთან მიმართებით სასამართლოს ამ გადაწყვეტილების ანალიზისას აღინიშნა, სასამართლომ დავის საგანი საერთოდ არ დაუკავშირა საქართველოს მოქალაქეობის საკითხს და იგი რეგისტრაციის პროცედურების კანონისმიერ საფუძვლებთან კავშირში განიხილა.

შესაბამისად, სასამართლომ განაცხადა, რომ „სასამართლო კოლეგია ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მოთხოვნას იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სადავო ბრძანების არაკონსტიტუციურობის საკითხის დადგენას საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებთან და მე-13 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით ... სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ სადავო ბრძანების ... კონსტიტუციურობის საკითხი არ შეიძლება განხილულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციის დასახელებულ დებულებებთან მიმართებით, რადგან სადავო ბრძანების ... ნაწილი შეეხება საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამო სანომრე ნიშნების მქონე სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის შეზღუდვის საკითხს საქართველოს ტერიტორიაზე. კონსტიტუციის დასახელებული დებულებები კი არსებითად განსხვავებულ საკითხს მოიცავს.“¹²

საკონსტიტუციო სასამართლომ 2003 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე „მოქალაქეები: ჯანო ჯანელიძე, ნინო უბერი, ელეონორა ლაგვილავა და მურთაზ თოდრია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“¹³ იმსჯელა სადავო ნორმის კონსტიტუციურობის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. დავის საგანს წარმოადგენდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის დებულება, რომლის თანახმად პირი კარგავდა დევნილის

¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 23 აპრილის #2/1/130 გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი;

¹² იქვე;

¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 7 ნოემბრის #2/7/219 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეები: ჯანო ჯანელიძე, ნინო უბერი, ელეონორა ლაგვილავა და მურთაზ თოდრია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

სტატუსს საქართველოს რომელიმე რეგიონში მუდმივად დასახლებისა და რეგისტრაციაში გატარებისას.

მოსარჩევეების აზრით, საქართველოს კონსტიტუციის სხვა მუხლებთან ერთად, აღნიშნული რეგულირებით ირღვეოდა კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად „საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა“. მოსარჩევეებს მიაჩნდათ, რომ „პირის ნების საწინააღმდეგოდ ადგილსამყოფელის გამოცვლის გამო დევნილის სტატუსის ჩამორთმევა არაკონსტიტუციურია და ლახავს მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებას, ისარგებლოს სახელმწიფოს მფარველობითა და გარკვეული შეღავათებით, როგორც დევნილმა.“¹⁴

სასამართლოს, ამ გადაწყვეტილებაში დავის საგნის კონტიტუციურობის გარკვევისას, მოუხდა შედარებით გამოეკვეტა თავისი მსჯელობა მე-13 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. იგი არ დაეთანხმა მოსარჩევეთა არგუმენტაციას სადავო დებულებით კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის თაობაზე. სასამართლომ მოსარჩევეები არ გაიყვანა კონსტიტუციის ამ მუხლით დაცული უფლების სფეროდან, მხოლოდ მიუთითა, რომ გარკვეული წინაპირობების არსებობისას დევნილის სტატუსის ჩამორთმევა არ იწვევს საქართველოს მიერ მათ მფარველობაზე უარის თქმას. სასამართლომ მოსარჩევეთა მოთხოვნა კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით არ დააკმაყოფილა. სასამართლომ განაცხადა:

„სასამართლო ვერ დაეთანხმება მოსარჩევეთა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სადავო ნორმა არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველ პუნქტს, რომლის თანახმად, „საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა“. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონსტიტუციის აღნიშნული მუხლი ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე და ადგენს მათი მფარველობის წესს, შესაბამისად, ეხება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც შესაბამისი გარემოებების დადგომისას შესაძლებელია მიჩნეულ იქნენ დევნილებად. ამავე დროს სასამართლო იზიარებს და ეთანხმება მოპასუხე მხარის მოსაზრებას, რომ დევნილის სტატუსის ჩამორთმევა არ იწვევს საქართველოს მიერ მათ მფარველობაზე უარის თქმას. პირი რჩება საქართველოს მოქალაქედ, მიუხედავად იმისა, ექნება თუ არა მას დევნილის სტატუსი. საქართველოს მოქალაქეობა კი წარმოადგენს საფუძველს, პირი იმყოფეოდეს საქართველოს მფარველობის ქვეშ.“¹⁵

2. სუბიექტები

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლთან მიმართების საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ვრცელი არ არის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დღემდე არ მიეცა შესაძლებლობა, კონკრეტულად განემარტა კონსტიტუციის მე-13 მუხლით დაცული უფლების სუბიექტი.

¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 7 ნოემბრის #2/7/219 გადაწყვეტილება, აღწერილობითი ნაწილი;

¹⁵ იქვე;

3. დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შემდეგ შესაძლოა აღვნიშნოთ, რომ

- საქართველოს მოქალაქეობა წარმოადგენს საფუძველს, პირი იმყოფოდეს საქართველოს მფარველობის ქვეშ.
- საქართველოს მოქალაქეთათვის დევნილის სტატუსის ჩამორთმევა არ იწვევს საქართველოს მიერ მათ მფარველობაზე უარის თქმას.
- საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლი, ამ უფლებით სარგებლობის ფარგლები არ არის განმარტებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.
- არ არის დადგენილი კონსტიტუციის მე-13 მუხლით დაცული უფლების შინაარსის სუბიექტი.

4. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლთან მიმართებით:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები:

საქართველოს მოქალაქე გურამ შამანიდის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს შინაგან საქმეთა და საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 23 აპრილის #2/1/30 გადაწყვეტილება/

მოქალაქეები: ჯანო ჯანელიძე, ნინო უბერი, ელენორა ლაგვილავა და მურთაზ თოდრია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 7 ნოემბრის #2/7/219 გადაწყვეტილება/

მუხლი 14

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმომობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

შესავალი

1. დაცული სფერო. უფლებაში ჩარევის ფაქტის დადგენის წინაპირობები.
 - 1.1. არსებითად თანასწორი პირების მიმართ უთანასწორო მოპყრობა ან პირიქით.
 - 1.1.1. არსებითად უთანასწორო პირებს შორის დიფერენცირების კონკრეტული შემთხვევები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე
 - 1.1.2. არსებითად უთანასწორო პირების მიმართ თანასწორი მოპყრობა
 - 1.2. დისკრიმინაციის ნიშანი
 - 1.2.1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დღევანდელი მიდგომა დისკრიმინაციის ნიშანთან დაკავშირებით
 - 1.2.2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა დისკრიმინაციის ნიშანთან დაკავშირებით 2008 წლამდე
 - 1.2.3. მე-14 მუხლში მითითებული ზოგიერთი ნიშნის შინაარსი
2. მე-14 მუხლში ჩარევის კონსტიტუციურობის შეფასება
 - 2.1. უფლების დაცვის სტანდარტები, უფლებაში ჩარევის შეფასების ტესტები, დიფერენცირების ნიშნისა და ინტენსივობის როლი ტესტის არჩევისას
 - 2.2. დიფერენცირების კონსტიტუციურობის შეფასების კონკრეტული შემთხვევები სასამართლოს პრაქტიკაში
 - 2.2.1. ადმინისტრაციული რესურსების თანაბარი გამოყენება საარჩევნო მიზნებისათვის
 - 2.2.2. დიფერენცირება დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის დროსთან
 - 2.2.3. არსებითად უთანასწორო პირების მიმართ თანასწორი მოპყრობა
 - 2.2.4. თანასწორობა პარლამენტარის პენსიის მიღების კონტექსტში
 - 2.2.5. თანასწორობა საარჩევნო უფლებით სარგებლობისას
 - 2.2.6. დიფერენცირება საცხოვრებელი ადგილის ნიშნით
 - 2.2.7. დიფერენცირება საკუთრების ფულებით სარგებლობისას
 - 2.2.8. დიფერენცირება დასაქმების ადგილის მიხედვით
3. სუბიექტი
4. დასკვნა
5. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით განიხილა

შესავალი

კანონის წინაშე თანასწორობის უფლება სხვადასხვა ფორმებით აღიარებულია თითქმის ყველა სამართლებრივ სისტემაში. დღეს ამ პრინციპის მნიშვნელობისა და დაცვის აუცილებლობის შესახებ დემოკრატიულ საზოგადოებაში ფართო კონსენსუსი არსებობს: „კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის. ამდენად, ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს“.¹⁶

აღნიშნული უფლება, როგორც წესი, განმტკიცებულია კონსტიტუციურ დონეზე, რომლის ტექსტიც უთითებს, რომ ადამიანები თანასწორნი არიან ან იკრძალება დისკრიმინაცია ამა თუ იმ საფუძველით. უფლების მნიშვნელობაზე საყოველთაო თანხმობის მიუხედავად, სხვადასხვა სახელმწიფოების საკონსტიტუციო სასამართლოების თუ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკიდან გამოდინარე, განსხვავდება მიდგომები უფლების დაცული სფეროს განმარტების თვალსაზრისით. ზოგიერთ შემთხვევაში დიფერენცირება იკრძალება მხოლოდ კონკრეტული, კონსტიტუციაში ამომწურავად გაწერილი ნიშნების საფუძველზე, ზოგიერთ შემთხვევაში იკრძალება დიფერენცირება მხოლოდ კონსტიტუციური უფლებით სარგებლობის ფარგლებში, ასევე ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც კონსტიტუცია კრძალავს დიფერენცირებას ზოგადად, თუმცა სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, განსხვავებულია უფლებაში ჩარევის მიდგომები იმის მიხედვით, თუ რა ნიშანს, უფლებას ან საზოგადოებრივი ცხოვრების რომელ ასპექტს უკავშირდება დიფერენცირება.

კანონის წინაშე თანასწორობის უფლება საქართველოში განმტკიცებულია კონსტიტუციის მე-14 მუხლით. კონსტიტუციის ამ ნორმას ფართო და მრავალმხრივი შინაარსი გააჩნია, უფლების შინაარსისა და ფარგლების განმსაზღვრელი განმარტებები მრავლად გვხვდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში.

1. დაცული სფერო. უფლებაში ჩარევის ფაქტის დადგენის წინაპირობები.

1.1. არსებითად თანასწორი პირების მიმართ უთანასწორო მოპყრობა ან პირიქით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი „ადგენს კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს. მისი მიზანია, არ დაუშვას არსებითად თანასწორის უთანასწოროდ მოპყრობა ან პირიქით“.¹⁷ აღნიშნული გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის

¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის #1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.1;

¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის #2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის

თანაბარი პირობების გარანტირებას, „მე-14 მუხლის არსის გაგებისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს კანონის წინაშე თანასწორობის განსხვავებას გათანაბრებისგან. ამ პრინციპის ფარგლებში სახელმწიფოს ძირითადი მიზანი და ფუნქცია ადამიანების სრული გათანაბრება ვერ იქნება, რადგან ეს თავად თანასწორობის იდეასთან, უფლების არსთან მოვიდოდა წინააღმდეგობაში. თანასწორობის იდეა ემსახურება შესაძლებლობების თანასწორობის უზრუნველყოფას, ანუ ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთნაირი შესაძლებლობების გარანტირებას“.¹⁸ „კანონის წინაშე თანასწორობის უფლება არ გულისხმობს, ბუნებისა და შესაძლებლობების განურჩევლად, ყველა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისათვის არსებითად თანასწორთ შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწორობებს პირიქით“.¹⁹

შესაბამისად, კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევის დასადგენად უპირველეს კრიტერიუმს წარმოადგენს ის, თუ რამდენად არიან კანონის საფუძველზე დიფერენცირებულ მდგომარეობაში მყოფი პირები არსებითად თანასწორნი ან თანაბარ სამართლებრივ სიტუაციაში მყოფი პირები რამდენად არიან არსებითად არათანასწორები კონკრეტული ურთიერთობაში. ამგვარად, უნდა არსებობდეს დიფერენცირების ფაქტი არსებითად თანასწორ პირებს შორის ან არსებითად არათანასწორ პირებს სახელმწიფო ერთნაირად უნდა ეპყრობოდეს. ამ თვალსაზრისით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა ერთგვაროვანია მისი დაარსების დღიდან, რაც ნათლად ჩანს მის გადაწყვეტილებებში.

1.1.1. არსებითად უთანასწორო პირებს შორის დიფერენცირების კონკრეტული შემთხვევები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე

საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ტრისტან ხანიშვილი, თედორე ნინიძე, ნოდარ ჭითანავა, ლევან ალექსიძე, გიორგი ქავთარაძე და სხვები (სულ 12 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“²⁰, დავის საგანს წარმოადგენდა „პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევის და საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმა, რომლის მიხედვითაც, „პირს, რომელიც საქართველოს პარლამენტის წევრი იყო არაუმეტეს ერთი წლისა, ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი სამსახურებრივი პენსია მიეცემა მოქმედი

მინისტრის წინააღმდეგ, II.1; საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის #1/1/493 გადაწყვეტილება, II.3.1;

¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის #1/1/493 გადაწყვეტილება, II.3.1.2;

¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის #2/1/473 გადაწყვეტილება, II.3.2;

²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 15 ოქტომბრის #1/2/174,179 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ტრისტან ხანიშვილი, თედორე ნინიძე, ნოდარ ჭითანავა, ლევან ალექსიძე, გიორგი ქავთარაძე და სხვები (სულ 12 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

პარლამენტის წევრის ხელფასის 50 პროცენტის ოდენობით“, იმ პირობებში, როდესაც პირებს, რომლებიც პარლამენტის წევრები იყვნენ 1 წელზე მეტი ვადით, პენსია მიეცემოდათ მოქმედი პარლამენტის წევრის ხელფასის სრული ოდენობით. მოსარჩელები წარმოადგენდნენ ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრებს, რომლებმაც ერთ წელზე ნაკლები ვადით განახორციელეს სადეპუტატო უფლებამოსილება. ისინი თვლიდნენ, რომ განხილულნი უნდა ყოფილიყვნენ საქართველოს პარლამენტის ერთ წელზე ხანგრძლივი სტაჟის მქონე წევრების თანასწორად. ამასთან, მათი აზრით, არ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა, თუ რა დროით განახორციელებდა დეპუტატი უფლებამოსილებას. ყველა შემთხვევაში პენსიის ოდენობა უნდა ყოფილიყო თანაბარი. ისინი თვლიდნენ, რომ ამით პოლიტიკური ნიშნით ირღვეოდა კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებული მათი უფლება. ვინაიდან, სადავო ნორმა გამორიცხავდა ამგვარ მიდგომას.

მოცემულ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ, სადავო ნორმით განსაზღვრული სამართლებრივი რეგულირება არჩათვალა დიფერენცირებულ დამოკიდებულებად ერთნაირი შემთხვევის მიმართ. საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად თანასწორად (ერთნაირ შემთხვევადად) არ განიხილა დეპუტატები, რომლებმაც სადეპუტატო უფლებამოსილება განახორციელეს ერთ წელზე ნაკლები ვადით, იმ დეპუტატებთან მიმართებით, ვისთვისაც ეს ვადა ერთ წელზე მეტი იყო.²¹ საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა: “პენსიაზე უფლების შეზღუდვას მაშინ ექნებოდა ადგილი, თუკი გვეყოლებოდა ისეთი დეპუტატები, რომელთაც ექნებოდათ ნამსახურობის ერთი და იგივე ვადა და ამის მიუხედავად მათ დაენიშნებოდათ სხვადასხვა ოდენობის პენსია”.²² შესაბამისად, არ დადგინდა კონსტიტუციის მე-14 მუხლის დარღვევა.

საქმეზე „მოქალაქეები: 1)ლილი თელია, არჩილ მეფარიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 2)მოქალაქე სერგო გოგიტიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 3)მოქალაქე როსტომ ბოლქვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”²³, დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციული სამართლის საპროცესო კოდექსების ის ნორმები, რომლებიც ითვალისწინებდნენ თანამდებობის პირის მიერ უკანონოდ მოპოვებული ქონების ჩამორთმევას ადმინისტრაციული წესით²⁴, აღნიშნული პირების

²¹ აღნიშნულ საქმეზე ასევე სადავო იყო ის ნორმა, რომლის საფუძველზეც ყოფილი უზენაესი საბჭოს დეპუტატებს გადაუვადთან პენსიის მიღება 2003 წლის პირველ იანვრამდე. სასამართლომ პენსიის მიღების უფლების თვალსაზრისით არსებითად თანასწორებად მიიჩნია ყოფილი უზენაესი საბჭოს დეპუტატები და პარლამენტის წევრები და შესაბამისად იმსჯელა კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობაზე. აღნიშნულ საკითხს უფრო ფართოდ ქვემოთ შევხებით, თანასწორების უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შეფასებაზე მსჯელობისას;

²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 15 ოქტომბრის #1/2/174,179 გადაწყვეტილება, პ.1;

²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეები: 1) ლილი თელია, არჩილ მეფარიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 2) მოქალაქე სერგო გოგიტიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 3) მოქალაქე როსტომ ბოლქვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება, პ.4;

მიმართ სისხლის სამართლის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე. მოსარჩელები თვლიდნენ, რომ თანამდებობის პირების მიმართ სადავო ნორმებით დადგენილი სპეციალური რეგულირების გამო, ისინი განიცდიდნენ არათანაბარ მოპყრობას პროცესის სხვა მონაწილეებთან შედარებით, რომელთა მიმართ აღნიშნული წესის გამოიყენებოდა. მათი აზრით, თანამდებობის პირებისათვის დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა უნდა მომხდარიყო მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენის დადგომის შემდგომ, სამოქალაქო წესით.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულ საქმეში განმარტა: „საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო აქტები შეეხება ყოფილ და მოქმედ თანამდებობის პირებს, რომლებიც საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის პრინციპიდან გამომდინარე, მათი უფლებებისა და მოვალეობების თვალსაზრისით სახელმწიფოს მიერ განსაკუთრებული რეგულირების სივრცეში იმყოფებიან. ამრიგად, სასამართლოს აზრით, სახელმწიფოს მხრიდან, საჯარო მოსამსახურეთათვის, სადავო ნორმებით განსაზღვრული მექანიზმი სრულ შესაბამისობაშია ზემოაღნიშნულ პრინციპთან“.²⁵ საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული განმარტებით, თანამდებობის პირები (საჯარო მოსამსახურეები) არ გაუთანაბრა პროცესის იმ სხვა მონაწილეებს, რომლებზეც მიუთითებდნენ მოსარჩელები. შესაბამისად, მოსარჩელეთა მოთხოვნა, კონსტიტუციის მე-14 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით, არ დაკმაყოფილდა.

საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახაბერ კობერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“²⁶, დავის საგანს წარმოადგენდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის სიტყვების: „გავლილი აქვს ადვოკატთა ტესტირება ამ კანონით დადგენილი წესით“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და 30-ე მუხლებთან მიმართებით. მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ სადავო ნორმით დარღვეული იყო მისი თანასწორობის კონსტიტუციური უფლება. მისი აზრით, ადვოკატები, რომლებიც ეწევიან კერძო პრაქტიკას და „ორგანიზაციის იურისტები“, რომლებიც ასევე იძლევიან კონსულტაციებს და იცავენ ორგანიზაციის უფლებებს სასამართლო პროცესებზე, თანასწორ სუბიექტებს წარმოადგენდნენ. სადავო ნორმიდან გამომდინარე, ტესტირება სავალდებულო იყო მხოლოდ კერძო ადვოკატებისათვის და არ წარმოადგენდა აუცილებელ მოთხოვნას ორგანიზაციის იურისტებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ „ორგანიზაციის იურისტებისგან“ განსხვავებით, კანონი მის მიმართ ადგენდა უფრო მკაცრ მოთხოვნას.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე დაადგინა: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ადვოკატთა ტესტირების გავლის სავალდებულო მოთხოვნას თანაბრად უყენებს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების მსურველ საქართველოს ყველა მოქალაქეს. კონსტიტუციურ სარჩელში არ არის

²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება, პ.9;

²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის #1/3/469 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე კახაბერ კობერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

მოყვანილი არც ერთი არგუმენტი იმის შესახებ, რომ აღნიშნული ნორმა გამონაკლისს უშვებს საქართველოს მოქალაქეთა რომელიმე კატეგორიის მიმართ, განსხვავებულ მოთხოვნებს ადგენს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების მსურველთათვის, ასეთი კატეგორიის ადამიანთაგან გარკვეულ ჯგუფს (რომელსაც მოსარჩელე არ განეკუთვნება) რაიმე ნიშნით აყენებს პრივილეგირებულ მდგომარეობაში და საშუალებას აძლევს, ადვოკატის სტატუსი მოიპოვოს ტესტირების გავლის გარეშე. მოსარჩელე საერთოდ არ მიუთითებს, თუ კონკრეტულად რა ნიშნით ადგენს დიფერენცირებულ მოპყრობას სადავო ნორმა. ნიშანდობლივია, რომ მოსარჩელე მიუთითებს არა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს მოქალაქეები სადავო ნორმის მოქმედების გამო განსხვავებული წესით მოიპოვებენ ადვოკატის სტატუსს, არამედ, მისი აზრით, დისკრიმინაციულია ის რეგულირება, რომ ადვოკატი, რომლისთვისაც ტესტირება სავალდებულოა და ორგანიზაციის იურისტი, რომლის მიმართ ასეთი მოთხოვნა არ არსებობს, თანაბარი შესაძლებლობებით არიან აღჭურვილები, წარმოადგინონ მარწმუნებლები სასამართლოში“.²⁷

ვინაიდან, მოსარჩელემ ვერ დაანახა სასამართლოს ის გარემოება, თუ რაში გამოიხატებოდა დიფერენცირებული მიდგომა ერთნაირ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ, არ დაკმაყოფილდა კონსტიტუციის მე-14 მუხლის შესაძლო დარღვევის პირველი კრიტერიუმი. შესაბამისად, სასამართლომ ვერ დაინახა შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და კონსტიტუციის მე-14 მუხლს შორის და კონსტიტუციური სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად.

აღნიშნული განჩინება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მასში ჩამოყალიბდა საკონსტიტუციო სასამართლოს წინა პრაქტიკისაგან განსხვავებული მიდგომა. თუკი არსებული პრაქტიკის მიხედვით საქმის არსებითად განხილვის დროს დგინდებოდა, ჰქონდა თუ არა ადგილი დიფერენცირებულ დამოკიდებულებას ერთნაირი შემთხვევების მიმართ, აღნიშნული განჩინებით ეს საკითხი გადაწყდა განმწესრიგებელ სხდომაზე. ამასთან განიმარტა, რომ თუ სადავო ნორმატიული რეგულირებით დიფერენცირებული დამოკიდებულება არ არის განსაზღვრული ერთნაირი შემთხვევების მიმართ, მაშინ არ არსებობს შინაარსობრივი მიმართება ამ რეგულირებასა და კონსტიტუციის მე-14 მუხლს შორის და კონსტიტუციური სარჩელი არ მიიღება არსებითად განსახილველად.

საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ განხილული პრაქტიკა ცხადყოფს, იმისათვის, რომ დადგინდეს, რომელიმე სამართლებრივი რეგულირება წარმოადგენს თუ არა დისკრიმინაციულ მოპყრობას, მან უნდა დააკმაყოფილოს შეფასების პირველი კრიტერიუმი - ერთნაირი შემთხვევების მიმართ უნდა იყოს დიფერენცირებული დამოკიდებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო მსჯელობას აღარ გააგრძელებს.

²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის # 1/3/469 განჩინება, II.3.1;

1.1.2. არსებითად უთანასწორო პირების მიმართ თანასწორო მოპყრობა

დისკრიმინაციის დადგენის საკითხი აღნიშნული კუთხით, დასმული იქნა საქმეში „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. დავის საგანს მოცემულ საქმეზე წარმოადგენდა „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც არ ითვალისწინებდა სამხედრო სარეზერვო სამსახურის ჩანაცვლებას ალტერნატიული სამსახურით.

მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის დამისიარასამხედრო, ალტერნატიული სამსახურით შეცვლის უფლება, რწმენისა და სინდისის თავისუფლების ფუნდამენტური ასპექტია. ხოლო სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის ვალდებულების ყველასათვის თანაბრად დაკისრებით სამხედრო სამსახურის მიმართ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირებს ეკისრებათ უთანასწოროდ მძიმე ტვირთი იმ პირებთან შედარებით, რომლებსაც სამხედრო სამსახურთან დაკავშირებით არ აქვთ მსგავსი შეხედულებები. მოსარჩელე თვლიდა, რომ არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში მყოფი პირების განხილვა თანასწორად, წარმოადგენს კონსტიტუციის მე-14 მუხლის დარღვევას. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და კონსტიტუციის მე-14 მუხლს შორის და სარჩელი მიიღო არსებითად განსახილველად²⁸, ხოლო შემდგომში დაადგინა, რომ სადავო ნორმა მართლაც წარმოადგენდა ჩარევას კანონის წინაშე თანასწორობის უფლებაში.²⁹

1.2. დისკრიმინაციის ნიშანი

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი ჩამოთვლის იმ ნიშნებს/საფუძვლებს რომელთა მიხედვითაც იგი განამტკიცებს თანასწორობას. კონსტიტუციის ტექსტის თანახმად: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.“ შესაბამისად, პრაქტიკაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ბევრი სხვა ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსად, აღმოჩნდა იმ საკითხის განმარტების წინაშე, ამომწურავია თუ არა კონსტიტუციის მე-14 მუხლში მოცემული ნიშნების ჩამონათვალი, ანუ კონსტიტუციით იკრძალება მხოლოდ ამ საფუძვლებით დისკრიმინაცია, თუ შეიძლება არსებობდეს სხვა საფუძვლით არაკონსტიტუციური დიფერენცირების შემთხვევები.

²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 2 დეკემბრის #1/4/477 საოქმო ჩანაწერი საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.4;

²⁹ აღნიშნულზე იხილეთ ქვეთავი: „არსებითად უთანასწორო პირების მიმართ თანასწორო მოპყრობა“.

1.2.1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დღევანდელი მიდგომა დისკრიმინაციის ნიშანთან დაკავშირებით

დღესდღეობით არსებული პრაქტიკის თანახმად: „საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი ადგენს არა მხოლოდ კანონის წინაშე თანასწორობის ძირითად უფლებას, არამედ კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს ... ამ მუხლში არსებული ნიშნების ჩამონათვალი, ერთი შეხედვით, გრამატიკული თვალსაზრისით, ამომწურავია, მაგრამ ნორმის მიზანი გაცილებით უფრო მასშტაბურია, ვიდრე მხოლოდ მასში არსებული შეზღუდული ჩამონათვალის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვა. ... მხოლოდ ვიწრო გრამატიკული განმარტება გამოფიტავდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს და დააკნინებდა მის მნიშვნელობას კონსტიტუციურ-სამართლებრივ სივრცეში“³⁰.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიუთითა, რომ კონსტიტუციის მე-14 მუხლით იცავს ადამიანებს ნებისმიერი საფუძვლით დისკრიმინაციისაგან, ჩამოთვლილი ნიშნები არ არის ამომწურავი. თუმცა, არც იმის თქმა იქნება სწორი, რომ მე-14 მუხლის ჩამონათვალი პირობითია და დიფერენცირების კონსტიტუციურობის შეფასებისას ნიშანს მნიშვნელობა საერთოდ არ აქვს. სასამართლომ განაცხადა: „ჩამონათვალში მითითებული ნიშნები მომდინარეობს ადამიანის იდენტობის გამომხატველი ფაქტორებიდან, ემყარება მათი ღირსების პატივისცემას და გააჩნია თავისი ისტორიული წანამდგერები. ხსენებული ნიშნების საფუძველზე დიფერენცირება წარმოადგენს დისკრიმინაციის მომეტებული რისკის მატარებელ შემთხვევებს და კანონმდებლისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. აღნიშნული განპირობებულია ადამიანთა სოციალურსტატუსში რაიმე ფორმის იერარქიულობის დაუშვებლობით. ჩამონათვალის არსებობა ამ ნიშნებთან დაკავშირებულ ადამიანთა დიფერენცირების შემთხვევების უპირატეს შეზღუდვაზე მიუთითებს. თუმცა ეს არ გამორიცხავს ადამიანთა არაგონივრული დიფერენცირების სხვა შემთხვევების არსებობას და მათი კონსტიტუციით აკრძალვის საჭიროებას. კონსტიტუცია კრძალავს კანონის წინაშე არსებითად თანასწორობა უთანასწოროდ (ან პირიქით) გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე მოპყრობის ნებისმიერ შემთხვევას. თუმცა სამართლებრივი ურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარე, კანონის წინაშე თანასწორობის უფლების დაცვის ხარისხი განსხვავებულია და მისი მასშტაბის დადგენა უნდა მოხდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში“³¹.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება სასამართლოს პოზიცია დისკრიმინაციის ნიშანთან დაკავშირებით, კერძოდ, დიფერენცირებული მდგომარეობის კონსტიტუციურობის შესაფასებლად არ არის აუცილებელი, არსებობდეს კონსტიტუციაში ჩამოთვლილი დიფერენცირების რომელიმე ნიშანი, თუმცა, როდესაც დიფერენცირება არატრადიციული, ანუ ისეთი ნიშნის საფუძველზე ხდება, რომელიც კონსტიტუციაში ჩამოთვლილი არ არის, მაშინ შესაძლოა, ნორმის კონსტიტუციურობა სასამართლომ ისევე

³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის #2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.2;

³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის #2/1/473 გადაწყვეტილება, II.3.1;

მკაცრად არ შეაფასოს, როგორც ამას კონსტიტუციაში ჩამოთვლილი ნიშნით დიფერენცირების პირობებში მოახდენდა.

სასამართლოს პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც მან შეაფასა არატრადიციული, კონსტიტუციის მე-14 მუხლით გაუთვალისწინებელი ნიშნებით დიფერენცირების კონსტიტუციურობა. კერძოდ საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩარევად მიიჩნია ადამიანების დიფერენცირება „დასაქმების ადგილის“³² ნიშნით, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“ სასამართლომ მიუთითა, რომ კანონის წინაშე თანასწორობის უფლებაში ჩარევა დაკავშირებული იყო „სამართლებრივი ურთიერთობის დაწყების დროსთან“³³, ხოლო საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები “ახალი მემარჯვენეები” და “საქართველოს კონსერვატიული პარტია” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ სასამართლომ უფლებაში ჩარევაზე იმსჯელა იმ პირობებში როდესაც საერთოდ არ იყო იდენტიფიცირებული დიფერენცირების ნიშანი, სასამართლომ მიუთითა, რომ უფლებაში ჩარევის დასასაბუთებლად მთავარია, მოსარჩელე თვალსაჩინოს ხდიდეს მისდამი დიფერენცირებულ მოპყრობას და არსებითად სწორად ასაბუთებდეს საკუთარ პრობლემას.³⁴

1.2.2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა დისკრიმინაციის ნიშანთან დაკავშირებით 2008 წლამდე

დიფერენცირების ნიშანთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა განსხვავებული იყო 2008 წლამდე, კერძოდ, სასამართლო კონსტიტუციის მე-14 მუხლის განმარტებისას იყენებდა გრამატიკულ მეთოდს და თვლიდა, რომ ნიშნები, რომელთა მიხედვითაც დაუშვებელი იყო დისკრიმინაცია, კონსტიტუციის მე-14 მუხლში ამომწურავად იყო ჩამოთვლილი.

საქმეში „მოქალაქე დურმიშხან ლორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ დავის საგანს წარმოადგენდა „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც სამისდღემშიო პენსია (800-1100 ლარი) დაწესდა მხოლოდ იმ მოსამართლეებისათვის, რომელთაც ამ კანონის მიღების შემდეგ შეუწყდათ უფლებამოსილება. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მან 13 წელი იმუშავა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ და იმის გამო, რომ მას უფლებამოსილება შეუწყდა ზემოაღნიშნული კანონის მიღებამდე, მისთვის პენსიის ოდენობა დარჩა 14 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე თვლიდა, რომ მის მიმართ განხორციელებული იყო დისკრიმინირებული მოპყრობა და ირღვეოდა კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებული უფლება.

³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება #2/1-392, II.3.2;

³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის #2/1/473 გადაწყვეტილება, II.3.11;

³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის #1/1/493 გადაწყვეტილება II.3.22;

სასამართლომ მოცემულ საქმესთან დაკავშირებით განმარტა: „მოსარჩელე ვერ მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილი რომელი ნიშნით დაირღვა მისი თანასწორობის უფლება – რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილისა, რომელთა უგულვებელყოფას საქართველოს კონსტიტუციის ამ მუხლის დარღვევა მოსდევს“³⁵.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული საკითხისადმი მსგავსი მიდგომა დააფიქსირა არაერთ განჩინებაში: „საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილია ის ნიშნები, რომელთა მიხედვითაც დაუშვებელია ადამიანის დისკრიმინაცია. მოსარჩელეებმა და მათმა წარმომადგენლებმა ვერ დაასაბუთეს სადავო ნორმების მიმართება კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაუშვებელი დისკრიმინაციის რომელიმე სახესთან. უფრო მეტიც, განმწესრიგებელ სხდომაზე მოსარჩელეთა წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მოსარჩელეებს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილი დისკრიმინაციის ნიშნებიდან არც ერთი არ შეეხებათ“³⁶. „სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის დასახელებული დებულება ძირითადად მოიცავს ადამიანის დაბადებით თავისუფლებისა და კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას. კერძოდ, უფლება დარღვეული უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის დებულებაში მოცემული ჩამონათვალიდან რაიმე ნიშნის მიხედვით“³⁷.

1.2.3. მე-14 მუხლში მითითებული ზოგიერთი ნიშნის შინაარსი

სასამართლოს პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც სასამართლომ განმარტა კონსტიტუციის მე-14 მუხლში მითითებული ზოგიერთი ნიშნის შინაარსი, მაგალითად, საქმეში „საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“³⁸ დავის საგანს წარმოადგენდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ის ნორმა, რომელიც 95% აქციების მფლობელ აქციონერს, აძლევდა უფლებას გამოესყიდა დანარჩენი აქციონერების ხელთ არსებული აქციები, ამ

³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 28 მარტის #2/8/157 განჩინება მოქალაქე დურმიშხან ლორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.1;

³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მარტის #1/5/362-363,367 განჩინება საქმეზე დავით მირცხულავა, გიორგი კუპრეიშვილი და შალვა და ვლადიმერ დოლიძეები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 2 ივნისის #2/10/383 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ნორად ცოტნიაშვილი, ბადრი მაჭარაშვილი, შოთა სომხიშვილი, პეტრე საფნიანი, დიმიტრი გოგოლაძე; ჯარიბეკ პარადიანი, ლუდვიგ გრიგორიანი, შალიკო ბეჟუაშვილი, ასიმ ჩიტრეკაშვილი, ლევან თოკმაჭიანი, ნორიკ სუმბათიანი, ივანე როსტიაშვილი, რაფილ სხვაჩხიანი, არჩილ ფუხაშვილი, სერგო ეგიაზაროვი, გივი ჭაბუკიანი — საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.1;

³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

უკანასკნელთა ნების მიუხედავად. მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ მათ მიმართ ხორციელდებოდა დაუსაბუთებელი დისკრიმინაციული მოპყრობა „ქონებრივი ნიშნით“.

სასამართლომ მიუთითა, რომ პირის „ქონებრივ მდგომარეობას“ მოსარჩელე აიგივებს პირის მონაწილეობის სიდიდესთან კონკრეტულ სააქციო საზოგადოებაში, მაგრამ მონაწილეობა საწარმოში და პირის „ქონებრივი მდგომარეობა“ არ არის იდენტური ცნებები. „ქონებრივი მდგომარეობა“, საწარმოში მონაწილეობის გარდა, ბევრ სხვა კომპონენტსაც მოიცავს და გაცილებით ფართო ცნებაა.³⁹ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ვერ დაინახა დიფერენცია „ქონებრივი მდგომარეობის“ საფუძველზე. აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ქონებრივი ნიშნის ქვეშ სასამართლო მოიაზრებს არა კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში პირის ქონებრივ მონაწილეობას, არამედ ზოგადად მის ქონებრივ სტატუსს.

„საცხოვრებელი ადგილის“ და „სოციალური კუთვნილების“ ნიშნების შინაარსის განსაზღვრისათვის საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“⁴⁰. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ მიუთითა, რომ საცხოვრებელი ადგილის ნიშნით დიფერენცირება გულისხმობს განსახლების სხვადასხვა გეოგრაფიულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთათვის განსხვავებული უფლებების დადგენას.⁴¹

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი ადგენს ადამიანთა კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას განურჩევლად მათი სოციალური კუთვნილებისა. კონსტიტუციის აღნიშნული დანაწესი იცავს მოქმედი საკანონმდებლო ნორმის წინაშე ადამიანთა ამ ნიშნით თანასწორობას. იგი არ მოიაზრებს ადამიანის დაცვას მისი სოციალური წარმოშობის ან სადავო ნორმატიული აქტის მიღებამდე არსებულ მათ რომელიმე სტატუსთან მიმართებით. კონსტიტუციის ხსენებული დებულების დაცვა მიმართულია იმ პირებისკენ, რომელთა სოციალური კუთვნილება არსებობს დიფერენცირების დამდგენი ნორმის მიღების ან მოქმედების რომელიმე ეტაპზე.⁴²

ამ საქმეში სასამართლომ განმარტა სოციალური ჯგუფის არსებობის დადგენის კრიტერიუმები. სასამართლომ განაცხადა: იმისთვის, რომ კანონი ახდენდეს პირთა სოციალური კუთვნილების ნიშნით დიფერენცირებას, საჭიროა მისი მიღების ან მოქმედების პერიოდში არსებობდეს კონკრეტული სოციალური ჯგუფი, რომლის წევრობასაც უკავშირდება დიფერენცირება. შეიძლება თუ არა პირთა ამა თუ იმ წრის განხილვა სოციალურ ჯგუფად, უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. სოციალური ჯგუფის არსებობის დადგენის კრიტერიუმები არ არის ცალსახა და ამომწურავი, თუმცა ზოგადი სურათის

³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება, II.3.36;

⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის #2/1/473 გადაწყვეტილება;

⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის #2/1/473 გადაწყვეტილება, II.3.8;

⁴² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის #2/1/473 გადაწყვეტილება, II.3.10;

შესაქმნელად, პირობითად შესაძლებელია რამდენიმე მათგანის მითითება: 1. ჯგუფის წევრებს უნდა ახასიათებდეთ საერთო, მუდმივი ბუნება, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს პირის არჩევანის ან მისგან დამოუკიდებელი გარემოებების (ფაქტორების) გამო. მისი შეცვლა არ არის დამოუკიდებელი ჯგუფის წევრებზე ან იმდენად ფუნდამენტურია მათი პიროვნებისათვის, რომ მისი შეცვლის მოთხოვნა გაუმართლებელია. 2. სოციალურ ჯგუფად შეიძლება მოვიაზროთ პირთა წრე, რომლის წევრებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული მსგავსი იმიჯის, ქცევების ან/და ინტერესების საფუძველზე. ამავე დროს, ორივე შემთხვევაში ჯგუფის წევრებს უნდა ჰქონდეთ ისეთი ბუნება (თვისებები), რომელიც საშუალებას მისცემდა გარეშე პირებს, მოეხდინათ მათი როგორც კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრების იდენტიფიცირება. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს ისეთ პირთა წრის არსებობას, რომელიც ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების გარეშე შეიძლება ჩაითვალოს სოციალურ ჯგუფად.⁴³

2. მე-14 მუხლში ჩარევის კონსტიტუციურობის შეფასება

2.1. უფლების დაცვის სტანდარტები, უფლებაში ჩარევის შეფასების ტესტები, დიფერენცირების ნიშნისა და ინტენსივობის როლი ტესტის არჩევისას

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2008 წლის 31 მარტის #2/1-392 გადაწყვეტილებით სასამართლომ მიიჩნია, რომ კონსტიტუციის მე-14 მუხლი კრძალავს ადამიანების დისკრიმინაციას განურჩევლად იმისა, თუ რა ნიშნით ხორციელდება იგი.⁴⁴ აღნიშნული განმარტების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა კონსტიტუციის მე-14 მუხლის დაცული სფერო, შესაბამისად, წარმოიშვა კანონის წინაშე თანასწორობის უფლებაში ჩარევის განსხვავებული შემთხვევები, ანუ დიფერენცირება იმ ნიშნით, რომელიც კონსტიტუციის მე-14 მუხლში პირდაპირ არ არის მითითებული. შესაბამისად სასამართლო დადგა მათი კონსტიტუციურობის შეფასების საჭიროების წინაშე.

საკონსტიტუციო სასამართლომ 2010 წლის 27 დეკემბრის #1/1/493 გადაწყვეტილებაში განსაზღვრა, რომ სასამართლოს მიდგომა დიფერენცირების კონსტიტუციურობის შეფასებისას ვერ იქნება ერთგვაროვანი ნებისმიერი ტიპის ურთიერთობის მიმართ. სასამართლომ განაცხადა: „კანონის წინაშე თანასწორობის უფლების ბუნებიდან გამომდინარე, მასში ჩარევისას, სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები განსხვავებულია, განსაკუთრებით იმის მიხედვით, რა ნიშნით ან საზოგადოებრივი ცხოვრების რომელ სფეროში ახდენს ის პირთა დიფერენცირებას. შესაბამისად, განსხვავებული მოპყრობის გონივრულობის შეფასების მასშტაბიც განსხვავებულია: ცალკეულ შემთხვევაში ის შეიძლება გულისხმობდეს ლეგიტიმური საჯარო მიზნების არსებობის დასაბუთების აუცილებლობას (როგორებიცაა, სახელმწიფო უშიშროება, საზოგადოებრივი

⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის #2/1/473 გადაწყვეტილება, II.3.10;

⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის #2/1-392 გადაწყვეტილება, II.3.2;

წესრიგი, კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციითვე დასახელებული კონკრეტული საჯარო ინტერესები); სხვა შემთხვევებში ხელშესახები უნდა იყოს შეზღუდვის საჭიროება თუ აუცილებლობა; ზოგჯერ შესაძლოა საკმარისი იყოს დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა, მათ შორის, მაგალითად, კონკრეტული გარემოებების რეალურად თავიდან აცილების შეუძლებლობის მიზეზით გამოწვეული დიფერენციაცია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დისკრიმინაციაზე საუბარი არ შეიძლება, თუ არათანასწორი მიდგომა ექვემდებარება გონივრულ ახსნას, გამართლებას, რაციონალიზაციას.⁴⁵

„განსხვავებულია სასამართლოს კრიტერიუმებიც დიფერენცირებული მოპყრობის დისკრიმინაციულობის შეფასებისთვის. კლასიკური, სპეციფიური ნიშნებით დიფერენციაციისას სასამართლო იყენებს მკაცრი შეფასების ტესტს და ნორმას აფასებს თანაზომიერების პრინციპის მიხედვით, ამასთან, “მკაცრი ტესტის” ვარგლებში ლეგიტიმური მიზნის დასაბუთებისას საჭიროა იმის მტკიცება, რომ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა არის აბსოლუტურად აუცილებელი, არსებობს “სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესი”.⁴⁶

დანარჩენ შემთხვევებში მკაცრი ტესტის გამოყენების საჭიროებას სასამართლო ადგენს დიფერენციაციის ინტენსივობის ხარისხის მიხედვით. ამასთან, დიფერენციაციის ინტენსივობის შეფასების კრიტერიუმები განსხვავებული იქნება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დიფერენციაციის ბუნებიდან, რეგულირების სფეროდან გამომდინარე. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, გადაწყვეტი იქნება, არსებითად თანასწორი პირები რამდენად მნიშვნელოვნად განსხვავებულ პირობებში მოექცვიან, ანუ დიფერენციაცია რამდენად მკვეთრად დააცილებს თანასწორ პირებს კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობებისაგან.⁴⁷

„თუ დიფერენციაციის ინტენსივობა მაღალია, სასამართლო გამოიყენებს მკაცრ ტესტს, ხოლო ინტენსივობის დაბალი მაჩვენებლის შემთხვევაში - « რაციონალური დიფერენციაციის ტესტს » (რაციონალური საფუძვლით შემოწმების ტესტი), რომლის მიხედვითაც: ა) საკმარისია დიფერენცირებული მოპყრობის რაციონალურობის დასაბუთებულობა, მათ შორის, როდესაც აშკარაა დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა, გარდუვალობა ან საჭიროება; ბ) რეალური და რაციონალური კავშირის არსებობა დიფერენციაციის ობიექტურ მიზეზსა და მისი მოქმედების შედეგს შორის.“⁴⁸

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო დიფერენცირებული მოპყრობის კონსტიტუციურობის შეფასებისას იყენებს ორ განსხვავებულ ტესტს, ხოლო საკითხი, თუ რომელი ტესტის საფუძველზე შეაფასებს კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩარევას, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ნიშნით ხდება დიფერენცირება და რამდენად მაღალია ჩარევის ინტენსივობა. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება.

⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის #1/1/493 გადაწყვეტილება, II.3.5;

⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის #1/1/493 გადაწყვეტილება, II.3.6;

⁴⁷ იქვე;

⁴⁸ იქვე;

2.2. დიფერენცირების კონსტიტუციურობის შეფასების კონკრეტული შემთხვევები სასამართლოს პრაქტიკაში

2.2.1. ადმინისტრაციული რესურსების თანაბარი გამოყენება საარჩევნო მიზნებისათვის

საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები “ახალი მემარჯვენეები” და “საქართველოს კონსერვატიული პარტია” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, დავის საგანს წარმოადგენდა საარჩევნო კოდექსის ნორმა, მის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციის უფლების მქონე პირების მიერ რომელიმე პარტიის (საარჩევნო ბლოკის) ან კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში საჯარო მოსამსახურეებს, რომლებიც სარგებლობენ სამსახურებრივი ავტომანქანებით, მათი გამოყენების უფლება აქვთ მხოლოდ საწვავის ანაზღაურების პირობით.

მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ აღნიშნული სადავო ნორმა ახდენდა დისკრიმინაციას პოლიტიკური ნიშნით, იგი მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმის საფუძველზე მხოლოდ იმ პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებს ეძლევათ შესაძლებლობა გამოიყენონ ადმინისტრაციული რესურსი, რომელთაც მათი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო მიუწვდებოდა ხელი მასზე. ხოლო პარტიებს, რომელსაც არ ჰყავთ, წარმომადგენლები სახელმწიფო სამსახურში ასეთი შესაძლებლობა არ აქვთ.

სასამართლომ მიუთითა, რომ საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავება ხდება პირის პროფესიული უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით და იგი დაკავშირებული არ არის მათ პოლიტიკურ კუთვნილებასთან. სამსახურებრივი ავტომანქანები კონკრეტული პირებისათვის ხელმისაწვდომია არა მათი პარტიული კუთვნილების, არამედ კონკრეტულ თანამდებობაზე ყოფნის გამო, რომელიც საშუალებას აძლევს მათ, ჰყავდეთ პერსონალური სამსახურებრივი ავტომანქანა სამსახურებრივი ფუნქციების განხორციელების მიზნით. ამ თვალსაზრისით, ისინი ბუნებრივად პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან იმ პირებთან შედარებით, რომლებსაც ეს თანამდებობები არ უკავიათ.⁴⁹

საარჩევნო პროცესში მონაწილეობა იწვევს საარჩევნო უფლების მქონე ყველა პირის (დამოუკიდებლად იმისგან, უკავია თუ არა მას კონკრეტული თანამდებობა საჯარო სამსახურში) არსებითად თანასწორად მიჩნევის აუცილებლობას. მაშასადამე, ზუსტად საარჩევნო პროცესში მონაწილეობის უფლების საფუძველზე, თანამდებობრივად განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფი პირები, არსებითად თანასწორნი არიან. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა ითვალისწინებს არსებითად თანასწორი პირების დიფერენცირებულ მოპყრობას, მაგრამ არა პოლიტიკური ნიშნით.⁵⁰

იმის განსასაზღვრად, თუ რომელი ტესტი უნდა გამოეყენებინა უფლებაში ჩარევის შესაფასებლად სასამართლომ იმსჯელა დიფერენცირების

⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის #1/1/493 გადაწყვეტილება, II.პ.21;

⁵⁰ იქვე;

ინტენსივობის ხარისხზე.⁵¹ სასამართლომ მიიჩნია, რომ ავტომანქანაზე ყველა სუბიექტის მიერ იდენტური ხელმისაწვდომობის არარსებობა არსებითად არცვლის არჩევნებში სუბიექტების შანსების სასტატო პირობებს, რის გამოც, ის გავლენა უნარიანი შეიძლება იყოს საარჩევნო უფლებით სრულყოფილად და, იმავდროულად, სხვებთან თანაბარ სარგებლობაზე. ამასთან, სადავო ნორმით არსებული დიფერენცირების კიდევ უფრო დავიწროვების მცდელობა და, შესაბამისად, საარჩევნო სუბიექტების ერთმანეთთან დაახლოების დამატებითი შესაძლებლობაა ის გარემოება, რომ საჯარო მოსამსახურეებმა სამსახურებრივი ავტომანქანები შეიძლება გამოიყენონ მხოლოდ საწვავის ანაზღაურების პირობით. ამ სუბიექტებს შორის კონკრეტული ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისას სხვაობას წარმოადგენს მხოლოდ მანქანით სარგებლობასთან დაკავშირებული თანხები (საწვავის ანაზღაურების გარდა). შესაბამისად, სადავო ნორმით არ ხდება საარჩევნო სუბიექტების მკვეთრად განსხვავებულ პირობებში ჩაყენება. ანუ დიფერენციაცია არ არის იმ ინტენსივობის, რამდენიც მათ წინასაარჩევნო პერიოდში შანსების რეალური თანაბრობისგან არსებითად დააცილებდა.⁵²

ვინაიდან დიფერენცირება არ უკავშირდება კონსტიტუციის მე-14 მუხლში მითითებულ ნიშანს და არ გამოირჩევა მაღალი ინტენსივობით კანონის წინაშე, თანასწორობის უფლებაში ჩარევა შეფასდა „რაციონალური დიფერენციაციის ტესტის“ გამოყენებით, რაც გულისხმობს დიფერენცირების რაციონალურ დასაბუთებას.⁵³

სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ პირთა დიდი ნაწილი რომელიც სარგებლობს სამსახურებრივი ავტომანქანებით სახელმწიფოსგან დაცვის განსაკუთრებული რეჟიმით სარგებლობს ზუსტად მათი სამსახურებრივი მდგომარეობიდან, შესასრულებელი ფუნქციებიდან გამომდინარე. მათზე დაცვის განსაკუთრებული ზომები ვრცელდება კონკრეტულ თანამდებობაზე ყოფნის მთელი ვადის განმავლობაში (ზოგიერთმა თანამდებობაზე ვადის ამოწურვის შემდეგაც). ამასთან, ეს ზომები არ არის დაკავშირებული მხოლოდ სამსახურებრივი ფუნქციების შესრულების დროსთან, მომენტთან. ანუ ისინი ასეთი დაცვით სარგებლობენ არასამსახურებრივ საათებშიც, მაშინაც, როდესაც უშუალოდ არ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს, ასევე შვებულების დროს.⁵⁴

ამ კატეგორიის ადამიანების პერსონალური სამსახურებრივი ავტომანქანებიც უსაფრთხოების სპეციალურ მოთხოვნებს შეესაბამება. ამასთან, ეს პირები ისარგებლებენ სამსახურებრივი პერსონალური ავტომანქანებით თუ ნებისმიერი სხვა მანქანით – უსაფრთხოება ერთნაირად უნდა იყოს უზრუნველყოფილი. აქედან გამომდინარე, ამ პირების მიერ წინასაარჩევნო პერიოდში სამსახურებრივი მანქანების გამოყენებაზე უარის თქმა არ გამორიცხავდა სახელმწიფოს მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის ხარჯვის საჭიროებას მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ამ

⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის #1/1/493 გადაწყვეტილება, II.3.23;

⁵² იქვე;

⁵³ იქვე;

⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის #1/1/493 გადაწყვეტილება, II.3.24;

თვალსაზრისით, ასეთი პირების მიმართ სადავო ნორმით გათვალისწინებული რეგულაცია განპირობებულია ობიექტური გარემოებებით.⁵⁵

ამ პირებთან დაკავშირებით, სახელმწიფომ, ერთი მხრივ, უნდა შექმნას გარანტიები მათ მიერ სამსახურებრივი ფუნქციების სრულყოფილად განსახორციელებლად, რათა ხელი არ შეეშალოს სახელმწიფო ორგანოების ნორმალურ და დანიშნულებისამებრ ეფექტურ ფუნქციონირებას, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ადამიანებზე, სხვა მოქალაქეების მსგავსად, თანაბრად უნდა გაავრცელოს საარჩევნო უფლებით სარგებლობის გარანტიები. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი არ შეიძლება დადგეს საარჩევნო უფლებით სარგებლობასა და მასზე უარის თქმას შორის არჩევანის გაკეთების აუცილებლობის წინაშე. მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ჯეროვნად შეასრულოს დაკისრებული სამსახურებრივი ფუნქციები (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონით გათვალისწინებულია ობიექტური საფუძვლებით პასიური საარჩევნო უფლებით სარგებლობისთვის კონკრეტული თანამდებობიდან გადადგომის ვალდებულება), ამასთან, სურვილისამებრ, სხვა მოქალაქეების თანაბრად, მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მისი მომავლის განსაზღვრაში.⁵⁶

იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში სადავო არ იყო საჯარო მოსამსახურეების შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ წინასაარჩევნო აგიტაციაში სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების პერიოდში (როდესაც ისინი არ იმყოფებიან შვებულებაში), ისევე, როგორც რიგი საჯარო მოსამსახურეების უფლება, უშუალოდ სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას მიიღონ მონაწილეობა წინასაარჩევნო აგიტაციაში, ასეთი ნორმატიული მოცემულობის ფარგლებში, სადავო ნორმით დადგენილი რეგულაცია არ უნდა იქნეს მიჩნეული საკითხის თვითნებურ გადაწყვეტად. ეს არის რეალური, პრაქტიკული საჭიროებით განპირობებული რეგულაცია.⁵⁷ შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციასთან შესაბამისად მიიჩნია სადავო ნორმა.

2.2.2. დიფერენცირება დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის დროსთან

საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“ დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც გაუქმდა ქ. თბილისში 2008 წლის პირველ აგვისტოს შემდეგ წარმოშობილი საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის ბუნებრივი აირის ზღვრული ტარიფის ფარგლებში მიწოდების ვალდებულება, მაშინ როდესაც 2008 წლის პირველ აგვისტომდე წარმოშობილ მომხმარებლებთან მიმართებაში ასეთი ვალდებულება ჯერ კიდევ არსებობდა, ანუ საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე ქ. თბილისში 2008

⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის #1/1/493 გადაწყვეტილება, II.3.24;

⁵⁶ იქვე;

⁵⁷ იქვე;

წლის პირველ აგვისტომდე არსებულ გაზის მომხმარებლებისათვის მიმწოდებელი ვალდებული იყო ბუნებრივი აირი მიეწოდებინა არაუმეტეს მარეგულირებლის მიერ განსაზღვრულ ფასად, ხოლო სადავო ნორმიდან გამომდინარე, ამ თარიღის შემდეგ წარმოშობილ მომხმარებლებთან მიმართებით მიმწოდებელი ბუნებრივი აირის ფასის განსაზღვრისას თავისუფალი იყო.

მოცემულ საქმეზე მოსარჩელე სადავოდ არ ხდიდა თავად ბუნებრივი აირის მიწოდების საქმიანობის დერეგულირების ფაქტს, მას პრობლემატურად მიაჩნდა მხოლოდ ის, რომ სადავო რეგულაცია ადგენდა სხვადასხვა სამართლებრივ რეჟიმს მომხმარებლებისათვის. მოსარჩელე მხარე მიუთითებდა ოთხ განსხვავებულ ნიშანზე, რომლებსაც, მისი აზრით, უკავშირდება სადავო ნორმით განსაზღვრული დიფერენცირებული მოპყრობა. ესენია: „საცხოვრებელი ადგილი“, „ქონებრივი მდგომარეობა“, „სოციალური კუთვნილება“ და „სამომხმარებლო ურთიერთობაში შესვლის დრო“.

ბუნებრივი აირის მიწოდებისას ზღვრული ტარიფის დადგენის საშუალებით სახელმწიფო იკავს მომხმარებელს მიმწოდებლის თვითნებობისაგან. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ მიუთითა: „ადამიანის უფლებები ავალდებულებს თუ არა სახელმწიფოს, უზრუნველყოს პირი სამომხმარებლო ბაზარზე ნორმატიული დაცვის ამა თუ იმ ფორმით, უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. თუმცა, თუ სახელმწიფო მიზანშეწონილად მიიჩნევს ამგვარი დაცვის საჭიროებას, იგი ვალდებულია, აღნიშნული ქმედება განახორციელოს თანასწორ საწყისებზე“.⁵⁸ ამავე დროს „სამომხმარებლო ურთიერთობაში 2008 წლის 1 აგვისტომდე და მის შემდგომ რეგისტრირებულ ბუნებრივი გაზის მომხმარებლებს, იმპერატული ხასიათის სამართლებრივი ნორმებით დაცვის ერთი და იგივე სამართლებრივი ინტერესი გააჩნიათ“.⁵⁹ შესაბამისად, ბუნებრივი აირის ზღვრული ტარიფის დადგენის მიმართ სასამართლომ არსებითად თანასწორებად მიჩნია, 2008 წლის 1 აგვისტომდე და მას შემდეგ წარმოშობილი მომხმარებლები, ხოლო სადავო ნორმა კი ჩარევად კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტები იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ შემთხვევაში ხდება დიფერენცირება ადამიანების „ქონებრივი მდგომარეობის“, „სოციალური კუთვნილების“ ან „საცხოვრებელი ადგილი ნიშნით“⁶⁰ და დაადგინა, რომ დიფერენცირება დაკავშირებული იყო „გაზის მომხმარებლად რეგისტრაციის დროსთან (თარიღთან)“.⁶¹ დიფერენცირების ინტენსივობის შეფასებისას სასამართლომ აღნიშნა „განსახილველ შემთხვევაში, დიფერენცირების ინტენსივობის შესაფასებლად მნიშვნელოვანია გაირკვეს, მომხმარებელთან მიმართებაში შედეგობრივად რამდენად განსხვავებულია დერეგულირებული რეჟიმი

⁵⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის #2/1/473 გადაწყვეტილება, II.3.5;

⁵⁹ იქვე;

⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის #2/1/473 გადაწყვეტილება, II.3.8,9,10;

⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის #2/1/473 გადაწყვეტილება, II.3.11;

ნახევრად დერეგულირებული რეჟიმისაგან და, ამავე დროს, ყურადღება უნდა მიექცეს დიფერენცირებული მოპყრობის დროებით ხასიათს“.⁶²

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ბუნებრივი გაზის მიწოდების ზღვრული ტარიფის დადგენისას, მარეგულირებელი კომისია ვალდებულია, გაითვალისწინოს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორები. აქედან გამომდინარე, ზღვრული ტარიფიც შეიძლება დაექვემდებაროს ცვლილებებს და იგი არ არის ბუნებრივი გაზის განსაზღვრულ ფასად მიღების აბსოლუტური გარანტია. ბაზარზე გლობალური ცვლილებები, მაგალითად, როგორცაა ბუნებრივი გაზის საიმპორტო ღირებულების ზრდა, გამოიწვევს ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ფასის გაძვირებას როგორც ნაწილობრივ, ისე სრულად დერეგულირებულ რეჟიმში არსებული მომხმარებლისათვის. ზღვრული ტარიფის დადგენა მომხმარებელს იცავს ბაზარზე არსებული ნაკლებად გლობალური ცვლილებებიდან მომდინარე (როგორცაა მიმწოდებლის ფასების პოლიტიკა, შიდა ქსელის ამორტიზაცია და ა. შ.) ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ფასის ზრდისაგან. შესაბამისად, სადავო ნორმა სწორედ ამ სეგმენტში აშორებს ერთმანეთისაგან მომხმარებელთა შესადარებელ ჯგუფებს. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №69 ბრძანება, რომელშიც მოქცეულია სადავო ნორმა, ზოგადად, მიმართულია ბუნებრივი გაზის ბაზარზე კონკურენციის განვითარებისკენ. საბაზრო კონკურენცია კი არის მონოპოლიური ფასების თავიდან აცილების ზღვრული ტარიფის ალტერნატიული მექანიზმი და გონივრული ფასის ფარგლებში ბუნებრივი გაზის შექმნის შესაძლებლობის ერთგვარი გარანტი.⁶³

სადავო ნორმას არ ჰქონდა მუდმივი ხასიათი, ის არ ადგენდა ისეთ წესს, რომელიც „2008 წლის 1 აგვისტოს“ მიხედვით, მომხმარებელთა წრეს სამუდამოდ დერეგულირებულ ან ნაწილობრივ დერეგულირებულ რეჟიმში მოაქცევს. იგი წარმოადგენდა დარგის დერეგულირებისკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ ეტაპს. სახელმწიფოსათვის აბსოლუტური ვალდებულების დადგენა, გარდამავალ ეტაპზე დერეგულირებულ რეჟიმში მოაქციოს ყველა ან არავინ, გამორიცხავდა რეფორმის ფარგლებში გარკვეული ნოვაციური ნაბიჯების გადადგმას და მის საფუძველზე რეფორმასთან დაკავშირებული მტკივნეული შედეგების მინიმუმამდე შემცირების შესაძლებლობას. რაც უფრო ნაკლებია დიფერენცირებული რეჟიმის მოქმედების პერიოდი, მით უფრო ნაკლებად ინტენსიურია ჩარევა თანასწორობის უფლებაში. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმის დროებითი ხასიათიდან გამომდინარე, მის საფუძველზე დადგენილი დიფერენცირება არ არის მაღალი ინტენსივობის.⁶⁴

ვინაიდან დიფერენცირება არ უკავშირდება კონსტიტუციის მე-14 მუხლში

⁶² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის #2/1/473 გადაწყვეტილება, II.3.12;

⁶³ იქვე;

⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის #2/1/473 გადაწყვეტილება, II.3.15;

მითითებულ რომელიმე ნიშანს და ამავე დროს არ არის მაღალი ინტენსივობის სასამართლომ სადავო ნორმის კონსტიტუციურობა შეაფასა რაციონალური დიფერენცირების ტესტის საფუძველზე.⁶⁵

საქმის განხილვისა და ამ სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკის განმახლებელი ნორმატიული აქტების ანალიზის შედეგად სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სადავო ნორმა წარმოადგენს ბუნებრივი აირის მიწოდების საქმიანობის სრული დერეგულირებისკენ მიმართულ ქმედებას. თუმცა ამ სფეროს ერთბაშად დარეგულირება შეიცავს რისკს იმისა, რომ ბაზარი ვერ უპასუხებს კონკურენტუნარიანობის მოთხოვნებს, რამაც შესაძლოა, ბაზარზე ქაოსი და მონოპოლიური ფასების წარმოშობა გამოიწვიოს. ბაზარზე ქაოსი და მონოპოლია ზიანის მომტანია ნებისმიერი მომხმარებლისათვის. სასამართლომ მიიჩნია, რომ გარკვეულ პირთა წრის ნაწილობრივ დერეგულირებულ რეჟიმში დატოვების მიზანი არა მხოლოდ მათი ინტერესების, არამედ ბაზრის მონოპოლიური ფასებისაგან დაცვა იყო. დაცული ბაზარი წარმოადგენს ყველა მომხმარებლის ინტერესს, შესაბამისად, სადავო ნორმა, სხვადასხვა ხარისხით, ყველას, მათ შორის სრულად დერეგულირებულ რეჟიმში არსებული მომხმარებლის, ინტერესის დაცვას ისახავდა მიზნად. ვინაიდან სფეროს ერთბაშად სრული დერეგულირება შეიცავს საბაზრო შოკებისა და მონოპოლიური ფასების წარმოშობის მაღალ რისკს, შესაბამისად, სფეროს ეტაპობრივი დერეგულირება სასამართლომ მიიჩნია დიფერენცირების გონივრულ მიზნად.⁶⁶

გონივრული ლეგიტიმური მიზნის არსებობასთან ერთად სასამართლომ შეამოწმა ბაზრის ლიბერალიზაციის პროცესში ობიექტურად გამოყო თუ არა კანონმდებელმა პირთა წრე, რომელიც მოექცა ნაწილობრივ დერეგულირებულ რეჟიმში. ამ თვალსაზრისით აღინიშნა, რომ, მიუხედავად ბუნებრივი გაზის მომხმარებელთა არსებითად თანასწორებად განხილვისა, 2008 წლის 1 აგვისტომდე არსებულ მომხმარებლებს გააჩნდათ მომეტებული ფინანსური ინტერესი აღნიშნული თარიღის შემდეგ წარმოშობილ მომხმარებლებთან შედარებით. განსხვავებული იყო ბუნებრივი გაზის მომხმარებელთა ამ ორი წრის მგრძობელობის ხარისხი ტარიფის დერეგულირების მიმართ. კერძოდ, მომხმარებლებს, რომლებიც დადგენილი ზღვრული ტარიფის პირობებში სარგებლობენ ბუნებრივი გაზის მიწოდების მომსახურებით, უფრო მაღალი სამართლებრივი ნდობა ჰქონდათ ტარიფის დამდგენი ნორმის მიმართ, ვიდრე იმ პირებს, რომლებსაც დადგენილი ტარიფის პირობებში ბუნებრივი გაზის მიწოდების მომსახურებით საერთოდ არ უსარგებლიათ (არ ყოფილან აბონენტები 2008 წლის 1 აგვისტომდე). დადგენილი ზღვრული ტარიფი არის მომსახურების სტაბილურ ფასად მიღების ერთგვარი გარანტი. მას შეიძლება ეფუძნებოდეს მომხმარებლის გათვლები სამომავლო ხარჯებზე და სხვა სამართლებრივად მნიშვნელოვანი მოქმედებები. იგი აღნიშნული პირებისათვის წარმოადგენს გარკვეულ ფინანსურ ინტერესს. ასეთი ფინანსური ინტერესი არ გააჩნია პირთა იმ ჯგუფს, რომელიც ბუნებრივ გაზს ნორმატიულად დადგენილი ზღვრული ტარიფის ფარგლებში არ მოიხმარს.

⁶⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის #2/1/473 გადაწყვეტილება, II.3.16;

⁶⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის #2/1/473 გადაწყვეტილება, II.3.17;

მათთვის ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობის დერეგულირებულად გამოცხადება არ უკავშირდება უკვე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გაუარესების რისკს. შესაბამისად, სადავო ნორმით ნაწილობრივ დერეგულირებულ რეჟიმში რჩება პირთა ის წრე, რომლებზეც შესაძლოა ყველაზე მტკივნეულად ასახულიყო მიწოდების საქმიანობის სრული დერეგულირებიდან მომდინარე რისკები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნია, რომ სადავო ნორმით ბუნებრივი გაზის მომხმარებელთა საერთო წრიდან მიწოდების საქმიანობის ნაწილობრივ დერეგულირებულ რეჟიმში მოქცეულ პირთა წრის გამოყოფა ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით მოხდა.⁶⁷

ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმებისას სასამართლო მხედველობაში იღებს სადავო ნორმით დადგენილ დიფერენცირების ობიექტურ მიზეზსა და მისი მოქმედების შედეგს შორის რეალური და რაციონალური კავშირის არსებობას. ამ თვალსაზრისით სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია, ის გარემოება, რომ სადავო ნორმატიული აქტი წარმოადგენს დროებით რეგულაციას. ყველა ბუნებრივი აირის მომხმარებლისათვის ტარიფის დერეგულირებისა და დროთა განმავლობაში არსებული დიფერენცირების აღმოფხვრის საჭიროებაზე არც მოპასუხე მხარე დავობდა. ვერც ნორმას ექნება იმის მტკიცების პრეტენზია, რომ არსებობს ისეთი ინტერესი, პირთა წრის მახასიათებელი ან/და სხვა რაიმე ფაქტორი, რომელიც მათ სამუდამო დიფერენცირებას გაამართლებდა სახელმწიფოსაგან დაცვის ხარისხის თვალსაზრისით. ნორმის მიზანი იყო გარდამავალი პერიოდიდან წარმოშობილი საფრთხეების თავიდან აცილება და მხოლოდ ამ მიზნის ფარგლებში მიიჩნია იგი სასამართლომ დიფერენცირების თანაწონადად. სადავო ნორმის მიზნის, პირთა წრის გონივრულად გაყოფისა და ნორმის დროებითობის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნია, რომ იგი არ ახდენდა მოსარჩელეთა დისკრიმინაციას და, შესაბამისად, არ არღვევდა კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაცულ მათ უფლებას.⁶⁸

2.2.3. არსებითად უთანასწორო პირების მიმართ თანასწორი მოპყრობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, კონსტიტუციის მე-14 მუხლი კრძალავს არ მხოლოდ არსებითად თანასწორი პირების მიმართ უთანასწორო მოპყრობას, არამედ ის ასევე ახდენს იმის გარანტირებას, რომ არსებითად უთანასწორო პირები არ იქნენ განხილულნი ერთნაირად. ამ თვალსაზრისით საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“⁶⁹.

აღნიშნულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი,

⁶⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის #2/1/473 გადაწყვეტილება, II.3.18;

⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის #2/1/473 გადაწყვეტილება, II.3.19;

⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის #1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

რომლის თანახმადაც „ამ კანონით განსაზღვრული წესით სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლა საქართველოს თითოეული მოქალაქის მოვალეობაა“. მოსარჩელე მხარე პრობლემატურად მიჩნევდა იმ ფაქტს, რომ სადავო ნორმა გამონაკლისს არ აწესებდა იმ პირებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა, ანუ რელიგიური ან სხვაგვარი მრწამსის საფუძველზე უარს ამბობდნენ სამხედრო სამსახურის გავლაზე. კონსტიტუციის მე-14 მუხლის კონტექსტში იგი უთითებდა, რომ პირებს, რომლებიც არსებითად უთანასწორობები არიან, კერძოდ, რეზერვისტებს, რომელთაც აქვთ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა და რეზერვისტებს, რომელთაც არ აქვთ ასეთი წინააღმდეგობა, კანონმდებლობა თანაბარ ტვირთს აკისრებდა, რაც კანონის წინაშე თანასწორობის უფლებასთან მოდის წინააღმდეგობაში.

აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ მიუთითა, რომ „კანონის ყველას მიმართ თანაბრად გამოყენება ყოველთვის არ მეტყველებს მის სამართლიანობაზე – ზოგადი და ნეიტრალური კანონი, თუ ის ითვალისწინებს ყველას მიმართ, მათ შორის არათანასწორთა მიმართ თანაბარ მოპყრობას, თავადვე არღვევს თანასწორობის პრინციპს. მაშასადამე, ზოგადი დანიშნულების კანონი შეიძლება არაპირდაპირ დისკრიმინაციული იყოს, რადგან ის ადამიანთა განსაზღვრულ ჯგუფს, დანარჩენებთან შედარებით, აკისრებდეს გაცილებით მძიმე ტვირთს.“⁷⁰ სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმა შეეხებოდა რეზერვში გასაწვევ ყველა პირს, თუმცა სარეზერვო სავალდებულო სამსახურის მიმართ ნაწილს ჰქონდა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა, მეორე ნაწილს – არა. შესაბამისად, ეს პირები სასამართლომ მიიჩნია არსებითად უთანასწორობად მათი რწმენის მიხედვით.⁷¹ „ვინაიდან რეზერვისტები შეიძლება იყვნენ განსხვავებული რწმენის მქონე პირები, მათ შორის, იმ რწმენის მატარებლებიც, რომელიც უკრძალავს მათ ძალადობას, სიცოცხლის მოსპობას, ნეიტრალური შინაარსის კანონი მათთვის ერთნაირი ვალდებულების დადგენით, ფაქტობრივად მათ განსხვავებულ, უთანასწორო რეჟიმს უდგენს შესაბამისად, სახეზეა არსებითად არათანასწორი პირების მიმართ თანასწორად მოპყრობა“.⁷²

მოცემულ შემთხვევაში, დისკრიმინაციის ნიშნად სასამართლომ მიიჩნია კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული “რელიგია და სხვა შეხედულებები”. ნებისმიერ შემთხვევაში, იქნება კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა განპირობებული რელიგიური თუ სხვა რწმენით, როგორც რელიგია, ისე სხვა შეხედულებები არის კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის ძირითადი ნიშნები, რომელთა საფუძველზეც აკრძალულია გაუმართლებელი დიფერენციაცია.⁷³ აქედან გამომდინარე სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში დიფერენცირების შეფასებისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო „მკაცრი

⁷⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.65;
⁷¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.73;
⁷² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.74;
⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.75;

შეფასების ტესტი“, რომელიც გულისხმობს ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებას თანაზომიერების ტესტის საფუძველზე, იმის გათვალისწინებით, რომ უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად მხოლოდ “სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესის” არსებობა გამოდგება.⁷⁴

ამავე გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა, რომ სავალდებულო სამხდერო სამსახურის მიმართ „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა“ დაცულია კონსტიტუციის მე-19 მუხლის, ხოლო სადავო რეგულირება რწმენის თავისუფლების დარღვევას წარმოადგენს.⁷⁵ თანასწორობის უფლების კონტექსტში კი მიუთითა, რომ „მოცემულ შემთხვევაში, შეუძლებელია, იგივე რეგულაცია თანასწორობის კონსტიტუციური უფლების შესაბამისი იყოს. ბუნებრივია, ამა თუ იმ კონსტიტუციური უფლების დარღვევა ყოველთვის თანასწორობის უფლების დარღვევას არ გულისხმობს. მაგრამ, როდესაც ნორმა, ერთი მხრივ, იწვევს კონკრეტული პირების რწმენის თავისუფლების დარღვევას, ხოლო, მეორე მხრივ, ზუსტად რწმენის ნიშნით, ახდენს იგივე პირების დიფერენცირებას დანარჩენი პირებისაგან, ანუ რწმენის ნიშნით დიფერენცირებულ პირთაგან ნაწილის რწმენის თავისუფლების დარღვევას იწვევს, შეუძლებელია ის კანონის წინაშე რწმენის ნიშნით თანასწორობის კონსტიტუციურ მოთხოვნებს პასუხობდეს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაშიც, სადავო ნორმა საჯარო მიზნების მიღწევის არაპროპორციულ საშუალებას წარმოადგენს და იწვევს თანასწორობის უფლების დარღვევას.“⁷⁶

2.2.4. თანასწორობა პარლამენტარის პენსიის მიღების კონტექსტში

საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ტრისტან ხანიშვილი, თედორე ნინიძე, ნოდარ ჭითანავა, ლევან ალექსიძე, გიორგი ქავთარაძე და სხვები (სულ 12 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, დავის საგანს წარმოადგენდა „პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევის და საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმა, რომლის თანახმადაც, ყოფილი უზენაესი საბჭოს დეპუტატებს პენსიით უზრუნველყოფა გადაუვადდათ 2003 წლის პირველ იანვრამდე, მაშინ როდესაც საქართველოს პარლამენტის წევრებზე პენსიის გაცემა განისაზღვრა 2002 წლის პირველი იანვრიდან. მოსარჩელები წარმოადგენდნენ ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრებს და თვლიდნენ, რომ საპენსიო უზრუნველყოფის ერთ წლით გადავადებით, მათ მიმართ განხორციელდა დისკრიმინაციული მოპყრობა პოლიტიკური ნიშნის საფუძველზე.

საკონსტიტუციო სასამართლომ ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრები და პარლამენტის წევრები განიხილა არსებითად თანასწორობად. მოსარჩელები „საპარლამენტო პენსიით უზრუნველყოფის თვალსაზრისით თვით სადავო ნორმის შემცველმა კანონმა გაუთანაბრა საქართველოს პარლამენტის

⁷⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის #1/1/477 გადაწყვეტილება, II.პ.76,77;

⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის #1/1/477 გადაწყვეტილება, II.პ.78;

⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის #1/1/477 გადაწყვეტილება, II.პ.79;

წევრებს, რომლებიც 1992 წლიდან არიან არჩეული“.⁷⁷ სასამართლომ კანონის მიერ გათანაბრების ფაქტი მიიჩნია მათი არსებითად თანასწორად განხილვის საკმარის საფუძვლად და აღარ გააგრძელა მსჯელობა, რამდენად შეიძლებოდა ისინი ასეთებად განხილულნი ყოფილიყვნენ კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმის მოქმედების გამო პარლამენტის წევრები ექცეოდნენ მოსარჩელებთან შედარებით პრივილიგიურულ მდგომარეობაში. მოპასუხის მიერ მოყვანილი არგუმენტი, სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების არარსებობა, რომლითაც იგი ცდილობდა განსხვავებული მოპყრობის დასაბუთებას, სასამართლომ არ მიიჩნია გონივრულად. „სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ თუკი არსებობდა საბიუჯეტო პრობლემები, იგი პარლამენტის წევრებზეც უნდა გავრცელებულიყო. „სასამართლო კოლეგია თვლის, რომ დაუშვებელია ერთი კატეგორიის სუბიექტების სოციალური უფლებებისადმი პრინციპულად განსხვავებული მიდგომა, როცა მათთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული პენსიის გაცემა დამოკიდებული ხდება დიფერენცირებულ ვადებზე. სასამართლო კოლეგია თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეთა მიმართ დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მოთხოვნები. კერძოდ, კოლეგია იზიარებს მოსარჩელეთა პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო კანონის 22-ე მუხლის მე-4 პუნქტით მათი უფლებების დარღვევა შეიძლება მომხდარიყო პოლიტიკური შეხედულებების გამო“.⁷⁸

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო სამართლებრივი რეგულირებით ადგილი ჰქონდა დიფერენცირებულ მოპყრობას ერთნაირი შემთხვევების მიმართ გონივრული დასაბუთების გარეშე.

2.2.5. თანასწორობა საარჩევნო უფლებით სარგებლობისას

საქმეში „საქართველოს მოქალაქეები - უტა ლიპარტია, გიორგი ხმელიძე, ელისო ჯანაშია და გოჩა ლაღუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“,⁷⁹ სადავო ნორმებს წარმოადგენდნენ „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის და „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ის ნორმები, რომლის მიხედვითაც ქალაქ თბილისისა და ქალაქ ფოთის მერის არჩევა არ ხდებოდა. მოსარჩელები წარმოადგენდნენ აღნიშნული ქალაქების მცხოვრებლებს და მიაჩნდათ, რომ ისინი იყვნენ დისკრიმინირებულ მდგომარეობაში იმ თვითმმართველი ქალაქების

⁷⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 15 ოქტომბრის №1/2/174,179 გადაწყვეტილება, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ტრისტან ხანიშვილი, თედორე ნინიძე, ნოდარ ჭითანავა, ლევან ალექსიძე, გიორგი ქავთარაძე და სხვები (სულ 12 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. II;

⁷⁸ იქვე;

⁷⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 16 თებერვლის №1/2/213,243 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - უტა ლიპარტია, გიორგი ხმელიძე, ელისო ჯანაშია და გოჩა ლაღუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

მოსახლეობასთან შედარებით, რომლებსაც გააჩნდათ მერის არჩევის შესაძლებლობა.

საკონსტიტუციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დაადგინა, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ზოგადი წესის მიხედვით, მერის თანამდებობა არჩევითი იყო. ამ ზოგადი წესიდან მხოლოდ ორი ქალაქის – თბილისისა და ფოთის მიმართ დაშვებული გამონაკლისები, არახელსაყრელ მდგმარეობაში აგდებდა აღნიშნულ ქალაქებში მაცხოვრებელ პირებს. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა: „კანონის წინაშე თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი გულისხმობს ყველა იმ ადამიანის უფლებების თანაბრად აღიარებასა და დაცვას, რომლებიც იმყოფებიან ერთსა და იმავე პირობებში და განსაზღვრული საკითხისადმი აქვთ ერთნაირი დამოკიდებულება. ეს პრინციპი მოიცავს საკანონმდებლო საქმიანობის მთელ სპექტრს, რათა თანაბარ პირობებსა და გარემოებებში მყოფ ადამიანებს მიენიჭოთ თანაბარი პრივილეგიები და დაეკისროთ თანაბარი პასუხისმგებლობა“.⁸⁰ საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა გონივრული დასაბუთება, რომელიც აღნიშნულ განსხვავებულ მოპყრობას დასაბუთებდა, ხოლო ასეთი დასაბუთების გარეშე, სადავო ნორმებით გათვალისწინებული რეგულირება შეუფერებელი იყო დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო სადავო ნორმები.

აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საკონსტიტუციო სასამართლომ თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპით დაცულ სიკეთედ მიიჩნია არამხოლოდ კანონის წინაშე თანასწორობა პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, არამედ პირის უფლება, ჰქონდეს თანაბარ პირობებში და გარემოებებში მყოფი ადამიანების ეკვივალენტური პრივილეგიები. ამასთან, სასამართლომ თანასწორობის პრინციპი დაუკავშირა სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებს.

2.6. დიფერენცირება საცხოვრებელი ადგილის ნიშნით

საქმეში „მოქალაქეები ჯანო ჯანელიძე, ნინო უბერი, ელეონორა ლაგვილავა და მურთაზ თორდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“⁸¹ დავის საგანს წარმოადგენდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის ის ნორმა, რომლის მიხედვითაც, პირი კარგავდა დევნილის სტატუსს საქართველოს რომელიმე რეგიონში მუდმივად დასახლებისა და რეგისტრაციაში გატარების შემთხვევაში. მოსარჩელებს მიაჩნდათ, რომ ადგილსამყოფელის გამოცვლის გამო მათთვის დევნილის სტატუსის ჩამორთმევა, არღვევდა მათ კონსტიტუციურ უფლებებს, მათ შორის კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებულ თანასწორობის

⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 16 თებერვლის №1/2/213,243 გადაწყვეტილება;

⁸¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 7 ნოემბრის №2/7/219 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეები ჯანო ჯანელიძე, ნინო უბერი, ელეონორა ლაგვილავა და მურთაზ თორდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

უფლებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე დაადგინა: „საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო ნორმა არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს დევნილებს მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რაც წინააღმდეგობაშია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის იმ დებულებასთან, რომლითაც დადგენილია ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე, განურჩევლად მათი საცხოვრებელი ადგილისა. კანონის ნებისმიერი გამოყენება, რომელიც ემყარება ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის პრინციპს, განიხილება, როგორც მიზანშეუწონელი და სრულიად მიუღებელი. აქედან გამომდინარე კი წარმოადგენს როგორც საერთაშორისო სამართლის ნორმების, ისე თანასწორობის პრინციპის დარღვევას.

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო ნორმა დევნილის სტატუსის დაკარგვას უკავშირებს საქართველოს რომელიმე რეგიონში დასახლებას და რეგისტრაციაში გატარებას, დევნილ საქართველოს მოქალაქეებს აყენებს არჩევანის წინაშე გაიარონ რეგისტრაცია და მოახდინონ თავიანთი უფლებების რეალიზაცია ან შეინარჩუნონ დევნილის სტატუსი, რაც მათ უქმნის არახელსაყრელ და არათანაბარ სამართლებრივ რეჟიმს სხვა მოქალაქეებისგან განსხვავებით, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ, აირჩიონ საცხოვრებელი ადგილი თავის შეხედულებებისამებრ და მოახდინონ ამ საცხოვრებელ ადგილას რეგისტრაცია ისე, რომ რეგისტრაციის აქტი მათთვის არ იწვევდეს სახელმწიფოს მხრიდან მინიჭებული სტატუსის ან შეღავათების გაუქმებას.

სასამართლოს მიაჩნია, რომ სოციალურ, სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფოში კანონმდებლის მიერ მოქალაქეთა საერთომასიდან გარკვეული ჯგუფის გამოყოფა და მათთვის განსხვავებული, შედარებით არახელსაყრელი სამართლებრივი რეგულირების განსაზღვრა განპირობებული უნდა იყოს არსებითი, გონივრული და ობიექტური მიზეზებით. სადავო ნორმის შემთხვევაში არ ჩანს ის მიზეზი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა კანონმდებლის დიფერენცირებული მიდგომის დასაბუთება“.⁸²

საკონსტიტუციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დაადგინა დისკრიმინაცია საცხოვრებელი ადგილის ნიშნით. მან მიიჩნია, რომ საქართველოს დევნილი მოქალაქეები საცხოვრებელი ადგილის არჩევის და შესაბამისი რეგისტრაციის უფლების განხორციელებისას, განხილული უნდა ყოფილიყვნენ არსებითად თანასწორობად საქართველოს სხვა მოქალაქეებთან მიმართებით. ვინაიდან საქართველოს ლტოლვილი მოქალაქეების მხრიდან საცხოვრებელ ადგილას რეგისტრაციის გავლას, უკავშირდებოდა განსხვავებული, არახელსაყრელი სამართლებრივი შედეგები, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარი მიდგომა შეიძლებოდა დასაშვები ყოფილიყო მხოლოდ გონივრული და ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში. რადგან მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ ამგვარი მიზეზები ვერ დაინახა, მან დაადგინა მოსარჩელეთა

⁸² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 7 ნოემბრის № 2/7/219 გადაწყვეტილება, პ.1;

კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევა და ნორმა სცნო არაკონსტიტუციურად.

2.2.7. დიფერენცირება საკუთრების ფულებით სარგებლობისას

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა განსხვავებული შეფასებები გაკეთდა დისკრიმინაციის დადგენასთან დაკავშირებით საქმეში „საქართველოს მოქალაქე ანზორ თევზაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“⁸³ მოცემულ საქმეში დავის საგანი იყო „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის“ პირველი ოქმის რატიფიცირების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 27 დეკემბრის დადგენილების მე-2 და მე-8 პუნქტების კონსტიტუციურობა. დადგენილების მე-2 პუნქტის მიხედვით, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის“ პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის (საკუთრების უფლება) მოქმედება ვრცელდებოდა იმ პირებზე, რომლებსაც “იმულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად მინიჭებული ჰქონდათ დევნილის სტატუსი, ამ სტატუსის მინიჭების გარემოებების აღმოფხვრამდე. ხოლო მე-8 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე, საქართველო პასუხისგებლობას იხსნიდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე, თვითგამოცხადებული, უკანონო ხელისუფლების ორგანოების მიერ პირველი ოქმის დებულებათა დარღვევაზე. მოსარჩელე წარმოადგენდა აფხაზეთიდან ლტოლვილ პირს და თვლიდა, რომ იგი დისკრიმინირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველოს სხვა, არალტოლვილ მოქალაქეებთან შედარებით, რომელთა საკუთრების უფლება კონვენციით დაცულად ცხადდებოდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს საქმის განმხილველი კოლეგიის ორი წევრის აზრით, სადავო ნორმები არღვევდნენ მოსარჩელის კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებულ უფლებას. ისინი განმარტავდნენ, რომ მე-14 მუხლი კრძალავდა დისკრიმინაციას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო „დევნილთა საცხოვრებელი ადგილის ცნებაში კი ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოიაზრება სეპარატისტული რეჟიმებით დაკავებული ტერიტორიები. ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით დევნილები დისკრიმინაციულ მდგომარეობაში იმყოფებიან საქართველოს სხვა მოქალაქეებთან შედარებით. სადავო ნორმების, კერძოდ, მე-8 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, ასეთივე მდგომარეობაში იმყოფებიან თვით სეპარატისტული რეჟიმებით დაკავებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეებიც“⁸⁴.

საქმის განმხილველი კოლეგიის აღნიშნულმა წევრებმა, არ ჩათვალეს გონივრულად ის მიზეზები (ფაქტობრივი სინამდვილე), რომელიც

⁸³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 ნოემბრის №1/5/224 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ანზორ თევზაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

⁸⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის №1/5/224 გადაწყვეტილება, I.3.3;

საფუძვლად ედო განსხვავებულ მოპყრობას. მათი აზრით, „ევროპული კონვენციის ოქმებზე დათქმები არ უნდა კეთდებოდეს მარტოდენ იმ მიზნით, რომ სახელმწიფო იზღუდავდეს თავის პასუხისმგებლობას... აშკარაა, რომ უაღრესად გამძლეებულია და თითქმის შეუძლებელია სეპარატისტული რეჟიმებით დაკავებულ ტერიტორიებზე ქართული სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დაცვა. მაგრამ ეს სულაც არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ მძიმე ფაქტობრივი სინამდვილე მაღლა დავაყენოთ სახელმწიფოს უფლება-ვალდებულებებზე, რაც მისი ბუნებიდან გამომდინარეობს და წარმოადგენს ნებისმიერი სუვერენული ქვეყნის იმანენტურ და განუყოფელ მახასიათებელს (ფასეულობას)“⁸⁵.

საქმის განმხილველი კოლეგიის სხვა ორი წევრის აზრით, სადავო ნორმები არ ადგენდა განსხვავებულ სამართლებრივ მოპყრობას და, შესაბამისად, არ არღვევდა კონსტიტუციის მე-14 მუხლს: „ამ კონკრეტულ ვითარებაში არ დასტურდება დევნილთა ფორმალურ-სამართლებრივი დისკრიმინაცია საცხოვრებელი ადგილის ნიშნით. სადავო ნორმებში არ ჩანს სახელმწიფოს ნება შეზღუდოს მათი უფლებები. სახელმწიფო, როგორც სუვერენული დაწესებულება, არ იხსნის ვალდებულებებს მათ წინაშე. დევნილთა უფლებებს ზღუდავს ფაქტობრივი ვითარება. ამიტომაცაა, რომ აქ დგას უფრო ფაქტისაგან წარმომდგარი სინამდვილის შეფასების საკითხი, ვიდრე სამართლებრივი რეალობისა. სახელმწიფოს ვალდებულება, როგორც ასეთი არსებობს, სადავო ნორმებით გადავადებულია მხოლოდ მისი შესრულება. სახელმწიფო იძულებულია ანგარიში გაუწიოს შექმნილ მდგომარეობას და დევნილთა უფლებები დაიცვას მას შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდება მათი მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნება“⁸⁶.

კოლეგიის აღნიშნული წევრების აზრით მოსარჩელის მიმართ განსხვავებული მოპყრობა მომდინარეობდა არა სამართლებრივი რეალობიდან, არამედ ფაქტობრივი სინამდვილიდან. ვინაიდან განსხვავებული მოპყრობის საფუძვლად არ იქნა განხილული სამართლებრივი სინამდვილე (რეგულირება), აღარ გაგრძელდა მსჯელობა აღნიშნული მოპყრობის გონივრულობაზე და დასაბუთებულობაზე. პასუხი კითხვაზე, რა სამართლებრივი კატეგორიებით შეიძლება შეფასდეს ფაქტობრივი მდგომარეობიდან მომდინარე განსხვავებული მოპყრობა, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში არ არის.

რადგან მოცემულ საქმეზე, მოსამართლეთა ხმები თანაბრად გაიყო, საქართველოს „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კონსტიტუციური სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2.2.8. დიფერენცირება დასაქმების ადგილის მიხედვით

საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის №2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მნიშვნელოვანია და

⁸⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის №1/5/224 გადაწყვეტილება, I.პ.3;

⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის №1/5/224 გადაწყვეტილება, I.პ.1;

აღსანიშნავია იმდენად, რამდენადაც აღნიშნულ გადაწყვეტილებაში განსხვავებული მოპყრობა არსებითად თანასწორი პირების (ერთნაირი შემთხვევების) მიმართ, ცნობილი იქნა კონსტიტუციურად.

მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის ის ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების პროფილის მცირე საწარმოების, რომელთა საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდა 100 000 ლარს, მიყიდვას ამ საწარმოებში დასაქმებულ პირებზე პირდაპირი მიყიდვის წესით. მოსარჩელები მიიჩნევდნენ, რომ ვინაიდან სადავო ნორმა მცირე საწარმოების პირდაპირი შესყიდვის პრივილეგიას ანიჭებდა მხოლოდ ერთი კონკრეტული რეგიონში არსებულ საწარმოში დასაქმებულებს, ირღვეოდა სხვა რეგიონებში არსებულ საწარმოებში დასაქმებული პირების კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებული უფლება, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საკონსტიტუციო სასამართლომ მოცემული საქმის განხილვისას გამოარკვია, რომ მოსარჩელები დასაქმებულნი იყვნენ იმავე ტიპის საწარმოში, რა ტიპის საწარმოებში დასაქმებულ პირებზეც ვრცელდებოდა შეღავათები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით. შესაბამისად, მოსარჩელები და პირები, რომლებზეც ვრცელდებოდა შეღავათი, სასამართლოს მიერ განხილული იქნენ სამართლებრივი თვალსაზრისით არსებითად თანასწორად.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, იმისათვის, რომ აღნიშნულ განსხვავებულ მოპყრობას ჰქონდეს კონსტიტუციურსამართლებრივი გამართლება, „სადავო ნორმის მიღებას უნდა ჰქონდეს საკმარისად წონადი, გონივრული და მნიშვნელოვანი მიზნები, კანონმდებლის მოქმედება უნდა იყოს საგნობრივად გამართლებული, არათვითნებური და თანაზომიერი“⁸⁷.

საკონსტიტუციო სასამართლომ საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე გამოარკვია, რომ პრივატიზაციის პროცესში მცირე საწარმოებში დასაქმებულთათვის შეღავათიანი რეჟიმი, გარკვეული დროის მანძილზე, მოქმედებდა მთელი ქვეყნის მასშტაბით. მოსარჩელებს, ისევე, როგორც მცირე საწარმოში დასაქმებულ პირებს, ჰქონდათ სრული შესაძლებლობა, ესარგებლათ აღნიშნული შეღავათით. საქმეში წარმოადგენილი მასალებიდან გაირკვა, რომ გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, შეღავათიანი პრივატიზაციის რეჟიმი არ განხორციელებულა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმის მიღებას ჰქონდა ლეგიტიმური საფუძველი. იგი ემსახურებოდა ერთის მხრივ, სამართლიანობის აღდგენას და მეორე მხრივ, საკმაოდ მგრძობიარე სოციალური ჯგუფის ინტერესების დაცვას.

აღნიშნული მიზნები, საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა განსხვავებული მოპყრობის გონივრულ დასაბუთებად, ხოლო მიზნის მიღწევის საშუალება – არათვითნებურად და თანაზომიერად. შესაბამისად,

⁸⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის №2/1-392 გადაწყვეტილება, II.3.7;

სასამართლომ არ დაადგინა კონსტიტუციის მე-14 მუხლის დარღვევა და არ დააკმაყოფილა სარჩელი.

3. სუბიექტი

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის ტექსტის გათვალისწინებით, უფლების სუბიექტია „ყველა ადამიანი“.

4. დასკვნა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება:

- საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი განამტკიცებს ადამინთა კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას. რაც გულისხმობს, არსებითად თანასწორი პირობის მიმართ კანონით თანასწორი მოპყრობის ვალდებულებას, არსებითად უთანსწოროთა მიმართ კი პირიქით;
- კონსტიტუციის მე-14 მუხლი კრძალავს არსებითად თანასწოროთა არაგონივრულ დიფერენცირებას ნებისმიერ ნიშნით;
- კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილი ნიშნები არ არის ამომწურავი ხასიათის;
- თანასწორობის უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შეფასებისას საკონსტიტუციო სასამართლო იყენებს 2 ტესტს. ე.წ. „მკაცრი შეფასების ტესტს“ (რომელიც თანაზომიერების ტესტის მსგავსია), და რაციონალური დიფერენცირების ტესტს;
- „მკაცრი შეფასების ტესტს“ სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში როდესაც დიფერენცირება უკავშირდება კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ ნიშანს ან/და როდესაც დიფერენცირება არის მაღალი ინტენსივობის. სხვა შემთხვევაში სასამართლომ იყენებს რაციონალური დიფერენცირების ტესტს;
- სასამართლოს პრაქტიკაში არ ყოფილა ისეთი საქმე, როდესაც სასამართლომ გამოიყენა რაციონალური დიფერენცირების ტესტი და ნორმა არაკონსტიტუციურად სცნო;

5. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით განიხილა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 2 დეკემბრის #1/4/477 საოქმო ჩანაწერი/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები

მოქალაქე დურმიშხან ლორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 28 მარტის #2/8/157 განჩინება/

დავით მირცხულავა, გიორგი კუპრეიშვილი და შალვა და ვლადიმერ დოლიძეები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მარტის #1/5/362-363,367 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე კახაბერ კობერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის # 1/3/469 განჩინება/

საქართველოს მოქალაქეები – ნორად ცოტნიაშვილი, ბადრი მაჭარაშვილი, შოთა სომხიშვილი, პეტრე საფნიანი, დიმიტრი გოგოლაძე; ჯარიბეკ პარადიანი, ლუდვიგ გრიგორიანი, შალიკო ბეჟუაშვილი, ასიმჩიტრეკაშვილი, ლევან თოკმაჭიანი, ნორიკ სუმბათიანი, ივანე როსტიაშვილი, რაფილ სხვაჩიანი, არჩილ ფუხაშვილი, სერგო ეგიაზაროვი, გივი ჭაბუკიანი — საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 2 ივნისის #2/10/383 განჩინება/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

საქართველოს მოქალაქეები - ტრისტან ხანიშვილი, თედორე ნინიძე, ნოდარ ჭითანავა, ლევან ალექსიძე, გიორგი ქავთარაძე და სხვები (სულ 12 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 15 ოქტომბრის #1/2/174,179 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები - უტა ლიპარტია, გიორგი ხმელიძე, ელისო ჯანაშია და გოჩა დადუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 16 თებერვლის #1/2/213,243 გადაწყვეტილება/

ლილი თელია, არჩილ მეფარიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის #2/1-392 გადაწყვეტილება/

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები “ახალი მემარჯვენეები” და “საქართველოს კონსერვატიული პარტია” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის #1/1/493 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ /საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის #2/1/473 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქე ანზორ თევზაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის #1/5/224 გადაწყვეტილება/

მოქალაქეები ჯანო ჯანელიძე, ნინო უბერი, ელენორა ლაგვილავა და მურთაზ თორდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 7 ნოემბრის #2/7/219 გადაწყვეტილება/

მუხლი 15

1. სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი.
2. სიკვდილით დასჯა აკრძალულია.

(საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი #4137-სსმI, #3, 11.01.2007წ., მუხ.48)

შესავალი

1. მე-15 მუხლის პირველი პუნქტი
 - 1.1. დაცული სფერო
 - 1.2. სუბიექტი
 - 1.3. დასკვნა
 - 1.4. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით
2. მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი
 - 2.1. დაცული სფერო
 - 2.2. სუბიექტი
 - 2.3. დასკვნა
 - 2.4. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით

შესავალი

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი იცავს სიცოცხლის უფლებას. ნორმა განამტკიცებს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად ღირებულებას, რომლის გარეშე ყველა სხვა უფლების დაცვა იქნებოდა ილუზორული. ეს მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, არ დაუშვას პირის სიცოცხლის რაიმე ფორმით ხელყოფა, მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა იმ პირთა სიცოცხლის დასაცავად, რომლებიც მის იურისდიქციაში შედიან. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ იმავდროულად მოქმედებს სახელმწიფოს სპეციფიური ვალდებულება, როდესაც სახელმწიფო იძულებული ხდება გამოიყენოს ძალა. მაგრამ ძალის გამოყენება დაშვებული უნდა იყოს იმ პირობით, რომ ის „აბსოლუტურად აუცილებელია“, რაც ითვალისწინებს „აბსოლუტური აუცილებლობის“ პირდაპირი კრიტერიუმების არსებობას, რომლებიც განმტკიცებულია ევროკონვენციის მე-2 მუხლით. გარდა ამისა, ყოველი ასეთ შემთხვევაზე სახელმწიფოს მიერ უნდა ჩატარდეს სათანადო, ეფექტიანი და ოფიციალური გამოძიება. დაცული სფეროს თავისებურება განაპირობებს უფლების სპეციფიკური სუბიექტის არსებობას. ხშირად, აღნიშნულ უფლებას უკავშირებენ ადამიანის უზრუნველყოფას სასიცოცხლოდ აუცილებელი საარსებო მინიმუმით.

2. კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, არ გამოიყენოს ადამიანის მიმართ სასჯელის ისეთი ზომა, როგორცაა სიკვდილით დასჯა. კონსტიტუციის საფუძველზე აბსოლიტური ფორმით სიკვდილით დასჯის გაუქმება 2006 წლის 27 დეკემბერს გაფორმდა⁸⁸. მანამდე კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი შემდეგი სახით იყო ფორმულირებული: „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება - სიკვდილით დასჯა, მის სრულ გაუქმებამდე, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ორგანული კანონით სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. ამ სასჯელის შეფარდების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოს.“

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა არსებობს საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის ძველ რედაქციასთან მიმართებით. საკონსტიტუციო სასამართლოს ადრეული გადაწყვეტილებები შეეხება სამართლებრივ აქტებს სიკვდილით დასჯის ღონისძიების სასჯელის სხვა სახით შეცვლასთან დაკავშირებით.

1. მე-15 მუხლის პირველი პუნქტი

1.1. დაცული სფერო

ა) სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში არ ექცევა სისხლის სამართლის საქმეებში დაზარალებულის უფლებამონაცვლის შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს ბრალდების ფორმულირებაზე.

⁸⁸ საქართველოს კონსტიტუციური კანონი, საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, 2006 წლის 27 დეკემბერი, # 4137 – რს, მუხლი 1.3.1;

სიცოცხლის უფლება არ ავალდებულებს სახელმწიფოს, სიცოცხლის მოსპობის ყველა ფაქტი განზრახ მკვლელობად დააკვალიფიციროს. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა: „გაუგებარია, თუ რატომ შეიძლება გამოიწვიოს მოსარჩელის კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დარღვევა განზრახ მკვლელობის ნაცვლად ბრალის წაყენებამ „ჯანმრთელობისთვის განზრახ მძიმე დაზიანებაში, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.“⁸⁹

ასეთი იყო სასამართლოს პოზიცია მოსარჩელის არგუმენტთან დაკავშირებით, რომელიც აცხადებდა, რომ ადამიანის სიცოცხლის უფლება სახელმწიფოს აკისრებდა როგორც ნეგატიურ, ისე პოზიტიურ ვალდებულებას. ნეგატიური ვალდებულება სახელმწიფოს უკრძალავდა ადამიანის სიცოცხლის მოსპობას, ხოლო პოზიტიური ვალდებულება სახელმწიფოსაგან დაზარალებულის ინტერესების დაცვით ითხოვდა ჯეროვანი გამოძიების წარმოებას.⁹⁰

ბ) არაპირდაპირ არღვევს თუ არა სახელმწიფო ადამიანის სიცოცხლის უფლებას, როდესაც საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე ახდენს ადამიანის იმგვარ დაბეგვრას, რომ ართმევს მას საარსებო მინიმუმს და ამით საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს? რამდენად ზღუდავს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი კანონმდებელს, განახორციელოს ზემოაღნიშნული სახის დაბეგვრა?

ამ საკითხს საკონსტიტუციო სასამართლო შეეხო საქმეში „საქართველოს მოქალაქე ოთარ ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 41-ე მუხლი (სარჩელის შემოტანის მომენტისათვის რედაქციით) არღვევდა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველ პუნქტს, რომლის თანახმადაც სიცოცხლე ადამიანის ხელშეუხებელი უფლებაა და მას კანონი იცავს. მოსარჩელის აზრით, სახელმწიფომ არ უნდა შეზღუდოს ეს უფლება არც პირდაპირ და არც არაპირდაპირი ფორმით. სახელმწიფო ვალდებულია, თავი შეიკავოს ისეთი ქმედებისაგან, რომელიც ხელყოფს ადამიანის საარსებო მინიმუმს და შესაბამისად, სიცოცხლის უფლებას. საგადასახადო კოდექსის 41-ე მუხლი ადგენს ადამიანის სიცოცხლის ხელმყოფ ნორმებს, რაც მოსარჩელის აზრით, გამოიხატება იმაში, რომ პირმა დაუბეგრავი მინიმუმის სახით ძირითადი სამუშაო ადგილიდან უნდა გამოქვითოს 9 ლარი.⁹¹

საკონსტიტუციო სასამართლომ, მიიჩნია, რომ 9 ლარის ოდენობის დაუბეგრავი მინიმუმი იყო არასაკმარისი და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის კვალობაზე საჭირო იყო მისი გაზრდა. სასამართლომ აღნიშნა: „მთავარი გამოქვეითვა კი არა, არამედ დაბეგვრის სამართლიანობაა და სადავო ნორმაც

⁸⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/1/403,427 გადაწყვეტილება საქმეზე კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.11.7;

⁹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/1/403,427 გადაწყვეტილება, I.3:6;

⁹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 23 დეკემბრის #1/12/261 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ოთარ ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

უფლების (შესაძლებლობის) ფორმით არის ჩამოყალიბებული; მაგრამ დაუბეგრავი მინიმუმი 9 ლარის ოდენობით უდავოდ არასაკმარისია და მართლაც აუცილებელია მისი გადიდება (ქვეყნის ეკონომიკის ზრდის კვალობაზე)...ამასთან, სასამართლო კოლეგიის აზრით, ეს გარემოება არ კმარა იმისათვის, რომ შესაბამისი სასარჩელო მოთხოვნა მიღებული იქნეს არსებითი განხილვისათვის.”⁹² აღნიშნულით, საკონსტიტუციო სასამართლომ ვერ დაინახა მიმართება კანონმდებლობით სახელმწიფოს მიერ ადამიანის დაბეგრვასა და კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ ადამიანის სიცოცხლის უფლებას შორის. „კონსტიტუციური სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე ... არ დასტურდება საგადასახადო კოდექსის 41-ე მუხლის საგნობრივი მიმართება, მისი პირდაპირი კავშირი საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველ პუნქტთან (სიცოცხლის უფლება)...”⁹³

გ) ადამიანის სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიების სიცოცხლის უფლების დაცულ სფეროში მოქცევის მცდელობა იყო უფრო გვიანდელ 2009 წლის 27 აგვისტოს მიღებულ გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე მხარე სადავო ნორმას („სოციალური დახმარების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი) არ ასაჩივრებდა კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, მოსარჩელის წარმომადგენელმა განაცხადა: „სახელმწიფომ უნდა გაწიოს, სულ მცირე, იმგვარი დახმარება, რაც უზრუნველყოფს სიცოცხლის უფლების შენარჩუნებას.”⁹⁴

მოსარჩელე მხარის აღნიშნული არგუმენტი აისახა სასამართლოს კოლეგიის ორი მოსამართლის განსხვავებულ აზრში. მოსამართლეებმა ადამიანის საარსებო საშუალებით უზრუნველყოფა განიხილეს სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციურ პრინციპთან კავშირში. მათი განმარტებით, ეს პრინციპი ავალდებულებს სახელმწიფოს, ადამიანის უუნარობისა და სიღარიბის შემთხვევაში მისი ელემენტარული საარსებო (სასიცოცხლო) საშუალებებით უზრუნველყოფას. „ზოგადად, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ემსახურება უპირველესად უსაფრთხოების, ადამიანის ღირსების და თავისუფლების შენარჩუნებას...”⁹⁵ თუმცა ამ პრინციპის პრაქტიკული რეალიზაციისათვის პირველ რიგში უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები: „1) სოციალური უფლებების კანონმდებლობით აღიარება, 2) ადამიანის უუნარობისა და სიღარიბის შემთხვევაში მისი ელემენტარული საარსებო (სასიცოცხლო) საშუალებებით უზრუნველყოფა.”⁹⁶

განსხვავებული აზრი ეხებოდა იმ საკითხს, ჰქონდა თუ არა სასამართლო ხელისუფლებას პოლიტიკური სახელისუფლებო შტოს მიერ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის, მთავრობის მიერ

⁹² საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 23 დეკემბრის #1/12/261 განჩინება, პ.1;

⁹³ იქვე;

⁹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს 1/2/434 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I.პ.5;

⁹⁵ სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს #1/2/434 გადაწყვეტილებაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ქეთევან ერემამისა და ბესარიონ ზოიძის განსხვავებული აზრი. პ.9;

⁹⁶ იქვე;

დადგენილი ფულადი სოციალური დახმარების ოდენობის საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა და შესაბამისად, ადამიანის სოციალური უფლებებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება. განსხვავებული აზრის ავტორებმა სოციალური უფლებების დასაცავად სასამართლო კონტროლის აუცილებლობა ადამიანის სასიცოცხლო ინტერესების დაცვის აუცილებლობით ახსნეს:

„სოციალური უფლებების სასამართლო კონტროლიდან მთლიანად გაყვანით, პოლიტიკურ ხელისუფლებას მიეცემა აბსოლუტური თავისუფლება ამ სფეროში კონკრეტული გადაწყვეტილებების როგორც მიღება-არმიღების, ისე მათ სათანადოდ შესრულება-შესრულებლობასთან დაკავშირებით. თუკი პოლიტიკური ხელისუფლება თავად იქნება იმის ერთადერთი შემფასებელი, გამოიჩინოს თუ არა ძალისხმევა ადამიანების სასიცოცხლო პრობლემების გადასაწყვეტად, საექვო გახდება მის მიერ როგორც სავალდებულო გადაწყვეტილებების მიღება, ისე მათი შესრულების კანონიერება.“⁹⁷

1.2. სუბიექტი

კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლების დაცვის სუბიექტია ადამიანი, ფიზიკური პირი და არა იურიდიული პირები.

2008 წლის 18 ივნისს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა „საქართველოში თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული ნორმები არ იძლეოდა, სიცოცხლისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების შესაძლებლობას და თამბაქოს მოხმარებაზე ადეკვატური კონტროლის არარსებობის პირობებში იწვევდა მწველთა სიკვდილიანობის ზრდას.⁹⁸

მოსარჩელეს აღნიშნულ საქმეში წარმოადგენდა საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ადამიანის სიცოცხლის დაცვის უფლების თაობაზე სარჩელის შეტანის უფლებამოსილებას ანიჭებდა ორგანიზაციის სპეციფიკა და მისი წესდება.⁹⁹

სასამართლომ არ მიიღო აღნიშნული სარჩელი, ვინაიდან შეტანილი იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ. მოსარჩელეს წარმოადგენდა იურიდიული პირი. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცული სიკეთე არის ადამიანის სიცოცხლე. მოსარჩელეს, როგორც იურიდიულ პირს, ეს სიკეთე არ აქვს... სიცოცხლე

⁹⁷ საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს 1/2/434 გადაწყვეტილებაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ქეთევან ერემაძისა და ბესარიონ ზომის განსხვავებული აზრი, პ.17;

⁹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის #2/3/441 განჩინება საქმეზე საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I.პ.4;

⁹⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის #2/3/441 განჩინება, I.პ.12;

... არის ის სიკეთე, რაც შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ ფიზიკურ პირს, როგორც ცოცხალ არსებას... იურიდიული პირის ნებისმიერი მსჯელობა მისი სიცოცხლის ... უფლების პირდაპირი ან არაპირდაპირი დარღვევის თაობაზე ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული.¹⁰⁰

„საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის თანახმად, კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება იურიდიულ პირზე. მოსარჩელე, როგორც იურიდიული პირი, წარმოადგენს სამართლებრივ კონსტრუქციას, ფიქციას, რომელიც ... თავისი ბუნებიდან გამომდინარე ვერ იქნება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების სუბიექტი.“¹⁰¹ ამდენად, სიცოცხლის უფლება არ განეკუთვნება იმ უფლებათა რიგს, რომელიც თავისი შინაარსის გათვალისწინებით შესაძლოა გავრცელდეს იურიდიულ პირზე.¹⁰²

1.3. დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შემდეგ შესაძლებელია შემდეგი ძირითადი საკითხების განსაზღვრა:

- სიცოცხლის უფლება არ იცავს გარდაცვლილი დაზარალებულის უფლებამონაცვლის შესაძლებლობას, გავლენა მოახდინოს ბრალდებაზე დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლის მიზნით;
- კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი არ აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, თავი შეიკავოს პირის დაბეგვრისაგან მისი (ამ პირის) საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის მოტივით;
- საარსებო (სასიცოცხლო) საშუალებებით უზრუნველყოფა დაკავშირებულია სოციალური სახელმწიფოს პრინციპის პრაქტიკულ რეალიზაციასთან;
- კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი. სიცოცხლის უფლებით ვერ ისარგებლებენ იურიდიული პირები;

1.4. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები

საქართველოს მოქალაქე ოთარ ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 23 დეკემბრის #1/12/261 განჩინება/

¹⁰⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის #2/3/441 განჩინება, II.3.5;

¹⁰¹ საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის #2/3/441 განჩინება, II.3.8;

¹⁰² იქვე;

საქართველოს თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ / საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის #2/3/441 განჩინება/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

კანადის მოქალაქე ჰუსეინალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ / საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/1/403,427 გადაწყვეტილება/

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ / საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს 1/2/434 გადაწყვეტილება/

2. მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი

2.1. დაცული სფერო

განსახილველი კონსტიტუციური ნორმა არა მხოლოდ სიკვდილით დასჯის საბოლოო გაუქმების შემდეგ აღნიშნული სასჯელის გამოყენებას კრძალავს, არამედ სიკვდილით დასჯისაგან დაცვის უფლებას ასევე ავრცელებს იმ განაჩენზეც, რომელიც დადგენილი იქნა სასჯელის აღნიშნული სახის გაუქმებამდე, თუმცა არ აღსრულებულა სიკვდილით დასჯის გაუქმების მომენტისათვის. აქედან გამომდინარე, სიკვდილით დასჯის აკრძალვის შემდეგ აქტუალობას იძენს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს აღსრულებელი განაჩენების გადასინჯვა და როგორი წესით ან ვის მიერ შეიძლება შეიცვალოს სიკვდილით დასჯა თავისუფლების აღკვეთით ან სასჯელის სხვა რომელიმე ფორმით.

ეს საკითხი დაისვა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაშიც. ამ საკითხის გადაწყვეტა საკონსტიტუციო სასამართლომ პირდაპირ დაუკავშირა კონსტიტუციის მე-15 მუხლის მეორე პუნქტის მნიშვნელობასა და სიკვდილით დასჯის განსაკუთრებულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ რეგულირებას.

2003 წლის 10 ივნისის საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებით, არ იქნა არსებითად განსახილველად მიღებული ის კონსტიტუციური სარჩელი, რომლითაც მოსარჩელები მოითხოვდნენ „იმ პირთა შეწყალების შესახებ, რომელთაც მისჯილი აქვთ სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება - სიკვდილით დასჯა” საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 25 ივლისის #387 ბრძანებულების არაკონსტიტუციურად ცნობას იმ ნაწილებში, რომლებიც შეეხებოდა მოსარჩელეთა 20 წლით თავისუფლების აღკვეთას. ბრძანებულებით პრეზიდენტმა მოახდინა სიკვდილმისჯილი პირების (მოსარჩელების) შეწყალება და იმავე აქტით მათ მიმართ სასჯელის ზომად 20 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა დაადგინა. მოსარჩელები მიიჩნევდნენ, რომ პრეზიდენტმა შეწყალებულების მიმართ გამოიყენა პატიმრობის ვადა, რითაც, მათი აზრით, პრეზიდენტმა გადაამეტა თავის კონსტიტუციურ უფლებამოსილებას. მოსარჩელები მიიჩნევდნენ, რომ როცა პრეზიდენტმა თავისი აქტით შეცვალა სასამართლოს მიერ თავის დროზე მათთვის დანიშნული სასჯელი - სიკვდილით დასჯა შეცვალა 20 წლით თავისუფლების აღკვეთით, მან დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილების შეცვლის უფლებამოსილებას ანიჭებს თავადვე სასამართლოს და არა პრეზიდენტს, ხოლო კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი პირდაპირ კრძალავს თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას სასამართლოს გარეშე. გასაჩივრებული ბრძანებულებით კი პრეზიდენტმა დამოუკიდებლად გადაწყვიტა სიკვდილმისჯილი პირის მიმართ 20 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება.¹⁰³

საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ ვინაიდან მოსარჩელები

¹⁰³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 ივნისის #2/12/234,235,237,238 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეების - ირაკლი კერესელიძე, მამედ გერგედავა, მალხაზ დოლიძე და მალხაზ დიასამიძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;

წარმოადგენდნენ ფიზიკურ პირებს და 84-ე მუხლის მე-5 პუნქტი განთავსებული არ იყო კონსტიტუციის მე-2 თავში, შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ვერ იმსჯელებდა სადავო აქტის კონსტიტუციურობის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-5 პუნქტთან მიმართებით.¹⁰⁴

საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის დასაბუთებისათვის მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის არსა და მის მნიშვნელობაზე. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციურ სარჩელში მოთხოვნა კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით არ იყო დაყენებული, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვისას კონსტიტუციის ნორმის გამოყენების საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ გასაჩივრებული აქტით, პრეზიდენტმა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა გამოიყენა იმ პირების მიმართ, რომელიც ექცეოდნენ კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის რეგულირების სფეროში, რადგან ისინი სიკვდილმისჯილ პირებს წარმოადგენდნენ.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის ძველი რედაქცია, რაც სიკვდილით დასჯის გამოყენების განსაკუთრებულ წესს ადგენდა და განაცხადა: „სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმე გვაქვს იმ შემთხვევასთან, როდესაც სახელმწიფოში არსებობდა სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება, სიკვდილით დასჯა, რაც თავის დროზე მოითხოვდა განსაკუთრებულ მოწესრიგებას. ამასვე ადასტურებს საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტიც, რომლის თანახმად “სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა, მის სრულ გაუქმებამდე, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ორგანული კანონით სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. ამ სასჯელის შეფარდების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოს.”¹⁰⁵

საკონსტიტუციო სასამართლოს სიკვდილით დასჯის განსაკუთრებულ კონსტიტუციურ რეგულირებაზე ხაზგასმა იმიტომ დასჭირდა, რომ ეს უკანასკნელი განესხვავებინა სხვა სასაჯელებისაგან, მათ შორის თავისუფლების აღკვეთისაგან: „საქართველოს კონსტიტუციამ, მართალია, სიკვდილით დასჯის სრულ გაუქმებამდე დაუშვა აღნიშნული სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება, მაგრამ იქვე განასხვავა იგი სხვა სასაჯელებისაგან და კონსტიტუციის ცალკე, განსაკუთრებული ნორმით განსაზღვრა როგორც მისი შეფარდების, ისე გამოყენების წესი.”¹⁰⁶

თავისთავად არა მხოლოდ სიკვდილით დასჯა ექვემდებარებოდა განსაკუთრებულ რეგულირებას, არამედ ამგვარი რეგულაცია ასევე ვრცელდებოდა სიკვდილით დასჯის აღმოფხვრასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზეც. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პრეზიდენტი

¹⁰⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 ივნისის #2/12/234,235,237,238 განჩინება, პ.1;

¹⁰⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 ივნისის #2/12/234,235,237,238 განჩინება, პ.3;

¹⁰⁶ იქვე;

იყო ის განსაკუთრებული თანამდებობის პირი, რომელსაც უფლება ჰქონდა სიკვდილმისჯილი პირების შეწყალებისას მათ მიმართ თავისუფლების აღკვეთა გამოეყენებინა. საკონსტიტუციო სასამართლომ პრეზიდენტის უფლებამოსილება - გამოეყენებინა სიკვდილმისჯილი პირების მიმართ სხვა სასჯელი - ამოიკითხა კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტში. ამ გაგებით ეს იყო გამონაკლისი საქართველოს კონსტიტუციის მე-18-ე მუხლის მე-2 პუნქტით სასამართლოსათვის დადგენილი ჩვეულებრივი უფლებამოსილებიდან - პირის მიმართ გამოეყენებინა თავისუფლების აღკვეთის ღონისძიება.

„საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სიკვდილმისჯილთა შეწყალების წესიც მაშინ მოქმედი ნორმატიული აქტების („მსჯავრდებულთა შეწყალების წესის შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1993 წლის 15 თებერვლის #20 ბრძანებულების მე-2 მუხლი - ”მსჯავრდებულთა შეწყალების შეფარდებისას შეიძლება გამოეყენებულ იქნეს: ა) სიკვდილით დასჯის შეცვლა თავისუფლების აღკვეთით ...) საფუძველზე იყო განსაკუთრებული და საქართველოს პრეზიდენტს აძლევდა უფლებას, შეეცვალა იგი სხვა უფრო მსუბუქი სასჯელით, რაც თავის მხრივ დასრულდა “სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების – სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ” საქართველოს კანონის მიღებით.”¹⁰⁷

„ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია თვლის, რომ საქართველოს პრეზიდენტის სადავო ბრძანებულებასა და საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტს შორის არ არსებობს მიმართება, ვინაიდან საქმე გვაქვს ორ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ურთიერთობასთან.”¹⁰⁸

2.2. სუბიექტები

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლების - სიკვდილით დასჯისაგან დაცვის - სუბიექტი იგივეა, ვინც ამავე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლებისა ზოგადად. კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი სიკვდილით დასჯისაგან იცავს ფიზიკურ პირს და არა იურიდიულ პირს, ვინაიდან მხოლოდ ადამიანს გააჩნია სიცოცხლის უფლება. „საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცული სიკეთე არის ადამიანის სიცოცხლე... სიცოცხლე ...არის ის სიკეთე, რაც შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ ფიზიკურ პირს, როგორც ცოცხალ არსებას.“¹⁰⁹

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლების - სიკვდილით დასჯისაგან დაცვის - სუბიექტის თაობაზე სასამართლომ იმსჯელა ერთი და იგივე საქმეზე მიღებულ ორი

¹⁰⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 ივნისის #2/12/234,235,237,238 განჩინება, პ.3;

¹⁰⁸ იქვე;

¹⁰⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის #2/3/441 განჩინება საქმეზე საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.5;

სხვადასხვა თარიღის განჩინებაში. 1997 წლის 15 იანვარს საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო არსებითად განსახილველად სარჩელი საქმეზე „მოქალაქე ლადო სანიკიძე და მოქალაქე კობა დავითაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. სასამართლოს აზრით, მოსარჩელები არ იყვნენ უფლებამოსილი პირები, ედავათ სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, რომლებიც სასჯელის სახით ითვალისწინებდნენ სიკვდილით დასჯას, სადავო ნორმებს არ დაურღვევიათ უშუალოდ მოსარჩელეთა კონსტიტუციური უფლებები. სასამართლომ აღნიშნა, რომ „ფიზიკურ პირს მხოლოდ მაშინ აქვს უფლება მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, როცა ნორმატიული აქტი არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებულ უშუალოდ მის უფლებებსა და თავისუფლებებს ... რაც შეეხება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას საზოგადოდ, ამისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია სუბიექტთა ფართო წრე - საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი, სასამართლო, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები, სახალხო დამცველი, რომელთაც გააჩნიათ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილება.“¹¹⁰

ამავე საქმეზე არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა საქმეში იმ მოქალაქის თანამოსარჩელედ ჩართვის თაობაზე, რომლის მიმართ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გამოიტანა განაჩენი სიკვდილით დასჯის შესახებ. სასამართლოს არ უთქვამს, რომ ეს მოქალაქე არ იყო უფლებამოსილი, ედავა კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი იყო ის, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა საკონსტიტუციო სასამართალწარმოებაში თანამოსარჩელის ჩაბმის შესაძლებლობას. მას დამოუკიდებელი სარჩელი უნდა წარედგინა.¹¹¹

ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლოს ადრეული განჩინებები მიუთითებენ იმაზე, რომ კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სიკვდილით დასჯისაგან დაცვის უფლების სუბიექტი შეიძლება ყოფილიყო ან თავად ის მსჯავრდებული, რომლის მიმართაც აღნიშნული სასჯელის ზომა იქნა გამოყენებული,¹¹² ან განსასჯელი, რომელსაც სიკვდილით დასჯის შეფარდება ემუქრებოდა.¹¹³

2.3. დასკვნა

- კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის ძველი რედაქციის განსაკუთრებული ბუნებიდან გამომდინარეობდა პრეზიდენტის

¹¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 15 იანვრის 1/7/20 განჩინება საქმეზე „მოქალაქე ლადო სანიკიძე და მოქალაქე კობა დავითაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

¹¹¹ იქვე;

¹¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 ივნისის #2/12/234,235,237,238 განჩინება;

¹¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 15 იანვრის #1/7/20 განჩინება;

უფლებამოსილება, სასამართლოსაგან დამოუკიდებლად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა შეწყალებული სიკვდილმისჯილი პირებისათვის.

- კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის სუბიექტები, სასამართლოს ადრეული გადაწყვეტილებით შეიძლება ყოფილიყვნენ პირები, რომელთა მიმართაც დამდგარი იყო სიკვდილით დასჯის შესახებ განაჩენები ან ამგვარი სასჯელი ემუქრებოდათ.

2.4. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მეორე პუნქტთან მიმართებით:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები

მოქალაქე ლადო სანიკიძე და მოქალაქე კობა დავითაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 15 იანვრის #1/7/20 განჩინება/

საქართველოს მოქალაქეების - ირაკლი კერესელიძე, მამედ გერგედავა, მალხაზ დოლიძე და მალხაზ დიასამიძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ; /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 ივნისის #2/12/234,235,237,238/

საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის #2/3/441 განჩინება/

მუხლი 16

ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

შესავალი

1. დაცული სფერო;
2. სუბიექტი;
3. დასკვნა;
4. საქმეები, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლში მითითებული უფლების დეკლარირებისას ყურადღება გამახვილებულია პიროვნებაზე. აქ არ არის აღნიშნული ისეთი ცნებები, რომლებიც გვხვდება სხვა მუხლებში (ადამიანი, მოქალაქე, პირი). ეს მუხლი განამტკიცებს დემოკრატიული საზოგადოების მთავარ მონაპოვარს, რომ ადამიანის პიროვნულობა უზენაესი ღირებულებაა. პიროვნულობა განსაზღვრავს ინდივიდის არსს, მიუთითებს ადამიანის ყველაზე მკაფიო და ტიპურ მახასიათებლებზე, რომლებიც მას სხვა ადამიანებისაგან განასხვავებს. ადამიანის პიროვნება მუდმივად იზრდება და ვითარდება, შესაბამისად, საკუთარი პიროვნების განვითარებისათვის მას ჭირდება თავისუფლება, თავისუფლების უფლების გარანტირებულობა. ინდივიდს სახელმწიფომ უნდა მისცეს ქვეყნის თავისუფლება, თანაც ეს უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ არ მოხდეს სხვათა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების არათანაზომადი და არასათანადო შეზღუდვა, კონსტიტუციური წესრიგის დარღვევა. შესაბამისად, აღნიშნული განაპირობებს იმას, რომ ადამიანის პიროვნულ თავისუფლებას სახელმწიფო უწყებს ფარგლებს. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ნაწილობრივ შეიძლება კერძო სამართლის იურიდიულ პირებზეც გავრცელდეს,¹¹⁴ თუმცა ამ მხრივ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა არ აქვს. რამდენადაც კონსტიტუციის მე-16 მუხლი იცავს არა რომელიმე კონკრეტულ თავისუფლებას, არამედ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას, ამდენად ის სუბსიდიარულია სხვა ძირითად უფლებებთან მიმართებაში. შესაბამისად, მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს კონსტიტუციის აღნიშნულ დებულებასა და კონსტიტუციის მე-20, 36-ე და 41-ე მუხლებს შორის. მიუხედავად ამ კავშირისა, განსხვავებულია პირადი ცხოვრების უფლების ის კომპონენტები, რომლებსაც კონსტიტუციის ზემოხსენებული მუხლები იცავენ. ამ განსხვავების შესახებ ვრცლად არის საუბარი კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტთან და 36-ე მუხლის პირველი პუნქტთან მიმართებით სასამართლოს პრაქტიკის კომენტარებში. ქვემოთ კი მხოლოდ კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით სასამართლო პრაქტიკაზე გვექნება საუბარი.

1. დაცული სფერო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კონსტიტუციის მე-16 მუხლით ადამიანის პირადი ცხოვრების განსაზღვრული კომპონენტია დაცული. ამის შესახებ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ პირველად განაცხადა „საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქმეზე მიღებულ განჩინებაში: „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება უამრავი უფლებრივი კომპონენტისაგან შედგება. ნიშანდობლივია, რომ პირადი ცხოვრების ფართო და მრავალმხრივი შინაარსიდან გამომდინარე,

¹¹⁴ ლ.იზორია, კ.კორკელია, კ.კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, „მერიდიანი“, თბილისი, 2005 წ. გვ.64;

შეუძლებელია მისი ზუსტი და ამომწურავი განმარტება... მეცდომა იქნებოდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების მთელი შინაარსის საქართველოს კონსტიტუციის მხოლოდ მე-20 მუხლით შემოფარგვლა. პირადი ცხოვრებას განკუთვნილი ცალკეული საკითხები დაცულია საქართველოს კონსტიტუციის არაერთი მუხლით, როგორებიცაა: მე-16, 36-ე, 41-ე.”¹¹⁵

ზემოხსენებულ განჩინებაში საკონსტიტუციო სასამართლოს არ დაუკონკრეტებია პირად ცხოვრებას მიკუთვნებულ რომელ საკითხს იცავდა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი. სამაგიეროდ, კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულ სფეროზე უფრო ნათელი და ამომწურავი პასუხი გასცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე მაჭარაშვილი და დავით სართანია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“.

აღნიშნულ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა ოჯახის წევრთან შესახვედრად პატიმრისათვის დაწესებული შეზღუდვა. საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ აღნიშნული შეზღუდვით სახელმწიფო ერეოდა არა კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ პირადი ცხოვრების ხელშეუვალობის უფლებაში, არამედ კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებულ უფლებაში, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფო ზღუდავდა პატიმარის პერსონალურ კავშირს გარესამყაროსთან. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: „საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი არ მოიცავს პირადი ცხოვრების უფლების ყველა ასპექტს... ოჯახურ ურთიერთობებს, ისევე როგორც სხვა პერსონალურ კავშირებს ადამიანთა გარკვეულ წრესთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების ავტონომიურობის, მისი თავისუფალი და სრულყოფილი განვითარების უზრუნველსაყოფად. სწორედ ამიტომ, საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი საგანგებოდ ითვალისწინებს თავისუფალი განვითარების უფლებას.”¹¹⁶

ამავე განჩინებაში სასამართლომ ვრცლად ისაუბრა სხვა ადამიანებთან პერსონალური კავშირის შენარჩუნებაზე, როგორც პირადი ცხოვრების უფლების და პიროვნული განვითარების უფლების განსაკუთრებულ ასპექტზე:

„პირადი ცხოვრების კონსტიტუციური უფლება თავისუფლების კონცეფციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ეს არის პიროვნების უფლება მისი შეხედულებით ჩამოაყალიბოს და განავითაროს ურთიერთობები სხვა ადამიანებთან, განსაზღვროს საკუთარი ადგილი, დამოკიდებულება და კავშირი გარე სამყაროსთან. პირადი ცხოვრების უფლება არის თითოეული ინდივიდის დამოუკიდებელი განვითარების საფუძველი. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ

¹¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/7/454 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.1;

¹¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე მაჭარაშვილი და დავით სართანია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ, II.3.21;

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა არის ინდივიდის ავტონომიურობის, დამოუკიდებელი განვითარების, მისი ღირსების დაცვის წინაპირობა.”¹¹⁷

პირადი ცხოვრების თავისუფლების ფარგლებში იგულისხმება ინდივიდის ფიზიკური და სოციალური იდენტობის, ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სახელის, ინტიმური ცხოვრების ხელშეუვალობა, ასევე პირის უფლება დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობა ადამიანებთან და გარე სამყაროსთან და სხვა.¹¹⁸ პირადი ცხოვრების განსხვავებულ ასპექტს წარმოადგენს და მხოლოდ 36-ე მუხლით დაცვას ექვემდებარება¹¹⁹ (ოჯახის კეთილდღეობის უფლება). „... პირადი ცხოვრება მოიცავს კავშირსა და ურთიერთობებს ოჯახის წევრებთან და მის „ახლო წრესთან”. ოჯახური ცხოვრება მოიცავს ქორწინების ან ფაქტობრივი თანაცხოვრების შედეგად მეუღლეებს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს, ადამიანის უფლებას განავითაროს კავშირები ოჯახის წევრებთან და ბიოლოგიურ ნათესავებთან. ასეთი ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის თავისუფლებას, მისი ნების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობას.”¹²⁰

სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, რომლებშიც მოსარჩელეებმა არასწორად გაიგეს კონსტიტუციის მე-16 მუხლის შინაარსი.

საქმეში „საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე ძიმისტარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მოსარჩელე ითხოვდა „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის” სადავო ნორმის შესაბამისობის დადგენას საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით.¹²¹ სადავო ნორმა 25 წლის ასაკის მიღწევისას ითვალისწინებდა პირის გაწვევას სავალდებულო სამხედრო სამსახურში, იმის მიუხედავად, რომ მას გადახდილი ჰქონდა 18 თვის მოსაკრებელი და 25 წლის ასაკის შესრულების მომენტისათვის 18 თვიანი ვადა არ იყო გასული.¹²² მოსარჩელის წარმომადგენელმა სასამართლოს განუცხადა, რომ სამსახურის გადავადების უფლება არის არა კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებული, არამედ კანონმდებლობით მინიჭებული უფლება.¹²³

დასახელებულ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელი არ მიიჩნია დასაბუთებულად და განაცხადა: მოსარჩელე მხარე განმარტავს, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების უფლება არ არის კონსტიტუციური უფლება. სადავო ნორმასა და კონსტიტუციის

¹¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება, II.3.4;

¹¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება, II.3.5;

¹¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება, II.3.21;

¹²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება, II.3.6-7;

¹²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 19 ოქტომბრის # 2/6/474 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე ძიმისტარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I.3.2;

¹²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 19 ოქტომბრის # 2/6/474 განჩინება, I.3.3;

¹²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 19 ოქტომბრის # 2/6/474 განჩინება, I.3.8;

ნორმას შორის შესაძლო წინააღმდეგობა მაშინ გამოიკვეთებოდა, თუ იგი შეეცდებოდა დასაბუთებას, რომ გადავადების უფლება საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის საფუძველზე მინიჭებული უფლებაა. თუ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების უფლების საკითხის გადაწყვეტა კანონმდებლის დისკრეციაა და არა კონსტიტუციური ნორმით განპირობებული აუცილებლობა, მაშინ მოსარჩელის მსჯელობა სადავო ნორმისა და საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის შესაძლო წინააღმდეგობის თაობაზე უსაფუძვლოა. როდესაც კონსტიტუცია კანონმდებელს არ ავალებს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების უფლების მინიჭებას ახალწვეულებისთვის და ეს კანონმდებლის ნებაზეა დამოკიდებული, გაუგებარია ნებისმიერი მტკიცება იმის შესახებ, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი აღნიშნული უფლების ჩამორთმევას უზღუდავს კანონმდებელს.¹²⁴

საქმეში „საქართველოს მოქალაქე ივანე პეტრიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მოსარჩელე სადავოდ ხდიდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში მიღებულ ცვლილებებს, რომლითაც მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების ასაკი გაიზარდა 23 წლიდან 25 წლამდე. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ ვინაიდან იყო 23 წლის, ვერ შეძლო მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობის მიღება. ამით, მოსარჩელის აზრით, დაირღვა მისი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.¹²⁵

საკონსტიტუციო სასამართლომ გამართლებულად ჩათვალა ცალკეული უფლებების სარგებლობისათვის ასაკობრივი ზღვრის დაწესება: „საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რიგ შემთხვევებში კონკრეტული უფლებით სარგებლობისათვის დადგენილია ასაკობრივი ზღვარი, რაც უზრუნველყოფს უფლების სწორად და სრულყოფილად რეალიზაციისთვის ადეკვატური შესაძლებლობების, ცოდნის, უნარის და გამოცდილების მინიმალურ არსებობას. შესაბამისად, ამ გარემოებებთან უნდა იყოს დაკავშირებული ახალი ასაკობრივი ზღვრის დადგენა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლებით სარგებლობისთვისაც.“¹²⁶

ამასთან, სასამართლომ განაცხადა, რომ მოსამართლის თანამდებობის დაკავება, ისევე როგორც მხოლოდ საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება მოსამართლის თანამდებობის დაკავების თანმდევი შედეგის გარეშე, არ იყო დაცული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით: „ვინაიდან გამოცდის მიზანს წარმოადგენს მოსამართლის თანამდებობის დაკავების უფლების წარმოშობა, ის გამოიხატება კონკრეტული კანდიდატის პროფესიული განათლებისა და უნარ-ჩვევების შემოწმებაში და არა ცოდნის ან განვითარების დონის ამოწმებაში...მოსარჩელეს არ დაუსახელებია არცერთი არგუმენტი იმის დასაბუთებლად, რომ მოსამართლის თანამდებობის დაკავება, რასაც ემსახურება საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან თუნდაც

¹²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 19 ოქტომბრის # 2/6/474 განჩინება, II.პ.3;

¹²⁵ საქართველოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 4 აპრილის #1/2/414 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ივანე პეტრიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 4 აპრილის #1/2/414 განჩინება, პ.1;

მხოლოდ საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, მოსამართლის თანამდებობის დაკავების სურვილის გარეშე, ექცევა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით აღიარებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით დაცვის ფარგლებში.¹²⁷

საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად არ მიიღო სარჩელი საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე მათა ხუციშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. მოსარჩელები მიიჩნევდნენ, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ჩატარებისა და შეწყვეტის ვადები უნდა ყოფილიყო ყველასათვის ხელმისაწვდომი. მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ გასაჩივრებული ნორმა ითვალისწინებს აღნიშნული ვადების გასაიდუმლოებას, რითაც ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებული პიროვნული განვითარების უფლება. მოსარჩელეთა აზრით, წინააღმდეგობა იმაში გამოიხატებოდა, რომ მე-16 მუხლით დაცული უფლება გულისხმობს საკუთარი თავისა და იდენტობის სახელმწიფოსგან განრიდების უფლებას. სადავო რეგულირებით კი სახელმწიფოს შეუძლია შეაგროვოს პიროვნების ვინაობის შესახებ მონაცემები ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების მეშვეობით, რომელთა ჩატარების ვადები გასაიდუმლოებულია, რაც ადამიანს უკარგავს საკუთარ პიროვნებაზე გარედან ჩარევისგან თავისუფალი კონტროლის შესაძლებლობას.¹²⁸

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა მოსაზრება და განაცხადა, რომ „კონსტიტუციურ სარჩელში არ არის გამოკვეთილი აშკარა და ცხადი შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და კონსტიტუციის მე-16 მუხლს ... შორის.“¹²⁹ სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მიერ სადავოდ არ გამხდარა სადავო ნორმის რეალური შინაარსი. სადავო ნორმა აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოსათვის უწყებრივი ნორმატიული აქტის გამოცემის უფლებამოსილების დელეგირებაზე მიუთითებდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ „უწყებრივი ნორმატიული აქტის გასაიდუმლოება მოხდება თუ არა, ეს სრულიად სცდება სადავო ნორმის მოქმედების სფეროს და დამოკიდებულია ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელ კანონმდებლობაზე, მათ შორის, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონზე.“¹³⁰

2. სუბიექტები

საქმეში „საქართველოს მოქალაქე მათა ასაკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მოსარჩელე სადავოდ ხდიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მთელ რიგ ნორმებს, რომლებიც არეგულირებს სასამართლოს მიერ პირის ქმედუუნაროდ აღიარებასთან დაკავშირებულ პროცედურებს,

¹²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 4 აპრილის #1/2/414 განჩინება, 3.1;

¹²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის 1/4/515 განჩინება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე მათა ხუციშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I.3.6;

¹²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის 1/4/515 განჩინება, II.3.4;

¹³⁰ იქვე;

მეურვისა და მზრუნველის, როგორც პირის კანონიერი წარმომადგენლის, უფლება-მოვალეობებსა და საკუთრივ ქმედუუნაროდ აღიარებულ პირთან დაკავშირებულ საკითხებს.¹³¹

აღნიშნულ საქმეში მოსარჩელეს წარმოადგენდა გონებრივი ჩამორჩენილობის საფუძველზე ქმედუუნაროდ ცნობილი პირის მეურვე.¹³² მოსარჩელე მხარის მტკიცებით, სადავო ნორმები წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან, რომელიც განამტკიცებს ადამიანის უფლებას, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი ცხოვრების ყველა სფეროსთან დაკავშირებით და განამტკიცებს პიროვნული თვითგამორკვევისა და ავტონომიურობის პრინციპებს. მოსარჩელის აზრით, სადავო ნორმები გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან ქმედუუნაროდ აღიარებული პირის სრული გამორიცხვით, როცა მის ნებას ანაცვლებენ მეურვის/მზრუნველის ნებით, აღნიშნული პრინციპების საწინააღმდეგოდ ერევიან პიროვნების განვითარების უფლებაში. მოსარჩელის განმარტებით, ქმედუუნარობის ინსტიტუტი შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს, რომ გონებრივი ჩამორჩენილობის საფუძველზე ქმედუუნაროდ ცნობილი პირი, მთელ რიგ შემთხვევებში, მონაწილეობდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და საამისოდ განვიითაროს სათანადო უნარები, რათა ადამიანის ძირითად თავისუფლებაში ჩარევა განხორციელდეს ნაკლებად შემზღვეველი ღონისძიებებით.¹³³

საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო აღნიშნული სარჩელი არსებითად განსახილველად, ვინაიდან იგი შეტანილი იყო არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ. სასამართლომ მიუთითა, რომ კონსტიტუციურ სარჩელზე მოსარჩელედ მითითებული იყო და სარჩელზე ხელს აწერდა ქმედუუნაროდ ცნობილი პირის მეურვე.¹³⁴ სასამართლომ განცხადებით, გასაჩივრებული ნორმები ეხებოდა ქმედუუნაროდ ცნობილ პირს და შესაბამისად, კონსტიტუციის მე-16 მუხლით აღიარებული უფლების დარღვევასთან დაკავშირებით, სასამართლოსთვის უნდა მიემართა, არა მეურვეს საკუთარი სახელით, არამედ თავად ქმედუუნაროდ ცნობილ პირს. “პირს აქვს შესაძლებლობა, იდავოს მხოლოდ უშუალოდ საკუთარი უფლებების დარღვევაზე და არ არის უფლებამოსილი, სასამართლოს მიმართოს სხვისი უფლებების დასაცავად.”¹³⁵ მოსარჩელე „გვევლინება არა მისი, არამედ სხვა პირის, ამ შემთხვევაში მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის უფლებების დამცველად. საკონსტიტუციო სამართალწარმოება არ აღჭურავს პირებს სასამართლოსთვის „actio popularis” საშუალებით მიმართვის და ამ ფორმით სხვისი უფლებების დასაცავად სასამართლო დავის წარმოების უფლებამოსილებით.”¹³⁶ სასამართლომ განმარტა, რომ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების მარეგლამენტირებელი კანონმდებლობა სასამართლოსათვის მიმართვის უფლებამოსილების თვალსაზრისით ერთმანეთისაგან არ მიჯნავს პირებს

¹³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის #2/3/514 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ასაკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I.პ.4;

¹³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის #2/3/514 განჩინება, I.პ.5;

¹³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის #2/3/514 განჩინება, I.პ.9;

¹³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის #2/3/514 განჩინება, II.პ.3;

¹³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის #2/3/514 განჩინება, II.პ.2;

¹³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის #2/3/514 განჩინება, II.პ.5;

მათი გონებრივი თუ სხვაგვარი შესაძლებლობების მიხედვით. უფრო მეტიც, სამოქალაქო კანონმდებლობისაგან განსხვავებით, კონსტიტუციური სამართალწარმოება საერთოდ არ იცნობს ქმედუუნარობის ინსტიტუტს. შესაბამისად, ...სასამართლოსათვის მიმართვის სუბიექტებში იგულისხმება ნებისმიერი პირი, მათ შორის ისეთებიც, რომელებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ქმედუუნაროდ ითვლებიან.¹³⁷

3. დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შემდეგ შესაძლებელია შემდეგი ძირითადი საკითხების განსაზღვრა:

- კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულია პირადი ცხოვრების უფლების ისეთი ასპექტი, რომელიც დაკავშირებულია გარესამყაროსთან პიროვნული კავშირების განვითარებასა და შენარჩუნებასთან;
- კონსტიტუციის მე-16 მუხლი ადგენს ადამიანის ავტონომიურობის გარანტიებს;
- როდესაც ადამიანის სოციალური კავშირი ქორწინებითა და ოჯახით შემოიფარგლება, წარმოდგენილია არა კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცული სფერო, არამედ კონსტიტუციის 36-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება;
- კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებული უფლებით ვერ ისარგებლებს პირი, თუკი ასაბუთებს, რომ კონკრეტული მოთხოვნა არა კონსტიტუციის აღნიშნული დებულებიდან, არამედ მიმდინარე კანონმდებლობიდან გამომდინარეობს;
- კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულ სფეროში არ ექცევა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების და თანამდებობის დაკავების უფლება;
- განსაზღვრული უფლებების სრულყოფილად განხორციელებასთან დაკავშირებით დასაშვებია ასაკობრივი შეზღუდვების დაწესება;
- კონსტიტუციური სამართალწარმოება არ იცნობს ქმედუუნარობის ინსტიტუტს. შესაბამისად, სასამართლოსათვის მიმართვის სუბიექტებში იგულისხმება ნებისმიერი პირი, მათ შორის ისეთებიც, რომელებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ქმედუუნაროდ ითვლებიან.

4. საქმეები, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები:

საქართველოს მოქალაქე ივანე პეტრიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საქართველოს /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 4 აპრილის #1/2/414 განჩინება/

¹³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის #2/3/514 განჩინება II,პ.4;

საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/7/454 განჩინება/

საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე მაჭარაშვილი და დავით სართანია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე ძიმისტარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 19 ოქტომბრის #2/6/474 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე მია ასაკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის #2/3/514 განჩინება/

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე მია ხუციშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის #1/4/515 განჩინება/

მუხლი 17

1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია .
2. დაუშვებელია ადამიანის წამება , არაკუმანური , სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება .
3. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებამეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება .

(საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი #4137-სსმI, #3, 11.01.2007წ., მუხ.48)

შესავალი

1. მე-17 მუხლის პირველი პუნქტი
 - 1.1. დაცული სფერო
 - 1.2. უფლების აბსოლუტური ხასიათი
 - 1.3. სუბიექტი
 - 1.4. დასკვნა
 - 1.5. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით
2. მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი
 - 2.1. დაცული სფერო
 - 2.2. წამებისაგან დაცვის უფლება
 - 2.3. არაკუმანური, სასტიკი, პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან დაცვის უფლება
 - 2.4. არაკუმანური და სასტიკი სასჯელის გამოყენებისაგან დაცვის უფლება
 - 2.5. სუბიექტები
 - 2.6. დასკვნა
 - 2.7. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით
3. მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი
 - 3.1. დაცული სფერო
 - 3.2. სუბიექტი
 - 3.3. დასკვნა
 - 3.4. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით განმტკიცებული გარანტიები აბსოლუტური ხასიათისაა. განსხვავებით კონსტიტუციის სხვა ნორმებისაგან, რომლებიც უშვებენ უფლებაში ჩარევის შესაძლებლობას, დასახელებული მუხლი გამორიცხავს ყოველგვარ გამონაკლისს ამ მხრივ, რითაც ის განამტკიცებს დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებებს. თავისი აბსოლუტური და კატეგორიული ბუნებიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი თავის თავში მოიცავს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, რომ მან კონსტიტუციის ნორმის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში განახორციელოს ყოველმხრივი და ეფექტიანი გამოკვლევა დარღვევის ფაქტის დადგენისა და სამართლებრივი დასჯის მიზნით.

1. მე-17 მუხლის პირველი პუნქტი

1.1. დაცული სფერო

საქმეში „საქართველოს მოქალაქე მაია ნათამე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ მოსარჩელები ასაჩივრებდნენ ნორმატიულ აქტებს, რომლითაც მათ ვადამდე შეუწყდათ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობით ორგანოებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. მოსარჩელეთა განმარტებით: „უნივერსიტეტის მართვა-გამგეობაში მონაწილეობის აკრძალვითა და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტით მოხდა მოსარჩელეთა მიმართ უნდობლობის გამოცხადება სახელმწიფოს მხრიდან, მათი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფა. ამგვარმა მოპყრობამ მოსარჩელებში გამოიწვია უსამართლობის განცდა, ძლიერი სულიერი ტანჯვა და ტკივილი.“ ამის გამო მოსარჩელებმა მოითხოვეს სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა მე-17 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებაში.¹³⁸

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა რა მოსარჩელეთა პოზიცია, მიიჩნია, რომ კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით დაცული პატივისა და ღირსების კონსტიტუციურ-სამართლებრივი განმარტება ფართო შინაარსის მატარებელია და განსხვავდება ამ ცნებათა სამოქალაქო-სამართლებრივი გაგებისაგან. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ღირსების კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტი გულისხმობს სოციალურ მოთხოვნილებას ადამიანის პატივისცემაზე. პატივისა და ღირსების კონსტიტუციურ-სამართლებრივი ცნებისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს საზოგადოების მხრიდან პიროვნების შეფასებას ან თავად ინდივიდის მიერ საკუთარი თავის თვითშეფასებას. „კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ნორმის შესაბამისად მთავარი ღირებულება არის ადამიანი, როგორც თვითმყოფადი, თავისუფალი და სხვა ადამიანების თანასწორი სუბიექტი.

¹³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ნათამე და სხვები საქართველოს პარლამენტის და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, I.პ.5;

ადამიანის ღირსების დაცვა არის ის, რაც უპირობოდ ეკუთვნის ყველა ადამიანს სახელმწიფოსაგან...ღირსება ადამიანს აქვს იქედან გამომდინარე, რომ ის ადამიანია და ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ გააჩნია საზოგადოების შეხედულებას მასზე, ან მის სუბიექტურ თვითშეფასებას. ადამიანის ღირსების პატივისცემა გულისხმობს ყოველი ადამიანის პიროვნულ აღიარებას, რომლის ჩამორთმევა და შეზღუდვა დაუშვებელია. სახელმწიფოსათვის ადამიანი არის უმთავრესი მიზანი, პატივისცემის ობიექტი, მთავარი ფასეულობა და არა მიზნის მიღწევის საშუალება და ექსპლუატაციის ობიექტი.¹³⁹

საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქე მათა ნათამე და სხვები საქართველოს პარლამენტის და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ პატივისა და ღირსების ცნებათა კონსტიტუციურ-სამართლებრივი განმარტებით და სამოქალაქო-სამართლებრივი გაგებისაგან მათი გამიჯვნით, შეცვალა თავისი ადრინდელი მიდგომა ამ საკითხისადმი. 1999 წლის 29 აპრილის #2/76/1 განჩინებაში საქმეზე „ირაკლი ბერიაშვილი და ვიქტორ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული პატივისა და ღირსების განმარტებას შეეცადა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის გამოყენების გზით. აღნიშნულ საქმეში სასამართლო აცხადებდა:

„პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავს მის პატივსა და ღირსებას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერება. ასევე პირს, რომლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის იმავე საშუალებებში.“¹⁴⁰

საქმეში „მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლომ მე-17 მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის უფლება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად მიიჩნია, როდესაც განიხილავდა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის კონსტიტუციურობას.¹⁴¹

ამავე საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1999 წლის კომენტარებზე და განმარტა კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებული პატივისა და ღირსების არსი: „პატივის“ ქვეშ იგულისხმება პიროვნების მორალური თუ სხვა თვისებების ობიექტური შეფასება საზოგადოების მიერ, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას პიროვნების მიმართ. ხოლო „ღირსების“ ქვეშ იგულისხმება პიროვნების მორალური თუ სხვა თვისებების შეფასება თავად პიროვნების მიერ.“¹⁴² როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პატივისა და ღირსების

¹³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება, II.პ.30;

¹⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 29 აპრილის #2/76/1 განჩინება საქმეზე ირაკლი ბერიაშვილი და ვიქტორ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.3;

¹⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის #2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.პ.3;

¹⁴² იქვე;

ცნებების განმარტების აღნიშნული სამოქალაქო-სამართლებრივი საფუძველი უარყოფილია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმეზე „მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქმეში „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ღირსება არის არა მხოლოდ უფლება, არამედ ამავე დროს ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა და უკავშირდება სხვა ძირითადი კონსტიტუციური უფლებები. სასამართლომ განაცხადა, რომ „ღირსების ხელყოფა, ფაქტიურად, ყოველთვის უკავშირდება სხვა ძირითადი უფლების ან უფლებების დარღვევას.“¹⁴³

ღირსებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი მიდგომა არ უნდა იქნეს იმგვარად გაგებული, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული „ღირსება“ გამორიცხულია კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცული სფეროდან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქეები-გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ კონსტიტუციით დაცულია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული პატივისა და ღირსების უფლებაც, რადგან შეუძლებელია ღირსების უფლების ამომწურავად განმარტება თავად „ღირსების“ ცნების ფართო შინაარსის გამო. თუმცა, სასამართლომ აქ კიდევ ერთხელ მიუთითა ღირსების უფლების შინაარსის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გაგების შესახებ, რომელიც განსხვავდება ამ ცნების სამოქალაქო-სამართლებრივი გაგებისაგან. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა: „ღირსება ვერ იქნება გაგებული როგორც სუბიექტური სიკეთე, რომელიც განსხვავდება ყოველი ადამიანისთვის. ღირსების უფლების ასეთი გაგება წინააღმდეგობაში მოვიდოდა თავად უფლების ცნებასთან, რადგან „უფლებად“ ვერ ჩაითვლება ის სიკეთე, რომლის ფარგლები განსხვავდება სხვადასხვა ადამიანისთვის მათი სუბიექტური შეხედულებების გამო. უფლება თავისთავად გულისხმობს ადამიანის იმ ინტერესს, რომელიც გარკვეული ხარისხით უნივერსალობისა და ობიექტურობის კრიტერიუმს აკმაყოფილებს.“¹⁴⁴

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ ადამიანის ღირსება ძირითად კონსტიტუციურ პრინციპებს დაუკავშირა. სასამართლოს განმარტებით: „ძირითადი კონსტიტუციური პრინციპები წარმოადგენენ ადამიანის ღირსების დაცვის სამართლებრივ გარანტიას. ადამიანის ღირსება და პიროვნული თავისუფლება კი მის ძირითად უფლებებში, მათ ადეკვატურ დაცვასა და სრულად განხორციელებაში გამოიხატება. ამიტომ ამ უფლებებში სახელმწიფოს არათანაზომიერი,

¹⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.31;

¹⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის 1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.4;

გადამეტებული ჩარევა ხელყოფს ადამიანის ღირსებასაც.”¹⁴⁵

საქმეში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ადამიანის, როგორც თავისუფალი, ღირსების მქონე არსების მახასიათებლით ახსნა სახელმწიფოს ვალდებულება - უზრუნველყო მის პირად ცხოვრებაში სახელმწიფოსა და კერძო პირების ჩარევის მინიმუმამდე შემცირება.¹⁴⁶

ღირსებასა და ადამიანის სხვა კონსტიტუციურ უფლებებს შორის კავშირის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა საქმეში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. სასამართლოს განმარტებით: „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, ყველა სხვა უფლების მსგავსად, ადამიანის ღირსების გამოხატულებაა.¹⁴⁷ საქმეში „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ადამიანის ღირსების პატივისცემის გამოხატულებას წარმოადგენს რწმენის თავისუფლება, ისევე როგორც ყველა სხვა უფლება.¹⁴⁸

ღირსება არა მხოლოდ კონკრეტული ძირითადი უფლების გამოხატულებას წარმოადგენს, არამედ ის უშუალოდ უკავშირდება იმ ნიშნებსაც, რაც კონსტიტუციის მე-14 მუხლის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძველს წარმოადგენს. როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა: საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის „ჩამონათვალში მითითებული ნიშნები მომდინარეობს ადამიანის იდენტობის გამომხატველი ფაქტორებიდან, ემყარება მათი ღირსების პატივისცემას და გააჩნია თავისი ისტორიული წანამდღვრები.”¹⁴⁹

„დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქმე ეხებოდა საკუთრების უფლებას. სასამართლოს განმარტებით, საკუთრების უფლების დაცვა ადამიანის ღირსების პატივისცემაა. „უმთავრესი კონსტიტუციური ღირებულების, ადამიანის ღირსების პატივისცემა მისი სოციალური და ეკონომიკური კონტექსტის

¹⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ევატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.3;

¹⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის #2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.15;

¹⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის #1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.2;

¹⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის #1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ II.3.4;

¹⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის 2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ, II.3.1;

ფარგლებში, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საკუთრების უფლების სრულფასოვან რეალიზებაზე.¹⁵⁰

„საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქმეზე განსხვავებულ აზრში მოსამართლეებმა განაცხადეს, რომ ზოგადად სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპის რეალიზება ემსახურება ადამიანის ღირსების პატივისცემას. მოსამართლეების თქმით: „სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ემსახურება უპირველესად უსაფრთხოების, ადამიანის ღირსების და თავისუფლების შენარჩუნებას. ამ თვალსაზრისით, ეს არის სახელმწიფოს მუდმივი მიზანი. ამიტომ ამ პრინციპის ძირითად არსს წარმოადგენს: 1)სოციალური უსაფრთხოების შექმნა; 2)სოციალური სამართლიანობის მიღწევა; 3)საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფა; 4)ზოგადი კეთილდღეობის დამკვიდრება საზოგადოებაში.“¹⁵¹

„ღირსების“ ცნება კიდევ უფრო განავრცო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქეები - დავით ჯიმშელიძევილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიძევილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. სასამართლომ ღირსება ადამიანის ბუნებით უფლებებს დაუკავშირა და ყველა ის უფლება, რაც ღირსების გამოხატულებას წარმოადგენს, ადამიანის თანდაყოლილ და არა ნაწარმოებ სიკეთედ მიიჩნია. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „ადამიანის ღირსება და მისი პიროვნული თავისუფლება, ძირითად, ბუნებით უფლებებში გამოიხატება. ეს უფლებები იმით გამოირჩევიან, რომ წარმოადგენენ ადამიანის თანდაყოლილ და არა ნაწარმოებ უფლებებს. ადამიანი იბადება ამ უფლებებით, რაც საფუძველშივე ავალდებულებს სახელმწიფოს, ადეკვატურად უზრუნველყოს ყოველი ადამიანის პიროვნული თავისუფლების სრული თვითრეალიზაციის შესაძლებლობა.“¹⁵²

საკონსტიტუციო სასამართლომ ღირსების, როგორც ადამიანის უფლების უნივერსალური და განუყოფელი ხასიათი, ყველა ადამიანზე მათი თანაბარი და ერთნაირი მოქმედების საკითხი კიდევ უფრო დააკონკრეტა საქმეში „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, როდესაც განაცხადა: „უნივერსალური ხასიათის ადამიანის უფლებებს ახასიათებს ამ უფლებათა თანაბარი გავრცელება ყველაზე და მათი განუყოფელი ხასიათი. უფლებათა განუყოფელი ხასიათი გულისხმობს იმას, რომ ეს უფლებები წარმოადგენენ თანდაყოლილ უფლებებს, რომლებიც ადამიანს თავისთავად უკავშირდებიან. ადამიანის უფლებათა კონცეფცია ემსახურება უმთავრესი იმპერატივის, ადამიანის ღირსების დაცვას, რომელიც აისახება კიდევ აღნიშნულ უფლებებში და რომელთან დაკავშირებითაც

¹⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.პ.38;

¹⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს #1/2/434/ გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, მოსამართლეების ქეთევან ერემადის და ბესარიონ ზოიძის განსხვავებული აზრი, პ.9;

¹⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - დავით ჯიმშელიძევილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიძევილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.პ.5;

სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის წევრებს შორის ფართო კონსენსუსი არსებობს.”¹⁵³

საქმეში „საქართველოს მოქალაქე მათა და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, როგორც ზემოთაღნიშნა, უმაღლეს სასწავლებლებში არსებული მართვის ორგანოების გაუქმებით და მასში არჩეულ პირთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლით მოსარჩელებმა შრომითი უფლებები დაუკავშირეს პატივისა და ღირსების ხელშეუვალობის უფლებას. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე არ დაადგინა ადამიანის პატივისა და ღირსების დარღვევა. სასამართლოს გადაწყვეტილებაში განვითარებული აზრის შესაბამისად, სადავო ნორმების მიზანს წარმოადგენდა უმაღლეს სასწავლებლებში რეფორმების გატარება.¹⁵⁴ სახელმწიფოს მოქმედებას (რეფორმის გატარებას) გააჩნდა მკაფიოდ გამოხატული მიზანი, რომელიც თავის მხრივ ემსახურებოდა ადამიანის ღირსების დაცვას.¹⁵⁵ თანამდებობის დატოვება შეიძლება იწვევდეს არასასიამოვნო სუბიექტურ განცდებს, მაგრამ სასამართლოს ამოცანას მათი შესწავლა არ წარმოადგენს... თუმცა, ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობის უფლება ავალდებულებს სახელმწიფოს, კანონმდებლობის შექმნის მიზნად არ დაისახოს ადამიანის დამცირება, მისი მიზნის მიღწევის საშუალებად განხილვა.¹⁵⁶

საქმე „საქართველოს მოქალაქე მათა და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ არ იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მოსარჩელებმა შრომითი ურთიერთობების განხილვა პატივისა და ღირსების ხელშეუვალობის უფლებასთან მიმართებით მოითხოვეს. საქმეში „საქართველოს მოქალაქე ცისანა კოტაევა და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის მე-5 პუნქტით ირღვეოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი. სადავო ნორმის თანახმად, „პირველად არჩეულმა დირექტორმა რეგისტრაციიდან 1 თვის ვადაში უზრუნველყოს ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ყველა მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება.“¹⁵⁷ საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო სარჩელი არსებითად განსახილველად და აღნიშნა, რომ მოსარჩელებმა ვერ წარმოადგინეს არგუმენტაცია იმის შესახებ, თუ რა ურთიერთმიმართება არსებობს სადავო ნორმასა და კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ პუნქტს შორის.¹⁵⁸ სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობის შესაბამისად, სადავო ნორმის შინაარსი ვერ დაარღვევს პირის პატივისა და ღირსებას,

¹⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.პ.43;

¹⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება, II.პ.7;

¹⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება, II.პ.31;

¹⁵⁶ იქვე;

¹⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 5 ოქტომბრის #2/4/420 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ცისანა კოტაევა და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I.პ.3;

¹⁵⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 5 ოქტომბრის #2/4/420 განჩინება, II.პ.3;

რადგან სადავო ნორმა არ ზღუდავს მასწავლებლის უფლებას. იგი პირიქით, ავალებს ახალი წესით პირველად არჩეულ დირექტორს, რეგისტრაციიდან 1 თვის ვადაში უზრუნველყოს ყველა მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება.¹⁵⁹

საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო არსებითად განსახილველად სარჩელი საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ეკატერინე ცინდელიანი და რუსლან ჩემია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. მოსარჩელე მოითხოვდა, „აფხაზეთში კონფლიქტების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების იმ დებულების არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლითაც საქართველოს ხელისუფლება არ აღიარებდა დე-ფაქტო აფხაზეთის ხელისუფლების მიერ გაცემულ სამოქალაქო აქტებს. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმა არღვევდა მის პატივსა და ღირსებას. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საერთო სასამართლომ არასწორად გამოიყენა დადგენილება, როდესაც მტკიცებულებად არ მიიღო 1958 წელს გაცემული დოკუმენტი. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ სადავო ნორმის ჩამონათვალი თავისთავად არ შეიცავს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებათა შემლახავ დებულებებს.¹⁶⁰

1.2. უფლების აბსოლუტური ხასიათი

საქმეში „საქართველოს მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პატივისა და ღირსების ხელშეუვალობის უფლება არის აბსოლუტური და კონსტიტუცია არ იძლევა მისი შეზღუდვის შესაძლებლობას. არ არსებობს რომელიმე კონსტიტუციური ნორმა, რომელიც გამონაკლის წესს დაადგენს და კონსტიტუციის მე-17 მუხლით აღიარებულ უფლებას შეზღუდავს. პატივისა და ღირსების ხელშეუვალობის უფლება ასევე არ იზღუდება საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლის შესაბამისად, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროსაც კი. როგორც თავად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა:

„არის აბსოლუტური უფლებები, რომლებიც შეზღუდვას არ ექვემდებარება. ზუსტად ასეთ უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება პატივისა და ღირსების ხელშეუვალობის უფლება. ამ უფლების უზრუნველყოფელი მე-17 მუხლი, სხვა მუხლებისგან განსხვავებით, არ მოიცავს დათქმას მისი შესაძლო შეზღუდვის თაობაზე. ეს უფლება არ არის ასევე მოხსენიებული საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებებს შორის, რომელთა შეზღუდვა დაიშვება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.“¹⁶¹

¹⁵⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 5 ოქტომბრის #2/4/420 განჩინება, II.პ.4;

¹⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 28 თებერვლის #2/4/173 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ეკატერინე ცინდელიანი და რუსლან ჩემია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის #2/1/241 გადაწყვეტილება, პ.1;

1.3. სუბიექტი

საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს რა პატივისა და ღირსებას, მიუთითებს, რომ აღნიშნული სიკეთის მატარებელია ადამიანი: „კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ნორმის შესაბამისად, მთავარი ღირებულება არის ადამიანი როგორც თვითმყოფადი, თავისუფალი და სხვა ადამიანების თანასწორი სუბიექტი... ღირსება ადამიანს აქვს იქედან გამომდინარე, რომ ის ადამიანია ... ადამიანის ღირსების პატივისცემა გულისხმობს ყოველი ადამიანის პიროვნულ აღიარებას.“¹⁶²

1.4. დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შემდეგ შესაძლებელია შემდეგი ძირითადი საკითხების განსაზღვრა:

- კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით დაცული პატივისა და ღირსების კონსტიტუციურ-სამართლებრივი განმარტება ფართო შინაარსის მატარებელია და განსხვავდება ამ ცნებათა სამოქალაქო-სამართლებრივი გაგებისაგან. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ღირსების კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტი გულისხმობს სოციალურ მოთხოვნილებას ადამიანის პატივისცემაზე;
- ღირსება არის არა მხოლოდ უფლება, არამედ ამავე დროს ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა და უკავშირდება სხვა ძირითადი კონსტიტუციური უფლებები;
- სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპის რეალიზება ემსახურება ადამიანის ღირსების პატივისცემას;
- სახელმწიფო კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ პუნქტს არღვევს მაშინ, როცა მიზნად ისახავს ადამიანის დამცირებას და მისი მიზნის მიღწევის საშუალებად გამოყენებას;
- პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა აბსოლუტური უფლებაა;
- მე-17 მუხლის პირველი პუნქტის სუბიექტია ადამიანი;

1.5. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით:

საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები

ირაკლი ბერიაშვილი და ვიქტორ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 29 აპრილის #2/76/1 განჩინება/

¹⁶² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2/389 გადაწყვეტილება, II.პ.30;

საქართველოს მოქალაქეები ეკატერინე ცინდელიანი და რუსლან ჩემია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 28 თებერვლის #2/4/173 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე ცისანა კოტაევა და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 5 ოქტომბრის #2/4/420 განჩინება/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის #2/1/241 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები - დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება/

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება/

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს #1/2/434/ გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის #1/3/421,422 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 17 მარტის #2/1/473 გადაწყვეტილება/

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 21 დეკემბრის #1/1/477 გადაწყვეტილება/

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის #2/1/484 გადაწყვეტილება/

დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება/

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი /საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის #1/2/519 გადაწყვეტილება/

2. მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი

2.1. დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ სფეროში ექვევა წამების, არაჰუმანური, სასტიკი, პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის გამოყენება. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, თითოეული მათგანი ცალ-ცალკე იქნება განხილული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით აკრძალული ქმედებები დაკავშირებულია პატივისა და ღირსების ხელყოფის აკრძალვასთან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, პატივი და ღირსების დამცავი ნორმები არ მოიცავს არავითარ დათქმებს აღნიშნული უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით. ეს ორი სამართლებრივი სიკეთე არ იზღუდება არც საგანგებო და საომარი მდგომარეობის პირობებში.¹⁶³ შესაბამისად, კონსტიტუციის მე-17 მუხლის მეორე პუნქტით დადგენილ აკრძალვას გააჩნია აბსოლუტური ხასიათი.

2.2. წამებისაგან დაცვის უფლება

საკონსტიტუციო სასამართლოს ადრეული პრაქტიკა ნათლად მოწმობს, რომ მოსარჩელებს სწორად არ ესმოდათ აღნიშნული უფლებით დაცული სფერო. საკონსტიტუციო სასამართლომ ასეთი სარჩელები არ მიიღო არსებითად განსახილველად.

1997 წლის 3 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო განჩინება საქმეზე „მოქალაქე ივანე წიკლაური საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“. აღნიშნულ საქმეში მოსარჩელე ითხოვდა 1991 წლის 26 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილების და იმავე თარიღით გამოცემულ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების არაკონსტიტუციურად ცნობას. აღნიშნული ნორმატიული აქტებით გაუქმდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის რესპუბლიკური კომიტეტი და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტი. მოსარჩელე პარტიის აკრძალვას მიიჩნევდა კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევად. როგორც კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნავდა, ვინაიდან ის არის აკრძალული კომუნისტური პარტიის წევრი, ამის გამო შელახულია მისი პატივი და ღირსება. მოსარჩელე აცხადებდა, რომ პარტიის აკრძალვა მისთვის წამებაა.¹⁶⁴

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ მოსარჩელემ, ვერ დაასაბუთა, თუ როგორ ირღვევა

¹⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის #2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე ავაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.1;

¹⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 3 დეკემბრის #1/17/34 განჩინება საქმეზე მოქალაქე ივანე წიკლაური საქართველოს პარლამენტის და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;

გასაჩივრებული ნორმატიული აქტით კონსტიტუციის მე-17 მუხლით აღიარებული უფლებები.¹⁶⁵

2003 წლის 28 მარტს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებით ასევე არ იქნა არსებითად განსახილველად მიღებული კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე „მოქალაქე დურმიშხან ლორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. მოსარჩელე ითხოვდა „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ 1999 წლის 15 მაისის საქართველოს კანონის 36-ე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობას. აღნიშნული ნორმის თანახმად, იმ მოსამართლეებს, რომლებსაც კანონის მიღების შემდეგ შეუწყდათ უფლებამოსილება, ენიშნებოდათ სამისდღემშიო პენსია 800-1100 ლარის ოდენობით. უზენაესი სასამართლოს იმ მოსამართლეებს კი, რომლებსაც უფლებამოსილება აღნიშნული კანონის მიღებამდე შეუწყდათ, ენიშნებოდათ პენსია 14 ლარის ოდენობით. მოსარჩელე 13 წლის განმავლობაში მუშაობდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1983 წელს მოსარჩელე გადადგა დაკავებული თანამდებობიდან. მოსარჩელე აცხადებდა, რომ სადავო ნორმის მოქმედების არეალის შეზღუდვა მისი მიღებიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობაზე წარმოადგენდა იმ ადამიანების წამებას, ვინც სადავო ნორმის მიღებამდე მსახურობდნენ საქართველოს უზენაეს სასამართლოში.¹⁶⁶

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა თუ რაში გამოიხატება სადავო ნორმის შეუსაბამობა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლთან. სასამართლოს თქმით: „საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობაზე მიუთითებს და დაუშვებლად არის მიჩნეული ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება, რაც არ მიესადაგება სარჩელის საგანს.“¹⁶⁷

2.3. არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისაგან დაცვის უფლება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები გიორგი გოცირიძე და მერაბ ჭიქაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. მოსარჩელების აზრით, სადავო ნორმებით დადგენილი 90 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მეორე პუნქტს და იწვევს პირის მიმართ არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა არ ადგენს ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირების მიმართ ადეკვატური მოპყრობის გარანტიებს.¹⁶⁸

¹⁶⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 3 დეკემბრის #1/17/34 განჩინება, პ.IV;

¹⁶⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 28 მარტის #2/8/157 განჩინება საქმეზე მოქალაქე დურმიშხან ლორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁶⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 28 მარტის #2/8/157 განჩინება, პ.1;

¹⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/2/491 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები გიორგი გოცირიძე და მერაბ ჭიქაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I.პ.4;

მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ 90 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა, თავისთავად არ წარმოადგენს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, თუ ეს უკანასკნელი შეჯერებულია პატიმრობის პირობების ადეკვატურ საკანონმდებლო გარანტიებთან, ხოლო ასეთი გარანტიების არსებობის აუცილებლობა განპირობებულია პატიმრობის ხანგრძლივობით. მოსარჩელების აზრით, იმ დროისთვის მოქმედ კანონმდებლობაში ადმინისტრაციულ პატიმრობასთან დაკავშირებული რეგულირებების არარსებობა იძლეოდა შესაძლებლობას, ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირი დარჩენილიყო სუფთა ჰაერზე ყოფნის უფლების გარეშე, მისი მოთავსება განხორციელებულიყო გადატვირთულ საკანში, ასევე, არ ყოფილიყო დაცული პირადი ჰიგიენის მოთხოვნები. კონსტიტუციური სარჩელის მიხედვით, ყველა მითითებული გარემოების ერთიანობით, სადავო ნორმას ეძლეოდა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ხასიათი.¹⁶⁹

საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად არ მიიღო კონსტიტუციური სარჩელი. სასამართლომ დასაშვებობის სტადიაზე გამოარკვია, რომ კონსტიტუციური სარჩელის შემოტანის მომენტისათვის უკვე მოქმედებდა შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის #108 ბრძანება „შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების, ტიპური დებულების, იზოლატორების შინაგანაწესის და იზოლატორების საქმინობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“. განჩინებაში მითითებულია, რომ აღნიშნული ბრძანების მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად: იზოლატორების ამოცანაა ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებული პირის მოთავსების უზრუნველყოფა. ამავე დანართის მე-4 მუხლში მოცემულია იზოლატორის ადმინისტრაციის ვალდებულება, ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფ პირებს შეუქმნას ისეთი სანიტარულ-ჰიგიენური და ზოგადი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის ღირსეულ არსებობას. ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირის უფლებები და სხვა კონკრეტული პირობები რეგულირებულია აღნიშნული ბრძანების სხვადასხვა ნორმებში.¹⁷⁰

შესაბამისად, სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელეთა მოთხოვნა ადმინისტრაციული პატიმრობასთან დაკავშირებით საკანონმდებლო რეგულირების/გარანტიების არარსებობის შესახებ. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ დასახელებული ბრძანებით „განსაზღვრული ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებულ პირთა იზოლატორში ყოფნის კონკრეტული პირობების შესაბამისობის დადგენა, სარჩელში მითითებული კონსტიტუციის ნორმებთან, სცდება სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ იმსჯელებს აღნიშნულ საკითხზე, ვინაიდან იგი შეზღუდულია სასარჩელო მოთხოვნით.“¹⁷¹

¹⁶⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/2/491 განჩინება, I.3.6;

¹⁷⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/2/491 განჩინება, II.3.1;

¹⁷¹ იქვე;

2.4. არაკუმანური ან სასტიკი სასჯელის გამოყენებისაგან დაცვის უფლება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქე რევაზ ჩაგუნავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებული განჩინების ფარგლებში იმსჯელა სასჯელის დაწესებისა და სიმძიმის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ კონკრეტული სასარჩელო მოთხოვნა დაყენებული იყო არა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან, არამედ კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. ამდენად, რადგან მე-17 მუხლის მეორე პუნქტი ითვალისწინებს არაკუმანური და სასტიკი სასჯელის გამოყენებისაგან დაცვის უფლებას და წინამდებარე კომენტარებზე მუშაობის მომენტისათვის სასამართლოს სხვა პრაქტიკა კონსტიტუციის ამ ნორმასთან მიმართებით არა აქვს, ამდენად, გადავწყვიტეთ დასახელებული განჩინებაზე მიგვეთითებინა, რომელშიც თავის მხრივ სასამართლომ გაიმეორა ადრე მიღებული გადაწყვეტილებაში აღნიშნული მოსაზრება. სასამართლომ განაცხადა: „სასჯელის ფორმის, ზომის ან სიმკაცრის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება დადგეს... ქმედების სამართალდარღვევად განსაზღვრა, სახდელის დაწესება და მისი სიმძიმის განსაზღვრა სახელმწიფოს (კანონმდებლის) ექსკლუზიური კომპეტენციას წარმოადგენს“... კანონმდებელი სანქციის განსაზღვრისას ფართო მიხედულებით სარგებლობს, მაგრამ დადგენილი სანქცია “... არ უნდა იყოს აშკარად არაგონივრული და არაპროპორციული საშუალება კანონმდებლის მიერ დასახული მიზნის მიღწევისა და შესაბამისად, არ უნდა იწვევდეს პირის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას.“¹⁷²

ამგვარად, სასჯელის არაკუმანურობა, სისასტიკე საკონსტიტუციო სასამართლოს განჯის საგანი შესაძლოა იყოს, როდესაც დაკისრებული სასჯელის ზომა აშკარად არაგონივრული და არაპროპორციულია პირის მიერ ჩადენილ კანონსაწინააღმდეგო ქმედებასთან მიმართებით.

2.5. სუბიექტი

საკონსტიტუციო სასამართლოს ამასთან დაკავშირებით არ გააჩნია ექსპლიციტური პრაქტიკა. თუმცა, თვით კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსის გათვალისწინებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ამ უფლების მატარებელია ადამიანი.

2.6. დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შემდეგ შესაძლოა შემდეგი ძირითადი დასკვნების გაკეთება:

- წამების, არაკუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის გამოყენებისაგან დაცვა ადამიანის აბსოლუტური უფლებაა;

¹⁷² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის #1/1/500 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე რევაზ ჩაგუნავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.2;

- საკონსტიტუციო სასამართლოს არსებითად არ უმსჯელია და შესაბამისად არ არის მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით დაცული უფლებასთან მიმართებით;
- კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით სასამართლოს პრაქტიკა შემოიფარგლება მხოლოდ განჩინებების ფარგლებში აღნიშნული მოსაზრებებით;
- ჩადენილ ქმედებასთან შედარებით აშკარად არაპროპორციული და არაგონივრული სასჯელის გამოყენებით ირღვევა კონსტიტუციის მოთხოვნები;
- მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის სუბიექტია ადამიანი;

2.7. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები

მოქალაქე ივანე წიკლაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 3 დეკემბრის #1/17/34 განჩინება/

მოქალაქე დურმიშხან ლორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 28 მარტის #2/8/157 განჩინება/

საქართველოს მოქალაქეები გიორგი გოცირიძე და მერაბ ჭიქაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/2/491 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე რევაზ ჩუგუნავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის #1/1/500 განჩინება/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საქართველოს /საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის #2/1/241 გადაწყვეტილება/

3. მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი

3.1. დაცული სფერო

კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტით იკრძალება დაკავებულ თუ სხვაგვარად თავისუფლებაზეზღუდულ პირზე ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება. 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის თავდაპირველ რედაქციაში აღნიშნული ჩანაწერი მოქცეული იყო კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტში. 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური ცვლილების შედეგად აღნიშნულმა ჩანაწერმა თავისუფლების უფლების მარეგულირებელი ნორმიდან გადაინაცვლა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისაგან დაცვის მუხლში.

განსახილველი კონსტიტუციური დებულება იცავს თავისუფლებაზეზღუდულ პირს ფიზიკური და ფსიქიკური იძულებისაგან. წინამდებარე პრეცედენტებზე მუშაობის მომენტისათვის საკონსტიტუციო სასამართლოს უშუალოდ ამ მუხლთან მიმართებით ჯერ ნამსჯელი არა აქვს, თუმცა სასამართლოს პრაქტიკაში არის საქმეები, სადაც ის ეხება იმ საკითხებს რომლებიც კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტითაა მოწესრიგებული. მაგალითად, საქმეში „საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“ მოსარჩელები ეჭვქვეშ აყენებდნენ „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მინისტრის აქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-20 და 39-ე მუხლებთან მიმართებით. ამ საქმეზე მიღებულ განჩინებაში საკონსტიტუციო სასამართლო შეეხო დაკავების საკითხებსაც. კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტში ნახსენები ტერმინი ფიზიკური და ფსიქიკური იძულების შეფასებიდან უნდა გამოირიცხოს ის შეზღუდვები, რაც დამახასიათებელია კანონიერი დაკავების ან დაპატიმრებისათვის. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“ მიღებულ განჩინებაში განაცხადა: „ზოგიერთი შეზღუდვა, რომელიც ჩვეულებრივად ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახველი იქნებოდა, საპატიმრო ცხოვრების თანმდევი შედეგია.“¹⁷³

ამავე განჩინებაში საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგად კომენტარზე და აცხადებს: „თავისუფლებაზეზღუდული პირები სარგებლობენ ყველა უფლებით, რაც გათვალისწინებულია პაქტში, იმ შეზღუდვების გათვალისწინებით რაც გარდაუვალია ჩაკეტილ გარემოში.¹⁷⁴ პატიმრობაში მყოფი პირი განაგრძობს ყველა კონსტიტუციური უფლებით სარგებლობას, გარდა იმ უფლებებისა, რომელთა აბსოლუტურ შეზღუდვას თავად კონსტიტუცია ითვალისწინებს.“¹⁷⁵

განსახილველ კონსტიტუციურ დებულებას შეეხება აქვს ადამიანის პირად

¹⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ, II.3.8;

¹⁷⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება, II.3.9;

¹⁷⁵ საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება, II.3.10;

ცხოვრების უფლებასთანაც. საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ პირადი ცხოვრების შემადგენელი ცალკეული უფლებრივი კომპონენტები დაცულია კონსტიტუციის მე-17 მუხლითაც.¹⁷⁶ ამ საკითხს უფრო ნათელს ხდის ამავე განჩინებაში პირადი ცხოვრების უფლების ასპექტების ჩამონათვალი, რომელთა შორისაც მოხსენიებულია დაპატიმრებული პირის „ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობა.“¹⁷⁷

3.2. სუბიექტი

საკონსტიტუციო სასამართლოს ამ დრომდე არ ჰქონია შესაძლებლობა ემსჯელა აღნიშნული კონსტიტუციური დებულების სუბიექტზე.

3.3. დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შემდეგ შესაძლოა შემდეგი ძირითადი საკითხების განსაზღვრა:

- თავისუფლების კანონიერი შეზღუდვისას ცალკეული უფლებების თანმდევი შეზღუდვის მიუხედავად, დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი ინარჩუნებს ფიზიკური ან ფსიქიკური იძულებისაგან დაცვის უფლებას;
- ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის დარღვევის ასპექტში კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტს გააჩნია შეხება პირადი ცხოვრების შემადგენელ ცალკეულ უფლებრივ კომპონენტთან;

3.4. საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება

საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება/

¹⁷⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება, II.3.12;

¹⁷⁷ საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება, II.3.5;

მუხლი 18

1. ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია.
2. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.
3. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაზეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.
4. (ამოღებულია).
5. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემართოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.
6. ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.
7. ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით. უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

(საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი #4137-სსმI, #3, 11.01.2007წ., მუხ.48)

(საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, #3710-სსმI, #62, 05.11.2010წ., მუხ.379)

შესავალი

1. მე-18 მუხლის პირველი პუნქტი
 - 1.1. დაცული სფერო
 - 1.2. თავისუფლების უფლების მნიშვნელობა და ისტორია
 - 1.3. გადაადგილების თავისუფლება და თავისუფლების უფლება;
 - 1.4. თავისუფლების უფლება და პირადი ცხოვრების უფლება;
 - 1.5. თავისუფლების ხელშეუვალობის უფლების შეზღუდვის ფორმები
 - 1.6. უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური საჯარო მიზნები
 - 1.7. სამართლიან სასამართლოზე უფლება და თავისუფლების ხელშეუვალობა
 - 1.8. მართლმსაჯულების აღსრულება და თავისუფლების ხელშეუვალობის უფლება
 - ა. დანაშაულის ჩადენის ფაქტი
 - ბ. გონივრული ეჭვი
 - 1.9. სუბიექტები
 - 1.10. დასკვნა
 - 1.11. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 18.1 მუხლთან მიმართებით
2. მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი
 - 2.1. კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დაცული სფერო;
 - 2.2. სიტყვების - სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელობა;
 - 2.2.1. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა განსხვავებული აზრები
 - 1.3. სუბიექტები;
 - 1.4. დასკვნა
 - 1.5. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 18.2 მუხლთან მიმართებით
2. მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი
 - 1.1. დაცული სფერო
 - 1.2. კონსტიტუციური დებულების ისტორია
 - 1.3. დაკავება კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში
 - 1.4. საგანგებოდ უფლებამოსილი პირი
 - 1.5. დაკავების ვადა
 - 1.6. სუბიექტები

- 1.7. დასკვნა
- 1.8. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 18.3 მუხლთან მიმართებით
3. მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი
- 3.3. დაცული სფერო
- 3.4. უფლებებისა და თავისუფლებების განმარტების უფლება;
- 3.5. დაკავების ან დაპატიმრებისთანავე დამცველის დახმარების უფლება
 - ა. დამცველის მომსახურებით სარგებლობის უფლება
 - ბ. ადვოკატთან შეხვედრის დრო
- 3.6. სუბიექტები
- 3.7. დასკვნა
- 3.8. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 18.5 მუხლთან მიმართებით
5. მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი
- 5.1. დაცული სფერო
- 5.2. სისხლის სამართლის საქმის გაცნობის ვადა
- 5.3. სუბიექტები
- 5.4. დასკვნა
- 5.5. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 18.6 მუხლთან მიმართებით
6. მე-18 მუხლის მე-7 პუნქტი
- 6.1. კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტის მეორე წინადადებით დაცული სფერო
- 6.2. კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტის პირველი წინადადებით დაცული სფერო
- 6.3. კომპენსაციის მიღების და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება;
- 6.4. სუბიექტი
- 6.5. დასკვნა
- 6.6. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 18.7 მუხლთან მიმართებით

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი განამტკიცებს ადამიანის უმნიშვნელოვანეს უფლებას - ადამიანის თავისუფლებას და მის გარანტიებს. ეს უფლება იმდენად მნიშვნელოვანი უფლებაა, რომ ადამიანს არ შეუძლია, უარი განაცხადოს დასახელებული მუხლით უზრუნველყოფილ უფლებაზე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის დაკავების ან დაპატიმრების მიზნით საკუთარი ნებით ჩაბარდება სახელმწიფო ორგანოებს. კონსტიტუციის ნორმით უზრუნველყოფილი გარანტიები მოქმედებს ყველას მიმართ, მიუხედავად იმისა, პირი არის თავისუფალი თუ იგი დაკავებული ან დაპატიმრებულია. თავის მხრივ, ადამიანის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და კონსტიტუცია უშვებს მასში „ჩარევის“ (შეზღუდვის) შესაძლებლობას. ამ შემთხვევისთვის კონსტიტუციის ნორმით დაცვის გარანტიები მკაცრადაა გაწერილი იმდენად, რამდენადაც იგი მიუთითებს იმ გარემოებებზე, თუ როდისაა შესაძლებელი ადამიანის დაკავება ან დაპატიმრება და განსაზღვრავს იმ ფარგლებს, რომლებიც იცავენ პირს უკანონო თავისუფლების შეზღუდვისაგან.

1. მე-18 მუხლის პირველი პუნქტი

1.1. დაცული სფერო

კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი, ისევე როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი მთლიანად ეძღვნება ადამიანის თავისუფლებას.¹⁷⁸

სასამართლოს განმარტებით, თავისუფლების უფლების კონსტიტუციური დაცვა ვრცელდება უფლებაში ჩარევის როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო სამართლებრივ ასპექტებზე: „ადამიანის თავისუფლება გარანტირებულია არა მხოლოდ მატერიალური ნორმით, არამედ კონსტიტუციურ რანგში აყვანილი პროცესუალური ნორმების ერთობლიობით, რაც ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულ ადგილს ძირითად უფლებათა სისტემაში.“¹⁷⁹

სხვადასხვა მუხლით დაცული სრულიად განსხვავებული უფლებების აღწერისას, საქართველოს კონსტიტუცია ხშირად იყენებს ტერმინს „თავისუფლება.“ მაგალითად, სიტყვისა და რწმენის თავისუფლება (მე-19 მუხლი), ინფორმაციის თავისუფლება (41-ე მუხლი) და ა.შ. აღნიშნული უფლებების ფორმულირება წარმოშობს კითხვას იმასთან დაკავშირებით, თუ რა კავშირი არსებობს კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებულ „თავისუფლებებსა“ და კონსტიტუციის მე-18 მუხლით დაცულ სფეროს შორის?

საკონსტიტუციო სასამართლომ ამასთან დაკავშირებით ცალსახად მიუთითა, რომ კონსტიტუციის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ თავისუფლების უფლებას არაფერი აქვს საერთო კონსტიტუციის მე-2

¹⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.1;

¹⁷⁹ იქვე;

თავით გათვალისწინებულ სხვა „თავისუფლებებთან.“ მთლიანობაში მე-18 მუხლს გააჩნია სხვა ძირითადი თავისუფლებებისაგან სრულიად განსხვავებული დაცული სფერო. როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: ადამიანის თავისუფლება „გულისხმობს მის ფიზიკურ თავისუფლებას, მის უფლებას თავისუფლად გადაადგილდეს ფიზიკურად, თავისი ნების შესაბამისად, იმყოფებოდეს ან არ იმყოფებოდეს რომელიმე ადგილზე, ადამიანის თავისუფლება არის მისი გადაადგილების თავისუფლება ვიწრო გაგებით. თუმცა აშკარად განსხვავებულია იმ ჩარევების ინტენსიურობა და სიმძიმე რომლისგანაც ამ უფლებებს იცავს კონსტიტუცია. ადამიანის თავისუფლებაში ჩარევა უფრო წონადია და კონსტიტუციაც მისგან დასაცავად განსაკუთრებულ რეგულირებებს ადგენს.“¹⁸⁰

თავისუფლების უფლების შეზღუდვით ადამიანი მოკლებული რჩება სხვა უფლებების განხორციელების შესაძლებლობასაც. ეს გარემოება ავალდებულებს კანონმდებელს, თავისუფლების უფლების შეზღუდვისას დაიცვას კონსტიტუციით დადგენილი ჩარევის მკაცრი სამართლებრივი სტანდარტები. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: „ადამიანის თავისუფლება არ არის აბსოლუტური და მასში ჩარევა შესაძლებელია მკაცრი კონსტიტუციურსამართლებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც იცავს ნებისმიერ ადამიანს შესაძლო სახელისუფლებო თვითნებობისაგან. კონსტიტუციურსამართლებრივი შემოწმების სიმკაცრის ხარისხს ზრდის ის გარემოებაც, რომ ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვა და განსაკუთრებით კი მისი ყველაზე ინტენსიური ფორმა - თავისუფლების აღკვეთა აფერხებს და ზოგჯერ სრულიადაც გამორიცხავს ადამიანის ნიერ სხვა უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციას.“¹⁸¹

ხანდაზმულობის ვადის გასვლა სისხლის სამართალში წარმოადგენს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების გარემოებას. იცავს თუ არა კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი ადამიანის თავისუფლების ხელშეუვალობას იმ შემთხვევაში, როდესაც პირი დგება თავისუფლების აღკვეთის საფრთხის წინაშე ხანდაზმულობის ვადების გამოთვლის წესის შეცვლის გამო?

საქმეში „საქართველოს მოქალაქე ჩიბა ჯანელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მოსარჩელე ითხოვდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მაშინდელი რედაქციის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების არაკონსტიტუციურად ცნობას. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ სადავო ნორმით „ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება დანაშაულის ჩადენის დღიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე“. მისი აზრით, ეს დებულება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლს, ვინაიდან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ხანდაზმულობის ვადა უნდა გაგრძელდეს სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე და არ უნდა წყდებოდეს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემიდან.¹⁸²

¹⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.2;

¹⁸¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.3;

¹⁸² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 12 მარტის #1/4/222 განჩინება

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არ ჩანს კონსტიტუციის დასახელებულ მუხლთან სადავო ნორმის მიმართება. სასამართლომ განაცხადა: „მოსარჩელე აღნიშნული ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმებას მოითხოვს იმიტომ, რომ მე-18 მუხლი იცავს ადამიანს თავისუფლების შეზღუდვისაგან. დაუშვებელია სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დარღვევით გამოტანილი გადაწყვეტილებით პირისათვის თავისუფლების შეზღუდვა სასჯელის დაწესების გზით. სასამართლო კოლეგია თვლის, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არ ჩანს კონსტიტუციის დასახელებულ მუხლთან სადავო ნორმის მიმართება, რადგან იგი ეხება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ხანდახმულობის ვადებს.“¹⁸³

1.2. თავისუფლების უფლების მნიშვნელობა და ისტორია

თავისუფლების უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობა აიხსნება აღნიშნული უფლების ხანგრძლივი ისტორიით და მისი საყოველთაო ხასიათით. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, პირადი თავისუფლების უფლებას სხვა უფლებებთან შედარებით უფრო ხანგრძლივი ისტორია გააჩნია: „მისი წარმოშობა იმ საფრთხეს უკავშირდება, რომელიც ადამიანს ემუქრება შეუზღუდავი სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან.“¹⁸⁴

საკონსტიტუციო სასამართლო თავისუფლების უფლების საფრთხისაგან დაცვის საჭიროებად მიიჩნევს „თავისუფლების დიდ ქარტიამი“ აღნიშნული უფლების ასახვას. საკონსტიტუციო სასამართლო, იქვე 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაზე მითითებით, ხაზს უსვამს საქართველოს სამართლებრივი ტრადიციებისათვის ამ უფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას.¹⁸⁵ სასამართლომ აღნიშნა, რომ „ამ უფლებებს ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა და დათავისუფლებათა ნებისმიერი კლასიკური კატალოგი, როგორც ეროვნული კონსტიტუციების, ასევე საერთაშორისო სამართლის დონეზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია.“¹⁸⁶

1.3. გადაადგილების თავისუფლება და თავისუფლების უფლება

ადამიანისათვის გადაადგილების შესაძლებლობის აკრძალვა თავისუფლების უფლებაში ჩარევის აუცილებელი ნიშანია.¹⁸⁷ ამდენად, ჩნდება კონსტიტუციის მე-18 მუხლით დაცული თავისუფლების უფლების და კონსტიტუციის 22-ე

საქმეზე საქართველოს მოქალაქე ჩიზა ჯანელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁸³ იქვე;

¹⁸⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.3;

¹⁸⁵ იქვე;

¹⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.3;

¹⁸⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.2;

მუხლით გარანტირებული გადაადგილების თავისუფლების გამოიყენის აუცილებლობა. თავისუფლების უფლებაში ჩარევა წარმოადგენს ვიწრო გაგებით გადაადგილების უფლების შეზღუდვას, თუმცა თავისუფლების უფლება განსხვავდება გადაადგილების თავისუფლებისაგან უფლების შეზღუდვის მაღალი ინტენსივობითა და ხარისხით.¹⁸⁸

გარდა გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვისა, თავისუფლების აღკვეთისას პირს ასევე ეზღუდება გარესამყაროსთან კონტაქტის შესაძლებლობა. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“ მიღებულ განჩინებაში განაცხადა: „პიროვნებისთვის თავისუფლების აღკვეთით იზღუდება არა მხოლოდ პიროვნების გადაადგილების თავისუფლება, არამედ ასევე მისი თავისუფალი ნება აწარმოოს და განავითაროს ურთიერთობები ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან. ამკარაა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების ან გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე პირისთვის თავისუფლების აღკვეთა ავტომატურად ზღუდავს პატიმრობაში მყოფი ადამიანის კავშირს გარე სამყაროსთან. შეუძლებელია საპატიმროში პირადი ცხოვრების უფლების შეუზღუდავად განხორციელება.“¹⁸⁹

1.4. თავისუფლების უფლება და პირადი ცხოვრების უფლება

საკონსტიტუციო სასამართლო დადგა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 და მე-20 მუხლით დაცული სფეროს გამოიყენის აუცილებლობის წინაშე. ეს საჭიროება არსებობს იმის გამო, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელის მიერ უკვე თავისუფლებაზეზღუდული პირის მიმართ შეიძლება განხორციელდეს განსაზღვრული ტიპის ღონისძიებები (მაგალითად ჩხრეკა, ამოღება და ა.შ.), რაც სცილდება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით დაცულ სფეროს და ექცევა კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცულ სფეროში (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა).

საქმეში „საქართველოს მოქალაქეები - ლევან იზორია და დავით შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ზედაპირული შემოწმების შესაბამისობას საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველ პუნქტთან. აღნიშნული ნორმის თანახმად, პოლიციას უფლება აქვს, დანაშაულის შესაძლო ჩადენასთან დაკავშირებით გონივრული ეჭვის არსებობის გამო გაჩერებული პირის ტანსაცმელზე ზედაპირული შემოწმება ჩაატაროს.¹⁹⁰

¹⁸⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.2;

¹⁸⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ, II.3.7;

¹⁹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 მარტის #1/1/503,513 საოქმო ჩანაწერი საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I.3.9; II.3.16;

საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი 2012 წლის 7 მარტის საოქმო ჩანაწერით განაცხადა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი არ იცავს პოლიციის მიერ ინდივიდის გაჩერების შემდეგ ჩატარებულ ისეთ ღონისძიებას, როგორცაა ზედაპირული შემოწმება. სასამართლომ აღნიშნა, რომ „სადავო ნორმის მოცემული რეგულირება არ არის მიმართული კონსტიტუციის მე-18 მუხლით გარანტირებული ფიზიკური თავისუფლების უფლების შეზღუდვისაკენ, არამედ განსაზღვრავს პოლიციელის გარკვეულ უფლებამოსილებას, რომელიც მან შეიძლება განახორციელოს დროის იმ მონაკვეთში, როდესაც ადამიანის თავისუფლება უკვე შეზღუდულია. ... პირის ზედაპირული დათვალიერებისა და ჩხრეკის შესაძლებლობა, რაც უპირატესად კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცულ უფლებრივ სფეროს განეკუთვნება. ... მიუხედავად თითქოსდა დეტალური ჩამონათვალისა მე-20 მუხლი არ მოიცავს თავად ადამიანის ჩხრეკას, თუმცა უდავოა, რომ სწორედ მე-20 მუხლი იცავს პიროვნების ხელშეუხებლობას, მხოლოდ ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით არის შესაძლებელი პიროვნების, მისი სხეულის, ტანსაცმლის ან/და პირადი ნივთების შემოწმება.“¹⁹¹

1.5. თავისუფლების ხელშეუვალობის უფლების შეზღუდვის ფორმები

არსებობს თავისუფლებების უფლებაზე ზემოქმედების უამრავი სამართლებრივი ფორმა. აღნიშნულ ფორმებზე პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიუთითებს კონსტიტუციის მე-18 მუხლის სხვადასხვა პუნქტები: დაკავება, დაპატიმრება, თავისუფლების აღკვეთა. ამასთან საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გარანტირებული სტანდარტები არ იზღუდება სამართლის ერთი დარგით ან ერთი კონკრეტული საკანონმდებლო აქტით. კონსტიტუციის მე-18 მუხლით გარანტირებული დაცვა ვრცელდება, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ დაკავებასა და დაპატიმრებაზე,¹⁹² ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით მოწესრიგებულ იმავე ურთიერთობაზე.¹⁹³

თავისუფლების უფლების შეზღუდვის ფორმების მიუხედავად, ყველა მათგანი ექვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში.

საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ თავისუფლების უფლება არ არის აბსოლიტური ხასიათის.¹⁹⁴ ეს კი იმას გულისხმობს, რომ ამ უფლებაში ჩარევა შესაძლებელია. ამის მიუხედავად, კონსტიტუცია მკაცრ მოთხოვნებს აწესებს თავისუფლების უფლებაში ჩარევის შემთხვევაში და ამ უფლების შეზღუდვისას საკონსტიტუციო სასამართლოც ზრდის სახელმწიფოს ჩარევის

¹⁹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 მარტის #1/1//503,513 საოქმო ჩანაწერი, II.3.17;

¹⁹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება II.3.16;

¹⁹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 4 თებერვლის #2/1/263 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე გიორგი ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.6;

შემოწმების სიმკაცრის ხარისხს.¹⁹⁵

არსებობს თავისუფლების უფლებაში ჩარევის სხვადასხვა ფორმები, ამის მიუხედავად, განსხვავებულია მათგან დაცვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ დაკავება ნაკლებად მძიმე ჩარევაა ადამიანის თავისუფლებაში ვიდრე, თუნდაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიება - დაპატიმრება, აუცილებლად უნდა არსებობდეს ის მყარი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ბარიერი, რომლის გადალახვაც აკრძალული იქნება ძირითად უფლებაში ჩარევისას.“¹⁹⁶

რაც უფრო მძიმე ფორმით ხდება ადამიანის თავისუფლების უფლების შეზღუდვა, დაცვის უფრო მეტი გარანტიის არსებობა მოეთხოვება სახელმწიფოს. კონსტიტუციის მე-18 მუხლის სხვა პუნქტები ხშირად თავად მიუთითებენ დაცვის სამართლებრივ გარანტიებს, რომლებიც გამოიყენება თავისუფლების უფლებაში ამა თუ იმ ფორმით ჩარევისას. ნებისმიერ შემთხვევაში სახელმწიფო უფრო მეტად არის შეზღუდული მაშინ, როცა დაპატიმრების ფორმით ერევა ადამიანის ფიზიკური თავისუფლების უფლებაში და უფრო ნაკლები კონსტიტუციურ-სამართლებრივი ბარიერი გააჩნია პირის დაკავებისას. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ დაკავებასთან დაკავშირებით განაცხადა: „ბარიერი უფრო დაბალია ვიდრე ძირითად უფლებაში სხვა უფრო მძიმე ჩარევების შემთხვევაში.“¹⁹⁷

1.6. უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური საჯარო მიზნები

ადამიანის თავისუფლების უფლება შესაძლოა კონფლიქტში მოვიდეს სასამართლოს ავტორიტეტის დაცვისა¹⁹⁸ დამართლმსაჯულების აღსრულების ინტერესთან.¹⁹⁹ ამ დროს დღის წესრიგში დგება ამ უფლებისათვის ან ლეგიტიმური საჯარო მიზნის მიღწევისათვის უპირატესობის მინიჭების საკითხი, რომელიც წყდება თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით.²⁰⁰

1.7. სამართლიან სასამართლოზე უფლება და თავისუფლების ხელშეუვალობა

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი აღიარებს, რა ადამიანის თავისუფლების ხელშეუვალობოს უფლებას, გულისხმობს

¹⁹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.6;

¹⁹⁶ იქვე;

¹⁹⁷ იქვე;

¹⁹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, სასამართლოს წევრების, ქეთევან ერემადის და კონსტანტინე ვარძელაშვილის განსხვავებული აზრი, პ.3.

¹⁹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება II.3.18;

²⁰⁰ იქვე;

იმას, რომ არ შეიძლება ადამიანს ეს უფლება წაერთვას და თვითნებურად აღმოჩნდეს პატიმრობაში. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლება ირღვევა, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან (სასამართლოსათვის მიმართვის და გასაჩივრების უფლება) და მე-3 პუნქტთან (დაცვის უფლება) კავშირში, მაშინ როდესაც ადგილი აქვს სასამართლოს მიერ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების თაობაზე დაუყოვნებლივ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას და ამის გამო პირს არ გააჩნია პირადად ან დამცველის მეშვეობით საკუთარი თავის დაცვის შესაძლებლობა.²⁰¹

საქმე „საქართველოს მოქალაქეები - ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ ეხებოდა სასამართლოს მიმართ გამოვლენილი აშკარა და უხეში უპატივცემულობის გამო პირის დაპატიმრებას. გასაჩივრებული ნორმების შესაბამისად, პირს არ ჰქონდა დაპატიმრებასთან დაკავშირებით ადგილზე თათბირის დროს მონაწილეობის მიღების, დაპატიმრების გამოყენების საწინააღმდეგოდ საკუთარი არგუმენტების წარდგენის, უშუალოდ ან ადვოკატის მეშვეობით აღნიშნულ პროცესში მონაწილეობის მიღების და პატიმრობასთან დაკავშირებით სასამართლოს განკარგულების გასაჩივრების შესაძლებლობა.²⁰²

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი განმარტა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლთან (თავისუფლების უფლება) კავშირში. სასამართლომ აღნიშნა, რომ „თავისუფლების უფლების შეზღუდვა უნდა განიხილებოდეს როგორც გამოწვევის და ნებადართული მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამისათვის არსებობს დამაჯერებელი არგუმენტაცია... კონვენციის მე-5 მუხლი ადგენს ამომწურავ ჩამონათვალს იმ შემთხვევებისა, როდესაც შეიძლება თავისუფლების აღკვეთა კანონიერად ჩაითვალოს, ის, იმავდროულად, ითვალისწინებს თავისუფლებადკვეთილი პირის უფლებას, სასამართლოს მეშვეობით, გადაამოწმოს დაკავების თუ დაპატიმრების კანონიერება და მართლობიერება და დაუყოვნებლივ გაათავისუფლდეს, თუ დაპატიმრება უკანონო.“²⁰³

საქმეში „საქართველოს მოქალაქეები - ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ სასამართლო დადგა კოლიზიაში მყოფი სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის ლეგიტიმური საჯარო მიზანისა და ადამიანის თავისუფლების უფლების დაბალანსების აუცილებლობის წინაშე. აღნიშნულ შემთხვევაში თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე სასამართლომ უპირატესობა მიანიჭა ადამიანის თავისუფლების ხელშეუვალობის უფლებას. საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ ადამიანის თავისუფლების კონსტიტუციური უფლება კანონმდებელს აკისრებდა ვალდებულებას, პირისათვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდებისას პირადად ან დამცველის მონაწილეობით მიეცა,

²⁰¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, ბესარიონ ზოიძისა და ვახტანგ გვარამიას განსხვავებული აზრი, პ.4.1;

²⁰² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება;

²⁰³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, პ.4;

საკუთარი თავის დაცვის შესაძლებლობა და დაპატიმრების შესახებ განკარგულების გასაჩივრების უფლება. ამასთან აღნიშნული მოთხოვნების შესრულება ხელს არ შეუშლიდა, უპატივცემულობის აღკვეთასთან დაკავშირებული სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის საჯარო ლეგიტიმური მიზნის მიღწევას.²⁰⁴

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „მოქალაქე ოლეგ სვინტრამე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა დაადგინა იმის გამო, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის მე-11 ნაწილი კრძალავდა პატიმრობისა და შინაპატიმრობის შესახებ მიღებული ბრძანების კანონიერებისა და დასაბუთებულობის გასაჩივრებას ზედა ინსტანციის სასამართლოში.²⁰⁵ საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ „პირისათვის პატიმრობაში შემდგომი ყოფნის კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების უფლებაზე უარის თქმა არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით აღიარებული თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ უფლებებსაც, რადგან ადამიანს არ შეუძლია წაერთვას თავისუფლება და უკანონოდ აღმოჩნდეს პატიმრობაში... თავისუფლების ნებისმიერ შეზღუდვას, მათ შორის კანონიერი საფუძვლების არსებობის დროსაც, უნდა დაუპირისპირდეს ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების უფლება.“²⁰⁶

1.8. მართლმსაჯულების აღსრულება და თავისუფლების ხელშეუვალობის უფლება

თავისუფლების ხელშეუვალობის უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანს შეეიძლება წარმოადგენდეს, მართლმსაჯულების განხორციელება იმ პირის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული.²⁰⁷ აღნიშნული ლეგიტიმური მიზანი არ არსებობს და შესაბამისად, ადამიანის დაკავება თვითნებურია, თუკი არ არის ჩადენილი დანაშაული, რისთვისაც ადამიანის დაკავებაა ნებადართული.²⁰⁸ ადამიანის დაკავება არ არის მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესების აღსრულების პროპორციული, თუკი დაკავების განმახორციელებელი თანამდებობის პირი ვერ ასაბუთებს რამდენად არის სახეზე „სავარაუდო დანაშაული და გონივრული ეჭვი, რაც წინ უნდა უსწრებდეს პირის დაკავებას. ცალკე აღებული პირის დაკავების ფაქტი... გონივრულ ეჭვს ვერ გააჩენს.“²⁰⁹ თავისუფლების შეზღუდვის ამ ორ პირობას ცალ-ცალკე განვიხილავთ.

²⁰⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, პ.4;

²⁰⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 17 მარტის #2/3/286 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე ოლეგ სვინტრამე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.2;

²⁰⁶ იქვე;

²⁰⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.პ.19;

²⁰⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.პ.20;

²⁰⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.პ.26;

ა) დანაშაულის ჩადენის ფაქტი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2009 წლის 6 აპრილს მიღებულ გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველის საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ განაცხადა, რომ სავარაუდო დანაშაული წინ უნდა უძღოდეს პირის დაკავებას.²¹⁰ კონსტიტუციურ მოთხოვნაზე იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანის დაკავება შესაძლოა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ დაკავებამდე ჩადენილი დანაშაულისათვის და სხვა გარემოებები არ შეიძლება იყოს დაკავების საფუძველი, საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა 2003 წლის 29 იანვარს მიღებულ გადაწყვეტილებაშიც საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშელიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

აღნიშნულ საქმეში მოსარჩელე სადავოდ ხდიდა იმ გარემოებას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის მე-2 ნაწილის (იმ დროისათვის მოქმედი რედაქცია) მიხედვით, შეიძლება დააკავონ კონკრეტული პირი, როდესაც არსებობს სხვა ამავე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულისაგან განსხვავებული მონაცემები - ეჭვი იქნეს მიტანილი პირზე, ასევე ის ფორმალური გარემოებები, რომ პირს არა აქვს მუდმივი საცხოვრებელი სადგომი, ან ვერ დგინდება მისი ვინაობა. მოსარჩელის განმარტებით, ნორმა აძლევდა სამართალდამცავ ორგანოებს თვითნებური მოქმედების შესაძლებლობას, მათ შეეძლოთ 142-ე მუხლის პირველი ნაწილისაგან განსხვავებულ მონაცემად მიეჩნიათ ოპერატიული ინფორმაცია და დაეკავებინათ პირი მხოლოდ იმის გამო, რომ არ არის დადგენილი მისი ვინაობა ან არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი და ამგვარი დაკავებით მოეხდინათ ე.წ. „საქმის პროვოცირება.“²¹¹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ ტერმინი „ეჭვი იქნეს მიტანილი პირზე“ იყო ბუნდოვანი და იძლეოდა მისი ორგვარი განმარტების შესაძლებლობას: „გაუგებარია რას გულისხმობდა კანონმდებელი ფრაზაში – „დანაშაულის ჩადენის ეჭვი იქნეს მიტანილი პირზე“ – უკვე ჩადენილ დანაშაულს თუ დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობასაც. სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებები უნდა იყოს მაქსიმალურად ცალსახა და გასაგები, რათა არ იძლეოდეს მათი ორაზროვანი განმარტების შესაძლებლობას.“²¹²

სასამართლომ შეადარა აღნიშნული ჩანაწერი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის პირველ ნაწილში გამოყენებულ შემდეგ სიტყვებს: „თუ არსებობს საკმაო საფუძველი ეჭვი მიიტანონ პირზე იმ დანაშაულის ჩადენაში...“, „დანაშაულის ჩადენაში ეჭვიმიტანილი პირის

²¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.26;

²¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშელიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

²¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, 3.1;

დაკავება...“, აგრეთვე „...ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი“ და ასე შემდეგ. საკონსტიტუციო სასამართლომ ამ შედარების შედეგად გააკეთა შემდეგი დასკვნა, რომ თუკი 142-ე მუხლის პირველი ნაწილი საუბრობდა მხოლოდ წარსულში, ადამიანის დაკავებამდე ჩადენილ დანაშაულზე, მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ნორმა კი იძლეოდა შესაძლებლობას, რომ პირი დაეკავებინათ, როგორც წარსულში ჩადენილი დანაშაულის, ასევე მოეხდინათ პირის თავისუფლების უკანონო ხელყოფა.²¹³

სასამართლომ აღნიშნა: „საქართველოს კონსტიტუცია არ იცნობს პირის დაკავების შესაძლებლობას „სხვა მონაცემების“ საფუძველზე, ეს მონაცემები შესაძლებელია დაედოს საფუძველად ეჭვს და არა პიროვნების თავისუფლების შეზღუდვას.“²¹⁴ ეს გარემოება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძველი გახდა.²¹⁵

ამავესაქმეშისასამართლომარაკონსტიტუციურადმიიჩნიასამართალდამცავი ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც მას დაკავების საფუძველის გარკვევას ადამიანის დაკავების უფლების შემდეგ ანიჭებდა. საკონსტიტუციო სასამართლომ მკაცრად დაიცვა მიდგომა, რომ ადამიანის დაკავების საფუძველი პოლიციას დაკავებამდე უნდა ჰქონდეს, კანონმდებლობა კი არ უნდა აძლევდეს სამართალდამცავებს უფლებას, დაკავების გამამრთლებელი საფუძველები ადამიანისათვის თავისუფლების აღკვეთის შემდეგ ეძიონ.

„სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 146-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მას შემდეგ, რაც დაკავებულს მიიყვანენ პოლიციის დაწესებულებაში და „დაუყოვნებლივ“ შედგება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაკავების ოქმი, უნდა შემოწმდეს დანაშაულის ჩადენის ადგილას დაკავების კანონიერება და დასაბუთებულობა.“²¹⁶ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 146-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსი საკმაოდ გაუგებარად და ორაზროვნად არის ჩამოყალიბებული. მასში საუბარია დაკავების კანონიერების შემოწმებაზე, რისთვისაც კანონმდებელი ითვალისწინებს 12 საათს. სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ კანონიერების ცნებაში იგულისხმება კონკრეტული ქმედების, ამ შემთხვევაში კი დაკავების, კანონთან, კერძოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობა, რომლის ვალდებულებაც, დაკავების შემთხვევაში, ეკისრება იმ საგანგებოდ უფლებამოსილ პირს, რომელიც ახორციელებს დაკავებას... საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია ასკვნის - თუ არ არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დაკავების საფუძველი, არ უნდა არსებობდეს არც „დაკავება“, რადგან ამ შემთხვევაში შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა მხრიდან კონკრეტული პირის, არა ეგრეთ წოდებულ „კანონიერ დაკავებას“, არამედ თავისუფლების უკანონო ხელყოფას.“²¹⁷

²¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, პ.1;

²¹⁴ იქვე;

²¹⁵ იქვე;

²¹⁶ იქვე;

²¹⁷ იქვე;

საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას სცილდება იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ რამდენად მოდის საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებთან შესაბამისობაში იმ ქმედების კრიმინალიზაცია, რისი ჩადენის გამოც დაკავებულ იქნა პირი.²¹⁸

საქმეში „მოქალაქე ერმილე თორთლაძე და მისი წარმომადგენლები ღია მუხაშავრიადაარჩილჩოფიკაშვილისაქართველოსპარლამენტისწინააღმდეგ“ მოსარჩელე დაკავებული იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც გამოიხატებოდა ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენოფინის“ შენახვაში. მოსარჩელე ითხოვდა „უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლითაც ბუპრენოფინი მიჩნეული იყო ნარკოტიკულ საშუალებად.²¹⁹

მოსარჩელე მიუთითებდა, გაეროს „1961 წლის ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ“ კონვენციაზე, რომლის ჩამონათვალშიც ბუპრენოფინი არ გვხვდებოდა. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ დანაშაული, რომლის კრიმინალიზაციაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებას, იმავდროულად ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველ პუნქტს, რომლითაც დაცულია ადამიანი თავისუფლების ხელშეუხებლობის თვითნებური შეზღუდვისაგან.²²⁰

საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო სარჩელი არსებითად განსახილველად. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეებმა (წარმომადგენლებმა) ვერ დაასაბუთეს სადავო აქტის მიმართება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველ ... პუნქტთან მიმართებით. ვინაიდან მოსარჩელე ითხოვდა სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას საერთაშორისო ხელშეკრულებასთან მისი შეუსაბამობის გამო, სასამართლომ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „მხოლოდ ამ საფუძვლით სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმება სცილდება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას.“²²¹

²¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 9 ივნისის #2/11/385 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ერმილე თორთლაძე და მისი წარმომადგენლები ღია მუხაშავრია და არჩილ ჩოფიკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

²¹⁹ იქვე;

²²⁰ იქვე;

²²¹ იქვე;

ბ) გონივრული ეჭვი²²²

თუკი დანაშაული ჩადენილია, ხელისუფლება დგას მართლმსაჯულების აღსრულების ვალდებულების წინაშე, რამაც შესაძლოა თავისუფლების უფლება შეზღუდოს. თვითნებური დაკავების თავიდან ასაცილებლად, მართლმსაჯულების აღსრულების ლეგიტიმურ საჯარო მიზანსა და ადამიანის თავისუფლების უფლებას შორის პროპორციულობის დასადგენად აუცილებელია გონივრული ეჭვის სტანდარტით ხელმძღვანელობა. გონივრული ეჭვი არის ის, რაც აკავშირებს კონკრეტულ პირს კონკრეტულ დანაშაულთან.²²³

ამასთან მართლმსაჯულების აღსრულების ლეგიტიმური მიზნის არსებობის მიუხედავად, „პირის თავისუფლებაში ჩარევა ვერ მოხდება იმგვარი ეჭვის საფუძველზე, რომელიც ემყარება მხოლოდ სუბიექტურ განწყობას. ამგვარი მიდგომა იქნებოდა მწვანე შუქი თვითნებობისათვის.“²²⁴ იმისათვის, რომ გონივრული ეჭვი გახდეს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი, „უნდა არსებობდეს ობიექტური ბმა დანაშაულსა და დაკავებულ პირს შორის, ობიექტური გარემოებები, მონაცემები, რომელიც შექმნის იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ჩადენილია დანაშაული და სწორედ იმ პირის მიერ, რომელსაც აკავებენ. სხვა სიტყვებით, ეჭვი უნდა იყოს საფუძვლიანი. ამავდროულად, ეჭვი უნდა ემყარებოდეს ობიექტური მონაცემების კეთილსინდისიერ და გონივრულ შეფასებას.“²²⁵

2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშელიაშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ნაწილობრივ იმსჯელა „ეჭვის შეტანის“ საკითხზე.“ დასახელებულ საქმეზე მოსარჩელე აცხადებდა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 141-ე მუხლით პირის დაკავება შესაძლებელი იყო, თუკი არსებობს დანაშაულის ჩადენაში პირზე ეჭვის მიტანის საკმაო საფუძველი. ეს მაშინ, როცა სადავო 142-ე მუხლის მეორე ნაწილი პირის დაკავების შესაძლებლობას ითვალისწინებდა მაშინ, თუკი შესაძლებელია, დანაშაულის ჩადენის ეჭვი იქნეს მიტანილი პირზე და თუ მას არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან მისი ვინაობა დაუდგენელია. მოსარჩელემ მიუთითა, რომ 142-ე მუხლის მეორე ნაწილი იძლეოდა პირის თვითნებური დაკავების შესაძლებლობას, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 141-ე მუხლისგან განსხვავებით, რომელიც დანაშაულის ჩადენის

²²² საკანონმდებლო ცვლილებების კვალობაზე იცვლებოდა დაკავების სტანდარტის სახელწოდება. 2003 წელს ამ ცნების აღსანიშნავად გამოიყენებოდა საფუძვლიანი ეჭვი, 2009 წლის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლო გონივრულ ეჭვად მოიხსენიებს, ხოლო დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით ამ სტანდარტის ლეგალური სახელწოდება „დასაბუთებული ვარაუდია.“ განსხვავებული სახელწოდებების მიუხედავად, სისხლისამართლებრივი დაკავების სტანდარტის შინაარსი უცვლელია. კომენტარებში გამოვიყენებთ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილებაში ნახსენებ ტერმინ „გონივრულ ეჭვს“ (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც 2003 წლის გადაწყვეტილების ციტირების აუცილებლობა იქნება საჭირო).

²²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.21;

²²⁴ იქვე;

²²⁵ იქვე;

თაობაზე საფუძვლიანი ეჭვის არსებობის პირობით ითვალისწინებდა პირის დაკავების შესაძლებლობას. საფუძვლიანი ეჭვის განმარტებისათვის მოსარჩელემ მოიწველია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, საფუძვლიანი ეჭვი ნიშნავს: ისეთი ფაქტებისა და ინფორმაციის არსებობას რომელიც დაკავყოფილებდა დამოუკიდებელ დამკვირვებელს, რომ სწორედ დაკავებულ პირს შეეძლო ჩადენა დანაშაული.²²⁶

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ნორმა ორზროვნად იყო ჩამოყალიბებული, კერძოდ, გაუგებარი იყო, რას გულისხმობდა ფრაზა: „...დანაშაულის ჩადენის ეჭვი იქნეს მითანილი პირზე...“ - უკვე ჩადენილ დანაშაულს თუ დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობასაც.²²⁷ აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლს.

ამგვარად, დაკავება, რაც არ ხდება დანაშაულის ჩადენის თაობაზე გონივრული ეჭვის გამო, წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების ხელშეუვალობის თვითნებურ შეზღუდვას. გონივრული ეჭვის ასეთი სტანდარტი მართლმსაჯულების აღსრულებისა და ადამიანის თავისუფლების ხელშეუვალობის უფლების დაბალანსების შესაძლებლობას ქმნის. ამ სტანდარტის გარეშე ადამიანისათვის თავისუფლების აღკვეთა ვერ პასუხობს თანაზომიერების ტესტის მოთხოვნებს და, შესაბამისად, ხელყოფს ძირითადი უფლების ხელშეუხებელ არსს.²²⁸ დაკავებას წინ უნდა უძღოდეს დანაშაულის ჩადენა და გონივრული ეჭვი.²²⁹ ადამიანის დაკავების შემდეგ დაკავებული პირის მიმართ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით გონივრული ეჭვის წარმოშობა მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ უფლებაში არათანაზომიერი ჩარევა მოხდა.

1.9. სუბიექტები

საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ გადაწყვეტილებაში განაცხადა: საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი თავისი შინაარსიდან გამომდინარე ვრცელდება ფიზიკურ პირებზე, ვინაიდან შეუძლებელია იურიდიული პირის დაკავება ან დაპატიმრება.²³⁰

²²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება;

²²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, პ.1;

²²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება II.3.22;

²²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება II.3.26;

²³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.3;

1.10. დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შემდეგ შესაძლოა შემდეგი ძირითადი საკითხების განსაზღვრა:

- კონსტიტუციის მე-18 მუხლით დაცულია ადამიანის ფიზიკური თავისუფლება და განსხვავდება თავისუფლების სხვა უფლებებისაგან;
- თავისუფლების უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის, თუმცა მისი შეზღუდვისას სახელმწიფოს მკაცრი მოთხოვნები წაეყენება;
- თავისუფლების უფლების შეზღუდვა მოიცავს გადაადგილების თავისუფლების აღკვეთასაც, თუმცა კონსტიტუციის 22-ე მუხლით დაცული სიკეთისაგან განსხვავებით ხასიათდება ჩარევის მაღალი ინტენსივობით, ასევე იმით, რომ კონსტიტუციის 22-ე მუხლით გარანტირებული გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვისას პირს არ აქვს აკრძალული გარესამყაროსთან კონტაქტის შესაძლებლობა, მაშინ როდესაც თავისუფლების აღკვეთისას დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს შეზღუდული აქვს გარეშე პირებთან ურთიერთობა;
- სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობის ვადების საკითხი არ ექვევა კონსტიტუციის მე-18 მუხლით დაცულ სფეროში;
- რაც უფრო მძიმეა თავისუფლების უფლებაში ჩარევის ფორმა, კონსტიტუციური დაცვის მით უფრო მაღალი სტანდარტია დადგენილი;
- კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი შესაძლოა დაირღვეს მაშინაც, როცა სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის საჯარო ლეგიტიმური ინტერესის შელახვა შედეგად იწვევს ადამიანისათვის თავისუფლების აღკვეთას და მას არ ეძლევა საკუთარი თავის დაცვისა და დაპატიმრების შესახებ განკარგულების გასაჩივრების უფლება;
- თავისუფლების აღკვეთა თვითნებურია, თუკი მას წინ არ უძღვის დანაშაულის ჩადენა და დაკავების განმახორციელებელ უფლებამოსილ პირს არ წარმოეშობა გონივრული ეჭვი პირის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით;
- კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლების სუბიექტია ფიზიკური პირი და არა იურიდიული პირი.

1.11. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 18.1 მუხლთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი

საქართველოს მოქალაქეები - ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 მარტის #1/1/503,513 საოქმო ჩანაწერი/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები

საქართველოს მოქალაქე ჯიბა ჯანელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 12 მარტის #1/4/222 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე ერმილე თორთლაძე და მისი წარმომადგენლები ლია მუხაშავერია და არჩილ ჩოფიკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 9 ივნისის #2/11/365 განჩინება/

საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე მაჭარაშვილი და დავით სართანია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშელიძე და სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება/

მოქალაქე გიორგი ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 4 თებერვლის #2/1/263 გადაწყვეტილება/

მოქალაქე ოლეგ სვინტრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 17 მარტის #2/3/286 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები ონისე მეზონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება/

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება/

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება/

2. მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი

თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა სასამართლო ხელისუფლების განუყოფელ უფლებამოსილებას წარმოადგენს. კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან. „თავისუფლების უფლების შეზღუდვა უნდა განიხილებოდეს როგორც გამონაკლისი და ნებადართული მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამისათვის არსებობს დამაჯერებელი არგუმენტაცია“.²³¹ აღნიშნული კონსტიტუციური დებულება არ გულისხმობს კანონმდებლობის ფორმალურ კონტროლს. ის მოიცავს კანონმდებლობის ძირეულ შინაარსობრივ და პროცედურულ შემოწმებასაც.

2.1. კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დაცული სფერო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ განაცხადეს: „ამ ნორმის ძირითადი მიზანი არის ის, რომ არ მოხდეს თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა არასასამართლო ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ, ანუ ამ საკითხების გადაწყვეტაზე მხოლოდ სასამართლო უფლებამოსილი.“²³²

თავისუფლების აღკვეთის შეფარდების ექსკლუზიური სასამართლო კომპეტენციიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გამონაკლისი დაუშვა სიკვდილით დასჯის 20 წლით თავისუფლების აღკვეთით შეცვლასთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პრეზიდენტის მიერ სასამართლოს მონაწილეობის გარეშე სიკვდილით დასჯის 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთით შეცვლა არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტს²³³ (იხილეთ მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის კომენტარები).

„მოქალაქე გიორგი ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქმეში მოსარჩელე ასაჩივრებდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 251-ე მუხლს, რაც ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების გასაჩივრებას ზემდგომ ორგანოში და პროკურორთან ითვალისწინებდა. მოსარჩელის აზრით, ირღვეოდა მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი, ვინაიდან მას არ ჰქონდა ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა.²³⁴

²³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.4;

²³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, მოსამართლეების ქეთევან ერემაძის და კონსტანტინე ვარძელაშვილის აზრი, III.3.1;

²³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 ივნისის #2/12/234,235,237,238 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი კერესელიძე, მამედ გერგედავა, მალხაზ დოლიძე და მალხაზ დიასამიძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;

²³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 4 თებერვლის #2/1/263 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე გიორგი ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება და განაცხადა, რომ პირს ჰქონდა ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების სასამართლოს გზით შემოწმების უფლება: „კანონმდებლობის თანახმად, ადმინისტრაციული პროცესის სპეციფიკიდან გამომდინარე, გარკვეული ურთიერთობა შეიძლება მოწესრიგდეს არა პირდაპირ სასამართლოში მიმართვით, არამედ ზემდგომ ორგანოში ან პროკურორთან გასაჩივრების გზით. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პირს უფლება არა აქვს, თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.“²³⁵

2.2. სიტყვების - სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელობა

კონსტიტუციის მე-18 მუხლში მითითებულია, რომ თავისუფლების აღკვეთის და პირადი თავისუფლების შეზღუდვა უნდა ხდებოდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით. სიტყვა „გადაწყვეტილება“ დავის საფუძველი გახდა საქმეში „საქართველოს მოქალაქეები - ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“²³⁶.

აღნიშნულ საქმეში ერთ-ერთი მოსარჩელე აცხადებდა, რომ სასამართლოს მიმართ გამოვლენილი აშკარა და უხეში უპატივცემულობისათვის ინდივიდს პატიმრობას უფარდებდა მოსამართლე ან სასამართლოს თავმჯდომარე სასამართლოს აქტით, რასაც ეწოდებოდა არა „გადაწყვეტილება“, არამედ „განკარგულება“, რის გამოც, მოსარჩელის აზრით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-6 ნაწილი წინააღმდეგობაში მოდიოდა კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტთან.²³⁷

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის კონსტიტუციურობის საკითხთან დაკავშირებით მოსამართლეთა ხმები თანაბრად გაიყო. მოსამართლეებმა ქეთევან ერემამემ და კონსტანტინე ვარძელაშვილმა მიიჩნიეს, რომ გასაჩივრებული ნორმა შესაბამისობაში იყო კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტთან, ხოლო მოსამართლეებმა ბესარიონ ზოიძემ და ვახტანგ გვარამიამ მხარი დაუჭირეს ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას.²³⁸

2.2.1. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა განსხვავებული აზრები

ა) მოსამართლეებმა²³⁹ არ გაიზიარეს მოსარჩელის და სასამართლო პროცესზე მოწვეული სპეციალისტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ განკარგულება არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული სასამართლოს გადაწყვეტილებად, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის

²³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 4 თებერვლის #2/1/263 გადაწყვეტილება;

²³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება;

²³⁷ იქვე;

²³⁸ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში სარჩელი არ დაკმაყოფილდება;

²³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, მოსამართლეების ქეთევან ერემამის და კონსტანტინე ვარძელაშვილის აზრი;

იმ ნორმაში, რომელიც საკონონმდებლო აქტში გამოყენებულ ტერმინებს განმარტავდა, ტერმინ „სასამართლო გადაწყვეტილების“ ჩამონათვალში გვხვდებოდა: განაჩენი, განჩინება, დადგენილება და ბრძანება. ამ ჩამონათვალში განკარგულება, როგორც სასამართლო გადაწყვეტილების ერთ-ერთი სახე არ იყო შეტანილი. მოსამართლეებმა მიიჩნიეს, რომ ტერმინი „გადაწყვეტილება“ ფართოდ უნდა განიშარტოს.²⁴⁰ „მართალია, ამ ჩამონათვალში განკარგულება მოხსენიებული არ არის, მაგრამ გარემოება არ იძლევა იმის ცალსახად მტკიცების შესაძლებლობას, რომ განკარგულება არ უნდა ჩაითვალოს გადაწყვეტილებად იმ გაგებით, როგორც ამას ითვალისწინებს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი.“²⁴¹

მოსამართლეებმა მიიჩნიეს, რომ „კონსტიტუციაში მოცემული ტერმინები ყოველთვის არ შემოიფარგლება კანონმდებლობით გათვალისწინებული დეფინიციით“.²⁴² რაც შეეხება საკანონმდებლო აქტებში კონსტიტუციური ტერმინებით ხელმძღვანელობის საკითხს, მოსამართლეებმა იქვე აღნიშნეს, რომ კანონმდებლის ვალდებულებას წარმოადგენს კონსტიტუციაში ჩაწერილი ტერმინის სრულად და ადეკვატურად ასახვა.²⁴³

განსხვავებულ აზრში მითითებულია, რომ სადავო ნორმაში არსებობდა საკანონმდებლო ხარვეზი, კერძოდ, კანონმდებლობით არ იყო განსაზღვრული განკარგულების, როგორც სასამართლოს აქტის სამართლებრივი ბუნება, სასამართლოს ისეთი აქტებისაგან განსხვავებით, როგორც იყო განაჩენი, განჩინება, დადგენილება და ბრძანება.²⁴⁴

ამის შემდეგ მოსამართლეებმა მომოიხილეს, განკარგულების ფორმალური და არსობრივი მხარეები, ისევე, როგორც მისი მიზნობრივი დანიშნულება დარგობრივ კანონმდებლობაში (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი) და დაასკვნეს, რომ „სასამართლოს სხვა აქტებისგან განსხვავებით, განკარგულების გამოცემით, როგორც წესი, რეგულირდება სამართალწარმოებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ორგანიზაციული საკითხები. განკარგულების მიზანს წარმოადგენს მართლმსაჯულების განხორციელების არა შინა-არსობრივი, არამედ პროცესის მიმდინარეობის უზრუნველყოფა. თუმცა ეს ერთმნიშვნელოვნად არ ნიშნავს იმას, რომ განკარგულება არ შეიძლება ჩაითვალოს სასამართლოს გადაწყვეტილებად“.²⁴⁵

მოსამართლეებმა განკარგულების, როგორც სასამართლოს აქტის შეფასებისას ყურადღება გაამახვილეს მის სავალდებულო ხასიათზე. კერძოდ, საპროცესო კანონმდებლობით განკარგულებები ისევე სავალდებულოდ შესასრულებელი მოთხოვნები იყო, როგორც ვიწრო გაგებით სასამართლოს „გადაწყვეტილებები“ (დადგენილებები, განჩინებები). მოსამართლეების თქმით, მართალია, კანონმდებლობა განკარგულებასა და სასამართლოს სხვა

²⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, მოსამართლეების ქეთევან ერემაძის და კონსტანტინე ვარძელაშვილის აზრი, III.3.1;

²⁴¹ იქვე;

²⁴² იქვე;

²⁴³ იქვე;

²⁴⁴ იქვე;

²⁴⁵ იქვე;

აქტებს ერთმანეთთან არ აიგივებს, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებების შესრულების სავალდებულობის მოთხოვნა თანაბრად ეხება სასამართლოს მიერ მიღებულ განკარგულებასაც.²⁴⁶

მოსამართლეებმა ასევე გააკრიტიკეს მოსარჩელის მიერ ნორმის კონსტიტუციურობის შეფასების ფორმალისტური მიდგომა. მათი აზრით, ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას მნიშვნელოვანი არა სახელწოდებათა თანხვედრა, არამედ პრობლემის არსობრივი მხარე, ის, თუ რა საკითხს წყვეტს ნორმა და რა წესით ხდება მისი გამოცემა: „... მიღებულ აქტს განკარგულების ნაცვლად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის” 44-ე მუხლის მე-6 ნაწილში მოცემული ნებისმიერი სახელწოდება რომ ჰქონოდა (განაჩენი, განჩინება, ბრძანება ან დადგენილება), ამით მოსარჩელეთა მიერ წამოჭრილი პრობლემები, ისევე როგორც სადავო ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი, ვერ გადაწყდებოდა.”²⁴⁷

აქტის სახელწოდება ნაკლებად მნიშვნელოვანია, თუკი სამართლიანი სასამართლო პროცედურის არსებობით დაცულია ადამიანის თავისუფლების უფლება. მოსამართლეებმა მიიჩნიეს, რომ საკანონმდებლო ხარვეზი, მართალია, საჭიროებდა გამოსწორებას, მაგრამ თავისთავად არ იყო არაკონსტიტუციური. მოსამართლეებმა განაცხადეს: „კონსტიტუციურობის შეფასების თვალსაზრისით, არსებითია არა ის ფორმალური გარემოება, თუ რა სახელწოდების მატარებელია პატიმრობის შეფარდების თაობაზე მოცემული აქტი, არამედ ის, თუ რა საკითხის გადასაწყვეტად და როგორ (რა პროცედურით) მიიღება ის. თუ განკარგულების მიღება მოხდებოდა ყველა იმ პირობის დაცვით, რომელიც აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს მიერ თავისუფლების აღკვეთის საკითხის გადასაწყვეტად, სადავო ნორმების კონსტიტუციურობის დადგენის მოთხოვნა არც დადგებოდა...”²⁴⁸

ბ) განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეებმა²⁴⁹ მხარი დაუჭირეს ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას, თუმცა მათი დასაბუთების შინაარსი არ ეხება განკარგულების სასამართლო გადაწყვეტილებასთან შესაბამისობა-შეუსაბამობის საკითხს. განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეების არგუმენტები ფოკუსირებულია სასამართლოს მიერ პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და მისი აღსრულების წესის კონსტიტუციურობაზე და ამ კუთხით სასამართლოს მიუკერძოებულობის საკითხზე.

განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეები მიუთითებდნენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-6 ნაწილის ნორმატიულად ორგანულ კავშირზე ამავე მუხლის მე-7 ნაწილთან. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სადავო მუხლის მე-7 ნაწილი განსაზღვრავდა სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) და სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გა-

²⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, მოსამართლეების ქეთევან ერემაძის და კონსტანტინე ვარძელაშვილის აზრი, III.3.1;

²⁴⁷ იქვე;

²⁴⁸ იქვე;

²⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, მოსამართლეების ბესარიონ ზოიძის და ვახტანგ გვარამიას განსხვავებული აზრი;

ნკარგულების გამოტანის წესს. განკარგულება მიიღებოდა ადგილზე თათბირით ან ზეპირი მოსმენის გარეშე. ეს კი გულისხმობდა სამართალდარღვევის ჩადენიდან გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ მიღებას, რაც ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, ექვემდებარებოდა ასევე დაუყოვნებლივ აღსრულებას. ამრიგად, ადგილი ჰქონდა დაუყოვნებლივ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას.²⁵⁰

მოსამართლეები აღნიშნავდნენ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც არაკონსტიტუციურად სცნობს სადავო მუხლის მე-7 ნაწილს, იგივე მიდგომას უნდა იჩენდეს მე-6 ნაწილის მიმართ, ვინაიდან განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეები შიშობდნენ, რომ მე-7 ნაწილის გაუქმების შემთხვევაში მის ადგილს დაიკავებდა მე-6 ნაწილი, იმ გაგებით, რომ პრაქტიკაში მოსამართლეები შემჭიდროებულ (გამარტივებულ) სამართალწარმოებას მე-6 ნაწილის საფუძველზე განახორციელებენ. როგორც განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეებმა აღნიშნეს: „აუცილებლად დგება მე-6 ნაწილის გაუქმების საკითხი, იმის გამო, რომ არ დარჩეს შესაძლებლობა ფაქტობრივად მან შეცვალოს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მოქმედება... ასეთ ვითარებაში, სადავო მუხლის მართო მე-7 ნაწილის გაუქმება მხოლოდ ერთი სერიოზული ნაბიჯი იქნება ამგვარი სამართლებრივი ტრანსფორმირების მიმართულებით.“²⁵¹

განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეებმა მიიჩნიეს რომ, კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტში საუბარია სასამართლოზე და იგულისხმება მიუკერძოებელი და სამართლიანი სასამართლო. სადავო მუხლი „არ პასუხობს მიუკერძოებელი სასამართლოს მოთხოვნებს. როცა საქართველოს კონსტიტუციის დასახელებულ ნორმებში საუბარია სასამართლოზე, ივარაუდება, რომ აქ სახეზეა მიუკერძოებელი და სამართლიანი სასამართლო. თუკი რომელიმე ნორმატიული აქტით ირღვევა ეს პრინციპები, ასეთი აქტი არაკონსტიტუციურად უნდა გამოცხადდეს. სასამართლო ამ შემთხვევაში არ აფასებს თავად პატიმრობის ხანგრძლივობის კონსტიტუციურობას. სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად უნდა გამოცხადდეს სწორედ იმიტომ, რომ თავისუფლების აღკვეთის წესია კონსტიტუციასთან შეუსაბამო. წესის ორგანული ნაწილი კი არის არა მართო ის, რომ აუცილებელი პროცედურების დაცვით უნდა მოხდეს პატიმრობის შეფარდება, არამედ ის, რომ ნორმატიულად სწორად განისაზღვროს სანქციის გამოყენებელი სასამართლო, როგორც მიუკერძოებელი სასამართლო. როცა სახეზეა სასამართლოს მიკერძოების ნორმატიული საფუძველი, ამით ირღვევა ადამიანის თავისუფლების დაცვის სასამართლო გარანტიები“.²⁵²

მოსამართლეებმა დაპატიმრების თაობაზე აქტის მიმართ იმსჯელეს მართლმსაჯულების დაუბრკოლებლად განხორციელების მიზნისა და მიუკერძოებელი სასამართლოს კონტექსტში და აღნიშნეს, რომ „არ შეიძლება

²⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, მოსამართლეების ბესარიონ ზოიძის და ვახტანგ გვარამიას განსხვავებული აზრი, IV.3.1;

²⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, მოსამართლეების ბესარიონ ზოიძის და ვახტანგ გვარამიას განსხვავებული აზრი, 3.1;

²⁵² იქვე;

ამ კონკრეტულ ვითარებაში სადავო ნორმას ამართლებდეს მართლმსაჯულების დაუბრკოლებლად განხორციელების მიზანი. ამ მიმართებით გამოყენებული ნებისმიერი მოქმედება თავად უნდა ჯდებოდეს მიუკერძოებელი და სამართლიანი სასამართლოს ორგანიზმში. შეცდომა იქნებოდა ამგვარი ინტერესის საგანში არ დაგვენახა დაპატიმრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. მართლმსაჯულება არ გულისხმობს უბრალოდ მოსამართლის მიერ სამართლის გაჩენის უფლებამოსილებას. პრინციპულად აუცილებელია, რომ ყველა შემთხვევაში, ეს უფლებამოსილება კონსტიტუციურად იყოს გამართლებული. საკანონმდებლო ნორმა არ უნდა იძლეოდეს მიკერძოებული გადაწყვეტილების შესაძლებლობას, მოსამართლის როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი პირის “შეცდენის” შესაძლებლობას. მოსამართლე, როგორც ადამიანი, შეიძლება შეცდეს, მაგრამ არ შეიძლება ამაში მას ხელს უწყობდეს თავად ნორმატიული სინამდვილე”.²⁵³ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი თავისუფლების აღკვეთის სასამართლოს მიერ შეფარდების გარანტია ირღვევა არა მხოლოდ მაშინ, როცა სასამართლო არ იყენებს აუცილებელ პროცედურას, არამედ მაშინაც, როცა სასამართლო მიკერძოებულია.²⁵⁴

2.3. სუბიექტები

კონსტიტუციის მე-18 მუხლის მეორე პუნქტის სუბიექტი იგივეა, რაც ამავე მუხლის პირველი პუნქტის. დეტალურად ეს საკითხი იხილეთ კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის კომენტარებში.

2.4. დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შემდეგ შესაძლოა შემდეგი ძირითადი საკითხების განსაზღვრა:

- კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი გულისხმობს, რომ თავისუფლების აღკვეთა და პირადი თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ სასამართლოს მოვალეობაა;
- საკანონმდებლო მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ დაკავების კანონიერება საჩივრდება ზემდგომ ორგანოში ან პროკურორთან, არ გამორიცხავს სასამართლო კონტროლს;
- კანონმდებელს მოეთხოვება თავისუფლების აღკვეთის დამდგენი სასამართლო აქტების დეტალური სამართლებრივი რეგულირება;
- კონსტიტუციურობის შეფასების თვალსაზრისით, არსებითია არა ის ფორმალური გარემოება, თუ რა სახელწოდების მატარებელია პატიმრო-

²⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, მოსამართლეების ბესარიონ ზოიდის და ვახტანგ გვარამიას განსხვავებული აზრი, პ.3;

²⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, მოსამართლეების ბესარიონ ზოიდის და ვახტანგ გვარამიას განსხვავებული აზრი, IV.3.1;

ბის შეფარდების თაობაზე გამოცემული აქტი, არამედ ის, თუ რა საკითხის გადასაწყვეტად და როგორ (რა პროცედურით) მიიღება ის;

- თუ განკარგულების მიღება მოხდება ყველა იმ პირობის დაცვით, რომელიც აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს მიერ თავისუფლების აღკვეთის საკითხის გადასაწყვეტად, სადავო ნორმების კონსტიტუციურობის დადგენის მოთხოვნა არ დგას.
- მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი თავისუფლების აღკვეთის სასამართლოს მიერ შეფარდების გარანტია ირღვევა არა მხოლოდ მაშინ, როცა სასამართლო არ იყენებს აუცილებელ პროცედურას, არამედ მაშინაც, როცა სასამართლო მიკერძოებულია

2.5. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 18.2 მუხლთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება

საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი კერესელიძე, მემედ გერგედავა, მალხაზ დოლიძე და მალხაზ დიასამიძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 ივნისის #2/12/234,235,237,238 განჩინება/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

საქართველოს მოქალაქეები - ონისე მებონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება/

მოქალაქე გიორგი ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საქართველოს /საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 4 თებერვლის #2/1/263 გადაწყვეტილება/

3. მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი

3.1. დაცული სფერო

საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკაში კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები ერთმანეთთან კავშირში არის განხილული. სასამართლომ აღნიშნა: „ეს კონსტიტუციური ნორმები, ისევე როგორც მთლიანად მე-18 მუხლი ეძღვნება ადამიანის თავისუფლების დაცვას. ადამიანის თავისუფლება გარანტირებულია არა მხოლოდ მატერიალური ნორმით, არამედ კონსტიტუციურ რანგში აყვანილი პროცესუალური ნორმების ერთობლიობით, რაც ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულ ადგილს ძირითად უფლებათა სისტემაში“.²⁵⁵ კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ელემენტები: დაკავების კანონით გათვალისწინებული შემთხვევა, დაკავების განხორციელება საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ, განსჯადი სასამართლო და დაკავების ვადა. ეს საკითხები ექვევა კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით დაცულ სფეროში.

3.2. კონსტიტუციური დებულების ისტორია

მე-18 მუხლის მე-3 პუნქტში აღწერილ პროცედურას დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს დებულება არ არის დამახასიათებელი მხოლოდ ქართული სინამდვილისათვის და მას საყოველთაო მნიშვნელობა გააჩნია. კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით დაცული გარანტია ცნობილია, როგორც „ჰაბეას კორპუსის პროცედურა.“ საკონსტიტუციო სასამართლომ 2009 წლის 6 აპრილს საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა: „საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ თავისუფლებებს შორის ადამიანის თავისუფლებას ყველაზე ხანგრძლივი ისტორია აქვს, მისი წარმოშობა იმ საფრთხეს უკავშირდება, რომელიც ადამიანს ემუქრება შეუზღუდავი სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან. ამ საფრთხისაგან დაცვის საჭიროებამ განაპირობა, რომ ადამიანის თავისუფლების დაცვა აისახა თავისუფლების დიდ ქარტიაში, უფლებათა პეტიციაში და უპირველეს ყოვლისა, ჰაბეას კორპუს აქტში. ამ უფლებებს ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ნებისმიერი კლასიკური კატალოგი, როგორც ეროვნული კონსტიტუციების, ასევე, საერთაშორისო სამართლის დონეზე ... ე.წ. „ჰაბეას კორპუს უფლებები“ დაცული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაშიც“.²⁵⁶

3.3. დაკავება კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2009 წლის 6 აპრილს მიღებულ გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი

²⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.1;

²⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.3;

საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ განაცხადა, რომ „მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება ფორმალური თვალსაზრისით მოითხოვს, რომ ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. ეს არის ე.წ. „საკანონმდებლო დათქმა“, რაც გულისხმობს, რომ აღნიშნული საკითხის მოწესრიგება შესაძლებელია მხოლოდ საკანონმდებლო აქტით. ნებისმიერი სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის დაკავების შემთხვევებს, იქნება არაკონსტიტუციური ფორმალური თვალსაზრისით. ამ დროს წესების დადგენა არის საკანონმდებლო ხელისუფლების პრეროგატივა, ხოლო ხელისუფლების სხვა შტოები მოქმედებენ საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დადგენილი არეალისა და წესების დაცვით“.²⁵⁷

სასამართლომ აქვე აღნიშნა, რომ საკანონმდებლო ხელისუფლებას არა აქვს განუზომელი უფლება ნებისმიერი საშუალებით შეზღუდოს ადამიანის უფლება. ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევისას კანონმდებელი ექვევა კონსტიტუციური კონტროლის ქვეშ: „კანონმდებელს აქვს შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება მიზნის მიღწევის მრავალ პოტენციურ გზას შორის არჩევანის გასაკეთებლად, თუმცა ის შეზოგნილია კონსტიტუციური ნორმებითა და პრინციპებით.“²⁵⁸ „კანონმდებლის უფლება, კანონის საშუალებით დაადგინოს დაკავების შემთხვევები, თავის მხრივ შეზღუდულია ადამიანის თავისუფლების ძირითადი უფლებით“.²⁵⁹

სასამართლომ მიუთითა, იმისათვის, რომ დაკავება აკმაყოფილებდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს, დანაშაული მომხდარი უნდა იყოს. „ამ არსებით წინაპირობასთან ერთად, ორი მეტად მნიშვნელოვანი მოთხოვნაც უნდა აღინიშნოს: 1) დანაშაულის ჩადენაში ეწვმიტანილი პირის თავისუფლების აღკვეთის მიზანს მისი „უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს“ წინაშე წარდგენა უნდა შეადგენდეს; 2) დაკავებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ეჭვი „გონივრული უნდა იყოს“.²⁶⁰

აღნიშნულ საქმეში მოსარჩელე სახალხო დამცველი მოითხოვდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობას. ეს ნორმა შესაძლებლობას აძლევდა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს, დაეკავებინა პირი, თუკი შეიძლებოდა, რომ იგი მიმალულიყო.²⁶¹

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, პოლიციის უფლებამოსილება, მიმალვის გამო დაეკავებინა პირი, იყო „კანონით განსაზღვრული შემთხვევა“ ფორმალური გაგებით და შეესაბამებოდა მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს. გასაჩივრებული

²⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.9;

²⁵⁸ იქვე;

²⁵⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.12;

²⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.23;

²⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, I.3.2;

ნორმა წარმოადგენდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემადგენელი ნაწილს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი წარმოადგენს საკანონმდებლო აქტს, რომელიც მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ „142-ე მუხლის პირველი ნაწილის “ვ” ქვეპუნქტი შეიძლება ჩაითვალოს “კანონით განსაზღვრულ შემთხვევად” ფორმალური თვალსაზრისით“.²⁶²

მიუხედავად იმისა, რომ დაცული იყო მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის ფორმალური მოთხოვნა, საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებული იყო, შეემოწმებინა სადავო ნორმის შესაბამისობა მე-18 მუხლის მე-3 პუნქტთან მატერიალური სამართლებრივი თვალსაზრისით. ტერმინი კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტში ნახსენებ სიტყვებს „კანონით განსაზღვრული შემთხვევა” გააჩნია მატერიალური სამართლებრივი შინაარსიც. კონსტიტუციური დებულების მატერიალური შინაარსი დგინდება არა მხოლოდ კონსტიტუციური ნორმის განმარტებით კონსტიტუციურ პრინციპებთან კავშირში,²⁶³ არამედ თანაზომიერებისა და განსაზღვრულობის პრინციპის გამოყენებით.²⁶⁴

დაკავება თანაზომიერების მოთხოვნებს აკმაყოფილებს, თუკი სათანადოდ არის აწონ-დაწონილი, ერთი მხრივ, ჩარევის სიმძიმე, მეორე მხრივ, მისი გამამართლებელი მიზეზები. დაკავება არ უნდა აწვებოდეს პირს გადამეტებულ ტვირთად. სასამართლომ განაცხადა, რომ „პირის დაკავება ყოველ შემთხვევაში უნდა იყოს სათანადო, აუცილებელი და პროპორციული საშუალება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიერ დადგენილი მიზნებისა და მთავარი მიზნის - მართლმსაჯულების განხორციელების მისაღწევად. ერთის მხრივ, ჩარევის სიმძიმისა და მეორე მხრივ, მისი გამამართლებელი მიზეზების აწონ-დაწონვისას უნდა იქნეს დაცული დასშვებობის ზღვარი დაკავებული პირისათვის. დაკავება არ უნდა აწვებოდეს ამ ღონისძიების ადრესატს გადამეტებულ ტვირთად“.²⁶⁵

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეში განაცხადა, რომ „დაკავებას აუცილებლად უნდა უძღოდეს წინ სავარაუდო დანაშაული, წინააღმდეგ შემთხვევაში, სადავო ნორმა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამორიცხავს დაკავებას და თუ დაკავება მაინც განხორციელდა, ითვალისწინებს პირის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას.... დაკავებაზე უფლებამოსილი პირი არა მხოლოდ დარწმუნებული უნდა იყოს, რომ პირის მიერ, რომელსაც აკავებს ჩადენილია დანაშაული, არამედ უნდა შეეძლოს გაარკვიოს, რომ ისეთი დანაშაულია სახეზე, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სასჯელის სახით

²⁶² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.10;

²⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.12;

²⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.13;

²⁶⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.37;

თავისუფლების აღკვეთას და ეს ყოველივე განუმარტოს ექვმიტანილს“.²⁶⁶ ასევე სამართალდამცავთაგან ითხოვს გონივრული ექვის არსებობას, რაც დასაკავებელ პირს ობიექტურად დააკავშირებდა ჩადენილ დანაშაულთან. სასამართლომ აღნიშნა, რომ „დაკავებისათვის უფლებამოსილ პირს უნდა შეეძლოს გააკეთოს დასკვნა, რომ სწორედ იმ დანაშაულან აქვს შეხება, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თვისუფლების აღკვეთა“.²⁶⁷

ზემოხსენებულ გარემოებებთან კუმულაციურ კავშირში საკონსტიტუციო სასამართლომ თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით კონსტიტუციურად მიიჩნია ადამიანის დაკავების შესაძლებლობა მისი მიმალვის საფრთხის გამო. სასამართლომ მიუთითა, რომ ამ დროს პირის დაკავება აუცილებელი და პროპორციულია. კანონით აღნიშნული შემთხვევის გათვალისწინების აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ მიმალვა არ არის მხოლოდ პირის ადგილსამყოფელის ცვლილება. მიმალვა ასევე გულისხმობს მომავალ საფრთხეს, რომ პირი თავს აარიდებს გამოძიებას და სასამართლოს. მიმალვა თავის თავში ასევე მოიცავს საფრთხეს, რომ პირი გააგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას, ჩაიდენს დანაშაულს, თუნდაც იმისათვის, რომ ხელში არ ჩაუვარდეს საგამოძიებო ორგანოებს, გაანადგურებს მტკიცებულებებს, თუ მიეცემა ამის საშუალება. საბოლოო ჯამში უკიდურესად გართულდება, თუ საერთოდ შეუძლებელი არ გახდება, შესაბამისი პირის მიმართ მართლმსაჯულების განხორციელება.²⁶⁸

სასამართლომ სადავო ნორმა შეაფასა თანაზომიერების პრინციპთან კონტექსტში და მიუთითა სავარაუდო დანაშაულის ჩამდენი პირის თავისუფლებაში ჩარევის უმთავრეს ლეგიტიმურ მიზანზე - მართლმსაჯულების განხორციელებაზე. სასამართლომ განმარტა: „თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, ძირითად უფლებაში ნებისმიერი ჩარევა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს. კოლეგიას მიაჩნია, რომ ადამიანის თავისუფლებაში ჩარევის უმთავრესი ლეგიტიმური, კონსტიტუციური მიზანია პირის მიმართ, რომელმაც სავარაუდოდ ჩაიდინა დანაშაული, მართლმსაჯულების განხორციელება. აქ საუბარია დანაშაულის სავარაუდოდ ჩამდენ პირზე, რადგანაც სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე მოქმედებს უდანაშაულობის პრეზუმციის კონსტიტუციური პრინციპი ... მართალია დაკავების მიზანი კანონით განსაზღვრულია, მაგრამ ასეთი განსაზღვრა აზრს იქნება მოკლებული და მიიღებს მხოლოდ ფორმალურ დატვირთვას გარკვეული გარემოებების შემთხვევაში. თუ არ არსებობს სავარაუდო დანაშაული, მაშინ არ არსებობს დაკავების მთავარი მიზანი - მართლმსაჯულების განხორციელება, ანუ პირის დაკავება იმ დროს, როდესაც სახეზე არ არის დანაშაული, არ ემსახურება ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. ამავდროულად, თუ სახეზეა დანაშაულის ფაქტი, მაგრამ არ არსებობს პირის კავშირი ამ დანაშაულთან, მისი დაკავება,

²⁶⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.29;

²⁶⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.34;

²⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.39;

ასევე, არ არის მიმართული ლეგიტიმური მიზნის მიღწევისაკენ“.²⁶⁹

იქვე საკონსტიტუციო სასამართლომ განახილავა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე “სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილებისაგან საქმეზე “საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშელიაშვილი და სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”.²⁷⁰ საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტებით, 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებაში, სასამართლომ „ყურადღება გაამახვილა ფრაზის „...დანაშაულის ჩადენის ეჭვი იქნეს მიტანილი პირზე...“, ორაზროვნებაზე. სასამართლოსთვის გაუგებარი იყო, თუ რას გულისხმობდა კანონმდებელი, უკვე ჩადენილ დანაშაულს თუ დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობასაც“.²⁷¹ 2009 წლის გადაწყვეტილებაში სასამართლომ სადავო ნორმა კონსტიტუციურსამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად მიიჩნია.²⁷²

ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა: „სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას მნიშვნელობა არა აქვს, თუ როდის მიიღეს პირი ფორმალურად ეჭვიმიტანილის სტატუსს. გადამწყვეტია ის, თუ რამდენად არის სახეზე... - სავარაუდო დანაშაული და გონივრული ეჭვი, რაც წინ უნდა უსწრებდეს პირის დაკავებას. ცალკე აღებული პირის დაკავების ფაქტი, რა თქმა უნდა, გონივრულ ეჭვს ვერ გააჩენს“.²⁷³

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: „საქართველოს კონსტიტუცია და გაერთიანებული ერების 1966 წლის 16 დეკემბრის „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი ითვალისწინებენ დაკავებას - თავისუფლების შეზღუდვას მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და საფუძველზე.“²⁷⁴ „საქართველოს კონსტიტუცია არ იცნობს პირის დაკავების შესაძლებლობას “სხვა მონაცემების” საფუძველზე, ეს მონაცემები შესაძლებელია დაედოს საფუძველად ეჭვს და არა პიროვნების თავისუფლების შეზღუდვას“.²⁷⁵

²⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.18,20;

²⁷⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.44-46;

²⁷¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.44; ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშელიაშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.1;

²⁷² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.30;

²⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.26;

²⁷⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, პ.1;

²⁷⁵ იქვე;

3.4. საგანგებოდ უფლებამოსილი პირი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2009 წლის 6 აპრილის საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ განაცხადა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადების მეორე ფორმალური მოთხოვნაა, რომ ადამიანის დაკავება დასაშვებია საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ... დაკავებისათვის უფლებამოსილი პირების კონკრეტული და ამომწურავი ჩამონათვალი აუცილებლად უნდა იქნეს განსაზღვრული საკანონმდებლო აქტით“.²⁷⁶

სასამართლომ დაკავებისათვის საგანგებოდ უფლებამოსილი პირის ვალდებულებად მიიჩნია პირის დაკავებისთანავე მისთვის უფლებათა განმარტება. სასამართლომ აღნიშნა: „პირი დაკავებულად შეიძლება ჩაითვალოს იმ მომენტიდან, როდესაც დაკავებისათვის საგანგებოდ უფლებამოსილი პირი კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და საფუძველზე, შეუზღუდავს ადამიანს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ თავისუფლებას ... სასამართლო მიიჩნევს, რომ დაკავებულისათვის უფლებათა განმარტება უნდა განხორციელდეს მისი დაკავებისთანავე...“.²⁷⁷

2005 წლის 4 თებერვალს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა სარჩელი საქმეზე „მოქალაქე გიორგი ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. მოსარჩელე ითხოვდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 243-ე მუხლის იმ დებულების არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლითაც სახალხო რაზმეულის წევრს უფლება ეძლეოდა, სამართალდარღვევის ოქმის შედგენის მიზნით (როცა მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელი იყო) მიეყვანა პირი პოლიციაში ან სახალხო რაზმეულის შტაბში. მოსარჩელის აზრით, აღნიშნული ნორმა წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტთან, რომლითაც ადამიანის დაკავება შესაძლოა განხორციელოს საგანგებოდ უფლებამოსილმა პირმა. მოსარჩელის თქმით, საგანგებოდ უფლებამოსილ პირად ჩაითვლება ის, ვისი სტატუსი და უფლებამოსილება განსაზღვრულია კანონით. მოსარჩელის მტკიცებით, სახალხო რაზმის სტატუსი კი არც ერთი საკანონმდებლო აქტით არ არის განსაზღვრული.²⁷⁸

საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა და განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ „სახალხო რაზმეული“ ფაქტიურად არ არსებობს, სადავო ნორმა ძალაშია, მოქმედებს და იძლევა პირის გაუთვალისწინებელ შემთხვევებში თვითნებური დაკავების საშუალებას, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლს, რომლის თანახმად, „ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ“. ვინაიდან დღეისათვის საქართველოში მოქმედი არანაირი

²⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება II.პ.11;

²⁷⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, პ.1;

²⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 4 თებერვლის #2/1/263 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე გიორგი ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

სამართლებრივი აქტი არ არეგულირებს, თუ რას წარმოადგენს „სახალხო რაზმეულის“ ინსტიტუტი და არ არის დარეგულირებული მისი კანონით გათვალისწინებული უფლებამოვალეობანი, სადავო ნორმა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის აღნიშნულ მუხლს, რომლის თანახმად, ადამიანის დაკავება უნდა მოხდეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, საამისოდ საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ“.²⁷⁹

3.5. დაკავების ვადა

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლოს გარეშე პირის დაკავებამ არ შეიძლება გასტანოს 48 საათს. სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა, კანონმდებლობით აღნიშნული მოთხოვნის დარღვევას. მეორე პრობლემატურ საკითხს წარმოადგენდა დაკავების 48 საათის ათვლის საკითხი. საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშელიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა: „პირი დაკავებულად შეიძლება ჩაითვალოს იმ მომენტიდან, როდესაც დაკავებისათვის საგანგებოდ უფლებამოსილი პირი კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და საფუძველზე, შეუზღუდავს ადამიანს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ თავისუფლებას.“²⁸⁰

უნდა აითვალოს თუ არა სასამართლოში წარდგენამდე პირის დაკავების 48 საათიანი ვადა იმ მომენტიდან, როდესაც საგანგებოდ უფლებამოსილი პირი ადამიანს შეიზღუდავს თავისუფლებას, თუ ამ ვადის ათვლა ხდება პოლიციის განყოფილებაში დაკავებულის მიყვანის მომენტიდან? ამ კითხვაზე პასუხი საკონსტიტუციო სასამართლომ გასცა 2003 წლის 17 აპრილს მიღებულ განჩინებაში „მოქალაქე ფირუზ ბერიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

აღნიშნულ სარჩელში მოსარჩელე საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტებთან მიმართებით ასაჩივრებდა დაკავების ვადის ათვლასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არსებულ დებულებებს: „დაკავებულის მოკვლევის ორგანოში მიყვანის მომენტიდან“ და „დაკავების შესახებ ოქმის შედგენიდან“. მოსარჩელემითითებდა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული ნორმა დაკავების 48 საათის ათვლას უკავშირებდა არა ადამიანისათვის თავისუფლების ფაქტობრივი შეზღუდვის მომენტს, არამედ მის პოლიციაში მიყვანის პერიოდს. თავისუფლების შეზღუდვის ის დრო, რაც პირმა პოლიციაში მიყვანამდე გაატარა, არ ითვლებოდა დაკავების კონსტიტუციურ 48 საათიან ვადაში. დაკავების დროის ათვლა იწყებოდა პირის პოლიციის შენობაში მიყვანიდან და დაკავების ოქმის შედგენიდან.²⁸¹

²⁷⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 4 თებერვლის #2/1/263 გადაწყვეტილება;

²⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, პ.1;

²⁸¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 17 აპრილის #2/9/227 განჩინება საქმეზე მოქალაქე ფირუზ ჯიმშელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

აღნიშნულ საქმეში მოსარჩელეს წარმოადგენდა მოქალაქე ფირუზ ბერიაშვილი, რომელიც 2001 წლის 18 სექტემბერს 14:20 საათზე ვაკე-საბურთალოს პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს, პოლიციის დაწესებულებაში წარადგინეს და დაკავების ოქმი შეადგინეს იმავე დღეს 15 საათზე, ანუ რეალური დაკავებიდან 40 წუთის შემდეგ. მოსარჩელე ფირუზ ბერიაშვილი აცხადებდა, 40 წუთი მას არ ჩაეთვალა დაკავების 48 საათში.²⁸²

სასამართლომ აღნიშნა, რომ მას ეს საკითხი კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტთან კავშირში ფაქტობრივად გადაჭრილი ქონდა 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილებით საქმეზე ”საქართველოს მოქალაქეების ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი, და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”. შესაბამისად, ამ საკითხის გადასაწყვეტა ცალკე არსებით განხილვას არ საჭიროებდა. სასამართლომ მიუთითა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ პირს დაკავებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და მიეცეს საშუალება ისარგებლოს აღნიშნული უფლებებით. ასევე პირი დაკავებულად შეიძლება ჩაითვალოს იმ მომენტიდან, როდესაც დაკავებისათვის საგანგებოდ უფლებამოსილი პირი კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში დასაფუძველზე, შეუზღუდავს ადამიანს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ თავისუფლებას. მაშასადამე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ პირს ნებისმიერი უფლების განხორციელება და შესაბამისად, პატიმრობის ვადის ათვლაც დაკავებისთანავე ეწყება“.²⁸³

სასამართლომ აქვე განმარტა, რომ დაკავების თაობაზე პროცესუალური ვადების ათვლის „საკითხის განხილვა უკავშირდება პირის უფლებას დაკავებისთანავე მოითხოვოს აღიარებული ნებისმიერი უფლების განხორციელება, რაც უკვე გადაწყვეტილია სასამართლო კოლეგიის ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებით“.²⁸⁴

აქვე სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ დაკავების ვადის ათვლასთან დაკავშირებული ნორმები არ იყო გასაჩივრებული საქმეში ”საქართველოს მოქალაქეების ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი, და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”. ამის მიუხედავად, სასამართლომ განაცხადა, რომ პარლამენტის და, არა საკონსტიტუციო სასამართლოს, პრეროგატივას წარმოადგენდა გასაჩივრებული ნორმების საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაში მოყვანა.²⁸⁵ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ”საქართველოს მოქალაქეების ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი, და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ” გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს პარლამენტს სთხოვა 2003 წლის 1 მაისამდე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კონსტიტუციასთან შეუსაბამო

²⁸² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 17 აპრილის #2/9/227 განჩინება;

²⁸³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 17 აპრილის #2/9/227 განჩინება, პ.1;

²⁸⁴ იქვე;

²⁸⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 17 აპრილის #2/9/227 გადაწყვეტილება, პ.1;

რამდენიმე დებულების შესწორება.²⁸⁶

დაკავების ვადის ათვლის საკითხი მოგვიანებით კიდევ ერთხელ გახდა საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი. ამჯერად ნორმის კონსტიტუციურობის ბედი საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვიტა. 2005 წლის 4 თებერვლის საქმეზე „მოქალაქე გიორგი ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლი ეხებოდა დაკავების ვადის გამოანგარიშებას. ადმინისტრაციული დაკავების დრო გამოანგარიშებოდა ოქმის შესადგენად დამრღვევის მიყვანის მომენტიდან, ხოლო მთვრალ მდგომარეობაში მყოფი პირის - გამოფხიზლების მომენტიდან.²⁸⁷

საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია დაკავების ვადის ათვლა პირის პოლიციის განყოფილებაში მიყვანის მომენტიდან, ხოლო ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის - მისი გამოფხიზლების მომენტიდან. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა „საქართველოს მოქალაქეების ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი, და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქმეზე მიღებულ 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილებაში და განაცხადა, რომ აღნიშნული ვრცელდებოდა ადმინისტრაციული დაკავების ვადის ათვლაზეც. სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა: „პირი დაკავებულად შეიძლება ჩაითვალოს იმ მომენტიდან, როდესაც დაკავებისათვის უფლებამოსილი პირი კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და საფუძველზე, შეუზღუდავს ადამიანს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ თავისუფლებას“.²⁸⁸

„მოქალაქე გიორგი ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქმეში მოსარჩელე ასევე ასაჩივრებდა 247-ე მუხლის იმ დებულებას, რომლის თანახმად, პირი შეიძლება ადმინისტრაციული წესით დაკავებულ იქნეს სამ დღე-ღამემდე ამის შესახებ პროკურორისათვის წერილობითი შეტყობინებით ან ათი დღე-ღამის ვადით პროკურორის სანქციით. ეს ნორმა, მოსარჩელის აზრით ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტს, ვინაიდან დაუშვებელი იყო პირის დაკავება 48 საათზე მეტხანს, ხოლო 48 საათის განმავლობაში ადამიანისათვის თავისუფლების აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიეღო სასამართლოს და არა პროკურორს, როგორც ეს სადავო ნორმებში იყო აღნიშნული. მოსარჩელე იმავე საფუძველით ასაჩივრებდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის იმ დებულებასაც, რომლის მიხედვით, წვრილმანი ხულიგნობის, კრებების, მიტინგების მსვლელობების წესის დამრღვევი პირები შესაძლოა დაკავებული ყოფილიყვნენ ორ დღე-ღამეზე (48 საათი) მეტხანს ვიდრე მათ საქმეს სასამართლო არ განიხილავდა.²⁸⁹

²⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 17 აპრილის #2/9/227 გადაწყვეტილება, პ.3;

²⁸⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 4 თებერვლის #2/1/263 გადაწყვეტილება;

²⁸⁸ იქვე;

²⁸⁹ იქვე;

საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება და განაცხადა, რომ კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი „იმპერატიულად ადგენსერთადერთუფლებამოსილსუბიექტს,სასამართლოსმიერპირისათვის თავისუფლების შეზღუდვის კანონიერების საკითხის განხილვის ვადებსა და პროცედურებს. სასამართლო მიიჩნევს, რომ სასაზღვრო რეჟიმის დამრღვევი პიროვნების დასადგენად, მისი 3 დღე-ღამით, ხოლო პროკურორის სააჩქვით კი 10 დღე-ღამით დაკავება, სრულიად მოკლებულია სასამართლო კონტროლს და ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-18 მუხლს, რომელიც თავისუფლების აღკვეთის ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის უფლების მქონე სუბიექტად მიიჩნევს მხოლოდ სასამართლოს და დაუშვებლად მიიჩნევს მისი გადაწყვეტილების გარეშე მსგავსი მოქმედების ჩატარებას“.²⁹⁰

სასამართლომ გაიზიარა მიტინგების, მსვლელობების, კრებების ჩატარების წესის სამართალდარღვევის საქმეებზე პირის 48 საათზე მეტხანს დაკავების არაკონსტიტუციურობის არგუმენტიც. სასამართლომ განაცხადა, რომ კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის დამრღვევები შეიძლება დაკავებულნი იქნენ მანამ, სანამ უფლებამოდილი ორგანო არ განიხილავს მათ დარღვევას და არ შეუფარდებს სახდელს... დარღვევის საქმეები განიხილება სამი დღის ვადაში, სადავო მუხლი იძლევა შესაძლებლობას, რომ პირი დაკავებულ იქნეს 48 საათზე მეტი დროით, სანამ იგი წარედგინება სასამართლოს, რაც ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-18 მუხლის მოთხოვნებს“.²⁹¹

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ წვრილმანი ხულოგნობისათვის დაკავებული პირი შესაძლოა 48 საათზე მეტხანს ვერ წარსდგეს სასამართლოს წინაშე. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა მოსარჩელეს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლო ვალდებულია წვრილმანი ხულოგნობის საქმე განიხილოს და დადგენილება მიიღოს 24 საათის განმავლობაში, რაც სრულიად ჯდება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ პირის წინასასამართლო დაკავების 48 საათიან კონსტიტუციურ სტანდარტში.²⁹²

3.6. სუბიექტები

კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტს ჰყავს იგივე სუბიექტები, რომლებიც ამავე მუხლის პირველ პუნქტს. ეს საკითხი განხილულია მე-18 მუხლის პირველი პუნქტის კომენტარებში.

3.7. დაკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შემდეგ შესაძლოა შემდეგი ძირითადი საკითხების განსაზღვრა:

²⁹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 4 თებერვლის #2/1/263 გადაწყვეტილება;

²⁹¹ იქვე;

²⁹² იქვე;

- კანონმდებლის უფლება, კანონის საშუალებით დაადგინოს დაკავების შემთხვევები, თავის მხრივ, შეზღუდულია ადამიანის თავისუფლების ძირითადი უფლებით;
- დაკავება კონსტიტუციურია თუ ჩადენილია დანაშაული. ესაა არსებითი წინაპირობა და მასთან ერთად ორი მეტად მნიშვნელოვანი მოთხოვნაც უნდა აღინიშნოს: 1) დანაშაულის ჩადენაში ეწვემიტანილი პირის თავისუფლების აღკვეთის მიზანს მისი „უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს“ წინაშე წარდგენა უნდა შეადგენდეს; 2) დაკავებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ეჭვი „გონივრული უნდა იყოს“;
- დაკავების კონსტიტუციურობა სხვა წინაპირობებთან ერთად შესაძლოა იმანაც განაპირობოს, რომ სახეზე იყოს დანაშაულის ჩამდენი პირის მიმალვის საფრთხე;
- ადამიანის თავისუფლებაში ჩარევის უმთავრესი ლეგიტიმური, კონსტიტუციური მიზანია პირის მიმართ, რომელმაც, სავარაუდოდ, ჩაიდინა დანაშაული, მართლმსაჯულების განხორციელება;
- ბუნდოვანი/არაგანჭვრეტადი სახის დაკავების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმა არ უნდა ანიჭებდეს საგანგებოდ უფლებამოსილ პირს დაკავების უფლებამოსილებას;
- დაკავებისათვის უფლებამოსილი პირების კონკრეტული და ამომწურავი ჩამონათვალი და უფლებამოსილება აუცილებლად უნდა იგანისაზღვროს საკანონმდებლო აქტით, მხოლოდ ასეთ პირებს აქვთ დაკავების უფლებამოსილება;
- დაკავების ვადის ათვლა ხდება არა პოლიციის შენობაში მიყვანიდან, არამედ ადამიანისათვის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან;
- პირს ნებისმიერი უფლების განხორციელება და შესაბამისად, პატიმრობის ვადის ათვლაც დაკავებისთანავე ეწყება;
- არანაირი გამართლება არ აქვთ იმ ნორმატიულ აქტებს, რომლებიც სასამართლო კონტროლის გარეშე უშვებენ ადამიანის 48 საათზე მეტი ხნით დაკავების შესაძლებლობას, ამასთან, ისინი კონსტიტუციას ეწინააღმდეგებიან;

3.8. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 18.2 მუხლთან მიმართებით

საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება

მოქალაქე ფირუზ ჯიმშელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 17 აპრილის #2/9/227 გადაწყვეტილება/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

საქართველოს მოქალაქეები - ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშელიშვილი და

სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება/

მოქალაქე გიორგი ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 4 თებერვლის #2/1/263 გადაწყვეტილება/

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება/

5. მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი

5.1. დაცული სფერო

მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი იცავს პირის ორ უფლებას: დაკავების ან დაპატიმრებისთანავე მიიღოს განმარტება მისი უფლებების და თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლებთან დაკავშირებით და ისარგებლოს დამცველის დახმარებით.

5.2. უფლებებისა და თავისუფლებების განმარტების უფლება

„საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშელიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქმეში მოსარჩელები ასაჩივრებდნენ პოლიციის განყოფილებაში პირის 12 საათის განმავლობაში მოთავსებას. ამ დროის მანძილზე თავისუფლებაშეზღუდულ პირს არ ჰქონდა ეჭვმიტანილის უფლებები და შესაბამისად, სამართლადამცავი ორგანოს წარმომადგენლებს არ ჰქონდა მისთვის უფლებების განმარტების ვალდებულება.²⁹³

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საბოლოო დასკვნის გაკეთებამდე, ერთობლიობაში შეაფასა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც პირის ეჭვმიტანილის სტატუსის გარეშე პოლიციის განყოფილებაში 12 საათის განმავლობაში მოთავსებას ეხებოდა.²⁹⁴

სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებიდან ირკვეოდა, რომ დანაშაულის ჩადენაში ეჭვის საფუძველზე დაკავებული პირი მიჰყავდათ პოლიციის განყოფილებაში. 12 საათის განმავლობაში მოწმდებოდა პირის დაკავების კანონიერება და დასაბუთებულობა. თუკი 12 საათის განმავლობაში დადასტურდებოდა, რომ პირის დაკავება იყო კანონიერი და დასაბუთებული, გამოსცემდნენ დადგენილებას პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ და დაკავებულს უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის საფუძველს მხოლოდ ამის შემდეგ განუმარტავდნენ. ამგვარად, სადავო ნორმები მხოლოდ 12 საათის გასვლის შემდეგ იძლეოდა დაკავებულისათვის თავისი უფლებების განმარტების შესაძლებლობას. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: „დაკავებულ პირს დაკავებიდან პირველი 12 საათის განმავლობაში, არ გააჩნია ის ძირითადი უფლებები ... კერძოდ კი – „დუმილის უფლება, უფლება არ დაიბრალოს დანაშაული, და დამცველის მოწვევის უფლება.“²⁹⁵

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმები არღვევდნენ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტით ინდივიდსათვის გარანტირებულ უფლებას, დაკავებისთანავე მიეღო

²⁹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშელიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

²⁹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, პ.1;

²⁹⁵ იქვე;

განმარტება თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლების თაობაზე. დაკავების პერიოდი კი გულისხმობდა იმ 12 საათსაც, რასაც ადამიანი პოლიციის განყოფილებაში ატარებდა. როგორც სასამართლომ განაცხადა: „პირი დაკავებულად შეიძლება ჩაითვალოს იმ მომენტიდან, როდესაც დაკავებისათვის საგანგებოდ უფლებამოსილი პირი კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და საფუძველზე, შეუზღუდავს ადამიანს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ თავისუფლებას ... დაკავებულისათვის უფლებათა განმარტება უნდა განხორციელდეს მისი დაკავებისთანავე, მოთხოვნა დამცველის დახმარებაზე უნდა დაკმაყოფილდეს მაქსიმალურად გონივრულ ვადაში.²⁹⁶

საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები არ უნდა დაელოდნენ პირის პოლიციის განყოფილებაში მიყვანას ანდა პოლიციის განყოფილებაში მიყვანიდან 12 საათის გასვლას. დაკავებულს თავისი უფლებები უნდა განემარტოს მაშინვე, როგორც კი პოლიციის სხვა კომპეტენტური თანამდებობის პირი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საფუძველზე დაადგენს, რომ არსებობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დაკავების საფუძვლები და ამის გამო დააკავებს პირს. სწორედ ამ დროს უნდა ხდებოდეს უფლებების განმარტება და არა პოლიციის განყოფილებაში მიყვანიდან 12 საათში.²⁹⁷

საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საოქმო ჩანაწერით არ მიიღო არსებითად განსახილველად სარჩელი იმ ნაწილში, რაც ეხებოდა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის მე-3 პუნქტს. აღნიშნული ნორმის თანახმად, პოლიციის თანამშრომელმა შეჩერებულ პირს უნდა გააცნოს მისი ვინაობა, წარუდგინოს თავისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და განუმარტოს შეჩერების კანონიერებისა და დასაბუთებულობის გასაჩივრების უფლება. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ აღნიშნული ნორმა არ შეიცავს პირის კონსტიტუციური დაცვის საკმარის გარანტიებს, ვინაიდან გასაჩივრებული ნორმა არ ითხოვს პოლიციელებისაგან, შეჩერებული პირის გააცნოს შეჩერების მიზეზები, განუმარტოს მისი უფლებები, რომლებიც პირს დაკავებისას წარმოეშობა.²⁹⁸

საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ „სადავო ნორმა განსაზღვრავს პოლიციელის ვალდებულებას, შეჩერებულ პირს გააცნოს თავისი ვინაობა, განუმარტოს შეჩერების კანონიერებისა და დასაბუთებულობის გასაჩივრების უფლება. ნორმის შინაარსი შეჩერებულ პირთან მიმართებით არის არა შემზღუდველი, არამედ უფლებააღმჭურველი. სადავო ნორმაში მოცემულ პოლიციელის ვალდებულებებს შეესატყვისება შეჩერებული

²⁹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, პ.1;

²⁹⁷ იქვე; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 17 აპრილის #2/9/227 განჩინება საქმეზე მოქალაქე ფირუზ ბერიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.1;

²⁹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 მარტის #1/1//503,513 საოქმო ჩანაწერი საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.11;

პირის უფლებები, მოსთხოვოს პოლიციელს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის

წარმოდგენა, ასევე მიიღოს განმარტება შეჩერების სასამართლოში გასაჩივრების საფუძვლების შესახებ“.²⁹⁹ ამგვარად, ნორმა თავისი შინაარსით უფლების შეზღუდვისკენ არ იყო მიმართული, არამედ დაცვის საშუალებებით აღჭურავდა იმ პირს, რომელიც პოლიციამ შეაჩერა. საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ ის უფლებამოსილი იყო ნორმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით მხოლოდ მაშინ ემსჯელა, როცა ადამიანის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა თავად ნორმატიული აქტით იყო განპირობებული.³⁰⁰ „სასამართლო მიზანშეუწონლად მიიჩნევს იმსჯელოს სადავოდ მიჩნეულ უფლებადმჭურველი შინაარსის მქონე ნორმაზე, ვინაიდან ამ ნორმით დადგენილი წესი, მისი ავტონომიური შინაარსი უფლების შეზღუდვისაკენ არ არის მიმართული და პირის უფლებრივი მდგომარეობის შეზღუდვას არ იწვევს“. შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნა, რომ „პოლიციის შესახებ“ კანონის მე-9¹ მუხლის მე-3 პუნქტი შეზღუდვების დადგენისაკენ არ არის მიმართული და პირის უფლებრივი მდგომარეობის შეზღუდვას არ იწვევს.³⁰¹

სასამართლომ განაცხადა: „იწვევს თუ არა სამართლებრივი ნორმა კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას, საკონსტიტუციო სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ნორმის შინაარსის, მისი მიზანმიმართულებისა და სავარაუდო სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით ადგენს. გაუმართლებელია კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის დაყენება ყველა ისეთ საკანონმდებლო ნორმასთან მიმართებით, რომელიც უფლებით სარგებლობის რეგლამენტირებას ახდენს, ადამიანს გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებს და ამდენად ქცევის სავალდებულო წესს განსაზღვრავს. კონკრეტული ნორმის შინაარსი იმ სამართლებრივ მოწესრიგებაში ვლინდება, რომელსაც იგი მოქმედ სამართლებრივ სივრცეს ამატებს. ფორმალურად უფლებადმჭურველი ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი სასამართლომ იმ შემთხვევაში შეიძლება განიხილოს, როდესაც კონსტიტუციური უფლების (კონსტიტუციით დაცული სფეროს) შეზღუდვის რისკი სადავო ნორმას არსებითად უკავშირდება“.³⁰²

საკონსტიტუციო სასამართლომ მოსარჩელეთა მიერ მითითებული პრობლემის - შეჩერებული პირისათვის შეჩერების მიზეზების განუმარტებლობის რისკი - დაინახა ზოგადად „შეჩერების უფლებამოსილებაში,“ რასაც არა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის მე-3 პუნქტი, არამედ ამავე მუხლის პირველი პუნქტი იძლეოდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ „მოსარჩელენი მიიჩნევენ, რომ „შეჩერება“

²⁹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 მარტის #1/1//503,513 საოქმო ჩანაწერი, II.3.11;

³⁰⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 მარტის #1/1//503,513 საოქმო ჩანაწერი, II.3.12;

³⁰¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 მარტის #1/1//503,513 საოქმო ჩანაწერი, II.3.14;

³⁰² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 მარტის #1/1//503,513 საოქმო ჩანაწერი, II.3.13;

მისი სამართლებრივი და პრაქტიკული შედეგებიდან გამომდინარე, კონსტიტუციით გათვალისწინებული „დაკავების“ იდენტურია და, ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტით და მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. შესაბამისად, ამ ნაწილში კონსტიტუციური დავა შეჩერების უფლებამოსილების არსს, მის ბუნებას უკავშირდება.³⁰³ ამ ნაწილში სასამართლომ საქმე მიიღო არსებითად განსახილველად.

5.3. დაკავების ან დაპატიმრებისთანავე დამცველის დახმარების უფლება

ეს უფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტით გარანტირებულ დაცვის უფლებასთან. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშელიშვილი და სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მეტყველებს იმაზე, რომ კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის აღნიშნული დებულება კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტთან ერთად გამოიყენება პიროვნების დაკავებისას დაცვის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების კონსტიტუციურობის შემოწმებისას.³⁰⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტით დაცული პირის უფლება მოიცავს არა მხოლოდ დაკავებისას ადვოკატზე ხელმისაწვდომობას, არამედ გაწეული იურიდიული მომსახურების კვალიფიციურობასაც.³⁰⁵

ა) დამცველის მომსახურებით სარგებლობის უფლება

„საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშელიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქმეში სადავოდ გამხდარი ნორმები მიუთითებდნენ პირის დაკავებიდან და მისი პოლიციის განყოფილებაში მიყვანიდან 12 საათიან პერიოდზე, როდესაც პოლიცია ამოწმებდა დაკავების კანონიერებას და პირს ეჭმიტანილის სტატუსი ჯერ კიდევ არ გააჩნდა. სადავო ნორმებით, ეჭმიტანილის სტატუსის მიღებამდე, 12 საათის განმავლობაში პირს არ განემარტებოდა დაკავების საფუძვლები და ასევე არ ეძლეოდა დამცველის მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობა. მხოლოდ 12 საათიან პერიოდში ეჭმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების მიღებიდან წარმოეშობოდა დაკავებულს დამცველთან შეხვედრის შესაძლებლობა.³⁰⁶

საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ დაკავებულ პირს, მისი პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის სხვა ორგანოში მიყვანიდან

³⁰³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 მარტის #1/1//503,513 საოქმო ჩანაწერი II.3.14;

³⁰⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, პ.2;

³⁰⁵ იქვე;

³⁰⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება;

პირველი 12 საათის განმავლობაში შეზღუდული აქვს შესაძლებლობა, სრული მოცულობით განახორციელებინა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტით გარანტირებული „დამცველის მოწვევის უფლება“.³⁰⁷ დაკავებული პირისათვის დამცველის მომსახურების სარგებლობასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: „პირს დაკავებისთანავე უნდა განემართოს მისი უფლებები და მიეცეს საშუალება, ისარგებლოს აღნიშნული უფლებებით მათ შორის უფლებით, მოითხოვის დამცველის დახმარება. პირის დაკავებისთანავე დამცველის მოწვევის უფლებას ითვალისწინებენ ევროპის მრავალი ქვეყნები ... მოთხოვნა დამცველის დახმარებაზე უნდა დაკმაყოფილდეს მაქსიმალურად გონივრულ ვადაში“.³⁰⁸ მიუხედავად, გადაწყვეტილებაში სიტყვების - „გონივრულ ვადაში“ ჩანაწერისა, მთლიანად გადაწყვეტილების ტექსტი მიუთითებს, რომ სასამართლომ დაადგინა, რომ პირს დაკავებისთანავე უნდა მიეცეს საშუალება, მოითხოვის და ისარგებლოს დამცველის დახმარების უფლებით. სასამართლომ განაცხადა: „დაკავებულ ეჭვმიტანილს დამცველის დახმარება ესაჭიროება არა მარტო დაკითხვამდე, არამედ დაკავების მომენტიდან, მისი კანონიერი ინტერესების დასაცავად და მისთვის კვალიფიცირებული იურიდიული დახმარების გასაწევად“.³⁰⁹

სასამართლომ კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტთან კავშირში განიხილა და აღნიშნა: „კონსტიტუციის აღნიშნული დებულებების შესაბამისად, დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს გარანტირებული უნდა ქონდეს დამცველის დახმარება... საქართველოს კონსტიტუცია, როგორც ქვეყნის ძირითადი კანონი, მოიცავს სახელმწიფოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებსა და საფუძვლებს, რომელთა მიზანია განსაზღვროს ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის პირის უფლება, დაკავების ან დაპატიმრებისთანავე ისარგებლოს დამცველის დახმარებით“.³¹⁰

იმავე საქმეში მოსარჩელები ითხოვდნენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობას. ამ ნორმის თანახმად, თუ განსაზღვრულ ვადაში დაკავებულის მიერ შერჩეული დამცველი ვერ გამოცხადდება, გამომძიებელი და პროკურორი ვალდებული არიან შესთავაზონ დაკავებულს დამცველის დანიშვნა. დაკავებული, რომელიც უარს იტყვის ამ შეთავაზებაზე, უფლება აქვს მის მიერ არჩეული დამცველის გამოცხადებამდე დაცვა დამოუკიდებლად განახორციელოს.³¹¹

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ არ მიიჩნია. სასამართლომ განაცხადა, რომ დაკავებულს ეძლევა გარკვეული დრო, რათა შეარჩიოს და მოიწვიოს მისთვის სასურველი დამცველი. დაკავებულს აქვს გონივრული ვადა, რაც მოიცავს არა მარტო სასურველი ადვოკატის შერჩევას, არამედ მასთან დაკავშირების, მისი

³⁰⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, პ.1;

³⁰⁸ იქვე;

³⁰⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, პ.2;

³¹⁰ იქვე;

³¹¹ იქვე;

მოწვევისა და გამოცხადების პერიოდსაც.³¹² იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ დასახელებულ გონივრულ დროში დაკავებულის მიერ უკვე შერჩეული დამცველი ვერ გამოცხადდება, კანონმდებელი, სავსებით მართლზომიერად ავალდებულებს გამომძიებელსა და პროკურორს, შესთავაზონ დაკავებულს დამცველის დანიშვნა. დაკავებულს შეუძლია ამაზე განაცხადოს უარი და მის მიერ შერჩეული დამცველის მოსვლამდე, განახორციელოს დაცვა დამოუკიდებლად. საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს ყველა იმ პირობას, რაც სავალდებულოა მე-18 მუხლის მე-5 პუნქტით გარანტირებული სასურველი დამცველის მოწვევისა და დაცვის უფლების განსახორციელებლად.³¹³

ბ) ადვოკატთან შეხვედრის დრო

„საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშელეიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქმეში მოსარჩელები ასევე ასაჩივრებდნენ დაკავებული პირის დამცველთან შეხვედრის დროის შემზღვეველ ნორმას, რომლითაც, დამცველი საქმეში მონაწილეობის მისაღებად დაიშვება ექვმიტანილის პირველ დაკითხვამდე, აგრეთვე პირველი და შემდგომი დაკითხვების დროს.³¹⁴

საკონსტიტუციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ „ექვის“ საფუძველზე დაკავებული უნდა დაიკითხოს პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის სხვა ორგანოში მიყვანიდან არა უგვიანეს 24 საათისა, შესაბამისად, ამ დრომდე უნდა მოხდეს დამცველის დაკავებულთან პირველი შეხვედრა. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ განაცხადა, აღნიშნული ნორმა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს უფლებას აძლევს, საკუთარი შეხედულებისამებრ შეარჩიონ დამცველის საქმეში მონაწილეობის მისაღებად დაშვების დრო დაკავებულის პირველ დაკითხვამდე, რაც, თავის მხრივ, უნდა განხორციელდეს დაკავებულის პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის სხვა ორგანოში მიყვანიდან არა უგვიანეს 24 საათისა. აღნიშნულთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადება, მართალია, არ ადგენს დამცველის საქმეში მონაწილეობის მისაღებად დაშვების კონკრეტულ ვადას, მაგრამ კონსტიტუციის მითითებული დებულების არსიდან გამომდინარე, დაკავებული ან დაპატიმრებული პირის მოთხოვნა დამცველის დახმარების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს დაუყოვნებლივ – მაქსიმალურად გონივრულ დროში.³¹⁵ გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიუღებელი აღმოაჩნდა კანონმდებლის მიერ დამცველის ფუნქციის შეზღუდული გაგება, მან ადვოკატის კვალიფიცირებულ მომსახურებაზეც გააკეთა მინიშნება და მიუთითა, რომ „დაკავებულ ექვმიტანილს დამცველის დახმარება ესაჭიროება არა მარტო დაკითხვამდე, არამედ დაკავების მომენტიდან, მისი კანონიერი ინტერესების დასაცავად და მისთვის კვალიფიცირებული

³¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, პ.2;

³¹³ იქვე;

³¹⁴ იქვე;

³¹⁵ იქვე;

იურიდიული დახმარების გასაწევად“.³¹⁶

აღნიშნულ საქმეში მოსარჩელები ასევე ასაჩივრებდნენ ნორმას, რომელიც ზღუდავდა დამცველისა და დაკავებულის პირისპირ შეხვედრის ხანგრძლივობას დღეში არა უმეტეს ერთი საათით.³¹⁷

საკონსტიტუციოსასამართლომ განაცხადა, რომ კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი გულისხმობს კვალიფიციური იურიდიული მომსახურების მიღების შესაძლებლობასაც, ამიტომ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს უნდა ჰქონდეს გონივრული, საკმარისი დრო და შესაძლებლობა, რათა მოემზადოს თავის დასაცავად და შეხვედეს მის მიერ არჩეულ დამცველს. სასამართლომ მიიჩნია, რომ „დაცვის მხარეს უნდა მიეცეს გონივრული, საკმარისი დრო და შესაძლებლობა განახორციელოს სრულფასოვანი დაცვა, რაც გულისხმობს ისეთ დროს და შესაძლებლობას, რომელიც სისხლის სამართლის ყოველი კონკრეტული საქმის სირთულიდან გამომდინარე, დაცვის მხარეს მისცემდა სრულფასოვანი მომზადების შესაძლებლობას“.³¹⁸ შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, დამცველთან პირისპირ შეხვედრის, კანონმდებლის მიერ დადგენილი ერთსაათიანი შეზღუდვა არ არის შესაბამისობაში საქართველოს კონსტიტუციის დასახელებულ დებულებებთან, ვინაიდან იგი უნდა განისაზღვროს ყოველი კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის სირთულის გათვალისწინებით. აქვე სასამართლომ გაითვალისწინა საგამოძიებო ორგანოების ინტერესი, რომლებიც შეზღუდული არიან დაკავების 72 საათით და მიუთითა: „დამცველთან პირისპირ შეხვედრების დრო კი არ უნდა იყოს შეუზღუდავი, არამედ იგი უნდა შეიზღუდოს გონივრული ვადით, რაც ყოველი კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის სირთულის გათვალისწინებით საქართველოს კონსტიტუციის მიერ გარანტირებული დაცვის უფლებიდან და გამოძიების ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ამასთან, იგი არ უნდა იყოს პროცესის ორივე თანასწორუფლებიანი მონაწილისთვის განზრახ ხელის შემშლელი“.³¹⁹

აღნიშნულ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის კიდევ ერთი მოთხოვნა, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის კონსტიტუციურობას ეხებოდა. აღნიშნული ნორმით დაკავებულს ეძლევა დრო არანაკლებ სამი საათისა, რათა შეარჩიოს და მოიწვიოს მისთვის სასურველი დამცველი. მოსარჩელები სამ საათს არ მიიჩნევდნენ გონივრულ დროდ.³²⁰

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა პოზიცია და მიუთითა, რომ ადვოკატით მომსახურების ვალდებულება უკავშირდებოდა დაკავების 72 საათს, რისი გათვალისწინებითაც ბრალდებულისათვის სამი საათის მიცემა

³¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, პ.2;

³¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება;

³¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, პ.2;

³¹⁹ იქვე;

³²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება;

იყო გონივრული. ამავე დროს საკონსტიტუციო სასამართლომ ყურდღება გაამახვილა, რომ სადავო ნორმა ადგენდა ქვედა, მინიმალურ და არა ზედა ზღვარს, რაც, თავის მხრივ, პრაქტიკაში უნდა განიმარტოს მხოლოდ და მხოლოდ როგორც გონივრული დრო.³²¹

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვერ გაიზიარებს მოსაზრებას, თითქოს აღნიშნული ნორმის სადავო დებულება ზღუდავდეს დაკავებულის უფლებას - მიეცეს გონივრული დრო დამცველის ასარჩევად და მოსაწვევად. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, დაკავებულს ან დაპატიმრებულს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლიათ, მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს დაუყოვნებლივ - მაქსიმალურად გონივრულ დროში. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დაკავების შემთხვევაში, თვითონ სამართალდამცავი ორგანოც, გარკვეული დროით, 72-საათით არის შეზღუდული, აქედან გამომდინარე, გონივრული დროის შერჩევამ პირობების გათვალისწინებითაც უნდა განხორციელდეს, რათა გამოძიებას განზრახ არ შეშალოს ხელი.³²²

5.4. სუბიექტები

კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტს ჰყავს იგივე სუბიექტები, რაც ამავე მუხლის პირველ პუნქტს. ეს საკითხი განხილულია მე-18 მუხლის პირველი პუნქტის კომენტარებში.

5.5. დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შემდეგ შესაძლოა შემდეგი ძირითადი საკითხების განსაზღვრა:

- დაკავებულისათვის უფლებათა განმარტება უნდა განხორციელდეს მისი დაკავებისთანავე, მოთხოვნა დამცველის დახმარებაზე უნდა დაკმაყოფილდეს დაკავების მომენტიდან;
- დაკავებისა და დაპატიმრების საფუძვლების განმარტების ვალდებულება წარმოიშობა იმ მომენტიდან, როცა პირს შეეზღუდა თავისუფლება. არაკონსტიტუციურია ამგვარი განმარტების გაკეთება დაკავებიდან 12 საათში;
- დაკავებულ ექვმიტანილს დამცველის დახმარება ესაჭიროება არა მარტო დაკითხვამდე, არამედ დაკავების მომენტიდან, მისი კანონიერი ინტერესების დასაცავად და მისთვის კვალიფიცირებული იურიდიული დახმარების გასაწევად;
- თუკი დადგენილ ვადაში დამცველი არ ცხადდება, კონსტიტუციურია პირისათვის დამცველის დანიშვნის შეთავაზება ან შერჩეული დამცველის მოსვლამდე დაკავებულისათვის საკუთარი თავის დაცვის შესაძლებლობის მიცემა;

³²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, პ.2;

³²² იქვე;

- არაკონსტიტუციურია დაკავებულისათვის დამცველთან პირისპირ შეხვედრის შეზღუდვა ერთი საათით. შეზღუდვის ხანგრძლივობა და რაოდენობა უნდა იყოს გონივრული;
- დაცვის მხარეს უნდა მიეცეს გონივრული, საკმარისი დრო და შესაძლებლობა განახორციელოს სრულფასოვანი დაცვა, რაც გულისხმობს ისეთ დროს და შესაძლებლობას, რომელიც სისხლის სამართლის ყოველი კონკრეტული საქმის სირთულიდან გამომდინარე, დაცვის მხარეს მისცემდა სრულფასოვანი მომზადების შესაძლებლობას.

5.6. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 18.5 მუხლთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი

საქართველოს მოქალაქეები - ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 მარტის #1/1//503,513 საოქმო ჩანაწერი/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება

მოქალაქე ფირუზ ჯიმშელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 17 აპრილის #2/9/227 გადაწყვეტილებ/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საქართველოს მოქალაქეები - ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშელიშვილი და სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება/

6. მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის დღეს მოქმედი რედაქცია მიღებული იქნა 2010 წლის 15 ოქტომბერს. აღნიშნული დებულება არეგულირებს ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადებს.

6.1. დაცული სფერო

2010 წლიდან მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, საბოლოო განაჩენის დადგენამდე, სისხლისსამართლებრივი დევნისას პირს გააჩნია მხოლოდ ბრალდებულის სტატუსი, თუმცა 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებდა ბრალდებულსა და განსასჯელს. საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშელიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში სრულიად გაიზიარა სპეციალისტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ერთმანეთისაგან განასხვავებდა კონსტიტუციით გათვალისწინებულ წინასწარი პატიმრობისა და საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ განსასჯელის (მსჯავრდებულის) პატიმრობის ვადებს, ხოლო კონსტიტუცია კი აფიქსირებდა მხოლოდ ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადებს.³²³

2003 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის დაცული სფეროდან გამორიცხა განსასჯელის სასამართლო პატიმრობა და კონსტიტუციით დაცულ სფეროში მხოლოდ ბრალდებულის³²⁴ წინასწარი პატიმრობა მოაქცია. სასამართლომ აღნიშნა: „საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი წყვეტს მხოლოდ ექვმიტანილისა და ბრალდებულის დაკავებისა და წინასწარი პატიმრობის ვადებს, იგი არ შეიცავს განსასჯელის პატიმრობის ვადას მისთვის სასამართლოს მიერ კონკრეტული დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდებამდე“.³²⁵

6.2. სისხლის სამართლის საქმის გაცნობის დრო

2003 წლის 16 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. მოსარჩელე სადავოდ ხდიდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმებს, რომლებითაც ბრალდებულის

³²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშელიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.3; შენიშვნა: განაჩენის გამოტანამდე მოქმედებს მხოლოდ წინასწარი პატიმრობის ინსტიტუტი და ამიტომ დღეისათვის პატიმრობის დაყოფა წინასწარ პატიმრობად და განსასჯელის პატიმრობად არ არის აქტუალური, 2003 წლისათვის სულ სხვაგვარი საკანონმდებლო მოცემულობა არსებობდა.

³²⁴ განსასჯელისა და ბრალდებულის მიმართ დადგენილ განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს უფრო ვრცლად სუბიექტების განხილვისას შევხებით;

³²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება პ.3;

პატიმრობის ვადის გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღებოდა ბრალდებულისა და მისი დამცველის მიერ საქმის მასალების გაცნობის ვადა. მოსარჩელის აზრით, აღნიშნული ნორმა წეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტს.³²⁶

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა აღნიშნული სარჩელი და თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა:

„საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. აღნიშნული დებულება ერთმნიშვნელოვანია და იმპერატიულ ხასიათს ატარებს ... სადავო ნორმები უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ბრალდებულის პატიმრობა აღემატებოდეს 9 თვეს, ვინაიდან ამ ვადის გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება ბრალდებულის და მისი დამცველის მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის ვადა.“³²⁷

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე უარყო მოპასუხე მხარის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ თუკი ბრალდებულისა და დამცველის მიერ საქმის გაცნობის ვადა ჩაითვლებოდა ბრალდებულის პატიმრობის ვადაში, ბრალდებული და მისი დამცველი გააჭიანურებდნენ საქმის გაცნობას პატიმრობის 9 თვიანი ვადის გასვლის მოლოდინში. საკონსტიტუციო სასამართლომ ეს მოსაზრება უსაფუძვლოდ მიიჩნია, ვინაიდან საქმის გაცნობის შეგნებულად გაჭიანურების შემთხვევაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 406-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე გამომძიებელს პროკურორის თანხმობით ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ გამოეცა დადგენილება საქმის გაცნობის გონივრული და საკმარისი ვადის მითითებით.³²⁸

6.3. სუბიექტი

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტში ნახსენებია ტერმინი „ბრალდებული,“ რომელის წინასწარი პატიმრობის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 9 თვეს. 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პატიმრობის ვადების დადგენისას ერთმანეთისაგან განასხვავებდა ბრალდებულისა და განსასჯელის პატიმრობის ვადებს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის 24-ე ნაწილის შესაბამისად, ბრალდებული იყო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირი. ბრალდებულად ჩაითვლებოდა პირი, რომელსაც ექვმიტანილად დაკავების ოქმის შედგენიდან 48 საათის განმავლობაში პროკურორი წარუდგენდა ბრალს. ამის შემდეგ, ბრალდებულს წარუდგენდნენ სასამართლოს, რომელიც წყვეტდა აღკვეთის ღონისძიების (მათ შორის პატიმრობა) შერჩევას საკითხს. პირი ბრალდებულის სტატუსს ინარჩუნებდა

³²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 16 დეკემბრის #1/5/193 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.1;

³²⁷ იქვე;

³²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 16 დეკემბრის #1/5/193 გადაწყვეტილება, პ.3;

წინასწარი გამოძიების პერიოდში. ამ დროის განმავლობაში შესაძლებელია პირი ყოფილიყო პატიმრობაში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის 25-ე ნაწილის შესაბამისად, განსასჯელად ითვლებოდა ბრალდებულო, რომლის მიმართ საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ საქმე არსებითად განსახილველად ეგზავნებოდა სასამართლოს განსჯადობის მიხედვით. საბრალდებო დასკვნა იყო დოკუმენტი, რომელსაც ადგენდა პროკურორი წინასწარი გამოძიების დასრულების შემდეგ (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-7 ნაწილი). პროკურორი სისხლის სამართლის საქმეს საბრალდებო დასკვნასთან ერთად უგზავნიდა სასამართლოს (სისხლის სამართლის კოდექსის 416-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ამ მომენტიდან პირი ითვლებოდა არა ბრალდებულად, არამედ განსასჯელად და აღნიშნულ საპროცესო სტატუსს ინარჩუნებდა, ვიდრე მის მიმართ გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენი არ გამოვიდოდა.

განსხვავებული იყო ბრალდებულისა და განსასჯელის პატიმრობის ვადებიც. ბრალდებულის პატიმრობის ვადა არ აღემატებოდა 9 თვეს. ბრალდებულის პატიმრობის ვადას ემატებოდა პირის მიერ განსასჯელის სტატუსით მოხდილი პატიმრობის ვადაც. 2003 წლის 29 იანვარს საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშელიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ კონსტიტუციური სარჩელის განხილვის მომენტისათვის, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას განსასჯელის პატიმრობის ვადა შეადგენდა 12 თვეს, რაც შეიძლებოდა გაგრძელებულიყო კიდევ 6 თვემდე. საქართველოს უზენაეს სასამართლოში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოში, თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოში საქმის განხილვისას ეს ვადა შეადგენდა 24 თვეს, რისი გაგრძელებაც დასაშვებია იყო 6 თვემდე.³²⁹

მოსარჩელე სახალხო დამცველი, საქმეში „საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშელიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიუთითებდა, რომ კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი 9 თვე მოიცავდა, როგორც ბრალდებულის, ისე განსასჯელის სტატუსით პირის მიერ მოსახდელ წინასწარი პატიმრობის ვადასაც. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმა, რომელიც განსასჯელის პატიმრობისათვის ადგენდა 9 თვეზე მეტ ვადას, წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტთან.³³⁰

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სახალხო დამცველის აღნიშნული მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. სასამართლომ არ მიიჩნია განსასჯელი კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის სუბიექტად და განაცხადა, რომ ნორმა ბრალდებულს ეხებოდა: „საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი წყვეტს მხოლოდ ეჭვმიტანილისა

³²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, პ.3;

³³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება;

და ბრალდებულის დაკავებისა და წინასწარი პატიმრობის ვადებს, იგი არ შეიცავს განსასჯელის პატიმრობის ვადას მისთვის სასამართლოს მიერ კონკრეტული დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდებამდე“.³³¹

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სავსებით მართებულად განასხვავებს ერთმანეთისგან ბრალდებულსა და განსასჯელს, თუმცა შესაძლებელია მათ საერთო ქონდეთ ძირითადი საპროცესო უფლებები. მართალია, ამ შემთხვევაში შეიძლება იგულისხმებოდეს ერთი და იგივე ფიზიკური პირი, მაგრამ სხვადასხვა სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანო და აქედან გამომდინარე, აგრეთვე ამ ფიზიკური პირის სტატუსი.“³³²

6.4. დასკვნა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შემდეგ შესაძლოა შემდეგი ძირითადი საკითხების განსაზღვრა:

- კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის დაცული სფეროდან გამოირიცხა ადრე მოქმედი კოდექსით განსასჯელის სასამართლო განხილვის დროს პატიმრობა;
- საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი წყვეტს მხოლოდ ექვმიტანილისა და ბრალდებულის დაკავებისა და წინასწარი პატიმრობის ვადებს, იგი არ შეიცავს განსასჯელის პატიმრობის ვადას მისთვის სასამართლოს მიერ კონკრეტული დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდებამდე;
- ბრალდებულის პატიმრობის 9 თვის ვადაში შედის ბრალდებულისა და მისი დამცველის მიერ საქმის მასალების გასაცნობად გამოყოფილი დრო.

6.5. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 18.6 მუხლთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 16 დეკემბრის #1/5/193 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები - ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშელიაშვილი და სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება/

³³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, პ.3;

³³² იქვე;

7. მე-18 მუხლის მე-7 პუნქტი.

კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტი შედგება ორი ნორმისაგან. პირველი ადგენს, რომ მე-18 მუხლის მოთხოვნათა დარღვევა უნდა დაისაჯოს კანონით. მეორე წინადადებაში საუბარია უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებული პირის კომპენსაციის უფლებაზე. ეს უკანასკნელი მჭიდროდ არის დაკავშირებული კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან.

7.1. კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტის მეორე წინადადებით დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტის მეორე წინადადება იცავს უკანონოდ დაკავებული ან დაპატიმრებული პირის უფლებას მოითხოვოს კომპენსაცია. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა: „უკანონოდ დაკავების ან დაპატიმრებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხის გამოყოფა მე-18 მუხლის მე-7 პუნქტში უკავშირდება ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უდიდეს მნიშვნელობას.“³³³

პირს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება აქვს როგორც კონსტიტუციის მე-18 მუხლის დარღვევით თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, ასევე მაშინაც, როცა ადამიანისათვის თავისუფლების აღკვეთა ხდება მიმდინარე კანონის ნორმების საწინააღმდეგოდ. აღნიშნულ დასკვნამდე საკონსტიტუციო სასამართლო მივიდა არა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც პირს კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას მხოლოდ კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევის შემთხვევაში ანიჭებს (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ბენამი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“),³³⁴ არამედ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის პრაქტიკაზე დაყრდნობით. სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტის მონიტორინგის ორგანომ - ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განაცხადა, რომ პაქტის მე-9 მუხლი მე-5 პუნქტის მიზნებისათვის უკანონოა, როგორც თვით მე-9 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, ისე ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნათა უგულვებელყოფით განხორციელებული დაკავება და დაპატიმრება („ა. ავსტრალიის წინააღმდეგ“, კომუნიკაცია #560/1993, 1997 წლის 30 აპრილი, §9.5).³³⁵

კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტის პირველი წინადადებისაგან განსხვავებით, ამავე პუნქტის მეორე წინადადებით გარანტირებული უფლების რეალიზაცია არ არის დამოკიდებული მხოლოდ მე-18 მუხლის დარღვევაზე. კომპენსაციის მისაღებად საკმარისია ნებისმიერი საკანონმდებლო აქტის

³³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.პ.4;

³³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.პ.9;

³³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.პ.10;

მოთხოვნის დარღვევა, მაშინ, როცა თვითნებური პატიმრობისათვის პასუხისმგებელი პირი მხოლოდ მე-18 მუხლის მოთხოვნების დარღვევისათვის შეიძლება დაისაჯოს. სასამართლომ განმარტა: „მე-18 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული „უკანონოდ დაპატიმრებული პირი“ არ გულისხმობს მხოლოდ იმ პირს, ვისი დაპატიმრებაც განხორციელდა საქართველოს კონსტიტუციის მხოლოდ ამავე მუხლის სხვა მოთხოვნების დარღვევით, „უკანონო დაპატიმრებაში“, თავისთავად, იგულისხმება საქართველოს კონსტიტუციის ნორმების დარღვევაც პირის დაპატიმრებისას, თუმცა კანონით დაპატიმრებისათვის წაყენებული მოთხოვნები გაცილებით ფართოა, ვიდრე ამას კონსტიტუცია ადგენს. პირს მე-18 მუხლის მე-7 პუნქტით მინიჭებული კომპენსაციის უფლება აქვს მისი დაპატიმრებისას ზოგადად კანონის და არა მხოლოდ უზენაესი კანონის - კონსტიტუციის ნორმების დარღვევისას. საქმეს არ ცვლის საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტის პირველი წინადადებაც, რომელიც ითვალისწინებს, რომ „ამ (მე-18) მუხლის დარღვევა ისჯება კანონით.“. მე-18 მუხლის მე-7 პუნქტის პირველი წინადადება შეეხება ამავე მუხლის მოთხოვნების დამრღვევთა მიმართ შესაბამისი სანქციების გამოყენებას. ეს ნორმა არ უკავშირდება უკანონო დაკავებისას ან დაპატიმრებისას ზიანის ანაზღაურებას და მისი ფორმულირების გამოყენება კომპენსაციის საკითხთან მიმართებით არ არის მართებული“.³³⁶

საქმეში „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ გასაჩივრებული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 165-ე მუხლი. ეს უკანასკნელი ეხებოდა უკანონო პატიმრობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას. სადავო ნორმით ზიანის ანაზღაურების პირობას წარმოადგენდა დაავადება, რაც გამოიწვია უკანონო პატიმრობაში მყოფი პირისათვის საპატიმრო ადგილებში პატიმრობის რეჟიმის დარღვევამ.³³⁷

სადავო ნორმის სათაური იყო „უკანონო ან დაუსაბუთებელი დაპატიმრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.“³³⁸ ამასთან დაკავშირებით სასამართლომ განაცხადა, რომ სათაური უნდა ასახავდეს მუხლის შინაარსის ძირითად მხარეებს.³³⁹ მუხლი მთლიანად ეხებოდა პირისათვის უკანონო პატიმრობით მიყენებულ სხვადასხვა სახის ზიანს. სადავო ნორმა მოქცეული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ თავში, რაც მხოლოდ პატიმრობას ეხებოდა.³⁴⁰ ამასთან ერთად, სადავო ნორმას, რომელიც არეგულირებდა უკანონო დაპატიმრების შედეგად წარმოშობილ ზიანს, სპეციალური ნორმის მიმართება გააჩნდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXVIII თავთან, რომელიც ეხებოდა ზოგადად ყველა საპროცესო მოქმედების შედეგად მიყენებულ ზიანის ანაზღაურების წესებს. სადავო

³³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.8

³³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.12;

³³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.13;

³³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.14;

³⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.12;

სპეციალურ ნორმას, როგორც დაპატიმრების შედეგად წარმოშობლი ფიზიკური ზიანის მომწესრიგებელ წესს XXVIII თავისაგან დამოუკიდებლად მოქმედების პოტენციალი გააჩნდა.³⁴¹ ამგვარად, სასამართლომ ჩათვალა, რომ უკანონო დაკავებასა და დაპატიმრებასთან დაკავშირებულ ურთიერთობას, იმის გათვალისწინებით, რომ ამ დროს ხდებოდა თავისუფლების, როგორც მნიშვნელოვანი სიკეთის ხელყოფა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ცალკე სადავო ნორმით არეგულირებდა. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა ანაზღაურებდა უკანონო პატიმრობით გამოწვეულ ისეთ ფიზიკურ ზიანს, რაც წარმოიშობოდა რეჟიმის დარღვევის შედეგად. უკანონო პატიმრების შედეგად გამოწვეული სხვა სახის ზიანის ანაზღაურება სადავო ნორმით არ ხდებოდა. ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: „ფიზიკური ზიანი შესაძლოა გამოიწვიოს პირის ყოფნამ საპატიმრო დაწესებულებაში რეჟიმის დაცვის დროსაც კი, როდესაც საპატიმროს პირობები, დახურული სივრცე და ა.შ. იწვევს დაავადების გაჩენას ან პროგრესირებას.“³⁴² უკანონო და დაუსაბუთებელ პატიმრობაში მყოფი პირი არ არის ვალდებული ითმინოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დამახასიათებელი დისკომფორტი.³⁴³ რეჟიმის დარღვევა მართალია თავისთავად ამძიმებს სიტუაციას, მაგრამ ხშირად დადგენილ რეჟიმში ყოფნაც აყენებს პირს ფიზიკურ ზიანს. კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტი უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს ანიჭებს თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.³⁴⁴ ამის გამო საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო სადავო ნორმა.

კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტის მე-2 წინადადება მჭიდროდ არის დაკავშირებული 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან, რომლითაც გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება. უკანონო პატიმრობის შემთხვევებთან დაკავშირებით ეს ორი ნორმა სასამართლო პრაქტიკაში ერთდროულად გამოიყენება.³⁴⁵ აქვე აუცილებელია მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტი სახელმწიფო ორგანოებისა და მოსამსახურეთა უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების კონკრეტულ შემთხვევას შეეხება. ეს ნორმა, კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტისაგან განსხვავებით, მისი შინაარსიდან გამომდინარე, ვრცელდება მხოლოდ უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ ფიზიკურ პირებზე, რადგანაც შეუძლებელია იურიდიული

³⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.15;

³⁴² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.20;

³⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.21;

³⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.22;

³⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.1;

პირის დაკავება ან დაპატიმრება.³⁴⁶

უკანონო დაკავებისა და დაპატიმრების კომპენსაციის საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტისა და 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის ერთდროული გამოყენება განპირობებულია იმით, რომ 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში ნათლად არის დადგენილი ანაზღაურების მასშტაბი - ზიანის სრულად ანაზღაურება.³⁴⁷ რაც შეეხება მე-18 მუხლის მე-7 პუნქტს, ეს უკანანსკნელი მოკლებულია ზიანის ანაზღაურების სისრულის მოთხოვნას, თუმცა 42-ე მუხლის მე-7 პუნქტთან საერთო გამოყენება ერთგვარად ავსებს ამ მოთხოვნასაც.³⁴⁸

კომპენსაციის სისრულეს შეეხო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში განაცხადა:

„საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტი და 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი ითვალისწინებს პირისათვის მიყენებული ზიანის სრულ ანაზღაურებას. ზიანის ანაზღაურების მოცულობასთან დაკავშირებით მოთხოვნა არაორაზროვანი და მკაფიოა. სადავო ნორმა, მისი შინაარსიდან გამომდინარე, ანაზღაურების მასშტაბებსაც ამცირებს. გათვალისწინებულია კომპენსაცია არა სრული მასშტაბით, არამედ მხოლოდ იმ ნაწილში, რაც დაკავშირებულია დაპატიმრებულის ყოფნის რეჟიმის დარღვევასთან. ზიანის ანაზღაურების ოდენობის საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის ზემოთ მოყვანილი ნორმების მოთხოვნებს.“³⁴⁹

7.2. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მეშვიდე პუნქტის პირველი წინადადებით დაცული სფერო

განსახილველ კონსტიტუციურ დებულებას, იმავე პუნქტის მეორე წინადადებისაგან განსხვავებით, გააჩნია დამოუკიდებელი და შედარებით ვიწრო მოქმედების არეალი. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა: „საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი წინადადებით ამ მუხლის დარღვევა ისჯება კანონით. მე-18 მუხლის მე-7 პუნქტის პირველი წინადადება შეეხება ამავე მუხლის მოთხოვნების დამრღვევთა მიმართ შესაბამისი სანქციების გამოყენებას“.³⁵⁰

საკონსტიტუციო სასამართლოს ამგვარი განმარტების გაკეთება დასჭირდა

³⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.3;

³⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.2;

³⁴⁸ იქვე;

³⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.23;

³⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.8;

იმის გამო, რომ მოპასუხე აცხადებდა, რომ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის მეორე წინადადება პირს მხოლოდ იმ შემთხვევაში ანიჭებდა კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას, თუკი უკანონო პატიმრობა არა მიმდინარე კანონით, არამედ კონსტიტუციის მე-18 მუხლის დარღვევით იყო გამოწვეული. მოპასუხის აზრით, კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტის მეორე წინადადების მოქმედების არეალი ისევე იყო შეზღუდული, როგორც ამავე პუნქტის პირველი წინადადების.³⁵¹

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, როგორც ზემოთ აღნიშნა, სასამართლომ განაცხადა, მე-18 მუხლის მე-7 პუნქტის პირველი წინადადება არ უკავშირდება უკანონო დაკავებისას ან დაპატიმრებისას ზიანის ანაზღაურებას და მისი ფორმულირების გამოყენება კომპენსაციის საკითხთან მიმართებით არ არის მართებული.³⁵²

7.3. სუბიექტი

საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ სადავო ნორმა ავიწროვებდა იმ სუბიექტთა წრეს, რომლებსაც ჰქონდათ უფლება, მოითხოვათ და მიეღოთ უკანონო ან დაუსაბუთებელი დაპატიმრების შედეგად მიყენებული ფიზიკური ზიანის ანაზღაურება. ამ პირთა წრიდან გასაჩივრებული ნორმა გამოჰყოფდა მხოლოდ მათ, ვინც დაავადდა საპატიმრო ადგილებში დაპატიმრებული პირის ყოფნის რეჟიმის დარღვევის გამო. აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტს, რომელიც ადგენს ყველა უკანონოდ დაპატიმრებული პირისათვის, გამონაკლისის გარეშე, კომპენსაციის მიღების უფლებას.³⁵³

სასამართლომ განაცხადა: „არაკონსტიტუციურად ავიწროვებს რა ძირითადი უფლების სუბიექტთა წრეს, სადავო ნორმა ამ წრის გარეთ დარჩენილ პირებს ართმევს არა მხოლოდ უფლებას კომპენსაციაზე, არამედ, ამ უფლების სამართლებრივი დაცვის საშუალებასაც. გასაჩივრებული ნორმა ამ კუთხითაც არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 და 42-ე მუხლების შესაბამის მოთხოვნებს“.³⁵⁴

7.4. დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შემდეგ შესაძლოა შემდეგი ძირითადი საკითხების განსაზღვრა:

³⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, I.3.12;
³⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.8;
³⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.18;
³⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.19;

- კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტი უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს ანიჭებს თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას;
- უკანონო დაპატიმრების გამო ინდივიდს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს არა მარტო მაშინ, როცა ირღვევა კონსტიტუციის მე-18 მუხლის მოთხოვნები, არამედ მაშინაც, როცა პატიმრობა გამოწვეულია სხვა რომელიმე კანონის დარღვევით;
- ფიზიკური ზიანის წარმომშობი რეჟიმის დარღვევა, არ არის უკანონო პატიმრობისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების ერთადერთი საფუძველი. ინდივიდი უფლება აქვს კომპენსაცია მოითხოვოს უკანონო პატიმრობასთან მიზეზობრივ კავშირში მყოფი ნებისმიერი ზიანისათვის;
- კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტის პირველ წინადადებას გააჩნია მეორე წინადადებისაგან დამოუკიდებელი მოქმედების არეალი;
- კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტი გამოიყენება 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან კავშირში უკანონო პატიმრობის კომპენსაციის საქმეებთან დაკავშირებით იმისათვის, რომ სრულად მოხდეს ზიანის კომპენსაცია;
- კომპენსაციის მოთხოვნის სუბიექტია ყველა, ვინც ზიანი მიიღო უკანონო პატიმრობის შედეგად.

7.5. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 18.7 მუხლთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება/

მუხლი 19

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.
2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.
3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

შესავალი

1. ზოგადი ფარგლები
 - 1.1. გამოხატვის თავისუფლება
 - 1.1.1. გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა
 - 1.1.2. გამოხატვის თავისუფლების დაცული სფერო
 - 1.2. რწმენის თავისუფლება
 - 1.2.1. რწმენის თავისუფლების მნიშვნელობა
 - 1.2.2. დაცული სფერო
 - 1.2.3. კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება
2. სიტყვისა და აზრის თავისუფლების ნეგატიური და პოზიტიური ასპექტები
3. მე-19 მუხლის გამოიჯენა 24-ე მუხლით დაცული სფეროსგა
4. უფლებები რომლებიც მე-19 მუხლით არ არის დაცული
 - 4.1. საარჩევნო უფლებები, პოლიტიკური პარტიის შექმნა
 - 4.2. საჯარო დაწესებულების მართვის ორგანოს საქმიანობაში მონაწილეობის ან თანამდებობაზე ყოფნის უფლება
5. ზღუდვის საფუძვლები
 - 5.1. რელიგიის და აზრის თავისუფლების შეზღუდვის კონკრეტული მაგალითები
 - 5.2. პატივი და ღირსება
 - 5.3. სამხედრო სარეზერვო სამსახური
6. დასკვნა
7. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლთან მიმართებით

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით გარანტირებული სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად პრინციპებს წარმოადგენენ. კონსტიტუციის ამნორმით დაცული უფლება უზრუნველყოფს აზრის პლურალიზმს, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების მიერ საუკუნეების განმავლობაში დიდი შრომით იქნა მოპოვებული. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის შინაარსზე მსჯელობისას ყურადღებას ამახვილებს ორ, რელიგიისა და აზრის თავისუფლებაზე. შესაბამისად, ამ ნორმას საკონსტიტუციო სასამართლო 24-ე მუხლთან კონტექსტში განმარტავს.

1. ზოგადი ფარგლები

საკონსტიტუციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს უფლების ფარგლების დადგენაზე, ამ საკითხს უფლების ეფექტურ იმპლემენტაციას უკავშირებს და აცხადებს, რომ „... ნებისმიერი უფლების სწორი, სრულყოფილი რეალიზაციისათვის და ეფექტური დაცვისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცდუნება და რისკი, როგორც უფლებაში გადამეტებული ჩარევისა, ისე თავად უფლებით ბოროტად სარგებლობისა, ერთნაირია, რაც, საბოლოო ჯამში, არღვევს ინტერესთა შორის გონივრულ ბალანსს და ერთნაირად უქმნის საფრთხეს როგორც კერძო, ისე საჯარო ინტერესებს.“³⁵⁵ მაშასადამე, სასამართლომ უფლების განმარტება დაუკავშირა საფრთხეს, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს უფლებისთვის ზედმეტად ვართო ან ვიწრო შინაარსის მინიჭებამ.

ამ მხრივ ყურადღება განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლზე, რადგან ამ „... მუხლით დაცულია ადამიანის ფუნდამენტური გარანტია - აზრის, სიტყვის, რწმენის და სინდისის თავისუფლება.“³⁵⁶ შესაბამისად, ამ მუხლით უზრუნველყოფილია სხვადასხვა თავისუფლებები.³⁵⁷

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცული მრავალფეროვანი (სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის) თავისუფლებებიდან მხოლოდ კონკრეტულ უფლებათა თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა განპირობებულია სასამართლოში

³⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.9;

³⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად მიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.9;

³⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.3;

შესული სასარჩელო მოთხოვნების სიმცირით. სასამართლომ ჯერ კიდევ 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში გაუსვა ხაზი ამ მუხლით დაცული სფეროს მრავალფეროვან ბუნებას, როდესაც აღნიშნა, რომ ის შეაფასებდა მოსარჩელის მოთხოვნას აზრის თავისუფლებასთან მიმართებით³⁵⁸, რადგან „მოსარჩელე მხარეს არ დაუყენებია სადავო ნორმის კონსტიტუციის მე-19 მუხლთან შესაბამისობის საკითხი იმ კუთხით, რომ დარღვეულია სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება, ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლო არ იმსჯელებს ამ საკითხზე“.³⁵⁹ ამ მხრივ ასევე მნიშვნელოვანია, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომელშიც აღნიშნულია, რომ „საქართველოს მე-19 მუხლით აღიარებულია ადამიანის რამდენიმე თავისუფლება, კერძოდ, სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. თუმცა, მოსარჩელის მოთხოვნის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმის კონსტიტუციურობას განიხილავს მხოლოდ სიტყვისა და აზრის თავისუფლებასთან მიმართებით“³⁶⁰.

საკონსტიტუციო სასამართლომ სწორედ ამ კონსტიტუციური ნორმის ინტერპრეტირებისას განაცხადა, რომ მას განმარტავს არა მარტო კონკრეტული მუხლით გათვალისწინებული შინაარსის ფარგლებში, არამედ თავად უფლების არსის გათვალისწინებით,³⁶¹ ამავდროულად „...საკონსტიტუციო სასამართლოს მიზანი და დანიშნულებაა კონსტიტუციურ უფლებათა ისეთი განმარტება, რომელიც კონსტიტუციის მიზნების, კონსტიტუციით განმტკიცებული ღირებულებების და თავად ძირითადი უფლების არსის შესაბამისია, რაც უზრუნველყოფს უფლებით პრაქტიკულად, რეალურად და ეფექტურად სარგებლობას და არ გამოფიტავს მას თეორიულ და ილუზორულ უფლებამდე.“³⁶² სასამართლოს პრაქტიკა მიუთითებს, რომ სასამართლოს მიზანი არა მხოლოდ უფლების განმარტებაა, არამედ იმგვარი განმარტება, რომელიც მისით სარგებლობას უფრო ეფექტურს გახდის.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ამ უფლების ინტერპრეტირებისას, აქტიურად იყენებს სისტემური განმარტების მეთოდს. „კონსტიტუციის მე-19 მუხლის კონსტიტუციის სხვა მუხლებთან ერთობლივი წაკითხვა, მათი ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს, განვსაზღვროთ ამ მუხლით დაცული უფლების ფარგლები.“³⁶³

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ საქართველოს

³⁵⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, II.3.13,17;

³⁵⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, II.3.12;

³⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის #2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 3.1;

³⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.11;

³⁶² იქვე;

³⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.9;

კონსტიტუციის მე-2 თავში არსებულ უფლებათა „სისტემაში კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულ უფლებას განსაკუთრებული ადგილი და მნიშვნელობა აქვს. კონსტიტუცია მას უფლებათა იმ კატეგორიას განაკუთვნებს, რომელთა შეზღუდვა დაუშვებელია სახელმწიფო უშიშროების, უსაფრთხოების თუ სხვა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მიზნების მისაღწევად. ამავე დროს, თავად მე-19 მუხლის შეზღუდვის ერთადერთ საფუძველს – სხვათა უფლებების დაცვის აუცილებლობა წარმოადგენს.”³⁶⁴ აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ კონსტიტუციის მე-19 მუხლი იცავს „...ადამიანის პირადულ სფეროს, მის თავისუფლებას, იქონიოს, გაიზიაროს ან/და უარყოს შეხედულება, რელიგია, რწმენა. კონსტიტუციის მიზანია, ჩამოაყალიბოს აზრის, სიტყვის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების, როგორც forum i#ter#um, ადამიანის შინაგანი სამყაროს, მისი პირადი სფეროს ხელშეუხებლობის გარანტია. ეს არის უფლება (უფლების ასპექტი), რომელიც არ შეიძლება შეიზღუდოს ან აიკრძალოს საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, მათ შორის, საომარი და საგანგებო მდგომარეობის დროსაც. არავის ძალუძს და არ აქვს უფლება, აიძულოს ადამიანი, მიიღოს ან შეიცვალოს საკუთარი აზრი და რწმენა. ადამიანი ასევე დაცულია იძულებისაგან თქვას ის, რაც მას არ სურს ან გამოთქვას საკუთარი აზრი. ეს უფლება არ ექვემდებარება რეგულირებას, ვინაიდან ის ინდივიდის თავისუფლების, მისი იდენტობის, ავტონომიის საფუძველს ქმნის.”³⁶⁵ აღნიშნული უნდა გაიმიჯნოს (აზრის, სიტყვის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის შესაბამისად) ქმედებისგან, რომელიც კერძო წრეში ხორციელდება. თუ პირველ შემთხვევაში forum i#ter#um აბსოლუტურია, მეორე შემთხვევაში იგი სხვათა უფლებების მოტივით შეიძლება შეიზღუდოს.³⁶⁶ ეს იმით არის გამოწვეული, რომ „... ადამიანის შინაგანი სამყარო (Forum I#ter#um), მისი პირადული სფერო დაცულია სახელმწიფოს ჩარევისაგან, მაგრამ შეზღუდვას ექვემდებარება ქმედება, რომელიც ამ სფეროს შიგნით მყოფ სხვა პირთა უფლებების დარღვევას იწვევს. ასე მაგალითად, კერძო წრეში, ოჯახში აზრის ან რწმენის გამოვლინება რეგულირებას არ ექვემდებარება, ვინაიდან არ არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი, რომელიც კერძო პირებს შორის, ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობაში ჩარევას გაამართლებდა, გარდა ერთი გამონაკლისისა - როდესაც აზრის ან რწმენის გამოვლინება ამ ურთიერთობების მონაწილის უფლებას ლახავს.”³⁶⁷ შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს ინტერპრეტაციის შედეგად forum i#ter#um ორ ასპექტს მოიცავს, აზრის, სიტყვის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის ქონას და მათ გამოხატვას კერძო წრეში.

სასამართლომ მე-19 მუხლით დაცული სფეროს ამგვარი მაღალი ხარისხით დაცვის არგუმენტად ისტორიული რეალობა მოიყვანა: „საქართველომ, რომელიც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის ნგრევის შედეგად ხელახლა აღმოცენდა, მიზანშეწონილად მიიჩნია

³⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.9;

³⁶⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.10;

³⁶⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.11;

³⁶⁷ იქვე;

ადამიანის შინაგანი სამყაროს, მისი პირადი სფეროს დაცვის განსაკუთრებული გარანტიები კონსტიტუციაში ჩაეწერა. საბჭოთა სახელმწიფო არ ცნობდა საზღვარს ადამიანის შინაგან სამყაროსა და საზოგადოებრივ სივრცეს შორის, დაუბრკოლებლად ერეოდა მის კერძო სფეროში, არ აღიარებდა რწმენის და შეხედულებების არა მხოლოდ გამოხატვის, არამედ მათი თავისუფალი არჩევის შესაძლებლობას. ტოტალიტარული წარსულის გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუციამ საგანგებოდ განამტკიცა ადამიანის ავტონომიის, მისი თავისუფლების ის სფეროები, სადაც სახელმწიფოს ჩარევის უფლება ან არ გააჩნია, ან ის მკაცრად არის შემოფარგლული. კონსტიტუციის ამ მუხლებში მოცემულია პიროვნების „თავდაცვითი თავისუფლება“, რომელიც სახელმწიფოს ჩარევას კრძალავს იმ სფეროში, სადაც პირი თავის თავს ქმნის.”³⁶⁸

1.1. გამოხატვის თავისუფლება

1.1.1. გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მე-19 მუხლით დაცული უფლება დემოკრატიის პრინციპს დაუკავშირა იქიდან გამომდინარე, რომ „...ინფორმაციული ვაკუუმისა და აზრის შეზღუდვის პირობებში, წარმოუდგენელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა და დემოკრატიული კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგის სიცოცხლისუნარიანობა...”³⁶⁹, „...სასამართლო მიიჩნევს, რომ სიტყვის თავისუფლება დიდი ხანია დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელ და ძირითად ფუნქციონალურ ელემენტს მიეკუთვნება.”³⁷⁰

1.1.2. გამოხატვის თავისუფლების დაცული სფერო

საკონსტიტუციო სასამართლო ადრეულ გადაწყვეტილებებში მე-19 მუხლს გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში განიხილავდა. წინამდებარე ქვეთავი სწორედ ამ ხედვას წარმოადგენს. თუმცა ქვემოთ მოყვანილი სტანდარტები მაქსიმალურად ფრთხილად უნდა იქნეს ინტერპრეტირებული საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლო დროინდელი გადაწყვეტილებების ფონზე, რათა არ დაირღვევს მე-19 და 24-ე მუხლების საზღვრები.

საკონსტიტუციო სასამართლო საკუთარ პრაქტიკაში ერთმანეთისგან მიჯნავს აზრსა და ფაქტებს.

„... აზრის ცნება პრინციპულად ფართოდ უნდა იქნეს გაგებული და ის მოიცავს შეფასებებს და ფაქტების მტკიცებებს... აზრი – ეს არის ადამიანის

³⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.13;

³⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერი #2/2-389 გადაწყვეტილება, პ. II.4;

³⁷⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბერის #2/2/180-183 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.6;

პირადი, სუბიექტური შეფასება ამა თუ იმ მოვლენის, იდეის, ფაქტისა თუ პიროვნების მიმართ ...ფაქტები არის რეალურად, ნამდვილად მომხდარი საგნები, მოვლენები ან გარემოებები, რომლებიც შეიძლება იყოს მცდარი ან მართალი, სწორი. აქედან გამომდინარე, ფაქტები ყოველთვის უნდა ემყარებოდნენ მტკიცებულებებს. შესაბამისად, ფაქტების გავრცელება ექვემდებარება მათი სისწორის, ნამდვილობის მტკიცების ვალდებულებას. მაშინ, როდესაც მოსაზრების ნამდვილობის მტკიცება შეუძლებელია და შესაბამისად, ამის ვალდებულებაც აზრის გამომთქმელს არ უნდა ეკისრებოდეს.... ფაქტებისა და მოსაზრებების ხისტი გამიჯვნა ხშირად ძალზე რთულია. აზრები უმეტესწილად გამოიხატება რაღაც კონკრეტულ ფაქტებთან კავშირში, ეხება და ეფუძნება მათ. ფაქტებისა და მოსაზრებების გონივრული გამიჯვნა ... ერთი მხრივ, სიტყვისა და აზრის თავისუფლების, მეორე მხრივ კი – პატივისა და ღირსების უფლების დაცვის გარანტიას წარმოადგენს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნული საკითხის სწორად გადაწყვეტა საერთო სასამართლოების კომპეტენციას მიეკუთვნება.”³⁷¹

ამ ფონზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთო სასამართლოს, რომელმაც უნდა „...დაადგინოს და შეაფასოს არა მარტო ნამდვილობა, არამედ გავრცელებული ცნობების ხასიათიც და გადაწყვიტოს, ლახავს თუ არა ეს ცნობები კონსტიტუციით დაცულ უფლებებს.”³⁷²

1.2. რწმენის თავისუფლება

1.2.1. რწმენის თავისუფლების მნიშვნელობა

სასამართლომ რწმენის თავისუფლება ადამიანის პიროვნულ ავტონომიას დაუკავშირა და მისი დაცვა საზოგადოების დემოკრატიულობის ხარისხის განმაპირობებლად მიიჩნია. „...რწმენის თავისუფლება წარმოადგენს რა ადამიანის პიროვნული განვითარებისა და ავტონომიის საყრდენს, იმავდროულად, განაპირობებს მთლიანად საზოგადოების არქიტექტურას, განსაზღვრავს მისი დემოკრატიულობის ხარისხს..“³⁷³ სასამართლო რწმენის თავისუფლებას, მისი არსიდან გამომდინარე, კონკურირებად უფლებად მიიჩნევს. იგი „...სასიცოცხლოდ აუცილებელია და არსებითად განმსაზღვრელია ადამიანის თავისუფლების, თვითმყოფადობის, განვითარებისა და თვითრეალიზაციისათვის, ამასთან, ზუსტად მისი ასეთი დანიშნულებიდან გამომდინარე, ყველაზე ხშირად კონკურირებადია: ა) სხვათა (სხვა ადამიანთა) ამავე თავისუფლებასთან ბ)სხვა უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან.”³⁷⁴ მეორე მხრივ სასამართლომ დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპზე გააკეთა სწორება და განაცხადა, რომ ეს უფლება „... განაპირობებს მთლიანად საზოგადოების არქიტექტურას, განსაზღვრავს მისი

³⁷¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის #2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.ი;

³⁷² იქვე;

³⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.7;

³⁷⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.8;

დემოკრატიულობის ხარისხს, რადგან პლურალიზმი ზოგადად დამათ შორის, რელიგიური (ან სხვა შინაარსის რწმენის განვითარების თვალსაზრისით) პლურალიზმი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დემოკრატიული საზოგადოებისათვის.³⁷⁵ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „რწმენის თავისუფლება ძალზე დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, რადგან ის საკუთარი (ამასთან ერთმანეთისგან განსხვავებული) რწმენის შესაბამისად ჩამოყალიბებული, თავისუფლად თვითრეალიზებადი ადამიანებისაგან შედგება. ეს უფლება, მოიცავს რა კონკრეტული რწმენის სხვადასხვა შინაარსითა და ფორმით მანიფესტაციას – მის გამოვლენას, გამოხატვას, ის პოტენციურად ძალიან დიდი შესაძლებლობის მატარებელია, გავლენა მოახდინოს საზოგადოების განვითარებაზე, განსაზღვროს საზოგადოების განწყობები. ...”³⁷⁶

კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც სასამართლომ რწმენის თავისუფლებაზე საუბრისას გამოყო და რომელიც ასევე დემოკრატიული სახელმწიფოს კონცეფციიდან გამომდინარეობს, უმცირესობათა ინტერესების დაცვაა. რწმენის თავისუფლების ფუნქცია კი ხშირ შემთხვევაში სწორედ უმცირესობათა ინტერესის დაცვასთან ასოცირდება. „პლურალიზმი და განსხვავებული აზრების შემწყნარებლობა წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების განმასხვავებელ ძირითად ნიშნებს და მის საყრდენს. ამიტომ დემოკრატიული საზოგადოების შექმნისა და შენარჩუნების საზღაური ზუსტად იმაში მდგომარეობს, რომ უმრავლესობის ინტერესები ყოველთვის ან ძირითადად უპირატესი ვერ იქნება. დემოკრატია ეყრდნობა კერძო და საჯარო ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის არსებობას, რაც, მათ შორის, გულისხმობს სამართლიან მიდგომას უმცირესობების წარმომადგენლებისადმი. შესაბამისად, განსხვავებული რწმენის მქონე პირების უფლებით სარგებლობის გონივრული და ადეკვატური მექანიზმებით დაბალანსებაც, უზრუნველყოფს პლურალიზმის სტაბილურობას, საზოგადოებაში ჰარმონიის მიღწევასა და შენარჩუნებას.”³⁷⁷

1.2.2. დაცული სფერო

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საკითხზე მსჯელობას განსაკუთრებული ადგილი დაუთმო საქმეში: „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“³⁷⁸ სასამართლომ რწმენის თავისუფლება ადამიანის პიროვნულ თვითგამორკვევას დაუკავშირა და განაცხადა, რომ „რწმენის თავისუფლება ადამიანის თვითგამორკვევის საწყისი და საფუძველია.“³⁷⁹ სასამართლო მიიჩნია, რომ როგორც ყველა სხვა უფლება,

³⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.7;

³⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.7;

³⁷⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.43;

³⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება;

³⁷⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.4;

„ეს თავისუფლებაც ადამიანის ღირსების პატივისცემის გამოხატულებაა.“³⁸⁰

სასამართლომ რწმენის თავისუფლება დაუკავშირა პიროვნების შინაგან თავისუფლებას და ე.წ. ღრმა სულიერ სამყაროს, რომელშიც უხეში, გადამეტებული ჩარევა იწვევს ადამიანის „სულიერ ტანჯვას“. სასამართლომ აღნიშნა: „რწმენის თავისუფლება გულისხმობს ადამიანის შინაგან თავისუფლებას, დამოუკიდებლად, თავად განსაზღვროს საკუთარი რელიგიური, მსოფლმხედველობრივი თუ მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით განვითარების მიმართულებები, პრიორიტეტები, ჩამოყალიბდეს მათ შესაბამისად, საზოგადოებაში იცხოვროს ინდივიდუალური თვითრეალიზაციის შესაძლებლობით და ამ განცდით იპოვოს საკუთარი თავი. ამ თვალსაზრისით, რწმენის თავისუფლება არის ადამიანის მოსაზრებების, გრძნობების და მათ შესაბამისად ცხოვრების საფუძველი³⁸¹... „რწმენის თავისუფლება ერთგვარად მსოფლმხედველობის თავისუფლებაა, რადგან შესაძლებლობა, იცხოვრო და განვითარდე საკუთარი ინტერესების, სურვილის, გემოვნების, წარმოდგენების და შეხედულებების, ამასთან შესაძლებლობების შესაბამისად, ქმნის ადამიანის “მე”-ს, მის შინაარსს, პიროვნებას, განსაზღვრავს მის დანიშნულებას პირად, კერძო გარემოცვასა თუ საზოგადოებაში, ორიენტაციას აძლევს მის ცხოვრებას ამიტომაც ამ თავისუფლებაში უხეში, გადამეტებული ჩარევა, ისეთი მოპყრობა, რომელიც იწვევს ადამიანის აზროვნების წესის შეცვლას, იწვევს მის სულიერ ტანჯვას.“³⁸²

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ კონსტიტუციის მე-19 მუხლი მოიცავს რწმენის ორ სახეს. „ნიშნდობლივია, რომ ის მოიცავს როგორც რელიგიურ, ისე არარელიგიურ რწმენას და შესაბამისად, არ წარმოადგენს მხოლოდ რელიგიის თავისუფლების იდენტურ ცნებას. ის მოიცავს რელიგიის თავისუფლებით დაცულ სფეროს, მაგრამ არ შემოიფარგლება მისით.“... „აღსანიშნავია, რომ რწმენა და შეხედულებები, რომელიც წარმოადგენს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის საფუძველს, თავისი შინაარსით, არ არის აუცილებელი იყოს რელიგიური ხასიათის, მაგალითად პაციფიზმი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ რწმენად იქნა აღიარებული მაშინაც, როდესაც ის გარკვეულ რელიგიას არ უკავშირდება.“³⁸³ მიუხედავად ამ გამიჯვნისა, კიდევ რჩება საკითხები, რომელიც გამოწვევას წარმოადგენს რწმენის თავისუფლების ინტერპრეტირებასთან დაკავშირებით, და არის მისი ფარგლების ამომწურავი განმარტება.

რა ჩათვლება რწმენად? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას სასამართლო შეეცადა. მან მიიჩნია, „...რწმენის თავისუფლების არსიდან გამომდინარე ნათელია, რომ რწმენა უნდა კარნახობდეს მას იმგვარ გადაწყვეტილებას, რომელიც მის პიროვნულ იდენტურობას ეხება. პიროვნება, კონკრეტულ ვითარებაში,

³⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.4;

³⁸¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.5;

³⁸² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.6;

³⁸³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.5,17;

შინაგანად უნდა გრძნობდეს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს მისთვის მბოჭავ და უპირობოდ/აბსოლუტურად მავალდებულებელ გადაწყვეტილებას. ... ვინაიდან რელიგიის და რწმენის ფართო განმარტებამ შესაძლოა უფლებით დაცული სფერო გახადოს უკონტურო, არ არის საკმარისი, რომ პირი მიუთითებდეს საკუთარი ქმედების ამა თუ იმ რწმენით მოტივირებულობაზე, არამედ მან საკუთარი გადაწყვეტილება უნდა წარმოაჩინოს, როგორც დამაჯერებელი, სერიოზული, რომელიც უალტერნატივოდ მოითხოვება მისი მრწამსის მიერ. რწმენის საფუძველზე განხორციელებული ქმედებების დროს მნიშვნელოვანია, რომ ქმედება ეხებოდეს საკითხს, რომელთანაც პირია იგივეს თავის პიროვნული იდენტობას. რწმენის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს “პიროვნული მეს” განსაზღვრაში.”³⁸⁴ „ის გულისხმობს, რომ სამხედრო სამსახურის გავლაზე უარის თქმა, როდესაც ეს მოტივირებულია სერიოზული და დაუძლეველი კონფლიქტით სამხედრო სამსახურის გავლის ვალდებულებას და პირის სინდისსა და მის ღრმა ჭეშმარიტად გულწრფელ რელიგიურ თუ სხვა მრწამსს შორის, წარმოადგენს რწმენას ან მრწამსს, რომელიც აკმაყოფილებს დასაბუთებულობის, სერიოზულობის, ორგანიზებულობისა და მნიშვნელოვნების საკმარის დონეს...”³⁸⁵

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, სასამართლო თავს იკავებს რწმენის თავისუფლების ამომწურავი განმარტებისაგან: „... რწმენის თავისუფლების შინაარსიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, არარეალურია მისი ფარგლების ზუსტად და ამომწურავად განსაზღვრა, რწმენის თავისუფლებით დაცული სფეროს დიაპაზონის კონკრეტულად იდენტიფიცირება, ყველა იმ მოსაზრების, განცდის, ამა თუ იმ შინაარსის მრწამსის დასახელება, რომლებიც დაცულია რწმენის თავისუფლებით. ისევე, როგორც შეუძლებელია მკვეთრი და ხელშესახები კრიტერიუმების ამომწურავად ჩამოთვლა, რომლებზე დაყრდნობითაც უტყუარად მოხდება საკითხების საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულ და მის ფარგლებს გარეთ დარჩენილ საკითხებად გამიჯვნა. ამ თავისუფლების რეალიზაცია და ეფექტურად დაცვა ყოველი კონკრეტული საქმისადმი ინდივიდუალურ მიდგომას, გააზრებას და გადაწყვეტას მოითხოვს.”³⁸⁶

ამომწურავი განმარტება არც არის მიზანშეწონილი, რადგან „შეფასების ზოგადი კრიტერიუმების, უნივერსალური მიდგომების ჩამოყალიბების მცდელობამ შესაძლოა თავად უფლება დააზარალოს. უფლება, რომლის შინაარსი ადამიანის გონების შესაძლებლობებზე, აზროვნების პროცესზეა დამოკიდებული, რაც ნიშნავს, რომ მუდმივად ვითარდება და ფართოვდება, შეუძლებელია სრულად ხელშესახები და ამომწურავად კონკრეტული იყოს.”³⁸⁷

სასამართლომ რწმენის თავისუფლების განმარტებასთან დაკავშირებული

³⁸⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.24,25;

³⁸⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.19;

³⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.9;

³⁸⁷ იქვე;

სირთულეების მიუხედავად, მიუთითა, რომ რწმენის თავისუფლება მოიცავს როგორც რწმენის ქონას, ისე რწმენის გამოხატვას.

„საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცული რწმენის თავისუფლება, თავისი ყველაზე საწყისი გაგებით, გულისხმობს, სახელმწიფოსგან ჩარევის გარეშე, ამა თუ იმ რწმენის გაზიარებას, არჩევას, საკუთარი თავის მისდამი მიკუთვნებას (პოზიტიური თავისუფლება), ან უარყოფას, შეცვლას (ნეგატიური თავისუფლება), ანუ ადამიანის აზროვნების შინაგანი სფეროს დაცვას. ამ დონეზე რწმენის თავისუფლების დარღვევა სახელმწიფოს მხრიდან შეიძლება გამოიხატოს ადამიანზე იდეოლოგიური, ფსიქოლოგიური და მორალური ზემოქმედებით, დაშინებით, იძულებით უარი თქვას კონკრეტულ რწმენაზე, შეიცვალოს ის (და გაიზიაროს რომელიმე სხვა რწმენა).“³⁸⁸

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ რწმენის პრევენტირება თავისთავად უკავშირდება რელიგიის თავისუფლებას. „იმავდროულად, როგორც უკვე აღინიშნა, რწმენის თავისუფლება მოიცავს მისი გამოვლენის – რწმენის შესაბამისად ცხოვრების წარმართვის უფლებასაც (მოქმედების სფერო). რწმენის თავისუფლება არარეალური და არარეალიზებადი იქნება, მის შესაბამისად ადამიანების კომუნიკაციის გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე. უფლებას შინაარსი გამოცემა, თუკი მისი ნაწილი არ იქნება კონკრეტული რწმენის საფუძველზე და მის შესაბამისად ქმედება, ეს პრაქტიკულად ამ უფლების უარყოფამდე მიგვიყვანს, რადგან რწმენის მხოლოდ ქონა არაფერს იძლევა თავად ამ უფლებით სრულყოფილად სარგებლობის თვალსაზრისით. თუ არ არის გარანტიები რწმენის შესაბამისად ცხოვრების წესის წარმართვისა და განვითარებისათვის, აზრი ეკარგება საერთოდ ამ უფლების აღიარებას.“³⁸⁹ შესაბამისად, სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს რელიგიის თავისუფლების გამოხატვის დაცვა, მე-19 მუხლიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი გარანტიაა.

თუმცა მე-19 მუხლი უპირატესად ადგენს „...ადამიანის შინაგანი სფეროს, მისი შინაგანი სამყაროს აბსოლუტურ დაცვას და ადგენს ფარგლებს, შეზღუდვის შესაძლებლობას მათი გამოვლენისას.“³⁹⁰ სასამართლოს მიხედვით, „... ადამიანის თავისუფლება, საკუთარი ცხოვრება წარმართოს მისი რწმენის შესაბამისად, მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით, სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, შეიძლება შეიზღუდოს.“³⁹¹³⁹²

1.2.3. კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება

რწმენის თავისუფლებით დაცულია კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება. საკონსტიტუციო სასამართლომ რწმენის თავისუფლების ამ

³⁸⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.12;

³⁸⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.13.;

³⁹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.14;

³⁹¹ იქვე;

³⁹² აღნიშნულზე უფრო კონკრეტულად იხილეთ ქვეთავი: მე-19 მუხლის შეზღუდვის საფუძველები;

ასპექტზე ფართოდ ისაუბრა.

თავდაპირველად მან „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის“ წარმოშობის საფუძვლები განმარტა და ასეთად მიიჩნია პრინციპი, რომელიც პირს უკრძალავს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას.³⁹³ „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის“ წარმოშობის საფუძველია ადამიანის რწმენა, რომელიც მას უკრძალავს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას. შესაბამისად, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირები, როგორც წესი, უარყოფენ იარაღით ხელში სამსახურს ომისა და მშვიდობის დროს, რადგან ომი გარდაუვლად გულისხმობს ძალის გამოყენებას, ადამიანის სიცოცხლის მოსპობას. ხოლო სამხედრო სამსახური ემსახურება რა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას, პოტენციურად თავდაცვითი ომისთვის მზადებასაც ნიშნავს. მაშასადამე, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა გულისხმობს არა მხოლოდ საომარ მოქმედებებზე, არამედ მშვიდობიანობის პერიოდში სამხედრო სამსახურის გავლაზე უარის თქმასაც.³⁹⁴ შესაბამისად, მაგალითად, პაციფისტური რწმენა დაცულია მე-19 მუხლით.³⁹⁵

სასამართლომ რამდენიმე პუნქტის შემდეგ კიდევ უფრო განავრცო ეს უფლება და აღნიშნა, რომ „რწმენის თავისუფლებით გარანტირებული კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა დაცულია საქართველოს კონსტიტუციის უშუალოდ მე-19 მუხლით. კერძოდ: კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირების უარი სამხედრო სამსახურზე მიზნად ისახავს მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული რწმენის შენარჩუნებას და მის შესაბამისად ცხოვრებას, ანუ ამ კონკრეტული რწმენის როგორც ქონა, ისე მისი გამოვლენა (სამხედრო სამსახურზე უარის თქმის ფორმით) წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღებას უშუალოდ და მხოლოდ მათი პირადი ცხოვრების წესის თაობაზე. მათ მიზანს არ წარმოადგენს საკუთარი რწმენის განსაჯაროება, სხვებისათვის გაზიარება, შთაბეჭდილების ან გავლენის მოხდენა, დარწმუნება. ამაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ რწმენის შესაბამისად კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გამოვლენა მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც სახელმწიფო მათ ავალდებულებს, მოიქცნენ საკუთარი რწმენის საწინააღმდეგოდ. ანუ ამ რწმენის შესაბამისად ცხოვრება არ მოითხოვს მის მიმდევართა რაიმე ფორმით აქტიურობას, კონკრეტული ქმედებების განხორციელებას და შესაბამისად, საზოგადოებაზე ამა თუ იმ შინაარსით გავლენის მოხდენას, არამედ მისი გამოვლენის ერთადერთი ფორმა პირობადებულია მხოლოდ და მხოლოდ ამ რწმენის დაცვის, შენარჩუნების აუცილებლობით, რის გამოც, შედეგის თვალსაზრისით, ძალიან უმნიშვნელოა სხვაობა ამ რწმენის ქონასა და მის გამოვლენას შორის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით გარანტირებული რწმენის თავისუფლებით.“³⁹⁶

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, არის თუ არა დაცული

³⁹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.16;

³⁹⁴ იქვე;

³⁹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.17;

³⁹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.22;

კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა რწმენის თავისუფლებით?³⁹⁷ სასამართლომ აღნიშნა, რომ „...საბოლოო ჯამში, მიღწეულია საერთაშორისო თანხმობა დემოკრატიულ საზოგადოებაში კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის (შესაბამისი პირობების არსებობისას) რწმენის თავისუფლებით დაცვის არა მხოლოდ შესაძლებლობის, არამედ აუცილებლობის თაობაზე.“³⁹⁸

სასამართლო ეყრდნობა ევროსაბჭოსა და გაეროს მიერ მიღებულ დოკუმენტებს და ავითარებს მოსაზრებას, რომ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება წარმოადგენს რწმენის თავისუფლების ნაწილს „...კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება წარმოადგენს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებათა ფუნდამენტურ ასპექტს ... მომაკვდინებელი ძალის გამოყენების ვალდებულება შესაძლოა სერიოზულ წინააღმდეგობაში მოვიდეს პირის სინდისის თავისუფლებასთან და მისი რელიგიისა და მრწამსის გამოვლენის უფლებასთან...“³⁹⁹

მნიშვნელოვანი რწმენის თავისუფლებასთან მიმართებით არის ის, რომ სახელმწიფოს ზედმიწევნითი სიფრთხილე მართებს მისი შეზღუდვისას, ვინაიდან „პიროვნების იძულება, მოიქცეს თავისი რწმენის საწინააღმდეგოდ, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა რწმენის უარყოფის ეკვივალენტური იყოს და ამიტომ ძალიან ახლოს იდგეს რწმენის თავისუფლების შინაგანი სფეროს (forum i#ter#um) დარღვევასთან. შესაბამისად, სახელმწიფომ რწმენის კონკრეტული გამოვლენის უარყოფის იძულებით, შეიძლება გავლენა მოახდინოს თავად შინაგან მრწამსზე.“⁴⁰⁰

სასამართლომ განმარტა, რომ ამ შემთხვევების წინასწარ განსაზღვრა და სტანდარტების დადგენა არარეალურია და მისი განმარტება და გადაჭრა ყველა შემთხვევაში ინდივიდუალურ შესწავლასა და გააზრებას მოითხოვს.⁴⁰¹

2. სიტყვისა და აზრის თავისუფლების ნეგატიური და პოზიტიური ასპექტები

საქმეში „მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქართველოს საკონსტიტუციო სამართლომ განიხილა სიტყვისა და აზრის თავისუფლების ფარგლები და გარანტიები, იქვე იმსჯელა სიტყვისა და აზრის თავისუფლების ნეგატიურ და პოზიტიურ ასპექტზე.

სასამართლომ აღნიშნა: „სიტყვისა და აზრის თავისუფლების ფარგლები მოცემულია კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტში, რომელიც სახელმწიფოს ზღუდავს ორი ძირითადი პირობის დაცვის ვალდებულებით:

1. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვისა და აზრის გამო; 2. დაუშვებელია ადამიანის იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ (სიტყვისა და

³⁹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.18;

³⁹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.19;

³⁹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.20;

⁴⁰⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.58;

⁴⁰¹ იქვე;

აზრის) შესახებ.⁴⁰²

აღნიშნული შეზღუდვები სასამართლომ დაუკავშირა დასახელებულ თავისუფლებათა პოზიტიურ და ნეგატიურ გარანტიებს და იმავდროულად, კონსტიტუციაზე დაყრდნობით მიუთითა, რომ სიტყვისა და აზრის თავისუფლება არ განეკუთვნება აბსოლუტურ თავისუფლებათა კატეგორიას. სასამართლომ აღნიშნა: „გასათვალისწინებელია აღნიშნული თავისუფლების პოზიტიური და ნეგატიური გარანტიები - მე-19 მუხლი მოიცავს როგორც აზრის გამოხატვის თავისუფლებას, ისე ადამიანისათვის არასასურველი, მისი მოსაზრების საწინააღმდეგო აზრის გამოხატვისაგან თავის შეკავების უფლებას. თუმცა, იმავდროულად, სიტყვისა და აზრის თავისუფლება არ განეკუთვნება აბსოლუტურ, შეუზღუდავ თავისუფლებათა კატეგორიას, რაზეც პირველ რიგში მიუთითებს თავად კონსტიტუცია...კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია სიტყვისა და აზრის თავისუფლების შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს...სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია, თუ მისი გამოვლინება ლახავს სხვათა უფლებებს და ეს არის ერთადერთი პირობა, რაც შეიძლება გახდეს სიტყვის და აზრის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი.“⁴⁰³

ამ მხრივ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა კიდევ უფრო განვითარდა. სასამართლომ კონსტიტუციის ნორმით განმტკიცებული გარანტიები კატეგორიულად მიიჩნია, თუმცა, იმავდროულად, მისი შეზღუდვის საფუძველზეც მიუთითა. სასამართლომ განაცხადა, რომ „ნებისმიერ ადამიანს უფლება აქვს გამოხატოს თავისი აზრი, ან თავი შეიკავოს მისი გამოხატვისაგან. კონსტიტუცია ამ მიმართებით კატეგორიულია – ის კრძალავს ადამიანის დევნას აზრის გამო, ასევე მის იძულებას, რომ გამოთქვას აზრი. ეს არის მკაცრი დანაწესი სახელმწიფოს, მისი ორგანოების მიმართ, რომელიც გამონაკლისს არ უშვებს...თუმცა, იმავდროულად, ამ უფლებათა შეზღუდვის ფორმალურ და მატერიალურ პირობებს ადგენს.“⁴⁰⁴

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცული უფლება სასამართლომ ადამიანის შინაგანი სამყაროს, მისი პირადი სფეროს ხელშეუხებლობის გარანტიად მიიჩნია და მასში ჩარევის ერთადერთ საფუძველად სხვათა უფლებების დაცვის ლეგიტიმური მიზანი მიუთითა. სასამართლომ განაცხადა: „კონსტიტუციის მე-19 მუხლი იცავს ადამიანის პირადულ სფეროს, მის თავისუფლებას, იქონიოს, გაიზიაროს ან/და უარყოს შეხედულება, რელიგია, რწმენა. კონსტიტუციის მიზანია ჩამოაყალიბოს აზრის, სიტყვის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების, როგორც forum i#ter#um, ადამიანის შინაგანი სამყაროს, მისი პირადი სფეროს ხელშეუხებლობის გარანტია. ეს არის უფლება (უფლების ასპექტი), რომელიც არ შეიძლება შეიზღუდოს ან აიკრძალოს საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, მათ შორის, საომარი და საგანგებო მდგომარეობის დროსაც. არავის ძალუძს და არ აქვს უფლება, აიძულოს ადამიანი, მიიღოს ან შეცვალოს

⁴⁰² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის #2/1/241 გადაწყვეტილება, პ.1;

⁴⁰³ იქვე;

⁴⁰⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერი #2/2-389 გადაწყვეტილება, II.პ.13;

საკუთარი აზრი და რწმენა. ადამიანი ასევე დაცულია იმულებისაგან თქვას ის, რაც მას არ სურს ან გამოთქვას საკუთარი აზრი. ეს უფლება არ ექვემდებარება რეგულირებას, ვინაიდან ის ინდივიდის თავისუფლების, მისი იდენტობის, ავტონომიის საფუძველს ქმნის. კონსტიტუციის თანახმად, მე-19 მუხლით დაცულ პირადულ სფეროში ჩარევის ერთადერთ საფუძველს, სხვათა უფლებების დაცვის ლეგიტიმური მიზანი წარმოადგენს. ადამიანის შინაგანი სამყარო (forum i#ter#um), მისი პირადული სფერო დაცულია სახელმწიფოს ჩარევისაგან, მაგრამ შეზღუდვას ექვემდებარება ქმედება, რომელიც ამ სფეროს შიგნით მყოფ სხვა პირთა უფლებების დარღვევას იწვევს.“⁴⁰⁵

3. მე-19 მუხლის გამიჯვნა 24-ე მუხლით დაცული სფეროსგან

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებულია, რომ „ყოველ ადამიანს აქვს უფლება ... გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.“ ხოლო მე-19 მუხლის პირველ პუნქტში კი - „...სიტყვის, აზრის, ... თავისუფლება.“ ამგვარი მსგავსება წარმოშობს კონსტიტუციის ამ ორი მუხლის მკაფიო გამიჯვნის აუცილებლობას. „... მიუხედავად გარკვეული მსგავსებისა კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებს შორის - ორივე მუხლში ნახსენებია აზრის თავისუფლება, ხოლო მე-19 მუხლით დაცულ სფეროს ასევე „სიტყვა“ განეკუთვნება, ამ მუხლებს შორის არსებითი სხვაობაა.“⁴⁰⁶

ერთ-ერთ საქმეში, რომელშიც საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნული პრობლემის წინაშე დადგა, ის აღნიშნავს, რომ ეს მუხლები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან: „კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლები ერთგვარად ავსებენ ერთმანეთს გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციური უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ... თავისუფალი საზოგადოება შედგება თავისუფალი ინდივიდებისაგან, რომლებიც ცხოვრობენ თავისუფალ ინფორმაციულ სივრცეში, თავისუფლად აზროვნებენ, აქვთ დამოუკიდებელი შეხედულებები და მონაწილეობენ დემოკრატიულ პროცესებში, რაც აზრთა გაცვლა-გამოცვლასა და პაექრობას გულისხმობს. ნებისმიერ ადამიანს უფლება აქვს გამოხატოს თავისი აზრი, ან თავი შეიკავოს მისი გამოხატვისაგან. ... დემოკრატიული პროცესის მამოძრავებელია ის ძალა, სულიერი გავლენა, რომელიც აზრისათვის არის დამახასიათებელი. კონსტიტუცია იცავს აზრის გამოხატვისა და გავრცელების პროცესს, მის შინაარსსა და ფორმებს...“⁴⁰⁷ ამ მუხლების მიზანია: „...დემოკრატიულ საზოგადოებაში აზრისა და ინფორმაციის თავისუფალი გაცვლა-გამოცვლის პროცესის უზრუნველყოფა...“⁴⁰⁸

სასამართლო აღნიშნულ საქმეშივე შეეცადა ამ ორი მუხლის გამიჯვნას,

⁴⁰⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.10, 11;

⁴⁰⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.9;

⁴⁰⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერი #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.13;

⁴⁰⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერი #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.16;

24-ე მუხლი დაუკავშირა საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან ინფორმაციის თავისუფლად მოპოვებისა და გავრცელების უფლებას, ხოლო მე-19 მუხლი – აზრის თავისუფლებას. სასამართლომ განაცხადა: „კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულია ინფორმაციის თავისუფლება, მისი თავისუფალი გავრცელება და მიღება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, ინფორმაციის მატარებლებიდან, რომლებიც გამოსადეგია ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელებისათვის. თავისუფალი ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია თავისუფალი აზრის ჩამოყალიბება... თუმცა აზრის თავისუფლების მსგავსად ეს უფლებაც კონსტიტუციურ შეზღუდვებს ექვემდებარება⁴⁰⁹...კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლების მიზანია დემოკრატიულ საზოგადოებაში აზრისა და ინფორმაციის თავისუფალი გაცვლა-გამოცვლის პროცესის უზრუნველყოფა...“⁴¹⁰

როდის გარდაიქმნება აზრის თავისუფლება ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებად, ამაზე საკონსტიტუციო სასამართლოს საკუთარი ხედვა გაჩნია. სასამართლო თვლის, რომ „აზრი ან სიტყვა პირადულ სფეროს გასცდება და შეიძლება შეზღუდვას დაექვემდებაროს, როდესაც ის გარე სამყაროსთან მოდის შემხებლობაში და პირადული სივრცის მიღმა მყოფი პირების უფლებებს ან საზოგადოების ინტერესებს უპირისპირდება. ასეთი „გამოვლინება“ შინაგანი სამყაროს ფარგლებს სცდება და გამოდის მე-19 მუხლით დაცულის ფეროდან. ამგვარი გამოხატვის შეზღუდვა კონსტიტუციის 24-ე ან/და სხვა მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლებით იქნება შესაძლებელი.“⁴¹¹ შესაბამისად, „სახელმწიფოს ან საზოგადოების ინტერესი ადამიანის რწმენის, მისი შეხედულებებისადმი შეიძლება წარმოიშვას, როდესაც ისინი გარკვეულ ქმედებაში (ან უმოქმედობაში), საზოგადო საქმიანობაში გამოიხატება.“⁴¹² ამგვარად, კონსტიტუციის მე-19 მუხლი იცავს აზრის თავისუფლებას მანამ, სანამ იგი პირადულ სივრცეში რჩება, ხოლო კონსტიტუციის 24-ე მუხლი მას შემდეგ, რაც იგი პირადული სივრცის გარეთ გადის.

4. უფლებები, რომლებიც მე-19 მუხლით არ არის დაცული

4.1. საარჩევნო უფლებები, პოლიტიკური პარტიის შექმნა

რამდენად შეიძლება პოლიტიკური გამოხატვის ისეთი შემთხვევა, როგორცაა პარტიის შექმნა, დაცული იყოს მე-19 მუხლის პირველი პუნქტით? ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ ერთი საქმე აქვს. კონკრეტულ შემთხვევაში მხარე ასაჩივრებდა ნორმას, რომლის თანახმად, პარტიის რეგისტრაცია ხდება მას შემდეგ, რაც იუსტიციის სამინისტროს წარედგინება პარტიის არანაკლებ 1000 წევრის სია, სახელის, გვარის, დაბადების თარიღის,

⁴⁰⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერი #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.14;

⁴¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერი #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.16;

⁴¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.12;

⁴¹² იქვე;

პირადობის მოწმობის ნომრის, სამუშაო ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, მისამართისა და ტელეფონის მითითებითა და მათი ხელმოწერებით. მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ სადავო ნორმის მიღებამ შეზღუდა მისი, როგორც მოქალაქის, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი და მესამე პუნქტებით აღიარებული უფლება. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ მისი პარტია შედგებოდა 180 წევრისაგან და პარტიის რაოდენობის გაზრდის მოთხოვნას იგი ხელოვნურად და დამამცირებლად მიიჩნევდა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ ვერ დასაბუთდა სადავო ნორმის კონსტიტუციის მე-19 მუხლთან მიმართება, „...კერძოდ კი, მოსარჩელემ ვერ წარმოუდგინა სასამართლოს მტკიცებულებები, რითაც დადასტურდებოდა კონსტიტუციური სარჩელის საფუძვლიანობა აღნიშნულ ნაწილში.“⁴¹³ სასამართლომ საქმე დავის საგნის ამ ნაწილში არ მიიღო არსებითად განსახილველად. შესაძლებელია თუ არა, პოლიტიკური პარტიის შექმნასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცული უფლების ფარგლებში იქნეს განხილული, სასამართლოს ამ საკითხზე არსებითად არ უმსჯელია. თუმცა, მოგვიანებით, საკონსტიტუციო სასამართლომ საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით პირდაპირ მიუთითა, რომ „ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება, რაც გადამწყვეტია დემოკრატიული პროცესისათვის, ასევე, საარჩევნო უფლებები, დაცულია კონსტიტუციის 28-ე მუხლით და არა მე-19 და 24-ე მუხლებით.“⁴¹⁴

4.2. საჯარო დაწესებულების მართვის ორგანოს საქმიანობაში მონაწილეობის ან თანამდებობაზე ყოფნის უფლება

აღნიშნულ საკითხზე, კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებთან მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა საქმეში: „საქართველოს მოქალაქე მათა და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ.“ სასამართლომ არასწორად მიიჩნია თანამდებობის პირის საქმიანობისა და მათი კომპეტენციის ფარგლებში გარკვეული იდეებისა და შეხედულებების კონსტიტუციით დაცული უფლებების ფარგლებში მოქცევა, რადგან ამ დროს ხორციელდება ადმინისტრაციული კომპეტენცია და არა კონსტიტუციით დაცული თავისუფლება.⁴¹⁵ სასამართლომ მიიჩნია, რომ კონსტიტუციის დასახელებული მუხლებით არ იყო დაცული საჯარო დაწესებულების საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობის, თანამდებობაზე ყოფნის უფლება. სასამართლომ განაცხადა: „საქართველოს კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებით დაცული სიკეთე არ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირის მართვის ორგანოს საქმიანობაში მონაწილეობის ან გარკვეულ თანამდებობაზე ყოფნის უფლება. მოსარჩელეთა მიერ გამოხატვის ფორმის ფართო ინტერპრეტაცია ძალიან შორს წაგვიყვანდა და ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოსა თუ თანამდებობის, სადაც პირი გარკვეულ აზრებსა და იდეებს გამოთქვამს,

⁴¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 27 სექტემბერის #2/94/1 განჩინება საქმეზე მოქალაქე გიორგი ყორღანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

⁴¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.15;

⁴¹⁵ იქვე;

რეფორმირებას ან გაუქმებას დაუქვემდებარებდა ისეთი გარემოებების არსებობას, როგორცაა ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დანაშაულის თავიდან აცილება და ა.შ. კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლების მიზანია დემოკრატიულ საზოგადოებაში აზრის და ინფორმაციის თავისუფალი გაცვლა-გამოცვლის პროცესის უზრუნველყოფა და არა რომელიმე ორგანოს ან თანამდებობის სტაბილურობის გარანტირება.”⁴¹⁶

სასამართლომ აღნიშნა, რომ დასახელებული მუხლებით დაცულ სფეროში არ ექცეოდა თანამდებობის პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს ხელშეუხებლობა. „...ისევე, როგორც აზრის თავისუფლების შემთხვევაში, ეს ძირითადი უფლებაც არ იძლევა ისეთი ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას, რომ მისი დაცვის ქვეშ მოექცეს რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის (რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება აშკარად არ არის ინფორმაციის გავრცელება) და ამ ორგანოს წევრის ან თანამდებობის პირის ხელშეუხებლობა.”⁴¹⁷

5. შეზღუდვის საფუძველი

მიუხედავად იმისა, რომ რწმენის თავისუფლებას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია, როგორც დემოკრატიული საზოგადოებისათვის, ისე თითოეული ადამიანის პიროვნული ავტონომიისა და თვითრეალიზაციისთვის, ეს არ გამოირჩევა მისი შეზღუდვის შესაძლებლობას.⁴¹⁸ „სახელმწიფოს არა აქვს ვალდებულება, მართლზომიერქმედებად მიიჩნიოს ადამიანების ყოველგვარი გადაწყვეტილება, რომელსაც ისინი საკუთარი რწმენის შესაბამისად იღებენ. ცალკეულ შემთხვევებში სახელმწიფო უფლებამოსილია და ვალდებულიც, ჩაერიოს რწმენის თავისუფლებაში, რათა უზრუნველყოს სხვათა ავტონომიის პატივისცემა, ცალკეული ინდივიდებისა თუ საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესების დაცვა.”⁴¹⁹

ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს უფლება ყველაზე ხშირად კონკურირებადია სხვა უფლებებთან: „...ა) სხვათა (სხვა ადამიანთა) ამავე თავისუფლებასთან; ბ) სხვა უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან;...”⁴²⁰

სასამართლოს აზრით, ეს დამატებითი გამოწვევაა უფლების რეალიზაციისათვის: „ღირებულებათა კონფლიქტის სირთულე ზუსტად იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთს უპირისპირდება კანონიერი ინტერესები, რაც ნიშნავს იმას, რომ ორივე მხარეს გააჩნია უფლება ამ ინტერესების დაცვაზე და მოლოდინიც, რომ მისი კანონიერი ინტერესი რეალიზებადი იქნება. ამ დილემიდან გამოსავალი დემოკრატიულ

⁴¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.16;

⁴¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერი #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.17;

⁴¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი # 1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.44;

⁴¹⁹ იქვე;

⁴²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი # 1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.8;

საზოგადოებაში ერთადერთია – სამართლიანი ბალანსის მიღწევა. მაშინ როდესაც ინტერესების დაპირისპირება აუცდენელია, წარმოიშობა მათი ჰარმონიზაციის, სამართლიანი დაბალანსების აუცილებლობა.”⁴²¹

სხვა შემთხვევათა მსგავსად, რწმენის თავისუფლებაც ამგვარი შეზღუდვის პირობებში შეიძლება მოექცეს. „ამიტომ დამიანები თავიანთი რწმენისათვისაც (რელიგიისთვის) უნდა მოელოდნენ გარკვეული საზღაურის გაღებას, რადგან ისინი საზოგადოების წევრები არიან, სადაც მათ მსგავსად, სხვა ადამიანებიც საჭიროებენ თვითრეალიზაციას, რაც შეუძლებელია თითოეული მათგანის ღირსების, უფლებების, ავტონომიის პატივისცემის გარეშე. ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ გარკვეული ვალდებულებების დაკისრება პიროვნებაზე, რომელიც ცდილობს, დაიცვას თავისი რწმენის მოთხოვნები და იცხოვროს მათ შესაბამისად, თავისთავად ყოველთვის არ ნიშნავს რწმენის თავისუფლების დარღვევას. ... დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც სხვადასხვა რელიგიები თანაარსებობენ ერთსა და იმავე მოსახლეობაში, შესაძლოა, აუცილებელი იყოს შეზღუდვების დაწესება (რელიგიისა და რწმენის გამოხატვაზე) ცალკეული ჯგუფების ინტერესების შეთანხმებისა და ყველას რელიგიური რწმენის პატივისცემის უზრუნველყოფის მიზნით. ... სახელმწიფომ უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფისას უნდა შეძლოს კერძო და საჯარო ინტერესების გონივრული დაბალანსება, მხოლოდ ასეა შესაძლებელი როგორც უფლებით სარგებლობის, ისე კონკრეტული საჯარო მიზნების მიღწევა. რწმენის თავისუფლების რთული ბუნება და მრავალმხრივი, განუსაზღვრელი შინაარსი არ უნდა გადაიქცეს გადაულახავ დაბრკოლებად იმისათვის, რომ შესაბამისი საჯარო ინტერესების დასაცავად მოხდეს მისი თანაზომიერი შეზღუდვა. ანუ უფლების ასეთი ბუნება არ უნდა გახდეს ამ უფლებით ბოროტად სარგებლობის საფუძველი, ადამიანები არ უნდა გადაიქცნენ საკუთარი თავების კანონმდებლებად, და მხოლოდ თავად არ უნდა გადაწყვიტონ, რა არის მათი სინდისისა და რწმენის შესაბამისი და მხოლოდ იმ კანონებს არ დაემორჩილონ, რომლებიც, მათი აზრით, ჯეროვანია.”⁴²²

კონსტიტუციის მე-19 მუხლით გარანტირებული უფლებების შეზღუდვის საფუძველები ამავე მუხლის მე-3 პუნქტშია ასახული, რომლითაც „დაცულ პირადულ სფეროში ჩარევის ერთადერთ საფუძველს სხვათა უფლებების დაცვის ლეგიტიმური მიზანი წარმოადგენს.”⁴²³ შესაბამისად, პირველ რიგში ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ამ მუხლით არ არის დაცული აბსოლუტური უფლებები, როგორც სასამართლომ განაცხადა, „...ამ უფლებით აბსოლუტურად და განუსაზღვრელად სარგებლობა შეუძლებელია.”⁴²⁴ „...სიტყვისა და აზრის თავისუფლება არ განეკუთვნება აბსოლუტურ,

⁴²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.45;
⁴²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.8, 46-49;
⁴²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.11;
⁴²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბერის #2/2/180-183 გადაწყვეტილება, პ.10;

შეუზღუდავ თავისუფლებათა კატეგორიას...⁴²⁵ სასამართლომ მკაფიოდ განაცხადა, რომ „...კონსტიტუცია იცავს აზრის გამოხატვისა და გავრცელების პროცესს, მის შინაარსსა და ფორმებს, თუმცა, იმავდროულად, ამ უფლებათა შეზღუდვის ფორმალურ და მატერიალურ პირობებსაც ადგენს.“⁴²⁶ თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაცვის სტანდარტი საკმაოდ მაღალია და მხოლოდ სხვათა უფლებების დაცვის ლეგიტიმური ინტერესით შემოიფარგლება. სასამართლო, გარდა უშუალოდ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტისა, შეზღუდვის საფუძველს კონსტიტუციის მე-7⁴²⁷ და 44-ე⁴²⁸ მუხლებს აფუძნებს. სასამართლომ მიუთითა, რომ შეზღუდვის „...საფუძველი, იგივე საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლია, სადაც ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასა და ცნობასთან ერთად აღნიშნულია, რომ „ხელისუფლების განხორციელებისას სალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებითა თავისუფლებით, როგორც უშუალოდ მოქმედი კანონით.“⁴²⁹ „შეზღუდვის შესაძლებლობასა და აუცილებლობას განამტკიცებს შემდეგი კონსტიტუციური პრინციპიც: „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები“(44-ე მუხლის მე-2 პუნქტი).“⁴³⁰

სასამართლოს მიაჩნია, რომ უფლების შემზღუდავი ნორმის ამგვარ ფორმულირებას ორი მიზანი აქვს:

1. იგი უფლების სუბიექტის დაცვის გარანტია: „...ასეთი ჩანაწერი იძლევა დამატებით გარანტიას სიტყვისა და აზრის თავისუფლების დაცვისთვის – კრძალავს ამ თავისუფლების ნებისმიერი ფორმით შეზღუდვას, თუ მისი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს...“⁴³¹

2. იგი გამორიცხავს უფლების სუბიექტის მიერ ამ უფლებით ბოროტად სარგებლობას: „...ადგენს სხვათა უფლებების დაცვის გარანტიას – სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია, თუ მისი გამოვლინება ლახავს სხვათა უფლებებს და ეს არის ერთადერთი პირობა, რაც შეიძლება გახდეს სიტყვისა და აზრის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. ... მაშასადამე, თითოეული ადამიანის უფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვათა უფლებები.“⁴³²

საკონსტიტუციო სასამართლომ მე-19 მუხლის შეზღუდვის საფუძველების განმარტებისას მიუთითა, რომ ამ ნორმის „... სხვა მუხლებთან ერთობლივი წაკითხვა, მათი ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს, განვსაზღვროთ ამ

⁴²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის #2/1/241 გადაწყვეტილება, პ.1;

⁴²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერი #2/2-389 გადაწყვეტილება, II.პ.13;

⁴²⁷ კონსტიტუციის მე-7 მუხლი;

⁴²⁸ კონსტიტუციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტი;

⁴²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბერის #2/2/180-183 გადაწყვეტილება, პ.10;

⁴³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის #2/1/241 გადაწყვეტილება, პ.1;

⁴³¹ იქვე;

⁴³² იქვე;

მუხლით დაცული უფლების ფარგლები.⁴³³ სასამართლომ ყურადღება გამამხვილა საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლზე, „...რომელიც საომარი და საგანგებო მდგომარეობის დროს მე-19 მუხლით დაცული უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. კონსტიტუცია მას უფლებათა იმ კატეგორიას განაკუთვნებს, რომელთა შეზღუდვა დაუშვებელია სახელმწიფო უშიშროების, უსაფრთხოების თუ სხვა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მიზნების მისაღწევად. ამავე დროს, თავად მე-19 მუხლის შეზღუდვის ერთადერთ საფუძველს - სხვათა უფლებების დაცვის აუცილებლობა წარმოადგენს.“⁴³⁴

სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ „...ეს თავისუფლება, როგორც მინიმუმ, მოითხოვს სხვადასხვა რწმენის მიმდევართა ჰარმონიული თანაცხოვრების შესაძლებლობის გარანტირებას, რაც რწმენის თავისუფლების თითოეულ სუბიექტს აკისრებს ვალდებულებას, საკუთარი თავისუფლება შეზღუდოს სხვათა ასეთივე თავისუფლებით – ეს არის რწმენის ფუნდამენტური თავისუფლების თანმდევნი ვალდებულება...“⁴³⁵

რწმენის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ „...ადმინისტრაციული ხელსაყრელობა უპირობო კონსტიტუციური სტანდარტი ვერ იქნება. სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ უფლების სუბიექტების რეალურობის შემოწმების შეუძლებლობა ან ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი სირთულეების არსებობა, ვერ იქნება უფლების გაუქმების საფუძველი.“⁴³⁶

5.1. რელიგიის და აზრის თავისუფლების შეზღუდვის კონკრეტული მაგალითები

5.1.1. პატივი და ღირსება

სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს უფლება მოიცავს გარკვეულ ვალდებულებას და პასუხისმგებლობას. რაც უფლების რეალიზაციის შედეგად გამოხატულ მოსაზრებებს შემდეგ სტანდარტს უდგენს: „...გავრცელებული ცნობები უნდა იყოს სწორი, შეესაბამებოდეს სინამდვილეს. ზუსტად ამ პირობის დაუცველობის შედეგად, სიტყვის თავისუფლება უპირისპირდება ადამიანის პატივისა და ღირსების თავისუფლებას.“⁴³⁷ შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ ის ადამიანის ღირსებასთან მოვიდა კონფლიქტში.

სასამართლომ აზრის თავისუფლებისა და პატივისა და ღირსების მიმართებაც გაარკვია და აღნიშნა, რომ „... როცა ხდება პიროვნების უფლებების დაცვის

⁴³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.9;

⁴³⁴ იქვე;

⁴³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.7;

⁴³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.23;

⁴³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის #2/1/241 გადაწყვეტილება. 3.I.2.;

შედარება ინფორმაციის თავისუფლების დაცვასთან, უპირატესობა ენიჭება პიროვნების უფლების დაცვას, თუ საქმე ეხება ცრუ ან დაუდასტურებელი ფაქტების მტკიცებას. ...აზრის თავისუფლება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ღირსების დასაცავად. აქ რეკომენდებულია შეფასება, აწონ-დაწონვა, ხოლო მცდარი ფაქტების მტკიცებისას უპირატესობა სისტემატურად ენიჭება ღირსების დაცვას.”⁴³⁸

ტესტი, რომელიც შეზღუდვის დროს გამოიყენება, საკონსტიტუციო სასამართლომ შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:⁴³⁹ „1. სიტყვის თავისუფლებაში ჩარევა გათვალისწინებულია კანონით; 2. ჩარევას აქვს კანონიერი მიზანი...; 3. ჩარევა წარმოადგენს პროპორციულ ზომას მიზნის მისაღწევად და კონკრეტული ჩარევის განხორციელება აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონიერი მიზნის დასაცავად.“

სასამართლომ მეცნიერებაში დამკვიდრებული განმარტების მიხედვით მიუთითა პატივისა და ღირსების ცნებებზე⁴⁴⁰ და შელახული პატივისა და ღირსების აღდგენის ადეკვატურ ზომად მიიჩნია: „1. ისეთი ღონისძიებები, რომლებიც მოახდენენ პირის მიერ განცდილი სულიერი ტკივილის გარკვეულწილად კომპენსირებას. ... მორალურ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია, მაგრამ ფულადმა კომპენსაციამ უნდა უზრუნველყოს ხელყოფილი პიროვნული სიკეთის, პიროვნების სულიერი ტკივილის დადებითი ემოციებით შეცვლა და პიროვნების სრულფასოვანი ჩართვა სოციალურ ურთიერთობებში. 2. ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებაში შეურაცხყოფილ პირზე აზრის შეცვლას, იმ სწორი შეხედულების ჩამოყალიბებას, რომელიც არსებობდა პირზე არასწორი ცნობების გავრცელებამდე. ამას უზრუნველყოფს პასუხის უფლება და გავრცელებული ცნობების უარყოფა.”⁴⁴¹

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ პირს, რომლის „პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, პასუხისუფლებაწარმოეშვებამაშინაცკი, როდესაც ცნობების გამავრცელებელს შეუძლია დაამტკიცოს მათი შესაბამისობა სინამდვილესთან. ... ბუნებრივია, სასამართლოში პატივისა და ღირსების შელახვის ფაქტის დადგენა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პირმა მიაღწიოს სასურველ მიზანს – საზოგადოებაში მასზე ადრე არსებული აზრის ჩამოყალიბებას, აღდგენას. ... გარდა ამისა, ამას უნდა ჰქონდეს აუცილებლად ისეთივე ეფექტი და ზეგავლენა საზოგადოებაზე, როგორც თავის დროზე ჰქონდა მასზე ყალბი და შეურაცხმყოფელი ცნობების გავრცელებას. მხოლოდ ასეთი გზით მიიღწევა პირის მიერ განცდილი „მორალური თუ სულიერი ტკივილის“ კომპენსირება. ამასთან, ლოგიკურია, რომ მასობრივი ინფორმაციის ამა თუ იმ საშუალებამ პასუხი აგოს არასწორი და შეურაცხმყოფელი ცნობების გავრცელებისთვის და ეს არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ჩაითვალოს სიტყვის თავისუფლების შელახვად, რადგან გავრცელებული პრაქტიკის თანახმად, ცრუ ფაქტების გავრცელება საერთოდ არ ხვდება აზრის თავისუფლების დაცვის ფარგლებში.”⁴⁴²

⁴³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის #2/1/241 გადაწყვეტილება. პ. II. 2;

⁴³⁹ იქვე;

⁴⁴⁰ იქვე;

⁴⁴¹ იქვე;

⁴⁴² იქვე;

5.1.2. სამხედრო სარეზერვო სამსახური

კონკრეტულ შემთხვევაში სადავო იყო სამხედრო სარეზერვო სამსახურის არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის არარსებობის კონსტიტუციურობა. სასამართლომ არსებითი განხილვისას დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები და დაასკვნა, რომ ადგილი ჰქონდა რწმენის თავისუფლებაში ჩარევს: „1) სამხედრო სარეზერვო სამსახური თავისი შინაარსითა და სიმძიმით უტოლდება სამხედრო სავალდებულო სამსახურს, რის გამოც, ის სამხედრო სამსახურის მსგავსად, პოტენციურად წარმოშობს ლეგიტიმურ საფუძვლებს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობისათვის; 2) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა გამორიცხავს რეზერვში გასაწევ პირთა ან სარეზერვო სამსახურში მყოფთა შესაძლებლობას, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, მოითხოვონ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური; 3. შესაბამისად, სადავო ნორმით ხდება რწმენის თავისუფლებაში ჩარევა“⁴⁴³.

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმის განხილვისას მიუთითა ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე, კერძოდ, მან მიიჩნია, რომ აღნიშნული უფლების შეზღუდვისთვის „...ლეგიტიმურ მიზნად განიხილება ის მიზნები (ქვეყნის თავდაცვა, სახელმწიფო უსაფრთხოება), რომლის მიღწევასაც ემსახურება საქართველოს კონსტიტუციის 101-ე მუხლით⁴⁴⁴ გათვალისწინებული ვალდებულება...“⁴⁴⁵

თუმცა, აქვე საქართველოს კონსტიტუციის 101-ე მუხლის მიხედვით სასამართლომ განმარტა ქვეყნის დაცვის ვალდებულება. „ქვეყნის დაცვა არ გულისხმობს მხოლოდ იარაღით ხელში ქვეყნის დაცვას – უმეტესწილად ეს მართლაც ასოცირდება საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობასთან, თუმცა, ასეთი მოქმედებები ვერ ამოწურავს ქვეყნის “დაცვის” შინაარსს. იმავდროულად, სამხედრო ვალდებულება შეიძლება საერთოდ არ იყოს დაკავშირებული იარაღის გამოყენებასთან. ნიშანდობლივია, რომ 101-ე მუხლი თავად არ აკონკრეტებს სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმას. ამიტომ არასწორია იმის მტკიცება, რომ 101-ე მუხლით დადგენილი ვალდებულება უტოლდება მხოლოდ სამხედრო სავალდებულო სამსახურს და გულისხმობს მხოლოდ ამ შინაარსით სამხედრო ვალდებულების მოხდის შესაძლებლობას.“⁴⁴⁶

სასამართლომ სამხედრო სამსახურის ადეკვატურ ჩამნაცვლებლად კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირებისთვის არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური მიიჩნია, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ წარმოადგენს სამოქალაქო სამსახურს, არის გონივრული კომპრომისის

⁴⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.პ.41;

⁴⁴⁴ საქართველოს კონსტიტუციის 101-ე მუხლის მიხედვით:

1. საქართველოს დაცვა საქართველოს ყოველი მოქალაქის მოვალეობაა;
2. ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის ვალია. სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმას ადგენს კანონი;

⁴⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება; II.პ.51;

⁴⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება. II.პ.53;

მიღწევის გზა კონსტიტუციურ უფლებასა და ქვეყნის დაცვის კონსტიტუციურ ვალდებულებას შორის. ის თავისი სიმძიმით უნდა წარმოადგენდეს რა სამხედრო სამსახურის რეალურ და ადეკვატურ ალტერნატივას, ზუსტად ამის წყალობით და იმის გათვალისწინებით, რომ სამხედრო ვალდებულება, ისევე როგორც ქვეყნის დაცვა, მხოლოდ საბრძოლო მოქმედებებსა და მათთვის მზადებაში არ გამოიხატება, წარმოადგენს როგორც ქვეყნის დაცვის, ისე სამხედრო ვალდებულების მოხდის შესაძლებლობას.”⁴⁴⁷

სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ბალანსის მნიშვნელობას, რომელიც უნდა დადგინდეს „რწმენის თავისუფლებასა და ქვეყნის დაცვის ვალდებულებას შორის, ისე, რომ ამ კონსტიტუციური ღირებულებების ჰარმონიზაციით მოხდეს რწმენის თავისუფლების დაცვა და ამასთან არ მოხდეს ვალდებულების შესრულებისაგან თავის იოლად არიდება. თუ ეს ვერ იქნება მიღწეული, საფრთხე ერთნაირად შეექმნება როგორც საჯარო ინტერესებს (ქვეყნის უსაფრთხოება, თავდაცვისუნარიანობა, სხვათა უფლებები), ისე თავად რწმენის თავისუფლებასაც, რომლის არსიც ზიანდება, როდესაც მას საყოველთაო მოქალაქეობრივი და კონსტიტუციური ვალდებულებისაგან თავის არიდებისათვის იყენებენ. ნებისმიერი უფლება, რწმენის თავისუფლების ჩათვლით, დაცული და გარანტირებული უნდა იყოს მხოლოდ მისი ნამდვილი არსის ფარგლებში, ამიტომ უფლების ფარგლების ხელოვნურად გაფართოება, როგორც მისი არასწორად განმარტების, ისე გამოყენების მემვეობით, საფრთხეს შეუქმნის კონსტიტუციურ ღირებულებებს შორის ბალანსის შენარჩუნებას.”⁴⁴⁸

კონკრეტულ შემთხვევაში ცხადი იყო, რომ კანონი ახდენდა პირის იძულებას განეხორციელებინა საკუთარი მრწამსის საწინააღმდეგო ქმედება და ვინაიდან „...ნებისმიერი რწმენა და მის შესაბამისად ცხოვრება, ზუსტად მისი კონკრეტული გამოვლინებებით რეალიზდება, ამიტომ, თუ პირი იძულებული იქნება მათზე უარი თქვას, ის ვერც კონკრეტული რწმენის მიმდევარი იქნება. როდესაც კონკრეტული შინაარსის რწმენა დაცულია რწმენის თავისუფლებით და იმავდროულად მასში ხდება ისეთი ინტენსიური და უხეში ჩარევა, რაც ამ რწმენაზე უარის თქმის ტოლფასი ხდება, ეს ჩარევა შეიძლება შეფასდეს როგორც უფლების შინაგან სფეროში ჩარევა. მოცემულ შემთხვევაში, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით გარანტირებული რწმენის თავისუფლებით. როგორც აღინიშნა, ის ომისა და ზოგადად იარაღის გამოყენებისადმი უარყოფაში გამოიხატება, მხოლოდ ეს არის ამ რწმენის შინაარსი.”⁴⁴⁹ კანონი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირებს აიძულებს, „იმოქმედონ საკუთარი რწმენის საწინააღმდეგოდ. ისინი დგებიან ალტერნატივის წინაშე – ან უნდა მოიხადონ სამხედრო სარეზერვო სამსახური მათი რწმენის საწინააღმდეგოდ, ან იმოქმედონ საკუთარი რწმენის შესაბამისად, მაგრამ ამისათვის დაეკისრებათ კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. ამ ადამიანებს არ

⁴⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება. II.3.56;

⁴⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება. II.3.57;

⁴⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.59;

აქვთ სხვა შესაძლებლობა, დარჩნენ ამ კონკრეტული რწმენის მიმდევარნი. სამხედრო სამსახურში, რეზერვში თუ ომში წასვლის ვალდებულების მოხდისას, მათ უბრალოდ ვერ დარჩებათ შეგრძნება, განცდა, გაცნობიერება საკუთარი რწმენის შესაბამისად ცხოვრებისა. მამსადადამე, სახელმწიფო მოითხოვს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირებისაგან, მოიქცნენ საკუთარი რწმენის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, რაც, მოცემულ შემთხვევაში, ფაქტობრივად ნიშნავს მათდამი მოთხოვნას, თავიანთი ქცევით უარყონ საკუთარი რწმენა.⁴⁵⁰

სასამართლომ ამ საქმეში თანაზომიერების ტესტი გამოიყენა:

- პირველ რიგში მან გაარკვია, ხდებოდა თუ არა სადავო ნორმით რწმენის თავისუფლებაში ჩარევა;⁴⁵¹
- შემდეგ განსაზღვრა სადავო ნორმის ლეგიტიმური მიზანი;⁴⁵²
- მან ასევე გაარკვია, იყო თუ არა შეზღუდვა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გზა და ამ კითხვაზე დადებითი პასუხის შემდეგ გაარკვია;⁴⁵³
- არსებობდა თუ არა იგივე მიზნის მისაღწევად უფლებაში ჩარევის უფრო ნაკლები ინტენსივობის გზა;⁴⁵⁴

კერძოდ, სასამართლომ განაცხადა: „სამხედრო სარეზერვო სამსახურში კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირთა გაწვევა უდავოდ წარმოადგებს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გზას, მაგრამ ის ვერ უზრუნველყოფს ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსის მიღწევას, რადგან წარმოადგენს რწმენის თავისუფლებაში გაუმართლებლად მძიმე ჩარევას, ჩარევის ყველაზე მძიმე ფორმას, რომელიც პრაქტიკულად უფლებით სარგებლობის შეუძლებლობას უტოლდება, მაშინ როდესაც იგივე მიზნების მიღწევა შესაძლებელია უფლებაში ნაკლებად ჩარევის გზით. რწმენის თავისუფლებასა და ქვეყნის დაცვის ვალდებულებას შორის გონივრული ბალანსის დაცვა მოითხოვს ამ ინტერესების თანაარსებობის უზრუნველყოფას და არა ერთის დაცვას მეორის ხელყოფის ხარჯზე.“⁴⁵⁵

5. დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შემდეგ შესაძლებელია შემდეგი ძირითადი საკითხების განსაზღვრა:

- უფლების სწორი, სრულყოფილი რეალიზაციისა და ეფექტური დაცვისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრას;

⁴⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.59;

⁴⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.41;

⁴⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.42;

⁴⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება, II.3.60;

⁴⁵⁴ იქვე;

⁴⁵⁵ იქვე;

- ამ მუხლით უზრუნველყოფილია სხვადასხვა თავისუფლებები - აზრის, სიტყვის, რწმენის და სინდისის თავისუფლება; რომლებიც ორი ნაწილად შეიძლება გავყოთ, ერთი მხრივ გამოხატვის, ხოლო მეორე მხრივ რწმენის თავისუფლება;
- „კონსტიტუციის მე-19 მუხლი იცავს ადამიანის პირადულ სფეროს, მის თავისუფლებას, იქონიოს, გაიზიაროს ან/და უარყოს შეხედულება, რელიგია, რწმენა. კონსტიტუციის მიზანია ჩამოაყალიბოს აზრის, სიტყვის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების, როგორც forum i#ter#um, ადამიანის შინაგანი სამყაროს, მისი პირადი სფეროს ხელშეუხებლობის გარანტია. ეს არის უფლება (უფლების ასპექტი), რომელიც არ შეიძლება შეიზღუდოს ან აიკრძალოს საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, მათ შორის, საომარი და საგანგებო მდგომარეობის დროსაც. არავის ძალუძს და არ აქვს უფლება, აიძულოს ადამიანი, მიიღოს ან შეცვალოს საკუთარი აზრი და რწმენა. ადამიანი ასევე დაცულია იძულებისაგან თქვას ის, რაც მას არ სურს ან გამოთქვას საკუთარი აზრი. ეს უფლება არ ექვემდებარება რეგულირებას, ვინაიდან ის ინდივიდის თავისუფლების, მისი იდენტობის, ავტონომიის საფუძველს ქმნის.“⁴⁵⁶
- აზრის, სიტყვის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების ხელშეუხებლობის გარანტია უნდა გაიმიჯნოს სხვათა უფლებების დაცვის ლეგიტიმური მიზნისაგან. თუ პირველ შემთხვევაში forum i#ter#um აბსოლუტურია, მეორე შემთხვევაში იგი სხვათა უფლებების მოტივით შეიძლება შეიზღუდოს. ამასთან, კერძო წრეში აზრის ან რწმენის გამოვლინება, თუ ეს გამოვლინება არ ლახავს ამ ურთიერთობის მონაწილის უფლებას, საერთოდ არ ექვემდებარება რეგულირებას. სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, კონსტიტუციის მე-19 მუხლით უზრუნველყოფილი forum i#ter#um გარდა აზრის, სიტყვის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების ხელშეუხებლობის გარანტიისა, მოიცავს მათ გამოხატვას კერძო წრეში. „ადამიანის შინაგანი სამყარო (forum i#ter#um), მისი პირადული სფერო დაცულია სახელმწიფოს ჩარევისაგან, მაგრამ შეზღუდვას ექვემდებარება ქმედება, რომელიც ამ სფეროს შიგნით მყოფ სხვა პირთა უფლებების დარღვევას იწვევს. ასე მაგალითად, კერძო წრეში, ოჯახში აზრის ან რწმენის გამოვლინება რეგულირებას არ ექვემდებარება, ვინაიდან არ არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი, რომელიც კერძო პირებს შორის, ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობაში ჩარევას გაამართლებდა, გარდა ერთი გამონაკლისისა - როდესაც აზრის ან რწმენის გამოვლინება ამ ურთიერთობის მონაწილის უფლებას ლახავს.“⁴⁵⁷
- საკონსტიტუციო სასამართლომ მე-19 მუხლით დაცული უფლება დემოკრატიის პრინციპს დაუკავშირა;
- საკონსტიტუციო სასამართლო საკუთარ პრაქტიკაში ერთმანეთისგან მიჯნავს აზრსა და ფაქტებს;

⁴⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.10;

⁴⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.11;

- სასამართლომ რწმენის თავისუფლება ერთი მხრივ ადამიანის პიროვნულ ავტონომიას დაუკავშირა, მეორე მხრივ თავისი ხედვა დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპზე დააფუძნა (ამ კუთხით მნიშვნელოვანი უმცირესობათა ინტერესების დაცვა);
- სასამართლო მიიჩნევს, რომ როგორც ყველა სხვა უფლება, ეს თავისუფლებაც ადამიანის ღირსების პატივისცემის გამოხატულებაა;
- მე-19 მუხლი მოიცავს როგორც რელიგიურ, ისე არარელიგიურ რწმენას;
- რწმენის თავისუფლების შინაარსიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, არარეალურია მისი ფარგლების ზუსტად და ამომწურავად განსაზღვრა. თუმცა სასამართლომ განმარტა „რწმენის“ არსი;
- რწმენის თავისუფლება მოიცავს როგორც რწმენის ქონას, ისე რწმენის გამოხატვას;
- მე-19 მუხლი იცავს სამხედრო სამსახურის გავლაზე უარის თქმის უფლებას (კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება), როდესაც ეს მოტივირებულია სერიოზული და დაუძლეველი კონფლიქტით სამხედრო სამსახურის გავლის ვალდებულებას და პირის სინდისსა და მის ღრმა, ჭეშმარიტად გულწრფელ რელიგიურ თუ სხვა მრწამსს შორის;
- პიროვნების იძულება, მოიქცეს თავისი რწმენის საწინააღმდეგოდ, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა რწმენის უარყოფის ეკვივალენტური იყოს და ამიტომ ძალიან ახლოს იდგეს რწმენის თავისუფლების შინაგანი სფეროს (forum internum) დარღვევასთან;
- მე-19 მუხლი იცავს უფლების როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ ასპექტებს;
- მე-19 მუხლი იცავს აზრის თავისუფლებას მანამ, სანამ ის პირადულ სივრცეში რჩება, ხოლო 24-ე მუხლი მას შემდეგ, რაც ის პირადულის სივრცის გარეთ გადის;
- სასამართლომ ასევე განიხილა უფლებები, რომლებიც მე-19 მუხლით არ არის დაცული;
- მე-19 მუხლი არ იცავს აბსოლუტურ უფლებას, თუმცა მისი შეზღუდვის საფუძველი ერთადერთია - სხვათა უფლებები;
- სასამართლომ ასევე განიხილა კონკრეტული შემთხვევები, როდესაც რელიგიის და აზრის თავისუფლების შეზღუდვა ხდებოდა;

6. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლთან მიმართებით:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები:

მოქალაქე გიორგი ყორღანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 27 სექტემბერის # 2/94/1 განჩინება/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები:

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყემელაშვილი, ნინო ტყემელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 2002 წლის 5 ნოემბერის #2/2/180-183 გადაწყვეტილება/

მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის #2/1/241 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერი #2/2-389 გადაწყვეტილება/

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები _ ზვიად მიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება/

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება/

მუხლი 20

1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

2. არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

შესავალი

1. მე-20 მუხლის პირველი პუნქტი
 - 1.1. დაცული სფერო
 - 1.1.1. კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული „პირადი ცხოვრების“ გამიჯვნა კონსტიტუციის სხვა მუხლით დაცული პირადი ცხოვრების უფლების სხვა კომპონენტისაგან
 - 1.1.2. სატელეფონო და სხვა ტექნიკური საშუალების ხელშეუხებლობა
 - 1.2. ჩარევის ფორმალური საფუძვლები
 - ა) სასამართლოს გადაწყვეტილება
 - ბ) კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა
 - 1.3. კანონის განჭვრეტადობა
 - 1.4. ლეგიტიმური საჯარო მიზნები
 - 1.5. პროპორციულობა
 - 1.6. სუბიექტი
 - 1.7. დასკვნა
 - 1.8. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით
2. მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი
 - 2.1. დაცული სფერო
 - 2.2. სუბიექტი
 - 2.3. დასკვნა
 - 2.4. საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით

შესავალი

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლებაა. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას ფართო და მრავალმხრივი შინაარსი გააჩნია, იგი უამრავი უფლებრივი კომპონენტისაგან შედგება, რომლებიც კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლითაა დაცული (მაგალითად: მე-16, მე-20, 36-ე, 41-ე მუხლები)⁴⁵⁸.

ნიშანდობლივია, რომ პირადი ცხოვრების ფართო და მრავალმხრივი შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი ზუსტი და ამომწურავი განმარტება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც, რომლის პრაქტიკა ამ სფეროში ძალზე მდიდარია, არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითებს ამ უფლების სრული განმარტების შეუძლებლობაზე. “სასამართლო არ თვლის შესაძლებლად ან აუცილებლად, ამომწურავად განსაზღვროს “პირადი ცხოვრების” კონცეფცია“ (ნიმიცი გერმანიის წინააღმდეგ, 1992 წლის 16 დეკემბერი, 29-ე პუნქტი).⁴⁵⁹

1. მე-20 მუხლის პირველი პუნქტი

1.1. დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტი იცავს ისეთი სიკეთეების ხელშეუხებლობას, როგორცაა ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა ტექნიკური საშუალებით, ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინება. ჩამონათვალი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ საუბარია ადამიანის იზოლირებულ სფეროზე, რაზედაც ყველას არა აქვს წვდომა.

როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები _ დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“ მიღებულ განჩინებაში განაცხადა: „პირადი ცხოვრების“ ... უფლების ჩამოყალიბების პერიოდში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ხშირად ასოცირდებოდა ინდივიდის იზოლირებულ სფეროსთან, რაც გამოხატულებას პოვებდა გარკვეულ ინსტიტუციონალურ სტრუქტურებში: სახლის, ოჯახის და შეტყობინებების საიდუმლოების დაცვაში” (Ma#fred #owak, U.#. Cove#a#t o# Civil a#d Political Rights, CCPR Comme#tary, 2#d revised editio#, 2005, at 377) ამგვარი სტრუქტურების რიცხვი თანდათან გაიზარდა (ტელეკომუნიკაციები, პერსონალური მონაცემების დაცვა, ა.შ).“⁴⁶⁰

კონსტიტუციის მე-20 მუხლის არსი მდგომარეობს იმაში, მას გააჩნია

⁴⁵⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის #2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.3;

⁴⁵⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე _ ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.4;

⁴⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები _ დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ, II.3.16;

როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ასპექტი. ეს უკანასკნელი აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, არ ჩაერიოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული უფლებებით სარგებლობაში და, შესაბამისად, უზრუნველყოს პიროვნების დაცვა. პოზიტიური ვალდებულება სახელმწიფოსაგან ითხოვს, უზრუნველყოს პირადი ცხოვრების პატივისცემა და ამ უფლებით ეფექტიანი სარგებლობა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს პიროვნების თავისუფალი განვითარების ხელშემშლელი გარემოებების, შეზღუდვების აღკვეთას. სასამართლომ განაცხადა: „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას უზრუნველყოფს კონსტიტუციის ამავე მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოს შესაბამისი ვალდებულებები: ერთი მხრივ, არსებობს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს პირადი ცხოვრების პატივისცემა და ამ უფლებით ეფექტიანი სარგებლობა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს პიროვნების თავისუფალი განვითარების ხელშემშლელი გარემოებების, შეზღუდვების უგულვებელყოფას, აღკვეთას. მეორე მხრივ, სახელმწიფოს აქვს ნეგატიური ვალდებულება, არ ჩაერიოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული უფლებებით სარგებლობაში და, შესაბამისად, უზრუნველყოს პიროვნების დაცვა, მის პირად ცხოვრებაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ან თანამდებობის პირების მხრიდან თვითნებური ჩარევისაგან“.⁴⁶¹

პირადი ცხოვრების უფლების ეს ორი ასპექტი კიდევ ერთხელ გამოიჩინა საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.⁴⁶²

კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის ჩამონათვალში ტერმინ „პირად ცხოვრებას“ სხვა სიკეთებთან მიმართებაში გააჩნია ზოგადი მნიშვნელობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ „კონსტიტუციის ხსენებული დებულებით დაცულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორცაა ადამიანის პირადი საქმიანობის ადგილი, კერძო სფეროში განხორციელებული კომუნიკაცია და სხვა.“⁴⁶³ ამგვარად, პირადი ცხოვრების გარდა მე-20 მუხლში ნახსენები ყველა სხვა სიკეთე თავად პირადი ცხოვრების ხელშეუვალობის უფლების კონკრეტული ასპექტებია.

ყველა სხვა ინსტიტუციები, იქნება ეს სატელეფონო, თუ სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით ნებისმიერ ადამიანთან ურთიერთობა, ნაწარმოებია პირადი ცხოვრების ცნებიდან. სატელეფონო საუბარი არის ადამიანის პირადი ცხოვრების ზოგადი ცნების სპეციალური შემთხვევა. როგორც საკონსტიტუციო

⁴⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, II.3.4;

⁴⁶² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის #1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.7;

⁴⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის #2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე, II.3.5;

სასამართლომ განაცხადა: „ამ ინსტიტუციების დაცვას ისეთი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის იდეა, რომელიც მის საფუძველს წარმოადგენდა ხშირად უკანა პლანზე გადადიოდა.“⁴⁶⁴ ამგვარად, მიმოწერა და სატელეფონო საუბარი, მართალია, წარმოადგენს პირადი ცხოვრების სპეციალურ შემთხვევას, თუმცა კონსტიტუციამ პირადი ცხოვრების ეს ასპექტი ცალკე გამოყო. თუკი საკონსტიტუციო სასამართლოში დავის საგანს წარმოადგენს სატელეფონო საუბრის ხელშეუხებლობის დარღვევა, მოსარჩელეს ევალება, არა მე-20 მუხლში ნახსენებ ტერმინს „პირადი ცხოვრებასთან“ მოითხოვოს გასაჩივრებული ნორმის დადგენა, არამედ მე-20 მუხლის პირველ პუნქტში პირდაპირ მითითებულ ისეთ კომპონენტებთან, როგორცაა სატელეფონო საუბრის ხელშეუვალობის უფლება.⁴⁶⁵

კონსტიტუციაში ნახსენები „პირადი ცხოვრება“ მოიცავს ყველა სხვა კომპონენტს, რაც პირდაპირ არ არის მოხსენიებული მე-20 მუხლის პირველ პუნქტში. ზოგადი ხასიათის მქონე ტერმინ „პირად ცხოვრებას“ სხვა დატვირთვაც გააჩნია. საზოგადოების განვითარების კვალობაზე ჩნდება ადამიანური ცხოვრების ახალი იზოლირებული ინსტიტუტები. ამიტომ ყველა ასეთი ახალი ინსტიტუტია მოექცევა ტერმინ „პირადი ცხოვრების“ ცნებაში.

ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: „საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მიზანი უკავშირდება მასში ჩამოთვლილი სიკეთის ხელშეუხებლობის დაცვას. რაც შეეხება ზოგადად “პირადი ცხოვრების“ ხსენებას, იგი ემსახურება იმ ინტერესის ხაზგასმას, რის გამოც პირადი მიმოწერის, სახლის ან სამუშაო ადგილის ხელშეუხებლობა არის დაცული. თუ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კვალდაკვალ შეიქმნება ახალი ინსტიტუტები, რაც პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მატარებელი იქნება, ეს ზოგადი ფრაზა ჩამონათვალს გახსნის და იმ მოვლენების დაცვის საშუალებას მისცემს სასამართლოს, რაც ნორმაში პირდაპირ ჩამოთვლილი არ არის. ასე მაგალითად, მიუხედავად თითქოსდა დეტალური ჩამონათვალისა მე-20 მუხლი არ მოიცავს თავად ადამიანის ჩხრეკას, თუმცა უდავოა, რომ სწორედ მე-20 მუხლი იცავს პიროვნების ხელშეუხებლობას, მხოლოდ ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით არის შესაძლებელი პიროვნების, მისი სხეულის, ტანსაცმლის ან/და პირადი ნივთების შემოწმება.“⁴⁶⁶

პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროზე იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. სასამართლოს განცხადებით, პირადი ცხოვრების უფლებით დაცულია პირების კერძო სივრცე, კონკრეტული ტერიტორია, მაგალითად, საცხოვრებელი სახლი, პირადი ავტომანქანა ან სხვა პირადი მფლობელობა. გარდა ამისა, პირადი ცხოვრების

⁴⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება, II.3.16;

⁴⁶⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.5;

⁴⁶⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება, II.3.17;

უფლებით დაცულ სფეროში ექცევა, პირთა კონკრეტული წრე, რომელთანაც პირადი ცხოვრების მატარებელი პირი ამყარებს კომუნიკაციას. პირადი ცხოვრების უფლება მისით მოსარგებლე პირს ანიჭებს იმის შესაძლებლობას, რომ დაცული იყოს მასთან კომუნიკაციაში ჩართული პირების ანონიმურობა, ისევე, როგორც იმ საკითხების საიდუმლოება, რომელთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს კომუნიკაცია. აქვე საკონსტიტუციო სასამართლო გამოჰყოფს იმ ასპექტს, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკაციისა და კერძო სივრცის მიმართ პირადი ცხოვრების უფლებით დაცვისათვის. ეს მნიშვნელოვანი ელემენტია, პირადი ცხოვრების უფლებით მოსარგებლე პირის გონივრული მოლოდინი, რომ როგორც მისი კერძო სივრცე, ისე სხვა მის მიერ შერჩეულ პირთან კომუნიკაცია იქნება ფარული, ხელმიუწვდომელი იმ გარეშე პირებისათვის, რომელიც კერძო სივრცის მფლობელმა ან კომუნიკაციის მონაწილეებმა საკუთარი სურვილით ამ სივრცის ან კომუნიკაციის მიღმა დატოვეს.⁴⁶⁷

1.1.1 კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული „პირადი ცხოვრების“ გამიჯვნა კონსტიტუციის სხვა მუხლით დაცული პირადი ცხოვრების უფლების სხვა კომპონენტისაგან

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა: „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ფარგლებში პირები უზრუნველყოფილი არიან ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის, სახელის, პირადი მონაცემების, საცხოვრებლის, ოჯახისა და სექსობრივი ცხოვრების საიდუმლოების, მიმოწერის და სატელეფონო საუბრის საიდუმლოების ხელშეუხებლობის უფლებებით.“⁴⁶⁸

ამ ჩამონათვალის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზგასმით განაცხადა, რომ პირადი ცხოვრების ფართო და მრავალმხრივი შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი ზუსტი და ამომწურავი განმარტება.⁴⁶⁹

კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველ პუნქტში პირადი ცხოვრების მთელ რიგ უფლებრივ კომპონენტებთან ერთად თავშივე მოხსენიებულია ზოგადად „პირადი ცხოვრება,“ რაც თითქოს იმის ვარაუდს ქმნის, რომ ეს ცნება გულისხმობს პირადი ცხოვრების მთელ სფეროს ამომწურავად, შესაბამისად, მე-20 მუხლი მოიცავს პირადი ცხოვრების ყველა უფლებრივ კომპონენტს, მათ შორის იმათაც, რომელთა დასაცავადაც კონსტიტუციაში არის სხვა სპეციალური ნორმები. ბუნებრივია, იმის უგულებელყოფა არ შეიძლება, რომ პირადი ცხოვრების ნებისმიერი კომპონენტის ხელყოფისას ირღვევა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ზოგადად, თუმცა ეს გარემოება არ იძლევა იმის მტკიცების უფლებას, რომ ნებისმიერი ასეთი უფლებრივი

⁴⁶⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის #1/2/519 გადაწყვეტილება, II.3.3;

⁴⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.4;

⁴⁶⁹ იქვე;

კომპონენტის დარღვევით, აუცილებლად ირღვევა მე-20 მუხლი. ამ დროს გასათვალისწინებელია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის რეგულირების კონსტიტუციაში მოცემული კონსტრუქცია. ამის გათვალისწინების გარეშე მაღალია პირადი ცხოვრების ცალკეული უფლებრივი კომპონენტის შინაარსის, მათში დასაშვები ჩარევის ფარგლების არასწორი განმარტების საფრთხე.⁴⁷⁰

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლებში გვხვდება ჩამონათვალი ურთიერთობების, მოვლენების ან ქმედებების, რომლებიც პირად ცხოვრებას უკავშირდება. განსხვავებულია აღნიშნული მუხლებით დაცულ უფლებაში ჩარევის საფუძვლები და პირობები. საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ შეცდომა იქნებოდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების მთელი შინაარსის საქართველოს კონსტიტუციის მხოლოდ მე-20 მუხლით შემოფარგვლა. პირადი ცხოვრებას განკუთვნილი ცალკეული საკითხები დაცულია საქართველოს კონსტიტუციის არაერთი მუხლით, როგორებიცაა: მე-16, 36-ე, 41-ე და სხვა.⁴⁷¹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პირადი ცხოვრების განსხვავებულ ასპექტებს სხვადასხვა კონსტიტუციურ ნორმაში ხედავს.⁴⁷² პირადი ცხოვრების უფლების სხვადასხვა კომპონენტი გაბნეულია არა მხოლოდ თავად კონსტიტუციის მე-20 მუხლში, არამედ კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლებშიც. კონსტიტუციის მე-20 მუხლში თავმოყრილი პირადი ცხოვრების უფლების რამდენიმე კომპონენტისათვის გათვალისწინებულია შეზღუდვის ერთი და იმავე ფორმა - სასამართლოს გადაწყვეტილება და გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება. შეზღუდვის სხვაგვარი საფუძვლები და ლეგიტიმური მიზნები გააჩნია პირადი ცხოვრების იმ კომპონენტებს, რაც კონსტიტუციის სხვა და არა მე-20 მუხლით არის დაცული.

საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა: „ნებისმიერი კონსტიტუციური უფლების შინაარსის განსაზღვრისას, არსებითი მნიშვნელობა აქვს უფლებაში ჩარევის ფორმასა და ფარგლებს. ყველა უფლებაში ჩარევა ვერ იქნება ერთნაირი, რაც ერთმნიშვნელოვნად იკითხება კიდევ კონსტიტუციის მეორე თავიდან. ბუნებრივია, ცალკეულ უფლებებში ჩარევის განსხვავებული ფარგლები არ მიუთითებს ამა თუ იმ უფლების უფრო მეტ მნიშვნელობაზე სხვებთან შედარებით. უფლებაში ჩარევის განსხვავებული ფორმა, შინაარსი თუ ინტენსივობა მიუთითებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულ საჯარო ინტერესზე, რომლის მისაღწევადაც აუცილებელია უფლებაში ამა

⁴⁷⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება, II.3.13;

⁴⁷¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/7/454 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.1;

⁴⁷² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება, II.3.15;

თუ იმ ფორმით ჩარევა“.⁴⁷³

განსხვავებული ინტენსივობით ჩარევის აუცილებლობა შეიძლება არსებობდეს ერთი და იმავე უფლების სხვადასხვა უფლებრივ კომპონენტებშიც. ასეთივე შემთხვევა გვაქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ფარგლების დადგენის დროსაც. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლში ჩამოთვლილი უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. პირადი ცხოვრების ისეთ სფეროში ჩარევისას კი, როგორცაა ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული პირის ჯანმრთელობასთან, ქონებასთან ან სხვა კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელშეუხებლობა, დაიშვება მხოლოდ ამ ადამიანის თანხმობით, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.⁴⁷⁴

იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე ერთი უფლების ცალკეული უფლებრივი კომპონენტისთვის კონსტიტუციით გათვალისწინებულია სპეციალური რეგულაცია, უფლებაში ჩარევის განსხვავებული შინაარსი და ფარგლები, ეჭვგარეშეა, რომ ასეთ დროს ამ უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობა შესაძლებელია და უნდა შეფასდეს მხოლოდ მის მარეგულირებელ სპეციალურ ნორმასთან მიმართებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება კონსტიტუციურობის საკითხის სწორად გადაწყვეტა.⁴⁷⁵

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა ან სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება დაედოს საფუძვლად სახლის ან სამუშაო ადგილის, პირადი მიმოწერის, პირადი ხასიათის ინფორმაციის ხელშეუხებლობის. მაგრამ გაუგებარი იქნება გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ან თუნდაც სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე შეიზღუდოს პირის უფლება შექმნას ოჯახი. წარმოდგენელია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი არეგულირებდეს პირადი ცხოვრების ისეთ ასპექტს როგორცაა აბორტი, ჰომოსექსუალური ქორწინება, მშობლის უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ აღზარდოს შვილი და განსაზღვროს მის განათლებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა.⁴⁷⁶

ბუნებრივია, რომ პირადი ცხოვრების ზემოთმოყვანილი ასპექტები შეიძლება დაექვემდებაროს საკანონმდებლო რეგულაციებს. ასეთ უფლების შეზღუდვა შეიძლება მოხდეს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე (მაგალითად, მშობლის უფლების ჩამორთმევა). ზოგიერთ შემთხვევაში, ჩარევის მიზნები და პირობები შეიძლება იყოს საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის

⁴⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის # 1/7/454 განჩინება, I.3.3;

⁴⁷⁴ იქვე;

⁴⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/7/454 განჩინება, II.3.4;

⁴⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 გადაწყვეტილება, II.3.19;

მსგავსი, მაგრამ არა მათი იდენტური. ასე მაგალითად, მშობლის უფლების შეზღუდვა ან ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვის უფლების დაცვის მიზნით, გაუმართლებელი იქნება მშობლის უფლებაში ჩარევა, რომელიმე სხვა ინტერესის მისაღწევად.⁴⁷⁷

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით სასამართლომ არსებითად განსახილველად არ მიიღო ორი კონსტიტუციური სარჩელი საქმეებზე: „საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ასევე „საქართველოს მოქალაქეები – დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“.

საქმეში „საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მოსარჩელე ითხოვდა იმ ნორმატიული აქტების არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლებიც საარჩევნო უბანზე ყოფნის უფლების მქონე პირს აძლევდა ვიდეოთვალის ჩანაწერის 15 წუთიანი ინტერვალის გაცნობის უფლებას.⁴⁷⁸ მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ საარჩევნო უბანზე დამონტაჟებული კამერების მიერ გადაღება თავისთავად ნიშნავს სახელმწიფოს მიერ ინფორმაციის შეგროვებას. ამასთან, ეს ინფორმაცია თავისი შინაარსით წარმოადგენს პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას, რადგან იძლევა პირის იდენტიფიცირების საშუალებას.⁴⁷⁹ მოსარჩელე ასევე აცხადებდა, რომ მართალია საარჩევნო უბანი საჯარო ადგილია, მაგრამ ამის გამო ავტომატურად არ იქმნება იმის მოლოდინი, რომ იქ შეგროვებული ინფორმაცია შესაძლოა საქვეყნოდ გავრცელდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ადგილი ჰქონდა კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას.⁴⁸⁰

საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ არჩევნებში მონაწილეობა საჯარო პროცესია, თუმცა ეს არ გამოორიცხავს ამ პროცესთან კონკრეტული პირების პირადი ცხოვრების საკითხების თანაარსებობას, რომელთა დაცვა და უზრუნველყოფა ერთნაირად მნიშვნელოვანია კონკრეტულ (საჯარო თუ კერძო) სფეროში მათი წარმოშობისგან დამოუკიდებლად.⁴⁸¹

ამის მიუხედავად, არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, ვინაიდან მიიჩნია, რომ სარჩელში მითითებული პირადი ცხოვრების ასპექტი არ იყო დაცული მე-20 მუხლის პირველი პუნქტით. ამგვარი დასკვნის გაკეთებისას სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მოსარჩელისთვის პრობლემას არ წარმოადგენს ზოგადად ვიდეოთვალის მეშვეობით საარჩევნო პროცესის მიმდინარეობის ჩაწერა. სარჩელის მიხედვით, პირადი ცხოვრების ხელყოფის საფრთხეს ქმნის ისეთი ვიდეოფირის განსაჯაროება, რომელზეც მოსარჩელე

⁴⁷⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება, II.3.20;

⁴⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/7/454 განჩინება, I.3.3;

⁴⁷⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/7/454 განჩინება, II.3.4;

⁴⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის # 1/7/454 განჩინება, II.3.5;

⁴⁸¹ იქვე;

დაფიქსირებულია, როგორც არჩევნების მონაწილე. ⁴⁸²იქვე სასამართლომ განაცხადა, რომ მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა, რომ საარჩევნო უბანზე ვიდუოთვალის მეშვეობით ინფორმაციის აღბეჭდვით, ასეთი ინფორმაციის შემდგომი შენახვითა და გავრცელებით ხდება საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცულ პირად ცხოვრებაში ჩარევა. ⁴⁸³

საქმეში „საქართველოს მოქალაქეები _ დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“ მოსარჩელე ითხოვდა იმ ნორმატიული აქტების არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლებიც პატიმარს უზღუდავდა ოჯახის წევრთან შეხვედრის უფლებას. ⁴⁸⁴ ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელების მოსაზრებები და განაცხადა, რომ პატიმრის უფლება შეინარჩუნოს ოჯახური ურთიერთობები არ იყო დაცული კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით. არამედ, ეს საკითხები მოწესრიგებული იყო საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტით, რომლებიც ეხებოდნენ ადამიანის პირადი ცხოვრების ისეთ ასპექტებს, როგორცაა ადამიანის პიროვნული განვითარებისათვის აუცილებელი პერსონალური კავშირი და ოჯახური ურთიერთობები. ⁴⁸⁵

1.1.2. სატელეფონო და სხვა ტექნიკური საშუალების ხელშეუხებლობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე_ ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა, სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების ხელშეუხებლობის უფლების ფარგლებში დაცულია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ურთიერთობა ტელეფონის, ფაქსის, ინტერნეტის, ელექტრონული დაჩვეულებრივი ფოსტის, პეიჯერისა და ნებისმიერი სხვა ტექნიკური საშუალებით. კონსტიტუციის მიზანი ამ შემთხვევაში არის დაიცვას პირებს შორის ნებისმიერი საშუალებით საუბრისა და მიმოწერის შესაძლებლობა. ამ უფლების უზრუნველყოფის ფარგლებში სახელმწიფოს ზოგადად ეკრძალება, გაეცნოს სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით წარმოებული საუბრებისა და შეტყობინებების შინაარსს, აგრეთვე, დააწესოს კონტროლი, ვისთან და რა ინტენსივობით შედგა ასეთი ურთიერთობები. ⁴⁸⁶

საკონსტიტუციო სასამართლომ მიერ განხილული სამი საქმე უკავშირდებოდა სატელეფონო საუბარის, ასევე სხვა ტექნიკური საშუალებით გადაცემული შეტყობინების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვას „ოპერატიულ-

⁴⁸² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის # 1/7/454 განჩინება, II.3.5;

⁴⁸³ იქვე;

⁴⁸⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება, I.3.5;

⁴⁸⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება, II.3.21;

⁴⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.6;

სამძებრო საქმიანობის შესახებ” კანონის სხვადასხვა ნორმებით. საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა ორი სარჩელი, ხოლო ერთი მათგანი არ მიიღო არსებითად განსახილველად.

საქმეში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე _ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მოსარჩელე სადავოდ ხდიდა „ან“ კავშირს, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში: ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება, რომელიც ზღუდავს კანონით გარანტირებული სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების საიდუმლოებას, დაიშვება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით და პროკურორის დადგენილებით, ან იმ პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელიც არამართლზომიერ მოქმედებათა მსხვერპლია, ან თუ სახეზეა ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების მონაცემები, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2 წელზე მეტი ვადით.⁴⁸⁷ მოსარჩელის თქმით, „ან“ კავშირის გამოყენების გამო სადავო ნორმა შესაძლებლობას იძლეოდა, სატელეფონო ან სხვა ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინების საიდუმლოება დარღვეულიყო სასამართლოს თანხმობის გარეშე იმ პირის განცხადების საფუძველზე, რომელიც არამართლზომიერ მოქმედებათა მსხვერპლია ან თუ სახეზე იყო მართლსაწინააღმდეგო ქმედების მონაცემები, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებული იყო თავისუფლების აღკვეთა ორ წელზე მეტი ვადით.⁴⁸⁸

ერთ-ერთ საქმეში მოსარჩელე სადავოდ ხდიდა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ” კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტს, რომლითაც მოსარჩელის აზრით, დასაშვები იყო ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, მათ შორის სატელეფონო და სხვა ტექნიკურ საშუალებებზე მიყურადების თაობაზე ღონისძიების ვადის 6 თვით გაგრძელება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს უფროსის დადგენილებით პროკურორის თანხმობით, სასამართლოს მონაწილეობისა და გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების გარეშე.⁴⁸⁹

საქმეში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე მანია ხუციშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მოსარჩელე ასაჩივრებდა „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის სიტყვებს „უწყებრივი ნორმატიული აქტები.“ მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმა შესაძლებლობას აძლევდა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებს გაესაიდუმლოებინათ ნორმატიული აქტით დადგენილი ვადა, რომლის განმავლობაშიც მათ სატელეფონო, თუ სხვაგვარი კომუნიკაციებზე მიყურადების უფლება ჰქონდათ.⁴⁹⁰ მოსარჩელე მხარე კონსტიტუციურ

⁴⁸⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, I.3.3;

⁴⁸⁸ იქვე;

⁴⁸⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის # 2/1/484 გადაწყვეტილება, I.3.2;

⁴⁹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის #1/4/515 განჩინება

სარჩელში უთითებდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების ვადების მარეგულირებელი წესების საჯაროობის აუცილებლობაზე. იგი მიიჩნევდა, რომ ხელისუფლების მხრიდან თვითნებობის თავიდან ასაცილებლად, კანონის უზენაესობის მოთხოვნიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების ვადების განმსაზღვრელი ნორმატიული აქტის ყველასათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.⁴⁹¹

საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო არსებითად განსახილველად სარჩელი საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - მაია ხუციშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ სადავო ნორმები არასწორად იყო აღქმული მოსარჩელის მიერ, სადავო ნორმა უწყებრივი აქტების ხელმისაწვდომობის საკითხს არ აწესრიგებდა. სასამართლომ განმარტა: „უწყებრივი აქტები დამოუკიდებელი ნორმატიული აქტებია, რომელთაც თავისი რეგულირების საგანი გააჩნიათ, რომელთა ფარგლებს, მართალია, სადავო ნორმა განსაზღვრავს, თუმცა მათი საიდუმლო ან საჯარო ბუნება თავად უწყებრივი აქტების შინაარსზეა დამოკიდებული“.⁴⁹²

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განაცხადა: „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი მართლაც არ გამოირიცხავს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გასაიდუმლოების შესაძლებლობას. თუმცა ამავე კანონის თანახმად, ნებისმიერი ნორმატიული აქტის მხოლოდ ის ნაწილი შეიძლება გასაიდუმლოვდეს, რომლის შინაარსიც ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს“.⁴⁹³

საკონსტიტუციო სასამართლომ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში ხაზი გაუსვა იმას, რომ ინტერნეტით კომუნიკაცია ექცევა ადამიანის პირადი ჩანაწერის, მიმოწერის, ტექნიკური საშუალებებით საუბრისა და ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინების უფლებით დაცულ სფეროში. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის აღნიშნული უფლებრივი კომპონენტის მიზანია: „...დაიცვას პირებს შორის, ნებისმიერი საშუალებით, საუბრისა და მიმოწერის შესაძლებლობა. დემოკრატიული საზოგადოების არსებობა და განვითარება წარმოუდგენელია, შეუძლებელია ინფორმაციის თავისუფლების, აზრთა გაცვლისა და ადამიანების ნებისმიერ სფეროში თავისუფალი კომუნიკაციის

საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე მაია ხუციშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I.3.3.4;

⁴⁹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის #1/4/515 განჩინება, II.3.2;

⁴⁹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის #1/4/515 განჩინება, II.3.3;

⁴⁹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის #1/4/515 განჩინება, II.3.5;

გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე”.⁴⁹⁴ ამის შემდეგ სასამართლომ ხაზი გაუსვა ინტერნეტის დიდ მნიშვნელობას კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის საქმეში: „ინტერნეტის მნიშვნელობა თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის ძალიან დიდია და ყოველდღიურად მზარდი. ის ადამიანთა კომუნიკაციის, მოსაზრებების გაცვლის, გაზიარების ძალზე ეფექტური და მოსახერხებელი საშუალებაა.”⁴⁹⁵

კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული კომუნიკაციების ხელშეუხებლობის უფლების კონტექსტში ინტერნეტით კომუნიკაციის უფლება გულისხმობს, ადამიანის შესაძლებლობას, აირჩიოს თემები, ინტერესები და პირთა წრე, ვისთანაც ამ თემებზე კომუნიკაციას ისურვებდა. ამასთან განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია იმას, რომ დაცული იყოს ამგვარი კომუნიკაციის შინაარსის, ისევე როგორც მასში მონაწილე პირების საიდუმლოება. როგორც სასამართლომ განაცხადა: „ინტერნეტი არის ერთ-ერთი შესაძლებლობა ასეთი საჯარო ან კერძო ურთიერთობებისთვის. ამიტომ, თუ არ იქნება ინფორმაციის დაცულობის და პირთა ანონიმურობის დაცვის შესაბამისი გარანტია, ეს კითხვის ქვეშ დააყენებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ამასთან, დააბრკოლებს, გაართულებს ამ გზით კომუნიკაციას ნებისმიერ სფეროში. რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუშლის დემოკრატიული პროცესების განვითარებას.”⁴⁹⁶

1.2. ჩარევის ფორმალური საფუძვლები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია” და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით დაცული სეგმენტის სამართლებრივი ბუნებიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, კონსტიტუცია ამ უფლების დაცვის განსაკუთრებით მაღალ სტანდარტს აწესებს, მე-20 მუხლით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვის შემთხვევაში დაცული უნდა იყოს უფლების შეზღუდვის ფორმალური კონსტიტუციური გარანტიები – სახეზე უნდა იყოს მოსამართლის ბრძანება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.⁴⁹⁷ ჩარევის თითოეული ალტერნატიული ფორმა ცალ-ცალკე განიხილება.

ა) სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლომ განაცხადა: „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევისთვის კონსტიტუციით გათვალისწინებული მოსამართლის

⁴⁹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის #1/2/519 გადაწყვეტილება, II.3.5;

⁴⁹⁵ იქვე;

⁴⁹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის #1/2/519 გადაწყვეტილება, II.3.6;

⁴⁹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის #2/1/484 გადაწყვეტილება, II.3.17;

ბრძანების სავალდებულო პირობა ემსახურება კონკრეტული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების წინასწარი კონტროლის უზრუნველყოფას დამოუკიდებელი და ნეიტრალური ინსტანციის მიერ. ბუნებრივია, ეს, პირველ რიგში, მიმართულია ხელისუფლების მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისაკენ. სასამართლო არის არაპოლიტიკური ხელისუფლება, რაც განაპირობებს და, იმავდროულად, ავალდებულებს მას ნეიტრალურობას. პერსონალურად და არსებითად დამოუკიდებელ, კანონმორჩილ მოსამართლეს შეუძლია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიიღოს სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილება უფლებაში ჩარევის აუცილებლობის თაობაზე.⁴⁹⁸

„კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული უფლების რეგულირება, მასსა და სხვა კონსტიტუციურ ლეგიტიმურ მიზნებს შორის ბალანსის დადგენა ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნას მოითხოვს, რომელიც, ერთი მხრივ, სრულად დაიცავს უფლების თანაზომიერი შეზღუდვის მოთხოვნებს, მეორე მხრივ კი მოსამართლის მიერ უფლებაში ჩარევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წინა პირობებს განსაზღვრავს.“⁴⁹⁹

„იმავდროულად, თავისთავად სასამართლო გადაწყვეტილების არსებობა აპრიორი უფლებაში თანაზომიერ ჩარევას არ გულისხმობს. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე უფლების პროპორციული შეზღუდვა, გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიების შექმნას.“⁵⁰⁰

ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია, რომ უფლების შეზღუდვის ეს პირობა არ გულისხმობს კანონით შესაბამისი რეგულირების გარეშე სასამართლო გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. ეს ასე რომ ყოფილიყო, რისკი და ცდუნება ხელისუფლების მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებისა განუსაზღვრელად დიდი იქნებოდა. თვითნებობის და უფლებაში გადამეტებული ჩარევის თავიდან ასაცილებლად, პასუხი იმაზე, როდის და როგორ მიიღება ეს გადაწყვეტილება, უნდა იყოს კანონში.⁵⁰¹

იმავდროულად, კონსტიტუცია სასამართლო გადაწყვეტილებაში გულისხმობს მხოლოდ დასაბუთებულ და სწორ გადაწყვეტილებას. ბუნებრივია, ამის შესაძლებლობას, პირველ რიგში, ისევ კანონმდებლობა უნდა იძლეოდეს – ის იმდენად კონკრეტული, მკაფიო და ნათელი უნდა იყოს, რომ მოსამართლეს ჰქონდეს შესაძლებლობა მისი სწორად გამოყენებისა. გარდა ამისა, კანონმდებლობაში უნდა იყოს ამომწურავი პასუხი, რა საკითხებს უნდა მოიცავდეს თავად გადაწყვეტილების შინაარსი.⁵⁰²

„კონსტიტუციის მე-20 მუხლის შესაზღუდად სასამართლოს გადაწყვეტილების აუცილებლობის კონსტიტუციური პირობა ემსახურება

⁴⁹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.24;

⁴⁹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის #2/1/484 გადაწყვეტილება, II.3.18;

⁵⁰⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.24;

⁵⁰¹ იქვე;

⁵⁰² იქვე;

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უფლებაში ჩარევის საჭიროების არსებობის ნეიტრალური პირის მიერ შეფასებას. როგორც აღინიშნა, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს უფლების შეზღუდვის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით ახასიათებს ფარული ბუნება, მათ დიდ ნაწილს საზოგადოება საერთოდ ვერ ხედავს და, შესაბამისად, ვერ აკონტროლებს. ამ ფონზე აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან უფლებაში არათანაზომიერი ჩარევის ცდუნება და რისკი სხვა შემთხვევებთან შედარებით მაღალია. ნეიტრალური პირის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედებების გაკონტროლება ამცირებს თვითნებობის რისკებს და წარმოადგენს კანონის სწორი გამოყენების მნიშვნელოვან გარანტიას.⁵⁰³

საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის საწინააღმდეგოდ მიიჩნია პროკურორის შესაძლებლობა 6 თვით გაეგრძელებინა სასამართლოს ბრძანებით ამოწურული პირადი ცხოვრების შემზღუდველი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ვადა. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა:

„ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ვადა პირდაპირაა დაკავშირებული კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევის სიმძიმესთან. ღონისძიების ჩატარების ვადების ზრდასთან ერთად ჩარევის ინტენსივობაც იზრდება. მოსამართლის მიერ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების კონკრეტული ვადით ჩატარების ბრძანების გაცემის შემთხვევაში არ არსებობს პრეზუმფცია, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების საჭიროება სახეზე იქნება ამ ვადის გასვლის შემდეგაც. იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ბრძანებას გარკვეული ვადით გასცემს, ამ ვადის გასვლის შემდეგ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების გაგრძელება უფლებაში დამატებით ჩარევას წარმოადგენს. სადავო ნორმის თანახმად კი, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ვადის გაგრძელების საჭიროების გადაწყვეტა, პროკურორის დისკრეციას წარმოადგენს. სწორედ იგი ხდება უფლებამოსილი, თანხმობა გასცეს უფლებაში ჩარევის ხანგრძლივობის გაგრძელებაზე. სადავო ნორმა დამატებით ტვირთს აწესებს ადამიანის პირადი საქმიანობის ადგილისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლების რეალიზებაზე. შესაბამისად, ადგენს უფლების შეზღუდვის დამოუკიდებელ შემთხვევას, რომელიც არ ითვალისწინებს სამოსამართლეო კონტროლს.“⁵⁰⁴

მაშასადამე, უფლების შეზღუდვა მოსამართლის გადაწყვეტილების საფუძველზე უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა როგორც თავად უფლების დაცვის, ისე კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსებისათვის.⁵⁰⁵

⁵⁰³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის #2/1/484 გადაწყვეტილება, II.3.20;

⁵⁰⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის #2/1/484 გადაწყვეტილება, II.3.21;

⁵⁰⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.24;

ბ) კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა

უფლების შეზღუდვისთვის სასამართლოს გადაწყვეტილების ალტერნატივად კონსტიტუცია მიიჩნევს კანონით გათვალისწინებულ გადაუდებელი აუცილებლობის არსებობას.⁵⁰⁶

რასნიშნავს საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გათვალისწინებული „გადაუდებელი აუცილებლობა,“ ვინ არის უფლებამოსილი, განსაზღვროს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რა უნდა ჩაითვალოს ასეთ შემთხვევად და რა კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელოს მან ამ დროს?⁵⁰⁷

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობის კონკრეტული რეგლამენტაციის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ კანონმდებელს. კონსტიტუციის ეს დებულება კატეგორიულად მოითხოვს, რომ არც ერთი პირობა, რომელიც, თუნდაც თავისი შინაარსით შეესაბამება გადაუდებელ აუცილებლობას, თუ ის კანონით არ არის გათვალისწინებული, არ შეიძლება დაედოს საფუძვლად მოსამართლის ბრძანების გარეშე უფლების შეზღუდვას. ამასთან, კანონში მოცემული პირობა, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მოსამართლის ბრძანების გარეშე უფლებაში ჩარევისთვის, სრულად უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციით გათვალისწინებულ გადაუდებელი აუცილებლობის შინაარსს.⁵⁰⁸

„გადაუდებელი აუცილებლობა“ გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით, კონსტიტუციით გათვალისწინებული საჯარო ინტერესის მიღწევა, რეალურად არსებული ობიექტური მიზეზების გამო, შეუძლებელია კერძო ინტერესების დაუყოვნებლივი, მყისიერი შეზღუდვის გარეშე. ამასთან, ძალზე მკაფიო, ნათელი და ცალსახა უნდა იყოს, რომ კონსტიტუციის ფარგლებში საჯარო ინტერესის სხვაგვარად დაცვის მცირედი ალბათობაც არ არსებობს. გადაუდებლობა მიუთითებს დროის სიმცირეზე, რაც უფლების შესაზღუდად მოსამართლის ბრძანების მოპოვების საშუალებას არ იძლევა და საჭიროებს დაუყოვნებლივ მოქმედებას.⁵⁰⁹

„ნიშანდობლივია, რომ უფლების შეზღუდვის კონსტიტუციით გათვალისწინებული ეს პირობა არ მოითხოვს კანონში გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევების კატეგორიულად ამავე სახელწოდებით მოხსენიებას, თუმცა მეტი სიცხადისთვის ეს სასურველია.“⁵¹⁰

„გადაუდებელი აუცილებლობის არსებობა შეიძლება გაირკვეს ნორმის ანალიზის, მისი განმარტების შედეგად. ამისათვის კანონმდებლის ნება ამა თუ იმ გარემოების „გადაუდებელ აუცილებლობად“ მიჩნევის შესახებ, საკმარისად მკაფიო უნდა იყოს, რათა გამოირიცხოს სამართალშემფარდებლის მიერ მისი არასწორი ინტერპრეტაცია და თვითნებობის ალბათობა, რისი კანონზომიერი შედეგიც იქნება უფლების დარღვევა. ამასთან, კანონმდებელიც

⁵⁰⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.25;

⁵⁰⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.26;

⁵⁰⁸ იქვე;

⁵⁰⁹ იქვე;

⁵¹⁰ იქვე;

არ არის აბსოლუტურად თავისუფალი ამ ცნებისთვის კონკრეტული შინაარსის მიცემისას. ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების საზომს წარმოადგენს კონსტიტუცია, ხოლო ასეთი გადაწყვეტილების შემფასებელს - საკონსტიტუციო სასამართლო.⁵¹¹

„კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა“ კი თვისობრივად არის არა საფუძველი, არამედ მდგომარეობა, პირობა, რომელიც შესაძლოა არსებობდეს ან არ არსებობდეს უფლებაში ჩარევის ნებისმიერი საფუძვლის, მათ შორის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული საფუძვლების არსებობისას.⁵¹²

1.3. კანონის განჭვრეტადობა

კანონის ხელმისაწვდომობა და მისი განჭვრეტადობა, ასევე ლეგიტიმური საჯარო მიზანი და თანაზომიერება, წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სიკეთეში ჩარევის მატერიალურ საფუძვლებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე-ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მოსარჩელები დაობდნენ კანონის განჭვრეტადობასთან დაკავშირებით, კერძოდ კი იმაზე, რომ ნორმა ისე იყო ფორმულირებული, რომ იძლეოდა მისი სხვადასხვაგვარი წაკითხვის შესაძლებლობას. სასამართლომ ორივე შემთხვევაში საჭიროდ მიიჩნია ყურადღება გაემახვილებინა ნორმის განჭვრეტადობის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

გასათვალისწინებელია, რომ სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების ხელშეუხებლობის უფლების შემზღვეველი ნორმებისადმი მოთხოვნები, ზოგადად, მათ ხელმისაწვდომობასა და განჭვრეტადობასთან დაკავშირებით, გაცილებით მკაცრია, ვიდრე ჩვეულებრივ გამოიყენება ამა თუ იმ ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას. ეს ძირითადად განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

ა) უფლებაში ჩარევის ბუნებით – კონკრეტული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება ტარდება ფარულად. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს საქმიანობა „მკაცრად გასაიდუმლოებულია“. შესაბამისად, კონკრეტულმა პირებმა არ იციან ზუსტი დამაჯერებლობით, როდის ტარდება ეს ღონისძიება მათ მიმართ.⁵¹³

⁵¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.26;

⁵¹² იქვე;

⁵¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.13;

ბ) პირი არ მონაწილეობს იმ სასამართლო პროცესში, სადაც უნდა გადაწყდეს მის მიმართ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების აუცილებლობის საკითხი. შესაბამისად, მან არაფერი იცის ასეთი ღონისძიების გამოყენების საფუძვლიანობისა და კანონიერების თაობაზე, მეტიც, მოკლებულია შესაძლებლობას, თავიდან აიცილოს უფლებაში სახელმწიფოს არამართლობიერი, გადამეტებული ჩარევა.⁵¹⁴

გ) გართულებულია ე.წ. „მესამე პირების“ ინტერესების ადეკვატური დაცვა. ესენი არიან პირები, უშუალოდ რომელთა მიმართაც და რომელთა მიზეზითაც არ ტარდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება. ისინი ფარული კონტროლის ობიექტები შეიძლება გახდნენ იმ პირებთან სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით დაკავშირებისას, რომელთა მიმართაც ხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება. მესამე პირები სახელმწიფოს მხრიდან კონტროლს საერთოდ არ მოელოან და, შესაბამისად, არც თავის დაცვა შეუძლიათ.⁵¹⁵

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირადი ცხოვრების ამ სფეროს შეზღუდვისას დაცულობის ხარისხი ბევრად მაღალი უნდა იყოს. კანონში დეტალურად, მკაფიოდ, საკმარისი დამაჯერებლობითა და სიცხადით უნდა იყოს მოცემული უფლებაში ჩარევის კონკრეტული მიზანი, ამოცანები, საფუძვლები. არაორაზროვანი, ნათელი და განჭვრეტადი უნდა იყოს უფლებაში ჩარევის წესი, ანუ პირებს კანონი უნდა უქმნიდეს ძალიან მკაფიო და თვალნათელ წარმოდგენას, როდის და როგორ შეიძლება აღმოჩნდეს მათი უფლება შეზღუდვის რისკის ქვეშ.⁵¹⁶

„დაცული სფეროს განსაკუთრებულობა და უფლებაში ჩარევის ფორმა განაპირობებს კანონისადმი შემდეგ დამატებით მოთხოვნებსაც: ა) მოცემულ შემთხვევაში კანონის სიზუსტე, განჭვრეტადობა და ხელმისაწვდომობა მოიცავს იმ აუცილებელ პირობასაც, რომ უფლების შეზღუდვაზე უფლებამოსილი პირების დასაშვები მოქმედების ფარგლები იყოს კონკრეტული, გასაგები, მკაფიო.“⁵¹⁷

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს მოქმედებას მოჰყვება მისი უფლებებისა და თავისუფლებების უკანონო შეზღუდვა, შეუძლია გაასაჩივროს ასეთი მოქმედების კანონიერება შესაბამის ზემდგომ სახელმწიფო ორგანოში, პროკურორთან ან სასამართლოში.“ თუმცა, თუ კანონი არ იქნება საკმარისად ცხადი და კონკრეტული ყველა ზემოდასახელებული პარამეტრის მიხედვით და შესაბამისად, შეუძლებელი გახდება იმის გარკვევა, განჭვრეტა, რა შეიძლება ჩაითვალოს კანონის დარღვევად, ბუნებრივია, ასეთ კანონზე დაყრდნობით, სასამართლოსადმი

⁵¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.13;

⁵¹⁵ იქვე;

⁵¹⁶ იქვე;

⁵¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.14;

მიმართვის უფლებაც სათუო გახდება.⁵¹⁸

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე-კვატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქმეში გასარკვევი იყო გრამატიკული კავშირის „ან“-ის მნიშვნელობა, რომელიც სასამართლო ბრძანების დამდგენ ნორმას, დანაშაულის მსხვერპლის განცხადებასთან ან მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისათვის 2 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთის პირობასთან აერთებდა. ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: „უნდა გაირკვეს სადავო სიტყვის მნიშვნელობა როგორც იზოლირებულად, ისე მთლიანი ნორმის კონტექსტში.“⁵¹⁹

„სიტყვა „ან“ არის მაერთებელი კავშირი. ზოგადად, კავშირი არის დამოუკიდებელი მნიშვნელობის არმქონე დამხმარე სიტყვა, რომელიც აერთებს წინადადების ორ წევრს ან ორ წინადადებას და ამყარებს ამა თუ იმ მიმართებას მათ შორის. მაერთებელი კავშირები აერთებენ ორ ისეთ სიტყვას ან წინადადებას, რომლებიც ერთმანეთის მიმართ თანასწორი არიან. კავშირი „ან“ გულისხმობს ერთ-ერთის არჩევას რამდენიმედან, ან ერთ-ერთის შესრულებას რამოდენიმე შესაძლებლობისაგან სხვების გამორიცხვით. ამასთან, თუ ეს მაერთებელი კავშირი მეორდება, მაშინ მის წინ დაისმის მძიმე (იხ. ა.შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, 1953წ. ასევე ლ.კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწილი I, ლექსიკა, ფონეტიკა, გრაფიკა და მორფოლოგია მართლწესრიგის საკითხებითურთ, 1981წ.).“⁵²⁰

„ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იგულისხმება, რომ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტშიც კავშირი „ან“ ერთმანეთთან აერთებს თანაბარი მნიშვნელობის პირობებს, ამასთან, გულისხმობს მათგან ერთ-ერთის არჩევას დანარჩენების გამორიცხვით, ანუ საუბარია ალტერნატიულ პირობებზე.“⁵²¹

სასამართლო პროცესზე მოპასუხე და მოწმეები მიუთითებდნენ, რომ „ან“ კავშირი ერთ შემთხვევაში გულისხმობდა ალტერნატიული პირობას, ხოლო სხვა შემთხვევაში კუმულაციურ პირობას. თუმცა არავის სასამართლოსათვის არ აუხსნია, თუ რას ეფუძნებოდა მათი ამგვარი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება. ამის გამო სასამართლომ ჩათვალა, რომ ასეთი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები და არამყარი პოზიცია, როდესაც მოპასუხემ თავად არ იცის ზუსტად რა დატვირთვა აქვს ნორმაში სადავო სიტყვას, თავისთავად, მიუთითებს ნორმის ბუნდოვანებაზე.⁵²²

მოპასუხე მიუთითებდა, რომ ნორმის წაკითხვა შესაძლებელი იყო „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის და მე-3 პუნქტის მიხედვით (ეს ნორმები ითვალისწინებენ სატელეფონო საუბრებზე მიყურადების შემთხვევაში მოსამართლის ბრძანების შემთხვევას და გაცემის წესს). ამ ნორმების

⁵¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.14;

⁵¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.21;

⁵²⁰ იქვე;

⁵²¹ იქვე;

⁵²² იქვე;

თანახმად, ეს ღონისძიება ტარდება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე.⁵²³ ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ შენიშნა, რომ მოპასუხე არაპირდაპირ აღიარებდა, რომ ნორმა ცალკე აღებული არ იკითხება და ვერ აღიქმება მისივე შემოთავაზებული ვერსიით.⁵²⁴

მაშასადამე, ერთი მხრივ, არის კანონმდებლის ნება სატელეფონო საუბრის მიყურადებასთან დაკავშირებით სასამართლო ბრძანების გაცემაზე. ამ წესის არაერთგზის დაფიქსირება კანონში, თითქოს აძლიერებს და ამყარებს მის დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი. მეორე მხრივ კი ამავე კანონში არის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის გრამატიკული განმარტება განსხვავებული, მეტიც საპირისპირო დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.⁵²⁵

ზუსტად ის გარემოება, რომ კანონში არაერთგზის დაფიქსირებული ზოგადი წესი მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში კიდევ ერთხელ არის მითითებული და „ან“ კავშირით უკავშირდება დანარჩენ ორ პირობას, იძლევა შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას: „თუ კანონმდებელს სურდა ამ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარებისთვის საფუძვლების დამატება, ამასთან, მისი ჩატარების ზოგადი წესის შენარჩუნებით, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში მხოლოდ მე-2 და მე-3 პირობის ჩაწერა აბსოლუტურად საკმარისი იქნებოდა, „ან“ კავშირით გამოყოფილი სასამართლო ბრძანების დამდგენი 1-ელი პირობის დამატების გარეშე. ამით მე-2 და მე-3 პირობებზე გავრცელდებოდა კანონში არაერთგზის მოცემული წესი მოსამართლის ბრძანების არსებობის აუცილებლობის თაობაზე.“⁵²⁶

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის და კანონის ზემოდასახელებული ნორმების ერთად წაკითხვა კიდევ უფრო აძლიერებს იმ მოსაზრებას, რომ შეუძლებელია ნორმის ერთმნიშვნელოვნად წაკითხვა იმ ვერსიით, რომელსაც მოპასუხე საკონსტიტუციო სასამართლოს სთავაზობდა.⁵²⁷

ნორმის ბუნდოვანებისას, მისი კონსტიტუციურობის გარკვევისთვის, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნორმის გამოყენების პრაქტიკას. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე_ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქმეზე მოწმეებმა სასამართლოს განუცხადეს, რომ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინებების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა ხდებოდა მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით. თუმცა არც სპეციალისტმა და არც მოწმეებმა, ისევე, როგორც მოპასუხე მხარემ, არ გამოიციხეს იმის აღბათობა, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარებაზე უფლებამოსილი რომელიმე თანამდებობის პირის მიერ სატელეფონო

⁵²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.27;

⁵²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.21;

⁵²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.27;

⁵²⁶ იქვე;

⁵²⁷ იქვე;

მოსმენა ჩატარდეს მოსამართლის თანხმობის გარეშე.⁵²⁸ მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე და მოპასუხე მხარემ «ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების წაკითხვის განსხვავებული, ერთმანეთის საწინააღმდეგო ვერსიები შესთავაზეს სასამართლოს, არც ერთი მათგანი, ისევე, როგორც მოწმეები არ გამოირიცხავდნენ კატეგორიულად ნორმის ორივენიარად წაკითხვის შესაძლებლობას. ამასთან, მოპასუხე მხარე და მოწმეები არა მარტო ცალსახად არ უარყოფდნენ, არამედ, პირიქით, საუბრობენ კიდევ ნორმის შესაძლო ბუნდოვანებაზე.⁵²⁹ ნორმის განმარტების შედეგად გამოვლინდა, რომ სადავო კავშირი «ან» განაპირობებდა ნორმაში მოცემული პირობების ალტერნატიულობას, ამასთან, ეს არ გამოირიცხა მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის კანონის სხვა ნორმებთან ერთობლივად გაანალიზებისას.⁵³⁰

მაშასადამე, ნორმა ვერ აკმაყოფილებდა გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის მოთხოვნებს, იურიდიული მეთოდოლოგიით გონივრული განმარტების შედეგად, მისი წაკითხვის ერთი ვერსია ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას.⁵³¹

სასამართლოს თქმით, ზუსტად სადავო სიტყვა «ან», რომელიც იწვევდა მთლიანად ნორმის პრობლემატურობას, განაპირობებდა მის შეუსაბამობას განსაზღვრულობისა და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპებთან და შესაბამისად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველ პუნქტს.⁵³²

კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა, ნორმის სხვადასხვა ვერსიით წაკითხვის შესაძლებლობა გახდა „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძველი საქმეში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მხარეებს სხვადასხვანაირად ესმოდათ სადავო ნორმის შინაარსი. მოსარჩელის აზრით, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი პროკურორს აღჭურავს უფლებამოსილებით, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე თანხმობა გასცეს ნებისმიერი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ვადის გაგრძელებაზე, მათ შორის ისეთი ღონისძიებების გაგრძელებაზე, რომლებიც პირის ფარულად თვალყურის

⁵²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.28;

⁵²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.29;

⁵³⁰ იქვე;

⁵³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.30;

⁵³² იქვე;

დევნებასა და მისი კომუნიკაციის მიყურადებას გულისხმობს.⁵³³ ხსენებულ მოსაზრებას არ ეთანხმებოდა მოპასუხე მხარე და საქმის არსებითი განხილვისას მოწვეული მოწმე. ისინი მიიჩნევენ, რომ სადავო ნორმით დადგენილი ვადის გაგრძელების უფლებამოსილება ეხება მხოლოდ “ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის საფუძველზე დაწყებული ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებებისათვის დადგენილ 7 დღიან ვადას და არ მიემართება ისეთ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს, რომელთა ჩატარებაც ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევას გულისხმობს.⁵³⁴

მოპასუხე მხარის განმარტებით, სადავო ნორმით ვადის გაგრძელება ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება ტარდება სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყებამდე, დანაშაულის შესახებ დამატებითი ინფორმაციის შეგროვების მიზნით.⁵³⁵

გამოძიების დაწყებამდე “ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი გამორიცხავს ამ კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ (სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება) და „ი“ (ფარული ვიდეო და აუდიო ჩაწერა) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარებას, ვინაიდან ამ ღონისძიებების ჩატარების შესახებ ბრძანებას ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე გასცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე გამოძიების ადგილის ან განაჩენის გამოტანის ადგილის მიხედვით. იმ შემთხვევებში, როდესაც საქმეზე გამოძიება დაწყებული არ არის, არ არსებობს ხსენებული ღონისძიების ჩატარების ბრძანების გაცემაზე უფლებამოსილი სასამართლო, შესაბამისად, ამ ეტაპისათვის შეუძლებელია მიმდინარეობდეს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შემზღვეველი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რაც გამორიცხავს მათი გაგრძელების შესაძლებლობას. შესაბამისად, მოპასუხე მხარის პოზიცია იყო იმგვარი, რომ სადავო ნორმა არა მე-20 მუხლში აღნიშნული კომუნიკაციის უფლების ხელშეუხებლობის შეზღუდვასთან დაკავშირებულ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ვადის გაგრძელების საკითხს ეხებოდა, არამედ სხვა სახის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ვადის გაგრძელებას.⁵³⁶

სასამართლომ მიიჩნია, რომ, მიუხედავად სადავო ნორმის ზემოთ ხსენებული განმარტების დასაშვებობისა, მისი ინტერპრეტაცია სხვა შინაარსითაც იყო შესაძლებელი. მოპასუხის პოზიცია ემყარებოდა იმ არგუმენტს, რომ სადავო ნორმით დადგენილი ვადის გაგრძელება ეხებოდა მხოლოდ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის საფუძველზე განხორციელებულ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს, ანუ იმ პერიოდში ჩატარებულ ღონისძიებებს, როდესაც გამოძიება დაწყებული არ იყო და, შეუძლებელი იყო გამოძიების

⁵³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის #2/1/484 გადაწყვეტილება, II.3.11;

⁵³⁴ იქვე;

⁵³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის #2/1/484 გადაწყვეტილება, II.3.12;

⁵³⁶ იქვე;

ადგილის მიხედვით მოსამართლის ბრძანების გაცემა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების შესახებ. ის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომელთა ჩატარების შესაძლებლობა უკავშირდებოდა მოსამართლის ბრძანების არსებობას, ასეთ შემთხვევებში ვერც დაიწყებოდა და შესაბამისად, დღის წესრიგში არც მათი ჩატარების ვადის პროკურორის მიერ გაგრძელების საკითხი დადგებოდა.⁵³⁷

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავდა იმ საფუძვლების ჩამონათვალს, რომელთაც შესაძლებელი იყო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება. პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების საფუძვლად მიუთითებდა პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამომძიებლის დავალებას, მათ წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების შესახებ. შესაბამისად, მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების საფუძვლებს ადგენდა, როგორც გამოძიების მიმდინარეობისას („ა“ ქვეპუნქტი), ასევე იმ პერიოდშიც, როდესაც გამოძიება დაწყებული არ იყო („ბ“ ქვეპუნქტი).⁵³⁸

სადავოდ გამხდარი მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ვადის გაგრძელების შესაძლებლობას უკავშირებდა რამდენიმე პირობის არსებობას: ა) ოპერატიული ინფორმაცია პირის დანაშაულებრივი ქმედების შესახებ უნდა მოითხოვდეს დამატებითი მონაცემების შეგროვებას; ბ) ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს უფროსმა უნდა გამოსცეს მოტივირებული დადგენილება ვადის გაგრძელების შესახებ და გ) პროკურორმა განაცხადოს თანხმობა. მოცემული მოთხოვნები კუმულატიური ხასიათის იყო და ვადის გაგრძელებისათვის სამივე მათგანის არსებობა იყო საჭირო. რაიმე სხვა პირობა, რომლის არსებობაც აუცილებელი იქნებოდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ვადის გაგრძელებისთვის, სადავო ნორმაში არ გვხვდებოდა.⁵³⁹

აღნიშნული პირობები, მათ შორის პირის დანაშაულებრივი ქმედების შესახებ დამატებითი მონაცემების მოპოვების საჭიროება, თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია წარმოიშობილიყო, როგორც გამოძიების დაწყებამდე, ასევე გამოძიების დაწყების შემდეგაც და ამ მხრივ იგი არ უნდა ყოფილიყო გაიგივებული „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებულ საფუძველთან.⁵⁴⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი და პროკურორი ვალდებული იყვნენ, დაეწყოთ გამოძიება. გამოძიების დაწყების ეტაპზე შესაძლებელია არ ყოფილიყო გამოკვეთილი კონკრეტული პირი, რომლის მიმართაც იარსებებს ეჭვი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული.

⁵³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის #2/1/484 გადაწყვეტილება, II.3.14;

⁵³⁸ იქვე;

⁵³⁹ იქვე;

⁵⁴⁰ იქვე;

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია” და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქმეში სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სადავო ნორმა იძლეოდა მისი სხვადასხვა ვერსიით წაკითხვის შესაძლებლობას. ეს ნორმა შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო როგორც „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ” კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში (ამ დროს გამოძიება ჯერ არ არის დაწყებული და შეუძლებელია ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება მოხდეს, რაც ზღუდავს ადამიანის პირად ცხოვრებას), ასევე ამავე პუნქტის „ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში (ამ დროს დაწყებულია გამოძიება და შესაძლებელია ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება, რომელიც ზღუდავს ადამიანის პირად ცხოვრებას). სასამართლომ განაცხადა, რომ სადავო ნორმის შინაარსში არაფერი არ იყო ისეთი, რაც სასამართლოს იმაში დაარწმუნებდა, რომ სადავო ნორმა მხოლოდ „ბ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას უკავშირდებოდა და არა ასევე „ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას.⁵⁴¹

შესაბამისად, სადავო ნორმიდან იკითხებოდა პროკურორის უფლებამოსილება, გაეგრძელებინა იმ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების ვადა, რომელთა ჩატარებაც “ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის “თ” და „ი” ქვეპუნქტების თანახმად მოსამართლის ბრძანების საფუძველზე ხორციელდებოდა, რაც წარმოადგენდა ჩარევას ადამიანის კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ უფლებაში.⁵⁴²

საბოლოოდ საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა ითვალისწინებდა კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული უფლების შეზღუდვას სასამართლო გადაწყვეტილების ან კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობის არარსებობის პირობებში, რის გამოც ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მე-20 მუხლს.⁵⁴³

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილის საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ სადავო დიკომხდარი ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა დახურულ ინტერნეტურთიერთობაზე დაკვირვებას. ნორმა იმგვარად იყო ფორმულირებული, რომ ითვალისწინებდა, როგორც დახურულ ინტერნეტურთიერთობაში მონაწილეობას, ასევე მასზე დაკვირვებას. სასამართლოს აზრით, ინტერნეტურთიერთობაში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი პირის მონაწილეობა ხდებოდა დახურულ ჯგუფში ჩანერგვის გზით. შესაბამისად, ამ დროს არ ხდებოდა ინტერნეტურთიერთობის მონაწილეთა პირად ცხოვრებაში ჩარევა, ვინაიდან მათ საკუთარი სურვილით დაუშვეს კონფიდენტი ინტერნეტურთიერთობაში. რაც შეეხება ტერმინ „დაკვირვებას,” სადავო ნორმაში არაფერი იძლეოდა იმის თქმის საფუძველს, რომ ამგვარი დაკვირვება არ მომხდარიყო,

⁵⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის #2/1/484 გადაწყვეტილება, II.3.14;

⁵⁴² იქვე;

⁵⁴³ იქვე;

ინტერნეტურთიერთობის მონაწილეთაგან ფარულად, მათი თანხმობის გარეშე.⁵⁴⁴

ზემოხსენებულ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ ერთმანეთს შეადარა სადავო ნორმა და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი. ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა მოსამართლის ბრძანების აუცილებლობას, როდესაც ხდებოდა კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია. სასამართლომ არ გაიზიარა არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული დახურულ ინტერნეტურთიერთობაზე დაკვირვება და კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნა-ფიქსაცია ერთი და იმავე ღონისძიება იყო.⁵⁴⁵ სასამართლოს აზრით, დახურულ ინტერნეტურთიერთობაზე დაკვირვების მომწესრიგებელი „მ“ ქვეპუნქტი „თ“ ქვეპუნქტისაგან დამოუკიდებლად დამატებით საგანგებოდ იქნა შემოღებული. „მ“ ქვეპუნქტს დამოუკიდებელი ნორმატიული შინაარსი ჰქონდა და ოპერატიულ მუშაკს მისი გამოყენება „თ“ ქვეპუნქტისაგან დამოუკიდებლად შეეძლო. ამ პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას არ წარმოადგენდა, კოლიზიის შემთხვევაში სასამართლო ბრძანების დამდგენი „თ“ ქვეპუნქტისათვის უპირატესობის მინიჭების შესაძლებლობა.⁵⁴⁶

სასამართლომ განაცხადა, რომ „საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს არა კანონიერების, არამედ ნორმის კონსტიტუციურობის საკითხს, რომელზეც გავლენას ვერ მოახდენს ნორმებს შორის კოლიზიის გადაწყვეტის შედეგები. კოლიზიურ ნორმებს შორის ერთისათვის უპირატესობის მინიჭება ვერ აბათილებს მეორე ნორმის იურიდიულ ძალას და მით უფრო ვერ წყვეტს ამ ნორმის კონსტიტუციასთან მიმართების საკითხს. ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია. “უდავოა, რომ სამართალგამოყენების პროცესში ნორმათა შორის კოლიზიისას სამართალშემფარდებელმა უნდა გამოიყენოს უფრო მეტი იურიდიული ძალის მქონე აქტი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქვემდგომ აქტს იურიდიული ძალა არ აქვს. ... საკონსტიტუციო სასამართლო შეზღუდულია ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შეფასებით, რაც პრინციპულად განსხვავდება კანონიერების პრობლემის გადაწყვეტისგან“.⁵⁴⁷

სასამართლომ განაცხადა, რომ მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, რომ „თ“ ქვეპუნქტს კოლიზიის შემთხვევაში უპირატესი იურიდიული ძალა ჰქონდა სადავო „მ“ ქვეპუნქტთან მიმართებაში. ამ კოლიზიისაგან დამოუკიდებლად, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება ჰქონდა არაკონსტიტუციურად ეცნო დახურულ ინტერნეტურთიერთობაზე დაკვირვების მომწესრიგებელი „მ“ ქვეპუნქტი.⁵⁴⁸

⁵⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის #1/2/519 გადაწყვეტილება, II.3.16;

⁵⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის #1/2/519 გადაწყვეტილება, II.3.17;

⁵⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის #1/2/519 გადაწყვეტილება, II.3.19;

⁵⁴⁷ იქვე;

⁵⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის #1/2/519 გადაწყვეტილება, II.3.17;

სასამართლომ დასახელებულ საქმეზე („საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) მიღებულ გადაწყვეტილებაში ხაზი გაუსვა იმ გარემოება, რომ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის სადავო „მ“ ქვეპუნქტი დახურულ ინტერნეტურთიერთობის დაკვირვებისას არ ითვალისწინებდა მოსამართლის ბრძანების აუცილებლობას, რაც სრულებითაც არ გულისხმობს სასამართლო კონტროლის განხორციელების შეუძლებლობას: „ყველა საჭირო პირობისა თუ გარემოების ერთ ნორმაში არარსებობა, თავისთავად მის არაკონსტიტუციურობას არ ნიშნავს.“ თუმცა თუ სადავო ნორმაში არის კონსტიტუციის საწინააღმდეგო დანაწესი, დამატებითი რეგულაციები მის კონსტიტუციურობას ვერც გამოიწვევს და ვერც უზრუნველყოფს.⁵⁴⁹ სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი მხოლოდ ამავე მუხლის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისათვის ადგენდა სასამართლო კონტროლის პროცედურას და ამგვარად, პირდაპირ გამორიცხავდა საქმეზე სადავოდ ქცეული „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაზე სასამართლო კონტროლის გავრცელებას.⁵⁵⁰ „ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შესახებ“ კანონის სხვა ნორმებიც არაერთხელ მიუთითებენ იმ ღონისძიებებზე, რომლის ჩასატარებლადაც სასამართლოს ბრძანების მიღება აუცილებელია. ამ ღონისძიებას შორის არც ერთ შემთხვევაში არ ხვდებოდა სადავო ნორმით გათვალისწინებული დახურულ ინტერნეტურთიერთობაზე დაკვირვების ღონისძიება.⁵⁵¹ საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონი მხოლოდ „კანონით გარანტირებული“ ტექნიკური საშუალებით წარმოებული შეტყობინების საიდუმლოების დარღვევისათვის ითვალისწინებდა სასამართლო ბრძანების აუცილებლობას. სასამართლოს აზრით თავად კანონი განსაზღვრავდა იმ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სახეებს, რომელთა ჩასატარებლადაც მოსამართლის ბრძანება იყო აუცილებელი. დახურული ინტერნეტურთიერთობის დაკვირვებისათვის ვინაიდან არათუ პირდაპირ არ იყო გარანტირებული სასამართლო ბრძანების გაცემა, არამედ ეს უკანასკნელი პირდაპირ იყო გამორიცხული, დახურულ ინტერნეტურთიერთობაზე დაკვირვება წარმოადგენდა იმ ღონისძიებას, რისთვისაც „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებდა სასამართლო კონტროლის შესაძლებლობას.⁵⁵²

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განაცხადა ის, რომ სადავო ნორმის შინაარსის განმარტებისას ხელმძღვანელობს ნორმის ტექსტით და არა

⁵⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის #1/2/519 გადაწყვეტილება, II.3.22;
⁵⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის #1/2/519 გადაწყვეტილება, II.3.26;
⁵⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის #1/2/519 გადაწყვეტილება, II.3.25;
⁵⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის #1/2/519 გადაწყვეტილება, II.3.27;

იმ განზრახვით, რაც კანონმდებელს მისი მიღებისას გააჩნდა, მაგრამ სათანადო ტექსტუალური ფორმით ვერ აისახა: „ცალკეულ შემთხვევაში, კანონმდებელმა შესაძლოა საკმარისი სიზუსტით, სიცხადით და ადეკვატური კონკრეტულობით ვერ გამოხატოს საკუთარი ნება. შესაბამისად, ამა თუ იმ ნორმის ტექსტი პრაქტიკულად დაშორდება კანონმდებლის რეალურ შეხედულებებსა და სურვილებს მის შინაარასთან დაკავშირებით... კანონი გაგებული და აღქმული უნდა იყოს ისე, როგორც ის არის დაწერილი. სამართალშეფარდებისას უპირატესობა ენიჭება კანონის ნებას, რადგან საკანონმდებლო პროცესში გამოთქმული მოსაზრებები, ზოგადი მიზნები, რომელთაც ეფუძნება კანონპროექტები დარომელთარეგლამენტაციაც კანონში არ მომხდარა, ვერ გამოდგება სამართალშეფარდების მიერ კონკრეტული გადაწყვეტილების გამართლებისთვის. მას ევალება იხელმძღვანელოს ნორმის ტექსტით, მასში პრაქტიკულად ასახული, გათვალისწინებული და არა გასათვალისწინებელი სინამდვილით... მაშასადამე, კანონმდებლის მხოლოდ მისწრაფება და მიზანი - პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა დაუქვემდებაროს სასამართლოს კონტროლს, ვერ მოახდენს გავლენას სადავო ნორმის შინაარსზე, თუ ამან ასახვა არ პოვა კანონში“.⁵⁵³

მოცემულ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმის როგორც იზოლირებული, ისე სხვა ნორმებთან კავშირში წაკითხვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მისი ფორმულირება არ მოხდა იმგვარი სიზუსტით, რომ გამორიცხული ყოფილიყო პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემზღვეველი ღონისძიების კონსტიტუციის მე-20 მუხლის საწინააღმდეგო გამოყენება.⁵⁵⁴

1.4. ლეგიტიმური საჯარო მიზნები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არ იყო აბსოლუტური. იგი შეიძლება შეიზღუდულიყო დემოკრატიულ სახელმწიფოში აუცილებელი, კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, მაგრამ უფლების შეზღუდვას უნდა დაეკმაყოფილებინა გარკვეული პირობები. კერძოდ, უფლებაში ნებისმიერი ჩარევა უნდა ემსახურებოდეს კონსტიტუციურ მიზნებს.⁵⁵⁵

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის თანახმად: „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა არის ამ კანონით დადგენილი სახელმწიფო ორგანოების სპეციალური სამსახურების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ღია თუ ფარული მეთოდით ჩატარებული

⁵⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის #1/2/519 გადაწყვეტილება, II.3.30;

⁵⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის #1/2/519 გადაწყვეტილება, II.3.29;

⁵⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის #2/1/484 გადაწყვეტილება, II.3.9;

ღონისძიებების სისტემა, რომლის მიზანია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების, საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან“. აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე ამჟამად, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა ადამიანის უფლებებისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვას ისახავს მიზნად, რაც, უდავოდ, კონსტიტუციურ ლეგიტიმურ მიზნებს განეკუთვნება.⁵⁵⁶

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე-ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: „ინდივიდის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების განსაკუთრებით მნიშვნელოვან შეზღუდვას წარმოადგენს სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა. ეს უფლება, ერთ-ერთი თვალსაჩინოა იმ უფლებებს შორის, რომელთა შინაარსის განსაზღვრისას, ხელისუფლება დემოკრატიული და პოლიციური სახელმწიფოების ზღვარზე გადის“.⁵⁵⁷

ზოგადად, ადამიანებზე ფარული დაკვირვება პოლიციური სახელმწიფოსთვისაა დამახასიათებელი. იმავდროულად, ქვეყნის კონსტიტუციური წყობის, სახელმწიფო და ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დანაშაულის თავიდან აცილება, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება ადამიანთა უფლებების ეფექტურ დაცვას, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ვალდებულებაა. ზუსტად ამ საჯარო ინტერესების უზრუნველყოფას ემსახურება დასახელებული უფლების შეზღუდვა.⁵⁵⁸ საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში განსაზღვრულ მიზნებს და განაცხადა: „ამ თვალსაზრისით, საჯარო ინტერესის ფარგლები დადგენილია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლითაც, რომლის თანახმად, უფლებაში ჩარევა დასაშვებია, როდესაც ეს აუცილებელია: ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწყსრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.“⁵⁵⁹

საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ ლეგიტიმურ მიზნად, რამაც შესაძლოა გაამართლოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ უფლებაში ჩარევა, მიიჩნია სხვა ადამიანის უფლებებისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა.⁵⁶⁰

⁵⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის #2/1/484 გადაწყვეტილება, II.3.10;

⁵⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.8;

⁵⁵⁸ იქვე;

⁵⁵⁹ იქვე;

⁵⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის #1/2/519 გადაწყვეტილება, II.3.10;

1.5. პროპორციულობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა: „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაც შეიძლება შეიზღუდოს დემოკრატიულ სახელმწიფოში აუცილებელი, კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, ამასთან იმ პირობის სავალდებულო დაცვით, რომ უფლებაში ჩარევა ლეგიტიმური მიზნების მიღწევისთვის აუცილებელი და პროპორციული გზით მოხდება.“⁵⁶¹

საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა: „ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს ვალდებულებაა, მიიღოს ყველა შესაძლო ზომა, რათა აღიკვეთოს სერიოზული საფრთხეები, რომლებმაც შეიძლება დემოკრატიული ინსტიტუტების დესტაბილიზაცია გამოიწვიონ. ამიტომ ამ საფრთხეებთან ბრძოლისთვის, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს, მათ შორის იმის შესაძლებლობაც, რომ განახორციელოს ფარული კონტროლი, თვალთვალი პირებზე (პირთა ჯგუფზე) რომელთაგანაც ეს საფრთხეები მომდინარეობს. ასეთ დროს, ზუსტად უფლებაში ჩარევის ფარული ხასიათი უზრუნველყოფს საჯარო ინტერესის დაცვის ეფექტურობას.“⁵⁶² ბუნებრივია, რომ კონსტიტუციით ვერ იქნება უზრუნველყოფილი იმ პირთა კონკრეტული უფლების ხელშეუხებლობა, რომლებიც ხელყოფენ ან საფრთხეს უქმნიან ქვეყნის კონსტიტუციურ წყობას, დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობას, სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს.⁵⁶³

თავისთავად, დასახელებული საჯარო ინტერესების არსებობა, იმავდროულად, არ არის საკმარისი უფლებაში ჩარევის გამართლებისათვის. თვალსაჩინო უნდა იყოს ამ საჯარო ინტერესების დაცვის აუცილებლობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებლობა ადეკვატური მექანიზმებით უნდა ქმნიდეს ისეთ ვითარებას, როცა საჯარო ინტერესების მისაღწევად უფლებაში ჩარევა მოხდება მხოლოდ რეალური აუცილებლობის შემთხვევაში.⁵⁶⁴

გარდა ამისა, სახელმწიფოს არა აქვს უფლება, სერიოზულ საფრთხესთან ბრძოლის მოტივით მიიღოს ნებისმიერი ზომები, რომლებსაც ის შესაბამისად და ადეკვატურად მიიჩნევს. უფლებაში ჩარევა, მისი ფარული ხასიათიდან გამომდინარე, აჩენს უფლებამოსილების გადამეტების, ბოროტად გამოყენების რისკს, რასაც შესაძლოა მავნე შედეგები მოჰყვეს მთლიანად დემოკრატიული საზოგადოებისთვის. შესაბამისად, დემოკრატიულ

⁵⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის #1/2/519 გადაწყვეტილება, II.3.8;

⁵⁶² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.9;

⁵⁶³ იქვე;

⁵⁶⁴ იქვე;

საზოგადოებაში, უფლებებში ჩარევა შეიძლება იყოს გამართლებული მხოლოდ მაშინ, თუ კანონმდებლობა უზრუნველყოფილი იქნება ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის ეფექტური მექანიზმებით. სახელმწიფო, რომელიც საკუთარ მოქალაქეებს აყენებს ფარული კონტროლის რისკის ქვეშ, არ უნდა სარგებლობდეს შეუზღუდავი უფლებამოსილებებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუბალანსებელმა კანონმდებლობამ, დემოკრატიის დაცვის მოტივით, შესაძლოა თავად დემოკრატია გახადოს ძალზე მყიფე და სათუო.⁵⁶⁵

კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსებას ემსახურება უფლებებში ჩარევის კონსტიტუციით დადგენილი ფარგლები. კერძოდ, მე-20 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად, „აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.“⁵⁶⁶

ეს პუნქტი კანონმდებელს აძლევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შინაარსის განსაზღვრის უფლებამოსილებას, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ კანონმდებლის ნება კონსტიტუციური მოთხოვნის ადეკვატური იქნება.⁵⁶⁷

1.6. სუბიექტი

სადავო ნორმით გათვალისწინებული უფლების სუბიექტები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში „საქართველოს სათამაშო ბიზნესის განვითარების კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ნუგზარ გარდავას კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, მოსარჩელე, მიუთითებდა სხვა პირის მე-20 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევაზე. აღნიშნულ საქმეში გასაჩივრებული ნორმა სათამაშო ბიზნესით დაკავებულ აგენტს ავალებდა ფიზიკური პირისათვის მოგებიდან საშემოსავლო გადასახადის დაკავებას და საგადასახადო ორგანოსათვის გადასახდელი თანხის შესახებ ინფორმაციის წარდგენას.⁵⁶⁸

სასამართლომ მოსარჩელე არ მიიჩნია უფლებამოსილ სუბიექტად. საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ მოსარჩელე - არასამეწარმეო იურიდიული პირი - საქართველოს სათამაშო ბიზნესის განვითარების კავშირი მოცემულ შემთხვევაში არ იყო უფლებამოსილი სუბიექტი. განმწესრიგებელ სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სადავო ნორმები უშუალოდ არ შეეხებოდა საქართველოს სათამაშო ბიზნესის განვითარების კავშირს. მისი თქმით, სადავო ნორმებთან თავიანთი საქმიანობით უშუალო კავშირში არიან სათამაშო ბიზნესით დაკავებული სამეწარმეო სუბიექტები, ხოლო საქართველოს სათამაშო ბიზნესის განვითარების კავშირი, თავისი

⁵⁶⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება, II.3.9;

⁵⁶⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება II.3.10;

⁵⁶⁷ იქვე;

⁵⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 1 მარტის #1/1/356 განჩინება საქმეზე საქართველოს სათამაშო ბიზნესის განვითარების კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ნუგზარ გარდავას კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

წესდებიდან გამომდინარე, ვალდებულია დაიცვას მათი უფლებები.⁵⁶⁹

საკონსტიტუციო სასამართლო ამასთან დაკავშირებით მიუთითებს “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტზე. ამ ქვეპუნქტის ძალით, საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვს საქართველოს იურიდიულ პირს, თუ მას მიაჩნია, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მისი უფლებანი და თავისუფლებანი. ეს კი საქართველოს სათამაშო ბიზნესის განვითარების კავშირთან მიმართებით არც კონსტიტუციურ სარჩელში არ არის აღნიშნული და ვერც განმწესრიგებელ სხდომაზე ვერ იქნა ნაჩვენები.⁵⁷⁰

არაუფლებამოსილი პირის მიერ შეტანილი სარჩელი არ დააკმაყოფილა საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „მოქალაქე ირაკლი კორძაძის საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. აღნიშნულ შემთხვევაში მოსარჩელე სადავოდ ხდიდა “საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ” კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტს. ამ ნორმის საფუძველზე, ბანკები, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები და სხვა საწარმოები ვალდებული იყვნენ გადასახადის გადამხდელების საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშების გახსნის შესახებ 5 დღის ვადაში ეცნობებინათ ინფორმაცია შესაბამის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციებისათვის.” მოსარჩელის აზრით, ეს ნორმა არღვევდა კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით აღიარებულ მისი პირადი ცხოვრების უფლებას.⁵⁷¹ საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა ეხებოდა იურიდიული პირებს და მეწარმე ფიზიკურ პირებს. მოსარჩელე კი არ წარმოადგენდა სადავო ნორმებით მოწესრიგებულ ურთიერთობის სუბიექტს, ვინაიდან არ ეწეოდა სამეწარმეო საქმისწარმოებს.⁵⁷²

1.7. დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შემდეგ შესაძლოა შემდეგი ძირითადი საკითხების განსაზღვრა:

- კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცულ ყველა სხვა სიკეთესთან მიმართებით პირად ცხოვრებას გააჩნია ზოგადი ხასიათი. საზოგადოებრივი განვითარების კვალობაზე ადამიანური ცხოვრების ახალი იზოლირებული სტრუქტურის წარმოქმნა გამოიწვევს მასზე კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ტერმინის „პირადი ცხოვრების“ გავრცელებას;
- კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველ პუნქტში ტერმინის „პირადი ცხოვრების“ მითითება არ გულისხმობს იმას, რომ კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის დაცვის ქვეშ ექცევა პირადი ცხოვრების

⁵⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 1 მარტის #1/1/356 განჩინება, პ.2;

⁵⁷⁰ იქვე;

⁵⁷¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 30 მაისის 1/4/28 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე ირაკლი კორძაძის საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

⁵⁷² იქვე;

უფლების ყველა ასპექტი. პირადი ცხოვრების უფლების სხვადასხვა კომპონენტებს იცავენ კონსტიტუციის მე-16, 36-ე და 41-ე მუხლები;

- კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტი პირადი ცხოვრების უფლების დამცავი სხვა კონსტიტუციური დებულებებისაგან განსხვავდება უფლებაში ჩარევის ფორმით - სასამართლო გადაწყვეტილებით და გადაუდებელი აუცილებლობით. პირადი ცხოვრების სხვა კომპონენტები ხანდახან გამორიცხავენ ჩარევის ამ ორი ფორმის გამოყენების აუცილებლობას;
- კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტი იცავს ადამიანის სატელეფონო საუბრის, სამუშაო ადგილის ან პირადი მიმოწერის ხელშეუხებლობას სახელმწიფოს ფარული ჩარევისაგან;
- დემოკრატიულ საზოგადოებაში ეს ღონისძიება დაიშვება იმ შემთხვევაში, თუკი კანონმდებელი განჭვრეტადი, არაორაზროვანი დებულებებით და ჯეროვანი პროცედურით შეზღუდავს ფარული ღონისძიების განმახორციელებელ ადმინისტრაციულ ორგანოს;
- თუ ფარულ ღონისძიებასთან დაკავშირებით არსებობს ნორმის მრავალგვარი განმარტების შესაძლებლობა, რომელთაგან ერთ-ერთი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, იქმნება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის რისკი;
- კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს, რომ პირად ცხოვრებაში ფარული ჩარევის შემთხვევაში ინდივიდი უზრუნველყოფილი იყოს მიუკერძოებელი სასამართლო კონტროლის შესაძლებლობით. სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, როგორც იმპირის, რომელიც ფარული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ინტერესის საგანს წარმოადგენს, ასევე მესამე პირების ინტერესების დაცვის ფუნქციის შესრულება. აღნიშნულის საფუძველია ის გარემოება, რომ სუბიექტისათვის უცნობი რჩება თავის სატელეფონო თუ სხვაგვარ კომუნიკაციაზე ფარული დაკვირვების შესახებ;
- გადაუდებელი აუცილებლობა სახეზეა კანონით გათვალისწინებულ ისეთ შემთხვევაში, როცა კონსტიტუციით გათვალისწინებული საჯარო ინტერესის მიღწევა, რეალურად არსებული ობიექტური მიზეზების გამო, შეუძლებელია კერძო ინტერესების დაუყოვნებლივი, მყისიერი შეზღუდვის გარეშე. გადაუდებლობა მიუთითებს დროის სიმკირეზე, რაც უფლების შესაზღუდად მოსამართლის ბრძანების მოპოვების საშუალებას არ იძლევა და საჭიროებს დაუყოვნებლივ მოქმედებას;
- მე-20 მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლების სუბიექტები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა მე-20 მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლებაც დაირღვა სადავო ნორმების შედეგად. შესაბამისად, აღნიშნული ნორმის სუბიექტად ვერ ჩაითვლება პირი, რომელსაც არ ეხება კონსტიტუციური უფლების დამრღვევი სადავო ნორმა;
- ლეგიტიმური მიზნები, რაც დაკავშირებულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების და სხვა ადამიანის უფლების დაცვასთან, შესაძლოა საფუძვლად დაედოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ უფლებაში ჩარევას;

- ფარულ მიყურადებასა და თვალთვალთან დაკავშირებული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მომეტებული საფრთხის გამო, კანონმდებელს მოეთხოვება პროპორციულობის მოთხოვნის შესაბამისად, საჯარო და კერძო ინტერესებს შორის სათანადო ბალანსის დაცვა;

1.8. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები

საქართველოს სათამაშო ბიზნესის განვითარების კავშირის თავმჯდომარის ნუგზარ გარდავას სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 1 მარტის #1/1/356 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/7/454 განჩინება/

საქართველოს მოქალაქეები _ დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება/

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე მათა ხუციშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის #1/4/515 განჩინება/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

მოქალაქე ირაკლი კორძაძია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 30 მაისის 1/4/28 გადაწყვეტილება/

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება/

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის #2/1/484 გადაწყვეტილება/

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის #1/2/519 გადაწყვეტილება/

2. მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი

2.1. დაცული სფერო

საკონსტიტუციო სასამართლოს ფაქტობრივად არა აქვს პრაქტიკა კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ სფეროზე. ერთადერთი საქმე, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულ კონსტიტუციურ დებულებასთან მიმართებაში განიხილა და განჩინება გამოიტანა, იყო საქმე „საქართველოს მოქალაქეები - კონსტანტინე ყუბანეიშვილი, მიხეილ გუმბათაშვილი და თეიმურაზ მირაზანაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“.

აღნიშნულ საქმეში მოსარჩელები ასაჩივრებდნენ სხვადასხვა ნორმატიულ აქტს, რაც ეხებოდა გამოსახლებას, საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებაში. სადავო ნორმების შესაბამისად, ქონების მესაკუთრეს უფლება ეძლეოდა, უძრავ ნივთზე საკუთრების ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლისას, მოეთხოვა ასეთი მოქმედების აღკვეთა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოსაგან, კანონით დადგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გზით. ეს წესი არ მოქმედებდა, თუ სავარაუდო ხელმყოფი წარადგენდა უძრავ ნივთზე საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელ წერილობით დოკუმენტს.⁵⁷³

მოსარჩელეთა განმარტებით, სადავო ნორმის შეუსაბამობა კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტთან გამოიხატებოდა იმაში, რომ სადავო ნორმა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს უფლებას ანიჭებდა, სასამართლოს გარეშე ჩარეულიყო კერძო პირთა შორის დავებში: მესაკუთრედ მიჩნეული დავის ერთი მხარის მოთხოვნით პოლიცია შევიდოდა უძრავ ქონებაში და გამოასახლებდა განმცხადებლის მოწინააღმდეგე მხარეს. დავის სასამართლოს გარეშე, პოლიციის ჩარევით გადაწყვეტას, მოსარჩელები მიიჩნევდნენ კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევად, რომლის მიხედვითაც მფლობელობაში პირთა ნების საწინააღმდეგოდ შესვლა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.⁵⁷⁴

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელებმა ვერ დაასაბუთეს გასაჩივრებული ნორმების ურთიერთმიმართება კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტთან. საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის დაცვის საგანი იყო ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. მოსარჩელები კი კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტში ნახსენებ ტერმინ „სხვა მფლობელობას“ აიგივებდნენ საკუთრების უფლებასთან, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, არასწორი იყო. კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტთან შესაბამისობის გარკვევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, „მოსარჩელეს

⁵⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 4 აპრილის 1/4/445 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - კონსტანტინე ყუბანეიშვილი, მიხეილ გუმბათაშვილი და თეიმურაზ მირაზანაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ, I.3.3;

⁵⁷⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 4 აპრილის 1/4/445 განჩინება, I.3.5;

ერთმანეთისაგან გაემიჯნა მართლზომიერი და არამართლზომიერი მფლობელობა, თუმცა ეს არ მომხდარა“.⁵⁷⁵

როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: მოსარჩელეს არ უცდია განემარტა, რას ნიშნავს „სხვა მფლობელობა“, ამ ტერმინის ფარგლებში მოიაზრება მხოლოდ მართლზომიერი თუ არამართლზომიერი მფლობელობაც, შესაბამისად, გაურკვეველი დარჩა, მოსარჩელეთა მდგომარეობა შეესაბამება თუ არა ამ ტერმინის მოთხოვნებს. არ დასახელდა არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რატომ არის სადავო ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობები საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული და რატომ ნიშნავს მესაკუთრის შესაძლებლობა, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მოითხოვოს უძრავ ნივთზე მისი საკუთრების ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის აღკვეთა, პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევას.⁵⁷⁶

2.2. სუბიექტი

საკონსტიტუციო სასამართლოს არ უმსჯელია იმის თაობაზე, თუ ვინ წარმოადგენს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის სუბიექტს.

2.3. დასკვნა

საქართველის კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შემდეგ შესაძლოა შემდეგი ძირითადი საკითხების განსაზღვრა:

- კონსტიტუციის მე-20 მუხლის მეორე პუნქტით დაცული სფერო განსხვავდება კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული საკუთრების უფლებისაგან;
- კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი იცავს პირადი ცხოვრების უფლების განსაზღვრულ ასპექტებს;
- კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტში ნახსენებ ტერმინზე „სხვა მფლობელობაში“ მითითებისას მოსარჩელეს მოეთხოვება, დაასაბუთოს აღნიშნული ტერმინი გულისხმობს მართლზომიერ თუ არამართლზომიერ მფლობელობას თუ ორივეს ერთად;

1.9. საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება

საქართველოს მოქალაქეები - კონსტანტინე ყუბანეიშვილი, მიხეილ გუმბათაშვილი და თეიმურაზ მირაზხანაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 4 აპრილის 1/4/445 განჩინება/

⁵⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 4 აპრილის 1/4/445 განჩინება, II.3.2;

⁵⁷⁶ იქვე;

მუხლი 21

1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.
2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი.
3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან.

(საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, #3710-სსმI, #62, 05.11.2010წ., მუხ.379)

შესავალი

1. დაცული სფერო
 - 1.1. ზოგადი აღწერა, მნიშვნელობა და ურთიერთმიმართება სხვა უფლებებთან
 - 1.2. საკუთრების უფლების შინაარსი
 - 1.2.1. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პუნქტების ურთიერთმიმართება
 - 1.2.2. კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული სამართალურთიერთობა
 - 1.2.3. საკუთრების უფლების დეფინიცია
 - 1.2.4. „...ადიარებული და ხელშეუვალია“
 - 1.2.5. საკუთრების უფლების წარმოშობა
 - 1.2.6. საკუთრების გასხვისება და ფლობა
 - 1.2.7. საკუთრების შექმნა
 - 1.2.8. მემკვიდრეობის უფლება
 - 1.2.9. საკუთრების საყოველთაო უფლების გაუქმების დაუშვებლობა
 - 1.2.10. საკუთრების უფლების ობიექტი და მისი მასშტაბი
 - 1.2.11. საკუთრების უფლების სახელშეკრულებო-სამართლებრივი ასპექტები
 - 1.2.12. საკუთრების უფლების ნეგატიური კონსტიტუციური კონტროლი
 - 1.2.13. შეჯამება
 2. სუბიექტები
 3. უფლების შეზღუდვის საფუძვლები
 - 3.1. საკუთრების უფლების შეზღუდვის ზოგადი საფუძვლები და კრიტერიუმი
 - 3.2. უფლების შეზღუდვა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ფარგლებში
 - 3.3. საკუთრების უფლების ჩამორთმევა
 - 3.4. საკუთრების უფლების შეზღუდვა
 - 3.4.1. საკუთრების უფლების შეზღუდვის ფორმალური კრიტერიუმი
 - 3.4.2. საკუთრების უფლების შეზღუდვის მატერიალური კრიტერიუმი
 - 3.4.3. „...არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი“
 - 3.5. საკუთრების უფლების შეზღუდვის და ჩამორთმევის გამიჯვნა
 - 3.6. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება
 - 3.7. საკუთრების უფლების შეზღუდვის ტესტი

- 3.7.1. ზოგადი აღწერა
- 3.7.2. კანონიერი (ლეგიტიმური) მიზანი
- 3.7.3. თანაზომიერების პრინციპი
- 3.8. საგადასახადო ვალდებულებები და საკუთრების უფლება
- 3.9. სხვადასხვა საქმეებში განხორციელებული სამართლებრივი შეფასებები
- 4. დასკვნა
- 5. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით განიხილა

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებულია საკუთრებისა და მემკვიდრეობის საყოველთაო უფლება. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუხლში მემკვიდრეობის უფლებაზეცაა მითითება, დასახელებული ნორმა რეალურად აღიარებულია როგორც საკუთრების უფლების გარანტი. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „მემკვიდრეობის უფლების გარანტია ავსებს საკუთრების გარანტიას როგორც ასეთს და ამ უკანასკნელთან ერთად ქმნის კონსტიტუციით გათვალისწინებული კერძო საკუთრებითი წესრიგის საფუძველს. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება ერთად ქმნიან იმ საზოგადოებრივი წყობილების არსებით, ძირითად ელემენტებს, რომლებიც ადამიანის კერძო ავტონომიის პრინციპს ემყარება.“⁵⁷⁷

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა საკმაოდ მდიდარია საკუთრების კონსტიტუციური უფლების დაცვასთან (კონსტიტუციის 21-ე მუხლთან) მიმართებით.

1. დაცული სფერო

1.1. ზოგადი აღწერა, მნიშვნელობა და ურთიერთმიმართება სხვა უფლებებთან

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით რეგლამენტირებულია საკუთრების უფლება, რომლის შინაარსი 2010 წლის 15 ოქტომბრის (#3710) კონსტიტუციურ ცვლილებებამდე იყო შემდეგი:

„1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შემენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.“

ამ მუხლში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, პირველ პუნქტში არსებული ტერმინი „უზრუნველყოფილია“ შეიცვალა „ხელშეუვალობის“ სტანდარტით, რომელსაც საქართველოს კონსტიტუცია იყენებს სიცოცხლის, ღირსების, თავისუფლების, უსაფრთხოების და ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მიმართ. მეორე პუნქტს დაემატა დებულება, რომლის მიხედვითაც საკუთრების უფლების შეზღუდვით არ უნდა დაირღვეს საკუთრების უფლების არსი. ყველაზე მასშტაბური ცვლილება შეეხო 21-ე მუხლის მესამე პუნქტს, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის

⁵⁷⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე დანის მოქალაქე ჰეიკო კრონჟისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.74;

საკუთრების ჩამორთმევისას გადასაცემი კომპენსაციის მიმართ დადგინდა, რომ აღნიშნული მიეცემა შესაკუთრეს წინასწარ, სრულად და სამართლიანი ოდენობით. დამატებით კი მიეთითა, რომ ამგვარი გადასახდელი არ ექვემდებარება არანაირ გადასახადს ან მოსაკრებელს.

საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს საქართველოს კონსტიტუციაში საკუთრების უფლების ძირითადი მნიშვნელობა და ასევე განმარტებულ იქნა ის ძირითადი საფუძვლები, რომლებიდანაც გამომდინარეობს აღნიშნული გარანტია: „...კერძო საკუთრება, როგორც ინსტიტუტი, საბაზრო ეკონომიკის ბირთვს წარმოადგენს. შესაბამისად, ის არის არამხოლოდ შესაკუთრებელს შორის ეკონომიკური კონკურენციის, არამედ ასევე დემოკრატიული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაცული, გარანტირებული კერძო ინტერესი უზრუნველყოფს საჯარო ინტერესების დაკმაყოფილებასაც. ბუნებრივია, რაც უფრო მყარია საკუთრების უფლების სამართლებრივი გარანტიები, მით თავისუფალი და თამამია კერძო სამართლებრივი ურთიერთობები, შესაბამისად, უფრო რეალურად მიღწევადია დასახელებული საჯარო ინტერესებიც. იმავდროულად, კონკრეტული კერძო ინტერესების დაკმაყოფილებაც მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული დაცულ საჯარო ინტერესებზე. საკუთრების უფლების, ისევე როგორც სხვა ძირითადი უფლებების სამართლებრივ გარანტიას, პირველ რიგში, წარმოადგენს კონსტიტუცია. კერძოდ კი: ა) მისი ძირითადი პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოს განვითარების მიმართულებებს და ხელისუფლების ადამიანთან შესაძლო ურთიერთობის შინაარსს. ეს პრინციპებია: დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო. ხელისუფლების ადამიანთან ურთიერთობის შინაარსის განმსაზღვრელი ნორმა-პრინციპი მოცემულია ასევე კონსტიტუციის მე-7 მუხლში, რომლის თანახმადაც: «სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით».⁵⁷⁸

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა განსაკუთრებით აღნიშნა ამ უფლების მნიშვნელობა და დანიშნულება. სასამართლომ განაცხადა: „საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან და ნორმებიდან გამომდინარე, საკუთრების უფლება წარუვალ და უზენაესი ადამიანური ღირებულებაა, საყოველთაოდ აღიარებული ძირითადი უფლება, დემოკრატიული საზოგადოების, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს ქვაკუთხედი. საკუთრება ადამიანის ყოფიერების არსებითი საფუძველია.“⁵⁷⁹

დამატებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში მიუთითა:

⁵⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიძევილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალაქიძევილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.5.6;

⁵⁷⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 21 ივლისის #1/51 გადაწყვეტილება საქმეზე ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება;

„კონსტიტუციით აღიარებული და უზრუნველყოფილი საკუთრება გულისხმობს ყველასათვის ერთიანი და თანასწორი საკუთრების უფლების დამკვიდრებას. საქართველო პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოა, რომელმაც უარი თქვა საკუთრების ფორმებზე და, შესაბამისად, პრივილეგიური მესაკუთრის ინსტიტუტზე. ასეთ მესაკუთრეს საბჭოთა სინამდვილეში წარმოადგენდა სახელმწიფო. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლში ჩადებული საკუთრების იდეა სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრეს, უფლებრივად ათანაბრებს სხვა მესაკუთრებთან. ამის შესაბამისად ჩამოყალიბდა ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა. საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-4 ნაწილში მოცემულია უმნიშვნელოვანესი დებულება, რომ „სახელმწიფო სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი“. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში პირთა თანასწორობის დაკანონებულმა პრინციპმა სახელმწიფო გაათანაბრა ამ ურთიერთობის სხვა სუბიექტებთან.“⁵⁸⁰

საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის ფარგლებში განხორციელებული განმარტებების შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს „საკუთრების ფორმების“ რეინკარნაცია ან გენერირება.⁵⁸¹ მაგალითად, სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს რომელიმე სახის საკუთრების უფლების გამოყოფას და მის მიმართ განსხვავებული რეჟიმის ამოქმედებას (დისკრიმინაციის არარსებობის მიუხედავად).⁵⁸²

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2007 წელს გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც განიმარტა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მიზანი. იგი გულისხმობს საკუთრების, როგორც ინსტიტუციურ გარანტირებას, ისე სუბიექტისთვის უფლების დაცვის საშუალებების მინიჭებას. საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: „საკუთრების უფლება უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლებაა. ამავდროულად, საკუთრება არის ინსტიტუტი, რომელიც სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს. საკუთრების უფლების დაცვა უცხოა ტოტალიტარული სახელმწიფოსათვის, ხოლო დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, ერთი მხრივ, საკუთრების, როგორც ინსტიტუტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტირება, ხოლო, მეორე მხრივ – მესაკუთრისათვის, როგორც სუბიექტისათვის უფლების სამართლებრივი დაცვის საკმარისი საშუალებების მინიჭება, მისი ხელშეწყობისა და უზრუნველყოფის გარანტიების შექმნა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის შესაბამისადაც საკუთრების უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია.“⁵⁸³

⁵⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის #1/14/184,228 გადაწყვეტილება საქმეზე სააქციო საზოგადოებები – „საქგაზი“ და „ანაჯგუფი“ (ყოფილი „თბილგაზოპარატი“) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.2;

⁵⁸¹ იქვე;

⁵⁸² იქვე;

⁵⁸³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელამვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.6;

საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობით იკვეთება კანონმდებლის ვალდებულება, მოახდინოს საკუთრების უფლების კონსტიტუციის შესაბამისი დეფინიცია.

საკონსტიტუციო სასამართლო საკუთრების უფლებას განიხილავს როგორც ბუნებით უფლებას: „საკუთრების უფლებაც ბუნებითი უფლებაა, რომლის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა. საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მეწარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას“.⁵⁸⁴

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთრების უფლება ადამიანის ღირსების და თავისუფლების წონად კატეგორიად განიხილება და სასამართლო აღინიშნავს, რომ „...ეს გარემოება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სახელმწიფოს უფრო მეტ სიფრთხილეს და ზომიერებას უფლებაში შესაძლო ჩარევისა და რეგულირების ფარგლების დადგენისას.“⁵⁸⁵

საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით გაამახვილა ყურადღება საკუთრებისა და ღირსების უფლების კავშირზე: „უმთავრესი კონსტიტუციური ღირებულების, ადამიანის ღირსების პატივისცემა მისი სოციალური და ეკონომიკური კონტექსტის ფარგლებში, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საკუთრების უფლების სრულფასოვან რეალიზებაზე. საკუთრება წარმოადგენს ადამიანის პირადი დამოუკიდებლობის, პიროვნული განვითარების ერთ-ერთ წყაროს. საკუთარი დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობის მიზნით ადამიანის მისწრაფება, შექმნას საკუთარი ქონება, უდავოდ იმსახურებს სახელმწიფოს პატივიცემას, რაც საკუთრების შექმნის ისეთ საკანონმდებლო რეგლამენტაციაში უნდა გამოიხატოს, რომელიც უზრუნველყოფს ერთი მხრივ ცალკეული ინდივიდის საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობას, ხოლო მერე მხრივ ეფექტურ სამოქალაქო ბრუნვას.“⁵⁸⁶

სამართალწარმოების პრაქტიკის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განმარტა მეწარმეობის თავისუფლებისა (საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი) და საკუთრების უფლების ურთიერთმიმართება: „უნდა ითქვას, რომ მეწარმეობის თავისუფლება არ არსებობს თავისუფალი და გარანტირებული საკუთრების უფლების გარეშე. იმდენად მჭიდროა მათი კავშირურთიერთობა, რომ ერთი სამართლებრივი სიკეთის ყოფიერებას განსაზღვრავს მეორე სიკეთე, საკუთრების თავისუფლებაში ასოცირდება მეწარმეობის თავისუფლება. ეტყობა, ამანაც განაპირობა ის ფაქტი, რომ

⁵⁸⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.3.5;

⁵⁸⁵ იქვე;

⁵⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.10;

ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუცია არ შეიცავს ცალკე ნორმას მეწარმეობის თავისუფლების შესახებ და მას იქ მოიაზრებენ, სადაც საკუთრების უფლების გარანტიებზეა საუბარი. მართლაც, მეწარმეობა საკუთრების თავისუფლების გამოვლენის, მისი შინაარსის დემონსტრირების საუკეთესო ფორმაა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საკუთრებაში ვლინდება ადამიანი როგორც მეწარმე სუბიექტი. ქართულ სინამდვილეში სწორედ რომ ახალი საკუთრებითი წესრიგის ჩამოყალიბებამ გახადა შესაძლებელი, გზა გახსნოდა მეწარმეობის თავისუფლებას, შესაფერისი სამეწარმეო წესრიგის დამკვიდრებას. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის დაცვის სუბიექტია კერძო პირთა საკუთრება, როგორი ფუნქციური დატვირთვაც არ უნდა ჰქონდეს მას, სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად იქნება გამოყენებული თუ არასამეწარმეო მიზნებისათვის. საკუთრება უპირობოდ დაცული ფასეულობაა, იმის მიუხედავად, თუ რა ღირებულების მფლობელობაა სახეზე და რა სოციალური ტვირთის მატარებელია იგი.⁵⁸⁷

გარდა ზემოთქმულისა, სასამართლოს მიერ დაზუსტდა ის შემთხვევები, როდესაც მეწარმეობის თავისუფლების შეზღუდვას ავტომატურად მოჰყვება საკუთრების უფლების დარღვევა: „ამასთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად საკუთრებისა და მეწარმეობის თავისუფლების ორგანული კავშირისა, შესაძლებელია, რომ 30-ე მუხლის დარღვევას ყოველთვის არ მოჰყვეს შედეგად 21-ე მუხლის დარღვევაც. ყოველი კონკრეტული შემთხვევის თავისებურებაზე, საკუთრების ობიექტის ფუნქციურობაზე და სამეწარმეო საქმიანობის ხასიათზეა დამოკიდებული, 30-ე მუხლის დარღვევის შემთხვევაში დაირღვევას თუ არა 21-ე მუხლიც. სავსებით შესაძლებელია, რომ სუბიექტმა, რომელსაც შეეღაზა სამეწარმეო თავისუფლება საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შედეგად, წარმატებით გამოიყენოს თავისი ქონება სხვა მიზნით და სრულად განახორციელოს მესაკუთრის ყველა უფლებამოსილებანი. სხვა საქმეა, როცა ქონება თავისი ბუნებით ფუნქციურად მკაცრად განსაზღვრულ მიზანს ემსახურება. საკმარისია, ასეთი მიზნობრივი საქმიანობა აეკრძალოს სუბიექტს, რომ სახეზე იქნება საკუთრების უფლებაში არათანაზომიერი შეჭრა.“⁵⁸⁸

როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავდა უცხოელთათვის სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების აკრძალვის კონსტიტუციურობის საკითხს, აღინიშნა, რომ საკუთრების შეძენა, მისი ფლობა და განკარგვა პირის კერძო ავტონომიიდან მომდინარე კატეგორიები იყო და რომ ისინი არ ეხებოდნენ სახელმწიფო სუვერენიტეტთან.⁵⁸⁹ საკუთრების უფლება არ შეიძლებოდა განხილულიყო როგორც სახელმწიფოს ექსკლუზიური უფლებების დამცრობის შესაძლებლობა.⁵⁹⁰ ამ მიმართებით სასამართლომ

⁵⁸⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე შპს “რუსენერგოსერვისი”, შპს “პატარა კახი”, სს “გორგოტა”, გივი აბლაკის ინდივიდუალური საწარმო “ფერმერი” და შპს “ენერგია” საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ, II.3.23;

⁵⁸⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.25;

⁵⁸⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.69;

⁵⁹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.68;

მნიშვნელოვანი მოსაზრება წარმოადგინა:

„შესაძლებელია არსებობდეს კონკრეტული მიწის ნაკვეთი, რომელზე საკუთრების უფლებაც, თავისი სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, წარმოადგენდეს სახელმწიფო უსაფრთხოების ნაწილს, თუმცა ზოგადად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ასეთად ვერ იქნება განხილული. მსგავსია სასამართლოს პოზიცია გარემოს დაცვის საჯარო ინტერესთან დაკავშირებით. სასამართლო არ გამოირიცხავს, რომ გარკვეული კატეგორიის მიწის, მაგალითად, სარეკრეაციო ზონების გასხვისების აკრძალვა ემსახურებოდეს გარემოს დაცვის მიზნებს. თუმცა ზოგადად სასოფლო-სამეურნეო მიწაზე უცხოელის საკუთრების შესაძლებლობის აკრძალვასა და გარემოს დაცვას შორის ლოგიკური კავშირი არ იკვეთება.“⁵⁹¹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით კონსტიტუციის 21-ე მუხლი იცავს რეალურ და არა ილუზორულ უფლებას, რაც გულისხმობს უფლების არა მხოლოდ ნომინალურ დეკლარაციას, არამედ მისი შესაძლო აღსრულების შესაძლებლობას.⁵⁹² სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ სადავო ნორმის მიღებით გამოწვეული სინამდვილე აკნინებს სამოქალაქო ბრუნვის იმ ფუნქციურ პრინციპს, რომლის თანახმადაც ვალდებულება უნდა შესრულდეს. შესრულებას აზრი დაეკარგებოდა, თუკი არ იქნებოდა გარანტირებული მისი დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის იძულებით რეალიზაცია. მიუღებელია ისეთი მდგომარეობის შექმნა, როცა უფლება ფორმალურად აღიარებულია, მაგრამ გაუმართლებლადაა გართულებული მისი რეალიზაცია - მით უმეტეს, როცა საქმე შეეხება სასამართლოს მიერ აღიარებულ უფლებას. დაუშვებელია, როდესაც უფლება აღიარებულიცაა და იმავდროულად უარყოფილიც. ფუნდამენტური უფლებებისადმი ასეთი დამოკიდებულება აბრკოლებს სამოქალაქო ბრუნვას, რამაც თავის სერიოზულ გამოვლინებას პოულობს საკუთრების კონსტიტუციით აღიარებული უფლება.

1.2. საკუთრების უფლების შინაარსი

საკუთრების უფლების შინაარსის განმარტებისთვის მნიშვნელოვანია ცალკეული კომპონენტების განხილვა და იდენტიფიცირება. კონსტიტუცია იმპლიციურად გამოყოფს „საკუთრების“, „საკუთრების შექმნის“, „საკუთრების გასხვისების“ და „მემკვიდრეობის“ უფლებებს. დამატებით განსაზღვრავს, რომ ისინი არიან „აღიარებულნი“ და „ხელშეუვალნი“ და რომ მათი, როგორც „საყოველთაო უფლების“, გაუქმება დაუშვებელია. სანამ სათითაოდ გავამახვიოლებთ მათზე ყურადღებას, აუცილებლად უნდა განიმარტოს ურთიერთმიმართება, რომელიც აქვს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის სამივე პუნქტს და ასევე სამართალური თეროზობა, რომელზეც ვრცელდება საკუთრების უფლების კონსტიტუციურ სამართლებრივი გარანტია.

⁵⁹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.69;

⁵⁹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის #1/14/184,228 გადაწყვეტილება, პ.4;

1.2.1. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პუნქტების ურთიერთმიმართება

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა კონსტიტუციის 21-ე მუხლის სამივე პუნქტის ურთიერთმიმართება და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საკუთრების უფლების შეზღუდვა მხოლოდ ამავე მუხლით დადგენილი წესით არის შესაძლებელი: „ეს გულისხმობს არა მხოლოდ მესაკუთრისათვის უფლების დაცვის სამართლებრივი შესაძლებლობების მინიჭებას, არამედ საკუთრების დაცვას ისეთი ხელყოფისაგან, რომელიც არ თავსდება ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით დადგენილ ფარგლებში. აქედან გამომდინარე, 21-ე მუხლის მე-2 ან მე-3 პუნქტის დამრღვევი ნორმა, რომელიც არ შეესაბამება საკუთრების უფლების შეზღუდვისადმი ან საკუთრების ჩამორთმევისადმი წაყენებულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტანდარტს, იმავდროულად წინააღმდეგობაში მოვა ამავე მუხლის პირველ პუნქტთანაც.“⁵⁹³

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი, როგორც ნორმა პრინციპი, იმავდროულად, სუბსიდიური ტვირთის მატარებელია დანარჩენი პუნქტებისათვის“.⁵⁹⁴

სასამართლოს მსჯელობით აღინიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს საკუთრების უფლებაში ჩარევის დამატებით კრიტერიუმს, რომელიც განსხვავდება მეორე და მესამე პუნქტებში განსაზღვრული შეზღუდვისა და ჩამორთმევისგან: „სასამართლო კოლეგია ერთმანეთისაგან განასხვავებს, ერთი მხრივ, საკუთრების და მასთან დაკავშირებული უფლებების, როგორც კონსტიტუციური დაცვის ობიექტის შეზღუდვასა და ჩამორთმევას, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოს უფლებას, შექმნას და გამოიყენოს ისეთი სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც საერთო ინტერესების შესაბამისად, უზრუნველყოფენ საკუთრებით სარგებლობას, როდესაც საზოგადოებრივი მოთხოვნილების აუცილებელი დაკმაყოფილება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პირის საკუთრების უფლება.“⁵⁹⁵

1.2.2. კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული სამართალურთიერთობა

იქიდან გამომდინარე, რომ ძირითადად კონსტიტუცია აწესრიგებს სახელმწიფოს და ინდივიდის შორის არსებულ „ვერტიკალურ“ ან ინდივიდთა შორის „ირიბ-ჰორიზონტალურ“ ურთიერთობას, საქართველოს

⁵⁹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება, II.3.6;

⁵⁹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივნისის #1/1/103/117/137/147-48,152-53 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – (1) ვალიდა დარბაიძე, ნათელა ციმაკურიძე და ნანა მირველაშვილი, (2) ნატალია ოკუჯავა, (3) მაია მელაძე, (4) მარი მიქიაშვილი, (5) დავით ადამიძე, ნანა სარაშვილი, გიორგი ოკუჯავა და სხვები (სულ 54 მოქალაქე), (6) შუჟუნა ბერიანიძე და (7) მარია ვარამაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

⁵⁹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება საქმეზე 1) მოქალაქეები: ლილი თელია, არჩილ მეფარიძე და გურამ თოხაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 2) მოქალაქე სერგო გოგიტიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 3) მოქალაქე როსტომ ბოლქვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 3.1;

საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ რა სახის სამართალწარმოებაზე ვრცელდებოდა საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული საკუთრების უფლება. ერთ–ერთ საქმეში, რომელიც შეეხებოდა აქციათა სავალდებულო მიყიდვის წესის კონსტიტუციურობას, მოპასუხე მხარე აპელირებდა, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა სრულად იყო კერძო სამართლებრივი ხასიათის (ანუ მხოლოდ ინდივიდთა შორის ურთიერთობას აწესრიგებდა) და, აქედან გამომდინარე, არ ექცეოდა კონსტიტუციის 21–ე მუხლით დაცულ სფეროში. ამის საპირისპიროდ, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საკუთრების უფლება არა მხოლოდ ინდივიდის და სახელმწიფოს შორის მომწესრიგებელ ურთიერთობათა კატეგორიას წარმოადგენდა, არამედ ჰქონდა დამატებით ირიბ–ჰორიზონტალური მოქმედების ფუნქციაც სახელმწიფოს კანონშემოქმედებითი პროცესის საშუალებით: „სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს საკუთრების უფლება, მოითხოვს შესაბამისი სამართლებრივი წესრიგის, მათ შორის კერძოსამართლებრივი წესრიგის შექმნას. კერძოსამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისას კანონმდებელი ისევეა შეზოგბილი კონსტიტუციის ნორმებითა და პრინციპებით, როგორც საჯაროსამართლებრივი ნორმების დადგენისას. აქედან გამომდინარე, მოსაზრება, რომ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმაზე... არ ვრცელდება კონსტიტუციის 21–ე მუხლის მოქმედება და შესაბამისად, შეუძლებელია სადავო ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შეფასება, მცდარია. ასეთი მიდგომა, კონსტიტუციური კონტროლის სფეროდან გამოიყვანდა სამართლის ნორმების დიდ ნაწილს და ამ სფეროში თვითნებობისათვის ნოყიერ ნიადაგს შექმნიდა.“⁵⁹⁶

ამ მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით გაუსვა ხაზი სახელმწიფოს ვალდებულებას, შექმნას კერძოსამართლებრივი წესრიგი და საქართველოს კონსტიტუციის 21–ე მუხლის რეგულირების სფეროში მოაქციოს პირთა შორის კონკრეტული ჰორიზონტალური ურთიერთობა.

1.2.3. საკუთრების უფლების დეფინიცია

საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ საკუთრება იყო დეფინირებადი უფლება, ანუ მისი განმარტებისას სხვადასხვა სოციალური ფაქტორები მიიღებოდა მხედველობაში. საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, საკუთრების უფლება არ არის შეუზღუდავი გარანტია და ყურადღება უნდა მიექცეს ინდივიდის და საზოგადოების ინტერესებს და ამ ფონზე განისაზღვროს შესაბამისი კანონმდებლობით კონკრეტული უფლების შინაარსი. ანუ უფლების განსაზღვრება თავისთავად შეიძლება კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსების შედეგი იყოს: „ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ საკუთრების უფლება არ არის აბსოლუტური და შეუზღუდავი უფლება. საკუთრებას დიდი სოციალური დატვირთვა აქვს. მესაკუთრე საზოგადოების ნაწილია და არა მხოლოდ უფლებამოსილია მიიღოს გარკვეული სიკეთეები საზოგადოებისაგან, არამედ ვალდებულიცაა,

⁵⁹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება, II.3.7;

რომ თავისი საკუთრება საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიზნებისათვის გამოიყენოს. მესაკუთრემ უნდა გაითავისოს, რომ არა მხოლოდ მას აქვს ინტერესები, არამედ ის იმყოფება სხვა ინტერესთა გარემოცვაში, რომელთაგანაც ის იზოლირებული არ არის და სადაც აუცილებელია ინტერესთა გონივრული ბალანსის დაცვა. ამ ფონზე კანონმდებელი უფლებამოსილია, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმებისა და პრინციპების დაცვით, დაადგინოს ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ საკუთრების შინაარსსა და ფარგლებს. საკუთრება არის კანონმდებლის მიერ დეფინირებადი უფლება. ამას მით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, რაც უფრო დიდია საკუთრების ობიექტის სოციალური დატვირთვა, მისი ბუნებიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე.⁵⁹⁷

საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობიდან იკვეთება, რომ საკუთრების უფლება ექვემდებარება შეზღუდვას და სწორედ მისი საშუალებით ხდება საბოლოო უფლების შინაარსის დეფინიცია.

1.2.4. „...ადიარებული და ხელშეუვალია“

კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია, რომ „საკუთრების უფლება“ ადიარებული და ხელშეუვალია და დამატებით მეორე წინადადება ხაზს უსვამს მის სხვადასხვა კომპონენტთა „საყოველთაო გაუქმების აკრძალვას“. ამ მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლოს მდიდარი სასამართლო სამართალწარმოების პრაქტიკა აქვს და შესაძლებელია შესაბამისი სტანდარტის იდენტიფიცირება.

2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ საკუთრების უფლების კონსტიტუციური გარანტია პირველ რიგში სახელმწიფოს მიმართ მოქმედ ნეგატიურ აკრძალვას გულისხმობდა (საკუთრების უფლების ნეგატიური ასპექტი). მოქალაქეს აქვს გარანტია, რომ სახელმწიფო მის კერძო საკუთრებას არ ხელყოფს და ამისთვის სამართლებრივი დაცვის მექანიზმებით სარგებლობს. ამავდროულად ეს გარანტია სახელმწიფოს ავალდებულებს მოახდინოს უფლების პოზიტიური იმპლემენტაცია კანონმდებლობაში (საკუთრების უფლების პოზიტიური ასპექტი), კონსტიტუციური სამართლებრივი წესრიგის შესაბამისად.⁵⁹⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, საკუთრების უფლების ცნება და შინაარსი თავად კონსტიტუციით არის განსაზღვრული, რომელიც კონსტიტუციითვე დადგენილი კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსების გზით უნდა განსაზღვროს კანონმდებელმა.⁵⁹⁹

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, უმეტესწილად არ განისაზღვრება „საკუთრების უფლების“, როგორც ცალკე აღებულის, დეფინიცია და შინაარსი, როდესაც სახეზეა კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული უფლების შეზღუდვის შემთხვევა. ამ

⁵⁹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება, II.3.8;

⁵⁹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.3.7;

⁵⁹⁹ იქვე;

შემთხვევაში სასამართლო კერძო და საჯარო ინტერესების შეფასების გზით ადგენს საკუთრების საკანონმდებლო განსაზღვრების კონსტიტუციურობას.⁶⁰⁰

1.2.5. საკუთრების უფლების წარმოშობა

პირველი საკითხი, რომელიც ექვემდებარება შეფასებას საკუთრების უფლების კონსტიტუციურობის დადგენისას არის ის, თუ რამდენად არის კონკრეტული ობიექტი საკუთრების უფლებით დაცული: „საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ სახელმწიფოს მხრიდან უფლების შესაძლო შეზღუდვა უნდა განიხილებოდეს იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად არის ეს უფლება კონსტიტუციით დაცული და სად იწყება მისი კონსტიტუციური დაცვის ფარგლები.“⁶⁰¹

საკონსტიტუციო სასამართლო ამ შემთხვევაში განიხილავდა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის საკითხის კონსტიტუციურობას. სასამართლოს განცხადებით, ამგვარი ობიექტები არ წარმოადგენდნენ კონსტიტუციის დაცვის საგნებს, რადგან ამ შემთხვევაში საკუთრების უფლება იყო სადავო: „საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ ზემოაღნიშნული დებულებები ანაზღაურების თაობაზე, შეეხება კანონიერი გზით შეძენილ ქონებას, რომლის საკუთრების უფლება დავას არ იწვევს და ვერ გავრცელდება უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, რადგან ამ შემთხვევაში ითვლება, რომ სწორედ საკუთრების უფლებაა დავის საგანი და მისი არსებობა ეჭვის ქვეშაა დაყენებული. ამ შემთხვევაში არ შეიძლება ჩამორთმევის კონსტიტუციურობის შემოწმება კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტთან მიმართებით.“⁶⁰²

საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით დააზუსტა აღნიშნული მიდგომა 2007 წელს გამოტანილ გადაწყვეტილებაში, რომელიც შეეხებოდა დანაშაულის საგნის, იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამორთმევის საკითხს.⁶⁰³ სასამართლოს განცხადებით, საკუთრების უფლებით იქნება ქონება დაცული, თუ კანონიერი გზით მოხდება მისი შეძენა: „საკუთრების უფლების კანონიერებას საფუძველშივე განსაზღვრავს მისი კანონიერად შეძენის ფაქტი. ზუსტად ეს გარემოებაა გადამწყვეტი კანონიერი საკუთრების უფლების არსებობისთვის. კანონიერად შეძენილი ნივთის შემდგომში სხვა პირის მიერ დანაშაულის საგნად ან იარაღად გამოყენება ვერ აბათილებს მისი კანონიერად შეძენის ფაქტს, შესაბამისად, საკუთრების უფლებასაც ვერ აქცევს უკანონოდ. საკუთრება კანონიერია და 21-ე მუხლით დაცულ სფეროში შედის, თუ მისი შეძენა მოხდა კანონის მოთხოვნათა დაცვით. ამ თვალსაზრისით, დანაშაულის საგანი, იარაღი და დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი განსხვავდება დანაშაულებრივი

⁶⁰⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.3.16;

⁶⁰¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება, პ.1;

⁶⁰² იქვე;

⁶⁰³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.3.14;

გზით მოპოვებული ქონებისაგან, რომელიც, როგორც უკანონოდ შეძენილი ქონება ვერ ხვდება 21-ე მუხლით დაცულ სფეროში.⁶⁰⁴

აღნიშნულ საქმეში მოპასუხე მხარის ერთ-ერთი არგუმენტი ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ თუკი საბაჟო რეგულაციების დარღვევით მოხდება ქონების გადმოტანა, იგი თავისთავად უკანონოდ უნდა მიჩნეულიყო საკუთრების უფლების მიზნებისთვის. სასამართლომ უარყოფითი პასუხი გასცა ამ დასაბუთებას და მიუთითა შემდეგი: „ბუნებრივია, საქართველოში ესა თუ ის ქონება კანონიერ სამოქალაქო ბრუნვაში რომ მოხვდეს, ის კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა იყოს განბაჟებული, ანუ მისი გადმოტანა უნდა მოხდეს საბაჟო წესების დაცვით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ფლობა უკანონოდ ჩაითვლება. თუმცა ეს გარემოება თავად საკუთრების უფლებას ამ ქონებაზე საეჭვოს არ ხდის, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკუთრების უფლების კანონიერებას განაპირობებს მისი კანონიერად შეძენის ფაქტი.“⁶⁰⁵

1.2.6. საკუთრების გასხვისება და ფლობა

საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საკუთრების უფლების ერთ-ერთი კომპონენტის „გასხვისების“ კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი იმ საქმეში, რომელიც შეეხებოდა აქციათა სავალდებულო მიყიდვის წესს.⁶⁰⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აქციის კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულ სფეროში მოქცევის შემდეგ,⁶⁰⁷ განისაზღვრა ის სტანდარტი, რომელსაც უნდა პასუხობდეს საკუთრების სავალდებულო გასხვისების კონკრეტული შემთხვევა: „კანონმდებელმა ისე უნდა ჩამოაყალიბოს აქციათა სავალდებულო მიყიდვის მომწესრიგებელი ნორმა, რომ დაიცვას სამართლიანი ბალანსი მხარეებს შორის, გამორიცხოს ეკონომიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა. მინორიტარ აქციონერს სრული უფლება აქვს იცოდეს, თუ რატომ ხდება მისი კუთვნილი აქციების მაჟორიტარი აქციონერის საკუთრებაში გადასვლა. მას უნდა ჰქონდეს თავისი პოზიციის გამოხატვისა და დაცვის სამართლებრივი საშუალება. მაჟორიტარი აქციონერის სურვილი, საკუთრებაში ჰქონდეს აქციების სრული პაკეტი, გასაგები და ბუნებრივია, მაგრამ საკუთრების უფლების შეზღუდვის გამართლებას არ წარმოადგენს. ერთერთი აქციონერის ხელში აქციების 95%-ის ან მეტის არსებობა თავისთავად არ ნიშნავს აქციათა სავალდებულო მიყიდვის სოციალური საჭიროების გაჩენას. აქციათა სავალდებულო მიყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს მოხლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის წარმოადგენს აუცილებელ საშუალებას შესაბამისი საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის.“⁶⁰⁸

⁶⁰⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.პ.14;

⁶⁰⁵ იქვე;

⁶⁰⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება;

⁶⁰⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება, II.პ.9;

⁶⁰⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება, II.პ.26;

საკონსტიტუციოსასამართლომერთსაქმეშიგანიხილაენრგეტიკისმინისტრის შესაბამისინორმატიულიაქტებისკონსტიტუციურობა, რომლებიცადგენდნენ ზღვრულ ლიმიტს მცირე ჰიდროელექტრო სადგურების საქმიანობასთან დაკავშირებით. მოსარჩელები ფლობდნენ ამგვარ ობიექტებს, მაგრამ მათ მიერ წლიურად გამომუშავებული ელექტროენერგია არ თავსდებოდა სადავო აქტით დადგენილ მინიმალურ სტანდარტში. მათი განცხადებით, მათ ეზღუდებოდათ საკუთრების გასხვისების/განკარგვის შესაძლებლობა.⁶⁰⁹ სასამართლომ განმარტა აღნიშნული კონსტიტუციური დანაწესისა და მფლობელობის შინაარსი: „ქონების ფლობას აზრი დაეკარგება, თუკი სუბიექტის ქონებრივი უფლებები შინაარსგამოცლილი გახდება. საკუთრების შინაარსი მაშინაა გარანტირებული, როცა მესაკუთრეს შეუძლია საკუთრებაში მოაზრებული უფლებამოსილებების სრულყოფილად განხორციელება საკუთრების ობიექტის ფუნქციით დეტერმინირებული ნების მიხედვით. აქედან გამომდინარე, კანონმდებელი ვალდებულია, მესაკუთრეს მისცეს თავისი საკუთრების დანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს საკუთრების ობიექტებთან თავად მესაკუთრის პირად ურთიერთობას. სწორედ ეს წარმოადგენს საკუთრების, როგორც სანივთო უფლების პოზიტიური შინაარსის გამოვლინებას.“⁶¹⁰

დამატებით აღინიშნა, რომ „საკუთრების განკარგვის თავისუფლებასთან გვაქვს საქმე, როცა ეს განკარგვა მესაკუთრის თავისუფალი ნების შედეგად ხდება და იგი წარმოადგენს სუვერენული უფლების რეალიზაციის გამოვლინებას. იმ შემთხვევაში, როცა მესაკუთრის ნების გამოვლენა გარეგანი ნორმატიული იძულების საფუძველზე ხდება, შეუძლებელია საუბარი მის თავისუფლებაზე.“⁶¹¹

ერთ–ერთ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საბინაო კოდექსის დებულების კონსტიტუციურობა, რომელიც შეეხებოდა გამჭირავებელის საკუთრების უფლების შეზღუდვას.⁶¹² კერძოდ, სადავო აქტის მიხედვით, ქონების გაჭირავებისას გამჭირავებელს მხოლოდ მაშინ შეეძლო ქირავნობის ხელშეკრულების გაუქმება, თუკი მას აღნიშნული სჭირდებოდა პირადი მიზნებისთვის და ამის შესახებ სამი თვით ადრე აცნობებდა დამქირავებელს. საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო რეგულირება არაკონსტიტუციურად ცნო, რადგან მიიჩნია, რომ ქონების განკარგვა გულისხმობდა მესაკუთრის მიერ ქონების ბედის გაადაწყვეტას ყოველგვარი პირობების დათქმის გარეშე.⁶¹³

⁶⁰⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.23;

⁶¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.26;

⁶¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.28;

⁶¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 25 მარტის #2/31–5 გადაწყვეტილება საქმეზე ლევან ფურცხვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

⁶¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 25 მარტის #2/31–5 გადაწყვეტილება, პ.3;

1.2.7. საკუთრების შექმნა

საკონსტიტუციო სასამართლოს ასევე განმარტებული აქვს „საკუთრების შექმნის“ კომპონენტი. სასამართლოს განცხადებით, უკვე არსებული საკუთრების უფლების დაცვა და საკუთრების შექმნის უფლება განსხვავდებიან ერთმანეთისგან ეტაპების მიხედვით. ერთი არეგულირებს საკუთრების უფლებამდე წარმოშობილ ურთიერთობებს, მეორე – შემდგომს.⁶¹⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით:⁶¹⁵ „საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტია მოიცავს ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრებითი უფლების პრაქტიკულ რეალიზებას და შესაძლებელს გახდის საკუთრების შექმნის გზით ქონების დაგროვებას.“

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა „საკუთრების შექმნის“ პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები და დამატებით ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ იგი არ ადგენდა სახელმწიფოსაგან მატერიალური სიკეთეების მოთხოვნის გარანტიებს: „საკუთრების შექმნის უფლება გულისხმობს პიროვნების შესაძლებლობას, გახდეს მესაკუთრე. ადამიანის მისწრაფება საკუთრების მოპოვებისკენ, მისთვის დამახასიათებელ ნორმალურ სოციალურ ქცევას წარმოადგენს. მისი ეს სწრაფვა პიროვნული თავისუფლების ერთგვარი გამოვლინებაა. საკუთრების შექმნის კონსტიტუციური უფლება ადგენს სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებას, ხელი არ შეუშალოს ადამიანს, შექმნას მისი საკუთრება და ამის საფუძველზე უზრუნველყოს საკუთარი კეთილდღეობა. ეს უფლება თავისთავად ვერ იქნება პირის მიერ სახელმწიფოსაგან გარკვეული მატერიალური სიკეთეების მოთხოვნის საფუძველი.“⁶¹⁶

საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთრების შექმნის გარანტია დაუკავშირა ღირსების უფლების სოციალურ ეკონომიკურ კონტექსტს⁶¹⁷ და დამატებით აღნიშნა, რომ იგი ემსახურებოდა საკუთრების ძირითადი უფლების რეალიზებას.⁶¹⁸ სასამართლომ ამ მიმართებით განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა საკუთრების უფლების „შექმნის“ კომპონენტს: „კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს საკუთრების შექმნას და მისი გამოყენების, საკუთრებით სარგებლობის შესაძლებლობას. ამ კუთხით გაზიარებულ უნდა იქნეს სასამართლოს მეგობრის (თავისუფალი უნივერსიტეტი) მოსაზრება, რომლის თანახმად, თუ საკუთრების შექმნის სამართლებრივ გზებზე ადამიანებს ხელი არ მიუწვდებათ, ეს საკუთრების უფლების შემდგომ დაცვას გარკვეულწილად აზრს დაუკარგავს. შესაბამისად, საკუთრების შექმნის სამართლებრივი მექანიზმების არარსებობა გამოიწვევდა საკუთრების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის ელემენტებისაგან შემდგარი

⁶¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.35;

⁶¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.33;

⁶¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.37;

⁶¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.38;

⁶¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.39;

საკუთრების სამოქალაქო კონცეფციის „დაცარიელებას“, სუბსტანციის დაკარგვას და ილუზორულს გახდიდა ასევე საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივ გარანტიას.⁶¹⁹

დამატებით აღინიშნა, რომ საკუთრების შეძენის უფლება ვრცელდებოდა, მხოლოდ ქონების მართლზომიერ შეძენაზე და ამ მიმართებით სახელმწიფოს შეეძლო საკანონმდებლო რეგულირების დაწესება, ოღონდ იმ პირობით, რომ იგი მატერიალურ-სამართლებრივად კონსტიტუციასთან შესაბამისი იქნებოდა.⁶²⁰

საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში დაადგინა საკუთრების უფლების შეძენის კომპონენტის დარღვევა, როდესაც კანონდარღვევით მოხდა შესაბამისი საწარმოს პრივატიზაცია და მის თანამშრომლებს არ მიეცათ კანონით გათვალისწინებული უფლება შეესყიდათ შესაბამისი აქციები.⁶²¹

1.2.8. მემკვიდრეობის უფლება

საკონსტიტუციო სასამართლოს დამატებით განმარტებული აქვს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დადგენილი მემკვიდრეობის უფლება და იგი განიხილება, როგორც უმაღლესი რანგის სამართლებრივი სიკეთე: „მემკვიდრეობის უფლების გარანტია ავსებს საკუთრების გარანტიას როგორც ასეთს და ამ უკანასკნელთან ერთად ქმნის კონსტიტუციით გათვალისწინებული კერძო საკუთრებითი წესრიგის საფუძველს. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება ერთად ქმნიან იმ საზოგადოებრივი წყობილების არსებით, ძირითად ელემენტებს, რომლებიც ადამიანის კერძო ავტონომიის პრინციპს ემყარება.“⁶²²

საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, მემკვიდრეობის უფლების ძირითადი ფუნქცია არის სამართალმემკვიდრეობით გზით საკუთრების უფლების შენარჩუნება მესაკუთრის გარდაცვალების შემდეგ. ამ უფლების არარსებობის პირობებში ქონება ავტომატურად სახელმწიფოს ხელში გადავიდოდა, რაც თავის მხრივ დაასუსტებდა საკუთრების ინსტიტუტს. ამ პირობებში კი თავად საკუთრების უფლების არსი დაიყვანება მხოლოდ ფაქტობრივ მფლობელობამდე, რომელიც ადამიანის სიცოცხლის ვადით შემოიფარგლება და მხოლოდ ფაქტობრივი და არასამართლებრივი დასასრული აქვს.⁶²³

⁶¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.39;

⁶²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.40;

⁶²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 27 ივლისის #2/77/11 გადაწყვეტილება საქმეზე მალხაზ მუმლაძე, ეთერ ყიჟილაშვილი, ზურაბ სამხარაძე, თეიმურაზ გვერდწითელი, დავით ალხაზიშვილი, გურამ შულღიაშვილი, ირაკლი კიკაძე, აზა ნადიბაიძე, ადელაიდა ჭოჭელი და ზურაბ ანიკაშვილი საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს წინააღმდეგ, პ.5;

⁶²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.74;

⁶²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.75;

მემკვიდრეობის უფლება გულისხმობს, როგორც პირის უფლებას ანდერძის საფუძველზე განკარგოს საკუთარი ქონება, ისე მემკვიდრის უფლებას შეიძინოს იგი,⁶²⁴ ანუ მემკვიდრეობის უფლება წარმოადგენს საკუთრების შეძენის და გასხვისების კერძო შემთხვევებს. ამ შემთხვევაში მემკვიდრეობის მიღების უფლება საკუთრების უფლების შეძენამდე მიმდინარე პროცესებს არეგულირებს და შესაბამისად იცავს პირის უფლებას გახდეს მესაკუთრე.⁶²⁵ საკონსტიტუციო სასამართლოს განსაზღვრული აქვს ამ უფლების დროითი მოქმედების მომენტი და იგი დაკავშირებულია მემკვიდრის მიერ საკუთრების უფლების გადასვლის მომენტთან: “უფლება რეალიზებულად უნდა მივიჩნიოთ პირზე მემკვიდრეობის გზით საკუთრების უფლების გადასვლის მომენტიდან. ამის შემდგომ პიროვნების ქონება დაცულია საკუთრების თავისუფალი ფლობისა და განკარგვის კონსტიტუციური გარანტიით.”⁶²⁶

შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო მემკვიდრეობის უფლებასთან მიმართებით არ განიხილავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სამკვიდროს მიღების შემდეგ ხდება საკუთრების უფლების სხვადასხვანაირი შეზღუდვა.⁶²⁷ საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ–ერთ საქმეში განიხილა იურიდიულ პირთა ურთიერთმემკვიდრეობის საკითხი.⁶²⁸

1.2.9. საკუთრების საყოველთაო უფლების გაუქმების დაუშვებლობა

საქართველოს კონსტიტუციის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება ადგენს, რომ საკუთრების უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. ამავე პუნქტის მეორე წინადადება კი საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმების დაუშვებლობას ადგენს. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა აღნიშნული დებულების დანიშნულება და შინაარსი 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებაში.

საკონსტიტუციო სასამართლომ პირველ რიგში მოახდინა იმ ორი ძირითადი ფუნქციის იდენტიფიცირება, რომელიც ამ კონსტიტუციურ დანაწესს აქვს – (1) საკუთრების შინაარსის განვრცობა და მის ძირითად ასპექტებზე ხაზგასმისა და (2) სახელმწიფოს ზოგადი განცხადება და არჩევანი კერძო საკუთრების სასარგებლოდ.⁶²⁹ დამატებით აღინიშნა: „საქართველოს კონსტიტუციის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება განავრცობს ამავე პუნქტის პირველ წინადადებაში მოცემულ საკუთრების ინსტიტუტის გარანტიას, შინაარსს, რადგან ის ეხება საკუთრებითი ურთიერთობების სფეროში

⁶²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.76;

⁶²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.77;

⁶²⁶ იქვე;

⁶²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.78;

⁶²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 28 იანვრის #2/2/167–202 გადაწყვეტილება საქმეზე შპს „კავკასტრანსექსპედიტორი ევროპა აზია“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ, პ.4;

⁶²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.49;

ინდივიდის თავისუფლების გამოვლენის ფორმებს, რომლებიც სწორედ იმ სივრცეს განეკუთვნებიან, რომელსაც საკუთრების ინსტიტუტის გარანტია იცავს. ამასთანავე, აღნიშნული გამოვლინებების გაუქმების აკრძალვით კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება ემსახურება ზოგადად კერძო საკუთრების ინსტიტუტის გამყარებას, რომლის გარანტიასაც კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება შეიცავს.⁶³⁰

საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით განმარტა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ორი წინადადების ურთიერთგანპირობებულობა და შესაბამისი კავშირი: „კონსტიტუციის 21-ე მუხლი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას შეიცავს, გადაწყვეტილებას კერძო საკუთრების აღიარებისა და დაცვის კონტექსტში. ეს ნორმა გამოხატავს საკუთრების კონსტიტუციური უფლების სუბიექტებთან დაკავშირებით არსებულ თანხმობას და აწესებს, რომ საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების უფლება საყოველთაო ხასიათს ატარებს და ამ ელემენტების გაუქმება დაუშვებელია. კონსტიტუციის 21-ე მუხლი წარმოადგენს გარკვეულ „დეკლარაციას“ საკუთრებით წესრიგთან მიმართებით არსებული პოლიტიკის სფეროში. კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი საქართველოსთვის, როგორც პოსტსაბჭოთა სახელმწიფოსთვის, უდიდეს მნიშვნელობას იძენს და საკუთრებითი ურთიერთობების სფეროში მძიმე მემკვიდრეობის დაძლევის უზრუნველყოფს. იმ მემკვიდრეობისა, რომელშიც საკუთრების კონცეფცია სოციალისტური იდეოლოგიით იყო გაჯერებული.“⁶³¹

ამ კონკრეტულ საქმეში მოსარჩელე დაობდა იმასთან დაკავშირებით, რომ მას, როგორც უცხოეთის მოქალაქეს, არ ეძლეოდა უფლება საკუთრებაში ჰქონოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების უძრავი ქონება. აღნიშნული ღონისძიება მის მიერ განიხილებოდა, როგორც საკუთრების საყოველთაო უფლების გაუქმება. საკონსტიტუციო სასამართლომ უარყო ეს არგუმენტაცია და მიუთითა შემდეგი: „მოსარჩელის მიერ საკითხის იმგვარად დაყენება, რომ არსებული საკანონმდებლო რეგულირება იწვევს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული საკუთრების შეძენისა და მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლებების გაუქმებას, მცდარია. მოსარჩელე ახდენს 21-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ფრაზის, „საყოველთაო უფლების გაუქმება“, არასწორ ინტერპრეტაციას. საყოველთაო უფლების გაუქმებაზე საუბარი შესაძლოა იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა კანონმდებლის მიერ გამოხატული სახელმწიფოს პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც აუქმებს კერძო საკუთრებას, როგორც ადამიანთა თანარსებობის ეკონომიკურ ბაზისს. საკუთრების შეძენისა და მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება ნიშნავს კანონმდებლის მიერ საკუთრებითი ურთიერთობების სივრცეში ინდივიდის მოქმედების თავისუფლების სხვადასხვა სახით გამოვლენის დაუშვებლად გამოცხადებას. სახელმწიფოს ამგვარი ქმედება კი, თავისი არსით, ადრესატთა

⁶³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.49;

⁶³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.51;

წრეს არ შემოფარგლავს და საკუთრების კონკრეტული ობიექტისაგან დამოუკიდებლად იწვევს შესაბამის შედეგებს. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებული უფლება, თავისი პოზიტიური დატვირთვით, „ყველასთვის“ და საკუთრების კონკრეტული გამოვლინებისგან დამოუკიდებლად მოქმედებს, ის ზოგადად საკუთრების საყოველთაო უფლებას განამტკიცებს.“⁶³²

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე და მესამე პუნქტები ადგენდნენ საკუთრების უფლების შეზღუდვის და ჩამორთმევის შემთხვევებს და შესაბამისი რეგულაციები ან წინააღმდეგობაში მოდიოდნენ აღნიშნულ დანაწესებთან ანდა შეესაბამებოდნენ მათ. ხოლო საკუთრების უფლების საყოველთაო უფლების გაუქმებისას, ხდებოდა მთლიანად კონსტიტუციურ ღირებულებათა წესრიგის გარკვეული „დამღევა“.⁶³³ დამატებით ხაზი გაესვა, კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადების მიმართებას ეკონომიკური თავისუფლების პრინციპთან.⁶³⁴

საკონსტიტუციო სასამართლომ 2001 წლის 16 მაისს გამოიტანა გადაწყვეტილება, სადაც მოსარჩელე მოითხოვდა საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი რეგულაციის გაუქმებას, რომელიც შესაძლებლობას იძლეოდა, რომ მიმდინარე ანგარიშიდან საბალანსო ანგარიშზე ხდებოდა თანხის გამოტანა.⁶³⁵ მოსარჩელეს შეეძლო შემდგომ თანხის უკან გამოტანა დაბრკოლებების გარეშე. მოსარჩელის განცხადებით, სახეზე იყო საკუთრების საყოველთაო უფლების გაუქმება, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ უარყო, რადგან კონკრეტული ობიექტის მიმართ კვლავ რჩებოდა მოთხოვნის უფლება.⁶³⁶ გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციასთან შესაბამისად მიიჩნია აღნიშნული ანგარიშების სახელმწიფოს ბიუჯეტში გადარიცხვის შესაძლებლობა გარკვეული პერიოდის შემდეგ.⁶³⁷

ანალოგიური შინაარსის გადაწყვეტილება გამოიტანა საკონსტიტუციო სასამართლომ იმ საქმეში, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა ავტომფლობელთა სავალდებულო დაზღვევა.⁶³⁸ განმცხადებელი ითხოვდა აღნიშნული რეგულირების გაუქმებას, რადგან მიაჩნდა, რომ სადავო სამართლებრივი აქტი წინააღმდეგობაში მოდიოდა კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან. საკონსტიტუციო სასამართლომ ჯერ მიმოიხილა

⁶³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.52;

⁶³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.53;

⁶³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.54;

⁶³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 16 მაისის #2/102/1 გადაწყვეტილება საქმეზე სერგო გოგეშვილი საქართველოს ეროვნული ბანკის და თანამოპასუხე სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის“ წინააღმდეგ;

⁶³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 16 მაისის #2/102/1 გადაწყვეტილება, 3.1;

⁶³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 16 მაისის #2/102/1 გადაწყვეტილება, 3.2;

⁶³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 31 ოქტომბრის #1/2/106 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ბერიაშვილი და ვიქტორ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

კომპარატივისტული მიდგომა ამ საკითხის გარშემო,⁶³⁹ ზოგადად სამოქალაქო სამართალში კონტრაქტების იძულების პრინციპი⁶⁴⁰ და შემდგომ ამ პერსპექტივაში განიხილა სავალდებულო დაზღვევის ინსტიტუტი. სასამართლოსთვის მნიშვნელოვანი იყო ის გამართლება, რომელიც ზოგადად სადავო ნორმას გააჩნდა და ამგვარად მიჩნეულ იქნა სოციალური რისკების დაბალანსება და შესაბამისი სამოქალაქო პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა.⁶⁴¹ მხედველობაში იქნა მიღებული ის ფაქტი, რომ ავტომანქანა წარმოადგენდა მომეტებული საფრთხის წყაროს და რომ ზიანის მიყენებელს შეიძლებოდა არ ჰქონოდა შესაბამისი რესტიტუციის შესაძლებლობა.⁶⁴²

საკონსტიტუციო სასამართლომ განცხადებით: „სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო კანონით გათვალისწინებული სადაზღვევო შესატანის გადახდის ვალდებულება წარმოადგენს ძალადობას პიროვნების საკუთრებაზე და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გათვალისწინებულ საკუთრების უფლებას, კერძოდ კი მისი პირველი და მესამე პუნქტების შინაარსს. სადავო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სადაზღვევო შესატანის გადახდის ვალდებულება წარმოადგენს სადაზღვევო ხელშეკრულების აუცილებელ პირობას. აქ ადგილი არა აქვს ისეთ ვითარებას, როცა ერთი პირის ვალდებულება რჩება მეორე პირის შემხვედრი ვალდებულების გარეშე. სადავო კანონის მე - 4 მუხლის თანახმად, „... მზღვეველი კისრულობს ვალდებულებას ამ კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში გაათავისუფლოს დაზღვეული იმ მატერიალური პასუხისმგებლობისაგან, რომელიც მას ეკისრება ავტომობილტრანსპორტის ექსპლუატაციის შედეგად დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო“. ასეთი ურთიერთვალდებულების ვითარებაში, შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ირღვევა საკუთრების კონსტიტუციური უფლება. ის ფაქტი, რომ მზღვეველის შემხვედრი ვალდებულება შეიძლება არ დადგეს სადაზღვევო შემთხვევის დაუდგომლობის გამო, ეს გარემოება ურთიერთობის ხასიათს კი არ ცვლის, არამედ უფრო ადასტურებს მას. დაზღვევა ნებაყოფლობითი იქნება თუ სავალდებულო, ყველა შემთხვევაში იგი სადაზღვევო რისკთანაა დაკავშირებული. ამ რისკის მატარებელი კი, ყველა დამზღვევია. სადაზღვევო შემთხვევისას, დამზღვევმა თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობის სანაცვლოდ მზღვეველისაგან შეიძლება გაცილებით მეტი სარგებელი ნახოს, ვიდრე ეს მის მიერ გადახდილი სადაზღვევო შესატანია. ასეთ ვითარებაში არ არსებობს საფუძველი ვილაპარაკოთ საკუთრების, მისი შეძენისა თუ გასხვისების საყოველთაოდ აღიარებული უფლების გაუქმებაზე.“⁶⁴³

საკონსტიტუციო სასამართლომ 2004 წლის 16 ნოემბერს გამოიტანა გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტის დადგენილებასთან

⁶³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 31 ოქტომბრის #1/2/106 გადაწყვეტილება, პ.1;
⁶⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 31 ოქტომბრის #1/2/106 გადაწყვეტილება, პ.2;
⁶⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 31 ოქტომბრის #1/2/106 გადაწყვეტილება, პ.3;
⁶⁴² იქვე;
⁶⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 31 ოქტომბრის #1/2/106 გადაწყვეტილება, პ.5;

დაკავშირებით, რომელმაც ტერიტორიული დათქმა გააკეთა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი ოქმის მოქმედებაზე აფხაზეთის ტერიტორიაზე.⁶⁴⁴ მოსარჩელე სხვა მუხლებთან აცხადებდა, რომ ერღვეოდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით განსაზღვრული საკუთრების უფლება, რადგან არ ეძლეოდა მისი დაცვის შესაძლებლობა. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრ მოსამართლეთა ხმები გაიყო შუაზე და შესაბამისად, სადავო სამართლებრივი აქტი ძალაში დარჩა. გადაწყვეტილება შეიცავდა ორი განსხვავებული პოზიციის დასაბუთებას. ნორმის „არაკონსტიტუციურობის პოზიციისთვის“ განსამსაზღვრელი გამოდგა ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა არ უნდა ყოფილიყო თავად პასუხისმგებლობის გაუქმების საფუძველი.⁶⁴⁵ სასამართლომ დამატებით მიეთითა, რომ⁶⁴⁶ საქართველოს კონსტიტუციის დასახელებული ნორმა საკუთრების უფლების სერიოზულ გარანტიას წარმოადგენს. იგი იცავს მესაკუთრეს სახელმწიფოს მხრიდან არა მხოლოდ უარყოფითი ჩარევებისაგან (როგორცაა მისი გაუქმება, უსაფუძვლო შეზღუდვა ან ჩამორთმევა), არამედ სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას განახორციელოს აქტიური პოზიტიური მოქმედებანი საკუთრების უფლების შინაარსის რეალური გამოვლინები-სათვის. საკუთრების უფლების უზრუნველყოფა ასევე გულისხმობს მის დასაცავად ეფექტური სამართლებრივი მექანიზმების შექმნას. საკუთრების აღიარებას აზრი დაეკარგებოდა და უშინაარსო გახდებოდა, თუკი სახელმწიფო არ მოახდენდა მის უზრუნველყოფას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფო, მართალია, აღიარებდა საკუთრების უფლებას, მაგრამ დროებით უარს ამბობდა მის გარანტიაზე. საკუთრების გარანტიაზე უარის თქმით ფაქტობრივად სახელმწიფო (მართალია გარკვეული ვადით) დევნილებს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მოქმედების მიღმა ტოვებდა. უზრუნველყოფასა და დაცვას მოკლებული საკუთრება ვარდებოდა კონსტიტუციურ-სამართლებრივი სივრციდან. ეს კი ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტის მიზანდასახულობას. ვინაიდან უცნობია ის, თუ როდის აღმოიფხვრება აღნიშნული მიზეზები, სახელმწიფოს მხრიდან ნაკისრი ასეთი ვალდებულება, გარკვეული აზრით, შინაარსდამცრობილი ხდება. მართალია, სახელმწიფო ამ შემთხვევაში მოკლებულია შესაძლებლობას დათქვას უფლების აღდგენის კონკრეტული ვადები, მაგრამ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ დევნილთა უფლებების ასე განუსაზღვრელ ვადასთან მიზმა ვერ უნდა იყოს მისი მხრიდან პოზიტიური ვალდებულების მხარდაჭერის სათანადო გამოხატულება. საკუთრება არ არის ისეთი ფასეულობა, რომ მუდმივად უცვლელ მდგომარეობაში იმყოფებოდეს. დრო საკუთრებას არამარტო წარმოშობს, არამედ სპობს კიდევ. უფლების დაცვის ეკვივალენტური გზები (საშუალებები) ყოველთვის ვერ აღწევს თავის მიზანს

⁶⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 ნოემბრის #1/5/224 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ანზორ თევზაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

⁶⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 ნოემბრის #1/5/224 გადაწყვეტილება, I.3.3;

⁶⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 ნოემბრის #1/5/224 გადაწყვეტილება, I.3.4.5;

და შეუძლებელი ხდება დარღვეული უფლების ძველი სახით გაცოცხლება. მიუძღვება ისეთი მდგომარეობის შექმნა, როცა ვადაში შეიძლება შთაინთქას უფლება.

2004 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილების „კონსტიტუციურობის პოზიციის“ მიხედვით სადავო სამართლებრივი აქტი არ წარმოადგენდა საკუთრების საყოველთაო უფლების გაუქმების კერძო შემთხვევას: „ამ და ხელისუფლების მიერ მიღებული სხვა აქტებიდან ჩანს, რომ საკუთრებას, როგორც უფლებას, რომელიც გათვალისწინებულია კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით სახელმწიფო აღიარებს. რაც შეეხება მის უზრუნველყოფას, ამისი განხორციელება საკუთრების შინაარსის რეალური გამოვლინების აზრით ვერ ხერხდება დევნილთა საცხოვრებელ ადგილას არსებული სეპარატისტული რეჟიმების გამო და არა სადავო ნორმებში მოცემული ფორმულირების გამო მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ კონსტიტუციის 21-ე მუხლი მესაკუთრეს იცავს სახელმწიფოს დაუსაბუთებელი და სამართლებრივად გაუმართლებელი ჩარევისაგან. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფო ფაქტობრივ ვითარებას აფიქსირებს და საკუთრების შინაარსის დაცვის გადავადებას ახდენს. ეს კი არ შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ დაუშვებელ ჩარევად. სადავო ნორმები რომც არ ყოფილიყო, სულერთია, მაინც შეუძლებელი იქნებოდა დევნილთა საკუთრების დაცვა. ეს კი იმას გვაფიქრებინებს, რომ საკუთრების უფლების დაუცველობის მიზეზი ფაქტობრივ სინამდვილეში უნდა ვეძიოთ.“⁶⁴⁷

1.2.10. საკუთრების უფლების ობიექტი და მისი მასშტაბი

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია 21-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფეროს ობიექტი, ანუ ის საგანი ან მატერიალური აქტივი, რომელზეც ვრცელდება საკუთრების უფლება. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, შეიძლება რამდენიმე შემთხვევის მაგალითად გამოყოფა, რომელზეც გავრცელდა საკუთრების უფლება.

2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით განიმარტა აქცია, როგორც კონსტიტუციის 21-ე მუხლის ობიექტი: „აქცია არის სააქციო საზოგადოების ქონებაში მესაკუთრის წილობრივი საკუთრების გამომხატველი და წილზე უფლების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ის არის “წილობრივი ფასიანი ქალაქი” “ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ” კანონის განმარტებით. საკუთრება აქციაზე მატერიალიზებადია აქციის განკარგვის შემთხვევაში, ასევე საზოგადოების ლიკვიდაციისას, რადგანაც ის აძლევს აქციონერს უფლებას მიიღოს ლიკვიდირებული სააქციო საზოგადოების ქონება თავისი წილის შესაბამისად. გარდა ამისა, აქცია აძლევს მის მესაკუთრეს საწარმოს მოგებიდან წილის მიღების უფლებას. ამდენად, აქცია არ არის სავარაუდოდ მისაღები, ვირტუალური შემოსავალი, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე დივიდენდებს შეეხება. ის არის აქციონერის სამართლებრივად განმტკიცებული ქონებრივი უფლებებისა და პოზიციის

⁶⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 ნოემბრის #1/5/224 გადაწყვეტილება, II.3.2;

დამადასტურებელი საბუთი, რომელიც კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულ სიკეთეს წარმოადგენს.⁶⁴⁸

მსგავსად აქციებისა, საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთრების უფლებით დაცულ ობიექტად მიიჩნია „საპრივატიზაციო ბარათები“ და მათი რეტროაქტული შემცირება არაკონსტიტუციურად ცნო.⁶⁴⁹

ერთ-ერთ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულ ობიექტად მიიჩნია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალის წილი.⁶⁵⁰ ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლომ ერთმანეთისგან გამიჯნა შპს-ს ქონება და ქონების წილი და მხოლოდ ეს უკანასკნელი ჩათვალა პარტნიორთა ქონებად სამეწარმეო ურთიერთობებში.⁶⁵¹ მსგავსი მიდგომა აქვს გამოყენებული საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკური პარტიების ქონებასთან მიმართებით.⁶⁵²

2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებაში განიმარტა, რომ საკუთრების უფლება ასევე ვრცელდებოდა მიუღებელ შემოსავალზეც: „ამასთანავე სასამართლო მიუთითებს, რომ ავიაკომპანიათა მომსახურების ტარიფის გადიდება „რეგულირების ყოველწლიური საფასურით“, ლახავს არა მარტო მგზავრთა ინტერესებს, არამედ უარყოფითად მოქმედებს ავიაკომპანიათა შემოსავალზე, რადგან ბილეთის ფასის მატება, ბუნებრივია, ამცირებს მგზავრთა და ტვირთის გამგზავნთა რაოდენობას.“⁶⁵³ აღნიშნული მიდგომა კვლავ დადასტურდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2003 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში.⁶⁵⁴

საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქგაზი“ და „ანაჯგუფი“ (ყოფილი „თბილგაზოპარატი“) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ დაადგინა, რომ საკუთრების უფლება ასევე ვრცელდებოდა მოთხოვნის უფლებაზე და არ იყო შეზღუდული ფიზიკური ნივთებით.⁶⁵⁵

საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთრების უფლებით დაცულ ობიექტად არ მიიჩნია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა შვილების უფლება მიეღოთ

⁶⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება, II.3.9;

⁶⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 19 ნოემბრის #2-2-9 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეები იოსებ იუზას ძე ბიბილური და ლამარა ილიას ასული გელაშვილი საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს წინააღმდეგ, 3.2;

⁶⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 29 იანვრის #2/36-7 გადაწყვეტილება საქმეზე იური კირაკოსიანი, სპირიდონ ვართანიანი, მარტიროს ჩარდუხიანი, პეტრე საფარიანი, სერგო ვართანოვი, ქეთევან ტოტოლაშვილი, ასკან მანუკიანი, როზა პოლოსიანი, სვეტლანა პერეგულო, ნოდარ გიგაშვილი და შოთა მექვაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 3.2;

⁶⁵¹ იქვე;

⁶⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 24 ოქტომბრის #2/94/12 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე გიორგი ყორდანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

⁶⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის #2/1/187-188 გადაწყვეტილება საქმეზე შპს „აირხენა საქართველოს ავიახაზები“ საქართველოს პარლამენტის და საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს წინააღმდეგ, 3.7;

⁶⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 28 იანვრის #2/2/167-202 გადაწყვეტილება, 3.5;

⁶⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის #1/14/184,228 გადაწყვეტილება, 3.2;

შესაბამისი კომპენსაცია. სადავო რეგულირებით თავად დაზარალებულებს დაენიშნათ შესაბამისი ოდენობის შემწეობა, მაშინ როცა მათი შთამომავლების მიმართ იგივე გარანტია გადავადებულ იქნა. საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით: „სასამართლოს კოლეგია ვერ გაიზიარებს მოსარჩელის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, ვინაიდან რეპრესირებული პირებისაგან განსხვავებით მათი შრომისუუნარო შვილებისათვის (ნაშვილებისათვის) პენსიის ოდენობის, მისი დანიშვნის ვადის დადგენა ან გადავადება ბიუჯეტის შესაძლებლობებიდან გამომდინარეობს, სახელმწიფოს უფლებას წარმოადგენს და საკონსტიტუციო სასამართლო ვერ განიხილავს მისი კონსტიტუციურობის საკითხს.“⁶⁵⁶

ერთ–ერთ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა დანიშნული სპეციალური პენსიის გაუქმების და შემცირების საკითხი.⁶⁵⁷ სასამართლოს განცხადებით, აღნიშნული არ იყო დაცული კონსტიტუციის 21–ე მუხლით და სახელმწიფოს დისკრეციის ფარგლებში მოსაწესრიგებელ სოციალურ უფლებებს განეკუთვნებოდა. სასამართლოს მოსაზრებიდან დასტურდება, რომ ამ უკანასკნელი კატეგორიის ფარგლებში შესაძლებელია გარკვეულ საკითხებზე საკუთრების უფლების დაცვის სტანდარტის გავრცელება, მაგრამ არ მომხდარა აღნიშნულის დაზუსტება: „სასამართლო მიუთითებს, რომ საპენსიო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები სოციალური უფლებების კატეგორიას განეკუთვნება. საქართველოს კონსტიტუციის 21–ე მუხლით კი აღიარებულია საკუთრების საყოველთაო უფლება, რომელიც ადამიანის პირადი უფლებაა. იმავდროულად მას აქვს ეკონომიკური ხასიათი, ამიტომ რიგი სოციალური უფლებების ხელყოფაზე, ხელყოფის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება გავრცელდეს კონსტიტუციის 21–ე მუხლის ფარგლები. თუმცა მოცემული დავის ფარგლებში არ გამოიკვეთა სადავო ნორმების მიმართება კონსტიტუციის 21–ე მუხლით აღიარებულ უფლებასთან. საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კონკრეტული კატეგორიის მოქალაქეებისათვის პენსიის ოდენობის შემცირება ან გაზრდა ხდება სახელმწიფოს მიხედულების მიხედვით. იმავდროულად სოციალური უფლებების უზრუნველყოფა დამოკიდებულია სახელმწიფოს ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, არსებულ რესურსებზე. ამიტომ პენსიის ოდენობის მიზანშეწონილობის საკითხს არავითარი მიმართება არ აქვს საკუთრების საყოველთაო უფლებასთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოირიცხება სადავო ნორმების მიმართება კონსტიტუციის 21–ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებთან, რაც შესაძლებლობას მისცემდა სასამართლოს არსებითად განეხილა საკითხი.“⁶⁵⁸

2000 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ განსაზღვრა საკუთრების უფლების მასშტაბი.⁶⁵⁹ კონკრეტული საქმე შეეხებოდა

⁶⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 18 მარტის #2/7/225 განჩინება საქმეზე მოსარჩელე გურამ სოსელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

⁶⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 29 მარტის #2/7/365,371 განჩინება საქმეზე მოსარჩელები – ომარ შერაზადიშვილი, თამაზ კოლუა, ვახტანგ რაზმაძე, რევაზ ყიფიანი, გიორგი ნადარეიშვილი და ნუგზარ სოტკილავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

⁶⁵⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 29 მარტის #2/7/365,371 განჩინება, პ.1;
⁶⁵⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 25 იანვრის #1/1/107 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეები ლელა ინწორველი და ეკატერინე ჩაჩანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

ნოტარიუსთა გადასახადებით დაბეგვრის კონსტიტუციურობას. მოპასუხე აპელირებდა, რომ ნოტარიუსთა საკუთრების უფლება ვრცელდებოდა მხოლოდ იმ შემოსავალზე, რომელიც მათ რჩებოდათ დაბეგვრის შემდეგ. სასამართლომ მიიჩნია, რომ საკუთრებას შეადგენდა სანოტარო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით მიღებული ყველა შემოსავალი (როგორც დაბეგვრამდე, ისე დაბეგვრის შემდეგ).⁶⁶⁰

1.2.11. საკუთრების უფლების სახელშეკრულებო-სამართლებრივი ასპექტები

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა სასაქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულება, რომელიც ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების შესაძლებლობას იძლეოდა დასაჩუქრებულის მიერ გამოვლენილი დიდი უმადურობის ან მძიმე შეურაცხოვის შემთხვევაში.⁶⁶¹ მოსარჩელის განცხადებით, აღნიშნული რეგულირება ეწინააღმდეგობოდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს. საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა აღნიშნული მოთხოვნა. პირველ რიგში აღინიშნა, რომ სანივთო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი იყო ვალდებულებითი სამართალი. სასამართლოს არგუმენტაციით, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება გაგრძელებულიყო სანივთო უფლებების წარმოშობის შემდეგაც: „როგორც ნაჩუქრობის შემთხვევიდან გამოჩნდა, საკუთრების უფლება სხვადასხვა სამართლებრივად ანგარიშგასაწევი საფუძველით შეიძლება დაკავშირებული (მიბმული) იყოს იმ სახელშეკრულებო ურთიერთობასთან, რომლის საფუძველზეც იგი წარმოიშვა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სახელშეკრულებო თავისუფლების შინაარსიდან გამომდინარე შესაძლებელია ახალი საკუთრების შემდგომი სამართლებრივი კავშირ-ურთიერთობა მისი წარმოშობის წყაროსთან.“⁶⁶²

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაკუთრებით აღინიშნა ის ფაქტი, რომ ჩუქების სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელიც თავის მხრივ ეფუძნებოდა ეთიკურ ნორმებს, გრძელდებოდა საკუთრების დასაჩუქრებულისთვის გადაცემის შემდეგაც. შესაბამისად, დასაჩუქრებულის მოთხოვნის უფლება მიეღო უკან საჩუქრის ობიექტი, განხილულ იქნა არა როგორც საკუთრების უფლების შეზღუდვა ან ჩამორთმევა, არამედ სახელშეკრულებო ურთიერთობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულების შედეგი.⁶⁶³ სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ დასაჩუქრებულმა წიანასწარ იცის, უმადურობის ჩადენის შემთხვევაში მას შეიძლება მოუწიოს ნივთის უკან დაბრუნება.⁶⁶⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, ამგვარი უკან დაბრუნების ვადა არ იყო პირობადადებული განსაზღვრული ვადით, მაგრამ სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებიდან გამომდინარე ვერ

⁶⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 25 იანვრის #1/1/107 გადაწყვეტილება, 3.5;

⁶⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 1 აპრილის #2/155 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე აკაკი საღირაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

⁶⁶² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 1 აპრილის #2/155 გადაწყვეტილება, 3.2;

⁶⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 1 აპრილის #2/155 გადაწყვეტილება, 3.3;

⁶⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 1 აპრილის #2/155 გადაწყვეტილება, 3.5;

იმსჯელა აღნიშნულის გარშემო.⁶⁶⁵

აღნიშნული მიდგომა დააფიქსირა საკონსტიტუციო სასამართლომ, როდესაც იხილავდა პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის ქონების გადაცემის შემდეგ მასზე საკუთრების უფლების დაკარგვის კონსტიტუციურობის საკითხს.⁶⁶⁶ სასამართლოს განცხადებით, ამ შემთხვევაში გვხვდებოდა პარტნიორის ნებაყოფლობითი ქმედება, რითაც იგი ახდენდა ქონების განკარგვას, რეალიზაციას, ეს კი გამორიცხავდა საკუთრების უფლების ხელყოფის შესაძლებლობას.⁶⁶⁷

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის კონსტიტუციურობა.⁶⁶⁸ საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა სხვადასხვა სახელშეკრულებო სტანდარტები, რომლებსაც უნდა პასუხობდნენ საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული გარიგებები.

სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო აქტის მეორე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვითაც მხარეებს შორის ურთიერთობის წერილობითი დოკუმენტით მოწესრიგების შემთხვევაში, რომელიც აღიარებდა საცხოვრებელი სადგომის ნასყიდობას კანონის მიერ იმპერატიული ფორმის დაუცველად, იურიდიულ ძალას ინარჩუნდებდა და შემძენი ითვლებოდა მესაკუთრედ. საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ 1996 წლამდე მოქმედი კანონმდებლობა იძლეოდა შესაძლებლობას, რომ საკუთრების უფლება გასხვისებულიყო და ამისთვის ადგენდა შესაბამის ფორმას,⁶⁶⁹ რომლისგან გადახვევაც შეეძლო მხოლოდ სასამართლოს, ნების გამოვლენის ნამდვილობის დადგენის შემთხვევაში.⁶⁷⁰ ამ ფონზე საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ სადავო რეგულირება: „ვერ თავსდება „ზოგად იურიდიულ ასპექტებში“ და რეალურ საფრთხეს უქმნის საკუთრებას, რომელიც აღიარებული და უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით. სპეციალური სამართლებრივი მოწესრიგება არ უნდა მოასწავებდეს სამართლის შესაბამისი დარგის სფეროდან გასვლას და ძირითადი პრინციპების იგნორირებას.“⁶⁷¹

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონი ადგენდა საკუთრების მეორე ფორმას, რომელიც მოიხსენიებოდა როგორც „ატსტუპნოი“. ამ შემთხვევაში ბინის მესაკუთრე იღებდა გარკვეულ თანხას მოსარგებლისგან და სანაცვლოდ უთმობდა საცხოვრებელ სადგომს. თანხის გადახდამდე აღნიშნულ ბინაში ცხოვრობდნენ მოსარგებლები. კანონმა დაადგინა შესაძლებლობა, რომ მათ სხვადასხვა

⁶⁶⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 1 აპრილის #2/155 გადაწყვეტილება, პ.6;

⁶⁶⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 29 იანვრის #2/36-7 გადაწყვეტილება, პ.1;

⁶⁶⁷ იქვე;

⁶⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივნისის #1/1/103,117,137,147-48,152-53 გადაწყვეტილება;

⁶⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივნისის #1/1/103/117/137/147-48,152-53 გადაწყვეტილება, პ.3.1;

⁶⁷⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივნისის #1/1/103/117/137/147-48,152-53 გადაწყვეტილება, პ.3.3;

⁶⁷¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივნისის #1/1/103/117/137/147-48,152-53 გადაწყვეტილება, პ.3.5;

დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ დაედგინათ კონკრეტულ სადგომზე საკუთრების უფლება. საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციასთან შესაბამისად მიიჩნია აღნიშნული რეგულირება, რადგან ამ შემთხვევაში ფაქტი ექვემდებარებოდა დამტკიცებას და დამყარებული იყო მხარეთა ნების თავისუფალ გამოვლენაზე.⁶⁷²

ამ საქმეში სადავო აქტის ერთი დებულების მიხედვით, სახელმწივრულებო პირობების დარღვევის შემთხვევაში მესაკუთრეს შეეძლო მხოლოდ ნამატი ფართობის გათავისუფლება. საკონსტიტუციო სასამართლომ პირველ რიგში განასხვავა აღნიშნული რეგულირება ქირავნობის ხელშეკრულებისგან და დიფერენცირება სანივთო სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებით ახსნა.⁶⁷³ უძრავი ქონების არსებობა განაპირობებდა მფლობელისთვის დამატებითი ქონებრივი უფლებების მინიჭებას. სასამართლოს განცხადებით, ამ შემთხვევაში დაცული უნდა ყოფილიყო მოსარგებლის და მესაკუთრის ინტერესებს შორის გონივრული ბალანსი. ზემოაღნიშნული სადავო დებულება, სასამართლოს განცხადებით, მოსარგებლის სასარგებლოდ არღვევდა ამგვარ თანასწორობას, მაგრამ სადავო ნორმა არ გააუქმდა მესაკუთრის ინტერესებიდან გამომდინარე.⁶⁷⁴ კანონი ამ შემთხვევაში ადგენდა უფლებების ჩამონათვალს და შესაბამისად, სადავო აქტის გაუქმებით ისედაც დარღვეული ბალანსი, უფრო მეტად იქნებოდა ხელყოფილი.

ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ დარღვეული იყო სამართლიანი ბალანსი მესაკუთრეს და მოსარგებლეს შორის, როდესაც სადავო რეგულირების მეხუთე მუხლის მიხედვით ქონების მესაკუთრეს ხელშეკრულების შეწყვეტა შეეძლო ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის შეძენის ან კომპენსაციის მიცემის შემთხვევაში.

სასამართლოს განცხადებით: „ეს მუხლი ითვალისწინებს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის ხელშეკრულების შეწყვეტის ისეთ პირობას, რომელიც სცილდება საკუთრების შებოჭვის სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულ დასაშვებ ფარგლებს. ამ შემთხვევაში მოსარგებლის სასარგებლოდ საცხოვრებელი სადგომის ყიდვის ან მისი ღირებულების კომპენსაციის მესაკუთრეზე დაკისრება ფაქტობრივად აბათილებს და არარად აქცევს ხელშეკრულების შეწყვეტის შესაძლებლობას და მესაკუთრეს ვალდებულს ხდის გამოისყიდოს თავისივე საკუთრება. სასამართლო კოლეგია თვლის, რომ მე-5 მუხლით დარღვეულია ის სამართლიანი ბალანსი, წონასწორობა, რომელიც უნდა არსებობდეს საკუთრების უფლების დაცვასა და საერთო ინტერესებს შორის. მართალია, კანონმდებელს არა აქვს უფლება უყურადღებოდ დატოვოს მოსარგებლის ინტერესები, მაგრამ დაუშვებელია ერთი პირის უფლების დაცვის მოტივით მეორის უფლებათა დარღვევა. ყველა შემთხვევაში დაცული უნდა იყოს თანაზომიერების პრინციპი. ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ უნდა დაადგინოს ისეთი სამართლებრივი წესრიგი, რა დროსაც საკუთრების უფლება დაიტვირთება მინიმალურად და

⁶⁷² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივნისის #1/1/103/117/137/147-48,152-53 გადაწყვეტილება, პ.4;

⁶⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივნისის #1/1/103/117/137/147-48,152-53 გადაწყვეტილება, პ.5;

⁶⁷⁴ იქვე;

თავის თავს გამოავლენს მაქსიმალური სახით.⁶⁷⁵

კანონის მე-7 მუხლის მიხედვით, თუკი საცხოვრებელი სადგომი მწვავე ავარიული იყო, მესაკუთრეს შეეძლო მისი აღდგენა ან დაშლა, ოღონდ იმ პირობით, რომ ალტერნატიული ფართი ანდა კომპენსაცია უნდა გადაეცა მესაკუთრისთვის. საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, ასეთი სამართლებრივი ვალდებულება სცილდებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმალურ, სამართლიანი ვალდებულების ფარგლებს და ამკარად არღვევდა მესაკუთრის კონსტიტუციურ უფლებას. ამგვარი შინაარსის ნორმა დაუსაბუთებლად აყენებდა მოსარგებლეს პრივილეგიურ მდგომარეობაში.⁶⁷⁶

სადავო სამართლებრივი რეგულირების მიხედვით დადგენილი იყო ფიქსირებული ქირა, რომელსაც იხდიდა მოსარგებლე მესაკუთრის სასარგებლოდ. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ფიქსირებული ქირა გონივრულ, სამართლიან შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ორივე მხარის ინტერესებთან.⁶⁷⁷

1.2.12. საკუთრების უფლების ნეგატიური კონსტიტუციური კონტროლი

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, სასამართლო საკუთრების უფლებასთან მიმართებით იხილავს მხოლოდ ნეგატიური კონსტიტუციური კონტროლის შესაბამისად შედგენილ სარჩელებს. ყოველგვარი ისეთი მოთხოვნა მოსარჩელეთა მხრიდან, რომელიც ეხება სადავო ნორმის პოზიტიურ სამართლებრივ განვრცობას (ანდა ახლის შექმნას) არ დაკმაყოფილდა.⁶⁷⁸

1.2.13. შეჯამება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით საკუთრების უფლების დაცულ სფეროსთან დაკავშირებით შესაძლებელია შემდეგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების იდენტიფიცირება:

- საკუთრების უფლება განიხილება როგორც ღირსების უფლებიდან მომდინარე უმნიშვნელოვანესი უფლება;
- საკუთრების უფლება არის უფლება, რომელიც ექვემდებარება განსაზღვრებას. სახელმწიფოს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე

⁶⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივნისის #1/1/103/117/137/147-48,152-53 გადაწყვეტილება, პ.7;

⁶⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივნისის #1/1/103/117/137/147-48,152-53 გადაწყვეტილება, პ.10;

⁶⁷⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივნისის #1/1/103/117/137/147-48,152-53 გადაწყვეტილება, პ.6;

⁶⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 30 აპრილის #1/2/204 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე გრიგოლ კარგინი საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 19 თებერვლის #1/3/273 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნელი ნებიერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

მუხლიდან გამომდინარე აქვს ვალდებულება, შექმნას საკუთრების უფლების ისეთი შინაარსი, რომელიც კონსტიტუციურ სამართლებრივ მოთხოვნების შესაბამეა და დამატებით დაცული იქნება ამავე მუხლის მეორე და მესამე პუნქტებით დადგენილი რეგულირებები;

- 21-ე მუხლის პირველი პუნქტი შესაძლებლობას იძლევა საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე საკუთრებაზე დაწესდეს კონტროლი, მეორე პუნქტი ნებას რთავს სახელმწიფოს, კანონის შესაბამისად შეზღუდოს საკუთრების უფლება აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე და ამ მიზნით შესაძლებელია კონკრეტული უფლების ჩამორთმევა მესამე პუნქტის შესაბამისად;
- საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი ვრცელდება საჯარო და კერძო სამართალურთიერთობებზე;
- საკუთრების უფლება ორ კომპონენტია და შედგება ნეგატიური და პოზიტიური ასპექტებისგან;
- საკუთრების უფლების საფუძველია მისი კანონიერად შექმნის ფაქტი;
- საკონსტიტუციო სასამართლოს მრავლად აქვს განხილული ისეთი საკითხები, რომლებიც მომდინარეობდნენ საქართველოს სახელმწიფო სამართლიდან და უმეტეს შემთხვევაში გამოყენებულ იქნა ერთიანი მიდგომა, რომლის მიხედვითაც აუცილებელი იყო მხარეთა შორის გონივრული და სამართლიანი ბალანსის დაცვა;

2. სუბიექტები

საკონსტიტუციო სასამართლო საკუთრების უფლებას უკავშირებს ადამიანის ღირსებას და ამ უკანასკნელს განიხილავს როგორც მნიშვნელოვან ადამიანურ ღირებულებას. მაგრამ იქვე უთითებს, რომ საკუთრების კონსტიტუციური გარანტიის სარგებლობისთვის აუცილებელია კონკრეტული პირი წარმოადგენდეს უფლების სუბიექტს.⁶⁷⁹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განხილულ ერთ-ერთ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა უცხოელთათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების არარსებობა. საკონსტიტუციო სასამართლომ პირდაპირ მიუთითა, რომ უნივერსალური ხასიათის ადამიანის უფლებები წარმოადგენდნენ ადამიანის თანდაყოლილ გარანტიებს, რომლებიც ადამიანს თავისთავად უკავშირდებიან.⁶⁸⁰ საკონსტიტუციო სასამართლომ ამ ტიპის უფლებად მიიჩნია საკუთრების უფლება და პირდაპირ განსაზღვრა იმ სუბიექტთა წრე, რომლებიც სარგებლობენ შესაბამისი დაცული სფეროთი განსაზღვრული გარანტიებით:

„კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებული უფლება ეკუთვნის ყველას და კონსტიტუციური ნორმა არ განსაზღვრავს უფლების სუბიექტთა

⁶⁷⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.41;

⁶⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.43;

ექსკლუზიურ წრეს, მათ შორის მოქალაქეობის ნიშნით. საკუთრების უფლების საყოველთაო ხასიათი განმტკიცებულია სხვადასხვა საერთაშორისო აქტებით, მათ შორის გაეროს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით“, ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით“ და სხვ. საერთაშორისო აქტები მიუთითებენ, რომ საკუთრება „ყველას“ უფლებაა და არ არის დაკავშირებული ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქეობასთან. თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს გაგება ეწინააღმდეგება საკუთრების უფლების სუბიექტის დასადგენად მოქალაქეობის ვიწრო კრიტერიუმის გამოყენებას. თანამედროვე სახელმწიფო ამ კონტექსტში ტერიტორიულ და სამართლებრივ საფუძვლებს ემყარება. აქედან გამომდინარე, ინდივიდის განხილვა საკუთრების უფლების სუბიექტად უკავშირდება იმ უბრალო ფაქტს, რომ იგი ადამიანია და არ არის დამოკიდებული მის მოქალაქეობრივ კუთვნილებაზე.“⁶⁸¹

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე იმპლიციტურად მიუთითა, რომ საკუთრების უფლება კონსტიტუციიდან გამომდინარე ვრცელდებოდა როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე.⁶⁸² ერთ საქმეში დამატებით დაზუსტდა აღნიშნული და ხაზი გაესვა იურიდიული პირის და მისი დამფუძნებლების ქონების გამიჯვნის საკითხს: „საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის მიხედვით, კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე. შპს, რომელიც ნებაყოფლობით ყალიბდება თვითონ ხდება შეტანილი ქონების მესაკუთრე და მას ისევე იცავს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი, როგორც ნებისმიერ ფიზიკურ პირს. ქონება, რომელიც პარტნიორებმა შეიტანეს საზოგადოებაში არ ქმნის მათ საერთო საკუთრებას და ამ ქონებაზე არ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით საერთო საკუთრებისათვის დადგენილი ნორმები. იურიდიული პირის ქონება, იურიდიული პირის, როგორც სამართლის სუბიექტის საკუთრებაა და არა მისი დამფუძნებლების, ან მასში მონაწილეების. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი საკუთრების გარეშე დარჩება...“⁶⁸³

საკონსტიტუციო სასამართლოს დამატებით და სპეციალურად აქვს განმარტებული საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით განსაზღვრული მემკვიდრეობის უფლების სუბიექტები და აღნიშნული გულისხმობს მამკვიდრებელს და მემკვიდრეს.⁶⁸⁴

საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ–ერთ საქმეში დაადგინა, რომ საერთო საკუთრების მესაკუთრეები, პროფკავშირების წევრები, წარმოადგენდნენ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის სუბიექტებს: „მოსარჩელები საქართველოს მოქალაქეები, ფიზიკური პირები, ისინი საბჭოეთის დროიდან საქართველოს პროფესიული კავშირების წევრები არიან და, საერთოდ, როგორც ყოფილი საკავშირო პროფსაბჭოდან მიღებული, ისე საკუთრივ

⁶⁸¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.44;

⁶⁸² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.67;

⁶⁸³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 29 იანვრის #2/36–7 გადაწყვეტილება, პ.1;

⁶⁸⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.76;

საქართველოს პროფკავშირული ქონების მიმართ მათ პროფკავშირების სხვა წევრებთან ერთად აქვთ საკუთრების უფლება, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებით გამოიხატება. ქონების განკარგვის უფლებამოსილება ასეთ შემთხვევაში სათანადო ორგანოებში არჩეული წარმომადგენლობის მეშვეობით ხორციელდება.⁶⁸⁵

ერთ-ერთ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე გადასაწყვეტ საგანს წარმოადგენდა ყოფილი „დოსაავის“ თანამშრომელთა სარჩელის საფუძვლიანობა.⁶⁸⁶ მოსარჩელები ითხოვდნენ იმ ნორმატიული აქტის გაუქმებას, რომლითაც „დოსაავის“ ქონება მთლიანად გადაეცა სახელმწიფო გვარდიას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, რითაც დაირღვა მათი საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული უფლება. საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე დავის საგანს წარმოადგენდა სწორედ საკუთრების შესაძლო უფლება „დოსაავის“ ქონებაზე. მოსამართლეთა აზრი შუაზე გაიყო აღნიშნულ საქმეში. „კონსტიტუციურობის პოზიციის“ მიხედვით არც წესდებაში და არც სხვა რომელიმე ნორმატიულ აქტში არ იყო განსაზღვრული, რომ „დოსაავის“ თანამშრომლებს ჰქონდათ საკუთრების უფლება კონკრეტულ ქონებაზე, შესაბამისად, მათი აზრით, არ ირღვეოდა კონსტიტუცია.⁶⁸⁷ მოსამართლეთა მეორე ნაწილი („არაკონსტიტუციურობის პოზიცია“) დაეყრდნო იმ პოზიციას, რომლის მიხედვითაც საკუთრების უფლება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ინდივიდუალური და საერთო (თანაზიარი და წილადი) საკუთრებით, არამედ ასევე მოაზრებოდა „საკუთრებითი უფლებამოსილებანი“. აღნიშნული მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლოს ორმა მოსამართლემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ წევრთა შენატენებით ხდებოდა „დოსაავის“ მთლიანი საკუთრების წარმოშობა და ასევე მიეთითა მათ უფლებაზე ესარგებლათ ამ ქონებით.⁶⁸⁸ „არაკონსტიტუციურობის პოზიციის“ მიხედვით ამ შემთხვევაში იგივე რეჟიმი უნდა გავრცელებულიყო, რაც 1998 წლის 15 ივლისის #1/6-58,60,62,67 გადაწყვეტილებაში პროფკავშირების წევრთა მიმართ.

საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე სარჩელის წარდგენის უფლება აქვს მხოლოდ საკუთარი სახელით მოქმედ პირებს. ფიზიკურ და იურიდიულ პირთა სასარგებლოდ ყოველგვარი *actio popularis* სამართალწარმოება გამოირიცხება.⁶⁸⁹

⁶⁸⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 15 ივლისის #1/6-58,60,62,67 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეები ირაკლი ტულუში, ლონდა სიხარულიძე, ზურაბ დიდიშვილი, ვალერიან რევიშვილი, სიმონ ხომტარია, დავით ჯანგულაშვილი და რუსუდან ბოკუჩავა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;

⁶⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 25 დეკემბრის #1/3/113 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეები – ლევან შარაშენიძე, დავით წიკლაური, თენგიზ გაჩეჩილაძე და თენგიზ ჩხაიძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;

⁶⁸⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 25 დეკემბრის #1/3/113 გადაწყვეტილება, პ.1;

⁶⁸⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 25 დეკემბრის #1/3/113 გადაწყვეტილება, პ.2;

⁶⁸⁹ *inter alia*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 10 მარტის #1/2/42,63 განჩინება საქმეზე (1) გიორგი გიგიბერია და (2) შალვა მგელაძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის #2/4/490 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნიაზ მიქელაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.პ.5;

3. უფლების შეზღუდვის საფუძვლები

3.1. საკუთრების უფლების შეზღუდვის ზოგადი საფუძვლები და კრიტერიუმი

საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, საკუთრების უფლება არ არის აბსოლუტური და შესაძლებელია მისი რეგულირება და შეზღუდვა კონსტიტუციით განსაზღვრული წესით. სასამართლოს პრეცედენტების მიხედვით დგინდება, რომ უფლებით დაცულ სფეროში ჩარევას განაპირობებს საკუთრების ობიექტის სოციალური მნიშვნელობის მასშტაბი.⁶⁹⁰ ხოლო შეზღუდვის გამართლების კონსტიტუციური სტანდარტი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ შეზღუდვის რომელი ფორმაა გამოყენებული სახელმწიფოს მიერ, ანუ სანამ უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის პროპოციულობა შეფასდება, უმნიშვნელოვანესია, გაირკვეს თავად შეზღუდვის ბუნება.⁶⁹¹

სასამართლოს პრაქტიკით დეტალურად არის ახსნილი ის ფაქტი, თუ რატომ არის საკუთრების უფლება არააბსოლუტური და ექვემდებარება შესაბამის შეზღუდვას: „დემოკრატიული ქვეყნების სამართალი საკუთრების და მესაკუთრის იზოლირებულად არ განიხილავს, არამედ – მხოლოდ განსაზღვრული მართლწესრიგის პირობებში. ის მართლწესრიგებიც კი, რომლებიც საკუთრების თავისუფლებისა და შეუზღუდელობის იდეით დამკვიდრდნენ ისტორიაში, არ იცნობენ აბსოლუტურად შეუზღუდავ საკუთრებას. ასეთია თვით რომის სამართალიც. საკუთრებას სოციალურ სახელმწიფოში, მესაკუთრის კერძო ინტერესების დაკმაყოფილების პარალელურად, აქვს სოციალური ფუნქცია. სამართალი ვერ იქნება გულგრილი საკუთრების სოციალური დატვირთვისადმი, რადგან სწორედ აქ მჟღავნდება საკუთრების მიერ შესასრულებელი ამოცანა, მისი ადგილი, როლი და მნიშვნელობა. ამიტომ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო ერთნაირად მოითხოვს როგორც კერძო საკუთრების თავისუფლებას, ისე მისი შეზღუდვის აუცილებლობას საჯარო მიზნებისთვის.“⁶⁹²

საკონსტიტუციო სასამართლოს პირდაპირ აქვს განსაზღვრული ის სტანდარტი, რომლის ფარგლებშიც ხდება საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის კონსტიტუციურობის შეფასება: „სადავო ნორმის კონსტიტუციის 21-ე მუხლთან შესაბამისობაზე მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა მოახდინოს 21-ე მუხლის განმარტება იმის გასარკვევად, მოხდა თუ არა ჩარევა ამ მუხლით დაცულ სიკეთეში, რა ფორმისაა ჩარევა, განხორციელდა თუ არა იგი კონსტიტუციის მოთხოვნათა დაცვით და თავსდება თუ არა კონსტიტუციურ-სამართლებრივ ფარგლებში. “მეწარმეთა შესახებ” კანონის 53³ მუხლის კონსტიტუციურობის შეფასებისას, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის სამართლებრივ საზომს წარმოადგენს კონსტიტუციის 21-ე მუხლი, მისი მოთხოვნები და ის კონსტიტუციურ-

⁶⁹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება, II.3.8;

⁶⁹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.46;

⁶⁹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.3.8;

სამართლებრივი დატვირთვა, რომელიც საკუთრებას აქვს. რაც შეეხება კანონმდებლის მიერ ჩამოყალიბებულ საკუთრების შინაარსსა და ფარგლებს, ეს არის საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასების ობიექტი და არა კრიტერიუმი, რომლითაც შეფასება უნდა განხორციელდეს.⁶⁹³

საკონსტიტუციო სასამართლოს გამიჯნული აქვს ერთმანეთისგან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმით და საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული სტანდარტებით: „სასამართლო მიიჩნევს, რომ, თუ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შემთხვევაში, გარკვეული პირობების არსებობისას, შესაძლებელია კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული საკუთრებისა და მასთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა, ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მე-2 აბზაცით გათვალისწინებულია არა საკუთრების უფლების შეზღუდვა, არამედ სახელმწიფოს უფლება საკუთარი მიხედვლებით, „საერთო ინტერესების“ შესაბამისად, განხორციელოს საკუთრებით სარგებლობაზე კონტროლი, ასევე უზრუნველყოს გადასახადების, მოსაკრებლებისა და ჯარიმების გადახდა. ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორ დამოუკიდებელ უფლებასთან, რომელთა შორისაც უნდა არსებობდეს ე.წ. „სამართლიანი წონასწორობა“, ასევე, „გონივრული თანაზომიერება“ დასახულ მიზანსა და სახელმწიფოს მიერ თავისი უფლებების განხორციელების საშუალებებს შორის, რათა არ მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საერთო შინაარსის ნორმის დარღვევა.“⁶⁹⁴

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი სამი პუნქტისგან შედგება⁶⁹⁵ და თითოეული მათგანი შეიცავს საკუთრების უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას.⁶⁹⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებული აქვს სამივე შემთხვევა.

საქმის განხილვისას, როდესაც მოსარჩელები არ უთითებენ კონკრეტულად, თუ საკუთრების უფლებაში ჩარევის რომელი საფუძველი გამოიყენება და მთლიანად 21-ე მუხლს მიემართება ნორმის არაკონსტიტუციურობის მოთხოვნა, საკონსტიტუციო სასამართლო პირველ რიგში განსაზღვრავს შესაბამის სტანდარტს, რომელთან მიმართებითაც შემდეგ მოხდება ნორმის კონსტიტუციურობის შეფასება. ამ მხრივ საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს ორი მიდგომა:

- (1) „მსჯელობა ჩარევის სიმძიმის მიხედვით“ – როდესაც ჯერ მოწმდება, ჩარევა რამდენად აკმაყოფილებს საკუთრების ჩამორთმევის შემთხვევას და უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მისი საკუთრების უფლების

⁶⁹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება, II.3.4;

⁶⁹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება, 3.1;

⁶⁹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 30 ოქტომბრის #2/1/17 გადაწყვეტილება საქმეზე შპს “კოლხის” დამფუძნებელი თენგიზ სუდაძე ქ.ფოთის მერიის წინააღმდეგ, 3.1;

⁶⁹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება, 3.1;

შეზღუდვის ფარგლებში განხილვა ხდება;⁶⁹⁷

- (2) „სადავო რეგულირების შეფასება“ – როდესაც მხედველობაში მიიღება სადავო აქტის რეგულირება და მისი არსის და შინაარსის შესაბამისად ხდება კონსტიტუციის 21-ე მუხლის შესაბამისი პუნქტის შერჩევა.⁶⁹⁸

ერთ-ერთ საქმეში, როდესაც მოსარჩელე ერთი და იგივე რეგულირებას განიხილავდა, როგორც საკუთრების უფლების ჩამორთმევას, ისე შეზღუდვას, საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო კონსტიტუციურ სარჩელს არსებითად განსახილველად.⁶⁹⁹

3.2. უფლების შეზღუდვა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ფარგლებში

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მსგავსად საკონსტიტუციო სასამართლომ გამართლებულად ჩათვალა საკუთრების უფლების შეზღუდვა კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ფარგლებში, როდესაც გამოყენებული ღონისძიება ემსახურება „საერთო ინტერესებს“.⁷⁰⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია მიუთითებს სახელმწიფოს უფლებაზე, გაუწიოს კონტროლი, ანუ შედამხედველობა, საკუთრების გამოყენებას, მისი „საერთო ინტერესებთან“ შესაბამისობის შემოწმებისა და დადგენის მიზნით, რომლის ქვეშ სასამართლო მოიაზრებს სახელმწიფოს საერთო მისწრაფებას, იბრძოლოს კორუფციისა და სხვა უმძიმესი თანამდებობრივი დანაშაულების წინააღმდეგ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პირველი პუნქტის შესაბამისად, შესაძლებელია საკუთრების უფლების კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან. საკონსტიტუციო სასამართლოს განსაზღვრული აქვს ის ტესტი, რომლითაც ექვემდებარება გადამოწმებას საკუთრების უფლებაში ამგვარი ჩარევა: „იმისათვის, რომ სახელმწიფოს მხრიდან საკუთრების კონტროლი შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ საკუთრების კონსტიტუციური დაცვის ფარგლებს, ამ კონტროლის მიზნებთან ერთად უნდა არსებობდეს გონივრული თანაზომიერება, პროპორციულობა მისი განხორციელების საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.“⁷⁰¹

ამ ფონზე სასამართლომ გამართლებულად ჩათვალა კორუფციულ დანაშაულში ბრალდებული პირის უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების

⁶⁹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება, II.3.10;

⁶⁹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.3.9;

⁶⁹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 22 მარტის #2/1/481 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნინო ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.14;

⁷⁰⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება, 3.2;

⁷⁰¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება, 3.3;

ჩამორთმევა.⁷⁰²

ზემოაღნიშნული საფუძვლის გარდა, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე და მესამე პუნქტების შესაბამისად, შეიძლება საკუთრების უფლების შეზღუდვა და ჩამორთმევა. აღნიშნული წარმოადგენს დაცულ სფეროში ჩარევის დამოუკიდებელ და ინდივიდუალურ საფუძვლებს.

3.3. საკუთრების უფლების ჩამორთმევა

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა საკუთრების ჩამორთმევის ინსტიტუტი, რომელიც განსაზღვრულია კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტით. საკუთრების ჩამორთმევას ახასიათებს ფორმალურ-სამართლებრივი და მატერიალურ სამართლებრივი თავისებურებები, რაც განსაზღვრავს მის შინაარსს და ასევე განსხვავებს შეზღუდვის შემთხვევისგან.⁷⁰³ 21-ე მუხლის მესამე პუნქტი ეხება ექსპროპრიაციის შემთხვევებს, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონით „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“.⁷⁰⁴

ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ეს სამართალური თეორია საჯარო სამართლებრივია და არ გულისხმობს ჰორიზონტალური კერძო სამართლებრივი სფეროს რეგულირებას. საკუთრების ჩამორთმევისას წარმოდგენილია სახელისუფლებო აქტი, რომელიც სახელმწიფოს პირდაპირ ან ირიბ მონაწილეობას უსვამს ხაზს და საკუთრების ჩამორთმევას უკავშირებს მხოლოდ იმ შემთხვევას, როდესაც აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან ან გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე მიიღწევა საჯარო ინტერესები.⁷⁰⁵ შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთრების ჩამორთმევად არ განიხილა შემთხვევები, როდესაც მინორიტარ აქციონერებს ეკისრებოდათ ვალდებულება, მიეყიდათ თავიანთი აქციები მაჟორიტარებისთვის.⁷⁰⁶ დანაშაულის საგნის ან/და იარაღის არამესაკუთრისთვის ჩამორთმევა⁷⁰⁷ ან ქონების ჩამორთმევას განაპირობებდა სახელმეკრულებო ურთიერთობა.⁷⁰⁸

საკონსტიტუციო სასამართლომ 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებაში პირდაპირ მიუთითა ის შემთხვევა, როდესაც შესაძლებელია საკუთრების უფლების ჩამორთმევა:⁷⁰⁹

ა) აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით და სათანადო

⁷⁰² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება, პ.3;

⁷⁰³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება, II.პ.10;

⁷⁰⁴ იქვე;

⁷⁰⁵ იქვე;

⁷⁰⁶ იქვე;

⁷⁰⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.პ.15;

⁷⁰⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 1 აპრილის #2/155 გადაწყვეტილება, პ.3;

⁷⁰⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.პ.13;

ანაზღაურებით;

ბ) აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, სათანადო ანაზღაურებით.

ერთ–ერთ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენდა ავტომფლობელთა სავალდებულო დაზღვევის ინსტიტუტი.⁷¹⁰ მოსარჩელები არგუმენტად იშველიებდნენ კონსტიტუციის 21–ე მუხლის მესამე პუნქტს. საკონსტიტუციო სასამართლომ უარყო აღნიშნული მოთხოვნა, რადგან მიიჩნია სადავო რეგულირება სოციალური სამართლიდან მომდინარე ინსტიტუტად. მიუხედავად დამზღვევის საკუთრების შემცირებისა, ამ სამართლებრივი ინსტიტუტით წარმოიშობოდა ორმხრივი, შემხვედრი ვალდებულებები, რაც გამორიცხავდა საკუთრების ჩამორთმევის შესაძლებლობას.⁷¹¹ დღევანდელი სამართალწარმოების პრაქტიკის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლო აღარ იღებს აღნიშნული ტიპის საქმეებს არსებითად განსახილველად.⁷¹²

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ასევე განმარტებულია, რომ ქონების კანონიერების შესახებ დავის არსებობისას საკუთრების უფლების ჩამორთმევა დასაშვებია და ამ შემთხვევაში საქართველოს კონსტიტუციის 21–ე მუხლის მესამე პუნქტით დადგენილი შემთხვევა არ გამოიყენება: „სასამართლო კოლეგია დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევას განიხილავს როგორც საკომპენსაციო ღონისძიებას და არა როგორც სასჯელის სახეს, ანუ უკანონოდ შექმნილი ქონების კანონიერი მესაკუთრისათვის დაბრუნებად, რაც მიმართულია კორუფციის ჩადენამდე არსებული მდგომარეობის აღდგენისაკენ. ამ შემთხვევაში ამ ქონების მფლობელი არ შეიძლება მესაკუთრედ მივიჩნიოთ.“⁷¹³

მსგავსი მიდგომა მანამდე დაფიქსირდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.⁷¹⁴

3.4. საკუთრების უფლების შეზღუდვა

3.4.1. საკუთრების უფლების შეზღუდვის ფორმალური კრიტერიუმი

საკუთრების უფლების შეზღუდვა ექვემდებარება გარკვეულ ფორმალურ მოთხოვნებს, კერძოდ, იგი ხორციელდება კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. შესაბამისად, აუცილებელია, არსებობდეს „კანონი“, როგორც საკანონმდებლო საქმიანობის

⁷¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 31 ოქტომბრის #1/2/106 გადაწყვეტილება;

⁷¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 31 ოქტომბრის #1/2/106 გადაწყვეტილება, პ.5;

⁷¹² i#ter alia, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 21 სექტემბრის #2/1/499 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე გვანცა ჭელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.3;

⁷¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება, პ.1;

⁷¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მაისის #1/9/287 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე თამაზ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

პროდუქტი, უფლების შეზღუდვის და აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების კანონით განსაზღვრსთვის.⁷¹⁵ მაგალითად, მთავრობის თავმჯდომარის ერთჯერადი აქტით ჩამორთმეული ქონება მიჩნეულ იქნა არაკონსტიტუციურად.⁷¹⁶ საკონსტიტუციო სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს აღნიშნული მოთხოვნის „ევენტუალურ დარღვევას“, როდესაც შეზღუდვა განსაზღვრულია სხვა რეგულირებით, მაგრამ დუბლირებულია კანონქვემდებარე აქტში.⁷¹⁷

ერთ–ერთ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კანონის და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ურთიერთმიმართება.⁷¹⁸ “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონი იძლეოდა შესაძლებლობას, რომ “ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ (რაც თავის მხრივ წარმოადგენდა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს) მომხდარიყო ელექტროენერჯის კონკრეტული მოცულობის დადგენა, რომლის საცალო მომხმარებელზე რეალიზაციის შემთხვევაში შესაძლებელი იყო ელექტროენერჯის განაწილებითი საქმიანობა.⁷¹⁹ აღნიშნული კანონის შესაბამისი დებულება და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტი იყო დავის საგანი ამ საქმეში. საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში განაცხადა, რომ „ვინაიდან ცალკეულ შემთხვევაში საკანონმდებლო ნორმის შინაარსის გამოვლინების ფორმაა კანონქვემდებარე აქტი და მის საფუძველზე ჩამოყალიბებული პრაქტიკა, სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა იყოს საინტერესო “ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით” დადგენილი ელექტროენერჯის რეალიზაციის მოცულობა.“⁷²⁰

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საკითხზე არ იმსჯელა დამოუკიდებლად საკუთრების უფლების კონტექსტში. ზოგადად, სასამართლო კონსტიტუციის 21–ე მუხლით დადგენილი შეზღუდვისას პირველ რიგში ამოწმებს ფორმალურ მოთხოვნებს და შემდგომ მატერიალურ სამართლებრივს.⁷²¹ საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეში შეაფასა სადავო რეგულირება თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით,⁷²² რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ფორმალური შესაბამისობა სახეზე იყო. ანუ ბლანკეტურმა ნორმამ (რომელიც

⁷¹⁵ i#ter alia, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება, II.პ.12; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.პ.11;

⁷¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 23 თებერვლის #2/70–10 გადაწყვეტილება საქმეზე ვანო სისაური, თარიმან მალრაძე და ზურაბ მჭედლიძევილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.3;

⁷¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 4 დეკემბრის #2/9/450 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე აკაკი მიქაძე ქალაქ თბილისის საკრებულოს წინააღმდეგ, II.პ.13;

⁷¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/2/411 გადაწყვეტილება;

⁷¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/2/411 გადაწყვეტილება, I.პ.2,3;

⁷²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.პ.1;

⁷²¹ i#ter alia, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.პ.16;

⁷²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.პ.29;

კანონზე დაბალი იერარქიის მქონე ნორმატიული აქტი შეიძლება იყოს), კანონთან ერთად, შეიძლება შეზღუდოს საკუთრების უფლება და აღნიშნული ფორმალური თვალსაზრისით, შესაბამისობაში იქნება კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტის მოთხოვნებთან.

3.4.2. საკუთრების უფლების შეზღუდვის მატერიალური კრიტერიუმი

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განმარტა საკუთრების უფლების შეზღუდვის მატერიალური კრიტერიუმიც. საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედვით, კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტი უნდა განიმარტოს პოზიტიური შინაარსით.⁷²³ ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში ნორმა არ კრძალავს მხოლოდ სახელმწიფოს ნეგატიურ ინტერვენციას უფლებით დაცულ სფეროში, არამედ, საკუთრების სოციალური ბუნებიდან გამომდინარე სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას, დაადგინოს კონკრეტული საკუთრების შინაარსი და ფარგლები: „შეზღუდვა“ უნდა გავიგოთ, როგორც საკანონმდებლო ჩარჩოების დადგენა სახელმწიფოს მიერ. სხვა შემთხვევაში, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის რეგულირების სფეროდან გავიდოდა ურთიერთობების მთელი კომპლექსი, რომელთა მიმართაც ვერ მოხდება „შეზღუდვის“ მისადაგება მისი პირდაპირი მნიშვნელობით. 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის შემთხვევაში, საკუთრების ჩამორთმევისაგან განსხვავებით, სახელმწიფო ადგენს სამართლებრივ რეჟიმს, მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობა მიიღოს კონკრეტულ ურთიერთობაში.“⁷²⁴

საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით დააზუსტა აღნიშნული: „ეს პუნქტი კანონმდებელს აძლევს საკუთრების უფლების შინაარსის განსაზღვრის უფლებამოსილებას, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ კანონმდებლის ნება კონსტიტუციური მოთხოვნის ადეკვატური იქნება. სწორედ აქ იჩენს თავს შეზღუდვის მატერიალური კრიტერიუმი, რომელიც კანონმდებელს ავალდებულებს კერძო და საჯარო ინტერესების გონივრულ დაბალანსებას. კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტით დაკისრებული ვალდებულების შესრულებისას კანონმდებელი დგას ამოცანის წინაშე, თანაბრად გაითვალისწინოს კონსტიტუციით განსაზღვრული უფლების გარანტია და სოციალური საკუთრებითი წესრიგის მოთხოვნა და დაბალანსოს ინტერესები. დაუშვებელია საკუთრების სოციალური ფუნქციის უგულვებელყოფა, იმავდროულად, შეუძლებელია მესაკუთრის ზედმეტად, არათანაზომიერად შეზღუდვის გამართლება.“⁷²⁵

3.4.3. „...არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი“

კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით საკუთრების შეზღუდვით არ უნდა დაირღვეს საკუთრების უფლების არსი.

⁷²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება, II.3.11;

⁷²⁴ იქვე;

⁷²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.3.11;

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა აღნიშნული დანაწესიც: „... აღნიშნული პუნქტის მოთხოვნას წარმოადგენს შეზღუდვის პროცესში საკუთრების უფლების არსის შენარჩუნება: კანონმდებლის მიერ საკუთრების უფლების შეზღუდვისას არ უნდა დაირღვეს საკუთრების უფლების არსი. საკუთრების უფლება, რომელიც კანონმდებლის მიერ განსაზღვრებად უფლებას წარმოადგენს, კანონმდებლის მიერ საკუთრების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრის შედეგად არ უნდა გადაიქცეს უფლებად, რომელიც უმეტესწილად სწორედ საკანონმდებლო რეგულირებაზე იქნება დამოკიდებული. საბოლოო ჯამში, თავიდან უნდა იქნეს აცილებული თავად უფლებით დაცული სფეროს ძირითადი არსის გამოფიტვა.“⁷²⁶

საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებულ ცვლილებებამდე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წელს ჰქონდა გაცხადებული საკუთრების უფლების არსის შენარჩუნების ვალდებულების შესახებ 21-ე მუხლის მეორე პუნქტით დადგენილ შემთხვევებში („საკუთრების არსება უნდა შენარჩუნდეს და მისი შინაგანი შინაარსი არ უნდა დაზიანდეს“).⁷²⁷

2008 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით განმარტა აღნიშნული: „ის ფაქტი, რომ შეზღუდვის შედეგად ფორმალურად მესაკუთრეს რჩება საკუთრების შინაარსისათვის დამახასიათებელი ელემენტები, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ საკუთრებაში ჩარევა გამართლებულია. უფლების შინაარსის შეზღუდვის ფარგლებზეა დამოკიდებული ამ უფლების არსის შენარჩუნება, ვინაიდან სწორედ შინაარსია არსის განმსაზღვრელი გარემოება. საკუთრების შინაარსის შეზღუდვის ნებისმიერ შემთხვევაში, საკუთრება უნდა დარჩეს საკუთრებად და მან უნდა შეძლოს ამ შეზღუდვით გამოწვეული ტვირთის ტარება.“⁷²⁸

საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, შეზღუდვა წარმოადგენს ისეთ შემთხვევას, როდესაც ინტერესთა სამართლიანი დაბალანსება ხდება და არა მესაკუთრისა და უფლების სუბიექტის სრული გაუცხოება: „განაწილების საქმიანობისაგან მოსარჩელეთა ჩამოშორებით, სარგებლობის შინაარსი იმდენად ვიწროვდება, რომ ეს იწვევს მესაკუთრის მისგან გაუცხოებას. კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვას მაშინ აქვს გამართლება, როცა ლეგიტიმური მიზანი ისე მიიღწევა, რომ არ მოხდება შეზღუდვას დაქვემდებარებული სიკეთისა და მისი მატარებელი სუბიექტის ერთმანეთისაგან გაუცხოება. შეზღუდვა გულისხმობს ინტერესთა სამართლიან დაბალანსებას და არა ისეთ შემთხვევას, როცა ერთი ინტერესის ადგილს მეორე იკავებს.“⁷²⁹

⁷²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.პ.57;

⁷²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივნისის #1/1/103,117,137,147-48,152-53 გადაწყვეტილება, პ.10;

⁷²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.პ.24;

⁷²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.პ.27;

3.5. საკუთრების უფლების შეზღუდვის და ჩამორთმევის გამოიჯენა

საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი არის რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეეხება საკუთრების უფლების ჩამორთმევის და შეზღუდვის განსხვავებას. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ზოგადად საკუთრების უფლების ობიექტის ჩამორთმევა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც საკუთრების შეზღუდვის გზით (21-ე მუხლის მეორე პუნქტი), ისე ჩამორთმევით (21-ე მუხლის მესამე პუნქტი).⁷³⁰ ამ დროს მხედველობაში მიიღება უფლებაში ჩარევის მიზანი, შინაარსი და ფორმა.⁷³¹

საკუთრების უფლების ობიექტის ჩამორთმევასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოადგინა ხუთი განმასხვავებელი ნიშანი საკუთრების შეზღუდვას და ჩამორთმევას შორის:⁷³²

- (1) 21-ე მუხლის მესამე პუნქტით დარეგულირებულია „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით და „საზოგადოებრივი საჭიროებისთვის გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი შემთხვევები. ამ ცნებაში ვერ თავსდება ნებისმიერი შემთხვევა, როდესაც პირის საკუთრების უფლება იკარგება კონკრეტულ ობიექტზე; აღნიშნულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ჩამორთმევის ფორმა და შინაარსი და მათი შესაბამისობა ზემოაღნიშნულ ნორმატიულ აქტებთან;
- (2) „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი და „საზოგადოებრივი საჭიროებისთვის გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავენ საკუთრების უფლების ჩამორთმევის *intra vires* ამომწურავ შემთხვევებს;
- (3) კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრული რეგულირება წარმოადგენს ერთჯერად, ინდივიდუალურ და მიზანმიმართულ ქმედებას სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული პირის საკუთრების ჩამოსართმევად. ხოლო კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული წესი გულისხმობს სახელმწიფოს მიერ დადგენილი საკუთრების უფლებით სარგებლობის ზოგად ფარგლებს, მესაკუთრეთა გარკვეულ ვალდებულებებს და საკუთრების ისეთი პირობებით შეზღუდვას, რომელიც გარკვეულ პირობებში კონკრეტული საზოგადოებრივი საჭიროების მიღწევას ისახავს მიზნად;
- (4) საკუთრების ჩამორთმევისას მესაკუთრე კარგავს ქონებას და მასზე უფლებას, ხოლო საკუთრების უფლების შეზღუდვისას, როდესაც ხდება შესაბამისი ობიექტის ჩამორთმევა, ყოველთვის არ გვაქვს ანალოგიური სიტუაცია და სათანადო ანაზღაურების მიღების უფლება შეიძლება შენარჩუნდეს;

⁷³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.3.13;

⁷³¹ იქვე;

⁷³² იქვე;

(5) 21-ე მუხლის მესამე პუნქტით დადგენილი პროცედურა გულისხმობს სავალდებულო ფულად კომპენსაციას, მაშინ როცა საკუთრების შეზღუდვის შემთხვევა არ მოითხოვს აღნიშნულს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მონეტარული ეკვივალენცია შეიძლება გამოყენებულ იქნას, თუკი ეს ღონისძიება აუცილებელია კერძო და საჯარო ინტერესების დასაბალანსებლად: „თუმცა ასეთი შესაძლებლობა არ გამოირიცხება გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც, მართალია, საზოგადოებრივი საჭიროების გამო, მესაკუთრის შეზღუდვა გამართლებულია, მაგრამ ეს შეზღუდვა ზომაზე მეტად იწვევს პირის საკუთრების უფლებაში ჩარევას. ასეთ დროს შეზღუდვის გაწონასწორების მიზნით სახელმწიფოსთვის ფულადი ვალდებულების დაკისრება ემსახურება კერძო და საჯარო ინტერესებს შორის თანაზომიერი დამოკიდებულების უზრუნველყოფას.....ზოგიერთ შემთხვევაში სწორედ ფულადმა კომპენსაციამ შეიძლება წარმატებით დააბალანსოს კერძო და საჯარო ინტერესები, რათა კანონმდებელს არ მოუხდეს არჩევანის გაკეთება საზოგადოებრივ საჭიროებასა და მესაკუთრის ინტერესებს შორის.“⁷³³

3.6. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება

როგორც საკუთრების უფლების შეზღუდვის, ისე ჩამორთმევის შემთხვევაში, აუცილებელია, წარმოდგენილი იყოს „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“, რაც, საბოლოო ჯამში, წარმოადგენს დაცულ სფეროში ჩარევის გამართლებას. ეს კატეგორია წარმოადგენს საკუთრების უფლების ყველა შესაძლო გამოვლინების შეზღუდვის საფუძველს და ზღვარს.⁷³⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებული აქვს აღნიშნული: „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“ არ არის მყარი და ყველა საზოგადოებაზე უნივერსალურად მორგებული ცნება. ის ცვალებადია დროსა და სივრცეში პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური მოცემულობების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, ის რაც ერთ საზოგადოებაში შეიძლება ჩაითვალოს „აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებად“, შეიძლება სხვა საზოგადოებაში ასეთად არ იქნეს მიჩნეული. გარდა ამისა, ის, რაც მოცემული მომენტისათვის გაგებულია როგორც „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“, შესაძლოა მომავალში ასეთად აღარ ჩაითვალოს ან პირიქით – დღეისათვის არსებულმა მიზანმა, რომელსაც ვერ მივანიჭებთ „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების ხარისხს“ მომავალში მიიღოს ასეთი დატვირთვა. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა არის საკუთრების უფლების ობიექტი, როგორია მისი ბუნება და სოციალური დატვირთვა. ამ თვალსაზრისით, ის გარემოებები, რომლებიც წარმოადგენენ „აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას“ საკუთრების ერთი ობიექტის მიმართ, ასეთ საჭიროებას შეიძლება არ წარმოადგინონ სხვა ობიექტის მიმართ. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ შინაარსს კონკრეტულ

⁷³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.3.13;

⁷³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.80;

შემთხვევაში კანონმდებელი განსაზღვრავს. მოქმედება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“ არ ნიშნავს, რომ ის არის მიმართული საზოგადოებისათვის გარკვეული და გარდაუვალი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად. კანონმდებელი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“ შეიძლება მოქმედებდეს, როდესაც მას ამოძრავებს საზოგადოებისათვის ან მისი ნაწილისათვის დადებითი შედეგების მომტანი მიზნები.“⁷³⁵

სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის ზემოაღნიშნულ საფუძველს და მას შესაძლო სახელისუფლებო თვითნებობის პრევენციის საშუალებად განიხილავს.⁷³⁶

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს მითითებულია თუ არა კონკრეტული აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება იმპლიციტურად შესაბამის კანონში. მთავარია ის ფაქტი, რომ ნორმის ანალიზის, მისი განმარტების შედეგად შესაძლებელი იყოს შესაბამისი მიზნის იდენტიფიცირება.⁷³⁷ ამ შემთხვევაში სამართალშემფარდებელმა ან სამართალგამომყენებელმა უნდა მოახდინონ საკანონმდებლო ორგანოს მიერ განსაზღვრული რეგულაციების ფარგლებში კონკრეტული შემთხვევების მოქცევა.⁷³⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს დამატებით განსაზღვრული აქვს, რომ კანონმდებლის ნება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ განსაზღვრებისას უნდა იყოს მკაფიო.⁷³⁹

საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების ცნება არის დინამიური და ცვალებადი დროსა და ისტორიულ ვითარებაში და დამოკიდებულია სხვადასხვა სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოთხოვნილებებზე.⁷⁴⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან აშკარაა, რომ სასამართლო ამოწმებს „საზოგადოებრივი აუცილებლობის“ ნამდვილობას.⁷⁴¹ რამდენიმე პრეცედენტი ასევე იმპლიციტურად მიუთითებს ზემოაღნიშნული კატეგორიის მიმართ დადგენილ მტკიცების ტვირთს და მას სადავო ნორმის მიმღებ, მოპასუხე მხარეს აკისრებს.⁷⁴²

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე და მესამე პუნქტები საკუთრების უფლებაში ჩარევის საფუძველად და ზღვრად მიიჩნევენ „აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას“.⁷⁴³ საკონსტიტუციო სასამართლო

⁷³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება, II.3.14–15;

⁷³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.3.9;

⁷³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება, II.3.15;

⁷³⁸ იქვე;

⁷³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.3.12;

⁷⁴⁰ იქვე;

⁷⁴¹ იქვე;

⁷⁴² i#ter alia, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.61;

⁷⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.3.11;

ამ ტერმინს განსხვავებულ შინაარს სძენს საკუთრების შეზღუდვისა და ჩამორთმევისას.⁷⁴⁴

როდესაც სახეზეა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტით დადგენილი სამართალურ თითოება ამ შემთხვევაში „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“ განიხილება კონკრეტული მიზნის მიღწევის საშუალება,⁷⁴⁵ მაშინ როცა საკუთრების უფლების ჩამორთმევისას იგი არის დაკავშირებული კონკრეტული საჯაროსამართლებრივი ღონისძიების მიზანთან.⁷⁴⁶

რაც შეეხება მის კონკრეტულ შინაარსს, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „საკუთრების ჩამორთმევის კონტექსტში “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება” მკაცრ და კონკრეტულ განმარტებას ექვემდებარება. ეს გამოხატულია “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ” კანონით გათვალისწინებულ ამომწურავ ჩამონათვალშიც. 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის ფარგლებში “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების” შინაარსი უფრო ფართოდ უნდა იქნეს გაგებული, საკუთრების სოციალური ბუნებიდან გამომდინარე. თუ არ მოხდება 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების” შედარებით ფართო და თავისუფალი ინტერპრეტაცია, მაშინ კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები მიიღებენ სიხისტის ისეთ მაღალ ხარისხს, რაც აქვს საჯაროსამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებს. ამ სფეროში კანონმდებელი გაცილებით უფრო თავისუფალია, ვიდრე საჯაროსამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების სფეროში. თუმცა, ეს არ ნიშნავს კანონმდებლის სრულ თავისუფლებას და ამოვარდნას კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარჩოებიდან. კანონმდებლის მიერ გამოხატული პოზიცია უნდა იყოს დაბალანსებული, მკაფიო, გარკვეული და არ უნდა იძლეოდეს თვითნებობისა და ნორმის ბოროტად, არამიზნობრივად გამოყენების შესაძლებლობას.“⁷⁴⁷

საკონსტიტუციო სასამართლოს გამოყოფილი აქვს ორი კრიტერიუმი, რომელთა მეშვეობითაც მოწმდება კონკრეტული ღონისძიების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების მასშტაბი:⁷⁴⁸

- საკუთრების მიერ შესასრულებელი ფუნქცია ზოგადად საზოგადოებისთვის, მისი ნორმალური არსებობა და განვითარებისთვის;
- საკუთრების უფლების ობიექტის არსი, მისი შესაძლო სოციალური დატვირთვა.

⁷⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.3.12;

⁷⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება, II.3.17;

⁷⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება, II.3.16;

⁷⁴⁷ იქვე;

⁷⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.3.12;

3.7. საკუთრების უფლების შეზღუდვის ტესტი

3.7.1. ზოგადი აღწერა

როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს საკუთრების უფლების შეზღუდვის საფუძველს, სასამართლო განსაზღვრავს კონკრეტულ შემთხვევაში, თუ რამდენად არსებობს ლეგიტიმური მიზანი. ამის შემდგომ კონკრეტული კანონის შეფასება ხდება თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით.⁷⁴⁹ სასამართლო ამ შემთხვევაში კანონმდებელს აძლევს უფლებას, მოაწესრიგოს სამართლებრივი ურთიერთობები კერძო პირთა შორისაც, რათა რომელიმე მონაწილეს მძიმე ტვირთად არ დააწევს აღნიშნული. ანუ ერთი პირის სასარგებლოდ, მეორის გაუმართლებელი შეზღუდვა არ დაიშვება.⁷⁵⁰

საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ მიუთითებია აღნიშნულის შესახებ: „დაუშვებელია უფრო მკაცრი შეზღუდვების დაწესება, ვიდრე ამას კონკრეტული საზოგადოებრივი საჭიროება მოითხოვს. კანონმდებელმა ორივე მოთხოვნა უნდა დააბალანსოს თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით. ცალმხრივი პრივილეგირება არ შეესაბამება კერძო საკუთრების იმ კონსტიტუციურ-სამართლებრივ გაგებას, რომელიც მისი სოციალური ფუნქციით დატვირთვას ითვალისწინებს. იმავდროულად, დაწესებული შეზღუდვების კონსტიტუციურობის თვალსაზრისით გამართლებისათვის მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად საჭიროა კონკრეტული რეგულირების სფეროში მათი შემოღება და რამდენად ადეკვატურ ზომას წარმოადგენენ ისინი. ამდენად, ინდივიდის საკუთრებაში ჩარევა გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს საზოგადოების მიერ მისაღებ სარგებელთან.“⁷⁵¹

როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა აქციათა სავალდებულო მიყიდვის წესი, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობის მთავარ საფუძველად მითითებულ იქნა თანაზომიერების დარღვევა მინორიტარ და მაჟორიტარ აქციონერებს შორის. ამ უკანასკნელებს ყოველგვარი საზოგადოებრივი საჭიროების გარეშე შეეძლოთ აქციათა მიყიდვის პროცედურის ინიცირება⁷⁵² და დამატებით მინორიტარი აქციონერები სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გარეშე რჩებოდნენ აქციათა ფასის განსაზღვრებისას.⁷⁵³

საკონსტიტუციო სასამართლოს განსაზღვრული აქვს, რომ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების ფაქტორი არ შეიძლება განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ ვინ არის უფლების სუბიექტი, როგორც ცალკე აღებული: „სასამართლო კოლეგია არ გამოირიცხავს გარკვეული კატეგორიის ქონებისადმი სახელმწიფოს განსაკუთრებულ უფლებებს. ამასთან კოლეგია აღნიშნავს, რომ საკუთრების საზოგადოებრივი საჭიროება და შესაბამისად

⁷⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება, II.3.17;

⁷⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის #1/14/184,228 გადაწყვეტილება II.3.3;

⁷⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.3.11;

⁷⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება, II.3.26;

⁷⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება, II.3.28,31;

სოციალური ფუნქცია არ შეიძლება განისაზღვრებოდეს იმის მიხედვით, თუ ვინ არის მესაკუთრე სუბიექტი. საკუთრება, როგორც ფასეულობა, ავალდებულებს ნებისმიერ სუბიექტს - იქნება ეს სახელმწიფო თუ კერძო პირი. ეს ვალდებულება უშუალოდ საკუთრებიდან გამომდინარეობს. ამიტომაც, ვის ხელშიც არ უნდა აღმოჩნდეს სადავო ნორმით განსაზღვრული ობიექტები, სოციალური ტვირთისგან ისინი ვერ გათავისუფლდებიან.⁷⁵⁴

3.7.2. კანონიერი (ლეგიტიმური) მიზანი

საკონსტიტუციო სასამართლო საკუთრების უფლების შეზღუდვისას პირველ რიგში განსაზღვრავს არის თუ არა სახეზე კანონიერი მიზანი, რომელიც, თავის მხრივ, უნდა ჩაითვალოს აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებად კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტის მიზნებისათვის. ეს უკანასკნელი გულისხმობს კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.⁷⁵⁵

სასამართლო „კანონიერი მიზნის“ განმარტებისას ეყდნობა კონკრეტული ღონისძიების „შინაარსს“ და მის „მნიშვნელობას“.⁷⁵⁶ თუკი ღონისძიების კონკრეტული ლეგიტიმური დანიშნულება ამ კრიტერიუმებს პასუხობს იგი შეიძლება მიჩნეულ იქნას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრულ „აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებად“. მაგალითისთვის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა ასეთად 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებაში.⁷⁵⁷

3.7.3. თანაზომიერების პრინციპი

საკონსტიტუციო სასამართლოს ასევე განმარტებული აქვს „თანაზომიერების პრინციპი“ კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტის მიზნებისთვის და დამატებით ხაზი გაესვა მის ხასრისხობრივ მაჩვენებლს: „თანაზომიერების პრინციპი... უზრუნველყოფს თავისუფლებისა და მისი შეზღუდვის ერთგვარ გაწონასწორებულ, თანაზომიერ დამოკიდებულებას და კრძალავს ადამიანის უფლებების იმაზე მეტად შეზღუდვას, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. თანაზომიერების პრინციპი ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მართლზომიერების შეფასების კონსტიტუციური კრიტერიუმია. ზუსტად ამიტომ მას კონსტიტუციური კონტროლისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. სამართლებრივ სახელმწიფოში კანონზომიერია იმის მოლოდინი, რომ კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთმიმართება სამართლიანი იქნება. რაც უფრო მეტად ერევა ხელისუფლება ადამიანის

⁷⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის #1/14/184,228 გადაწყვეტილება, პ.3;

⁷⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.პ.19;

⁷⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.პ.18;

⁷⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.პ.19;

თავისუფლებაში, მით მაღალია მოთხოვნები ჩარევის გამართლებისათვის.⁷⁵⁸

თანაზომიერების პრინციპთან მიმართებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უკვე არსებული საკუთრების უფლების შეზღუდვა უფრო მეტ კონსტიტუციურ-სამართლებრივ დასაბუთებას და გამართლებას მოითხოვს, ვიდრე საკუთრების უფლების შექმნის კომპონენტის ჩარჩოებში მოქცევა: „ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკვე არსებული საკუთრების გასხვისების ვალდებულების დადგენა, საკუთრების შექმნის აკრძალვასთან შედარებით, გარკვეულწილად უფლების შეზღუდვის უფრო მძიმე ფორმადაც შეიძლება იქნეს განხილული, ვინაიდან ამ შემთხვევაში უკვე არსებობს მნიშვნელოვანი სამართლებრივი კავშირი პირსა და ქონებას შორის.“⁷⁵⁹

საკონსტიტუციო სასამართლო თანაზომიერების შეფასებისას მხედველობაში იღებს სამ კრიტერიუმს:⁷⁶⁰

- შეზღუდვის დასაშვებობა („მიზნის მიღწევის გამოსადეგი საშუალება“⁷⁶¹);
- შეზღუდვის აუცილებლობა;
- კერძო და საჯარო ინტერესებს შორის პროპორციულობა.

შეზღუდვის დასაშვებობისას მხედველობაში მიიღება ის ფაქტი, თუ რამდენად კანონიერია თავად ღონისძიება. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლო იხილავდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული ქონების ჩამორთმევის ერთ-ერთი კომპონენტის კონსტიტუციურობის საკითხს. სადავო რეგულირების მიხედვით, ქონების ჩამორთმევის წესი ვრცელდებოდა იმ საკუთრებაზეც, რომელიც მსჯავრდებულის მფლობელობაში იმყოფებოდა. მოსარჩელე (იგი იყო იმ ნივთის მესაკუთრე, რომელიც მსჯავრდებულ პირს მფლობელობაში ჰქონდა და შემდგომ ჩამოერთვა სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი წესით) ასაჩივრებდა აღნიშნულ წესს და ითხოვდა ნორმის არაკონსტიტუციურობას, რადგან ამ შემთხვევაში მის მიმართ აღნიშნული ღონისძიება მოქმედებდა, როგორც სასჯელი. საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმის განსაზღვრას, იყო თუ არა სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიება დამატებითი სასჯელი მესაკუთრისთვისაც. აღნიშნულზე უარყოფითი პასუხის გაცემის შემდეგ, სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო აქტი ერთმანეთისგან ჰყოფდა მესაკუთრეს და საკუთრების ობიექტს. ანუ მიიჩნია, რომ „შეზღუდვის დასაშვებობა“ სახეზე იყო.⁷⁶²

2012 წლის 26 ივნისს გამოტანილ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ თანაზომიერების პირველ კომპონენტად განიხილა არა

⁷⁵⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.3.19;

⁷⁵⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.81;

⁷⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.3.20;

⁷⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.60;

⁷⁶² იქვე;

„შეზღუდვის დასაშვებობა“, არამედ, „მიზნის მიღწევის გამოსადეგი საშუალება“. ამ შემთხვევაში სასამართლომ შეაფასა თუ რამდენად არსებობდა ლოგიკური კავშირი საკანონმდებლო რეგულირებას და კანონიერ მიზანს შორის.⁷⁶³ იქიდან გამომდინარე, რომ ასეთი ბმა, კორელაცია ვერ იქნა დანახული სასამართლოს მიერ, სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად იქნა მიჩნეული, როგორც მიზნის მიღწევის უფუნქციო საშუალება.⁷⁶⁴ იგივე მიდგომა იქნა გამოყენებული 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, როდესაც სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო სამართლებრივი აქტი არ იძლეოდა ლეგიტიმური მიზნის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიღწევის შესაძლებლობას.⁷⁶⁵

2005 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა „მიზნის მიღწევის საშუალებათა სამართლიანობაზე“.⁷⁶⁶ ამ საქმეში სახელმწიფო ან სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები პრივილიგირებულ მდგომარეობაში იყვნენ ჩაყენებული სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონმდებლობის მიხედვით, რაც არაკონსტიტუციურად იქნა მიჩნეული.

„შეზღუდვის აუცილებლობის“ შეფასებისას სასამართლო ამოწმებს იმას, თუ რამდენად აუცილებელია სადავოდ გამხდარი ღონისძიების შინაარსი შესაბამისი კანონიერი მიზნების მისაღწევად.⁷⁶⁷ ზემოაღნიშნული ქონების ჩამორთმევის საქმეში, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ დანაშაულის საგნის და იარაღის ჩამორთმევა ემსახურებოდა ლეგიტიმურ საჯარო მიზნებს მიუხედავად მესაკუთრის პიროვნებისა და ცალკე აღებული ქონების თავისებურება განაპირობებდა შეზღუდვის აუცილებლობას: „ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისთავად, ასეთი ქონების ჩამორთმევა, მესაკუთრის ბრალეულობის გაუთვალისწინებლად, დასაშვებია და აუცილებელიც დასახელებული მიზნების მისაღწევად. ის ხელს უწყობს პრობლემის დროულად, მყისიერად და ეფექტურად გადაწყვეტას, გამიზნულია კონკრეტული დანაშაულის შემდგომი გართულებების (ახალი დანაშაულის ჩადენის, ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილურობის, ნორმალური სამოქალაქო ბრუნვისთვის ხელის შეშლის და სხვა) თავიდან აცილებისკენ. მოცემულ შემთხვევაში საჯარო მიზნები ძალზე მნიშვნელოვანია, ამიტომ მათი მიღწევა აშკარად უპირატესია საკუთრებაში ჩარევის აუცილებლობას.“⁷⁶⁸

თანაზომიერების შეფასების მესამე კრიტერიუმს წარმოადგენს პროპორციულობა, რომელიც კერძო და საჯარო ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის დამცველ ღონისძიებას წარმოადგენს. მისი საშუალებით მიიღწევა სიტუაცია, როდესაც არცერთი სამართლებრივი სიკეთის ხარჯზე არ ხდება

⁷⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.63;

⁷⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.65;

⁷⁶⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.29;

⁷⁶⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის #1/14/184,228 გადაწყვეტილება, 3.3;

⁷⁶⁷ იქვე;

⁷⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.3.21;

მეორის არაპროპორციული შეზღუდვა.⁷⁶⁹ საკონსტიტუციო სასამართლო ყოველ კონკრეტულ საქმეში მხედველობაში იღებს სადავო სამართლებრივი აქტების რეგულირებას და სხვადასხვა კანონმდებლობას, რათა შეაფასოს ის გარანტიები, რომლებიც რჩებათ მესაკუთრეებს და შემდგომ ადარებს მათ საჯარო ინტერესებს. ზემოაღნიშნულ ქონების ჩამორთმევის საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა სამი პირობის შესახებ, რომლებიც განაპირობებდნენ ქონების ჩამორთმევის საკითხის პროპორციულობას:⁷⁷⁰

- ქონება, რომელიც ექვემდებარებოდა ჩამორთმევას წარმოადგენდა დანაშაულთან დაკავშირებულს და შესაბამისად გასული იყო ნორმალური სამოქალაქო ბრუნვიდან;
- კონკრეტული საქმის განმხილველი საერთო სასამართლოს მოსამართლე სადავო სამართლებრივი აქტიდან გამომდინარე ვალდებული იყო შემოწმებინა და უტყუარად დაედგინა, რომ სახეზე იყო ქონების ჩამორთმევის აუცილებლობა საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე;
- ქონების მესაკუთრე კარგავდა ქონებას, მაგრამ არა მასზე უფლებას. მას ეძლეოდა უფლება ედავა სამოქალაქო სამართლის წესით და მოეთხოვა შესაბამისი დელიქტური ანაზღაურება.

ამ სამივე პირობის კუმულაციური ერთობით დადგინდა, რომ სახეზე იყო საკუთრების უფლების კონსტიტუციის შესაბამისი თანაზომიერი შეზღუდვა.

საკუთრების უფლების ჭრილში საკონსტიტუციო სასამართლოს კიდევ ერთ საქმეში აქვს განხილული ქონების ჩამორთმევის კონსტიტუციურობის საკითხი. 1997 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ მიმართა ერთ-ერთმა საერთო სასამართლომ კონსტიტუციური წარდგინებით და მოითხოვა იმ დროისთვის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული ქონების კონფისკაციის საკითხის კონსტიტუციის 21-ე მუხლთან თავსებადობის განსაზღვრება.⁷⁷¹ ზემოაღნიშნული საქმისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში სასჯელის შინაარსი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ დანაშაულის საგნით, იარაღით ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთით, არამედ, გულისხმობდა მსჯავრდებულის მთლიან ქონებას ან მის ნაწილს, რომელსაც შეიძლებოდა არავითარი შემხებლობა არ ჰქონოდა დანაშაულთან. იქიდან გამომდინარე, რომ არსებობდა სანქცია, რომელიც არაინდივიდუალური შინაარსის მატარებელი იყო და თავის მხრივ, დანაშაულთან შემხებლობას არ მოითხოვდა, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული ღონისძიება კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტთან მიმართებით განიხილა. იქიდან გამომდინარე, რომ კომპენსაციის გარეშე ხდებოდა ჩამორთმევა, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო სამართლებრივი აქტი.⁷⁷²

⁷⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.3.21;

⁷⁷⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II.3.22,23;

⁷⁷¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 21 ივლისის #1/51 გადაწყვეტილება;

⁷⁷² იქვე;

3.8. საგადასახადო ვალდებულებები და საკუთრების უფლება

წინა ქვეთავში მოხსენიებული შემთხვევებისგან განსხვავებით, საკონსტიტუციო სასამართლომ სხვა სანქციების კონსტიტუციურობა არ განიხილა კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტთან მიმართებით, რადგან ეს უკანასკნელი მიიჩნია კონკრეტული სამართალურთიერთობის (inter alia, კონსტიტუციის 94-ე მუხლით განსაზღვრული სადაგადასახადო ვალდებულება) დარღვევის საპასუხო რეაქციად.⁷⁷³

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთ საქმეში მოუწია საგადასახადო კანონმდებლობის არაკონსტიტუციურობის შემოწმება. 2005 წლის 10 მარტს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, სადაც ერთ-ერთ დავის საგანს წარმოადგენდა 1997 წლის საგადასახადო კოდექსის რეგულირება.⁷⁷⁴ სადავო ნორმის მიხედვით, დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ-ის) გადახდის ვალდებულება ეკისრებოდა კონკრეტული პროდუქციის შემქმენს. ამის შემდეგ გამყიდველს, თავის მხრივ, ჰქონდა უფლება, მიეღო სადაგადასახადო ორგანოებისგან შესაბამისი საგადასახადო აღიარება დღგ-ს ჩათვლის შესახებ. მოსარჩელები, რომლებიც იყვნენ კონკრეტული პროდუქციის გამყიდველები, სადავოდ ხდიდნენ აღნიშნულ რეგულირებას, რადგან, მათი განცხადებით, მათ არ ეძლეოდათ ჩათვლის მიღების შესაძლებლობა მყიდველის მიერ ანგარიშ-ფაქტურის წარუდგენლობის შემთხვევაში. მათი განცხადებით, საგადასახადო ჩათვლის შესახებ სახელმწიფოს აღიარების მიღების უფლების დარღვევა მოდიოდა წინააღმდეგობაში კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულ საკუთრების უფლებასთან. საკონსტიტუციო სასამართლომ უარყო აღნიშნული მოთხოვნა შემდეგი არგუმენტაციით: „ამდენად, იმ შემთხვევაში თუ ე.წ. მიმწოდებლის მიერ არ შესრულდება მის მიმართ დადგენილი ვალდებულება და არ განხორციელდება დღგ-ის თანხის ბიუჯეტში შეტანა, შესაბამისად ვერ განხორციელდება ე.წ. მიმღების უფლება - ჩაითვალოს დღგ-ის თანხა გადახდილად. სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ აღნიშნული არავითარ შემთხვევაში არ გამოიწვევს საგადასახადო ორგანოების უმოქმედობას იმ თვალსაზრისით, რათა განხორციელდეს ე. წ. მიმწოდებლის მიმართ, მის მიერ თავისი საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობაზე რეაგირება და მისგან საგადასახადო დავალიანების ამოღება, რაც პირდაპირ არის გათვალისწინებული საგადასახადო კოდექსის შესაბამისი მუხლებით. საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ ე. წ. საგადასახადო ჩათვლის მიღების უფლების განსახორციელებლად, სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული, თუნდაც დამატებითი პირობების დადგენა არ შეიძლება არღვევდეს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებულ საკუთრების ხელშეუხებლობის უფლებას.“⁷⁷⁵

⁷⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 30 დეკემბრის #1/2-14/19 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე ალექსანდრე დანელია და მოქალაქე გიორგი ცომაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

⁷⁷⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 10 მარტის #2/2/275,291,296,299 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე მალხაზ ასათიანი, შპს „მშენებელი-5“, შპს „აიეტი“ და შპს „ოლია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

⁷⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 10 მარტის #2/2/275,291,296,299 გადაწყვეტილება;

2003 წლის 10 იანვარს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, სადაც წარმოდგენილ იქნა მიმართება საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლს და საკუთრების უფლების შეზღუდვას შორის.⁷⁷⁶ მოსარჩელე ავიაკომპანია სადავოდ ხდიდა შესაბამის კანონქვემდებარე რეგულირებებს (და ნორმატიულ აქტს, რომლითაც ამგვარი აქტის მიღების უფლებამოსილება მიენიჭა შესაბამის უწყებას), რომლითაც განისაზღვრა რეგულირების გადასახადი. მოსარჩელის არგუმენტაცია ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ სადავო რეგულირება არ აკმაყოფილებდა კონსტიტუციის 94-ე მუხლის მოთხოვნებს და შესაბამისად სახეზე იყო საკუთრების გაუმართლებელი შეზღუდვა. საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით: „საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით“, ხოლო იმავე მუხლის მეორე პუნქტი იმპერატიულად მიუთითებს, რომ გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურას და შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი“. სასამართლო თვლის, რომ გადასახადების და მოსაკრებლების სტრუქტურასა და შემოღების წესში მოიაზრება გადასახადის ოდენობა, გადამხდელი, ვადა, რა ფორმითა და საფუძვლით უნდა მოხდეს მისი დადგენა, რისი დადგენის უფლებამოსილება მხოლოდ კანონს აქვს და „ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვის და რეგულირების წესის შესახებ“ საქართველოს კანონს უნდა დაედგინა არა მარტო გადასახადის სახელი, არამედ მისი სტრუქტურაც. სასამართლო ვერ დაეთანხმება პარლამენტის განსახილველი საკითხების დელეგირებას აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, როგორც ეს კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტშია მითითებული. საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლთან შეუსაბამობამ, რომელსაც რეგულირების საფასურის (არაპირდაპირი გადასახად – მოსაკრებლის) შემოღება მოჰყვა, საბოლოო ჯამში გაზარდა წარმოების ხარჯები, გამოიწვია ავიასაწარმოების მომსახურების ფასების ზრდა და შესაბამისად, მომხმარებელთა უფლებების დარღვევა. სატრანსპორტო საწარმოს ეკონომიკაზე მძიმედ აისახება საფასურის სადავო ნორმატიული აქტებით დაწესებული რეჟიმი და საბოლოოდ ილახება იურიდიული პირის საკუთრების უფლებაც. ამიტომ სასამართლო ვერ დაეთანხმება მოპასუხეების მოსაზრებას სადავო აქტების საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან ... შეუსაბამობის თაობაზე მოსარჩელის მიერ სარჩელის აღძვრის უსაფუძვლობის შესახებ.“⁷⁷⁷

საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, 94-ე მუხლის დარღვევით შეფარდებული გადასახადი წინააღმდეგობაში მოდიოდა კონსტიტუციის 21-ე მუხლთან: „ასევე, საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლს, რომლის დარღვევამ გამოიწვია “აირზენა საქართველოს ავიახაზების”, როგორც იურიდიული პირის, საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებული უფლების შელახვა. სასამართლო აღნიშნავს, რომ ყოველი უკანონოდ გადახდილი საფასური ასევე ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე

⁷⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის #2/1/187-188 გადაწყვეტილება;

⁷⁷⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის #2/1/187-188 გადაწყვეტილება, პ.4;

მუხლით დაცულ საკუთრების უფლებას.⁷⁷⁸

აღნიშნული მიდგომა საკონსტიტუციო სასამართლოს მანამდე მიღებულ გადაწყვეტილებებშიც მკაფიოდ იქნა მითითებული.⁷⁷⁹ ერთ-ერთ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ თუკი კონკრეტული სამართალურიერთობა პასუხობდა გადასახადის მოთხოვნებს საკუთრების უფლების დარღვევა გამოირიცხებოდა. აღნიშნულის შესახებ მსჯელობა შეიძლებოდა მხოლოდ უკანონო დაბეგვრით ან დაკისრებით და გადახდევინებით შემცირებული ქონების შემთხვევაში.⁷⁸⁰ სასამართლოს მიერ დამატებით მიეთითა გადასახადის სამართლიანობის შემოწმების შესაძლებლობაზე საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პერსპექტივიდან.⁷⁸¹ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადასახადის გადახდა განიხილება, როგორც საჯარო სამართლებრივი ურთიერთობიდან მომდინარე ვალდებულება და არა ქონების ჩამორთმევა.⁷⁸²

3.9. სხვადასხვა საქმეებში განხორციელებული სამართლებრივი შეფასებები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ საქმეში განიხილა საკუთრების უფლებასთან თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის შესახებ ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობა.⁷⁸³ სადავო აქტებით თამბაქოს პროდუქტი დაექვემდებარა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უსაფრთხოების ნორმებს და შესაბამისად, მასზე გარკვეული გამაფრთხილებელი წარწერების გაკეთების ვალდებულება გაჩნდა. დამატებით განისაზღვრა ვადა, რომლის განმავლობაშიც მეწარმეებს უნდა მოეხდინათ იმ პროდუქციის რეალიზაცია, რომელიც არ აკმაყოფილებდა რეტროსპექტულად მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ უარყო ორივე არგუმენტი შემდეგი დასაბუთებით: „სასამართლო კოლეგიის აზრით, ადამიანის უსაფრთხოების, მისი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით პროდუქციის რეალიზაციის სათანადო წესების დადგენა და მათი შესრულების უზრუნველყოფა ვერანაირად ვერ ჩაითვლება საკუთრების უფლების შეზღუდვად, აგრეთვე თავისუფალი მეწარმეობის განვითარებისათვის ხელის შეშლად საქართველოს კონსტიტუციის 21-ე და 30-ე მუხლებთან მიმართებით. ასევე, სასამართლო კოლეგია მოსარჩელე მხარის ვერც იმ პოზიციას ვერ გაიზიარებს, რომ ქართული ნიშანდების გარეშე თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის ამკრძალავი „ნებისმიერი ვადის დაწესება იქნებოდა კონსტიტუციის 21-ე მუხლის ... დარღვევა“ (იხ. სხდომის ოქმი, გვ. 7). ამა თუ იმ მართლობიერი ვადის საჭიროებისამებრ დაწესება ჩვეულებრივი მოვლენაა სამართალში.

⁷⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის #2/1/187-188 გადაწყვეტილება, პ.7;

⁷⁷⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 20 თებერვლის #1/3-21 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე ოთარ ზოიძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;

⁷⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 25 იანვრის #1/1/107 გადაწყვეტილება;

⁷⁸¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 25 იანვრის #1/1/107 გადაწყვეტილება, პ.4;

⁷⁸² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 25 იანვრის #1/1/107 გადაწყვეტილება, პ.5;

⁷⁸³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 13 ივნისის #1/4/154,200 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ გაბუნია და არჩილ ლუღუშაური და შპს „ჯგუფი ქალაქური“ საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;

ამის გათვალისწინებით, საქართველოში მომხმარებელთა ინტერესების დასაცავად ისეთი გონივრული ვადის დადგენა, რომელიც ზღვარს დაუდებს პროდუქციის რეალიზაციას სახელმწიფო ენაზე სათანადო ნიშანდების გარეშე, სასამართლო კოლეგიის აზრით არ შეიძლება კონსტიტუციის 21-ე მუხლის დარღვევად იქნეს მიჩნეული.⁷⁸⁴

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განიხილა ერთი საქმე, რომელშიც დავის საგანს წარმოადგენდა აღიარებული საშინაო ვალის გასტუმრების ვადის და სისტემის საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან შესაბამისობა.⁷⁸⁵ საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა და აღიარების ფაქტი საკმარისად მიიჩნია საკუთრების უფლების პოზიციიდან.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში განიხილა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის და საკუთრების უფლების კონკურენციის საკითხი.⁷⁸⁶ სადავოდ გამხდარი ნორმატიული აქტებით სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა ისეთი ქონება, რომელშიც მოსარჩელები წილს ფლობდნენ. შემდგომ ქონების ნაწილს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი. საკონსტიტუციო სასამართლომ ძალაში დატოვა გასაჩივრებული ნორმა.

საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციურად მიიჩნია გაკოტრების საქმისწარმოების შესახებ კანონის დებულება, რომელიც განსაზღვრავდა სახელმწიფოს როგორც პრივილიგირებულ კრედიტორს და დამატებით ადგენდა რიგითობაზე დაფუძნებულ ანაზღაურების წესს ყველა მოთხოვნის ერთდროულად დაკმაყოფილების შეუძლებლობის შემთხვევაში.⁷⁸⁷ ამ საქმეში სასამართლომ მიმოიხილა ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი და შესაბამისი პრეცედენტული სამართალი და მის ფონზე შეაფასა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დადგენილი სტანდარტი. საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა აღნიშნული მოთხოვნა და განაცხადა, რომ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მომდინარეობდა საზოგადოების ინტერესების დაცვის ვალდებულებიდან. ამ შემთხვევაში სახელმწიფო *pare#s patriae* უფლებათა დამცველი გამოდიოდა: „სასამართლოს მიაჩნია, რომ აქედან გამომდინარე იქნა გადაწყვეტილი სახელმწიფოს მიერ გადასახადებისა და მოსაკრებლების გაკოტრების ტაბულის მეორე რიგში, ე.ი. პრივილეგირებულ კრედიტორად შეტანა საზოგადოების პრობლემების გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად.“⁷⁸⁸

⁷⁸⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 13 ივნისის #1/4/154,200 გადაწყვეტილება;

⁷⁸⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 აპრილის #2/4/194 გადაწყვეტილება საქმეზე მიხეილ ვადაჭკორია საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;

⁷⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 21 დეკემბრის #2/85/1 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები: თამაზ ხიდაშელი, შოთა ხიდაშელი და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე შენგელი მჭედლიძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;

⁷⁸⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 9 თებერვლის #2/1/327,336,344 გადაწყვეტილება საქმეზე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლილი და კომპანის“ დამფუძნებელი პარტნიორი მერაბ კიკვაძე საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინააღმდეგ;

⁷⁸⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 9 თებერვლის #2/1/327,336,344 გადაწყვეტილება, პ.2;

ამ საქმეში სასამართლომ დამატებით უარყო მოსარჩელის ერთ-ერთი მოთხოვნა, რომელიც ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურობას ეხებოდა: „სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას იმის თაობაზეც, რომ სადავო კანონის მიერ გაკოტრების ტაბულაში სახელმწიფოსათვის პრივილეგიური მდგომარეობის მინიჭებით ამ უკანასკნელს ეკარგება სტიმული, გადაარჩინოს საწარმო გაკოტრებისაგან, მისი დავალიანების უპირატესი ამოღების შესაძლებლობის გამო, და იოლადა მიდის გაკოტრების ინიცირებისაკენ. ეს მოსაზრება დამყარებულია ვარაუდზე და ამ მიმართულებით რაიმე დასაბუთება წარმოდგენილი არ ყოფილა.“⁷⁸⁹

4. დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შემდეგ შესაძლოა შემდეგი ძირითადი საკითხების განსაზღვრა:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთრების უფლება განიხილება როგორც ღირსების უფლებიდან მომდინარე უმნიშვნელოვანესი უფლება, რომელიც არასოციალისტური სახელმწიფოს ქვაკუთხედი და მეტწილად განაპირობებს მეწარმეობოს თავისუფლებას ქვეყანაში;
- საკუთრების უფლება განსაზღვრულია ზოგადი ნორმის სახით და ამდროულად მისი კონკრეტული გამოვლინებები მითითებულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტში;
- საკუთრების უფლება არის უფლება, რომელიც ექვემდებარება განსაზღვრებას. საქართველოს, კონსტიტუციის 21-ე მუხლიდან გამომდინარე აქვს ვალდებულება შექმნას საკუთრების უფლების ისეთი შინაარსი, რომელიც შესაბამისი იქნება კონსტიტუციურ სამართლებრივ მოთხოვნებთან და დამატებით დაცული იქნება ამავე მუხლის მეორე და მესამე პუნქტებით დადგენილი რეგულირებები;
- საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის სამივე პუნქტი შეიცავს უფლების შეზღუდვის დამოუკიდებელ საფუძვლებს, რომლებიც განსაზღვრულია საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი სამართალწარმოების პრაქტიკის მიხედვით;
- პირველი პუნქტი შესაძლებლობას იძლევა საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე საკუთრებაზე დაწესდეს კონტროლი, მეორე პუნქტი ნებას რთავს სახელმწიფოს კანონის შესაბამისად შეზღუდოს საკუთრების უფლება აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე და ამ მიზნით შესაძლებელია კონკრეტული უფლების ჩამორთმევა მესამე პუნქტის შესაბამისად;
- საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი ვრცელდება საჯარო და კერძო სამართალურთიერთობებზე;
- საკუთრების უფლება ორი კომპონენტისგან შედგება:

⁷⁸⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 9 თებერვლის #2/1/327,336,344 გადაწყვეტილება, პ.3;

- ნეგატიური – სახელმწიფოს ეკრძალება საკუთრების უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა;
- პოზიტიური – სახელმწიფო ვალდებულია კონსტიტუციის მატერიალურ–სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვროს საკუთრების უფლების დეფინიცია.
- საკუთრების უფლების საფუძველია მისი კანონიერად შექმნის ფაქტი და ისეთი საკითხები, როგორებიცაა საბაჟო და სხვა ადმინისტრაციული კონტროლი ვერ ახდენს მასზე გავლენას;
- საკონსტიტუციო სასამართლოს განსაზღვრული აქვს დეტალურად საკუთრების უფლების გასხვისება, ფლობა, შექმნა, მემკვიდრეობის უფლება;
- საკონსტიტუციო სასამართლო ერთმანეთისგან განასხვავებს საკუთრების უფლების შეზღუდვას და ჩამორთმევას და „საყოველთაო უფლების გაუქმებას“;
- საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი იცავს ისეთ ობიექტებს, როგორებიცაა – აქცია, წილი კაპიტალში, სხვადასხვა ფასიანი ქაღალდები, მოთხოვნის უფლება, მიუღებელი შემოსავალი. ამ სფეროში არ ექცევა პენსია, რომელიც სოციალურ უფლებად განიხილება და მხოლოდ ერთეულ შემთხვევაში ექვემდებარება კონსტიტუციით დაცულ სფეროში მოქცევას;
- საკონსტიტუციო სასამართლოს მრავლად აქვს განხილული ისეთი საკითხები, რომლებიც მომდინარეობდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივ სამართლიდან და უმეტეს შემთხვევაში გამოყენებულ იქნა ერთიანი მიდგომა, რომლის მიხედვითაც აუცილებელი იყო მხარეთა შორის გონივრული და სამართლიანი ბალანსის დაცვა;
- საკუთრების უფლების სუბიექტია შესაბამისი ფიზიკური ან იურიდიული პირი;
- საკუთრების უფლების შეზღუდვა ექვემდებარება ფორმალური და მატერიალურ–სამართლებრივი კრიტერიუმებს, რომლებიც დეტალურად არის განსაზღვრული საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკით;
- საკუთრების შეზღუდვის აუცილებელი მოთხოვნაა საკუთრების არსის შენარჩუნება, რომელიც როგორც პოზიტიურ–სამართლებრივად, ისე სასამართლოს გადაწყვეტილებებში მრავლადაა მოხსენიებული;
- საკუთრების უფლების შეზღუდვა და ჩამორთმევა ორივე საჭიროებს აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას, მაგრამ აღნიშნული პირველ შემთხვევაში მიზნის მიღწევის საშუალებასთან, ხოლო 21-ე მუხლის შესაბამისად პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში მიზანთანაა დაკავშირებული;
- აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება განსხვავებული შინაარსის მატარებელია საკუთრების უფლების შეზღუდვისას და ჩამორთმევისას;
- საკუთრების უფლების ჩამორთმევა ექვემდებარება მკაცრ ფორმალურ და მატერიალურ სამართლებრივ საფუძველებს, რომლებიც განსაზღვრულია კონსტიტუციაში და საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკით;

- საკუთრების უფლების შეზღუდვა ხორციელდება ლეგიტიმური საჯარო მიზნის არსებობისას, შესაბამისი თანაზომიერების პრინციპის დაცვით, რომლის ინდივიდუალური ელემენტები განსაზღვრულია საკონსტიტუციო სასამართლოს მრავალ გადაწყვეტილებაში;
- საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა არაერთი საქმე საქართველოს კონსტიტუციის 21-ე და 94-ე მუხლების კონტექსტში. სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის მიხედვით, თუ გადასახადი არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის მოთხოვნებს ავტომატურად ირღვევა საკუთრების უფლება;
- საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით შესაძლებელია გადასახადების შემოწმება სამართლიანობის თვალსაზრისით საკუთრების უფლების პოზიციიდან.

5. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით განიხილა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სასამართლო განჩინებები

(1) გიორგი გიგიბერია და (2) შალვა მგელაძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 10 მარტის #1/2/42,63 განჩინება/

მოსარჩელე გურამ სოსელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 18 მარტის #2/7/225 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე ნელი ნებიერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 19 თებერვლის #1/3/273 განჩინება/

მოსარჩელები – ომარ შერაზადიშვილი, თამაზ კოლუა, ვახტანგ რაზმაძე, რევაზ ყიფიანი, გიორგი ნადარეიშვილი და ნუგზარ სოტკილავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 29 მარტის #2/7/365,371 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე ნიაზ მიქელაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის #2/4/490 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე გვანცა ჭელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 21 სექტემბრის #2/1/499 განჩინება/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

„შპს “კოლხის” დამფუძნებელი თენგიზ სუდაძე ქ.ფოთის მერიის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 30 ოქტომბრის #2/1/17 გადაწყვეტილება/

მოქალაქეები იოსებ იუზას ძე ბიბილური და ლამარა ილიას ასული გელაშვილი საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 19

ნომბრის #2-2-9 გადაწყვეტილება საქმეზე/

მოქალაქე ალექსანდრე დანელია და მოქალაქე გიორგი ცომაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 30 დეკემბრის #1/2-14/19 გადაწყვეტილება/

მოქალაქე ოთარ ზოიძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 20 თებერვლის #1/3-21 გადაწყვეტილება/

ლევან ფურცხვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 25 მარტის #2/31-5 გადაწყვეტილება/

ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 21 ივლისის #1/51 გადაწყვეტილება/

იური კირაკოსიანი, სპირიდონ ვართანიანი, მარტიროს ჩარდუხიანი, პეტრე საფარიანი, სერგო ვართანოვი, ქეთევან ტოტოლაშვილი, ასკან მანუკიანი, როზა პოლოსიანი, სვეტლანა პერეგულკო, ნოდარ გიგაშვილი და შოთა მექვაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 29 იანვრის #2/36-7 გადაწყვეტილება/

მოქალაქეები ირაკლი ტულუში, ლონდა სიხარულიძე, ზურაბ დიდიშვილი, ვალერიან რევიშვილი, სიმონ ხომტარია, დავით ჯანგულაშვილი და რუსუდან ბოკუჩავა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 15 ივლისის #1/6-58,60,62,67 გადაწყვეტილება/

ვანო სისაური, თარიძან მალრაძე და ზურაბ მჭედლიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 23 თებერვლის #2/70-10 გადაწყვეტილება/

მალხაზ მუმლაძე, ეთერ ყიჟილაშვილი, ზურაბ სამხარაძე, თეიმურაზ გვერდუთელი, დავით ალხაზიშვილი, გურამ შულღიაშვილი, ირაკლი კიკაძე, აზა ნადიბაიძე, ადელაიდა ჭოჭელი და ზურაბ ანიკაშვილი საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 27 ივლისის #2/77/11 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები: თამაზ ხიდაშელი, შოთა ხიდაშელი და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე შენგელი მჭედლიძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 21 დეკემბრის #2/85/1 გადაწყვეტილება საქმეზე/

მოქალაქეები ლელა ინწვირველი და ეკატერინე ჩაჩანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 25 იანვრის #1/1/107 გადაწყვეტილება/

მოქალაქე გიორგი ყორღანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 24 ოქტომბრის #2/94/12 გადაწყვეტილება/

სერგო გოგეშვილი საქართველოს ეროვნული ბანკის და თანამოპასუხე სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის“ წინააღმდეგ /საქართველოს

საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 16 მაისის #2/102/1 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები – (1) ვალიდა დარბაიძე, ნათელა ციმაკურიძე და ნანა მირველაშვილი, (2) ნატალია ოკუჯავა, (3) მაია მელაძე, (4) მარი მიქიაშვილი, (5) დავით ადამიძე, ნანა სარაშვილი, გიორგი ოკუჯავა და სხვები (სულ 54 მოქალაქე), (6) ჟუჟუნა ბერიანიძე და (7) მარია ვარამაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივნისის #1/1/103/117/137/147-48,152-53 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ბერიაშვილი და ვიქტორ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 31 ოქტომბრის #1/2/106 გადაწყვეტილება/

მოქალაქეები – ლევან შარაშენიძე, დავით წიკლაური, თენგიზ გაჩეჩილაძე და თენგიზ ჩხაიძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 25 დეკემბრის #1/3/113 გადაწყვეტილება/

შპს „აირზენა საქართველოს ავიახაზები“ საქართველოს პარლამენტის და საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის #2/1/187-188 გადაწყვეტილება/

შპს „კავკასტრანსექსპედიტორი ევროპა აზია“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 28 იანვრის #2/2/167-202 გადაწყვეტილება/

(1) გიორგი გიგბერია და (2) შალვა მგელაძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 10 მარტის #1/2/42,63 განჩინება/

მოსარჩელე გურამ სოსელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 18 მარტის #2/7/225 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე აკაკი საღირაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 1 აპრილის #2/155 გადაწყვეტილება/

მიხეილ ვადაჭკორია საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 აპრილის #2/4/194 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ გაბუნია და არჩილ ლუდუშაური და შპს „ჯგუფი ქალაქური“ საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 13 ივნისის #1/4/154,200 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქე გრიგოლ კარგინი საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 30 აპრილის #1/2/204 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქე თამაზ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის

წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მაისის #1/9/287 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე ანზორ თევზაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 ნოემბრის #1/5/224 გადაწყვეტილება/

მოქალაქე მალხაზ ასათიანი, შპს „მშენებელი-5“, შპს „აიეტი“ და შპს „ოლია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 10 მარტის #2/2/275,291,296,299 გადაწყვეტილება/

სააქციო საზოგადოებები – „საქგაზი“ და „ანაჯგუფი“ (ყოფილი „თბილგაზოპარატი“) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის #1/14/184,228 გადაწყვეტილება/

1) მოქალაქეები: ლილი თელია, არჩილ მეფარიძე და გურამ თოხაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 2) მოქალაქე სერგო გოგიტიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 3) მოქალაქე როსტომ ბოლქვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება/

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლილი და კომპანიის“ დამფუძნებელი პარტნიორი მერაბ კიკვაძე საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 9 თებერვლის #2/1/327,336,344 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის #2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიძე, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქე აკაკი მიქაძე ქალაქ თბილისის საკრებულოს წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 4 დეკემბრის #2/9/450 გადაწყვეტილება საქმეზე/

შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოტა“, გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი“ და შპს „ენერგია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/2/411 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქე ნინო ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 22 მარტის #2/1/481 გადაწყვეტილება/

დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონჰეისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება/

მუხლი 22

1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება.
2. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან.
3. ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.
4. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.

(საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, #3710-სსმI, #62, 05.11.2010წ., მუხ.379)

შესავალი

1. დაცული სფერო;
 - 1.1. 22-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფერო
 - 1.2. 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცული სფერო
2. სუბიექტები;
3. უფლების შეზღუდვის საფუძველი
4. დასკვნა
5. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლთან მიმართებით

შესავალი

კონსტიტუციის 22-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება შესაძლოა კონკურირებადი იყოს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით დაცულ სიკეთესთან, ვინაიდან ადამიანისათვის გადაადგილების შესაძლებლობის შეზღუდვა ან მისი აღკვეთა წარმოადგენს პირადი თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლებაში მნიშვნელოვან ჩარევას. ამის გამო, ხშირად აუცილებელი ხდება ამ ორი უფლების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. კონსტიტუციის 22-ე მუხლით დაცული გადაადგილების თავისუფლება ხშირად უპირისპირდება კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცულ შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებას, რაც მოითხოვს ამ ორ უფლებას შორის გონივრული ბალანსის დაცვის აუცილებლობას.

1. დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლი აწესრიგებს ადამიანის ისეთ ფუნდამენტურ უფლებას, როგორცაა გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის, ქვეყნის ტერიტორიის თავისუფლად დატოვების და საქართველოში შემოსვლის უფლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, ცალ-ცალკეა განხილული პირველი პუნქტით დაცული გადაადგილების და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება, ასევე მე-2 პუნქტით დაცული ქვეყნის ტერიტორიის თავისუფლად დატოვების უფლება.

1.1. 22-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულია ადამიანის უფლება, თავისუფლად აირჩიოს თავისი საცხოვრებელი ადგილი. საცხოვრებელი ადგილის არჩევასთან დაკავშირებით პირის კონსტიტუციური დაცვა შემოიფარგლება ნების თავისუფალი გამოვლინების პროცესით. აღნიშნული ნორმა ვერ დაიცავს ადამიანს იმ გვერდითი მოვლენებისა თუ არასახარბიელო სამართლებრივი შედეგებისაგან, რომელიც ამგვარი გადაწყვეტილების მიღებას შეიძლება ახლდეს. საცხოვრებელი ადგილის არჩევასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება განსაზღვრულ რისკთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, რომლის მატარებელიც არის შესაბამისი სუბიექტი. კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია, რომ საცხოვრებელი ადგილის არჩევისას პიროვნების ნება იყოს თავისუფალი ყოველგვარი ზემოქმედებისაგან.

საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქმე, რომელშიც მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ „იმულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის (28.06.1996წ.) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მე-3 წინადადების შესაბამისობას, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველ პუნქტთან. სადავო ნორმის მიხედვით, პირი დევნილის სტატუსს კარგავდა საქართველოს რომელიმე რეგიონში დასახლებისა და რეგისტრაციაში გატარებისას. მოსარჩელები მიიჩნევდნენ, ადგილსამყოფელის გამოცვლისას პირის ნების საწინააღმდეგოდ დევნილის

სტატუსის შეწყვეტა ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველ პუნქტს.⁷⁹⁰

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა მოსაზრებები. სასამართლომ აღნიშნა: „სადავო ნორმა არ ახდენს პირის ნებაზე ზემოქმედებას, თავისუფლად აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი. სადავო ნორმის თანახმად, დევნილის მიერ რეგისტრაციას მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე მოჰყვება დევნილის სტატუსის დაკარგვა, რაც, სასამართლოს აზრით, არანაირად არ უშლის მათ, ისარგებლონ კონსტიტუციის აღნიშნული მუხლით მათთვის გარანტირებული უფლებით“.⁷⁹¹

კიდევ ერთი საქმე, რომელიც საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებას ეხებოდა, საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად არ მიიღო. აღნიშნულ საქმეში მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 267¹ მუხლის პირველმა პუნქტმა დაარღვია მისი საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება. სადავო ნორმა არეგულირებს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხს. მოსარჩელეს საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაუდგინდა, რომ ის იყო იმ პირის (მამკვიდრებლის) მემკვიდრე, რომელიც ცხოვრობდა განსაზღვრულ მისამართზე. მიუხედავად ამისა, სადავო ნორმა ითვალისწინებდა სასამართლო გადაწყვეტილების შეცვლის შესაძლებლობას და ართმევდა მას უფლებას, საცხოვრებლად აერჩია მამკვიდრებლის საცხოვრებელი სახლი.⁷⁹²

სასამართლომ მოსარჩელის მოსაზრება მიიჩნია დაუსაბუთებლად. სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელეს არასწორად ესმოდა სადავო ნორმის შინაარსი და მისი მოთხოვნა არ ემყარებოდა რეალურ მასალებს. სასამართლომ ასევე ვერ დაინახა შინაარსობრივი ურთიერთმიმართება გასაჩივრებულ ნორმასა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებას (კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტს) შორის.⁷⁹³

1.2. 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებულია ყველა ადამიანის უფლება, თავისუფლად დატოვოს საქართველოს ტერიტორია. აღნიშნული ნორმა ძირითადად, იცავს ადამიანის უფლებას - მიიღოს გადაწყვეტილება და საქართველოს ტერიტორია დატოვოს უშუალოდ. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ნორმის არსი არ ამოიწურება მხოლოდ საკუთარ თავთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებით. საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავდა ერთ-ერთ საქმეს, სადაც შვილი ითხოვდა იმ სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც ეხებოდა მშობლის უფლებას, მისი თანხმობის გარეშე არ მომხდარიყო

⁷⁹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 7 ნოემბერის #2/7/219 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეები: ჯანო ჯანელიძე, ნინო უბერი, ელეონორა ლავგილავა და მურთაზ თოდრაი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

⁷⁹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 7 ნოემბერის #2/7/219 გადაწყვეტილება, პ.4;

⁷⁹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 5 დეკემბერის #1/13/352 განჩინება საქმეზე მოქალაქე ნელი ნებიერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

⁷⁹³ იქვე;

საკუთარი სრულწლოვანი შვილის მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვება.⁷⁹⁴ საკონსტიტუციო სასამართლომ დასაშვებად სცნო აღნიშნული სარჩელი და აღიარა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი იცავდა აღნიშნულ უფლებას.

ზემოხსენებულ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლოს გადასაწყვეტი ჰქონდა, რამდენად შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებს „საქართველოს რესპუბლიკიდან ემიგრაციის წესის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 15 აპრილის #212 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-10 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი. სადავო ნორმა ითხოვდა სრულწლოვანი შვილის „მშობლების წერილობით თანხმობას შვილების საზღვარგარეთ მუდმივ საცხოვრებლად წასვლაზე“. მოსარჩელე მხარე ამტკიცებდა, რომ მსგავსი სახის შეზღუდვა არ შეესაბამებოდა ლეგალურობის მოთხოვნებს, ვინაიდან შეზღუდვა გათვალისწინებული იყო არა კანონით, როგორც ამას საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი ითხოვდა, არამედ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

საკონსტიტუციო სასამართლოს არ ჰქონია შესაძლებლობა ემსჯელა კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევის არსებობის საკითხზე, ვინაიდან საქმის არსებითი განხილვის მომენტისათვის შეიცვალა სადავო ნორმის შინაარსი (სიტყვა „თანხმობის“ შემდეგ დაემატა სიტყვა „არასრულწლოვანი“) და შესაბამისად, აღარ არსებობდა დავის საგანი. რის შემდეგაც, მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, შეწყდა სამართალწარმოება.⁷⁹⁵

2. სუბიექტები

ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის არჩევის, საქართველოდან გასვლის უფლების სუბიექტია „ყველა, ვინც კანონიერად იმყოფება“ საქართველოს ტერიტორიაზე. „ყველაში“ იგულისხმება როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე მოქალაქეობის არმქონე პირი და უცხოელი. სასამართლომ განმარტა: „ამ ტერმინოლოგიურ მრავალფეროვნებაში, ერთი ცხადია, რომ ... „ყველა“ ... პირთა გაცილებით ფართო წრეს გულისხმობენ, ვიდრე „საქართველოს მოქალაქე“, ეხება ყველა ადამიანს, მათი მოქალაქეობრივი კუთვნილებისაგან დამოუკიდებლად, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირებს“.⁷⁹⁶

სპეციალური სუბიექტი ჰყავს საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-4 პუნქტით დაცულ უფლებას - საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალი შემოსვლის უფლებას. მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს აქვს კონსტიტუციით გარანტირებული უფლება - თავისუფლად შემოვიდეს საქართველოს ტერიტორიაზე. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა: „...“

⁷⁹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 14 აგვისტოს #1/15/38 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე იური ბრაცლავსკი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;

⁷⁹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 14 აგვისტოს #1/15/38 განჩინება;

⁷⁹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2010 წლის 28 ივნისის #466 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.5;

ხოლო ტერმინები „საქართველოს მოქალაქე“ და „მოქალაქე“ შემოღებულია ზუსტად პირთა წრის შემოსაფარგლად მოქალაქეობრივი კუთვნილების ნიშნით. რიგ შემთხვევაში ზუსტად მოქალაქეობა ან მისი არქონა გადამწყვეტია პირის უფლებრივი სტატუსის განსაზღვრისათვის.⁷⁹⁷

საქართველოს კონსტიტუციის 1995 წლის 24 აგვისტოს რედაქციაში 22-ე მუხლს არ ჰქონდა მე-4 პუნქტი. საქართველოს მოქალაქის უფლება - თავისუფლად შემოსულიყო საქართველოს ტერიტორიაზე - გარანტირებული იყო კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით. 2010 წლის 15 ოქტომბრის #3710-III „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონით საქართველოს მოქალაქის საქართველოში შემოსვლის უფლება მე-4 პუნქტის სახით ჩამოყალიბდა.

3. უფლების შეზღუდვის საფუძვლები

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს აღნიშნული მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევის საფუძვლებს. საკონსტიტუციო სასამართლოს ამ დრომდე არ ჰქონია აღნიშნული ნორმის (პუნქტის) გამოყენების შესაძლებლობა. გადაადგილების თავისუფლებასა და სხვა უფლებას - შეკრების თავისუფლებას შორის კონფლიქტი და შესაბამისად, 22-ე მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევის საფუძვლები საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 24-ე და 25-ე მუხლების კონტექსტში. რა გარემოებების არსებობის შემთხვევაში ხდება შეკრების თავისუფლება გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი და როდის პრევალირებს გადაადგილების თავისუფლება შეკრების თავისუფლებასთან მიმართებაში, ამ საკითხზე იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის 2011 წლის 18 აპრილს მიღებულ გადაწყვეტილებაში.

საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11¹ მუხლის კონსტიტუციურობის საკითხი. სადავო ნორმა კრძალავდა ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვას, შესაბამისად, ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებას მცირერიცხოვანი მანიფესტანტებით, დროებითი კონსტრუქციებითა თუ სატრანსპორტო საშუალებებით.⁷⁹⁸

საკონსტიტუციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში, კოლიზიაში მყოფი ორი უფლების შედარებისას, უპირატესობა გადაადგილების თავისუფლებას მიანიჭა. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება მთელ როგ შემთხვევებში ზღუდავს სხვა ადამიანების გადაადგილების თავისუფლებას. როგორც საკონსტიტუციო

⁷⁹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2010 წლის 28 ივნისის #466 გადაწყვეტილება, II.3.5;

⁷⁹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილს #482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად მიდიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I.3.16;

სასამართლომ აღნიშნა: „...მესამეპირთავის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, შეკრების (მანიფესტაციის) უფლების რეალიზაციის თანმდევ შედეგს, მის გვერდით მოვლენას შეიძლება წარმოადგენდეს. „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონი 11¹ მუხლის პირველი და მეორე პუნქტები სწორედ ასეთი „თანმდევი“ ეფექტის საკანონმდებლო რეგულაციის, განსხვავებული უფლებების რეალიზაციის შედეგად გამოწვეული კონფლიქტის მოწესრიგებას ისახავს მიზნად. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ამ კონფლიქტის მოგვარებაში ხელისუფლების მიხედულების ფარგლები არ არის უსაზღვრო“.⁷⁹⁹

ხელისუფლება მოცემული კანონით სწორედ ამგვარ „თანმდევი ეფექტს“ არეგულირებს: შეკრების თავისუფლებას გადაადგილების თავისუფლებასთან მიმართებაში უპირატესობა ენიჭება მაშინ, როდესაც შეკრებაში ბევრი მანიფესტანტი მონაწილეობს. გადაადგილების თავისუფლება მხოლოდ მაშინ ეწირება შეკრების თავისუფლებას, როდესაც ამ უკანასკნელ უფლებას ეგზისტენციური საფრთხე ექმნება. ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხება და, აქედან გამომდინარე, სხვათა გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა ობიექტური აუცილებლობით უნდა იყოს განპირობებული.

სასამართლომ აღნიშნა: როდესაც უფლებებს შორის კოლიზია გარდაუვალია – იმ შემთხვევაში, როდესაც შეკრებების ან მანიფესტაციის მონაწილეთა რაოდენობა სხვათა გადაადგილებას შეუძლებელს ხდის, უპირატესობა კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცულ უფლებას ენიჭება, ვინაიდან, სხვაგვარად შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება ხელმიუწვდომელი იქნებოდა მრავალრიცხოვანი შეკრების მონაწილეთათვის, რომლებიც სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, იძულებული იქნებიან, საერთოდ თქვან უარი შეკრების უფლების რეალიზებაზე. შესაბამისად, შეკრების (მანიფესტაციის) უფლებას უპირატესობა უნდა მიენიჭოს, თუ მისი რეალიზება სხვათა უფლებების შეზღუდვის გარეშე შეუძლებელია, როდესაც გზის სავალი ნაწილის გადაკეტვა ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში, კანონით დადგენილი აკრძალვის მიზანია უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფა, გამოხატვის თავისუფლებასა და გადაადგილების თავისუფლებას შორის ბალანსის დადგენა, იმ ადამიანების უფლებების დაცვა, რომლებიც საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ პროცესის „იძულებით მონაწილე ხდებიან“, რომელთა კანონიერი ინტერესები მანიფესტაციის ან შეკრების შედეგად იზღუდება“.⁸⁰⁰

მიუხედავად ამისა, გადაადგილების თავისუფლების უფლება იცავს ადამიანის შესაძლებლობას, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ არ გახდეს „შეკრების იძულებით მონაწილე.“ მცირერიცხოვანი შეკრებისას არ არსებობს ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვის ობიექტური აუცილებლობა და ამ დროს ხელისუფლებას ეკისრება გადაადგილების თავისუფლების პოზიტიური დაცვის ვალდებულება. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: „როდესაც მანიფესტაციის განხორციელების შესაძლებლობა

⁷⁹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილს #482,483,487,502 გადაწყვეტილება II.3.35;

⁸⁰⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილს #482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.38;

სხვათა უფლებების შეუღლებად და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გარეშე არის შესაძლებელი იმ ადგილას, სადაც მანიფესტაციის პროტესტის ან მხარდაჭერის ადრესატი იმყოფება, ხელისუფლება უფლებამოსილია, შეზღუდოს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება, თუ ის ქუჩის ბლოკირებაში, მის გადაკეტვაში გამოიხატება, რომელიც სხვათა უფლებების და თავისუფლებების დარღვევას იწვევს ან საზოგადოებრივ წესრიგს და უსაფრთხოებას უპირისპირდება“.⁸⁰¹

4. დასკვნა:

- კონსტიტუციით დაცულია საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და გადაადგილების თავისუფლება და არა ის უარყოფითი შედეგი, რომელიც ამგვარი თავისუფლების გააზრებულად და ნებაყოფლობით არჩევას მოყვება;
- პრაქტიკის ანალიზის შედეგად, შესაძლებელია, ვივარაუდოთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს შესაძლებლობას, კონსტიტუციის 22-ე მუხლით დაცულ უფლებად მიიჩნიოს საკითხი, რომელიც შეეხება მშობლის უფლებას, მისი თანხმობის გარეშე არ დაუშვას (არასრულწლოვანი) შვილის მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვება;
- გადაადგილების თავისუფლებისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის, აგრეთვე ქვეყნიდან გასვლის უფლების სუბიექტია, როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე მოქალაქეობის არმქონე პირი და უცხოელი;
- ქვეყნში თავისუფლად შემოსვლის უფლების სუბიექტია მხოლოდ საქართველოს მოქალაქე;
- გადაადგილების თავისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში იზღუდება შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით, თუკი დადასტურდება, რომ სხვაგვარად შეუძლებელია შეკრების უფლების რეალიზება და მანიფესტაციის მონაწილეთა რაოდენობიდან გამომდინარე გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს.

5. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები

მოქალაქე ნელი ნებიერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 5 დეკემბერის #1/13/352 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე იური ბრაცლავსკი საქართველოს პრეზიდენტის

⁸⁰¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილს #482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.3;

წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 14 აგვისტოს #1/15/38 განჩინება/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

მოქალაქეები: ჯანო ჯანელიძე, ნინო უბერი, ელენორა ლაგვილავა და მურთაზ თოდრია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 7 ნოემბერის #2/7/219 გადაწყვეტილება/

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2010 წლის 28 ივნისის #466 გადაწყვეტილება/

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრობა ერთიანი საქართველოსთვის“ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად მიმიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილს #482,483,487,502 გადაწყვეტილება/

მუხლი 23

1. ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია.
2. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია.
3. შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადაღება და გავრცელების აკრძალვა დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციის 23-ე მუხლთან დაკავშირებით არ აქვს პრაქტიკა, რომელშიც ამ მუხლის შინაარსი, დაცული სფერო იქნებოდა განმარტებული. მხოლოდ რამდენიმე საქმეში იქნა კონსტიტუციის 23-ე მუხლთან მიმართებით სადავო აქტა არაკონსტიტუციურობა მოთხოვნილი, მაგრამ საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გასაზღვრული პროცედურული გარემოებების გამო ან არც ერთი მათგანი არ დაკმაყოფილდა, ან უბრალოდ შეწყდა სამართალწარმოება.⁸⁰²

⁸⁰² იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 17 ივლისის #2/104/1 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე გივი იასეშვილი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 15 ოქტომბრის #1/10/165 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე იასონ რეხვიაშვილი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 6 ოქტომბრის #1/7/61 განჩინება საქმეზე ლევან სანიკიძე, რევაზ მიშველაძე, არჩილ ჩხეიძე, ოლეგ ნამიჩიეშვილი, ალბერტ ბატიაშვილი, მურმან კვარაცხელია, ავთანდილ გვიშიანი, ბიმურზა აფრასიძე, ნოდარ უგრელიძე, ლეილა კაკაბაძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ.

მუხლი 24

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.
2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია.
3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.
4. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიალური მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

შესავალი

1. გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა
2. დაცული სფერო
3. 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი
4. სუბიექტები
5. უფლების შეზღუდვის საფუძვლები
 - 5.1. სხვათა უფლებების დაცვა
 - 5.2. საზოგადოებრივი მორალი
 - 5.3. ლიცენზირება
 - 5.4. თანამგზავრული სისტემის გამოყენებით მაუწყებლის ლიცენზირების ვალდებულება
 - 5.5. ლიცენზირების 30 დღიანი ვადა
 - 5.6. სასამართლოს დამოუკიდებლობა
 - 5.7. გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივი რეგულირება
 - 5.8. გრაფიტის აკრძალვა
6. დასკვნა
7. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 24-ე მუხლთან მიმართებით

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით დაცულია გამოხატვის თავისუფლების ზოგადი უფლება. ხშირად აუცილებელი ხდება მისი გამოიჯვანა კონსტიტუციის სხვა მუხლებიდან, როგორც არის, მაგალითად, 25-ე, მე-19, 28-ე და 41-ე მუხლები. წინამდებარე თავში არ იქნება განხილული მათ შორის სხვაობა, აღნიშნული მიმოხილულია შესაბამისი მუხლების კომენტარებისას.

1. გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა

ყველა უფლებას, რომელიც კონსტიტუციის ტექსტშია მოცემული, საკუთარი მნიშვნელობა და დატვირთვა აქვს. საკონსტიტუციო სასამართლო საკუთარ გადაწყვეტილებებში ხშირად აღნიშნავს ამ ფაქტორს. „დემოკრატიის პრინციპს უკავშირდება ინფორმაციისა და აზრის თავისუფლება, რადგანაც ინფორმაციული ვაკუუმისა და აზრის შეზღუდვის პირობებში, წარმოუდგენელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა და დემოკრატიული კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგის სიცოცხლისუნარიანობა.“⁸⁰³

სწორედ ამიტომ, გამოხატვის თავისუფლების სპეციფიური მახასიათებელი არის ის ფაქტი, რომ იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული დემოკრატიის სათანადო ფუნქციონირებასთან. „არსებობს კონსენსუსი დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობასთან მიმართებით...“⁸⁰⁴ სასამართლო აღნიშნავს: „გამოხატვის თავისუფლების უფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. აზრისა და ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელება უზრუნველყოფს შეხედულებათა მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას, შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობას.“⁸⁰⁵ „სასამართლო მიიჩნევს, რომ სიტყვის თავისუფლება დიდი ხანია დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელ და ძირითად ფუნქციონალურ ელემენტს მიეკუთვნება.“⁸⁰⁶ ეს ნიშნავს არა მხოლოდ

⁸⁰³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერი #2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ. პ.11.4.; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად მიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.25;

⁸⁰⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.30;

⁸⁰⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.3.26;

⁸⁰⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბერის # 2/2/180-183 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყემელაშვილი, ნინო ტყემელაშვილი, მათ შარქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

მჭიდრო კავშირს გამოხატვის თავისუფლებასა და დემოკრატიას შორის, არამედ იმასაც, რომ თავისუფალი გამოხატვა ამუშავებს დემოკრატიას.

სასამართლო იმასაც ამბობს, რომ გამოხატვის თავისუფლების სათანადო იმპლემენტაციის გარეშე შეუძლებელია სხვა უფლებების სრულყოფილად განხორციელება. „გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების საფუძველია, ამ უფლების სათანადო უზრუნველყოფის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია სხვა უფლებების სრულყოფილი რეალიზაცია. სახელმწიფო ვერ იქნება წარმატებული, თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიის გარეშე, რომლის მთავარ ფუნქციას საზოგადოების ინფორმირება, მისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის ხელშეწყობა წარმოადგენს. სწორედ გამოხატვის თავისუფლების ხარისხი განსაზღვრავს ქვეყნის (საზოგადოების) თავისუფლებისა და დემოკრატიულობის ხარისხს...”⁸⁰⁷

2. დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი იცავს გამოხატვის თავისუფლებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, მას მჭიდრო კავშირი აქვს კონსტიტუციის კიდევ რამდენიმე მუხლთან, მეტი სიცხადისათვის, საკუთრივ 24-ე მუხლი აქ იქნება განხილული. „... თავისუფალი საზოგადოება შედგება თავისუფალი ინდივიდებისაგან, რომლებიც ცხოვრობენ თავისუფალ ინფორმაციულ სივრცეში, თავისუფლად აზროვნებენ, აქვთ დამოუკიდებელი შეხედულებები და მონაწილეობენ დემოკრატიულ პროცესებში, რაც აზრთა გაცვლა-გამოცვლასა და პაექრობას გულისხმობს. ნებისმიერ ადამიანს უფლება აქვს გამოხატოს თავისი აზრი, ან თავი შეიკავოს მისი გამოხატვისაგან. კონსტიტუცია ამ მიმართებით კატეგორიულია – ის კრძალავს ადამიანის დევნას აზრის გამო, ასევე მის იძულებას, რომ გამოთქვას აზრი. ეს არის მკაცრი დანაწესი სახელმწიფოს, მისი ორგანოების მიმართ, რომელიც გამონაკლისს არ უშვებს. დემოკრატიული პროცესის მამოძრავებელია ის ძალა, სულიერი გავლენა, რომელიც აზრისათვის არის დამახასიათებელი. კონსტიტუცია იცავს აზრის გამოხატვისა და გავრცელების პროცესს, მის შინაარსსა და ფორმებს, თუმცა, იმავდროულად, ამ უფლებათა შეზღუდვის ფორმალურ და მატერიალურ პირობებსაც ადგენს.”⁸⁰⁸

„საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი გამოხატვის თავისუფლების სხვადასხვა ასპექტებს შეიცავს. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტით დაცულია აზრის და ინფორმაციის გავრცელების უფლება „ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით”, ის გამოხატვის თავისუფლების, აზრის გავრცელების შესაძლებლობის გარანტიებს შეიცავს. ამ მუხლით დაცულია ადამიანის შეხედულებები, მისი რწმენა, ინფორმაცია, ასევე ის საშუალებები, რომლებიც მათი გამოთქმისა და გავრცელებისათვის არის შერჩეული, მათ შორის არის პრესა, ტელევიზია, ინფორმაციის და აზრის

⁸⁰⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბერის # 1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.6;

⁸⁰⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერი #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.13;

გავრცელების სხვა საშუალებები.”⁸⁰⁹

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ეს არის ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება. „... გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად ფუნდამენტს და მისი პროგრესისა და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის ძირითად პირობას. აღნიშნული უფლება შეესაბამება საჯარო ხელისუფლების ვალდებულებას, ხელმისაწვდომი გახადოს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაცია გონივრული შეზღუდვების ფარგლებში.”⁸¹⁰ „კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულია ინფორმაციის თავისუფლება, მისი თავისუფალი გავრცელება და მიღება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, ინფორმაციის მატარებლებიდან, რომლებიც გამოსადეგია ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელებისათვის. თავისუფალი ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია თავისუფალი აზრის ჩამოყალიბება. ეს არის ნორმა, რომელიც კრძალავს საზოგადოებისათვის, ადამიანის გონებისათვის „ინფორმაციული ფილტრის” დაყენებას, რაც დამახასიათებელია არადემოკრატიული რეჟიმებისათვის.”⁸¹¹ „კონსტიტუციის 24-ე მუხლი იცავს ადამიანის უფლებას, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს საკუთარი აზრი, საგანგებოდ იცავს აზრისა და ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებით გავრცელების შესაძლებლობას, ...მათ შორის არის პრესა, ტელევიზია, ინფორმაციის და აზრის გავრცელების სხვა საშუალებები.”⁸¹² ასე რომ კონსტიტუცია იცავს არა მხოლოდ აზრის გავრცელების უფლებას, არამედ იმასაც, რომ ამისათვის გამოიყენო სხვადასხვა საშუალებები.

რა შეიძლება ითქვას ინფორმაციის მიღების უფლებაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს მიაჩნია, რომ „ინფორმაციის თავისუფლებას საქართველოს კონსტიტუცია გამორჩეულ ადგილს ანიჭებს და დიდ ყურადღებას უთმობს. საზოგადოებაში, სადაც აზრის თავისუფლება აღიარებულია და დაცულია კონსტიტუციით, ასევე, დაცულია ინფორმაციის თავისუფლებაც. ინფორმაციის თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელია აზრის თავისუფლებისა და თავისუფალი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სასიცოცხლო დისკუსიისა და აზრთა ჭიდილის პროცესის უზრუნველყოფა. აზრის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია, რომ მოპოვებულ იქნეს ინფორმაცია, ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება კი უზრუნველყოფს, რომ აზრი მივიდეს ავტორიდან ადრესატამდე. გარდა საზოგადოებრივი დატვირთვისა, ინფორმაციის თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეული ინდივიდის პიროვნული და ინტელექტუალური განვითარებისათვის...”⁸¹³

⁸⁰⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.3;

⁸¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის #2/2/359 გადაწყვეტილება საქმეზე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.1;

⁸¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერი #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.14;

⁸¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.3.28;

⁸¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერი, #2/3/406,408, გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.10;

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით „გარანტირებულია ინფორმაციის „თავისუფალი გავრცელება და მიღება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, ინფორმაციის მატარებლებიდან, რომლებიც გამოსადეგია ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელებისათვის.“⁸¹⁴

სასამართლომ მიაჩნია, რომ ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია რას იცავს 24-ე მუხლი: „... პირის უფლებას, გაავრცელოს ინფორმაცია საკაბელო ქსელის ან/და თანამგზავრული სისტემის გამოყენებით. აგრეთვე თავად მაუწყებლის, როგორც იურიდიული პირის უფლებას, დაუბრკოლებლად განახორციელოს მაუწყებლობა. სადავო ნორმით გათვალისწინებული ლიცენზირების ვალდებულება სამაუწყებლო მედიის საქმიანობის შეზღუდვას წარმოადგენს და, ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევას ნიშნავს.“⁸¹⁵

სასამართლო გამოხატვის თავისუფლებაზე მსჯელობისას დაეყრდნო ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს და განაცხადა, რომ „... დაცვის სფერო მოიცავს არა მხოლოდ იმ „ინფორმაციას“ ან „იდებებს“, რომელთაც იზიარებს საზოგადოება ან არ არის შეურაცხმყოფელი, ან მისდამი ინდიფერენტული დამოკიდებულებაა, არამედ ასევე ისეთს, რომელიც შეურაცხყოფს, შოკის მომგვრელია და აწუხებს სახელმწიფოს ან საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება“⁸¹⁶ სასამართლომ ცალსახად განაცხადა, რომ „დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ კონსტიტუციით დაცულია კრიტიკული აზრი, მათ შორის ისეთიც, რომელსაც საზოგადოების ნაწილი შეიძლება ზედმეტად მკაცრად ან არადეკვატურად აღიქვამდეს. ხელისუფლების მიმართ გამოთქმული კრიტიკა, მათ შორის, ზოგადად ხელისუფლების, მისი კონკრეტული წევრის ან მმართველობის ფორმის შეცვლის მოთხოვნა ვერ გახდება გამოხატვის თავისუფლების, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შეზღუდვის საფუძველი.“⁸¹⁷

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს „მუხლი მოიცავს სამ ძირითად უფლებას - ინფორმაციის, აზრისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებას. კონსტიტუციის აღნიშნული მუხლი განამტკიცებს ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების, საკუთარი მოსაზრების გამოთქმისა და გავრცელების უფლებას ნებისმიერი საშუალებით. ამ უფლების განხორციელება, ძირითადად, თვითონ უფლებამოსილი სუბიექტის აქტივობაზეა დამოკიდებული, სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში მხოლოდ ის ვალდებულება ეკისრება, რომ ხელი არ შეუშალოს პირს, მიიღოს ინფორმაცია, გამოთქვას თავისი მოსაზრება, აგრეთვე არ შეიზღუდოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ცენზურის

⁸¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერი, #2/3/406,408, გადაწყვეტილება, II.3.11;

⁸¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.3.29.;

⁸¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბერის # 1/3/421,422 გადაწყვეტილება, II.3.7;

⁸¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.106;

დაწესებით.”⁸¹⁸

სასამართლომ გარდა იმისა, რომ განმარტა, რა ექცევა 24-ე მუხლით დაცულ სფეროში, ასევე ისიც მიუთითა, რას არ იცავს ეს უფლება. მათ შორის დაცული არ არის იურიდიული პირის მართვა ან მართვის ორგანოში არჩევა. „... დაცული სიკეთე არ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირის მართვის ორგანოს საქმიანობაში მონაწილეობის ან გარკვეულ თანამდებობაზე ყოფნის უფლება. მოსარჩელეთა მიერ გამოხატვის ფორმის ფართო ინტერპრეტაცია ძალიან შორს წაგვიყვანდა და ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოსა თუ თანამდებობის, სადაც პირი გარკვეულ აზრებსა და იდეებს გამოთქვამს, რეფორმირებას ან გაუქმებას დაუქვემდებარებდა ისეთი გარემოებების არსებობას, როგორცაა ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დანაშაულის თავიდან აცილება და ა.შ. კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლების მიზანია დემოკრატიულ საზოგადოებაში აზრისა და ინფორმაციის თავისუფალი გაცვლა-გამოცვლის პროცესის უზრუნველყოფა და არა რომელიმე ორგანოს ან თანამდებობის სტაბილურობის გარანტირება.“⁸¹⁹

იგივე შეიძლება ითქვას ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირის ხელშეუხებლობაზე. „სადავო ნორმებიდან არც ერთი, თუნდაც ირიბად, არ ითვალისწინებს, რომ მოსარჩელეებს ეკრძალებათ ან ეზღუდებათ ინფორმაციის მიღება ან გავრცელება. ისევე, როგორც აზრის თავისუფლების შემთხვევაში, ეს ძირითადი უფლებაც არ იძლევა ისეთი ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას, რომ მისი დაცვის ქვეშ მოექცეს რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის (რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება აშკარად არ არის ინფორმაციის გავრცელება) და ამ ორგანოს წევრის ან თანამდებობის პირის ხელშეუხებლობა.“⁸²⁰

ამგვარად დაცული სფეროს განხილვის შემდეგ შესაძლებელია შემდეგი საკითხების გარკვევა.

3. 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი იცავს გამოხატვის თავისუფლების სპეციფიურ ნაწილს, აზრისა და ინფორმაციის თავისუფალად გავრცელების ერთ-ერთ საშუალებას - მედიის თავისუფლებას.⁸²¹

⁸¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის # 2/3/364 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

⁸¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერი #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.16;

⁸²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერი #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.17;

⁸²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.7;

4. სუბიექტები

გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა თანაბრად შეუძლიათ როგორც ფიზიკურ პირებს, ისე პირთა ჯგუფს. „სახელმწიფო, იღებს ... ვალდებულებას ერთნაირად უზრუნველყოს პირთა ჯგუფის, თუ ცალკეულ პირთა უფლება, აზრის მათთვის სასურველი ფორმით თავისუფლად გამოხატვაზე...“⁸²²

5. უფლების შეზღუდვის საფუძვლები

გამოხატვის თავისუფლებას აქვს ხშირად შეიძლება შეეწინააღმდეგოს ადამიანის ხვა უფლებებს, ისევე როგორც საჯარო ინტერესებთან (კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური საფუძველი, სხვა კონსტიტუციური უფლებები და პრინციპები).⁸²³ „... ამ უფლების გამოვლინება ხშირად კონფლიქტში მოდის სხვათა უფლებებთან ან საზოგადოების ინტერესებთან, ისეთებთან, როგორცაა საზოგადოებრივი წესრიგი, უსაფრთხოება და ა.შ.“⁸²⁴

უფლებათა უმრავლესობის მსგავსად, გამოხატვის თავისუფლებაც არ არის აბსოლუტური უფლება,⁸²⁵ ეს ნიშნავს, რომ მისი შეზღუდვა დასაშვებია სხვადასხვა შემთხვევაში, ლეგიტიმური ინტერესის შესაბამისად. „... ინფორმაციის და აზრის გავრცელების უფლება არ არის აბსოლუტური, მისი შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნები საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლში არის მოცემული. საკანონმდებლო ნორმა, რომელიც აზრისა და ინფორმაციის გავრცელებას ზღუდავს, ამავე მუხლით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას უნდა ემსახურებოდეს. კონსტიტუცია გამოხატვის თავისუფლების ამ ასპექტის შეზღუდვას კონსტიტუციითვე დაცული სიკეთის უზრუნველსაყოფად ითვალისწინებს და შეზღუდვის საფუძვლების ამომწურავ ჩამონათვალს ადგენს.“⁸²⁶ სასამართლო შეზღუდვის საფუძვლებში 24-ე მუხლის მე-4 პუნქტს გულისხმობდა.

ამავდროულად მნიშვნელოვანია მიზეზობრივი კავშირი მიზანსა და საშუალებას შორის, „... [24-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული] მიზნები გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კონსტიტუციურ საფუძველს მართლაც წარმოადგენს, თუმცა კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის

⁸²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბერის # 2/2/180-183 გადაწყვეტილება;

⁸²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.25;

⁸²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.3.29; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბერის # 2/2/180-183 გადაწყვეტილება, 3.5; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.26;

⁸²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბერის #1/3/421,422 გადაწყვეტილება, II.3.5; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის #2/3/364 გადაწყვეტილება; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის #2/2/359 გადაწყვეტილება;

⁸²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, 3.II.29,39; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერის #2/2-389 გადაწყვეტილება, 3.II.14; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, 3.II.25;

გასამართლებად კონკრეტული საზოგადოებრივი სიკეთის დასახელება არ კმარა, აუცილებელია, რომ ლეგიტიმურ მიზანსა და უფლების შეზღუდვას შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი არსებობდეს. ... სახელმწიფოს მიერ ... რეგულირება უნდა განხორციელდეს გამოხატვის თავისუფლების იმგვარი შეზღუდვით, რომელიც აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდვა ლეგიტიმურ მიზანს ლოგიკურად არ უკავშირდება - შეზღუდვა გაუმართლებელია...⁸²⁷

თუმცა იმისათვის, რომ უფლების შეზღუდვა ლეგიტიმური იყოს, არ არის საკმარისი მხოლოდ დასახელებულ მიზნებთან შესაბამისობის გარკვევა. სახელმწიფომ მხოლოდ ის კი არ უნდა განაცხადოს, რომ კონკრეტული უფლება იზღუდება რაიმე მიზნის მისაღწევად, არამედ ისიც, რომ „...ჩარევა გარდაუვალია კონსტიტუციით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, სახელმწიფომ მიზნის მიღწევის პროპორციულ და ნაკლებად მზღუდავ საშუალებას უნდა მიმართოს.“⁸²⁸ ამრიგად „...ამ უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში არის გამართლებული.“⁸²⁹

კონკრეტულად სასამართლომ უნდა გაარკვიოს:

- დაცულია თუ არა პროპორციულობა ინდივიდის უფლებასა და საჯარო ინტერესებს შორის;
- სახელმწიფო ვალდებულია ამტკიცოს, რომ [კონკრეტული უფლებაშეზღუდავი რეგულირება] მიზნის პროპორციულ, ვიწროდმიმართულ და ნაკლებად მზღუდავ საშუალებას წარმოადგენს;
- შეზღუდვა კონსტიტუციასთან შესაბამისობაშია, თუ ის დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების პირობებში კონსტიტუციით დაცული სიკეთის უზრუნველსაყოფად არის აუცილებელი და თუ გამოხატვის შეზღუდვის შედეგად დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით გამოწვეულ ზიანს.⁸³⁰

ამავდროულად მნიშვნელოვანია, რომ „ხელისუფლება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებდეს, როდესაც ის მედია საშუალებების, პოლიტიკური ან საზოგადოებრივი გაერთიანებების რეგისტრაციის ან რეგულირების ნორმებს ადგენს. სხვადასხვა ტიპის რეგულაციებს შორის ხელისუფლება უფლებამოსილია, აირჩიოს ის ტიპი, რომელიც ლეგიტიმური ამოცანის მისაღწევად საუკეთესო საშუალებად მიაჩნია. ხელისუფლება უფლებამოსილია, დააწესოს ფორმალური, შინაარსობრივად ნეიტრალური შეზღუდვები გამოხატვის თავისუფლების უფლების განხორციელებაზე, თუმცა ასეთი შეზღუდვა (რეგულირება) ლეგიტიმური მიზნის მიღწევისაკენ უნდა იყოს მიმართული და ამ მიზნის

⁸²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.პ.43.44;

⁸²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.პ.32;

⁸²⁹ იქვე;

⁸³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.პ.34;

მიღწევის აუცილებელ წინა პირობას უნდა წარმოადგენდეს.”⁸³¹

უფლების შეზღუდვისას მნიშვნელოვანია, რომ „...შინაარსობრივი შეზღუდვის დაწესებისას სახელმწიფოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები მკვეთრად შეზღუდულია.”⁸³² ამის საპირისპიროდ „ ხელისუფლება შედარებით ფართო დისკრეციით სარგებლობს, როდესაც ის უფლების შეზღუდვის, მისი რეგულირების ფორმალურ საფუძვლებს არ სცდება და შინაარსობრივად ნეიტრალურ ნორმებს ადგენს. ფორმალური ხასიათის შეზღუდვების დაწესების შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ მარეგულირებელი ნორმები არ იყოს აშკარად არაგონივრული, შესასრულებლად მძიმე და არსებითად აზრს არ უკარგავდეს კონსტიტუციით აღიარებული უფლებების რეალიზაციას. ამავე დროს, კონსტიტუციური უფლების მარეგულირებელი, შინაარსობრივად ნეიტრალური ნორმების დადგენა ასევე კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების უზრუნველსაყოფად არის დასაშვები. ...სხვადასხვა ტიპის რეგულაციებს შორის ხელისუფლება უფლებამოსილია, აირჩიოს ის ტიპი, რომელიც ლეგიტიმური ამოცანის მისაღწევად საუკეთესო საშუალებად მიაჩნია. მაგრამ კონკრეტული მიზნის, შინაარსის მქონე ინფორმაციის ან გაერთიანების შეზღუდვის ან აკრძალვისას ხელისუფლების მოქმედება მკაცრ შეფასებას დაექვემდებარება.”⁸³³

საბოლოოდ, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება უფლების დარღვევის შემოწმების ზოგადი სქემა შემდეგნაირი იყოს:

- ა. ჩარევა გათვალისწინებულია კანონით;
- ბ. ჩარევა მიზნად ისახავს მუხლში ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე ინტერესს;
- გ. ჩარევა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.⁸³⁴

მიუხედავად იმისა, როგორ ზღუდავენ ნორმები გამოხატვის ასპექტს, ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ განსაზღვრულობის ტესტს – „ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ გამოხატვის თავისუფლების შემზღუდველი ნორმები უნდა იყოს გათვალისწინებული ნათელი და განჭვრეტადი, ვიწროდ მიზანმიმართული კანონით. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება გარანტირებული უნდა იყოს, როდესაც უფლების დარღვევას მაუწყებლის ბრალეული ქმედება იწვევს, ამასთან, გამოკვეთილი უნდა იყოს ის უფლება, რომლის დასაცავადაც გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს.”⁸³⁵

⁸³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.3.53;

⁸³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.28;

⁸³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.29-30;

⁸³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის # 2/2/359 გადაწყვეტილება, 3.1;

⁸³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბერის # 1/3/421,422 გადაწყვეტილება, II.3.7;

5.1. სხვათა უფლებების დაცვა

საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა, როდესაც შეზღუდვის საფუძველი უნივერსალური ლეგიტიმური მიზანი, სხვათა უფლებების დაცვა.⁸³⁶ „საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს და განამტკიცებს აზრისა და გამოხატვის უფლებას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებას, მაგრამ ამავე დროს ითვალისწინებს უფლების შეზღუდვის საფუძველებსაც, მათ შორის ისეთი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, როგორცაა სხვათა უფლებების დაცვა.“⁸³⁷ სასამართლომ კონსტიტუციური ღირებულებების დემარკაციას მიმართა და განაცხადა, რომ „გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს, როდესაც გამოხატვა კვეთს ზღვარს, გავლელს გამოხატვის თავისუფლებასა და სხვის უფლებას შორის. აქედან გამომდინარე, კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს მაუწყებლის მიერ დარღვეული უფლების აღდგენის, მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.“⁸³⁸ ცალსახაა, რომ ამ შემთხვევაში ძალიან სკურპულოზური განხილვა იქნება საჭირო. ისევე როგორც მაშინ, როდესაც გამოხატვის თავისუფლებას ენიჭება უპირატესობა. „ამის მართლზომიერების შეფასება ზუსტად სასამართლოში უნდა მოხდეს თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით. ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა შეაფასოს დარღვეული უფლება ან უფლების დარღვევის საფრთხე, რომელსაც შესაძლოა შეიცავდეს კონკრეტული პროგრამა ან ინფორმაცია და დაუპირისპიროს იგი გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობას. სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, შეაფასოს გამოხატვის ფორმის და შინაარსის ღირებულება, მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და, მეორე მხრივ, ის ზიანი, რომელიც ამ უფლების რეალიზაციამ გამოიწვია.“⁸³⁹ ეს ნიშნავს, რომ სასამართლო ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში აფასებს:

- გამოხატვის ფორმის და შინაარსის საზოგადოებრივ მნიშვნელობას;
- ზიანი, რომელიც ამ უფლების რეალიზაციამ გამოიწვია.

5.2. საზოგადოებრივი მორალი

მართალია გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს სხვათა უფლებებით, თუმცა ეს ზედმიწევნით ფრთხილად უნდა განხორციელდეს, რათა არ შეიქმნას თვითცენზურის საფუძველი. „გამოხატვის თავისუფლება საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლებაა, მაგრამ ამ უფლებების სრულყოფილი განხორციელებისთვის მხოლოდ საკანონმდებლო გარანტიები არ კმარა, საჭიროა, რომ თავად საზოგადოება იყოს შემწყნარებელი ინდივიდის უფლებისადმი, თავისუფლად და უშიშრად გამოხატოს საკუთარი აზრი. დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანებს აქვთ თმენის ვალდებულება იმ მოსაზრებების მიმართ, რომელთაც ისინი

⁸³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.100;

⁸³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბერის # 1/3/421,422 გადაწყვეტილება, II.3.6;

⁸³⁸ იქვე;

⁸³⁹ იქვე;

არ იზიარებენ ან, თუნდაც თვლიან ზნეობრივად გაუმართლებლად. დაუშვებელია კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის ზნეობრივი ნორმების ან მსოფლმხედველობის საზოგადოების სხვა ჯგუფებზე თავსმოხვევა სახელმწიფო ინსტიტუტების, მათ შორის სასამართლოს მეშვეობით.”⁸⁴⁰

სასამართლომ ცალსახად განაცხადა, რომ სხვათა განწყობის შეუსაბამობის მოტივით არ შეიძლება უფლების შეზღუდვა. „ზოგადად, სახელმწიფოს არ შეუძლია, შეზღუდოს ინფორმაციის თავისუფლება იმ საფუძველით, რომ გარკვეული ინფორმაცია ან იდეები შეიძლება ემოციურად გამაღიზიანებელი აღმოჩნდეს ან მიუღებელი საქციელის წამახალისებელი იყოს. ადამიანებს უფლება აქვთ, მიიღონ და გაავრცელონ იდეები და თავად გადაწყვიტონ, რა არის მათთვის მისაღები ან მიუღებელი. აღნიშნული რაციონალის საფუძველზე დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისთვის აუცილებელი გარკვეული აკრძალვების გარდა, პირები, მათ შორის მაუწყებლებიც, უფლებამოსილი არიან, გადასცენ ნებისმიერი ინფორმაცია და ითვლება, რომ ადამიანებს ამ იდეებს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა აქვთ. ...”⁸⁴¹ „ზნეობრიობის საკითხების სასამართლო წესით განსჯადობა უარყოფით ეფექტს იქონიებს მაუწყებლის თავისუფლებაზე იმდენად, რამდენადაც, უმეტეს შემთხვევაში, ძნელია ობიექტურად იმის განსაზღვრა, რა შეესაბამება ზნეობრივ ნორმებს და რა არა. ასეთი საკითხების სასამართლო წესით განსჯადობა გამყინავ ეფექტს იქონიებს მაუწყებლის თავისუფლებაზე და შედეგად დააზარალებს მთლიანად საზოგადოებას.”⁸⁴²

მაგრამ თუ გამოხატვა უხამსობაში გადადის, მაშინ სასამართლოს შეფასების ფარგლები ფართოვდება. „უნდა აღინიშნოს, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას დასაშვებად მიიჩნევს მაშინაც, თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს. შესაძლოა სახელმწიფოს ასეთი შეზღუდვის დაწესების უფლება ჰქონდეს, მაგრამ საქართველოს კონსტიტუცია და ევროპული კონვენცია ასეთ შემთხვევებში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ვალდებულებას არ აწესებს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოსთვის მინიჭებული დისკრეციის ფარგლებში დაწესებული ნებისმიერი ასეთი შეზღუდვა საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის ტესტს უნდა აკმაყოფილებდეს. მხოლოდ მაუწყებლის პოზიციის, ფასეულობების, იდეების მიუღებლობა არ შეიძლება გახდეს მისი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ობიექტურად იდენტიფიცირებადი ინტერესები, მაგრამ არა სუბიექტური გრძნობები.”⁸⁴³ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაუწყებელი ვალდებულია, გადმოსცეს ნამდვილი ფაქტები, შეფასებებში კი ის თავისუფალია.

სასამართლო ასევე შეეხომშობლების უფლებას აღზარდონ შვილები საკუთარი

⁸⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბერის # 1/3/421,422 გადაწყვეტილება, II.3.7;

⁸⁴¹ იქვე;

⁸⁴² იქვე;

⁸⁴³ იქვე;

ზნეობრივი შეხედულებების მიხედვით და ამ უფლების მიმართებას გამოხატვის თავისუფლებასთან. „ცხადია, მშობელი თავისუფალია, აღზარდოს შვილი საკუთარი ზნეობრივი შეხედულებების მიხედვით და იქონიოს გავლენა მის მორალურ, მსოფლმხედველობრივ ჩამოყალიბებაზე. თუმცა სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის პოზიციას, რომ მშობელს აქვს უფლება, მოითხოვოს მაუწყებლისაგან (ან სხვა კერძო პირებისგან), რომ მათ გადასცენ მხოლოდ ისეთი გადაცემები, რომელიც ესადაგება მის ზნეობრივ ნორმებს. მაუწყებლის მიერ კონკრეტული მშობლისთვის ზნეობრიობის თვალსაზრისით მიუღებელი პროგრამის გადაცემა ვერ ჩაითვლება მშობლის აღნიშნული თავისუფლების ხელყოფად და, შესაბამისად, ამ ასპექტში არც სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კონსტიტუციური ვალდებულება აკისრია სახელმწიფოს.“⁸⁴⁴

5.3. ლიცენზირება

კონსტიტუციის 24-ე მუხლთან მიმართებით სასამართლოს მიერ განხილული საქმეებიდან აღსანიშნავია ლიცენზირების საქმე. სასამართლომ მიიჩნია, რომ „რეგულირების სხვადასხვა ფორმების, მათ შორის, საქმიანობის ლიცენზირების უფლებამოსილება სახელმწიფოს მიერ მისი ძირითადი ფუნქციის შესრულებას შეიძლება უკავშირდებოდეს. თუმცა ამ უფლებამოსილების განხორციელებისას სახელმწიფო პირის კონსტიტუციური უფლებებითა და თავისუფლებებით არის შეზღუდული.“⁸⁴⁵

სასამართლომ მიიჩნია, რომ „მაუწყებლობა წარმოადგენს განსაკუთრებული ინტერესის ობიექტს. ასეთ განსაკუთრებულობას მაუწყებლობის სპეციფიკა შეიძლება განაპირობებდეს ვიზუალური მასალის (ვიდეო გამოსახულების) გამოყენებით ან მის გარეშე, მაუწყებელს ადამიანთა განუსაზღვრელ რაოდენობაზე (ძლიერი ემოციური) ეფექტის მოხდენა რეალურ დროში შეუძლია. ისტორიულად ეს თვისება შესაძლოა მართლაც განასხვავებდა მაუწყებელს სხვა მედიისაგან, თუმცა, საკომუნიკაციო და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, „ტრადიციულმა“ მაუწყებლობამ ასეთი „განსაკუთრებულობა“ დაკარგა. გარდა ამისა, „ტექნოლოგიურ ნეიტრალიტეტზე“⁸⁴⁶ აპელირება არასაკმარისია შეზღუდვის კონსტიტუციურობის გასამართლებლად. მაუწყებლის, ისევე როგორც სხვა მედიის შეზღუდვა, დასაშვებია კონსტიტუციით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. გამოხატვის თავისუფლებაზე ნებისმიერი შეზღუდვის, მათ შორის ლიცენზირების ვალდებულების დაწესება, კონსტიტუციით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას უნდა ემსახურებოდეს. „ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის“ პრინციპის დაცვა, ცალკე აღებული, ვერ იქნება განხილული კონსტიტუციის 24-ე მუხლით

⁸⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბერის # 1/3/421,422 გადაწყვეტილება, II.3.7;

⁸⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.3.32;

⁸⁴⁶ პრინციპი, რომლის მიხედვითაც რეგულირება ხდება იმისდა მიუხედავად რა საშუალებას იყენებს ტექნიკური თვალსაზრისით მაუწყებელი.

გათვალისწინებულ ლეგიტიმურ მიზნად. ”⁸⁴⁷

სასამართლომ იმის გასარკვევად, თუ რამდენად შეესაბამებოდა ლიცენზირება 24-ე მუხლით განსაზღვრულ სტანდარტს, პირველ ეტაპზე ერთმანეთისგან განაცალკევა სიხშირული და საკაბელო მაუწყებლობა.

სასამართლომ განაცხადა: „საყურადღებოა, რომ სიხშირული სპექტრით მაუწყებლობის ლიცენზირებასა და საკაბელო ქსელით ან თანამგზავრული სისტემით მაუწყებლობის ლიცენზირების უფლებამოსილებას განსხვავებული საფუძვლები გააჩნია. პირველ შემთხვევაში, სიხშირული სპექტრით სარგებლობის საკითხის გადაწყვეტისას, სახელმწიფო შედარებით ფართო დისკრეციით სარგებლობს, ვინაიდან სიხშირე თავისთავად საზოგადოებრივ საკუთრებას წარმოადგენს და, ამდენად, მისი განკარგვის უფლებამოსილება სახელმწიფოს გააჩნია. სახელმწიფო საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისად განკარგავს მის საკუთრებაში არსებულ შეზღუდულ რესურსს - სიხშირულ სპექტრს. საზოგადოების ინტერესს კი, მათ შორის, მის საკუთრებაში არსებული რესურსის მაქსიმალურად ეფექტური გამოყენება წარმოადგენს. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ სიხშირული სპექტრის განკარგვის უფლებამოსილება კონსტიტუციის 24-ე მუხლიდან შესაძლოა არ მომდინარეობდეს (თუმცა მაუწყებლობის მიზნით მისი გამოყენების წესი, ამ მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში უნდა იყოს). მაგრამ როდესაც მაუწყებელი კერძო საკუთრებაში არსებული სამაუწყებლო ინფრასტრუქტურით სარგებლობს, მისი საქმიანობის რეგულირების უფლებამოსილების წყარო საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლში უნდა ვეძიოთ, მარეგულირებელი ნორმების არსებობა კონსტიტუციის ამ მუხლით გათვალისწინებული მიზნების უზრუნველყოფის აუცილებლობით შეიძლება გამართლდეს.“⁸⁴⁸

კონკრეტულ საქმეში სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი, თითქოს ლიცენზირება მაუწყებლის მიერ მისი ვალდებულებების სიღრმისეული გააზრებისათვის იყო აუცილებელი. ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საკაბელო ქსელის გამოყენებით სამაუწყებლო ლიცენზია არ ითვალისწინებს რაიმე სახის დამატებით არსებით (შინაარსობრივ) მოთხოვნებსა და შეზღუდვებს.⁸⁴⁹ „შესაძლოა ლიცენზირება გარკვეულწილად ამარტივებდეს მაუწყებლის რეგულირებას, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მაუწყებლის ლიცენზირება ლეგიტიმური მიზნების მიღწევის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.“⁸⁵⁰ „იმ შემთხვევაში, თუ მაუწყებლის საქმიანობა კანონსაწინააღმდეგო ხასიათს იღებს, საფრთხეს უქმნის სხვათა უფლებებს, სახელმწიფო უშიშროებას, საზოგადოებრივ წესრიგს ან/და სხვა ლეგიტიმურ მიზნებს, სახელმწიფო უფლებამოსილია, მიმართოს კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებულ შემზღუდველ ზომებს,

⁸⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.3.39;

⁸⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.3.40;

⁸⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.3.49;

⁸⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.3.50;

განურჩევლად იმისა, წარმოადგენს თუ არა კანონდამრღვევი ლიცენზიის მქონე მაუწყებელს, თუ სხვა „არალიცენზირებად“ მედიას. ამ მხრივ, საკაბელო ქსელის გამოყენებით მაუწყებლობისთვის სანებართვო სისტემის დაწესება ვერ ჩაითვლება ლეგიტიმური მიზნების მიღწევის აუცილებელ საშუალებად... შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც, ის მიზნის მიღწევის არაპროპორციულ საშუალებას წარმოადგენს.”⁸⁵¹

სასამართლომ დასაშვები შეზღუდვის ფარგლებზეც ისაუბრა. „24-ე მუხლი შესაძლოა არ გამოიციხავდეს სახელმწიფოს უფლებამოსილებას, დაადგინოს გარკვეული ტექნიკური მოთხოვნები (მაგალითად, სხვა პირთა უფლებების უზრუნველსაყოფად; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის გამოსაყენებლად და ა.შ.), სასამართლო ვერ გაიზიარებს მოპასუხის აღნიშნულ არგუმენტს, ვინაიდან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ლიცენზიის გაცემის წესი, საკაბელო ქსელით მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემისას, არ ითვალისწინებს მაუწყებლობის მსურველი პირის ტექნიკური შესაძლებლობების გადამოწმებას. გარდა ამისა, საკაბელო ქსელით მაუწყებლის მიერ განხორციელებული მაუწყებლობის ხარისხი არ წარმოადგენს რეგულირების საგანს.”⁸⁵²

სასამართლომ მიიჩნია, რომ ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან დასაშვებია, რაც შეეხება ლიცენზირებას, საკაბელო მაუწყებლობის დასაწყებად ნებართვის მიღების ვალდებულებას, იგი გამოხატვის თავისუფლების უფლებაში გაუმართლებელ ჩარევას წარმოადგენს.⁸⁵³ ამის მიზეზი ის არის რომ პარლამენტმა ვერ დაასაბუთა, რომ საკაბელო ქსელით მაუწყებლობის ლიცენზირება ლეგიტიმური მიზნების მიღწევის აუცილებელ და პროპორციულ საშუალებას წარმოადგენდა.⁸⁵⁴ „სასამართლო იზიარებს ... რომ მოპასუხის მიერ დასახელებული (და მხარეების მიერ უდავოდ მიჩნეული) ლეგიტიმური მიზნების მიღწევა და შესაბამისად, შესაძლებელია უფლებისათვის ნაკლებად მზღლდავი საშუალებით სრულყოფილად განხორციელდეს. ასეთ საშუალებას მაუწყებლობის მსურველი პირებისათვის კომისიაში გარკვეული ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების დაწესება შეიძლება წარმოადგენდეს.”⁸⁵⁵

5.4. თანამგზავრული სისტემის გამოყენებით მაუწყებლის ლიცენზირების ვალდებულება

ზემოხსენებულ საქმეში სადავო იყო არა მარტო საკაბელო, არამედ თანამგზავრული სიტემებით მაუწყებლობის ლიცენზირება. პირველ რიგში

⁸⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.პ.51;

⁸⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.პ.52;

⁸⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.პ.54;

⁸⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.პ.55;

⁸⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.პ.56;

სასამართლომ ერთმანეთისგან გამიჯნა კაბალური და თანამგზავრული მაუწყებლობა. „აღსანიშნავია, რომ საკაბელო ქსელის გამოყენებით მაუწყებლობა, მისი ტექნიკური ხასიათიდან გამომდინარე, მკაფიოდ განსაზღვრულ ტერიტორიაზე ხორციელდება, ხოლო მისი გავრცელების არეალი საქართველოს საზღვრებით შემოიფარგლება. განსხვავებულია თანამგზავრის საშუალებით განხორციელებული მაუწყებლობის მიზანმიმართულება და ფაქტობრივი შედეგი: სამაუწყებლო სიგნალი მაუწყებელი ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებს სცდება. გარდა ამისა, ხელოვნური თანამგზავრი, რომელიც მაუწყებლობის განსახორციელებლად გამოიყენება, შესაძლოა უცხო ქვეყნის (მათ შორის, მაუწყებლობის მიმღები ქვეყნის) იურიდიულ პირს წარმოადგენდეს. უცხო ქვეყნის საკანონმდებლო სივრცესთან, მის სუვერენულ ინტერესებთან თანამგზავრის საშუალებით მაუწყებლის შემხებლობამ განაპირობა სუვერენული სახელმწიფოების მცდელობა, შეთანხმებულიყვნენ თანამგზავრული სისტემის გამოყენების ერთიან წესზე. შედეგად, თანამგზავრული სისტემით მაუწყებლობა საერთაშორისო სამართლის რეგულირების საგანი გახდა. საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომლებიც თანამგზავრულ მაუწყებლობას უკავშირდება, მიზნად ისახავს მაუწყებელი და მაუწყებლობის მიმღები ქვეყნების, მათი მოქალაქეების ინტერესების უზრუნველყოფას და ტრანსსასაზღვრო მაუწყებლობის შეუფერხებელ გავრცელებას.“⁸⁵⁶

სასამართლომ მოიხმო საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები,⁸⁵⁷ რომლებიც სახელმწიფოს განუსაზღვრავს ვალდებულებას, მისი იურისდიქციის ფარგლებში, მისი ტერიტორიიდან განხორციელებულ მაუწყებლობის რეგულირებაზე.⁸⁵⁸

სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს, საერთაშორისო ხელშეკრულებების თავალსაზრისით, ფართო დისკრეცია აქვს. „საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვა ხელისუფლების განსაკუთრებულ პრივილეგიას წარმოადგენს. თუმცა საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედებისას, შეთანხმებების დადებისას ან საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისას ხელისუფლება კონსტიტუციით, მათ შორის, მისი მეორე თავით აღიარებული უფლებებითა და თავისუფლებებით არის შეზღუდული. საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე კონსტიტუციით აღიარებულ უფლებებს შეზღუდავს, კონსტიტუციით დადგენილ მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს. შესაბამისად, თანამგზავრული სისტემით მაუწყებლის საქმიანობაში ჩარევის უფლებამოსილების წყაროს საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი უნდა წარმოადგენდეს. ...სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფო შედარებით ფართო დისკრეციით სარგებლობს, როდესაც ის სავალდებულო მოთხოვნებს იმ პირების მიმართ

⁸⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.3.62;

⁸⁵⁷ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ (1982 წლის 10 დეკემბერს 37/92 რეზოლუციით) დამტკიცებული დეკლარაცია სახელმწიფოების მიერ, საერთაშორისო პირდაპირი მაუწყებლობის მიზნით, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ; ევროსაბჭოს სახელმწიფოების მიერ შემუშავებული „ტრანსსასაზღვრო მაუწყებლობის შესახებ“ კონვენცია;

⁸⁵⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.3.63,64;

ადგენს, რომელთა საქმიანობა მეორე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებს უკავშირდება. მაუწყებლის უცხო ქვეყნის სუვერენულ სივრცესთან შემხებლობა, საერთაშორისო ურთიერთობებსა და სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებებს უკავშირდება და, ამდენად, რეგულირების საფუძველს ქმნის. თანამგზავრული სისტემით მაუწყებლობის მსურველი პირი ნებაყოფლობით ირჩევს მაუწყებლობის იმ საშუალებას, რომელიც ამჟამად საერთაშორისო სამართლის რეგულირების საგანს წარმოადგენს და, ამდენად, საკუთარ საქმიანობას საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებულ რეგულირებას უქვემდებარებს. ... თანამგზავრული სისტემით მაუწყებლობის ლიცენზირების წესი უკავშირდება სახელმწიფოს სწრაფვას, მოახდინოს შიდა კანონმდებლობის ჰარმონიზება საერთაშორისო სამართლის ნორმებთან და ამ ნორმებით გათვალისწინებული ვალდებულებების გაზიარების სანაცვლოდ, საქართველოს მოქალაქის აზრისა და ინფორმაციის თავისუფლების რეალიზებას შეუწყოს ხელი. მოცემულ შემთხვევაში თანამგზავრის საშუალებით მაუწყებლობის (საერთო და სპეციალიზებული) სახეობის ლიცენზიის დადგენა იმავე მიზნებს ემსახურება, რომელსაც თავად მაუწყებლობის ლიცენზირება. ამდენად, სადავო ნორმებს კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური საფუძველი გააჩნია. სასამართლო მიიჩნევს, სახელმწიფომ ფორმალური, შინაარსობრივად ნეიტრალური, გონივრულად მზლუდავი წესი დაადგინა და, ამდენად, მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება გამოიყენა.”⁸⁵⁹

სასამართლომ მსჯელობისას ყურადღება გაამახვილა თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებაზე და განაცხადა, რომ თანამგზავრული სისტემების გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზირების გონივრულობა შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ინტერნეტის არსებობის პირობებში, იგი ხომ ინფორმაციის, მათ შორის აუდიო-ვიდეო სიგნალის, სხვადასხვა ქვეყანაში ერთდროულად ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. ინტერნეტის მეშვეობით ინფორმაციის გავრცელება, საზღვრების მიუხედავად, პრაქტიკულად დაბრკოლების გარეშე ხორციელდება, ხოლო უკანასკნელ პერიოდში, ინტერნეტ-სივრცე მაუწყებლებისათვისაც გამოიყენება. კავშირგაბმულობის და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ მაუწყებლობის „ტრადიციული“ საშუალებების პარალელურად „ახალი“ ფორმის, ინტერნეტ-მაუწყებლობის წარმოქმნა განაპირობა, რომელსაც თანამგზავრული მაუწყებლობის როგორც მსგავსი, ასევე განმასხვავებელი ნიშნები გააჩნია. ორივე შემთხვევაში სამაუწყებლო არეალი არ არის შეზღუდული მაუწყებელი ქვეყნის ტერიტორიით. ამავე დროს, ინტერნეტი, თანამგზავრულ სისტემასთან შედარებით, მაუწყებლისთვის უფრო ხელმისაწვდომ საშუალებას წარმოადგენს. კონსტიტუციური დავის გადასაწყვეტად სასამართლო მიზანშეუწონლად მიიჩნევს ინტერნეტ-მაუწყებლობასთან პარალელის გავლებას. ტრანსსასაზღვრო მაუწყებლობის ერთ-ერთი „ტრადიციული“ ფორმის - თანამგზავრული სისტემით მაუწყებლობის პარალელურად, ინტერნეტ-მაუწყებლობის გამოჩენა თავისთავად ვერ გახდება საფუძველი იმისა, რომ თანამგზავრული სისტემით მაუწყებლობის მარეგულირებელი

⁸⁵⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.პ.65-47;

ნორმები არაგონივრულად და კონსტიტუციის შეუსაბამოდ ჩაითვალოს. შეზღუდვა, რომელიც შეიძლება გამართლებული იყოს მაუწყებლობისათვის გამოყენებული ერთი საშუალების მიმართ, შესაძლოა, არაპროპორციულ საშუალებას წარმოადგენდეს მეორე სახის მაუწყებლობისათვის და პირიქით. არაგონივრული იქნება თანამგზავრული სისტემით განხორციელებული მაუწყებლობის შეზღუდვის კონსტიტუციით დასაშვები შემთხვევების ინტერნეტ-მაუწყებლობაზე გავრცელება. მაუწყებლობის შეზღუდვის კონსტიტუციურობის დადგენა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეზღუდვის ბუნებიდან, მისი პროპორციული ხასიათიდან გამომდინარეობს. სწორედ ამიტომ, მოცემული დავის ფარგლებში, სასამართლო თანამგზავრული სისტემით მაუწყებლობის რეგულირების კონსტიტუციურობის საკითხით შემოიფარგლა. მაუწყებლობის (ინფორმაციის გავრცელების) „ტრადიციული“ და „ახალი“ ფორმები აზრისა და ინფორმაციის გავრცელების ალტერნატიულ საშუალებებს წარმოადგენენ, კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებას ორივე საშუალება უზრუნველყოფს. გამოხატვის ავტორს შესაძლებლობა ეძლევა, თავად განსაზღვროს, რომელ საშუალებას გამოიყენებს ის მაუწყებლობისთვის.”⁸⁶⁰

ამრიგად, სასამართლომ თანამგზავრული რეგულირება მიზანშეწონილად მიიჩნია. სასამართლომ სახელმწიფოს განსაკუთრებული ფართო დისკრეცია მისცა გამოხატვის თავისუფლების რეგულირებისას, მაშინ როდესაც საერთაშორისო ვალდებულება არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილებაში დასახელებული საერთაშორისო აქტი საქართველოსთვის არ იყო სავალდებულო ძალის მქონე, იგი არ იყო რატიფიცირებული, ანუ ამ შემთხვევაში სასამართლო გამართლებულად მიიჩნევდა არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულების არსებობისას ფართო დისკრეციას, არამედ ასევე დასაშვებად მიიჩნევდა აღნიშნულს, როდესაც ამის ალბათობა არსებობდა.

5.5. ლიცენზირების 30 დღიანი ვადა

მოსარჩელეს სადავოდ მიაჩნდა არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ კანონი გარკვეული ტექნიკური საშუალებებით განხორციელებულ მაუწყებლობას უკავშირებს ლიცენზირებას, არამედ, თავად ლიცენზიის გაცემისათვის დადგენილი 30 დღიანი ვადაც. სასამართლომ ვადის დადგენა მიზანშეწონილად მიიჩნია და აღნიშნა: „ლიცენზიის მისაღებად აუცილებელია, თანამგზავრის საშუალებით მაუწყებლობის მსურველი აკმაყოფილებდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, ლიცენზიის გამცემი ვალდებულია, გაადაამოწმოს სალიცენზიო განაცხადის შესაბამისობა კანონთან, გამოიკვილოს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. საჯარო დაწესებულების მიერ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების დადგენა საჭიროებს გარკვეული სამუშაოს გაწევას, რომელიც დროს მოითხოვს. აქედან გამომდინარე, ლიცენზირების მექანიზმის შემოღება ავტომატურად გულისხმობს ლიცენზიის გაცემისათვის გარკვეული ვადების

⁸⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.3.68-71;

განსაზღვრის საჭიროებას.”⁸⁶¹

სასამართლომ აქვე აღნიშნა, რომ ვადების შემთხვევაში სასამართლო ფართო დისკრეციით სარგებლობს. „ადმინისტრაციული სამართალწარმოებისთვის აუცილებელი ვადის, მათ შორის, სამაუწყებლო ლიცენზიის გაცემის ვადის განსაზღვრისას, გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივ შეზღუდვასთან შედარებით, სახელმწიფო მიხედულების შედარებით ფართო ფარგლებით სარგებლობს. გამოხატვის თავისუფლების უფლების შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია იმის ზუსტად განსაზღვრა, ლიცენზიის გაცემისათვის რა ვადის დადგენა ჩაითვლება უფლების შეზღუდვის პროპორციულ საშუალებად, დაწესებული ვადა კონსტიტუციური უფლების დარღვევას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება იწვევდეს. უფლებაში გაუმართლებელი ჩარევა სახეზე იქნება, თუ ლიცენზიის გაცემისათვის დაწესებული ვადა არის აშკარად არაგონივრული და იმდენად ხანგრძლივია, რომ გამოხატვის თავისუფლების უფლების რეალიზებისათვის გაუმართლებელ ბარიერს ქმნის, მაუწყებლების მსურველს გაუმართლებლად მძიმე ტვირთად აწევა და აზრისა და ინფორმაციის გრაცელების კონსტიტუციური უფლების დარღვევას ლიცენზირების ფაქტისაგან დამოუკიდებლად იწვევს.”⁸⁶²

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოხსენებულ საქმეში სადავო აქტი არ შეიცავს აზრისა და ინფორმაციის გავრცელების იმგვარ შეზღუდვას, რომელიც გაუმართლებლად იქნებოდა მიჩნეული დემოკრატიულ საზოგადოებაში.

5.6. სასამართლოს დამოუკიდებლობა

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.⁸⁶³

როგორ შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს სიტყვის თავისუფლება სასამართლოს დამოუკიდებლობასთან და ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ მოსამართლის კრიტიკა არ არის დაცული ამ უფლებით?

„მოსამართლის საქმიანობასთან დაკავშირებით აზრის გამოხატვა კონსტიტუციურ უფლებას წარმოადგენს. როგორც საჯარო პირს, მოსამართლეს თმენის ვალდებულება მართლაც გააჩნია, რამდენადაც მისი საქმიანობის კრიტიკა, მის პროფესიულ, თუ პირად თვისებებზე მსჯელობა საზოგადოებრივი ინტერესით შეიძლება იყოს განპირობებული. ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის პოზიციას, რომ მოსამართლის მხრიდან თმენის ვალდებულების ისეთივე სტანდარტი მოქმედებს, როგორც სხვა საჯარო პირის მხრიდან არის დადგენილი.

⁸⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.3.80;

⁸⁶² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.3.81;

⁸⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.66;

საჯარო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისაგან განსხვავებით, მოსამართლის პროფესიული და, მით უფრო, პირადი საქმიანობა მეტად არის დაცული, ვინაიდან ის შეზღუდულია შესაძლებლობაში, საკუთარი პოზიციის დასაცავად საჯარო-პოლიტიკური ხასიათის დებატებში ჩაერთოს. მოსამართლის ამგვარი შეზღუდვა მიუკერძოებლობის პრინციპიდან გამომდინარეობს და საზოგადოების მხრიდან სასამართლოსადმი ნდობის უზრუნველყოფას ემსახურება. სწორედ ამიტომ, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია, როდესაც მოსამართლის პროფესიული საქმიანობის კრიტიკა, მასზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, მის პირად ცხოვრებაში გაუმართლებლად იჭრება.”⁸⁶⁴

5.7. გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივი რეგულირება

ადამიანები უფლებებით სარგებლობენ კონკრეტულ კონსტიტუციურ სივრცეში კონსტიტუციით დასახული მიზნების რეალიზაციისთვის. სწორედ ამიტომ „დაუშვებელია, რომ კონსტიტუციური უფლება თავად კონსტიტუციით დაცული დემოკრატიული წესწყობილების ხელყოფისაკენ იყოს მიმართული და კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების საფუძველს ქმნიდეს. გამოხატვის თავისუფლების ზღვარი გაივლის იქ, სადაც გამოხატვა კონსტიტუციით დაცულ სიკეთეს, კონსტიტუციით გაცხადებულ პრინციპებსა და ღირებულებებს შეუქმნის საფრთხეს. კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა კონსტიტუციით დაცული სიკეთის უზრუნველსაყოფად შეიძლება განხორციელდეს. ...”⁸⁶⁵

თუმცა რა შემთხვევაში მიიჩნევა კონკრეტული გამოხატვა (მაგ. დანაშაულისკენ მოწოდება) დანაშაულად? „რამდენად მიიღწევა აღნიშნული მიზანი სპეციფიკური შინაარსის გამონათქვამების, განცხადებების აკრძალვით. ასევე პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, შეიძლება თუ არა, რომ უფლების შეზღუდვის საფუძველი გახდეს ისეთი გამონათქვამი, რომელიც მხოლოდ ფორმალურად შეიძლება წარმოადგენდეს დანაშაულისაკენ მოწოდებას, მაგრამ რეალურად არ იწვევდეს დანაშაულის ჩადენის საფრთხეს. აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემისას რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებას უნდა გავსვას ხაზი.”⁸⁶⁶

სასამართლომ ერთმანეთისგან განსხვავება გამოხატვა, რომელიც წარმოადგენდეს მოწოდებას დანაშაულისკენ, თუმცა შედეგის თავალსაზრისით შესაძლოა უსაფრთხო იყოს და გამოხატვა, როდესაც არსებობს მისი განხორციელების შესაძლებლობა. „...განცხადება, რომელიც ძალადობრივი ან/და დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისკენ მოუწოდებს, ყველა შემთხვევაში არ უნდა იწვევდეს პასუხისმგებლობას. მნიშვნელოვანია რომ კანონი, ისევე როგორც მისი გამოყენების პრაქტიკა, განასხვავებდეს გამონათქვამებს, რომლებიც, ერთი მხრივ, შესაძლოა ძალადობის ენას შეიცავდეს, მაგრამ, ამავე დროს, უვნებელია და პოლიტიკური,

⁸⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.67;

⁸⁶⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.90;

⁸⁶⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.92;

სოციალური თუ სამეცნიერო დისკურსის ნაწილს წარმოადგენს, ხოლო, მეორე მხრივ, მოწოდებას, როდესაც მის ავტორს გააზრებული აქვს მოწოდების სავარაუდო შედეგი და მიზნად ისახავს ამ შედეგის დადგომას. ...ფორმალურად ძალადობისკენ მოწოდების შემცველი გამონათქვამები ან ისეთი გამონათქვამები, რომლებიც ერთეულ, იზოლირებულ შემთხვევას წარმოადგენს, ყველა შემთხვევაში არ ქმნის ძალადობის განხორციელების რეალურ საფრთხეს. ამავე დროს, საფრთხის რეალურობის განსაზღვრისათვის უნდა შეფასდეს ის, თუ რა კონტექსტში და რა ვითარებაში არის წარმოთქმული ასეთი მოწოდება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უფლებამოსილმა ორგანომ (პირმა) უნდა შეაფასოს, წარმოადგენს თუ არა განცხადება დამხობისკენ, ძალადობით ხელისუფლების შეცვლისკენ მოწოდებას და არის თუ არა ძალადობის საფრთხე. სახელმწიფო უფლებამოსილია, ჩაერიოს და შეწყვიტოს [გამოხატვა] მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოწოდება ორივე კრიტერიუმს აკმაყოფილებს. ნორმა კონსტიტუციის შეუსაბამო იქნება, თუ ის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას შეესაძლებელს ხდის ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გაუთვალისწინებლად. ⁸⁶⁷

ამგვარად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საჭიროა შეფასდეს ორი რამ, გვხვდება თუ არა მოწოდება ძალადობისკენ და არის თუ არა იგი რეალური. „... თავისთავად მოწოდების ფაქტი არ შეიძლება იყოს საკმარისი იმისთვის, რომ დადგეს პირის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი. ... ამისათვის საჭიროა ძალადობის და/ან დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტი, ან ასეთი ქმედების განხორციელების რეალური საფრთხე. ... მოწოდება იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას მხოლოდ მაშინ, როდესაც პირის ქმედება (მოწოდება) ... ქმნის კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს...“⁸⁶⁸ ამ შემთხვევაში სახეზეა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების, ასევე დანაშაულის თავიდან აცილების მიზანი.⁸⁶⁹

5.8. გრაფიტის⁸⁷⁰ აკრძალვა

კონკრეტულ საქმეში სადავო ნორმით აკრძალული იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიმდებარე ტერიტორიაზე წარწერების, ნახატებისა თუ სიმბოლოების თვითნებური განთავსება. სასამართლომ მიიჩნია, რომ „აღნიშნული შეზღუდვის ამოცანაა, წარწერების, ნახატების, პლაკატების, ბანერების და ა.შ. განთავსების მიზნით, საჯარო სივრცის, სახელმწიფო თუ მუნიციპალური საკუთრების ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომობა უზრუნველყოს, რისთვისაც გარკვეული რეგულაციის დადგენა არის აუცილებელი. ...რაც სხვათა უფლებების და საზოგადოებრივი წესრიგის

⁸⁶⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.93,96;

⁸⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.104;

⁸⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.105;

⁸⁷⁰ გრაფიტი (იტალ. graffiti, ბერძნ. γραφειν ვერ) — წარწერები ან ნახატები შენობებისა და გადასასვლელების კედლებზე, მატარებლის ვაგონებზე, ღობეებზე და სხვა ვერტიკალურ ზედაპირებზე.

დაცვის ლეგიტიმურ მიზანს უკავშირდება და კონსტიტუციის 24-ე მუხლის შეზღუდვის ერთ-ერთ ლეგიტიმურ საფუძველს წარმოადგენს.⁸⁷¹ თუმცა „ნორმის კონსტიტუციურად მიჩნევისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის არსებობა, დაწესებული შეზღუდვა ასევე უნდა იყოს აღნიშნული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის თანაზომადი საშუალება. ...დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონმდებელი ვალდებულია, გონივრულად დააბალანსოს კერძო და საჯარო ინტერესები ისე, რომ, ერთი მხრივ, დაცული იყოს გამოხატვის თავისუფლება და მეორე მხრივ, საფრთხე არ შეექმნას საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას.“⁸⁷²

სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზეა ზემოაღნიშნული სტანდარტი და შესაბამისად, „სადავო ნორმის შემოღებით, კანონმდებელმა მართლსაწინააღმდეგოდ გამოაცხადა ქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებას თვითნებური სარგებლობისაგან იცავს. საქართველოს კანონმდებლობით, საჯარო სივრცეში (შენობებისა და ნაგებობების ფასადებზე, ქუჩებსა და სხვა ტერიტორიაზე, რომელიც საჯარო სივრცეს განეკუთვნება) წარწერების, ნახატების თუ სიმბოლოების განთავსების შესაძლებლობა მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს თანხმობის შემთხვევაშია დაშვებული. კანონმდებლობის შესაბამისად, ამ ფორმით აზრის გამოხატვის შესაძლებლობა ყველასათვის თანაბრად არის ხელმისაწვდომი. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო ვერ ხედავს სხვა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის სხვა, ნაკლებად მზღუდავ საშუალებას. შესაბამისად, სადავო ნორმით დაწესებული შეზღუდვა წარმოადგენს უფლებით დაცულ სფეროში თანაზომიერი ჩარევის საშუალებას.“⁸⁷³

6. დასკვნა

- გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების საფუძველია, ამ უფლების სათანადო უზრუნველყოფის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია სხვა უფლებების სრულყოფილი რეალიზაცია;
- კონსტიტუცია იცავს აზრის გამოხატვისა და გავრცელების პროცესს, მის შინაარსსა და ფორმებს, თუმცა, იმავდროულად ამ უფლებათა შეზღუდვის ფორმალურ და მატერიალურ პირობებსაც ადგენს;
- კონსტიტუცია იცავს არა მხოლოდ აზრის გავრცელების უფლებას, არამედ შესაძლებლობასაც ამისათვის გამოიყენო სხვადასხვა შესაძლებლობები;
- ამ უფლების განხორციელება, ძირითადად, თვითონ უფლებამოსილი სუბიექტის აქტიუობაზეა დამოკიდებული, სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში მხოლოდ ის ვალდებულია ეკისრება, რომ ხელი არ შეუშალოს პირს, მიიღოს ინფორმაცია, გამოთქვას თავისი მოსაზრება, აგრეთვე არ შეიზღუდოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ცენზურის დაწესებით;

⁸⁷¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.114;

⁸⁷² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.115,116;

⁸⁷³ იქვე;

- 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი იცავს გამოხატვის თავისუფლების სპეციფიურ ნაწილს, აზრისა და ინფორმაციის თავისუფალად გავრცელების ერთ-ერთ საშუალებას - მედიის თავისუფლებას;
- გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა თანაბრად შეუძლიათ როგორც ფიზიკურ პირებს, ისე პირთა ჯგუფს;
- გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება;
- მისი შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნები საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლში არის მოცემული. საკანონმდებლო ნორმა, რომელიც აზრისა და ინფორმაციის გავრცელებას ზღუდავს, ამავე მუხლით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას უნდა ემსახურებოდეს;
- შეზღუდვისას კონკრეტულად სასამართლომ უნდა გაარკვიოს:
 - დაცულია თუ არა პროპორციულობა ინდივიდის უფლებასა და საჯარო ინტერესებს შორის;
 - სახელმწიფო ვალდებულია ამტკიცოს, რომ კონკრეტული უფლებაშეზღუდავი რეგულირება მიზნის პროპორციულ, ვიწროდმიმართულ და ნაკლებად მზლუდავ საშუალებას წარმოადგენს;
 - შეზღუდვა კონსტიტუციასთან შესაბამისობაშია, თუ ის დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების პირობებში კონსტიტუციით დაცული სიკეთის უზრუნველსაყოფად არის აუცილებელი და თუ გამოხატვის შეზღუდვის შედეგად დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით გამოწვეულ ზიანს.
- საბოლოოდ ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება უფლების დარღვევის შემოწმების ზოგადი სქემა შემდეგი იყოს:
 - ჩარევა გათვალისწინებულია კანონით;
 - ჩარევა მიზნად ისახავს მუხლში ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე ინტერესს;
 - ჩარევა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.
- შინაარსობრივი შეზღუდვის დაწესებისას სახელმწიფოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები მკვეთრად შეზღუდულია.

7. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 24-ე მუხლთან მიმართებით

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყემელაშვილი, ნინო ტყემელაშვილი, მათა შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბერის # 2/2/180-183 გადაწყვეტილება/;

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

/საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის #2/2/359 გადაწყვეტილება/

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის # 2/3/364 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერი #2/2-389 გადაწყვეტილება/

საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერი, #2/3/406,408, გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბერის # 1/3/421,422 გადაწყვეტილება/

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები _ ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება/

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება/

მუხლი 25

1. ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.

2. კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამომრათ ადგილას იმართება.

3. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

(საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი #2494-სსმI, #1, 04.01.2006წ., მუხ.1)

შესავალი

1. უფლების მნიშვნელობა
2. დაცული სფერო
3. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება, როგორც კოლექტიური უფლება
4. რა არ ექვევა კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცულ სფეროში
 - 4.1. ძალადობისკენ მოწოდება
5. გამიჯვნა კონსტიტუციის 24-ე მუხლისგან
6. უფლების სუბიექტები
 - 6.1. მოქალაქეობა
 - 6.2. იურიდიული პირები
 - 6.3. ზოგიერთი ძალგანი უწყების თანამშრომლებისათვის შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზებისა და მასში მონაწილეობის აკრძალვა
 - 6.4. შეკრების ინიცირების სუბიექტები
7. უფლების შეზღუდვის საფუძვლები
 - 7.1. წინასწარი გაფრთხილება
 - 7.2. ლეგიტიმური მიზნები
 - 7.3. სხვათა უფლებები, წესრიგი, უსაფრთხოება, უშიშროება და დანაშაულის თავიდან აცილება
 - 7.4. მკაცრი სასჯელი როგორც უფლების შეზღუდვა
 - 7.5. როდის არ არის პროპორციული ჩარევა
 - 7.6. დაწესებულების, ადმინისტრაციული ორგანოს შესასვლელთან შეკრების (მანიფესტაციის) გამართვის ტერიტორიული შეზღუდვა
 - 7.7. შეკრების და მანიფესტაციის ჩატარების აკრძალვა მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას
 - 7.8. ტრანსპორტის ჯგუფური მოძრაობის აკრძალვა, თუ ის სრულად იკავებს გზის სავალ ნაწილს
 - 7.9. შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა
8. დასკვნა
9. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 25-ე მუხლთან მიმართებით

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცულია შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება. საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართალი იძლევა საკმაოდ ამომწურავ განმარტებას აღნიშნული უფლების შინაარსის შესახებ.

ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცული უფლება გამოხატვის თავისუფლების *lex specialis*⁸⁷⁴-ია, ის მჭიდრო კავშირშია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლთან.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, პირველ რიგში განვიხილავთ, რას იცავს კონსტიტუციის 25-ე მუხლი, ხოლო შემდეგ ის, თუ რა არ არის დაცული კონსტიტუციის ამ ნორმით.

1. უფლების მნიშვნელობა

სასამართლო შეკრება-მანიფესტაციის თავისუფლებას გამოხატვის თავისუფლებასთან კავშირში განიხილავს, შესაბამისად, დაახლოებით მსგავს ფუნქციებს აკისრებს სახელმწიფოს განვითარების თვალსაზრისით და აცხადებს, რომ „შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების, მისი თითოეული წევრის ინტერესებისა და მისწრაფებების რეალიზებას უწყობს ხელს. საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის მიზნით შეკრების (მანიფესტაციის) შესაძლებლობა დემოკრატიული მმართველობის განუყოფელი ნაწილია. ამ უფლებით თანაბარი და სრულფასოვანი სარგებლობის შესაძლებლობა საზოგადოების ღიაობის და დემოკრატიულობის ხარისხს განსაზღვრავს.“⁸⁷⁵ სასამართლო მიიჩნევს, რომ შეკრება-მანიფესტაციის თავისუფლება დიდი ხანია დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელ და ძირითად ფუნქციონალურ ელემენტს წარმოადგენს.⁸⁷⁶

ასე რომ, სასამართლომ აღნიშნული უფლების რეალიზაცია თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლად, ხოლო მისი მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებულ კონსენსუსად გამოცხადა.⁸⁷⁷

⁸⁷⁴ *lex specialis* - სამართლის ზოგადი პრინციპი, როდესაც ზოგად და სპეციალურ ნორმებს შორის კონკურენციის შემთხვევაში, განმარტებისას და გამოყენებისას უპირატესობა ენიჭება სპეციალურ ნორმებს;

⁸⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად მიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშყარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.11.25;

⁸⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბერის # 2/2/180-183 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყემელაშვილი, ნინო ტყემელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.6;

⁸⁷⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.26;

2. დაცული სფერო

კონსტიტუციის 25-ე მუხლი უზრუნველყოფს შესაძლებლობას ადამიანის აზრი საზოგადოებამდე მივიდეს კონკრეტული საშუალების, ამ შემთხვევაში შეკრება-მანიფესტაციის, მეშვეობით. „კონსტიტუციის 25-ე მუხლით შეკრების და აზრის საჯაროდ გამოთქმის შესაძლებლობა საგანგებოდ არის დაცული.“⁸⁷⁸ მაშასადამე სახეზეა პირველი კომპონენტი საჯაროობა. მეორე ასპექტი არის უიარაღობა, ეს ნიშნავს, იმას რომ პირს უფლება არ აქვს შეკრებაზე შეარღვეული გამოცხადდეს. მესამე კომპონენტი არის წინასწარი ნებართვის გარეშე შესაძლებლობა. „კონსტიტუცია ამ უფლებას აღწერს, როგორც უფლებას საჯაროდ და [მშვიდობიან⁸⁷⁹] უიარაღოდ შეკრებაზე, განსაზღვრავს მის ერთ-ერთ ასპექტს - წინასწარი ნებართვის გარეშე შეკრების (მანიფესტაციის) უფლებას.“⁸⁸⁰

მაშასადამე, ყველას აქვს უფლება საჯაროდ, მშვიდობიანად და უიარაღოდ, წინასწარი ნებართვის და შეთანხმების გარეშე გამოხატოს აზრი.⁸⁸¹

შეკრება-მანიფესტაციის უფლება ინსტრუმენტული უფლებაა, „..... ამ უფლებით მოსარგებლე პირს (მისი პოლიტიკური, სოციალური, არტისტული, რელიგიური და ა.შ.) გრძნობებისა და შეხედულებების გამოხატვის შესაძლებლობას აძლევს“⁸⁸² და რომელსაც ერთმანეთისგან განუცალკევებადი ორი ასპექტი გააჩნია. 1) ფორმა - შეკრება-მანიფესტაცია; 2) აზრი - რომლის გამოხატვისთვისაც გამოიყენება ფორმა.⁸⁸³

შეკრება და მანიფესტაცია, მჭიდროდ არის დაკავშირებული მიზანთან, ეს ბუნებრივიცაა, რადგან კონკრეტული გამოხატვის შემთხვევაში კონკრეტული აქცია შეიცავს შეტყობინებას დანარჩენი საზოგადოებისადმი. „...შეკრება და მანიფესტაცია შეიძლება იყოს პოლიტიკური საქმიანობის განუყოფელი ელემენტი, ემსახურებოდეს აზრის გამოხატვას, ინფორმაციის მიღებასა და გავრცელებას და ა.შ.“⁸⁸⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს არ გაუკეთებია ამომწურავი ჩამონათვალი იმისა, თუ, რა შეიძლება იყოს ეს მიზანი, თუმცა მიუთითა, რომ იგი უნდა ემსახურებოდეს აზრის გამოხატვას, რაც შეიძლება იყოს:

- პროტესტი;
- სოლიდარობა;
- კონკრეტული მოთხოვნა;
- სხვა.⁸⁸⁵

⁸⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.7;

⁸⁷⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.99,100;

⁸⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.7,138;

⁸⁸¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.80;

⁸⁸² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.4;

⁸⁸³ იქვე;

⁸⁸⁴ იქვე;

⁸⁸⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.99;

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, „შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების ეფექტური განხორციელება გულისხმობს როგორც შეკრებაში მონაწილეობის, ასევე მისი ინიცირებისა და ორგანიზების უფლებას. საფუძველს მოკლებულია უფლების ერთ-ერთი ასპექტის კონსტიტუციის 25-ე მუხლის ფარგლებს გარეთ გატანა.“⁸⁸⁶ რაც ნიშნავს, რომ 25-ე მუხლით დაცულია არა მხოლოდ შეკრება მანიფესტაციაში მონაწილეობის, არამედ მისი დაგეგმვის და ორგანიზების უფლებაც.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ შეკრების თავისუფლება თავის თავში მოიცავს:

- შეკრების გამართვის ადგილის არჩევის უფლებას;⁸⁸⁷
- შეკრების გამართვის დროის არჩევის უფლებას;
- შეკრების ფორმის არჩევის უფლებას;
- შეკრების შინაარსის არჩევის უფლებას.⁸⁸⁸

3. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება, როგორც კოლექტიური უფლება

ადამიანის უფლებების კლასიფიკაცია შესაძლებელია იმ ნიშნის მიხედვითაც, მისით სარგებლობა ჯგუფის უფლებაა თუ ინდივიდის, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჯგუფური უფლებაა თუ ინდივიდუალური. საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედვით, შეკრებისა და მანიფესტაციების უფლება კოლექტიური, ანუ ჯგუფური უფლებაა. „კონსტიტუციის 25-ე მუხლი, რომელიც ადამიანთა ჯგუფის მიერ აზრის გამოხატვის კოლექტიურ შესაძლებლობას იცავს...“⁸⁸⁹

მართალია, შეკრება-მანიფესტაციის უფლება კოლექტიური უფლებაა, მაგრამ იგი ინდივიდუალურად ხორციელდება. „შეკრება ითვალისწინებს თანამოაზრეთა გარკვეული ჯგუფის არსებობას, შეკრების (მანიფესტაციის) უფლება აზრის გამოხატვის კოლექტიურ შესაძლებლობას უკავშირდება, მაგრამ შეკრებაში მონაწილე პირი ამ უფლების რეალიზებას ინდივიდუალურად ახდენს.“⁸⁹⁰

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება კოლექტიურად უფლებაა, თუმცა რეალიზდება ინდივიდუალურად.

⁸⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.131,121;

⁸⁸⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.34,55;

⁸⁸⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.34;

⁸⁸⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.3;

⁸⁹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.132;

4. რა არ ექვევება კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცულ სფეროში

მას შემდეგ რაც ნაწილობრივ გაირკვა რას იცავს შეკრება-მანიფესტაციის უფლება, უნდა დაზუსტდეს ის შემთხვევები, რომლებიც სასამართლომ გამორიცხა 25-ე მუხლით დაცული სფეროდან.

პირველ რიგში მინიშვნელოვანია, რომ ვინაიდან უფლებით დაცულია მშვიდობიანი შეკრების უფლება, ძალადობრივი აქცია იმთავითვე გამოირიცხება 25-ე მუხლით დაცული სფეროდან. „აზრის გამოხატვის თავისუფლებისაგან განსხვავებით შეკრების თავისუფლება მისი დაცვის შედარებით ვიწრო ფარგლებით არის შეზღუდული. შეკრება, რომელიც არამშვიდობიანია კონსტიტუციით არ იქნება დაცული და შეიძლება აკრძალვას, დაშლას ან სხვა სანქციებს დაექვემდებაროს.“⁸⁹¹

რადგან ეს უფლება გამოხატვის თავისუფლების ერთ ასპექტს მოიცავს, ხოლო გამოხატვის თავისუფლება დაკავშირებულია კონკრეტული იდეების მესამე პირებისთვის გაცნობასთან, სწორედ ამიტომ „... ადამიანთა თავყრილობას (მსვლელობას), რომელიც მოკლებულია იდეას, არ ემსახურება აზრის, ინფორმაციის გაზიარებას ან გავრცელებას არაფერი აქვს საერთო კონსტიტუციით დაცულ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებასთან.“⁸⁹² შესაბამისად, იმისათვის, რომ შეკრება ან მანიფესტაცია 25-ე მუხლით დაცულ სფეროში მოექცეს, აუცილებელია, ემსახურობდეს კონკრეტულ იდეას.

კიდევ ერთი საკითხი, არის თუ არა დაცული კონსტიტუციით თავისთავად ქუჩის გადაკეტვის უფლება. ამ საკითხთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ცალსახაა, „საქართველოს კონსტიტუციით არ არის დაცული per se ქუჩის გადაკეტვის ან მისი ბლოკირების შესაძლებლობა. ამგვარ ქმედებას კონსტიტუციით დაცულ უფლებებთან მიმართება ექნება იმ შემთხვევაში, თუ ის აზრის გამოხატვის შინაარსს ან/და ფორმას უკავშირდება. სახელმწიფოს მხრიდან კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევის ინტენსივობა, შეზღუდვების სიმკაცრე დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ფორმით და რა მიზნით ხორციელდება ქმედება. სიტყვას ან ქმედებას, თუ მას არ გააჩნია პოლიტიკური, სოციალური, მხატვრული ან სხვა ღირებულება, კონსტიტუციით დაცული სფეროდან გამოდის, როდესაც ის საზოგადოებრივ წესრიგს, უსაფრთხოებას, სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს უპირისპირდება.“⁸⁹³ ეს ნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში იცავს ქუჩის გადაკეტვის უფლებას, თუ იგი პირდაპირ უკავშირდება აქციის ფორმასა (მაგ. მონაწილეები ფეხით სავალ ნაწილზე ვერ ეტევიან) და შინაარსს (პროტესტის შინაარსის გადმოცემა სწორედ ქუჩის გადაკეტვის - ამ ინსტრუმენტის - მეშვეობით ხდება).

უფრო კონკრეტულად სასამართლომ მოცემული საკითხი ასე ჩამოყალიბა: „ამ უფლების რეალიზება არა მხოლოდ სხვათა გადაადგილების თავისუფლებას, არამედ, ასევე გადაადგილების მსურველთა პროფესიული

⁸⁹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბერის # 2/2/180-183 გადაწყვეტილება, პ.10;

⁸⁹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.3;

⁸⁹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.31;

საქმიანობის ან საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლებას შეიძლება დაუპირისპირდეს. შეკრებაში (მანიფესტაციაში) მონაწილეთა მიერ აზრის მწვავე ფორმით გამოხატვის და გზის თვითნებური გადაკეტვის მიზანს ხელისუფლების ან/და საზოგადოების ყურადღების მიპყრობა წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში, სხვათა გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, შეკრების (მანიფესტაციის) მონაწილეთა მიერ მაქსიმალური ეფექტის მიღწევის საშუალებად არის ქცეული. აზრის გამოხატვისას ქუჩის მიზანმიმართული, განზრახ გადაკეტვის შემთხვევაში შეკრების მონაწილეთა და ორგანიზატორთა მიზნების მიღწევის ინსტრუმენტად აქცევს იმ პირების ინტერესებს, რომლებიც აქციაში მონაწილეობას არ ღებულობენ. შესაბამისად, ქუჩის გადაკეტვის შესაძლებლობის ნებისმიერ დროს და ადგილას გარანტირება სხვათა უფლების გაუმართლებლად ხშირ შეზღუდვას გამოიწვევს. არასწორია იმის მტკიცება, რომ კონსტიტუციის 25-ე მუხლი შეკრებაში (მანიფესტაციაში) მონაწილეთა ანიჭებს უფლებას, საკუთარი მიზნების მისაღწევად მიზანმიმართულად შეზღუდონ სხვათა უფლებები. როდესაც სხვათა უფლებების შეზღუდვა წარმოადგენს შეკრების (მანიფესტაციის) თვითმიზანს ან როდესაც უფლებებს შორის გონივრული ბალანსის დაცვის მიზნით ხელისუფლება უფლებამოსილი ხდება, ჩაერიოს შეკრებისა და მანიფესტაციის განხორციელების პროცესში.”⁸⁹⁴

სასამართლომ ასევე იმსჯელა ქუჩის სავალი ნაწილის კონსტრუქციებით ან სატრანსპორტო საშუალებებით გადაკეტვის შესაძლებლობაზე, მათ შორის იმ შემთხვევებზე, როდესაც ეს მოქმედება, შეკრებაში (მანიფესტაციაში) მონაწილეთა თავდასხმისაგან დაცვის სურვილით არის განპირობებული და მიიჩნია, რომ „ამ მიზნით დროებითი კონსტრუქციების აგება ვერ ჩაითვლება კონსტიტუციით დაცულ ქმედებად. საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა ამისათვის შექმნილი შესაბამისი ორგანოს მიერ უნდა ხორციელდებოდეს.”⁸⁹⁵

ამავდროულად სასამართლომ ამ შემთხვევისგან გამიჯნა დროებითი კონსტრუქციების აღმართვის უფლება, რომელიც არ იწვევს სავალი ნაწილის გადაკეტვას, მაგრამ აუცილებელია შეკრების ორგანიზებისა და განხორციელებისთვის, და მიიჩნია, რომ სადავო ნორმა არ წარმოადგენდა ამ ტიპის კონსტრუქციების აგების შესაძლებლობის აკრძალვას.⁸⁹⁶

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლო შეეხო, უკავშირდება სპონტანური შეკრების დროს ტრანსპორტის სამომხრად ადგილის გადაკეტვას. ეს საკითხი წარმოიშვა კანონის ჩანაწერიდან, რომლის მიხედვითაც ამგვარი აქციის ორგანიზატორებმა სახელმწიფოს უნდა მიმართონ შეკრებამდე 5 დღით ადრე. „საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას, რომ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია ხალხისა და ტრანსპორტის სამომხრად ადგილას სპონტანური საპროტესტო მანიფესტაციის წინასწარი

⁸⁹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.34;

⁸⁹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.41;

⁸⁹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.43;

გაფრთხილების გარეშე, შეუფერხებლად ჩატარების უფლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც აქციის მონაწილენი ახორციელებენ ტრანსპორტისა და ხალხის სამომრათ ადგილის დაკავებას ან მის გადაკეტვას, აფერხებენ მოძრაობას.⁸⁹⁷ ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სპონტანური შეკრების დროს ქუჩის გადაკეტვის უფლებას, მათ შორის რაოდენობიდან გამომდინარე საჭიროების დროს, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი არ იცავს.

4.1. ძალადობისკენ მოწოდება

საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებული ნორმა დამხობისკენ მოწოდებას ორ შემთხვევაში კრძალავდა: შეკრების (მანიფესტაციის) ორგანიზებისას და მისი მსვლელობისას.

საკონსტიტუციო სასამართლომ პირველ რიგში განმარტა სიტყვების „კონსტიტუციური წყობილების დამხობა“ და „ძალადობრივი გზით შეცვლის“ შინაარსი. პირველის მნიშვნელობაში შემდეგი შინაარსი ჩადო - „კონსტიტუციური წყობილების დამხობა ყოველთვის ძალადობრივ ქმედებას უკავშირდება. დამხობა მიმართულია კონსტიტუციის საწინააღმდეგო და არაკანონიერი მეთოდებით არსებული წყობილების განადგურებისაკენ და, შესაბამისად, ძალადობის ელემენტსაც შეიცავს.“⁸⁹⁸ ხოლო მეორეში შემდეგი - „ძალადობრივი გზით შეცვლა“ ასევე არსებული სისტემის ალტერნატიული ჩანაცვლებას ითვალისწინებს.⁸⁹⁹ სასამართლომ ასევე შეაფასა ამ მოქმედებების კონსტიტუციასთან შესაბამისობა. „დემოკრატიული გზით არჩეული ხელისუფლების, კონსტიტუციით განსაზღვრული მმართველობის ფორმის და წყობილების შეცვლა მხოლოდ კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გზით არის შესაძლებელი. ცვლილების განხორციელების ნებისმიერი სხვა ფორმა დემოკრატიული საზოგადოების არსებობას უქმნის საფრთხეს და ძალადობრივ ხასიათს ატარებს.“⁹⁰⁰

ამრიგად სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს უფლება საქართველოს კონსტიტუციით არ არის დაცული. „დაუშვებელია, რომ კონსტიტუციური უფლება თავად კონსტიტუციით დაცული დემოკრატიული წესწყობილების ხელყოფისაკენ იყოს მიმართული და კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების საფუძველს ქმნიდეს. გამოხატვის თავისუფლების ზღვარი გაივლის იქ, სადაც გამოხატვა კონსტიტუციით დაცულ სიკეთეს, კონსტიტუციით გაცხადებულ პრინციპებსა და ღირებულებებს შეუქმნის საფრთხეს. კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა კონსტიტუციით დაცული სიკეთის უზრუნველსაყოფად შეიძლება განხორციელდეს.“⁹⁰¹

⁸⁹⁷ საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 10 ნოემბერის #4/482,483,487,502 საოქმო ჩანაწერი საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები ზვიად ძიმიგური და კახა უკვაა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. პ.11.3.;

⁸⁹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.89;

⁸⁹⁹ იქვე;

⁹⁰⁰ იქვე;

⁹⁰¹ იქვე;

თუმცა მეორე მხრივ სასამართლომ შეკრებისა და მანიფესტაციების ექსპერსის დაშვებული ფარგლები განმარტა. „ამავე დროს, ხელისუფლების „დამხობა“ არ უნდა იქნეს გაიგივებული ცვლილებებთან, რომელიც შესაძლოა მშვიდობიანი ხასიათის შეკრებებს ან მანიფესტაციებს მოჰყვეს შედეგად. მოქალაქეებს კონსტიტუციით აქვთ გარანტირებული უფლება, შეიკრიბონ და გამოხატონ საკუთარი ნება, დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ, რაც, თავის მხრივ, შეიძლება გავლენას ახდენდეს მიმდინარე პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ პროცესებზე, იწვევდეს მთავრობის ან მისი წევრის გადადგომას, პოლიტიკური წყობილების ან მმართველობის ფორმის შეცვლას. არსებითად არასწორია დემოკრატიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ასეთი პროცესის „ხელისუფლების დამხობასთან“ გაიგივება, მასთან გათანაბრება.“⁹⁰²

სასამართლომ საკუთარ მსჯელობაში ცხადად მიუთითა, რომ „კონსტიტუციური წყობილების დამხობა და ძალადობით შეცვლა, როგორც ძალადობრივი და დანაშაულებრივი ქმედება, ისევე, როგორც ასეთი ქმედების განზრახვა, უპირისპირდება შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების „მშვიდობიან“ ხასიათს.“⁹⁰³ შესაბამისად არ ექცევა 25-ე მუხლით დაცულ სფეროში. როდესაც ეს გამონათქვამები აქციის მომზადების ეტაპზე ხდება მაშინ ეს იმთავითვე გადის ადამიანის უფლებების დაცული სფეროდან. „შეკრების მომზადების ეტაპზე ინიციატორების ან ორგანიზატორების მიერ ასეთი მოწოდებების გაკეთება გარდუვალად მიუთითებს ძალადობრივ განზრახვაზე და, შესაბამისად, შეკრების არამშვიდობიან ხასიათზე. ამიტომ შეკრება, რომლის მიზანი და სავარაუდო (სასურველი) შედეგი იქნება კონსტიტუციური წყობილების დამხობა და ძალადობით შეცვლა, თავისთავად გადის კონსტიტუციით დაცული სფეროდან.“⁹⁰⁴ ასეთ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ „როდესაც შეკრების ორგანიზატორების განზრახვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებისკენ არის მიმართული და ასეთი ქმედების განხორციელების ალბათობა მაღალია, კანონმდებელი უფლებამოსილია, დააწესოს შეზღუდვა. სადავო ნორმა, რომელიც შეკრების ორგანიზებისას დამხობისაკენ მოწოდებებს კრძალავს, სწორედ კონსტიტუციით გათვალისწინებული შეზღუდვების ამ კატეგორიას განეკუთვნება.“⁹⁰⁵ გამოდის, თუ აქციის დაგეგმვისას მიზნად დასახულია ზემოაღწერილი ქმედებების განხორციელება, მაშინ, შესაძლოა, სახელმწიფო ამ აქციის ჩატარებას წინ აღუდგეს.

სასამართლომ ასევე განიხილა შემთხვევა, როდესაც დაგეგმვის დროს აღნიშნული მიზნები, შესაძლოა, არ იყოს აქტუალური, თუმცა ასეთმა პრეცედენტმა თავი იჩინოს აქციის მიმდინარეობისას. ამ ვითარებაში „„დამხობისკენ“ ან/და „ძალადობრივი გზით შეცვლისკენ“ მოწოდება დამოუკიდებლად ვერ გამოიწვევს კონკრეტული შეკრებისა და მანიფესტაციის

⁹⁰² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.89;

⁹⁰³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.99;

⁹⁰⁴ იქვე;

⁹⁰⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.100;

პროცესში ჩარევას. ... შეკრების (მანიფესტაციის) შეწყვეტა მხოლოდ სადავო ნორმის მასობრივი დარღვევის შემთხვევაში შეიძლება მოხდეს. როდესაც შეკრებაში მონაწილეთა მშვიდობიანი პროტესტი თანდათანობით სახეს იცვლის და ძალადობისკენ მოწოდებები მასობრივ ხასიათს იღებს ან, როდესაც შეკრება (მანიფესტაცია) დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების მიზნით საგანგებოდ იკრიბება, არა მხოლოდ კანონსაწინააღმდეგო ხდება, არამედ ის კონსტიტუციით დაცული სფეროდანაც გამოდის.⁹⁰⁶

აღნიშნული შეგვიძლია სამ პუნქტად შევაჯამოთ:

- როდესაც ადამიანები ზემოაღნიშნული ქმედების განხორციელების მიზნით საგანგებოდ იკრიბებიან მაშინ მათი ქმედება გადის კონსტიტუციით დაცული სფეროდან;
- როდესაც ადამიანები ზემოაღნიშნული ქმედების განხორციელების მიზნით, მართალია, საგანგებოდ არ იკრიბებიან, მაგრამ ეს თავყრილობა მასობრივად გადადის ამ ქმედებებში, ქმედება ამ შემთხვევაშიც გადის კონსტიტუციით დაცული სფეროდან;
- როდესაც მხოლოდ ცალკეული პირების მხრიდან ვხვდებით ზემოაღნიშნულ ქმედებებს, ეს ვერ გახდება მთლიანად აქციის შეწყვეტის საფუძველი.

პირველი ორი შემთხვევა სასამართლომ პრევენციულ ღონისძიებებსა და შეკრებისა და მანიფესტაციის, როგორც მომეტებული საფრთხის წყაროს ბუნებას დაუკავშირა, „მოცემულ შემთხვევაში კანონს პრევენციული დანიშნულება აქვს, ვინაიდან შეკრების (მანიფესტაციის) მსვლელობისას კონსტიტუციური წყობილების „დამხობისკენ“ ან „ძალადობით შეცვლისკენ“ მასობრივმა მოწოდებებმა შეიძლება პროცესები უმართავი გახადოს, რაც კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების საფრთხეს ზრდის. ამასთან ერთად, ხალხმრავალი შეკრება (მანიფესტაცია) შეკრებილთა შეხედულებებისა და მიზნების მიუხედავად, სამართალდარღვევის შემთხვევების მომეტებულ რისკს შეიცავს. სწორედ ამიტომ, შეკრების (მანიფესტაციის) მსვლელობისას ძალადობრივი ქმედებისაკენ მოწოდება სამართალდარღვევის ჩადენის ალბათობას კიდევ უფრო ზრდის.“⁹⁰⁷

თუმცა სასამართლომ აქვე გაითვალისწინა იმ ადამიანების უფლებები, „რომლებსაც თავად კანონსაწინააღმდეგო ქმედებები არ განუხორციელებიათ.“⁹⁰⁸ ამიტომ სასამართლომ შემოიღო ე.წ. რეალური საფრთხის ტესტი და განაცხადა, რომ „სახელმწიფოს მხრიდან შეკრებისა და მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, როდესაც მოწოდებების შედეგად ძალადობის განხორციელების საფრთხე რეალურია.“⁹⁰⁹

სასამართლომ განმარტა რეალური საფრთხის დოქტრინა. პირველ რიგში

⁹⁰⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.101;

⁹⁰⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.102;

⁹⁰⁸ იქვე;

⁹⁰⁹ იქვე;

აღნიშნა, რომ, მართალია, „[სადავო ნორმა] კრძალავს დანაშაულისკენ მოწოდებას, თუმცა დამოუკიდებლად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას არ იწვევს. აკრძალული მოწოდებების გაქვრება, შეკრების შეწყვეტას იწვევს მხოლოდ მაშინ, თუ ის მასობრივ ხასიათს მიიღებს, როდესაც ის შეკრების მიმდინარეობაზე, მისი გამართვის მიზანსა და მოტივაციაზე აისახება. ამავე დროს, [მნიშვნელოვანია] თუ რა შემთხვევაში შეიძლება შეფასდეს შეკრება ან მანიფესტაცია საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის მომეტებული საფრთხის მქონე მოვლენად.”⁹¹⁰

ამრიგად, ეს ტესტი შემდეგი ნაწილებისგან შედგება:

- უნდა არსებობდეს დანაშაულისკენ მოწოდების ფაქტი;
- დანაშაულისკენ მოწოდება უნდა იყოს მასობრივი ხასიათის;
- დანაშაულისკენ მოწოდებამ გავლენა უნდა მოახდინოს შეკრების მიმდინარეობაზე, მიზანსა და მოტივაციაზე.

ეს ელემენტები კუმულატიურია და ერთდროულად უნდა იყოს წარმოდგენილი. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულს მაგალითით მოჰფინა ნათელი. „როდესაც შეკრების ორგანიზატორების ან/და მისი მონაწილეების მიერ მასობრივად ხდება კონსტიტუციური წყობილების დამხობისკენ ან ძალადობით შეცვლისკენ მოწოდებები, იზრდება ასეთი მოწოდებებით გამოწვეული დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელების საფრთხე. სხვა შემთხვევაში, როდესაც სადავო ნორმით აკრძალული გამოხატვა ერთეულ შემთხვევებს წარმოადგენს და გავლენას არ ახდენს თავად შეკრების ხასიათზე, კანონი შეკრებისა და მანიფესტაციის მსვლელობაში ჩარევას არ ითვალისწინებს.”⁹¹¹

სასამართლომ ასევე იმსჯელა პირის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე და მიუთითა, რომ „... თავისთავად მოწოდების ფაქტი არ შეიძლება იყოს საკმარისი იმისთვის, რომ დადგეს პირის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი. ... ამისათვის საჭიროა ძალადობის და/ან დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტი, ან ასეთი ქმედების განხორციელების რეალური საფრთხე. ... მოწოდება იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას მხოლოდ მაშინ, როდესაც პირის ქმედება (მოწოდება) ... ქმნის კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს...”⁹¹²

სასამართლომ, როგორც გამოჩნდა, ამ შემთხვევაშიც რამდენიმე კრიტერიუმი დაადგინა. მხოლოდ ძალადობისკენ მოწოდების ფაქტი არ არის საკმარისი პასუხისმგებლობისათვის, საჭიროა ძალადობის და/ან დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტი, ან ასეთი ქმედების განხორციელების რეალური საფრთხე. საფრთხე კი უნდა იყოს ერთდროულად:

- აშკარა
- პირდაპირი
- არსებითი

⁹¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.103;

⁹¹¹ იქვე;

⁹¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.104;

მსგავს შემთხვევებში სასამართლომ მიუთითა არა მხოლოდ სახელმწიფოს უფლებაზე ჩაერიოს არსებულ რეალობაში, არამედ ვალდებულებაზეც: „იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანთა ქმედება იწვევს უსაფრთხოების და სხვათა უფლებების დარღვევის რეალურ საფრთხეს, სახელმწიფოს მხრიდან რეაგირების ვალდებულება ჩნდება.“⁹¹³ „სადავო ნორმით დაწესებული აკრძალვა უკავშირდება მოწოდებას, რომელიც გულისხმობს დანაშაულებრივი ქმედების სისრულეში მოყვანის სურვილს. მოწოდება, რომელიც ასეთი განზრახვის გარეშეა გაკეთებული, სადავო ნორმის რეგულირების სფეროს არ განეკუთვნება“⁹¹⁴ და, შესაბამისად, არც იწვევს პასუხისმგებლობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი შემთხვევების გადასაწყვეტად გარკვეული დისკრეცია კონკრეტულ სამართალშემფარდებელს აქვს, რომელსაც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ევალება რეგულირება. „მხოლოდ სამართალშემფარდებელს შეუძლია შეაფასოს, წარმოადგენს თუ არა კონკრეტული გამონათქვამი კანონით აკრძალულ მოწოდებას. ... სამართალშემფარდებელი შეაფასებს, წარმოადგენს თუ არა კონკრეტული გამონათქვამი დამხობისკენ მოწოდებას და იწვევს თუ არა იგი დანაშაულის ჩადენის რეალურ საფრთხეს.“⁹¹⁵

რაც შეეხება 25-ე მუხლის დაცულ სფეროს, იგი „...მოიცავს როგორც პოლიტიკური საქმიანობით განპირობებულ, პოლიტიკური შინაარსის და მიზანმიმართულების მქონე, ასევე საზოგადოებრივი მნიშვნელობის ან საერთოდ აპოლიტიკური ხასიათის შეკრებების (მანიფესტაციების) გამართვის უფლებას. შეკრების უფლებით დაცული სფერო გულისხმობს როგორც მასში მონაწილეობის მიღების, ასევე მისი ორგანიზების უფლებას.“⁹¹⁶

ამრიგად, შეკრება-მანიფესტაციის უფლება გულისხმობს:

- პოლიტიკური საქმიანობით განპირობებული შეკრებების (მანიფესტაციების) გამართვის უფლებას;
- საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეკრებების (მანიფესტაციების) გამართვის უფლებას;
- აპოლიტიკური ხასიათის შეკრებების (მანიფესტაციების) გამართვის უფლებას;

შეკრების უფლებით დაცული სფერო გულისხმობს:

- შეკრებაში მონაწილეობის მიღების;
- შეკრების ორგანიზების უფლებას;

⁹¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.105;

⁹¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.106;

⁹¹⁵ იქვე;

⁹¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.127;

5. გამოიჯენა კონსტიტუციის 24-ე მუხლისგან

როგორც აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი მჭიდრო კავშირშია 24-ე მუხლთან, რაც მათი გამოიჯენის აუცილებლობას იწვევს. 24-ე მუხლით დაცულია გამოხატვის თავისუფლება, შეკრება-მანიფესტაციებიც კონკრეტული პოზიციის გამოხატვას ემსახურება, სწორედ ამიტომ „...შეკრებას (მანიფესტაციას) კონსტიტუციურ უფლებად მისი მიზანი და შინაარსი აქცევს, ეს განაპირობებს ბუნებრივ და არსებით კავშირს კონსტიტუციის 24-ე და 25-ე მუხლებს შორის.“⁹¹⁷

საკონსტიტუციო სასამართლო შეკრებისა და მანიფესტაციების უფლებას განიხილავს, როგორც გამოხატვის თავისუფლების სპეციალურ,⁹¹⁸ კონკრეტულ გამოვლინებას. „...შეკრების (მანიფესტაციის) უფლება კონსტიტუციის 24-ე მუხლით დაცულ სფეროს იმდენად უკავშირდება, რამდენადაც ის აზრის გავრცელების ერთ-ერთ საშუალებას ...კონსტიტუციის 24-ე მუხლის გაგრძელებას წარმოადგენს.“⁹¹⁹

საკონსტიტუციო სასამართლოს ამ მჭიდრო კავშირის საილუსტრაციოდ 25-ე მუხლი შეადარა კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტს, და მიუთითა, რომ ამ უკანასკნელი მუხლით ცალკე არის გამოყოფილი აზრის და ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების ერთ-ერთ საშუალება - მედიის თავისუფლება, შესაბამისად, განსახილველი კონსტიტუციური ნორმით სპეციალური მუხლი აქვს მიძღვნილი შეკრება-მანიფესტაციის უფლებას, როგორც აზრის გამოხატვის ერთ-ერთ საშუალებას.⁹²⁰

მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ ეს ორი ნორმა იდენტური შინაარსის არ არის, მეტიც, არც 24-ე მუხლი მოიცავს 25-ე მუხლით დაცულს სფეროს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ კონსტიტუციაში შეკრება-მანიფესტაციების უფლების ცალკე მუხლად გამოყოფა აზრს დაკარგავდა. „ამიტომ მუხლებს შორის არსებული მჭიდრო კავშირის მიუხედავად, მათ შორის ტოლობის ნიშნის დასმა ყოველთვის მართებული არ იქნება.“⁹²¹ „კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცულ შეკრების (მანიფესტაციის) უფლებას ავტონომიური შინაარსიც გააჩნია. შეკრების (მანიფესტაციის) უფლების შეზღუდვა ყველა შემთხვევაში შეიძლება არ იწვევდეს გამოხატვის ან ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვას.“⁹²²

6. უფლების სუბიექტები

უფლების დაცვის ფარგლების გარკვევის შემდეგ საჭიროა, გაირკვეს ამ

⁹¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.3;

⁹¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.4;

⁹¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.3;

⁹²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.7;

⁹²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.6;

⁹²² იქვე;

უფლების სუბიექტები და მეტ-ნაკლების სიზუსტით განიმარტოს მათი წრე. ეს მნიშვნელოვანია ნორმის ადეკვატური რეალიზაციის თვალსაზრისით.

6.1. მოქალაქეობა

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის რეალიზაციისთვის მნიშვნელოვანია ენიჭება მოქალაქეობის საკითხის, ეს განპირობებულია ამავე უფლების ბუნებიდან, იგი გარკვეულ შემთხვევაში, შესაძლოა, სამოქალაქო ან პოლიტიკურ უფლებად რეალიზდეს, სწორედ ეს ასპექტი მოითხოვს განსაკუთრებულ დაზუსტებას.

თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ 25-ე მუხლის მიხედვით „...შეკრების და მანიფესტაციის უფლება, აღიარებულია ყველა პირისთვის.“⁹²³ ეს ფაქტორი მიუთითებს მოქალაქეობის მიხედვით მისი აკრძალვის ზოგად უარყოფაზე უფლების დამდგენი ნორმის მხრიდან. „აღნიშნული კონსტიტუციური უფლების სუბიექტი არის ყველა, იგი შეზღუდვას არ ადგენს მოქალაქეობის სტატუსის მიხედვით...“⁹²⁴

სადავო ნორმის მიხედვით, ზოგადად აქციაში მონაწილეობა ნებადართული იყო საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებისთვისაც, თუმცა გამოირიცხებოდა ამავე პირთა მიერ აქციის ორგანიზების შესაძლებლობა. მოპასუხის არგუმენტაცია ძირითადად ეყრდნობოდა კონსტიტუციის 27-ე მუხლის ჩანაწერს, რომელიც კანონმდებელს აძლევს უფლებას, შეზღუდოს საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირების პოლიტიკური საქმიანობა.⁹²⁵ სასამართლომ მიიჩნია, რომ მართალია, მოქალაქეობის არ მქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა დაშვებულია კონსტიტუციით, მაგრამ „შეკრების ან/და მანიფესტაციის პასუხისმგებელ პირად ყოფნა ყოველთვის არ ნიშნავს პოლიტიკური საქმიანობის განხორციელებას. შეკრების ან/და მანიფესტაციის პოლიტიკური ხასიათი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს მისი ინიციატორისა და მიზნების მიხედვით. თუ სადავო ნორმით გათვალისწინებული აკრძალვა გავრცელდება მხოლოდ პოლიტიკური ხასიათის შეკრებებსა და მანიფესტაციებზე, მაშინ მოცემული აკრძალვა იქნება უფლებით დაცულ სფეროში პროპორციული ჩარევის საშუალება.“⁹²⁶

სასამართლომ კიდევ ერთ კითხვას გასცა პასუხი: შეკრების (მანიფესტაციის) ორგანიზება ან პასუხისმგებელ პირად ყოფნა წარმოადგენს თუ არა პოლიტიკურ საქმიანობას კონსტიტუციის 27-ე მუხლის მიზნებისათვის?⁹²⁷

სასამართლომ დაადგინა, რომ „გარკვეულ შემთხვევაში, შეკრების

⁹²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.138;

⁹²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.121;

⁹²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.121;

⁹²⁶ იქვე;

⁹²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.123;

ორგანიზება, ისევე როგორც მისი ინიცირება და მასში მონაწილეობა, შეიძლება უკავშირდებოდეს პირის პოლიტიკურ საქმიანობას, ამ საქმიანობის ერთ-ერთი ელემენტი იყოს. შეკრება (მანიფესტაცია) შესაძლოა წარმოადგენდეს პოლიტიკური ბრძოლის იარაღს, რომელსაც პოლიტიკური საქმიანობით დაკავებული პირი (ორგანიზაცია) საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებს. ... ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო უფლებამოსილია, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი შეზღუდოს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების რეალიზებაში.”⁹²⁸ თუმცა „შეკრების (მანიფესტაციის) ორგანიზება, ყველა შემთხვევაში [არ] უკავშირდება პირის პოლიტიკურ საქმიანობას. შეკრება (მანიფესტაცია) როგორც აზრის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა, შეიძლება უკავშირდებოდეს ადამიანის სამოქალაქო ან საზოგადოებრივ პოზიციას, მის შეხედულებებს, მათ შორის მის პოლიტიკურ მრწამსს, მაგრამ ყოველთვის არ იყოს პოლიტიკური საქმიანობის ნაწილი. შეკრება და მანიფესტაცია აზრის გამოხატვის შესაძლებლობას საკითხების მრავალფეროვანი სპექტრის მიმართ იძლევა, ამიტომ შეცდომა იქნება, რომ შეკრების (მანიფესტაციის) ორგანიზება ყველა შემთხვევაში პოლიტიკურ საქმიანობასთან გავათანაბროთ. საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირის საქმიანობა შესაძლებელია პოლიტიკური საქმიანობის კონტექსტში იქნეს განხილული, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული გარემოებებიდან, შეკრების (მანიფესტაციის) შინაარსიდან, ორგანიზატორებისა და ინიციატორების მიზნებიდან გამომდინარე.”⁹²⁹

სასამართლომ ასევე გაუსვა ხაზი საქართველოში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირებისა და საქართველოს საზოგადოების მჭიდრო კავშირს. „საქართველოში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც საზოგადოების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ ითვლებიან საქართველოს მოქალაქეებად, მათ განსაკუთრებული ინტერესი აქვთ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების მიმართ, მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი სახელმწიფოსთან და საზოგადოებაში განვითარებული მოვლენების უშუალო მონაწილენი არიან. ეს მათ საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით გათვალისწინებული შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების სუბიექტებად აქცევს. ასეთ პირებს კონსტიტუციით აქვთ გარანტირებული უფლება, შეკრების (მანიფესტაციის) მონაწილენი, ინიციატორები ან ორგანიზატორები იყვნენ. ამ უფლების შეზღუდვა მხოლოდ ლეგიტიმური მიზნების არსებობის შემთხვევაში არის დასაშვები, მათ შორის, კონსტიტუციის 27-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.”⁹³⁰

სასამართლო გადაწყვეტილებაში საგანგებოდ აღინიშნა ის გარემოებას, რომ ამ პირებს შეკრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ. სასამართლომ ვერ დაინახა „...რა არსებითი განსხვავებაა შეკრების მონაწილისა და პასუხისმგებელი პირის სამართლებრივ სტატუსებს შორის, რაც შესაძლებელს

⁹²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.124;

⁹²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.125;

⁹³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.126;

გახდიდა, პასუხისმგებელი პირის საქმიანობა მიჩნეულ იქნეს პოლიტიკურ საქმიანობად. შესაბამისად, კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცული უფლება მოიცავს საქართველოში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის უფლებას, შეკრებების (მანიფესტაციების) ფორმით გამოხატოს და გაავრცელოს საკუთარი აზრი, მათ შორის, მონაწილეობა მიიღოს შეკრებაში (მანიფესტაციაში), იყოს მისი ინიციატორი ან ორგანიზატორი.”

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო აღნიშნული აკრძალვა, სწორედ ნორმის ბლანკეტური შინაარსის გამო რომელიც არ ითვალისწინებდა ორგანიზებული აქციის მიზნების სპეციფიკურობას და, შესაბამისად, სპეციფიურ რეგულირებას არ უდგენდა თითოეულს.⁹³¹

6.2. იურიდიული პირები

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ უფლებასთან მიმართებით განხილულ 2 საქმეში მოსარჩელე იურიდიული პირი იყო, რაც მიუთითებს იმაზე, რომ შეკრება-მანიფესტაციით სარგებლობის უფლება იურიდიულ პირებსაც აქვთ.

6.3. ზოგიერთი ძალოვანი უწყების თანამშრომლებისათვის შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზებისა და მასში მონაწილეობის აკრძალვა

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტში საუბარია იმ პირებზე, რომელთაც არ აქვთ შეკრება-მანიფესტაციის თავისუფლებით სარგებლობის უფლება. პირები, რომლებიც მსახურობენ სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში.⁹³² ეს ჩანაწერი არცთუ ცალსახაა, რა იგულისხმება მასში? ამ ადამიანებისთვის მოცემული უფლებით სარგებლობა საერთოდ აკრძალულია თუ მხოლოდ სამუშაო დროს? ეს ჩამონათვალი ამომწურავია თუ შესაძლებელია მისი გაფართოება ნორმის მიზნებიდან გამომდინარე? აღნიშნულ დაწესებულებების ყველა თანამშრომელს ეკრძალება შეკრება-მანიფესტაციაში მონაწილეობა თუ მხოლოდ იმათ, ვინც ძალოვან ფუნქციებს ახორციელებს? ამ კითხვათა უმეტესობაზე უმეტესობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა არ არსებობს. თუმცა მათი ნაწილის შესახებ სასამართლოს ცალსახა პასუხები აქვს, წინამდებარე ქვეთავში სწორედ ეს საკითხები განიხილება.

საკონსტიტუციოსასამართლომ იმსჯელა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელი (ან/და სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირები) პირთათვის შეკრება-მანიფესტაციის უფლებით სარგებლობის აკრძალვის კონსტიტუციურობის შესახებ და იგი დასაშვებად მიიჩნია.

ამ აკრძალვასთან დაკავშირებით სასამართლომ მსჯელობა იმ, რომლებიც

⁹³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.128;

⁹³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.138;

კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტშია მითითებულ პირთა სტატუსის შეფასებით დაიწყო. სასამართლომ მიიჩნია, რომ აკრძალვა პირდაპირ არის დაკავშირებული ამ სტატუსთან, მის სამსახურებრივ საქმიანობას, ზემოთ დასახელებული სტრუქტურებისადმი მის კუთვნილებასთან.⁹³³ ვინაიდან სადავო ნორმაში მოყვანილი შეზღუდვა ამ პირების უფლების შეზღუდვის იდენტური იყო, სასამართლომ პირველ რიგში შეამოწმა განეკუთვნებოდნენ „...თუ არა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლები (ან/და სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირები) პირთა იმ კატეგორიას, რომლებსაც კონსტიტუციის 25-ე მუხლის თანახმად, არ გააჩნიათ შეკრების (მანიფესტაციის) უფლება.“⁹³⁴ სასამართლომ განაცხადა, რომ მართალია ეს სუბიექტები ფორმალური თვალსაზრისით განსხვავდებიან ერთმანეთისგან,⁹³⁵ მაგრამ მატერიალური თვალსაზრისით ისინი იდენტურნი არიან.⁹³⁶

სასამართლომ განმარტა, რაში გამოიხატება ის იდენტური ფუნქცია, რის გამოც როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ისე ფინანსთა სამინისტროს სპეციალური უფლებამოსილების მქონე თანამშრომლები გამორიცხულნი არიან 25-ე მუხლის დაცული სფეროდან. აღნიშნულ ნორმაში მითითებული სუბიექტების გამორიცხვა, სასამართლოს მიხედვით, შეუძლებელია „... განპირობებული იყოს არა აღნიშნული უწყების კომპეტენციებით, არამედ სხვა ... ნებისმიერ ... უწყება, სხვა არაფერია, თუ არა მასზე დაკისრებული კონკრეტული ამოცანები, კომპეტენციები, უფლებამოსილებები.“⁹³⁷ ამდენად, თუ აკრძალვა, კონკრეტული კომპეტენციიდან გამომდინარე, ეხებათ შს სამინისტროს თანამშრომლებს, ლოგიკურია, რომ მსგავსი კომპეტენციის მქონე სხვა სამსახურის წარმომადგენლებისთვისაც იმავე უფლებით სარგებლობა დაუშვებელი უნდა იყოს.⁹³⁸

რაც შეეხება თავად კომპეტენციას, რის გამოც ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა არ აქვთ შს სამინისტროს შემადგენლობაში მყოფ პირებს, „კონსტიტუციის 25-ე მუხლში შინაგან საქმეთა სამინისტროს, როგორც ინსტიტუციის/უწყების დასახელება, განპირობებულია საგანგებო და ფრთხილი დამოკიდებულებით ამ უწყებისათვის დამახასიათებელი ფუნქციებისა და კომპეტენციებისადმი: სამართალდამცავი და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, სპეციალური დანიშნულების შეიარაღებული ან/და გასამხედროებული დანაყოფების არსებობა, ლეგიტიმური, პროპორციული ძალის და ფიზიკური იძულების გამოყენების უფლება. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ამ უწყებების კომპეტენციისა და ფუნქციების განხორციელება, მათი სპეციფიკურობის გამო, შეუთავსებელია ამავე პირების

⁹³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.138;

⁹³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.139;

⁹³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.140;

⁹³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.145;

⁹³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.141;

⁹³⁸ იქვე;

მიერ შეკრებებისა და მანიფესტაციის უფლებით სარგებლობასთან.”⁹³⁹

სასამართლომ ასევე გაამახვილა ყურადღება უფლების შეზღუდვის მიმართ სუბიექტის ნებელობით კავშირზე: „ამ უფლების მატარებელი ნებისმიერი პირი, მისი პროფესიული საქმიანობის არჩევის და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში ჩარიცხვის შემთხვევაში, ნებაყოფლობით ამზობს უარს კონსტიტუციური უფლებით სარგებლობაზე, ვინაიდან კონსტიტუციით გარანტირებული შეკრების (მანიფესტაციის) უფლება არ ვრცელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაზე. ასეთი არჩევანის წინაშე პირს თავად კონსტიტუცია აყენებს.”⁹⁴⁰

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება აღინიშნოს, რომ შეკრება-მანიფესტაციის უფლების სუბიექტებიდან პირთა გამორიცხვის კრიტერიუმები, *i#ter alia*, ემყარება კონკრეტული უწყების კომპეტენციებსა და ფუნქციებს, ასევე თანამშრომელთა მხრიდან უფლების შეზღუდვისადმი წინასწარი გაცნობიერებულ მზაობას უფლების.

6.4. შეკრების ინიცირების სუბიექტები

გასაჩივრებამდე მოქმედი კანონის მიხედვით, შეკრება მანიფესტაციის ინიცირების უფლება აკრძალული იყო ფიზიკური პირისათვის, ამის უფლება მხოლოდ პირთა ჯგუფს, ან იურიდიულ პირს ჰქონდა. სასამართლომ განხილვისას ვერ დაინახა მიზანი, რომელსაც ემსახურებოდა აღნიშნული შეზღუდვა, სწორედ ამიტომ ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო.⁹⁴¹

7. უფლების შეზღუდვის საფუძვლები

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება, მართალია, ძალიან მნიშვნელოვანი თავისუფლებას წარმოადგენს, მაგრამ ცხადია, იგი არ არის აბსოლუტური ხასიათის.⁹⁴² ეს ნიშნავს, რომ მისი შეზღუდვა დასაშვებია კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ლეგიტიმური საფუძვლების არსებობისას.⁹⁴³

7.1. წინასწარი გაფრთხილება

„კონსტიტუციის 25-ე მუხლის მეორე პუნქტით დადგენილია ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამომრათ ადგილას იმართება.”⁹⁴⁴ ეს ჩანაწერი

⁹³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502

გადაწყვეტილება, II.3.141;

⁹⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.138;

⁹⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.133;

⁹⁴² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.25;

⁹⁴³ იქვე;

⁹⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.27;

კონსტიტუციაში არის ხელისუფლების უფლებამოსილებით აღმჭურველი ნორმა, „საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ხელისუფლება უფლებამოსილია, დააწესოს წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამომრათ ადგილას იმართება. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა პირდაპირ არ ითხოვს წინასწარი გაფრთხილების დაწესებას, ის საგანგებოდ და მკაფიოდ მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოს ასეთი უფლებამოსილება გააჩნია.“⁹⁴⁵ რა ფარგლებს უწესებს სახელმწიფოსა და უფლებით მოსარგებლე პირებს ეს მუხლი კარგად ჩანს საკონსტიტუციო სასამართლოსპრეცედენტულსამართალში.„გაფრთხილების ვალდებულების შემოღება განსაკუთრებული ზომების მიღებისათვის არის აუცილებელი. კერძოდ, გაფრთხილებასთან დაკავშირებულმა მონაცემებმა სახელმწიფო ორგანოებს საჭირო ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მხოლოდ იმისათვის, რომ მათ წარმოდგენა შეექმნათ ერთი მხრივ იმაზე, თუ რა განკარგულებები უნდა გაიცეს მოძრაობის მოწესრიგებისა და სხვა ღონისძიებებისათვის, რათა შეკრების მიმდინარეობა შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილი იქნეს, მეორე მხრივ კი შეფასდეს, თუ რა არის საჭირო მესამე პირთა, ასევე საზოგადოების ინტერესების დასაცავად და როგორ უნდა შეუთავსდეს ეს ორი გარემოება ერთმანეთს.“

პირველ რიგში მნიშვნელოვანია რა კრიტერიუმებით უნდა განისაზღვროს წინასწარი გაფრთხილების ვადა. კანონის მიხედვით ასეთ ვადად მიჩნეულია 5 დღე. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს არის ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც „აუცილებელი იყო სახელმწიფოს მხიდან შეკრების სრულფასოვანი ჩატარების გარანტიების უზრუნველსაყოფად.“⁹⁴⁶

თუმცა არსებობს შემთხვევა, როდესაც ამ ვალდებულების დაკისრება პირისთვის, შესაძლოა, არ იყოს გამართლებული „...კანონით დადგენილი წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება არაგონივრული იქნება, თუ ის კონსტიტუციით გარანტირებული შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების განხორციელებას არსებითად შეუძლებელს გახდის, თუ დადგენილი რეგულაცია აშკარად არაგონივრულია ან/და არაპროპორციულია მიზნისა, რომლის მისაღწევადაც ის არის შემოღებული.“⁹⁴⁷ „სასამართლოს მიაჩნია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეკრების და მანიფესტაციის შინაარსიდან, მასშტაბებიდან და აქტუალურობიდან გამომდინარე, მისი ჩატარების უზრუნველყოფისათვის შეიძლება საჭირო იყოს რეალურად სხვა ვადა. ამასთან, არ არის გამორიცხული, რომ 5 დღეც არასაკმარისი აღმოჩნდეს ამ მიზნებისათვის. ასე მაგალითად, უფრო მცირე ვადის დაწესების შემთხვევაში, შეკრება შეიძლება ჩატარდეს აქტუალურად, მაგრამ რეალურად სახელმწიფომ ვერ შექმნას გარანტიები მისი სრულფასოვანი განხორციელებისათვის. ამიტომ, სასამართლოს აზრით, 5 დღე არის ოპტიმალური ვადა, მით უმეტეს, რომ მთელ რიგ ქვეყნებში უფრო ხანგრძლივი ვადებიც არის დაწესებული...“⁹⁴⁸

⁹⁴⁵ საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 10 ნოემბერის #4/482,483,487,502 საოქმო ჩანაწერი, II.3.3;

⁹⁴⁶ იქვე;

⁹⁴⁷ იქვე;

⁹⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბერის #2/2/180-183 გადაწყვეტილება, 3.6;

ჩნდება კითხვა, შეუძლია კი სახელმწიფოს სანებართვო სისტემის შემოღება, თუ გაფრთხილება ერთგვარი წინასწარი შეტყობინებაა, როგორც ნების ცალმხრივი გამოვლენა ორგანიზატორის მხრიდან.

სასამართლომ მიიჩნია, რომ „...სახელმწიფოს არ აქვს სანებართვო სისტემის დაწესების უფლება.“⁹⁴⁹ კანონმდებლობაში საუბარი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაფრთხილების არმიღებაზე, რაც სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო შემდეგი არგუმენტების გამოყენებით: თავად ფორმულირება „გაფრთხილების არმიღება“ გაფრთხილების ინსტიტუტს ნებართვას უთანაბრებს. გაფრთხილება ზოგადად გულისხმობს ხელისუფლების ინფორმირებას შეკრების ჩატარების თაობაზე მხოლოდ იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა, ანუ ეს ცალმხრივი ქმედებაა, რომელიც არც ერთ შემთხვევაში არ მოიცავს ხელისუფლებისაგან პასუხის მოლოდონის ვალდებულებას. თავისთავად, როდესაც კანონმდებელი ხელისუფლებას აძლევს გაფრთხილების არმიღების შესაძლებლობას, ვარაუდობს, რომ ხელისუფლება პრაქტიკულად უნარს ეუბნება კონკრეტულ პირებს ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობაზე, ანუ ნებას არ აძლევს, ჩაატარონ შეკრება ან მანიფესტაცია. ... ვინაიდან გაფრთხილების არმიღების ინსტიტუტი თავისთავად კონსტიტუციის საწინააღმდეგოა, ბუნებრივია, არა აქვს მნიშვნელობა, რა საფუძვლით ხდება გაფრთხილების არმიღება. რადგან ნებისმიერ შემთხვევაში ხელისუფლებას ასეთი კონსტიტუციური უფლებამოსილება არ გააჩნია.⁹⁵⁰

7.2. ლეგიტიმური მიზნები

სასამართლო პრაქტიკის საწყის ეტაპზე არსებობდა მოსარჩელეთა მოსაზრებები, რომ 25-ე მუხლით დაცული უფლება აბსოლუტური ხასიათისაა, მაგრამ სასამართლომ უარყო ეს შეხედულება. „სასამართლო ვერ დაეთანხმება ... მოსაზრებას იმის შესახებ, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც აბსოლუტური, ანუ შეუზღუდავი.“⁹⁵¹ შესაბამისად, კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცული უფლება შეზღუდვას ექვემდებარება. საკონსტიტუციო სასამართლოს მიაჩნია, რომ „მიუხედავად თავისი მნიშვნელობისა, შეკრების თავისუფლება არ არის გარანტირებული შეზღუდვების გარეშე.“⁹⁵² ეს განპირობებულია უფლების პოტენციით შევიდეს კონფლიქტში გარემომცველ ინსტიტუტებთან. „კონსტიტუციის 25-ე მუხლი ანგარიშს უწევს იმ გარემოებებს, რომ შეკრების თავისუფლების განხორციელებისათვის, გარე სამყაროსთან შეხების გამო, განსაკუთრებული, სახელდობრ, ორგანიზაციული და პროცესუალურ-სამართლებრივი რეგულირების საჭიროება არსებობს, რათა ერთი მხრივ

⁹⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.82;

⁹⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბერის #2/2/180-183 გადაწყვეტილება, 3.6;

⁹⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბერის #2/2/180-183 გადაწყვეტილება, 3.10;

⁹⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბერის #2/2/180-183 გადაწყვეტილება, 3.6;

თავისუფლების განხორციელების რეალური წინა პირობები შეიქმნას, ხოლო მეორე მხრივ, სხვათა ინტერესები იქნეს დაცული. კანონმდებელს უფლება აქვს, შეზღუდოს შეკრების თავისუფლების განხორციელება მხოლოდ სხვა თანაბარი ფასეულობის მქონე სამართლებრივი სიკეთეების დასაცავად და პროპორციულობის პრინციპის მკაცრი გათვალისწინებით. შეკრების თავისუფლების სფეროში თავისუფლების შემზღუდავი ჩარევის აუცილებლობა შეიძლება იქიდან გამომდინარეობდეს, რომ დემონსტრანტი ამ უფლების განხორციელებისას მესამე პირთა ინტერესებს აყენებს ზიანს.” ამრიგად, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება იზღუდება მაშინ, როდესაც მნიშვნელობა ენიჭება შეზღუდვის საფუძვლებსა და მიზეზებს.

უფლების შეზღუდვაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია, შეზღუდვა მოხდეს ლეგიტიმური მიზნების შესაბამისად.⁹⁵³ ამავედროულად, მან განაცხადა, რომ „მიზნის ლეგიტიმურად მიჩნევისათვის იგი მიმართული უნდა იყოს კონსტიტუციური სიკეთის, მნიშვნელოვანი ინტერესის დაცვისაკენ.”⁹⁵⁴

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს შეზღუდვის ორი შემთხვევა: 1) როდესაც შეზღუდვა ეხება ფორმალურ მხარეს (ადგილი, გეზი და ა.შ.) და 2) როდესაც შეზღუდვა ეხება შინაარსობრივ მხარეს „ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ შინაარსობრივი შეზღუდვის დაწესებისას სახელმწიფოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები მკვეთრად შეზღუდულია. ... შინაარსობრივი ხასიათის შეზღუდვა, კონსტიტუციის 24-ე მუხლით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევის თანაზომად საშუალებას უნდა წარმოადგენდეს.”⁹⁵⁵ ამისგან განსხვავებით, „ხელისუფლება შედარებით ფართო დისკრეციით სარგებლობს, როდესაც ის უფლების შეზღუდვის, მისი რეგულირების ფორმალურ საფუძვლებს არ სცდება და შინაარსობრივად ნეიტრალურ ნორმებს ადგენს. ფორმალური ხასიათის შეზღუდვების დაწესების შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ მარეგულირებელი ნორმები არ იყოს აშკარად არაგონივრული, შესასრულებლად მძიმე და არსებითად აზრს არ უკარგავდეს კონსტიტუციით აღიარებული უფლებების რეალიზაციას. ამავე დროს, კონსტიტუციური უფლების მარეგულირებელი, შინაარსობრივად ნეიტრალური ნორმების დადგენა ასევე კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების უზრუნველსაყოფად არის დასაშვები.”⁹⁵⁶

ასე რომ, „...სახელმწიფოს მხრიდან კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევის ინტენსივობა, შეზღუდვების სიმკაცრე დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ფორმით და რა მიზნით ხორციელდება ქმედება. ...”⁹⁵⁷

რა იგულისხმება საჯარო მიზნებში, რომლთა მიხედვითაც შეზღუდვა

⁹⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბერის #2/2/180-183 გადაწყვეტილება, პ.5;

⁹⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.132;

⁹⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.28;

⁹⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.29;

⁹⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.31;

შესაძლებელია? აი ეს გახლავთ ერთ-ერთი მთავარი კითხვა, რომელიც შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებასთან მიმართებით შეიძლება არსებობდეს. 25-ე მუხლის მე-3 პუნქტში საუბარია უფლების შეზღუდვაზე, თუმცა რა მიზნით, ნახსენები არ არის, „...იმავე მუხლის მე-3 პუნქტით კონსტიტუცია ხელისუფლებას ანიჭებს უფლებამოსილებას, ჩაერიოს შეკრების ან მანიფესტაციის უფლების განხორციელებაში, თუ მან „კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო“. აღნიშნული მუხლი თითქოს არაფერს ამბობს იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს კანონი, რომელიც ამ უფლების შეზღუდვის საფუძვლად შეიძლება იქნეს გამოყენებული, სად გაივლის ხელისუფლების დისკრეციის ზღვარი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების დადგენისას.“⁹⁵⁸

სწორედ ამიტომ, სასამართლოს მიხედვით, შეკრება-მანიფესტაციის უფლების შეზღუდვისთვის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი უნდა გამოვიყენოთ. „უნდა აღინიშნოს, რომ 25-ე მუხლი არ იძლევა შეკრების თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნების ჩამონათვალს, როგორც ეს გათვალისწინებულია 24-ე მუხლით გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის მართლზომიერების შეფასებისთვის. თუმცა ვინაიდან კონსტიტუციის 24-ე მუხლი შეკრების (მანიფესტაციის) ფორმით აზრის გამოხატვასაც მოიცავს, ამ ფარგლებში 24-ე და 25-ე მუხლებით დაცული უფლებების შინაარსი და მათი შეზღუდვის საფუძველი იდენტური შეიძლება იყოს. შესაბამისად, შეკრების (მანიფესტაციის) უფლების შემზღუდველი ნორმების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი კონსტიტუციის 24-ე მუხლით დაწესებული სტანდარტით შეიძლება შეფასდეს.“⁹⁵⁹

მთავარი ლოგიკა, როგორც გამოჩნდა, 25-ე მუხლის 24-ესთან შინაარსობრივი ბმაა. გამოხატვის ერთ-ერთი ფორმას ხომ შეკრება და მანიფესტაცია წარმოადგენს. სწორედ ამ შინაარსით არის კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცული უფლება ინსტრუმენტული და ასეთ შემთხვევაში შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შეზღუდვის საფუძვლები შეიძლება იყოს იდენტური იმ უფლების შეზღუდვის საფუძვლებისა, რომლის რეალიზებასაც, ანუ 24-ე მუხლს, ის ემსახურება.⁹⁶⁰

მას შემდეგ, რაც ლეგიტიმური მიზანი დასახელდება, სასამართლომ უნდა შეაფასოს, „[1] არის თუ არა კანონმდებლის მიერ შერჩეული შეზღუდვა ლეგიტიმური მიზნის თანაზომადი, [2] ადგენენ თუ არა სადავო ნორმები გონივრულ ბალანსს შეკრების (მანიფესტაციის) უფლებასა და [იმ მიზანს შორის] რომელთა დასაცავადაც სადავო ნორმა იქნა მიღებული.“⁹⁶¹

სადავო ნორმის ამგვარი შეფასებისთვის კი აუცილებელია, გაირკვეს „... რეგულაციის არსი, განისაზღვროს უფლების ის ასპექტი, რომლის

⁹⁵⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.27;

⁹⁵⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.5.27;

⁹⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.4.28;

⁹⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.32;

შეზღუდვისკენ არის მიმართული ნორმა.”⁹⁶²

სასამართლოს პრაქტიკიდან შეიძლება რამდენიმე მაგალითის მოყვანა, როდესაც სასამართლომ თითოეულ ამ მიზანთან მიმართებით შეზღუდვის ლეგიტიმურობაზე იმსჯელა.

7.3. სხვათა უფლებები, წესრიგი, უსაფრთხოება, უშიშროება და დანაშაულის თავიდან აცილება

სხვათა უფლებების დაცვის მიზნით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობა 24-ე მუხლის მე-4 პუნქტშია მითითებული.⁹⁶³ ამავდროულად, მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ აღნიშნული უფლება ექსპრესიის მაღალი ხარისხით ხასიათდება, რაც სხვათა უფლებებთან კონფლიქტის მომეტებულ ალბათობას წარმოშობს.⁹⁶⁴ „პროტესტის გამოხატვის ლეგიტიმური უფლების რეალიზაციისას, მანიფესტაციის ორგანიზატორების და მონაწილეების უფლება ბუნებრივად უპირისპირდება სხვათა უფლებებს, მათ შორის, უფლებას თავისუფალ გადაადგილებაზე, პროფესიული საქმიანობის განხორციელებაზე, რომელიც საგზაო მოძრაობის შეფერხებით შეიძლება შეიზღუდოს. ასეთი კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო უფლებამოსილი და ვალდებულიცაა, რომ ჩაერიოს, თუმცა ასეთი ჩარევა უნდა იყოს გონივრული და მიზნის პროპორციული. გარდა ამისა, უფლებათა შორის ბალანსის დაცვის მიზნით კანონმდებელი უნდა ხელმძღვანელობდეს მკაფიო კრიტერიუმებით.”⁹⁶⁵

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ჩარევის გონივრულობა, პროპორციულობა და მკაფიოობა.

სასამართლომ დაადგინა ამგვარი კონფლიქტის გადაჭრის „გონივრულობის” სტანდარტი, „კანონმდებლის მიერ შერჩეული რეგულაცია გონივრულია, როდესაც მისი ქმედება კოლიზიური უფლებების თანაარსებობის, თანარეალიზაციის უზრუნველყოფას, უფლებებს შორის გონივრული ბალანსის დადგენას ისახავს მიზნად. ამავე დროს, როდესაც უფლებებს შორის კონფლიქტის თავიდან აცილება შეუძლებელია და კოლიზიის გადაჭრის მიზნით ხელისუფლების მიერ კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვა გარდაუვალი ხდება, უფლების შეზღუდვის ყველაზე ნაკლებად მკაცრი ფორმა უნდა იქნეს გამოყენებული.”⁹⁶⁶

მაგალითად, „შეკრების (მანიფესტაციის) მშვიდობიანი ხასიათის უზრუნველყოფის მიზნით, კანონმდებელი უფლებამოსილია, დააწესოს გარკვეული შეზღუდვები. თუმცა თითოეული ასეთი შეზღუდვა, ბუნებრივია, შეფასებადი იქნება კონსტიტუციით დაცული უფლების ჭრილში, ხოლო

⁹⁶² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.6;

⁹⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.32,100;

⁹⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.26;

⁹⁶⁵ იქვე;

⁹⁶⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.32;

მისი არსებობა - გამართლებული, თუ ის მიზნის მიღწევის ადეკვატურ და თანაზომად საშუალებას წარმოადგენს. როდესაც შეკრების ორგანიზატორების განზრახვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებისკენ არის მიმართული და ასეთი ქმედების განხორციელების ალბათობა მაღალია, კანონმდებელი უფლებამოსილია, დააწესოს შეზღუდვა.⁹⁶⁷ „...ამავე დროს, რაც უფრო ინტენსიურად იჭრება შეკრების უფლება სხვათა უფლებებში, მით უფრო ფართოა შეკრების (მანიფესტაციის) პროცესში ხელისუფლების ჩარევის უფლებამოსილება.“⁹⁶⁸

ასეთივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც შეკრების (მანიფესტაციის) უფლების რეალიზება დაუპირისპირდება საგზაო მოძრაობის წესებს.⁹⁶⁹

სასამართლომ ასეთ შემთხვევებად მიიჩნია ადამიანის შეზღუდვა გადაკეტოს ტრანსპორტის სავალი ნაწილი იმ შემთხვევაში, როდესაც ამას შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა რაოდენობა არ ითხოვს, ისევე, როგორც დროებითი კონსტრუქციების აგების აკრძალვა.

სასამართლომ განაცხადა, რომ „მესამე პირთათვის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, შეკრების (მანიფესტაციის) უფლების რეალიზაციის თანმდევ შედეგს, მის გვერდით მოვლენას შეიძლება წარმოადგენდეს. [სადავო ნორმები] სწორედ ასეთი „თანმდევი“ ეფექტის საკანონმდებლო რეგულაციის, განსხვავებული უფლებების რეალიზაციის შედეგად გამოწვეული კონფლიქტის მოწესრიგებას ისახავს მიზნად. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ამ კონფლიქტის მოგვარებაში ხელისუფლების მიხედულების ფარგლები არ არის უსაზღვრო. ლეგიტიმური მიზნისა და ამ მიზნის მიღწევის საშუალების პროპორციულობის შეფასებისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სადავო ნორმები ასევე ადგენენ ხელისუფლების დისკრეციის ფარგლებს. იმ შემთხვევაში, როდესაც ტრანსპორტის სავალი ნაწილი შეკრებაში მონაწილეთა რაოდენობის შედეგად იკეტება, ხელისუფლება შეზღუდულია [სადავო ნორმით], მას არ აქვს უფლება, ჩაერიოს შეკრების და მანიფესტაციის მსვლელობაში საგზაო მოძრაობის აღდგენის მიზნით, ვინაიდან სადავო ნორმით შეკრებაში მონაწილეებს ქუჩის გადაკეტვის უფლება კანონით აქვთ მინიჭებული. სადავო ნორმით იკრძალება ქუჩის სავალი ნაწილის თვითნებური გადაკეტვა, მათ შორის, დროებითი კონსტრუქციებით, ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ან საგნებით. კანონით გათვალისწინებული ეს აკრძალვაც ნეიტრალური შინაარსისაა, ის მოქმედებს ყველა შემთხვევაში, როდესაც ქუჩის სავალი ნაწილის გადაკეტვა ადამიანთა მცირე ჯგუფის მიერ თვითნებურად ხდება (განურჩევლად იმისა, თუ რა მიზნით ან რომელი ჯგუფი ახდენს გადაკეტვას). შეკრებისა და მანიფესტაციის განხორციელების უფლება იზღუდება იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია სხვათა უფლებების უზრუნველსაყოფად.“⁹⁷⁰ მაგრამ თუ

⁹⁶⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.100,37;

⁹⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.37;

⁹⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.82;

⁹⁷⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.35,36;

„მანიფესტაციის განხორციელების შესაძლებლობა სხვათა უფლებების შეუღახავად და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გარეშე არის შესაძლებელი იმადგილას, სადაც მანიფესტაციის პროტესტის ან მხარდაჭერის ადრესატი იმყოფება, ხელისუფლება უფლებამოსილია, შეზღუდოს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება, თუ ის ქუჩის ბლოკირებაში, მის გადაკეტვაში გამოიხატება, რომელიც სხვათა უფლებების და თავისუფლებების დარღვევას იწვევს ან საზოგადოებრივ წესრიგს და უსაფრთხოებას უპირისპირდება.“⁹⁷¹

თუმცა სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ არც ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს შეწყდეს დაუყოვნებელი მანიფესტაცია. მართალია, „საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების, ასევე დანაშაულის თავიდან აცილება წარმოადგენს. სახელმწიფო უფლებამოსილია, დანაშაულის, სხვათა უფლებების დარღვევის პრევენციის მიზნით, ჩაერიოს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების რეალიზაციაში, როდესაც შეკრება კანონის მოთხოვნების დარღვევით მიმდინარეობს.“ თუმცა ეს ჩარევა აუცილებლად შეწყვეტას არ ნიშნავს.⁹⁷²

დროებითი კონსტრუქციებით, ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ან საგნებით გზის გადაკეტვის შემთხვევაში იგივე მიზნები დგება საფრთხის ქვეშ, რადგან „...რაც უფრო მრავალრიცხოვანია შეკრება ან მანიფესტაცია, მით უფრო მაღალია სამართალდარღვევის ჩადენის საფრთხე. თავისთავად, ასეთი საფრთხის არსებობა შეიძლება საკმარისი იყოს უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების მისაღებად. სწორედ ამიტომ, იმ შემთხვევაში, როდესაც ქუჩის სავალი ნაწილი შეკრებაში (მანიფესტაციაში) მონაწილეთა სიმრავლის გამო არის დაკავებული, ქუჩის დროებითი კონსტრუქციებით, ავტოსატრანსპორტო საშუალებებით და სხვა საგნებით ბლოკირებისა და გადაკეტვის უფლების შეზღუდვა გამართლებულია, რამდენადაც ეს სამართალდარღვევაზე დროული და ეფექტური რეაგირებისათვის, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემაფერხებელი გარემოება შეიძლება გახდეს.“⁹⁷³

ამავდროულად, საინტერესოა, როგორ უნდა შეფასდეს ადამიანთა „საკმარისი გარემოება“: შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეაფასებს შეკრების (მანიფესტაციის) კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობას. აღნიშნული დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება აუცილებლად უნდა იყოს მკაფიოდ დასაბუთებული ობიექტურ კრიტერიუმებზე მითითებით. „საკმარისი რაოდენობის“ შესაფასებლად უფლებამოსილი პირი აშკარა და თვალნათელი კრიტერიუმებით უნდა ხელმძღვანელობდეს. ხელისუფლების ორგანო უფლებამოსილია, ჩაერიოს შეკრების (მანიფესტაციის) მსვლელობაში, როდესაც თვალნათელია ჩანს, რომ შეკრებაში (მანიფესტაციაში) მონაწილეთა რაოდენობა აშკარად არასაკმარისია შერჩეულ ადგილას (პროტესტის ან სოლიდარობის სავარაუდო ადრესატის სიახლოვეს)

⁹⁷¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.39;

⁹⁷² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.105;

⁹⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.42;

შეკრების (მანიფესტაციის) გზის სავალი ნაწილის სრული ან ნაწილობრივი გადაკეტვის გარეშე განსახორციელებლად. ამავე დროს, დისკრეციული უფლებამოსილების ბოროტად ან აშკარად არაგონივრულად გამოყენებისაგან დაცვის საშუალებას სასამართლოსადმი მიმართვის უფლება წარმოადგენს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თვითმმართველობის წარმომადგენლის დისკრეციული გადაწყვეტილება სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს, სადაც უფლებამოსილ პირს შეზღუდვის მართლზომიერებისა და აუცილებლობის მტკიცების ტვირთი დაეკისრება. შესაბამისად, დისკრეციის ინსტიტუტი არ შეიძლება ჩაითვალოს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, როდესაც მისი მატერიალური შინაარსი არ განაპირობებს კონსტიტუციური უფლების დარღვევას. ასეთივე დისკრეციით ისარგებლებდა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი „გონივრული“ დროის განსაზღვრისათვის, რომელიც შეკრებაში (მანიფესტაციაში) მონაწილეებს გზის სავალი ნაწილის დასაკავებლად შეიძლება გამოეყოთ. შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილეთა უფლების შეზღუდვის კრიტერიუმად გარკვეული, გონივრული დროის გამოყენება კონსტიტუციურობის თვალსაზრისით ისეთივე საექვო შეიძლება იყოს, როგორც „მონაწილეთა რაოდენობა“. ⁹⁷⁴ ამრიგად, სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, უფლების შეზღუდვის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ამ შეზღუდვის ინიციატორს, ანუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს.

და ბოლოს, როდის აქვს უფლება სახელმწიფოს შეწყვიტოს შეკრება. სადავო ნორმებში ეწერა, რომ შეკრება ან მანიფესტაცია უნდა შეწყდეს დაუყოვნებლივ, ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენლის მოთხოვნისთანავე, თუ ის კანონსაწინააღმდეგო ხასიათს იღებს. „ბუნებრივია, რომ ხელისუფლება, მისთვის კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს, როდესაც კანონის დარღვევით მიმდინარე შეკრების მონაწილეებისაგან, შეკრების კანონთან შესაბამისობაში მოყვანას მოითხოვს ამავე დროს, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, სამართალდარღვევის სიმძიმის და იმ საფრთხის გათვალისწინებით, რომელსაც კანონსაწინააღმდეგო შეკრება საზოგადოებრივ წესრიგს უქმნის, ხელისუფლება უფლებამოსილია, შეზღუდოს შეკრების უფლების რეალიზება და აღადგინოს ტრანსპორტის მოძრაობა ან/და მოითხოვოს შეკრების დაუყოვნებლივი შეწყვეტა.“⁹⁷⁵ დაუყოვნებლივ შეწყვეტა, მხოლოდ ხელისუფლების ძალადობით შეცვლისკენ მოწოდების მასობრიობის დროს უნდა მოხდეს⁹⁷⁶

რაც შეეხება შეკრებაში (მანიფესტაციაში) მონაწილეთა მიერ გზის სავალი ნაწილის კანონის მოთხოვნათა უგულუბელყოფით დაკავებას ან ბლოკირებას, ამ შემთხვევაში განსხვავებულ რეგულირებასთან გვაქვს საქმე, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ფაქტი „... შეკრების კანონთან შესაბამისობაში მოყვანის და არა

⁹⁷⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.45;

⁹⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.47;

⁹⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.50;

დაუყოვნებლივ მისი შეწყვეტის საფუძველი უნდა გახდეს. საზოგადოებრივი წესრიგის, სხვათა (მათ შორის გადაადგილების) უფლებებსა და შეკრების (მანიფესტაციის) უფლებას შორის კონფლიქტის შემთხვევაში, ამ უკანასკნელს უპირატესობა უნდა მიენიჭოს, ვიდრე ეს უფლება ბოროტად სარგებლობის ტოლფასი არ გახდება.”⁹⁷⁷

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასაბუთებლად გამოდგება შემდეგი: „ხელისუფლების დისკრეცია შემოიფარგლება სხვათა უფლებების დაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების აღდგენის აუცილებლობით. ხელისუფლება უფლებამოსილია, ჩაერიოს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების რეალიზაციაში, როდესაც უფლებებს შორის არსებული კონფლიქტის გადაჭრის სხვა ნაკლებად მკაცრი საშუალება არ არსებობს ან, როდესაც ის უშედეგო აღმოჩნდება, ან აშკარაა, რომ ის არ იქნება ეფექტური. სადავო ნორმა კანონის დარღვევით მიმდინარე შეკრების (მანიფესტაციის) შეწყვეტას გაფრთხილების და კანონის მოთხოვნათა დაცვით გაგრძელების შესაძლებლობის მიცემის გარეშე ითვალისწინებს.”⁹⁷⁸

7.4. მკაცრი სასჯელი, როგორც უფლების შეზღუდვა

სასამართლოს მოუწია მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, თუ კონკრეტულ შემთხვევაში შეკრების მონაწილეთა მხრიდან აქციის გამართვის წესების დარღვევისთვის განსაზღვრული პასუხისმგებლობა რამდენად შეიძლება შეფასდეს კონსტიტუციასთან მიმართებით. სასამართლომ პირველ რიგში ამ საკითხებში სახელმწიფოს მაღალ შეფასების ზღვარზე გაამახვილა ყურადღება: „...ქმედების სამართალდარღვევად განსაზღვრა, სახდელის დაწესება და მისი სიმძიმის განსაზღვრა სახელმწიფოს (კანონმდებლის) ექსკლუზიური კომპეტენციას წარმოადგენს. კანონმდებელი უფლებამოსილია განსაზღვროს, თუ რა ურთიერთობასთან მიმართებით უნდა იქნეს გამოყენებული ესა თუ ის ადმინისტრაციული სახდელი და რამდენად ეფექტურად უზრუნველყოფს იგი იმ მიზნის მიღწევას, რაც კანონმდებელს სურს. ადმინისტრაციული სახდელის დაწესებისას კანონმდებლისთვის მინიჭებული თავისუფალი მოქმედების ფარგლები განპირობებულია იმ გარემოებით, რომ შეუძლებელია წინასწარ იმის განსაზღვრა, ყოველი კონკრეტული სამართალდამრღვევისთვის სახდელის რა მოცულობითა და ზომით შეფარდება იქნება ადეკვატური. შესაბამისად, კანონმდებლის მიერ დაწესებული ადმინისტრაციული სახდელის ფორმა, მისი სიმკაცრე საშუალებას აძლევს სამართალშემფარდებელს, დაიცვას სამართლიანი ბალანსი სამართალდამრღვევის უფლებების შეზღუდვასა და სხვათა უფლებების დაცვას შორის.”⁹⁷⁹

თუმცა სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ ეს თავისუფალი მიხედულების არე არ არის აბსოლუტური და შეუზღუდავი: „მიუხედავად იმისა,

⁹⁷⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.48;

⁹⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.49;

⁹⁷⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 10 ნოემბერის #4/482,483,487,502 საოქმო ჩანაწერი, II.3.8;

რომ ადმინისტრაციული სახდელის ზომის, მოცულობისა და სიმძიმის დადგენისას კანონმდებელი ფართო მიხედულობით სარგებლობს, მისი დისკრეციული უფლებამოსილება არ არის უსაზღვრო. კონკრეტული სახის ადმინისტრაციული სახდელის განსაზღვრისას, კანონმდებელი ვალდებულია, მოქმედებდეს პროპორციულობის პრინციპის დაცვით. კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელი არ უნდა იყოს აშკარად არაგონივრული და არაპროპორციული საშუალება კანონმდებლის მიერ დასახული მიზნის მიღწევისა და შესაბამისად, არ უნდა იწვევდეს პირის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას.⁹⁸⁰

ამდენად, მართალია არა ზოგადად, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში სასამართლომ შეიძლება განიხილოს ეს საკითხი. „მართალია, კანონმდებლის ძალისხმევა ყოველთვის მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ მან ადეკვატურად მიუსადაგოს თითოეული ადმინისტრაციული სახდელი იმ ქმედებას, რაც არღვევს სხვათა უფლებებს და ზიანს აყენებს საზოგადოებას, სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სახდელის ზომა შეფასების საგანი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება გახდეს.“⁹⁸¹

სასამართლომ განმარტა, რა შემთხვევაში დაუშვებს სარჩელს არსებითად განსახილველად: მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს, რომ „სახდელის კონკრეტული ზომა არის იმდენად მკაცრი, რომ ის კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევად შეიძლება დაკვალიფიცირდეს. საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში დაინახავს პირის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებასთან ადმინისტრაციული სახდელის მიმართებას, თუ ეს უკანასკნელი კანონმდებლის მიზნის მიღწევისა და კონსტიტუციური უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის აშკარად არაგონივრულ და არაპროპორციულ ზომას წარმოადგენს.“⁹⁸²

7.5. როდის არ არის პროპორციული ჩარევა

სასამართლომ, გარდა იმისა, რომ იმსჯელა უფლების რეალიზაციაში პროპორციულ ჩარევაზე, მან ასევე გაამახვილა ყურადღება იმ შემთხვევებზეც, რომელთა დროსაც ჩარევა არ არის გამართლებული და უფლება დარღვეულია.

სასამართლომ მიიჩნია, რომ „იმ შემთხვევაში, როდესაც შეკრებების ან მანიფესტაციის მონაწილეთ რაოდენობა სხვათა გადაადგილებას შეუძლებელს ხდის, სადავო ნორმების თანახმად, უპირატესობა კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცულ უფლებას ენიჭება, ვინაიდან სხვაგვარად შეკრების და მანიფესტაციის თავისუფლება ხელმიუწვდომელი იქნებოდა მრავალრიცხოვანი შეკრების მონაწილეთათვის, რომლებიც სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, იძულებული იქნებიან საერთოდ უარი თქვან შეკრების უფლების რეალიზებაზე. შესაბამისად, შეკრების (მანიფესტაციის) უფლებას უპირატესობა უნდა მიენიჭოს, თუ მისი რეალიზება სხვათა უფლებების შეზღუდვის გარეშე შეუძლებელია, როდესაც გზის სავალი

⁹⁸⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 10 ნოემბერის #4/482,483,487,502 საოქმო ჩანაწერი, II.3.8;

⁹⁸¹ იქვე;

⁹⁸² იქვე;

ნაწილის გადაკეცვა ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს.”⁹⁸³

სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნა ვერ გახდება შეკრების უფლებით სარგებლობის შეზღუდვის საფუძველი. „დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ კონსტიტუციით დაცულია კრიტიკული აზრი, მათ შორის ისეთიც, რომელსაც საზოგადოების ნაწილი შეიძლება ზედმეტად მკაცრად ან არადეკვატურად აღიქვამდეს. ხელისუფლების მიმართ გამოთქმული კრიტიკა, მათ შორის, ზოგადად ხელისუფლების, მისი კონკრეტული წევრის ან მმართველობის ფორმის შეცვლის მოთხოვნა ვერ გახდება გამოხატვის თავისუფლების, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შეზღუდვის საფუძველი. საპროტესტო აქციას, რომელზეც ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ხალხი იყრის თავს, ახასიათებს ხელისუფლების შეცვლის ან მის გადადგომასთან დაკავშირებული მოწოდებები. ამგვარი კრიტიკული განცხადებები არ წარმოადგენს სადავო ნორმის რეგულირების სფეროს. სადავო ნორმის რეგულირების სფეროს არც ის გამონათქვამები განეკუთვნება, რომლებიც ფორმალურად „დამხობისკენ მოწოდების“ სიტყვებს შეიცავენ, მაგრამ კონტექსტი, რომელშიც ეს სიტყვები იქნა წარმოთქმული, მათი ნამდვილი არსი და მიზანმიმართულება არ იძლევა კანონის დარღვევის დადგენის საფუძველს.“⁹⁸⁴

7.6. დაწესებულების, ადმინისტრაციული ორგანოს შესასვლელთან შეკრების (მანიფესტაციის) გამართვის ტერიტორიული შეზღუდვა

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული იყო შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარებაზე შეზღუდვა განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შესათვლელებიდან 20 მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე.

სადავო ნორმის მსგავსი შინაარსის ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი 2002 წელს გახდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი. საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეში, არ დააკმაყოფილა მოსარჩლეების მოთხოვნა და განაცხადა, რომ „სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმაში ჩამოთვლილი იყო ზუსტად ის ადგილები, სადაც შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება ხელს შეუშლიდა აღნიშნული „ობიექტების დანიშნულებისამებრ სრულფასოვნად ფუნქციონირებას“, რაც, თავის მხრივ, საზიანო იქნებოდა საჯარო უსაფრთხოების და წესრიგის დაცვისთვის.“⁹⁸⁵ სასამართლომ მიიჩნია, რომ „...კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს უფლება აქვს, შეკრება გარკვეული პირობების შესრულებას დაუკავშიროს, თუ შესამჩნევი გარემოების გამო, შეკრების ან მსვლელობის მიმდინარეობისას უშუალო საფრთხე ემუქრება საჯარო უსაფრთხოებას ან წესრიგს. საჯარო უსაფრთხოება კი მოიცავს ისეთი სამართლებრივი სიკეთეების დაცვას, როგორებიცაა: სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება, ღირსება,

⁹⁸³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.38;

⁹⁸⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.106;

⁹⁸⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.54;

საკუთრება და ქონება, ასევე მართლწესრიგისა და სახელმწიფო ორგანოთა ხელშეუხებლობა და როდესაც ამ დაცულ სიკეთეებს ხელყოფის საფრთხე ემუქრებათ, როგორც წესი, საფრთხე საჯარო უსაფრთხოებისათვის საშიშად მიიჩნევა. საჯარო წესრიგი კი წარმოადგენს დაუწერელი წესების ერთობლიობას, რომელთა შესრულება გაბატონებული სოციალური და ეთიკური შეხედულებების თანახმად, განსაზღვრულ ტერიტორიაზე ადამიანთა მოწესრიგებული თანაცხოვრების აუცილებელ წინა პირობად აღიქმება. სასამართლოს მიაჩნია, რომ ...გათვალისწინებულია ზუსტად ის ადგილები, სადაც შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება ხელს შეუშლის აღნიშნული ობიექტების დანიშნულებისამებრ სრულფასოვნად ფუნქციონირებას, რაც ზიანს მიაყენებს ზემოაღნიშნულ სიკეთეებს.”⁹⁸⁶

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ძველი მიდგომა გადასინჯვას ექვემდებარებოდა და უკვე 2010 წელს გააუქმა კანონის ეს დებულებები.

თავდაპირველ ეტაპზე სასამართლომ იმსჯელა საკითხზე, რამდენად არსებობდა ამ აკრძალვის ლეგიტიმური მიზანი და აღნიშნული შეზღუდვა წარმოადგენდა თუ არა ამ მიზნის თანაზომად საშუალებას. სასამართლომ მიუთითა, რომ „ექვს არ იწვევს ის გარემოება, რომ საჯარო დაწესებულების გამართული ფუნქციონირება საზოგადოების ინტერესებში შედის. [სადავო ნორმა] ჩამოთვლის დაწესებულებებს, რომლებიც მნიშვნელოვან სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ფუნქციებს ასრულებენ, მათი ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფა სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ამდენად, უფლების შეზღუდვის კონსტიტუციით გათვალისწინებულ ლეგიტიმურ მიზნებს წარმოადგენს.”⁹⁸⁷ აქედან გამომდინარე, იმ დაწესებულებების ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფა, რომლებიც მნიშვნელოვან სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ფუნქციებს ასრულებენ და რომლებიც საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, წარმოადგენს ლეგიტიმურ მიზანს უფლების შეზღუდვისათვის.

სასამართლომ ისიც თქვა, რომ „მსგავსი შეზღუდვის არსებობა ზოგიერთ დაწესებულებასთან, მისი კომპეტენციისა და საქმიანობის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, შეიძლება გამართლებული იყოს, ზოგიერთთან კი არა.”⁹⁸⁸ თუმცა, ვინაიდან, ეს დავის საგანს არ წარმოადგენდა თითოეულთან მიმართებაში, სასამართლოს შეფასება არ გაუკეთებია. მაგრამ ზოგადად განაცხადა, რომ „შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარებაზე დადგენილი ტერიტორიული შეზღუდვის კონსტიტუციასთან შესაბამისობა, კონკრეტული ვითარების და დაწესებულების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, მისი ფუნქციური დანიშნულებისა და მის სიახლოვეს შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარებით გამოწვეული საფრთხის შეფასების საფუძველზე განისაზღვრება.”⁹⁸⁹

⁹⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბერის #2/2/180-183 გადაწყვეტილება, პ.7;

⁹⁸⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.55;

⁹⁸⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.56;

⁹⁸⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.56;

სწორედ ამიტომ, ზემოაღნიშნული წესის არაკონსტიტუციურად ცნობა, სასამართლოს მიხედვით, „...არ გამორიცხავს კანონმდებლის უფლებამოსილებას, დაწესებულების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, მისი ფუნქციური დანიშნულების, სპეციფიკის ან/და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით განსაზღვროს შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარების შესაფერისი ადგილი ისე, რომ კონსტიტუციური უფლების არსი არ იყოს უგულვებელყოფილი. კანონმდებელი ასევე უფლებამოსილია, დააწესოს შეზღუდვები გამოხატვის თავისუფლების, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების განხორციელებაზე ისეთ შენობებთან ან ტერიტორიაზე, რომელიც დაცვის და უსაფრთხოების განსაკუთრებულ ზომებს საჭიროებს. გამონაკლის შემთხვევაში, შეზღუდვის არსებობა შეიძლება გამართლებული იყოს მაშინაც, თუ შეზღუდვა მანიფესტაციისა და შეკრების ჩატარებას კონკრეტულ ტერიტორიაზე პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის.”⁹⁹⁰ „... კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს უფლება აქვს, შეკრება გარკვეული პირობების შესრულებას დაუკავშიროს, თუ შესაძლებელი გარემოების გამო, შეკრების ან მსვლელობის მიმდინარეობისას უშუალო საფრთხე ემუქრება საჯარო უსაფრთხოებას ან წესრიგს...”⁹⁹¹

სასამართლომ მხოლოდ ბლანკეტურ აკრძალვაზე გაამხვილა ყურადღება და წინდაწინვე განაცხადა, რომ მსჯელობა აგებულია იმ შემთხვევის შესაბამისად, როცა „სადავო ნორმით დაწესებული შეზღუდვა იმ შემთხვევაშიც მოქმედებს, როდესაც შეკრება (მანიფესტაცია) ადმინისტრაციული ორგანოების და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი დაწესებულებების გამართულ ფუნქციონირებას საფრთხეს არ უქმნის,”⁹⁹² ანუ სასამართლომ თავიდანვე გამორიცხა ბლოკირების შესაძლებლობა.

სასამართლომ ამგვარი აკრძალვის არაკონსტიტუციურობა შემდეგნაირად დაასაბუთა, „...სადავო ნორმებით დადგენილი შეზღუდვის პირობებში, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ლანდშაფტის, ადმინისტრაციული ორგანოებისა და დაწესებულებების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების რეალიზება, ზოგიერთ შემთხვევაში, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება. დაწესებულებები ერთმანეთთან ისე მჭიდროდ შეიძლება იყოს განლაგებული, რომ მათი შესასვლელებიდან ოცი მეტრის რადიუსები ერთმანეთს კვეთდეს. კანონით ასევე აკრძალულია ტრანსპორტის სავალი ნაწილის დაკავება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას შეკრებაში ან მანიფესტაციაში მონაწილეთა რაოდენობა მოითხოვს. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად ამცირებს შეკრების უფლების განხორციელებისათვის ნებადართულ საჯარო სივრცეს, რიგ შემთხვევებში კი საერთოდ გამორიცხავს შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარების შესაძლებლობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმა იმაზე მეტად ზღუდავს ადამიანის უფლებას, ვიდრე ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არის საჭირო.”⁹⁹³

⁹⁹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.59;

⁹⁹¹ საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბრის #2/2/180-183 გადაწყვეტილება, პ.7;

⁹⁹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.57;

⁹⁹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.58;

სასამართლომ ცალკე იმსჯელა შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარების აკრძალვასთან მიმართებით საერთო სასამართლოს შენობიდან 20 მეტრის რადიუსში. აქაც თავდაპირველად ლეგიტიმური საჯარო მიზანი განსაზღვრა, და ამ მიზნად სასამართლოს შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა, ზეწოლისაგან მისი დაცვა, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა მიიჩნია.⁹⁹⁴ „... თუმცა მოცემულ შემთხვევაშიც, სადავო ნორმით დაწესებული შეზღუდვა მიზნის მიღწევის არაპროპორციულად მკაცრ საშუალებას წარმოადგენს. ასე მაგალითად, სასამართლოს შენობის სიახლოვეს მიმდინარე მდუმარე ან/და მცირერიცხოვანი შეკრება შეიძლება უვნებელი იყოს, დაწესებულების გამართული მუშაობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდეს. სასამართლოს სიახლოვეს საკუთარი აზრის გამოხატვის, შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარების უფლება გარანტირებული უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ უფლების რეალიზაცია სასამართლოს შეუფერხებელ მუშაობას უშლის ხელს. უფლების შეზღუდვა ასევე სასამართლოში მიმდინარე პროცესის უსაფრთხოების მოთხოვნებით შეიძლება იყოს გამართლებული.“⁹⁹⁵

გადაწყვეტილებაში ასევე აღნიშნულია, რომ „შეუძლებელია წინასწარ იმის განსაზღვრა, თუ რა დისტანცია უნდა იყოს დაცული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. სხვადასხვა დროს, შეკრებისა თუ მანიფესტაციის ხასიათის, მისი რიცხოვნობისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ეს მანძილი განსხვავებული შეიძლება იყოს. შეკრება (მანიფესტაცია) შეიძლება შეზღუდვას დაექვემდებაროს, თუ ის არსებითად აფერხებს სასამართლო პროცესს, ხელს უშლის სასამართლოს (ან სხვა დაწესებულების) საქმიანობას, მიუხედავად იმისა, იმართება ის 20 მეტრის რადიუსის ფარგლებში თუ არა. ამავე დროს, ტერიტორიული შეზღუდვის დაწესება არ არის გამართლებული, თუ უფლების რეალიზების შესაძლებლობა იმ შემთხვევაშიც გამოირიცხება, როდესაც შეკრება (მანიფესტაცია) საზოგადოებრივი წესრიგის ან სხვათა უფლებების დარღვევის საფრთხეს არ წარმოშობს.“⁹⁹⁶

მიუხედავად ზემოთქმულისა, გადაწყვეტილების მიხედვით განხილულია, კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც ბლანკეტური შეზღუდვაც კი დასაშვებია, „ხელისუფლების დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები განსაკუთრებულად ფართოა, როდესაც უფლებაში ჩარევა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ერთადერთი საშუალებაა. ამ მიზნით ზოგიერთი ტიპის დაწესებულების სიახლოვეს ბლანკეტური აკრძალვის დადგენა გამართლებული შეიძლება იყოს.“⁹⁹⁷ სასამართლომ მაგალითებიც კი მოიხმო. „გარკვეული რადიუსით შეკრებებისა და მანიფესტაციის ჩატარებაზე შეზღუდვის დაწესება სადავო ნორმაში ჩამოთვლილ ზოგიერთ ისეთ დაწესებულებასთან, როგორცაა სამხედრო ნაწილი, პოლიციის წინასწარი დაკავების საკნები ან პენიტენციალური დაწესებულება, შესაძლოა გამართლებული იყოს, მიუხედავად იმისა, რომ ის შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარებას პროტესტის ადრესატთან

⁹⁹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.60;

⁹⁹⁵ იქვე;

⁹⁹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.59;

⁹⁹⁷ იქვე;

ფაქტობრივად შეუძლებელს გახდის.”⁹⁹⁸

7.7. შეკრების და მანიფესტაციის ჩატარების აკრძალვა მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას

კიდევ ერთი აკრძალვა შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარებაზე გასაზღვრულია მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას, ასევე სასამართლოს შენობაში ან/და მისგან (სასამართლოს შენობიდან) 20 მეტრის რადიუსში.

სასამართლომ აქაც იგივე ტესტი გამოიყენა, მან პირველ რიგში შეაფასა ლეგიტიმური საჯარო მიზნის საკითხი, ხოლო შემდეგ ის შეზღუდვის დაწესება ემსახურება თუ არა ლეგიტიმურ მიზანს და არის თუ არა ამ მიზნის მიღწევის თანაზომადი საშუალება.⁹⁹⁹

ლეგიტიმურ მიზნად ამ შემთხვევაში სასამართლომ სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის, მოსამართლის პირადი ცხოვრების დაცვის¹⁰⁰⁰ უზრუნველყოფა მიიჩნია, რომელიც 24-ე მუხლის მიხედვით შეიძლება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი გახდეს.¹⁰⁰¹ „... მოცემულ შემთხვევაში, სადავო ნორმით გათვალისწინებული შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შეზღუდვა მართლმსაჯულების ინტერესების, სასამართლოს დამოუკიდებლობის, მოსამართლის ზემოქმედებისაგან დაცვის ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება. მოსამართლის დამოუკიდებლობა, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, მასზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, მის პროფესიულ საქმიანობაში ან/და პირად ცხოვრებაში ჩაურევლობასაც გულისხმობს. მოსამართლე თანაბრად დისტანცირებული და დაცული უნდა იყოს როგორც ხელისუფლების, ასევე სხვადასხვა საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ჯგუფებისა ან/და პიროვნული ინტერესებისაგან.”¹⁰⁰² აქვე აღსანიშნავია, რომ ეს არ მოიცავს „...პროფესიული საქმიანობის ან სასამართლო გადაწყვეტილების კრიტიკის აკრძალვას. საკონსტიტუციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასამართლოს საქმიანობის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, მათ შორის, სასამართლოს სიახლოვეს შეკრებების (მანიფესტაციების) გზით, ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა.”¹⁰⁰³ მართალია მოსამართლეს თმენის ვალდებულება გააჩნია მაგრამ არა იმ დონის როგორც საჯარო პირს, ამდენად „...შეზღუდვა დასაშვებია, როდესაც მოსამართლის პროფესიული საქმიანობის კრიტიკა, მასზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, მის პირად ცხოვრებაში გაუმართლებლად იჭრება.”¹⁰⁰⁴

⁹⁹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.59;

⁹⁹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.65;

¹⁰⁰⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.68;

¹⁰⁰¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.66;

¹⁰⁰² იქვე;

¹⁰⁰³ იქვე;

¹⁰⁰⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.67;

ეს დასკვნა სასამართლომ შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარებისას საცხოვრებელი ადგილის მიმდებარე ტერიტორიის შერჩევის მიზანს დაუკავშირა, აღნიშნული მიზანი მოსამართლის, როგორც პროტესტის ან სოლიდარობის ადრესატის, კერძო სფეროსთან მაქსიმალური მიახლოება იყო.¹⁰⁰⁵ სასამართლომ მიიჩნია, რომ „გამოხატვის ეს ფორმა მის ადრესატს არჩევანის თავისუფლებას არ უტოვებს, ის მოსამართლის კერძო სფეროში, მასზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, დაუბრკოლებლად და გაუმართლებლად იჭრება. ეს ფაქტორი განასხვავებს საცხოვრებელ სახლთან შეკრებას (მანიფესტაციას), მაგალითად, მასმედიით აზრის (კრიტიკის ან სოლიდარობის) გამოხატვისაგან.“¹⁰⁰⁶

სასამართლომ ასევე განმარტა მოსამართლის „საცხოვრებელი ადგილის“, როგორც ტერმინის მნიშვნელობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დაიშვება აქცია, რომელიც მოსამართლის საცხოვრებელი სახლის ან სადგომის უშუალო სიახლოვეს ხორციელდება. „...სადავო ნორმით დაწესებული აკრძალვა ისეთ შემთხვევებს უკავშირდება, როდესაც შეკრების (მანიფესტაციის) მოსამართლის საცხოვრებელ სახლთან ჩატარება, მის კერძო ცხოვრებაში, მის პირად სივრცეში ჩარევას უთანაბრდება.“¹⁰⁰⁷

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ „მოსამართლის საცხოვრებელ სახლთან შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარება მხოლოდ იმ შემთხვევაში იკრძალება, როდესაც შეკრების ადრესატი მოსამართლეა.“¹⁰⁰⁸ კანონის მიხედვით, თუ აქცია, უბრალო დამთხვევის წყალობით მოსამართლის საცხოვრებელი ადგილის სიახლოვეს გაიმართა და მოსამართლე მისი ადრესატი არ არის, მაშინ ეს აკრძალვა არ მოქმედებს.

7.8. ტრანსპორტის ჯგუფური მოძრაობის აკრძალვა, თუ ის სრულად იკავებს გზის სავალი ნაწილს

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის განხილვის საგანი გახდა სატრანსპორტო საშუალებების მიერ გამოხატვის მიზნით სამოძრაოდ განკუთვნილი ყველა სამოძრაო ზოლის დაკავება.

პირველ რიგში სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ შემთხვევებს, რომელზეც სადავო ნორმა არ ვრცელდება – როდესაც „...ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეთა მიერ გზის სავალი ნაწილი სრულად დაკავებული არ არის, ის არც იმ შემთხვევებს უკავშირდება, როდესაც შეკრებაში (მანიფესტაციაში) მონაწილეობის მიღების მსურველნი დანიშნულების ადგილას მათთვის სასურველი და ხელსაყრელი საშუალებით ინდივიდუალურად მიდიან. შეზღუდვა მხოლოდ ისეთ შემთხვევებზე ვრცელდება, როდესაც ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მსვლელობა ჯგუფურ ხასიათს ატარებს. მიუხედავად იმისა, თუ სად მიემართებიან „ჯგუფურ მოძრაობაში“ მონაწილენი, ქმედების

¹⁰⁰⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.68;

¹⁰⁰⁶ იქვე;

¹⁰⁰⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.69;

¹⁰⁰⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.70;

ჯგუფური ხასიათი მას მანიფესტაციას, კოლექტიურ მსვლეობას უთანაბრებს და ამდენად ექვემდებარება რეგულირებას.¹⁰⁰⁹

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „სადავო ნორმა არც იმ შემთხვევებს უკავშირდება, როდესაც ავტოსატრანსპორტო საშუალებები, საგზაო მოძრაობის წესების დაცვით, დაშვებული სიჩქარის ლიმიტის ფარგლებში და უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით მოძრაობენ. გზის სავალი ნაწილი სრულად დაკავებული არ არის, თუ სატრანსპორტო საშუალებებს თავისუფალი გადაადგილების, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გარეშე მანევრირების შესაძლებლობა აქვთ. სადავო ნორმა ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მანიფესტაციის გამართვის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში ზღუდავს, თუ ის გზის სავალი ნაწილის სრულ დაკავებას ან/და მის ფაქტობრივ ბლოკირებას იწვევს. გზის სავალი ნაწილის პარალიზებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი უწყესრიგობა, ადამიანთა ნორმალური ცხოვრების, მათი საქმიანობის ხელშეშლა გამოიწვიოს. მოძრავი ავტოკოლონა, სადავო ნორმით დადგენილ შეზღუდვას იმ შემთხვევაში დაექვემდებარება, როდესაც ის (პროტესტის ან სოლიდარობის) გამოხატვის მიზნით, გზის სავალ ნაწილზე განზრახ დაბალი სიჩქარით ან სავალი ნაწილის სხვადასხვა ზოლში თანაბარი სიჩქარით მოძრაობას განახორციელებს, რაც სხვა სატრანსპორტო საშუალებების შეუფერხებელ გადაადგილებას შეუძლებელს გახდის, გზის გამტარიანობას შეამცირებს და სავალ ნაწილს სატრანსპორტო მოძრაობის სხვა მონაწილეთათვის ხელმიუწვდომელს გახდის. შესაბამისად, ორგანიზებულად ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეთა მიერ გზის სავალი ნაწილის სრულად დაკავება თავისი ბუნებითა და შედეგით გზის ბლოკირებას უთანაბრდება. [სადავო ნორმა] არ გამორიცხავს ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მანიფესტაციის შესაძლებლობას, როდესაც ის საგზაო მოძრაობის წესების დაცვით, გზის სავალი ნაწილის ბლოკირების, საგზაო მოძრაობის პარალიზების გარეშე ხორციელდება.“¹⁰¹⁰

საკონსტიტუციო სასამართლომ აქაც უპირველესი მნიშვნელობა ლეგიტიმურ მიზანს მიანიჭა და მიუთითა, რომ ეს მიზანია სხვათა გადაადგილების თავისუფლებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.¹⁰¹¹ სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ „სადავო ნორმა ლეგიტიმური მიზნის მიღწევას ემსახურება. ასევე ამკარაა, რომ ხელისუფლება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს, როდესაც საგზაო მოძრაობის გადაკეტვას, მის სრულ ბლოკირებას კრძალავს.“¹⁰¹²

აღნიშნული ნორმის კონსტიტუციურობაზე მსჯელობისას სასამართლომ აღნიშნა, რომ „შეკრების (მანიფესტაციის) უფლების რეალიზაციისას თითოეული ინდივიდის თავისუფლების ფარგლები შეზღუდულია სხვათა უფლებებით, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და უშიშროების დაცვის

¹⁰⁰⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.76;

¹⁰¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.77;

¹⁰¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.78;

¹⁰¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.79;

საჭიროებით. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მრავალრიცხოვანი შეკრება (მანიფესტაცია) საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისა და სხვათა უფლებების შეზღუდვის გარეშე შეიძლება ვერ განხორციელდეს. სწორედ ამიტომ, ... საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, შეკრებაში (მანიფესტაციაში) მონაწილეებს გზის სავალ ნაწილზე შეკრების უფლებას ანიჭებს. შესაბამისად, კანონი საგზაო მოძრაობის წესების მოქმედების შეჩერებას იწვევს, როდესაც გზის სავალი ნაწილის დაკავება შეკრებაში (მანიფესტაციაში) მონაწილეთა რაოდენობიდან გამომდინარეობს, ვინაიდან სხვაგვარად უფლების რეალიზება შეუძლებელი იქნება. კანონი, ერთი მხრივ, ადგენს შეკრების უფლების რეალიზების გარანტიას, მეორე მხრივ, ადგენს ბალანსს შეკრების უფლებასა და სხვათა უფლებების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აუცილებლობას შორის. ავტოსატრანსპორტო საშუალებებით შეკრების ან მანიფესტაციის შემთხვევაში (რასაც შეიძლება მოჰყვეს გზის სავალი ნაწილის გადაკეტვა ან ჯგუფური მოძრაობის შედეგად მისი სრული დაკავება) ბალანსის დაცვა შეუძლებელი ხდება. გარდა ამისა, გზის სავალი ნაწილის დაკავების შესაძლებლობა ავტოსატრანსპორტო ან ტექნიკური საშუალებების ფორმასა და ზომაზე იქნება დამოკიდებული. შესაბამისად, სხვათა უფლებების შეზღუდვაც ამ გარემოებების შედეგად მოხდება. ასეთ შემთხვევაში, შეკრების (მანიფესტაციის) უფლება ვერ იქნება თანაბრად ხელმისაწვდომი, ვერ იქნება უზრუნველყოფილი გონივრული ბალანსი სხვათა უფლებების, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობასა და შეკრების (მანიფესტაციის) უფლებას შორის. ამასთან ერთად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სატრანსპორტო და ტექნიკური საშუალებებით გზის სავალი ნაწილის გადაკეტვა ან/და დაკავება, საგანგებო ვითარებაში პოლიციის, სასწრაფო დახმარების ან სახანძრო მანქანის გადაადგილებას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის. მაშინ როდესაც ხალხმრავალი შეკრება (მანიფესტაცია) ტრანსპორტის გადაადგილების შესაძლებლობას აფერხებს, მაგრამ არ გამორიცხავს მას.”¹⁰¹³

ამის შემდეგ სასამართლომ ერთმანეთისგან გამიჯნა სატრანსპორტო საშუალებებით სიმრავლის გამო გზის სრულად დაკავების ლეგიტიმურობა და მისი განზრახ დაკავება, ისევე როგორც ეს ფიზიკური პირების შემთხვევაშია. „ავტომანქანების სიმრავლის მიუხედავად, გზის სავალი ნაწილის დაკავების შესაძლებლობა ვერ იქნება უზრუნველყოფილი ისევე, როგორც ეს შეკრებაში (მანიფესტაციაში) მონაწილე ფიზიკური პირების შემთხვევაში ხდება. კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცული უფლება არ გულისხმობს შეკრების და მანიფესტაციის მიზნით ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენების შეუზღუდავ თავისუფლებას.”¹⁰¹⁴

7.9. შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს ხელისუფლების მიერ შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტას, თუ მან

¹⁰¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.81;

¹⁰¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.80;

კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო. ეს ერთადერთი ვარიანტია როდესაც აქცია შეიძლება შეწყდეს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ აქციის შეწყვეტის შემთხვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს განხილული, როდესაც ქმედება განხორციელებულია. „შეწყვეტა ... შესაძლებელი ხდება მხოლოდ ქმედების განხორციელების შემდგომ. ჯერ უნდა დადასტურდეს, რომ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო და ამის შემდეგ არის შესაძლებელი, გამოყენებულ იქნეს შეწყვეტის საშუალებები.“¹⁰¹⁵

როგორ არის შესაძლებელი იმის გარკვევა, შეკრებამ მიიღო თუ არა კანონსაწინააღმდეგო ხასიათი: „ყველა კონკრეტულ შემთხვევაში სათანადო ორგანოების მხრიდან უნდა არსებობდეს საფრთხის პროგნოზი შესამჩნევი გარემოებებით, რაც უნდა ეყრდნობოდეს ფაქტებს, საქმის გარემოებებსა და სხვა დეტალებს. თუ გავითვალისწინებთ შეკრების თავისუფლების მნიშვნელობას, ეჭვი ან ვარაუდი არ უნდა იქნეს შეკრების ან მანიფესტაციის დაშლის საფუძველი. სახელმწიფო ორგანომ, განსაკუთრებით, პრევენციული აკრძალვის განხორციელებისას, არ უნდა გამოიყენოს საშიშროების პროგნოზის შეფასებისადმი ძალიან მსუბუქი კრიტერიუმები, მით უმეტეს, რომ მცდარი შეფასების შემთხვევაში, კვლავ რჩება მისი დაშლის მოგვიანებით განხორციელების შესაძლებლობა.“¹⁰¹⁶

სასამართლომ შემოიტანა კიდევ ერთი კრიტერიუმი, რომელიც სახელმწიფომ აქციის დაშლისას უნდა გამოიყენოს: „...ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილ უფლებებში ჩარევა არა მხოლოდ გარკვეული მიზნის მიღწევისათვის, არამედ დემოკრატიული საზოგადოებისათვისაც უნდა იყოს აუცილებელი. ამდენად, შეკრების აკრძალვა ან ძალისმიერი დაშლა არის უკიდურესი საშუალება მას შემდეგ, რაც სხვა ნაკლებად მკაცრი საშუალებების გამოყენებამ შედეგი ვერ გამოიღო.“¹⁰¹⁷

ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ ეს საკითხი არა ზოგადი, არამედ ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში მოცემულობისდა შესაბამისად გადასაწყვეტი საკითხია „...ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებების მართლწინააღმდეგობის შეფასება სასამართლომ უნდა მოახდინოს და არა ადგილობრივი მმართველობის ორგანოს წარმომადგენელმა ერთპიროვნულად. საკონსტიტუციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამგვარი მიდგომა არის დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებების ხარისხობრივად უფრო მაღალ დონეზე დაცვა.“¹⁰¹⁸

8. დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შეჯამება:

- შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებას სასამართლო

¹⁰¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბერის # 2/2/180-183 გადაწყვეტილება, პ.10;

¹⁰¹⁶ იქვე;

¹⁰¹⁷ იქვე

¹⁰¹⁸ იქვე;

დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელ და ძირითად ფუნქციონალურ ელემენტს უწოდებს;

- ყველას აქვს უფლება საჯაროდ, მშვიდობიანად და უიარალოდ, წინასწარი ნებართვის და შეთანხმების გარეშე გამოხატოს აზრი;
- შეკრება-მანიფესტაციის უფლება ინსტრუმენტული უფლებაა, რომელსაც ორი ასპექტი გააჩნია, რომელიც ერთმანეთისგან განუცალკევებადია. ერთი ეს არის ფორმა - შეკრება-მანიფესტაცია; მეორე, აზრი - რომლის გამოხატვისთვისაც გამოიყენება ფორმა;
- საკონსტიტუციო სასამართლოს არ გაუკეთებია ამომწურავი ჩამონათვალი იმისა, თუ, რა შეიძლება იყოს ეს მიზანი, თუმცა მიუთითა, რომ იგი უნდა ემსახურებოდეს აზრის გამოხატვას, რაც შეიძლება იყოს:
 - პროტესტი;
 - სოლიდარობა;
 - კონკრეტული მოთხოვნა;
 - სხვა.
- 25-ე მუხლით დაცულია არა მხოლოდ შეკრება მანიფესტაციაში მონაწილეობის, არამედ მისი დაგეგმვის და ორგანიზების უფლებაც;
- შეკრების თავისუფლება თავის თავში მოიცავს:
 - შეკრების გამართვის ადგილის არჩევის უფლებას;
 - შეკრების გამართვის დროის არჩევის უფლებას;
 - შეკრების ფორმის არჩევის უფლებას;
 - შეკრების შინაარსის არჩევის უფლებას.
- ვინაიდან უფლებით დაცული მშვიდობიანი შეკრების უფლება, ძალადობრივი აქცია იმთავითვე გამოირიცხება 25-ე მუხლის დაცული სფეროდან;
- ადამიანთა თავყრილობას (მსვლელობას), რომელიც მოკლებულია იდეას, არ ემსახურება აზრის, ინფორმაციის გაზიარებას ან გავრცელებას არაფერი აქვს საერთო კონსტიტუციით დაცულ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებასთან;
- კონსტიტუციით არ არის დაცული თავისთავად ქუჩის გადაკეტვის უფლება.
 - ასევე დროებითი კონსტრუქციების აგება ვერ ჩაითვლება კონსტიტუციით დაცულ ქმედებად;
 - სპონტანური შეკრების დროს ქუჩის გადაკეტვის უფლებას, მათ შორის რაოდენობიდან გამომდინარე საჭიროების დროს, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი არ იცავს.
- შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება კოლექტიური უფლებაა, თუმცა რეალიზდება ინდივიდუალურად;

- „კონსტიტუციური წყობილების დამხობა“ და „ძალადობრივი გზით შეცვლა“ საქართველოს კონსტიტუციით არ არის დაცული;
- ამავე დროს, ხელისუფლების „დამხობა“ არ უნდა იქნეს გაიგივებული ცვლილებებთან, რომელიც შესაძლოა მშვიდობიანი ხასიათის შეკრებებს ან მანიფესტაციებს მოჰყვეს შედეგად. მოქალაქეებს კონსტიტუციით აქვთ გარანტირებული უფლება, შეიკრიბონ და გამოხატონ საკუთარი ნება, დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ, რაც, თავის მხრივ, შეიძლება გავლენას ახდენდეს მიმდინარე პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ პროცესებზე;
- „სახელმწიფოს მხრიდან შეკრებისა და მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, როდესაც მოწოდებების შედეგად ძალადობის განხორციელების საფრთხე რეალურია.“ ამგვარად ეს ტესტი შემდეგი ნაწილებისგან შედგება:
 - უნდა არსებობდეს დანაშაულისკენ მოწოდების ფაქტი;
 - დანაშაულისკენ მოწოდება უნდა იყოს მასობრივი ხასიათის;
 - დანაშაულისკენ მოწოდებამ გავლენა უნდა მოახდინოს შეკრების მიმდინარეობაზე, მიზანსა და მოტივაციაზე. ასეთი ქმედების განხორციელების რეალური საფრთხე უნდა იყოს ერთდროულად:
 - აშკარა;
 - პირდაპირი;
 - არსებითი.
- იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანთა ქმედება იწვევს უსაფრთხოების და სხვათა უფლებების დარღვევის რეალურ საფრთხეს, სახელმწიფოს მხრიდან რეაგირების ვალდებულება ჩნდება;
- შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება არის გამოხატვის თავისუფლების *lex specialis*;
- გარკვეულ შემთხვევაში, შეკრების ორგანიზება, ისევე როგორც მისი ინიცირება და მასში მონაწილეობა, შეიძლება უკავშირდებოდეს პირის პოლიტიკურ საქმიანობას, ამ საქმიანობის ერთ-ერთი ელემენტი იყოს. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო უფლებამოსილია, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი შეზღუდოს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების რეალიზებისას;
- შეკრების (მანიფესტაციის) ორგანიზება, ყველა შემთხვევაში [არ] უკავშირდება პირის პოლიტიკურ საქმიანობას. საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირის საქმიანობა შესაძლებელია პოლიტიკური საქმიანობის კონტექსტში იქნეს განხილული, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული გარემოებებიდან, შეკრების (მანიფესტაციის) შინაარსიდან, ორგანიზატორებისა და ინიციატორების მიზნებიდან გამომდინარე, ამიტომ მათთვის შეკრება-მანიფესტაციის ორგანიზების ბლანკეტური აკრძალვა არაკონსტიტუციურია;
- შეკრება-მანიფესტაციით სარგებლობის უფლება იურიდიულ პირებსაც აქვთ;

- საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტში საუბარია იმ პირებზე რომელთაც არ აქვთ შეკრება-მანიფესტაციის თავისუფლებით სარგებლობის უფლება. ესენი არიან ის პირები რომლებიც მსახურობენ სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, გარდა ამისა ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ შეკრება-მანიფესტაციის უფლების სუბიექტებიდან პირთა გამორიცხვის კრიტერიუმები, i#ter alia, არის კონკრეტული უწყების შემადგელობაში მყოფი პირებისთვის ამ უწყების კომპეტენციები და ფუნქციები, ისევე როგორც მათი წინასწარი გაცნობიერებული მზაობა უფლების შეზღუდვის;
- შეკრება-მანიფესტაციის ინიცირების უფლება ერთ კერძო პირსაც აქვს;
- შეკრება-მანიფესტაციის უფლება აბსოლუტური არ არის და იზღუდება კონსტიტუციის შესაბამისად; თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს შეზღუდვის ორი შემთხვევა. 1) როდესაც შეზღუდვა ეხება ფორმალურ მხარეს (ადგილი, გეზი და ა.შ.); 2) როდესაც შეზღუდვა ეხება შინაარსობრივ მხარეს. ამასთანავე უნდას აღინიშნოს, რომ შინაარსობრივი შეზღუდვის დაწესებისას სახელმწიფოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები მკვეთრად შეზღუდულია. ხელისუფლება შედარებით ფართო დისკრეციით სარგებლობს, როდესაც ის უფლების შეზღუდვის, მისი რეგულირების ფორმალურ საფუძვლებს არ ცვდება და შინაარსობრივად ნეიტრალურ ნორმებს ადგენს;
- საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ხელისუფლება უფლებამოსილია, დააწესოს წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოდრაო ადგილას იმართება. აღნიშნული კონსტიტუციური ნორმა პირდაპირ არ ითხოვს წინასწარი გაფრთხილების დაწესებას, თუმცა ის საგანგებოდ და მკაფიოდ მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოს ასეთი უფლებამოსილება გააჩნია;
- პირველ რიგში მნიშვნელოვანია რა კრიტერიუმებით უნდა განისაზღვროს წინასწარი გაფრთხილების ვადა. ასეთ ვადად კანონის მიხედვით მიჩნეულია 5 დღე. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს არის ოპტიმალური ვარიანტი;
- სახელმწიფოს არ აქვს სანებართვო სისტემის დაწესების უფლება;
- სასამართლოს მიხედვით, შეკრება-მანიფესტაციის უფლების შეზღუდვისთვის კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის უნდა გამოვიყენოთ;
- სასამართლოს ასევე აქვს დადგენილი პრაქტიკა სხვადასხვა მიზნით უფლების შეზღუდვის შემთხვევებზე.

9. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 25-ე მუხლთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 10 ნოემბერის #4/482,483,487,502 საოქმო ჩანაწერი/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბერის # 2/2/180-183 გადაწყვეტილება/

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები _ ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება/

მუხლი 26

1. ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.
2. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.
3. დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.
4. დაუშვებელია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ შეიარაღებული ფორმირებების შექმნა.
5. პირი, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას.
6. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

(საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი #2494-სსმI, #1, 04.01.2006წ., მუხ.1)

შესავალი

1. გაერთიანების უფლების მნიშვნელობა
2. გაერთიანების თავისუფლების პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები
3. საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლების დაცული სფერო
 - 3.1. საზოგადოებრივი გაერთიანების კრიტერიუმები
 - 3.2. უფლების ფარგლები
 - 3.3. უფლების ნეგატიური ასპექტი
 - 3.4. საზოგადოებრივი გაერთიანება - ტერმინის შინაარსი
 - 3.5. იძულებითი წევრობა და ორგანიზაციული ფორმის მიზანშეწონილობა
 - 3.6. პროფკავშირები
4. საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლების სუბიექტები
5. პოლიტიკური გაერთიანების შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლების დაცული სფერო
6. პოლიტიკური გაერთიანების შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლების სუბიექტები
7. 26-ე მუხლის შეზღუდვის საფუძვლები
8. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა
9. 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი
10. დასკვნა
11. საქმეები, რომლების საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 26-ე მუხლთან მიმართებით განიხილა

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი ერთის მხრივ იცავს საზოგადოებრივ, ხოლო მეორეს მხრივ პოლიტიკურ გაერთიანებაში მონაწილეობის უფლებას. 26-ე მუხლი, მართალია, არ უთითებს ამის შესახებ, მაგრამ ის ასევე განამტკიცებს გაერთიანების ნეგატიურ უფლებას: არავის შეიძლება აიძულონ გაერთიანების წევრობა. კონსტიტუციის 26-ე მუხლის თავისებურება მისი კლასიკური ბუნების გარდა იმაშიც გამოიხატება, რომ ის უზრუნველყოფს პირის ინდივიდუალურ უფლებას, რომელიც მყარადაა დაკავშირებული კოლექტიურ უფლებასთან.

1. გაერთიანების უფლების მნიშვნელობა

კონსტიტუციაში მოყვანილ თითოეულ უფლებას თავისი მნიშვნელობა გააჩნია. ეს მნიშვნელობები განაპირობებენ უფლების დაცვის ხარისხს და მათ ადგილს კონსტიტუციურ სისტემაში. იგი სხვადასხვა მუხლთან მიმართებაში ამ მუხლის შინაარსის ადეკვატურია. 26-ე მუხლში ჩამოყალიბებული უფლება პირდაპირ უკავშირდება ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას. „ადამიანი, თავისი არსით, არა მხოლოდ თავისუფალი, არამედ სოციალური არსებაცაა, რომლის შინაგან მოთხოვნილებას წარმოადგენს ურთიერთობა სხვა ადამიანებთან. ადამიანის თავისუფლება არ არის თავისუფლება საზოგადოებისაგან, ეს არის თავისუფლება საზოგადოებაში, სადაც არსებობს და გადაიკვეთება მრავალი თანმხვედრი, თუ ურთიერთსაპირისპირო ინტერესი. გაერთიანების თავისუფლება უზრუნველყოფს ადამიანის თვითრეალიზაციას სხვა პირებთან, სოციალურ, საზოგადოებრივ ჯგუფებთან ერთად. ...”¹⁰¹⁹ „კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პირთა მიერ თავისუფალი სოციალური ჯგუფების შექმნისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა.”¹⁰²⁰ შესაბამისად, გაერთიანების უფლების მნიშვნელობა უპირველესად ადამიანის სამოქალაქო აქტივობის უზრუნველსაყოფად არის მოხსენებული კონსტიტუციაში. რასაც ადასტურებს კიდევ საკონსტიტუციო სასამართლოს კიდევ ერთი ჩანაწერი: „გაერთიანების თავისუფლებას დიდი დატვირთვა ენიჭება არა მხოლოდ ადამიანის ძირითადი უფლების გარანტიების, არამედ დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბების კუთხით. გაერთიანების თავისუფლებას მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს დემოკრატიულ საზოგადოებაში პირის ინტეგრირებისა და მისი სამოქალაქო პასუხისმგებლობის შეგნების ჩამოყალიბებისათვის.”¹⁰²¹

მაშასადამე, გამოდის, რომ ეს უფლება ერთი მხრივ უზრუნველყოფს

¹⁰¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ომარ ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.2;

¹⁰²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.4;

¹⁰²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.2;

ადამიანების პიროვნული ავტონომიის პირობებში საზოგადოებრივ გაერთიანებაში ჩართვას, ხოლო მეორე მხრივ დემოკრატიულ პროცესებს გარანტირებს.

2. გაერთიანების თავისუფლების პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები

გაერთიანების თავისუფლება მოიცავს პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტს, პირველი ადამიანების საკუთარი სურვილის შესაბამისად კონკრეტულ ორგანიზაციულ ერთობაში ჩართვას გულისხმობს და შეესაბამება საზოგადოებრივი ჯგუფების თავისუფლად ჩამოყალიბების, თავისუფალი ასოციაციის პრინციპს. მეორე კი იცავს პირს საზოგადოებრივ ორგანიზაციებში იძულებითი ჩართვისგან, რაც წარმოადგენს ტოტალიტარული სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი იძულებითი გაერთიანებების (თუნდაც მისი მონაწილეების დიდი ენთუზიაზმის ფონზე) საპირისპირო მოვლენას.¹⁰²² როგორც სასამართლომ აღნიშნა, „თავისი არსით, გაერთიანების თავისუფლება მრავალწახნაგოვანი ძირითადი უფლებაა. გარდა იმ პოზიტიური უფლებისა, ... მას აქვს დაცვითი ფუნქცია, რომლის შინაარსი მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, არ ჩაერიოს გაერთიანების თავისუფლებაში (სტატუს ნეგატივუს).“¹⁰²³

შიდლერა ითქვას, რომ გაერთიანების თავისუფლებას აქვს ორი მხარე, ერთის მიხედვით სახელმწიფომ ხელი არ უნდა შეუშალოს პირების გაერთიანებას, ხოლო მეორეს მიხედვით სახელმწიფომ თავს არ უნდა მოახვიოს პირებს რაიმე გაერთიანება.

3. საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლების დაცული სფერო

კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულია გაერთიანების თავისუფლება.¹⁰²⁴ აქვე აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი არაპოლიტიკური მიზნით შექმნილი გაერთიანებების საკითხებს არეგულირებს და ამით განსხვავდება 26-ე მუხლის მეორე პუნქტისგან.¹⁰²⁵

3.1. საზოგადოებრივი გაერთიანების კრიტერიუმები

იმისათვის, რომ ერთობა კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის დაცულ სფეროში მოექცეს საჭიროა შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

¹⁰²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.2;

¹⁰²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.7;

¹⁰²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის #2/1/439 საოქმო ჩანაწერი საქმეზე საქართველოს მოქალაქე ომარ ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.8;

¹⁰²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.4;

ა) პირთა ერთობა;

ბ) პირთა ერთობა შექმნილი ნების თავისუფალი გამოვლინების შედეგად;

„გაერთიანებისათვის დამახასიათებელი უმთავრესი ნიშანი, ... არის ის, რომ გაერთიანება, მისი შექმნა და საქმიანობა ეფუძნება პირთა თავისუფალ ნებას, თავისუფალია ნებისმიერი იძულებისაგან. თავისუფალი ნების მომენტს აქვს არა მხოლოდ ფორმალური, არამედ, უპირატესად, შინაარსობრივი დატვირთვა. ... როგორც უკვე აღინიშნა, დაცულია თავისუფალი საზოგადოებრივი ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის სფერო და არა ზოგადად, ნებისმიერი პირთა ჯგუფი, რომელიც აკმაყოფილებს გაერთიანების რამდენიმე ფორმალურ ნიშანს, მაგრამ გაერთიანებულია სხვა საფუძვლით, ვიდრე ეს მისი წევრების სუბიექტური მისწრაფებები და თავისუფალი ნებაა.“¹⁰²⁶

გ) პირთა ერთობა ჩამოყალიბებული ხანგრძლივი ვადით;

„გავრცელებული შეხედულების მიხედვით, გაერთიანების მოქმედების ვადა უნდა იძლეოდეს მისი გამიჯვნის საშუალებას ე.წ. „მომენტალური გაერთიანებებისაგან“, შეკრებებისგან.“¹⁰²⁷ ამით განსხვავდება ეს უფლება შეკრების თავისუფლებისგან.

დ) პირთა ერთობას აქვს საერთო მიზანი;

„გაერთიანების შექმნაში წამყვანია სუბიექტური ფაქტორი, რომელიც თავს უყრის გაერთიანების წევრებს და გადაწყვეტიამათი გაერთიანებაში შესვლის, ყოფნის, საქმიანობისა და გაერთიანების დატოვებისათვის. გაერთიანება არ არის პირთა უბრალო ერთობა – ეს არის პირთა სუბიექტური მისწრაფებებით განპირობებული ერთობა საერთო იდეებისა და მიზნების გარშემო.¹⁰²⁸ გაერთიანება გარკვეული მიზნის მისაღწევად შექმნილი ერთობაა. ამავე დროს, არასაკმარისია მიზნებისა და ამოცანების ფორმალური ჩამოთვლა, მათი განსაზღვრა უნდა იყოს გაერთიანების შემქმნელთა თავისუფალი ნების ნაყოფი.“¹⁰²⁹

ე) პირთა ერთობაში ნების ფორმირებას აქვს ორგანიზებული სახე;

სწორედ ეს ნიშნები ერთობლივად ან რომელიმე მათგანი ცალკე აღებული განასხვავებს გაერთიანებას პირთა სხვა ერთობებისაგან, როგორცაა შეკრებები, ობიექტურ თუ ბუნებრივ საფუძველზე დამყარებული ერთობები და ა.შ. გამოდის, რომ ნებისმიერი გაერთიანება ვერ ჩაითვლება 26-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ უფლებად.

¹⁰²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.16;

¹⁰²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.14;

¹⁰²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.16;

¹⁰²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.21;

3.2. უფლების ფარგლები

26-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებულია, რომ „ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.“ სიტყვა სიტყვით ეს ნიშნავს, რომ ადამიანებს მხოლოდ გაერთიანების შექმნის და მასთან შეერთების უფლება აქვთ, თუმცა ეს გამოიწვევდა, მთელ რიგ „ღია საკითხებს“ და „გაერთიანების არსებობის რომელიმე ეტაპზე კონსტიტუციური დაცვის გაუზრცელებლობა, კოლეგიის პოზიციით, დაუშვებლად გაზრდიდა სახელმწიფოს მხრიდან მის საქმიანობაში თვითნებური ჩარევის რისკს და არაეფექტურს გახდიდა გაერთიანების თავისუფლების კონსტიტუციურსამართლებრივ დაცვას“.¹⁰³⁰ ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლო ამ უფლებას ასე ვიწროდ არ კითხულობს და მიიჩნევს, რომ „...არა მხოლოდ გაერთიანების შექმნისა და გაერთიანებაში გაწევრიანების პროცესია დაცული, არამედ გაერთიანების არსებობასთან და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვადასხვა მხარეები, როგორცაა მიზნის შერჩევა, საქმიანობის ორგანიზება, გადაწყვეტილებების მიღება, გაერთიანების წევრად დარჩენა, გაერთიანების ლიკვიდაცია და ა.შ.“¹⁰³¹

3.3. უფლების ნეგატიური ასპექტი

ზემოთ უკვე აღინიშნა, თუმცა კონკრეტულად 26-ე მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებითაც უნდა ითქვას, რომ, მართალია, „საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი პირდაპირ არ ახსენებს უფლებას, არ დაექვემდებარო იმულებას გაერთიანებისას. თუმცა, გაერთიანების ნეგატიური თავისუფლება გამომდინარეობს თავად თავისუფლების არსიდან. თავისუფლება ნიშნავს აკეთო ის, რაც გსურს და არ აკეთო ის, რაც არ გსურს. ე.ი. თავისუფლებას ყოველთვის აქვს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური კომპონენტი. ეს არის ერთი და იგივე მონეტის ორი აუცილებელი მხარე. თავისთავად ის ფაქტი, რომ პირს ენიჭება უფლება შევიდეს საზოგადოებრივ გაერთიანებაში, ნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუცია თავად მას მიიჩნევს გაერთიანების წევრობის თაობაზე გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტად. შესაბამისად, გქონდეს გაერთიანების უფლება, იმავდროულად, გულისხმობს თანმდევ უფლებას, თავი აარიდო რომელიმე გაერთიანებაში შესვლას ან თავისუფლად მიიღო გადაწყვეტილება გაერთიანების დატოვების თაობაზე.“¹⁰³² გამოდის, რომ აღნიშნული უფლება გარდა გაერთიანების ან გაერთიანებაზე უარის თქმის უფლებისა, ნიშნავს ასევე გაერთიანებიდან გამოსვლის უფლებასაც.

3.4. საზოგადოებრივი გაერთიანება - ტერმინის შინაარსი

ნებისმიერ იურიდიულ დოკუმენტში ყოველ სიტყვას პრინციპული

¹⁰³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.8;

¹⁰³¹ იქვე;

¹⁰³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.9;

მნიშვნელობა აქვს, ეს მნიშვნელობა ისეთ დოკუმენტში, როგორც კონსტიტუციაა რა თქმა უნდა იზრდება. კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველ პუნქტში საკვანძო სიტყვებია „საზოგადოებრივი გაერთიანება“. საკონსტიტუციო სასამართლო რამდენიმე წლის წინ დადგა ამ სიტყვების განმარტების საჭიროების წინაშე. სასამართლომ პირველ რიგში ტერმინოლოგიურ სხვაობებზე გაამახვილა ყურადღება, „... უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო აქტები და სხვადასხვა სახელმწიფოთა კონსტიტუციები გაერთიანების თავისუფლების უზრუნველყოფი ნორმების ტერმინოლოგიური მრავალფეროვნებით გამოირჩევა და ხშირად მათი ტექსტები, ამ კუთხით, განსხვავდება ერთმანეთისაგან. თუმცა, გაერთიანების თავისუფლების არსი და მისი გაგება დემოკრატიულ სამყაროში, ძირითადად, ერთიან კონცეფციას ეფუძნება და ამ მხრივ, არც საქართველოს კონსტიტუცია უნდა იყოს გამონაკლისი. განსხვავებული ტერმინის გამოყენება არ ნიშნავს დიფერენცირებულ მიდგომას ძირითადი უფლებით დაცული სიკეთეებისა და კონსტიტუციური დაცვის მასშტაბების თვალსაზრისით.“¹⁰³³

მეორე საქმე, რომელიც „საზოგადოებრივი გაერთიანების“ განმარტებას ვგაძლევეს, ეხებოდა ადვოკატთა ასოციაციის როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით არსებული ორგანიზაციის კონსტიტუციურობას. მაშინ სასამართლომ თქვა, რომ ვერ დაეთანხმება, პოზიციას, თითქოს „...საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, მართალია, წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, მაგრამ იგი მაინც, მიუხედავად თავისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, არის მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება.“¹⁰³⁴ სწორედ ამიტომ, განსხვავებით კერძოსამართლებრივი ორგანიზაციებისგან, სადაც ნეგატიური თავისუფლება მოქმედებს, საჯარო კორპორაციების შემთხვევაში საქმე განსხვავებულადაა.¹⁰³⁵ „საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება საჯარო სამართლის კორპორაციებზე – ამ ნორმით დაცულია გაერთიანებისა და არა საჯარო კორპორაციების თავისუფლება.“¹⁰³⁶

სასამართლომ გაანალიზა საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და კერძო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა და გამოყო შემდეგი მნიშვნელოვანია ასპექტები:

- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის იურიდიული ბუნება, მისი სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია კანონმდებლობით და იგი შეესაბამება საჯარო სამართლის იურიდიული პირის დეფინიციას;
- რაც შეეხება საზოგადოებრივ გაერთიანებას, მის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

¹⁰³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.3;

¹⁰³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო 2005 წლის 30 ნოემბერის #1/5/323 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ვაჭარაძე, არტურ კაზაროვი, ლევან ჩხეიძე, გიორგი ბერიშვილი, შორენა ოსკოპელი და ნინო არჩვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.1;

¹⁰³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.10;

¹⁰³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.11;

სასამართლომ იურიდიული პირების ბუნებაზე მსჯელობისას, აღნიშნა, რომ კერძო სამართლის იურიდიულ პირებში „წინა პლანზე წამოწეულია კერძო კოლექტიური ინტერესი, რომელიც შეიძლება მოიცავდეს სოციალურ, შემოქმედებით, კულტურულ და სხვა სფეროებს. კერძო სამართლის იურიდიულ პირს უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა (მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა გათვალისწინებული წესდებაში).“¹⁰³⁷

რაც შეეხება საჯარო სამართლის იურიდიული პირს, ამ შემთხვევაში საქმე პირიქითაა იგი „... უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ კანონში ან მის დამფუძნებელ დოკუმენტში გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობა.“¹⁰³⁸

რაც შეეხება, თავად ადვოკატთა ასოციაციას სასამართლომ განაცხადა, რომ „იძულებითი წევრობა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებულია იმით, რომ ეს გაერთიანება სახელმწიფომ ლეგიტიმური საჯარო ამოცანების შესასრულებლად დაარსა. მასში შერწყმულია კერძო და საჯარო ინტერესები, რომელთაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვერ განახორციელებს ვერც სახელმწიფო და ვერც ცალკეული პიროვნება თავისი ინდივიდუალური ინიციატივით.“¹⁰³⁹ მიუხედავად ამისა სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი არ მოიცავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, ვინაიდან იგი წარმოადგენს საჯარო-სამართლებრივ გაერთიანებას და შესაბამისად ემყარება სავალდებულო წევრობის პრინციპს. კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველ პუნქტში კი მოიაზრება მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომელთა უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანია გაერთიანების ნებაყოფლობითობა“.¹⁰⁴⁰

კიდევ ერთი ასპექტი სახელწოდებაა, კერძოდ - რამდენად შეიძლება იურიდიული პირის სახელწოდებამ გავლენა იქონიოს, თავად ამ პირის სამართლებრივ ბუნებაზე. კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ იმსჯელა სიტყვა „ასოციაციის“ მნიშვნელობაზე პირის სახელწოდებაში და აღნიშნა, რომ „მართალია, საქართველოს ადვოკატთა ზემოხსენებული ორგანიზაციის სახელწოდებაში („საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“) ჩართულია ტერმინი „ასოციაცია“, მაგრამ ეს სიტყვა, ... გულისხმობს ნებაყოფლობით გაერთიანებას რაიმე საერთო მიზნის მისაღწევად დასახელება ან სათაური ყოველთვის არ განსაზღვრავს საგნის შინაარსს. შესაბამისად, „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“ არ უნდა იქნას გაიგივებული იმ ასოციაციებთან (კავშირებთან), რომლებიც მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ..., ასევე – იმ ასოციაციებთან, რომლებიც აღიარებულია მოსარჩელეთა მიერ მოხმობილ საერთაშორისო პაქტებში. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას შეიძლება ასევე წარმატებით დარქმეოდა „ადვოკატთა პალატა“, „ადვოკატთა კორპუსი“, „ადვოკატთა კოლეგია“ და ა.შ.“¹⁰⁴¹

¹⁰³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო 2005 წლის 30 ნოემბერის #1/5/323 გადაწყვეტილება, პ.1;

¹⁰³⁸ იქვე;

¹⁰³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო 2005 წლის 30 ნოემბერის #1/5/323 გადაწყვეტილება, პ.2;

¹⁰⁴⁰ იქვე;

¹⁰⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო 2005 წლის 30 ნოემბერის #1/5/323 გადაწყვეტილება, პ.1;

საბოლოოდ, სასამართლომ ერთმანეთისგან გამიჯნა რა ამ ორი ფორმის იურიდიული პირი, დაადგინა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის დაცულ სფეროში მხოლოდ თვისობრივად კერძო სამართლის იურიდიული პირები ექცევიან. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ „რამდენად არის შექმნილი ესათვის გაერთიანება, მათ ... საჯარო ამოცანების განსახორციელებლად და თუ წარმოადგენს ის არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ თავისი არსით საჯარო სამართლის კორპორაციას, ყოველ კონკრეტულ კაზუსშია გადასაწყვეტი.“¹⁰⁴²

მაგალითად, არსებობს კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც ერთი შეხედვით კერძო სამართლის იურიდიული პირი, ამხანაგობა და მასში გაერთიანების უფლება არ მიიჩნია 26-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სიკეთედ. ორგანიზაცია როგორც ფორმალურად, ისე არსობრივად არ განეკუთვნებოდა საჯარო სამართლის იურიდიული პირების კატეგორიას, ის საჯარო ამოცანებს კი არ ახორციელებდა, არამედ მისი დანიშნულება კერძო ინტერესების სამსახური იყო. ... თუმცა, კერძო ინტერესების მსახურება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს ორგანიზაცია a priori გაერთიანება იყო, საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თვალსაზრისით.¹⁰⁴³ საქმე ეხებოდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობაში საკუთრების მიხედვით მესაკუთრის ნებისგან დამოუკიდებლად წევრობას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა არის ხანგრძლივი ვადით დაფუძნებული ერთობა.¹⁰⁴⁴ აკმაყოფილებს ორგანიზაციული სტაბილურობისა და ნების ორგანიზებული ფორმირების კრიტერიუმით წაყენებულ მოთხოვნებს.¹⁰⁴⁵ მისი დანიშნულებაა კერძო ინტერესების სამსახური.¹⁰⁴⁶ თუმცა წევრობა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობაში ეფუძნება არა პირის სუბიექტურ გადაწყვეტილებას, არამედ იმ ობიექტურ გარემოებას, რომ მას აქვს საკუთრება ბინაზე მრავალბინიან სახლში. ამხანაგობის წევრობა, ამ შემთხვევაში, პირის თვითრეალიზაციის, თავისუფალი განვითარების უფლების ჯგუფური განხორციელების ფორმა კი არ არის, არამედ თავად საკუთრების ობიექტის ბუნებიდან გამომდინარე და ელემენტარული საყოფაცხოვრებო და საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ობიექტური გარემოებით განპირობებული რეალობა.¹⁰⁴⁷ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრები ვერ დასახვეწენ სხვა მიზნებს მათი სუბიექტური მისწრაფებების განსახორციელებლად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ფარგლებში, ან ვერ შეამცირებენ ამხანაგობისათვის დასახულ ამოცანებს, რადგანაც ეს ეწინააღმდეგება თავად ამხანაგობის ბუნებას. ამისთვის

¹⁰⁴² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.11;
¹⁰⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.17;
¹⁰⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.14;
¹⁰⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.15;
¹⁰⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.17;
¹⁰⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.8;

მათ სხვა ტიპის გაერთიანების შექმნა მოუწევთ. აქედან გამომდინარე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ვერ აკმაყოფილებს გაერთიანებისათვის წარდგენილ ამ მოთხოვნასაც – ის არ არის დამოუკიდებელი თავისი მიზნების ფორმირებაში და მიზნების განსაზღვრა არ ხდება წევრთა თავისუფალი ნების საფუძველზე.¹⁰⁴⁸

შესაბამისად სასამართლომ მიიჩნია, რომ „... ამხანაგობა ფორმალური და მატერიალური თვალსაზრისით, არ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნას, რომ ის არის მისი წევრების თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგი. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობაში შესვლით პირი არ ახდენს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გაერთიანების პოზიტიური თავისუფლების რეალიზაციას. ამ პირობებში, საუბარი ზედმეტია გაერთიანების ნეგატიურ თავისუფლებაზე.“¹⁰⁴⁹

26-ე მუხლით დაცულ სფეროში მოქცევისთვის არა აქვს მნიშვნელობა იურიდიული პირის ფორმასთან გარეგნულ მსგავსებას. მაგალითად, თუ ვინმე საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობას, ექსპლუატაციას და განვითარებას აიყვანს თვითრეალიზაციის რანგში, გამონახავს თანამოაზრეებს, თუნდაც იმ პირებს, რომლებიც კონკრეტულ მრავალბინიან სახლში ბინათმესაკუთრეები არ არიან და მათთან ერთად მოახდინს გაერთიანების შექმნას. „ამგვარი გაერთიანება, მიუხედავად გარეგნული მსგავსებისა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობისაგან იქნება განსხვავებული სწორედ იმით, რომ ის არის არა ობიექტურ გარემოებათა, არამედ სუბიექტური მისწრაფებებისა და თავისუფალი ნების რეალიზაციის პროდუქტი“¹⁰⁵⁰ და მოექცევა კონსტიტუციის აღნიშნული ნორმის რეგულირების არეალში.

კიდევ ერთი სადავო საკითხი ამავე საქმეში ორგანიზაციის სავალდებულო წევრობა გახლდათ. თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა „...იმის მონაცემები, რომ სავალდებულო წევრობაზე დაფუძნებული ადვოკატთა გაერთიანება საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით დასაშვები და მისაღებია.“¹⁰⁵¹

სასამართლომ მიიჩნია, რომ 26-ე მუხლი ასევე არ იცავს „ამა თუ იმ პროფესიის დაფუძნებას“ (სასამართლომ აქ მოიაზრა ადვოკატურის ორგანიზაციის ფორმის საკითხი და კანონმდებლის შესაბამისი არჩევანი) და იგი კანონმდებლის ნებაზეა დამოკიდებული.¹⁰⁵²

3.5. იძულებითი წევრობა და ორგანიზაციული ფორმის მიზანშეწონილობა

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ სადავო საკითხი 26-ე მუხლით დაცულ სფეროში არ მოაქცია, იგი მაინც შეეხო რამდენიმე არსებით

¹⁰⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.21;

¹⁰⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.19;

¹⁰⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.20;

¹⁰⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო 2005 წლის 30 ნოემბერის #1/5/323 გადაწყვეტილება, პ.2;

¹⁰⁵² იქვე;

საკითხს. უპირველესად სასამართლომ იმსჯელა იძულებით წევრობასა და ორგანიზაციული ფორმის მიზანშეწონილობაზე.

სასამართლომ ასევე იმსჯელა იმ ასპექტებზე, რომლებიც ორგანიზაციის დაფუძნების თავისუფლებას უზღუდავს პარლამენტს¹⁰⁵³, ესენია:

- დასაფუძნებელი ორგანიზაციის ფორმა, მისი მიზნებიდან გამომდინარე, უნდა იყოს მაქსიმალურად ეფექტური;
- არ უნდა შეილახოს ადვოკატთა პროფესიის თვითრეგულირებისა და მართლმსაჯულების განხორციელების ფუძემდებლური პრინციპები.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ამჯერად ეს პრინციპები დაცული იყო და „აღნიშნული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, განპირობებული იყო ადვოკატის პროფესიის მაღალი ფუნქციური დანიშნულებით, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ვლინდება მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. ...ეს განაპირობებს ადვოკატის საქმიანობის სახელისუფლებო ფუნქციებთან სიახლოვეს და ადვოკატურის საჯარო ორგანიზაციის ფორმის მიზანშეწონილობას. საადვოკატო საქმიანობა საჯარო საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოვლინებად მიიჩნევა. ამასთან, ადვოკატურა სახელმწიფო მმართველობისაგან განცალკევებული ორგანიზაციაა და ამ სახით ახორციელებს თავის ფუნქციებს. ... მაშასადამე, ადვოკატი ჩართულია საჯარო ამოცანის განხორციელებაში. იგი თავისი კერძო საქმიანობით მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასამართლო საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. ადვოკატი ერთდროულად ემსახურება როგორც კლიენტის კერძო ინტერესს, ისე სახელმწიფო ინტერესს. სწორედ იმის გამო, რომ ადვოკატი გარკვეულწილად ახორციელებს საჯარო ფუნქციებს, კანონმდებელი მას, თავისუფალი პროფესიის სხვა პირებთან შედარებით, უფრო მაღალ სტანდარტებს უწესებს და მოითხოვს მის სავალდებულო გაწევრიანებას სპეციალურ პროფესიულ გაერთიანებაში.“¹⁰⁵⁴

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხი იძულებითი წევრობა იყო, სასამართლომ ეს ინსტიტუტი გამართლებულად ჩათვალა, ვინაიდან იგი „სახელმწიფომ ლეგიტიმური საჯარო ამოცანების შესასრულებლად დაარსა.“¹⁰⁵⁵ გარდა ზემოთქმულისა, სასამართლომ სადავო ნორმების შეფასებისას საჯარო ამოცანად მიიჩნია „...ის გარემოებაც, რომ ადვოკატურის ორგანიზაციის აღნიშნული ფორმა მოითხოვს ადვოკატთა საქმიანობისადმი დაპროფესიული ეთიკის დაცვისადმი საჯარო კონტროლს.“¹⁰⁵⁶

სასამართლომ ასევე ყურადღება მიაპყრო იმ საკითხსაც, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების შემდეგ ადვოკატებს გააჩნდათ შესაძლებლობა გაერთიანებული იყვნენ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე ერთობებში.¹⁰⁵⁷

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას,

¹⁰⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო 2005 წლის 30 ნოემბერის #1/5/323 გადაწყვეტილება, პ.2;

¹⁰⁵⁴ იქვე;

¹⁰⁵⁵ იქვე;

¹⁰⁵⁶ იქვე;

¹⁰⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო 2005 წლის 30 ნოემბერის #1/5/323 გადაწყვეტილება, პ.4;

როგორც სავალდებულო წევრობა, ისე საჯარო სამართლის იურიდიული პირობის აუცილებლობა არ არღვევს კონსტიტუციის მოთხოვნებს. თუმცა სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ თუ სახელმწიფო გადაწყვეტს ადვოკატთა ასოციაციის საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ფარგლებში მოქცევას, ეს კონსტიტუციასთან შეუსაბამობას არ გამოიწვევს.¹⁰⁵⁸

3.6. პროფკავშირები

სასამართლო ამ საკითხს მეტ ნაკლებად არსებითად მხოლოდ ერთ გადაწყვეტილებაში შეეხო.¹⁰⁵⁹ საქმე ეხებოდა პროფკავშირის საკუთრების უფლების შელახვას, სადაც მოსარჩელეებად თავად ამ პროფკავშირის წევრები გვევლინებოდნენ. სასამართლოს ფართოდ არ უსაუბრია ამ საკითხზე, თუმცა ხაზგასმით მიუთითა პროფკავშირების დამოუკიდებლობის აუცილებლობაზე. „სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოში, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოში, სოციალ-ეკონომიკური წესწყობილების შეცვლის პირობებში მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის დაშლის დროისათვის დაწყებული ახალი პროფესიული კავშირების ფორმირების პროცესი, რომლის წარმართვა და რეგულირება არსებითად შიდაპროფკავშირული (თვით პროფკავშირების) საქმეა.“¹⁰⁶⁰

მაშასადამე, სასამართლოს მიხედვით პროფკავშირების შექმნაში, მის მართვასა და შიდა რეგულირებებში სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს.

აქვე აღსანიშნავია, რომ სასამართლომ შესაბამისად მიიჩნია პროფკავშირების წევრების მიერ პროფკავშირის საკუთრების უფლების შემლახავი ნორმატიული აქტების გასაჩივრება და განაცხადა. რომ „მოსარჩელეები საქართველოს მოქალაქეები, ფიზიკური პირებია, ისინი საბჭოეთის დროიდან საქართველოს პროფესიული კავშირების წევრები არიან და, საერთოდ, როგორც ყოფილი საკავშირო პროფსაბჭოდან მიღებული, ისე საკუთრივ საქართველოს პროფკავშირული ქონების მიმართ მათ პროფკავშირების სხვა წევრებთან ერთად აქვთ საკუთრების უფლება ... ქონების განკარგვის უფლებამოსილება ასეთ შემთხვევაში სათანადო ორგანოებში არჩეული წარმომადგენლობის მეშვეობით ხორციელდება. ...“¹⁰⁶¹

ეს კი ნიშნავს, რომ პროფკავშირის როგორც იურიდიული პირის უფლების დარღვევის შემთხვევაში თავად როგორც ფიზიკურ პირებს აქვთ დავის წარმართვის უფლება.

¹⁰⁵⁸ საქართველოს საკონსტიტუციო 2005 წლის 30 ნოემბერის #1/5/323 გადაწყვეტილება, პ.5;

¹⁰⁵⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 15 ივლისის #1/6-58,60,62,67 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეები ირაკლი ტულუში, ლონდა სიხარულიძე, ზურაბ დიდიშვილი, ვალერიან რევიშვილი, სიმონ ხომტარია, დავით ჯანგულაშვილი და რუსუდან ბოკუჩავა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;

¹⁰⁶⁰ იქვე;

¹⁰⁶¹ იქვე;

4. საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლების სუბიექტები

გარდა ინდივიდუალური უფლებებისა, საქართველოს კონსტიტუცია იცავს ჯგუფურ უფლებებსაც, საკონსტიტუციო სასამართლომ 26-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლება სწორედ ამ უკანასკნელს მიაკუთვნა „...მეცნიერებასა და პრაქტიკაში გავრცელებული აზრით, რასაც კოლეგიაც იზიარებს გაერთიანების თავისუფლებაში მოიაზრება, ასევე, ე.წ. „ჯგუფური ძირითადი უფლება“, რაც იმას ნიშნავს, რომ გაერთიანების თავისუფლების რეალიზაციით შექმნილი კოლექტივიც სარგებლობს კონსტიტუციურსამართლებრივი დაცვით.“¹⁰⁶²

ეს ნიშნავს, იმას რომ აღნიშნული უფლების სუბიექტი შეიძლება ჯგუფიც იყოს და იურიდიული პირიც.

რაც შეეხება უფლების ფიზიკურ პირებზე გავრცელების კიდევ ერთ ასპექტს, საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლების სუბიექტი შეიძლება იყოს ყველა მიუხედავად მოქალაქეობისა.¹⁰⁶³

5. პოლიტიკური გაერთიანების შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლების დაცული სფერო

კონსტიტუციის 26-ე მუხლის მეორე პუნქტით გარანტირებულია პოლიტიკურ პარტიათა, პოლიტიკურ გაერთიანებათა თავისუფლება.¹⁰⁶⁴

6. პოლიტიკური გაერთიანების შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლების სუბიექტები

ეს უფლებაც ისევე როგორც პირველი პუნქტით გარანტირებული უფლება „...იცავს ადამიანის თავისუფალი განვითარების უფლების ერთერთ გამოვლინებას, მისი ჯგუფური განხორციელების ფორმას. გაერთიანების თავისუფლების საშუალებით, პირი თავისი მიზნებისა და მისწრაფებების ხორცშესხმას ახდენს სხვებთან ერთად, მათთან კომუნიკაციისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის გარემოში.“¹⁰⁶⁵

რაც შეეხება მოქალაქეობის მიხედვით სუბიექტების ჩამონათვალს, ეს უფლება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს აქვთ,¹⁰⁶⁶ რაც დასტურდება

¹⁰⁶² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.7;

¹⁰⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად მიმიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი გაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.5;

¹⁰⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.4;

¹⁰⁶⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.5;

¹⁰⁶⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.5;

კიდევ კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველ სიტყვებში სადაც ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ ამ უფლებით სარგებლობის უფლება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს აქვთ.

7. 26-ე მუხლის შეზღუდვის საფუძვლები

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით გამიჯნულია უფლების შეზღუდვის ფორმალური და შინაარსობრივი შემთხვევები. პირველ შემთხვევაში სახელმწიფო მეტად თავისუფლად მოქმედებს ვიდრე მეორეში. სასამართლო მიიჩნევს, რომ „ხელისუფლება შედარებით ფართო დისკრეციით სარგებლობს, როდესაც ის უფლების შეზღუდვის, მისი რეგულირების ფორმალურ საფუძვლებს არ სცდება და შინაარსობრივად ნეიტრალურ ნორმებს ადგენს.“¹⁰⁶⁷ თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ კანონმდებელი აქ სრულად თავისუფალია. მას ევალება, შემოღებული რეგულირება „არ იყოს აშკარად არაგონივრული, შესასრულებლად მძიმე და არსებითად აზრს არ უკარგავდეს კონსტიტუციით აღიარებული უფლებების რეალიზაციას.“¹⁰⁶⁸ აქვე აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ადეკვატური ლეგიტიმური მიზნები.“¹⁰⁶⁹

სასამართლომ განმარტა, რომ 26-ე მუხლით დაცულ უფლებასაც გაჩნია ფორმალურად და შინაარსობრივად შეზღუდვის რესურსი. პირველის მაგალითად მან მოიყვანა შემთხვევა, რომლის მიხედვითაც ხელისუფლება „...მედია საშუალებების, პოლიტიკური ან საზოგადოებრივი გაერთიანებების რეგისტრაციის ან რეგულირების ნორმებს ადგენს.“¹⁰⁷⁰ სასამართლომ მიიჩნია, რომ „სხვადასხვა ტიპის რეგულაციებს შორის ხელისუფლება უფლებამოსილია, აირჩიოს ის ტიპი, რომელიც ლეგიტიმური ამოცანის მისაღწევად საუკეთესო საშუალებად მიაჩნია.“¹⁰⁷¹

მეორე მაგალითის მიხედვით, „კონკრეტული მიზნის, შინაარსის მქონე ... გაერთიანების შეზღუდვის ან აკრძალვისას ხელისუფლების მოქმედება მკაცრ შეფასებას დაექვემდებარება.“¹⁰⁷²

ამრიგად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ უფლების შეზღუდვა შესაძლებელია ფორმალური და შინაარსობრივი საფუძვლით, პირველ შემთხვევაში სახელმწიფოს უფრო ფართო შეფასების არე აქვს, მეორეში კი ვიწრო.

8. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი არეგულირებს, ორივე, როგორც

¹⁰⁶⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.29;

¹⁰⁶⁸ იქვე;

¹⁰⁶⁹ იქვე;

¹⁰⁷⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.30;

¹⁰⁷¹ იქვე;

¹⁰⁷² იქვე;

(1) საზოგადოებრივი ასე (2) პოლიტიკური გაერთიანების შექმნისა და აკრძალვის ფორმალურ საფუძვლებს, სადაც მითითებულია, რომ ეს ხდება შემდეგი კუმულატიური პირობების არსებობისას:

- მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით
- ორგანული კანონის შესაბამისად

სასამართლომ განმარტა „შექმნისა“ და „აკრძალვის“ მნიშვნელობა და მიუთითა, რომ პოლიტიკური პარტიისთვის ქვოტის ჩამორთმევა არ აღწევს 26-ე მუხლის მე-6 მუხლში აღწერილ ინტენსივობას. საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პარტიის წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა არ შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკური ორგანიზაციის საქმიანობის არც შექმნებად და არც აკრძალვად.¹⁰⁷³

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმე შეეხებოდა ორგანიზაცია „საქართველოს დოსააფის“ საქმიანობის შეწყვეტას. სასამართლოს ორმა წევრმა კონსტიტუციურობის პოზიციის დასაბუთებისას საქმიანობის „შეწყვეტა“ გამოიხსნა „შექმნისგან“ და „აკრძალვისგან“ და განაცხადა, რომ „...მინისტრთა საბჭოს სადავო დადგენილებაში ლაპარაკია საქართველოს „დოსააფის“ საქმიანობის შეწყვეტის შესახებ. კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტში კი აღნიშნულია საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნისა და მათ აკრძალვაზე. რაც შეეხება საზოგადოებრივი ორგანიზაციის აკრძალვას, იგი ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციით და შესაბამისი კანონით განსაზღვრულ კონკრეტულ შემთხვევაში. მაშასადამე „დოსააფის“ საქმიანობის შეწყვეტა ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება საზოგადოებრივი ორგანიზაციის აკრძალვის ტოლფას მოვლენა.“¹⁰⁷⁴ თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა ხმები გაიყო.¹⁰⁷⁵ განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეთა არგუმენტაცია კი შემდეგი იყო: „სადავო აქტი ... ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველ და მე-6 პუნქტებს. სადავო აქტით დადგენილი ფორმით „დოსააფის“ საქმიანობის შეწყვეტა უნდა განვიხილოთ არა როგორც ამ საზოგადოების კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიკვიდაციის გამოხატულებად, არამედ მისი აკრძალვის ტოლფას მოვლენად. „დოსააფის“ საქმიანობის შეწყვეტით კი, შეილახა მოქალაქეთა უფლება ყოფილიყვნენ ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრები და დაეკმაყოფილებინათ თავიანთი მრავალფეროვანი ინტერესები. გასათვალისწინებელია ის, რომ მოქალაქის კონსტიტუციური უფლება ირღვევა არამარტო მაშინ, როდესაც მას უსაფუძვლოდ უარს ეუბნებიან ამა თუ იმ საზოგადოების წევრობაზე, არამედ მაშინაც, როცა უკანონოდ უწყვეტენ ამ საზოგადოების წევრობის

¹⁰⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 16 ოქტომბერის #2/30/1 განჩინება საქმეზე ციციხო დათუკიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.1;

¹⁰⁷⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 25 დეკემბერის #1/3/113 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეები – ლევან შარაშენიძე, დავით წიკლაური, თენგიზ გაჩეჩილაძე და თენგიზ ჩხაიძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, პ. III.2;

¹⁰⁷⁵ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „თუ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას პლენუმის ან კოლეგიის წევრთა ხმები თანაბრად გაიყო, კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება არ დაკმაყოფილდება.“;

უფლებას.”¹⁰⁷⁶

სასამართლომ განაცხადა: თუ პირთა ერთობა არ არის თავისუფალი ნების პროდუქტი, შეუძლებელია რომ მის მიმართ დაირღვეს 26-ე მუხლის მე-6 პუნქტი, ვინაიდან შეუძლებელია, მან შეძლოს დაისახოს და განახორციელოს კონსტიტუციით აკრძალული რომელიმე მიზანი ან მიზნები. მით უმეტეს, წარმოუდგენელია, რომ მოხდეს ... საქმიანობის შეჩერება ან აკრძალვა. თუ ...ამგვარ ერთობებს ... აქვთ არაკონსტიტუციური მიზნები, ეს არ მოხდება ... არსებულ... ფორმატში. ...გაერთინების წევრების... მოსაზრებების გამო ამ ამოცანების განხორციელების შეჩერება და აკრძალვა, რა თქმა უნდა, ყოველგვარ სადაზრს მოკლებული იქნებოდა და აბსურდამდემიგვიყვანდა.¹⁰⁷⁷ ცხადია, საკითხს, კონკრეტული გაერთიანება ექცევა თუ არა კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში პირდაპირი კავშირი აქვს იმასთან შესაძლებელია თუ არა მის მიმართ 26-ე მუხლის მე-6 პუნქტის სტანდარტის გამოყენება.

9. 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი

საქართველოს კონსტიტუციის 26 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით აკრძალულია გარკვეული მიზნების მქონე საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა. სასამართლოს მართალია უშუალოდ ამ ნორმასთან რომელიმე აქტის კონსტიტუციურობა არ განუხილავს, მაგრამ ერთ-ერთ საქმეში განმარტების დროს ისაუბრა ამ კონსტიტუციური დებულების ერთი ასპექტის შესახებ, კერძოდ იმაზე, რომ დაუშვებელია მოძრაობა, რომელიც კონსტიტუციური წყობილების დამხობას ან ძალადობრივი გზით შეცვლას ისახავს მიზნად.

სასამართლომ განაცხადა: „კონსტიტუციური წყობილების დამხობა ყოველთვის ძალადობრივ ქმედებას უკავშირდება. დამხობა მიმართულია კონსტიტუციის საწინაღმდეგო და არაკანონიერი მეთოდებით არსებული წყობილების განადგურებისაკენ და, შესაბამისად, ძალადობის ელემენტსაც შეიცავს. ხოლო „ძალადობრივი გზით შეცვლა“ ასევე არსებული სისტემის ალტერნატიულით ჩანაცვლებას ითვალისწინებს. დემოკრატიული გზით არჩეული ხელისუფლების, კონსტიტუციით განსაზღვრული მმართველობის ფორმის და წყობილების შეცვლა მხოლოდ კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გზით არის შესაძლებელი. ცვლილების განხორციელების ნებისმიერი სხვა ფორმა დემოკრატიული საზოგადოების არსებობას უქმნის საფრთხეს და ძალადობრივ ხასიათს ატარებს. სწორედ ამიტომ, საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც კონსტიტუციური წყობილების დამხობას ან ძალადობრივი გზით შეცვლას ისახავს მიზნად“.¹⁰⁷⁸

¹⁰⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 25 დეკემბერის #1/3/113 გადაწყვეტილება, პ.III.2;

¹⁰⁷⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება, II.3.22;

¹⁰⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.89;

იქვე სასამართლომ განმარტა: „დაუშვებელია, რომ კონსტიტუციური უფლება თავად კონსტიტუციით დაცული დემოკრატიული წესწყობილების ხელყოფისაკენ იყოს მიმართული და კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების საფუძველს ქმნიდეს“.¹⁰⁷⁹

შესაბამისად, სასამართლომ ცალსახად დააფიქსირა პოზიცია, რომლის მიხედვითაც იკრძალება გაერთიანების შექმნა, თუკი იგი კუმულატიურად ისახავს მიზნად როგორც კონსტიტუციური წყობილების შეცვლას, ისე ამ ცვლილებების ძალადობრივ განხორციელებას.

10. დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შემდეგ შესაძლოა შემდეგი ძირითადი საკითხების განსაზღვრა:

- კონსტიტუციის 26-ე მუხლით დაცული უფლება ერთი მხრივ უზრუნველყოფს ადამიანების პიროვნული ავტონომიის პირობებში საზოგადოებრივ გაერთიანებაში ჩართვას, ხოლო მეორე მხრივ დემოკრატიულ პროცესებს გარანტირებს;
- გაერთიანების თავისუფლებას აქვს ორი მხარე, ერთი მხრივ სახელმწიფომ ხელი არ უნდა შეუშალოს პირების გაერთიანებას, ხოლო მეორესმხრივ სახელმწიფომ თავს არ უნდა მოახვიოს პირებს რაიმე გაერთიანება;
- კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი არაპოლიტიკური მიზნით შექმნილი გაერთიანებების საკითხებს არეგულირებს და ამით განსხვავდება 26-ე მუხლის მეორე პუნქტისგან;
- იმისათვის, რომ ერთობა კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში მოექცეს საჭიროა შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილება:
 - პირთა ერთობა;
 - პირთა ერთობა შექმნილი ნების თავისუფალი გამოვლინების შედეგად;
 - პირთა ერთობა ჩამოყალიბებული ხანგრძლივი ვადით;
 - პირთა ერთობაში ნების ფორმირებას აქვს ორგანიზებული სახე;
 - პირთა ერთობას აქვს საერთო მიზანი;
- არა მხოლოდ გაერთიანების შექმნისა და გაერთიანებაში გაწევრიანების პროცესია დაცული, არამედ გაერთიანების არსებობასთან და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვადასხვა მხარეები;
- შგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული უფლება გარდა იმისა, რომ ნიშნავს, გაერთიანების, ან გაერთიანებაზე უარის თქმის ასევე გაერთიანებიდან გამოსვლის უფლებასაც;
- საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი არ მოიცავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, ვინაიდან იგი წარმოადგენს საჯარო-სამართლებრივ გაერთიანებას და, შესაბამისად, ემყარება სავალდებულო წევრობის პრინციპს;

¹⁰⁷⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.90;

- კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველ პუნქტში მოიაზრება მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომელთა უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანია გაერთიანების ნებაყოფლობითობა;
- რამდენად არის შექმნილი ესა თუ ის გაერთიანება, საჯარო ამოცანების განსახორციელებლად და წარმოადგენს ის თუ არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ თავისი არსით საჯარო სამართლის კორპორაციას, ყოველ კონკრეტულ კაზუსშია გადასაწყვეტი;
- კერძო ინტერესების მსახურება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს ორგანიზაცია a priori არის გაერთიანება საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თვალსაზრისით. მიზნების განსაზღვრა უნდა ხდებოდეს წევრთა თავისუფალი ნების საფუძველზე.
- სასამართლომ ასევე იმსჯელა იმ ასპექტებზე, რომლებიც ადვოკატთა ასოციაციის დაფუძნების თავისუფლებას უზღუდავს პარლამენტს. ესენია:
 - დასაფუძნებელი ორგანიზაციის ფორმა, მისი მიზნებიდან გამომდინარე, უნდა იყოს მაქსიმალურად ეფექტური;
 - არ უნდა შეილახოს ადვოკატთა პროფესიის თვითრეგულირებისა და მართლმსაჯულების განხორციელების ფუძემდებლური პრინციპები.
- სასამართლომ ადვოკატთა ასოციაციის იძულებითი წევრობა გამართლებულად მიიჩნია, ვინაიდან იგი სახელმწიფომ ლეგიტიმური საჯარო ამოცანების შესასრულებლად დაარსა;
- სასამართლოს მიხედვით პროფკავშირების შექმნაში, მის მართვასა და შიდა რეგულირებებში სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს;
- პროფკავშირის, როგორც იურიდიული პირის უფლების დარღვევის შემთხვევაში, მის წევრებს, ფიზიკურ პირებს, აქვთ დავის წარმართვის უფლება;
- 26 მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით დაცული უფლების სუბიექტი შეიძლება ჯგუფიც იყოს და იურიდიული პირიც;
- საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლების სუბიექტი შეიძლება იყოს ყველა მიუხედავად მოქალაქეობისა;
- კონსტიტუციის 26-ე მუხლის მეორე პუნქტით გარანტირებულია პოლიტიკურ პარტიათა, პოლიტიკურ გაერთიანებათა თავისუფლება;
- 26-ე მუხლის მეორე პუნქტით დაცული უფლებით სარგებლობა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ;
- სასამართლო მიიჩნევს რომ ამ უფლების შეზღუდვა შესაძლებელია ფორმალური და შინაარსობრივი საფუძველით, პირველ შემთხვევაში სახელმწიფოს უფრო ფართო შეფასების არე აქვს, მეორეში კი ვიწრო;
- საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი არეგულირებს, ორივე, როგორც (1) საზოგადოებრივი ასე (2) პოლიტიკური გაერთიანების შექმნისა და აკრძალვის ფორმალურ საფუძველებს. სადაც მითითებულია, რომ ეს ხდება შემდეგი კუმულატიური პირობების არსებობისას:
 - მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით;
 - ორგანული კანონის შესაბამისად;
- სასამართლომ განმარტა „შეჩერებისა“ და „აკრძალვის“ მნიშვნელობა

და მიუთითა, რომ პოლიტიკური პარტიისთვის ქვოტის ჩამორთმევა არ აღწევს 26-ე მუხლის მე-6 მუხლით განსაზღვრულ ინტენსივობას;

- სასამართლომ ცალსახად დააფიქსირა პოზიცია, რომლის მიხედვითაც, იკრძალება ისეთი გაერთიანების შექმნა, რომელიც კუმულატიურად ისახავს მიზნად, როგორც კონსტიტუციური წყობილების შეცვლას, ისე ამ ცვლილებების ძალადობრივ განხორციელებას.

11. საქმეები, რომლების საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 26-ე მუხლთან მიმართებით განიხილა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი:

საქართველოს მოქალაქე ომარ ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის #2/1/439 საოქმო ჩანაწერი/;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება:

ციცინო დათუკიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 16 ოქტომბერის # 2/30/1 განჩინება/;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები:

მოქალაქეები ირაკლი ტულუში, ლონდა სიხარულიძე, ზურაბ დიდიშვილი, ვალერიან რევიშვილი, სიმონ ხოშტარია, დავით ჯანგულაშვილი და რუსუდან ბოკუჩავა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 15 ივლისის #1/6-58,60,62,67 გადაწყვეტილება/;

მოქალაქეები – ლევან შარაშენიძე, დავით წიკლაური, თენგიზ გაჩეჩილაძე და თენგიზ ჩხაიძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 25 დეკემბერის #1/3/113 გადაწყვეტილება/;

საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ვაჭარაძე, არტურ კაზაროვი, ლევან ჩხეიძე, გიორგი ბერიშვილი, შორენა ოსკოპელი და ნინო არჩვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო 2005 წლის 30 ნოემბერის #1/5/323 გადაწყვეტილება/;

საქართველოს მოქალაქე ომარ ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება/

მუხლი 27

სახელმწიფო უფლებამოსილია დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.

შესავალი

1. დაცული სფერო
- 1.1. კონსტიტუციის 27-ე მუხლი სასამართლოს პრაქტიკაში
2. სუბიექტი
3. დასკვნა
4. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლთან მიმართებით

შესავალი

უცხოელთა და საქართველოს მოქალაქეთა დიფერენცირებული მოპყრობის თვალსაზრისით ზოგად საფუძველს ქმნის საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლი, რომელიც ფართო დისკრეციას ანიჭებს სახელმწიფოს, შეზღუდოს უცხოელების პოლიტიკური საქმიანობა.

1. დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლთან მიმართებით ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციური სარჩელით არასოდეს მიუმართავთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არ მოიპოვება განმარტება, რომელიც შესაძლებელს გახდის, განსაზღვროს კონსტიტუციის 27-ე მუხლი წარმოადგენს თუ არა უფლებადამდგენ ნორმას. შესაბამისად, სასამართლოს პრაქტიკაში არ გვხვდება პოზიცია კონსტიტუციის 27-ე მუხლით ავტონომიურად დაცული სფეროს ფარგლების შესახებ.

1.1. კონსტიტუციის 27-ე მუხლი სასამართლოს პრაქტიკაში

კონსტიტუციის 27-ე მუხლს ძირითადად ეყრდნობა მოპასუხე მხარე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დასაბუთების პროცესში. საკონსტიტუციო სასამართლომ 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებაში მიუთითა: „მოქალაქეობა ზოგიერთი უფლების კონტექსტში გონივრული საფუძველია უცხოელთა და საქართველოს მოქალაქეთა დიფერენცირებული მოპყრობისთვის. ამ თვალსაზრისით, ზოგად საფუძველს ქმნის საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლი, რომელიც ფართო დისკრეციას ანიჭებს სახელმწიფოს, შეზღუდოს უცხოელების პოლიტიკური საქმიანობა“.¹⁰⁸⁰ აღნიშნული ფართო დისკრეცია განაპირობებს იმას, რომ უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვისათვის სახელმწიფოს შედარებით ნაკლები დასაბუთება მოეთხოვება უცხოელთა სხვა უფლებების შეზღუდვასთან შედარებით.

საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის შინაარსის განსაზღვრისას საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად მიმიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩივანულია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. აღნიშნულ საქმეში „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის სხვადასხვა ნორმებთან

¹⁰⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.5;

ერთად, დავის საგანს წარმოადგენდა ნორმა, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოქალაქეობის არქმონე პირები არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზებაზე და ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირები. ზემოაღნიშნული კანონის თანახმად, „პასუხისმგებელ პირებად“ ითვლებოდნენ შეკრების ან მანიფესტაციის რწმუნებული და ორგანიზატორი. თავის მხრივ, რწმუნებულად განიხილებოდა შეკრებისა და მანიფესტაციის ინიციატორის მიერ ნდობით აღჭურვილი პირი, ხოლო ორგანიზატორად – აქციის ორგანიზების ხელმძღვანელობისათვის გამოყოფილი პირი.

აღნიშნულ საქმეში მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცულია ყველა ადამიანის უფლება მშვიდობიან შეკრებაზე, რაც თავის თავში მოიაზრებს უფლებას იყო შეკრების რწმუნებული და ორგანიზატორი. ამავე დროს, ყველა შეკრება არ არის პოლიტიკური ხასიათის და, შესაბამისად, არ შეიძლება კონსტიტუციის 27-ე მუხლიდან გამომდინარე გამართლდეს საქართველოს მოქალაქეობის არქმონე პირთა შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზატორად და რწმუნებულად ყოფნის ბლანკეტური, ნებისმიერ ხასიათის შეკრებასთან მიმართებით დადგენილი აკრძალვა. მოპასუხე მხარე მიიჩნევდა, რომ შეკრება შეიძლება იყოს როგორც პოლიტიკური, ასევე არაპოლიტიკური შინაარსის, მაგრამ შეკრების ორგანიზებასთან დაკავშირებული საქმიანობა ყველა შემთხვევაში პოლიტიკურ საქმიანობად უნდა შეფასდეს. შესაბამისად, კონსტიტუციის 25-ე მუხლში ჩარევა გამართლებული იყო კონსტიტუციის 27-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც კანონმდებელს აძლევს უფლებას, შეზღუდოს საქართველოს მოქალაქეობის არქმონე პირთა პოლიტიკური საქმიანობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო გარკვეულწილად კონსტიტუციის 27-ე მუხლის შინაარსის განმარტების საჭიროების წინაშე აღმოჩნდა. ამავე დროს მას პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე, შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზატორად ან რწმუნებულად ყოფნა, ყოველთვის პოლიტიკურ საქმიანობას წარმოადგენდა თუ არა. სასამართლო ამ საქმეში არ დამდგარა ტერმინ „პოლიტიკური საქმიანობის“ შინაარსის ამომწურავი განმარტების წინაშე და, შესაბამისად, ეს არც გაუკეთებია, თუმცა შეკრებისა და მანიფესტაციის კონტექსტში მიუთითა, რომ „გარკვეულ შემთხვევაში, შეკრების ორგანიზება, ისევე როგორც მისი ინიცირება და მასში მონაწილეობა, შეიძლება უკავშირდებოდეს პირის პოლიტიკურ საქმიანობას, ამ საქმიანობის ერთ-ერთი ელემენტი იყოს. შეკრება (მანიფესტაცია) შესაძლოა წარმოადგენდეს პოლიტიკური ბრძოლის იარაღს, რომელსაც პოლიტიკური საქმიანობით დაკავებული პირი (ორგანიზაცია) საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებს. სასამართლო იზიარებს მოპასუხის პოზიციას, რომ ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო უფლებამოსილია, საქართველოს მოქალაქეობის არქმონე პირი შეზღუდოს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების რეალიზებაში“¹⁰⁸¹.

¹⁰⁸¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად მიდიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.124;

აღნიშნული განმარტებიდან, სავარაუდოდ, იკითხება სასამართლოს პოზიცია იმის შესახებ, თუ რა შემთხვევაში უნდა მივიჩნიოთ შეკრების უფლების რეალიზება პოლიტიკურ საქმიანობად. თუ შეკრებას (მანიფესტაციას) პირი პოლიტიკური ბრძოლის იარაღად, პოლიტიკური მიზნების მისაღწევად იყენებს, ასეთი შეკრების ორგანიზება, ისევე როგორც მისი ინიცირება და მასში მონაწილეობა, შეიძლება, განიხილებოდეს პირის პოლიტიკურ საქმიანობად. აღნიშნული განმარტებით, პრინციპში, სასამართლოს უფლების შეზღუდვის თვალსაზრისით ერთმანეთისაგან არ გაუმიჯნავს შეკრებაში მონაწილეობა, ორგანიზება და ინიცირება. სასამართლომ მიუთითა, რომ გარკვეულ შემთხვევებში პოლიტიკური ხასიათის შეკრებების არა თუ ორგანიზება, არამედ მასში მონაწილეობაც შეიძლება აკრძალვოდეს საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებს, თუკი მათი ეს აქტივობა განხილული იქნება პოლიტიკურ საქმიანობად.

აღნიშნული მსჯელობის მიუხედავად, სასამართლომ სადავო ნორმა მაინც არაკონსტიტუციურად სცნო და მიუთითა: „სასამართლო ვერ გაიზიარებს მოპასუხის არგუმენტს, რომ შეკრების (მანიფესტაციის) ორგანიზება, ყველა შემთხვევაში, უკავშირდება პირის პოლიტიკურ საქმიანობას. შეკრება (მანიფესტაცია) როგორც აზრის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა, შეიძლება უკავშირდებოდეს ადამიანის სამოქალაქო ან საზოგადოებრივ პოზიციას, მის შეხედულებებს, მათ შორის მის პოლიტიკურ მრწამსს, მაგრამ ყოველთვის არ იყოს პოლიტიკური საქმიანობის ნაწილი. შეკრება და მანიფესტაცია აზრის გამოხატვის შესაძლებლობას საკითხების მრავალფეროვანი სპექტრის მიმართ იძლევა, ამიტომ შეცდომა იქნება, რომ შეკრების (მანიფესტაციის) ორგანიზება ყველა შემთხვევაში პოლიტიკურ საქმიანობასთან გავათანაბროთ. საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირის საქმიანობა შესაძლებელია პოლიტიკური საქმიანობის კონტექსტში იქნეს განხილული, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული გარემოებებიდან, შეკრების (მანიფესტაციის) შინაარსიდან, ორგანიზატორებისა და ინიციატორების მიზნებიდან გამომდინარე“¹⁰⁸².

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობს ისეთი შეკრებები, რომელთა ორგანიზება პოლიტიკურ საქმიანობად ვერ იქნება განხილული. შეკრების ორგანიზება, პოლიტიკური საქმიანობა არის თუ არა, ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს შეკრების შინაარსიდან, მისი ინიციატორის მიზნებიდან გამომდინარე, შესაბამისად, სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმა, რადგან იგი საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებს უკრძალავდა ორგანიზატორად და რწმუნებულად ყოფნის უფლებას ნებისმიერი ხასიათის შეკრებასთან და მანიფესტაციასთან მიმართებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, გასაგებია, რა შეიძლება განიხილებოდეს შეკრების უფლების რეალიზების პროცესში პოლიტიკურ საქმიანობად. თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ პოლიტიკურ საქმიანობა არ არის დაკავშირებული მხოლოდ შეკრების უფლებასთან, მისი შინაარსი უფრო

¹⁰⁸² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.125;

ფართო და ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ფარავს. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვის შესახებ, საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის მსგავსი დათქმა გვხვდება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-16 მუხლში, თუმცა პოლიტიკური საქმიანობის ფართო და მრავალმხრივი განმარტებით, არც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა გამოირჩევა.

2. სუბიექტი

საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ფაქტობრივად არ არსებობის გამო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის სუბიექტი, როგორც ცალკე აღებული, არ აქვს განმარტებული. თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ზემოთ აღნიშნულ გადაწყვეტილებებში სასამართლო ფაქტობრივად შეეხო ამ მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებსაც.

3. დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის არარსებობის გამო, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობისა და, შესაბამისად, კონსტიტუციის 27-ე მუხლის შინაარსის უფრო ფართო განმარტებას საკონსტიტუციო სასამართლოს მომავალ გადაწყვეტილებებში უნდა ველოდოთ.

4. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები:

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები _ ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება/

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივლისის #1/466 გადაწყვეტილება/

მუხლი 28

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება.
2. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული.

(საქართველოს 2011 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი #5630 - ვებგვერდი, 09.01.2012წ.)

შესავალი

1. დაცული სფერო
- 1.1. უფლების შეზღუდვა
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია არჩევნებთან დაკავშირებით
3. სუბიექტი
4. დასკვნა
5. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 28-ე მუხლთან მიმართებით განიხილა

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლში განმტკიცებულია საყოველთაო საარჩევნო უფლება. ადამიანის უფლება, მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის მართვაში, დემოკრატიის უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს და მისი არსებობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ხალხი თავის მმართველობას ახორციელებს აქტიური ან/და პასიური საარჩევნო უფლების საფუძველზე. „ეს უფლება გათვალისწინებულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლით და პირდაპირ გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებიდან, რომელთა ძალითაც, „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი“, ხოლო „ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით“¹⁰⁸³. ქვეყანაში თითოეული მოქალაქის საარჩევნო უფლების დაცვა და დემოკრატიული, სამართლიანი არჩევნების ჩატარება, ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. თავისუფალი, სამართლიანი არჩევნები კი დემოკრატიული განვითარების უმთავრესი წინაპირობაა.

1. დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლით დაცულია საქართველოს მოქალაქის უფლება მონაწილეობა მიიღოს რეფერენდუმში, ადგილობრივი და სახელმწიფო ორგანოების არჩევნებში. აღნიშნული თავისთავში მოიაზრებს ადამიანის შესაძლებლობას, ნების თავისუფალი გამოვლინების საშუალებით აირჩიოს ხელისუფლება. „საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს აქტიური საარჩევნო უფლება. მას, როგორც ამომრჩეველს, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში – მისცეს ხმა და აირჩიოს სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოები“¹⁰⁸⁴. მეორე მხრივ, კონსტიტუციის 28-ე მუხლი განამტკიცებს მოქალაქის პასიურ საარჩევნო უფლებას, რომელიც მას საშუალებას აძლევს, არჩევნების საფუძველზე, არჩეული იყოს ამა თუ იმ სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში (თანამდებობაზე)¹⁰⁸⁵.

უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირების წესი კავშირში არ არის კონსტიტუციის 28-ე მუხლით დაცულ უფლებასთან. საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მანგული ხუბუა, სოსო ლაგვილავა, შალვა შანიძე და ლაშა გვასალია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ დავის საგანს წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების მარეგულირებელი ნორმების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 28-ე

¹⁰⁸³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 24 იანვრის #1/1/257,268 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – გურამ სანაძე და ირაკლი კოტეტიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.III;

¹⁰⁸⁴ იქვე;

¹⁰⁸⁵ იქვე; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 9 ივლისის #2/3/250-269 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტიის თავმჯდომარე თემურ ჟორჟოლიანი და ივორ გიორგაძის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.2;

მუხლთან. მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ ადმინისტრაციის ფორმირების არაკონსტიტუციური წესი მათ ართმევდა საშუალებას ნების თავისუფალი გამოვლინების საფუძველზე აერჩიათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანამდებობის პირები. საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნული მსჯელობა, არ მიიღო სარჩელი არსებითად განსახილველად და მიუთითა რომ „უსაფუძვლოა“ საქართველოს საარჩევნო კოდექსის” სადავო დებულებების მიმართება საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველ ნაწილთან. კონსტიტუციის აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს, რომ „საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება“. კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება განსაზღვრავს საქართველოს მოქალაქეების აქტიურ უფლებას მონაწილეობა მიიღონ საქართველოში ჩატარებულ რეფერენდუმში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში, რაც არანაირ კავშირში არ არის ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებასთან. რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებას, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნულ შემთხვევაშიც საკითხი შეეხება არჩევნების ჩატარებას საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგია ვერ დაეთანხმება მოსარჩელე მხარის განცხადებას, რომ კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულებაში – „უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება“ – იგულისხმება, აგრეთვე საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირების წესიც.¹⁰⁸⁶

1.1. უფლების შეზღუდვა

საარჩევნო უფლებასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა არ არის განსაკუთრებით მდიდარი, ამის მიუხედავად, გვხვდება გადაწყვეტილებები, რომლებიც იძლევა ამ უფლების ხასიათზე, მის შეზღუდვის წესსა და დაცვის გარანტიებზე მსჯელობის შესაძლებლობას.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის 28-ე მუხლით დაცული უფლება არც პასიური და არც აქტიური საარჩევნო უფლების თვალსაზრისით არ არის აბსოლუტური ხასიათის. იგი შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ შეზღუდვას, რომელიც აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი, ლეგიტიმური კონსტიტუციური მიზნების მისაღწევად. 2004 წლის 9 ივლისის #2/3/250-269 გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ „კონსტიტუციის 28-ე მუხლით აღიარებულია არჩევნებში მონაწილეობის უფლება და ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება. მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლო იმასაც აღნიშნავს, რომ სამართლებრივი

¹⁰⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 13 ოქტომბრის #2/15/247 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები მანგული ხუბუა, სოსო ლავგილავა, შალვა შანიძე და ლაშა გვასალია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ვ.2;

ქვეყნების საარჩევნო პრაქტიკიდან გამომდინარე, სახელმწიფოს საარჩევნო უფლების განხორციელებაზე შეზღუდვების დადგენის ფართო ზღვარი აქვს მინიჭებული. მას შეუძლია შეზღუდვას დაუქვემდებაროს როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლება, თუმცა, ეს შეზღუდვები თვითნებური არ უნდა იყოს. თავისუფალი არჩევნების უფლების განხორციელებაზე შეზღუდვები დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გონივრულია“.¹⁰⁸⁷ აღნიშნულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ კონსტიტუციის 28-ე მუხლით დაცული უფლება შეზღუდვადი უფლებაა, თუმცა, მხოლოდ გონივრული, არათვითნებური რეგულაციის საშუალებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ საარჩევნო უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურობა შეაფასა საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გურამ სანაძე და ირაკლი კოტეტიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“,¹⁰⁸⁸ სადაც დავის საგანს წარმოადგენდა საარჩევნო კოდექსის ნორმა, რომლის თანახმადაც იკრძალებოდა ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანა არჩევნების დღემდე ბოლო 10 დღის განმავლობაში, ხოლო არჩევნებამდე მე-19–დან მე-10 დღემდე ცვლილება შეიტანებოდა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველი არ აღმოჩნდებოდა საარჩევნო სიაში და ხარვეზის გამოსწორებას არჩევნებამდე 20 დღით ადრე არ მოითხოვდა ან არჩევნების დღემდე მე-19–დან მე-10 დღის პერიოდში სასამართლოს გადაწყვეტილებით არ მოახდებოდა სიაში ხარვეზის გასწორება, იგი კარგავდა აქტიურ საარჩევნო უფლებას. მოსარჩელე ასეთ შეზღუდვას არაგონივრულად მიჩნევდა და მის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვდა საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ მიუხედავად საყოველთაო საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის სათანადო პროცედურული წესების დადგენის საჭიროების არსებობისა, სახელმწიფომ ისეთი რეგულაციები არ უნდა შემოიღოს, რომელიც მოქალაქის აქტიური საარჩევნო უფლების დაუსაბუთებელ, უსაფუძვლო შეზღუდვას გამოიწვევს. საარჩევნო უფლების განხორციელებაზე შეზღუდვები დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გონივრულია. სასამართლომ განაცხადა: „საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლი წარმოადგენს საარჩევნო უფლების თვითნებური და დაუსაბუთებელი შეზღუდვების დაწესებისაგან თავის დაცვის გარანტიას. ... საყოველთაო საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის საჭიროა სათანადო პროპორციული წესების დადგენა, მაგრამ ამან არ უნდა გამოიწვიოს მოქალაქის აქტიური საარჩევნო უფლების დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო შეზღუდვა“.¹⁰⁸⁹

გონივრულობა კი განხილული საქმიდან გამომდინარე, უნდა შეფასებულიყო პროპორციულობის პრინციპზე დაყრდნობით და ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაციის მხედველობაში მიღებით. სასამართლომ განაცხადა: „საარჩევნო უფლების განხორციელებაზე შეზღუდვები

¹⁰⁸⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 9 ივლისის #2/3/250-269 გადაწყვეტილება, პ.2;

¹⁰⁸⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 24 იანვრის #1/1/257,268 გადაწყვეტილება, პ.III;

¹⁰⁸⁹ იქვე;

დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გონივრულია. გონივრულობა კი განხილული საქმიდან გამომდინარე, შეიძლება შეფასდეს პროპორციულობის პრინციპზე დაყრდნობით და ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაციის მხედველობაში მიღებით“.¹⁰⁹⁰

აღნიშნულ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ ისაუბრა საარჩევნო უფლების რეალიზების თვალსაზრისით ამომრჩეველთა სიის სიზუსტის მნიშვნელობაზე. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ პირის ამომრჩეველთა სიაში შეყვანა უშუალოდ არის დაკავშირებული მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებასთან – მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული აქტიური საარჩევნო უფლების რეალიზაცია ხმის მიცემით ხდება. ამის წინაპირობას კი, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, წარმოადგენდა მოქალაქის რეგისტრაცია საარჩევნო სიაში. საკონსტიტუციო სასამართლომ აქტიური საარჩევნო უფლებით სარგებლობის საფუძვლად განიხილა მოქალაქის შეყვანა ამომრჩეველთა ერთიან სიაში. ამავე დროს, სასამართლომ აღნიშნა, რომ საარჩევნო სიების ფორმირება სახელმწიფო ხელისუფლების მოვალეობაა და მათი მიზნით მოქალაქის ამომრჩეველთა საერთო სიაში არშეყვანა, უფლების შეზღუდვის გაუმართლებელ საფუძვლად მიიჩნია. საკონსტიტუციო სასამართლომ, მოპასუხის მიერ არჩევნების გაყალბების თავიდან აცილების ლეგიტიმურ მიზანზე მითითების მიუხედავად, სადავო ნორმა საარჩევნო უფლებით სარგებლობისათვის ხელოვნურად შექმნილ ბარიერად მიიჩნია.¹⁰⁹¹

საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, სახელმწიფოს სადავო ნორმით დაწესებული შეზღუდვის ნაცვლად უნდა გამოენახა არჩევნების გაყალბების თავიდან აცილების შესაფერისი, ცივილიზებული საშუალება. სადავო რეგულაცია მნიშვნელოვნად ზღუდავდა ან/და სულაც შეუძლებელს ხდიდა ამომრჩევლის არჩევნებში მონაწილეობას. არჩევნების გაყალბებასთან ბრძოლა არამც და არამც არ უნდა ხდებოდეს საერთოდ მოქალაქეთა უფლებებისა და, მით უფრო – ძირითადი, კონსტიტუციური უფლებების დარღვევის ხარჯზე. საარჩევნო კოდექსი უნდა იძლეოდეს შესაბამისი კონსტიტუციური უფლების არა ფორმალურად, არამედ რეალურად განხორციელების შესაძლებლობას.¹⁰⁹² ხსენებული საფუძვლების გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად სცნო.

აღნიშნული გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად მიუთითა, რომ საარჩევნო რეგულაციები უნდა იყოს, ერთი მხრივ, ეფექტური და მეორე მხრივ, ამომრჩეველთათვის მინიმალურად შემზღუდველი. ყველა საკანონმდებლო ბარიერი, რაც შეიძლება საარჩევნო უფლების რეალიზებას დაუკავშირდეს უნდა იყოს აუცილებელი. სახელმწიფომ ისე უნდა დაარეგულიროს საარჩევნო პროცესი, რომ ამომრჩეველს ჰქონდეს უფლების ეფექტურად რეალიზების საშუალება.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში გვხვდება საქმე, რომელიც

¹⁰⁹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 24 იანვრის #1/1/257,268 გადაწყვეტილება, პ.III.;

¹⁰⁹¹ იქვე;

¹⁰⁹² იქვე;

შეეხება აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების უფლებას მაჟორიტარული სისტემით აირჩიონ პარლამენტის წევრი. კერძოდ, საქმეზე „მოქალაქეები-ბესარიონ ფანცულაია, ელგუჯა გულედანი, ჯემალ მიქელაძე, მურმან ზაქარაია და მანგული ხუბუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“¹⁰⁹³ საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა საარჩევნო კოდექსის იმ ნორმის კონსტიტუციურობაზე, რომელიც აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს არ აძლევდა შესაძლებლობას, მონაწილეობა მიეღოთ მაჟორიტარულ წესით ჩატარებულ პარლამენტის წევრის არჩევნებში. აღნიშნული შეზღუდვა განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს, თავისი სტატუსიდან გამომდინარე, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არ გააჩნდათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ხოლო კანონმდებლობა არ იძლეოდა მაჟორიტარი პარლამენტარის დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არჩევის შესაძლებლობას.

აღნიშნულ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა საკითხი რამოდენიმე წლის განმავლობაში კონკრეტულ მისამართზე ცხოვრების ფაქტი რამდენად აძლევდა დევნილებს უფლებას მათი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით აერჩიათ პარლამენტის წევრი მაჟორიტარული სისტემით.

საქმის გადაწყვეტისას საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა რამდენიმე საკითხზე. სასამართლომ უპირველეს ყოვლისა, აღნიშნა, რომ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს ის განსაკუთრებული ვითარება, რომელშიც აღმოჩნდა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა, რომელიც დღემდე თავის საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებას მოითხოვს. ასეთ ვითარებაში არჩევნებში მათი მონაწილეობის წესი შეიძლება არ დაემთხვეს ნორმალურ სიტუაციაში არჩევნების ჩატარების დროს დადგენილ წესს, ხელი შეემალოს საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის სრულად ამოქმედებას. ამავე დროს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ 1992 წელს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩატარებული არჩევნების შედეგად დევნილმა მოსახლეობამ აირჩია მათი წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტში, რომელთაც 2-ჯერ 1995 და 1999 წლებში გაუგრძელდათ პარლამენტის წევრის უფლებამოსილება და ისინი საკონსტიტუციო სასამართლოში ამ გადაწყვეტილების მიღების დროსაც პარლამენტის წევრები იყვნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს საქართველოს პარლამენტში ჰყავთ წარმომადგენლები, მათ შორის მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატები, რომლებიც არჩეული არიან ავტონომიური რესპუბლიკის მცხოვრებთა მონაწილეობით საქართველოს იურისდიქციის დარღვევამდე. ამ პირობებში ერთმანდატიანი ოლქის არჩევნებში დევნილთა მონაწილეობას და კიდევ ერთი მაჟორიტარის არჩევას, ამომრჩეველზე ერთი ხმის უფლების დარღვევა მოჰყვებოდა, რაც ყველა ამომრჩეველის თანასწორობის პრინციპის დარღვევას გამოიწვევდა.¹⁰⁹⁴

¹⁰⁹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 21 დეკემბრის #2/97/3 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეები-ბესარიონ ფანცულაია, ელგუჯა გულედანი, ჯემალ მიქელაძე, მურმან ზაქარაია და მანგული ხუბუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁰⁹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 21 დეკემბრის #2/97/3 გადაწყვეტილება, პ.2;

ამის პარალელურად საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მაჟორიტარული სისტემის პარლამენტის წევრის არჩევის წესზე, კერძოდ, „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის 15-ე მუხლის შესაბამისად, ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქები იქმნება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის გათვალისწინებით. ხოლო – ყოველ მაჟორიტარულ ოლქში პარლამენტის წევრს მაჟორიტარული სისტემით ირჩევენ ამ ოლქის მცხოვრებლები.¹⁰⁹⁵

იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები სარგებლობენ დევნილთა სტატუსით და სახელმწიფოს მხრიდან იღებენ დახმარებას, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მათი საცხოვრებელი ადგილი აფხაზეთის ტერიტორიაა. აღნიშნულ ტერიტორიაზე საქართველო კონტროლს ვერ ახორციელებს, შესაბამისად, მაჟორიტარული არჩევნების ჩატარება დევნილთა მონაწილეობით არ არის შესაძლებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვით მაჟორიტარული არჩევნების გაგება აზრს დაკარგავდა, ვინაიდან, იგი ადგილებზე არჩევნებს გულისხმობს. საკონსტიტუციო სასამართლომ ამ გარემოებებზე დაყრდნობით არ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა.¹⁰⁹⁶

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში საგულისხმო არამდენიმე საკითხი, უპირველეს ყოვლისა, საკონსტიტუციო სასამართლომ 2000 წლის გადაწყვეტილებით დევნილთა საარჩევნო უფლების რეალიზებისათვის საკმარისად ჩათვალა ის ფაქტი, რომ მათ 1992 წელს აირჩიეს პარლამენტის წევრები. საკონსტიტუციო სასამართლომ, როგორც ჩანს, უფლების ეფექტური რეალიზების თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა არ მიანიჭა იმ ფაქტს, რომ კონსტიტუცია პარლამენტის არჩევნების 4 წელიწადში ერთხელ ჩატარებას ადგენს. თუმცა, აქ ისიც საგულისხმოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასება მოახდინა აფხაზეთიდან დევნილთა არაორდინალური მდგომარეობის გათვალისწინებით. ასეთი მდგომარეობის არარსებობის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო, შესაძლოა, სხვა დასკვნამდეც მისულიყო.

ამ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა პარლამენტის წევრების მაჟორიტარული სისტემით არჩევის წესი და მიუთითა, რომ იგი გარკვეულ ტერიტორიულ ადგილებზე პარლამენტარების არჩევას გულისხმობს. ამავე დროს საკონსტიტუციო სასამართლო შეეხო ერთ პირზე ერთი საარჩევნო ხმის პრინციპს და აღნიშნული თანასწორობის კონსტიტუციური უფლების ნაწილად დაინახა.

პასიურ საარჩევნო უფლებასთან დაკავშირებით, საინტერესოა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტიის თავმჯდომარე თემურ ჟორჟოლიანი და იგორ გიორგაძის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“¹⁰⁹⁷. აღნიშნულ საქმეზე დავის

¹⁰⁹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 21 დეკემბრის #2/97/3 გადაწყვეტილება, პ.3;

¹⁰⁹⁶ იქვე;

¹⁰⁹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 9 ივლისის #2/3/250-269 გადაწყვეტილება;

საგანს წარმოადგენდა საარჩევნო კოდექსის ნორმა, რომელიც ადგენდა საარჩევნო ცენზს საქართველოს პარლამენტის წევრებისათვის. კერძოდ საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევისათვის აუცილებელი იყოს პირს ჰქონოდა საქართველოში მუდმივად ცხოვრების 10 წლიანი ცენზი. მოსარჩლე მიიჩნევდა, რომ აღნიშნული დანაწესი ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის 28-ე და 29-ე მუხლებს, ვინაიდან ადგენდა პასიური საარჩევნო უფლების არაგონივრულ შეზღუდვას.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „საარჩევნო ცენზი საარჩევნო სამართლის ერთ-ერთ ძირითად ინსტიტუტს წარმოადგენს და მისი მეშვეობით ხდება კონკრეტულ ქვეყანაში საარჩევნო პროცედურების სრულყოფილად წარმართვა. ეჭვგარეშეა, რომ პრაქტიკულად ყველა ქვეყნის კონსტიტუცია და კანონმდებლობა შეიცავს მითითებებს მისი მოქალაქეების საარჩევნო უფლების გარკვეულ შეზღუდვებთან დაკავშირებით და აწესებს სხვადასხვა სახის საარჩევნო ცენზებს. რაც შეეხება, თავად საარჩევნო ცენზის დანიშნულებას, უნდა ითქვას, რომ იგი არ მიიჩნევა და არც შეიძლება მიჩნეულ იქნეს არადემოკრატიულობის მაჩვენებლად. ვინაიდან, ქვეყანაში, სადაც არ არის დაწესებული არც ერთი სახის საარჩევნო ცენზი (და ასეთი ქვეყანა არ არსებობს), წარმოუდგენელია ნორმალური საარჩევნო პროცესის ჩატარება. ქვეყანაში საარჩევნო ცენზების არარსებობა უდავოდ გამოიწვევს სრულ ქაოსს საარჩევნო პროცესებთან მიმართებაში, თავად არჩევნების ჩატარების შეუძლებლობის ჩათვლით“.¹⁰⁹⁸ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ გამართლებულად მიიჩნია კონსტიტუციის 28-ე მუხლის შეზღუდვა.

2. საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია არჩევნებთან დაკავშირებით

არჩევნებთან (რეფერენდუმთან) დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოში დავა შეიძლება წარმართოს ორი განსხვავებული კომპეტენციის ფარგლებში, კერძოდ კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს „რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას“. საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული კომპეტენციის ფარგლებში შეიძლება მიმართოს საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთმა მეხუთედმა, საქართველოს პრეზიდენტმა ან საქართველოს სახალხო დამცველმა¹⁰⁹⁹. ამავე დროს, კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია, რომლის ფარგლებშიც იგი ამოწმებს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით. აღნიშნული

¹⁰⁹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 9 ივლისის #2/3/250-269 გადაწყვეტილება, პ.1;

¹⁰⁹⁹ საქართველოს ორგანული კანონი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 36-ე მუხლის პირველი პუნქტი;

კომპეტენციის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის უფლება გააჩნია ნებისმიერ პირს, თუ იგი მიიჩნევს, რომ სადავო ნორმატიული აქტით დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მისი უფლებანი და თავისუფლებანი.¹¹⁰⁰

აღნიშნული ორი კომპეტენცია, მსგავსების მიუხედავად, ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. შესაბამისად, მოსარჩელებების მიერ მათი აღრევა შეიძლება ხშირად სარჩელის არსებითად განსახილველად არმიღების საფუძველი გახდეს. კერძოდ, ფიზიკური პირი უფლებამოსილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართოს და იდავოს მხოლოდ ნორმატიული აქტის (მათ შორის არჩევნების მომწესრიგებელი ნორმატიული აქტების) კონსტიტუციის მე-2 თავთან (ამ შემთხვევაში 28-ე მუხლთან) შეუსაბამობის მოტივით. ხოლო არჩევნების მომწესრიგებელი ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან (ნებისმიერ მუხლთან) შესაბამისობის დადგენის და ამავე დროს, მათ საფუძველზე ჩატარებული არჩევნების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნის უფლება მხოლოდ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მეხუთედს, პრეზიდენტს და სახალხო დამცველს აქვთ. ამთავალსაზრისით საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ავთანდილ კახნიაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ“.¹¹⁰¹ აღნიშნული დავის ფარგლებში მოსარჩელე ფიზიკური პირი ითხოვდა საარჩევნო კოდექსის რამოდენიმე ნორმის და მათ საფუძველზე ჩატარებული არჩევნების არაკონსტიტუციურად ცნობას კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველ, 44-ე მუხლის პირველ და 85-ე მუხლის პირველ პუნქტებთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო სარჩელი არსებითად განსახილველად, ვინაიდან იგი თავისი შინაარსით წარმოადგენდა დავას არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობის თაობაზე¹¹⁰², აღნიშნული კომპეტენციის ფარგლებში კი ფიზიკური პირი საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის სათანადო სუბიექტს არ წარმოადგენს¹¹⁰³.

3. სუბიექტი

ბევრი სხვა უფლებისაგან განსხვავებით, კონსტიტუციის 28-ე მუხლი არ ადგენს გარანტიებს ნებისმიერი პირისათვის, ამ უფლების დაცვის სუბიექტი მხოლოდ საქართველოს მოქალაქეა. ამავე დროს, იგი ცალსახად მიუთითებს, რომ საარჩევნო უფლება არ გააჩნია 18 წელს მიუღწეველ პირს და იმ პირებს, რომლებიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით

¹¹⁰⁰ საქართველოს ორგანული კანონი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი;

¹¹⁰¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის #16/455 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ავთანდილ კახნიაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ;

¹¹⁰² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის #16/455 განჩინება, II.3.3;

¹¹⁰³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის #16/455 განჩინება, II.3.5;

იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში (გარდა იმ პირისა, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული). უფლების სუბიექტობის თვალსაზრისით საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შალვა რამიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

აღნიშნულ საქმეზე მოსარჩელე, რომელიც სასამართლოს განაჩენით იმყოფებოდა სასჯელადსრულებით დაწესებულებაში, მიიჩნევდა, რომ მას უნდა ჰქონოდა არჩევნებში ხმის მიცემის უფლება. იგი მიუთითებდა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლში გადმოცემული ნამდვილი აზრის გასაგებად საჭიროა არა მხოლოდ გრამატიკული, არამედ სისტემური ანალიზის გამოყენებაც.

მოსარჩელე იშველიებდა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას, რომლის თანახმადაც, კონსტიტუციის მე-7 მუხლი წარმოადგენს თანაზომიერების პრინციპის საფუძველს. შესაბამისად, მიუთითებდა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის ინტერპრეტაცია, უნდა მოხდეს მე-7 მუხლის გათვალისწინებით, შემდეგი შინაარსით „არჩევნებში და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არ აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ცნო ქმედუწუნაროდ ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელადსრულების დაწესებულებაში, რამდენადაც ეს აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად დემოკრატიულ საზოგადოებაში“.¹¹⁰⁴ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სასჯელადსრულების დაწესებულებაში მყოფი პირებისათვის აქტიური საარჩევნო უფლების ყოველი შეზღუდვა პროპორციულობის პრინციპის დაცვით უნდა მოხდეს და ყველა მათგანს არ უნდა აეკრძალოს არჩევნებში ხმის მიცემა.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია და მიუთითა, რომ „კონსტიტუცია მკაფიოდ ადგენს, რომ სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში სასამართლოს განაჩენით მყოფ მოქალაქეს „არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს“¹¹⁰⁵ ამ ჩანაწერით კანონმდებელს მოეჭრა საარჩევნო უფლების სუბიექტთა წრის გაფართოების გზა ... 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი ისახავს მკაფიო მიზანს – საარჩევნო უფლების მქონე პირთა წრიდან გამორიცხოს მოქალაქე, რომელიც სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში. ალოგიკურია ამ ჩანაწერის ფართო გაგება. მას ნათლად ჩამოყალიბებული იმპერატიული, ამკრძალავი ხასიათი აქვს და გამორიცხავს თავისუფალი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას“.¹¹⁰⁶ ამ მსჯელობით საკონსტიტუციო სასამართლომ არ

¹¹⁰⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის #2/1/431 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე შალვა რამიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I.პ.5;

¹¹⁰⁵ საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი შეიცვალა 2011 წლის დეკემბერში, ახალი რედაქციით, არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცათ იმ პირებს, რომლებიც იმყოფებიან სასჯელადსრულებით დაწესებულებაში, თუმცა, ჩადენილი აქვთ ნაკლებად მძიმე დანაშაული. 2011 წლის დეკემბრამდე კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის რედაქცია შემდეგი იყო: „არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ცნო ქმედუწუნაროდ ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში“;

¹¹⁰⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის #2/1/431 განჩინება, II.პ.2,4;

გამოიყენა თანაზომიერების პრინციპი სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შესამოწმებლად, რითაც ფაქტობრივად განაგრძო მანამდე არსებული პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, თანაზომიერების პრინციპი გამოიყენება კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის პროპორციულობის შესაფასებლად, იმისათვის, რომ პირს კონსტიტუციური უფლება კანონით შეეზღუდოს, მას ეს უფლება კონსტიტუციიდან გამომდინარე უნდა გააჩნდეს, ანუ იგი უნდა იყოს უფლების სუბიექტი. თუ პირი უფლების სუბიექტი არ არის, მაშინ მას ეს კონსტიტუციური უფლება არ გააჩნია, შესაბამისად მისთვის ამ უფლების შეზღუდვის პროპორციულობაზე მსჯელობა ზედმეტია.

კონსტიტუციის 28-ე მუხლში მითითებული პირების საარჩევნო უფლების სუბიექტთა წრიდან გამორიცხვას, მათთვის უფლების არმინიჭებასთან ერთად, გააჩნია სხვა დატვირთვაც. კერძოდ, კონსტიტუციის 28-ე მუხლი ისეთ საარჩევნო სისტემას ამკვიდრებს, რომელშიც ქმედუუნარო, ან მძიმე დანაშაულის გამო სასჯელადსრულებით დაწესებულებაში მყოფ პირებს არჩევნებში მონაწილეობა ეკრძალებათ. კანონმდებელი მოკლებულია შესაძლებლობას კანონით გააფართოვოს საარჩევნო უფლების მქონე პირთა წრე. ამ თვალსაზრისით, კონსტიტუციის 28-ე მუხლი ამკრძალავი ხასიათისაა.

4. დასკვნა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

- საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლი იცავს საქართველოს მოქალაქის როგორც პასიურ (არჩეული იქნას სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში) ისევე აქტიურ (აირჩიოს სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამდებობის პირები) საარჩევნო უფლებას;
- არჩევნების გაყალბებასთან ბრძოლა არ უნდა ხდებოდეს საერთოდ მოქალაქეთა უფლებებისა და, მით უფრო – ძირითადი, კონსტიტუციური უფლებების დარღვევის ხარჯზე;
- საარჩევნო კოდექსი უნდა იძლეოდეს შესაბამისი კონსტიტუციური უფლების არა ფორმალურად, არამედ რეალურად განხორციელების შესაძლებლობას;
- საყოველთაო საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის საჭიროა სათანადო პროპორციული წესების დადგენა, მაგრამ ამან არ უნდა გამოიწვიოს მოქალაქის აქტიური საარჩევნო უფლების დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო შეზღუდვა;
- საარჩევნო უფლებით არ სარგებლობენ 18 წლამდე მოქალაქეები, ასევე ქვედუუნაროდ ცნობილი, ან სასამართლოს გადაწყვეტილების სასჯელადსრულებით დაწესებულებაში მყოფი პირები (გარდა იმ პირებისა რომლებმაც ჩაიდინეს ნაკლებად მძიმე დანაშაული);
- საარჩევნო უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის, შეზღუდვადია როგორც პასიური ისევე აქტიური საარჩევნო უფლება, თუმცა ეს შეზღუდვები გონივრული და არათვითნებური უნდა იყოს;

- საარჩევნო ცენზების დაწესება არ წარმოადგენს პასიური საარჩევნო უფლების შეზღუდვის არადემოკრატიულ მაჩვენებელს;
- ნებისმიერ პირი უფლებამოსილია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვოს არჩევნების მარეგლამენტირებელი ნორმატიული აქტების არაკონსტიტუციურად ცნობა კონსტიტუციის 28-ე მუხლთან მიმართებით, ხოლო, საარჩევნო ნორმების და მის საფუძვლზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს შეიძლება მიმართოს მხოლოდ პრეზიდენტმა, სახალხო დამცველმა ან/და პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლება ერთმა მეხუთედმა.

5. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 28-ე მუხლთან მიმართებით განიხილა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები

საქართველოს მოქალაქეები მანგული ხუბუა, სოსო ლაგვილავა, შალვა შანიძე და ლაშა გვასალია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 13 ოქტომბრის #2/15/247 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე შალვა რამიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის #2/1/431 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე ავთანდილ კახნიშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის #16/455 განჩინება/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

მოქალაქეები-ბესარიონ ფანცულაია, ელგუჯა გულედანი, ჯემალ მიქელაძე, მურმან ზაქარაია და მანგული ხუბუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 21 დეკემბრის #2/97/3 გადაწყვეტილება/

საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტიის თავმჯდომარე თემურ ჟორჟოლიანი და იგორ გიორგაძის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 9 ივლისის #2/3/250-269 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები – გურამ სანაძე და ირაკლი კოტეტიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 24 იანვრის #1/1/257, 268 გადაწყვეტილება/

მუხლი 29

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
- 1¹. საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა.
2. სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.

(საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, #3710-სსმI, #62, 05.11.2010წ., მუხ.379)

შესავალი

1. დაცული სფერო
2. კავშირი საქართველოს კონსტიტუციის 28-ე და 30-ე მუხლებთან
3. უფლების შეზღუდვა
4. უფლების სუბიექტი
5. დასკვნა
6. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 29-ე მუხლთან მიმართებით განიხილა

შესავალი

საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს შრომის თავისუფლებას, რაც თავის თავში მოიაზრებს ადამიანის შესაძლებლობას დასაქმდეს მისი ნებისა და შესაძლებლობების შესაბამისად, არ დაექვემდებაროს იძულებით დამამცირებელ ან ღირსებაშემლახავ შრომით გარემოს. თუმცა კონსტიტუცია არ ადგენს შრომის უფლებას, როგორც ადამიანის უფლებას ჰქონდეს სამუშაო ადგილი და ა.შ. ამის საპირისპიროდ, განსხვავებული სიტუაციაა, როდესაც საქმე ეხება საჯარო სამსახურს. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი საქართველოს მოქალაქეს აღჭურავს უფლებით დაიკავოს ნებისმიერი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში, თუ ის კანონმდებლობის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. აღნიშნული კონსტიტუციური უფლება განამტკიცებს მოქალაქის შესაძლებლობას, მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში, რაც დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს. მეორე მხრივ, საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების გარანტირება, სავარაუდოდ, ნაკარნახევი უნდა იყოს იმ გარემოებითაც, რომ საჯარო სამსახური სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. სახელმწიფო ბიუჯეტი კი საერთო საზოგადოებრივ სიკეთეს წარმოადგენს, რომელზე ხელმისაწვდომობაც, თანაბრად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ყოველი მოქალაქისათვის. მთლიანობაში საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი ახდენს მოქალაქეთა არსებობისა და თანაცხოვრების მნიშვნელოვანი სფეროს გარანტირებას. შესაბამისად, იგი მოქალაქის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უფლებას განამტკიცებს.

1. დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი იცავს ადამიანის უფლებას, დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავისი დაარსების მომენტიდან მალევე აღმოჩნდა აღნიშნული ნორმის განმარტების წინაშე. საკონსტიტუციო სასამართლომ 1997 წლის 4 ნოემბრის განჩინებაში მიუთითა, რომ საქართველოს ყოველ მოქალაქეს თანაბარი საწყისი უფლება აქვს სახელმწიფო სამსახურში დაიკავოს ნებისმიერი თანამდებობა და რაიმე ნიშნის მიხედვით (რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის) დისკრიმინაცია დაუშვებელია¹¹⁰⁷.

საკონსტიტუციო სასამართლოს შემდგომი პრაქტიკით საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის შინაარსი უფრო გაფართოვდა და მისი დაცვის ქვეშ მოაზრებული იქნა არა მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან პირის საჯარო სამსახურში თანამდებობაზე დანიშვნისათვის გონივრული, არადისკრიმინაციური რეგულაციების დადგენის ვალდებულება, არამედ საჯარო მოსამსახურეების უფლება, დაცული იყვნენ სამსახურიდან

¹¹⁰⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 4 ნოემბრის #2/33/1 განჩინება საქმეზე ნინო იოსელიანი სამცხე-ჯავახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის და საქართველოს განათლების სამინისტროს წინააღმდეგ;

დაუსაბუთებელი გათავისუფლებისაგან.¹¹⁰⁸

ამავე დროს, სასამართლოს პრაქტიკაში გვხვდება კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის განმარტების შემთხვევაც. კერძოდ, 2007 წლის 15 ივნისის განჩინებაში საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საჯარო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით. აღნიშნული გულისხმობს, რომ საჯარო მოსამსახურეთა სტატუსი, თანამდებობის დაკავების წესი, მოხელეთა უფლება-მოვალეობები, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები უნდა განისაზღვროს კანონით“.¹¹⁰⁹

აღნიშნული განმარტებით სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი არ ეხება სახელმწიფო მოსამსახურის უკანონო ქმედებების ჩადენის შემთხვევაში¹¹¹⁰ მათთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხებს. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის ხსენებული განმარტება, რა თქმა უნდა, არ არის ამომწურავი. საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის მიზანს იმის ხაზგასმა წარმოადგენდა, რომ გარკვეული საკითხები არ ექცევა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის დაცვის ქვეშ. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის შინაარსისა და ფარგლების უფრო ღრმა და ყოვლისმომცველი განმარტება, სავარაუდოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს მომავალი პრაქტიკით მოხდება.

საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით დაცულია სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება, თუმცა, სახელმწიფო თანამდებობის ცნება საკმაოდ ფართოა. მისი შინაარსის განსაზღვრა ყოველ კონკრეტული შემთხვევაში სამსახურის ბუნებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს და დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა ესა თუ ის პოზიცია სახელმწიფო თანამდებობას. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესი, რომლის თანახმადაც საჯარო სამსახურის პირობები კანონით განისაზღვრება, მხოლოდ სახელმწიფო სამსახურთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს. კონსტიტუციის აღნიშნულ ნორმას არ ეხება კერძო სფეროში საქმიანობის რეგულირებას. კონსტიტუციური დანაწესი, რომლის თანახმადაც კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო სამსახურის პირობებს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს იმას, რომ მხოლოდ საჯარო სამსახურის პირობები შეიძლება დარეგულირდეს კანონმდებლობით და ამით კერძო სფეროში საქმიანობის რეგულირება გამოირიცხება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე იასონ რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. აღნიშნულ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა

¹¹⁰⁸ საჯარო სამსახურიდან კანონის საფუძველზე დაუსაბუთებელი გათავისუფლების შემთხვევები, სასამართლომ თავის რამდენიმე გადაწყვეტილებაში სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო, აღნიშნულ საკითხებზე ქვემოთ იქნება აღნიშნული;

¹¹⁰⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 15 ივნისის #1/4/419 განჩინება საქმეზე ბესიკ გვაჯავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. II;

¹¹¹⁰ აღნიშნულ საქმეში ყოფილი მოსამართლის მიერ გასაჩივრებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის ის ნორმა, რომელიც ადგენდა სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას მოსამართლის მიერ უკანონო გადაწყვეტილების მიღებისთვის;

„ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის ის ნორმა, რომელიც ადგენდა, რომ ადვოკატი შეიძლება იყოს „ფიზიკური პირი, რომელსაც გავლილი აქვს ადვოკატთა ტესტირება“. მოსარჩელის აზრით, აღნიშნული დანაწესი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის თანახმადაც კანონით განსაზღვრება სახელმწიფო სამსახურის პირობები, რაც გამორიცხავს თავისუფალი პროფესიის ფიზიკური პირების საქმიანობის რეგლამენტირებას. ეს მსჯელობა არ გაიზიარა საკონსტიტუციო სასამართლომ და მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი ეხება მხოლოდ სახელმწიფო სამსახურს და საერთოდ არ ეხება საადვოკატო საქმიანობის მოწესრიგების საკითხებთან.

სასამართლომ განაცხადა, რომ იგი (სასამართლო): „ერთმანეთისაგან განასხვავებს ერთი მხრივ, საადვოკატო საქმიანობას, რომელსაც ახორციელებს ე.წ. „თავისუფალი პროფესიის პირი“, ხოლო მეორე მხრივ საჯარო სამსახურში და სახელმწიფო თანამდებობაზე მოღვაწეობას, რომლის პირობების კანონით განსაზღვრის ვალდებულებასაც ადგენს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ... საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი ეხება მხოლოდ სახელმწიფო სამსახურს და არ აწესრიგებს საადვოკატო საქმიანობას ... რაც შეეხება სახელმწიფოს მხრიდან ადვოკატთა ტესტირების დაწესებას, ... იგი არის მინიმალური სტანდარტი იმისათვის, რათა ადვოკატების მიერ კვალიფიციურად იქნეს განხორციელებული ადამიანის ინტერესების დაცვა. ამასთან, კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ თითქოს სახელმწიფოს არა აქვს უფლება კანონით განსაზღვროს კერძო სამსახურის ძირითადი პირობები, მით უმეტეს, როდესაც საუბარია საადვოკატო საქმიანობაზე, რომლის დროსაც, ე.წ. „თავისუფალი პროფესიების“ სხვა სახეებისაგან განსხვავებით, ადვოკატებს უფრო სახელმწიფოებო ვალდებულების პირობებში უხდებათ საქმიანობის განხორციელება“.¹¹¹¹

2. კავშირი კონსტიტუციის 28-ე და 30-ე მუხლებთან

საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი შინაარსობრივ კავშირშია კონსტიტუციის 28-ე და 30-ე მუხლებთან. კერძოდ, კონსტიტუციის 29-ე მუხლის მსგავსად კონსტიტუციის 28-ე მუხლიც იცავს მოქალაქის პასიური საარჩევნო უფლების რეალიზების საფუძველზე, სახელმწიფო თანამდებობის არჩევნებში გამარჯვების გზით დაკავების უფლებას, ხოლო კონსტიტუციის 30-ე მუხლი ზოგადად შრომის უფლების გარანტირებას ახდენს.

საქართველოს კონსტიტუციის 28-ე და 29-ე მუხლების ურთიერთკავშირის თვალსაზრისით საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის # 2/3/250-269 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტიის თავმჯდომარე თემურ ჟორჟოლიანი და იგორ გიორგაძის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. აღნიშნულ საქმეში მოსარჩელე მოითხოვდა საქართველოს

¹¹¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 2 დეკემბრის #2/10/256 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე იასონ რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.1;

საარჩევნო კოდექსის იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც ადგენდა ბინადრობის 10 წლიან ცენზს საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატისათვის. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ აღნიშნული დანაწესი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 28-ე და 29-ე მუხლებს. საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის კონსტიტუციურობა შეაფასა როგორც კონსტიტუციის 28-ე მუხლთან, ისევე კონსტიტუციის 29-ე მუხლთან მიმართებით და დაადგინა, რომ იგი არ ეწინააღმდეგებოდა მათ, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს არ მოუხდენია კონსტიტუციის ამ ორი ნორმით დაცული სფეროების ერთმანეთისაგან გამიჯვნა¹¹¹². კერძოდ, არ უმსჯელია, არჩევნების გზით თანამდებობის დაკავების უფლება კონსტიტუციის 28-ე მუხლითაა დაცული თუ კონსტიტუციის 29-ე მუხლით. ამ ორი კონსტიტუციური ნორმის კონსტრუქციიდან გამომდინარე, ლოგიკური იქნებოდა კონსტიტუციის ისეთი განმარტება, რომ 28-ე და 29-ე მუხლის დაცულ სფეროებს ერთმანეთი არ გადაეფარათ. ალოგიკურია, კონსტიტუცია ერთი მხრივ პასიური საარჩევნო უფლების გარანტირებას ახდენდეს კონსტიტუციის 28-ე მუხლით და ამ უფლების სუბიექტთა წრიდან გამორიცხავდეს 18 წელს მიუღწევველ, ქმედუნარო ან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მყოფ პირებს და ამავე დროს, იგივე უფლება კონსტიტუციის 29-ე მუხლითაც იყოს დაცული, რომლის სუბიექტი საქართველოს ყოველი მოქალაქე შეიძლება იყოს. აღნიშნულ საკითხზე ამომწურავ პასუხს საკონსტიტუციო სასამართლოს არსებული პრაქტიკა არ იძლევა.

საქმეზე „ავთანდილ ჭაჭუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“¹¹¹³ დავის საგანს წარმოადგენდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ 1997 წლის 13 ივლისის საქართველოს ორგანული კანონის ნორმა, რომელიც ახდენდა მოქმედი მოსამართლეებისათვის, რომლებიც არ იყვნენ ამ კანონის საფუძველზე დანიშნული, კონკრეტული თარიღიდან (თავიდან 1998 წლის 1 მაისიდან, შემდგომში სადავო ნორმა შეიცვალა და მოსამართლეებს უფლებამოსილების ვადა 1999 წლის 1 ივლისამდე გაუგრძელდათ) უფლებამოსილების შეწყვეტას. მოსარჩელე იყო მოქმედი მოსამართლე, რომელიც დაინიშნა 1991 წელს („საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიღებამდე) 10 წლის ვადით. იგი მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმით ირღვევოდა კონსტიტუციის 29-ე და 30-ე მუხლით დაცული მისი უფლებები. აღნიშნულ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა შეაფასა და არაკონსტიტუციურად სცნო როგორც საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლთან, ასევე 30-ე მუხლთან მიმართებით. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის გამიჯნული, დანიშნული მოსამართლის დაუსაბუთებლად სამსახურიდან გათავისუფლება არის შრომის თავისუფლების თუ საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების შეზღუდვა.

¹¹¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 9 ივლისის #2/3/250-269 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტიის თავმჯდომარე თემურ ჟორჯოლიანი და ივორ გიორგაძის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.1,2,3;

¹¹¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 3 ნოემბრის #2/80-9 გადაწყვეტილება საქმეზე ავთანდილ ჭაჭუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

დღეს მოქმედი სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, კონკრეტული სამართალურთიერთობა შეიძლება ერთდროულად იყოს დაცული როგორც კონსტიტუციის 28-ე, ისევე კონსტიტუციის 29-ე მუხლებით ან კონსტიტუციის 29-ე და 30-ე მუხლებით. თუმცა, ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ (ამ) კონსტიტუციურ ნორმას თავისი დამოუკიდებელი შინაარსი და დასაშვები შეზღუდვის განსხვავებული საფუძვლები გააჩნია. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია კონსტიტუციის ამ დებულებების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, შინაარსის და ფარგლების განსაზღვრა და მათი დაცული სფეროების საზღვრების დადგენა. საქართველოს კონსტიტუციის 28-ე, 29-ე და 30-ე მუხლები გარკვეული მსგავსების მიუხედავად, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და მათი დაცული სფეროების მიზანმიმართულებაც სხვადასხვაა. მათ შორის ზღვრის გავლება, ალბათ, საკონსტიტუციო სასამართლოს მომავალი მსჯელობის საგანი გახდება.

3. უფლების შეზღუდვა

საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით დაცული უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის, იგი შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვას დემოკრატიული საზოგადებისათვის საჭირო ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში გვხვდება გადაწყვეტილებები, რომლებშიც საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა ამ უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურობაზე, აღნიშნული საქმეები ძირითადად შეეხება საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევებს.

საქმეში „ავთანდილ ჭაჭუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“¹¹¹⁴ საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა მოსამართლეთა ვადამდე ადრე თანამდებობიდან განთავისუფლების კონსტიტუციურობა. აღნიშნულ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, უფლება აქვს გახდეს მოსამართლე. მოსამართლეები, რომლებსაც სადავო ნორმით უფლებამოსილება უნდა შეწყვეტოდან, დაინიშნენ 1991 წლის საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, ათი წლის ვადით. ამავე დროს, ისინი მოსამართლედ დანიშნის მომენტისათვის აკმაყოფილებდნენ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა აღნიშნული მოთხოვნები „საერთო სასამართლოების შესახებ“ 1997 წლის ორგანული კანონით (ამ კანონის თანახმად პირს მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნად ჩაბარებული უნდა ჰქონოდა საკვალიფიკაციო გამოცდა, უნდა დაინიშნულიყო კონკურსის წესით და ა.შ.) გაიზარდა. შესაბამისად, სადავო ნორმა ითვალისწინებდა მოსამართლეების უფლებამოსილების შეყვეტას, ვინაიდან ისინი თანამდებობაზე არ იყვნენ დანიშნული ახალი, მოქმედი კანონით გათვალისწინებული წესით¹¹¹⁵.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ამ გადაწყვეტილებაში

¹¹¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 3 ნოემბრის #2/80-9 გადაწყვეტილება;

¹¹¹⁵ იქვე;

ნაწილობრივ ისაუბრა სასამართლო ხელისუფლებაში რეფორმის არსსა და მიზანზე. სასამართლომ განაცხადა: „სასამართლო კოლეგია ვერ დაეთანხმება მოსაზრებას, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ასამართლებს სასამართლო რეფორმას და კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება სასამართლო რეფორმის შეჩერებას გამოიწვევს. სიტყვა „რეფორმა“ თავისთავად ნიშნავს, რომ ეს არ არის ერთდროული ღონისძიება და მისი თანდათან განხორციელება იგულისხმება ... სასამართლო რეფორმა მხოლოდ მოსამართლეთა უფლებამოსილების შეწყვეტა არ არის. მას სხვა, უფრო დიდი მიზნები და განზომილებები აქვს. რეფორმას პირველ რიგში სამართლებრივი საფუძველი უნდა ქონდეს და მოსამართლეთა უფლებამოსილების შეწყვეტა ამ საფუძვლის გარეშე პირიქით, სასამართლო რეფორმის წინააღმდეგ მოქმედებს“.¹¹¹⁶

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას, ყურადღება გაამახვილა კანონის უკუძალის აკრძალვის კონსტიტუციურ პრინციპზე და მიუთითა, რომ „ახალი კანონით დაწესებული მოთხოვნები არ უნდა შეეხოთ მოქმედ მოსამართლეებს და იგი არ უნდა გახდეს მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი. რადგან, კანონს (ისე, როგორც სხვა ნორმატიულ აქტებს) უკუძალა არა აქვს, ე.ი. მათი მოქმედება არ ვრცელდება იმ ფაქტებზე, ურთიერთობებსა და გარემოებებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამ აქტის გამოცემამდე... ნორმა (კანონი) შესაძლებელია შეეფარდოს მხოლოდ იმ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშვებიან მისი გამოცემის, მისი ძალაში შესვლის შემდეგ“.¹¹¹⁷ ამ დებულებას ადასტურებს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტიც, რომლის თანახმადაც „არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.“¹¹¹⁸ შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის მოთხოვნები არ უნდა გავრცელდებოდეს იმ მოსამართლეებზე, რომლებიც ამ კანონის მიღების დროისათვის უკვე დანიშნული იყვნენ მოსამართლის თანამდებობაზე.

პარალელურად საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსამართლეთა საყოველთაო დათხოვნა არ უნდა ხდებოდეს პოლიტიკური მოსაზრებით, ხელისუფლების თვითნებობით ან ხელისუფლების შეცვლის მოტივით.¹¹¹⁹ იგი ასევე შეეხო ხელისუფლების დანაწილების პრინციპს და მიუთითა, რომ ხელისუფლების სამი შტოს კომპეტენცია ისე უნდა იყოს რეგლამენტირებული კონსტიტუციით, რომ ხელისუფლების არც ერთ შტოს არ შეეძლოს ხელისუფლების მეორე შტოს ფუნქციების მითვისება. ხელისუფლების არც ერთ შტოს არ უნდა შეეძლოს ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილების ვადა ხელისუფლების მეორე შტოს. საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა მოქმედებდეს მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული

¹¹¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 3 ნოემბრის #2/80-9 გადაწყვეტილება, 3.1;

¹¹¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 3 ნოემბრის #2/80-9 გადაწყვეტილება, 3.3;

¹¹¹⁸ იქვე;

¹¹¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 3 ნოემბრის #2/80-9 გადაწყვეტილება, 3.9;

კომპეტენციის ფარგლებში და არა თავისი შეხედულებების მიხედვით. საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ სასამართლო ხელისუფლებისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა, მაშინ იქნებოდა კანონიერი, თუ ასეთ უფლებას მას მიანიჭებდა კონსტიტუცია.¹¹²⁰ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო სადავო ნორმა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლთან მიმართებით.¹¹²¹

საკონსტიტუციო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება საინტერესოა რამდენიმე თვალსაზრისით. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის კომპონენტად მიიჩნია არა მხოლოდ სახელმწიფოს ვალდებულება, გონივრული რეგულირება დაადგინოს ამა თუ იმ თანამდებობის დასაკავებლად, არამედ კონსტიტუციის ამ მუხლით დაცულად დაინახა კონკრეტულ თანამდებობიდან პირის არაგონივრული საფუძვლით გათავისუფლების აკრძალვა.

ასევე, საინტერესოა, აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის განსხვავებული აზრი. მან მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი იცავს მოქალაქის უფლებას, დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა რაიმე ფორმის დისკრიმინაციის გარეშე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი კი იმ მოსამართლეების მიმართ, რომელსაც უფლებამოსილება უნდა შეუწყდეთ, მათი ხელმეორედ დანიშვნისას არანაირ დისკრიმინაციას არ ითვალისწინებს. კანონი უბრალოდ განსაზღვრავს მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნა პირებისათვის გარკვეულ პირობებს (საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, თანამდებობის დაკავება კონკურსის წესით და ა.შ.), რომლის დადგენის უფლებამოსილებაც კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, კანონმდებელს აშკარად ჰქონდა.¹¹²²

დასახელებული განსხვავებული აზრიდან გამომდინარე, იკვეთება პოზიცია, რომლის თანახმადაც, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი ახდენს მხოლოდ იმის გარანტირებას, რომ თანამდებობაზე მოქალაქის დანიშვნის წინაპირობები იყოს გონივრული, ხოლო უკვე დანიშნული პირების დაუსაბუთებლად სამსახურიდან გათავისუფლებაზე მსჯელობა, კონსტიტუციის 29-ე მუხლის დაცვის ფარგლებს სცდება.

მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის წინაპირობების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა საქმეში „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს მოქალაქე ქეთევან ბახტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.¹¹²³

¹¹²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 3 ნოემბრის #2/80-9 გადაწყვეტილება, პ.10;

¹¹²¹ იქვე;

¹¹²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, გია მეფარიშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 3 ნოემბრის #2/80-9 გადაწყვეტილებაზე;

¹¹²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 28 ივნისის #1/3/209,276 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს მოქალაქე ქეთევან ბახტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

ხსენებულ საქმეში, სხვა საკითხებთან ერთად, დავის საგანს წარმოადგენდა კანონის ნორმა, რომლის თანახმადაც მოსამართლედ არ შეიძლებოდა დანიშნულიყო პირი, რომელიც წარსულში იყო მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებული დისციპლინალური გადაცდომის გამო. მოსარჩელე ამ შეზღუდვას არაგონივრულად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლს.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის მოსაზრება და აღნიშნა, რომ ისტორიულად, მოსამართლეებად ინიშნებოდნენ არა მხოლოდ პროფესიული ჩვევებით გამორჩეული პიროვნებები, არამედ ხაზგასმული პატიოსნებითა და კეთილსინდისიერებით განთქმული ადამიანები.¹¹²⁴ ამავე დროს, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ კანონმდებლობა არ იცნობს მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტას მარტივი და უმნიშვნელო გადაცდომისათვის¹¹²⁵. სადავო ნორმის საფუძველზე, მოსამართლის თანამდებობის დაკავების უფლება ერთმევა არა უბრალოდ დისციპლინური გადაცდომის ჩამდენ პირს, არამედ პირს, რომელმაც ჩაიდინა მძიმე დარღვევა¹¹²⁶.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება არ არის უპირობო უფლება. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ „კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებში“ უნდა ივარაუდებოდეს მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნი პირისათვის წაყენებული არა მარტო მაღალი პროფესიული უნარები, არამედ პიროვნული თვისებებიც. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციურად მიიჩნია სადავო ნორმა, ვინაიდან, იგი მოსამართლის თანამდებობის დაკავებას უკრძლავდა მძიმე დისციპლინალური გადაცდომის მქონე პირებს, რაც საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლს არ ეწინააღმდეგებოდა.¹¹²⁷

საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ლეკვეიშვილი, კობა გოცირიძე, კობა კობახიძე და სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“¹¹²⁸ დავის საგანს წარმოადგენდა კანონის ნორმა, რომლის საფუძველზეც საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილი იყო კანონმდებლობით დადგენილი წესით და საფუძველებით, თავისი განკარგულებით 18 თვით „სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება“ დაეკისრებინა იმ პირისათვის, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა ან ატესტაცია. მოსარჩელები მიიჩნევდნენ, რომ აღნიშნული დანაწესი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლს,

¹¹²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 28 ივნისის # 1/3/209,276 გადაწყვეტილება, I.3.3;

¹¹²⁵ იქვე;

¹¹²⁶ იქვე;

¹¹²⁷ იქვე;

¹¹²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 26 თებერვლის #1/ 1/138,171,179,209 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ლეკვეიშვილი, კობა გოცირიძე, კობა კობახიძე და სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;

ვინაიდან რეალურად არ არსებობდა შინაარსობრივი განსხვავება 18 თვით დანიშნულ სამოსამართლო უფლებამოსილების განმახორციელებელ პირსა და 10 წლის ვადით დანიშნულ მოსამართლეს შორის. შესაბამისად მოსამართლის 18 თვით დანიშვნა არაგონივრული და არაკონსტიტუციური იყო.

აღნიშნულ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ თავდაპირველად იმსჯელა „სამოსამართლო უფლებამოსილების განმახორციელებელი“ პირის საქმიანობის ხასიათზე და მიუთითა, რომ ამა თუ იმ სამართლებრივი კატეგორიის ბუნებას განსაზღვრავს არა სახელწოდება, არამედ მისი შინაარსი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი მასზე დაკისრებული ფუნქცია. მოსამართლე და „სამოსამართლო უფლებამოსილების განმახორციელებელი“ პირი, ფუნქციურად იდენტურ სუბიექტებს წარმოადგენდნენ. ორივე ახორციელებდა მართლმსაჯულებას და ამ თვალსაზრისით, მათ შორის არ იყო რაიმე განსხვავება, არ არსებობდა რაიმე დიფერენციაცია მათ მიერ განსახილველ საქმეთა შორის. უფრო მეტიც, ისინი ერთპიროვნულადაც და ზოგჯერ კოლევიალურად იხილავდნენ საქმეებს და იღებენ გადაწყვეტილებებს. გარდა ამისა, „სამოსამართლო უფლებამოსილების განმახორციელებელი“ პირი, სასამართლო აქტებს ხელს აწერდა, როგორც მოსამართლე¹¹²⁹.

აღნიშნული მსჯელობით საკონსტიტუციო სასამართლომ ჩამოაყალიბა ის კრიტერიუმები (ალბათ, არა ამომწურავად), რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელია ესა თუ ის საქმიანობა კონსტიტუციის მიზნებისათვის განხილული იქნეს სამოსამართლო საქმიანობად. ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ პირის მოსამართლედ მიჩნევისათვის, მნიშვნელობა არ აქვს მისი თანამდებობის სახელწოდებას, პირის სამოსამართლო სტატუსი უნდა განისაზღვროს მასზე კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე. საკონსტიტუციო სასამართლომ „სამოსამართლო უფლებამოსილების განმახორციელებელი“ პირები მოსამართლეებად განიხილა და მათზე გაავრცელა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით მოსამართლისათვის დადგენილი გარანტიები.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმის საფუძველზე სამოსამართლო უფლებამოსილების შეზღუდული ვადით დაკისრება უარყოფითად მოქმედებს მოსამართლის დამოუკიდებლობაზე. „მოსამართლის თანამდებობაზე ხანგრძლივი ვადითა და უვადოდ დანიშვნა მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს მის საქმიანობაში უკანონო ჩარევისაგან თავის დასაცავად. უფლებამოსილების ვადა, ამ შემთხვევაში გვევლინება იმ ფაქტორად, რომელიც მოსამართლეს განუმტკიცებს დამოუკიდებლობის შეგნებას, მისი საქმიანობის სწორედ ხანგრძლივი დროის მანძილზე ხელშეუვალობის გამო. ამ დამოუკიდებლობის სერიოზული საფუძველია ისიც, რომ კონსტიტუციური ვადით გამწესებული მოსამართლე, წარმოადგენს არა მარტო სამოსამართლო უფლება-მოვალეობებით აღჭურვილ თანამდებობის პირს, არამედ იგი აგრეთვე სარგებლობს

¹¹²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 26 თებერვლის #1/ 1/138,171,179,209 გადაწყვეტილება, პ.1;

ჯეროვანი სოციალური დაცვით. „სამოსამართლო უფლებამოსილების განმახორციელებელი“ პირი კი 10 წლით გამწესებულ მოსამართლეთან შედარებით, ნაკლები სოციალური დაცვით სარგებლობს“.¹¹³⁰

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე დაადგინა, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ამაზე არ მიუთითებდა, 18 თვით დანიშნული პირები, ფაქტობრივი სინამდვილიდან გამომდინარე, გარკვეულ საგამოცდო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. როგორც ეს საქმის განხილვიდან გამოჩნდა, 10 წლის ვადით შემდგომ მათი მოსამართლეებად გამწესების საკითხის გადაჭრისას, ყურადღება მიექცეოდა იმას, თუ როგორ ასრულებდნენ ისინი თავიანთ მოვალეობებს „სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას“. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს კანონმდებლობით, საგამოცდო ვადით მოსამართლის გამწესება, რა სახითაც არ უნდა მოხდეს იგი, აშკარა თუ შენიღბული ფორმით, კონსტიტუციის საწინააღმდეგო მოქმედება იქნება.¹¹³¹ აღნიშნული თეზისი უნდა მივიჩნიოთ უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ განმარტებად. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა მოსამართლის მცირე დროით, შემდგომში სამოსამართლო ვადის გაგრძელების პერსპექტივით დანიშვნა. გადაწყვეტილებიდან მომდინარე აღნიშნული მსჯელობა, მიმართულია მოსამართლის თანამდებობაზე მცირე ვადით განმწესების აკრძალვისაკენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაკეთდა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გარანტიებთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი განმარტებები. ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლომ მოსამართლეთან მიმართებით, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით გარანტირებულად მიიჩნია არა მხოლოდ მათი დანიშვნა მოსამართლის თანამდებობაზე, არამედ მინიმუმ 10 წლიანი გარანტირებული პერიოდით გამწესება გამოსაცდელი ვადის გარეშე.

4. სუბიექტი

უფლებისსუბიექტის თვალსაზრისით, კონსტიტუციის 29-ე მუხლით დაცული უფლება არ ეკუთვნის ყველა ადამიანს. ამ უფლების სუბიექტი მხოლოდ საქართველოს მოქალაქეა. აღნიშნული ნათლად გამომდინარეობს თავად კონსტიტუციის დასახელებული მუხლის ტექსტიდან. კონსტიტუციის 29-ე მუხლით გარანტირებული უფლების სუბიექტის საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს ჯერ კონკრეტული მსჯელობა არ ქონია და შესაბამისად არ არსებობს სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხზე.

¹¹³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 26 თებერვლის #1/ 1/138,171,179,209 გადაწყვეტილება, პ.IV;

¹¹³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 26 თებერვლის #1/ 1/138,171,179,209 გადაწყვეტილება, პ.II,III;

5. დასკვნა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ:

- საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი იცავს მოქალაქეთა თანასწორ უფლებას დაიკავონ თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში, რაც გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, დაადგინოს გონივრული რეგულირება ამა თუ იმ თანამდებობის დასაკავებლად. ამავე დროს, იკრძალება უკვე დაკავებული თანამდებობიდან პირის არაგონივრული საფუძვლით გათავისუფლება;
- კონსტიტუციური 29-ე მუხლის დებულება, რომლის თანახმადაც კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო სამსახურის პირობებს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს იმას, რომ მხოლოდ საჯარო სამსახურის პირობები შეიძლება მოწესრიგდეს კანონმდებლობით;
- საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი ეხება მხოლოდ სახელმწიფო სამსახურს და არ აწესრიგებს საქმიანობას კერძო სექტორში;
- საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი ეხება მხოლოდ სახელმწიფო სამსახურს და საერთოდ არ არის შემხებლობაში საადვოკატო საქმიანობის მოწესრიგების საკითხებთან;
- საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლიდან გამომდინარე, მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნად, პირს შეიძლება წაეყენოს არა მარტო მაღალი პროფესიული, არამედ ისეთი მოთხოვნებიც, რომელიც დაკავშირებული იქნება მის პიროვნულ თვისებებთან. წარსულში მოსამართლის თანამდებობაზე მომუშავე, მძიმე დისციპლინალური გადაცდომის მქონე პირისათვის მოსამართლის თანამდებობის დაკავების აკრძალვა, არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლს;
- მოსამართლის გამოსაცდელი ვადით თანამდებობაზე დანიშვნა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლს;

6. საკმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 29-ე მუხლთან მიმართებით განიხილა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები

ნინო იოსელიანი სამცხე-ჯავახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის და საქართველოს განათლების სამინისტროს წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 4 ნოემბრის #2/33/1 განჩინება/

ბესიკ გვაჯავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 15 ივნისის #1/4/419 განჩინება/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები:

ავთანდილ ჭაჭუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 3 ნოემბრის #2/80-9 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ლეკვიშვილი, კობა გოცირიძე, კობა კობახიძე და სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 26 თებერვლის #1/1/138,171,179,209 გადაწყვეტილება საქმეზე/

საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს მოქალაქე ქეთევან ბახტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 28 ივნისის #1/3/209,276 გადაწყვეტილება/

საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტიის თავმჯდომარე თემურ ჟორჯოლიანი და იგორ გიორგაძის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 9 ივლისის #2/3/250-269 გადაწყვეტილება/

მოქალაქე იასონ რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 2 დეკემბრის #2/10/256 გადაწყვეტილება/

მუხლი 30

1. შრომა თავისუფალია.
2. სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.
3. შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ.
4. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვნისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით.

(საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, #3710-სსმI, #62, 05.11.2010წ., მუხ.379)

შესავალი

1. 30-ე მუხლის პირველი პუნქტი
 - 1.1. დაცული სფერო
 - 1.1.1. იძულებითი შრომის აკრძალვა
 - 1.1.2. შრომის უფლება
2. 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი (შენიშვნა: ამ პუნქტზე სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი მოცემულია კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების განხილვის შემდეგ, შესაბამისად, ქვემოთ ცალკეა გამოტანილი მისი შინაარსი)
3. 30-ე მუხლის მე-3 პუნქტი
4. 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი
5. შეზღუდვის საფუძვლები
 - 1.1. თანამდებობიდან გათავისუფლება
 - 1.2. თანამდებობრივი სარგოს მიღება
 - 1.3. ნორმის ძალაში შესვლის გადადება
5. დასკვნა
6. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველ, მესამე და მე-4 პუნქტებთან მიმართებით
 1. 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი
 - 1.1. დაცული სფერო
 - 1.1.1. თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარების მნიშვნელობა
 - 1.1.1.1. თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარება
 - ა) თავისუფალი მეწარმეობა
 - ბ) თავისუფალი კონკურენცია
 - გ) თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარება - პოზიტიური ვალდებულება
 - 1.1.1.2. უფლების სუბიექტები
 - 1.1.1.3. უფლების შეზღუდვის საფუძვლები
 - ა) სახელმწიფო საწარმოების პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენება
 - ბ) პროდუქციის რეალიზაციის წესები
 - გ) ელექტროენერჯის განაწილების საქმიანობის რეგულირება
 - დ) მეწარმეობის აკრძალვა
 - ე) მონოპოლიური საქმიანობის რეგულირება

- 1.2. მომხმარებელთა უფლებები
 - 1.2.1. დაცული სფერო
 - 1.2.2. უფლების სუბიექტი
 - 1.2.3. შეზღუდვის საფუძვლები
 - ა) ფიქსირებული ტარიფები
 - ბ) სამომხმარებლო ტარიფები
- 1.3. დასკვნა
- 1.4. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით

შესავალი

შრომის უფლება მნიშვნელოვანი სოციალური დაცვის გარანტიაა საქართველოს კონსტიტუციაში. 30-ე მუხლი მჭიდრო კავშირშია 32-ე მუხლთან. ზუსტი გამიჯვნისთვის იხილეთ აღნიშნული მუხლის კომენტარი.

შრომის უფლება სოციალური უფლებების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა აღიარებს სოციალური სახელმწიფოს პრინციპს, რომლისგანაც გამომდინარეობს სწორედ ეს კონსტიტუციური გარანტია: „...შრომის უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი განმტკიცება ხაზს უსვამს საქართველოს, როგორც სოციალური სახელმწიფოს არსს, რომლის უმთავრესი ამოცანაა ადამიანის ღირსეული ყოფის უზრუნველყოფა.”¹¹³²

1. 30-ე მუხლის პირველი პუნქტი

1.1. დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლში მითითებულია, რომ „შრომა თავისუფალია”. რაც ერთი მხრივ გვაფიქრებინებს, რომ თითქოს კონსტიტუციის ამ მუხლით დაცულია მხოლოდ იძულებითი შრომის აკრძალვა, თუმცა მეორე მხრივ, კონსტიტუციის სულისკვეთებიდან გამომდინარე, შეუძლებელია მეორე თავით არ იყოს დაცული შრომის უფლება.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი, გარდა იმისა, რომ იცავს „შრომის თავისუფლებას, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას, ის ასევე იცავს საქართველოს მოქალაქეების შრომითი უფლებების დაცვას საზღვარგარეთ, შრომის სამართლიან ანაზღაურებას, უსაფრთხო, ჯანსაღი პირობების დაცვას, არასრულწლოვანთა და ქალის შრომის პირობების განსაზღვრას.”¹¹³³

1.1.1. იძულებითი შრომის აკრძალვა

სასამართლო პრაქტიკა სხვადასხვა დროს ამ ნორმას სხვადასხვანაირად განმარტავდა. პირველ ეტაპზე სასამართლო მიიჩნევდა, რომ კონსტიტუცია მხოლოდ იძულებით შრომას კრძალავდა. „...საქართველოს კონსტიტუციის 30 - ე მუხლის პირველი პუნქტი აღიარებს არა შრომის უფლებას, არამედ - შრომის თავისუფლებას¹¹³⁴ (თავისუფალი შრომის უფლება), რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ ადამიანს მინიჭებული აქვს უფლება თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩიოს

¹¹³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერის #2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მათა ნათამე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, II.პ.18;

¹¹³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 16 თებერვალი #2/2/355 განჩინება საქმეზე მოქალაქე იულია მეზურნიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹¹³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 12 მარტის #2/2/277 განჩინება საქმეზე მოსარჩელე მურმან ბაკურაძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, პ.3;

შრომითი საქმიანობის ესა თუ ის სფერო. ...სახელმწიფო უკვე აღარ იღებს ვალდებულებას მოქალაქეთა შრომით დასაქმებაში.”¹¹³⁵

სასამართლომ იძულებითი შრომის აკრძალვის შინაარსის განმარტებისთვის საერთაშორისო სტანდარტებს¹¹³⁶ დაეყრდნო და განაცხადა, რომ არსებობს სამი გამონაკლისი შემთხვევა:¹¹³⁷

- სავალდებულო სამხედრო სამსახური;
- იძულებითი შრომა სასამართლოს განაჩენით;
- იძულებითი შრომა საგანგებო სიტუაციათა პირობებში.

1.1.2. შრომის უფლება

თუმცა მოგვიანებით, პრაქტიკის განვითარებასთან ერთად შეიცვალა სასამართლოს დამოკიდებულება, და ყოველივე ზემოთქმულის საპირისპიროდ სასამართლომ განაცხადა, რომ „კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტი უნდა განიმარტოს მისი მიზნებიდან გამომდინარე, სოციალური სახელმწიფოს პრინციპთან კავშირში, რომელიც არის კონსტიტუციის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპთაგანი და არ იძლევა საშუალებას, რომ 30-ე მუხლის პირველი პუნქტი გავიგოთ, როგორც მხოლოდ იძულებითი შრომის აკრძალვა. მოქმედი კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგი შრომის უფლების დაცვის სფეროში სოციალური სახელმწიფოს მიერ გაცლებით მეტის უზრუნველყოფას ითვალისწინებს, ვიდრე ეს იძულებითი შრომის არდაშვებაა.”¹¹³⁸ როგორც გამოჩნდა, სასამართლომ გააფართოვა 30-ე მუხლის მნიშვნელობა და იქ იძულებითი შრომის აკრძალვასთან ერთად შრომის უფლებაც მოაქცია.

სასამართლომ ისიც თქვა რა მოიაზრება შრომის უფლებაში, „კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტი, რა თქმა უნდა, იცავს ნებისმიერ ადამიანს იძულებითი შრომისაგან, რაც ადამიანის ღირსების ხელყოფას წარმოადგენს. კონსტიტუციით დაცულია არა მხოლოდ სამუშაოს არჩევის, არამედ ასევე უფლება განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო, დაცული იყო უმუშევრობისაგან და ისეთი რეგულირებისაგან, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს ან იძლევა სამსახურიდან უსაფუძვლო, თვითნებური და

¹¹³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 4 ნოემბერის # 2/33/1 განჩინება საქმეზე ნინო იოსელიანი სამცხე-ჯავახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის და საქართველოს განათლების სამინისტროს წინააღმდეგ, პ.2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 3 აპრილის #2/26/1 განჩინება საქმეზე ლამარა კერესელიძე ქ. თბილისის მერიის წინააღმდეგ; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 27 ივლისი #2/77/1 გადაწყვეტილება საქმეზე მალხაზ მუმლაძე, ეთერ ჭიკილაშვილი, ზურაბ სამხარაძე, თეიმურაზ გვერდწითელი, დავით ალხაზიშვილი, გურამ შულღიაშვილი, ირაკლი კიკაძე, აზა ნადიბაძე, ადელაიდა ჭოჭელი და ზურაბ ანიკაშვილი საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს წინააღმდეგ, პ.8; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 28 თებერვალის #2/4-24 გადაწყვეტილება საქმეზე ლეონარდო დედარაიანი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, პ.3;

¹¹³⁶ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1930 წლის # 29 კონვენცია;

¹¹³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 4 ნოემბერის # 2/33/1 განჩინება, პ.2;

¹¹³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერის #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.19;

უსამართლო გათავისუფლების საშუალებას.”¹¹³⁹

ამგვარად 30-ე მუხლით დაცულია:

- იძულებითი შრომის აკრძალვა;
- უფლება აირჩიოს სამუშაო;
- უფლება განახორციელოს სამუშაო;
- უფლება შეინარჩუნოს სამუშაო;
- უფლება დატოვოს სამუშაო;
- დაცული იყო უმუშევრობისაგან;
- უფლება, დაცული იყო სამსახურიდან უსაფუძვლო, თვითნებური და უსამართლო გათავისუფლებისგან;

სასამართლომ ასევე განმარტა ის არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც შეცვალა არსებული პრაქტიკა: „... 30-ე მუხლის პირველი პუნქტის ვიწრო გაგება და 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის წმინდა ფორმალური განმარტება აკნინებს შრომის უფლების სოციალურ ხასიათს, ახდენს მის გამოფიტვას და ამავდროულად, არღვევს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების, მათ შორის საკანონმდებლო ხელისუფლების, მოქმედებას მკაცრ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ჩარჩოებში აქცევს. აქ იგულისხმება არა მხოლოდ ის, რომ კანონმდებელმა ფორმალური თვალსაზრისით დააკმაყოფილოს კონსტიტუციის მოთხოვნა და შრომითი უფლებების დაცვა კანონით მოაწესრიგოს, არამედ ისიც, რომ ეს კანონი, მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. საკონსტიტუციო სასამართლო სწორედ ამის გათვალისწინებით მოახდენს გასაჩივრებული ნორმების შემოწმებას.”¹¹⁴⁰

სასამართლომ ასევე განმარტა ამ მუხლისთვის უმნიშვნელოვანესი ასპექტი, სიტყვა „შრომის“ მნიშვნელობა. „ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა ვერ ჩაითვლება “შრომად” და არ ექვემდებარება დაცვას კონსტიტუციის 30-ე მუხლის საფუძველზე. “შრომად” შეიძლება გავიგოთ მხოლოდ ისეთი საქმიანობა, რომელიც მატერიალური და სულიერი თვალსაზრისით ემსახურება ადამიანის ცხოვრების საფუძვლის შექმნასა და შენარჩუნებას. შრომა, ერთი მხრივ, წარმოადგენს ადამიანის მატერიალური უზრუნველყოფის, ხოლო, მეორე მხრივ, პიროვნული თვითრეალიზაციისა და განვითარების საშუალებას. ადამიანის პროფესიული საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს რამოდენიმე მიმართულებას, მაგრამ საქმიანობის ნაწილი წარმოადგენს კონსტიტუციით დაცულ სიკეთეს მაშინ, როდესაც ის განგრძობადი და მატერიალური შემოსავლის მომტანია ან მისი ჩამოცილებით აღარ იარსებებდა შემოსავლის მომტანი პროფესიული საქმიანობის ძირითადი მიმართულება.”¹¹⁴¹ აქ სასამართლომ გამოყო მნიშვნელოვანი კრიტერიუმები, მისი აზრით, 30-ე მუხლი მხოლოდ ისეთ საქმიანობას იცავს, რომელიც:

¹¹³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერის #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.19;

¹¹⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერის #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.18;

¹¹⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერის #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.20;

- განგრძობადია;
- მატერიალური შემოსავლის მომტანია ან მისი ჩამოცილებით აღარ იარსებებდა შემოსავლის მომტანი პროფესიული საქმიანობის ძირითადი მიმართულება.

ამ კრიტერიუმების მიხედვით სასამართლომ, მაგალითად, დაცულ სფეროში არ მოაქცია ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს წევრობა, რადგან ეს არ წარმოადგენდა შემოსავლის მომტან საქმიანობას ან მოსარჩელეთა პროფესიული საქმიანობის განუყოფელ ნაწილს.¹¹⁴²

2. 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი (შენიშვნა: ამ პუნქტზე სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი მოცემულია კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების განხილვის შემდეგ).

3. 30-ე მუხლის მე-3 პუნქტი

ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს პრეცედენტული სამართალი არ არსებობს, მხოლოდ ერთ საქმეში აღნიშნა სასამართლომ, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 30-ე [მუხლი გარდა იმისა, რომ იცავს] შრომის თავისუფლებას, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას, [ის ასევე იცავს] საქართველოს მოქალაქეების შრომითი უფლებების დაცვას საზღვარგარეთ...“¹¹⁴³

4. 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი

2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური ცვლილებებით (#3710) შეიცვალა კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი. თავდაპირველი რედაქციის მიხედვით „შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება კანონით.“¹¹⁴⁴ ცვლილების შემდეგ კანონის სტატუსი შეიცვალა და განისაზღვრა ორგანული კანონით. ხოლო შესწორებული რედაქცია ასე გამოიყურება: „შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით.“

30-ე მუხლის მე-4 პუნქტს მჭიდრო კავშირი აქვს ამავე მუხლის პირველ პუნქტთან, რაც არ არის გასაკვირი, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ისინი უფლების სხვადასხვა ასპექტებს არეგულირებენ, მათ ერთი მიზანი აქვთ და ერთი უფლების შემადგენელი ნაწილები არიან. „30-ე მუხლის მე-4 პუნქტი უშუალო კავშირშია რა ამავე მუხლის პირველ პუნქტთან, სხვა საკითხებთან

¹¹⁴² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.20;

¹¹⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 16 თებერვალი #2/2/355 განჩინება;

¹¹⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 4 ნოემბრის # 2/33/1 განჩინება, პ.2;

ერთად, შრომითი უფლებების დაცვაზე ახდენს აქცენტირებას და ნორმა, რომელიც წინააღმდეგობაში მოვა მე-4 პუნქტთან, თავისთავად შეუსაბამო იქნება 30-ე მუხლის პირველ პუნქტთანაც.¹¹⁴⁵ ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ 30-ე მუხლის პირველს და მეოთხეს პუნქტებს აქვთ ზოგადი და სპეციალური ნორმის მიმართება.

თუ პირველი პუნქტი უფლების დაცულ სფეროს ადგენს, მე-4 პუნქტში საუბარია სახელმწიფოს ქმედების შეფასების მასშტაბზე. „როგორც აღინიშნა, კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტი არის ნორმა, რომელიც იცავს შრომის უფლებას, ხოლო 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი კი მასთან უშუალოდ კავშირში მყოფი ნორმა, რომელიც იძლევა ამ სფეროში მოქმედი ნორმების ფორმალური, თუ მატერიალური თვალსაზრისით შემოწმების საშუალებას.“¹¹⁴⁶

4.1. შეზღუდვის საფუძვლები

„შრომის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება. პირს, რომელიც იკავებს ამა თუ იმ თანამდებობას, უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ ეს თანამდებობა და შესაბამისი მდგომარეობა მუდმივი არ არის და შესაძლებელია დაექვემდებაროს გონივრულ შეზღუდვებს.“¹¹⁴⁷

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება [ცვლილების შემდეგ ორგანული კანონით] კანონით“,¹¹⁴⁸ დასახელებული მუხლი ასევე ადგენს, სახელმწიფოს ვალდებულებას საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობები და უმუშევრის სტატუსი განსაზღვროს კანონით.¹¹⁴⁹

კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი მოიცავს სახელმწიფოს თავისუფალი მოქმედების არეალის როგორც ფორმალურ, ისე მატერიალურ შეზღუდვას. „... კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის ფორმალურ-სამართლებრივ [მოთხოვნა] – ეს არის კანონი ფორმალური თვალსაზრისით, კანონმდებელს ჰქონდა ამ საკითხების მოწესრიგების კონსტიტუციური

¹¹⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერის #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.19;

¹¹⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერის #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.23;

¹¹⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერის #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.24;

¹¹⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 2 ივნისის #2/10/383 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ნოდარ ცოტნიაშვილი, ბადრი მაჭარაშვილი, შოთა სომხიშვილი, პეტრე საფრიაანი, დიმიტრი გოგოლაძე; ჯარიბეკ პარადაიანი, ლუდვიგ გრიგორიანი, შალიკო ბეჟუაშვილი, ასიმ ჩიტრეკაშვილი, ლევან თოკმაჯიანი, ნორიკ სუმბათიანი, ივანე როსტიაშვილი, რაფილ სხვაჩხიანი, არჩილ ფუხაშვილი, სერგო ეგიაზაროვი, გივი ჭაბუკიანი – საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹¹⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 12 დეკემბერი #2/6/322 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები კახაბერ მაგანია და გიორგი გუგავა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;

უფლებამოსილება. ...”¹¹⁵⁰

თუმცა სახელმწიფოს მოქმედება „...მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისითაც უნდა გადამოწმდეს. [ეს არის თანაზომიერება და პირველ რიგში ლეგიტიმური] მიზანი, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, კანონმდებელს აძლევდა მოქმედების თავისუფლების ფართო არეალს და მისი მიღწევისათვის შესატყვისი საშუალება სწორედ კანონი [უნდა იყოს].”¹¹⁵¹

4.1.1. თანამდებობიდან გათავისუფლება

ერთ–ერთ საქმეში სადავო იყო უნივერსიტეტიდან თანამდებობის პირების გათავისუფლება.¹¹⁵²

სასამართლომ მიიჩნია, რომ „კანონმდებელს უნდა მოეხდინა სიტუაციის შეფასება და შედარება ამ ინტერესებსა და დეკანის თანამდებობაზე მყოფი პირების შრომით უფლებებს შორის. კანონმდებელი არ არის ვალდებული, რომ დაელოდოს რომელიმე თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადის გასვლას და შემდეგ მოახდინოს ამა თუ იმ სფეროში რეფორმის გატარება. როდესაც საუბარია რეფორმისა და კონკრეტული პირის ინტერესზე, განსაზღვრული ვადით ეკავოს თანამდებობა, წინ მოდის რეფორმის ინტერესი.”¹¹⁵³ სასამართლომ განათლების რეფორმა ლეგიტიმურ მიზნად მიიჩნია.

თანაზომიერების შემდეგ საფეხურებზე მსჯელობისას სასამართლომ ამგვარი ქმედება მიზნის მისაღწევად უფლებაში ყველაზე ნაკლები ინტენსივობის ჩარევად მიიჩნია, „ამავდროულად ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „სადავო ნორმის მიზანი იყო არა გარკვეულ თანამდებობის პირთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა, არამედ, გარდამავალი პერიოდისათვის შესაბამისი ორგანიზაციული, საკადრო და სამართლებრივი წინაპირობების შექმნა, რათა მომხდარიყო გადასვლა ... კანონით გათვალისწინებულ, მოქმედისაგან განსხვავებით გაცილებით პროგრესულსა და დემოკრატიულ მოდელზე. ფაქტია, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ესაჭიროებოდათ სასწრაფო საკადრო და სტრუქტურული ცვლილებები და ამ თვალსაზრისით, დაყოვნება, ხელშეუხებელი თანამდებობის პირებისა და სტრუქტურების არსებობის დაშვება რეფორმისათვის დამლუპველი იქნებოდა. გარდამავალი დებულებების გარეშე, რომელმაც განსაზღვრა თანამდებობების დაკავების დროებითი წესი, განსაკუთრებით მოხდებოდა რეფორმის საკადრო მიმართულების სრული პარალიზება. მივიღებდით თანამდებობის პირებს, რომელთა მიმართ საკადრო გადაწყვეტილებების მიღება სამართლებრივად შეუძლებელი იქნებოდა. ამ შემთხვევაში, გარკვეული თანამდებობის პირების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა და თანამდებობის დაკავების წესის

¹¹⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერის #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.23;

¹¹⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერის #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.24;

¹¹⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერის #2/2-389 გადაწყვეტილება;

¹¹⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერის #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.24;

დროებით ტრანსფორმაცია კანონის მიზნების მიღწევის უალტერნატივო, აუცილებელ და შესატყვის საშუალებას წარმოადგენდა.”¹¹⁵⁴ შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში უფლების შეზღუდვა თანაზომიერი იყო.

4.1.2. თანამდებობრივი სარგოს მიღება

სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიხედვით¹¹⁵⁵ სადავო აქტი უსამართლოდ უჭიანურებდა და ამ გზით ფაქტობრივად ართმევდა მოქალაქეებს იმ უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას, რომლებიც აუცილებელი იყო, მათი, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრების არსებობისათვის. სადავო აქტი, სხვა უფლებებთან ერთად, მათ არ აძლევდა შესაძლებლობას, სამსახურიდან გათავისუფლებისას მიიღოთ კუთვნილი ორი თვის თანამდებობრივი სარგო.

ამრიგად, სასამართლომ ეს ხედვა არაკონსტიტუციურად ცნო და განაცხადა: „შრომითი უფლებების დაცვა და შრომის სამართლიანი ანაზღაურება კონსტიტუციის ერთ-ერთი პრინციპული მოთხოვნაა...”¹¹⁵⁶ „...მოქალაქეთა ხელფასების ზრდის საერთო ფონზე მიუღებელია ის ვითარება, როცა მოსარჩელები და მათი კატეგორიის ადამიანები, სამუშაოდან გათავისუფლებისას გამოსასვლელ დახმარებასაც კი ვერ ღებულობენ. ადამიანის უფლებებისადმი ასეთი მიდგომა არ შეესაბამება სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ნებისმიერი მოქალაქის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.”¹¹⁵⁷

სასამართლომ მოიშველია ადამიანის უფლებათა საყოვლთაო დეკლარაციის 23-ე მუხლი, რომლის თანახმად, შრომითი უფლებების დაცვა და სამართლიანი გასამრჯელოს მიღების უფლება ყოველი ადამიანის ღირსეული არსებობის მნიშვნელოვანი პირობაა. ასევე მოიშველია „ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი“, რომელიც შრომის სამართლიან ანაზღაურებას მიიჩნევს შრომის სამართლიანი და ხელშემწყობი პირობების სერიოზულ გამოვლინებად.¹¹⁵⁸

ასევე „სოციალური პოლიტიკის მიზნებისა და ნორმების შესახებ“ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 117-ე კონვენცია, რომლის პირველი მუხლის პირველ პუნქტის მიხედვით: „ნებისმიერი პოლიტიკა უწინარეს ყოვლისა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ მიღწეულ იქნეს მოსახლეობის კეთილდღეობა და განვითარება, აგრეთვე ხელი შეუწყოს მის სწრაფვას სოციალური პროგრესისაკენ“. ამ პოლიტიკის მნიშვნელოვანი გამოხატულებაა

¹¹⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერის #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.24;

¹¹⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერის #2/2-389;

¹¹⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 23 მარტი #1/3/301 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - დავით სილაგაძე, ლიანა დარსანია და ეკატერინე წოწონავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, III.3.1.

¹¹⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 23 მარტი #1/3/301 გადაწყვეტილება, III.3.4;

¹¹⁵⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 23 მარტი #1/3/301 გადაწყვეტილება, III.3.1;

ადამიანის შრომითი უფლებების დაცვა და შრომის სამართლიანი ანაზღაურება.

4.1.3. ნორმის ძალაში შესვლის გადადება

ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ განიხილა შემთხვევა, როდესაც სადავო ნორმის ამოქმედება რამდენჯერმე (კონკრეტულად 9-ჯერ) გადადო პარლამენტმა.

სასამართლომ ზოგადად მიუთითა, რომ „მართალია კანონმდებელს უფლება აქვს სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით შეაჩეროს ნორმატიული აქტის მოქმედება, მაგრამ ეს არ უნდა ღებულობდეს უსასრულოდ პერმანენტულ ხასიათს და არ უნდა იქცეს კანონის ამოქმედების პრინციპად. კანონის მოქმედებისადმი ასეთი დამოკიდებულება მოსარჩევეებს აყენებს უსასრულოდ გაურკვეველ მდგომარეობაში, უარყოფითად აისახება კანონის ავტორიტეტზე და ხელს უწყობს მოქალაქეთა მხრიდან მის მიმართ ნიჭილისტურ დამოკიდებულებას. ამგვარი მიდგომით ექვის ქვეშ დგება არა მარტო უფლების რეალიზაცია, არამედ თვით ამ უფლების არსებობაც. ასეთ ვითარებაში უფლებები ფიქტიურ ხასიათს იძენენ და შინაარსგამოცლილი ხდებიან. ... ნებისმიერი კანონის მოქმედების უსაფუძვლოდ გაუთავებელი შეჩერება-გადავადება ბღალავს კანონის უზენაესობის პრინციპს და საზოგადოებაში ამკვიდრებს განუკითხაობის შეგრძნებას.“¹¹⁵⁹, „... ნორმატიული აქტის მიღებისას კანონმდებელი ვალდებულია სწორად განსაზღვროს მისი მოქმედების სავარაუდო შედეგები. კანონმდებლის პროგნოზი ამ თვალსაზრისით უნდა იყოს დასაბუთებული და გამართლებული, რათა ადგილი არ ჰქონდეს კანონის ამოქმედების ხშირად გადავადებას და ადამიანის უფლებათა მარტოოდენ დეკლარირებას. კანონმდებლის მხრიდან საკანონმდებლო პროცესისადმი ასეთი დამოკიდებულება მიჩნეული უნდა იქნეს მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კონსტიტუციურ ვალდებულებად. ამ პროცესში ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება საკანონმდებლო საქმიანობის ერთ-ერთი სერიოზული გარემოებაა. ... კანონი ფინანსური კუთხითაც შესრულებადი უნდა იყოს. სადავო ნორმატიულ აქტთან დაკავშირებით ისეთი სურათი იქმნება, რომ ფინანსური შედეგების კუთხით იგი შეცნობადი ხდება არა მისი ამოქმედების ვადის განსაზღვრისას, არამედ ამოქმედების ვადის მოახლოებისას. ...“¹¹⁶⁰ ამგვარად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ნორმის ამოქმედების ვადის მრავალჯერ გადადება, როდესაც ეს განუსაზღვრელ ხასიათს იღებს ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მოთხოვნებს.

5. დასკვნა

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება შემდეგი დასკვნები გაკეთდეს:

- შრომის უფლება სოციალური უფლებების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია;

¹¹⁵⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 23 მარტი #1/3/301 გადაწყვეტილება, III.პ.2,3;

¹¹⁶⁰ იქვე;

- კონსტიტუცია იცავს:
 - იძულებითი შრომის აკრძალვას, აქედან არსებობს სამი გამონაკლისი შემთხვევა:
 1. სავალდებულო სამხედრო სამსახური;
 2. იძულებითი შრომა სასამართლოს განაჩენით;
 3. იძულებითი შრომა საგანგებო სიტუაციათა პირობებში.
 - უფლება აირჩიო სამუშაო
 - უფლება განახორციელო სამუშაო
 - უფლება შეინარჩუნო სამუშაო
 - უფლება დათმო სამუშაო
 - დაცული იყო უმუშევრობისაგან
 - უფლება დაცული იყო სამსახურიდან უსაფუძვლო, თვითნებური და უსამართლო გათავისუფლებისგან
- ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა ვერ ჩაითვლება “შრომად”, კონსტიტუციის 30-ე მუხლი მხოლოდ ისეთ საქმიანობას იცავს, რომელიც:
 - განგრძობადია;
 - მატერიალური შემოსავლის მომტანია ან მისი ჩამოცილებით აღარ იარსებებდა შემოსავლის მომტანი პროფესიული საქმიანობის ძირითადი მიმართულება.
- კონსტიტუციის 30-ე მუხლი იცავს საქართველოს მოქალაქეების შრომითი უფლებების დაცვას საზღვარგარეთ;
- ნორმა, რომელიც წინააღმდეგობაში მოვა კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტთან, თავისთავად შეუსაბამო იქნება 30-ე მუხლის პირველ პუნქტთანაც;
- კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტში საუბარია სახელმწიფოს ქმედების შეფასების მასშტაბზე;
- შრომის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება;
- კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი მოიცავს სახელმწიფოს თავისუფალი მოქმედების არეალის როგორც ფორმალურ, ისე მატერიალურ შეზღუდვას;

6. საქმეები, რომლებიც განიხილა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველ, მესამე და მე-4 პუნქტებთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები

ლამარა კერესელიძე ქ. თბილისის მერიის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 3აპრილის #2/26/1 განჩინება/

ნინო იოსელიანი სამცხე-ჯავახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის და საქართველოს განათლების სამინისტროს

წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 4 ნოემბერის # 2/33/1 განჩინება/

მოსარჩელე მურმან ბაკურაძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 12 მარტის #2/2/277/

მოქალაქე იულია მეზურნიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 16 თებერვალი #2/2/355/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

ლეონარდო დევიდარიანი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 28 თებერვალი #2/4-24 გადაწყვეტილება/

მალხაზ მუმლაძე, ეთერ ჟიჟილაშვილი, ზურაბ სამხარაძე, თეიმურაზ გვერდწითელი, დავით ალხაზიშვილი, გურამ შულღიაშვილი, ირაკლი კიკაძე, აზა ნადიბაიძე, ადელაიდა ჭოჭელი და ზურაბ ანიკაშვილი საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 27 ივლისი #2/77/11 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები - დავით სილაგაძე, ლიანა დარსანია და ეკატერინე წოწონავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 23 მარტი #1/3/301 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები კახაბერ ძაგანია და გიორგი გუგავა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 12 დეკემბერი #2/6/322 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები – ნოდარ ცოტნიაშვილი, ბადრი მაჭარაშვილი, შოთა სომხიშვილი, პეტრე საფრიანი, დიმიტრი გოგოლაძე; ჯარიბეკ პარადიანი, ლუდვიგ გრიგორიანი, შალიკო ბეჟუაშვილი, ასიმ ჩიტრეკაშვილი, ლევან თოკმაჭიანი, ნორიკ სუმბათიანი, ივანე როსტიაშვილი, რაფილ სხვაჩხიანი, არჩილ ფუხაშვილი, სერგო ეგიაზაროვი, გივი ჭაბუკიანი – საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 2 ივნისის #2/10/383 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერის #2/2-389 გადაწყვეტილება/

2. 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი

2.1. დაცული სფერო

30-ე მუხლის მე-2 პუნქტი რამდენიმე ასპექტისგან შედგება:

- სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას;
- აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა;
- მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

წინამდებარე ქვეთავში თითოეული ეს ასპექტი ცალ ცალკე იქნება განხილული.

2.1.1. თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარების მნიშვნელობა

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით მეწარმეობის თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური თვალსაზრისით. იგი „...წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლების მნიშვნელოვან გამოვლინებას, ეკონომიკური მართლწესრიგის, ჯანსაღი და სიცოცხლისუნარიანი საბაზრო ურთიერთობების საფუძველს... მხოლოდ თავისუფალი მეწარმეობის დროსაა შესაძლებელი, მეწარმე სუბიექტი გახდეს კომერციული ურთიერთობის სრულფასოვანი თანამონაწილე და შეძლოს თავისი საქმიანი უნარ-ჩვევების სრულყოფილი გამოვლინება.“¹¹⁶¹

2.1.1.1. თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარება - დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას.¹¹⁶²

ა) თავისუფალი მეწარმეობა

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულ დებულებაში ორმაგი მნიშვნელობა ამოიკითხა – „აღნიშნული ვალდებულებებით სახელმწიფო მხარს უჭერს თავისუფალი ეკონომიკის პრინციპს, რომელშიც არა მარტო მეწარმეობის ასპარეზია თავისუფალი ნებისმიერი ქმედუნარიანი სუბიექტისათვის,

¹¹⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის #1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე შპს “რუსენერგოსერვისი”, შპს “პატარა კახი”, სს “გორგოტა”, გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო “ფერმერი” და შპს “ენერჯია” საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ, II.3.2;

¹¹⁶² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 27 მაისის #2/2/132 განჩინება საქმეზე მოქალაქე ნუგზარ ბაღათურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 3.2;

არამედ, თავად მეწარმეობაა თავისუფალი.”¹¹⁶³ ამ ჩანაწერის მიხედვით, ნორმა, ერთი მხრივ, იცავს პირის უფლებას, თავისუფლად, დაბრკოლებების გარეშე განახორციელოს მეწარმეობა და, მეორე მხრივ, პირის უფლებას მხოლოდ საკუთარი სურვილის შემთხვევაში დაკავდეს მეწარმეობით.

სახელმწიფო პირველ ასპექტს ასე აყალიბებს: „კონსტიტუციის დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, ყველას აქვს უფლება, თავისუფლად შეარჩიოს სამეწარმეო საქმიანობის ესა თუ ის სახე და თავისუფლად და დაუბრკოლებლად განახორციელოს იგი”.¹¹⁶⁴ ამისთვის მან უნდა მოახდინოს „...ინსტიტუციურად ამ საქმიანობის [მეწარმეობის] თავისუფლების ნორმატიულ აღიარება.”¹¹⁶⁵

სასამართლოს მიაჩნია, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თავისუფალი მეწარმეობა მოქალაქეთა და მათ გაერთიანებათა ინიციატივით შექმნილი დამოუკიდებელი საქმიანობაა მოგების მისაღებად, რომელიც ხორციელდება მათი რისკითა და ქონებრივი პასუხისმგებლობით.”¹¹⁶⁶

თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე ასპექტი: რომლის მიხედვითაც „...მნიშვნელოვანია მისი მთავარი მოთამაშის, კერძოდ, მეწარმისადმი შეთავაზებული გარანტიები. სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას ისეთი ნორმატიული გარემო, რომელიც წახალისებს და ბაზრიდან არ განდევნის სიცოცხლისუნარიან სუბიექტებს, იზრუნებს მათი გაჯანსაღებისათვის. სახელმწიფოს მიერ გაცხადებული ნორმატიული სანდოობა სუბიექტს სამოქალაქო (კომერციული) ბრუნვის მიღმა კი არ ტოვებს, არამედ უძლიერებს მას ამ ბრუნვაში ჩართვის ინტერესს....”¹¹⁶⁷ ეს მუხლი მეწარმეობის ხელშეწყობასაც იცავს.¹¹⁶⁸

სასამართლომ ამ უფლების დაცვა დაუკავშირა მისი არსებობის მნიშვნელობას და პარალელი ადამიანის არსებობასთან გაავლო. „სახელმწიფო ვალდებულია, პატივი სცეს მეწარმე სუბიექტის არსებობას (არსებობის უფლებას). კონსტიტუცია იცავს არა მარტო ადამიანის არსებობას, არამედ ორგანიზებული წარმონაქმნების არსებობასაც. თავისუფალი მეწარმეობა შეუძლებელია, თუ არ არის დაცული მისი სუბიექტის “სიცოცხლე”. ყველა შემთხვევაში, სუბიექტის საქმიანობის დასასრული, ეს ნორმატიული ჩარევით მოხდება თუ მის გარეშე, ბუნებრივი, პრაქტიკული გონიერებიდან გამომდინარე აუცილებლობით უნდა იყოს გამოწვეული და არა მის მიმართ ხელოვნური ანგარიშსწორებით. მეწარმეს შეუძლია დაიცვას საკუთარი

¹¹⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.2;

¹¹⁶⁴ იქვე;

¹¹⁶⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.3;

¹¹⁶⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 11 მარტის #2/6/221 განჩინება საქმეზე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹¹⁶⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.3;

¹¹⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 12 მარტის #2/2/277 განჩინება საქმეზე მოსარჩელე მურმან ბაკურაძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, პ.3;

უფლება არსებობაზე მხოლოდ იმ დრომდე, სანამ ის მზადაა განახორციელოს თავისუფალი მეწარმის ყველა ფუნქცია, ყველა შესაძლებლობის სრულად გამოყენებით და აქედან გამომდინარე, იტვირთოს თანაბარი რისკი. ის შეუცვლელი და ხელშეუხებელია (დაცულია) მანამ, სანამ თავისუფალ ბაზარზე, თავისუფალი შეჯიბრებით (კონკურენციით), მზადაა გამოავლინოს თავისი სარგებლიანობა ამ ფუნქციებისათვის. ...”¹¹⁶⁹

სასამართლომ საკითხზე მსჯელობისას ერთმანეთს დაუკავშირა ხელშეკრულების, საკუთრებისა და მეწარმეობის თავისუფლება და განაცხადა, რომ ისინი ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული პრინციპული ფასეულობებია, რაც დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის.¹¹⁷⁰ აღნიშნული უფლების ანალიზისას სასამართლომ პარალელი საკუთრების უფლებასთან გაავლო: „ისევე, როგორც საკუთრების უფლება წარმოადგენს საკუთრებითი წესრიგის გამოვლინებას, თავისუფალი მეწარმეობაც შესაძლებელია მხოლოდ სამეწარმეო წესრიგის ფარგლებში. სახელმწიფო ხელს უნდა უწყობდეს ისეთი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბებას, რომელიც თავისუფალ მეწარმეობასაც ხელს შეუწყობს და ეკონომიკური უსაფრთხოებაც იქნება გარანტირებული. ფასეულობებისადმი ასეთი დამოკიდებულებით, სახელმწიფო ახდენს კერძო და საჯარო ინტერესების ერთმანეთისაგან არა გაუცხოებას, არამედ უზრუნველყოფს მათ შორის სამართლიანი ბალანსისა და მშვიდობის დამყარებას. ამით სახელმწიფო ქმნის ისეთ ეკონომიკურ მართლწესრიგს, რომელშიც მეწარმის ინტერესები არა თუ წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოების სამართლებრივად ანგარიშგასაწევ ინტერესებთან, არამედ, მათ ემსახურება.”¹¹⁷¹

ბ) თავისუფალი კონკურენცია

სასამართლომ ასევე განმარტა თავისუფალი კონკურენციის ცნება და როლი. „კონსტიტუციის 30-ე მუხლიდან გამომდინარე, თავისუფალი კონკურენცია ორგანულადაა დაკავშირებული მეწარმეობის თავისუფლებასთან და წარმოადგენს საბაზრომეურნეობის საძირკველს. კონკურენციის განვითარების ხელის შეწყობა, ცალკეულ შემთხვევაში, სახელმწიფოს კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს ეკონომიკური ურთიერთობების იმ სფეროშიც, რომელშიც ბუნებრივი მონოპოლიებია გაბატონებული. დემონოპოლიზაციის პოლიტიკით, სახელმწიფო ხელს უწყობს თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას და მომხმარებელთა მხრიდან არჩევანის თავისუფლებას. კონკურენტული ბაზრის პირობებში თავად ბაზრის კანონებია სამეწარმეო წესრიგის საფუძველი და ზედმეტი ხდება სახელმწიფოს მხრიდან მეურვეობა რეგულირების გზით. კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიზანმიმართულებაა თავისუფალი, კონკურენტული ბაზარი. მხოლოდ ასეთი ბაზრის პირობებში შეიძლება ავლენდეს სუბიექტი მეწარმისათვის დამახასიათებელ ყველა ნიშან-თვისებას. მხოლოდ კონკურენციის

¹¹⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.3;

¹¹⁷⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.4;

¹¹⁷¹ იქვე;

პირობებშია შესაძლებელი სუბიექტის თავისუფალი წარმოშობა, საქმიანობა და არსებობის შეწყვეტა. კონკურენციისადმი ხელის შეწყობით სახელმწიფო ახალისებს ბაზარზე სიცოცხლისუნარიანი სუბიექტების საქმიანობას. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ჯანსაღი სამოქალაქო ბრუნვის ჩამოყალიბებას.¹¹⁷²

„კონკურენციის არსებობისა და განვითარების სამართლებრივი გარანტიები გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ისეთი სამართლებრივი ნორმებისა და ინსტიტუტების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობენ მეწარმეების თავისუფლების განვითარებას, ქონებრივი ურთიერთობების მონაწილეთა ფორმალურ თანასწორობას, კერძო საკუთრების დაცვას, შეთანხმების თავისუფლებას, დარღვეული უფლებების დაცვის უზრუნველყოფას, მეწარმე სუბიექტების მიერ კონკურენციული ქმედებების განხორციელების შესაძლებლობის აღიარებას და, სახელმწიფოს მხრიდან, კონკურენციისადმი სხვა დახმარებებს. სწორედ ამ პრინციპებზეა დაფუძნებული სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის სისტემები იმ ქვეყნებში, რომლებიც ორიენტირებული არიან საბაზრო პრიორიტეტებზე ეკონომიკის რეგულირებაში.“¹¹⁷³

გ) თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარება - პოზიტიური ვალდებულება

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით ეს ნორმა განამტკიცებს „სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას “... ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას”.¹¹⁷⁴ ანუ არსებითად იგი სახელმწიფოსგან აქტიური ქმედებების გატარებას მოითხოვს, რათა უზრუნველყოს აღნიშნული მიზნების შესრულება.

სხვა გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა „სახელმწიფოს პოზიტიური, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ვალდებულებაა, დაიცვას მომხმარებელი მესამე პირთა უსამართლო ძალაუფლებისაგან. სახელმწიფო, რომელიც ვერ ახერხებს ამას, თავად გამოდის აღნიშნული უფლების დამრღვევის როლში. სახელმწიფო, ნებისმიერ შემთხვევაში, ამ მიმართულებით, პოზიტიური ეფექტის მისაღწევად უნდა იყენებდეს მის ხელთ არსებულ ყველაზე გონივრულ და ყველაზე გამართლებულ საშუალებებს.“¹¹⁷⁵

2.1.1.2. უფლების სუბიექტები

უფლების სუბიექტად სასამართლომ განსაზღვრა მეწარმე სუბიექტი. მიუხედავად იმისა, ფიზიკური პირია იგი, თუ იურიდიული. „... კონსტიტუციის დასახელებული დებულება ერთმანეთისგან განსხვავებულ რეგულირებებს შეიცავს. კერძოდ, მისი პირველი წინადადების თანახმად,

¹¹⁷² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.5;

¹¹⁷³ იქვე;

¹¹⁷⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.2;

¹¹⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 თებერვალის #1/1/374,379 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები შალვა ნათელაშვილი და აკაკი მიქაძე საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემევის) წინააღმდეგ, პ.II;

სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. ამ უფლების სუბიექტი არის პირი, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველ წინადადებაზე დაყრდნობით, შესაძლებელია, პირმა იდავოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს მეწარმე სუბიექტს და მიიჩნევს, რომ სადავო ნორმატიული აქტით დაირღვა ან შესაძლებელია დაირღვეს მისი, როგორც მეწარმე სუბიექტის უფლებები.”¹¹⁷⁶

2.1.1.3. უფლების შეზღუდვის საფუძვლები

ყველა უფლებას თავისი შეზღუდვის საფუძველი აქვს და გამონაკლისი არც თავისუფალი მეწარმეობის უფლებაა. „როცა თავისუფალ მეწარმეობაზე საუბარი, საჭიროა გაირკვეს, როდის და რა ფარგლებში შეუძლია სახელმწიფოს, ჩაერიოს მისი განხორციელების პროცესში. როგორც წესი, სამეწარმეო საქმიანობა მეწარმეთა ავტონომიური ნების საფუძველზე ხორციელდება, მაგრამ არ უნდა გამოირიცხოს ამ ნების ჩამოყალიბების პროცესში ჩარევა, როცა არის იმის რეალური საშიშროება, რომ სუბიექტი მინიჭებულ უფლებამოსილებას ბოროტად გამოიყენებს და იმოქმედებს სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული ტრადიციების საწინააღმდეგოდ. არ შეიძლება, რომ თავისუფალი ნება გახდეს არაეკვივალენტური, არათანაზომიერი და უსამართლო ურთიერთობების ჩამოყალიბების საფუძველი, რაც გამოიწვევს ბრუნვის ტრადიციებისაგან მისი მონაწილეების გაუცხოებას და, იმავდროულად, ამით წინააღმდეგობაში მოვა აღიარებულ ზნეობრივ იმპერატივებთან. მოგებაზე ორიენტირებული სუბიექტისაგან, როცა ჯერ კიდევ მყარად არ არის დამკვიდრებული სავაჭრო ტრადიციები, ადვილი შესაძლებელია, მომეტებულად მომდინარეობდეს ასეთი საშიშროება. მოსალოდნელია, რომ ბაზრის გაბატონებული მონოპოლიური მდგომარეობის მქონე სუბიექტმა, მომხმარებელს შესთავაზოს აშკარად უსამართლო სახელშეკრულებო პირობები და, არჩევანის უქონლობის გამო, აიძულოს იგი, გახდეს მისი პარტნიორი. ამგვარი საფრთხის დროს სახელმწიფო იძენს უფლებას, ჩაერიოს მეწარმის შიდა საქმიანობაში და დაუდგინოს ნების გამოვლენის ფარგლები.”¹¹⁷⁷

ამრიგად, თავისუფალი მეწარმეობა შეიზღუდება თუ იგი ჩამოთვლილთაგან რომელიმე ტიპის ურთიერთობას დაედება საფუძველად:

- არაეკვივალენტური ურთიერთობები;
- არათანაზომიერი ურთიერთობები;
- უსამართლო ურთიერთობები;

თუმცა სანამ უფლება შეიზღუდება, უნდა გაირკვეს, აკმაყოფილებს თუ არა ეს შეზღუდვა თანაზომიერების ტესტს.

¹¹⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 29 დეკემბერის #2/4/507 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები გიორგი თარგამაძე, გიორგი ლევიშვილი, ინგა გრიგოლია და ჯაბა სამუშია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.4;

¹¹⁷⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.6.;

ტესტის პირველი საფეხური იქნება ის მიზანი, რომელიც ამოძრავებდა კანონმდებელს მათი მიღებისას, ამ მიზნის დადგენაში საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა მათი იდენტიფიცირების გზებსა და ფორმებს. „ნებისმიერ შემთხვევაში, ამ მიზნის ქვეშ მოაზრებული სიკეთე ნორმატიულად მოწესრიგებადი და ფასეული უნდა იყოს. სწორედ ასეთი შეიძლება იყოს კანონმდებლის ლეგიტიმური მიზანი და არა ისეთი, რომელიც გაუცხოებულა ნორმატიული ნებისაგან და არ შეესაბამება მას. თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით შეიძლება შეფასდეს კანონმდებლის მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საშუალებათა კონსტიტუციურობა. ხშირად კანონმდებლის მიერ განზრახულ მიზნებზე უშუალოდ ნორმატიულ აქტებშია აღნიშნული. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო ნორმები არ შეიცავენ მსგავს მინიშნებებს. ერთადერთი, საიდანაც შეიძლება საკანონმდებლო მიზნების იდენტიფიკაცია, ეს არის სადავო აქტების პროექტებზე თანდართული განმარტებითი ბარათები და საქმის არსებითი განხილვის პროცესში გამორკვეული გარემოებანი.“¹¹⁷⁸

თუმცა მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის არსებობა არ არის საკმარისი, აუცილებელია, მიზნის მისაღწევად არჩეული გზა იყოს გამოსადეგი და ნაკლებ ინტენსიურად შემზღუდველი. „...განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკანონმდებლო რეფორმების ხასიათი, ის, თუ ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად რა გზას ირჩევს კანონმდებელი. ნებისმიერ შემთხვევაში, იგი ვალდებულია, გაემიჯნოს ისეთ სინამდვილეს, რომლის მიხედვითაც, მიზანი ამართლებს საშუალებას. თუკი კანონმდებელი აჰყვება ამგვარ ცდუნებას, ამით დაირღვევა ღირებულებათა წესრიგი და სამოქალაქო ბრუნვაში უსამართლობა დაისადგურებს. ადვილი შესაძლებელია, რომ მაღალი ღირებულების სიკეთე შეეწიროს უმნიშვნელო ღირებულების სიკეთეს. ეს რომ არ მოხდეს და შენარჩუნდეს ღირებულებათა წესრიგი, კანონმდებელი უნდა იცავდეს თანაზომიერების კონსტიტუციური პრინციპის მოთხოვნებს. მის მიერ დასახული მიზნის მიღწევა უნდა მოხდეს ყველაზე უმტკივნეულო, აუცილებელი და სამართლებრივად ვარგისი საშუალებით. ვარგისიანობა და აუცილებლობა განაპირობებს არჩეული საშუალების ნამდვილობას. ვარგისიანობა ობიექტური გარემოებებითაა განსაზღვრული და იგი გულისხმობს გამოყენებული საშუალების უნარიანობას ლეგიტიმური მიზნის მიღწევაში. როცა საშუალება უვარგისი ხდება არა მისი გამოყენების პროცესში, არამედ თავიდანვეა ასეთი, მაშინ ადვილი აქვს საშუალების აშკარა უვარგისობას.“¹¹⁷⁹

ა) სახელმწიფო საწარმოების პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენება

საკონსტიტუციო სასამართლომ გააკრიტიკა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენება და განაცხადა: „...ასეთი სამართალგანვითარების პირობებში სადავო ნორმა გამოიყურება ერთგვარ უკან გადადგმულ ნაბიჯად. იგი ფაქტობრივად ხელს

¹¹⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.9;
¹¹⁷⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.10;

უწყობს საკუთრების ფორმების რეანიმაციას და პრივილეგიური მესაკუთრის ინსტიტუტის შემოღებას. სადავო ნორმის წყალობით სახელმწიფოსთან ერთად ასეთ პრიორიტეტულ მდგომარეობაში ექცევიან ის კერძო საწარმოებიც, რომლებშიც სახელმწიფოს აქციათა ან საწესდებო კაპიტალში წილის 50%-ზე მეტი გააჩნია. ... სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები, თანაბარ პირობებში უნდა იქნენ ჩაყენებული სხვა საწარმოებთან, რომლებშიც სახელმწიფოს წილი არ გააჩნია. ... აღნიშნული სუბიექტებისათვის უსაფუძვლო პრივილეგიების მინიჭება არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს და წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტთან... სახელმწიფოს არა აქვს უფლება საკანონმდებლო ხელისუფლება გამოიყენოს იმგვარად, რომ ამით ხდებოდეს საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი პრინციპების უარყოფა, ვინაიდან სახელმწიფოც შეზღუდულია სამართლით. თანაბარი განვითარების შესაძლებლობის მიცემა გულისხმობს სამართლებრივად გამართლებულ თანაბარ პირობებში ჩაყენებას და არა ისეთი მდგომარეობის ყველა შესაბამისი სუბიექტისათვის დაკანონებას, რაც სადავო ნორმამია მოცემული.”¹¹⁸⁰

ბ) პროდუქციის რეალიზაციის წესები

სასამართლო კოლეგიის აზრით, „ადამიანის უსაფრთხოების, მისი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით პროდუქციის რეალიზაციის სათანადო წესების დადგენა და მათი შესრულების უზრუნველყოფა ვერანაირად ვერ ჩაითვლება ... თავისუფალი მეწარმეობის განვითარებისათვის ხელის შეშლად საქართველოს კონსტიტუციის ... 30-ე მუხლთან მიმართებით.”¹¹⁸¹

გ) ელექტროენერჯის განაწილების საქმიანობის რეგულირება

სასამართლომ გარდა ზოგადი სტანდარტების დადგენისა, საკუთარი დამოკიდებულება გამოხატა კონკრეტულ შემთხვევებთან დაკავშირებით. ასე მაგალითად, სადავო იყო ელექტროენერჯის განაწილების საქმიანობის რეგულირება, რომლის მიხედვითაც გარკვეულ პირებს ბაზარზე მონაწილეობის შესაძლებლობა ერთმეოდათ.

სასამართლომ განაცხადა, რომ „ელექტროენერჯის განაწილების საქმიანობა მიეკუთვნება რეგულირებადი ეკონომიკური ურთიერთობის სფეროს, რაც განპირობებულია ამ დარგში გაბატონებული მდგომარეობის მქონე სუბიექტების არსებობით. შესაბამისად, რეგულირების შემოღება ემსახურება როგორც მომხმარებელთა, ასევე ბუნებრივ მონოპოლისტზე დამოკიდებული ბაზრის სხვა სამეწარმეო სუბიექტის ქონებრივი ინტერესების დაცვას.

¹¹⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის #1/4/184,228 გადაწყვეტილება საქმეზე სააქციო საზოგადოებები - „საქგაზი“ და „ანაჯგუფი“ (ყოფილი «თბილგაზოპარატი») საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.2;

¹¹⁸¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 13 ივნისის #1/4/154,200 გადაწყვეტილება საქმეზე ზურაბ გაბუნია და არჩილ ლუღუშაური და შპს „ჯგუფი ქალაქური“ საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, პ.4;

კანონმდებელი იცავს მომხმარებელს გამანაწილებელი კომპანიების თავნებობისაგან ელექტროენერჯის ტარიფის განსაზღვრით. სახელმწიფოს მხრიდან ამგვარი ჩარევები მიმართულია იქითკენ, რათა დაბალანსდეს მეწარმისა და მომხმარებლის ინტერესები და ბუნებრივმა მონოპოლისტებმა არ დააწესონ უსამართლო ფასები. ვინაიდან, რეგულირების გზით, იზღუდება მეწარმის ნების თავისუფლება, სახელმწიფო ვალდებულია, ისე განსაზღვროს რეგულირების ფარგლები, როგორც ამას გააკეთებდა ყველაზე კეთილსინდისიერი მეწარმე შესაბამისი მექანიზმის არარსებობის შემთხვევაში. უფლების შეზღუდვის მიმართ ასეთი დამოკიდებულებით, მოხდება არა მარტო ცალმხრივად მომხმარებლის ინტერესების დაცვა, არამედ მეწარმის ყველაპატივისცემის ინტერესის გათვალისწინებაც. ინტერესთა ასეთი დაბალანსება სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი პირობაა. ყველა შემთხვევაში, რეგულირებამ არ უნდა გამოიწვიოს ბრუნვის მონაწილეთა გაუცხოება ამ ბრუნვისაგან. ელექტროენერჯის ბაზარი, როგორც გარკვეული თვისობრიობის მატარებელი ფასეულობა, უნდა შენარჩუნდეს. მარეგულირებელი ორგანო შეიძლება ჩაერიოს ბაზრის ფუნქციებში მხოლოდ იმ სახით, რაც არ იქნება ხელშემშლელი ელექტროენერჯის თავისუფალი და სამართლიანი ვაჭრობისათვის.¹¹⁸² ამგვარად სასამართლომ ელექტროენერჯის განაწილების საქმიანობის რეგულირება გამართლებულად მიიჩნია, თუმცა კონკრეტული პირობებიც დააწესა და ასეთად ბაზრის არსებობა მიიჩნია. „ენერჯეტიკის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა ორიენტირებულია კონკურენტული ურთიერთობების ხელშეწყობისაკენ... ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიები ბუნებრივი მონოპოლიებია თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე და, ამ თვალსაზრისით, მომხმარებელი, გარკვეულწილად მოკლებულია კომპანიის არჩევის შესაძლებლობას. თუმცა, როგორც სასამართლო პროცესიდან გამოჩნდა, არ იქნებოდა სწორი, რომ ამგვარი სუბიექტი მიგვეჩნია აბსოლუტურად უალტერნატივოდ. საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს წარმომადგენლებმა არ უარყვეს კონკურენციის არსებობა ბუნებრივი მონოპოლიების პირობებში. მათი განცხადებით, ელექტროენერჯის განაწილების სფეროში კონკურენცია შესაძლებელია სადავო აქტით დადგენილი ელექტროენერჯის რეალიზაციის ზღვრული მოცულობის გადალახვის შემთხვევაში. სასამართლოსათვის აუხსნელია, რატომ არის ეს შეუძლებელი მანამდე. ეს კონკურენცია ჩანს ელექტროენერჯის მწარმოებლის მიერ მომხმარებლებზე ელექტროენერჯის პირდაპირი მიწოდებისას. მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებს შეუძლიათ უშუალოდ მომხმარებელს მიაწოდონ ელექტროენერჯი და ამით კონკურენცია გაუწიონ ელექტროენერჯის გამანაწილებელ კომპანიებს. აქედან ჩანს, რომ გამანაწილებელი კომპანიების, სულ ერთია იგი დიდი იქნება თუ მცირე, ბაზარზე ყოფნა-არყოფნის საკითხი შესაძლებელია გადაწყდეს კონკურენციის კანონებითაც. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი მონოპოლიის პირობებში კონკურენცია ერთობ შეზღუდულია, სახელმწიფო ვალდებულია, ასეთი მცირე შესაძლებლობების პირობებშიც კი, მოქმედებდეს მისი განვითარებისათვის. გაუმართლებელია შეზღუდვა, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მსურველ სუბიექტს, ამ ბაზარზე

¹¹⁸² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.7;

შესვლის შესაძლებლობას ურთულებს. ნებისმიერი არაბუნებრივი ჩარევები ამ მიმართულებით ხელშემწყობი იქნება ხელოვნური მონოპოლიებისათვის.”¹¹⁸³

სასამართლომ შეამოწმა ლეგიტიმური საჯარო მიზანი და ასეთად ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოება და მომხმარებელთა ინტერესების დაცვა მიიჩნია.¹¹⁸⁴ „აღნიშნული მიზნები სავსებით გამართლებულად უნდა ჩაითვალოს ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკიდან გამომდინარე. ამ პოლიტიკის მთავარ ამოცანას არ შეიძლება არ წარმოადგენდეს ენერგეტიკული უსაფრთხოება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მოიშალა რა არსებული ენერგეტიკული სისტემა, საქართველო პირისპირ აღმოჩნდა ამ დარგში არსებული პრობლემების გადაჭრის წინაშე. ... სადავო აქტების გამოყენების პროცესი მიანიშნებს იმაზე, რომ მიზნის მიღწევის არსებული საშუალება თავიდანვე იყო უვარგისი. ასეთი მიდგომის შემთხვევაში, მიზანი კი არ ამართლებს საშუალებას, არამედ საშუალება უნდა იყოს მიზნის შესაფერისი. მიზნის შესაფერისი კი ისეთი საშუალებაა, რომელიც ყველაზე ბუნებრივი და მორგებადია ამ მიზნისათვის და ყველაზე უმტკივნეულო და ასატანი შეზღუდული უფლებისათვის.”¹¹⁸⁵ ამრიგად, სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო რეგულირება.

სასამართლომ ასევე განიხილა განიხილა: „ სადავო აქტებით განსაზღვრული პირობა, კერძოდ, სავალ მომხმარებელზე ელექტროენერჯის რეალიზაციის მოცულობა წარმოადგენს ელექტროენერჯის განაწილების საქმიანობისათვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას. უნდა ითქვას, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო ნორმატიულად ადგენს ამა თუ იმ საქმიანობის განხორციელებისათვის სავალდებულო პირობას, ამით იგი ხელს უნდა უწყობდეს როგორც სტაბილური და მყარი ურთიერთობის ჩამოყალიბებას, ისე ამ ურთიერთობის ასეთივე სუბიექტის არსებობას. ისეთ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო სარგებლობს აბსოლუტური თავისუფლებით, დიდია ცდუნება იმისა, რომ იგი თავის ძალაუფლებას არასწორად გამოიყენებს. სახელმწიფო, წარუმატებელი შედეგის შემთხვევაში, შეეცდება, ხშირად ცვალოს ამ პირობის რაოდენობრივი მაჩვენებელი და, საბოლოოდ, მივიდეს გაუთვალისწინებელ შედეგებამდე. ამ საფრთხის შესაძლებლობაზე მიუთითებს პროცესის მონაწილეებმა. ამას შედეგად მოჰყვება გამანაწილებელი კომპანიების პერმანენტული განდევნა ელექტროენერჯის ბაზრიდან და, საბოლოოდ, რამდენიმე მონოპოლიური სუბიექტის დარჩენა ამ ბაზარზე. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს ბაზრის დროებითი და არასტაბილური სუბიექტების გაჩენას, რაც ვერ იქნება ხელშემწყობი ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის და მომხმარებელთა სტაბილური ენერგომომარაგებისათვის. ასეთ პირობებში ადვილი შესაძლებელია, საკანონმდებლო ჩარევები გაუცხოებული აღმოჩნდეს ბაზრის კანონებისაგან. სადავო ნორმების არარსებობის შემთხვევაში, არასტაბილური სუბიექტების ბაზრიდან გასვლა მოხდება ამ ბაზრის ბუნებრივი კანონების საფუძველზე და არა ხელოვნურად, როგორც

¹¹⁸³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.8;

¹¹⁸⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.9;

¹¹⁸⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.10;

ამას ადგილი აქვს ამ ნორმების მოქმედების შემთხვევაში.”¹¹⁸⁶

ამავე საქმეში სასამართლომ განიხილა პატარა კომპანიების ეკონომიკური წარუმატებლობა და დაასკვნა, რომ ეს არ შეიძლება გახდეს სადავო აქტების გამართლების საფუძველი. რადგან „ეკონომიკური წარუმატებლობის მდგომარეობაში შეიძლება ჩავარდეს არა მარტო წვრილი კომპანია, არამედ, მსხვილი კომპანიაც. ამ უკანასკნელის მაგალითად პროცესზე დასახელდა ს.ს. „კახეთის ენერგოდისტრიბუცია”, რომელიც გაკოტრების პროცესშია. ამიტომაც აბსოლუტურად სარწმუნოდ ვერ გამოიყურება მოპასუხეთა პოზიცია, რომ მსხვილი კომპანიები სიცოცხლისუნარიანები არიან, რადგანაც მათ მეტი შესაძლებლობები გააჩნიათ პრობლემების მოსაგვარებლად. საქმე იმაშია, რომ მსხვილ კომპანიებს საზრუნავიც მეტი აქვთ, რაც, შესაბამისად, მეტ ხარჯსაც მოითხოვს. კომპანია, რომელიც უმტკივნეულოდ აგვარებს თავის პრობლემებს, ის არც გაკოტრების პირას არ მიდის. ეს ფაქტი მიგვანიშნებს იმაზე, რომ არაბუნებრივი ნორმატიული ჩარევა ბაზრის ცხოვრებაში იწვევს კანონმდებლის გაუცხოებას მის მიერვე დასახული მიზნისაგან.”¹¹⁸⁷

სასამართლომ კიდევ უარყო ერთი საჯარო მიზანი: „არ შეიძლება ენერგეტიკული სისტემის მართვის გამარტივება ჩაითვალოს ისეთ მოტივად, რომელიც გაამართლებდა სადავო აქტების მიღებას. მოპასუხეთა მტკიცებით, მსხვილი კომპანიების მართვა უფრო ადვილია, ვიდრე მრავალი წვრილი კომპანიისა. ეჭვგარეშეა, რომ მარტივი და მოქნილი მართვის სისტემა გაცილებით ეფექტიანია, მაგრამ მას ვერ ექნება გამართლება, თუკი ეს არ იქნება სამართავი ურთიერთობების ბუნებრივი მოთხოვნილება. საზოგადოებრივი ურთიერთობის მართვის ნებისმიერი სისტემის პირობებში, ეს მართვა ისე უნდა განხორციელდეს, რომ მან შესაბამისი ურთიერთობაც სრულად მოიცვას და ამ ურთიერთობის სუბიექტების ინტერესებიც დაიცვას. მოპასუხეთა მიდგომა ეწინააღმდეგება ბაზრის ეკონომიკურ კანონებს და საშიშია იმ თვალსაზრისით, რომ იგი ხელს უწყობს უკონკურენტო და ხელოვნური მონოპოლიების მქონე ბაზრის ჩამოყალიბებას. სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს ისეთი ბაზრის ჩამოყალიბებას, რომელშიც თავისუფალი საქმიანობის ასპარეზი ექნება როგორც მსხვილ, ისე წვრილ კომპანიებს, როდესაც სახეზეა სუბიექტთა მრავალფეროვნება. მართვის ტვირთი არ უნდა შემსუბუქდეს სამართლებრივად ფასეული სიკეთის ხელოვნური უგულვებლყოფის გზით. მართვის სუბიექტის თანდათანობითი უარყოფის გზით, თავად მართვა შეიძლება დადგეს ეჭვის ქვეშ. მართვის როგორი მოდელიც არ უნდა იყოს, მას არა აქვს გამართლება, თუ იგი მომეტებულად იჭრება თავისუფალი ურთიერთობის სფეროში. ენერგეტიკული ბაზრიდან მცირეკომპანიების განდევნა უნდამივიწინოთ კანონმდებლის მიერ დასახული მიზნის მისაღწევად გამოყენებულ არაადეკვატურ საშუალებად.”¹¹⁸⁸

სასამართლო მიიჩნევს, რომ „კანონმდებელი კარგად უნდა განჭვრეტდეს არა მარტო მის მიერ მიღებული ნორმების მოქმედების შედეგებს, არამედ სათანადოდ აფასებდეს იმ დროსაც, რომელშიც ჩნდება ურთიერთობის

¹¹⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.11;

¹¹⁸⁷ იქვე;

¹¹⁸⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.12;

ახლებურად მოწესრიგების აუცილებლობა...¹¹⁸⁹ შესაბამისად, „... მიუღებლად უნდა ჩაითვალოს ბაზრის ისეთი ხედვა, თითქოს ბაზრის სუბიექტები თავიანთი საქმიანი შესაძლებლობების გამოვლენით, ამ ბაზრის განმტკიცებასა და კეთილსინდისიერ კონკურენციას კი არ უწყობენ ხელს, არამედ ერთმანეთის ხელშემშლელებად გვევლინებიან. ბაზრის პრინციპი დაპირისპირება კი არ არის, არამედ კეთილსინდისიერება, სოლიდარობა და ინტერესთა პატივისცემა. არ შეიძლება ერთი კომპანიის საქმიანობის სფეროში წარმოშობილი პრობლემები მეორე კომპანიის არსებობის ხელოვნურად შეწყვეტით მოგვარდეს. მსხვილ კომპანიებს უფლება ჰქონდათ, წვრილი კომპანიების მომხმარებლები საკუთარ მომხმარებლებად ექციათ, თუკი ისინი სამისოდ გაიღებდნენ სათანადო ხარჯებს და შეთავაზებული პირობებით დააინტერესებდნენ...“¹¹⁹⁰

სასამართლო განსაკუთრებული ყურადღება თავისუფალი ბაზრის პირობებში მოთამაშეთა თანასწორუფლებიანობაზე გაამახვილა: „კომპანიათა თანაბარ პირობებში ჩაყენება ნიშნავს თითოეული მათგანისათვის თანასწორი სამართლებრივი გარანტიების მიცემას. კანონმდებლის ჩარევის ფარგლები მთავრდება იქ, სადაც ბაზრის ბუნებრივი კანონებით წესრიგდება ესა თუ ის ურთიერთობა. როცა გამანაწილებელი კომპანიები შემოდიან ბაზარზე, ისინი თავისუფლად ირჩევენ თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებს და იქ მიდიან, სადაც მომგებიანი იქნება მათი საქმიანობა. კომპანიის ამ არჩევანში ნებისმიერი ადმინისტრაციული ჩარევა მიჩნეული უნდა იქნეს მათი სამეწარმეო თავისუფლების შეზღუდვად. ბუნებრივია, ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და მომხმარებელთა ინტერესების პოზიციებიდან გამომდინარე, კარგია, როცა გამანაწილებელი კომპანია ორიენტირებული იქნება ყველა კატეგორიის მომხმარებელზე, მაგრამ ბაზრის კანონები ამას არ ავალდებულებს და, ბუნებრივია, ვერც სადავო აქტების მოქმედებით გაჩნდება ასეთი ვალდებულება. ცხადია, კომპანიათა გამსხვილების ვითარებაში, შესაძლებელია დადგეს აღნიშნული შედეგი, მაგრამ ეს ვერ იქნება ყოვლისმომცველი, ვინაიდან თავად კომპანიები ირჩევენ თავიანთ მომხმარებლებს. სრულიად შესაძლებელია, რომ ნორმატიული ბარიერი რომელიმე კომპანიამ გადალახოს მხოლოდ კარგი გადამხდელის ხარჯზე, ანდა სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ბარიერი გადალახავადი იყოს მხოლოდ მაღალმთიან სოფლებში დასახლებული მომხმარებლით. ამ ლოგიკით, ელექტროენერჯიას მიიღებს მხოლოდ ე.წ. “იაფად ღირებული” მომხმარებელი, ვინაიდან არავის არა აქვს უფლება, აიძულოს მეწარმე, განახორციელოს არამომგებიანი საქმიანობა. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მეწარმის საქმიანობა არ შეიძლება იმაზე მეტად შეიზღუდოს საჯარო ინტერესებით, რაც აუცილებელია კერძო ინტერესების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. მეწარმეებს უნდა შეექმნათ სამართლებრივი გარანტიები იმისათვის, რომ მათ ეფექტიანად განახორციელონ თავიანთი საქმიანობა სამოქმედო ტერიტორიის მიუხედავად, იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორია მათი საქმიანობის ეკონომიკური დანახარჯები და მომგებიანობა. ნებისმიერი ნორმატიული

¹¹⁸⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.13;

¹¹⁹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.15;

ჩარევა, რომელიც გაუცხოვდება და დაუპირისპირდება ბაზრის ბუნებრივ კანონებს, ხელოვნურად თავსმოხვეული და არაეფექტიანი იქნება.”¹¹⁹¹

თანასწორობას კიდევ ერთი ასპექტი უკავშირდება: „...მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მოვლენა გარკვეული ხარისხით მოითხოვს ეგზისტენციალურ მიდგომას, კანონმდებელმა უნდა შეძლოს მსგავსი და ერთგვაროვანი მოვლენების შეფასების საერთო მასშტაბის შემუშავება, რაც გამორიცხავს ორმაგი სტანდარტით მოქმედებას...”¹¹⁹²

სასამართლომ აქვე გაუსვა ხაზი იმ საფრთხეს, რომელსაც იწვევს მეწარმეთა განდევნა ბაზრიდან, „მეწარმეთა ბაზრიდან განდევნა საფრთხეს უქმნის სამართლებრივი წესრიგისადმი სანდოობას. რაგინდ კეთილშობილური მიზანიც არ უნდა ამოძრავებდეს სახელმწიფოს საკანონმდებლო ნოვაციების შემოსაღებად, არ უნდა დაირღვეს ნდობის კონსტიტუციური პრინციპი, როგორც სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომელიც სამოქალაქო ურთიერთობათა უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტიას წარმოადგენს. სამართლებრივი წესრიგისადმი ის დამოკიდებულება, რაც სადავო ნორმებიდან იკითხება, უნდობლობით განაწყობს არა მარტო იმ მეწარმეებს, რომლებიც ელექტრობაზრიდან განიდევენ, არამედ იმათაც, რომლებიც დღესაც ფუნქციონირებენ. ასეთ პირობებში არ არსებობს არავითარი გარანტია იმისა, რომ მათი საქმიანობა იქნება სტაბილური და არ გახდება ახალი საკანონმდებლო ცვლილებების სამიზნე. მართალია, არ არსებობს უცვლელი კანონმდებლობა, მაგრამ სახელმწიფოს ნებისმიერი ქმედება ამ მიმართულებით სამართლებრივი წესრიგის განმტკიცებისაკენ გადადგმული ნაბიჯი უნდა იყოს, რომელიც არ იქნება გაუცხოებული სანდოობის პრინციპისაგან.”¹¹⁹³

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ გააუქმა ნორმა, ვინაიდან, მიიჩნია, რომ არსებობდა უფლების უფრო მსუბუქად შემზღუდავი ნორმა, რომელი იმავე მიზნების მიღწევას უზრუნველყოფდა. „... როგორც საქმის განხილვიდან გამოჩნდა, ლიცენზიის პირობების დარღვევის შემთხვევაში, მარეგულირებელ კომისიას გააჩნია კანონმდებლობით მინიჭებული ეფექტური ბერკეტები, რომლის მეშვეობითაც მან უნდა აიძულოს ლიცენზიის მფლობელები, შეასრულონ ლიცენზიით გათვალისწინებული ვალდებულებები. როდესაც ელექტროენერჯის მიწოდების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად უკვე არსებობდა აღნიშნული საკანონმდებლო რეგულირება, ამავე მოტივით რეალიზაციის სავალდებულო მოცულობის დადგენა და კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებზე ახალი შეზღუდვის შემოღება, მიზანშეუწონელია. მით უმეტეს, საქმის განხილვისას გაირკვა, რომ რეალიზაციის მოცემული კვოტა სულაც არ გამორიცხავს ელექტროენერჯის არასტაბილურად მიწოდების საფრთხეს.”¹¹⁹⁴

¹¹⁹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.17;
¹¹⁹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.19;
¹¹⁹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.21;
¹¹⁹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.22;

და ბოლოს, სასამართლომ იმსჯელა ძალიან მნიშვნელოვან ასპექტზე, რომელიც ნორმის სოციალურ ცხოვრებას უკვაშირდება: „სადავო აქტების შეფასებისას მხედველობაშია მისაღები ამ აქტების მოქმედების არა მარტო სავარაუდო პრაქტიკული შედეგები, რაც წარმოადგენს სამართლის ნორმის ჯერარსული ბუნების გამოვლინებას, არამედ მათი მოქმედებით გამოწვეული რეალური, ფაქტობრივი შედეგები. [საკონსტიტუციო სამართალწარმოების კანონმდებლობის მიხედვით] “ნორმატიული აქტის შემოწმებისას საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში იღებს სადავო ნორმის... გამოყენების პრაქტიკას...”. როცა მოსალოდნელი (სავარაუდო) და რეალური (ფაქტობრივი) შედეგები ერთმანეთისგან განსხვავდება, კანონი პრაქტიკული გონიერების პრინციპისაგან გაუცხოებულად უნდა ჩაითვალოს. სადავო აქტების ძალაში შესვლიდან განვლილი დრო არ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ კანონმდებლის მიერ განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნის მიღწევაში სადავო ნორმებმა რაიმე შესამჩნევი როლი შეასრულეს. აღნიშნულთან დაკავშირებით მოპასუხის წარმომადგენლებმა სასამართლო პროცესზე ვერ წარმოადგინეს სარწმუნო მტკიცებულებანი. კანონმდებელი კი ვალდებულია, კონსტიტუციური პასუხისმგებლობით მიუდგეს სამართალშემოქმედებით პროცესს. „...ნორმატიული აქტის მიღებისას კანონმდებელი ვალდებულია, სწორად განსაზღვროს მისი მოქმედების სავარაუდო შედეგები. კანონმდებლის პროგნოზი ამ თვალსაზრისით უნდა იყოს დასაბუთებული და გამართლებული”.¹¹⁹⁵

დ) მეწარმეობის აკრძალვა

სასამართლომ კონსტიტუციის აღნიშნული მუხლის დარღვევად მიიჩნია აქტი, რომელიც მიზანშეუწონლად თვლიდა ნავთობგადამტვირთავი ტერმინალის მშენებლობასა და ექსპლუატაციაში კერძო სტრუქტურების მონაწილეობას. სასამართლომ განაცხადა, რომ ეს „...ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მეორე პუნქტს, რომლის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა.”¹¹⁹⁶

ე) მონოპოლიური საქმიანობის რეგულირება

30-ე მუხლის მე-2 პუნქტით აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, თუმცა შესაძლებელია გამონაკლისების კანონით განსაზღვრა: „საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, არ გამოირიცხავს მონოპოლიურ საქმიანობას. ...”¹¹⁹⁷

¹¹⁹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.14;

¹¹⁹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 30 ოქტომბერის #2/1/7 გადაწყვეტილება საქმეზე შ.პ.ს. „კოლხის“ დამფუძნებელი თენგიზ გრიგოლის ძე სულდამე ქ.ფოთის მერის წინააღმდეგ, პ.2;

¹¹⁹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 22 ივნისის #2/2/245 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე კახაბერ ძაგანია საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ, პ.1;

2.1.2. მომხმარებელთა უფლებები

2.1.2.1. დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია, რომ მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით. ერთი შეხედვით ეს ჩანაწერი მხოლოდ ფორმალურ ვალდებულებას უდგენს სახელმწიფოს, რაც იმაში გამოიხატება, რომ მხოლოდ კანონის მიღებას მოითხოვს მისგან, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ამ ნორმაში მატერიალურ ვალდებულებებსაც ხედავს. „საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ ამ შემთხვევაში საუბარია, ერთი მხრივ, მომხმარებლებზე, ხოლო მეორე მხრივ კი სახელმწიფოს მხრიდან მათი უფლებების კანონით დაცვის ვალდებულებაზე.“¹¹⁹⁸

სახელმწიფოსგან მხოლოდ კანონით საკითხის დარეგულირება არ არის საკმარისი, „სასამართლო კოლეგია თვლის, რომ, კონსტიტუციის აღნიშნული მუხლის აზრიდან გამომდინარე, სწორედ კანონმა უნდა გაითვალისწინოს ამ უფლების დაცვასთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებები.“¹¹⁹⁹

სასამართლოს მიხედვით, მომხმარებლის უფლებების დაცვა ექვემდებარება სახელმწიფოს რეგულირებას როგორც კერძო, ისე საჯარო ურთიერთობებში: „სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ მომხმარებლის უფლებების დაცვა არ წარმოადგენს ერთიან სამართლებრივ მატერიას. მისი შინაარსი განსაზღვრულია როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის ნორმებით, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა სახის (კატეგორიის) სავალდებულო დანაწესებს, რის შესაბამისადაც, უნდა მოქმედებდნენ საამისოდ უფლებამოსილი პირები, მათ შორის სახელმწიფო.“¹²⁰⁰

სასამართლომ ისაუბრა ამ უფლების დაცვის მასშტაბზეც: „საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი აღიარებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის კონსტიტუციურ აუცილებლობას. მასში მოცემული დებულება, რომ ეს უფლებები დაცულია კანონით, გულისხმობს მათ დაცვას სათანადო კონსტიტუციური პრინციპებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ...საერთაშორისო სამართალში მიღებული პრაქტიკის თანახმად, მომხმარებლის უფლებები მოიცავს მომხმარებლის უფლებას უსაფრთხოებაზე, არჩევანზე, განხილვაზე, სამომხმარებლო განათლებაზე და სამართლებრივ დაცვაზე...“¹²⁰¹

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მომხმარებელთა ისეთ უფლებებზეც, რომელთა განხორციელება სახელმწიფოს ეკონომიკურ შესაძლებლობებთანაა დაკავშირებული.¹²⁰² ამ კონტექსტში სასამართლომ ასევე მოიშველია „ეკონო-

¹¹⁹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 10 მარტის #2/2/275,291,296,299 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე მალხაზ ასათიანი, შპს „მშენებელი-5“, შპს „აიეტი“ და შპს „ოლია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.3;

¹¹⁹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 22 ივნისის # 2/2/245 გადაწყვეტილება, პ.2;

¹²⁰⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 თებერვალის #1/1/374,379 გადაწყვეტილება, პ.11;

¹²⁰¹ იქვე;

¹²⁰² იქვე;

მიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მე-2 მუხლი. მისი მიხედვით „ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, ინდივიდუალური წესით და საერთაშორისო დახმარებისა და თანამშრომლობის, კერძოდ, ეკონომიკურ და ტექნიკურ დარგებში საერთაშორისო დახმარებისა და თანამშრომლობის წესით, არსებული რესურსების მაქსიმალურ ფარგლებში მიიღოს ზომები, რათა თანდათან უზრუნველყოს ამ პაქტით აღიარებული უფლებების სრული განხორციელება ყველა მართებული საშუალებით, მათ შორის, კერძოდ, საკანონმდებლო ღონისძიებათა მიღებით“. რაც შეეხება აღნიშნული უფლებების შეზღუდვის ფარგლებს, დასახელებული პაქტის მე-4 მუხლში ნათქვამია: „ამ პაქტით მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ იმ უფლებათა გამოყენების მხრივ, რომლებსაც ესა თუ ის სახელმწიფო უზრუნველყოფს ამ პაქტის შესაბამისად, ამ სახელმწიფოს შეუძლია შემოიღოს ამ უფლებათა მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებსაც განსაზღვრავს კანონი, და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც, ეს შეეთავსება აღნიშნულ უფლებათა ბუნებას, და მხოლოდ იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს საერთო კეთილდღეობას დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

ამ სფეროში თანასწორობის მნიშვნელობაზე სასამართლომ აღნიშნა: „სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ თანამედროვე სამართალში ადგილი აქვს მომხმარებელთა უფლებების დაცვის უნიფიკაციასა და ჰარმონიზაციას. ევროკავშირის დონეზე შემუშავებული აქტების მიზანმიმართულებას, დაიცვას მომხმარებელი, როგორც საბაზრო ურთიერთობის სუსტი მხარე, ძლიერი მხარის მიერ შეთავაზებული უთანასწორო პირობებისაგან. ამ მიმართულებით სახელმწიფოს ჩარევები სამართლიანი და მოწესრიგებული სამოქალაქო ბრუნვის უზრუნველსაყოფად, კონსტიტუციურად გამართლებულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. გართულებული საბაზრო ურთიერთობების პირობებში სახელმწიფო არ შეიძლება გვერდზე გადაეს ამ პროცესისაგან. ეს გარემოება მიგვანიშნებს კერძო სამართლის კონსტიტუციონალიზაციის პროცესზე. როცა სამოქალაქო ბრუნვის ნორმატიულად დადგენილი პირობები არღვევს ბრუნვის მონაწილეების ინტერესთა ბალანსს, მაშინ ურთიერთობათა კერძოსამართლებრივი მოწესრიგება შესაძლებელია განიხილებოდეს კონსტიტუციური უფლებების ჭრილში. ... სახელმწიფო ვალდებულია, პატივი სცეს ხელშეკრულების მხარეთა ინტერესების სამართლიან დაბალანსებას. სხვა გადაწყვეტილებებში, ფედერალურმა სასამართლომ დაგმო სავაჭრო ძალაუფლებით გამოწვეული უთანასწორობა და მოითხოვა ძირითადი უფლებების აღდგენა... აღნიშნული მიგვანიშნებს იმაზე, რომ მომხმარებელთა უფლებები, რომლებიც ხშირად თავისუფალი და მოწესრიგებული სამოქალაქო ბრუნვის უმნიშვნელოვანესი ფასეულობაა, წარმოადგენს კონსტიტუციური დაცვის საგანს. ნებისმიერი ნორმატიული აქტი, რომელიც უშუალოდ მომხმარებლის უფლებებს შეეხება, უნდა იცავდეს მას ძლიერი მხარისაგან და აფუძნებდეს ინტერესთა დაბალანსებულ და მშვიდობიანი თანაარსებობის პირობებს...“¹²⁰³

სასამართლომ სამართლიანი ტარიფები უფლების დაცულ სფეროში მოაქცია: „სამართლიანი ტარიფის არსებობა შესაბამისი სფეროს ნორმალური და

¹²⁰³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 თებერვალის გადაწყვეტილება, #1/1/374,379, პ. II;

სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ...მომხმარებელთა უფლებების დაცვაში მხოლოდ ტარიფების შემცირების მოაზრება სწორი არ იქნებოდა. გაზის ქსელის გამართულ მდგომარეობაში ყოფნა, ბუნებრივი გაზის განუწყვეტელი მიწოდების უზრუნველყოფა, ავარიების თავიდან აცილება და სხვა მომხმარებელთა უფლებების დაცვისაკენ მიმართულ საქმიანობას წარმოადგენს.¹²⁰⁴

2.1.2.2. უფლების სუბიექტი

აღნიშნული უფლების სუბიექტია მომხმარებელი.¹²⁰⁵

2.1.2.3. შეზღუდვის საფუძვლები

უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით სასამართლომ განაცხადა. „სამართალში აღიარებული თანაზომიერების პრინციპის თანახმად, სახელმწიფოს მოქმედება უნდა იყოს დასახული მიზნის მისაღწევად დასაშვები, აუცილებელი, მინიმალური ზიანის მომტანი, უფლების შეზღუდვა შეზღუდვის მიზანთან პროპორციული. საკონსტიტუციო სასამართლო სადავო აქტის კონსტიტუციურობის შეფასებისას მხედველობაში იღებს აღნიშნული პრინციპის მოთხოვნებს.“¹²⁰⁶

სასამართლომ სახელმწიფოს ვალდებულებების განსხვავებულ ჭრილშიც განიხილა: „ამდენად, სახელმწიფო ვალდებულია, მომხმარებელს მისცეს მისი შესაძლებლობების ფარგლებში არსებული ყველაზე ხელმისაწვდომი გზები თავისი უფლებების დაკმაყოფილებისა. სახელმწიფო ამ მიზნით უნდა მოქმედებდეს გარკვეული სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე. მას არა აქვს უფლება, მომხმარებელს შესთავაზოს ამა თუ იმ სიკეთით სარგებლობის ისეთი გზები, რომლებიც მას ამ სიკეთეს კი არ აზიარებს, არამედ მისგან მოსწყვეტს. ისეთი ნორმატიული აქტის მიღებისას, რომლითაც სიკეთით სარგებლობის შეზღუდვები (თუნდაც დროებითი) და სპეციალური პირობები წესდება, კანონმდებელი ვალდებულია, ყველა გარემოების სათანადო გამოკვლევის საფუძველზე, ნათლად ჩამოაყალიბოს შემზღუდველი ნორმების შინაარსი და განსაზღვროს მათი მოქმედების გონივრული ვადა. სპეციალური ნორმების დაწესება, რომლითაც მომხმარებლის თავისუფალი არჩევანის შეზღუდვა ან მისთვის არასახარბიელო პირობების შემოღება ხდება, შეიძლება გამართლებული იყოს ისეთ შემთხვევებში, როდესაც სიკეთით სარგებლობის სხვა გზები არ არსებობს.“¹²⁰⁷ სასამართლომ ამ ჩანაწერით საკმაოდ მკაფიოდ განმარტა სახელმწიფოს ბოჭვის ფარგლები.

¹²⁰⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 22 ივნისის # 2/2/245 გადაწყვეტილება, პ.2;

¹²⁰⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 29 დეკემბერის #2/4/507 განჩინება, II.4;

¹²⁰⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 თებერვალის #1/1/374,379 გადაწყვეტილება, პ.II;

¹²⁰⁷ იქვე;

ა) ფიქსირებული ტარიფები

საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა ფიქსირებული ტარიფების კონსტიტუციურობის საკითხი. ერთი მხრივ გადასაწყვეტი იყო თავად ტარიფის ფიქსირების მასშტაბის სამართლიანობა, ხოლო მეორე მხრივ მისი ოდენობა.

ტარიფის ოდენობა სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია: „... ვინაიდან ელექტროენერჯის სამოქალაქო ბრუნვა გულისხმობს კონკრეტულ მომხმარებელს, დაუშვებელია დადგინდეს ისეთი ტარიფები, რომელიც მას ამ ბრუნვიდან მოწყვეტს და მის მიღმა დააყენებს. ...დადგენილი სამომხმარებლო ტარიფი არ შეესაბამება სოციალური საჯარო წესრიგის მოთხოვნებს, რომლის მიზანსაც შეადგენს ის, რომ არ მოხდეს სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპების აბსოლუტური იგნორირება დამომხმარებლის, როგორც ბრუნვის მონაწილის, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩაყენება. ... მოსახლეობის დიდ ნაწილს თავისი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, არათუ არსებული ტარიფის, არამედ მასზე ბევრად უფრო დაბალის გადახდაც კი არ შეუძლია. ასეთ ვითარებაში მოქმედი სამომხმარებლო ტარიფი იქცევა იმ ფაქტორად, რომელიც ხელს კი არ უწყობს სამეწარმეო საქმიანობის (ბრუნვის) განვითარებას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას, არამედ დაბრკოლებად იქცევა ამ გზაზე. ... მოსახლეობის რეალური სამემოსავლო-ეკონომიკური მდგომარეობა როგორც ამ პერიოდში, ისე დღესდღეობით ბევრად ჩამორჩება სამომხმარებლო კალათისა და საარსებო მინიმუმის მაჩვენებლებს. ამიტომ ტარიფის დადგენისას აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მომხმარებელთა რეალური გადახდისუნარიანობა, რაც სამართლიანი ტარიფის განსაზღვრისა და ცოცხალი სამოქალაქო ბრუნვის მნიშვნელოვანი პირობა იქნება.“¹²⁰⁸

სასამართლომ დამატებით აღნიშნა ისიც, „რომ სტაბილური სამომხმარებლო ტარიფი წარმოადგენს მომხმარებელთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას.“¹²⁰⁹

სასამართლომ სახელმწიფოს როლზეც გაამახვილა ყურადღება: „სასამართლო კოლეგია თვლის, რომ მოსახლეობის არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სამომხმარებლო ტარიფით გამოწვეული ტვირთის სუბსიდირება უნდა ხდებოდეს სახელმწიფოს მხრიდან. ამასთან, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულება სიმბოლურ ხასიათს კი არ უნდა ატარებდეს, არამედ რეალურად უნდა უმსუბუქებდეს მოსახლეობას ტარიფის ზრდით გამოწვეულ მძიმე მდგომარეობას. ... ყოველი სახელმწიფო ვალდებულია არსებული რესურსების ფარგლებში მოსახლეობის სოციალური უფლებების დასაცავად მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავდეს, რათა ამ უფლებათა დაცვის, სულ მცირე, მინიმალურად აუცილებელი დონე მაინც რომ უზრუნველყოს. სხვანაირად, აზრი ეკარგება სახელმწიფოთა საერთაშორისო-სამართლებრივ ვალდებულებას, რაც გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოს

¹²⁰⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბერის #1/3/136 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ, I.3.4;

¹²⁰⁹ იქვე;

მოქმედებანი ამ მიმართულებით სტაბილურ, ევოლუციურ ხასიათს უნდა ატარებდეს და დადებითი დინამიკით გამოირჩეოდეს. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფოს ამ ვალდებულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვის ჩამოყალიბებაში. ელექტროენერგია, წყალი და ბევრი სხვა აუცილებელი მოხმარების საგნები ადამიანისათვის სასიცოცხლო სიკეთეებს მიეკუთვნება და ქვეყანა, რომელიც აშენებს სოციალურ-სამართლებრივ სახელმწიფოს, ვალდებულია თავის თავზე იღებდეს არასტაბილური ეკონომიკის უარყოფით შედეგებს.¹²¹⁰

სასამართლომ ასევე მოიხმო ევროპის გაერთიანების საბჭოს 1981 წლის 27 ოქტომბრის რეკომენდაცია „ელექტროენერჯის ტარიფის სტრუქტურის შესახებ“ (81/924), რომლის მიხედვითაც, თუ შეუძლებელია დაბალი ტარიფების ხელოვნურად შენარჩუნება, მაგალითად, სოციალური საფუძვლებით, ანტიინფლაციური პოლიტიკის მიზნებით, მაშინ, თუკი ეს გამართლებულია, სხვა სახის ქმედებები უნდა განხორციელდეს. ერთ-ერთ ასეთ ქმედებად სახელმწიფოს მხრიდან აღებული მყარად გარანტირებული და სტაბილური ვალდებულება შეიძლება ჩაითვალოს.

სასამართლომ თანასწორობის პრინციპის რელიზაციის მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება: „...მოქმედი კანონმდებლობით ამ შემთხვევაში დაცულია ურთიერთობის სუსტი მხარე - იგივე მომხმარებელი, ძლიერი ეკონომიკური ძალაუფლების მქონე [სუბიექტისგან]. სემეკის სადავო აქტით დადგენილი სამომხმარებლო სატარიფო განაკვეთი კი არა თუ არ იცავს მომხმარებელს ამ ძალაუფლებისაგან, არამედ მთლიანად მისი გავლენის ქვეშ აყენებს. სადავო ტარიფი წარმოადგენს სახელშეკრულებო ურთიერთობის ისეთ კომპონენტს, რომელიც აშკარად უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს და არ შეესაბამება სამართლიანი ბრუნვის მოთხოვნებს...“¹²¹¹

შემდეგი საკითხი შეეხებოდა ფიქსირებული ტარიფის დადგენას: „ოთახების მიხედვით ელექტროენერჯის საფასურის... გადახდევინების არსობრივი შეუსაბამობა მომხმარებლის ინტერესებთან იმით გამოიხატება, რომ ელექტროენერჯის, როგორც ქონებრივი სიკეთის თვისებიდან გამომდინარე, მისი მოხმარების ოდენობის განმსაზღვრელად ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეუძლებელია მიჩნეული იქნეს მხოლოდ სივრცობრივ-რაოდენობრივი მაჩვენებლები და, ამდენად, საცხოვრებელი ბინის ოთახების რაოდენობა. სრულიად შესაძლებელია მცირე მოცულობის ფართზე გაცილებით მეტი ელექტროენერგია დაიხარჯოს, ვიდრე დიდზე. მოსახლეობის სამომხმარებლო პრაქტიკიდან თუ ამოვალთ, ელექტროენერჯის დიდი ნაწილი მოიხმარება ისეთი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც არსებითად ერთნაირია როგორც ერთოთახიან, ისე მრავალოთახიან ბინებში. სადავო „წესის“ მიხედვით კი ოთახების ურთიერთმიმართებაში იმდენად დიდი სამომხმარებლო ზღვარია გავლებული, რომ იგი მომხმარებელთა უფლებების უსამართლო დიფერენციაციას იწვევს და აშკარად მომეტებულ

¹²¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბერის #1/3/136 გადაწყვეტილება, I.3.4;

¹²¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბერის #1/3/136 გადაწყვეტილება, I.3.10;

ტვირთს აკისრებს მრავალთახიან ბინებში მცხოვრებ პირებს. ოთახების რაოდენობა არ შეიძლება ჩაითვალოს იმ სიდიდედ (კატეგორიად), რომელიც ელექტროენერჯის სპეციფიკიდან გამომდინარე, გადავა სადავო აქტით გათვლილ თვისებრიობაში. გარდა ამისა, ბინის მრავალთახიანობა, არ ნიშნავს იმას, რომ იქ ელექტროენერჯის ფაქტობრივი მოხმარება მეტი იქნება მრავალი ადამიანის შესაძლო ცხოვრების გამო. სრულიად დასაშვებია ერთ ან ოროთახიან ბინაში მეტი სული ცხოვრობდეს, ვიდრე ოთხთახიანში და ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოხმარებული ელექტროენერჯია ბევრად არ აღემატებოდეს პირველს. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ თვით ოთახებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან თავიანთი მოცულობით. როცა ერთთახიანი დიდი ფართის მქონე ბინა ტოლია ორი ან სამოთახიანი ბინისა, სადავო „წესის“ მიხედვით, ამ შემთხვევაშიც შეუძლებელია დავიცვათ სამართლიანი თანაფარდობა მომხმარებელთა ინტერესებში. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ მობინადრეები, რომლებსაც რამდენიმე ბინა გააჩნიათ, რეგულარულად არ ცხოვრობენ თავიანთ ბინებში. ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია, რომ მომხმარებელი გახდეს უსაფუძვლო ტვირთის მატარებელი.“¹²¹²

სასამართლომ ამ საქმეში დამატებით გააკრიტიკა ფიქსირებული გადასახადის არსი: „ასევე, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ფიქსირებული გადასახადის მქონე აბონენტის ელექტროენერჯით მომარაგება პრაქტიკულად უფრო არასტაბილურ ხასიათს ატარებს იმათთან შედარებით, ვისაც დამონტაჟებული აქვთ მრიცხველები. თანაც, მათ ზოგჯერ საერთოდ არ მიეწოდებათ ელექტროენერჯია, მომხმარებელი კი მაინც იხდის ფიქსირებულ გადასახადს. ასეთ ვითარებაში არსებული სამართლებრივი მექანიზმები ვერ იძლევიან იმის სრულ გარანტიას, რომ საბოლოოდ მაინც იქნება შესაძლებელი მომხმარებელთან სამართლიანი ანგარიშსწორება და ეს უკანასკნელი არ დარჩება იმ ტვირთის მატარებელი, რაც ელექტროენერჯის შეფერხებით მიწოდებას, ან საერთოდ მიუწოდებლობას შეეძლო გამოეწვია.“¹²¹³

ბ) სამომხმარებლო ტარიფები

საკონსტიტუციო სასამართლოში სადავო გახდა უარი ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფის შემცირებაზე.

სასამართლომ განსაზღვრა კონსტიტუციის მიხედვით ტარიფის დადგენისას მეწარმემ რა ასპექტები უნდა მიიღოს მხედველობაში: „... ტარიფის დადგენის ამოსავალ დებულებად მიიჩნევა, რომ იგი სრულად ფარავდეს ყველა საფეხურებზე გაწეული მომსახურების ღირებულებას, გათვალისწინებული იქნეს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, მოსახლეობის გადახდისუნარიანობა და სოციალური დაცვის ასპექტები.“¹²¹⁴ თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ „...მიწოდების ტარიფის ცვლილება,

¹²¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბერის #1/3/136 გადაწყვეტილება, I.3.13;

¹²¹³ იქვე;

¹²¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 2004 წლის 22 ივნისი #2/2/245 გადაწყვეტილება, 3.2;

სამომხმარებლო ტარიფის უცვლელად შენარჩუნებით, არ წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მეორე პუნქტით აღიარებულ მომხმარებელთა კანონით დაცული უფლებების შელახვას.¹²¹⁵

კიდევ ერთ საქმეში სასამართლომ მიიჩნია, რომ ტარიფის ზრდით და ორმაგი დაბეგვრით ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას.¹²¹⁶

2.2. დასკვნა

ზემოაღნიშნული ანალიზის შემდეგ შესაძლებელია შემდეგი ძირითადი საკითხების განსაზღვრა:

- 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლების მნიშვნელოვან გამოვლინებას, ეკონომიკური მართლწესრიგის, ჯანსაღი და სიცოცხლისუნარიანი საბაზრო ურთიერთობების საფუძველს;
- ნორმა ერთის მხრივ იცავს პირის უფლებას თავისუფლად, დაბრკოლებების გარეშე განახორციელოს მეწარმეობა და მეორეს მხრივ პირის უფლებას მხოლოდ საკუთარი სურვილის შემთხვევაში დაკავდეს მეწარმეობით;
- კონსტიტუციის დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, ყველას აქვს უფლება, თავისუფლად შეარჩიოს სამეწარმეო საქმიანობის ესა თუ ის სახე და თავისუფლად და დაუბრკოლებლად განახორციელოს იგი;
- თავისუფალი მეწარმეობა მოქალაქეთა და მათ გაერთიანებათა ინიციატივით შექმნილი დამოუკიდებელი საქმიანობაა მოგების მისაღებად, რომელიც ხორციელდება მათი რისკითა და ქონებრივი პასუხისმგებლობით;
- სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას ისეთი ნორმატიული გარემო, რომელიც წახალისებს და ბაზრიდან არ განდევნის სიცოცხლისუნარიან სუბიექტებს, იზრუნებს მათი გაჯანსაღებისათვის;
- კონსტიტუცია იცავს არა მარტო ადამიანის არსებობას, არამედ ორგანიზებული წარმონაქმნების არსებობასაც. თავისუფალი მეწარმეობა შეუძლებელია, თუ არ არის დაცული მისი სუბიექტის „სიცოცხლე“;
- სასამართლომ საკითხზე მსჯელობისას ერთმანეთს დაუკავშირა ხელშეკრულების, საკუთრებისა და მეწარმეობის თავისუფლება და განაცხადა, რომ ისინი ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული პრინციპული ფასეულობებია, რომლებიც დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის;

¹²¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 2004 წლის 22 ივნისი #2/2/245 გადაწყვეტილება, პ.3;

¹²¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვარის # 2/1/187-188 გადაწყვეტილება, შპს „აირზენა საქართველოს ავიახაზები“ საქართველოს პარლამენტის და საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს წინააღმდეგ, პ.6;

- კონსტიტუციის 30-ე მუხლიდან გამომდინარე, თავისუფალი კონკურენცია ორგანულადაა დაკავშირებული მეწარმეობის თავისუფლებასთან და წარმოადგენს საბაზრო მეურნეობის საძირკველს;
- სახელმწიფოს პოზიტიური, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ვალდებულებაა, დაიცვას მომხმარებელი მესამე პირთა უსამართლო ძალაუფლებისაგან. სახელმწიფო, რომელიც ვერ ახერხებს ამას, თავად გამოდის აღნიშნული უფლების დამრღვევის როლში;
- უფლების სუბიექტად სასამართლომ განსაზღვრა მეწარმე სუბიექტი. მიუხედავად იმისა ფიზიკური პირია იგი, თუ იურიდიული;
- ყველა უფლებას თავისი შეზღუდვის საფუძველი აქვს და გამონაკლისი არც თავისუფალი მეწარმეობის უფლებაა;
- ამგვარად თავისუფალი მეწარმეობა შეიზღუდება თუ იგი ჩამოთვლილთაგან რომელიმე ტიპის ურთიერთობა დაედება საფუძვლად:
 - არაეკვივალენტური ურთიერთობები
 - არათანაზომიერი ურთიერთობები
 - უსამართლო ურთიერთობები
- სანამ უფლება შეიზღუდება უნდა გაირკვეს აკმაყოფილებს თუ არა ეს შეზღუდვა თანაზომიერების ტესტს;
 - ტესტის პირველი საფეხური იქნება ის მიზანი, რომელიც ამოძრავებდა კანონმდებელს მათი მიღებისას, ამ მიზნის დადგენაში საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა მათი იდენტიფიცირების გზებსა და ფორმებს;
 - თუმცა მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის არსებობა არ არის საკმარისი, აუცილებელია ის გზა რა გზითაც ეს მიზანი მიიღწევა იყოს გამოსადეგი და ნაკლებ ინტენსიურად შემზღუდველი.
- 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, თუმცა შესაძლებელია გამონაკლისების კანონით განსაზღვრა;
- საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია, რომ მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით. ერთი შეხედვით ეს ჩანაწერი მხოლოდ ფორმალურ ვალდებულებას უდგენს სახელმწიფოს, რაც იმაში გამოიხატება რომ მხოლოდ კანონის მიღებას მოითხოვს მისგან, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ამ ნორმაში მატერიალურ ვალდებულებებსაც ხედავს;
- სასამართლოს მიხედვით მომხმარებლის უფლებების დაცვა სახელმწიფოს რეგულირებას როგორც კერძო ისე საჯარო ურთიერთობებში ექვემდებარება;
- უფლებები დაცულია კანონით, გულისხმობს მათ დაცვას სათანადო კონსტიტუციური პრინციპებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. საერთაშორისო სამართალში მიღებული პრაქტიკის თანახმად, მომხმარებლის უფლებები მოიცავს მომხმარებლის უფლებას უსა-

ფრთხობაზე, არჩევანზე, განხილვაზე, სამომხმარებლო განათლებაზე და სამართლებრივ დაცვაზე;

- სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ მომხმარებელთა ისეთ უფლებებზეც, რომლის განხორციელება სახელმწიფოს ეკონომიკურ შესაძლებლობებთანაა დაკავშირებული;
- აღნიშნული უფლების სუბიექტია მომხმარებელი;
- სახელმწიფო ვალდებულია, მომხმარებელს მისცეს მისი შესაძლებლობების ფარგლებში არსებული ყველაზე ხელმისაწვდომი გზები თავისი უფლებების დაკმაყოფილებისა;
- სამართალში აღიარებული თანაზომიერების პრინციპის თანახმად, სახელმწიფოს მოქმედება უნდა იყოს დასახული მიზნის მისაღწევად დასაშვები, აუცილებელი, მინიმალური ზიანის მომტანი, უფლების შეზღუდვა შეზღუდვის მიზანთან პროპორციული. საკონსტიტუციო სასამართლო სადავო აქტის კონსტიტუციურობის შეფასებისას მხედველობაში იღებს აღნიშნული პრინციპის მოთხოვნებს.

2.3. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები

მოქალაქე ნუგზარ ბაღათურიას საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 27 მაისის #2/2/132 განჩინება/

„საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 11 მარტის #2/6/221 განჩინება/

მოსარჩელე მურმან ბაკურაძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 12 მარტის #2/2/277 განჩინება/

საქართველოს მოქალაქეები გიორგი თარგამაძე, გიორგი ლევიშვილი, ინგა გრიგოლია და ჯაბა სამუშიას საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 29 დეკემბერის #2/4/507 განჩინება/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

შპს „კოლხის“ დამფუძნებელი თენგიზ გრიგოლის ძე სუდაძე ქ.ფოთის მერის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 30 ოქტომბერის #2/1/7 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ /

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბერის #1/3/136 გადაწყვეტილება/

შპს „აირზენა საქართველოს ავიახაზები“ საქართველოს პარლამენტის და საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვარის #2/1/187-188 გადაწყვეტილება/

ზურაბ გაბუნია და არჩილ ღუდუმაური და შპს „ჯგუფი ქალაქური“ საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 13 ივნისის #1/4/154,200 გადაწყვეტილება/

მოქალაქე კახაბერ ძაგანია საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 2004 წლის 22 ივნისი # 2/2/245/

მოქალაქე მალხაზ ასათიანი, შპს „მშენებელი-5“, შპს „აიეტი“ და შპს „ოლია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 10 მარტის #2/2/275,291,296,299 გადაწყვეტილება/

სააქციო საზოგადოებები - “საქგაზი” და „ანაჯგუფი“ (ყოფილი “თბილგაზოაპარატი”) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის #1/4/184,228 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები შალვა ნათელაშვილი და აკაკი მიქაძე საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 თებერვალის #1/1/374,379 გადაწყვეტილება/

შპს “რუსენერგოსერვისი”, შპს “პატარა კახი”, სს “გორგოტა”, გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო “ფერმერი” და შპს “ენერჯია” საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბერის #1/2/411 გადაწყვეტილება/

მუხლი 31

სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად კანონი ადგენს შეღავათებს.

შესავალი

1. დაცული სფერო
- 1.1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლამდე არსებული პრაქტიკა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლთან დაკავშირებით
2. სუბიექტი
3. დასკვნა
4. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლთან მიმართებით

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი გამოხატავს ერთგვარ სოლიდარობას სახელმწიფოს მხრიდან მისი შემადგენელი ტერიტორიული კორპორაციების მიმართ.¹²¹⁷

1. დაცული სფერო

კონსტიტუციის 31-ე მუხლთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა არ არის დიდი. თუმცა მის ბოლო გადაწყვეტილებებში იკვეთება სასამართლოს ცალსახა და ერთგვაროვანი პოზიცია ამ ნორმის შინაარსთან დაკავშირებით. საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ სასამართლომ მიუთითა: „საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში (საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი) არის მოთავსებული. ეს უპირობოდ არ ნიშნავს, რომ ის იცავს რომელიმე ძირითად უფლებას და მასზე შეუძლია დააფუძნოს თავისი კონსტიტუციურსამართლებრივი პრეტენზია მოსარჩელემ. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი გამოხატავს ერთგვარ სოლიდარობას სახელმწიფოს მხრიდან მისი შემადგენელი ტერიტორიული კორპორაციების მიმართ. ამ თვალსაზრისით, ურთიერთობას ორი სუბიექტი ჰყავს სახელმწიფოსა და ტერიტორიული კორპორაციის სახით და ამ ურთიერთობაში ფიზიკური პირის პირდაპირი მონაწილეობა კონსტიტუციით არ მოიაზრება“¹²¹⁸.

აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლომ კონსტიტუციის 31-ე მუხლი არ განიხილა უფლების დამდგენ ნორმად, ანუ ისეთ კონსტიტუციურ დებულებად, რომელიც ადამიანის ინდივიდუალურ უფლებას განსაზღვრავს და რომლის დარღვევაზეც პირს შეუძლია სასამართლოში იდავოს. სასამართლომ დაადგინა, აღნიშნული კონსტიტუციური ნორმის სუბიექტია არა პირი, არამედ სახელმწიფო და ტერიტორიული კორპორაცია და პირი ვერ იდავებს ტერიტორიული კორპორაციის სახელით. თუმცა სასამართლოს აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, ალბათ, გადაწყვეტილად არ უნდა ჩავთვალოთ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვაზე უფლებამოსილების მქონე სხვა სუბიექტების მიერ კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების ინიცირების შემთხვევაში, კონსტიტუციის 31-ე მუხლთან მიმართებით დავის შესაძლებლობა.

სასამართლომ მიუთითა, კონსტიტუციის 31-ე მუხლის საფუძველზე პირი სასამართლოს ვერ მიმართავს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ კონსტიტუციის აღნიშნული დებულება ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით შინაარსგამოცლილია და ამ სფეროში არანაირ სტანდარტს არ ადგენს. სასამართლომ განაცხადა: „საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი სოციალური სახელმწიფოს პრინციპის ერთერთ გამოხატულებას

¹²¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის #2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.19;

¹²¹⁸ იქვე;

წარმოადგენს. სოციალური სახელმწიფოს მიზანია სამართლიანი სოციალური წესრიგის დამკვიდრება, საერთო ეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნება, მოსახლეობის შეძლებისდაგვარად თანაბარზომიერი უზრუნველყოფა, ქვეყნის მასშტაბით ცხოვრების მაქსიმალურად თანაბარი პირობების შექმნა. ეს მიზნები ობიექტური გარემოებების გამო არ არის სრულად მიღწევადი და უწინარესად, წარმოადგენს მუდმივ ამოცანას და ზრუნვის საგანს სახელმწიფოსათვის. სახელმწიფოს ამ მიმართულებით მოქმედების ფართო არეალი გააჩნია. სუბიექტური უფლებები, გარკვეული სოციალური რეგულირების მოთხოვნა და კონკრეტული მოვალეობები კანონმდებლისათვის სოციალური სახელმწიფოს ცალკე აღებული პრინციპიდანარგამომდინარეობს. სწორედამიტომარის31-ემუხლისპირველი წინადადება, რომელიც მიმართულია ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის ცხოვრების თანაბარი პირობების შექმნაზე, ნაკლებად პრეტენზიულია სახელმწიფოს მიმართ. აქ საუბარია „ზრუნვაზე“ სახელმწიფოს მხრიდან და არა `ვალდებულებაზე`, რომელიც ეკისრება სახელმწიფოს. შესაბამისად, 31-ე მუხლის პირველი წინადადება არის სახელმწიფოს მიზნის დამდგენი ნორმა, რომელიც არ არის მოვალეობა, მაგრამ, ამავდროულად, არ არის მხოლოდ დეკლარაციული და პროგრამული დანაწესი“.¹²¹⁹

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი, ერთი მხრივ სახელმწიფო სოლიდარობისა და მეორე მხრივ კი სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპის გამოხატულებაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, კონსტიტუციის 31-ე მუხლი შეიძლება გავუთანაბროთ კონსტიტუციის პრეამბულაში დასახელებულ პრინციპებს (ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო და სხვა). შესაბამისად, სადავო ნორმის საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით გათვალისწინებულ ამა თუ იმ უფლებადადგენ ნორმასთან მიმართებით კონსტიტუციურობის შეფასებისას, შეიძლება გამოყენებული იყოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით დადგენილი ქვეყნის მთელ ტერიტორიის თანაბარი სოციალურ - ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის პრინციპი.

სადავო ნორმების კონსტიტუციის პრინციპებთან შესაბამისობის შემოწმების შესაძლებლობა საკონსტიტუციო სასამართლომ ჩამოაყალიბა გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“. სასამართლომ განაცხადა: „საკონსტიტუციო სასამართლო, სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმებისას, არ არის შეზღუდული მხოლოდ კონსტიტუციის კონკრეტული ნორმებით. მართალია, კონსტიტუციური პრინციპები არ აყალიბებს ძირითად უფლებებს, მაგრამ გასაჩივრებული ნორმატიული აქტი ასევე ექვემდებარება გადამოწმებას კონსტიტუციის ფუძემდებლურ პრინციპებთან მიმართებით, კონსტიტუციის ცალკეულ ნორმებთან კავშირში და ამ თვალსაზრისით, მსჯელობა უნდა წარიმართოს ერთიან კონტექსტში. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად თავსდება გასაჩივრებული აქტი იმ კონსტიტუციურ-სამართლებრივ წესრიგში, რომელსაც კონსტიტუცია ადგენს“¹²²⁰.

¹²¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის #2/1-392 გადაწყვეტილება, II.3.20;

¹²²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ კონსტიტუციის ამა თუ იმ უფლებადამდგენ ნორმებთან მიმართებით, მაგალითად, კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით ნორმის არაკონსტიტუციურობაზე დავისას, შესაძლებელია, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის ფარგლების ფართოდ განმარტებისათვის საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით განსაზღვრული პრინციპებიც მოიშველიოს, თუმცა ის ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას დამოუკიდებლად, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლთან მიმართებით, ვერ მოითხოვს.

სასამართლომ 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებაში გამოთქმული პოზიცია გაიმეორა 2009 წლის 19 ოქტომბრის #2/8/473 საოქმო ჩანაწერში, რომლითაც სადავო ნორმა არსებითად განსახილველად არ მიიღო კონსტიტუციის 31-ე მუხლთან მიმართებით, რის საფუძვლადაც მიუთითა სწორედ ზემოხსენებული გადაწყვეტილება.

1.1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლამდე არსებული პრაქტიკა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლთან დაკავშირებით 2008 წლამდე რამდენიმეჯერ მიმართეს. კონსტიტუციურ სარჩელთა აბსოლუტურ უმრავლესობაში მოსარჩელე მხარე სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვდა საქართველოს კონსტიტუციის რამდენიმე მუხლთან მიმართებით¹²²¹ და სარჩელებში საერთოდ არ გვხვდებოდა დასაბუთება იმის შესახებ, თუ რაში გამოიხატებოდა სადავო ნორმების საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლთან წინააღმდეგობა. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო დაუსაბუთებლობის გამო კონსტიტუციურ სარჩელებს სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში არ იღებდა არსებითად განსახილველად. 2008 წლის 31 მარტის #2/1-392 გადაწყვეტილების მიღებამდე, საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის შინაარსზე მსჯელობა, გვხვდება მხოლოდ ერთხელ, საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მარტის #2/8/366 განჩინებაში. აღნიშნულ განჩინებაში გამოთქმული სასამართლოს პოზიცია გარკვეულწილად განსხვავდება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლთან მიმართებით სასამართლოს მოგვიანებით განვითარებული პოზიციისაგან.

მითითებულსაქმეში მოსარჩელები ითხოვდნენ საპენსიო უზუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი რამდენიმე კანონის არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის 31-ე, 32-ე, 38-ე, 39-ე მუხლებთან მიმართებით.

ზემოაღნიშნულ განჩინებაში სასამართლომ მიუთითა: „საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი სახელმწიფოს აკისრებს მოვალეობას, იზრუნოს

გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, IIპ.3;

¹²²¹ მაგალითად #136 სარჩელით მოთხოვნილი იყო რამდენიმე ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა კონსტიტუციის ნე-3, მე-6, მე-7, მე-15, მე-16, მე-17, მე-20, 22-ე, 23-ე, 24-ე, 30-ე, 31-ე, 32-ე, 34-ე, 37-ე, 39-ე მუხლებთან მიმართებით;

ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. პირველი წინადადების თანახმად კონსტიტუცია გულისხმობს რეგიონების ფაქტობრივ თანასწორობას, თანაბარი სოციალური პირობების თვალსაზრისით¹²²². მოცემულ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი სახელმწიფოს ვალდებულების დამდგენ ნორმად მიიჩნია, თუმცა ცალსახად ვერ ვიტყვით, რომ სასამართლომ ასევე დაინახა სახელმწიფოს აღნიშნული ვალდებულების შესატყვისი ადამიანის უფლება.

ამავე დროს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის „მეორე წინადადების მოთხოვნის შესაბამისად, მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად კანონმდებელმა დაადგინა შეღავათები, რომლებიც ასახულია ”მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ” საქართველოს კანონში. აღნიშნული კანონის მიზანს წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფომ, უზრუნველყოს მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, გაატაროს მაღალმთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების პოლიტიკა თანამედროვე მოთხოვნებისა და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, გააძლიეროს მაღალმთიანი რეგიონებში სოციალურ-კულტურული აქტივობა, განავითაროს მრეწველობა, რაციონალურად გამოიყენოს ადგილობრივი რესურსები და დაასაქმოს მოსახლეობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის შესაბამისად, ”მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილია შეღავათები. ხოლო რაც შეეხება მის ოდენობას, საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად ვერ იმსჯელებს აღნიშნული საკითხის კონსტიტუციურობის თაობაზე, ვინაიდან, შეღავათების და მისი ოდენობის დადგენა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არ განეკუთვნება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას¹²²³.

საკონსტიტუციო სასამართლომ 2006 წლის #2/8/366 განჩინებაში

¹²²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მარტის #2/8/366 განჩინება საქმეზე იურიდიული პირები – მალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთა, ვეტერანთა და ომის მონაწილეთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კავშირი ”მიზანი-2005”-ის თავმჯდომარე – ნოდარ ცოტნიაშვილი; საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს კავშირის თავმჯდომარე – ელვერ კუპატაძე; საქართველოს პოლიციის პენსიონერთა და ინვალიდთა სოციალური დაცვის კავშირი ”აზგარის” თავმჯდომარე – იოსებ მესტიაშვილი; საქართველოს მალოვანი ვეტერანების დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი ”იმედის” თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი – არსენ რაზმაძე; საქართველოს ომის ინვალიდთა და ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე – კარლო გარდაფხაძე; ”საქართველოს ჩერნობილელთა კავშირის” და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების უფლებების დაცვის და სოციალური დახმარების კავშირი ”იმედის” თავმჯდომარე – ნინო კვესაძე; სრულიად საქართველოს მეომარ, ვეტერან-ინვალიდთა კავშირი ”ფარი და მახვილის” თავმჯდომარე – გენადი კვერნაძე; მთიანი რეგიონებიდან იძულებით ადგილმონაცვლეთა (ეკო-მიგრანტთა) უფლებების დაცვის საერთაშორისო ასოციაცია ”ხიხანი-უმშას” თავმჯდომარე – სიმონ შარაძე; საქართველოს პენსიონერ, ინვალიდთა, მოქმედ პოლიციელთა და მათი ოჯახის წევრთა ინტერესებისა და სოციალური დაცვის კავშირი ”ღირსებას” თავმჯდომარე – თემურ კოზოლაშვილი; საქველმოქმედო კავშირი ”ვაკე-საბურთალო 2002”-ის თავმჯდომარე – კარლო წულაია – საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.2;

¹²²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მარტის #2/8/366 განჩინება, პ.2;

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულებულად მიჩნევისათვის საკმარისად მიიჩნია ის ფაქტი, რომ არსებობდა კანონის "მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ", რომელიც გარკვეულ შეღავათებს ადგენდა. სასამართლომ დაადგინა, კანონის არსებობა საკმარისი ფაქტორი იყო იმ დასკვნისთვის, რომ სახელმწიფო ზრუნავდა მაღალმთიანი რეგიონების განვითარებაზე და, შესაბამისად, ასრულებდა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით განსაზღვრულ ვალდებულებას. ხოლო, რამდენად საკმარისი იყო ეს ზრუნვა მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისათვის, საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასების საგანად აღარ გახადა.

სასამართლოს 2006 წლის #2/8/366 განჩინებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით დადგენილი სახელმწიფოს ვალდებულების შესრულების შეფასებისას, სასამართლო არ გამოიყენებდა ნორმის კონსტიტუციურობის შეფასების მკაცრ სტანდარტებს.

2. სუბიექტი

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული კონსტიტუციური ნორმის სუბიექტია არა პირი, არამედ სახელმწიფო და ტერიტორიული კორპორაცია და პირი ვერ იდავეებს ტერიტორიული კორპორაციის სახელით.

3. დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე:

- საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი არ წარმოადგენს ინდივიდუალური უფლების დამდგენ კონსტიტუციურ ნორმას. მისი სუბიექტი არ არის პირი (ფიზიკური ან იურიდიული), შესაბამისად, ის ვერ მოითხოვს ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობას ამ ნორმასთან მიმართებით;
- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი არ არის ადამიანის ინდივიდუალური უფლების დამდგენი ნორმა, იგი წარმოადგენს ნორმა-პრინციპს. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ სხვა უფლება დამდგენ ნორმებთან მიმართებით კანონის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნის პროცესში, მას შეუძლია მიუთითოს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლზე, როგორც კონსტიტუციური პრინციპის დამდგენ ნორმაზე.

4. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება

იურიდიული პირები – ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთა, ვეტერანთა და ომის მონაწილეთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კავშირი "მიზანი-2005"-ის თავმჯდომარე – ნოდარ ცოტნიაშვილი; საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს კავშირის თავმჯდომარე – ელვერ კუპატაძე; საქართველოს პოლიციის პენსიონერთა და ინვალიდთა სოციალური დაცვის კავშირი "აბჯარის" თავმჯდომარე – იოსებ მესტიაშვილი; საქართველოს ძალოვანი ვეტერანების დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი "იმედის" თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი – არსენ რაზმაძე; საქართველოს ომის ინვალიდთა და ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე – კარლო გარდაფხაძე; "საქართველოს ჩერნობილელთა კავშირის" და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების უფლებების დაცვის და სოციალური დახმარების კავშირი "იმედის" თავმჯდომარე – ნინო კვესაძე; სრულიად საქართველოს მეომარ, ვეტერან-ინვალიდთა კავშირი "ფარი და მახვილის" თავმჯდომარე – გენადი კვერნაძე; მთიანი რეგიონებიდან იძულებით ადგილმონაცვლეთა (ეკო-მიგრანტთა) უფლებების დაცვის საერთაშორისო ასოციაცია "ხიხანი-უშბას" თავმჯდომარე – სიმონ შარაძე; საქართველოს პენსიონერ, ინვალიდთა, მოქმედ პოლიციელთა და მათი ოჯახის წევრთა ინტერესებისა და სოციალური დაცვის კავშირი "ღირსებას" თავმჯდომარე – თემურ კოზოლაშვილი; საქველმოქმედო კავშირი "ვაკე-საბურთალო 2002"-ის თავმჯდომარე – კარლო წულაია – საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მარტის #2/8/366 განჩინება/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის #2/1-392 გადაწყვეტილება/

მუხლი 32

სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობები და უმუშევრის სტატუსი განისაზღვრება კანონით.

შესავალი

1. უფლების მნიშვნელობა
2. გამიჯვნა საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლისგან
3. დაცული სფერო;
- 3.1. უმუშევრად დარჩენილი საქართველოს მოქალაქის დასაქმებაში ხელის შეწყობა
- 3.2. საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობები და უმუშევრის სტატუსი
4. პროგრესული რეალიზაციის პრინციპი;
5. სუბიექტი
6. დასკვნა
7. საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლთან მიმართებით

შესავალი

შრომითი უფლებები საქართველოს კონსტიტუციაში რამდენიმე მუხლშია გაბნეული. იგი დაცულია, როგორც კონსტიტუციის 30-ე ისე 32-ე მუხლებით, შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლით გარანტირებული უფლება მჭიდრო კავშირშია კონსტიტუციის 30-ე მუხლით დაცულ შრომის უფლებასთან.

1. უფლების მნიშვნელობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 32-ე მუხლთან მიმართებით იმსჯელა საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები - დავით სილაგაძე, ლიანა დარსანია და ეკატერინე წოწონავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. სასამართლო უმუშევრად დარჩენილი საქართველოს მოქალაქის დასაქმების ხელის შეწყობაში სახელმწიფოს ვალდებულების საფუძველს კონსტიტუციის 32-ე მუხლში ხედავს. სასამართლო ამ მუხლით აღიარებულ გარანტიას „პრინციპულ დებულებას“ უწოდებს. „ამ მუხლის პრინციპული დებულებაა ის, რომ სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში“.¹²²⁴ ეს კი არსებითი მინიშნებაა უფლების მნიშვნელობის განსაზღვრისას და გულისხმობს პირველ რიგში იმას, რომ აღნიშნულ მუხლში ჩამოყალიბებული დებულება დეკლარაციული ხასიათის კი არაა, არამედ უფლების დამდგენია.

2. გამიჯვნა საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლისგან

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე და 32-ე მუხლები ურთიერთდაკავშირებული მუხლებია. სასამართლომ საქმეზე „მოქალაქე იულია მეზურნიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ კონსტიტუციის 32-ე მუხლი შრომის თავისუფლების უფლების ნაწილად მოიაზრა. სასამართლომ ერთობლიობაში იმსჯელა ამ მუხლების შინაარსზე და ჩამოთვალა ის სიკეთეები, რომლებიც კონსტიტუციის 30-ე და 32-ე მუხლებით დაცულ უფლებათა სფეროში შედის. მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ აღნიშნული გარემოება ართულებს კონსტიტუციის 32-ე და 30-ე მუხლებით დაცული სფეროების გამიჯვნას ერთმანეთისაგან. თუმცა, იმავდროულად ამ ჩამონათვალის ფორმირება (საკითხთა თანმიმდევრობა) მიანიშნებს სასამართლოს მიდგომაზე, რომ ეს ორი უფლება არის მჭიდრო კავშირში ერთმანეთთან, მაგრამ არ არის იდენტური. შეგვიძლია ვივარაუდოთ, სასამართლო 30-ე მუხლით დაცულ სიკეთეებს ჩამოთვალის წინადადების დასაწყისში და ამავე წინადადების მეორე ნაწილში უკვე მიანიშნებს 32-ე მუხლზე.

სასამართლომ აღნიშნა: „ კონსტიტუციის 30-ე და 32-ე მუხლები იცავენ შრომის თავისუფლებას, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის

¹²²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 23 მარტის #1/3/301 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - დავით სილაგაძე, ლიანა დარსანია და ეკატერინე წოწონავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.III.5;

განვითარებას, საქართველოს მოქალაქეების შრომითი უფლებების დაცვას საზღვარგარეთ, შრომის სამართლიან ანაზღაურებას, უსაფრთხო, ჯანსაღი პირობების დაცვას, არასრულწლოვანთა და ქალის შრომის პირობების განსაზღვრას, ასევე სახელმწიფოს მხრიდან უმუშევრად დარჩენილი საქართველოს მოქალაქის დასაქმებაში ხელის შეწყობას, საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობებისა და უმუშევრობის სტატუსის კანონით განსაზღვრას“.¹²²⁵

3. დაცული სფერო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ „საქართველოს მოქალაქეები კახაბერ მაგანია და გიორგი გუგავა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა: „საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის თანახმად ...სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეებს დასაქმებაში. დასახელებული მუხლი ასევე ადგენს, სახელმწიფოს ვალდებულებას საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობები და უმუშევრის სტატუსი განსაზღვროს კანონით“.¹²²⁶ შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლი მოიცავს ორ ასპექტს:

- პირველი, ეს არის სახელმწიფოს მხრიდან უმუშევრად დარჩენილი საქართველოს მოქალაქის დასაქმებაში ხელის შეწყობა;
- მეორე - საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობებისა და უმუშევრის სტატუსის კანონით განსაზღვრა.

3.1. უმუშევრად დარჩენილი საქართველოს მოქალაქის დასაქმებაში ხელის შეწყობა

უმუშევრად დარჩენილი საქართველოს მოქალაქის დასაქმებაში სახელმწიფოს მხრიდან ხელის შეწყობა სასამართლოს მოსაზრების მიხედვით ფართო შინაარსობრივი მნიშვნელობის მქონეა და „...გულისმობს არა მარტო უმუშევრის სტატუსის განსაზღვრა-მოწესრიგებასა და სამუშაოს პოვნაში რეალურ დახმარებას, არამედ სამუშაოდან დათხოვნის დროიდან კუთვნილი კომპენსაციის, კერძოდ, ... გამოსასვლელი დახმარების – ორთვიანი თანამდებობრივი სარგოს მიღების უფლებასაც. ეს დახმარება წარმოადგენს მოქალაქეთა დასაქმების, ანუ სამუშაოს პოვნის ერთ-ერთ წინაპირობას იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანმა თავი გაიტანოს და არსებობა შეინარჩუნოს. ... აღნიშნული დახმარება უმუშევრად დარჩენილი მოხელის დასაქმებაში სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის პირველადი ღონისძიებაა, ვინაიდან უმუშევრის სტატუსის მიღებასა და შესაბამისი შემწეობის დანიშვნას საკმაო

¹²²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 16 თებერვლის #2/2/355 განჩინება საქმეზე მოქალაქე იულია მეზურნიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹²²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 12 დეკემბერის #2/6/322 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები კახაბერ მაგანია და გიორგი გუგავა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;

დრო სჭირდება.¹²²⁷

შესაბამისად, სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ სასამართლო საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის პირველი წინადადებით დაცულ სფეროში მინიმუმ მოიაზრება: ერთი მხრივ, სახელმწიფოს შემდეგ ვალდებულებას და მეორე მხრივ, პირის უფლებას სახელმწიფოს უზრუნველყოს ამ მუხლის პირველი წინადადებით გარანტირებული მისი უფლება:

- უმუშევრის სტატუსის განსაზღვრა-მოწესრიგება;
- სამუშაოს პოვნაში რეალურ დახმარება;
- სამუშაოდან დათხოვნისას კომპენსაციის უფლება, რაც მოქალაქის დასაქმების, ანუ სამუშაოს პოვნის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს;

3.2. საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობების და უმუშევრის სტატუსის კანონით განსაზღვრა

საარსებო მინიმუმის საკითხთან და უმუშევრის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მდიდარი პრაქტიკა არა აქვს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო „საქართველოს მოქალაქეები კახაბერ მაგანია და გიორგი გუგავა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში შეეხო საარსებო მინიმუმის საკითხს. აღნიშნულ საქმეში მოსარჩელები ითხოვდნენ საარსებო მინიმუმის გაანგარიშების საკითხის მოწესრიგებას და მის შესაბამისად სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებისათვის (მასწავლებლები, ექიმები და სხვ.) მინიმალური ხელფასის დადგენას, რომელიც გათანაბრებული იქნებოდა მინიმალურ სოციალურ ზღვართან.¹²²⁸ სასამართლომ არ მიიჩნია საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის დარღვევად სახელმწიფო ორგანოების კანონიერი უფლება, დაადგინოს ხელისუფლებაში დასაქმებული მოსამსახურეებისათვის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი, რომელიც შესაძლოა აღემატებოდეს საარსებო მინიმუმს.¹²²⁹ იმავდროულად სასამართლომ აღნიშნა: „...საკონსტიტუციო სასამართლო, ქვეყანაში არსებული სოციალურეკონომიკური, ასევე დღევანდელი საბიუჯეტო შემოსავლების რეალური ზრდის მდგომარეობის გათვალისწინებით, მიიჩნევს, რომ საქართველოს პრეზიდენტის სადავო ბრძანებულება, სახელმწიფოში მოსახლეობის შემოსავლების ფაქტობრივ საარსებო მინიმუმთან გათანაბრების საერთო პოლიტიკის განხორციელების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რაც მომავალშიც უნდა გაგრძელდეს.“¹²³⁰

აღსანიშნავია სასამართლოს მოსაზრება აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგოსა

¹²²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 23 მარტის #1/3/301 გადაწყვეტილება, პ. III.5;

¹²²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 12 დეკემბერის #2/6/322 გადაწყვეტილება;

¹²²⁹ იქვე;

¹²³⁰ იქვე;

და მინიმალური ხელფასის შესახებ. „საქართველოს მოქალაქეები კახაბერ მაგანია და გიორგი გუგავა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ საქმეზე¹²³¹ მოსარჩელები დავობდნენ მინიმალური ხელფასის ოდენობის საყოველთაო გავრცელებაზე.¹²³² სასამართლომ ერთმანეთისაგან გამიჯნა მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო და მინიმალური ხელფასი.¹²³³ სასამართლომ აღნიშნა: „საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ განისაზღვრა აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო და არა, ზოგადად, მინიმალური ხელფასი. საკონსტიტუციო სასამართლო ერთმანეთისაგან განასხვავებს, ერთი მხრივ, საერთო ეროვნულ მინიმალურ ხელფასს, ანუ სოციალურეკონომიკურ ნორმატივს, რომელიც განსაზღვრავს შრომის ანაზღაურების დასაშვებ მინიმალურ დონეს, ხოლო, მეორე მხრივ, თანამდებობრივ სარგოს, რაც გამომდინარეობს საჯარო ან სხვა სახის სამსახურის სისტემაში პირის ადგილისა და სოციალური შრომითი როლიდან, აგრეთვე მისი უფლებებიდან და დაკისრებული მოვალეობებიდან.“¹²³⁴

ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო დაწესებულებას სრული უფლება აქვს, თავისი შეხედულებით განსაზღვროს პირთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს საარსებო მინიმუმს და ეს არ ჩაითვლება არათანაბარ მოპყრობად სხვა დაწესებულებაში დასაქმებულ პირებთან მიმართებაში.

„მოქალაქე იულია მეზურნიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქმეზე კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე კონსტიტუციის 30-ე და 32-ე მუხლებთან მიმართებით მოითხოვდა 2006 წლის „საქართველოს ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ მუხლების არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლებიც, მოსარჩელის აზრით, არღვევდნენ ძირითად უფლებას საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის შესახებ და ადგენდნენ მინიმალური პენსიის ოდენობას, რაც რამდენჯერმე ჩამოუვარდებოდა საარსებო მინიმუმს. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ მოქალაქის სიცოცხლე და ჯანმრთელობა რეალურად დგება საშიშროების წინაშე, რადგან საარსებო მინიმუმი ელემენტარული ფიზიოლოგიური და სოციალური

¹²³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 12 დეკემბერის #2/6/322 გადაწყვეტილება;

¹²³² „აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის #43 ბრძანებულების შესაბამისად, „აღმასრულებელ ხელისუფლებაში შრომის ანაზღაურების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების მიზნით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად: 1. აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 115 ლარით.“ მოსარჩელები დავობდნენ მინიმალური ხელფასის ოდენობის ყველასათვის გავრცელებაზე. სადავო აქტით მოხდა პირთა თანამდებობრივი სარგოს 115 ლარამდე გაზრდა მხოლოდ აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებული პირებისათვის, რამაც მოსარჩელეთა აზრით დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩააყენა დანარჩენი მოსამსახურეები.

¹²³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 12 დეკემბერის #2/6/322 გადაწყვეტილება;

¹²³⁴ იქვე;

მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებაა¹²³⁵. სასამართლომ განსაზღვრა კონსტიტუციის 32-ე მუხლით დაცული სიკეთეები და მიუთითა, რომ სადავო ნორმები ადგენდნენ არა საარსებო მინიმუმთან დაკავშირებულ საკითხებს, არამედ პენსიის მინიმალურ ოდენობას, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის დადგენისა და მარჩენალის გარდაცვალებისას პენსიის გაანგარიშებას. სასამართლომ დაადგინა, რომ რომ სადავო ნორმები არ მიემართებოდა კონსტიტუციის დასახელებულ ნორმებს. შესაბამისად, სარჩელი დაუშვებლად ცნეს.¹²³⁶ სასამართლომ განაცხადა¹²³⁷: „კონსტიტუციის 30-ე და 32-ე მუხლები იცავენ შრომის თავისუფლებას, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას, საქართველოს მოქალაქეების შრომითი უფლებების დაცვას საზღვარგარეთ, შრომის სამართლიან ანაზღაურებას, უსაფრთხო, ჯანსაღი პირობების დაცვას, არასრულწლოვანთა და ქალის შრომის პირობების განსაზღვრას, ასევე სახელმწიფოს მხრიდან უმუშევრად დარჩენილი საქართველოს მოქალაქის დასაქმებაში ხელის შეწყობას, საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობებისა და უმუშევრობის სტატუსის კანონით განსაზღვრას“.¹²³⁸

4. პროგრესული რეალიზაციის პრინციპი

სასამართლო იზიარებს სოციალური უფლებების პროგრესული რეალიზაციის პრინციპებს, თვლის, რომ ის, როგორც საერთო პოლიტიკის განხორციელების შემადგენელი ნაწილი, მომავალშიც უნდა გაგრძელდეს. ამავდროულად, სასამართლომ პენსიის მინიმალური ოდენობის დამდგენი ნორმის არაკონსტიტუციურობაზე მსჯელობის საკმარის საფუძვლად არ მიიჩნია მხოლოდ არგუმენტი, რომ პენსიის მინიმალური ოდენობა საარსებო მინიმუმს არ უნდა ჩამოუვარდებოდეს.

სასამართლომ განაცხადა: „სასამართლო კოლეგია იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პირობები მუდმივად უნდა იზრდებოდეს, მაგრამ მოსარჩელის მიერ მოყვანილი მხოლოდ ის არგუმენტი, რომ პენსიის მინიმალური ოდენობა დადგენილზე უფრო მაღალი უნდა იყოს, ვერ გახდება სადავო ნორმების კონსტიტუციურობაზე მსჯელობის საგანი.“¹²³⁹

სასამართლომ ხაზი გაუსვა დასაქმებულ მოსამსახურეთა სოციალური მდგომარეობისა და ანაზღაურების მნიშვნელობას და აღნიშნა¹²⁴⁰ „...საკონსტიტუციო სასამართლო, ქვეყანაში არსებული სოციალურეკონომიკური, ასევე დღევანდელი საბიუჯეტო შემოსავლების რეალური ზრდის მდგომარეობის გათვალისწინებით, მიიჩნევს, რომ

¹²³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 16 თებერვლის #2/2/355 განჩინება;

¹²³⁶ იქვე;

¹²³⁷ ეს ციტირება მე-2 პარაგრაფშია (იხ. გამოჯვანა საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლისგან) შემოთავაზებული, მაგრამ საკითხთან მიმართებით მეტი თვალსაჩინოებისათვის აქაც არის გამოთვლილი.

¹²³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 16 თებერვლის #2/2/355 განჩინება;

¹²³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 16 თებერვლის #2/2/355 განჩინება;

¹²⁴⁰ ეს ციტირება 3.2. პარაგრაფშია (იხ. საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობების და უმუშევრის სტატუსის კანონით განსაზღვრა) შემოთავაზებული, მაგრამ საკითხთან მიმართებით მეტი თვალსაჩინოებისათვის აქაც არის გამოთვლილი.

საქართველოს პრეზიდენტის სადავო ბრძანებულება, სახელმწიფოში მოსახლეობის შემოსავლების ფაქტობრივ საარსებო მინიმუმთან გათანაბრების საერთო პოლიტიკის განხორციელების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რაც მომავალშიც უნდა გაგრძელდეს.”¹²⁴¹ სასამართლომ, მართალია, არაპირდაპირ, მაგრამ მიაჩნ იმსჯელა ამ საკითხზე და სადავო ნორმით დასახული მიზნები კონსტიტუციასთან შესაბამისად შეაფასა, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენაა.

5. სუბიექტი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის სუბიექტია: ადამიანი, რომელიც შესაძლოა იყოს უმუშევრის სტატუსის მქონე პირი; პირი, რომელიც არის უმუშევარი და ეძებს სამუშაოს; პირი, რომელიც დათხოვნილია სამსახურიდან და კუთვნილი კომპენსაციის მიღების უფლებით სარგებლობს; პირი, რომელიც საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობებისა და უმუშევრის სტატუსის კანონით განსაზღვრას საჭიროებს. კერძოდ, სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლთან მიმართებით აღნიშნა, რომ ეს მუხლი: „... გულისმობს არა მარტო უმუშევრის სტატუსის განსაზღვრა-მოწესრიგებასა და სამუშაოს პოვნაში რეალურ დახმარებას, არამედ სამუშაოდან დათხოვნის დროიდან კუთვნილი კომპენსაციის, კერძოდ, ... გამოსასვლელი დახმარების – ორთვიანი თანამდებობრივი სარგოს მიღების უფლებასაც. ეს დახმარება წარმოადგენს მოქალაქეთა დასაქმების, ანუ სამუშაოს პოვნის ერთ-ერთ წინაპირობას იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანმა თავი გაიტანოს და არსებობა შეინარჩუნოს. ... აღნიშნული დახმარება უმუშევრად დარჩენილი მოხელის დასაქმებაში სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის პირველადი ღონისძიებაა, ვინაიდან უმუშევრის სტატუსის მიღებასა და შესაბამისი შემწეობის დანიშვნას საკმაოდ დრო სჭირდება.”¹²⁴²

6. დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლში ჩამოყალიბებული სტანდარტები შეიძლება ასე შეჯამდეს:

- კონსტიტუციის 32-ე მუხლში ჩამოყალიბებული დებულება უფლების დამდგენია და არა დეკლარაციული ხასიათის;
- სასამართლომ კონსტიტუციის 32-ე მუხლი შრომის თავისუფლების უფლების ნაწილად მოიაზრა;
- სასამართლოს პრეცედენტული სამართალის მიხედვით, საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლი მოიცავს ორ ასპექტს: სახელმწიფოს მხრიდან

¹²⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 12 დეკემბერის #2/6/322 გადაწყვეტილება;

¹²⁴² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 23 მარტის #1/3/301 გადაწყვეტილება, პ. III.5;

უმუშევრად დარჩენილი საქართველოს მოქალაქის დასაქმებაში ხელის შეწყობას და საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობებისა და უმუშევრის სტატუსის კანონით განსაზღვრას;

- სასამართლო 32-ე მუხლის პირველი წინადადებით დაცულ სფეროში მინიმუმ მოიაზრებს:
 - უმუშევრის სტატუსის განსაზღვრა-მოწესრიგებას;
 - სამუშაოს პოვნაში რეალურ დახმარებას;
 - სამუშაოდან დათხოვნის შემთხვევაში კომპენსაციის უფლებას;
- სასამართლო იზიარებს სოციალური უფლებების პროგრესული რეალიზაციის პრინციპებს და მიიჩნევს, რომ ის, როგორც საერთო პოლიტიკის განხორციელების შემადგენელი ნაწილი, მომავალშიც უნდა გაგრძელდეს;
- სასამართლომ პენსიის მინიმალური ოდენობის დამდგენი ნორმის არაკონსტიტუციურობაზე მსჯელობის საკმარის საფუძვლად არ მიიჩნია მხოლოდ ის არგუმენტი, რომ პენსიის მინიმალური ოდენობა საარსებო მინიმუმს არ უნდა ჩამოუვარდებოდეს.
- საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო დაწესებულებას სრული უფლება აქვს, თავისი შეხედულებით განსაზღვროს პირთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს საარსებო მინიმუმს და ეს არ წარმოადგენს არათანაბარ მოპყრობას სხვა დაწესებულებაში დასაქმებულ პირებთან მიმართებაში.

7. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-32 მუხლთან მიმართებით:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება:

მოქალაქე იულია მეზურნიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 16 თებერვალის #2/2/355 განჩინება/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

საქართველოს მოქალაქეები - დავით სილაგაძე, ლიანა დარსანია და ეკატერინე წოწონავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 23 მარტის #1/3/301 გადაწყვეტილება/;

საქართველოს მოქალაქეები კახაბერ ძაგანია და გიორგი გუგავა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 12 დეკემბერის #2/6/322 გადაწყვეტილება/

მუხლი 33

გაფიცვის უფლება აღიარებულია. ამ უფლების განხორციელების წესი განისაზღვრება კანონით. კანონი ადგენს აგრეთვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების საქმიანობის გარანტიებს.

შესავალი

1. დაცული სფერო
2. სუბიექტი
3. დასკვნა
4. საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლთან მიმართებით

შესავალი

გაფიცვის უფლება აზრის თავისუფლების უფლების ბუნებრივი გაგრძელებაა. ამ მუხლით გარანტირებული უფლება ავალდებულებს სახელმწიფოს, გამოიყენოს პოზიტიური ღონისძიებები ამ უფლების რეალურად და ეფექტურად განხორციელებისთვის. საჯარო ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან საჯარო გამოსვლებისას/დემონსტრაციებისას უზრუნველყონ უსაფრთხოების ზომების დაცვა, რათა დემონსტრაციებმა მშვიდად ჩაიაროს. დემონსტრაციებს შეიძლება ახლდეს საწინააღმდეგო აზრისა და იდეის მატარებელთა კონტრდემონსტრაციები. ამ დროს საჯარო ხელისუფლების ვალდებულებაა სათანადო ზომების გამოყენებით უზრუნველყოს, დემონსტრაციის მონაწილეებმა თავიანთი უფლებები მშვიდ გარემოში, ყოველგვარი ძალადობის გარეშე დაიცვან. დემოკრატიულ საზოგადოებაში კონტრდემონსტრაციაზე უფლება არ შეიძლება გახდეს დემონსტრაციის მშვიდ გარემოში ჩატარების უფლების შეზღუდვის საფუძველი. კონსტიტუციის 33-ე მუხლით გარანტირებული უფლება არ არის აბსოლუტური უფლება. საჯარო ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ აუცილებლობის შემთხვევაში იმოქმედონ თავისუფალი გათვალისწინების უფლებით და გამოიყენონ კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვის საფუძველები. 33-ე მუხლით გარანტირებული უფლება სოციალური ხასიათისაა. ის მჭიდრო კავშირშია 30-ე მუხლით დაცულ შრომის უფლებასთან. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლი ამ ნორმებთან კავშირში უნდა წავიკითხოთ.

1. დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლთან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართებით მდიდარი პრაქტიკა არა აქვს. ერთადერთი საქმე, რომელშიც აღნიშნული მუხლია მითითებული არის „საქართველოს მოქალაქე პაატა დობოჯგინიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

სადავო ნორმები იყო საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი: „1. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველებია: ...დ) შრომითი ხელშეკრულების მოშლა;“; 38-ე მუხლის მე-3 ნაწილი: „3. შრომითი ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით მოშლის შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემა არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება.“

მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ სადავო ნორმები არ შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლის მოთხოვნებს. ვინაიდან, სადავო ნორმის მიხედვით „... პირის სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში, დამსაქმებელი არ არის შებოჭილი ვალდებულებით სასამართლოს წარუდგინოს არგუმენტები თავისი ქმედების მართლზომიერების თაობაზე. მას ეძლევა საშუალება თვითნებურად გაათავისუფლოს პირი, რაც არაკონსტიტუციურია.“¹²⁴³ მოსარჩელე თვლიდა, რომ სადავო ნორმა აზრს

¹²⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 9 ივნისის #2/6/465 საოქმო ჩანაწერი საქმეზე საქართველოს მოქალაქე პაატა დობოჯგინიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I.3.5;

უკარგავდა გაფიცვის უფლებას. მისი მტკიცების მიხედვით: „...საგაფიცვო მოქმედებები ხანგრძლივ პროცედურებს გულისხმობს. ამ პირობებში ადმინისტრაციისათვის სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უფლების მინიჭება გამორიცხავს გაფიცვის უფლების რეალიზაციას. დაუსაბუთებელი გათავისუფლება ნებისმიერ პირს გადააფიქრებინებს გაფიცვის კანონიერ ჩანაფიქრს.“¹²⁴⁴

სასამართლომ აღნიშნა, რომ „სადავო ნორმები ... არ აწესრიგებენ ...გაფიცვის უფლების საკითხებს“.¹²⁴⁵ აქედან გამომდინარე, არ არსებობს შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმებსა და საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლს შორის.¹²⁴⁶ საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ „სადავო ნორმის შინაარსი უნდა იძლეოდეს კონსტიტუციური ნორმის მიერ დადგენილი კონსტიტუციურსამართლებრივი მასშტაბების მიხედვით ანალიზის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, თუ არ იქნა შინაარსობრივი ურთიერთმიმართება სადავო და კონსტიტუციურ ნორმებს შორის, საკონსტიტუციო სასამართლო მოკლებული იქნება შესაძლებლობას იმსჯელოს სადავო ნორმის შესაბამისობაზე კონსტიტუციურ ნორმასთან.“¹²⁴⁷

2. სუბიექტი

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის 33-ე მუხლთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მწირი პრაქტიკის გამო, სასამართლოს არ მიეცა შესაძლებლობა ემსჯელა კონსტიტუციის 33-ე მუხლით გარანტირებული უფლების სუბიექტზე.

3. დასკვნა

ზემოაღნიშნული საოქმო ჩანაწერი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ თუ არ იქნა შინაარსობრივი ურთიერთმიმართება სადავო და კონსტიტუციურ ნორმებს შორის, საკონსტიტუციო სასამართლო მოკლებული იქნება შესაძლებლობას იმსჯელოს სადავო ნორმის შესაბამისობაზე კონსტიტუციურ ნორმასთან.

4. საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-33 მუხლთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი:

საქართველოს მოქალაქე პაატა დობორჯგინიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 9 ივნისის #2/6/465 საოქმო ჩანაწერი/

¹²⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 9 ივნისის #2/6/465 საოქმო ჩანაწერი, I.3.10;

¹²⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 9 ივნისის #2/6/465 საოქმო ჩანაწერი, I.3.3;

¹²⁴⁶ იქვე;

¹²⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 9 ივნისის #2/6/465 საოქმო ჩანაწერი, I.3.1;

მუხლი 34

1. სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფლობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას.
2. საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით.

შესავალი

1. 34-ე მუხლის პირველი პუნქტი
 - 1.1. დაცული სფერო
 - 1.1.1. სამეცნიერო საქმიანობა, როგორც კულტურული ცხოვრების უფლების კომპონენტი
 - 1.1.2. სახელმწიფოს ვალდებულების არსი
 - 1.1.3. კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების მნიშვნელობა და მისი დაცვის ფარგლები
 - 1.2. საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფეროს გამიჯვნა კონსტიტუციის 30-ე მუხლისაგან
 - 1.3. სუბიექტები
 - 1.4. დასკვნა
 - 1.5. საქმეები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით
2. 34-ე მუხლის მეორე პუნქტი
 - 2.1. საქმე, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით

შესავალი

კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქის შეუზღუდავი მონაწილეობის უფლება მჭიდროდ არის გადაჯაჭვული საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობასთან. ამიტომ ეს უფლება დაკავშირებულია კონსტიტუციის 35-ე მუხლით დაცულ განათლების უფლებასთან.

კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფს ადამიანის შესაძლებლობას, სამეცნიერო კვლევების გზით ეძიოს ჭეშმარიტება და ამ გზით თავისი წვლილი შეიტანოს კულტურულ ცხოვრებაში. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებისას, განათლების უფლებასთან ერთად, წარმოიშობა კონსტიტუციის 34-ე მუხლით დაცული სფეროს გამიჯვნის აუცილებლობა საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით გათვალისწინებული შრომის თავისუფლებისაგან.

1. 34-ე მუხლის პირველი პუნქტი

1.1. დაცული სფერო

1.1.1. სამეცნიერო საქმიანობა, როგორც კულტურული ცხოვრების უფლების კომპონენტი

ვინაიდან კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან როგორც ვალდებულებას, ასევე პოზიტიური ნების გამოვლენას, რომ ხელი შეუწყოს კულტურის განვითარებას, მოქალაქის უფლებას - შეუზღუდავი მონაწილეობა მიიღოს კულტურულ ცხოვრებაში, კულტურული თვითმყოფადობის გამოვლენას და მის გამდიდრებას, - დღის წესრიგში დგება კულტურის არსის განსაზღვრის აუცილებლობა. ეს განპირობებულია იმით, რომ გავარკვიოთ, თუ საზოგადოებრივი ცხოვრების რომელი სფეროსკენ არის მიმართული აღნიშნული კონსტიტუციური დებულება.

კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფეროს დადგენის აუცილებლობის წინაშე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დადგა საქმეში „საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში მონაწილეობის აკრძალვის გამო, ხელყოფილი იქნა მათი სწორედ 34-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული უფლება. მოსარჩელეთა აზრით, საუნივერსიტეტო ცხოვრება, სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობა კულტურული ცხოვრების შემადგენელი ნაწილია.¹²⁴⁸

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ კულტურული ცხოვრება მოიცავს, მათ შორის, სამეცნიერო საქმიანობასაც. ეს უკანასკნელი საკონსტიტუციო სასამართლომ საზოგადოების კულტურული და სულიერი

¹²⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, I.პ.5;

ყოფის მნიშვნელოვან ნაწილად მიიჩნია. სასამართლომ სამეცნიერო საქმიანობის კულტურული ცხოვრების უფლებით დაცვა დაასაბუთა საერთაშორისო სამართლის ნორმებზე მითითების გზით.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა: „ცნება „კულტურული ცხოვრება“, ასევე, გულისხმობს სამეცნიერო საქმიანობასაც, რომელიც საზოგადოების კულტურული და სულიერი ყოფის ერთერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ეს მოსაზრება შეესატყვისება, შესაბამისი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით დაცულ, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების ინტერპრეტაციას. უნივერსიტეტების დიდი ქარტიის (ბოლონია, 1988 წლის 18 სექტემბერი) შესაბამისადაც, „უნივერსიტეტი ... ქმნის, ამოწმებს, აფასებს და ავრცელებს კულტურას კვლევისა და სწავლების გზით“.¹²⁴⁹

აქვე, სასამართლომ იმსჯელა მეცნიერების არსზე და მიიჩნია, რომ პირის საქმიანობა მხოლოდ მაშინაა სამეცნიერო ხასიათის და, შესაბამისად, მხოლოდ მაშინ გულისხმობს კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობას, როდესაც ეს საქმიანობა ამ პირის სამეცნიერო საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. სასამართლომ აღნიშნა: „...უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლის საქმიანობა სამეცნიერო და აქედან გამომდინარე, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობას წარმოადგენს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მისი სამეცნიერო საქმიანობის განუყოფელი ნაწილია და ამ საქმიანობის შეწყვეტით პირს ერთმევა შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს კულტურულ ცხოვრებაში“.¹²⁵⁰

ამგვარად, სხვა ფორმებთან ერთად, კულტურა თავის ასახვას და გამოხატულებას პოულობს სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობაში. ამიტომ საზოგადოებრივი ცხოვრების ეს სფერო დაცულია კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებით. სახელმწიფოს ჩარევა ადამიანის ისეთი სახის საქმიანობაში, რომელიც დაკავშირებულია საგანმანათლებლო ხასიათის კვლევებთან, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ჭეშმარიტების შეცნობის ძალისხმევასთან, ზღუდავს კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას.

1.1.2. სახელმწიფოს ვალდებულების არსი

კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველსავე წინადადებაში მითითებულია სახელმწიფოზე, როგორც კულტურის განვითარებაზე პასუხისმგებელ სუბიექტზე. რა სახის ვალდებულებას აკისრებს საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს კულტურული ღირებულებების დაცვის კუთხით.

სახელმწიფოს ვალდებულების არსზე - უზრუნველყოს კულტურის განვითარება - მკაფიო განმარტება გააკეთა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები

¹²⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება II. 3.27

¹²⁵⁰ იქვე;

საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“:

„კონსტიტუციის 34-ე მუხლი ავალებს სახელმწიფოს, ხელი შეუწყოს კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას. ეს მოიცავს იმასაც, რომ სახელმწიფო მოვალეა ხელი არ შეუშალოს ამ უფლების რეალიზაციას და შექმნას მისი დაცვის რეალური გარანტიები“.¹²⁵¹

ამგვარად, 34-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული უფლება აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, შექმნას მოქალაქეთა კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის, კულტურის განვითარების, კულტურული თვითმყოფადობის გამოვლენისა და გამდიდრების პირობები (პოზიტიური ვალდებულება), ამავე დროს ხელი არ შეუშალოს მოქალაქის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობას და კულტურის განვითარებას (ნეგატიური ვალდებულება).

გულისხმობს თუ არა, ერთი მხრივ, მოქალაქის უფლება-მონაწილეობა მიიღოს კულტურულ ცხოვრებაში, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოს ვალდებულება - იზრუნოს კულტურის განვითარებაზე, იმას, რომ ნებისმიერმა მოქალაქემ მოითხოვოს, ქვეყნის ცენტრალური ბიუჯეტიდან კულტურული ხასიათის ღონისძიებებისათვის გამოყოფილი სახსრების გაზრდა?

2005 წლის 5 მაისს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქმე „მოქალაქე ბესიკ ბრეგაძე საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“. სარჩელი შეეხებოდა „საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი #10-ის მე-12 პუნქტის კონსტიტუციურობას. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად სადავო ნორმით ქალაქი ქუთაისისათვის გამოყოფილი ტრანსფერი, 5 მილიონი ლარი, არ იყო საკმარისი კულტურულ ცხოვრებასთან დაკავშირებული დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. როგორც მოსარჩელეები მიუთითებდნენ, ეს უფლებამოსილება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს აკისრებდა ვალდებულებას, უზრუნველყო მუზეუმებისა და გამოფენების, ბიბლიოთეკების, კულტურის ... მოვლა-პატრონობის ხელშეწყობ ღონისძიებათა ჩატარება. მოსარჩელეები მიიჩნევდნენ, რომ თუ სასწრაფოდ არ მიიღებდნენ შესაბამის ზომებს, შეიძლებოდა ზოგიერთი კულტურული დაწესებულება დახურულიყო.¹²⁵²

იმისათვის, რომ ზემოხსენებულ დაწესებულებებს გაეგრძელებინა ფუნქციონირება, ადამიანებს ესარგებლათ კულტურული ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობით, ხოლო სახელმწიფოს შეესრულებინა თავისი კონსტიტუციური ვალდებულება კულტურის განვითარებასთან დაკავშირებით, მოსარჩელის აზრით, ქუთაისისათვის გამოყოფილი ტრანსფერის ოდენობა უნდა გაზრდილიყო 11,2 მილიონ (6, 2 მილიონით) ლარამდე.¹²⁵³

¹²⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება, II.პ.27;

¹²⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 5 მაისის #2/4/294 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე ბესიკ ბრეგაძე საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ;

¹²⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 5 მაისის #2/4/294 გადაწყვეტილება;

საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა აღნიშნული სარჩელი, ვინაიდან მიიჩნია, რომ ტრანსფერის გამოყოფა მთლიანად ცენტრალური ხელისუფლების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული: „სასამართლოს აზრით, ტრანსფერის ოდენობას მთლიანად განსაზღვრავს ცენტრალური ბიუჯეტი არსებული სახსრებისა და რეგიონში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით.“¹²⁵⁴

სასამართლომ ასევე მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელებმა ვერ შეძლეს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა, რომელიც დაასაბუთებდა, რომ კულტურული ცხოვრებისათვის გამოყოფილმა საბიუჯეტო ტრანსფერის არასაკმარისმა ოდენობამ გამოიწვია უშუალოდ მოსარჩელის კონსტიტუციურ უფლებათა შელახვა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი „ვერ დაეთანხმება მოსარჩელის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქ. ქუთაისისათვის საქართველოს ბიუჯეტიდან ტრანსფერის სახით ნაცვლად 11,2 მილიონი ლარისა 5 მილიონის გამოყოფამ დაარღვია მისი კანონის წინაშე თანასწორობის, თავისუფალი განვითარების, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის ან სამედიცინო დახმარების უფლებათა შეზღუდვა“.¹²⁵⁵

ამგვარად, სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულება - ხელი შეუწყოს კულტურის განვითარებას და ადამიანის უფლება - მონაწილეობა მიიღოს კულტურულ ცხოვრებაში, არ გულისხმობს მოქალაქის უფლებას მოითხოვოს სახელმწიფოსაგან განსაზღვრული ოდენობის საბიუჯეტო სახსრები კულტურული ღონისძიების დასაფინანსებლად. კულტურული ღონისძიებებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ოდენობის განსაზღვრა, დამოკიდებულია სახელმწიფოს კეთილ ნებაზე და მისი მხრიდან არსებული მდგომარეობის შეფასებაზე. კულტურული ცხოვრებისათვის გამოყოფილი სახსრების ოდენობის განსაზღვრა არ გულისხმობს საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში ჩარევას.¹²⁵⁶

1.1.3. კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების მნიშვნელობა და მისი დაცვის ფარგლები

საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება კულტურული ცხოვრების ისეთი კომპონენტის მნიშვნელობაზე, როგორცაა სამეცნიერო, კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობა. სასამართლომ განმარტებით:

„სამეცნიერო საქმიანობისათვის დამახასიათებელია ამა თუ იმ სფეროში ქვეყნის მნიშვნელობისა და მნიშვნელობის პროცესი, მეთოდურად ორიენტირებული

¹²⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 5 მაისის #2/4/294 გადაწყვეტილება, პ.2;

¹²⁵⁵ იქვე;

¹²⁵⁶ იქვე;

კრიტიკული აზროვნება, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გადაცემა. როგორც ვხედავთ, მეცნიერება მოიცავს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ კვლევისა და სწავლების კომპონენტებს.”¹²⁵⁷

მაშასადამე, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობა სასამართლომ დაუკავშირა არა მხოლოდ სამეცნიერო კვლევებს, არამედ სწავლებას, ცოდნის სხვა ინდივიდებისათვის გადაცემის შესაძლებლობასა და ამგვარი გადაცემების მეთოდოლოგიასაც. შესაბამისად, ქვეყნის კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფერო დაუახლოვდა საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლით რეგულირებულ სამართლებრივ ურთიერთობას.

საკონსტიტუციო სასამართლოს არ გამორჩენია კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების მნიშვნელობაზე გაემახვილებინა ყურადღება. რადგან საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლება დაკავშირებულია სამეცნიერო საქმიანობასთან, სარგებლობს დაცვის მაღალ ხარისხით. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: „ამ სფეროში თავისუფლების ხარისხი ძალიან მაღალია. დაცულია იმ პირთა უფლებები, რომლებიც მოღვაწეობენ სამეცნიერო ცხოვრებაში.”¹²⁵⁸

1.2. საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფეროს გამიჯვნა კონსტიტუციის 30-ე მუხლისაგან

ვინაიდან სამეცნიერო ხასიათის საქმიანობა ეფუძნება ადამიანის პროფესიას, შესაძლოა, ეს საქმიანობა დაკავშირებული იყოს სამეცნიერო ან საგანმანათლებლო დაწესებულებაში განსაზღვრულ პოზიციასთან და თან სდევდეს მატერიალური სარგებელიც. როდესაც პროფესიული საქმიანობის შედეგს წარმოადგენს არა მხოლოდ ადამიანის პიროვნული თვითრეალიზაცია და განვითარება, არამედ მატერიალური სარგებლის მიღებაც, სახეზეა, როგორც კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფერო, ისე კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი და მეოთხე პუნქტით გათვალისწინებული შრომის უფლება.¹²⁵⁹

ფაკულტეტის დეკანის თანამდებობა დაკავშირებულია განსაზღვრული ტიპის ანაზღაურების მიღებასთან. ეს გარემოება, ისევე, როგორც პირის გათავისუფლება ზემოხსენებული თანამდებობიდან, ექცევა კონსტიტუციის 30-ე მუხლით დაცულ სფეროში.¹²⁶⁰ შესაძლებელია, პირს, რომელიც შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებაში ეწევა სამეცნიერო საქმიანობას, იმავდროულად ეკავოს მმართველობითი თანამდებობა (მაგალითად, დეკანის პოზიცია). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება როგორც კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი და მეოთხე პუნქტი, ასევე კონსტიტუციის 34-ე

¹²⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.27

¹²⁵⁸ იქვე;

¹²⁵⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.20

¹²⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.22

მუხლის პირველი პუნქტი. საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით: „ადამიანის სამეცნიერო მოღვაწეობა შესაძლებელია წარმოადგენდეს პირის სამსახურებრივ საქმიანობას ან მის შემადგენელ ნაწილს.“¹²⁶¹

ამ ორ უფლებას შორის მჭიდრო კავშირისა და მათი ერთობლივი გამოყენების შესაძლებლობის მიუხედავად, კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი და მეოთხე პუნქტით და 34-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულია ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი უფლება. კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობა და შრომის უფლება სცილდება ერთმანეთს, როდესაც სამეცნიერო საქმიანობა ხორციელდება სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებს გარეთ და არ არის სავალდებულო, რომ პირს ფორმალურად ეკავოს რაიმე თანამდებობა შესაბამის დაწესებულებაში.¹²⁶²

იმ შემთხვევაში, როდესაც პირს ათავისუფლებენ მმართველობითი თანამდებობიდან, რომელიც წარმოადგენს სამეცნიერო საქმიანობის ნაწილს, თუმცა მას შენარჩუნებული აქვს სამეცნიერო საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა, - საქმე გვექნება არა კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში ჩარევასთან, არამედ კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველ და მეოთხე პუნქტით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვასთან. კონსტიტუციის 34-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვა ხდება მაშინ, როდესაც მეცნიერს აღარ აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის გაგრძელების და შესაბამისად, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობაც.¹²⁶³

1.3. სუბიექტები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ჯერჯერობით არ ჰქონია შესაძლებლობა, ემსჯელა იმ საკითხზე, თუ ვინ წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის სუბიექტს. როდესაც აღნიშნული კონსტიტუციური დებულება ადგენს კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას, აღნიშნული სიკეთის სუბიექტს მოიხსნიებს ტერმინით „მოქალაქე.“ რამდენად ფართოა ან ვიწროა ამ ტერმინის მნიშვნელობა, ეს საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს მომავალი გადაწყვეტილებებით უნდა გაირკვეს.

1.4. დაკვნა

- სამეცნიერო, კვლევითი საქმიანობა და სწავლება დაცულია კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებით;
- სახელმწიფო ვალდებულია არა მხოლოდ ხელი არ შეუშალოს მოქალაქის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობას, არამედ შექმნას ამ უფლების დაცვის სათანადო გარანტიები;

¹²⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.27;

¹²⁶² იქვე;

¹²⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება, II.3.28;

- სახელმწიფოს ვალდებულება, ხელი შეუწყოს კულტურის განვითარებას, არ გულისხმობს მოქალაქის უფლებას, მოითხოვოს განსაზღვრული ოდენობის თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან კულტურული ცხოვრების დაფინანსების მიზნით;
- კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებაში ჩარევა არ ხდება პირის იმგვარი მმართველობითი თანამდებობიდან გადაყენებით, რომელიც მას თავისი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე ეკავა. მოცემულ შემთხვევაში ადგილი ექნება შრომის უფლებაში ჩარევას. კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში ჩარევას ექნება ადგილი, თუკი ინდივიდს არ ექნება თავისი სამეცნიერო საქმიანობის, როგორც კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის, გაგრძელების შესაძლებლობა.

1.5. საქმეები, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებაში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

საქართველოს მოქალაქე მაია ნათამე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება/

მოქალაქე ბესიკ ბრეგაძე საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 5 მაისის #2/4/294 გადაწყვეტილება/

2. 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი

საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 27 მაისის #2/2/132 განჩინება საქმეზე „ნუგზარ ბაღათურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. მოსარჩელე ასაჩივრებდა „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტს, რომლითაც მეცნიერებათა აკადემიას, როგორც ქონების უზუფრუქტუარს, ეკრძალებოდა იჯარის თანხის მიღება და მისი სამეცნიერო აკადემიის მიზნებისათვის მოხმარება.¹²⁶⁴

მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ უზუფრუქტის ნაყოფზე უარის თქმით მას წაერთვა შესაძლებლობა, ეზრუნა კულტურული მემკვიდრეობის - კვების მრეწველობის ერთადერთი სამეცნიერო აკადემიის შენარჩუნებაზე.¹²⁶⁵

საკონსტიტუციო სასამართლოს არ მიეცა შესაძლებლობა ემსჯელა აღნიშნული სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზეც კი. მოსარჩელემ უარი თქვა თავის სასარჩელო მოთხოვნაზე, რის გამოც აღნიშნულ საქმეზე შეწყდა საქმისწარმოება.¹²⁶⁶

2.1. საქმე, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებაში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება

საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ბაღათურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 27 მაისის #2/2/132 განჩინება/

¹²⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 27 მაისის #2/2/132 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ბაღათურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹²⁶⁵ იქვე;

¹²⁶⁶ იქვე;

მუხლი 34¹

სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სპორტულ გაერთიანებებთან თანამშრომლობით ხელს უწყობს მოზარდთა და ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას, სპორტში მათ ჩართვას.

(საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, #3710-სსმI, #62, 05.11.2010წ., მუხ.379)

34¹-ე მუხლი საქართველოს კონსტიტუციას დაემატა 2010 წლის 15 ოქტომბრის #3710-III კონსტიტუციური კანონით „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ“. აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა არ აქვს.

34¹-ე მუხლის დამატებამდე, სახელმწიფოს მიერ სპორტის რეგულირების კონსტიტუციურ-სამართლებრივი შემოწმება ხდებოდა კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტით. საკონსტიტუციო სასამართლომ დასაშვებად სცნო მოქალაქე ზესიკ ზრეგამის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.¹²⁶⁷ მოსარჩელე სადავოდ ხდიდა 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იმ მუხლს, რომლითაც ქუთაისის ტრანსფერის სახით გამოეყო 5 მილიონი ლარი.¹²⁶⁸ მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ ეს თანხა არ იყო საკმარისი, მათ შორის, სპორტული ღონისძიების დასაფინანსებლად.¹²⁶⁹

¹²⁶⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 5 მაისის #2/4/294 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე ზესიკ ზრეგამე საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ;

¹²⁶⁸ აღნიშნულ საქმეზე და მასში დადგენილ მიდგომაზე საუბარია კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის კომენტარში;

¹²⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 5 მაისის #2/4/294 გადაწყვეტილება;

მუხლი 35

1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.
2. სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ჰარმონიზაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.
3. სკოლამდელ აღზრდას სახელმწიფო უზრუნველყოფს კანონით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება.
4. სახელმწიფო მხარს უჭერს საგანმანათლებლო დაწესებულებებს კანონით დადგენილი წესით.

(საქართველოს 2003 წლის 23 ივლისის კონსტიტუციური კანონი #2597-სსმI, #23, 12.08.2003წ., მუხ.168)

(საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი #4135-სსმI, #3, 11.01.2007წ., მუხ.46)

შესავალი

1. 35-ე მუხლის პირველი პუნქტი
 - 1.1. დაცული სფერო
 - 1.2. სუბიექტები
 - 1.3. დასკვნა
 - 1.4. საკმეები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 35-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით განიხილა
2. 35-ე მუხლის მე-2 პუნქტი
 - 2.1. დაცული სფერო
 - 2.2. სუბიექტები
 - 2.3. დასკვნა
 - 2.4. საკმეები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებაში განიხილა
3. 35-ე მუხლის მე-3 პუნქტი
 - 3.1. დაცული სფერო
 - 3.1.1. ზოგადი განათლების უფლება
 - 3.1.2. უმაღლესი და პროფესიული განათლების უფლება
 - 3.1.3. სკოლამდელი აღზრდა
 - 3.2. საკმეები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 35-ე მუხლის მესამე პუნქტთან მიმართებაში განიხილა
4. 35-ე მუხლის მე-4 პუნქტი
 - 4.1. 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის შინაარსი
 - 4.2. დასკვნა
 - 4.3. საკმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა 35-ე მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებით

შესავალი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განათლების უფლებას სოციალური უფლებების კატალოგში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა. როგორც სასამართლომ განაცხადა: „განათლების მიღების კონსტიტუციური უფლება წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ ძირითად სოციალურ უფლებას და ცივილიზებული კაცობრიობის აღიარებულ ღირებულებას.“¹²⁷⁰

1. 35-ე მუხლის პირველი პუნქტი

1.1. დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტი განამტკიცებს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ივანე პეტრიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ განჩინებაში განათლების უფლებით დაცულ სფეროში არ მოაქცია ინდივიდის შესაძლებლობა, ჩაებარებინა მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 68-ე მუხლით მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების ასაკობრივი შეზღუდვა 23 წლიდან 25 წლამდე გაიზარდა.¹²⁷¹

საკონსტიტუციო სასამართლომ განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლებით დაცული სფეროს განსასაზღვრად, შეამოწმა სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვის დაწესების მიზანი. იყო თუ არა მიმართული კანონით დადგენილი შეზღუდვა პიროვნების უკვე არსებული პროფესიული უნარ-ჩვევების შემოწმებისა თუ ცოდნის ან განათლების გაღრმავებისკენ. სასამართლოს აზრით, გამოცდა თავისი არსით მიზნად ისახავს არა პიროვნების ცოდნის გაღრმავებას, არამედ მის შემოწმებას.¹²⁷² შესაბამისად, სადავო ნორმით არ მომხდარა ადამიანის განათლების მიღების უფლებაში ჩარევა.

მართალია, ზემოხსენებულ საქმეში მოსარჩელე მიუთითებდა იმას, რომ მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობის მიღებაზე დაწესებული შეზღუდვა, მას იმავდროულად ხელს უშლიდა მონაწილეობა მიეღო იუსტიციის უმაღლესი სკოლის კონკურსში, მაგრამ როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: „მოსარჩელემ ... ვერ დაასაბუთა, როგორ ხელყოფს კონსტიტუციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებულ მის უფლებას განათლების მიღებასა და მისი ფორმის არჩევაზე, იუსტიციის უმაღლესი სკოლის კონკურსში დროებით, 25 წლამდე მონაწილეობის მიღების შეუძლებლობა. მოსარჩელემ ვერ აჩვენა საკმარისი დამაჯერებლობით რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს მისთვის

¹²⁷⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 29 დეკემბრის #2/35 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს პარლამენტის 48 წევრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹²⁷¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 4 აპრილის #1/2/414/განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ივანე პეტრიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹²⁷² იქვე;

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიუღებლობას.¹²⁷³

ხდება თუ არა განათლების მიღების უფლებაში ჩარევა განათლების მისაღებად გაღებულ ხარჯებზე საგადასახადო ტვირთის დაკისრებით? ეს საკითხი გახდა საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ოთარ ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. მოსარჩელე ითხოვდა საგადასახადო კოდექსის 41-ე მუხლის არაკონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლთან მიმართებით. გასაჩივრებული ნორმა ითვალისწინებდა, რომ „ფიზიკურ პირს უფლება აქვს, მოახდინოს საგადასახადო წლის განმავლობაში ყოველთვიური დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვა 9 ლარის ოდენობით ასეთი გამოქვითვა ხდება ძირითადი სამუშაო ადგილიდან მიღებული ხელფასიდან.“ ამგვარად, დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვა კანონმა მხოლოდ ძირითადი სამუშაო ადგილიდან მიღებულ ხელფასს დაუკავშირა და გამორიცხა სხვა, მათ შორის განათლების მისაღებად საჭირო, ხარჯთან მიმართებაში.¹²⁷⁴

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მართალია, დაუბეგრავი მინიმუმის 9 ლარის ოდენობით განსაზღვრა უდავოდ არასაკმარისი იყო და საჭირო გახლდათ მისი გადიდება, თუმცა განაცხადა, რომ გასაჩივრებული ნორმა ეხებოდა ძირითადი სამუშაო ადგილიდან მიღებულ ხელფასს და პირდაპირ არ უკავშირდებოდა განათლების მისაღებად გაწეულ ხარჯებს. ამიტომ არ არსებობდა ურთიერთმიმართება გასაჩივრებულ ნორმასა და განათლების უფლების დამდგენ კონსტიტუციურ დებულებას შორის.¹²⁷⁵ უცნობია, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებდა ან მომავალში მიიღებს საკონსტიტუციო სასამართლო განათლების მისაღებად გაწეული ხარჯებიდან დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის აკრძალვა ნორმატიული აქტით პირდაპირ რომ იყოს განსაზღვრული.

საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 35-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტით გათვალისწინებული დაცვა არ გაავრცელა კერძო უმაღლეს სასწავლებლებთან შედარებით სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების პრივილეგიებზე მდგომარეობაში ჩაყენებაზე. მოსარჩელე საქმეში „საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ სადავოდ ხდიდა იმ ფაქტს, რომ საგადასახადო კოდექსის 158-ე მუხლით სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც საბიუჯეტო ორგანიზაცია, გათავისუფლებული იყო მიწის გადასახადისაგან, ხოლო იმავე კოდექსის 47-ე მუხლით - არაეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული მოგების გადასახადისაგან, მაშინ როდესაც კერძო უმაღლესი სასწავლებელი აღნიშნული გადასახადით იბეგრებოდა.¹²⁷⁶ მოსარჩელე სახელმწიფო უნივერსიტეტების კერძო სასწავლებლებთან შედარებით პრივილეგიებული მდგომარეობის გამომწვევად მიიჩნევდა თვით ამ სასწავლებლების მართვის სისტემას. მოსარჩელეთა აზრით, კერძო უმაღლესი სასწავლებლები არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რადგან

¹²⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 4 აპრილის #1/2/414/განჩინება, პ.2;

¹²⁷⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 23 დეკემბრის #1/12/261 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ოთარ ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹²⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 23 დეკემბრის #1/12/261 განჩინება, პ.1;

¹²⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 11 მარტის 2/6/221 განჩინება საქმეზე საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის რექტორს განათლების მინისტრის წარდგინებით ნიშნავდა პრეზიდენტი.¹²⁷⁷ „უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ატესტაციის შესახებ“ კანონის თანახმად, სადისერტაციო საბჭოების შექმნას, პროფესორისა და დოცენტის წოდების მინიჭებას კანონი ითვალისწინებდა მხოლოდ სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლისათვის, კერძო სასწავლებლის საკითხს კანონი ღიად ტოვებდა.¹²⁷⁸ „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამხედრო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს მხოლოდ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება.¹²⁷⁹

საკონსტიტუციო სასამართლომ ზემოხსენებულ საქმეში განაცხადა, რომ მოსარჩელე არ იყო უფლებამოსილი სუბიექტი ედავა გასაჩივრებული ნორმების კონსტიტუციურობაზე. ასევე აღნიშნა, რომ მოსარჩელე ვერ ასაბუთებდა თუ რა შინაარსობრივი მიმართება ჰქონდა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლისათვის დადგენილი პრივილეგიებს, რომელსაც კერძო სასწავლებლები მოკლებული იყვნენ, კონსტიტუციის 35-ე მუხლით დაცულ განათლების მიღების და მისი ფორმის არჩევის უფლებასთან, საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო წესებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის ვალდებულებასთან¹²⁸⁰.

1.1. სუბიექტები

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტი იყენებს ტერმინს „ყველას“ განათლების მიღების და მისი ფორმის არჩევის უფლებასთან დაკავშირებით. 2010 წლის 28 ივნისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა: „ერთი ცხადია ... „ადამიანი“, „ყველა“ და „პირი“ ... პირთა გაცილებით ფართო წრეს გულისხმობენ, ვიდრე „საქართველოს მოქალაქე“, ეხება ყველა ადამიანს, მათი მოქალაქეობრივი კუთვნილებისგან დამოუკიდებლად, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირებს.“¹²⁸¹

1.2. დასკვნა

- 35-ე მუხლის პირველი პუნქტის სუბიექტია საქართველოს მოქალაქე, აპატრიდები და უცხოელები;
- განათლება მიეკუთვნება სოციალური უფლებების კატეგორიას;
- საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების უფლება არ არის დაცული განათლების მიღების უფლებით;

¹²⁷⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 11 მარტის 2/6/221 განჩინება;

¹²⁷⁸ იქვე;

¹²⁷⁹ იქვე;

¹²⁸⁰ იქვე;

¹²⁸¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2010 წლის 28 ივნისის #466 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.5;

- განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი რაც შესაძლოა დადგენილი იყოს სახელმწიფო და კერძო სასწავლებლებისათვის, არ ხვდება 35-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში.

1.3. საქმეები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 35-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით განიხილა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები

საქართველოს მოქალაქე ოთარ ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 23 დეკემბრის #1/12/261 განჩინება/

საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 11 მარტის #2/6/221 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე ივანე პეტრიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 4 აპრილის #1/2/414/განჩინება/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

საქართველოს პარლამენტის 48 წევრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 28 დეკემბრის #2/35 გადაწყვეტილება/

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2010 წლის 28 ივნისის #466 გადაწყვეტილება/

2. 35-ე მუხლის მე-2 პუნქტი

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტმა მისი მიღების შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. 1995 წლის 24 აგვისტოს რედაქციით კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის რედაქცია გამოიყურებოდა შემდეგნაირად: „სახელმწიფო უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას საერთაშორისო წესებთან და სტანდარტებთან“.

2006 წლის 27 დეკემბერს კონსტიტუციური ცვლილებით (#4135) კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტში შევიდა შემდეგი ცვლილებები: „სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ჰარმონიზაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.“

2.1. დაცული სფერო

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში „საქართველოს მოქალაქე მაია ნათამე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ კონსტიტუციური ცვლილების ახალი რედაქცია ფაქტობრივად მოიცავდა ძველ რედაქციას.¹²⁸²

კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის შეცვლის მომენტისათვის საკონსტიტუციო სასამართლოს არსებითად განსახილველად ჰქონდა მიღებული სარჩელი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათამე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“. საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობა პირდაპირ არ არეგულირებდა იმ საკითხს, რახდება მაშინ, როდესაც იცვლება კონსტიტუციის ის ნორმა, რომლის მიმართაც იყო წამოჭრილი გასაჩივრებული ნორმის კონსტიტუციურობის საკითხი. ეს ხარვეზი საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვიტა მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის ლოგიკური ახსნა-განმარტების გზით. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან გამწესრიგებელი სხდომის ეტაპზე საკონსტიტუციო სასამართლოს არა აქვს უფლება, არსებითად იმსჯელოს განსახილველ საკითხზე, შესაბამისად, არსებითად განხილვის ეტაპზე საკონსტიტუციო სასამართლო ვერ იმსჯელებდა იმ საკითხზე, რაც განმწესრიგებელ სხდომაზე უნდა გადაწყვეტილიყო. ვინაიდან გამწესრიგებელ სხდომაზე საკონსტიტუციო სასამართლოს არ უმსჯელია გასაჩივრებული ნორმის შინაარსობრივ ურთიერთმიმართებაზე კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის 2006 წლის 27 დეკემბრის რედაქციასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს არ მიეცა შესაძლებლობა, დაეწყო აღნიშნულ საკითხზე არსებითი განხილვა.¹²⁸³

საკონსტიტუციო სასამართლომ 35-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ სფეროზე ისაუბრა საქმეში „საქართველოს მოქალაქე ცისანა კოტაევა და სხვები

¹²⁸² საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #389 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ნათამე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, II.3.5;

¹²⁸³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #389 გადაწყვეტილება, II. 3.29;

საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. მოსარჩელე სადავოდ ხდიდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის მე-5 პუნქტს. მისი მტკიცებით სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტს, ვინაიდან მოსარჩელეები მიიჩნევდნენ, რომ მასწავლებელთა დათხოვნა და მათი ხელშეკრულებით აყვანა ნიშნავს საქართველოს მიერ რატიფიცირებულ და მიერთებულ საერთაშორისო ხელშეკრულებების, პაქტების და ოქმების დარღვევას.¹²⁸⁴

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა მოსაზრებები და განაცხადა, რომ არ არსებობდა ურთიერთმიმართება გასაჩივრებულ ნორმასა და კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტს შორის. მართალია, კანონი არეგულირებდა ზოგადი განათლების სფეროს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ აღნიშნული კანონის ყველა ნორმა პირდაპირ გავლენას მოახდენდა განათლების უფლებაზე. სადავო ნორმას არ ჰქონდა რაიმე მიმართება განათლების უფლების საერთაშორისო სტანდარტთან, ის ითვალისწინებდა მასწავლებლის შრომითი უფლების რეგულირებას, რომლის შეზღუდვის კონსტიტუციურობა უნდა შემოწმებულიყო არა კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტით, არამედ 30-ე მუხლით (შრომის თავისუფლება). საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა: „კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტი შეეხება სახელმწიფოს ვალდებულებას უზრუნველყოს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ჰარმონიზაცია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში და არა შრომითი უფლებების დაცვას, რომელსაც კონსტიტუციის 30-ე მუხლი აწესრიგებს.“¹²⁸⁵

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლების შრომითი უფლებებისა და განათლების უფლების ერთმანეთისაგან გამიჯვნის პრობლემა კონსტიტუციურ სარჩელებში მანამდე გამოვლინდა. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო განჩინება საქმეზე „კავშირი „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეა“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ.“ დავის საგანი იყო თითქმის იგივე, რაც საქმეში „საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“. აღნიშნულ საქმეში მოსარჩელეები მიიჩნევდნენ, რომ სადავო აქტები ხელყოფდნენ უნივერსიტეტის თანამშრომეთა შრომით უფლებებსა და განათლების მიღების უფლებას. მოცემულ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო სარჩელი არსებითად განსახილველად იმის გამო, რომ „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეა“ არ იყო უფლებამოსილი ედავა მისი წევრების კონსტიტუციური უფლებების დარღვევაზე.¹²⁸⁶

მართალია, კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, მოახდინოს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ჰარმონიზაცია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან, მაგრამ 35-ე მუხლის მე-2 პუნქტი არ აძლევს საკონსტიტუციო სასამართლოს

¹²⁸⁴ საქართველოს მოქალაქე ცისანა კოტაევა და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I.3.5;

¹²⁸⁵ იქვე;

¹²⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 25 ივლისის 1/14/335 განჩინება საქმეზე კავშირი „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეა“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, პ.2;

შესაძლებლობას, დამოუკიდებლად შეამოწმოს სადავო ნორმის შესაბამისობა საგანმანათლებლო სფეროში არსებულ საერთაშორისო დოკუმენტთან. საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია იმსჯელოს იმაზე, რამდენად ასრულებს სახელმწიფო საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს სისტემის ჰარმონიზაციას შესაბამის საერთაშორისო სტანდარტთან ნორმატიული აქტის შესაბამისობის დამოუკიდებელი მსჯელობის გარეშე. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: „საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხს საქართველოს კონსტიტუციასთან და არა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან.“¹²⁸⁷

აკადემიური სტრუქტურების მართვის სისტემას და მასში გადაწყვეტილების მიღების წესს გააჩნია მიმართება კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტთან. ამ დროს საკონსტიტუციო სასამართლოს მოეთხოვება იმის შემოწმება თუ რამდენად შეესაბამება ამა თუ იმ სამეცნიერო დაწესებულების სტრუქტურული სისტემა, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები და გადაწყვეტილების მიღების წესი საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმწესრიგებელ სხდომაზე დასაშვებად სცნო სარჩელი საქმეზე “ლევან სანიკიძე, რევაზ მიშველაძე, არჩილ ჩხეიძე, ოლეგ ნამიჩეიშვილი, ალბერტ ბიტიაშვილი, მურმან კვარაცხელია, ავთანდილ გვიშანი, მიმურზა აფრასიძე, ნოდარ უგრელიძე, ლეილა კაკაბაძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ”. მოსარჩელები ასაჩივრებდნენ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 28 ნოემბრის #740-ე დებულებას სწავლულ ექსპერტთა საბჭოს (სეს) შექმნის თაობაზე. მოსარჩელეთა აზრით, ეს იყო საბჭოთა პერიოდში არსებული ინსტიტუტის ანალოგი. ამ საბჭოში შემავალ ნებისმიერ ექსპერტს უფლება ეძლეოდა, გაეუქმებინა ნებისმიერი სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება; „სეს“-ი ამტკიცებდა სადისერტაციო ნაშრომების თემატიკას, ათავისუფლებდა სადისერტაციო საბჭოს წევრებს, თავმჯდომარეს, მოადგილეს და სწავლულ მდივანს. მოსარჩელები ამტკიცებდნენ ნორმატიული აქტით განსაზღვრული „სეს“-ის უფლებამოსილება წინააღმდეგობაში მოდიოდა კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, ვინაიდან მისი უფლებამოსილება და გადაწყვეტილების მიღების წესი არ პასუხობდა საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტებს.¹²⁸⁸

მართალია, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ „სეს“-ის დებულების გასაჩივრებულ ნორმებსა და კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტს შორის არსებობდა ურთიერთმიმართება, მოსარჩელებმა მოგვიანებით უარი თქვეს სასარჩელო მოთხოვნაზე და საქმისწარმოება შეწყდა.¹²⁸⁹ ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლოს არ ჰქონია შესაძლებლობა არსებითად იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე.

¹²⁸⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 25 ივლისის 1/14/335 განჩინება, პ.5;

¹²⁸⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 2 ივნისის #2/61/1 განჩინება საქმეზე ლევან სანიკიძე, რევაზ მიშველაძე, არჩილ ჩხეიძე, ოლეგ ნამიჩეიშვილი, ალბერტ ბიტიაშვილი, მურმან კვარაცხელია, ავთანდილ გვიშანი, მიმურზა აფრასიძე, ნოდარ უგრელიძე, ლეილა კაკაბაძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ.

¹²⁸⁹ იქვე;

2.2. სუბიექტები

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი სახელმწიფო ვალდებულებით მოსარგებლე სუბიექტთა წრე ამავე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი სუბიექტების იდენტურია.

2.3. დასკვნა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია აღინიშნოს, რომ

- კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ სფეროში არ ექცევა პედაგოგების შრომითი უფლებები;
- საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობის ვალდებულება არ გულისხმობს, იმას, რომ საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციისაგან დამოუკიდებლად შეაფასებს ნორმატიული აქტის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტთან;
- აკადემიური ინსტიტუტების სტრუქტურა, უფლებამოსილება და გადაწყვეტილების მიღების წესი ექცევა 35-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ სფეროში;

2.4. საქმეები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებაში განიხილა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები

ლევან სანიკიძე, რევაზ მიშველაძე, არჩილ ჩხეიძე, ოლეგ ნამიჩიიშვილი, ალბერტ ბიტიაშვილი, მურმან კვარაცხელია, ავთანდილ გვიშიანი, მიმურზა აფრასიძე, ნოდარ უგრელიძე, ლეილა კაკაბაძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 2 ივნისის #2/61/1 განჩინება/

კავშირი „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეა“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ” /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 25 ივლისის 1/14/335 განჩინება/

საქართველოს მოქალაქეების ანაკოტაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 5 ოქტომბრის #420 განჩინება/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საქართველოს მოქალაქე მათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #389 გადაწყვეტილება/

3. 35-ე მუხლის მე-3 პუნქტი

განათლების უფლებასთან დაკავშირებული სხვა დებულებებისაგან განსხვავებით საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ნორმა კომპლექსურად ახდენს როგორც უფლებით დაცული სფეროს დეტალიზაციას, ასევე უფლებით დაცული სიკეთით მოსარგებლე პირთა დიფერენციაციას.

3.1. დაცული სფერო

კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით მკაფიოდ არის განსაზღვრული განათლების უფლების უფლებით დაცული ისეთი სფეროები, როგორიცაა სკოლამდელი აღზრდა; ზოგადი განათლების უფლება; უმაღლესი და პროფესიული განათლება. კონსტიტუციის ნორმის კომპლექსურობიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დაცულ სფეროსთან მიმართებით ცალ-ცალკე განვიხილავთ.

3.1.1. ზოგადი განათლების უფლება

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს ზოგადი განათლების სახელმწიფოს მხრიდან სრული დაფინანსების ვალდებულების გარანტიას. თავის მხრივ, კონსტიტუცია აწესებს მხოლოდ დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების სავალდებულო ხასიათს. საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ განათლების სავალდებულობა მოიცავს სახელმწიფოს მხრიდან მისი დაფინანსების ვალდებულებასაც.¹²⁹⁰

სახელმწიფომ ზოგადი განათლების სრული დაფინანსების ტვირთი მხოლოდ 2006 წლის 27 დეკემბერს შეტანილი კონსტიტუციური ცვლილებით (#4135) იკისრა. ის, რომ მანამდე სახელმწიფოს არ გააჩნდა, ზოგადი განათლების სრულად დაფინანსების ვალდებულება, ეს გარემოება დასტურდება 1997 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით.

1997 წლის 29 დეკემბერს, მაშინ როდესაც სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ გააჩნდა კონსტიტუციური ვალდებულება, სრულად დაეფინანსებინა ზოგადი განათლება, საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს პარლამენტის 48 წევრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ დაადგინა განათლების, როგორც სოციალური უფლების პროგრესირებადი განვითარების სტანდარტი: „სახელმწიფო, განათლების უფლების სრული რეალიზაციისათვის უნდა ესწრაფვოდეს უზრუნველყოს განათლების მიღების მაქსიმალური ხელმისაწვდომობა ყველა საჭირო ღონისძიებათა განხორციელების გზით ... საშუალო განათლების სხვადასხვა ფორმების და უფასო საშუალო განათლების თანდათან შემოღების გზით.“¹²⁹¹

საკონსტიტუციო სასამართლომ აღიარა განათლების უფლების პროგრესირებადი რეალიზაციის პრინციპი, მაგრამ იქვე განაცხადა, რომ უფასო

¹²⁹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 29 დეკემბრის #2/35 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს პარლამენტის 48 წევრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹²⁹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 28 დეკემბრის 2/35 გადაწყვეტილება, პ.4;

ზოგადი განათლების უფლების უზრუნველყოფა არ შეიძლება დამოკიდებული იყოს საქართველოს სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელ, გარე ფაქტორზე. არ შეიძლება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების თანხმობის არარსებობა ზოგადი განათლების სახელმწიფო დაფინანსებაზე უარის თქმის საფუძველი გახდეს. საკონსტიტუციო სასამართლომ იხელმძღვანელა სუვერენიტეტის პრინციპით და განაცხადა, რომ კონსტიტუციას არ შეესაბამება ის, სახელმწიფოს მიერ დააფინანსებს ზოგად განათლების დაუფინანსებლობა, თუკი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები უარს იტყვიან ფინანსების გამოყოფაზე. პარლამენტი „კანონში ბიუჯეტის შესახებ ვერ ასახავს თავის ნებას. პარლამენტის, როგორც სუვერენული ქვეყნის წარმომადგენლობითი ორგანოს ფორმირება დამოკიდებული ხდება გარე ფაქტორზე.“¹²⁹² საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს პარლამენტის ვალდებულება - დაეფინანსებინა ზოგადი განათლება მხოლოდ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების თანხმობით, - მიიჩნია კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ.

3.1.2. უმაღლესი და პროფესიული განათლების უფლება

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მესამე წინადადება იცავს უმაღლესი და პროფესიული განათლების მიღების უფლებას. გარდა ამისა, კონსტიტუციის აღნიშნული დებულებით გარანტირებულია კანონით დადგენილი წესით უფასო უმაღლესი და პროფესიული განათლების მიღება. საკონსტიტუციო სასამართლომ პრაქტიკა მეტყველებს, რომ მაშინ, როდესაც საქმე ეხება უფასოსთან ერთად ფასიანი უმაღლესი და პროფესიული განათლების მიღებას, კონსტიტუციის 35-ე მუხლის პირველ პუნქტზე დამატებით ხდება მითითება.

უმაღლეს განათლებაზე უფლება არ ირღვევა მაშინ, როდესაც სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმების შედეგად იცვლება ის გზები და საშუალებები, რომლითაც ინდივიდს უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრა შეუძლია. ამ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ გააჩნია იმ გარემოებას, რომ აბიტურიენტი წინასწარ ვერ განჭვრიტს უმაღლეს დაწესებულებაში მოხვედრის საშუალების მომავალში შეცვლის შესაძლებლობას. რეფორმების გატარებისას მნიშვნელოვანია, არ მოხდეს უმაღლესი ან პროფესიული განათლების მიღების მსურველი პირის მდგომარეობის იმგვარი გაუარესება, რომელიც მას ჩაუკეტავს უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლისაკენ მიმავალ გზას.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიერ განხილული საქმე „საქართველოს მოქალაქე ნინო ნატროშვილი, ჯენეტა პატარიძე და ნინო გვარჯალაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“,¹²⁹³ ეხებოდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის რამდენიმე მუხლის კონსტიტუციურობის საკითხს. მოსარჩელები იყვნენ სამედიცინო კოლეჯის მე-3 კურსის ფასიანი და საბიუჯეტო სექტორის სტუდენტები. კოლეჯის

¹²⁹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 28 დეკემბრის 2/35 გადაწყვეტილება, პ.4;

¹²⁹³ საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 3 მაისის #1/9/325 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნინო ნატროშვილი, ჯენეტა პატარიძე და ნინო გვარჯალაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

სტუდენტი ხდებოდა არასრული საშუალო განათლების მქონე პირი (9 კლასის დამთავრების შემდეგ). კოლეჯი იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო რგოლი. გამოსაშვები სახელმწიფო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ, კოლეჯის სტუდენტები ირიცხებოდნენ სამედიცინო უნივერსიტეტის მე-3 კურსზე. 2004 წელს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის მიღებით უმაღლეს სასწავლებელში მოსახვედრად პირს მოეთხოვებოდა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება.¹²⁹⁴

საკონსტიტუციო სასამართლომ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების პირობის მოგვიანებით დამატების მიუხედავად, მიიჩნია, რომ არ ხდებოდა მოსარჩელეთა უმაღლესი განათლების უფლებაში ჩარევა. მართალია, სამედიცინო უნივერსიტეტის კოლეჯის სტუდენტებს არ ჰქონდათ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატი, მიუხედავად ამისა, მათთან მიმართებაში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი იყო სპეციალური რეგულაცია.¹²⁹⁵

„ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტით, იმ აბიტურიენტებს, რომელთაც დასრულებული აქვთ ისეთი საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 ან მე-3 კურსი, რომლის გამოსაშვები სახელმწიფო გამოცდები აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გათანაბრებული იყო მისაღებ გამოცდებთან, 2005-2006 სასწავლო წელს, უფლება აქვთ, შესაბამისად, ჩარიცხული იქნენ შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველ ან მეორე კურსზე ამ დაწესებულებასთან შეთანხმებით, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ინსტიტუციური აკრედიტაციით განსაზღვრული მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის ფარგლებში.“- აღნიშნულია საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებაში.¹²⁹⁶

სტუდენტებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დამატებითი ვალდებულების რეტროაქტიურად დაკისრებით, თუკი აღნიშნული დამატებითი სირთულის მიუხედავად, პირი მაინც ინარჩუნებს მის მიერ შერჩეულ უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრის შესაძლებლობას, არ ხდება უმაღლესი და პროფესიული განათლების მიღების უფლებაში ჩარევა.¹²⁹⁷

სისტემური ცვლილებები ემსახურება უმაღლესი განათლების უფლების რეალიზაციას. საკონსტიტუციო სასამართლო მხარს უჭერს უმაღლესი განათლების სფეროში არსებულ რეფორმებს და მასთან დაკავშირებულ არსებითი ხასიათის ცვლილებებსაც, თუკი ეს უკანასკნელი უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლებსკენ არის მიმართული და უმაღლესი განათლების უფლების ეფექტურად სარგებლობას ისახავს მიზნად. ამ კონტექსტში რეფორმების გატარება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ უმაღლესი განათლების უფლება იქცევა იმ ლეგიტიმურ მიზნად, რაც ამართლებს სხვადასხვა კონსტიტუციურ უფლებებზე შეზღუდვების

¹²⁹⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 3 მაისის #1/9/325 განჩინება;

¹²⁹⁵ იქვე;

¹²⁹⁶ იქვე;

¹²⁹⁷ იქვე;

დაწესებას. საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციურად მიიჩნია ის შემზღვეველი ნორმები, რომელთა „არსებობა გამოწვეული იყო იმით, რომ ისინი უმაღლესი განათლების რეფორმის წარმატებული განხორციელების ერთერთ წინაპირობას წარმოადგენდნენ ... გამართული უმაღლესი განათლების სისტემა დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს განუყოფელ ელემენტს წარმოადგენს და მისი შექმნა კი – უმაღლესი დონის ლეგიტიმურ მიზანს.¹²⁹⁸

სასამართლომ აღნიშნა, უმაღლესი განათლების უფლებით ჯეროვნად სარგებლობის მიზნით, სახელმწიფოს არ გააჩნია მოქმედების სრულითავისუფლება, რეფორმის გატარების გზით შეზღუდოს სხვა კონსტიტუციური უფლებები. უმაღლესი განათლების უფლებასა და სხვა უფლებებს (მირითადად შრომითი უფლება) კოლიზიის დროს, ძალაშია პროპორციულობის მოთხოვნები. უმაღლესი განათლების მიღება პრევალირებს ყველა სხვა უფლებაზე, თუკი რეფორმა არ არის სპონტანური და გაუთვლელი. ამასთან სახელმწიფო ადამიანის უმაღლესი განათლების კონსტიტუციური უფლებიდან გამომდინარე, ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, მათ შორის სხვა უფლებების შეზღუდვის ხარჯზე, თუკი უმაღლესი განათლების სისტემა უკიდურესად ცენტრალიზებულია და ინარჩუნებს გეგმიური ეკონომიკისათვის დამახასიათებელ ტრადიციებს, გააჩნია მცირე დაფინანსება და პერსონალის სიჭარბე, სწავლებისა და კვლევის ცუდი პირობები, მოძველებული სასწავლო გეგმები, დაბალი სასწავლო და პედაგოგიური სტანდარტები, ვიწრო სპეციალიზაცია არასრულყოფილი საგამოცდო სისტემა, კორუფცია, ელიტურობა და არაელიტური ფენის წარმომადგენლებისათვის უმაღლესი განათლების მიღების ნაკლები შესაძლებლობების მიცემა.¹²⁹⁹

საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა ის კრიტერიუმები, რასაც უმაღლესი განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით წარმოებული რეფორმა უნდა აკმაყოფილებდეს. ეს კრიტერიუმებია:

- 1) განათლების არადისკრიმინაციული ხელმისაწვდომობა;
- 2) განათლების მაღალი, შემოწმებადი ხარისხი;
- 3) არსებითი თავსებადობა და შესატყვისობა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან;¹³⁰⁰

3.1.3. სკოლამდელი აღზრდა

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტი ასევე იცავს სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესით სკოლამდელი აღზრდის უფლებას. 1998 წლის 29 იანვარს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქმე „საქართველოს პარლამენტის წევრების ჯგუფი საქართველოს განათლების მინისტრის წინააღმდეგ.“ საქმე ეხებოდა იმას, თუ რამდენად კონსტიტუციური

¹²⁹⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #389 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.7;

¹²⁹⁹ იქვე;

¹³⁰⁰ იქვე;

იყო საბავშვო ბაგა-ბაღებში მეორე ცვლის აღმზრდელის, მუსიკის მასწავლებლის, მეორე ცვლის აღმზრდელის და მზარეულის თანამშრომლის შრომის ანაზღაურება აღსაზრდელების მშობელთა მიერ, თვითდაფინანსების გზით.¹³⁰¹

მართალია, სარჩელი არსებითად განსახილველად იყო მიღებული, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ ვერ იმსჯელა არსებითად აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ვინაიდან გასაჩივრებული ნორმა ვერ აკმაყოფილებდა ნორმატიული აქტისათვის წაყენებულ ფორმალურ მოთხოვნებს და შესაბამისად, არ არსებობდა დავის საგანიც. ამის გამო საკონსტიტუციო სასამართლომ უარი განაცხადა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

3.2. სუბიექტები

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტი არ აკონკრეტებს იმას, თუ ვინ წარმოადგენს სკოლანდელი და ზოგადი განათლების უფლების სუბიექტს. სამაგიეროდ იგივე პუნქტი პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღებაზე სახელმწიფო დაფინანსების მიღების ნაწილში ახსენებს ტერმინ „მოქალაქეს.“

როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: „ტერმინები „საქართველოს მოქალაქე“ და „მოქალაქე“ შემოღებულია ზუსტად პირთა წრის შემოსაფარგლად მოქალაქეობრივი კუთვნილების ნიშნით. რიგ შემთხვევებში ზუსტად მოქალაქეობა ან მისი არქონა გადამწყვეტია პირის უფლებრივი სტატუსის განსაზღვრისთვის. კონსტიტუციის მე-2 თავიც ცალკეული პოლიტიკური (მუხლი 26.2, 28, 29) და სოციალური უფლებების (მუხლი 32, 35.3, 38) დეკლარირებისას ხაზს უსვამს, რომ უფლების სუბიექტი არის საქართველოს მოქალაქე.“¹³⁰²

ამგვარად, მაშინ როდესაც განათლების უფლების სუბიექტია როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე მოქალაქეობის არმქონე პირი და უცხოელი. ამ წესიდან კონსტიტუცია გამონაკლისს ადგენს უმაღლესი და პროფესიული განათლების დაფინანსებასთან დაკავშირებით. კონსტიტუცია სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, დააფინანსოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეთა პროფესიული და უმაღლესი განათლება.

3.3. დასკვნა

- ზოგადი განათლების დაფინანსების კონსტიტუციური ვალდებულების განხორციელება არ არის დამოკიდებული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების თანხმობაზე;

¹³⁰¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 29 იანვრის #1/1/72-73 განჩინება საქმეზე საქართველოს პარლამენტართა ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹³⁰² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2010 წლის 28 ივნისის #466 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.5;

- უფასო უმაღლესი და პროფესიული განათლების სუბიექტია მხოლოდ საქართველოს მოქალაქე;
- სახელმწიფო არ არის შეზღუდული შეცვალოს უნივერსიტეტში მოხვედრის წესი, თუკი ცვლილებების მიუხედავად, სტუდენტი ინარჩუნებს უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრის შესაძლებლობას;
- უმაღლესი განათლების უფლება პროპორციულად პრევალირებს სხვა კონსტიტუციურ უფლებებთან მიმართებაში, როდესაც არსებული სისტემური და ძირეული პრობლემები ართულებს ხარისხიანი უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას და სახელმწიფოს მხრიდან ითხოვს რეაგირებას.

3.4. საქმეები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 35-ე მუხლის მესამე პუნქტთან მიმართებაში განიხილა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

საქართველოს პარლამენტის 48 წევრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 28 დეკემბრის 2/35 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქე მაია ნათამე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #389 გადაწყვეტილება/

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2010 წლის 28 ივნისის #466 გადაწყვეტილება/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები

საქართველოს პარლამენტართა ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 29 იანვრის #1/1/72-73 განჩინება/

მოქალაქე ნინო ნატროშვილი, ჯენეტა პატარიძე და ნინო გვარჯალაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 3 მაისის 1/9/325 განჩინება/

4. 35-ე მუხლის მე-4 პუნქტი

4.1. 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის შინაარსი

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან ირკვევა, რომ კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტს ფაკულტატური დატვირთვა აქვს და გამოიყენება სხვა, ძირითადად განათლების სფეროსთან დაკავშირებული შრომითი უფლებების განმარტების მიზნით.¹³⁰³

საქმეზე „ნინო იოსელიანი სამცხე-ჯავახეთის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის და განათლების მინისტრის წინააღმდეგ“, მოსარჩელე სადავოდ ხდიდა სამცხე-ჯავახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის განკარგულებას, რომლითაც ახალციხის რაიონის განათლების განყოფილების ბაზაზე შეიქმნა სამცხე-ჯავახეთის მხარის განათლების რეგიონული სამმართველო. მოსარჩელე ასევე ითხოვდა განათლების მინისტრის იმ ბრძანების არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლითაც ახალციხის რაიონის განათლების განყოფილების ბაზაზე სამცხე-ჯავახეთის მხარის განათლების რეგიონალური სამმართველოს შექმნასთან დაკავშირებით დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლდა ახალციხის რაიონის განათლების განყოფილებაში დასაქმებული მოსარჩელე მხარე.¹³⁰⁴

მოსარჩელე თავდაპირველად მიიჩნევდა, რომ სამცხე-ჯავახეთის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის განკარგულებით და საქართველოს განათლების მინისტრის ბრძანებით ირღვეოდა საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვით, სახელმწიფო მხარს უჭერს საგანმანათლებლო დაწესებულებებს კანონით დადგენილი წესით. მოსარჩელის მტკიცებით, სამცხე-ჯავახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ზემოაღნიშნულმა განკარგულებამ დაარღვია მისი კონსტიტუციური უფლება, ვინაიდან უკანონოდ გააუქმა მოსარჩელის მიერ ადრე დაკავებული თანამდებობა.¹³⁰⁵

განმწესრიგებელ სხდომაზე მოსარჩელემ დამატებით მიუთითა მის მიმართ კონსტიტუციის 29-ე მუხლის, 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის და 39-ე მუხლის დარღვევაზე და მოხსნა კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებით დაყენებული მოთხოვნა. ამის მიუხედავად, მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტს დამატებით, ფაკულტატურ არგუმენტად იშველიებდა.¹³⁰⁶

კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით, რაც კონკრეტულ მოქალაქეს მხოლოდ იმის შესაძლებლობას უტოვებდა, რომ კონკრეტული სახელმწიფო სამსახურის გათავისუფლების შემთხვევაში არ მოხდებოდა მისი დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და

¹³⁰³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 4 ნოემბრის #2/33/1 განჩინება საქმეზე ნინო იოსელიანი სამცხე-ჯავახეთის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის წინააღმდეგ;

¹³⁰⁴ იქვე;

¹³⁰⁵ იქვე;

¹³⁰⁶ იქვე;

სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის ნიშნით.¹³⁰⁷

4.2. დასკვნა

- კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტით სახელმწიფოსათვის წაყენებული მოთხოვნა, ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსებას, არ უშლის მას ხელს მოახდინოს რეორგანიზაცია კონკრეტულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტი არ ადგენს რაიმე ტიპის უფლებას და საკონსტიტუციო სასამართლოში დავის შემთხვევაში მისი გამოყენება შესაძლებელია მეორე თავში არსებული კონკრეტული უფლების დამატებით და ფაკულტატურ არგუმენტად.

4.3. საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა 35-ე მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება

ნინო იოსელიანი სამცხე-ჯავახეთის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 4 ნოემბრის #2/33/1 განჩინება/

¹³⁰⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 4 ნოემბრის #2/33/1 განჩინება;

მუხლი 36

1. ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.
2. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას.
3. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.

შესავალი

1. კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი
 - 1.1. დაცული სფერო;
 - 1.1.1. კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები;
 - 1.1.2. კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული საზოგადოებრივი ურთიერთობები;
 - 1.1.3. ქორწინების უფლება და პირადი ცხოვრება;
 - 1.2. უფლებაში ჩარევა
 - 1.3. ლეგიტიმური საჯარო მიზანი
 - 1.4. სუბიექტი;
 - 1.5. დასკვნა
 - 1.6. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით
2. კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი
 - 2.1. დაცული სფერო
 - 2.2. შეზღუდვის ლეგიტიმური საჯარო მიზანი
 - 2.3. პროპორციულობის ტესტი
 - 2.4. სუბიექტი
 - 2.5. დასკვნა
 - 2.6. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით
3. კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტი
 - 3.1. დაცული სფერო
 - 3.2. ჩარევა
 - 3.3. სუბიექტი
 - 3.4. დასკვნა
 - 3.5. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით

შესავალი

ქორწინება და ოჯახი სოციალური და სამართლებრივი მნიშვნელობის ინსტიტუტებია. სოციალური ხასიათი გამოიხატება ორ სხვადასხვა სქესის ადამიანის-ქალისადადამაკაცისკავშირში. ესაა, ბიოლოგიური თვალსაზრისით, ქორწინების ტრადიციული და კლასიკური გაგება, რომელსაც აღიარებს ჩვენი კანონმდებლობა. სამართლებრივი თვალსაზრისით ქორწინება უნდა ემყარებოდეს სამართლებრივად განსაზღვრულ საფუძვლებს. როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, „უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სიკეთე არ არის პირთა ქორწინების მსგავსი ან ქორწინების გარეშე თანაცხოვრება. აქ საუბარია ქორწინების სამართლებრივად დადგენილ და აღიარებულ ფორმაზე“.¹³⁰⁸

1. კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი

1.1. დაცული სფერო

საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა: „საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი მრავალმხრივი მნიშვნელობის ნორმაა. აქ კონსტიტუციურ დონეზეა დაცული და განმტკიცებული ისეთი ტრადიციული და საზოგადოებისათვის სასიცოცხლო, ეთიკური და ეგზისტენციალური მნიშვნელობის ინსტიტუტები და ფასეულობები, როგორცაა ქორწინება და ოჯახი. კონსტიტუცია იცავს ქორწინებისა და ოჯახის ინსტიტუტებს სახელმწიფოს მხრიდან ისეთი მოქმედებებისაგან, რაც ხელყოფდა და გამოფიტავდა მათ არსს, მნიშვნელობას, უმთავრეს პრინციპებს.“¹³⁰⁹

ქვემოთ განხილულია 36-ე მუხლის სხვადასხვა ასპექტები, ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელიც ექცევა აღნიშნული ნორმის მოქმედების სფეროში და ქორწინების უფლების კავშირი პირადი ცხოვრების უფლებასთან.

1.1.1. კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტი

საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას და ნებაყოფლობას. აღნიშნული ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტებით ისეთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს, თითქოს ეს ნორმა იცავს ქორწინების მხოლოდ ნეგატიურ ასპექტს: თითქოს ადამიანი დაცულია მხოლოდ

¹³⁰⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.6;

¹³⁰⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება, II.3.2;

ისეთი ქორწინებისაგან, რომელშიც არ არის გამოხატული მისი ნება, ან ჩაყენებულია უთანასწორო მდგომარეობაში. მოპასუხის განცხადებით კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შინაარსი ამოიწურებოდა იმით, რომ იცავდა მხარეებს ზეწოლის შედეგად ქორწინებისაგან.¹³¹⁰ ასეთი იყო მოპასუხე მხარის პოზიცია საქმეში „საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. ამ აზრით კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დაცვა არ უნდა ვრცელდებოდეს ისეთ ურთიერთობაზე, რომლის დროსაც მხარეები თანაბარ პირობებში გამოხატავენ თავისუფალ ნებას, უზრუნველყოფილია მათი თანასწორობა, მაგრამ დაქორწინებას ხელს უშლის სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეზღუდვა, მაგალითად, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სავალდებულო თანხმობა (რისი მიღებისთვისაც დაქორწინების მსურველი პირები იხდებიან 120 ლარს), თუკი ერთ-ერთი დაქორწინების მსურველი პირი სხვა ქვეყნის მოქალაქეა (თუ ქორწინების მსურველი ორივე პირი საქართველოს მოქალაქე იყო, მათ არ ევალდებოდათ ამგვარი თანხმობის მოპოვება).¹³¹¹

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა კონსტიტუციის 36-ე მუხლის ასეთი ვიწრო განმარტება. სასამართლოს თქმით, ქორწინების უფლებას გააჩნია როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ასპექტი. ნეგატიური ასპექტი მოიცავს დაქორწინების და ოჯახის შექმნის იძულების დაუშვებლობას, ხოლო პოზიტიური ასპექტი ავალდებულებს სახელმწიფოს, არ დაუწესოს დაქორწინების მსურველ პირებს არაპროპორციული და დემოკრატიული საზოგადოებისათვის მიუღებელი, ხელისშემშლელი ბარიერები.

სასამართლომ განაცხადა: „პირის თავისუფალი განვითარების უფლება, რომლის ერთ-ერთ გამოხატულებასაც ქორწინების თავისუფლება წარმოადგენს, მოიცავს როგორც პოზიტიური, ასევე, ნეგატიური ქცევის თავისუფლებას. ამდენად, დაცულია ქორწინების როგორც პოზიტიური, ასევე, ნეგატიური თავისუფლება. 36-ე მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფს ყველასთვის, მათ შორის უცხო სახელმწიფოს მოქალაქისათვის, თავისუფლებას დაქორწინდეს მის მიერ არჩეულ პარტნიორზე. დაუშვებელია პირის იძულება, დაქორწინდეს და შექმნას ოჯახი. ასევე, დაუშვებელია დაბრკოლებების შექმნა სახელმწიფოს მხრიდან დაქორწინების მსურველთათვის არაპროპორციული და დემოკრატიული საზოგადოებისათვის მიუღებელი, ხელისშემშლელი ჩარევის გზით. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ დაეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ კონსტიტუციურ დონეზე ქორწინების მხოლოდ ნეგატიური თავისუფლებაა უზრუნველყოფილი.“¹³¹²

¹³¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება, I.3.16;

¹³¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება, I.3.4;

¹³¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება, II.3.5;

1.1.2. კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული საზოგადოებრივი ურთიერთობები

კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფერო საკმაოდ ფართოა. აღნიშნული კონსტიტუციური ნორმა ქორწინებასთან ერთად მოიცავს ქორწინების შედეგად წარმოშობილ საოჯახო თანაცხოვრებას და განქორწინებასაც.¹³¹³ ამასთან კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის რეგულირების სფეროდან გამოირიცხება ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობა. აღნიშნული კონსტიტუციური დებულება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესის დაცვით რეგისტრირებულ ქორწინებას აღიარებს:

„უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სიკეთე არ არის პირთა ქორწინების მსგავსი ან ქორწინების გარეშე თანაცხოვრება. აქ საუბარია ქორწინების სამართლებრივად დადგენილ და აღიარებულ ფორმაზე.“¹³¹⁴

ამგვარად, იმისათვის, რომ ქორწინება მოექცეს 36-ე მუხლის პირველი პუნქტის მოქმედების სფეროში, იგი უნდა აღიაროს სახელმწიფომ. ეს კი განსაზღვრულ პროცედურებთან და მასთან დაკავშირებულ მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნებთან არის დაკავშირებული. ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაცია თავის თავში მოიცავს სახელმწიფოს მხრიდან განსაზღვრული პირობების დადგენის შესაძლებლობას. სასამართლომ განაცხადა: „...ქორწინების ინსტიტუტი სამართლებრივ რეგულირებას ექვემდებარება. ეს, თავისთავად, ნიშნავს კანონმდებლობის მიერ გარკვეული პირობების დაწესებას დაქორწინების მსურველთათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ქორწინებასთან დაკავშირებით დადგენილი პირობები უნდა ემსახურებოდეს ამ უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ინსტიტუტის არსის, მისი ფუნდამენტური პრინციპების დაცვას, წონად და შეზღუდვის არაორაზროვნად გამამართლებელ ლეგიტიმურ მიზნებს.“¹³¹⁵

1.1.3. ქორწინების უფლება და პირადი ცხოვრება

პირადი ცხოვრების თავისუფლების ფარგლებში იგულისხმება ინტიმური ცხოვრების ხელშეუვალობა, ასევე ადამიანის შესაძლებლობა, უფლება დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობა სხვა ადამიანებთან და გარე სამყაროსთან.¹³¹⁶ პირადი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტი დაცულია კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლით, მათ შორის კონსტიტუციის მე-16 მუხლში (პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება) და 36-ე მუხლით (ქორწინების და საოჯახო ცხოვრების უფლება). სასამართლომ

¹³¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება, II.3.4;

¹³¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება, II.3.6;

¹³¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება, II.3.8;

¹³¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივლისის #1/2/458 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ, II.3.5;

განაცხადა: „...საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი არ მოიცავს პირადი ცხოვრების უფლების ყველა ასპექტს, და მათ შორის, ოჯახის წევრებთან ურთიერთობის საკითხს. ოჯახურ ურთიერთობებს, ისევე როგორც სხვა პერსონალურ კავშირებს ადამიანთა გარკვეულ წრესთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების ავტონომიურობის, მისი თავისუფალი და სრულყოფილი განვითარების უზრუნველსაყოფად. სწორედ ამიტომ, საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი საგანგებოდ ითავლისწინებს თავისუფალი განვითარების უფლებას, ხოლო 36-ე მუხლი განამტკიცებს სახელმწიფოს ვალდებულებას ხელი შეუწყოს ოჯახის კეთილდღეობას. აღნიშნული მუხლების შინაარსისა და ფარგლების დადგენა საკონსტიტუციო სამართლო პრაქტიკის განვითარების კვალდაკვალ მოხდება“.¹³¹⁷

ქორწინებისა და საოჯახო ცხოვრების უფლება ადამიანის თავისუფალი განვითარების უფლების სპეციალურ შემთხვევას წარმოადგენს. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: „საქართველოს კონსტიტუცია ადამიანის თავისუფლებაზე, მის თავისუფალ განვითარებაზე ყურადღებას ამახვილებს როგორც ზოგადად, ასევე, კონკრეტულად, საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეულ სფეროებში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი...“¹³¹⁸ ქორწინება პიროვნების განვითარების თავისუფლების ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს.¹³¹⁹ ამგვარად, ქორწინების უფლება, ფართო გაგებით, წარმოადგენს ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებას.

ადამიანის პირად ცხოვრებასა და ქორწინების უფლებას შორის არსებობს მთელისა და მის შემადგენელი ნაწილის ურთიერთმიმართება. ამის მიუხედავად, კონსტიტუციურმა კანონმდებელმა აირჩია ადამიანის პიროვნული განვითარებისა და ქორწინების უფლების ცალ-ცალკე კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირება, რაც განპირობებულია უფლებაში ჩარევის განსხვავებული საფუძვლებითა და პირობებით.¹³²⁰

მაშინ, როდესაც პირადი ცხოვრების უფლება (რასაც აღიარებს საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი¹³²¹) იცავს არარეგისტრირებულ ქორწინებასაც,¹³²² ასევე ზოგადად ადამიანის ნებისმიერ სექსუალურ ქცევას (იქნება ეს ჰეტეროსექსუალური, თუ ჰომოსექსუალური),¹³²³ კონსტიტუციის 36-ე მუხლი მხოლოდ სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებული ქორწინების უფლების აღიარებით იზღუდება.¹³²⁴

¹³¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივლისის #1/2/458 განჩინება, II.3.21;

¹³¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება, II.3.1;

¹³¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება, II.3.5;

¹³²⁰ საქართველოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივლისის #1/2/458 განჩინება, II.3.12;

¹³²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივლისის #1/2/458 განჩინება, II.3.21;

¹³²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივლისის #1/2/458 განჩინება, II.3.6;

¹³²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივლისის #1/2/458 განჩინება, II.3.19-20;

¹³²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება, II.3.6;

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ მოყვანილია სასამართლოს მოსაზრებები. კერძოდ, სასამართლომ განაცხადა: „უდაოა რომ პირის, და მათ შორის პატიმრის, პირადი ცხოვრება მოიცავს კავშირსა და ურთიერთობებს ოჯახის წევრებთან და მის „ახლო წრესთან“. ოჯახური ცხოვრება მოიცავს ქორწინების ან ფაქტობრივი თანაცხოვრების შედეგად მეუღლეებს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს, ადამიანის უფლებას განავითაროს კავშირები ოჯახის წევრებთან და ბიოლოგიურ ნათესავებთან“¹³²⁵. სასამართლომ ასევე მიუთითა: „...წარმოუდგენელია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი არეგულირებდეს პირადი ცხოვრების ისეთ ასპექტს როგორცაა აბორტი, ჰომოსექსუალური ქორწინება...“¹³²⁶ სასამართლომ ასევე განმარტა: „უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სიკეთე არ არის პირთა ქორწინების მსგავსი ან ქორწინების გარეშე თანაცხოვრება. აქ საუბარია ქორწინების სამართლებრივად დადგენილ და აღიარებულ ფორმაზე.“¹³²⁷

1.2. უფლებაში ჩარევა

ქორწინების უფლებაში ჩარევა შეიძლება განხორციელდეს ქორწინების მსურველ პირზე იძულებით,¹³²⁸ ასევე სახელმწიფოს მხრიდან განსაზღვრული საკანონმდებლობრივების დაწესების გზით. საქმეში „საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ასეთ ბარიერს წარმოადგენდა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობა.¹³²⁹

მოსარჩელემ და მისმა მეუღლემ იმისათვის, რომ დაერეგისტრირებინათ ქორწინება, რითაც მოახდენდნენ საკუთარი კონსტიტუციური უფლების რეალიზაციას, სხვა სავალდებულო დოკუმენტებთან ერთად, მოიპოვეს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობა. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობა სხვა საბუთებისაგან დამოუკიდებელი დოკუმენტია. „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-5 პუნქტის ფორმულირება (2005 წლის 28 დეკემბრის რედაქცია) მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული და ცალკე საბუთად გამოჰყოფდა სააგენტოს თანხმობას.¹³³⁰

„სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტი, სამოქალაქო აქტის ჩანაწერის, მათ შორის ქორწინების ჩანაწერის, შესასრულებლად ითვალისწინებს იმ საბუთების წარმოდგენას, რომლებიც სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის საფუძველია. საქართველოს მოქალაქესა და უცხო ქვეყნის მოქალაქეს შორის ქორწინების

¹³²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივლისის #1/2/458 განჩინება, II.3.6;

¹³²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივლისის #1/2/458 განჩინება, II.3.19;

¹³²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება, II.3.6;

¹³²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება, I.3.2,5;

¹³²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება, II.3.7;

¹³³⁰ იქვე;

ჩანაწერის შესასრულებლად სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობაც იყო საჭირო. სააგენტოს თანხმობის არარსებობის ან მასზე უარის შემთხვევაში, “სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად, მოხდებოდა უარის თქმა სამოქალაქო აქტის – ქორწინების რეგისტრაციაზე.¹³³¹

სამოქალაქო რეესტრის ამგვარი თანხმობის წარმოდგენა არ იყო აუცილებელი, როდესაც ქორწინების რეგისტრაცია ხორციელდებოდა საქართველოს მოქალაქეებს შორის.¹³³² აღნიშნული დოკუმენტის წარუდგენლობა გახდებოდა ქორწინების რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი მხოლოდ შერეული ქორწინებისას.¹³³³ დაქორწინების მსურველ მხარეებს, რომლებიც თანაბარ პირობებში და ნებაყოფლობით გამოთქვამდნენ ქორწინების შესახებ თანხმობას, ერთმეოდათ დაქორწინების შესაძლებლობა, თუკი არ წარადგენდნენ სამოქალაქო რეესტრის თავმჯდომარის მიერ გაცემულ თანხმობას.¹³³⁴ ამგვარად, ხდებოდა სახელმწიფოს ჩარევა ქორწინების უფლებაში.

როგორც ზემოთ სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის შედეგად აღინიშნა, სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული პირობის დაწესება ქორწინების უფლების შემადგენელი ნაწილია, ვინაიდან ქორწინების უფლება გულისხმობს საოჯახო ურთიერთობის სახელმწიფოს მიერ აღიარებას. მიუხედავად ქორწინების რეგულირების შესაძლებლობისა, დაწესებული შეზღუდვები უნდა ემსახურებოდეს ამ უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ინსტიტუტის არსის, მისი ფუნდამენტური პრინციპების დაცვის, წონად და შეზღუდვის არაორაზროვნად გამამართლებელ ლეგიტიმურ მიზნებს. მამასადამე, სასამართლომ განაცხადა: „...ქორწინების ინსტიტუტი სამართლებრივ რეგულირებას ექვემდებარება. ეს, თავისთავად, ნიშნავს კანონმდებლობის მიერ გარკვეული პირობების დაწესებას დაქორწინების მსურველთათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ქორწინებასთან დაკავშირებით დადგენილი პირობები უნდა ემსახურებოდეს ამ უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ინსტიტუტის არსის, მისი ფუნდამენტური პრინციპების დაცვას, წონად და შეზღუდვის არაორაზროვნად გამამართლებელ ლეგიტიმურ მიზნებს“.¹³³⁵

1.3. ლეგიტიმური საჯარო მიზანი

ჩარევის ფორმა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა საქმეში „საქართველოს მოქალაქე - სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ იყო სამოქალაქო რეესტრის თანხმობის მოთხოვნა.

¹³³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება, II.3.7;

¹³³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება, I.3.4;

¹³³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება, I.3.9;

¹³³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება, I.3.12;

¹³³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება, II.3.8;

საკონსტიტუციო სასამართლო დადგა აღნიშნული შეზღუდვით მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის განსაზღვრის წინაშე. ამისათვის მას უნდა შეეფასებინა სამოქალაქო რეესტრის თანხმობის დანიშნულება და ის, თუ ქორწინების რეგისტრაციის განხორციელებისათვის რა მნიშვნელოვან ინფორმაციულ დატვირთვას ატარებდა აღნიშნული თანხმობა.¹³³⁶

საკონსტიტუციო სასამართლომ გამოარკვია, რომ თანხმობა იყო საქორწინოდ აუცილებელი სხვა დოკუმენტებისაგან დამოუკიდებელი საბუთი. მის მისაღებადარ ხდებოდა რაიმე განსხვავებული ინფორმაციის წარდგენა. სამოქალაქო რეესტრის თანხმობას არ ჰქონდა რაიმე დამოუკიდებელი დანიშნულება და მიზანი. სამოქალაქო რეესტრის სააგენტო მისი გაცემისას არ იკვლევდა და არ ადგენდა რაიმე ახალ გარემოებას.¹³³⁷

სამოქალაქო რეესტრი თანხმობას ყველა შემთხვევაში გასცემდა, თუ არ არსებობდა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები და დასაქორწინებელი პირები აკმაყოფილებდნენ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს დაქორწინებაზე. ასეთ პირობებში ეს დოკუმენტი იყო დამატებითი ბარიერი, ვინაიდან დაქორწინების მსურველ პირებს უკვე წარმოდგენილი ჰქონდათ ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები და ის საბუთები, რომლებიც კანონმდებლობითაა აუცილებელი ქორწინების რეგისტრაციისათვის. ამ საბუთებთან ერთად, ქორწინების რეგისტრაციისათვის წყვილებისგან ითხოვდნენ დამატებით თანხმობას, მხოლოდ იმის გამო, რომ დაქორწინების თუნდაც ერთ-ერთი მსურველი უცხოელი იყო.¹³³⁸

სასამართლომ სამოქალაქო რეესტრის თანხმობის მოთხოვნის ლეგიტიმურ მიზნად არ მიიჩნია უცხოელის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მიღების შესაძლებლობა, ვინაიდან ქორწინების რეგისტრაცია და საქართველოს მოქალაქეობის მიღება ორი სრულიად განსხვავებული, ერთმანეთთან დამოუკიდებელი პროცედურა იყო. ასევე ლეგიტიმურ მიზნად არ იქნა მიჩნეული შვილების ან ნაშვილების მოქალაქეობის საკითხის გარკვევა. სასამართლომ განაცხადა: „ქორწინების რეგისტრაციისას ობიექტურად ვერ დადგინდება უცხოეთის მოქალაქის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მიღების, ასევე დაქორწინების მსურველთა არსებული თუ მომავალი შვილებისა და შვილად აყვანილების მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხები.“¹³³⁹

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ „მიუხედავად ლეგიტიმურ მიზანთან დაკავშირებული მსჯელობისა, მოპასუხემ სასამართლოს ვერ დაანახადემოკრატიული საზოგადოებისათვის ღირებული ისიკეთე, რომლის მიღწევას ან დაცვას ემსახურებოდა სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვა“.¹³⁴⁰ შესაბამისად, სადავო ნორმა საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველ პუნქტთან შეუსაბამოდ სცნო.

¹³³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება, I.3.12;

¹³³⁷ საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება, I.3.12;

¹³³⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება, I.3.13;

¹³³⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება, I.3.14;

¹³⁴⁰ იქვე;

1.4. სუბიექტი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის სუბიექტად მიიჩნია, როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე უცხოელი და მოქალაქობის არმქონე პირი: „...ქორწინების თავისუფლება კონსტიტუციის შესაბამისად, თანაბრად ვრცელდება როგორც საქართველოს მოქალაქეებზე, ასევე უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე...“¹³⁴¹

ეს პრინციპი გულისხმობს იმას, რომ საქართველოს მოქალაქეებისა და უცხოელებისათვის ქორწინების უფლების რეალიზაციისათვის დაწესებული პირობები ერთნაირი უნდა იყოს: „...რაც შეეხება უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა ქორწინების თავისუფლების კანონით შეზღუდვას, ის ექვემდებარება ისეთივე გადამოწმებას, როგორსაც, ზოგადად, ქორწინების თავისუფლების შეზღუდვა...“¹³⁴²

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შერეული ტიპის ქორწინებისას (როდესაც ქორწინების ერთ-ერთი მსურველი მხარე მაინც საქართველოს მოქალაქეა) საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლით დადგენილ უცხოელთა თანასწორობის საგამონაღმისო შემთხვევაზე აპელირება არასწორია.¹³⁴³

ოჯახის შექმნის უფლებით მოსარგებლე პირებს შორის გვხვდება პატიმრებიც. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: „პატიმრობაში მყოფი პირი განაგრძობს ყველა კონსტიტუციური უფლებით სარგებლობას, გარდა იმ უფლებებისა, რომელთა აბსოლუტურ შეზღუდვას თავად კონსტიტუცია ითვალისწინებს (მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლი), თუმცა განსხვავებულია ამ უფლებებით სარგებლობის ხარისხი. ასე მაგალითად, პატიმარი უზრუნველყოფილია უფლებით შექმნას ოჯახი, მაგრამ შეზღუდულია შესაძლებლობაში შეხვედეს ოჯახის წევრებს. ვინაიდან პირადი ცხოვრების უფლება არ არის აბსოლუტური, შეზღუდვა გამართლებული იქნება თუ ის პროპორციულობის ტესტს დააკმაყოფილებს“.¹³⁴⁴

1.5. დასკვნა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შემდეგ შესაძლოა შემდეგი ძირითადი საკითხების განსაზღვრა:

- ქორწინების უფლებას გააჩნია როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ასპექტი. ეს უკანასკნელი სახელმწიფოს ქორწინების უფლების რეალიზაციისას ბარიერების დაწესებისაგან თავის შეკავებას ავალდებულებს;
- კონსტიტუციური ნორმა ქორწინებასთან ერთად მოიცავს ქორწინების შედეგად წარმოშობილ საოჯახო თანაცხოვრებას და განქორწინების უფლებასაც;

¹³⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება, II.3.10;

¹³⁴² საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება, II.3.10;

¹³⁴³ იქვე;

¹³⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის 1/2/458 განჩინება, II.3.10

- კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის რეგულირების სფეროდან გამოირიცხება ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობა. აღნიშნული კონსტიტუციური დებულება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესის დაცვით რეგისტრირებულ ქორწინებას აღიარებს;
- ქორწინების უფლების სუბიექტია, როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე პირი;
- ქორწინების უფლების სუბიექტია პატიმარიც;
- 36-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას ექნება ადგილი თუკი შეზღუდვა არ ისახავს მიზნად დემოკრატიული საზოგადოებისათვის ღირებულ იმ სიკეთეს, რომლის მიღწევას ან დაცვას ემსახურება გათვალისწინებული შეზღუდვა.

1.6. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება

საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივლისის #1/2/458 განჩინება/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება/

2. კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი

2.1. დაცული სფერო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“ მიღებულ განჩინებაში აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლი განამტკიცებს ოჯახურ ურთიერთობებს იქ, სადაც აღნიშნულია სახელმწიფოს ვალდებულება – ხელი შეუწყოს ოჯახის კეთილდღეობას.¹³⁴⁵

ოჯახის კეთილდღეობაში იგულისხმება როგორც სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს დაპატიმრებული პირი ოჯახის წევრთან შეხვედრის უფლებით,¹³⁴⁶ ასევე დაიცვას ოჯახის წევრების წვდომა განსაზღვრულ ქონებრივ სიკეთეებზე. კონსტიტუციის აღნიშნული დებულება აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, არ დაუშვას ოჯახის რომელიმე წევრის მიმართ არახელსაყრელი ქონებრივი შედეგების დადგომა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში „საქართველოს მოქალაქე - ლია სურმავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მოსარჩელე აცხადებდა, რომ არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა სხვა პირთან. მოსარჩელეს ფაქტობრივ მეუღლესთან ჯვრისწერა და ხანგრძლივი ერთობლივი თანაცხოვრება აკავშირებდა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მოსარჩელეს შეექმნა პრობლემები საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრედ აღიარებასთან დაკავშირებით. ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2007 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლზე და დაასკვნა, რომ არ არსებობდა ლია სურმავას სადავო ქონების 1/2-ზე თანამესაკუთრედ ცნობის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.¹³⁴⁷

მოსარჩელის წარმომადგენელი მიუთითებდა, რომ ჯვრისწერისას გაიცემა ჯვრისწერის დამადასტურებელი მოწმობა, თუმცა არ ხდება ჯვარდაწერილ პირთა გაფრთხილება, რომ ჯვრისწერა არ იწვევს სამართლებრივ შედეგებს.¹³⁴⁸ მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ ამგვარი გაფრთხილების არ არსებობამ ის ჩააყენა არახელსაყრელ ქონებრივ მდგომარეობაში.

საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ „მოსარჩელის მსჯელობა ვერ ჩაითვლება საგნობრივ არგუმენტაციად. ის არ აძლევს კოლეგიას საშუალებას წარმოდგენა შეიქმნას მოსარჩელის მოსაზრებაზე სადავო ნორმების არაკონსტიტუციურობასთან დაკავშირებით“¹³⁴⁹ ... „გაურკვეველია, რა კავშირი აქვს ჯვრისწერის დროს პირების გაფრთხილებას საქართველოს

¹³⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივლისის #1/2/458 განჩინება, II.3.21;

¹³⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივლისის #1/2/458 განჩინება, II.3.6,21;

¹³⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 29 ოქტომბრის #2/8/448 განჩინება საქმეზე ლია სურმავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I.3.4;

¹³⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 29 ოქტომბრის #2/8/448 განჩინება, I.3.12;

¹³⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 29 ოქტომბრის #2/8/448 განჩინება, II.3.2;

კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, თუნდაც, იქედან გამომდინარე, რომ ამ ნორმის ადრესატი არის სახელმწიფო და არა ეკლესია“.¹³⁵⁰

გარდა ამისა, კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი აკისრებს კანონმდებელს ნეგატიურ ვალდებულებას, არ მიიღოს ისეთი კანონი, რომელიც ოჯახის მდგომარეობას გააუარესებს. როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი გუგავა, კახაბერ მაგანია და თამარ ჯანგირაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ განჩინებაში განაცხადა: „ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილება, ადამიანის შრომითი უფლებების მოწესრიგების დარგში, უნდა პასუხობდეს სახელმწიფოს კონსტიტუციურ პასუხისმგებლობას, სახელმწიფო ამ მიმართებით, განსაკუთრებით კი ოჯახის კეთილდღეობისათვის ხელის შეწყობისა და დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით მაქსიმალურ ძალისხმევას უნდა მიმართავდეს, რათა საკანონმდებლო ცვლილებებმა არ გამოიწვიოს ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობის უკიდურესად გაუარესება“.¹³⁵¹

საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ოთარ ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მოსარჩელე სადავოდ ხდიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 41-ე მუხლის კონსტიტუციურობას. მოსარჩელე აცხადებდა, რომ სადავო ნორმა არ ითვალისწინებდა საცხოვრებელი ბინით უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯების გამოქვითვას. მოსარჩელის განცხადებით, აღნიშნული უმოქმედობით სახელმწიფო არღვევდა ოჯახის კეთილდღეობის უზრუნველყოფის ვალდებულებას.¹³⁵²

საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ არ არსებობდა საგნობრივი მიმართება საგადასახადო კოდექსსა და კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტს შორის.¹³⁵³

2.2. უფლებაში ჩარევის ლეგიტიმური საჯარო მიზანი

საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „ალექსანდრე მაჭარაშვილი და დავით სართანია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“ მიღებულ განჩინებაში დაასახელა ის ლეგიტიმური მიზნები, რომელთა მიღწევასაც შესაძლოა ემსახურებოდეს ოჯახურ ცხოვრებაზე დაწესებული შეზღუდვა პატიმრობის კონტექსტში. ეს ლეგიტიმური მიზნებია: საპატიმრო დაწესებულების უსაფრთხოება, დანაშაულისა და არეულობის აღკვეთა.¹³⁵⁴

¹³⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 29 ოქტომბრის #2/8/448 განჩინება, II.3.4;

¹³⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 16 მარტის #1/3/361 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - გიორგი გუგავა, კახაბერ მაგანია და თამარ ჯანგირაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹³⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 23 დეკემბრის #1/12/261 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ოთარ ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. პ.1;

¹³⁵³ იქვე;

¹³⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივლისის #1/2/458 განჩინება, II.3.11;

2.3. პროპორციულობის ტესტი

საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“ მიღებულ განჩინებაში განაცხადა, რომ ოჯახური ცხოვრების უფლება არ არის აბსოლუტური. მართალია, პატიმრის ოჯახური ცხოვრების უფლება აღიარებულია, თუმცა დასაშვებია, აღნიშნული უფლების შეზღუდვა, რაც გამოიხატება პატიმრის უფლებაში ჩარევაში, ცალკეულ შემთხვევაში, შეხვდეს თავისი ოჯახის წევრს. შეზღუდვა გამართლებული იქნება, თუ ის პროპორციულობის ტესტს დააკმაყოფილებს. სასამართლომ განაცხადა: „პატიმრობაში მყოფი პირი განაგრძობს ყველა კონსტიტუციური უფლებით სარგებლობას, გარდა იმ უფლებებისა, რომელთა აბსოლუტურ შეზღუდვას თავად კონსტიტუცია ითვალისწინებს (მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლი), თუმცა განსხვავებულია ამ უფლებებით სარგებლობის ხარისხი. ასე მაგალითად, პატიმარი უზრუნველყოფილია უფლებით შექმნას ოჯახი, მაგრამ შეზღუდულია შესაძლებლობაში შეხვდეს ოჯახის წევრებს. ვინაიდან პირადი ცხოვრების უფლება არ არის აბსოლუტური, შეზღუდვა გამართლებული იქნება თუ ის პროპორციულობის ტესტს დააკმაყოფილებს“.¹³⁵⁵

„პატიმრების ოჯახური ცხოვრების პატივისცემაზე უფლების შეზღუდვა უნდა იქნეს დასაბუთდესებული, თუმცა გამართლების პოვნა ნამდვილად შესაძლებელია უსაფრთხოების, დანაშაულისა და არეულობის აღკვეთის მიზნებიდან გამომდინარე, რაც გარდაუვლად უკავშირდება პატიმრობის გარემოებებს.“¹³⁵⁶

2.4. სუბიექტი

კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტით მკაფიოდ არის გამოკვეთილი ვალდებულების სუბიექტი და ეს სუბიექტი არის სახელმწიფო. საქმეში „საქართველოს მოქალაქე - ლია სურმავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ განჩინებაში საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის ადრესატი სახელმწიფოა: „გაურკვეველია, რა კავშირი აქვს ჯვრისწერის დროს პირების გაფრთხილებას საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, თუნდაც, იქედან გამომდინარე, რომ ამ ნორმის ადრესატი არის სახელმწიფო და არა ეკლესია“.¹³⁵⁷

საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „ოთარ ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ განაცხადა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულია „ოჯახის უფლება“.¹³⁵⁸ შესაბამისად,

¹³⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივლისის #1/2/458 განჩინება, II.3.10;

¹³⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივლისის #1/2/458 განჩინება, II.3.11;

¹³⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 29 ოქტომბრის #2/8/448 განჩინება, II.3.4;

¹³⁵⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 23 დეკემბრის #1/12/261 განჩინება, 3.1;

უფლების მატარებელი სუბიექტია პირი, რომლის ოჯახური კეთილდღეობაც უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ.

ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების სუბიექტად შეიძლება პატიმარიცათვალოს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“ მიღებულ განჩინებაში განაცხადა: „პატიმრები... აგრძელებენ საოჯახო ცხოვრების პატივისცემის უფლებით სარგებლობას”.¹³⁵⁹

2.5. დასკვნა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შემდეგ შესაძლოა შემდეგი ძირითადი საკითხების განსაზღვრა:

- კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი ასევე იცავს პატიმრის ოჯახური ცხოვრების კეთილდღეობასაც;
- ოჯახური კეთილდღეობის უფლება ასევე მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს პატიმარი თავისი ოჯახის წევრებთან შეხვედრის შესაძლებლობით;
- სახელმწიფო უნდა მიმართავდეს მაქსიმალურ ძალისხმევას ოჯახური კეთილდღეობის ხელშეწყობის გზით, რათა საკანონმდებლო ცვლილებებმა არ გამოიწვიოს ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის გაუარესება;
- კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტით ვალდებულების სუბიექტია სახელმწიფო;
- კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის უფლების სუბიექტია პიროვნება ოჯახურ განზომილებაში;
- ოჯახური ცხოვრების უფლების სუბიექტია პატიმარი;
- საპატიმრო დაწესებულების უსაფრთხოება, დანაშაულისა და არეულობის აღკვეთა არის ის ლეგიტიმური მიზნები, რომლებიც ამართლებენ პატიმრის ოჯახური ცხოვრების კეთილდღეობაზე დაწესებულ შეზღუდვებს;
- პატიმრობის კონტექსტიდან გამომდინარე ადვილი დასასაბუთებელი ხდება პატიმრის ოჯახური ცხოვრების შეზღუდვის პროპორციულობა ლეგიტიმური საჯარო მიზნებით.

¹³⁵⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივლისის #1/2/458 განჩინება, II.3.11;

2.6. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები

საქართველოს მოქალაქე ოთარ ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 23 დეკემბრის #1/12/261 განჩინება/

ოთარ ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 23 დეკემბრის #1/12/261 განჩინება/

საქართველოს მოქალაქეები - გიორგი გუგავა, კახაბერ მაგანია და თამარ ჯანგირაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 16 მარტის #1/3/361 განჩინება/

ლია სურმავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 29 ოქტომბრის #2/8/448 განჩინება/

3. კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტი

3.1. დაცული სფერო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი გუგავა, კახაბერ მაგანია და თამარ ჯანგირაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ განჩინებაში განაცხადა: „სახელმწიფო ... დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით მაქსიმალურ ძალისხმევას უნდა მიმართავდეს, რათა საკანონმდებლო ცვლილებებმა არ გამოიწვიოს ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობის უკიდურესად გაუარესება“.¹³⁶⁰

აღნიშნულ საქმეზე მიღებული საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებიდან ირკვევა, რომ კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტით დაცულ სფეროში ექვევა ორსულობისა და მშობიარობის გამო შევსებულბაში მყოფი ქალისათვის ფულადი დახმარება.¹³⁶¹ საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ოთარ ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ განჩინებაში განაცხადა, რომ საცხოვრებელი ბინისათვის გაწეული ხარჯების დაბეგვრით, სახელმწიფო არ ერეოდა დედათა და ბავშვთა კონსტიტუციურ უფლებებში.¹³⁶² კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა: „მთავარი გამოქვითვა კი არა, არამედ დაბეგვრის სამართლიანობაა ... მაგრამ დაუბეგრავი მინიმუმი ... უდავოდ არასაკმარისია და მართლაც აუცილებელია მისი გადიდება (ქვეყნის ეკონომიკის ზრდის კვალობაზე), რაც გასათვალისწინებელია საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის თვალსაზრისით ... ამასთან, სასამართლო კოლეგიის აზრით, ეს გარემოება არ კმარა იმისათვის, რომ შესაბამისი სასარჩელო მოთხოვნა მიღებული იქნეს არსებითი განხილვისათვის“.

3.2. უფლებაში ჩარევა

საქმეში „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი გუგავა, კახაბერ მაგანია და თამარ ჯანგირაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ვერ დაინახა დედათა უფლებებში ჩარევა იმით, რომ მაშინ მოქმედი შრომის კანონთა კოდექსი აღჭურვავდა სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს ორსულობისა და მშობიარობის დახმარების გაცემის უფლებამოსილებით.¹³⁶³ ეს არის ტიპური აღმასრულებელი ხასიათის საქმიანობა, რაც ადამიანის უფლებაში ჩარევად ვერ ჩაითვლება.

საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით. ეს უკანასკნელი არ გულისხმობს იმას, რომ დედებისა და ბავშვებისათვის ხელსაყრელი პირობები აუცილებლად საკანონმდებლო აქტით უნდა იყოს გაწერილი. კონსტიტუციასთან შესაბამისობაშია აღმასრულებელი ხელისუფლების

¹³⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 16 მარტის #1/3/361 განჩინება;

¹³⁶¹ საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 16 მარტის #1/3/361 განჩინება, პ.2,3;

¹³⁶² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 23 დეკემბრის #1/12/261 განჩინება, პ.1;

¹³⁶³ საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 16 მარტის #1/3/361 განჩინება, პ.2;

მიერ დედებისათვის შეღავათების დადგენა საკანონმდებლო დელეგირების საფუძველზე.

საკონსტიტუციო სასამართლომ დედათა უფლებების კანონით დაცვის კონსტიტუციური გარანტიაში შეჭრად არ მიიჩნია შრომის კანონთა კოდექსის 236³ მუხლი. აღნიშნული დებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის განსაზღვრის უფლებამოსილებას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ანიჭებდა.¹³⁶⁴

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებით, ასეთი უფლებამოსილების დელეგირების ფაქტი არ წარმოადგენს უფლებაში ჩარევის საფუძველს. კონსტიტუციურ უფლებაში შეჭრას ადგილი ექნება მაშინ, თუკი ნორმის შინაარსი ან დადგენილი პროცედურა ხელყოფს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას.¹³⁶⁵

3.3. სუბიექტი

კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის უფლების სუბიექტია ქალები და ბავშვები, საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი გუგავა, კახაბერ მაგანია და თამარ ჯანგირაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ განჩინებაში საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებაში მისაღები დახმარების მომწესრიგებელი ნორმის საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებისას მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს თავისი უფლებისადმი რაიმე უარყოფითი შედეგის დადგომის გარემოება.¹³⁶⁶

3.4. დასკვნა

- სახელმწიფო დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით მაქსიმალური ძალისხმევას უნდა მიმართავდეს, რათა საკანონმდებლო ცვლილებებმა არ გამოიწვიოს ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობის უკიდურესად გაუარესება;
- ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებაში მყოფი ქალისათვის ფულადი დახმარება საგნობრივად ექცევა კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტით დაცულ სფეროში;
- საცხოვრებელი სახლის ხარჯების დაბეგრა არ იჭრება კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტით დაცულ სფეროში;
- დედათა და ბავშვთა უფლებებზე დავის უფლება აქვთ იმ სუბიექტებს, რომლებიც ასაბუთებენ თავისი უფლებების მიმართ ნორმატიული აქტებით უარყოფითი შედეგების დადგომას.

¹³⁶⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 16 მარტის #1/3/361 განჩინება, პ.3;

¹³⁶⁵ იქვე;

¹³⁶⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 16 მარტის #1/3/361 განჩინება, პ.2;

3.5. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები

ოთარ ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 23 დეკემბრის #1/12/261 განჩინება/

საქართველოს მოქალაქეები - გიორგი გუგავა, კახაბერ მაგანია და თამარ ჯანგირაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 16 მარტის #1/3/361 განჩინება/

მუხლი 37

1. ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება.
2. სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას, სამკურნალო საშუალებათა წარმოებას და ამ საშუალებებით ვაჭრობას.
3. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.
4. სახელმწიფო ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას, ქვეყნის მდგრად განვითარებას საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად.
5. ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ.

(საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, #3710-სსმI, #62, 05.11.2010წ., მუხ.379)

შესავალი

1. 37-ე მუხლის პირველი პუნქტი
 - 1.1. დაცული სფერო
 - 1.2. სუბიექტი
 - 1.3. დასკვნა
 - 1.4. საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 37-ე მუხლთან მიმართებით განიხილა
2. 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი
 - 2.1. დაცული სფერო
 - 2.2. სუბიექტი
 - 2.3. დასკვნა
 - 2.4. საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით განიხილა
3. 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი
 - 3.1. დაცული სფერო
 - 3.2. სუბიექტი
 - 3.3. დასკვნა
 - 3.4. საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით განიხილა
4. 37-ე მუხლის მე-4 პუნქტი
 - 4.1. დაცული სფერო
 - 4.2. სუბიექტი
 - 4.3. დასკვნა
 - 4.4. საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებით განიხილა
5. 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი
 - 5.1. დაცული სფერო
 - 5.2. სუბიექტი
 - 5.3. დასკვნა
 - 5.4. საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტთან მიმართებით განიხილა

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლი განამტკიცებს ჯანმრთელობის უფლებას. ამავდროულად, დასახელებული მუხლი უფლებათა საკმაოდ ფართო სპექტრს აყალიბებს. ჯანმრთელობის კონსტიტუციურ უფლებასთან კონტექსტში (თუ მის გარეშე) გარანტირებულია ასევე სხვა მნიშვნელოვანი უფლებები (გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსები, ბუნებრივი და კულტურული გარემო, უფასო სამედიცინო დახმარება, ჯანმრთელობის დაზღვევა და სხვ.). ამ მუხლის თავისებურებაა ისიც, რომ მისი მე-5 პუნქტით გარანტირებულია ინფორმაციის თავისუფლების უფლება გარემომცველი გარემოს მდგომარეობის შესახებ.

სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ჯერ არ დამდგარა კონსტიტუციის 37-ე მუხლის სრულყოფილი განმარტების წინაშე, შესაბამისად, სასამართლოს ასევე არ მოუხდენია კონსტიტუციის ამ მუხლის შეზღუდვის საფუძვლების განმარტება.

1. 37-ე მუხლის პირველი პუნქტი

1.1. დაცული სფერო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ ერთ საქმეში მოუწია აღნიშნულ ნორმასთან დაკავშირებით მსჯელობა. 1999 წლის 29 აპრილის განჩინებით წარმოება შეწყდა ერთ-ერთ საქმეზე, სადაც მოსარჩელე ითხოვდა ავტომფლობელთა სავალდებულო დაზღვევის მომწესრიგებელი კანონმდებლობის არაკონსტიტუციურობას.¹³⁶⁷ ერთ-ერთ არგუმენტად მითითებული იყო სწორედ კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტი და აღნიშნებოდა, რომ სადავო აქტი წინააღმდეგობაში მოდიოდა მასთან. საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნული არგუმენტაცია, რადგან არ არსებობდა ურთიერთმიმართება სადავო ნორმასა და კონსტიტუციის აღნიშნულ დებულებას შორის.

სასამართლომ განაცხადა: „საქართველოს კანონი “ავტომობილტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ” არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველ პუნქტს. ამ მუხლის პირველი პუნქტი ყველას აძლევს უფლებას ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. ამასთანავე ამ პუნქტით კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება. ასე, რომ აღნიშნული მუხლის პირველ პუნქტს არავითარი საერთო არა აქვს “ავტომობილტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ” კანონთან.“¹³⁶⁸

¹³⁶⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 29 აპრილის #2/76/1 განჩინება საქმეზე ირაკლი ბერიაშვილი და ვიქტორ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹³⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 19 აპრილის #2/76/1 განჩინება, პ.1;

1.2. სუბიექტები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის სუბიექტები, როგორც ცალკე აღებული, არ აქვს განმარტებული.

1.3. დასკვნა

სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის შედეგად შეიძლება აღინიშნოს, რომ

- საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტი ყველას აძლევს უფლებას ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით.

1.4. საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით განიხილა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება:

ირაკლი ბერიაშვილი და ვიქტორ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 29 აპრილის #2/76/1 განჩინება.

2. 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი

2.1. დაცული სფერო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მეორე პუნქტი განმარტებული აქვს ერთ საქმეში. მოსარჩელე იყო მსჯავრდებული, რომელიც იმყოფებოდა შესაბამისი პენიტენციალური დაწესებულების სამედიცინო განყოფილებაში. იგი ასაჩივრებდა „ლიცენზირების და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებას, რომელიც შემდეგი შინაარსის იყო: „ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება ამავე კანონით განსაზღვრულ საქმიანობაზე ან ქმედებაზე, თუ მას ახორციელებს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება“.¹³⁶⁹

მოსარჩელის განცხადებით, სადავო სამართლებრივი აქტი არ მოითხოვდა პენიტენციალურ სფეროში შემავალი სამკურნალო დაწესებულებების ლიცენზირებას. აქედან გამომდინარე, ირღვეოდა საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მეორე პუნქტი, რომელიც განსაზღვრავდა სახელმწიფოს კონტროლს ყველა სამედიცინო დაწესებულების მიმართ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო არსებითად განსახილველად კონსტიტუციური სარჩელი. სასამართლომ განაცხადა: „კონსტიტუციურ სარჩელში გამოკვეთილი უნდა იყოს სადავო ნორმის საგნობრივი მიმართება კონსტიტუციის იმ დებულებასთან, რომლებთან მიმართებითაც მოსარჩელე მოითხოვს მის გაუქმებას... არ დასტურდება „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის ამგვარი მიმართება საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტთან. დასახელებული კანონი არეგულირებს, სახელმწიფოს მხრიდან, გარკვეული სახის საქმიანობაზე, მათ შორის სამედიცინო საქმიანობაზე, უფლების მინიჭების საკითხებს. სახელმწიფოს მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროზე კონტროლი კი ხორციელდება არამართო ლიცენზირების გზით, ე. ი. საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კონტროლი არ გულისხმობს მხოლოდ ლიცენზირების შემოღების აუცილებლობას ამ სფეროში. სამედიცინო დაწესებულება, ლიცენზირებულია თუ არალიცენზირებული, ყველა შემთხვევაში, იგი კონსტიტუციურადაა ვალდებული, განახორციელოს ჯეროვანი სამედიცინო მომსახურება და დაიცვას ადამიანის ჯანმრთელობა.“¹³⁷⁰

¹³⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 5 ნოემბრის #1/6/462 განჩინება საქმეზე დავით ნატროშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹³⁷⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 5 ნოემბრის #1/6/462 განჩინება, II.3.1;

2.2. სუბიექტები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მეორე პუნქტის სუბიექტები, როგორც ცალკე ადებული, არ აქვს განმარტებული.

2.3. დასკვნა

არსებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული აქვს, რომ

- 37-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კონტროლი არ გულისხმობს მხოლოდ ლიცენზირების შემოღების აუცილებლობას სამედიცინო საქმიანობის სფეროში;
- სამედიცინო დაწესებულება, ლიცენზირებულია თუ არალიცენზირებული, ყველა შემთხვევაში, იგი კონსტიტუციურადაა ვალდებული, განახორციელოს ჯეროვანი სამედიცინო მომსახურობა და დაიცვას ადამიანის ჯანმრთელობა;
- ლიცენზირება არ წარმოადგენს ერთადერთ ფორმას, რომლითაც ხორციელდება სახელმწიფოს მიერ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების კონტროლი.

2.4. საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით განიხილა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება

დავით ნატროშვილის საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ/საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 5 ნოემბრის #1/6/462 განჩინება.

3. 37–ე მუხლის მე-3 პუნქტი

3.1. დაცული სფერო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს კონსტიტუციის 37–ე მუხლის მესამე პუნქტის დაცული სფეროს ელემენტები, როგორც ცალკე აღებული, არ აქვს განმარტებული.

3.2. სუბიექტები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა საქართველოს კონსტიტუციის 37–ე მუხლის მესამე პუნქტის სუბიექტი ერთ–ერთ საქმეში.¹³⁷¹ მოსარჩელე იურიდიული პირი ითხოვდა საქართველოს კანონმდებლობის სხვადასხვა დებულების არაკონსტიტუციურობას, რომელიც შეეხებოდა თამბაქოს ნაწარმის კონტროლს. მისი განცხადებით, საკანონმდებლო ბაზის არასრულფასოვნება განაპირობებდა მათ წინააღმდეგობას საქართველოს კონსტიტუციის 37–ე მუხლის მესამე პუნქტთან. საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო საქმე არსებითად განსახილველად, რადგან დაადგინა, რომ ამ უფლებით სარგებლობა შეეძლოთ მხოლოდ ფიზიკურ პირებს.

სასამართლომ განაცხადა: „იურიდიულ პირს არ აქვს ჯანმრთელობაც და შესაბამისად, ის ვერ ისარგებლებს საქართველოს კონსტიტუციის 37–ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი უფლებით, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში. სიცოცხლე და ჯანმრთელობა არის ის სიკეთე, რაც შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ ფიზიკურ პირს, როგორც ცოცხალ არსებას. აქედან გამომდინარე, იურიდიული პირის ნებისმიერი მსჯელობა მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების პირდაპირი ან ირიბი დარღვევის თაობაზე ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული.“¹³⁷²

საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით ხაზი გაუსვა იურიდიული პირის სამართალსუბიექტობას საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლებების დაცვის კონტექსტში: „საქართველოს კონსტიტუციის 45–ე მუხლის თანახმად, კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება იურიდიულ პირებზე. მოსარჩელე, როგორც იურიდიული პირი, წარმოადგენს სამართლებრივ კონსტრუქციას, ფიქციას, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, თავისი ბუნებიდან გამომდინარე ვერ იქნება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების სუბიექტი. ამდენად, ეს უფლებები არ განეკუთვნება იმ უფლებათა რიგს, რომლებიც, თავისი შინაარსის გათვალისწინებით, შეიძლება გავრცელდეს იურიდიულ პირზე.“¹³⁷³

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე იმსჯელა იურიდიული პირის

¹³⁷¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის #2/3/441 განჩინება საქმეზე საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹³⁷² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის #2/3/441 განჩინება, II.პ.5;

¹³⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის #2/3/441 განჩინება, II.პ.8;

უფლებაზე, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. სასამართლომ განაცხადა: „ის გარემოება, რომ მოსარჩელე მიზნად ისახავს საქართველოში თამბაქოს ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგს და ამ გზით ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბებული პრაქტიკით, არ წარმოშობს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას იმ პირობებში, როდესაც უშუალოდ მოსარჩელის უფლების დარღვევა ან შესაძლო დარღვევა არ დასტურდება.“¹³⁷⁴

„უშუალოდ“ პირის უფლებების დაცვის ვალდებულება, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის წინაპირობა, მანამდეც იქნა მითითებული სამართალწარმოების პრაქტიკაში.¹³⁷⁵

3.3. დასკვნა

არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ:

- იურიდიულ პირს არ აქვს ჯანმრთელობა და შესაბამისად, ის ვერ ისარგებლებს საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი უფლებით, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში;
- სიცოცხლე და ჯანმრთელობა არის ის სიკეთე, რაც შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ ფიზიკურ პირს, როგორც ცოცხალ არსებას. აქედან გამომდინარე, იურიდიული პირის ნებისმიერი მსჯელობა მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების პირდაპირი ან ირიბი დარღვევის თაობაზე ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული;
- იურიდიული პირი წარმოადგენს სამართლებრივ კონსტრუქციას, ფიქციას, რომელიც თავისი ბუნებიდან გამომდინარე ვერ იქნება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების სუბიექტი;
- 37-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლებები არ განეკუთვნება იმ უფლებათა რიგს, რომლებიც, თავისი შინაარსის გათვალისწინებით, შეიძლება გავრცელდეს იურიდიულ პირზე.

¹³⁷⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის #2/3/441 განჩინება, II.პ.9;

¹³⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 5 მაისის #2/4/294 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე ბესიკ ბრეგაძე საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, პ.2;

3.4. საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით განიხილა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება

საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის #2/3/441 განჩინება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

მოქალაქე ბესიკ ბრეგამე საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 5 მაისის #2/4/294 გადაწყვეტილება.

4. 37-ე მუხლის მე-4 პუნქტი

4.1. დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მეოთხე პუნქტი ამ სახით ჩამოყალიბდა 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური ცვლილებებით (#3710) მანამდე აღნიშნული პუნქტი იყო შემდეგი შინაარსის: „ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას.“

საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკაც ეხება კონსტიტუციის ამ ნორმის მხოლოდ ძველ რედაქციას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მეოთხე პუნქტით განსაზღვრულია ბუნების დაცვის ვალდებულება, რაც სახელმწიფოს მნიშვნელოვანი პრინციპია და კანონმდებელს აკისრია ვალდებულება ხელი შეუწყოს მის განხორციელებას.¹³⁷⁶

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მეოთხე პუნქტის ფორმულირება ერთი შეხედვით ზოგადია და არ ახდენს კონკრეტიზაციას, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, აღნიშნული არ უკარგავს მას უფლებრივ ხასიათს და მოსარჩელემ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა წარმოადგინოს მისი ინდივიდუალური ინტერესი, რომელიც ამ დებულებასთან იქნება შემხებლობაში ან მისგან იქნება განპირობებული. სასამართლომ განაცხადა: „სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ სასარჩელო განცხადებიდან და განმწესრიგებელ სხდომაზე მოსარჩელის განმარტებებიდან ჩანს, რომ მას ძირითადი ყურადღება გადააქვს საზოგადოდ მოქალაქეთა უფლებების დარღვევაზე და საერთოდ ეკოლოგიური წონასწორობის უზრუნველყოფაზე.“¹³⁷⁷

სხვა საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო სარჩელი არსებითად განსახილველად, სადაც თამბაქოს პროდუქციის რეკლამირების მომწესრიგებელი კანონმდებლობის კონსტიტუციასთან შესაბამისობა იყო დაყენებული 37-ე მუხლის მეოთხე პუნქტის პოზიციიდან.¹³⁷⁸

საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით ერთ-ერთ საქმეში აღნიშნა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლი, ზოგადად, ეხება ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის უფლების გარანტირებას, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას.“¹³⁷⁹

¹³⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 29 ნოემბრის #1/21/351 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ოთარ ლომთაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.2; ¹³⁷⁷ იქვე;

¹³⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის #2/3/441 განჩინება საქმეზე საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3. 6;

¹³⁷⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის #1/3/511 განჩინება საქმეზე საქართველოს მწვანეთა პარტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.3;

4.2. სუბიექტი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ–ერთ საქმეში განიხილა პოლიტიკური პარტიის საჩივარი, რომელიც ასაჩივრება „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებას, რომლითაც მოხდა გარემოს და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გაყოფა და ბუნებრივი რესურსების სექტორის ენერგეტიკის სამინისტროსთვის გადაცემა.¹³⁸⁰ მოსარჩელის აზრით, აღნიშნული გამოიწვევდა ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას და დამატებით პრობლემები შექმნებოდა ენერგეტიკის სამინისტროს კონტროლთან დაკავშირებით (ანუ ერთი და იგივე უწყება მოახდენდა რესურსებით სარგებლობას და შემდგომ მის კონტროლს).¹³⁸¹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო სარჩელი არსებითად განსახილველად, რადგან დადგინდა, რომ პოლიტიკური პარტია არ იყო კონსტიტუციის 37–ე მუხლის მეოთხე პუნქტის სუბიექტი. სასამართლომ ქვემოთ მოყვანილ განმარტებაში ფაქტობრივად იმსჯელა მთლიანად 37–ე მუხლის სუბიექტთან მიმართებით.

სასამართლომ განაცხადა: „საქართველოს კონსტიტუციის 37–ე მუხლი, ზოგადად, ეხება ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის უფლების გარანტირებას, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას. ამ მუხლით დაცული სფეროს შინაარსის გათვალისწინებით, ბუნებრივია, იურიდიული პირები ვერ სარგებლობენ ამ უფლებით (შესაბამისად, არ არიან კონსტიტუციის 37–ე მუხლის სუბიექტები). მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის უფლების სუბიექტად მიჩნევისათვის, მნიშვნელობის მქონე ვერ იქნება ის გარემოება, რომ გარემოს დაცვა ზოგადად, ამ ორგანიზაციის საქმიანობის, ინტერესის თუ ზრუნვის სფეროს წარმოადგენს. „საქართველოს მწვანეთა პარტიის“ გარემოს დაცვისადმი განსაკუთრებული ინტერესი და ამ სფეროში მისი საქმიანობა, თავად პარტიას, როგორც იურიდიულ პირს ჯანმრთელობის დაცვის უფლების სუბიექტად ვერ აქცევს. ამასთან ვერცერთი იურიდიული პირი, ისევე როგორც ფიზიკური პირი, ვერ იდავებს სხვა სუბიექტების უფლებების დასაცავად.“¹³⁸²

4.3. დასკვნა

არსებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიძლება აღინიშნოს, რომ:

- საქართველოს კონსტიტუციის 37–ე მუხლი, ზოგადად, ეხება ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის უფლების გარანტირებას, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას;
- ამ მუხლით დაცული სფეროს შინაარსის გათვალისწინებით, ბუნებრივია, იურიდიული პირები ვერ სარგებლობენ ამ უფლებით (შესაბამისად, არ არიან კონსტიტუციის 37–ე მუხლის სუბიექტები);

¹³⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის #1/3/511 განჩინება;

¹³⁸¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის #1/3/511 განჩინება, I.3.5,6;

¹³⁸² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის #1/3/511 განჩინება, II.3.3;

- მოსარჩელის უფლების სუბიექტად მიჩნევისათვის, მნიშვნელობის მქონე ვერ იქნება ის გარემოება, რომ გარემოს დაცვა ზოგადად, ამ ორგანიზაციის საქმიანობის, ინტერესის თუ ზრუნვის სფეროს წარმოადგენს;
- გარემოს დაცვისადმი განსაკუთრებული ინტერესი და ამ სფეროში იურიდიული პირის/პარტიის საქმიანობა, თავად პარტიას, როგორც იურიდიულ პირს ჯანმრთელობის დაცვის უფლების სუბიექტად ვერ აქცევს;
- ამასთან ვერცერთი იურიდიული პირი, ისევე როგორც ფიზიკური პირი, ვერ იდავებს სხვა სუბიექტების უფლებების დასაცავად.¹³⁸³

4.4. საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებით განიხილა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები

საქართველოს მოქალაქე ოთარ ლომთაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 29 ნოემბრის #1/21/351 განჩინება/

საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ / საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის #2/3/441 განჩინება/

„საქართველოს მწვანეთა პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ / საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის #1/3/511 განჩინება/

¹³⁸³ იქვე;

5. 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი

5.1. დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მეხუთე პუნქტი აღნიშნული რედაქციით ჩამოყალიბდა 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური ცვლილებების (#3710) შემდეგ. მანამდე იგი შემდეგი შინაარსის იყო: „ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ.“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ განჩინებაში განმარტებული აქვს საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მეხუთე პუნქტის დაცული სფეროს რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი.¹³⁸⁴

აღნიშნულ საქმეში მოსარჩელე – იურიდიული პირი – ითხოვდა იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ მინიჭებული ლიცენზიის გასხვისება ან გაყოფა განხორციელებულიყო. მოსარჩელის აზრით, ამ შემთხვევაში მას ეზღუდებოდა ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე და შესაბამისად, სახეზე იყო არაკონსტიტუციური რეგულირება.¹³⁸⁵ საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო საქმე არსებითად განსახილველად, მაგრამ განმარტა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. კერძოდ, განისაზღვრა ის სუბიექტი, რომლის მიმართაც მოქმედებდა კონსტიტუციური გარანტია.

სასამართლომ განაცხადა: „საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის ადრესატი არის საჯარო ხელისუფლება და არა კერძო პირი, რომელიც არ ახორციელებს სახელისუფლებო უფლებამოსილებას. კონსტიტუციის შესაბამისად, სწორედ ხელისუფლების შესაბამისი ორგანოდან შეუძლია ადამიანს მიიღოს სრული, დროული და ობიექტური ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს შესახებ.“¹³⁸⁶

გარდა ზემოაღნიშნულისა დამატებით აღინიშნა, რომ კონსტიტუციის 37-ე მუხლის მეხუთე პუნქტით დადგენილი იყო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გარანტია: „რაიმე შეზღუდვა ან აკრძალვა, რომელიც გარემოს შესახებ ინფორმაციის გაცემას შეეხება, სადავო ნორმით არ არის დადგენილი. უფრო მეტიც, სადავო ნორმა საერთოდ არ არეგულირებს ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და შესაბამისად ვერ თავსდება კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოქმედების ფარგლებში. კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, ის არ გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლებას. იღებდე ინფორმაციას გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით, ავტომატურად არ ნიშნავს აუცილებელი წესით მონაწილეობდე ამ საკითხის გადაწყვეტაში.“¹³⁸⁷

¹³⁸⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 7 თებერვლის #2/1/410 განჩინება საქმეზე ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹³⁸⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 7 თებერვლის #2/1/410 განჩინება, I.3.3;

¹³⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 7 თებერვლის #2/1/410 განჩინება, II.3.2;

¹³⁸⁷ იქვე;

5.2. სუბიექტი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2011 წლის 13 მაისის #1/3/511 განჩინებაში მიუთითა, რომ ზოგადად 37-ე მუხლით გარანტირებული იყო ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის უფლება, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და აქედან გამომდინარე კონსტიტუციური გარანტიის სუბიექტთად მიუთითა მხოლოდ ადამიანი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 7 თებერვლის განჩინებაში მითითებულია, რომ იურიდიული პირიც უფლებამოსილია მიმართოს საჯარო უწყებას და მოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია კონსტიტუციის 37-ე მუხლის მეხუთე პუნქტიდან გამომდინარე.¹³⁸⁸ საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე იურიდიული პირი ფორმალურად წარმოადგენდა უფლებამოსილ მოსარჩელე პირს, მაგრამ სხვა მოთხოვნების ვერ დაკმაყოფილების გამო სარჩელი არ იქნა მიღებული.¹³⁸⁹

5.3. დასკვნა

სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე შესაძლებელია აღინიშნოს, რომ:

- საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის ადრესატი არის საჯარო ხელისუფლება და არა კერძო პირი, რომელიც არ ახორციელებს სახელისუფლებო უფლებამოსილებას;
- კონსტიტუციის შესაბამისად, სწორედ ხელისუფლების შესაბამისი ორგანოდან შეუძლია ადამიანს მიიღოს სრული, დროული და ობიექტური ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს შესახებ;
- ნორმა თუ საერთოდ არ არეგულირებს ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ის, შესაბამისად, ვერ თავსდება კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოქმედების ფარგლებში;
- კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, ის არ გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლებას;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ზოგადად 37-ე მუხლით გარანტირებული იყო ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის უფლება, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და აქედან გამომდინარე კონსტიტუციური გარანტიის სუბიექტთად მიუთითა მხოლოდ ადამიანი;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ იურიდიული პირიც უფლებამოსილია მიმართოს საჯარო უწყებას და მოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია კონსტიტუციის 37-ე მუხლის მეხუთე პუნქტიდან გამომდინარე;

¹³⁸⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 7 თებერვლის #2/1/410 განჩინება, II.3.1;

¹³⁸⁹ იქვე;

- საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე იურიდიული პირი ფორმალურად წარმოადგენდა უფლებამოსილ მოსარჩელე პირს, მაგრამ მან უნდა იდავოს უშუალოდ მისი უფლებების დარღვევის შესახებ;

5.4. საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტთან მიმართებით განიხილა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 7 თებერვლის #2/1/410 განჩინება/

მუხლი 38

1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ .
2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას .

შესავალი

1. დაცული სფერო
2. სუბიექტი
3. დასკვნა
4. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 38-ე მუხლთან მიმართებით

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 38-ე მუხლთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა არ არის დიდი. ამავე დროს დასახელებულ მუხლთან დაკავშირებული სასამართლოს განჩინებებიდან იკითხება, რომ აღნიშნული დებულება საქართველოს მოქალაქეებს დისკრიმინირებული მოპყრობისგან იცავს მხოლოდ ამ მუხლში ამომწურავად ჩამოთვლილ ნიშნებთან მიმართებით.¹³⁹⁰

1. დაცული სფერო

სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით შეიძლება აღინიშნოს, რომ სასამართლოს ჯერ არ მოუხდენია კონსტიტუციის 38-ე მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევის ან უფლების შეზღუდვის შეფასება. შესაბამისად, არც შეზღუდვის თანაზომიერება შეუმოწმებია. მიუხედავად ამისა, კონსტიტუციის 38-ე მუხლთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში გვხვდება რამდენიმე განჩინება/გადაწყვეტილება, რომელთა საფუძველზეც შეიძლება ვიმსჯელოთ კონსტიტუციის 38-ე მუხლის დაცული სფეროს შესახებ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 1997 წლის 4 ნოემბრის #1/5/32 გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „კონსტიტუციის 38-ე მუხლი საქართველოს მოქალაქეებს, მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი კუთვნილების მიუხედავად, თანასწორობის გარანტიებს უწყებს სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში“¹³⁹¹. მსგავსი მიდგომა განმეორდა სასამართლოს სხვა განჩინებებშიც, აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის 38-ე მუხლს საქართველოს მოქალაქის ინდივიდუალური უფლების დამდგენ ნორმად ხედავს, რომლის საფუძველზეც საქართველოს მოქალაქემ შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოში იდავოს.

როგორც აღვნიშნეთ, კონსტიტუციის 38-ე მუხლთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა მიაჩნება, რომ აღნიშნული დებულება საქართველოს მოქალაქეებს დისკრიმინირებული მოპყრობისგან იცავს მხოლოდ ამ მუხლში ამომწურავად ჩამოთვლილ ნიშნებთან მიმართებით. მაგალითად, საქმეზე „მოქალაქე გივი დონაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მოსარჩელე წარმოადგენდა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს,

¹³⁹⁰ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიფერენცირების ნიშანთან დაკავშირებით 2008 წლამდე საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა მსგავსი იყო კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებითაც. კერძოდ სასამართლო მიიჩნევდა, რომ კონსტიტუციის მე-14 მუხლი დიფერენცირებას კრძალავდა მხოლოდ მასში ამომწურავად ჩამოთვლილ ნიშნებთან მიმართებით, თუმცა აღნიშნული მიდგომა შეიცვალა 2008 წელს. 38-ე მუხლთან დაკავშირებული განჩინებები, რომელშიც სასამართლომ მასში მითითებული რომელიმე ნიშნით დიფერენცირების არარსებობის გამო საქმე არსებითად განსახილველად არ მიიღო, მიღებულია 2008 წლამდე. შესაბამისად არაა გამორიცხული საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის #2/1-392 გადაწყვეტილებამ საქმეზე შოთა ბერიძე და სხვების საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ ზიზგი მისცეს სასამართლოს მიდგომის ცვლილებას კონსტიტუციის 38-ე მუხლთან მიმართებითაც;

¹³⁹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 4 ნოემბრის #1/5/32 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე გივი დონაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

რომელიც თვლიდა, რომ „სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის საფუძველზე იმყოფებოდა დისკრიმინირებულ მდგომარეობაში და ითხოვდა აღნიშნული კანონის არაკონსტიტუციურად ცნობას კონსტიტუციის 38-ე მუხლთან მიმართებით.

საქმისარსებითი განხილვის შედეგად საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნია, რომ არსებობდა გარკვეული ნაკლოვანებები საპენსიო კანონმდებლობის სფეროში და საჭირო იყო ვეტერანთა საპენსიო უზრუნველყოფის დროულად მოწესრიგება. საკონსტიტუციო სასამართლომ ამ კატეგორიის პირთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება სოციალური სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზაზე მნიშვნელოვან ნაბიჯად მიიჩნია. თუმცა, მიუხედავად ამისა, მიუთითა: „სადავო აქტი კი საპენსიო უზრუნველყოფის საკითხების განსაზღვრისას არათანაბარ მდგომარეობაში არ აყენებს საქართველოს მოქალაქეებს, კერძოდ, ომის ვეტერანებს მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილების საფუძველზე. მაშასადამე, სადავო კანონით არ ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის 38-ე მუხლი“.¹³⁹²

საქმეზე „მოქალაქე დიმიტრი ციხელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ დავის საგანს წარმოადგენდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონის იმ ნორმის კონსტიტუციურობა, რომელიც კანონით გათვალისწინებულ სოციალურ გარანტიებს ითვალისწინებდა, მხოლოდ ამ კანონის საფუძველზე დანიშნული მოსამართლეებისათვის. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მოსამართლედ მუშაობის 25 წლიანი სტაჟი ჰქონდა, თუმცა არ იყო დანიშნული „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონის საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ირღვეოდა კონსტიტუციის 38-ე მუხლით გარანტირებული მისი უფლება. სასამართლომ არ მიიღო სარჩელი არსებითად განსახილველად და აღნიშნა, რომ „სასამართლოს კოლეგია არ იზიარებს კონსტიტუციური სარჩელის მოსაზრებას საქართველოს კონსტიტუციის 38-ე მუხლით აღიარებული მოქალაქეთა თანასწორობის დარღვევის შესახებ, ვინაიდან იგი ვერ მიუთითებს ამ მუხლში ჩამოთვლილი რომელი ნიშნით (ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილების) დაირღვა მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპი“.¹³⁹³

ანალოგიური პოზიცია დააფიქსირა სასამართლომ საქმეზე „საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“¹³⁹⁴ და „საქართველოს მოქალაქეები ვიტალი მიხელიძე და ავთანდილ გორგილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“¹³⁹⁵.

¹³⁹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 4 ნოემბრის #1/5/32 გადაწყვეტილება;

¹³⁹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 29 ოქტომბრის #2/16/201 განჩინება საქმეზე მოქალაქე დიმიტრი ციხელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.3;

¹³⁹⁴ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 11 მარტის #2/6/221 განჩინება საქმეზე „საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹³⁹⁵ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 4 აპრილის №1/6/368 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ვიტალი მიხელიძე და ავთანდილ გორგილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

კონსტიტუციის 38-ე მუხლის ზემოთხსენებული განმარტება უფრო დაკონკრეტდა 2006 წლის 31 მარტის შემდგომ მიღებულ განჩინებებში. 2006 წლის 31 მარტის #2/8/366 განჩინებაში სასამართლომ მიუთითა, რომ 38-ე მუხლი „უნდა განვიხილოთ როგორც სპეციალური ნორმა, რადგანაც იგი ადგენს თანასწორობას, როგორც უმცირესობათა უფლებების დაცვის ერთ-ერთ ფორმას. უმცირესობა არის სახელმწიფოს დანარჩენ მოსახლეზე რიცხოვნობიდან მცირე ჯგუფი, რომელსაც არ უკავია გაბატონებული პოზიცია და რომლის წევრებს ახასიათებთ ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი ნიშნები, რომლებიც მას სხვებისაგან განასხვავებენ და გამოხატავს საკუთარი კულტურის, ტრადიციების, რელიგიის ან ენის შენარჩუნებისაკენ მიმართულ სოლიდარობის გრძნობას“¹³⁹⁶. აღნიშნულ საქმეზე სადავო აქტები არ ეხებოდა უმცირესობების უფლებებს, შესაბამისად, სასამართლომ კონსტიტუციის 38-ე მუხლთან მიმართებით არ მიიღო სარჩელი არსებითად განსახილველად.

სასამართლომ ანალოგიური პოზიცია გაიმეორა 2006 წლის 2 ივნისის #2/10/383¹³⁹⁷ და 2007 წლის 5 აპრილის #2/3/412¹³⁹⁸ განჩინებებში.

სასამართლოს უკანასკნელი პრაქტიკიდან გამომდინარე კონსტიტუციის 38-ე მუხლში მითითებული ნიშნები - ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილება აქტუალურია უმცირესობებთან მიმართებით. აღნიშნული ნორმის მიზანიც უმცირესობების დაცვაა.

2. სუბიექტი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს კონსტიტუციის 38-ე მუხლის სუბიექტი, როგორც ცალკე აღებული, არ აქვს განმარტებული.

¹³⁹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მარტის #2/8/366 განჩინება საქმეზე იურიდიული პირები - ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთა, ვეტერანთა და ომის მონაწილეთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კავშირი "მიზანი-2005"-ის თავმჯდომარე - ნოდარ ცოტნიაშვილი; საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს კავშირის თავმჯდომარე - ელვერ კუპატაძე; საქართველოს პოლიციის პენსიონერთა და ინვალიდთა სოციალური დაცვის კავშირი "აბჯარის" თავმჯდომარე - იოსებ მესტიაშვილი; საქართველოს ძალოვანი ვეტერანების დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი "იმედის" თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი - არსენ რაზმაძე; საქართველოს ომის ინვალიდთა და ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე - კარლო გარდაფხაძე; "საქართველოს ჩერნობილელთა კავშირის" და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების უფლებების დაცვის და სოციალური დახმარების კავშირი "იმედის" თავმჯდომარე - ნინო კვესაძე; სრულიად საქართველოს მეომარ, ვეტერან-ინვალიდთა კავშირი "ფარი და მახვილის" თავმჯდომარე - გენადი კვერნაძე; მთიანი რეგიონებიდან იძულებით ადგილმონაცვლეთა (ეკო-მიგრანტთა) უფლებების დაცვის საერთაშორისო ასოციაცია "ხიხანი-უმზას" თავმჯდომარე - სიმონ შარაძე; საქართველოს პენსიონერ, ინვალიდთა, მოქმედ პოლიციელთა და მათი ოჯახის წევრთა ინტერესებისა და სოციალური დაცვის კავშირი "ღირსებას" თავმჯდომარე - თემურ კოხოლაშვილი; საქველმოქმედო კავშირი "ვაკე-საბურთალო 2002"-ის თავმჯდომარე - კარლო წულაია - საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.4;

¹³⁹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 2 ივნისის #2/10/383 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ნორად ცოტნიაშვილი, ზადრი მაჭარაშვილი, შოთა სომხიშვილი, პეტრე საფნიანი, დიმიტრი გოგოლაძე; ჯარბეკ პარადიანი, ლუდვიგ გრიგორიანი, შალიკო ბეჟუაშვილი, ასიმ ჩიტრეკაშვილი, ლევან თოკმაჭიანი, ნორიკ სუმბათიანი, ივანე როსტიაშვილი, რაფილ სხვაჩხიანი, არჩილ ფუხაშვილი, სერგო ეგაზაროვი, გივი ჭაბუკიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.2;

¹³⁹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 5 აპრილის #2/3/412 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები შალვა ნათელაშვილი და გიორგი გუგავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.პ.8;

3. დასკვნა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია რამდენიმე დასკვნის გაკეთება:

- აშკარაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის 38-ე მუხლით დაცულ სფეროდ მხოლოდ ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილების ნიშნით საქართველოს მოქალაქეთა შორის დისკრიმინაციის აკრძალვას მიიჩნევს;
- კონსტიტუციის 38-ე მუხლი არის სპეციალური ნორმა, რადგან იგი ადგენს თანასწორობას, როგორც უმცირესობათა უფლებების დაცვის ერთ-ერთ ფორმას;
- კონსტიტუციის 38-ე მუხლში მითითებული ნიშნები - ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილება აქტუალურია უმცირესობებთან მიმართებით;
- აღნიშნული ნორმის მიზანი უმცირესობების დაცვაა.

4. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 38-ე მუხლთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები

მოქალაქე დიმიტრი ციხელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 29 ოქტომბრის #2/16/201 განჩინება/

საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 11 მარტის #2/6/221 განჩინება/

იურიდიული პირები – ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთა, ვეტერანთა და ომის მონაწილეთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კავშირი ”მიზანი-2005”-ის თავმჯდომარე – ნოდარ ცოტნიაშვილი; საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს კავშირის თავმჯდომარე – ელვერ კუპატაძე; საქართველოს პოლიციის პენსიონერთა და ინვალიდთა სოციალური დაცვის კავშირი ”აზჯარის” თავმჯდომარე – იოსებ მესტიაშვილი; საქართველოს ძალოვანი ვეტერანების დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი ”იმედის” თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი – არსენ რაზმაძე; საქართველოს ომის ინვალიდთა და ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე – კარლო გარდაფხაძე; ”საქართველოს ჩერნობილელთა კავშირის” და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების უფლებების დაცვის და სოციალური დახმარების კავშირი ”იმედის” თავმჯდომარე – ნინო კვესაძე; სრულიად საქართველოს მეომარ, ვეტერან-ინვალიდთა კავშირი ”ფარი და მახვილის” თავმჯდომარე – გენადი კვერნაძე; მთიანი რეგიონებიდან იძულებით ადგილმონაცვლეთა (ეკო-მიგრანტთა) უფლებების დაცვის საერთაშორისო ასოციაცია ”ხიხანი-უშბას” თავმჯდომარე – სიმონ შარაძე; საქართველოს პენსიონერ, ინვალიდთა, მოქმედ პოლიციელთა და მათი ოჯახის წევრთა ინტერესებისა და სოციალური დაცვის კავშირი

”ღირსებას” თავმჯდომარე – თემურ კოზოლაშვილი; საქველმოქმედო კავშირი ”ვაკე-საბურთალო 2002”-ის თავმჯდომარე – კარლო წულაია – საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მარტის #2/8/366 განჩინება/

საქართველოს მოქალაქეები ვიტალი მიხელიძე და ავთანდილ გორგილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 4 აპრილის #1/6/368 განჩინება/

საქართველოს მოქალაქეები ნორად ცოტნიაშვილი, ბადრი მაჭარაშვილი, შოთა სომხიშვილი, პეტრე საფნიანი, დიმიტრი გოგოლაძე; ჯარიბეკ პარადიანი, ლუდვიგ გრიგორიანი, შალიკო ბეჟუაშვილი, ასიმ ჩიტრეკაშვილი, ლევან თოკმაჭიანი, ნორიკ სუმბათიანი, ივანე როსტიაშვილი, რაფილ სხვაჩხიანი, არჩილ ფუხაშვილი, სერგო ეგიაზაროვი, გივი ჭაბუკიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 2 ივნისის #2/10/383 განჩინება/

საქართველოს მოქალაქეები შალვა ნათელაშვილი და გიორგი გუგავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 5 აპრილის #2/3/412 განჩინება/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

მოქალაქე გივი დონაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 4 ნოემბრის #1/5/32 გადაწყვეტილება/

მუხლი 39

საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომელიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან.

შესავალი

1. დაცული სფერო
 - 1.1. 39-ე მუხლის კონსტიტუციური ფუნქცია (მიდგომები)
 - 1.2. 39-ე მუხლი და კონსტიტუციის პრინციპები
 - 1.3. 39-ე მუხლის ბუნება: მავალებელი თუ დეკლარაციული
 - 1.4. 39-ე მუხლი, როგორც კონსტიტუციის მეორე თავს გარეთ არსებული ნორმების უფლებათა სპექტრში შემოყვანის მექანიზმი
 - 1.5. 39-ე მუხლი - საერთაშორისო სტანდარტების კონსტიტუციურ სივრცეში შემომყვანი ნორმა
2. 39-ე მუხლით დადგენილი ცალკეული უფლებების დაცვის სტანდარტები
 - 2.1. სოციალური უფლებები
 - ა) სამოქალაქო ბრუნვის ინტერესი
 - ბ) სოციალური საჯარო წესრიგი
 - გ) სამეწარმეო საქმიანობის (ბრუნვის) განვითარება
 - დ) გადახდისუნარიანობა, როგორც სამართლიანი ტარიფის განსაზღვრისა და ცოცხალი სამოქალაქო ბრუნვის მნიშვნელოვანი პირობა
 - 2.2. სამართლიანი სასამართლო
 - 2.3. არჩევნები
3. სუბიექტი
4. დასკვნა
5. საქმეები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 39-ე მუხლთან მიმართებაში განიხილა

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის განმარტება, მისივე კონსტრუქციიდან გამომდინარე, გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამ ნორმის კონსტიტუციური ფუნქციის გარკვევამდე საკონსტიტუციო სასამართლოში მრავალი მოსაზრება იქნა განხილული, ზოგიერთი მათგანი საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა და შემდეგ გადახედა, ზოგიერთი კი მხოლოდ მხარეების მიერ გაჟღერდა სასამართლოს წინაშე. ქვემოთ განიხილება ყველა ის მიდგომა, რომლის შესახებაც სასამართლომ იმსჯელა.

1. დაცული სფერო

1.1. 39-ე მუხლის კონსტიტუციური ფუნქცია (მიდგომები)

სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ კონსტიტუციურ დებულებაში მოიაზრება ზუსტად ის უფლებები, რომლებიც არაპირდაპირ, მაგრამ მაინც გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან, რაც მათ კონსტიტუციურ გადაწყვეტად, ერთგვარ მოწესრიგებად უნდა მივიჩნიოთ.¹³⁹⁹ თუმცა რომლებია ეს პრინციპები, სად უნდა ვეძიოთ ისინი, კონსტიტუციაში თუ მის გარეთ, თუ ორივეგან, რამდენად არის შესაძლებელი მათი, როგორც საერთოდ უფლების დამდგენი ნორმის განხილვა? სწორედ ამ საკითხებზე ცდილობდა სასამართლო გაეცა პასუხი წლების განმავლობაში. წინამდებარე ქვეთავში თემატურად არის განხილული ის მიდგომები, რომელიც სასამართლოს ან მხარეების მიერ განიხილებოდა ზემოაღნიშნული მუხლის განმარტებასთან დაკავშირებით.

სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კონსტიტუციის 39-ე მუხლის ბუნებას, კერძოდ იმას, თუ რამდენად კონკრეტული უნდა იყოს პრინციპზე მითითება, იმისათვის რათა მან კონსტიტუციის 39-ე მუხლის დაცვის ფარგლებში შეაღწიოს და განსაზღვრა 39-ე მუხლის შინაარსი. სასამართლომ განაცხადა, რომ კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა „... ცალკე, არ შეიცავს ადამიანისა და მოქალაქის უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს. ... მიგვაჩნია, რომ შეუძლებელია ვიმსჯელოთ სადავო აქტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის უშუალო დარღვევაზე, ვინაიდან როგორც უკვე აღინიშნა, იგი არ არის უფლებათა და თავისუფლებათა მტვირთველი ნორმა. საკონსტიტუციო სასამართლომ, კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნული დავის საგნის კონსტიტუციურობის დადგენისას, კონსტიტუციის 39-ე მუხლიდან გამომდინარე, შესაძლებელია იმსჯელოს მხოლოდ იმ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევაზე, რაც საქართველოს კონსტიტუციით უშუალოდ არ არის გათვალისწინებული, მაგრამ გამომდინარეობს მისი პრინციპებიდან და ზოგადი სულისკვეთებიდან. საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მოსარჩელემ თვითონ უნდა განსაზღვროს მისი ის დარღვეული უფლება,

¹³⁹⁹ აღნიშნული მიდგომა სასამართლომ შეიმუშავა დასაშვებობაზე მსჯელობისას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 29 მაისის #2/2/416 საოქმო ჩანაწერი საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.1;

რომელსაც კონსტიტუცია პირდაპირ არ ითვალისწინებს, მაგრამ რაც გამომდინარეობს მისი არსიდან. ... აღნიშნული... უფლებები უნდა მივიჩნიოთ კონსტიტუციის 39-ე მუხლის შინაარსით გათვალისწინებულ და სახელმწიფოს მიერ აღიარებულ... უფლებებად...¹⁴⁰⁰ ამგვარად, შეუძლებელია, სადავო ნორმის კონსტიტუციურობის დადგენა საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლთან მიმართებით ისე, რომ მითითებული არ იყოს კონკრეტული უფლება და ამ უფლების კონსტიტუციის პრინციპებიდან გამომდინარეობის საკითხი.

1.2. 39-ე მუხლი და კონსტიტუციის პრინციპები

საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის ძალით დაცული უფლებები უნდა გამომდინარეობდნენ კონსტიტუციის პრინციპებიდან. ეს პრინციპებია:¹⁴⁰¹ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება; ეკონომიკური თავისუფლება; სოციალური სახელმწიფო; სამართლებრივი სახელმწიფო; ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლების უზრუნველყოფა;

კიდევ ერთ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ 39-ე მუხლი სოციალური უფლებების კონსტიტუციურ სივრცეში შემოყვანისათვის გამოიყენა. ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო დაეყრდნო კონსტიტუციის პრეამბულას, მე-7 მუხლსა და იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებს რომლის მონაწილეც საქართველო იყო. სასამართლომ მიუთითა, რომ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში მითითებული უფლებების¹⁴⁰²

¹⁴⁰⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 3 ივლისის # 2/6/205,232 გადაწყვეტილება საქმეზე 1. მოქალაქე ავთანდილ რიჟამაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 2. მოქალაქე ნელი მუმლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 205-ე და 232-ე ნომრებით რეგისტრირებულ სარჩელებთან დაკავშირებით სასამართლოს ორი წევრის მოსაზრება, პ.1. [არაკონსტიტუციურობის პოზიცია]; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის #1/1/126,129,158 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – (1) ბაქუა გაჩეჩილაძე, სიმონ თურვანიძევილი, შოთა ბუაძე, სოლომონ სანადირაძე და ლევან ქვაცხაია, (2) ვლადიმერ დობორჯგინიძე, ნინელი ანდრიაძე, გურამ დემეტრაშვილი და შოთა ჰაპიაშვილი, (3) გვი დონაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. III;

¹⁴⁰¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის #1/1/126,129,158 გადაწყვეტილება, პ. III;

¹⁴⁰² „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ 22-ე მუხლი: ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს აქვს სოციალური უზრუნველყოფის, ღირსების შენარჩუნების და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, უფლება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში ეროვნული ძალისხმევის, საერთაშორისო თანამშრომლობის მეოხებით და, ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესატყვისად” და 25-ე მუხლის პირველი პუნქტი: „ყოველ ადამიანს უფლება აქვს იყოს ისეთ ცხოვრებისეულ დონეზე, რომელიც გულისხმობს საკვების, ტანისამოსის, საცხოვრისის, სამედიცინო მოვლისა და სოციალური მომსახურების უზრუნველყოფას, რაც აუცილებელია თვით მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და დოვლათისათვის, ადამიანს აქვს უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, სიბერეში დაუძლურების თუ, მისგან დამოუკიდებლად არსებობისათვის სხვა საშუალებების დაკარგვის შემთხვევაში.“ ასევე „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: „ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას ინდივიდუალური წესით და საერთაშორისო დახმარებისა და თანამშრომლობის, კერძოდ, ეკონომიკურ და ტექნიკურ დარგებში საერთაშორისო დახმარებისა და თანამშრომლობის წესით, არსებული რესურსების მაქსიმალურ ფარგლებში მიიღოს ზომები, რათა თანდათან უზრუნველყოს ამ პაქტით აღიარებული უფლებების სრული

გათვალისწინებით: „...სახელმწიფოები უნდა ესწრაფოდნენ [ამ] დებულებების თანდათანობით შესრულებას ეროვნული თუ საერთაშორისო ღონისძიებების მეშვეობით.“¹⁴⁰³ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ განაცხადა: „საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებიდან და დასახელებული საერთაშორისო აქტებიდან გამომდინარე, მოსარჩელეთა აღნიშნული სოციალური უფლებები უნდა მივიჩნიოთ კონსტიტუციის 39-ე მუხლის შინაარსით გათვალისწინებულ და სახელმწიფოს მიერ აღიარებულ იმ უფლებებად, რომელთა დაცვის მძლავრი მექანიზმების შესაქმნელად სახელმწიფო ვალდებულია გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა მართებული საშუალება.“¹⁴⁰⁴

1.3. 39-ე მუხლის ბუნება: მავალელები თუ დეკლარაციული

კონსტიტუციური სარჩელების განხილვისას საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მნიშვნელობის შესახებ უფლებათა სისტემაში სხვადასხვა ვერსია გამოითქვა. ერთ-ერთი იყო საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის პოზიცია, რომლის მიხედვითაც 39-ე მუხლს დეკლარაციული დატვირთვა აქვს: „საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი... საერთოდ დეკლარაციული ხასიათისაა.“¹⁴⁰⁵ სასამართლოს ამ კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნული პოზიცია არ შეუფასებია, რადგან სარჩელი დაუსაბუთებლად მიჩნია.

კიდევ ერთი ხედვის მიხედვით, რომელიც ასევე პარლამენტს ეკუთვნოდა, კონსტიტუციის 39-ე მუხლის მიზანს არ წარმოადგენს ადამიანის ყველა არსებული უფლებისა და თავისუფლების კონსტიტუციით დაცვა. მისი დანიშნულება შემდეგია: იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო მოისურვებს რომელიმე საქართველოს კონსტიტუციაში გაუთვალისწინებელი უფლების აღიარებას, ამაში მას ხელი არ უნდა შეეშალოს იმით, რომ ეს უფლება არ იყო კონსტიტუციით პირდაპირ დეკლარირებული.¹⁴⁰⁶

განხორციელება ყველა მართებული საშუალებით, მათ შორის, კერძოდ, საკანონმდებლო ღონისძიებათა მიღებით“.

¹⁴⁰³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის #1/1/126,129,158 გადაწყვეტილება, პ.III; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბერის #1/3/136 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ, I.3.8;

¹⁴⁰⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის #1/1/126,129,158 გადაწყვეტილება, პ.III; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 29 მარტის # 2/7/365,371 განჩინება საქმეზე ომარ შერაზადიშვილი, თამაზ კოლუა, ვახტანგ რაზმაძე, რევაზ ყიფიანი, გიორგი ნადარეიშვილი და ნუგზარ სოტკილავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. პ.2;

¹⁴⁰⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 ნოემბერის #1/5/224 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ანზორ თევზაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁴⁰⁶ აღნიშნული მიდგომა სასამართლომ არ გაიზიარა; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 29 მაისის #2/2/416 საოქმო ჩანაწერი, I.3.5;

1.4. 39-ე მუხლი, როგორც კონსტიტუციის მეორე თავს გარეთ არსებული ნორმების უფლებათა სპექტრში შემოყვანის მექანიზმი

ერთ-ერთი ინტერპრეტაციის მიხედვით, რომელიც მოსარჩელეს ეკუთვნოდა, 39-ე მუხლის გამოყენება იმ შემთხვევაშიც შესაძლებელია, როდესაც კონკრეტული უფლების დამდგენი პრინციპი კონსტიტუციის ტექსტში, მაგრამ არა მეორე თავში, არის მოხსენიებული.¹⁴⁰⁷ თუმცა სასამართლომ კონკრეტულ საქმეში ამ საკითხზე არ იმსჯელა, ვინაიდან მიიჩნია, რომ კონკრეტული ნორმა კონსტიტუციის 21-ე მუხლს არღვევდა, რაც გამორიცხავდა 39-ე მუხლის გამოყენების საჭიროებას.¹⁴⁰⁸ დაახლოებით ანალოგიური შემთხვევა იყო კიდევ ერთ საქმეში, რომელშიც მოსარჩელე დავობდა კონკრეტული ობიექტების გასხვისების კონსტიტუციურობაზე და 39-ე მუხლს კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის¹⁴⁰⁹ შინაარსის გამტარად წარმოაჩენდა. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ კონსტიტუციის მე-3 მუხლის დარღვევა იწვევს კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებული 39-ე მუხლის დარღვევას. სასამართლომ განაცხადა, რომ ის ვერ შეაფასებდა სადავო ნორმას კონსტიტუციის მე-3 პუნქტთან მიმართებით, რადგან სასამართლო უფლებამოსილია მოქალაქის, ფიზიკური პირის კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე გადაწყვიტოს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით.¹⁴¹⁰

ზემოაღნიშნული მიდგომა ყველაზე მკაფიოდ გამოჩნდა საქმეში, რომელშიც მოსამართლეთა აზრი ორად გაიყო, მოსამართლეთა ნაწილი მხარს უჭერდა სარჩელის დაკმაყოფილებას და ამტკიცებდა,¹⁴¹¹ რომ 39-ე მუხლის საშუალებით შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელოს იმ დებულების დარღვევაზე, რომელიც მეორე თავის გარეთ არის მოხსენიებული: „საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლმა სამართალწარმოების ძირითადი პრინციპები დაადგინა, რომლებიც ადამიანის უფლებათა დამცველი, კონსტიტუციით აღიარებული პრინციპებია და სწორედ ასეთ უფლებებზეა მინიშნებული კონსტიტუციის 39-ე მუხლში; მნიშვნელობა არა აქვს კონსტიტუციის რომელ თავშია განლაგებული ეს პრინციპები.“¹⁴¹² თუმცა კონსტიტუციის 85-ე მუხლთან

¹⁴⁰⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 20 თებერვალის #1/3-21 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე ოთარ ზოიძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;

¹⁴⁰⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 20 თებერვალის #1/3-21 გადაწყვეტილება;

¹⁴⁰⁹ საქართველოს კონსტიტუცია, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი: ერთიანი ენერგეტიკული სისტემა და რეჟიმი; კავშირგაბმულობა; სავაჭრო ფლოტი; გემთა აღმები; საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავსადგურები, აეროპორტები და აეროდრომები; საჰაერო სივრცის, ტრანზიტისა და საჰაერო ტრანსპორტის კონტროლი, საჰაერო ტრანსპორტის რეგისტრაცია; მეტეოროლოგიური სამსახური; გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სისტემა;

¹⁴¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბერის #1/3/136 გადაწყვეტილება, II.3.1;

¹⁴¹¹ საქართველოს ორგანული კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, 21-ე მუხლის მე-6 პუნქტი: თუ კონსტიტუციურ სარჩელზე გადაწყვეტილების მიღებისას პლენუმის/კოლეგიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმები თანაბრად გაიყო, კონსტიტუციური სარჩელი არ დაკმაყოფილდება;

¹⁴¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 3 ივლისის # 2/6/205,232 გადაწყვეტილება, საკონსტიტუციო სასამართლოს ორი წევრის მოსაზრება, 3.2 [არაკონსტიტუციურობის პოზიცია];

დაკავშირებით აღნიშნული მიდგომა არ გაიზიარა კოლეგიის ორმა წევრმა და მიუთითა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლი ... განეკუთვნება კონსტიტუციის მეხუთე თავს, რომელიც არ შეიცავს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ჩამონათვალს, იგი მხოლოდ ადგენს სასამართლო ხელისუფლების სტრუქტურას და სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელების ზოგად პრინციპებს. ... საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლი საუბრობს არა ადამიანის უფლებაზე, არამედ სასამართლოს ვალდებულებაზე, საქმის ზეპირი განხილვის შემთხვევაში, სამართალწარმოება განხორციელდეს ღია სასამართლო სხდომაზე.”¹⁴¹³ შესაბამისად სასამართლომ დაასკვნა, რომ ამ შემთხვევაში 85-ე მუხლთან 39-ე მუხლის ბმა არ იყო ადეკვატური. თუმცა სასამართლოს არ უარყვია ის ფაქტი, რომ საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლში „...საუბარია ადამიანის, მოქალაქის იმ უფლებებსა და თავისუფლებებზე, რომელიც უშუალოდ ათავალისწინებული საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში, ან გამომდინარეობენ კონსტიტუციური პრინციპებიდან და სახელმწიფო მათ აღიარებს, როგორც წარუვალ ღირებულებებს.”¹⁴¹⁴

აღნიშნული ხედვა დასდასტურდა მოგვიანებით, როდესაც სასამართლომ დასაშვებად არ ცნო არგუმენტაცია, რომლის მიხედვითაც მოსარჩელეები ასაჩივრებდნენ მერებისა და გამგებლების არჩევის წესს და მიუთითებდნენ 39-ე მუხლზე, მაშინ როდესაც ეს საკითხი კონსტიტუციის მე-2 მუხლში იყო მოწესრიგებული: „მოცემულ შემთხვევაში საკითხი შეეხება მერებისა და გამგებლების არჩევის წესს. „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელთა თანამდებობის” არჩევითობა კი პირდაპირ არის მოხსენიებული საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტში. ამგვარად, სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმება საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლთან მიმართებით მოცემულ შემთხვევაში გამოირიცხულია.”¹⁴¹⁵

1.5. 39-ე მუხლი - საერთაშორისო სტანდარტების კონსტიტუციურ სივრცეში შემომყვანი ნორმა

არსებობს მოსაზრება, რომ 39-ე მუხლის ფუნქციაა, კონსტიტუციური სტატუსი მიანიჭოს იმ უფლებებს, რომელიც საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებშია მოცემული.

იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელე 39-ე მუხლს გამოიყენებს საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურ სივრცეში შემოსაყვანად, მან უნდა მიუთითოს „...კონსტიტუციის რა პრინციპები აქვს მხედველობაში

¹⁴¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 3 ივლისის # 2/6/205,232 გადაწყვეტილება, 205-ე და 232-ე ნომრებით რეგისტრირებულ სარჩელებთან დაკავშირებით სასამართლოს ორი წევრის მოსაზრება, პ.1 [კონსტიტუციურობის პოზიცია];

¹⁴¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 3 ივლისის # 2/6/205,232 გადაწყვეტილება, პ.1 [არაკონსტიტუციურობის პოზიცია];

¹⁴¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 აპრილის #1/7/372 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები _ გიორგი გოგინიაშვილი, უტა ლიპარტია, ხვიჩა ჭანტურია და ლევან ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

მოსარჩელეს”,¹⁴¹⁶ ასევე კონკრეტული უფლების შესახებ „...კონკრეტულად მაინც რომელი ისეთი უფლება, თავისუფლება ან გარანტიაა დარღვეული სადავო აქტებით, რომლებიც არ არის მოხსენიებული საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავში.”¹⁴¹⁷ აქვე უნდა ითქვას რომ მოსარჩელე ამ მიმართულებით ასახელებდა გაეროს - „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის” 23-ე მუხლს, გაეროს - „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის” მე-7 მუხლს, გაეროს კონვენციის - “ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის შესახებ” პირველი და მე-2 მუხლებს და გაეროს კონვენციას - „შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის თაობაზე.”¹⁴¹⁸ თუმცა ეს სასამართლომ საკმარისად არ მიიჩნია, აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ მოსარჩელეს ეკისრება უფრო მაღალი მტკიცების ტვირთი, ვიდრე უბრალოდ საერთაშორისო დოკუმენტით გამტკიცებული უფლების ციტირება.

საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურ სივრცეში შემოყვანის მაგალითად შეიძლება დასახელდეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიც საკონსტიტუციო სასამართლომ 39-ე მუხლს სწორედ ამგვარი დატვირთვა მისცა და „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის” 25-ე მუხლი და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” ევროპული ქარტია მოიხმო.¹⁴¹⁹ უფრო შორს წავიდა სასამართლო კიდევ ერთ საქმეში, რომელშიც 39-ე მუხლი არა სავალდებულო, არამედ სარეკომენდაციო საერთაშორისო დოკუმენტის საფუძველზე გააფართოვა, კონკრეტულად მან გამოიყენა ევროპის გაერთიანების საბჭოს 1981 წლის 27 ოქტომბრის რეკომენდაცია გაერთიანებაში „ელექტროენერჯის ტარიფის სტრუქტურის შესახებ” (81/924).¹⁴²⁰ ასევე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი.¹⁴²¹

ზემოთ აღინიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლს საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებში, მათ შორის, შემოყავს ის საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომელიც ადამიანის უფლებებს ეხება და რომლის მონაწილეც არის საქართველოს სახელმწიფო. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში შესაძლებელია ისეთი საქმეების პოვნაც, სადაც სასამართლომ სარჩელი დასაშვებად არ ცნობს სარჩელს სწორედ იმ მოტივით, რომ მას არ აქვს კომპეტენცია იმგვარ დავებზე, სადაც მოსარჩელე სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიმე

¹⁴¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 22 ივნისის # 2/2/245 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე ვახაბურ ძაგანია საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ, პ.4;

¹⁴¹⁷ იქვე; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 1997 წლის 4 ნოემბრის # 2/33/1 განჩინება საქმეზე ნინო იოსელიანი სამცხე-ჯავახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის და საქართველოს განათლების სამინისტროს წინააღმდეგ, პ.3;

¹⁴¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 1997 წლის 4 ნოემბრის # 2/33/1 განჩინება, პ.3;

¹⁴¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 16 თებერვალის #1/2/213,243 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - უტა ლიპარტია, გიორგი ხმელიძე, ელისო ჯანაშია და გოჩა ღაღუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁴²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის #1/3/136 გადაწყვეტილება საქმეზე I.პ.8;

¹⁴²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 3 ივლისის # 2/6/205,232 გადაწყვეტილება, პ.1 [კონსტიტუციურობის პოზიცია];

იმ ტიპის საერთაშორისო დოკუმენტთან მიმართებით ითხოვს, რაზეც ზემოთ იყო საუბარი.

ამგვარი შემთხვევებიდან განსაკუთრებით საინტერესოა პაატა დობოჯგინიძის საქმე, აქ მოსარჩელე ერთი მხრივ მიუთითებდა კონსტიტუციის 39-ე მუხლზე (მე-7 მუხლთან კავშირში),¹⁴²² მიაჩნდა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი ავალებს საკონსტიტუციო სასამართლოს, იხელმძღვანელოს ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით და კონსტიტუციის 39-ე მუხლის თანახმად, დაიცვას ის უფლებებიც, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციით, მაგრამ გამომდინარეობს მისი სულისკვეთებიდან.“¹⁴²³ თუმცა მეორე მხრივ იგი სადავო ნორმის წინააღმდეგობას მიმართავდა საერთაშორისო ხელშეკრულებისკენ: „სადავო ნორმა ეწინააღმდეგება ევროპის სოციალური ქარტიის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტს, რომლის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, აღიარონ თითოეული მუშაკის მიერ დასაქმების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წინასწარ მიღების უფლება.“¹⁴²⁴

საკონსტიტუციო სასამართლომ ეს საქმე დასაშვებად არ ცნო, მიიჩნია, რომ თუმცა მოსარჩელე მიუთითებდა საქართველოს კონსტიტუციის მე-7 და 39-ე მუხლებზე, იგი ამავდროულად ხაზს უსვამს საკონსტიტუციო სასამართლოს ვალდებულებას, ეხელმძღვანელა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით.¹⁴²⁵ ამ უკანასკნელის უფლებამოსილება კი მას არ გააჩნდა.¹⁴²⁶

განხილული სასამართლო პრაქტიკა არ წარმოადგენს იდენტურ მოვლენაზე ორ სხვადასხვაგვარ მიდგომას. საქმე ის არის, რომ როდესაც მოსარჩელე კონსტიტუციური უფლების დამდგენ ნორმად რომელიმე საერთაშორისო დოკუმენტს უთითებს და სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას მასთან მიმართებაში ითხოვს, ამ შემთხვევაში სარჩელის წარმოება მიღება არ ხდება, მაგრამ თუ მოსარჩელე უფლების დამდგენ ნორმად კონსტიტუციის 39-ე მუხლს უთითებს, ხოლო საერთაშორისო დოკუმენტზე, როგორც მტკიცებულებაზე, დამატებით არგუმენტზე ისე უთითებს, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს საშუალება განიხილოს წარმოდგენილი სარჩელი.

ამ მხრივ საინტერესოა სასამართლოს პრაქტიკა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ 39-ე მუხლი არც იმ შემთხვევაში გამოიყენა, როდესაც

¹⁴²² საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი: სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით;

¹⁴²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 9 ივნისის #2/6/465 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე პაატა დობოჯგინიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. I.3.11; ¹⁴²⁴ იქვე;

¹⁴²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 9 ივნისის #2/6/465 განჩინება, II.3.7.;

¹⁴²⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს კანონი, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი. საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს: საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი;

კონკრეტული უფლების დამდგენი ნორმა არსებობდა მე-2 თავში, თუმცა მხარეს საკუთარი პოზიციის განსამტკიცებლად საერთაშორისო ხელშეკრულება მოყავდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარ სიტუაციაში სრულიად საკმარისია კონსტიტუციის კონკრეტული უფლების დამდგენი მუხლის მითითება.¹⁴²⁷

საკონსტიტუციო სასამართლოს საბოლოო მიდგომა ასახულია გადაწყვეტილებაში რომელიც პლენუმმა გამოიტანა და რომელიც პირველად სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“ გამოიყენა „...კონსტიტუციური ნორმის მიზანია უზრუნველყოს უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციით, მაგრამ გამომდინარეობს კონსტიტუციური პრინციპებიდან და ადამიანის უფლებების სფეროში სახელმწიფოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებიდან ... მოსარჩელეს შეუძლია... 39-ე მუხლზე აპელირება იმ შემთხვევაში, როდესაც უფლება არ არის მოცემული საქართველოს კონსტიტუციაში ან კონსტიტუციური უფლების ფარგლები არის უფრო ვიწრო, ვიდრე ეს საერთაშორისო ვალდებულებებით არის გათვალისწინებული.“¹⁴²⁸ თუმცა ეს არ ნიშნავს, იმას თითქოს 39-ე მუხლი გამოიყენებოდეს უფლების დამდგენი კონსტიტუციური ნორმების საერთაშორისო დოკუმენტებით გათვალისწინებული უფლებების ადეკვატურად შინაარსის გაფართოებისთვის, როდესაც განმარტების შედეგად იმავე კონსტიტუციურ ნორმებში შესაძლებელია იგივე შინაარსის ამოკითხვა. 39-ე მუხლი გამოიყენება მაშინ, როდესაც განმარტების მეშვეობითაც კი არ არის შესაძლებელი კონსტიტუციის უფლების დამდგენი ნორმებიდან იმ შინაარსის ადეკვატური სტანდარტების მოძიება, რა შინაარსიც მოცემულია საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტში.

ამის საილუსტრაციოდ ასვე შესაძლებელია კიდევ ერთი გადაწყვეტილების მოყვანა, 2007 წელს არსებული მიდგომით სასამართლომ სარჩელი 39-ე მუხლთან მიმართებაში დასაშვებად ცნო იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე ასევე მიუთითებდა სხვა კონსტიტუციური უფლების დამდგენ ნორმებს. საკითხი შეეხებოდა „სასჯელის ინდივიდუალიზაციის“ პრინციპს. სასამართლომ აღნიშნა, რომ „...მოსარჩელემ განმწესრიგებელ სასამართლო

¹⁴²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მარტის #1/5/362-363,367 განჩინება საქმეზე დავით მირცხულავა (362-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელით), გიორგი კუპრეიშვილი (363-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელით), შალვა და ვლადიმერ დოლიძეები (367-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელით) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2006 წლის 4 აპრილის #1/6/368 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ვიტალი მიხელიძე და ავთანდილ გორგილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁴²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2011 წლის 11 ივლისის #3/2/416 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.66; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ, II.3.22-23; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 30 ივლისის #1/5/489-498 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ოთარ კვენეტაძე და იზოლდა რჩელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.3;

სხდომაზე დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და დაასახელა კონსტიტუციის ის დებულებები, რომელთა შინაარსიდანაც, მისი აზრით, გამომდინარეობს და, შესაბამისად აღიარებულია „სასჯელის ინდივიდუალიზაციის“ პრინციპი. საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნულ დებულებებთან დაკავშირებით, სასამართლო მიუთითებს, აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე, რომლის თანახმად, კონვენციის საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტისა და 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის პირველი წინადადების ანალოგიური შინაარსის დებულებები საკმაოდ ფართოდ იქნა განმარტებული და მათში ევროპულმა სასამართლომ, ასევე მოიაზრა „სასჯელის ინდივიდუალიზაციის“ პრინციპიც. ამრიგად, სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ მოსარჩელე მხარემ მოიყვანა ის მტკიცებულებები, რომლებიც ასაბუთებენ სადავო ნორმის მიმართებას კონსტიტუციის შესაბამის დებულებებთან, რაც საკმარისია სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებისათვის.”¹⁴²⁹ მოგვიანებით, სასამართლომ საქმის არსებითი განხილვის დროს მიიჩნია, რომ ზემოაღწერილ პირობებში არ იდგა ნორმის 39-ე მუხლთან კონსტიტუციურობის შემოწმების აუცილებლობა,¹⁴³⁰ ვინაიდან აღნიშნული პრინციპი დაცული იყო კონსტიტუციის სხვა მუხლებით.¹⁴³¹

2. 39-ე მუხლით დადგენილი ცალკეული უფლებების დაცვის სტანდარტები

2.1. სოციალური უფლებები

საკონსტიტუციო სასამართლო სოციალური გარანტიებით სარგებლობის უფლების დადგენისთვის პირველ რიგში ჯგუფის შესაბამისი სტატუსით დაინტერესდა და ყურადღება მათ სოციალურ მდგომარეობაზე გაამახვილა, კერძოდ კი იმ ასპექტზე, რომ ეს პირები მოკლებულნი არიან თვითუზრუნველყოფის შესაძლებლობას, რის გამოც სახელმწიფოს განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ.¹⁴³²

საკონსტიტუციო სასამართლომ 39-ე მუხლის მოთხოვნების (დასახელებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტების გათვალისწინებით) შესახებ განაცხადა შემდეგი: „...ყოველი სახელმწიფო ვალდებულია არსებული რესურსების ფარგლებში მოსახლეობის სოციალური უფლებების დასაცავად მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავდეს, რათა ამ უფლებათა დაცვის, სულ მცირე, მინიმალურად აუცილებელი დონე მაინც რომ უზრუნველყოს. სხვანაირად, აზრი ეკარგება სახელმწიფოთა საერთაშორისო - სამართლებრივ ვალდებულებებს, რაც გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოს მოქმედებანი ამ მიმართულებით სტაბილურ, ევოლუციურ ხასიათს უნდა ატარებდეს და დადებითი დინამიკით გამოირჩეოდეს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში

¹⁴²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 29 მაისის #2/2/416 საოქმო ჩანაწერი II.3.1;

¹⁴³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2011 წლის 11 ივლისის #3/2/416 გადაწყვეტილება, II.3.67;

¹⁴³¹ საქართველოს კონსტიტუციის მე-40 და 42-ე მუხლები;

¹⁴³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის #1/1/126,129,158 გადაწყვეტილება, პ.11;

მოსარჩელეთა მიმართ დარღვეულია ეს მოთხოვნები. შეღავათი, რომელიც საკანონმდებლო ცვლილებებამდე ზოგჯერ სრულად ათავისუფლებდა მოსარჩელებს ელექტროენერჯის საფასურის გადახდისაგან, გონივრულ ზღვარამდე კი არ შემცირებულა, არამედ იმდენად უმნიშვნელო გახდა, რომ მას სიმბოლურად თუ შეიძლება ეწოდოს შეღავათი...¹⁴³³

სასამართლოს მიდგომა ამ საკითხთან მიმართებაში შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

- სახელმწიფოს ვალდებულება სოციალური უფლებების დაცვის თავლსაზრისით (1) არსებული რესურსების ფარგლებში, (2) სტაბილური ეკოლოგიურობისა და (3) სრული რეალიზაციის პრინციპით განისაზღვრება;
- ამავდროულად სახელმწიფოს მიერ დაწესებული ბენეფიტი არსებულ საჭიროებებს მინიმალური სტანდარტით მაინც უნდა აკმაყოფილებდეს;¹⁴³⁴

სასამართლომ სოციალური უფლებებით სარგებლობის სტანდარტად კიდევ ერთი კრიტერიუმი შემოიტანა: „გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფოს ამ ვალდებულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვის ჩამოყალიბებაში. ელექტროენერჯია, წყალი და ბევრი სხვა აუცილებელი მოხმარების საგნები ადამიანისათვის სასიცოცხლო სიკეთეებს მიეკუთვნება და ქვეყანა, რომელიც აშენებს სოციალურ სამართლებრივ სახელმწიფოს, ვალდებულია თავის თავზე იღებდეს არასტაბილური ეკონომიკის უარყოფით შედეგებს. ... როცა შეუძლებელია დაბალი ტარიფების ხელოვნურად შენარჩუნება, მაგალითად სოციალური საფუძვლებით, ანტიინფლაციური პოლიტიკის მიზნებით, ამგვარ შემთხვევებში, თუკი ეს გამართლებულია, სხვა სახის ქმედებები უნდა განხორციელდეს. ერთ-ერთ ასეთ ქმედებად ჩვენს პირობებში სახელმწიფოს მხრიდან აღებული მყარად გარანტირებული და სტაბილური ვალდებულება უნდა მივიჩნიოთ. ... ტარიფის განსაზღვრა ... სახელმწიფოს ბიუჯეტთან უნდა იყოს მიბმული და არ უნდა ჰქონდეს ადგილი მის თავისუფალ განსაზღვრას.“¹⁴³⁵

სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ მოსახლეობის ერთი ნაწილის მიმართ სოციალური ვალდებულებების შესრულება არ ათავისუფლებს სახელმწიფოს იმავე ვალდებულების მეორე ნაწილის მიმართ შესრულებისგან „... მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სახელმწიფოს მხრიდან ნაკისრი ეს ვალდებულება ეხება მხოლოდ ქ. თბილისის მოსახლეობას და იგი სამომხმარებლო ტარიფის ზრდის ბოლო შემთხვევით გამოწვეული ტვირთის კომპენსაციას ითვალისწინებს და სრულად ვერ ასახავს სამართლიანი ტარიფისადმი დამოკიდებულებას.“¹⁴³⁶

¹⁴³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის #1/1/126,129,158 გადაწყვეტილება, პ.IV;

¹⁴³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბერის #1/3/136 გადაწყვეტილება, I.8;

¹⁴³⁵ იქვე;

¹⁴³⁶ იქვე;

მნიშვნელოვანი საკითხია სოციალური უფლებების ობიექტების დადგენა, სასამართლოს მიხედვით უფლების რეალიზაციაზე სახელმწიფო იმ შემთხვევაშიც არის პასუხისმგებელი, როდესაც საქმე კერძო ურთიერთობებთან გვაქვს. „სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ სახელმწიფო არამართო მამინა ვალდებული დაიცვას მოქალაქეთა სოციალური უფლებები, როცა ამა თუ იმ მომსახურებას უშუალოდ თვითონ ახორციელებს, არამედ მამინაც, როდესაც ეს მომსახურება კერძო პირთა ხელშია. ქვეყანაში სოციალური საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესი, სახელმწიფოს კიდევ უფრო ვალდებულს ხდის დაიცვას მოსარჩელეთა და მათი მსგავსი კატეგორიის მოქალაქეთა ინტერესები.“¹⁴³⁷

სასამართლომ აგრეთვე ყურადღება გაამახვილა კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, მიიჩნია, რომ დაუშვებელია ადრე მოქმედი შეღავათების, უპირატესობების, უფლებების, დახმარებების გაუქმება ან გაუარესება, თუ არ იქნა მიღებული სხვა ტოლფასი გარანტიები: „...მხოლოდ სტაბილური და სამართლიანი კანონმდებლობა ადამიანის კონსტიტუციით აღიარებული უფლებების დაცვის სერიოზული გარანტი. ნორმატიულმა აქტმა მხოლოდ ასე შეიძლება შეინარჩუნოს სრულად მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. აღნიშნულ მოთხოვნათა უგულვებელყოფით კი ირღვევა კანონთა სამართლიანობისა და შეუქცევადობის პრინციპები.“¹⁴³⁸

რაც შეეხება უფლების შეზღუდვის სტანდარტებს, იმავე საქმეში ამგვარად მითითებული იყო საბაზრო ეკონომიკა, რომელიც თითქოსდა გამორიცხავდა სოციალური დაცვის ამგვარ სისტემას. სასამართლომ განაცხადა, რომ „სოციალური უზრუნველყოფის სისტემისადმი ასეთი დამოკიდებულება ... გაუმართლებლად მიაჩნია. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სიკეთეთა სამართლიანი განაწილება სულაც არ გამორიცხავს გარკვეული კატეგორიის მოქალაქეთათვის ისეთი შეღავათების დაწესებას, რაც საზოგადოებრივი სოლიდარობისა და მხარდაჭერის გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს...“¹⁴³⁹

სასამართლომ ასევე შეამოწმა სოციალური ბენეფიტების აღდგენა, რამდენად მძიმე ტვირთად დააწვებოდა შესაბამის სახელმწიფო ინსტიტუტებს.¹⁴⁴⁰

სოციალური სახელმწიფოს პრინციპის შესახებ მსჯელობა სასამართლოს კიდევ ერთ გადაწყვეტილებაშია, რომელიც კომუნალური მომსახურების ტარიფებს შეეხებოდა. ამჯერად სასამართლო რამდენიმე პრინციპს შეეხო:

ა) სამოქალაქო ბრუნვის ინტერესი;

„სატარიფო პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს სამოქალაქო ბრუნვის ყველა მონაწილის პატივსაღები ინტერესების გათვალისწინება. სამართლიანი

¹⁴³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის #1/1/126,129,158 გადაწყვეტილება, პ.V;

¹⁴³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის #1/1/126,129,158 გადაწყვეტილება, პ.VI;

¹⁴³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის #1/1/126,129,158 გადაწყვეტილება, პ.V;

¹⁴⁴⁰ იქვე;

ტარიფის არსებობა შესაბამისი სფეროს ნორმალური და სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ვინაიდან ... სამოქალაქო ბრუნვა გულისხმობს კონკრეტულ მომხმარებელს, დაუშვებელია დადგინდეს ისეთი ტარიფები, რომელიც მას ამ ბრუნვიდან მოწყვეტს და მის მიღმა დააყენებს.”¹⁴⁴¹

ბ) სოციალური საჯარო წესრიგი

„სემეკის მიერ დადგენილი სამომხმარებლო ტარიფი არ შეესაბამება სოციალური საჯარო წესრიგის მოთხოვნებს, რომლის მიზანსაც შეადგენს ის, რომ არ მოხდეს სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპების აბსოლუტური იგნორირება და მომხმარებლის, როგორც ბრუნვის მონაწილის, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩაყენება.”¹⁴⁴²

გ) სამეწარმეო საქმიანობის (ბრუნვის) განვითარება

„...მოსახლეობის დიდ ნაწილს თავისი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, არათუ არსებული ტარიფის, არამედ მასზე ბევრად უფრო დაბალის გადახდაც კი არ შეუძლია. ასეთ ვითარებაში მოქმედი სამომხმარებლო ტარიფი იქცევა იმ ფაქტორად, რომელიც ხელს კი არ უწყობს სამეწარმეო საქმიანობის (ბრუნვის) განვითარებას ... არამედ დაბრკოლებად იქცევა ამ გზაზე.”¹⁴⁴³

დ) გადახდისუნარიანობა, როგორც სამართლიანი ტარიფის განსაზღვრისა და ცოცხალი სამოქალაქო ბრუნვის მნიშვნელოვანი პირობა

„...სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ მოსახლეობის რეალური საშემოსავლო-ეკონომიკური მდგომარეობა როგორც ამ პერიოდში, ისე დღესდღეობით ბევრად ჩამორჩება სამომხმარებლო კალათისა და საარსებო მინიმუმის მაჩვენებლებს. ამიტომ ტარიფის დადგენისას აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მომხმარებელთა რეალური გადახდისუნარიანობა, რაც სამართლიანი ტარიფის განსაზღვრისა და ცოცხალი სამოქალაქო ბრუნვის მნიშვნელოვანი პირობა იქნება.”¹⁴⁴⁴

2.2. სამართლიანი სასამართლო

საკონსტიტუციო სასამართლომ 39-ე მუხლიდან გამომდინარე იმსჯელა უფლებაზე, რომელიც სამართლიანი სასამართლოს კონცეფციის შემადგენელი ნაწილია. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ აღნიშნული მუხლიდან

¹⁴⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბერის #1/3/136 გადაწყვეტილება, I.3.4;

¹⁴⁴² იქვე;

¹⁴⁴³ იქვე;

¹⁴⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბერის #1/3/136 გადაწყვეტილება, I.3.5;

გამომდინარეობს საქმის ღია (საქვეყნო, საჯარო) მოსმენაზე (განხილვაზე) საყოველთაოდ აღიარებული უფლება და ამის საილუსტრაციოდ მოყავდა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის“ მე-6 მუხლი.

სასამართლომ განმარტა რა მითითებული ნორმა, ამით განსაზღვრა 39-ე მუხლის დაცვის ფარგლები. სასამართლომ მიიჩნია, რომ „...ევროკონვენციის დასახელებული მუხლი საჯარო სასამართლო განხილვას სავალდებულოდ ითვალისწინებს ყოველი ადამიანის „სამოქალაქო უფლებამოვალეობათა განსაზღვრისას ან მისთვის წაყენებული სისხლისსამართლებრივი ბრალდების განხილვის...“ შემთხვევაში. აღნიშნავთ, რომ სასამართლო წესით „სამოქალაქო უფლებამოვალეობათა“ განსაზღვრა უნდა განხორციელდეს სასამართლო განხილვაზე მხარეთა მიერ წარმოდგენილი მოთხოვნების, მოსაზრებებისა და მტკიცებულებების სასამართლოს მიერ შეფასების გზით. ამრიგად, [ეს უფლება] გულისხმობს ისეთ სასამართლო განხილვას, რომელზეც ხდება კონკრეტული პირების (მხარეების) მიერ წამოყენებული სამოქალაქო სასამართლებრივი მოთხოვნების შეფასება და აქედან გამომდინარე მათი (მხარეების) „სამოქალაქო უფლებამოვალეობათა განსაზღვრა.“ აღნიშნულ სასამართლო განხილვაზე მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ და გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები და მტკიცებულებები, ამასთან თვითონვე განსაზღვრონ თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ის ფაქტები, რომელთა შეფასებითაც საქმის განმხილველი სასამართლო განსაზღვრავს მხარეთა „სამოქალაქო უფლებამოვალეობებს“. ფაქტების დამდგენი სასამართლოსაგან განსხვავებით, საკასაციო სასამართლო ძირითადად არკვევს სამართლის ნორმების დარღვევას ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ. ... საკასაციო სასამართლო საჩივრის განხილვისას ამოწმებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებას და უშუალოდ არ განსაზღვრავს ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მხარეთა „სამოქალაქო უფლებამოვალეობებს.“ ... უფლება საჯარო სასამართლო განხილვაზე მოიცავს უფლებას ზეპირ განხილვაზე პირველი ინსტანციის სასამართლოში და ეს სავალდებულო მოთხოვნა არ ვრცელდება შემდგომი ინსტანციის სასამართლოებზე. ... საკასაციო სასამართლოს უშუალო ფუნქციაა კონკრეტულ საქმეზე დაადგინოს სამართლებრივი გარემოებები, კერძოდ კი, თუ როგორია: „მატერიალური და პროცესუალური ნორმების გამოყენება.“¹⁴⁴⁵

2.3. არჩევნები

სასამართლომ 39-ე მუხლი გააფართოვა საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებებით, რომლის მონაწილეც საქართველო იყო. კერძოდ, „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის“

¹⁴⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 3 ივლისის #2/6/205,232 გადაწყვეტილება, პ.1 [არაკონსტიტუციურობის პოზიცია];

25-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც თითოეულ მოქალაქეს რაიმე დისკრიმინაციისა და დაუსაბუთებელ შეზღუდვათა გარეშე, უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა მონაწილეობდეს სახელმწიფო საქმეთა წარმოებაში როგორც უშუალოდ, ისე თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების საშუალებით. სასამართლომ განაცხადა, რომ „პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო და, მაშასადამე, საქართველოც კისრულობს ვალდებულებას პატივი სცეს და მისი ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისთვის უზრუნველყოს ამ პაქტით აღიარებული უფლებები იმ სხვადასხვაგვარი გარემოებების განურჩევლად, რომელთა შორის საცხოვრებელი ადგილიც მოიაზრება“.¹⁴⁴⁶

სასამართლო ასევე დაეყრდნო ევროპულ ქარტიას „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციას #1415 (2004), რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებით მოითხოვს, რომ „დასრულდეს ტერიტორიული და ადმინისტრაციული რეფორმა შემდგომ ადგილობრივ არჩევნებამდე და უზრუნველყოფილი იქნეს მისი განხორციელება ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის ჭრილში, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება მერების არჩევას“.¹⁴⁴⁷

საბოლოოდ საკონსტიტუციო სასამართლომ დასკვნა, რომ „სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მოსახლეობის უფლება – დამოუკიდებლად, სახელმწიფო ორგანოების ან თანამდებობის პირების ჩაურევლად შექმნან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და აირჩიონ შესაბამისი ხელმძღვანელები.“¹⁴⁴⁸

3. სუბიექტი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის სუბიექტზე განსაკუთრებული მსჯელობა არა აქვს, თუმცა თვით კონსტიტუციის ნორმის ჩანაწერის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ ნორმით დაცული უფლების სუბიექტია ადამიანი და მოქალაქე. სასამართლომ 39-ე მუხლის შინაარსის განსაზღვრისას განაცხადა, რომ კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა „...ცალკე, არ შეიცავს ადამიანისა და მოქალაქის უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს. ...“.¹⁴⁴⁹

4. დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლთან დაკავშირებული საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა შემდეგ საკითხებზე შეიძლება შეჯამდეს:

¹⁴⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 16 თებერვალის #1/2/213,243 გადაწყვეტილება;

¹⁴⁴⁷ იქვე;

¹⁴⁴⁸ იქვე;

¹⁴⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 3 ივლისის # 2/6/205,232 გადაწყვეტილება, პ.1 [არაკონსტიტუციურობის პოზიცია]; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის #1/1/126,129,158 გადაწყვეტილება, პ.III;

- შეუძლებელია სადავო ნორმის კონსტიტუციურობის დადგენა საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლთან მიმართებით ისე რომ მითითებული არ იყოს კონკრეტული უფლება და ამ უფლების კონსტიტუციის პრინციპებიდან გამომდინარეობის საკითხი;
- სოციალური უფლებები უნდა მივიჩნიოთ კონსტიტუციის 39-ე მუხლის შინაარსით გათვალისწინებულ და სახელმწიფოს მიერ აღიარებულ იმ უფლებებად, რომელთა დაცვის მძლავრი მექანიზმების შესაქმნელად სახელმწიფო ვალდებულია გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა მართებული საშუალება;
- სასამართლო პრაქტიკაში აზრი ორად გაიყო:
 - 39-ე მუხლის საშუალებით შესაძლოა საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელოს იმ დებულების დარღვევაზე, რომელიც მეორე თავის გარეთ არის მოხსენიებული;
 - 39-ე მუხლის საშუალებით შესაძლოა საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელოს იმ დებულების დარღვევაზე, რომელიც მხოლოდ მეორე თავის ფარგლებში არის მოხსენიებული;
- როდესაც მოსარჩელე კონსტიტუციური უფლების დამდგენ ნორმად რომელიმე საერთაშორისო დოკუმენტს უთითებს და სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას მასთან მიმართებაში ითხოვს, ამ შემთხვევაში სარჩელის წარმოება მიღება არ ხდება, მაგრამ თუ მოსარჩელე უფლების დამდგენ ნორმად კონსტიტუციის 39-ე მუხლს უთითებს, ხოლო საერთაშორისო დოკუმენტზე როგორც მტკიცებულებაზე ისე უთითებს, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს საშუალება განიხილოს წარმოდგენილი სარჩელი;
- კონსტიტუციის 39-ე მუხლის მიზანია უზრუნველყოს უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციით, მაგრამ გამომდინარეობს კონსტიტუციური პრინციპებიდან და ადამიანის უფლებების სფეროში სახელმწიფოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებიდან;
- მოსარჩელეს შეუძლია 39-ე მუხლზე აპელირება იმ შემთხვევაში, როდესაც უფლება არ არის მოცემული საქართველოს კონსტიტუციაში ან კონსტიტუციური უფლების ფარგლები არის უფრო ვიწრო, ვიდრე ეს საერთაშორისო ვალდებულებებით არის გათვალისწინებული;

5. საქმეები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 39-ე მუხლთან მიმართებაში განიხილა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 29 მაისის #2/2/416 საოქმო ჩანაწერი /საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 9 ივნისის

#2/6/465 საოქმო ჩანაწერი /საქართველოს მოქალაქე პაატა დობორჯგინიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება

ნინო იოსელიანი სამცხე-ჯავახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის და საქართველოს განათლების სამინისტროს წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 1997 წლის 4 ნოემბერის # 2/33/1 განჩინება/

ომარ შერაზადიშვილი, თამაზ კოლუა, ვახტანგ რაზმაძე, რევაზ ყიფიანი, გიორგი ნადარეიშვილი და ნუგზარ სოტკილავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 29 მარტის #2/7/365,371 განჩინება/

დავით მირცხულავა (362-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელით), გიორგი კუპრეიშვილი (363-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელით), შალვა და ვლადიმერ დოლიძეები (367-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელით) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მარტის #1/5/362-363,367 განჩინება/

საქართველოს მოქალაქეები – ვიტალი მიხელიძე და ავთანდილ გორგილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2006 წლის 4 აპრილის #1/6/368 განჩინება/

საქართველოს მოქალაქეები _ გიორგი გოგნიაშვილი, უტა ლიპარტია, ხვიჩა ჭანტურია და ლევან ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 აპრილის #1/7/372 განჩინება/

საქართველოს მოქალაქეები _ დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება/

საქართველოს მოქალაქეები _ ოთარ კვენეტაძე და იზოლდა რჩეულიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 30 ივლისის #1/5/489-498 განჩინება/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

მოქალაქე ოთარ ზოიძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 20 თებერვალის #1/3 - 21 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები – (1) ბაჭუა გაჩეჩილაძე, სიმონ თურვანდიშვილი, შოთა ბუაძე, სოლომონ სანადირაძე და ლევან ქვაცბაია, (2) ვლადიმერ დობორჯგინიძე, ნინელი ანდრიაძე, გურამ დემეტრაშვილი და შოთა პაპიაშვილი, (3) გივი დონაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

/საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის #1/1/126,129,158 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბერის #1/3/136 გადაწყვეტილება/

1. მოქალაქე ავთანდილ რიჟამაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 2. მოქალაქე ნელი მუმლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 3 ივლისის # 2/6/205,232 გადაწყვეტილება/

მოქალაქე კახაბერ მაგანია საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 22 ივნისის # 2/2/245 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქე ანზორ თევზაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 ნოემბერის #1/5/224 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები - უტა ლიპარტია, გიორგი ხმელიძე, ელისო ჯანაშია და გოჩა ღადუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 16 თებერვალის #1/2/213,243 გადაწყვეტილება/

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2011 წლის 11 ივლისის #3/2/416 გადაწყვეტილება/

მუხლი 40

1. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.
2. არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.
3. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

შესავალი

1. მე-40 მუხლის პირველი პუნქტი
 - 1.1. დაცული სფერო
 - 1.2. სუბიექტი
 - 1.3. დასკვნა
 - 1.4. საკმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით
2. მე-40 მუხლის მე-2 პუნქტი
 - 2.1. დაცული სფერო
 - 2.2. სუბიექტი
 - 2.3. დასკვნა
 - 2.4. საკმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით
3. მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი
 - 1.1. დაცული სფერო
 - 1.2. სუბიექტი
 - 1.3. დასკვნა
 - 1.4. საკმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლი განამტკიცებს უდანაშაულობის პრეზუმფციას, იძლევა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების გარანტიას, იცავს ბრალეულ პირს გამამტყუნებელი განაჩენისაგან, თუ ეს უკანასკნელი კანონიერ საფუძვლებს არ ემყარება. უდანაშაულობის პრეზუმფცია მოქმედებს სისხლის სამართლის საქმის წარმოების მთელი პროცესის განმავლობაში. უდანაშაულობის პრეზუმფცია ასევე ავალდებულებს სასამართლოსაც, რომ წინასწარი დასკვნების გაკეთებისაგან თავი შეიკავოს, რადგან პირის ბრალეულობა დამტკიცებული უნდა იყოს ბრალდების მხარის მიერ და ყოველგვარი ეჭვი გადაწყდება ბრალდებულის სასარგებლოდ. იგი (უდანაშაულობის პრეზუმფცია) არ გამორიცხავს შესალებლობას, სახელმწიფო უფლებამოსილმა ორგანოებმა საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდონ სისხლის სამართლის საქმის წარმოების შესახებ, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს ძალიან ფრთხილად, რათა არ დაირღვეს პირის უდანაშაულობის პრეზუმფცია.

1. მე-40 მუხლის პირველი პუნქტი

1.1. დაცული სფერო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ რამდენიმე საქმეში განმარტა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლოში დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5¹ ნაწილის – „თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუუნაროა, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს“ – კონსტიტუციურობა კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტთან მიმართებით.¹⁴⁵⁰

მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმა ითვალისწინებდა მშობლისთვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას, მშობელს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა (ჯარიმა) ეკისრებოდა დანაშაულის ჩადენისა და გამამტყუნებელი განაჩენის გარეშე, მხოლოდ იმიტომ, რომ მის არასრულწლოვან შვილს დამოუკიდებელი შემოსავალი არ გააჩნდა. აღნიშნული, მოსარჩელის აზრით, გულისხმობდა სხვის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას. ამდენად, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველ პუნქტს.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სასამართლო ამ დავაში არ იდგა კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის სრულყოფილი განმარტების წინაშე და შესაბამისად, აღნიშნულის გათვალისწინებით, განმარტა კონსტიტუციის ამ ნორმის შინაარსი: „კონსტიტუციის

¹⁴⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის #3/2/416 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

მითითებული ნორმით, ზოგადად რეგლამენტირებულია უდანაშაულობის (არაბრალეულობის) პრეზუმფციის გარანტია ... უდანაშაულობის (არაბრალეულობის) პრეზუმფცია წარმოადგენს სისხლის სამართლის სახელმძღვანელო პრინციპს, რომელიც მათ შორის გულისხმობს, ყველას მოექცენ იმ დაშვებით, რომ ის უდანაშაულოა მანამ, ვიდრე ჯეროვანი პროცედურის გავლით, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით არ დამტკიცდება მისი დამნაშავეობა. შესაბამისად, ჯეროვანი პროცედურის გარეშე დაუშვებელია პირის აღიარება დამნაშავედ“.¹⁴⁵¹

სასამართლომ აქვე განსაზღვრა კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის შეფასების ტესტი, რომლითაც დგინდება, დარღვეულია თუ არა ეს ნორმა. სასამართლომ განაცხადა: „იმისათვის, რომ დადგინდეს, დარღვეულ იქნა თუ არა კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი, პირველ რიგში გასარკვევია, ხდება თუ არა ... ბრალეულ პირად, დამნაშავედ აღიარება. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი იმის გარკვევა, ვალდებული იყო თუ არა სახელმწიფო, დაეცვა უდანაშაულობის (არაბრალეულობის) პრეზუმფციის გარანტიები“.¹⁴⁵²

სადავო ნორმასთან მიმართებით სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა არ ადგენდა გადახდისუუნარო არასრულწლოვანი მსჯავრდებული პირის მშობლის (მეურვის, მზრუნველის) სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. სასამართლომ აღნიშნა, რომ თუკი სადავო ნორმის მოქმედებით არ ხდება პირის ბრალეულად, დამნაშავედ მიჩნევა და მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება რაიმე ქმედებისათვის, მაშინ ნორმა კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველ პუნქტთან სრულ შესაბამისობაშია.¹⁴⁵³

ამავე საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ „გადახდისუუნარო არასრულწლოვან მსჯავრდებულ პირზე დაკისრებული ჯარიმის მშობლის (მეურვის, მზრუნველის) მიერ გადახდის დაკისრების ვალდებულება არ შეიძლება გაგებულ იქნეს ჯარიმის (სისხლისსამართლებრივი სასჯელის) დაკისრებად, ამისათვის აუცილებელია, რომ სახელმწიფოს ქმედება შეიცავდეს პირზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ელემენტებსა და მიზნებს“.¹⁴⁵⁴ სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმის შინაარსის გათვალისწინებით, სახელმწიფოს ქმედებაში არ იკვეთებოდა მშობლის (მეურვის, მზრუნველის) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის - სასჯელის დაკისრების მიზნები: სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება (პრევენცია), დამნაშავის რესოციალიზაციის ელემენტები, მას არ უკავშირდება დამატებითი სამართლებრივი შედეგები.¹⁴⁵⁵

¹⁴⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის #3/2/416 გადაწყვეტილება, II.პ. 62;

¹⁴⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის #3/2/416 გადაწყვეტილება, II.პ. 63;

¹⁴⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის #3/2/416 გადაწყვეტილება, II.პ. 64;

¹⁴⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის #3/2/416 გადაწყვეტილება, II.პ.52;

¹⁴⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის #3/2/416 გადაწყვეტილება, II.პ.52;

სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ნორმით მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩამდენია არა მშობელი (მეურვე, მზრუნველი), არამედ არასრულწლოვანი, სასჯელი სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი იყო არა მშობლის (მეურვის, მზრუნველის), არამედ არასრულწლოვანის მიმართ. მშობელი (მეურვე, მზრუნველი) სისხლის სამართლის პროცესის წარმოების არცერთ ეტაპზე არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი, იგი არ ექვევა სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის მხარედ, მას ბრალი არ ედება რომელიმე სისხლის სამართლებრად აკრძალული ქმედების ჩადენაში. გარდა ამისა, იურიდიული თვალსაზრისით, დანაშაული ჩდენილია მხოლოდ მაშინ, თუ იგი დადასტურებულია პირის მიმართ გამოტანილი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით (უდანაშაულობის (არაბრალეულობის) პრეზუმფცია). სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი კი გამოტანილია არასრულწლოვანის მიმართ. ამასთან, მშობლის (მეურვის, მზრუნველის) მიმართ არც ის სამართლებრივი შედეგები ვრცელდება, რაც მოჰყვება გამამტყუნებელ განაჩენს (პირის ნასამართლობა, დანაშაულის რეციდივი და სხვ.), და თუ მშობლის (მეურვის, მზრუნველის) მიერ ვერ მოხერხდება ჯარიმის გადახდა, არასრულწლოვანისათვის დაკისრებული სასჯელი-ჯარიმა არასრულწლოვანსვე შეეცვლება სხვა სასჯელით.¹⁴⁵⁶

საკონსტიტუციო სასამართლომ კიდევ ერთ საქმეში განიხილა კონსტიტუციის ზემოაღნიშნული დებულება. ამ კონკრეტულ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების შესახებ კანონმდებლობის კონსტიტუციურობა. მოსარჩლეებისათვის ერთ-ერთ სადავო საკითხს წარმოადგენდა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის საქმის განხილვა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, მიაჩნდათ, რომ ის სისხლის სამართლის სფეროს განეკუთვნებოდა. როგორც მოსარჩლეები აღნიშნავდნენ, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვისას ირღვეოდა მნიშვნელოვანი კონსტიტუციური პრინციპი - უდანაშაულობის პრეზუმფცია.¹⁴⁵⁷

სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტით „დადგენილია პირის სისხლის სამართლის დამნაშავედ მიჩნევის პირობები“.¹⁴⁵⁸ საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევისთვის აუცილებელი იყო პირისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.¹⁴⁵⁹

საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ სადავო ნორმა არ შეიძლება და შეფასებულიყო კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით,¹⁴⁶⁰ რადგან „უკანონო და დაუსაბუთებელი

¹⁴⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის #3/2/416 გადაწყვეტილება, II.3.45;

¹⁴⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება საქმეზე 1) მოქალაქეები: ლილი თელია, არჩილ მეფარიძე და გურამ თოხაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 2) მოქალაქე სერგო გოგიტიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 3) მოქალაქე როსტომ ბოლქვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 3.4;

¹⁴⁵⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება, 3.5;

¹⁴⁵⁹ იქვე;

¹⁴⁶⁰ იქვე;

ქონების ჩამორთმევის სისხლის სამართლის საქმიდან გამოყოფისა და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით სარჩელის აღძვრის შემდეგ საქმე გვაქვს წმინდა ქონებრივი შინაარსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დავასთან, თანამდებობის პირს მოეთხოვება მის მფლობელობაში არსებული ქონების კანონიერების დასაბუთება და არავითარ შემთხვევაში არ განიხილება დამნაშავეობისა ან უდანაშაულობის საკითხი...¹⁴⁶¹ აქედან გამომდინარე, სადავო ნორმა არ ეხებოდა უდანაშაულობის პრეზუმფციას.¹⁴⁶²

ამსაქმეში სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ სადავო ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობაში სასამართლო „სარჩელის აღმძვრელ პირს (პროკურორს) სახელმწიფოს წარმომადგენლად, მისი ქონებრივი ინტერესების დამცველად მიიჩნევს და არა სახელმწიფო ბრალმძებლად“.¹⁴⁶³

მოსარჩელები სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობის ასაბუთებდნენ ასევე იმ გარემოებით, რომ პროკურორის მიერ სარჩელის აღძვრა ხდებოდა საფუძვლიანი ეჭვის საფუძველზე, თითქოს ქონება კანონდარღვევით იყო მოპოვებული. სასამართლომ მიუთითა, „ეჭვი და ვარაუდი საბოლოოდ გადაწყვეტას არ ნიშნავს და იგი მხოლოდ სარჩელის აღძვრის საფუძველად განიხილება, მით უფრო, რომ ... დადგენილია მოსარჩელის (პროკურორის) ვალდებულება მტკიცებულებათა წარდგენის თაობაზე“.¹⁴⁶⁴

საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა და ერთმანეთისგან გამიჯნა ფაქტის და სამართლის პრეზუმფციები: „პრეზუმფცია სამართლის ზოგად პრინციპს წარმოადგენს და სისხლის სამართლის გარდა, სამართლის დარღვის თავისებურებათა გათვალისწინებით, სხვა დარგშიც გამოიყენება. ... ზიანის მიყენების დროს საქმე გვაქვს პირის ბრალეულობის პრეზუმფციასთან, როდესაც მოსარჩელე ვალდებულია, დაამტკიცოს გარემოებები, რომლებიც სავარაუდოს ხდის მოპასუხის ბრალს, ხოლო მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს, რომ ბრალის გარეშე მოქმედებდა და მასსადამე, სამოქალაქო პასუხისმგებლობის პრეზუმფციის საკითხი დგება. სალაბაიაკის საქმეზე საფრანგეთის წინააღმდეგ ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა პასუხისმგებლობის პრეზუმფციასა და დანაშაულის პრეზუმფციას შორის განსხვავების შედარებით ბუნებაზე, რომ „ფაქტის ან კანონის პრეზუმფცია ყველა სამართლებრივ სისტემაში არსებობს და კონვენციასთან წინააღმდეგობაში არ მოდის. ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებული არიან ამ თვალსაზრისით დაიცვან გონივრული ზღვარი სისხლის სამართლის დებულებებთან დაკავშირებით“.¹⁴⁶⁵

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ქონების წარმომავლობის ფაქტის დადგენისათვის სასამართლოზე მიმართვა არ გამორიცხავს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დაცვას ... ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში იწყება სისხლის სამართლებრივი დევნა, რომელიც სისხლის სამართლის

¹⁴⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება, პ.5;

¹⁴⁶² იქვე;

¹⁴⁶³ იქვე;

¹⁴⁶⁴ იქვე;

¹⁴⁶⁵ იქვე;

პრინციპების (მათ შორის უდანაშაულობის პრეზუმფციის) დაცვით უნდა წარმართოს¹⁴⁶⁶ საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა არ არღვევდა უდანაშაულობის პრეზუმფციას, რადგან საქმე სისხლის სამართალწარმოების წესით არ განიხილებოდა.¹⁴⁶⁷

ერთ-ერთ საქმეში, მოსარჩელე ითხოვდა ნორმის არაკონსტიტუციურობას კონსტიტუციის მე-40 მუხლის სამივე პუნქტთან მიმართ. მოსარჩელე მინდობილობით მართავდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან შემოყვანილ სატრანსპორტო საშუალებას, მაგრამ არ ეძლეოდა შესაძლებლობა მოეხდინა მისი შესაბამისი წესით დარეგისტრირება. მოსარჩელის განცხადებით, სადავო სამართლებრივი აქტით მისი ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად მიჩნევა ხდებოდა ავტომატურად, რადგან აკრძალული იყო საქართველოს ტერიტორიაზე შესაბამისი ავტომანქანით გადაადგილება და დაწესებული იყო პასუხისმგებლობა. საკონსტიტუციო სასამართლომ უარყო მოსარჩელის პოზიცია და განაცხადა, რომ საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში აუცილებელი იყო ნებისმიერი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულება და აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობის დაკისრებაც ხდებოდა კანონდარღვევის საპასუხოდ.¹⁴⁶⁸

1.2. სუბიექტები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2011 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით განსაზღვრა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის გარანტიით სარგებლობა შეეძლო „ყველას“. სასამართლომ განმარტა: „...უდანაშაულობის (არაბრალეულობის) პრეზუმფცია წარმოადგენს სისხლის სამართლის სახელმძღვანელო პრინციპს, რომელიც მათ შორის გულისხმობს, ყველას მოექცნენ იმ დაშვებით, რომ ის უდანაშაულოა მანამ, ვიდრე ჯეროვანი პროცედურის გავლით, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით არ დამტკიცდება მისი დამნაშავეობა. შესაბამისად, ჯეროვანი პროცედურის გარეშე დაუშვებელია პირის აღიარება დამნაშავედ“.¹⁴⁶⁹ აღნიშნული გულისხმობს გარანტიის მოქმედებას ყველა პირის მიმართ, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა ან სხვა სტატუსისა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2005 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებაში აღნიშნული მუხლის სუბიექტად მიუთითა „პირი“ და აღნიშნა, რომ კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტით „დადგენილია პირის სისხლის სამართლის დამნაშავედ მიჩნევის პირობები“.¹⁴⁷⁰ სასამართლოს პრაქტიკა არ გვადლევს მეტი კონკრეტიკის

¹⁴⁶⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება, პ.5;

¹⁴⁶⁷ იქვე;

¹⁴⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 23 აპრილის #2/1/30 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გურამ შამანიდის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს შინაგან საქმეთა და საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს წინააღმდეგ“;

¹⁴⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის #3/2/416 გადაწყვეტილება, II.3.62.

¹⁴⁷⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება, პ.5;

საფუძველს, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული მუხლის გარანტია შესაძლოა გავრცელდეს იურიდიულ პირებზეც.

1.3. დასკვნა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლო ჯერ არ დამდგარა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის შინაარსის (ფარგლები, შეზღუდის საფუძვლები, ვრცელდება თუ არა მაგალითად, იურიდიული პირზე, როდესაც პირველი პუნქტი მიუთითებს ცნებას „ადამიანი“ და სხვ.) სრულყოფილი განმარტების წინაშე. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შედეგად შესაძლოა შემდეგი ძირითადი საკითხების განსაზღვრა:

- უდანაშაულობის (არაბრალეულობის) პრეზუმფცია წარმოადგენს სისხლის სამართლის სახელმძღვანელო პრინციპს, რომელიც მათ შორის გულისხმობს, ყველას მოექცნენ იმ დაშვებით, რომ ის უდანაშაულოა მანამ, სანამ ჯეროვანი პროცედურის გავლით, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით არ დამტკიცდება მისი დამნაშავეობა. შესაბამისად, ჯეროვანი პროცედურის გარეშე დაუშვებელია პირის აღიარება დამნაშავედ;
- იმისათვის, რომ დადგინდეს, დაირღვა თუ არა კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი, პირველ რიგში გასარკვევია, ხდება თუ არა ბრალეულ პირად, დამნაშავედ აღიარება. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი იმის გარკვევა, ვალდებული იყო თუ არა სახელმწიფო, დაეცვა უდანაშაულობის (არაბრალეულობის) პრეზუმფციის გარანტიები;
- კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია პირის სისხლის სამართლის დამნაშავედ მიჩნევის პირობები;
- უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევისათვის აუცილებელია პირისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება;
- საკონსტიტუციო სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს ფაქტის და სამართლის პრეზუმფციის გამოყენებას და საკითხს წყვეტს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის შესაბამისად.

1.4. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის #3/2/416 გადაწყვეტილება/

1) მოქალაქეები: ლილი თელია, არჩილ მეფარიძე და გურამ თოხაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 2) მოქალაქე სერგო გოგიტიძე

საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 3) მოქალაქე როსტომ ბოლქვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქე გურამ შამანიძის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს შინაგან საქმეთა და საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 23 აპრილის #2/1/30 გადაწყვეტილება/

2. მე-40 მუხლის მე-2 პუნქტი

2.1. დაცული სფერო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დავის საგნის საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მეორე პუნქტთან მიმართებით იმსჯელა 2005 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებაში.¹⁴⁷¹ მოსარჩელები ითხოვდნენ სადავო აქტის არაკონსტიტუციურობას იმ საფუძველით, რომ უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვისას პირი ვალდებული იყო დაემტკიცებინა მისი ქონების კანონიერება. მოსარჩელები მიიჩნევდნენ, რომ აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტს პირისთვის მტკიცების ტვირთის გადაკისრების გამო.

ამ საქმეში სასამართლომ კონსტიტუციის მე-40 მუხლის მოქმედება დაუკავშირა სისხლის სამართლის პროცესს და, იქიდან გამომდინარე, რომ სადავო აქტი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას ეხებოდა, უარყო მოსარჩელეთა მოთხოვნა: „სადავო ნორმებით გათვალისწინებულია არა პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის დანაშაულისათვის, არამედ ქონებრივი ხასიათის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავა, როდესაც თანამდებობის პირი თავის უდანაშაულობას კი არ ამტკიცებს, არამედ ასაბუთებს, რომ მის მფლობელობაში არსებული ქონება შეძენილია კანონიერი გზით მოპოვებული საშუალებებით. აღსანიშნავია, რომ საკუთარი ქონების კანონიერებისა და დასაბუთებულობის მტკიცების ვალდებულება თანამდებობის პირებს ისედაც აკისრიათ.“¹⁴⁷²

საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით ახსნა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისას მტკიცების ტვირთის ექვიტანტობაზე გადატანის არსი: „თანამდებობის პირის ბრალის არარსებობის შემთხვევაში, მას, რომელმაც სხვებზე უკეთ იცის თავისი საქმიანობის სფერო, უფრო მეტი შესაძლებლობა გააჩნია უზრუნველყოს საჭირო მტკიცებულებების წარმოდგენა, ვიდრე ბრლამდებელს. ორივე შემთხვევაში სასამართლო მოვალეა, შეაფასოს ამ პირის ბრალის დამადასტურებელი ან მისი უარყოფის შესახებ წარმოდგენილი მტკიცებულებები“.¹⁴⁷³

საკონსტიტუციო სასამართლომ ზემოაღნიშნულ საქმეში წარმოადგინა მკაფიო შეხედულება ზოგადად სისხლის სამართლის პროცესში მტკიცების ტვირთის დაცვის მხარისთვის დაკისრებასთან დაკავშირებით: „მტკიცების ტვირთის ექვიტანტობაზე გადატანა არ გულისხმობს, რომ ექვიტანტობა არა აქვს შესაძლებლობა წამოყენებული ფაქტების საპირისპირო მტკიცებისათვის.“¹⁴⁷⁴

¹⁴⁷¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება საქმეზე 1) მოქალაქეები: ლილი თელაია, არჩილ მეფარიძე და გურამ თოხაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 2) მოქალაქე სერგო გოგიტიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 3) მოქალაქე როსტომ ბოლქვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.6;

¹⁴⁷² იქვე;

¹⁴⁷³ იქვე;

¹⁴⁷⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება, პ.6;

2.2. სუბიექტი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მეორე პუნქტის სუბიექტი, როგორც ცალკე აღებული, არ აქვს განმარტებული.

2.3. დასკვნა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლო ჯერ არ დამდგარა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მეორე პუნქტის შინაარსის (მათ შორის უფლების შეზღუდვის საკითხის) სრულყოფილი განმარტების წინაშე. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შედეგად, შესაძლოა შემდეგი ძირითადი საკითხების განსაზღვრა:

- არაბრალეულობის პრეზუმფცია მოქმედებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას;
- სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისას მტკიცების ტვირთის თანამდებობის პირზე გადატანის შესაძლებლობა;
- თანამდებობის პირებს აკისრიათ საკუთარი ქონების კანონიერებისა და დასაბუთებულობის მტკიცების ვალდებულება.
- სასამართლო მოვალეა, შეაფასოს თანამდებობის პირის ბრალის დამადასტურებელი ან მისი უარყოფის შესახებ წარმოდგენილი მტკიცებულებები;
- მტკიცების ტვირთის ეჭვმიტანილზე გადატანა არ გამორიცხავს ეჭვმიტანილის შესაძლებლობას წამოყენებული ფაქტების საპირისპირო მტკიცება განახორციელოს.

2.4. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

1) მოქალაქეები: ლილი თელია, არჩილ მეფარიძე და გურამ თოხაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 2) მოქალაქე სერგო გოგიტიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 3) მოქალაქე როსტომ ბოლქვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება/

3. მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი

3.1. დაცული სფერო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნულ პუნქტთან დაკავშირებით ერთადერთი განმარტება აქვს გაკეთებული 2003 წელს.¹⁴⁷⁵ ამ საქმეში მოსარჩელები ითხოვდნენ საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სხვადასხვა დებულებათა არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელთა მიხედვით დადგენილი იყო დიფერენცირება კანონის არსებითი და არარსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს შორის. მოსარჩელის აზრით, ამ შემთხვევაში ირღვეოდა მისი კონსტიტუციის მე-40 მუხლის მესამე პუნქტით დაცული უფლება. რადგან კანონი არ კრძალავდა არარსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენებას სისხლის სამართლის საქმეში, მოსარჩელე აცხადებდა, რომ ირღვეოდა საქართველოს კონსტიტუციის ზემოაღნიშნული დანაწესი. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული არგუმენტი უარყო.

სასამართლომ განაცხადა: „საკონსტიტუციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელებმა ვერც კონსტიტუციურ სარჩელში და ვერც განმწესრიგებელ სხდომაზე ვერ შეძლეს მოეყვანათ მტკიცებულებები სარჩელის საფუძვლიანობის თაობაზე. მოსარჩელეთა ადვოკატის ძირითადი არგუმენტები ემყარებოდა იმას, რომ სადავო ნორმებში ხაზი აქვს გასმული კანონის არსებით დარღვევას და სწორედ ასეთი მითითება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის იმ მუხლებს, რომელთა მიმართებითაც მოითხოვენ სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას. მათ აზრით კანონის ამგვარი დიფერენციაცია შეიძლება მავნე პრაქტიკის დანერგვის საფუძველი გახდეს. ამის საილუსტრაციოდ სარჩელში მოყვანილია თბილისის საოლქო სასამართლოს განაჩენი ... და საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება ორივე საქმეში სასამართლო მიუთითებს კანონის არარსებით დარღვევაზე, რაც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების მიღებას. საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონის ამა თუ იმ ნორმის არასწორად გაგება და მისი არასწორად გამოყენება არ წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის არსებითად განსახილველად მიღების საფუძველს და მსგავს არგუმენტებს სასამართლო მტკიცებულების სახით ვერ შეაფასებს.“¹⁴⁷⁶

3.2. სუბიექტები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მესამე პუნქტის სუბიექტი, როგორც ცალკე აღებული, არ აქვს განმარტებული.

¹⁴⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 23 მაისის #2/10/231 განჩინება საქმეზე მოქალაქეები ივანე ოჩიგავა და ალექსანდრე აბრამიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁴⁷⁶ იქვე;

3.3. დასკვნა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაშიც, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, სასამართლო ჯერ არ დამდგარა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მესამე პუნქტის შინაარსის (მათ შორის უფლების შეზღუდვის საკითხის) სრულყოფილი განმარტების წინაშე. გარდა ამისა, თვით სასამართლო პრაქტიკა იმდენადად მცირე მოცულობისაა, რომ ვერ ხერხდება დასკვნების ჩამოყალიბება.

3.4. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება

მოქალაქეები ივანე ოჩიგავა და ალექსანდრე აბრამიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 23 მაისის #2/10/231 განჩინება/

მუხლი 41

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.
2. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

შესავალი

1. 41-ე მუხლის პირველი პუნქტი
 - 1.1. დაცული სფერო
 - 1.1.1. უფლების მნიშვნელობა
 - 1.1.2. 41-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლების გამიჯვნა კონსტიტუციის 24-ე მუხლისგან
 - 1.2. სუბიექტები
 - 1.3. სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულება
 - 1.4. უფლების შეზღუდვის საფუძვლები
 - 1.5. დასკვნა
 - 1.6. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით განიხილა
2. 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი
 - 2.1. დაცული სფერო
 - 2.2. სუბიექტები
 - 2.2.1. საჯარო მოხელეები და პირადი მონაცემების შემცველი ინფორმაციის რეგულირება
 - 2.2.2. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირების პირადი ინფორმაციის რეგულირება
 - 2.3. შეზღუდვის საფუძვლები
 - 2.4. ინფორმაციის თავისუფლება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა
 - 2.5. პენსიისა და თანამდებობრივი სარგოს გამჟღავნება
 - 2.6. დასკვნა
 - 2.7. საქმე, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ 41-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით განიხილა

შესავალი

ინფორმაციის თავისუფლების რეგულირება საქართველოს კონსტიტუციის რამდენიმე ნორმაშია მოცემული. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართლით ამ ეტაპზე 41-ე მუხლის პირველი პუნქტის გარდა ინფორმაციის თავისუფლების დაცული სფერო განსაზღვრულია კონსტიტუციის 24-ე მუხლსა და 37-ე მუხლის მე-5 პუნქტში.

აღსანიშნავია, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების გარანტირებულობა ასევე საქართველოს კონსტიტუციის რამდენიმე ნორმაშია მოწესრიგებული. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართლით ამ ეტაპზე 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის გარდა ამ უფლების დაცული სფერო განსაზღვრულია კონსტიტუციის მე-16, მე-20 და 36-ე მუხლებში.

1. 41-ე მუხლის პირველი პუნქტი

1.1. დაცული სფერო

როგორც უკვე აღინიშნა, ინფორმაციის თავისუფლების სხვადასხვა ასპექტს საქართველოს კონსტიტუციაში მინიმუმ სამი ნორმა არეგულირებს, თითოეულს საკუთარი რეგულირების სფერო გააჩნია, ისე რომ არც ერთი მათგანი არ იჭრება სხვა მუხლის რეგულირების არეალში. ამ თავში განხილული იქნება მხოლოდ 41-ე მუხლის პირველი პუნქტის რეგულირების ფარგლები.

41-ე მუხლით დაცულ სფეროში მოიაზრება მხოლოდ ოფიციალურ წყაროებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. „...41-ე მუხლის პირველი პუნქტის ყურადღების ცენტრშია სუბიექტი, რომელიც დაინტერესებულია ინფორმაციის მიღებით ოფიციალური წყაროებიდან. ამ პუნქტით დაცული სიკეთეა პირის უფლება მიიღოს ინფორმაცია ოფიციალური ჩანაწერებიდან. ამავდროულად, დადგენილია ამ უფლების შეზღუდვის შემთხვევებიც. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი ინფორმაციის თავისუფლებას უკავშირდება. შეიძლება ითქვას, რომ ეს ნორმა ინფორმაციის თავისუფლების კონკრეტულ შემთხვევას – ოფიციალური წყაროებიდან ინფორმაციის მიღების უფლებას იცავს.“¹⁴⁷⁷

ამავე დროს „...საჯარო დაწესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტაციაზე ხელმისაწვდომობის უფლებით პირი სარგებლობს იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა მიზეზის მისაღწევად სჭირდება მას აღნიშნული ინფორმაცია, მოცემულ შემთხვევაში.“¹⁴⁷⁸ ეს იმას ნიშნავს, რომ ინფორმაციის მოთხოვნისას არ არსებობს საჭიროების დასაბუთების ვალდებულება.

¹⁴⁷⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.3;

¹⁴⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის #1/3/452,453 საოქმო ჩანაწერი საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.4;

ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მოთხოვნილ იქნეს საჯარო დაწესებულებიდან იყოფა რამდენიმე ჯგუფად, ეს დაყოფა ეყრდნობა საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომას¹⁴⁷⁹. ამ ჯგუფებს შორის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია მათში შემავალი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი.

1. ინფორმაცია, რომელიც თავად ინფორმაციის მიღების მსურველ პირს შეეხება.

ეს ინფორმაცია, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაუბრკოლებლად, კანონით დადგენილი წესით უნდა მიეწოდოს პირს.

2. ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც უშუალოდ ინფორმაციის მიღების მსურველს არ შეეხება.

ინფორმაციის ამ ტიპში მოიაზრება საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაცია. შემოთავაზებული სტანდარტი მოქმედებს მაშინ, როდესაც პირი ითხოვს სახელმწიფო წყაროებში დაცულ იმ ინფორმაციას რომელიც მას არ შეეხება, ამ ტიპის ინფორმაციის მიღება შესაძლებელია კანონით დადგენილი წესის დაცვით. კონსტიტუცია არ გვთავაზობს კონკრეტულ წესს, ეს კანონმდებლის დისკრეცია, თუმცა 41-ე მუხლი ადგენს სტანდარტს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებელმა, როდესაც მითითებულ წესს შესთავაზებს საკუთარ მოქალაქეებს.

3. ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო ან კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას.

ეს არის ყველაზე დახურული ინფორმაცია და მისი მიღება ნებისმიერი მსურველი ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის შეუძლებელია. თუმცა, ავტომატურად ინფორმაციის გასაიდუმლოებას 41-ე მუხლის პირველი პუნქტი არ გულისხმობს. რამდენად წარმოადგენს ესა თუ ის ინფორმაცია სახელმწიფო ან კომერციულ და აქედან გამომდინარე, პროფესიულ საიდუმლოებას, ეს წინასწარი შეფასების საკითხია. გასაიდუმლოებისათვის საჭიროა პროცედურების გავლა, რაც დადგენილია საქართველოს კანონით „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით.

მას შემდეგ რაც გაირკვა 41-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფერო, აუცილებელია დაკონკრეტდეს ის, რაც ამ ნორმით დაცულ სფეროში არ ხვდება: „...საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს პირის უფლებას, მოიპოვოს ოფიციალური წყაროებიდან ინფორმაცია სხვა პირის ჯანმრთელობის, ფინანსების ან სხვა კერძო საკითხების შესახებ. თუ დავუშვებთ, რომ 41-ე მუხლის პირველი პუნქტით მინიჭებული უფლების დასაცავად შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს კერძო სფეროს მიკუთვნებული ინფორმაცია, მივიღებთ პარადოქსულ სურათს – ნებისმიერ პირს შეეძლება მიიღოს ინფორმაცია სხვა პირის კერძო საკითხებზე, თუ ეს ინფორმაცია იმავდროულად არ არის სახელმწიფო, პროფესიული ან

¹⁴⁷⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.12;

კომერციული საიდუმლოება. ეს, ლოგიკურად, აზრს უკარგავს 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის არსებობას, რომელიც „ტაბუს ადებს“ ინფორმაციას მისი კერძო სფეროსადმი კუთვნილების ნიშნით და არა იმის გამო, რომ ეს ინფორმაცია სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მოსარჩელე მხარის მსჯელობა, რომლის შესაბამისადაც, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სიტყვებში „სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“, იგულისხმება ოფიციალური წყაროებიდან ინფორმაციის მიღების უფლების დაცვა, არასწორია. პირის უფლება სხვათა არარსებული უფლების გამო ვერ შეიზღუდება. 41-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კერძო სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღებას აქვს დამხმარე ხასიათი სხვა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.”¹⁴⁸⁰

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პერსონალური მონაცემების მოპოვება შეუძლებელია, არამედ იმას, რომ ავტომატურად ინფორმაციის თავისუფლება არ იცავს სხვისი პირადი მონაცემების მოპოვების უფლებას, არამედ ამისათვის აუცილებელია, არსებობდეს უფლების შეზღუდვის შესაბამისი საფუძველი.

1.1.1. უფლების მნიშვნელობა

ინფორმაციის თავისუფლება გამოხატვის თავისუფლების შემადგენელი ნაწილი, მისი ერთი ასპექტია. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „აზრის გამოხატვის თავისუფლება, საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად, ინფორმაციის მიღების და გავრცელების შესახებ აღიარებულია გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად ფუნდამენტს და მისი პროგრესისა და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის ძირითად პირობას. აღნიშნული უფლება შეესაბამება საჯარო ხელისუფლების ვალდებულებას, ხელმისაწვდომი გახადოს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაცია გონივრული შეზღუდვების ფარგლებში.”¹⁴⁸¹

ინფორმაციის თავისუფლების მნიშვნელობაზე საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა და ამომწურავად განსაზღვრა ის სიკეთე რაც მის სრულად განხორციელებას შეუძლია მოუტანოს საზოგადოებას: „ინფორმაციის თავისუფლებას საქართველოს კონსტიტუცია გამორჩეულ ადგილს ანიჭებს და დიდ ყურადღებას უთმობს ... ინფორმაციის თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელია აზრის თავისუფლებისა და თავისუფალი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სასიცოცხლო დისკუსიისა და აზრთა ჭიდილის პროცესის უზრუნველყოფა. აზრის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია, რომ მოპოვებულ იქნეს ინფორმაცია, ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება კი უზრუნველყოფს, რომ აზრი მივიდეს ავტორიდან ადრესატამდე. გარდა საზოგადოებრივი დატვირთვისა,

¹⁴⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება; II.3.21;

¹⁴⁸¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის #2/2/359 გადაწყვეტილება საქმეზე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.1;

ინფორმაციის თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეული ინდივიდის პიროვნული და ინტელექტუალური განვითარებისათვის....”¹⁴⁸² სხვა გადაწყვეტილებაში მან განმარტა, „...სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის გაცნობა ინფორმაციული თვითგამორკვევისა და პირის თავისუფალი განვითარების უფლების მნიშვნელოვანი პირობაა.“¹⁴⁸³

საკონსტიტუციოსასამართლოინფორმაციისთავისუფლებასგანსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მისი კონსტიტუციურსამართლებრივი დატვირთვიდან გამომდინარე და მიიჩნევს, რომ ეს უფლება დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპის გამოვლინებაა.

1.1.2. 41-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლების გამიჯვნა კონსტიტუციის 24-ე მუხლისგან

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ დიდი ხანი არ არის რაც 24-ე და 41-ე მუხლებით დაცული სფეროები ერთმანეთისგან საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართლით გაიმიჯნა. სახალხო დამცველისა და საია-ს საქმედ¹⁴⁸⁴ არსებულ პრეცედენტებში ამ ორი მუხლის შესახებ სასამართლოს მსჯელობა პარალელურად მიმდინარეობს. მაგალითად, 2006 წელს განხილულ საქმეში სასამართლომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (ზაკ-ი) კონკრეტული მუხლების კონსტიტუციურობა 24-ე მუხლის პირველ და მე-4 პუნქტებთან, ისევე როგორც 41-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით განიხილა, თუმცა მათი გამიჯვნა არ მოუხდენია.¹⁴⁸⁵

როდესაც დაცულ სფეროზე საუბარი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გამწესრიგებელ სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რადგან როგორც წესი სასამართლო ამ ეტაპზე განიხილავს სადავო და კონსტიტუციური ნორმების ურთიერთმიმართებას. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ორი საოქმო ჩანაწერი სასამართლო როგორც 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ისე 41-ე მუხლის პირველი პუნქტთან მიმართებაში სარჩელის არსებით განხილვას დასაშვებად მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ საქმე აშკარად საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის საჯაროობას ეხება (პირველ შემთხვევაში სადავოა საგადასახადო საიდუმლოების ცნება,¹⁴⁸⁶ ხოლო მეორეში საარჩევნო უბანზე ვიდეო თვალი ჩანაწერები¹⁴⁸⁷).

¹⁴⁸² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.10;

¹⁴⁸³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის #2/3/364 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁴⁸⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერი #2/3/406,408 გადაწყვეტილება;

¹⁴⁸⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის #2/3/364 გადაწყვეტილება;

¹⁴⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 29 ნოემბრის #2/11/406 საოქმო ჩანაწერი საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, სარეზოლუციო ნაწილი, 3.1;

¹⁴⁸⁷ 2008 წლის 20 მაისის #1/3/452,453 საოქმო ჩანაწერი, სარეზოლუციო ნაწილი, 3.1; სასამართლომ სწორედ ამ საქმის არსებითი განხილვის შემდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებაში გამიჯვნა 24-ე და 41-ე მუხლები;

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ სწორედ ამ მეორე შემთხვევაში საოქმო ჩანაწერის სამოტივაციო ნაწილში სასამართლომ პირდაპირ მიუთითა, რომ საქმე „ოფიციალური დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობას“¹⁴⁸⁸ შეეხებოდა, და მიუხედავად ამისა, საქმე დასაშვებად კონსტიტუციის ორივე ნორმასთან ცნო.

კონსტიტუციის 24-ე და 41-ე მუხლები იმ ნაწილში, რომელ ნაწილშიც მათ შორის ვინმეს შესაძლოა კოლიზია მოეჩვენოს, ერთმანეთისგან უმთავრესად ინფორმაციის შენახვის ადგილის სტატუსის მიხედვით განსხვავდებიან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ორი მუხლით დაცული სფეროს გამიჯვნისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომელ სივრცეში ინახება ინფორმაცია საჯარო დაწესებულების თუ კერძო სივრცეში.

41-ე მუხლის კონსტიტუციური საზღვრები საკონსტიტუციო სასამართლომ განსაზღვრა საქმეში „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლისაგან განსხვავებით, ... საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი არ აწესრიგებს ინფორმაციის მოპოვებას საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან. სახელმწიფო დაწესებულებები არ წარმოადგენენ ამგვარ წყაროებს. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის ყურადღების ცენტრში მოქცეულია სწორედ სახელმწიფო დაწესებულებებში და ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია.“¹⁴⁸⁹ მომდევნო შემთხვევაში სასამართლომ თქვა: „...რაც შეეხება კონსტიტუციის 41-ე მუხლს, ის არეგულირებს ოფიციალურ დოკუმენტებში არსებული ინფორმაციის მიღების საკითხს ...“¹⁴⁹⁰ საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ „ამ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეჟიმი, რა თქმა უნდა, განსხვავდება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის წყაროებიდან ინფორმაციის მიღების სამართლებრივი რეჟიმისაგან.“¹⁴⁹¹ ეს ნიშნავს, რომ მათი კონსტიტუციურ სამართლებრივი რეგულირების, ანუ შეზღუდვის საფუძველები ერთმანეთისგან განსხვავდება, რის შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი.

საბოლოოდ შემდეგი დასკვნის გამოტანა არის შესაძლებელი, რომ 41-ე მუხლის პირველ პუნქტში რეგულირების ქვეშ ექცევა საჯარო დაწესებულებებში დაცული ინფორმაცია (განსხვავებით 24-ე მუხლისგან), რის გამოც ამ ორი მუხლით დაცულ ინფორმაციას სხვადასხვა სამართლებრივი რეგულირება გააჩნია.

¹⁴⁸⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის #1/3/452,453 საოქმო ჩანაწერი, II.3.3;

¹⁴⁸⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.11;

¹⁴⁹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 5 მაისის #2/4/461 საოქმო ჩანაწერი საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.5;

¹⁴⁹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.11;

1.2. სუბიექტები

კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება...“, რამაც შესაძლოა სამართალშემფარდებელს აფიქრებინოს, რომ საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის გამოთხოვა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეების უფლებაა, თუმცა ეს ასე არ არის. საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით: „...აღნიშნული მუხლი ღიად მიიჩნევა სახელმწიფო დაწესებულებებში დაცულ ოფიციალურ ინფორმაციას და ყველა [მოქალაქეობის მიუხედავად] ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს აძლევს მათი გაცნობის შესაძლებლობას...“¹⁴⁹²

შესაბამისად, 41-ე მუხლის პირველი პუნქტის „ყურადღების ცენტრშია სუბიექტი, რომელიც დაინტერესებულია ინფორმაციის მიღებით ოფიციალური წყაროებიდან.“¹⁴⁹³ ამგვარი სუბიექტები არიან:

- ყველა (ივარაუდება რომ მოქალაქეობას მნიშვნელობა არ აქვს) ფიზიკური პირი;
- ყველა (ივარაუდება, რომ დაფუძნების ადგილს ან რეზიდენტობას მნიშვნელობა არ აქვს) იურიდიული პირი;

საკონსტიტუციო სასამართლოს თვალთახედვის არეში მოექცა კომერციული საიდუმლოების სუბიექტების საკითხი. სასამართლომ იმსჯელა რამდენად შესაძლებელია სახელმწიფოს გააჩნდეს კომერციული საიდუმლოება.

სასამართლომ განახორციელა საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი, მიმართა კომპარატივისტიკას და განმარტა, რომ შესაძლებელია სახელმწიფოს გააჩნდეს კომერციული საიდუმლოება.¹⁴⁹⁴

სასამართლომ ისიც განმარტა, რომ პრინციპი, რომლის მიხედვითაც - ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას, გულისხმობს, არა ნებისმიერ ინფორმაციას, არამედ მხოლოდ იმას რომლითაც „... თვით ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ მონაცემები მოიაზრება და მუხლის რედაქცია მისი საქმიანობის ყველა სფეროს შესახებ მითითებას არ შეიცავს“.¹⁴⁹⁵

1.3. სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულება

ნებისმიერი უფლების სრულყოფილად იმპლემენტაციისას მნიშვნელოვანია სახელმწიფომ დაიცვას როგორც პოზიტიური ისე ნეგატიური ვალდებულება, რათა მოქალაქეების მიერ უფლებით სარგებლობა არ გახდეს ფრაგმენტული და იმ დანიშნულებას მოკლებული რაც თითოეული უფლების შინაარსში

¹⁴⁹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის #2/3/364 გადაწყვეტილება;

¹⁴⁹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.პ.13;

¹⁴⁹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის #2/2/359 გადაწყვეტილება, პ.3;

¹⁴⁹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის #2/2/359 გადაწყვეტილება, პ.5;

დევს. საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში აღნიშნა, რომ: „საქართველოს კონსტიტუცია ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის მეტ გარანტიას იძლევა [ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისგან განსხვავებით]¹⁴⁹⁶ და სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას, ხელი არ შეუშალოს პიროვნებას ინფორმაციის მიღებაში, არამედ პოზიტიურ ვალდებულებას – გასცეს მის ხელთ არსებული ინფორმაცია. საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ზღუდავს აღნიშნულ უფლებას, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.“¹⁴⁹⁷

შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ზემოთ მოყვანილ პრეცედენტში ცალსახად განაცხადა, რომ ინფორმაციის თავისუფლებას აქვს როგორც ნეგატიური ისე პოზიტიური დაცვის ასპექტი და სახელმწიფო კი ვალდებულია შეასრულოს ეს კონსტიტუციური ვალდებულება.

თუმცა, აუცილებელია, გაირკვეს ამ ვალდებულებების მოცულობა, სასამართლოს მიხედვით ეს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში გადასაწყვეტი ფაქტია. „ინფორმაციის მიღების უფლება რა მოცულობით აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, გაავრცელოს ესა თუ ის ინფორმაცია, პრაქტიკულად სასამართლოს შეფასებაზეა დამოკიდებული.“¹⁴⁹⁸ საკონსტიტუციო სასამართლომ საკითხისთვის მეტი სინათლის მოსაფენად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მოიხმო: „ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ლიანდერის საქმეზე აღნიშნა რომ „ინფორმაციის მიღების უფლება ძირითადად უკრძალავს ხელისუფლებას, შეზღუდოს პირი იმ ინფორმაციის მიღებაში, რომელიც სხვებისათვის სასურველია ან შესაძლებელია სურდეთ მისთვის გადაცემა“. მაგრამ იქვე მიუთითებს, რომ მოცემული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი განმცხადებელს არ აძლევს უფლებას, მოიპოვოს პოლიციის საიდუმლო რეესტრის ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია და არც სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, ხელმისაწვდომი გახადოს ასეთი ინფორმაცია პირებისათვის.“¹⁴⁹⁹

როდესაც დახურული ინფორმაციის მოპოვებაზე მიდგება საქმე, ინფორმაციის მომთხოვნ პირს ეკისრება ვალდებულება დაასაბუთოს საზოგადოებრივი ინტერესის არსებობა ინფორმაციის განსაჯაროებაზე, „მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა, რა აუცილებელ სოციალურ მოთხოვნას არ შეესაბამება მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფოს ჩარევა, რომელსაც გადაწონიდა ადამიანის

¹⁴⁹⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედვით „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს სხვათა იდეების მოპოვებას, დამუშავებასა და შემდგომ გადაცემას. ამ მუხლის შესაბამისად, პიროვნებას აქვს იდეებისა და ცნობების მიღების უფლება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე.“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის #2/3/364 გადაწყვეტილება;

¹⁴⁹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის #2/3/364 გადაწყვეტილება;

¹⁴⁹⁸ იქვე; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის # 2/2/359 გადაწყვეტილება, პ.1;

¹⁴⁹⁹ იქვე;

უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში და საქართველოს კონსტიტუციაში ჩადებული აზრის გამოხატვის თავისუფლების განხორციელებით საზოგადოების დაინტერესება.”¹⁵⁰⁰ ეს სტანდარტი სასამართლომ საია-ს საქმეში დაადგინა.

1.4. უფლების შეზღუდვის საფუძვლები

უფლების შეზღუდვის საფუძვლებზე მსჯელობისას პირველ რიგში უნდა გაირკვეს ის ფარგლები რა ფარგლებშიც კონსტიტუცია უშვებს და საერთოდ უშვებს თუ არა კონკრეტული უფლების შეზღუდვას. ამ მხრივ, უნდა ითქვას, რომ „... ინფორმაციის მიღების უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და შეიძლება შეიზღუდოს საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე. ...”¹⁵⁰¹ იმავე საქმეში სასამართლომ მიუთითა, რომ „ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის 24-ე და 41-ე მუხლები არ შეიცავენ ამკრძალავ ნორმას და დასაშვებად არის მიჩნეული აზრის გამოხატვის თავისუფლებაში სახელმწიფოს ჩარევა. ...”¹⁵⁰² კონკრეტულად საჯარო დაწესებულებებში დაცული ინფორმაციის მიღების უფლებასთან დაკავშირებით, სასამართლომ დაადგინა: „ინფორმაციის თავისუფლება არ არის აბსოლუტურად დაცული სიკეთე. განსაკუთრებით ეს შეეხება იმ ინფორმაციის მიღების უფლებას, რომელიც თავმოყრილი არის სახელმწიფო დაწესებულებებში.”¹⁵⁰³ თუმცა „რამდენად გამართლებულია აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ხელისუფლების მხრიდან ჩარევა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გადასაწყვეტი საკითხია.”¹⁵⁰⁴

ზემოთ ითქვა, რომ 41-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფერო გამოხატვის თავისუფლების (რომელიც საქართველოს კონსტიტუციაში უმთავრესად დაცულია 24-ე მუხლით) შემადგენელი ნაწილია და lex specialis-ს წარმოადგენს. სწორედ, ამიტომ სასამართლომ რამდენიმე გადაწყვეტილებაში ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვის სტანდარტების იდენტიფიცირებისთვის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტს მიმართა. სადაც მითითებულია ის საჯარო ინტერესები, რისთვისაც შესაძლებელია მთლიანად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა.

საკონსტიტუციო სასამართლო ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლების იდენტიფიცირებისას 24-ე მუხლამდე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლის ანალიზის საშუალებით მივიდა. „...კონვენციის [მე-10] მუხლის მეორე პუნქტი მოიცავს პირველი პუნქტით გათვალისწინებული თავისუფლების შესაძლო შეზღუდვების ჩამონათვალს. ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის

¹⁵⁰⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის # 2/2/359 გადაწყვეტილება, პ.1;

¹⁵⁰¹ იქვე; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის #2/3/364 გადაწყვეტილება;

¹⁵⁰² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის # 2/2/359 გადაწყვეტილება, პ.2;

¹⁵⁰³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერი #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.10;

¹⁵⁰⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის #2/3/364 გადაწყვეტილება;

ხელისუფლება უფლებამოსილია, ჩაერიოს გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში, თუ დაცულია შემდეგი სამი პირობა ერთად: ა. ჩარევა გათვალისწინებულია კანონით, ბ. ჩარევა მიზნად ისახავს მუხლში ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე ინტერესს და გ. ჩარევა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

აღნიშნულმა დებულებებმა გამოხატულება პოვა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლშიც. ... რამდენად გამართლებულია აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ხელისუფლების მხრიდან ჩარევა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გადასაწყვეტი საკითხია.”

ამ მხრივ საინტერესოა სახალხო დამცველისა და ქეთევან ბახტაძის საქმე, სადაც სადავო საკითხს მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის საჯაროობა წარმოადგენდა (აღნიშნული ცალსახად სახელმწიფო დაწესებულებაში დაცულ ინფორმაციას წარმოადგენს). სასამართლომ შეზღუდვის საფუძვლებზე მსჯელობისას მოიხმო საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი და განმარტა, რომ „...სადავო ნორმების შეფასებისას გასათვალისწინებელია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის ის დებულება, რომლითაც იზღუდება ინფორმაციის მიღების თავისუფლება, თუკი ეს ზიანს აყენებს სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას...”¹⁵⁰⁵

სასამართლომ აღნიშნული შეზღუდვა კონსტიტუციურად ცნო და გარდა ზემოთქმულისა, ამის საფუძვლებად შემდეგი გარემოებები მიუთითა: „... საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი არ გულისხმობს ინფორმაციის ისეთ თავისუფლებას, რაც შეიძლება გახდეს სხვისი უფლებებისა თუ თავისუფლებების, ანდა სამართლებრივად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესების დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი შეზღუდვის საფუძველი.”¹⁵⁰⁶

სასამართლომ აღნიშნა, რომ „...ვერ დაეთანხმება მოსარჩელეს იმაში, რომ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის კონფიდენციალურობით ილაზხება იმ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები, რომელთა საჩივრებსაც უკავშირდება მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური დევნა. უნდა ითქვას, რომ დასახელებული კანონით მკაცრად განსაზღვრული ამ კატეგორიის მოქალაქეთა ადგილი დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით. ... ისინი არ წარმოადგენენ სამართალწარმოების პროცესის აუცილებელ მონაწილეებს.

დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის კონფიდენციალურობა დაკავშირებულია სასამართლოსა და მოსამართლის მაღალ საზოგადოებრივ ავტორიტეტთან და მის დაცვა-შენარჩუნებასთან.”¹⁵⁰⁷

¹⁵⁰⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 28 ივნისის #1/3/209,276 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს მოქალაქე ქეთევან ბახტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II;

¹⁵⁰⁶ იქვე;

¹⁵⁰⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 28 ივნისის #1/3/209,276 გადაწყვეტილება, II;

საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში ვხვდებით საქმეს, რომელიც საბაჟო საიდუმლოების კონსტიტუციურობას შეეხება. სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა და აღნიშნული შეზღუდვა კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტზე დაყრდნობით გამართლებულად მიიჩნია, მან გასაიდუმლოება დაუკავშირა საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტს, რომლის მიხედვითაც „ქვეყნის საბაჟო პოლიტიკის განხორციელება განეკუთვნება საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას“. გადაწყვეტილების მიხედვით ეს საქმიანობა მიმართულია საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ. სწორედ ამით ახსნა სასამართლომ სახელმწიფოს მიერ სწორედ საბაჟო ორგანოებისათვის გადაცემული ინფორმაციის გასაიდუმლოება და სახელმწიფო დაწესებულებების დანარჩენი ინფორმაციის შეუზღუდავად გადაცემაში ჩაურევლობა.¹⁵⁰⁸ სასამართლომ მიიჩნია, რომ „საბაჟო ორგანოებისათვის გადაცემულ ინფორმაციაში, უპირველეს ყოვლისა, საბაჟო დეკლარაცია მოიაზრება, რომელიც შეიცავს დაწვრილებით ინფორმაციას არა მარტო საქონლის შეძენის ან მომსახურების შესახებ, არამედ მიმწოდებლის შესახებ ისეთ დაწვრილებით ინფორმაციასაც, რომლის გამჟღავნებასაც, მიწოდების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, შეიძლება მესამე პირთა ინტერესების შელახვა მოჰყვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებდით საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული „სხვათა უფლებებისა და ღირსების“ დაცვის ნაცვლად, მათ დარღვევას.“¹⁵⁰⁹ მოგვიანებით მიღებულ გადაწყვეტილებაში საბაჟო საიდუმლოების მსგავსი საგადასახადო საიდუმლოების კონსტიტუციურობა საკონსტიტუციო სასამართლომ არა 24-ე მუხლის მე-4 პუნქტს, არამედ 41-ე მუხლის მე-2 პუნქტს დაუკავშირა.¹⁵¹⁰

სწორედ ამ გადაწყვეტილებაში სასამართლომ დეტალურად ისაუბრა ინფორმაციის მიღების უფლების შეზღუდვის საფუძვლებზე, თუმცა იქამდე თავად საგადასახადო საიდუმლოების ცნება მიმოიხილა და განმარტა, რომ „...შეიძლება აღინიშნოს, რომ ზოგადი წესია გამამხდელთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაიდუმლოება, ხოლო კონკრეტული გამონაკლისები - ამ ინფორმაციის გასაიდუმლოების იშვიათი შემთხვევები. ... დაზარალებული უფლებამოსილია მოითხოვოს საგადასახადო საიდუმლოების გახმაურების გამო მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო წესით. ასეთი რეგულირება, უპირველესად, ემსახურება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას, ასევე, საგადასახადის გამამხდელთან დაკავშირებული ინფორმაციის არაკეთილსინდისიერად და არადანიშნულებისამებრ გამოყენების თავიდან აცილებას.“¹⁵¹¹

გარდა ზემოაღნიშნულისა, 41-ე მუხლს საკუთარი შეზღუდვის საფუძვლებიც

¹⁵⁰⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის # 2/2/359 გადაწყვეტილება, პ.4;

¹⁵⁰⁹ იქვე;

¹⁵¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.16;

¹⁵¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერი #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.2;

გააჩნია, კერძოდ კონსტიტუცია საიდუმლო ინფორმაციის სხვადასხვა სახეს გვთავაზობს, გარდა პირადი საიდუმლოებისა (ამ ასპექტზე იხ. თავი --) გამოყოფს პროფესიულ, კომერციულ და სახელმწიფო საიდუმლოებას. საკონსტიტუციო სასამართლომ ძალიან მწირად მიმოიხილა უკანასკნელი ორი მათგანი საია-სა და სახალხო დამცველის საქმეში, თუმცა ეს განმარტება ძალიან მნიშვნელოვანია.

ამ საქმეში სასამართლომ განსაზღვრა კომერციული და სახელმწიფო საიდუმლოების ზოგიერთი ასპექტი.

ა) კომერციული საიდუმლოება

სრულიად ბუნებრივია, რომ სახელმწიფო დაწესებულება კონკრეტული პირის კომერციულ საიდუმლოებას ფლობდეს.¹⁵¹² ამ შემთხვევაში, მთავარი ამოცანაა კომერციული ინტერესების დაცვა. პირი, რომელსაც შეეხება ინფორმაცია, პირადად განსაზღვრავს კომერციული თვალსაზრისით რამდენად ღირებულია ეს ინფორმაცია მისთვის, რათა მოახდინოს გასაიდუმლოების ინიცირება. ამ დროს სავსებით შესაძლებელია, რომ კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციით არ ხდებოდეს პირის იდენტიფიცირება, მაგრამ მისმა გამჟღავნებამ ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.¹⁵¹³

ბ) სახელმწიფო საიდუმლოება

ამ შემთხვევაში, ინფორმაციის გასაიდუმლოების ინიციატორი სახელმწიფოა, მისი კომპეტენტური ორგანოების სახით. გასაიდუმლოება ხდება სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დასაცავად თავდაცვის, სახელმწიფო უშიშროების, საგარეო დაზვერვის, მართლწესრიგის დაცვის, ეკონომიკისა და სხვა სტრატეგიულ სფეროებში. სწორედ ამ ამოცანებს და არა კერძო საკითხებთან დაკავშირებული მონაცემების დაცვას ემსახურება სახელმწიფო საიდუმლოების ინსტიტუტი.¹⁵¹⁴

სხვა გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 28 ოქტომბრის კანონის მე-7 მუხლი აკეთებს ამომწურავ ჩამონათვალს, თუ რა სახის ინფორმაცია შეიძლება იქნეს მიჩნეული სახელმწიფო საიდუმლოდ. „მითითებული კანონი დეტალურად არეგულირებს ამა თუ იმ ინფორმაციის გასაიდუმლოების პროცედურულ საკითხებს, განსაზღვრავს ინფორმაციის გასაიდუმლოების გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს, გრიფის სახეობებს, მინიჭების წესს და სხვ.“¹⁵¹⁵

¹⁵¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის # 2/2/359 გადაწყვეტილება, პ.3;

¹⁵¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, პ.16;

¹⁵¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.17;

¹⁵¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის #2/3/364 გადაწყვეტილება;

სასამართლოს მიერ განისაზღვრას უბიექტები, ვის მიერაც ხდება ინფორმაციის გასაიდუმლოება. კომერციული საიდუმლოების შემთხვევაში ეს არის თავად საიდუმლოების მფლობელი პირი. ხოლო სახელმწიფო საიდუმლოების შემთხვევაში - სახელმწიფო. აქვე აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში გასაიდუმლოება ხდება იმ დროს როდესაც ინფორმაციის ღიად დატოვებამ საფრთხე შეიძლება გამოიწვიოს, პირველ შემთხვევაში საფრთხის ობიექტი არის კონკურენტუნარიანობა, მეორეში - სახელმწიფო ინტერესები. ეს მაშინ როცა პერსონალური მონაცემების შემთხვევაში შესაძლო ზიანის დადგომა არ არის საჭირო პირის შესახებ ინფორმაციის გასაიდუმლოებლად, არამედ მხოლოდ იდენტიფიცირების შესაძლებლობა მიუხედავად იმისა შეუძლია თუ არა ამ ინფორმაციის გამჟღავნებას რაიმე ნეგატიური ასახვა ჰპოვოს პირის პირად ცხოვრებაზე.

კიდევ ერთი საკითხი ზაკ-ის რეგულირების სფეროს შეეხება, რომლის მე-3 თავი ინფორმაციის თავისუფლების რეგულირების ეძღვნება. ზაკ-ის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ზოგიერთ საქმიანობაზე.¹⁵¹⁶ სასამართლოს გამოსარკვევ საკითხს წარმოადგენდა სწორედ ამ ჩანაწერის კონსტიტუციურობა, კერძოდ ის, რომ ზაკ-ის და მისი მე-3 თავის აღნიშნულ სფეროებზე გაუვრცელებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ ხომ არ აყენებდა ინფორმაციის თავისუფლებით სარგებლობის უფლებას. სასამართლომ განმარტა: „...მნიშვნელოვანია გაირკვეს, ნორმაში ჩამოთვლილი ინფორმაცია მიეკუთვნება თუ არა სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას, რომლის გაცემის შეზღუდვის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი.“¹⁵¹⁷ შესაბამისად, მართალია, ზაკ-ი და მისის მე-3 თავი არ ვრცელდება საქმიანობის აღნიშნულ სფეროებზე, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ინფორმაციის თავისუფლების კონსტიტუციური სტანდარტის რეგულირების გარეთ გადიან ისინი, სასამართლომ მიიჩნია, რომ არა ზოგადად არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალ-ცალკე უნდა გადაწყდეს აღნიშნული საქმიანობის შესახებ

¹⁵¹⁶ ზაკ-ის 3.4. მუხლი (1999 წლის 25 ივნისის რედაქცია) ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია:

- ა) დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან;
- ბ) ოპერატიულსამძებრო საქმიანობასთან;
- გ) სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან;
- დ) სამხედრო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებასთან, აგრეთვე სამხედრო დისციპლინის საკითხებთან, თუ ეს არ ეხება პირის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებს;
- ე) საქართველოს პრეზიდენტის მიერ პირთა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანიშნვისა და გათავისუფლების, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „დ“, „ე“, „ზ“, „თ“, „ო“ ქვეპუნქტებით, ასევე მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელებასთან;
- ვ) საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების შესრულებასა და საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან.

სადავო ნორმის თანახმად, ინფორმაცია, რომელიც მსგავსი შინაარსისაა საჯაროობას არ ექვემდებარება.

¹⁵¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის #2/3/364 გადაწყვეტილება;

მოთხოვნილი ინფორმაცია, კონსტიტუციის შესაბამისად, ღია ტიპის არის თუ დახურული და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადაწყდეს მისი გაცემა არ გაცემის საკითხი. ზოგიერთ შემთხვევაში იგი დადებითად გადაწყდება ზოგიერთ შემთხვევაში კი უარყოფითად.

როგორც ზემოაღნიშნული მაგალითებიდანაც ჩანს, მხოლოდ ის, რომ სახელმწიფო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის არგაცემის მიზეზი მხოლოდ 41-ე მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი სამი ნიშანი არ შეიძლება იყოს, მაზე სასამართლომაც მიუთითა, როდესაც აღნიშნა, რომ „...არ ეთანხმება იმ მოსაზრებებს, რომელთა შესაბამისად გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საგადასახადო კოდექსის ... იმის გამო ასაიდუმლოებს, რომ ის საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საიდუმლოების რომელიმე სახეს წარმოადგენს. ...”¹⁵¹⁸ ამ შემთხვევაში სასამართლო პერსონალური მონაცემების დაცვას გულისხმობდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი სასამართლო განხილვის ღიაობას უკავშირდება. კერძოდ, რამდენად ლოგიკურია ინფორმაციის გასაიდუმლოება მაშინ როდესაც ეს ან ამგვარი ინფორმაცია სასამართლო სხდომაზე განიხილება, რომელიც ღიაა. სასამართლომ ეს საკითხი პრობლემურად არ მიიჩნია. „... ღია სასამართლო განხილვა არ ნიშნავს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ფართო გაგებით, რამდენადაც ღია სასამართლო სხდომის ჩატარების თაობაზე ინფორმაციის შეტყობა და მასზე დასწრების შესაძლებლობა ობიექტურად არის შეზღუდული. ...”¹⁵¹⁹ კიდევ ერთი არგუმენტი რომელიც პრეცედენტულ სამართალში არის მითითებული სასამართლო განხილვის ღიაობის ლეგიტიმაციისთვის უკავშირდება პირის მოლოდინს, რომელიც სასამართლო დავის დროს „...ითვალისწინებს გარკვეული მონაცემების გახმაურების შესაძლებლობასაც...”¹⁵²⁰

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მეოთხე პუნქტი, 41-ე მუხლთან ერთად ადგენს ინფორმაციის შესაძლო შეზღუდვის შემთხვევებს. ხოლო კონსტიტუციის 41-ე მუხლით განსაზღვრულია სახელმწიფო დაწესებულებებიდან ინფორმაციის თავისუფლად მოპოვების უფლება.

1.5. დასკვნა

ზემოაღნიშნული ანალიზის შედეგად შეიძლება გამოიყოს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები რომელიც სასამართლომ ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით განმარტა:

- 41-ე მუხლით დაცულ სფეროში მოიაზრება მხოლოდ ოფიციალურ წყაროებში (განსხვავებით 24-ე მუხლისგან) დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;

¹⁵¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.24;

¹⁵¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.40;

¹⁵²⁰ იქვე;

- ოფიციალურ დოკუმენტაციაზე ხელმისაწვდომობის უფლებით პირი სარგებლობს იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა მიზნის მისაღწევად სჭირდება მას აღნიშნული ინფორმაცია, მოცემულ შემთხვევაში;
- ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მოთხოვნილ იქნეს საჯარო დაწესებულებიდან იყოფა რამდენიმე ჯგუფად:
 - ინფორმაცია, რომელიც თავად ინფორმაციის მიღების მსურველ პირს შეეხება;
 - ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც უშუალოდ ინფორმაციის მიღების მსურველს არ შეეხება;
 - ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო ან კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას;
- საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს პირის უფლებას, მოიპოვოს ოფიციალური წყაროებიდან ინფორმაცია სხვა პირის ჯანმრთელობის, ფინანსების ან სხვა კერძო საკითხების შესახებ;
- უფლების სუბიექტები არიან:
 - ყველა (ივარაუდება რომ მოქალაქეობას მნიშვნელობა არ აქვს) ფიზიკური პირი;
 - ყველა (ივარაუდება, რომ დაფუძნების ადგილს ან რეზიდენტობას მნიშვნელობა არ აქვს) იურიდიული პირი;
- სასამართლომ ისიც განმარტა, რომ პრინციპი, რომლის მიხედვითაც - ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას, გულისხმობს, არანებისმიერ ინფორმაციას, არამედ მხოლოდ იმას რომელშიც თვით ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ მონაცემები მოიაზრება და მუხლის რედაქცია მისი საქმიანობის ყველა სფეროს შესახებ მითითებას არ შეიცავს;
- ინფორმაციის თავისუფლებას აქვს როგორც ნეგატიური ისე პოზიტიური დაცვის ასპექტი და სახელმწიფო კი ვალდებულია შეასრულოს ეს კონსტიტუციური ვალდებულება;
- ინფორმაციის მომთხოვნ პირს ეკისრება ვალდებულება დაასაბუთოს საზოგადოებრივი ინტერესის არსებობა ინფორმაციის განსაჯაროებაზე;
- ინფორმაციის მიღების უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და შეიძლება შეიზღუდოს საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე. სასამართლომ მიუთითა, რომ შეზღუდვის საფუძველი არა მხოლოდ 42-ე მუხლში ჩამოყალიბებული ინფორმაციის სახეებია, არამედ 24-ე მუხლის მე-4 პუნქტიც. სადაც მითითებულია ის საჯარო ინტერესები რისთვისაც შესაძლებელია მთლიანად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა.

1.6. საქმეები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ 41-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით განიხილა:

საოქმო ჩანაწერი:

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 29 ნოემბრის #2/11/406 საოქმო ჩანაწერი/

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, სარეზოლუციო ნაწილი /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის #1/3/452,453 საოქმო ჩანაწერი/

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 5 მაისის #2/4/461 საოქმო ჩანაწერი/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს მოქალაქე ქეთევან ბახტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 28 ივნისის # 1/3/209,276 გადაწყვეტილება/

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის #2/2/359 გადაწყვეტილება/

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის #2/3/364 გადაწყვეტილება/

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის #2/3/406,408 გადაწყვეტილება/

2. 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი

2.1. დაცული სფერო

როგორც უკვე აღინიშნა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების სხვადასხვა ასპექტს საქართველოს კონსტიტუციაში მინიმუმ ოთხი ნორმა არეგულირებს, თითოეულს საკუთარი რეგულირების სფერო გააჩნია, ისე რომ არცერთი მათგანი არ იჭრება სხვა მუხლის დაცულ სფეროში. ამ თავში განხილული იქნება მხოლოდ 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის რეგულირების ფარგლები, რომელიც ოფიციალურ ჩანაწერებში არსებულ პირის შესახებ ინფორმაციას იცავს გამჟღავნებისაგან.

პირადი ცხოვრების უფლების ბუნებაზე მსჯელობისას სასამართლომ აღნიშნა, რომ „პირის ინტერესი, არ დაუშვას კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება და აკონტროლოს ამ ინფორმაციის გავრცელება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ერთერთი უმთავრესი ასპექტია.“¹⁵²¹ სასამართლომ კონსტიტუციის სხვა მუხლთანაც გაავლო პარალელი და აღნიშნა, რომ „41-ე მუხლის მე-2 პუნქტი კავშირშია საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლთან, რომლითაც დაცულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, რადგანაც მასში სწორედ ის მონაცემებია მითითებული, რომელიც პირის პრივატულ სფეროს შეეხება.“¹⁵²²

საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ „...ამ პუნქტით დაცული სიკეთე არის პირის კერძო, პრივატული სფეროს ხელშეუხებლობა, პირადი მონაცემების საიდუმლოება. ეს ნორმა იცავს პირის ფუნდამენტურ უფლებას, მოითხოვოს სახელმწიფოსგან ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული, მის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამხელისაგან დაცვა.“¹⁵²³ თუმცა ეს უფლება მხოლოდ მაშინ არსებობს, თუ პირს აქვს მისი დაცვის გონივრული მოლოდინი. ოფიციალურ წყაროებში დაცულია ინფორმაცია, რომელიც გარდა ფიზიკური პირებისა, ასახავს იურიდიული პირების აქტივობებს და მდგომარეობას მატერიალურ სფეროში და არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ ის არ გახდება ცნობილი მესამე პირთათვის.“¹⁵²⁴ გონივრული მოლოდინის მაგალითი საკონსტიტუციო სასამართლომ შემდეგი ფორმით მოიყვანა: „გადასახადის გადამხდელს აქვს სავსებით ლოგიკური და გონივრული მოლოდინი, რომ მის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის მიწოდებული ინფორმაცია იქნება გამოყენებული საგადასახადო და არა სხვა არაპროგნოზირებადი მიზნებისათვის. ამგვარი მოლოდინის არარსებობის შემთხვევაში, საშიშროება ემუქრება თავად საგადასახადის გადამხდელის მიერ თავისი მოვალეობების შესრულების ხარისხს და შედეგად კი – გადასახადების აკრეფის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სახელმწიფო ფუნქციის ეფექტურ

¹⁵²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება; საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.15;

¹⁵²² იქვე;

¹⁵²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.14;

¹⁵²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.20;

განხორციელებას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ამ კუთხით საგადასახადო ურთიერთობის მონაწილეთა სამართლიანი ინტერესების დაბალანსება და გაწონასწორება.”¹⁵²⁵

რაც შეეხება ტერმინ ფინანსებს: „...ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაცია” მოიცავს ფულად ურთიერთობებთან დაკავშირებულ ინფორმაციას....”¹⁵²⁶

სასამართლო ინფორმაციის გასაიდუმლოებასთან მიმართებით მიუთითა: იმისათვის, რომ კონკრეტულ პირზე ინფორმაცია გასაიდუმლოვდეს საჭიროა „...ინფორმაცია იძლეოდეს კონკრეტული გადასახადის გადამხდელის იდენტიფიკაციის საშუალებას...”¹⁵²⁷ თუმცა სასამართლომ განაცხადა, რომ თუ ეს იდენტიფიცირება შესაძლებელია, უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, თუ რა მოცულობით ვრცელდება ეს ინფორმაცია. „მთავარია ის სფერო, რომელსაც შეეხება ინფორმაცია და არა ის, თუ რა მასშტაბის წარმოდგენას გვიქმნის კონკრეტული მონაცემი პირის... მდგომარეობაზე. ...საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცული სიკეთეა პირის უფლება არ გახდეს ხელმისაწვდომი ოფიციალურ წყაროებში მის კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ამ ინფორმაციის განსაიდუმლოება, მიუხედავად გახმაურების თანმდევი შედეგებისა და მათი სიმწვავისა, უკვე თავისთავად წარმოადგენს კონსტიტუციით დაცული უფლების დარღვევას და არ არის საჭირო შესაძლო თანმდევი შედეგებში ჩაღრმავება. ... ამ ინფორმაციის გახმაურება თავად წარმოადგენს გადასახადის გადამხდელისათვის მთავარ ზიანს – მისი კონსტიტუციური უფლების დარღვევას.”¹⁵²⁸

რას ნიშნავს „ოფიციალური ჩანაწერები” ამაზე საკონსტიტუციო სასამართლომ ზოგადი მინიშნება გააკეთა „საგადასახადო საიდუმლოებაზე” მსჯელობისას: „საგადასახადო ორგანოები [1] სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული და [2] სახელმწიფო ამოცანების განხორციელებელი ორგანოებია და იქ თავმოყრილი ნებისმიერი ფორმის ინფორმაციის სრული სპექტრი შეიძლება იქნეს განხილული, როგორც „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია”.¹⁵²⁹

ამგვარად დაცულ სფეროში მოქცევისათვის აუცილებელია ინფორმაცია:

- დაცული იყოს ოფიციალურ ჩანაწერებში;
- შეეხებოდეს პირს;
- იძლეოდეს ამ პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას;
- არსებობდეს მისი დაცვის გონივრული მოლოდინი;

კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტი ზოგადად ჩამოთვლის იმგვარ ინფორმაციებს, რომელიც პერსონალურად მიიჩნევა:

¹⁵²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.9;

¹⁵²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.23;

¹⁵²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.26;

¹⁵²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.24;

¹⁵²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.22;

1. ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან;
2. ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ფინანსებთან;
3. ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის სხვა კერძო საკითხებთან;

ეს ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. საკონსტიტუციო სასამართლოს საქმეში „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, მოუწია ფართოდ შეხებოდა ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებს და განემარტა ის. სასამართლომ განაცხადა, „აქ არ იგულისხმება ინფორმაცია, რომელიც მხოლოდ ფულს ან ფულად ურთიერთობებს შეეხება და სრულ ან ნაწილობრივ წარმოდგენას გვიქმნის პირის ფინანსურ მდგომარეობაზე. ფინანსებთან დაკავშირებულ ინფორმაციაში უნდა ვიგულისხმოთ მონაცემები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ასახავს პირის კერძო სფეროს მატერიალურ მხარეს, მისი არსებობის თუ საქმიანობის მატერიალურ საფუძვლებს. ამ ინფორმაციის დაცვის პატივსაღები კონსტიტუციური ინტერესი არსებობს, რამდენადაც კერძო საკითხები გარდა არამატერიალურისა, მატერიალურ მხარეებსაც მოიცავს.“¹⁵³⁰ სასამართლომ მატერიალურ საკითხებზე პირადი ინფორმაციის სტანდარტი შეადარა არამატერიალურ საკითხებზე პირად ინფორმაციას და მიუთითა, რომ „ამ სფეროში ინფორმაციის საიდუმლოების დაცვას არანაკლები და ხშირ შეთხვევაში მეტი მნიშვნელობაც კი აქვს იმ პირისათვის, ვისაც შეეხება ინფორმაცია.“¹⁵³¹

ფინანსების შესახებ ინფორმაციის კონკრეტული მაგალითი საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტებში საგადასახადო საიდუმლოება იყო. „... კოლეგიას, ასევე, უმნიშვნელოვანესად მიაჩნია, რომ საგადასახადო საიდუმლოებაში მოაზრებული ნებისმიერი ინფორმაცია დაკავშირებულია საგადასახადო ურთიერთობებთან და ასახავს მათ. გადასახადის გადამხდელზე არსებული ყველა მონაცემი იძლევა მისი იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. კოლეგია, ასევე, იზიარებს და დასაბუთებულად მიიჩნევს ... მსჯელობას, რომ გადასახადის გადამხდელზე არსებული ინფორმაცია არის ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაცია და აქედან გამომდინარე, ფინანსებთან კავშირიც მნიშვნელოვანი საერთო ნიშანია.“¹⁵³²

2.2. სუბიექტები

„საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტისაგან განსხვავებით, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მთავარი სუბიექტი არის პირი, რომლის კერძო სფეროს მიკუთვნებული მონაცემებიც დაცულია ოფიციალურ წყაროებში.“¹⁵³³ რა თქმა უნდა, ეს უფლება აბსოლუტური არ

¹⁵³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.19;

¹⁵³¹ იქვე;

¹⁵³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.7;

¹⁵³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.14;

არის და პროპორციულობის ტესტზე გატარების შემთხვევაში შესაძლებელია მისი შეზღუდვა.

წინამდებარე ქვეთავში განხილულია უფლებით დაცული სუბიექტები, ანუ ის პირები ვიხეც ვრცელდება კონკრეტული უფლებით სარგებლობა. საკონსტიტუციო სასამართლომ განსაზღვრა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის გავრცელების ფარგლები სუბიექტების თავალსაზრისით.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ უფლება ვრცელდება, არა მარტო ფიზიკურ, არამედ იურიდიულ პირებზეც. „...მიუხედავად იმისა, რომ ამ ნორმაში გამოყენებულია ტერმინი „ადამიანი“, საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის თანახმად, მისი გავრცელება, შინაარსის გათვალისწინებით, შეიძლება არა მხოლოდ ფიზიკურ პირზე, არამედ იურიდიულ პირზეც.“¹⁵³⁴ თუმცა არის დაცული სფეროს ასპექტები, რომლებიც შეუძლებელია სწორედ მათი შინაარსის გათვალისწინებით გავრცელდეს იურიდიულ პირებზე. საკონსტიტუციო სასამართლო ეს საკითხი უფრო მეტად დაკონკრეტდა და მიუთითა, რომ „ჯანმრთელობა არის სიკეთე, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ფიზიკური პირისათვის – ცოცხალი არსებისათვის (განჩინება #2/3/441 - II,5). აქედან გამომდინარე, იურიდიულ პირზე საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი არ ვრცელდება ოფიციალურ წყაროებში არსებული ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების ნაწილში.“¹⁵³⁵

შესაჯამებლად შეძლება ითქვას, რომ აღნიშნული ნორმის სუბიექტები არიან როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები, თუმცა ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა უფრო მკვეთრი დიფერენციაცია, მაგალითად ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია არ შეიძლება გააჩნდეს იურიდიულ პირებს.

2.2.1. საჯარო მოხელეები და პირადი მონაცემების შემცველი ინფორმაციის რეგულირება

სასამართლო შეეხო კიდევ ერთ საინტერესო თემას და ისაუბრა საჯარო მოხელეებისა და სახელმწიფო წილის მქონე საწარმოების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაზე:

სასამართლომ განაცხადა, რომ „...თანამდებობის პირს, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ადამიანს, აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და კერძო მონაცემების გამხელისაგან დაცვის უფლება. ...“¹⁵³⁶ შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საჯარო მოხელეები ისევე არიან 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის სუბიექტები, როგორც კერძო პირები.

¹⁵³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.18;

¹⁵³⁵ იქვე;

¹⁵³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.41;

2.2.2. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირების პირადი ინფორმაციის რეგულირება

სასამართლომ იმსჯელა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ იურიდიული პირის პერსონალურ მონაცემებზე და განაცხადა, რომ „სახელმწიფოს მხრიდან წილობრივ მონაწილეობას იურიდიული პირი არ გამოჰყავს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედების სფეროდან. იქნება თუ არა და რა დოზით იქნება ხელმისაწვდომი მის ფინანსებსა და სხვა კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია, ეს კანონმდებლის გადასაწყვეტია კონსტიტუციის აღნიშნული ნორმის მოთხოვნების გათვალისწინებით.“¹⁵³⁷

2.3. შეზღუდვის საფუძვლები

პირადი ხასიათის ინფორმაციის გამჟღავნებისგან დაცვის უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის. ამაზე საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, როდესაც განაცხადა, რომ სახელმწიფოს ვალდებულებას არ დაუშვას აღნიშნული მონაცემების ხელმისაწვდომობა, გააცნია კონსტიტუციით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევები.¹⁵³⁸

41-ე მუხლის მე-2 პუნქტის შეზღუდვის საფუძვლები თვით მასშია მოცემული. შესაბამისად, პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გავრცელება შესაძლებელია, თუ „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“.

2.4. ინფორმაციის თავისუფლება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ უფლებების სფეროში ხშირია შემთხვევა, როდესაც უფლებები ერთმანეთთან კოლიზებაში შედიან. ზოგიერთ უფლებას თავისი ბუნებიდან გამომდინარე მეტი პოტენციალი გააჩნია, რომ ამგვარი კონფლიქტის მხარე იყოს. ამ თვალსაზრისითა და ჩვენი კონტექსტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ინფორმაციის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ურთიერთმიმართება.

სასამართლო ამ ორ მუხლს შორის არსებულ წინააღმდეგობების შესახებაც იმსჯელა „ამ შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია, რომ პირს არ სურს მის კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას პირის კერძო სფერო, სანამ თავად ეს

¹⁵³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.43;

¹⁵³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.14;

პირი არ გამოხატავს საწინააღმდეგო ნებას და არ მოითხოვს ინფორმაციის გაცემას. ამ დროს კონსტიტუციით დაცული მთავარი ფასეულობაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. ეს არსებითად განსხვავდება 41-ე მუხლის პირველი პუნქტისაგან, რომლით გათვალისწინებული ინფორმაციის გასაიდუმლოებაც შესაბამისი სუბიექტის ნების გამოვლენის შემდეგ ხდება და სხვა ამოცანებს ემსახურება.”¹⁵³⁹

სასამართლომ საინტერესო მინიშნება გააკეთა პირის უფლებაზე მიიღოს ინფორმაციის სხვისი პირადი საკითხების შესახებ. „საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს პირის უფლებას, მოიპოვოს ოფიციალური წყაროებიდან ინფორმაცია სხვა პირის ჯანმრთელობის, ფინანსების ან სხვა კერძო საკითხების შესახებ. თუ დავუშვებთ, რომ 41-ე მუხლის პირველი პუნქტით მინიჭებული უფლების დასაცავად შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს კერძო სფეროს მიკუთვნებული ინფორმაცია, მივიღებთ პარადოქსულ სურათს – ნებისმიერ პირს შეეძლება მიიღოს ინფორმაცია სხვა პირის კერძო საკითხებზე.... ეს, ლოგიკურად, აზრს უკარგავს 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის არსებობას, რომელიც „ტაბუს ადებს” ინფორმაციას მისი კერძო სფეროსადმი კუთვნილების ნიშნით აქედან გამომდინარე, მსჯელობა, რომლის შესაბამისადაც, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სიტყვებში „სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად”, იგულისხმება ოფიციალური წყაროებიდან ინფორმაციის მიღების უფლების დაცვა, არასწორია. პირის უფლება სხვათა არარსებული უფლების გამო ვერ შეიზღუდება. 41-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კერძო სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღებას აქვს დამხმარე ხასიათი სხვა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.”¹⁵⁴⁰

როგორც პრეცედენტული სამართლის ანალიზმა აჩვენა, პირადი ცხოვრების საიდუმლოების უფლება და ინფორმაციის თავისუფლება კონკურირებადი უფლებებია. კონკრეტულ შემთხვევაში რომელს მიენიჭება უპირატესობა ეს ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში ცალ-ცალკე უნდა გაირკვეს. ამის გზა კი პროპორციულობის ტესტია რომელიც აჩვენებს კონკრეტულ სიტუაციაში რა უფრო ღირებულია, კონკრეტული პერსონალური ინფორმაციის დაცვა, თუ საზოგადოებრივი ინტერესი ინფორმაცია მიიღოს ამ საკითხზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გასარკვევია, ვინ უფრო მეტად ზარალდება საზოგადოება, რომელიც ინფორმაციულ მოთხოვნილებებს ვერ იკმაყოფილებს, თუ კონკრეტული პირი, ვის შესახებაც ინფორმაცია ვრცელდება.

2.5. პენსიისა და თანამდებობრივი სარგოს გამჟღავნება

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „პენსიის ან თანამდებობრივი სარგოს განაკვეთის ცალკეული კანონქვემდებარე თუ საკანონმდებლო აქტებით დადგენა არ იძლევა პირის პირადი ცხოვრების გასაღებს მესამე

¹⁵³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.15;

¹⁵⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.21;

პირთათვის.”¹⁵⁴¹ შესაბამისად, კანონმდებლობით სახელწმიფო ბენეფიციის ოდენობის განსაზღვრა (რაც ყველასთვის ხელმისაწვდომია) არ იწვევს 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას.

2.6. დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შემდეგ შესაძლოა შემდეგი ძირითადი საკითხების განსაზღვრა:

- პირის ინტერესი, არ დაუშვას კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება და აკონტროლოს ამ ინფორმაციის გავრცელება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტია;
- ინფორმაცია იმ შემთხვევაში მოექცევა კონსტიტუციის ამ მუხლით დაცულ სფეროში, თუ ის
 - დაცულია ოფიციალურ ჩანაწერებში;
 - შეეხება კონკრეტულ პირს;
 - იძლევა ამ პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას;
 - პირს აქვს მისი დაცვის გონივრული მოლოდინი;
- საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს პირის უფლებას, მოიპოვოს ოფიციალური წყაროებიდან ინფორმაცია სხვა პირის ჯანმრთელობის, ფინანსების ან სხვა კერძო საკითხების შესახებ;
- ნორმის სუბიექტები არიან როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირები:
 - თუმცა ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა უფრო მკვეთრი დიფერენციაცია, მაგალითად ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია არ შეიძლება გააჩნდეს იურიდიულ პირებს;
 - სახელმწიფოს მხრიდან წილობრივ მონაწილეობას იურიდიული პირი არ გამოჰყავს ნორმის დაცული სფეროდან;
 - საჯარო მოხელეები ისევე არიან უფლების სუბიექტები, როგორც კერძო პირები.
- პირადი ხასიათის ინფორმაციის გამჟღავნებისგან დაცვის უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და იზღუდება 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად;
- პირადი ცხოვრების საიდუმლოების უფლებასა და ინფორმაციის თავისუფლებას შორის კონკურენციის დროს, რომელიმე მათგანს არ ენიჭება აპრიორი უპირატესობა. ეს ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში ცალ-ცალკე უნდა გაირკვეს.

¹⁵⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.პ.45;

2.7. საქმე, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ 41-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით განიხილა:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერის #2/3/406,408 გადაწყვეტილება/

მუხლი 42

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.
2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.
3. დაცვის უფლება გარანტირებულია.
4. არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.¹⁵⁴²
5. არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.
6. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს.¹⁵⁴³
7. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.
8. არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.
9. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

(საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, #3710-სსმI, #62, 05.11.2010წ., მუხ.379)

¹⁵⁴² აღნიშნულ ნორმაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა არ გააჩნია;

¹⁵⁴³ აღნიშნულ ნორმაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა არ გააჩნია;

შესავალი

1. 42-ე მუხლის პირველი პუნქტი
 - 1.1. დაცული სფერო
 - 1.1.1. უფლების ზოგადი მნიშვნელობა
 - 1.1.2. დაცული სფეროს შინაარსი
 - 1.1.2.1. გასაჩივრების უფლება და სასამართლოს მიუკერძოებლობა
 - 1.1.2.2. ტერმინ „სასამართლოს“ განმარტება
 - 1.2. სუბიექტები
 - 1.2.2. ფიზიკური და იურიდიული პირები
 - 1.2.3. „უშუალოდ“ თავის უფლებათა დასაცავად (actio popularis აკრძალვა)
 - 1.2.4. უფლების დარღვევის მსხვერპლი
 - 1.2.5. რეალური უფლების ან თავისუფლების არსებობა (ე.წ. „ინსტრუმენტალური გარანტია“)
 - 1.2.6. უცხო ქვეყნის მოქალაქეები და იურიდიული პირები
 - 1.2.7. ქმედუნარიანობა
 - 1.3. უფლების შეზღუდვის საფუძვლები
 - 1.4. დასკვნა
 - 1.5. საკმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით
2. 42-ე მუხლის მეორე პუნქტი
 - 2.1. დაცული სფერო,
 - 2.2. სუბიექტი
 - 2.3. უფლების შეზღუდვის საფუძვლები
 - 2.4. დასკვნა
 - 2.5. საკმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით
3. 42-ე მუხლის მე-3 პუნქტი
 - 3.1. დაცული სფერო, კავშირი საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტთან
 - 3.2. სუბიექტები
 - 3.3. უფლების შეზღუდვის საფუძვლები
 - 3.4. დასკვნა
 - 3.5. საკმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით
4. 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი

- 4.1. დაცული სფერო
 - 4.1.1. ქმედება, სამართალდარღვევა, პასუხისმგებლობა
 - 4.1.2. „ნამდვილი“ და „არანამდვილი“ უკუძალა
 - 4.1.3. „სასჯელის“ და „ქმედების დანაშაულებრიობის“ კატეგორიების მიმართება უფრო ზოგად კატეგორიასთან „პასუხისმგებლობასთან“
 - 4.1.4. ხანდაზმულობის ვადა
 - 4.1.5. სასჯელის დამძიმების ცნება, პირობითი მსჯავრი
 - 4.1.6. კანონიერების და პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპი
- 4.2. სუბიექტები
- 4.3. უფლების შეზღუდვის საფუძვლები
- 4.4. დასკვნა
- 4.5. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტთან მიმართებით
- 5. 42-ე მუხლის მე-7 პუნქტი
 - 5.1. დაცული სფერო
 - 5.2. სუბიექტები
 - 5.3. უფლების შეზღუდვის საფუძვლები
 - 5.4. დასკვნა
 - 5.5. საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტთან მიმართებით
- 6. 42-ე მუხლის მე-8 პუნქტი
 - 6.1. დაცული სფერო
 - 6.2. სუბიექტები
 - 6.3. უფლების შეზღუდვის საფუძვლები
 - 6.4. დასკვნა
 - 6.5. საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-8 პუნქტთან მიმართებით
- 7. 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი
 - 7.1. დაცული სფერო
 - 7.2. სუბიექტები
 - 7.3. უფლების შეზღუდვის საფუძვლები
 - 7.4. დასკვნა
 - 7.5. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით გარანტირებულია სამართლიანი სასამართლოს უფლება. დემოკრატიულ საზოგადოებაში ეს უფლება იმდენად ფუნდამენტური მნიშვნელობისაა, რომ ის არ შეიძლება მსხვერპლად შეეწიროს მიზანშეწონილობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეზღუდვა გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოადგინა შესაბამისი შეზღუდვის საფუძვლები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის გათვალისწინებით, რომელიც გამოიყენება კონსტიტუციის 42-ე მუხლის მიზნებისთვის: „სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არ არის აბსოლუტური. ამასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე უფლება საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან რეგლამენტაციას, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს დროისა და ადგილის, საზოგადოებისა და პირის მოთხოვნილებებისა და რესურსების მიხედვით. ამასთან, *inter alia*, 1985 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით, საქმეზე “აშინგდენი ერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ” ევროპულმა სასამართლომ განსაზღვრა უფლების შეზღუდვის ზოგადი ფარგლები: შეზღუდვები შეესაბამება მე-6 მუხლს იმ შემთხვევაში, თუ ა) ემსახურება კანონიერ მიზანს, ბ) დაცულია გონივრული თანაბარზომიერება დაწესებულ შეზღუდვასა და დასახულ მიზანს შორის (57-ე პუნქტი). ამ პირობების დაცვა აუცილებელია, რადგან შეზღუდვები არ უნდა ამცირებდეს პირისათვის ნებადართულ ხელმისაწვდომობას იმ ზღვრამდე, რომ თავად უფლების არსი შეილახოს.“¹⁵⁴⁴

1. 42-ე მუხლი პირველი პუნქტი

1.1. დაცული სფერო

1.1.1. უფლების ზოგადი მნიშვნელობა

კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სამართლიანი სასამართლოს უფლების არსის განსაზღვრამდე მიზანშეწონილია, წარმოვადგინოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება საქართველოს კონსტიტუციის პირველ თავში წარმოდგენილ მე-7 მუხლზე, რომელიც ადგენს და განსაზღვრავს, რომ საქართველოს სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ღირებულებებს. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა აღნიშნული მუხლი და მისი ერთ-ერთი კომპონენტი, რომელიც შეეხება ზოგადად უფლებების დაცვას: „კონსტიტუციის მე-7 მუხლი ძირითად უფლებებს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს და თავისუფლებებს უწოდებს. საყოველთაოდ აღიარება, თავისთავად, უფლებას დამატებით შინაარსს არ სძენს. ასეთი ჩანაწერი მხოლოდ ხაზგასმით მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ძირითადი უფლებების თაობაზე არსებობს საერთაშორისო, საყოველთაო თანხმობა, რომ

¹⁵⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I.3.1;

ისინი ყოველი ადამიანის « წარუვალი და უზენაესი ... ღირებულებებია». ბუნებრივია, ეს თავისთავად არ ნიშნავს, რომ ყველა უფლება ყველა ადამიანს ერთნაირად შეუზღუდავად აქვს. ამა თუ იმ ნიშნით დიფერენცირება და უფლებათა შეზღუდვა, მათ შორის პირთა წრის მიხედვით, შესაძლებელია, მაგრამ იმ ზღვრამდე, სანამ ეს თავად უფლებას არ დაუკარგავს არსს. კონსტიტუციის მე-7 მუხლი ადგენს სახელმწიფოს ორ ვალდებულებას : 1) ცნოს და 2) დაიცვას ადამიანის უფლებები. თავად უფლებების არსიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ მათი ცნობა, პირველ რიგში, გულისხმობს, მათი, როგორც ყოველი ადამიანის თანმდევი სიკეთის აღიარების ვალდებულებას. დაცვა კი გულისხმობს ამ უფლებებით სრულყოფილად სარგებლობის უზრუნველყოფელი ყველა საჭირო ბერკეტის გარანტირებას, მათ შორის, ამ უფლებების სასამართლოში დაცვის შესაძლებლობის ჩათვლით.¹⁵⁴⁵

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის მიხედვით, კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სამართლიანი სასამართლოს უფლება უკავშირდებოდა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა მის არსს.¹⁵⁴⁶ საკონსტიტუციო სასამართლომ სხვა საქმეში დააკონკრეტა აღნიშნული დებულება: „ვინაიდან სამართლებრივი სახელმწიფოს პირველადი ფუნქციაა ადამიანის უფლება-თავისუფლებების სრული რეალიზაცია და ადეკვატური დაცვა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განხორციელების ერთგვარი საზომი, გულისხმობს ყველა იმ სიკეთის სასამართლოში დაცვის შესაძლებლობას, რომელიც თავისი არსით უფლებას წარმოადგენს. „... კონკრეტული ინტერესის უფლებად განსაზღვრის შედეგი არის სწორედ ის, რომ მისი ხელყოფის ან შესაძლო ხელყოფის შემთხვევაში, უფლების სუბიექტს შეუძლია მოითხოვოს ხელყოფის საფრთხისგან დაცვა ან მიყენებული ზიანის ანაზღაურება”¹⁵⁴⁷

საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლიანი სასამართლოს უფლება განმარტებული აქვს კონსტიტუციურ სამართლებრივ ჭრილშიც და ზოგადად, სასამართლო ხელისუფლების შტოსთან მიმართებითაც: „კანონის უზენაესობის პრინციპის ფარგლებში საჯარო ხელისუფლების კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად განხორციელების უზრუნველყოფა არარეალური იქნებოდა მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლოს ხელმისაწვდომობის გარეშე. აზრს კარგავს სამართლებრივი წესებით ხელისუფლების შეზღუდვა, თუ არ არსებობს ამ წესების შემქმნელი და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მესამე ინსტანცია, რომელიც ქმედებების ამ წესებთან შესაბამისობას დაადგენდა.“¹⁵⁴⁸

¹⁵⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.3;

¹⁵⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, პ.1;

¹⁵⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება, II.3.14;

¹⁵⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის #1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.1;

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლიანი სასამართლოს უფლება ხელისუფლების შტოებს შორის „შეკავებისა და გაწონასწორების არქიტექტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილად განიხილება“.¹⁵⁴⁹ სასამართლომ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ამ უფლებაზე, რადგან იგი ახდენს სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ინიცირებას და მიიჩნია იგი მისი ეფექტურობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ფაქტორად.¹⁵⁵⁰

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სამართლიანი სასამართლოს უფლებას განიხილავს ინსტრუმენტული ხასიათის გარანტიად, რომლითაც სხვა უფლების დაცვა ხდება და ამ უკანასკნელთან პირველი დაკავშირებულია იმანენტურად. შესაბამისად, სამართალწარმოების პრაქტიკის მიხედვით, სასამართლო ორმაგ დატვირთვას სძენს სამართლიანი სასამართლოს უფლებას: „...ამა თუ იმ უფლებით სრულად სარგებლობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი გარანტია ზუსტად მისი სასამართლოში დაცვის შესაძლებლობაა. თუკი არ იქნება უფლების დარღვევის თავიდან აცილების ან დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობა, სამართლებრივი ბერკეტი, თავად უფლებით სარგებლობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. შესაბამისად, უფლება-თავისუფლებების დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვის აკრძალვა ან არათანაზომიერი შეზღუდვა არღვევს არა მხოლოდ სამართლიანი სასამართლოს უფლებას, არამედ, იმავდროულად, შეიცავს საფრთხეს თავად იმ უფლების უგულებელყოფისა, რომლის დასაცავადაც სასამართლოსადმი მიმართვაა აკრძალული (შეზღუდული)“.¹⁵⁵¹

საკონსტიტუციო სასამართლომ სამართლიანი სასამართლოს უფლება განმარტა როგორც ინდივიდს და სახელმწიფოს ან ინდივიდთა შორის ურთიერთობების მომწესრიგებელი ინსტიტუტი, ასევე დამატებით ხაზი გაუსვა მის როლს კონსტიტუციური უფლებების ეფექტურ რეალიზაციის და უფლებებში გაუმართლებელი ჩარევისგან პრევენციის პროცესში.¹⁵⁵²

დამატებით საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: „უფლებებისა და თავისუფლებების არსებობისა და ეფექტური რეალიზებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათი სამართლებრივი დაცვის საშუალებების არსებობას. უფლება ის ლეგიტიმური ინტერესია, რომელიც ამართლებს დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირის თავისუფლების შეზღუდვას. ხოლო კონკრეტული ინტერესის უფლებად განსაზღვრის შედეგი არის სწორედ ის, რომ მისი ხელყოფის ან შესაძლო ხელყოფის შემთხვევაში, უფლების სუბიექტს შეუძლია მოითხოვოს ხელყოფის საფრთხისგან დაცვა ან მიყენებული ზიანის ანაზღაურება. „უფლება“ ვერ იქნება პირის ლეგიტიმური ინტერესების დაცვის რეალური გარანტია, ის იქნება მხოლოდ თეორიული და ფიქციური, თუ მას არ ახლავს სასამართლო წესით მისი დაცვის შესაძლებლობა.“¹⁵⁵³

¹⁵⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის #1/3/421,422 გადაწყვეტილება, II.3.1;

¹⁵⁵⁰ იქვე;

¹⁵⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება, II.3.14;

¹⁵⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/1/403,427 გადაწყვეტილება საქმეზე კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.1;

¹⁵⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის #1/3/421,422 გადაწყვეტილება, II.3.1;

სამართლიანი სასამართლოს უფლება არ გულისხმობს მხოლოდ ფორმალურ ან ნომინალურ შესაძლებლობას მიმართო სასამართლოს. აუცილებელია ეფექტური ღონისძიების არსებობა, როდესაც გვხვდება შესაბამისი უფლება და ამ შემთხვევაში პირს უნდა ჰქონდეს ფაქტზე რეაგირების ეფექტური, ქმედითი და არა ილუზორული მექანიზმი.¹⁵⁵⁴

1.1.2. დაცული სფეროს შინაარსი

1.1.2.1. გასაჩივრების უფლება და სასამართლოს მიუკერძოებლობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში “საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ” განიხილა რამდენიმე სადავო აქტის კონსტიტუციურობა, რომლებიც შეეხებოდნენ სასამართლოში საქმის განხილვისას მოსამართლის მიერ წესრიგის დარღვევისთვის ერთპიროვნულად სანქციის შეფარდების საკითხს და გასაჩივრების აკრძალვას.¹⁵⁵⁵ ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი და ასევე ნორმატიული წყაროები, რომლის საშუალებითაც განიმარტება იგი. სასამართლოს განცხადებით, ამ პუნქტით დაცულია „სამართლიანი სასამართლოს უფლება“, რომლის შინაარსი და ფარგლებიც განსაზღვრულია თავად კონსტიტუციით და საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით,¹⁵⁵⁶ ანუ ეს უფლება ექვემდებარება ფართო ინტერპრეტაციას როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით განაცხადა: „...ეს უფლება არა მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის (სარჩელის შეტანის) შესაძლებლობას გულისხმობს, არამედ უზრუნველყოფს ადამიანის სრულყოფილ სამართლებრივ დაცვას. სამართლიანი სასამართლოს უფლება, პირველ რიგში, ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა იმ გადაწყვეტილების (ქმედების) სასამართლოში გასაჩივრებას და სამართლებრივ შეფასებას, რომელიც ადამიანის უფლებებს არღვევს.“¹⁵⁵⁷

საკონსტიტუციო სასამართლომ განსაზღვრა იმ მინიმალურ გარანტიათა ჩამონათვალი, რომელსაც უნდა პასუხობდეს სასამართლო განხილვა, რათა მიიღწეს სამართლიანობა და შესაძლებელი გახდეს ობიექტური გადაწყვეტილება. ეს გულისხმობს პირის უფლებას:¹⁵⁵⁸

- მიმართოს სასამართლოს;
- მოითხოვოს მისი საქმის სამართლიანი საჯარო მოსმენა;
- გამოთქვას თავისი მოსაზრებები და დაიცვას თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით;

¹⁵⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება, II.3.14;

¹⁵⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება;

¹⁵⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, II.3.1;

¹⁵⁵⁷ იქვე;

¹⁵⁵⁸ იქვე;

- სასამართლო განხილვა წარიმართოს გონივრულ, შემჭიდროებულ ვადებში;
- საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ამ საქმეში დაეყრდნო ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის შინაარსს და სამართალწარმოების პრაქტიკის ფარგლებში განხორციელებულ იურიდიულ განმარტებებს. სადავო აქტი იძლეოდა შესაძლებლობას, რომ სასამართლოს თავმჯდომარეს ზეპირი მოსმენის გარეშე შეეფარდებინა პირისთვის პატიმრობა 30 დღემდე ვადით. საკონსტიტუციო სასამართლომ, კონვენციის მე-6 მუხლის მხედველობაში მიღებით ზემოაღნიშნული სადავო რეგულირება მიიჩნია სისხლისსამართლებრივ ღონისძიებად ადამიანის უფლებათა პერსპექტივიდან.¹⁵⁵⁹

სადავო ნორმის ლეგიტიმური საჯარო მიზნის – ქმედითი, სწრაფი, ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება, სასამართლოში წესრიგის უზრუნველყოფა, სასამართლოსადმი გამოხატული აშკარა და უხეში უპატივცემულობის აღკვეთა და მისი ავტორიტეტის დაცვა – იდენტიფიცირების შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა შეაფასა კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, იმის გათვალისწინებით დაცული იყო თუ არა გონივრული თანაზომიერება უფლების (სასამართლოს მიუკერძოებლობა; სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება) შეზღუდვას და გამოყენებულ საშუალებას შორის.¹⁵⁶⁰

ზემოაღნიშნულ საქმეში განიხილებოდა კონსტიტუციასთან 2 დამოუკიდებელი დავის საგნის შესაბამისობა, რომელთა მიხედვითაც:

- მოსამართლეს შეეძლო ერთპიროვნულად სასამართლოს მიმართ გამოხატული აშკარა და უხეში უპატივცემულობის გამო პირისთვის 30 დღე-ღამემდე ვადით პატიმრობის შეფარდება;¹⁵⁶¹
- 30 დღე-ღამემდე ვადით პატიმრობის შეფარდების გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების აკრძალვა.¹⁵⁶²

საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილებით პირველისადავო აქტი ძალაში დარჩა, რადგან სასამართლო კოლეგიის წევრების მოსაზრებები თანაბრად გაიყო 42-ე მუხლის პირველი პუნქტის ერთ-ერთი კომპონენტის – სასამართლო მიუკერძოებლობის – თაობაზე, ეს კი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობის მიხედვით სადავო აქტის კონსტიტუციურად მიჩნევის საფუძველია.

¹⁵⁵⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, II.3.1;

¹⁵⁶⁰ სადავო აქტი გასაჩივრებული იქნა ასევე საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტთან და 42-ე მუხლის მესამე პუნქტთან, მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტზე მოვახდენთ კონცენტრირებას;

¹⁵⁶¹ საქმის განხილვის დროისთვის საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-6 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-5 ნაწილები;

¹⁵⁶² საქმის განხილვის დროისთვის საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-7 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-6 ნაწილები;

სასამართლოს მიმართ გამოხატული აშკარა და უხეში უპატივცემულობის გამო პირისთვის 30 დღე-დამემდე ვადით პატიმრობის შეფარდება კი კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ იქნა მიჩნეული, რადგან არ არსებობდა გასაჩივრების შესაძლებლობა. მეორე სადავო აქტის განხილვისას ასევე ერთ-ერთი არგუმენტი იყო 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სასამართლოს მიუკერძოებლობის გარანტია, ამ შემთხვევაშიც გაიყო მოსამართლეთა ხმები თანაბრად. ქვემოთ წარმოდგენილი იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასება გასაჩივრების უფლების აკრძალვის და სასამართლოს მიუკერძოებლობის შესახებ.

საკონსტიტუციო სასამართლომ „სასამართლო მიუკერძოებლობის“ ცნების განსაზღვრებისას ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას და დანიშნულებას: „ზოგადად, სასამართლოს მიუკერძოებლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოში და ზუსტად ეს კრიტერიუმია გადამწყვეტი სასამართლო ხელისუფლების მიერ საზოგადოებაში ნდობის მოსაპოვებლად. ამიტომაც, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი და „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი სასამართლოებისგან მიუკერძოებლობას მოითხოვენ.“¹⁵⁶³

საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას გაიზიარა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა სასამართლო მიუკერძოებლობის შესახებ, რომელიც გულისხმობს საკითხის სუბიექტური და ობიექტური ტესტით შეფასებას. შესაბამის პრეცედენტებზე დაყრდნობით სასამართლომ მოახდინა მიუკერძოებლობის სტანდარტის იდენტიფიცირება: „.....სუბიექტური ტესტი კონკრეტული საქმის მიმართ მოსამართლის პირად დამოკიდებულებას, მრწამსს ასახავს. ზოგადად, ითვლება, რომ მოსამართლე მიუკერძოებელია, ვიდრე საპირისპირო არ დამტკიცდება ანუ წარმოდგენილი უნდა იქნეს კონკრეტული მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდება, რომ მოსამართლე მოქმედებდა მიკერძოებით, განმცხადებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ, მაგალითად, გამოხატავდა არაკეთილგანწყობილ დამოკიდებულებას მის მიმართ ან პირადი მიზნებიდან გამომდინარე, საქმის განხილვა დაიქვემდებარა. ობიექტური ტესტით კი უნდა დამტკიცდეს, რომ მოსამართლის ქცევისგან დამოუკიდებლად არის ფაქტები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ეჭვი მისი მიკერძოების შესახებ. ამასთან დაკავშირებით, მიკერძოების გარეგნულ ნიშნებსაც შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა. ობიექტური მიუკერძოებლობის დასადგენად განმცხადებლის ვარაუდი მიკერძოების შესახებ მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი. მთავარია, შესაძლებელია თუ არა აღნიშნული ეჭვის ობიექტურად გამართლება.“¹⁵⁶⁴

საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა ამ კრიტერიუმების მნიშვნელობას, მაგრამ მიუხედავად ამისა, მიუთითა, რომ ისინი არ წარმოადგენდნენ ნორმის კონსტიტუციურობის შეფასების გადამწყვეტ საფუძვლებს.¹⁵⁶⁵ საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო აქტში

¹⁵⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, II.3.3;

¹⁵⁶⁴ იქვე;

¹⁵⁶⁵ იქვე;

(„სასამართლოს მიმართ გამოხატულია აშკარა და უხეში უპატივცემულობა“) ტერმინი „სასამართლო“ იყო უფრო ფართო მნიშვნელობის და არ გულისხმობდა კონკრეტულ მოსამართლეს ან საქმის განმხილველ კოლეგია/პალატას.

სასამართლოს განცხადებით: „როგორც უკვე აღინიშნა, სადავო ნორმების მიზანს წარმოადგენს მართლმსაჯულების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელებისათვის ხელის შეწყობა, სასამართლო სხდომის ჩატარების უზრუნველყოფა, რაც, საბოლოო ჯამში, ემსახურება ზოგადად სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის დაცვას. ეს მიზანი იდენტურია ნებისმიერი სუბიექტის წინააღმდეგ უპატივცემულობის აღკვეთისას და, ბუნებრივია, გადამწყვეტი უნდა იყოს მაშინაც, როდესაც სასამართლოსადმი უპატივცემულობა გამოიხატება მოსამართლის, როგორც პიროვნების, მისი პატივისა და ღირსების წინააღმდეგ. ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც კი აუცილებლად უნდა მოქმედებდეს მოსამართლის მიუკერძოებლობის პრეზუმფცია, რადგან ის მართლმსაჯულების განხორციელებისას განასახიერებს სასამართლოს, შესაბამისად, არა აქვს უფლება, იყოს სუბიექტური და გამოიტანოს არასწორი, არასამართლიანი გადაწყვეტილება. ეს, პირველ რიგში, აუცილებელია მისი და მთლიანად სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისთვის.“¹⁵⁶⁶

საკონსტიტუციო სასამართლოს დასაბუთებით, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, მიმართულია თუ არა კონკრეტული უპატივცემულობა მოსამართლის პიროვნების წინააღმდეგ, როდესაც ხდება ნორმის შეფასება კონსტიტუციურობის თვალსაზრისით. ეს საკითხი ექვემდებარება მხოლოდ ერთჯერად გადაწყვეტას და შესაბამისად კონკრეტულმა საერთო სასამართლოს მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს მისი დამოკიდებულება ამ თანამდებობისადმი, მთლიანად სასამართლო ხელისუფლებისადმი, მისი უნარი არ დაექვემდებაროს პიროვნულ, სუბიექტურ ფაქტორებს.¹⁵⁶⁷

საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით: „მოსამართლე არ არის და არც შეიძლება იყოს მხოლოდ კანონმდებლობის კარგად მცოდნე იურისტი, მას ბევრად მეტი მოეთხოვება. ზედმიწევნით გამართული და კონკრეტული კანონმდებლობა მოსამართლის მიუკერძოებლობის გარანტიად ვერ გამოდგება. ის ვერ გაათავისუფლებს მოსამართლეს უაღრესად დიდი პასუხისმგებლობისგან – სამართლიანად, ობიექტურად და ადეკვატურად შეაფასოს საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოება, ვერ ჩაანაცვლებს იმ პიროვნულ თვისებებს, რომლებიც მას სამართლიანი და მიუკერძოებელი არბიტრის ფუნქციის შესრულების შესაძლებლობას მისცემს. მოსამართლე შინაგანი რწმენის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებებს. შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებისთვის კანონმდებლობის კარგად ცოდნა, რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ ეს მხოლოდ საფუძველია, რომელიც სწორად უნდა იქნეს გამოყენებული და ზუსტად აქ არის გადამწყვეტი მოსამართლის პიროვნული თვისებები – მისი უნარი სამართლიანად და ობიექტურად შეაფასოს საქმესთან დაკავშირებული გარემოებები. ასეთი უნარის გარეშე მოსამართლეს ყოველთვის ექნება ცდუნება, კანონის კარგად ცოდნის პირობებშიც კი, მისი არასწორად გამოყე-

¹⁵⁶⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, II.3.3;

¹⁵⁶⁷ იქვე;

ნებისა. შესაბამისად, შინაგანი რწმენის საფუძველზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღება ყოველთვის საეჭვო იქნება.¹⁵⁶⁸

საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომის მიხედვით, მოსამართლეს მხოლოდ მაშინ ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ წარმოიქმნება საფუძვლიანი ეჭვი, რომსხვადასხვა მიზეზთა გამო მოსამართლე ვერ იქნება მიუკერძოებელი. მან თავი უნდა შეიკავოს საქმის განხილვაში მონაწილეობისგან, რადგან ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების მიერ სასამართლოს აღქმადობას. თუკი ხალხის მიერ კონკრეტული სასამართლო შემადგენლობის მიუკერძოებლობის ნდობის ხარისხი იქნება დაბალი, ამ შემთხვევაში მოსამართლემ თავი უნდა აიცილოს დადგენილი წესის შესაბამისად.¹⁵⁶⁹ საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოადგინა ირლანდიის მაგალითი, სადაც მოსამართლის შეურაცხყოფა განიხილება მართლმსაჯულების ხელშეშლად და არა კონკრეტული მოსამართლის ღირსების წინააღმდეგ მიმართულ აქტად.¹⁵⁷⁰ საქმეში ასევე მოხსენიებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „კირიანუ კვიპროსის წინააღმდეგ“, სადაც მოსამართლის მიმართ გამოთქმული პირადი უპატივცემულობა და შემდეგ მათი მხრიდან დამრღვევის მიმართ გატარებული სანქციები ევროკონვენციის მე-6 მუხლის დარღვევად ჩაითვალა.¹⁵⁷¹

როგორც ზემოთ აღინიშნა, საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის აზრი მიუკერძოებლობის ნაწილში ორად გაიყო. განსხვავებული პოზიციის მოსამართლეები მიიჩნევენ, რომ ამ საქმეში სადავო ნორმები არღვევდნენ 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ სასამართლო მიუკერძოებლობის გარანტიას.¹⁵⁷² მათი მხრიდან ორი ძირითადი სახის არგუმენტი იქნა გამოთქმული ამ მიმართებით:

- კანონმდებელმა პირველ რიგში უნდა განსაზღვროს ნორმატიული ბაზა, რომლის ფარგლებშიც მოსამართლეს ექნება იმის შესაძლებლობა, რომ მიიღოს ობიექტური გადაწყვეტილება:

„წესის ორგანული ნაწილი კი არის არა მარტო ის, რომ აუცილებელი პროცედურების დაცვით უნდა მოხდეს პატიმრობის შეფარდება, არამედ ის, რომ ნორმატიულად სწორად განისაზღვროს სანქციის გამოყენებელი სასამართლო, როგორც მიუკერძოებელი სასამართლო...¹⁵⁷³ მოსამართლე, როგორც ადამიანი, შეიძლება შეცდეს, მაგრამ არ შეიძლება ამაში მას ხელს უწყობდეს თავად ნორმატიული სინამდვილე...¹⁵⁷⁴

¹⁵⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, II.3.3;

¹⁵⁶⁹ იქვე;

¹⁵⁷⁰ იქვე;

¹⁵⁷¹ იქვე;

¹⁵⁷² ამ საქმეში აღნიშნული სასამართლოს წევრების განსხვავებული პოზიცია წარმოდგენილია ძირითად გადაწყვეტილებაში. გადაწყვეტილების მესამე ნაწილის შემდეგ, ცალკე პუნქტობრივი ნუმერაციით წარმოდგენილია აღნიშნული მოსაზრება (შემდგომში მოხსენიებული როგორც – „სასამართლოს წევრების ბესარიონ ზოიძის და ვახტანგ გვარამიას პოზიცია“);

¹⁵⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, სასამართლოს წევრების ბესარიონ ზოიძის და ვახტანგ გვარამიას პოზიცია, პ.1;

¹⁵⁷⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, სასამართლოს წევრების ბესარიონ ზოიძის და ვახტანგ გვარამიას პოზიცია, პ.3;

- როდესაც მოსამართლის მიმართ გამოითქმის პიროვნული სახის შეურაცხყოფა ან უპატივცემულობა, სასამართლო ვერ იქნება მიუკერძოებელი და, შესაბამისად, მართლმსაჯულების ინტერესები ზარალდება:

„როცა სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამოხატვის გზა, უმეტესწილად, კონკრეტული მოსამართლეების მიმართ უპატივცემულობაზე გადის, ასეთ ვითარებაში ადვილი შესაძლებელია, რომ ნებით თუ უნებლიეთ, მოსამართლე გაემიჯნოს სასამართლოს, ამოვარდეს მისი სხეულიდან და დაპატიმრების თაობაზე განკარგულების გამოტანისას სამოსამართლეო ძალაუფლების ეპიცენტრში დააყენოს პირადი ღირსება (ინტერესი), როგორც ადამიანისა.“¹⁵⁷⁵

საკონსტიტუციო სასამართლომ ერთსულოვნად ცნო სადავო აქტი კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ, როდესაც სადავო აქტის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სასამართლოში საქმის განხილვისას მოსამართლის/სასამართლოს მიერ წესრიგის დარღვევისთვის ერთპიროვნულად შეფარდებული პატიმრობა არ საჩივრდებოდა.¹⁵⁷⁶ საკონსტიტუციო სასამართლომ პირველ რიგში მოახდინა მისი პრაქტიკის კომპილაცია და მიუთითა, რომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი მართლაც ადგენდა გასაჩივრების უფლებას. დამატებით საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიაჩნია, რომ პირისათვის მოსამართლის განკარგულების გასაჩივრების შესაძლებლობის ჩამორთმევა არსებითად არღვევს დაპატიმრებული პირის უფლებას სამართლიან სასამართლოზე. თავისუფლებაშეზღუდული პირის მდგომარეობა არ იცვლება იმის მიხედვით, თავისუფლება შეეზღუდა სასამართლოს განაჩენის, ბრძანების თუ განკარგულების საფუძველზე. ამიტომ მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ერთნაირად გაასაჩივროს თავისუფლების შეზღუდვის კანონიერება, მიუხედავად შეზღუდვის საფუძვლისა.“¹⁵⁷⁷

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო აქტი ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომლის შინაარსსაც განაგრძობდა ევროკონვენციის მე-5 მუხლის მეოთხე პარაგრაფი, მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი და მეშვიდე დამატებითი ოქმის მეორე მუხლი და შესაბამისი ევროსასამართლო პრაქტიკა, რომელიც სასამართლოს მიერ იქნა დეტალურად მიმოხილული გადაწყვეტილებაში.¹⁵⁷⁸

აღნიშნულ გადაწყვეტილებამდე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში “შპს “უნისერვისის” კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ” განმარტა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი, როგორც კონკრეტული საპროცესო აქტის გასაჩივრების უფლება.¹⁵⁷⁹ ერთ-ერთი სადავო ნორმის

¹⁵⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, სასამართლოს წევრების ბესარიონ ზოიძის და ვახტანგ გვარამიას პოზიცია, პ.4;

¹⁵⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, II.3.4;

¹⁵⁷⁷ იქვე;

¹⁵⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, II.3.4;

¹⁵⁷⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის #2/6/264

მიხედვით საქმის არსებით განხილვამდე ჩატარებული ჩხრეკის ჩატარების სასამართლო დადგენილება არ საჩივრდებოდა.¹⁵⁸⁰ აღნიშნულის საწინააღმდეგოდ არსებითი განხილვის პროცესზე ჩატარებული ჩხრეკის გადაწყვეტილება ექვემდებარებოდა აპელაციას.¹⁵⁸¹ მოპასუხე მხარე აპელირებდა ჩხრეკის სუბიექტის შესაძლებლობაზე მოეხდინა მისი უფლებების დაცვა საქმის არსებითი განხილვის დროს შესაბამისი მტკიცებულებების კანონიერების და დასაბუთებულობის გადამოწმებით.¹⁵⁸² ამ არგუმენტის საპირისპიროდ, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა ისეთ შემთხვევებზე, როდესაც წინასწარი გამოძიება წყდებოდა საქმის არსებითი განხილვის გარეშე ან როცა ჩხრეკა ტარდებოდა არა ბრალდებული პირის მიმართ.¹⁵⁸³ საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციაში იმპლიციტურად არ არის მითითებული გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ, იგი გამომდინარეობს მისგან: „ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი ზოგადად მიუთითებს პირის უფლებაზე თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს, ხოლო რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილების - ასევე საპროცესო მოქმედებების ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილებათა - გასაჩივრების წესს, იგი მინდობილი აქვს შესაბამის საკანონმდებლო ან სხვა ნორმატიულ აქტებს. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყოველი კონკრეტული საქმიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრების წესი და საჩივრის განმხილველ სასამართლოთა ჩამონათვალი შესაძლებელია სხვადასხვა იყოს, მაგრამ კანონმდებელი ვალდებულია დაადგინოს გასაჩივრების ისეთი მექანიზმი და შესაძლებლობა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის პრინციპთან. ამასთან, სასამართლო კოლეგიას ცალსახად მიაჩნია, რომ პირი სასამართლოს გადაწყვეტილების ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრებით რეალიზაციას უკეთებს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უფლებას.“¹⁵⁸⁴

ზემოაღნიშნული მიდგომა დადასტურდა სასამართლოს შემდგომ გადაწყვეტილებებშიც. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის მე-11 ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.¹⁵⁸⁵ სადავო აქტი იყო შემდეგი შინაარსის: „პატიმრობის ან შინაპატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ მოსამართლის ბრძანების

გადაწყვეტილება საქმეზე შპს “უნისერვისის” კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁵⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის #2/6/264 გადაწყვეტილება, II.3.1;

¹⁵⁸¹ იქვე;

¹⁵⁸² იქვე;

¹⁵⁸³ იქვე;

¹⁵⁸⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის #2/6/264 გადაწყვეტილება, II.3.1;

¹⁵⁸⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 17 მარტის #2/3/286 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე ოლეგ სვინტრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

კანონიერება და დასაბუთებულობა არ გასაჩივრდება“. სასამართლომ აღნიშნული აქტი არაკონსტიტუციურად ცნო, რადგან სახეზე იყო თავისუფლების აღკვეთის შემთხვევა ზემდგომ სასამართლოში უფლების დაცვის შესაძლებლობის არარსებობის პირობებში.¹⁵⁸⁶ მოსარჩელე და მოპასუხე მხარეების ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციების შეჯერების შემდეგ, რომელიც შეეხებოდა საკითხს, დაცულია თუ არა კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გასაჩივრების უფლება, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ვერ დაეთანხმება მოპასუხის ამ მოსაზრებას და მიაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი, მართალია, ზოგადად მიუთითებს ყოველი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სასამართლო დაცვის უფლებაზე, სასამართლო დაცვის უფლების რეალიზაცია სწორედ იმ პროცესუალური საშუალებების ერთობლიობით ხორციელდება, რომლებიც სამართლიან მართლმსაჯულებას და მოქალაქეთა დარღვეული უფლებების აღდგენას უზრუნველყოფენ. ამდენად, მოპასუხის მიერ პროცესუალური დოკუმენტების გასაჩივრების უფლების ამგვარი უგულვებელყოფა სასამართლოს არ მიაჩნია მისაღებად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი მოიცავს არა მარტო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვას, არამედ ზემდგომ ინსტანციებში საჩივრის შეტანის უფლებასაც. აღნიშნული მუხლი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გარანტიას წარმოადგენს.“¹⁵⁸⁷

ასევე გასაჩივრების უფლების აკრძალვა იყო დაცვის საგანი საქმეში – „კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.¹⁵⁸⁸ ამ საქმეში მოსარჩელები ასაჩივრებდნენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებებს, რომელთა მიხედვითაც საპროცესო შეთანხმების შედეგად დამტკიცებული განაჩენის გასაჩივრების უფლება არ ჰქონდა დაზარალებულ პირს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განასხვავა ეს საქმე მანამდე არსებული პრაქტიკისგან, რომელიც დადგენილ იყო „საქართველოს მოქალაქე ოლეგ სვინტრადე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და „შპს „უნისერვისი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და შეეხებოდა კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ გასაჩივრების უფლებას.¹⁵⁸⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, ზემოაღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებები შეეხებოდა საპროცესო იძულების ღონისძიების კანონიერებისა და საფუძვლიანობის შემოწმების (გასაჩივრების) შესაძლებლობას, ვინაიდან ასეთი ქმედება იწვევდა უშუალოდ მოსარჩელეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების

¹⁵⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 17 მარტის #2/3/286 გადაწყვეტილება, II.3.2;

¹⁵⁸⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 17 მარტის #2/3/286 გადაწყვეტილება, II.3.3;

¹⁵⁸⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/403,427 საქმეზე კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.1;

¹⁵⁸⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/1/403,427 გადაწყვეტილება, II.3.11;

შეზღუდვას. საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით იგივე ტიპის მიმართება არ იყო დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირის ინტერესებს და კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტს შორის.¹⁵⁹⁰

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა 2002 წელს განიხილა საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება, რომელიც ეხებოდა საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წლის 16 ოქტომბრის დადგენილებით რატიფიცირებული "ადგილმდებარეობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკასა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შორის შეთანხმების" მე-3 მუხლის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.¹⁵⁹¹ საერთო სასამართლოს მიმართა მოქალაქემ, რომელიც წითელი ჯვრის ადგილობრივი სამსახურიდან დაითხოვეს და ითხოვდა შესაბამის რეპარაციას და რესტიტუციას. მოპასუხე, თავის მხრივ, აპელირებდა სადავო აქტის მე-3 მუხლზე, რომლის თანახმად, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი სარგებლობს იმუნიტეტით სასამართლო და ადმინისტრაციული საქმიანობის ნებისმიერი ფორმის მიმართ. საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა, რადგანაც საერთო სასამართლოს მიერ არასწორად განიმარტებოდა საერთაშორისო შეთანხმების ტექსტი და ზემოაღნიშნული იმუნიტეტი ვრცელდებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებული იყო ორგანიზაციის საქმიანობასთან და მიზნებთან პირდაპირ. შესაბამისად, შრომით დავებზე მოქმედებდა საქართველოს კანონმდებლობა და შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი.¹⁵⁹²

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა მოქალაქე რევაზ ჩაგუნავამ, რომელიც ითხოვდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის არაკონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.¹⁵⁹³ სადავო აქტი იძლევა კანონით დადგენილი სასჯელის მინიმუმზე მცირე სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობას საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო საქმე განსახილველად, რადგან ერთის მხრივ არ იქნა წარმოდგენილი უფლებრივი მიმართება სადავო აქტს და კონსტიტუციის ნორმას შორის¹⁵⁹⁴ და მეორეს მხრივ, ასეთის არსებობის შემთხვევაშიც, კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი დაცული სფერო არ მოიცავდა უფლებას კანონით დადგენილი სასჯელის მინიმუმზე მცირე სასჯელის შეფარდებაზე: „კონსტიტუციის 42-ე მუხლის მოთხოვნები დაცულია, როდესაც განსასჯელს კანონით გათავალისწინებული სასჯელი სამართლიანად შეეფარდა, ამასთან

¹⁵⁹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/1/403,427 გადაწყვეტილება, II.3.11;

¹⁵⁹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 21 მაისის #8/177/2 გადაწყვეტილება საქმეზე ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება;

¹⁵⁹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 21 მაისის #8/177/2 გადაწყვეტილება, II.3.3;

¹⁵⁹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის #1/1/500 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე რევაზ ჩაგუნავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁵⁹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის მაისის #1/1/500 განჩინება, II.3.1;

პროცესუალური უფლებებისა და პრინციპების სათანადო დაცვისა და უზრუნველყოფის პირობებში. კონსტიტუციის 42-ე მუხლით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლებიდან თავისთავად არ გამომდინარეობს კანონით გათვალისწინებული სასჯელის ზომის უფრო მსუბუქი სასჯელით ჩანაცვლების უფლება.¹⁵⁹⁵

1.1.2.2. ტერმინ „სასამართლოს“ განმარტება

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ სასამართლოებზე და არ მოიცავს პირის უფლებას მიმართოს საერთაშორისო სასამართლოს, როგორცაა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპის სასამართლო, საერთაშორისო სისხლის სასამართლო, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი და სხვა ტრიბუნალები, რომლებიც იძლევიან ინდივიდუალური ინტერესების სავალდებულოდ აღსასრულებელი მექანიზმებით დაცვის შესაძლებლობას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში განაცხადა: „კონსტიტუციის 42-ე მუხლი უზრუნველყოფს ეროვნული სასამართლოსადმი (როგორც საკონსტიტუციო, ისე საერთო) მიმართვის უფლებას (რასაც მოსარჩელე ახორციელებს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით ამ კონკრეტულ შემთხვევაში). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება წესრიგდება არა ეროვნული კანონმდებლობით, მათ შორის კონსტიტუციით, არამედ საერთაშორისო სამართლებრივი აქტით – ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ საქართველომ მართალია 1995 წელს მიიღო კონსტიტუცია, რომელიც ითვალისწინებდა 42-ე მუხლს, მაგრამ 1999 წლამდე, ანუ სანამ საქართველო არ მოახდენდა ევროპული კონვენციის რატიფიცირებას, საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირებისაგან ევროპული სასამართლო განაცხადებს არ იღებდა და არსებითად არ განიხილავდა“.¹⁵⁹⁶

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულების და სხვა ფორმის მეშვეობით. ამ უკანასკნელ მესამე კატეგორიაში სასამართლომ მიიჩნია საარბიტრაჟო სამართალწარმოება და შესაბამისად ეს უკანასკნელი კონსტიტუციის 42-ე მუხლით დაცულ სფეროში მოაქცია: „აქედან გამომდინარე, საარბიტრაჟო სასამართლო ახორციელებს სასამართლო ფუნქციებს და, თავის სპეციფიკური კომპეტენციის - განსჯადობის (განსხილველ საქმეთა კატეგორიის) მიხედვით, დღესდღეობით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არის სპეციალიზებული სასამართლო ორგანო. იგი სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს არა მართლმსაჯულების ფორმით, არამედ, როგორც ეს საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის

¹⁵⁹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის მაისის #1/1/500 განჩინება, II.3.2;

¹⁵⁹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 ნოემბერის #1/5/224 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე ანზორ თევზაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

პირველ პუნქტშია ნათქვამი - კანონით დადგენილი სხვა ფორმის მეშვეობით. სახელდობრ, „საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს 1991 წლის 23 აპრილის კანონის მე-3 და 4-ე მუხლების მიხედვით, ეს არის საარბიტრაჟო სასამართლო წარმოება. რაც შეეხება მართლმსჯულებას, მას ახორციელებს არა საარბიტრაჟო სასამართლო, არამედ, საერთო სასამართლოები (საქართველოს კონსტიტუციის 83-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ საარბიტრაჟო სასამართლო ამჟამად არის საქართველოს სასამართლოების სისტემის ნაწილი, ამის შესაბამისად, „საქართველოს სასამართლოს წყობილების მოქმედი კანონმდებლობის ნაწილი“.¹⁵⁹⁷

საკონსტიტუციო სასამართლოს დამატებით განმარტებული აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის თავისებურება. სასამართლომ გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტება, რომლის მიხედვითაც მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციის მე-2 თავით დადგენილი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა: „..... საკონსტიტუციო სასამართლომ შესაძლოა კონკრეტული საქმე არც მიიღოს არსებითად განსახილველად, თუკი დარწმუნდება, რომ არ არსებობს სადავო საკითხის შემხებლობა კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებულ უფლებასთან.“¹⁵⁹⁸

ამ საკითხთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებმა დააფიქსირეს განსხვავებული აზრი: „საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტშიც არაორაზროვნად იკითხება, რომ ადამიანს უფლება აქვს, ყველა თავისი უფლების და თავისუფლების დასაცავად მიმართოს სასამართლოს, ამასთან განურჩევლად იმისა, ეს უფლება კონსტიტუციითაა აღიარებული, კანონით, თუ საერთაშორისო აქტებით.“¹⁵⁹⁹

1.2. სუბიექტები

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული გარანტიის სუბიექტია ყველა პირი. საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის ანალიზის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე კომპონენტი, რომელიც განსაზღვრავს ამ მუხლით დადგენილ სუბიექტს და აძლევს უფლების სასამართლოს წინაშე დაცვის შესაძლებლობას.

1.2.1. ფიზიკური და იურიდიული პირები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით ყველა ადამიანს აქვს შესაძლებლობა მიმართოს სასამართლოს თავის უფლებათა

¹⁵⁹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 1 ნოემბრის #1/10

გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე ილია ანდრიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 1598 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს #1/2/434 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.13;

¹⁵⁹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს #1/2/434 გადაწყვეტილება, სასამართლოს წევრების ქეთევან ერემაძის და ზესარიონ ზოიძის განსხვავებული აზრი, პ.2;

და თავისუფლებათა დასაცავად.¹⁶⁰⁰ სამართალწარმოების პრაქტიკის მიხედვით 42-ე მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება ასევე ვრცელდება იურიდიულ პირებზეც: „სასამართლო კოლეგია მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლზე, რომლის შესაბამისადაც „კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე“. ამრიგად, სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი, მისი შინაარსის გათვალისწინებით, ასევე უნდა გავრცელდეს იურიდიულ პირებზეც.“¹⁶⁰¹

1.2.3. „უმუალოდ“ თავის უფლებათა დასაცავად (actio popularis აკრძალვა)

42-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აქვთ იმის უფლება, რომ საკუთარ უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართონ სასამართლოს. აღნიშნული გამორიცხავს ე.წ. actio popularis და i# abstracto (აბსტრაქტულ) სარჩელებს. საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ მოუწია ამ კომპონენტის განმარტება, რადგან მოსარჩელეთა მხრიდან ხშირად ხდება აღნიშნულის უგულვებელყოფა.¹⁶⁰²

როდესაც ფიზიკური პირი იურიდიული პირის მაგივრად მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლების დასაცავად, სასამართლო არ იღებს სარჩელს არსებით განსახილველად შემდეგი მოტივაციით: „სარჩელისა და მასზე თანდართული მასალების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ არ არსებობს გასაჩივრებული ნორმის საგნობრივი მიმართება მოსარჩელის უფლებასთან და იგი გვევლინება არა საკუთარი, არამედ სხვა პირის ინტერესების დამცველად. აღნიშნული ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო სამართალწარმოების მოთხოვნებს, რომლებიც გამორიცხავს ე.წ. actio popularis შესაძლებლობას. საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში “საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ” მიუთითა: “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის “ზ” ქვეპუნქტით, სხვა პირთა ინტერესების დასაცავად კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის უფლება მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველს ეძლევა (ე.წ. აბსტრაქტული კონტროლი)“.¹⁶⁰³

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო განსახილველად საქმე, როდესაც ფიზიკურმა პირმა მოითხოვა სისხლის სამართლის კონკრეტული დებულების არაკონსტიტუციურად ცნობა და დასაბუთებად

¹⁶⁰⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 10 იანვრის #2/17/1 განჩინება საქმეზე ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁶⁰¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის #2/6/264 გადაწყვეტილება საქმეზე შპს “უნისერვისის” კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.2;

¹⁶⁰² I#ter alia, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 27 ივნისის #1/13/29 განჩინება საქმეზე მოქალაქე ნოდარ ნეზიერძის “სასარჩელო განცხადება” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 3.IV;

¹⁶⁰³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის #2/4/490 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნიაზ მიქელაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.5;

მოყვანილ იქნა ისეთი სამართალურთიერობა, რომელშიც მხოლოდ იურიდიული პირი მონაწილეობდა.¹⁶⁰⁴ იგივე შემთხვევა სახეზე, როდესაც პირი სხვა ფიზიკური პირის სასარგებლოდ მიმართავს სასამართლოს.¹⁶⁰⁵

ამასთან აუცილებელი მოთხოვნაა, რომ მოსარჩელის მიერ დასახელებულ სადავო სამართლებრივ აქტს და უფლებებს შორის არსებობდეს კონკრეტული კავშირი. ზოგადი, აბსტრაქტული მითითება კანონზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ითვლება *i# abstracto* კონსტიტუციურ კონტროლად, რადგან ამ შემთხვევაში კონსტიტუციური სარჩელი უფლებრივ სფეროს სცდება.¹⁶⁰⁶

როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოში შესაძლებელი იყო სასარჩელო მოთხოვნის გაზრდა,¹⁶⁰⁷ სასამართლომ დააწესა დამატებითი შეზღუდვა ამ შესაძლებლობით სარგებლობასთან დაკავშირებით *actio popularis* აკრძალვიდან გამომდინარე: მოთხოვნა თვისობრივად (საგნობრივად) ფართოვდება, თუკი თავდაპირველ მოთხოვნას დაემატება ახალი მოთხოვნა. თუ ჩვენ დავუშვებდით მოთხოვნის თვისობრივ (საგნობრივ გაფართოებას, მაშინ სამართალწარმოების ერთ პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯა-განხილვის საგანი აღმოჩნდება სხვადასხვა მოთხოვნები, რომელთაც არაფერი საერთო ექნებოდათ ერთმანეთთან, ან ექნებოდა მხოლოდ არაპირდაპირი კავშირი. ამ შემთხვევაში იქმნება ისეთი მდგომარეობა, როცა შეუძლებელია ყველა მოთხოვნა გახდეს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთდროულად განხილვის საგანი. მოსარჩელების მიერ მოთხოვნის მოცულობის გაზრდა არსებითად ახალი მოთხოვნის წამოყენებად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც მხოლოდ არაპირდაპირ კავშირშია ძირითად სასარჩელო მოთხოვნასთან.¹⁶⁰⁸

საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ მოუწია იმის განმარტება, რომ კონსტიტუციური კონტროლი ორი სახის სამართალწარმოებისგან შედგებოდა – ფორმალური და რეალური. ეს უკანასკნელი არის ფიზიკური პირის მიერ თავისი უფლების დაცვის შესაძლებლობა სასამართლოში, ხოლო მეორე ეხება სპეციალური სუბიექტების მიერ განსაკუთრებული სამართალწარმოების წესით სასამართლოსთვის მიმართვას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით კონსტიტუციის 42-ე მუხლი:

- არ წარმოშობს ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლებას მიმართოს სასამართლოს თავის უფლებათა დასაცავად სამართალწარმოების იმ

¹⁶⁰⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 9 დეკემბრის #2/19/259 განჩინება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე პაატა შარაშენიძის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁶⁰⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 10 იანვრის #2/17/1 განჩინება;

¹⁶⁰⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 10 მარტის #1/2/358,360 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეების – (1) რევაზ გოგელიას კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის #358) და (2) ანრი ზურიკაშვილის კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის #360) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁶⁰⁷ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მეორე პუნქტის 2006 წლის 29 დეკემბრამდე რედაქცია;

¹⁶⁰⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 14 დეკემბრის #1/10/107 განჩინება საქმეზე მოქალაქეების ლელა ინჭირველისა და ეკატერინე ჩაჩანიძის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.2;

ტიპის საშუალებით, რომელიც სპეციალური სუბიექტის განსაკუთრებულ კომპეტენციას მიეკუთვნება. მაგალითად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, რომელიც გარკვევით ადგენს იმ სუბიექტებს, რომლებსაც უფლება აქვთ, მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით საქართველოს პარლამენტის არჩევნების ჩატარების კონტიტუციურობასთან დაკავშირებით.¹⁶⁰⁹

- არ იძლევა საშუალებას, რომ სასამართალწარმოების განსაკუთრებული ტიპი გაუქმდეს და იქნას არაკონსტიტუციურად ცნობილი. საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო არსებითად განსახილველად საქმე, რომელიც ეხებოდა ნორმატიული აქტების ამოქმედების სპეციალური სამართალწარმოების წესის გაუქმების მოთხოვნას კონსტიტუციის 42-ე მუხლთან მიმართებით.¹⁶¹⁰

1.2.4. უფლების დარღვევის მსხვერპლი

როგორც ზემოთ აღინიშნა პირის სასამართლოსთვის მიმართვა ხორციელდება უშუალოდ კონკრეტულ უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. ანუ აუცილებელია უფლებრივი მიმართება მოსარჩელეს და სასარჩელო მოთხოვნას შორის. ამ საკითხთან ორგანულ კავშირშია შემდეგი კომპონენტი, უფლების დარღვევის მსხვერპლის სტატუსი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამომწურავად არის განმარტებული მრავალგზის. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 42-ე მუხლთან მიმართებით განაცხადა შემდეგი: „აღნიშნული ნორმის მიზანს წარმოადგენს კონკრეტული ინდივიდის უფლების დაცვა ან მისი უფლებების აშკარა დარღვევის პრევენცია. სწორედ ამიტომ ფიზიკური პირი არის აღჭურვილი უფლებით, ექვევცემ დააყენოს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობა, თუ მიიჩნევს, რომ ასეთი აქტის მოქმედებით მან უშუალოდ განიცადა ზიანი ან ზიანის მიღების საფრთხე უშუალოდ მისთვის არის რეალური.“¹⁶¹¹

სასამართლო პრაქტიკის მიხედვით ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლი რამდენიმე სახისაა:

ა. რეალური მსხვერპლი

ამ შემთხვევაში პირი ასაბუთებს იმას, რომ კონკრეტული რეგულირებით განხორციელდა მისი ძირითადი უფლებებით ან თავისუფლებებით

¹⁶⁰⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის #16/455 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ავთანდილ კახნიაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ, II.3.5.6;

¹⁶¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 აპრილის #2/6/283 განჩინება საქმეზე მოქალაქე ვახტანგ სამხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.3;

¹⁶¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 1 მარტის #1/1/413 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე ბარამიძე, ირაკლი ყანდაშვილი და კომანდიტური საზოგადოება "ანდრონიკაშვილი, საქსენ-ალტენბურგი, ბარამიძე და პარტნიორები" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.2;

დაცული სფეროს შეზღუდვა.¹⁶¹² ამ შემთხვევაში პირი უშუალოდაა უფლების ხელყოფის მსხვერპლი სამართალწარმოების მიმდინარეობის პროცესში და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება რეტროაქტიული რესტიტუციის შესაძლებლობას იძლევა.

საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ საქმეში დამატებით განმარტებული აქვს, რომ რეალური უფლებრივი ხელყოფის ერთ-ერთი მტკიცებულებაა საერთო სასამართლოსთვის მიმართვა: „არც კონსტიტუციური სარჩელიდან და არც განმწესრიგებელ სხდომაზე მოსარჩელის განმარტებიდან არ ჩანს თუ როგორ დაირღვა მისი უფლებები. როგორც განმწესრიგებელ სხდომაზე გამოირკვა, სასამართლოსათვის მოსარჩელეს არც კი მიუძღრთავს.“¹⁶¹³

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მიზანია „...უზრუნველყოს სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა არა მარტო უფლების დარღვევის შემთხვევაში, არამედ ნებისმიერი იმ საკითხის გადასაწყვეტად, რაც პირდაპირ თუ ირიბ გავლენას იქონიებს პირის უფლების შინაარსზე, მის ფარგლებსა თუ შეზღუდვებზე“.¹⁶¹⁴

ბ. პოტენციური მსხვერპლი

ამ შემთხვევაში უფლებებით დაცულ სფეროში სამომავლოდ შეიძლება განხორციელდეს შეჭრა ან სხვაგვარი ხელყოფის შესაძლებლობა არსებობს. სასამართლოსწავლობს მტკიცებულებებს იმ კუთხით, თუ რამდენად შეიძლება გახდეს კონკრეტული პირი სამომავლოდ სადავო სამართალურ თიერთობის მონაწილე: „...პირს, როგორც მოსარჩელეს უფლება აქვს იდავოს მხოლოდ საკუთარი უფლებების დარღვევაზე. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა არსებობს პირდაპირი კავშირი სადავო ნორმატიულ აქტსა და მოსარჩელის უფლებებს შორის. იმ ვითარებაში, როცა სარჩელიდან არ დასტურდება სადავო ნორმატიული აქტების, კონსტიტუციური უფლებებისა და მოსარჩელე სუბიექტის კავშირ-ურთიერთობა, შეუძლებელია იმის თქმა, რომ დაცულია ორგანული კანონის 39-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები.“¹⁶¹⁵

გ. კიპოტეტური მსხვერპლი

კავშირ-ურთიერთობა და უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობა სასამართლომ შეიძლება მაშინაც შეაფასოს, თუ კონკრეტული მტკიცებულებების წარმოდგენა ობიექტურად შეუძლებელია, უფლებების დარღვევის შესაძლებლობა სადავო ნორმის შინაარსიდან აშკარად გამომდინარეობს და ეჭვგარეშეა, რომ კონკრეტული მოსარჩელე უფლების

¹⁶¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 1 მარტის #1/1/413 განჩინება, II.3.2;

¹⁶¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 11 ივნისის #1/7/236 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე კობა კობახიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁶¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის #1/3/421,422 გადაწყვეტილება, II.3.2;

¹⁶¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 25 ივლისის #1/14/335 განჩინება საქმეზე კავშირი “თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეა” საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;

დარღვევის საფრთხის პირისპირ რეალურად შეიძლება აღმოჩნდეს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულ მიდგომას იყენებს ისეთი ღონისძიებების მიმართ, რომლებიც დახურული წესით ხორციელდება და პირთათვის უცნობია მათი მოქმედებების შესახებ. ერთ-ერთ ასეთ მაგალითს წარმოადგენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ნოემბრის #1/7/407 საოქმო ჩანაწერი საქმეზე “საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პერლამენტის წინააღმდეგ”. სარჩელი არსებითად განსახილველად მიღებულ იქნა, რადგან სადავო ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოსარჩელისთვის შეუძლებელი იყო არა მხოლოდ უფლების შესაძლო დარღვევის, არამედ უკვე დარღვეული უფლების ფაქტზეც კონკრეტული და უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენა. იმავდროულად, მაღალი იყო ალბათობა, რომ მოსარჩელე სადავო ნორმით გათვალისწინებული ურთიერთობების მონაწილე გამხდარიყო.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პოტენციური და ჰიპოტეტური ადამიანის უფლებების ხელყოფის მსხვერპლის მიმართ დამატებით იყენებს რეალურობის კრიტერიუმს, რომელიც სამი კომპონენტისგან შედგება:¹⁶¹⁶

- უფლების ბუნება;
- სადავო ნორმატიული აქტის შინაარსი;
- კონკრეტული საქმის ვითარება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო ერთ-ერთი სარჩელი არსებით განსახილველად, როდესაც მოსარჩელის მოთხოვნა შეეხებოდა არაპირდაპირ კავშირს მას და სადავო ნორმით დადგენილ სამართალურთიერთობას შორის: „მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სადავო ნორმებით უშუალოდ მისი უფლებები დარღვეული არ არის, მაგრამ შესაძლებელია დაირღვეს მომავალში, რაც მას აძლევს საფუძველს შეიტანოს სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში. ამასთან დაკავშირებით სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი ასეთ საფუძველზე კონსტიტუციური სარჩელით მიმართვა სცილდება ფიზიკური პირის სასარჩელო უფლებაუნარიანობის ფარგლებს. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ძალით, კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება მოქალაქეს აქვს იმ შემთხვევაში, თუ მას მიაჩნია, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მისი უფლებანი და თავისუფლებანი.“¹⁶¹⁷

1.2.5. რეალური უფლების ან თავისუფლების არსებობა (ე.წ. „ინსტრუმენტალური გარანტია“)

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის მიხედვით, უფლება სამართლიან სასამართლოზე არ წარმოადგენს

¹⁶¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 1 მარტის #1/1/413 განჩინება, II.3.2;

¹⁶¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 19 აპრილის #1/8/373 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ამირან ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

ცალკე აღებულ უფლებას, არამედ მას აქვს ე.წ. ინსტრუმენტალური ფუნქცია, რაც გულისხმობს მის აქცესორულ ხასიათს და სხვა უფლებებთან სავალდებულო მიმართების აუცილებლობას.

საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ანატოლი კოზლოვსკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“¹⁶¹⁸ დავის საგანს წარმოადგენდა „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ 2006 წლის 13 ივლისის საქართველოს კანონის ერთ-ერთი დებულების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. აღნიშნული ცვლილებებით სამოქალაქო იურისდიქციის საერთო სასამართლოებს ჩამოერთვათ იურიდიული ფაქტის დადგენის უფლებამოსილება. აღნიშნულის გამო მოსარჩელემ ვერ მოახერხა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება შესაბამისი კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო აღნიშნული საქმე განსახილველად და განაცხადა შემდეგი: „სასამართლოსადმი მიმართვის კონსტიტუციური უფლება არ წარმოადგენს აბსტრაქტულ უფლებას. ნებისმიერ შემთხვევაში ამ უფლების რეალიზაცია მოითხოვს იმ კონკრეტული უფლების არსებობას, რომლის დაცვაც განაპირობებს სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობას. როდესაც სასამართლოსადმი მიმართვა ხდება იმ მიზნით, რომ პირი აღიარებული იქნეს ამა თუ იმ უფლების სუბიექტად, კერძოდ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, კონსტიტუციურ სარჩელზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია საკმარისი დამაჯერებლობით აჩვენოს, რომ იგი წარმოადგენს აღნიშნული უფლების შესაძლო სუბიექტს. ანატოლი კოზლოვსკის კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნულია მხოლოდ ის, რომ მას სურს ქონების ჩამორთმევის მოტივით სასამართლომ ცნოს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად. სხვა მტკიცებულება, თუ რატომ უნდა ცნოს სასამართლომ აღნიშნულ ნიადაგზე ასეთი კატეგორიის პირად, სარჩელში არ მოიპოვება. იმ შემთხვევაში, როცა კონსტიტუციურ სარჩელში ჯეროვნად არაა გამოკვეთილი დასახელებული უფლებისადმი პირის ისეთი კავშირი, რომელიც სასამართლოს მისცემს საფუძვლიან ვარაუდს, რომ იგი შეიძლება წარმოადგენდეს ამ უფლების შესაძლო სუბიექტს, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ იმსჯელებს სასამართლოსადმი მიმართვის უფლების კონსტიტუციურობაზე.“¹⁶¹⁹

აღნიშნული მოსაზრება დამატებით დაზუსტებულ და კომენტირებულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ 2010 წელს: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლების რეალიზაცია „... მოითხოვს იმ კონკრეტული უფლების არსებობას, რომლის დაცვაც განაპირობებს სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობას“. ანუ აუცილებელია, იყოს *prima facie* უფლება, რომლის სასამართლო წესით დაცვაც სურს მოსარჩელეს.“¹⁶²⁰

¹⁶¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 4 აპრილის #1/4/440 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ანატოლი კოზლოვსკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁶¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 4 აპრილის #1/2/440 განჩინება, II.3.1;

¹⁶²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.16;

1.2.6. უცხო ქვეყნის მოქალაქეები და იურიდიული პირები

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა ტერმინი „ყველა“ კონსტიტუციის 42-ე მუხლის და ზოგადად კონსტიტუციის მიზნებისთვის: „ნიშანდობლივია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავის სახელწოდებაა: „საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“. სათაურიდანვე იკითხება, რომ საქართველოს კონსტიტუცია არ შემოიფარგლება მხოლოდ თავისი ქვეყნის მოქალაქეების უფლებების აღიარებით, კონსტიტუციის დაცვის ობიექტს ყოველი ადამიანი წარმოადგენს. ამასთან, კონსტიტუცია ახდენს კონკრეტული უფლებების სუბიექტთა იდენტიფიცირებასაც, ძირითადად იყენებს რა შემდეგ ტერმინებს: „ყოველი ადამიანი“, „ადამიანი“, „ყველა“, „პირი“, ასევე „მოქალაქე“ და „საქართველოს მოქალაქე“. ამ ტერმინოლოგიურ მრავალფეროვნებაში, ერთი ცხადია, რომ „ყოველი ადამიანი“, „ადამიანი“, „ყველა“ და „პირი“ პირთა გაცილებით ფართო წრეს გულისხმობენ, ვიდრე „საქართველოს მოქალაქე“, ეხება ყველა ადამიანს, მათი მოქალაქეობრივი კუთვნილებისგან დამოუკიდებლად, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირებს¹⁶²¹

აღნიშნულ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის დებულება, რომელიც სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას მხოლოდ საქართველოში მცხოვრებ ფიზიკურ და რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს აძლევდა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკით დადასტურდა, რომ ტერმინი „ყველა“ გულისხმობს ყველა პირს მიუხედავად მათი მოქალაქეობისა ან ადგილსამყოფელი სახელმწიფოს.¹⁶²² ასევე დადგინდა, რომ უფლების სუბიექტად მათი არსებობისთვის არ აქვს მნიშვნელობა იმ ფაქტს, თუ სად ცხოვრობენ ისინი: მართალია, სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა შესაძლებელია, თუმცა არა პირთა მოქალაქეობრივი კუთვნილების მიხედვით. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი ზუსტად უფლების სუბიექტებზე აკეთებს საგანგებო მითითებას, კერძოდ, მასში აღნიშნულია, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აქვს ყოველ ადამიანს, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გულისხმობს ყველას, განურჩევლად მათი მოქალაქეობისა. ეს ჩანაწერი მით უფრო არ იძლევა საფუძველს ამ უფლებით დაცულ სფეროში მოვაქციოთ მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები.¹⁶²³

სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, აუცილებელია, უცხო ქვეყნის მოქალაქეები და იურიდიული პირები იმყოფებოდნენ საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში ანუ ჰქონდეთ იურიდიული კავშირი საქართველოს სახელმწიფოს სამართლებრივ სივრცესთან: „იმავედროულად, ნებისმიერ ქვეყანაში მცხოვრები ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე ან აპატრიდი ვერ იქნება საქართველოს კონსტიტუციით დაცული საქართველოსთან რაიმე სახის სამართლებრივი კავშირის გარეშე. იგულისხმება, რომ ზოგადად

¹⁶²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება, II.3.5;

¹⁶²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება, II.3.21;

¹⁶²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება, II.3.16;

კონსტიტუციით დაცულ პირთა წრე შემოიფარგლება იმ ადამიანებით, რომლებზეც საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება...¹⁶²⁴

1.2.7. ქმედუნარიანობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა (და შესაბამისად კონსტიტუციის 42-ე მუხლით დადგენილი სტანდარტის რეალიზაცია) არ იყო პირობადადებული გარემოებით, რომელიც ზოგადად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქმედუნარობის საფუძველს წარმოადგენს: „საკონსტიტუციო სამართალწარმოების მარეგლამენტირებელი კანონმდებლობა სასამართლოსათვის მიმართვის უფლებამოსილების თვალსაზრისით ერთმანეთისაგან არ მიჯნავს პირებს მათი გონებრივი თუ სხვაგვარი შესაძლებლობების მიხედვით. უფრო მეტიც, სამოქალაქო კანონმდებლობისაგან განსხვავებით, კონსტიტუციური სამართალწარმოება საერთოდ არ იცნობს ქმედუნარობის ინსტიტუტს. შესაბამისად, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სასამართლოსთვის მიმართვის სუბიექტებში იგულისხმება ნებისმიერი პირი, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ქმედუნაროდ ითვლებიან.“¹⁶²⁵

1.3. უფლების შეზღუდვის საფუძველები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება არ იყო აბსოლუტური და ექვემდებარებოდა შეზღუდვას დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური საჯარო მიზნის არსებობისას.¹⁶²⁶ მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლომ იქვე მიუთითა, რომ ნებისმიერი რეგულაცია, რომელიც აბსოლუტური სახით კრძალავდა სამართლიანი სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას ხელყოფდა სამართლიანი სასამართლოს უფლების ძირითად არსს და შესაბამისად მისი საჯარო ლეგიტიმური მიზნით გამართლება დაუშვებელი იყო.¹⁶²⁷

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვა განსაკუთრებული შეფასების საგანი უნდა იყოს ყველა შემთხვევაში: „საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ სასამართლო ხელისუფლების იურისდიქციის შეზღუდვა—სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის შეზღუდვით სასამართლო კომპეტენციას განკუთვნილი

¹⁶²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება, II.3.5;

¹⁶²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის #2/3/514 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ასაკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.4;

¹⁶²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის #1/3/421,422 გადაწყვეტილება, II.3.2;

¹⁶²⁷ იქვე;

საკითხების სასამართლო განსჯადობის სფეროდან გამოყვანა, prima facie საფრთხეს უქმნის როგორც ინდივიდის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, ისე სასამართლო ხელისუფლების უნარს, შეაკავოს და გააწონასწოროს პოლიტიკური ხელისუფლება. შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოს ყოველი ასეთი მოქმედება განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შემოიწმდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.¹⁶²⁸

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში “შპს “უნისერვისის” კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ” განმარტა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომის უფლების არააბსოლუტურობა.¹⁶²⁹ სასამართლომ წარმოადგინა ტესტი, რომლითაც უნდა შეფასდეს ყველა შეზღუდვა: „[შეზღუდვა] უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს და დაცული უნდა იქნეს გონივრული თანაზომიერება შეზღუდვის გამოყენებულ საშუალებებსა და აღნიშნული შეზღუდვის კანონიერ მიზანს შორის.“¹⁶³⁰

სასამართლო ამ კონკრეტულ საქმეში იხილავდა საერთო სასამართლოს მიერ გამოტანილი ჩხრეკის დადგენილების გასაჩივრების აკრძალვას. საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა ჩხრეკის ლეგიტიმურ მიზანს, რომელიც დაკავშირებული იყო მართლმსაჯულების განხორციელებასთან. მაგრამ აქვე სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დაცული გონივრული თანაზომიერება უფლებასა და ლეგიტიმურ მიზანს შორის. დაინტერესებული პირისათვის მოსამართლის შესაბამისი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების დაშვება არანაირად არ უშლიდა ხელს აღნიშნულ კანონიერ მიზანთა განხორციელებას, მითუმეტეს, რომ გასაჩივრების შემთხვევაში, სადავოდ გამხდარი მოსამართლის გადაწყვეტილება და შესაბამისად მის საფუძველზე განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებები არ ჩერდებოდა.¹⁶³¹

საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე წარდგენილ იქნა არგუმენტი, რომლის მიხედვითაც გარკვეული სირთულეები განაპირობებდნენ ჩხრეკის და ამოღების დადგენილების გასაჩივრების აკრძალვას. ამის საპირისპიროდ სასამართლომ განაცხადა: „რაც შეეხება იმ მოსაზრებას, თითქოს გასაჩივრების დაშვების შემთხვევაში შესაძლებელია დაირღვეს შესაბამისი საპროცესო ვადები, ამის საპირისპიროდ საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული ხასიათის სირთულეები, რასაც შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს გასაჩივრების შემთხვევაში, არ შეიძლება გახდეს სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვის საფუძველი. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ კონსტიტუციური სარჩელით გათვალისწინებულ კონკრეტულ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლების შესაძლო დარღვევის საკითხს და იგი ვერ იმსჯელებს, თუ რა ფორმით უნდა განხორციელდეს საგამოძიებო მოქმედების

¹⁶²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის #1/3/421,422 გადაწყვეტილება, II.3.1;

¹⁶²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის #2/6/264 გადაწყვეტილება;

¹⁶³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის #2/6/264 გადაწყვეტილება, II.3.2;

¹⁶³¹ იქვე;

თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება. აღნიშნული საკითხი განეკუთვნება საქართველოს პარლამენტის კომპეტენციას, რომელმაც უნდა განსაზღვროს და დააწესოს გასაჩივრების ისეთი მექანიზმი, რაც, ერთი მხრივ, არ დაარღვევს სამართლიანი გამოძიებისა და მართლმსაჯულების განხორციელების ძირითად პრინციპებს, ხოლო მეორე მხრივ მაქსიმალურად დაიცავს პირის საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს.¹⁶³²

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში “საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ” დაადგინა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის შინაარსი ექვემდებარებოდა განმარტებას საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო სამართლებრივი ტექსტების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიერ წარმოდგენილ იქნა შესაბამისი შეზღუდვის საფუძვლები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკიდანაც, რომელიც ასევე გამოიყენება კონსტიტუციის 42-ე მუხლის მიზნებისთვის: „სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არ არის აბსოლუტური. ამასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე უფლება საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან რეგლამენტაციას, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს დროისა და ადგილის, საზოგადოებისა და პირის მოთხოვნილებებისა და რესურსების მიხედვით. ამასთან, i#ter alia, 1985 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით, საქმეზე “აშინგდინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ” ევროპულმა სასამართლომ განსაზღვრა უფლების შეზღუდვის ზოგადი ფარგლები: შეზღუდვები შეესაბამება მე-6 მუხლს იმ შემთხვევაში, თუ ა) ემსახურება კანონიერ მიზანს, ბ) დაცულია გონივრული თანაბარზომიერება დაწესებულ შეზღუდვასა და დასახულ მიზანს შორის (57-ე პუნქტი). ამ პირობების დაცვა აუცილებელია, რადგან შეზღუდვები არ უნდა ამცირებდეს პირისათვის ნებადართულ ხელმისაწვდომობას იმ ზღვრამდე, რომ თავად უფლების არსი შეილახოს.“¹⁶³³

საკონსტიტუციო სასამართლომ 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებაში დამატებითი განმარტება გააკეთა სასამართლიანი სასამართლოს, როგორც ინსტრუმენტალურ უფლებასთან და შესაბამისი შეზღუდვის ინტენსივობასთან დაკავშირებით.¹⁶³⁴ სასამართლოს განცხადებით, სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვა აქცესორულად იყო დაკავშირებული იმ უფლებასთან, რომლის დაცვაც ხორციელდებოდა სასამართლოში: „რაც უფრო მნიშვნელოვანია ინტერესი, რომლის დაცვა პირს სასამართლოს მეშვეობით სურს, მით უფრო მკაცრი იქნება კრიტერიუმები, რომლებიც სასამართლოსადმი მიმართვის შეზღუდვის კონსტიტუციურობის

¹⁶³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის #2/6/264 გადაწყვეტილება, II.3.2;

¹⁶³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, I.3.1;

¹⁶³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/1/403,427 გადაწყვეტილება;

შესაფასებლად გამოიყენება“.¹⁶³⁵

აღნიშნულ კონსტიტუციურ სარჩელში სადავო აქტს წარმოადგენდა საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებები, რომლებიც დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირებს არ აძლევდნენ საშუალებას, რომ გაესაჩივრებინათ საპროცესო შეთანხმების შედეგად დამტკიცებული განაჩენი. საკონსტიტუციო სასამართლომ უარყო მოსარჩელების არგუმენტები იმასთან დაკავშირებით, რომ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების განაჩენის ვერ გასაჩივრებით მათ ვერ მოახდინეს თავიანთი მატერიალური უფლებების დაცვა.¹⁶³⁶ სასამართლო წესით დასაცავ უფლებაზე ზემოქმედების შეუძლებლობიდან გამომდინარე გასაჩივრების უფლების არარსებობა საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა გამართლებულად.¹⁶³⁷ დამატებით მოსარჩელეთა მიერ დაყენებულ იქნა არგუმენტი, რომლის მიხედვითაც საპროცესო შეთანხმების დამტკიცების განაჩენის გასაჩივრება გამომდინარეობდა ე.წ. სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც დაზარალებულს უნდა ჰქონოდა სასჯელის გადასინჯვის შესაძლებლობა და უფლება.¹⁶³⁸ საკონსტიტუციო სასამართლომ უარყო აღნიშნული მოსაზრებაც შემდეგი დასაბუთებით: „საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არ არის აბსოლუტური და სახელმწიფოს მხრიდან რეგლამენტირებას საჭიროებს. საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ოღლა სუმბათაშვილი და იგორ ხარპოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ „... სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ვერ იქნება გაგებული აბსოლუტური სახით, პროცესუალურ-სამართლებრივი წესრიგის გარეშე...“. სწორედ ასეთი წესრიგის უზრუნველყოფას ემსახურება კანონმდებლის მიერ საპროცესო შეთანხმების ფარგლებში დაზარალებულისთვის საპროცესო უფლება-მოვალეობების და გასაჩივრების უფლების საფუძვლების განსაზღვრა. განსაკუთრებული დამოკიდებულება, რომელსაც, შესაძლოა, დაზარალებული გამოხატავდეს განსასჯელისთვის დაკისრებული სასჯელის მიმართ, არასაკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება იყოს გამოყენებული. სწორე და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება, რაც საჯარო ინტერესს უდავოდ წარმოადგენს და რასაც საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შემოღება ისახავს მიზნად, განაპირობებს დაზარალებულისთვის პროცესუალური უფლებების ამგვარი მოწესრიგების აუცილებლობას.“¹⁶³⁹

კონსტიტუციური კონტროლი ზოგადად ორი სახის არის – ნეგატიური და პოზიტიური. პირველი გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოს

¹⁶³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/1/403,427 გადაწყვეტილება, II.3.2;

¹⁶³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/1/403,427 გადაწყვეტილება, II.3.6,7;

¹⁶³⁷ იქვე;

¹⁶³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/1/403,427 გადაწყვეტილება, II.3.8;

¹⁶³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/1/403,427 გადაწყვეტილება, II.3.10;

შესაძლებლობას გააუქმოს არსებული ნორმატიული აქტი, ხოლო მეორე იძლევა შესაძლებლობას მოახდინოს საკანონმდებლო ვაკუუმის შევსება შესაბამისი ნორმა შემოქმედებითი უფლებამოსილებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღჭურვილია მხოლოდ ნეგატიური კონსტიტუციური კონტროლის შესაძლებლობით და აღნიშნული მრავალგზის განიმარტა, მათ შორის, სამართლიანი სასამართლოსთვის უფლების პერსპექტივიდანაც. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2003 წელს გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე „ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“¹⁶⁴⁰ სხვა საკითხებთან ერთად მოსარჩელები ითხოვდნენ საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის პირველი ნაწილის არაკონსტიტუციურობას კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. სადავო აქტი ადგენდა ამომწურავ ჩამონათვალს და განსაზღვრავდა, თუ ვის შეეძლო მიემართა სასამართლოსთვის.

მოსარჩელის აზრით, აღნიშნული ნორმის არაკონსტიტუციურობა იმაში გამოიხატებოდა, რომ მასში მითითებული მოქმედებათა და გადაწყვეტილებათა ჩამონათვალი (რომელთა გასაჩივრებაც შესაძლებელი იყო სასამართლოში) წარმოადგენდა ამომწურავ სიას, რითაც ადამიანებს ერთმეოდათ შესაძლებლობა სასამართლოში გაესაჩივრებინა სამართალდამცავი ორგანოს სხვა გადაწყვეტილებები და მოქმედებები.¹⁶⁴¹ საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ მისი კომპეტენცია არ მოიცავდა აღნიშნული შემთხვევების გადაწყვეტის შესაძლებლობას, რადგან იგი ნეგატიური კონსტიტუციური კონტროლის ფარგლებს სცდებოდა.¹⁶⁴²

აღნიშნულ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს გაკეთებული განმარტება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ოთარ ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.¹⁶⁴³ ამ საქმეში მოსარჩელის აზრით, არაკონსტიტუციური იყო იმ დროს მოქმედი საგადასახადო კოდექსის 256-ე მუხლის მე-7 ნაწილი, რომლის მიხედვითაც “გადამხდელს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივროს საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება სასამართლოში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარიცხული გადასახადები გადახდილია ან არსებობს საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების აუცილებლობის დასაბუთებული მოტივაცია”. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ სადავო ნორმა ზღუდავდა სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილებას. სარჩელში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სასამართლოში გასაჩივრების აუცილებლობის მოტივაციისა და დასაბუთებულობის მოთხოვნას სამართლიანი სასამართლოს პერსპექტივიდან. მოსარჩელეთა აზრით, აღნიშნული განაპირობებდა ნორმის არაკონსტიტუციურობას.

¹⁶⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁶⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, II.3.5;

¹⁶⁴² იქვე;

¹⁶⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 23 დეკემბრის #1/12/261 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ოთარ ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა აღნიშნული მოსაზრება, მაგრამ ეს უკანასკნელი მიიჩნია საკანონმდებლო ხარვეზად და სამართალწარმოება შეწყვიტა შემდეგი დასაბუთებით: „სასამართლო კოლეგია იზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 256-ე მუხლის მე-7 ნაწილში მოცემულია “ხარვეზიანი ნორმა”. გაურკვეველია სადავო ნორმის განხორციელების წესი და, საერთოდ, “მისი რეალიზაცია პრაქტიკულად შეუძლებელია” - არ ჩანს საგადასახადო ადმინისტრაციის ისეთი ორგანო ან თანამდებობის პირი, რომელიც გააკონტროლებს სარჩელის შეტანას სასამართლოში. კოდექსის 256-ე მუხლის მე-7 ნაწილი მართლაც საჭიროებს დახვეწას და გამართულად, სრულყოფილად ჩამოყალიბებას, რაც საქართველოს პარლამენტის პრეროგატივას წარმოადგენს.“¹⁶⁴⁴

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა მრავალი საქმე, რომელიც შეეხებოდა სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვას. რომელთაგან უმეტესობა კონსტიტუციის შესაბამისად იქნა ცნობილი, რადგან ისინი აკმაყოფილებდნენ შესაბამის შეზღუდვის მართლზომიერების ტესტს.

საკონსტიტუციო სასამართლოს განხილული აქვს სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზების ვადით შეზღუდვის შესაძლებლობის საკითხი. საქმეზე „ნუგზარ გერგედავა და ვეფხვია გერგედავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის გარკვეული დებულებების კონსტიტუციურობა, რომელთა მიხედვითაც მოხდა საარბიტრაჟო სასამართლოს ლიკვიდაცია.¹⁶⁴⁵ მოსარჩელების განცხადებით, არაკონსტიტუციური რეგულირების საფუძველი იყო ის ფაქტი, რომ მათ ერთმოდართ საზედადმხედველო წესით საქმის გადასინჯვის შესაძლებლობა, რადგან სადავო აქტის მიხედვით საარბიტრაჟო სასამართლოს იურისდიქცია შემოისაზღვრა გარკვეული დროით და ამ ვადის გასვლის შემდეგ მათ აღარ შეეძლოთ სამართალწარმოების ამ ტიპის გამოყენება. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული ნორმა კონსტიტუციის შესაბამისად მიიჩნია და დაადგინა შემდეგი: „ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია ადგენს ყოველი მოქალაქის უფლებას მიმართოს სასამართლოს კონსტიტუციით და კანონით მინიჭებული უფლებების დასაცავად და ეს უფლება ხელშეუხებელია, მაგრამ ეს არ გამოირიცხავს ამ უფლებების რეალიზების ვადით შეზღუდვის შესაძლებლობას, რასაც იყენებს მსოფლიოს და მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობა (სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტი, მემკვიდრეობის სამართლის შემჭიდროებული ვადები და სხვა). კოლეგიას მიაჩნია, რომ მოქალაქის უფლების რეალიზაციაზე რაიმე ვადის დაწესება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებს. გამომდინარე აქედან კოლეგია ვერ დაეთანხმება მოსარჩელეთა იმ მოსაზრებას, რომ “საერთო სასამართლოების შესახებ” კანონის 87-ე მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტები არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლს და არ მიაჩნია, რომ დაირღვა სასამართლოსადმი მიმართვის მათი კონსტიტუციური უფლება.“¹⁶⁴⁶

¹⁶⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 23 დეკემბრის #1/12/261 განჩინება, პ.4;

¹⁶⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 3 ნოემბრის #2/86/12 გადაწყვეტილება საქმეზე ნუგზარ გერგედავა და ვეფხვია გერგედავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁶⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 3 ნოემბრის #2/86/12 გადაწყვეტილება, პ.3;

საკონსტიტუციო სასამართლომ კიდევ ერთ საქმეში განიხილა სასამართლოსთვის მიმართვის უფლების რეალიზების ვადით შეზღუდვის შესაძლებლობა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია ხუთწლიანი ვადა გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადასინჯვისთვის. აღნიშნული ნორმა გასაჩივრდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.¹⁶⁴⁷ მოსარჩელების განცხადებით, აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლს, რადგანაც გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ მათ საერთოდ ეკრძალებოდათ სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა თავიანთ უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. სასამართლომ ძალაში დატოვა სადავო რეგულირება და არგუმენტაციად მოიყვანა შემდეგი დასაბუთება: „სადავო ნორმით გათვალისწინებული ხუთწლიანი ვადა წარმოადგენს აღმკვეთ ვადას, რომელიც გვხვდება არა მხოლოდ ქართული ნაციონალური კანონმდებლობის შიგნით, არამედ როგორც კონტინენტური ევროპის, ისე ზოგიერთი პოსტსაბჭოური ქვეყნის სამართლებრივ სივრცეში, რაც კიდევ დასტურდება საქმეში არსებული მასალებითა და სპეციალისტის დასკვნით. საკმარისია გაუქმდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სასამართლოსადმი მიმართვის 5 წლიანი ვადა, რომ დავა და კონფლიქტი საბოლოოდ ვერასდროს ვერ ჰპოვებს გადაწყვეტას და შედეგად “პროცესის უკვდავებას” მივიღებთ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საბჭოთა კავშირის დროს. სასამართლო კოლეგია ვერ დაეთანხმება მოსარჩელეთა პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ პირის კონსტიტუციური უფლება, რომ მან სასამართლოს მეშვეობით დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები, დროში არ უნდა იყოს შეზღუდული. როგორც სპეციალისტი აღნიშნავს, სადავო ნორმის გაუქმების შემთხვევაში, უფლება უსასრულოდ იქნება გაურკვეველ მდგომარეობაში და მისი არა მარტო დაცვა, არამედ არსებობაც ეჭვის ქვეშ დადგება. კანონმდებლის მიერ 5 წლიანი იმპერატიული ვადის დადგენით ისპობა ამ უფლებასთან დაკავშირებით ახალი დავის წარმოშობის შესაძლებლობა.“¹⁶⁴⁸

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეში დამატებით განმარტა, რომ თუკი კანონმდებელი უსასრულოდ დაუშვებდა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის შესაძლებლობას, აღნიშნული წინააღმდეგობაში მოვიდოდა თავად უფლების იდეასთან და სამართლებრივი წესრიგისთვის საფრთხის შემქნელი იქნებოდა.¹⁶⁴⁹ სასამართლოს განცხადებით, უფლების ეპიზოდური, გარკვეულ დროის მონაკვეთებში ნამდვილობა, არ შეესაბამებოდა უფლების იდეას.¹⁶⁵⁰ სასამართლომ ასევე წარმოადგინა ანალოგია სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, როდესაც უფლებაწარმომშობი და უფლებააღმკვეთი იურიდიულად რელევანტური ქმედებები დაკავშირებულია ვადასთან.¹⁶⁵¹

¹⁶⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის #1/3/161 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ოლა სუმბათაშვილი და იგორ ხარპოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁶⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის #1/3/161 გადაწყვეტილება, II.3.2;

¹⁶⁴⁹ იქვე;

¹⁶⁵⁰ იქვე;

¹⁶⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის #1/3/161 გადაწყვეტილება, II.3.3;

საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სტაბილური სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ინტერესზე, რადგან გადაწყვეტილების ხანგრძლივად გადასინჯვის დაშვება საფრთხეს უქმნიდა მესამე პირთა ინტერესებს, რომლებმაც მიმართეს სასამართლოს და ამ უკანასკნელმა საბოლოოდ და შეუქცევადად გადაწყვიტა შესაბამისი დავა.¹⁶⁵² შესაბამისად, სასამართლომ გამოკვეთა სასამართლოსადმი ნდობის პრინციპი, როგორც უფლების შეზღუდვის ერთ-ერთი საპირწონე არგუმენტი. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი იყო არგუმენტი, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის სამართალწარმოების ფარგლებში წარდგენილი სამოქალაქო სარჩელი არ ექვემდებარებოდა არანაირ დროით შეზღუდვას და, შესაბამისად, სამართალწარმოების ეს ორი ტიპი განსხვავებულად რეგულირდებოდა. სასამართლომ ზემოაღნიშნული დიფერენცირება ახსნა სამართლის ობიექტის თავისებურებით.¹⁶⁵³

მითითებულ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი საპროცესო სამართლებრივი წესრიგის ფარგლებში და დასაშვებად მიიჩნია სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა გარკვეული პროცედურულ-სამართლებრივი წესების დაცვის შესაბამისად.¹⁶⁵⁴ ამ განმარტებიდან პირდაპირ გამომდინარეობდა დებულება, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება არ არის აბსოლუტური, არამედ, ექვემდებარება გარკვეულ რეგულირებას საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად. შესაბამისად, გამართლებულად ჩაითვალა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სამართალწარმოების ინიცირების შესაძლებლობის ხუთწლიანი ვადა.¹⁶⁵⁵

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრმა განსხვავებული აზრი დაურთო გადაწყვეტილებას და არ დაერთანხმა გადაწყვეტილებაში გამოთქმულ მოსაზრებას.¹⁶⁵⁶ მისი აზრით, საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, შედარებით სამართლებრივი არგუმენტები და თვით ქართული სამართლის ისტორიაც კი ადასტურებდნენ იმას, რომ პირს უნდა ჰქონოდა სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სხვადასხვა პროცედურული ბარიერების არსებობის ფარგლებში. განსხვავებულ აზრში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შესაძლო კორუფციულ დარღვევებს და ამ ჭრილში საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეცხრე ნაწილით დადგენილ სახელმწიფო ვალდებულებას.¹⁶⁵⁷ განსხვავებული აზრის მიხედვით, თუკი მოსამართლის მხრიდან ადგილი ექნებოდა კორუფციულ სამართალდარღვევას და

¹⁶⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის #1/3/161 გადაწყვეტილება, II.3.5;

¹⁶⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის #1/3/161 გადაწყვეტილება, II.3.6;

¹⁶⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის #1/3/161 გადაწყვეტილება, II.3.4;

¹⁶⁵⁵ იქვე;

¹⁶⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის იაკობ ფუტყარაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის #1/3/161 გადაწყვეტილებაზე;

¹⁶⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის იაკობ ფუტყარაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის #1/3/161 გადაწყვეტილებაზე, პ.3;

შესაბამისად უსამართლოდ მოხდებოდა ქონებრივი დავის გადაწყვეტა აუცილებლად უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობა ხუთი წლის შემდეგაც. ამ მიმართებით გასაკუთრებული ყურადღება დაეთმო შესაძლო დასაშვებობის კრიტერიუმების შემოღების შესაძლებლობას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სამართალწარმოების ინიცირებისას.¹⁶⁵⁸

საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვის საკითხი გარკვეული ადმინისტრაციული ბარიერების პირობებში. საქმეში „მოქალაქე გიორგი ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 251-ე მუხლის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან, რომლის მიხედვითაც „ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა და დოკუმენტების ჩამორთმევა დაინტერესებულმა პირებმა შეიძლება გაასაჩივრონ ზემდგომ ორგანოებში (თანამდებობის პირთან) ან პროკურორთან“.¹⁶⁵⁹ საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმა არ კრძალავდა სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას და დამატებით წარმოდგენილ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის მესამე ნაწილიც, რომლის თანახმად, „პირს შეუძლია ადმინისტრაციული ორგანოებისათვის ადმინისტრაციული საჩივრის წარუდგენლად პირდაპირ მიმართოს სასამართლოს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“¹⁶⁶⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, ადმინისტრაციული პროცესის სპეციფიკიდან გამომდინარე, გარკვეული ურთიერთობა შეიძლება მოწესრიგდეს არა პირდაპირ სასამართლოში მიმართვით, არამედ ზემდგომ ორგანოში ან პროკურორთან გასაჩივრების გზით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პირს უფლება არა აქვს, თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ანუ საკონსტიტუციო სასამართლო ადმინისტრაციული სამართალწარმოების მიზნებისთვის გამართლებულად თვლის სასამართლოსთვის მიმართვამდე გარკვეული ადმინისტრაციული ბარიერის გავლის შესაძლებლობას.

საკონსტიტუციო სასამართლოს განხილული საქმეებიდან უფრო მეტი შეეხება სამართლიანი სასამართლოს უფლების აკრძალვის საკითხების თაობაზე დავებს და განსხვავებით ამ უფლების შეზღუდვის თაობაზე დავების შესახებ პრაქტიკისაგან, საკონსტიტუციო სასამართლომ სამართლიანი სასამართლოს უფლების აკრძალვის თაობაზე სადავო აქტები უმეტეს შემთხვევაში არაკონსტიტუციურად ცნო.

საკონსტიტუციო სასამართლომ 1996 წლის 5 დეკემბერს გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელშიც დავის საგანი იყო „საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის“ ერთ-ერთი დებულება, რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებსაც ირჩევენ, ამტკიცებენ ან ნიშნავენ

¹⁶⁵⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის იაკობ ფუტყარაძის განხილული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის #1/3/161 გადაწყვეტილებაზე, პ.7;

¹⁶⁵⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 4 თებერვლის #2/1/263 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე გიორგი ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁶⁶⁰ იქვე;

თანამდებობაზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები, მოსამართლეებს, პროკურორებს, მათ მოადგილეებს და თანაშემწეებს, აგრეთვე პროკურორის გამომძიებლებს არ ჰქონდათ სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა შრომითი დავების არსებობის შემთხვევაში.¹⁶⁶¹ საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით აღნიშნული აშკარა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლს, შესაბამისად, ჩაითვალა არაკონსტიტუციურად.

2009 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც შეეხებოდა “სოციალური დახმარების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტს. მის თანახმად, “სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია, აგრეთვე საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი დონე და ფულადი სოციალური დახმარების ოდენობა არ საჩივრდება”.¹⁶⁶² საკონსტიტუციო სასამართლომ პირველ რიგში განმარტა სადავო აქტი და მისი შინაარსი, შემდეგ კი შეაფასა შეზღუდვის პროპორციულობა.¹⁶⁶³ სადავო აქტის მოქმედება აშკარა შემხებლობაში იყო თანასწორობის ძირითად გარანტიასთან, შესაბამისად, შემდგომ შეფასდა შეზღუდვის კონსტიტუციურობის საკითხი.¹⁶⁶⁴ მოპასუხემ, საქართველოს პარლამენტმა, წარმოადგინა რამდენიმე არგუმენტი, რომელიც მათი აზრით ამართლებდა ჩარევას:

- განმცხადებლებს ჰქონდათ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება – სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნული არგუმენტი, რადგან მოპასუხის მსჯელობა აშკარად ეფუძნებოდა კანონის იერარქიის და ურთიერთმიმართების საკითხს და ნორმატიული აქტების კანონიერების შესახებ მსჯელობას, რაც საკონსტიტუციო კონტროლისგან დამოუკიდებელ შეფასებით მსჯელობას წარმოადგენდა;¹⁶⁶⁵
- საერთო სასამართლოებში არსებული მაღალი ბაჟის ოდენობიდან გამომდინარე განმცხადებლებისთვის გარანტირებული იყო მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება. ამ უკანასკნელ არგუმენტს საკონსტიტუციო სასამართლომ უპასუხა შემდეგ დასაბუთებით: „ძვირი მართლმსაჯულების თავიდან აცილების მიზანი საერთოდ კარგავს აქტუალობას, მნიშვნელობას თუ თავად მართლმსაჯულებაზე მოხდება უარის თქმა. იაფი მართლმსაჯულების მიღწევა უდავოდ ლეგიტიმური მიზანია თავად მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლებით ეფექტურად სარგებლობის უზრუნველყოფისთვის. მაგრამ სასამართლოსადმი მიმართვის

¹⁶⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 5 დეკემბრის #2/3/13 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე ალექსანდრე გიორგის ძე ცხოვრებაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.1;

¹⁶⁶² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს #1/2/434 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁶⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს #1/2/434 გადაწყვეტილება, II.3.2;

¹⁶⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს #1/2/434 გადაწყვეტილება, II.3.7;

¹⁶⁶⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს #1/2/434 გადაწყვეტილება, II.3.9;

უფლებაზე უარის თქმის შემთხვევაში ამავე უფლებით ეფექტურად სარგებლობის მიღწევის ნებისმიერ მიზანზე საუბარი უსაგნო და ალოგიკური ხდება.¹⁶⁶⁶

საკონსტიტუციო სასამართლომ უსაფუძვლოდ ჩათვალა საკონსტიტუციო სასამართლოში უფლების უფრო ეფექტურად დაცვის მოტივით საერთო სასამართლოში გასაჩივრების აკრძალვა ამ ორი სამართალწარმოების ტიპის განსხვავებულობიდან გამომდინარე.¹⁶⁶⁷

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2009 წლის 10 ნოემბერს გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე “საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, სადაც სადავო აქტი იყო „მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის რამდენიმე დებულება, რომლებიც კრძალავდნენ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობას რამდენიმე ასპექტში.¹⁶⁶⁸ სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ, რადგან: „ცალკეულ შემთხვევაში, აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა სხვა უფლებებთან შედარებით, მაგრამ ამის მართლზომიერების შეფასება ზუსტად სასამართლოში უნდა მოხდეს თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით. ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა შეაფასოს დარღვეული უფლება ან უფლების დარღვევის საფრთხე, რომელსაც შესაძლოა შეიცავდეს კონკრეტული პროგრამა ან ინფორმაცია და დაუპირისპიროს იგი გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობას. სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, შეაფასოს გამოხატვის ფორმის და შინაარსის ღირებულება, მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და, მეორე მხრივ, ის ზიანი, რომელიც ამ უფლების რეალიზაციამ გამოიწვია. შესაბამისად, მაუწყებლის მიერ დარღვეული უფლების აღდგენის, მათ შორის, უფლების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის აკრძალვა არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტს.“¹⁶⁶⁹

საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მოპასუხეთა არგუმენტს, რომლის მიხედვითაც დარღვეული უფლებების აღდგენის შესაძლებლობა არსებობდა ანალოგიით სასამართლოსადმი მიმართვით. სასამართლოს განცხადებით: „მოცემულ შემთხვევაში, ნორმის კონსტიტუციურობის მტკიცებისთვის არგუმენტად არ გამოდგება მოქმედ კანონმდებლობაში ცალკეული უფლებების სასამართლოში დაცვის მაგარანტირებელი ნორმების არსებობა და მათზე აპელირებით უფლებების დაცვა. კანონმდებლობის ცალკეულ ნორმებზე დაყრდნობით, შესაძლოა მართლაც მოხდეს მაუწყებლის მიერ დარღვეული უფლების დაცვა,

¹⁶⁶⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს #1/2/434 გადაწყვეტილება, II.3.12;

¹⁶⁶⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს #1/2/434 გადაწყვეტილება, II.3.13;

¹⁶⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის #1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁶⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის #1/3/421,422 გადაწყვეტილება, II.3.6;

აღდგენა, მაგრამ ეს ვერ გააბათილებს სადავო ნორმის არსებობას და მის კონსტიტუციასთან შეუსაბამობას.¹⁶⁷⁰

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა განიხილა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულიკანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის გარკვეული სიტყვების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.¹⁶⁷¹ სადავო აქტის მიხედვით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება საქართველოს მოქალაქეთა პარალელურად ჰქონდათ საქართველოში მცხოვრებ სხვა ფიზიკურ პირებს და საქართველოს იურიდიულ პირებს. შესაბამისად, უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც არ ცხოვრობდნენ საქართველოში და ასევე უცხო ქვეყნის იურიდიული პირები ვერ სარგებლობდნენ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო აღნიშნული დებულება ქვემოთ წარმოდგენილი მსჯელობის შესაბამისად.

სასამართლომ პირველ რიგში განმარტა 42-ე მუხლის ბუნება, კერძოდ მისი არააბსოლუტური ხასიათი და განსაზღვრა რომ ლეგიტიმური საჯარო ინტერესით შესაძლებელი იყო მისი შეზღუდვა.¹⁶⁷² სასამართლომ თავისი მსჯელობა წარმართა ორ საფეხურად – პირველ ეტაპზე შეფასდა, თურამდენად იყო გამართლებული სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვა პირთა მოქალაქეობრივი კუთვნილებით ან საცხოვრებელი ადგილის ნიშნით, მეორე ეტაპზე – სადავო ნორმით საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის აკრძალვა წარმოადგენდა თუ არა სამართლიანი სასამართლოს უფლების არათანაზომიერ შეზღუდვას.

პირველ საკითხს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ცალსახად უარყოფითად უპასუხა კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, რადგანაც ეს უკანასკნელი იყენებდა ტერმინს – „ყველა“, უფლების სუბიექტთა განსასაზღვრავად. განსხვავებით სხვა ტიპის შეზღუდვებისგან, სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა პირთა წრის მიხედვით იყო აბსოლუტურად აკრძალული.¹⁶⁷³

ამ მიმართებით, საქართველოს პარლამენტის მიერ იქნა წარმოყენებული შესაბამისი არგუმენტაცია, რომლის მიხედვითაც უცხოელთათვის საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის შეზღუდვა გამართლებული იყო საკონსტიტუციო სამართალწარმოების თავისებურებით, კერძოდ, ნეგატიური კონსტიტუციური კონტროლი ავტომატურად იძლეოდა საკანონმდებლო საქმიანობაზე ზეგავლენის შესაძლებლობას, რაც თავის მხრივ მხოლოდ მოქალაქეთა განსაკუთრებულ პრეროგატივად განიხილება. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა არ გაიზიარა აღნიშნული

¹⁶⁷⁰ იქვე;

¹⁶⁷¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება;

¹⁶⁷² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება, II.3.15;

¹⁶⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება, II.3.16;

არგუმენტაცია შემდეგი მიზეზთა გამო:¹⁶⁷⁴

- კომპეტენციის მიზნიდან გამომდინარე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით მათთვის მინიჭებული უფლებების დასაცავად შეუძლიათ სასამართლოსადმი მიმართვა - ასეთია საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების მიზანი ზოგადად;
- ნებისმიერი სუბიექტის მიერ ნებისმიერი მიზნით შემოტანილ სარჩელზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც ვალდებულია, საკითხი გადაწყვიტოს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად;
- საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა ეძლეოდათ საქართველოში მცხოვრებ უცხოელებს და აპარტიდებს.

მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს განსაზღვრებით სადავო აქტი არ ემსახურებოდა ლეგიტიმურ საჯარო მიზანს, დაადგინა, რომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი იცავდა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებასაც: „საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს როგორც საერთო იურისდიქციის სასამართლოებში, ისე საკონსტიტუციო სასამართლოში უფლების დაცვის შესაძლებლობას.“¹⁶⁷⁵

მოპასუხემ წარმოადგინა დამატებითი არგუმენტი, რომლის მიხედვითაც საქართველოში არ მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და უცხოეთის იურიდიულ პირებს შეეძლოთ მიემართათ საქართველოს საერთო სასამართლოებისთვის და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის. საკონსტიტუციო სასამართლოსთვის აღნიშნული არგუმენტი არ მიიჩნია დამაჯერებლად კომპეტენციათა სხვადასხვაობიდან და უფლებრივი სფეროს განსხვავებულობიდან გამომდინარე. ამ ფონზე სასამართლომ წარმოადგინა შეფასების ტესტი, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტთა გარკვეულ წრეს ეკრძალება კონკრეტული სასამართლოსთვის მიმართვა (ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მაგალითზე): „საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის აკრძალვა მაშინ ჩაითვლება სამართლიანი სასამართლოს უფლების არაპროპორციულ შეზღუდვად, უფლების დარღვევად, თუ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა კონკრეტული უფლების დაცვის ერთადერთ, ან უფლებაში აღდგენის განსხვავებულ, იმავდროულად, უფლების დაცვის აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს, რომლის გარეშეც, უფლების სრულყოფილი, ადეკვატური დაცვა შეუძლებელი იქნება.“¹⁶⁷⁶

ანუ წარმოდგენილ იქნა სამი ალტერნატიული კრიტერიუმი, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი

¹⁶⁷⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება, II.3.18,19;

¹⁶⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება, II.3.20;

¹⁶⁷⁶ იქვე;

მიმართვა არ შეიძლება შეიზღუდოს. როდესაც:

- მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია უფლებრივი რესტიტუცია, ან
- საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებრივი რესტიტუცია განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს იწვევს, ან
- საკონსტიტუციო სასამართლო უფლების დაცვის აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს.

ამ ტესტის მიზანია, დამატებითი ბარიერი დააწესოს სამართლიანი სასამართლოს შეზღუდვის შემთხვევებში. როდესაც არსებობს ლეგიტიმური საჯარო ინტერესი უფლების შესაზღუდად, მოქალაქე არ უნდა დარჩეს საკუთარი უფლებების დარღვევის პირისპირ ყოველგვარი სამართლებრივი ბერკეტის და მით უფრო დარღვეული უფლებების სასამართლოში დაცვის შესაძლებლობის გარეშე.¹⁶⁷⁷

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ბოლო ნაწილი ეთმობა მოპასუხის კიდევ ერთ არგუმენტს, რომლის მიხედვითაც საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლი აწესებს გარკვეულ ბარიერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართვისთვის, რომელიც თავსართში იყენებს ტერმინს „მოქალაქე“. ამ საკითხთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა: „საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის განმსაზღვრელი და სამართალწარმოების მარეგლამენტირებელი ნორმების მიზანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 42-ე მუხლით აღიარებული უფლების რეალიზაციის და კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის ფუნდამენტური უფლებების სრულყოფილი, ადეკვატური დაცვისთვის აუცილებელი ბერკეტის შექმნაა. შესაბამისად, ამ ნორმების დანიშნულება არ არის და ვერც იქნება ადამიანის ფუნდამენტური უფლებების, მათ შორის სასამართლოსადმი მიმართვის უფლების დარღვევა. კონსტიტუციის ერთსა და იმავე ნორმაში ვერ იქნება კონკრეტული მიზნის მიღწევის გზა და ამავე მიზნის მიღწევის გამომრიცხავი საფუძვლები.“¹⁶⁷⁸

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქმე, რომელიც შეეხებოდა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის სხვადასხვა დებულებების არაკონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლთან მიმართებით.¹⁶⁷⁹ გასაჩივრებული დებულებების მიხედვით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება საჩივრდებოდა მხოლოდ და მხოლოდ სადისციპლინო საბჭოში ყოველგვარი სუსპენზიური ეფექტის გარეშე. თავის მხრივ სადისციპლინო საბჭოს გადაწყვეტილება ექვემდებარებოდა დაუყონებლივ

¹⁶⁷⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება, II.3.21;

¹⁶⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება, II.3.22;

¹⁶⁷⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 28 ივნისის #1/3/209,276 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს მოქალაქე ქეთევან ზახტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

აღსრულებას და იყო საბოლოო. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დაეთანხმა საქმეზე მოწვეულ სპეციალისტს და განაცხადა, რომ აღნიშნული ტიპის რეგულირება თავისი ხასიათით სასამართლო გადაწყვეტილების ექვივალენტური იყო, მაშინ როცა საბჭო და კოლეგია არ წარმოადგენდნენ სასამართლო ორგანოებს.¹⁶⁸⁰ სასამართლოს განცხადებით: „ასეთ ვითარებაში იქმნება ყველაზე პარადოქსული სინამდვილე, როცა მოსამართლე სასამართლო დაცვის მიღმა რჩება. ეს კი არ შეიძლება უარყოფითად არ აისახოს მართლმსაჯულების განხორციელებაზე. მოსამართლე, რომელიც საკუთარი უფლებების დაცვაშია შეზღუდული, ვერ იქნება სხვათა უფლებების დაცვის კარგი მსაჯული“.¹⁶⁸¹ სასამართლომ დამატებით იმსჯელა ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე და საბოლოოდ განაცხადა, რომ მიუხედავად მოსამართლის გათავისუფლების ფორმისა, ყველა შემთხვევაში უნდა იყოს გათვალისწინებული სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა.¹⁶⁸²

1.4. დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შემდეგ შესაძლოა შემდეგი ძირითადი საკითხების განსაზღვრა:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლიანის სასამართლოს ძირითად უფლებას უკავშირებს საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლით განსაზღვრულ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დაცვის ვალდებულებას და აქედან გამომდინარე ხაზს უსვამს მის კონსტიტუციურ-სამართლებრივ წონას და ღირებულებას;
- საკონსტიტუციო სასამართლო სამართლიანი სასამართლოს უფლებას განიხილავს როგორც სამართლის უზენაესობის კატეგორიიდან და ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან მომდინარე გარანტიას, რომელიც მნიშვნელოვანია სასამართლო ხელისუფლების ჯეროვნად განსახორციელებლად;
- სამართლიანი სასამართლოს უფლება წარმოადგენს ინსტრუმენტალური ხასიათის უფლებას, რომელიც იმანენტურადაა დაკავშირებული სხვა ძირითად უფლებასთან;
- საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით 42-ე მუხლის პირველი პუნქტი ექვემდებარება განმარტებას კონსტიტუციის და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების საფუძველზე;
- 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულია შემდეგი გარანტიები – პირის უფლება:
 - ა) მიმართოს სასამართლოს,
 - ბ) მოითხოვოს მისი საქმის სამართლიანი საჯარო მოსმენა,
 - გ) გამოთქვას თავისი მოსაზრებები და დაიცვას თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით,

¹⁶⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 ლის 28 ივნისის #1/3/209,276 გადაწყვეტილება, I.3.2;

¹⁶⁸¹ იქვე;

¹⁶⁸² იქვე;

- დ) სასამართლო განხილვა მოხდეს გონივრულ, შემჭიდროებულ ვადებში,
 - ე) საქმე განხილოს დამოუკიდებელმა, მიუკერძოებელმა სასამართლომ და
 - ვ) გაასაჩივროს გარკვეული მოქმედებები და აქტები.
- სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს პირის უფლებას მიმართოს საერთო სასამართლოებს, საკონსტიტუციო სასამართლოს, საარბიტრაჟო სასამართლოს და კონსტიტუციის შესაბამისად განსაზღვრულ სხვა სასამართლო უფლებამოსილების განმახორციელებელ ორგანოებს;
 - სამართლიანი სასამართლოს უფლების სუბიექტია ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც უშუალოდ მიმართავს თავისი ძირითადი უფლებების დასაცავად და არის უფლებრივი ხელყოფის
 - ა) რეალური მსხვერპლი,
 - ბ) პონტენციური მსხვერპლი,
 - გ) ჰიპოტეტური მსხვერპლი.
 - სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობა არ არის პირობადადებული ფიზიკური პირის მოქალაქეობით ან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილით;
 - საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილება აქვს ქმედუწაროდ ცნობილ პირსაც;
 - სამართლიანი სასამართლოს უფლება არ არის აბსოლუტური უფლება, მაგრამ დაუშვებელია კონკრეტულ სფეროში ან კონკრეტული სუბიექტათვის ამ უფლებით სარგებლობის სრული აკრძალვა;
 - სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვა უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს და დაცული უნდა იქნეს გონივრული თანაზომიერება შეზღუდვის გამოყენებულ საშუალებებსა და აღნიშნული შეზღუდვის კანონიერ მიზანს შორის;
 - რაც უფრო მნიშვნელოვანია ინტერესი, რომლის დაცვა პირს სასამართლოს მეშვეობით სურს, მით უფრო მკაცრი იქნება კრიტერიუმები, რომლებიც სასამართლოსადმი მიმართვის შეზღუდვის კონსტიტუციურობის შესაფასებლად გამოიყენება;

1.5. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პერლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ნოემბრის #1/7/407 საოქმო ჩანაწერი/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განჩინებები

ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 10 იანვრის #2/17/1 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე კობა კობახიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 11 ივნისის #1/7/236 განჩინება/

მოქალაქე ნოდარ ნებიერიძის “სასარჩელო განცხადება” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 27 ივნისის #1/13/29 განჩინება/

მოქალაქეების ლელა ინწვირველისა და ეკატერინე ჩაჩანიძის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 14 დეკემბრის #1/10/107 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე პაატა შარაშენიძის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 9 დეკემბრის #2/19/259 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე ოთარ ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 23 დეკემბრის #1/12/261 განჩინება/

მოქალაქე ვახტანგ სამხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 აპრილის #2/6/283 განჩინება/

კავშირი “თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეა” საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 25 ივლისის ##1/14/335 განჩინება/

საქართველოს მოქალაქეების – (1) რევაზ გოგელიას კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის #358) და (2) ანრი ზურიკაშვილის კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის #360) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 10 მარტის #1/2/358,360 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე ამირან ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 19 აპრილის #1/8/373 განჩინება/

საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე ბარამიძე, ირაკლი ყანდაშვილი და კომანდიტური საზოგადოება ”ანდრონიკაშვილი, საქსენ-ალტენბურგი, ბარამიძე და პარტნიორები” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 1 მარტის #1/1/413 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე ანატოლი კოზლოვსკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 4 აპრილის #1/4/440 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე ავთანდილ კახნიაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის #16/455 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე ნიაზ მიქელაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის #2/4/490 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე რევაზ ჩაგუნავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის #1/1/500 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე მამია ასაკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის #2/3/514 განჩინება/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

მოქალაქე ილია ანდრიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 1 ნოემბრის #1/1/10 გადაწყვეტილება/

მოქალაქე ალექსანდრე გიორგის ძე ცხოვრებაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 5 დეკემბრის #2/3/13 გადაწყვეტილება/

ნუგზარ გერგედავა და ვეფხვია გერგედავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 3 ნოემბრის #2/86/12 გადაწყვეტილება/

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება/საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 21 მაისის #8/177/2 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები – ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხარპოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის #1/3/161 გადაწყვეტილება/

საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს მოქალაქე ქეთევან ბახტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 28 ივნისის #1/3/209,276 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქე ანზორ თევზაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 ნოემბრის #1/5/224 გადაწყვეტილება/

შპს “უნისერვისის” კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის #2/6/264 გადაწყვეტილება/

მოქალაქე გიორგი ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 4 თებერვლის #2/1/263 გადაწყვეტილება/

მოქალაქე ოლეგ სვინტრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 17 მარტის #2/3/286 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება/

კანადის მოქალაქე ჰუსეინალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/1/403,427 გადაწყვეტილება/

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს #1/2/434 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის #1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე/

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება/

2. 42-ე მუხლის მე-2 პუნქტი

2.1. დაცული სფერო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს მდიდარი სასამართლო პრაქტიკა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეორე პუნქტთან მიმართებით, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც შესაძლებელია რამდენიმე გადაწყვეტილების და შესაბამისი სასამართლო განმარტებების იდენტიფიცირება ამ მიმართებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 42-ე მუხლთან მიმართებით პირველი საქმე განიხილა 1996 წლის 1 ნოემბერს – „მოქალაქე ილია ანდრიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.¹⁶⁸³ მოსარჩელე ითხოვდა „სარბიტრაჟო სასამართლოს“ შესახებ კანონდებლობის ნორმების არაკონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებთან მიმართებით. სარჩელის არგუმენტაცია ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სასამართლო ხელისუფლების ფარგლებში მოქმედი საარბიტრაჟო სასამართლო არ ჯდება არცერთ კონსტიტუციით დადგენილ ფორმაში და შესაბამისად, ირღვეოდა პირის უფლება – მისი საქმე განიხილოს იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება იგი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება მართლმსაჯულების, კონსტიტუციური კონტროლის და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით. სწორედ ამ უკანასკნელ კატეგორიაში, როგორც შესაბამის ფორმაში, განიხილა საკონსტიტუციო სასამართლომ საარბიტრაჟო სასამართლო. მიუხედავად იმისა, რომ არ ხდებოდა გადაწყვეტილების საქართველოს სახელით გამოცხადება და რომ სასამართლოს კომპეტენცია შეზღუდული იყო სპეციფიკური კომპეტენციით, საარბიტრაჟო სასამართლო მაინც კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეორე პუნქტთან შესაბამისად იქნა მიჩნეული, რადგან საქართველოს კონსტიტუცია (82-ე და 107-ე მუხლები) იძლეოდა ამგვარი ფორმის გამოყენების შესაძლებლობას.¹⁶⁸⁴

შემდგომი საქმე, რომელშიც საკონსტიტუციო სასამართლოს კვლავ მოუხდა ნორმის კონსტიტუციურობის შეფასება, იყო „ვიტალი და გიორგი გაბუხოვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.¹⁶⁸⁵ ამ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის დებულება, რომელიც საერთო სასამართლოს უფლებას აძლევდა მიემართა კონსტიტუციური წარდგინებით საკონსტიტუციო სასამართლოსთვის. მოსარჩელე ნორმის ძალადაკარგულად ცნობას ითხოვდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან და 42-ე მუხლის მეორე პუნქტთან მიმართებით. საკონსტიტუციო სასამართლომ შემდეგი დასაბუთებით გასცა პასუხი აღნიშნულ მოთხოვნას: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ვერ იმსჯელებს საქართველოს ორგანული

¹⁶⁸³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 1 ნოემბრის #1/1/10 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე ილია ანდრიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁶⁸⁴ იქვე;

¹⁶⁸⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 9 ივლისის #2/9/149 განჩინება საქმეზე ვიტალი და გიორგი გაბუხოვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

კანონის ”საერთო სასამართლოების შესახებ“ მე-7 მუხლის მეორე პუნქტის კონსტიტუციურობაზე საქართველოს კონსტიტუციის 21-ე და 42-ე მუხლის მეორე პუნქტთან მიმართებით, ვინაიდან სადავო ნორმის თანახმად „თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ესა თუ ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს...“, როგორც ვხედავთ, აღნიშნული მუხლი ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც საერთო სასამართლოს უფლება აქვს, კონსტიტუციური წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი ეხება საკუთრების უფლებას, 42-ე მუხლის მეორე პუნქტი კი სასამართლოს იურისდიქციას. მაშასადამე, კონსტიტუციურ სარჩელში არასწორადაა დაყენებული კონსტიტუციის ის მუხლები, რომლებსაც მოსარჩელეთა აზრით ეწინააღმდეგება სადავო ნორმა. მოსარჩელეთა წარმომადგენელმა ვერც განმწესრიგებელ სხდომაზე ვერ დაასაბუთა, თუ როგორ უკავშირდება კონსტიტუციის აღნიშნული მუხლები სადავო ნორმას. ასეთ შემთხვევაში კი ”საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის ”ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად არ მიიღება.“¹⁶⁸⁶

საკონსტიტუციო სასამართლომ 2004 წლის 28 ივნისს გამოიტანა გადაწყვეტილება, რითაც არაკონსტიტუციურად ცნო „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის რამდენიმე დებულება.¹⁶⁸⁷ აღნიშნული კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას ერთ-ერთი სადავო საკითხი იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის და საბჭოს სამართლებრივი ბუნება, რადგან ამ უკანასკნელის გადაწყვეტილება მოსამართლის პასუხისმგებლობის შესახებ იყო საბოლოო და არ საჩივრდებოდა. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული საკითხი გადაწყვიტა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეორე პუნქტთან მიმართებით: „საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად უნდა ჩაითვალოს სადავო ნორმატიული აქტის 30-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმადაც „სადისციპლინო კოლეგია საქმის განხილვისას მოქმედებს როგორც სასამართლო“, კონსტიტუციის აღნიშნული მუხლით დადგენილია, რომ „ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციას ექვემდებარება მისი საქმე“. ეს კი გულისხმობს ყველა მოქალაქის, მათ შორის მოსამართლის, განსჯას საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული სასამართლოების მიერ, მოსარჩელის მტკიცებით კი, სადავო ნორმიდან გამომდინარე, მოსამართლეთა დისციპლინურ დევნას ახორციელებს ისეთი ორგანო, რომელიც, მართალია, არ არის სასამართლო,

¹⁶⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 9 ივლისის #2/9/149 განჩინება, 3.1;

¹⁶⁸⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 28 ივნისის #1/3/209,276 გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს მოქალაქე ქეთევან ბახტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

მაგრამ მოქმედებს როგორც სასამართლო.¹⁶⁸⁸

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის გადამწყვეტი საკითხი იყო ის, რომ სადისციპლინო საბჭო და კოლეგია არ წარმოადგენდნენ სასამართლო ორგანოებს და ირღვეოდა 42-ე მუხლის მეორე პუნქტი, რომელიც აძლევს ყველა პირს უფლებას წარდგენილ და განსჯილ იქნას იმ სასამართლოს მიერ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება პირი. სადავო აქტის მიხედვით, სადისციპლინო კოლეგიის გადამწყვეტილება შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო სადისციპლინო საბჭოში, რომლის მიმართაც კანონში არსად იყო ნათქვამი, რომ იგი მოქმედებდა როგორც სასამართლო (ეს განსაკუთრებით საინტერესო იყო, რადგან ამ უკანასკნელის გადამწყვეტილება საბოლოო და დაუყოვნებლივ აღსრულებადი იყო).¹⁶⁸⁹

საკონსტიტუციო სასამართლომ განსაზღვრა ის კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც უნდა დადგენილიყო და შეფასებულიყო ტერმინი „სასამართლო“ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეორე პუნქტის მიზნებისთვის: „სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შემფარდებელი ორგანოს სტატუსი ნათლად და გამოკვეთილად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, ისე, რომ მასში ადგილი არ ჰქონდეს შეუთავსებელი ფუნქციების შეთავსებას. დაუშვებელია, გაორებული ბუნების ორგანო ახორციელებდეს მოსამართლეთა დისციპლინურ დევნას და ამით გზას უკეტავდეს მათ სასამართლოში მიმართვაზე.“¹⁶⁹⁰

საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით არგუმენტად წარმოადგინა ამ მიმართებით კომპარატივისტული და სარეკომენდაციო საერთაშორისო დოკუმენტები მოსამართლის დისციპლინურ დევნასთან დაკავშირებით და ხაზი გაუსვა სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებას.¹⁶⁹¹

საკონსტიტუციო სასამართლომ 2005 წელს შეაფასა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეორე პუნქტის ერთ-ერთი კომპონენტი „იურისდიქცია“.¹⁶⁹² ამ საქმეში დავის საგანი იყო სხვადასხვა სისხლის სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-საპროცესო ნორმები, რომლებიც შეეხებოდნენ უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის საკითხს. მოსარჩელებმა სხვა არგუმენტებთან ერთად დააყენეს მოთხოვნა, რომ არაკონსტიტუციურად ყოფილიყო ცნობილი სადავო აქტი, რომელიც სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებული პირის ქონების ჩამორთმევის საკითხს არეგულირებდა ადმინისტრაციული სამართლის პროცესით. ზემოაღნიშნული დებულება, მოსარჩელეთა განცხადებით, წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეორე პუნქტთან, რომლის მიხედვითაც, ყველას აქვს უფლება, განსაჯოს იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც

¹⁶⁸⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 28 ივნისის #1/3/209,276 გადაწყვეტილება, I.3.1;

¹⁶⁸⁹ იქვე;

¹⁶⁹⁰ იქვე;

¹⁶⁹¹ იქვე;

¹⁶⁹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება საქმეზე 1) მოქალაქეები: ლილი თელია, არჩილ მეფარიძე და გურამ თოხაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 2) მოქალაქე სერგო გოგიტიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 3) მოქალაქე როსტომ ბოლქვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

ექვემდებარება იგი, ხოლო 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სამოქალაქო სარჩელებს განიხილავს და წყვეტს ის სასამართლო, რომლის განსჯადიცაა სისხლის სამართლის საქმე. დუალისტური სამართალწარმოება, მოსარჩელეთა განცხადებით, იყო არაკონსტიტუციური. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონსტიტუცია არ ადგენდა იურისდიქციის დეფინიციას და, შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს არ შეეძლო ამ დებულების კონკრეტიზაცია და შინაარსის დადგენა: „საკონსტიტუციო სასამართლოს მიიჩნია, რომ შეუძლებელია სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შეფასება საქართველოს კონსტიტუციის ზემოაღნიშნულ დებულებასთან მიმართებით, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციაში არ არის დეტალური ინფორმაცია სასამართლო ქვემდებარეობისა და განსჯადობის საკითხებზე. ეს საკითხები არც არის კონსტიტუციით გადასაწყვეტი. კონსტიტუცია იძლევა პრობლემის გადაწყვეტის ზოგად პრინციპებს, რომელთა დაკონკრეტება ხდება კანონმდებლობით.“¹⁶⁹³

საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის პროცესი არ ადგენდა აბსოლუტურ იურისდიქციას სამოქალაქო სარჩელებზე, რომელთა დავის საგანი დაკავშირებული იყო დანაშაულის შემადგენლობასთან. აღნიშნული მოსარჩელის დისკრეციული ნება იყო და მას შეეძლო სისხლის სამართლის ან სამოქალაქო საპროცესო ნორმების შესაბამისად განეხორციელებინა შესაბამისი დავის წარმოება სასამართლოში.¹⁶⁹⁴ კონსტიტუციის და ქვემდგომი კანონმდებლობის ერთობლივი ინტერპრეტაციის შედეგად საკონსტიტუციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სადავო აქტი შეესაბამებოდა კონსტიტუციას სარჩელის ამ ნაწილში.

საკონსტიტუციო სასამართლომ 2005 წელს განიხილა ერთ-ერთი კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის საკითხი, სადაც დავის საგანი იყო „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულება, რომლის მიხედვითაც უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსრულებას ექვემდებარებოდა.¹⁶⁹⁵ მოსარჩელე აღნიშნული მუხლის არაკონსტიტუციურობას მოითხოვდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეორე პუნქტთან მიმართებით. საკონსტიტუციო სასამართლომ ვერ დაინახა მიმართება სადავო აქტს და კონსტიტუციურ ნორმას შორის: „სასამართლო კოლეგიის აზრით, ... კონსტიტუციურ სარჩელში მოყვანილი არგუმენტები და განმწესრიგებელ სხდომაზე მოსარჩელის განმარტებები არ მიანიშნებენ, რომ სადავო ნორმებით დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გარანტირებული უფლებები“.¹⁶⁹⁶

¹⁶⁹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება, პ.7;

¹⁶⁹⁴ იქვე;

¹⁶⁹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 17 ოქტომბრის #1/18/346 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე პაატა ქობულაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁶⁹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 17 ოქტომბრის #1/18/346 განჩინება, პ.1;

2.2. სუბიექტი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეორე პუნქტის სუბიექტი, როგორც ცალკე აღებული, არ აქვს განმარტებული.

2.3. უფლების შეზღუდვის საფუძვლები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეორე პუნქტის შეზღუდვის საფუძვლები, როგორც ცალკე აღებული, არ აქვს განმარტებული.

2.4. დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც აღინიშნა, არა აქვს მდიდარი პრაქტიკა, რომელიც მომავალში შემოსულ სარჩელთა კვალობაზე განვითარდება. ამ ეტაპზე სამართალწარმოების პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი ასპექტების გამოკვეთა:

- კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეორე პუნქტთან შესაბამისად იქნა მიჩნეული საარბიტრაჟო სამართალწარმოების კონკრეტული რეგულირება;
- კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეორე პუნქტს ეწინააღმდეგება რეგულირება, რომლითაც სასამართლოს ფუნქცია ენიჭებოდა კვაზი სასამართლო ინსტიტუციას;
- ამ პუნქტში განსაზღვრული ტერმინი „იურისდიქცია“ არ შეიცავს დამოუკიდებელ კონსტიტუციურ შინაარსს და ექვემდებარება განსაზღვრებას კანონმდებლის მიერ.

2.5. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები

ვიტალი და გიორგი გაბუზოვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ / საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 9 ივლისის #2/9/149 განჩინება.

საქართველოს მოქალაქე პაატა ქობულაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 17 ოქტომბრის #1/18/346 განჩინება/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

მოქალაქე ილია ანდრიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 1 ნოემბრის #1/1/10 გადაწყვეტილება/

საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს მოქალაქე ქეთევან ბახტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 28 ივნისის #1/3/209,276 გადაწყვეტილება/

1) მოქალაქეები: ლილი თელია, არჩილ მეფარიძე და გურამ თოხაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 2) მოქალაქე სერგო გოგიტიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 3) მოქალაქე როსტომ ბოლქვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება/

3. 42-ე მუხლის მე-3 პუნქტი

3.1. დაცული სფერო, კავშირი საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტთან

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მესამე პუნქტის სხვადასხვა კომპონენტი მრავალგზის აქვს განმარტებული, რის შედეგადაც, შესაძლებელია სამი სიტყვისაგან - დაცვის უფლება გარანტირებულია - შემდგარი წინადადებიდან გამომდინარე სტანდარტის იდენტიფიცირება. საკონსტიტუციო სასამართლომ 2006 წლის 15 დეკემბერს გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე “საქართველოს მოქალაქეები – „ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”.¹⁶⁹⁷ სასამართლომ ამ საქმეში მიმოიხილა და დეტალურად განმარტა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მესამე პუნქტის სტანდარტი და შეავსო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით დადგენილი განმარტებები.¹⁶⁹⁸ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრული გარანტიით დაცული სფეროს იდენტიფიცირება ამ საქმეებში წარმოდგენილი სამართლებრივი განმარტებების ფონზე იქნება წარმოდგენილი.

2003 წელს (2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ განიხილა 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რამდენიმე დებულება, რომლებიც

- ზღუდავდნენ ბრალდებულის ადვოკატთან შეხვედრის უფლებას არაუმეტეს 1 საათის ვადით 1 დღის განმავლობაში;
- იძლეოდნენ შესაძლებლობას, რომ პირს არ ესარგებლა ადვოკატის მომსახურებით დაკავებისთანავე;
- ადვოკატის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის დანიშვნის საკითხს არეგულირებდნენ;
- ადვოკატის მოსაწვევად სამ საათიან ვადას ადგენდნენ.

2006 წელს (2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქმე, სადაც დავის საგანი იყო საქართველოს სისხლის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები, რომელთა მიხედვითაც მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე შეეძლო პირისთვის პატიმრობის შეფარდება სასამართლოს მიმართ გამოხატული უპატივცემულობის შემთხვევაში.

საკონსტიტუციო სასამართლომ 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებაში მიუთითა დაცვის უფლების ორ კომპონენტზე – საკუთარი თავის დასაცავად

¹⁶⁹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁶⁹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

პოზიციის პირადად გამოხატვა და დამცველი უზრუნველყოფის შესაძლებლობა.¹⁶⁹⁹ საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული უფლება დაუკავშირა თავისუფლების აღკვეთის სახით შესაზამისი იძულებითი ღონისძიების შეფარდებას.¹⁷⁰⁰

საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მესამე პუნქტი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მესამე პარაგრაფის პირველი სამი ქვეპარაგრაფი იდენტური შინაარსის შემცველები იყვნენ.¹⁷⁰¹

საკონსტიტუციო სასამართლომ 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებაში განმარტა პირადად თავის დაცვის უფლების მნიშვნელობა და მისი შემადგენელი ელემენტები. ასეთად საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია პირის უფლება დაესწროს პროცესს და გამოთქვას მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.¹⁷⁰² აღნიშნული გარანტია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მოიაზრება უფრო ფართო გარანტიის – სამართლიანი სასამართლოს – ჭრილში, რაც მის დატვირთვას და დანიშნულებას ხაზს უსვამს.¹⁷⁰³

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა დაცვის უფლების აქცესორული ხასიათი, რადგან ეს უკანასკნელი ცალკე არ მოქმედებდა. აუცილებელია პირს ეკისრებოდეს პასუხისმგებლობა (ზოგადად და არა რომელიმე კონკრეტული სახე) და ამის შემდეგ წარმოეშობა ამ უკანასკნელს იმის გარანტია, რომ დაიცვას თავისი ინტერესები პირადად ან დამცველის საშუალებით.¹⁷⁰⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, პასუხისმგებლობის ტიპის მიუხედავად არსებობს გარანტია, რომ პირი იქნას დაცვის უფლებით უზრუნველყოფილი.

საკონსტიტუციო სასამართლომ 2003 წლის 29 იანვარს გამოტანილ გადაწყვეტილებაში ფართოდ და დეტალურად განმარტა პირის უფლება დამცველზე.¹⁷⁰⁵ ამ საქმეში განიმარტა საქართველოს კონსტიტუციის 18-ე მუხლის მეხუთე პუნქტი, რომელიც ადგენს უფლებას ადვოკატზე პირის დაკავებისთანავე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტი მოიცავს მე-18 მუხლის მე-5 პუნქტს, თუმცა არ შემოიფარგლება ამ ნორმით დადგენილი მოთხოვნებით, ის გაცილებით ფართოა და ითვალისწინებს პირის შესაძლებლობას, ისარგებლოს დაცვით იმ შემთხვევაშიც, როდესაც მას სასამართლოში თავისუფლების აღკვეთას უფარდებენ.“¹⁷⁰⁶

¹⁶⁹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, II.3.2;

¹⁷⁰⁰ იქვე;

¹⁷⁰¹ იქვე;

¹⁷⁰² იქვე;

¹⁷⁰³ იქვე;

¹⁷⁰⁴ იქვე;

¹⁷⁰⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 დეკემბრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება;

¹⁷⁰⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება, 3.7;

შესაბამისად, ქვემოთ წარმოდგენილი მსჯელობა შეეხება ყველა იმ საკითხს, რომელიც დაკავშირებულია დაცვის უფლებასთან და მომდინარეობენ როგორც უშუალოდ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მესამე პუნქტიდან, ისე 18-ე მუხლის მეხუთე პუნქტიდან.

საკონსტიტუციო სასამართლომ 2003 წლის 29 იანვარის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ დამცველის მოწვევის უფლება წარმოიშობა პირის დაკავების მომენტიდან. ეს არის საწყისი ათვლის წერტილი დამცველის მოსაწვევად.¹⁷⁰⁷ ამ ნორმასთან წინააღმდეგობის გამო საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რამდენიმე დებულება, რომელთა მიხედვითაც პირს დამცველის მოწვევაზე უფლება წარმოეშობოდა დაკავებიდან 12 საათის შემდეგ. სადავო ნორმების მიხედვით პირი დაკავების შემდეგ ავტომატურად არ იმენდა ეჭვმიტანილის სტატუსს და დამკავებელს ჰქონდა 12 საათიანი შუალედის გამოყენების შესაძლებლობა დაკავების შემდეგ პირისთვის ეჭვმიტანილის სტატუსის მისანიჭებლად. დაცვის და შესაბამისად, დამცველის მოწვევის უფლება კი მხოლოდ და მხოლოდ ეჭვმიტანილს ან შესაბამისი სტატუსის მქონე პირს გააჩნდა.¹⁷⁰⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მეხუთე პუნქტის მეორე წინადადებას, რომელიც დაცვის უფლების წარმოშობას იმპერატიულად უკავშირებდა დაკავების მომენტს.¹⁷⁰⁹

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულება, რომლის მიხედვითაც, დამცველის მოწვევა შესაძლებელი იყო პირის დაკითხვამდე ან დაკითხვის პროცესში. ეჭვის საფუძველზე დაკავებული პირის დაკითხვა შეიძლება განხორციელდეს უშუალოდ შესაბამის დაწესებულებაში პირის მიყვანიდან 24 საათის განმავლობაში. აღნიშნული აძლევდა შესაბამისი საგამომიებო უწყებების წარმომადგენლებს იმის შესაძლებლობას, რომ მათ თავად განესაზღვრათ დამცველის პროცესში დაშვების შესაძლებლობა 24 საათიან შუალედში. ეს კი წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს კონსტიტუციის 18-ე მუხლის მეხუთე პუნქტთან და, ცხადია, არაკონსტიტუციურად ჩაითვალა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „დაკავებული ან დაპატიმრებული პირის მოთხოვნა დამცველის დახმარებაზე უნდა დაკმაყოფილდეს დაუყოვნებლივ – მაქსიმალურად გონივრულ დროში“.¹⁷¹⁰

საკონსტიტუციო სასამართლომ 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებაში განმარტა დაცვის უფლების ხარისხობრივი (კვალიტატიური), დროითი (ტემპორალური), რაოდენობრივი (კვანტიფიკაციური) ელემენტები, ასევე ალტერნატიული დაცვის საკითხი და ამ უფლების სუბიექტური მხარე.

საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე მოსარჩელები აღნიშნავენ,

¹⁷⁰⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, პ.1;

¹⁷⁰⁸ იქვე;

¹⁷⁰⁹ იქვე;

¹⁷¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, პ.2;

რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მათ ზღუდავდა დამცველთა რაოდენობაში და ექვმიტანილს მხოლოდ სამი ადვოკატის დახმარების უფლება ჰქონდა. საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, კონსტიტუცია არ ადგენს დაცვის უფლების კვანტიფიკაციურ ელემენტს და აღნიშნული სრულად წესრიგდებოდა შესაბამისი ნორმატიული აქტებით. სასამართლოს მიხედვით, კონსტიტუციის მე-18 მუხლის მეხუთე პუნქტის მეორე წინადადება და 42-ე მუხლის მესამე პუნქტი არ ადგენდნენ უფლებას დამცველთა განსაზღვრულ რაოდენობაზე და საკანონმდებლო რეგულირების სფეროს მიეკუთვნებოდა აღნიშნული.¹⁷¹¹

გარდა ზემოაღნიშნულისა, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა დაცვის უფლების ე.წ. კვალიტატიური ანუ ხარისხობრივი ელემენტი, რაც გულისხმობს დაცვის უფლების განხორციელების კონსტიტუციით დადგენილ მინიმუმს. ერთ-ერთი სადავო აქტის მიხედვით, ექვმიტანილს და ბრალდებულს შეეძლოთ დამცველთან შეხვედრა არაუმეტეს 1 საათისა ერთი დღის განმავლობაში. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა დაცვის უფლების განხორციელების ხარისხობრივი ელემენტი: „საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს „...დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება...“, რაც, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ასევე ნიშნავს დასაცავი პირისთვის დამცველის მიერ „კვალიფიცირებულ იურიდიულ დახმარების“ გაწევას, რაც აგრეთვე გამოიხატება დამცველის დასაცავთან პირისპირ შეხვედრებშიც. ამრიგად, ყოველი კონკრეტული სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარე, შეიძლება ვისაუბროთ დამცველის მხრიდან კვალიფიცირებული იურიდიული მომსახურების, შესაბამისად დამცველისა და დასაცავის პირისპირ შეხვედრების ხანგრძლივობაზე.“¹⁷¹²

სასამართლომ ასევე განმარტა ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც უნდა განისაზღვროს დამცველისა და ბრალდებულის შეხვედრის ხანგრძლივობა: „სასამართლოს აზრით, დამცველთან პირისპირ შეხვედრის, კანონმდებლის მიერ დადგენილი ერთსაათიანი შეზღუდვა შეუსაბამოა საქართველოს კონსტიტუციის დასახელებულ დებულებებთან, ვინაიდან იგი უნდა განისაზღვროს ყოველი კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის სირთულის გათვალისწინებით. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტზე, რომლის თანახმად, „დანაშაულის ჩადენაში ექვმიტანილის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს...“, რაც ასევე დროით ზღუდავს სამართალდამცავ ორგანოებს ექვმიტანილთან ურთიერთობაში. ამრიგად, სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ დამცველთან პირისპირ შეხვედრების დრო კი არ უნდა იყოს შეუზღუდავი, არამედ იგი უნდა შეიზღუდოს გონივრული ვადით, რაც ყოველი კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის სირთულის გათვალისწინებით საქართველოს კონსტიტუციის მიერ გარანტირებული დაცვის უფლებიდან და გამომდინარე

¹⁷¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, პ.2;

¹⁷¹² იქვე;

ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ამასთან, იგი არ უნდა იყოს პროცესის ორივე თანასწორუფლებიანი მონაწილისთვის განზრახ ხელის შემშლელი.¹⁷¹³

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა დაცვის უფლების განხორციელების დროითი (ტემპორალური) ელემენტი. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მეხუთე პუნქტიდან და „საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულებიდან – „დაცვის უფლება გარანტირებულია“ – გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია მიიჩნევს, რომ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს უნდა ჰქონდეს გონივრული, საკმარისი დრო და შესაძლებლობა, რათა მოემზადოს თავის დასაცავად და შეხვდეს მის მიერ არჩეულ დამცველს“.¹⁷¹⁴

საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით ვადა არ არის ფიქსირებული და იგი კონკრეტული საქმიდან გამომდინარე უნდა იყოს გონივრული და საკმარისი, რათა განხორციელდეს დამცველის შერჩევა და მოწვევა, „ვინაიდან გონივრულ ვადაში უნდა იგულისხმებოდეს არა მარტო სასურველი დამცველის შერჩევის, არამედ, მასთან დაკავშირების, მისი მოწვევისა და შესაბამისად, დამცველის გამოცხადების სავარაუდო, მაგრამ გონივრული პერიოდი.“¹⁷¹⁵

აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციასთან შესაბამისად მიიჩნია დებულება, რომლის მიხედვითაც ეჭვმიტანილს და ბრალდებულს დამცველის მოსაწვევად ეძლეოდათ არანაკლებ სამი საათისა. აღნიშნული რეგულირება საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა რეკონსტრუქციული კონსტიტუციური კონტროლის შესაბამისად და განიხილა, როგორც მინიმალური ვადის განსაზღვრელი რეგულირება, რომელიც, თავის მხრივ, კონსტიტუციით დადგენილი გონივრულობის კრიტერიუმთან ერთად მოქმედებდა. საკონსტიტუციო სასამართლომ ამავდროულად ხაზი გაუსვა ბრალდებულად ყოფნის კონსტიტუციით ფიქსირებულ ვადას და აღნიშნა, რომ ამ დებულების დასაცავად ბრალდების მხარეს ჰქონდა კანონიერი ინტერესი, რათა გარკვეული გონივრული ვადით შემოესაზღვრა დამცველის მოწვევის უფლება.¹⁷¹⁶

საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დაცვის უფლების განხორციელებისას მხარეთა თანასწორობის და საკანონმდებლო ნორმების მაქსიმალური სიღრმის პრინციპს, რათა სხვადასხვა საგამომიებო თუ სასამართლო მოქმედება სამართალწარმოების პრაქტიკაში არასწორად არ განხორციელებულიყო. ერთ-ერთი სადავო საკითხი 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებაში იყო ადვოკატის გამოუცხადებლობის შედეგები. სადავო აქტის მიხედვით, თუკი საქმის არსებით განხილვამდე ადვოკატი არ გამოცხადდებოდა პროცესის მწარმოებელი ორგანო გადადებდა სხდომას არაუმეტეს 10 დღის ვადით და შემდგომი გამოუცხადებლობის შემთხვევაში საგამომიებო მოქმედება ტარდებოდა დანიშნული დამცველით. იგივე

¹⁷¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, პ.2;

¹⁷¹⁴ იქვე;

¹⁷¹⁵ იქვე;

¹⁷¹⁶ იქვე;

სახის რეგულირება არ არსებობდა საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე განსასჯელის პროცედურული სტატუსის მატარებელი პირის ადვოკატის მიმართ და სხდომის ავტომატური გადადება ხდებოდა. საკონსტიტუციო სასამართლომ გაუგებრად ჩათვალა ის ფაქტი, თუ კონკრეტულად რითი ხელმძღვანელობდა პროცესის მწარმოებელი ორგანო საგამომიებო მოქმედების ჩატარების ან სასამართლო განხილვის გადადება-არგადადების თაობაზე თავისი უფლების განხორციელებისას. საკონსტიტუციო სასამართლომ აქვე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ პროკურორის მიმართ არ არსებობდა მსგავსი შინაარსის რეგულირება. აქედან გამომდინარე: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, დაცვის მხარეს უნდა ჰქონდეს არა მარტო გონივრული დრო, არამედ აგრეთვე შესაძლებლობაც, განახორციელოს სრულფასოვანი დაცვა. აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 ნაწილის პირველი წინადადების დებულება „...უფლება აქვს გადადოს საგამომიებო მოქმედების ჩატარება, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო დამცველს, ან გადადოს სასამართლო განხილვა...“, დაცვის მხარეს, ბრალდების მხარისაგან განსხვავებით, უარეს მდგომარეობაში აყენებს და გარკვეულწილად ქმნის შესაძლებლობას დაცვის უფლების შეზღუდვისათვის.“¹⁷¹⁷

მოსარჩელე მხარე აგრეთვე სადავოდ ხდიდა 1998 წლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული საგამომიებო მოქმედების ან სასამართლო განხილვის, რომლებშიც მონაწილეობას ვერ იღებს დამცველი, გადადების 10 დღიანი ვადის კონსტიტუციურობას იმ მოტივით, რომ ყოველგვარი ვადებით შეზღუდვა და მათი დათქმა ლახავდა საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ დაცვის უფლებას. საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით აღნიშნული საკითხი სცილდებოდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მესამე პუნქტის ფარგლებს და, შესაბამისად, არ ექცეოდა დაცულ სფეროში: „სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ დაცვის მხარეს უნდა მიეცეს გონივრული, საკმარისი დრო და შესაძლებლობა განახორციელოს სრულფასოვანი დაცვა, რაც გულისხმობს ისეთ დროს და შესაძლებლობას, რომელიც სისხლის სამართლის ყოველი კონკრეტული საქმის სირთულიდან გამომდინარე, დაცვის მხარეს მისცემდა სრულფასოვანი მომზადების შესაძლებლობას. ამასთან, სასამართლოს მეორე კოლეგიის აზრით, საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, რომელთა დროსაც დამცველი ავადმყოფობის, გამგზავრების ან სხვა სახის, თუნდაც საპატიო მიზეზებით, თვითონ არის მოკლებული შესაძლებლობას, უშუალოდ განახორციელოს თავისი ფუნქციები. სასამართლო აღნიშნავს, რომ დასახელებული საკითხები მოწესრიგებულია სპეციალური კანონმდებლობით, კერძოდ კი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.“¹⁷¹⁸

საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე მოსარჩელე სადავოდ ხდიდა 1998

¹⁷¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, პ.2;
¹⁷¹⁸ იქვე;

წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებას, რომელიც ეხებოდა საგამოძიებო მოქმედებაში ადვოკატის მონაწილეობას. სადავო აქტი აწესრიგებდა შემთხვევებს, როდესაც დამცველი სისტემატურად არ ცხადდებოდა პროცესში მონაწილეობის მისაღებად. ამ შემთხვევაში პროცესის მონაწილე აძლევდა ბრალდებულს/განსასჯელს ახალი დამცველის მოწვევის შესაძლებლობას ან/და სთავაზობდა დაცვას სახელმწიფოს ხარჯზე. მოსარჩელის აზრით, დაცვის უფლება გულისხმობდა პირის უფლებას ჰყოლოდა დამცველი მისი სურვილისაებრ. ამის საპირისპიროდ სადავო ნორმა იძლეოდა დამცველის სახელმწიფოს მიერ დანიშვნის შესაძლებლობას, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა კონსტიტუციით დადგენილ სტანდარტთან. საკონსტიტუციო სასამართლომ უარყო აღნიშნული არგუმენტი: „ამ მოსაზრების საპირისპიროდ სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სადავო ნორმები არ უფლებებელყოფენ პირის უფლებას, თავისი სურვილისამებრ აირჩიოს სასურველი დამცველი, ვინაიდან ამისათვის მას აძლევენ საკმარის დროს და შესაძლებლობასაც.“¹⁷¹⁹

მოსარჩელეთა მიერ აღნიშნული მუხლის გარშემო წარდგენილ იქნა კიდევ ერთი არგუმენტი, რომლის მიხედვითაც საკმარისი დროისა და შესაძლებლობის ცნებები გულისხმობდა იმას, რომ დამცველის საპატიო მიზეზით და თუნდაც სისტემურად გამოუცხადებლობის შემთხვევაშიც კი არ უნდა მომხდარიყო სახელმწიფოს მიერ დამცველის დანიშვნა და სამართალწარმოება უნდა გადადებულიყო: „საკონსტიტუციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს მოსარჩელე მხარის ვერც მეორე არგუმენტს, რადგან დაცვის განსახორციელებლად საკმარისი დროისა და შესაძლებლობის ცნებები, სასამართლოს ესმის, როგორც ისეთი გონივრული დრო და შესაძლებლობა, რომელიც სრულფასოვან დამცველს, სისხლის სამართლის ყოველი კონკრეტული საქმის სირთულიდან გამომდინარე, მისცემს შესაძლებლობას, განახორციელოს სრულყოფილი დაცვა.“¹⁷²⁰

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განმარტა დაცვის უფლების სუბიექტური მხარე და იგი მთლიანად ბრალდებულის ნების გამოვლინებად ჩათვალა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ ბრალდებულის სავალდებულო წესით დაცვა სრულიად გამოირიცხა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მესამე და 18-ე მუხლის მეხუთე პუნქტების დაცული სფეროდან. საკონსტიტუციო სასამართლომ შემდეგი დასაბუთება წარმოადგინა ამ მიმართებით: „სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულია დაცვის და დასაცავი პირის უფლება, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს დასაცავი პირის სურვილიდან. ამდენად, საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს დაცვის უფლების ისეთ პირობებს, როდესაც უპირატესობა ენიჭება დასაცავი პირის სურვილსა და უნარს, ჰყავდეს დამცველი, ან პირის სურვილს, მაგრამ უუნარობას, იყოლიოს დამცველი. ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონსტიტუციით არ არის გადაწყვეტილი დაკავებული ან დაპატიმრებული პირის ეგრეთ წოდებული „ძულეებითი დაცვა“.“¹⁷²¹

¹⁷¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, პ.2;

¹⁷²⁰ იქვე;

¹⁷²¹ იქვე;

საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა დაცვის უფლების მიმართება სამოქალაქო სამართლებრივ კონტექსტში. 2004 წლის 16 თებერვალს სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე, რომელშიც დაცვის საგანი იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი დებულება, რომელიც კრძალავდა სასამართლო გადაწყვეტილების კერძო საჩივრით გასაჩივრების შესაძლებლობას, როცა სასამართლო უარს ამბობდა იმ პირის პროცესში წარმომადგენლად დაშვებაზე, რომელიც არ იყო ადვოკატი და არ გააჩნდა პირის წარმოსადგენად და დასცავად საკმარისი მონაცემები.¹⁷²² საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე იდგა საკითხი, თუ რამდენად შეეძლო მხარეს გაესაჩივრებინა ამგვარი გადაწყვეტილება პირდაპირ, გამოტანისთანავე კერძო საჩივრით. მოპასუხე მხარე აპელირებდა ამ გადაწყვეტილების ძირითად გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრების შესაძლებლობაზე და ამგვარად ასაბუთებდა დაცვის უფლების უზრუნველყოფის შესაძლებლობას.

საკონსტიტუციო სასამართლომ პირდაპირ მიუთითა, რომ ამგვარი გადაწყვეტილების გასაჩივრების აკრძალვა წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მესამე პუნქტით დადგენილ დაცვის უფლებასთან: „განჩინება წარმომადგენლად დაშვებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს გამოაქვს იმ მოტივით, რომ შესაბამის პირს არ გააჩნია საკმარისი მონაცემები, რათა წარმოადგინოს მხარე და დაიცვას მისი უფლებები. სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ კანონმდებელი არ განმარტავს, თუ რას ნიშნავს „საკმარისი მონაცემები“. მისი შინაარსის გაგება მთლიანად მოსამართლის მიხედულობაზე, სასამართლოზე არის დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, მართლაც შესაძლებელია, რომ განჩინება პროცესში წარმომადგენლად დაშვებაზე უარის თქმის შესახებ ზოგჯერ უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად იქნეს მიღებული. ამგვარი განჩინების გასაჩივრების აკრძალვა კი, წარმომადგენლის ფუნქციის, მისი დანიშნულების გათვალისწინებით, შესაბამისი მხარის დაცვის კონსტიტუციური უფლების სერიოზული შეზღუდვის მომასწავებელია.“¹⁷²³

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეს შეეძლო მისი ინტერესების დაცვა ძირითადი გადაწყვეტილების გამოტანისას, რადგან ეს უკანასკნელი არსებითი განხილვის დროს რჩებოდა წარმომადგენლის გარეშე და ამის გამო შეიძლება ვერ მოეხდინა გავლენა გადაწყვეტილების გამოტანაზე, ასევე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი საქმე არ ექვემდებარებოდა სააპელაციო წესით განხილვას.

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეში გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტება, რომელიც დაცვის და გასაჩივრების უფლებების კორელაციას ეხებოდა. სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო აქტის გასაჩივრების გარანტია დაუკავშირა დაცვის უფლებას: „დაცვის უფლება საქმის განხილვის დროს საჭიროებისამებრ სათანადო აქტების გასაჩივრების - სასამართლოსადმი საჩივრით მიმართვის შესაძლებლობასაც გულისხმობს და ამ უფლების

¹⁷²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 თებერვლის #1/1/186 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი წაქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁷²³ იქვე;

ამკრძალავი სამართლებრივი ნორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების სახით საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის შესატყვისი დანაწესადაც ვერ ჩაითვლება.¹⁷²⁴

საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ სამოქალაქო პროცესში ადვოკატის არ მქონე სტატუსის პირის არ დაშვება ზღუდავდა საპროცესო ქმედუნარიანობას, ანუ პირის უფლებას ჰყავდეს მის მიერ არჩეული დამცველი და დამატებით აღნიშნა საქართველოს რეალობის ტრადიციული ელემენტი, როდესაც მოქალაქეები მათი ინტერესების დაცვას ანდობდნენ მათ ნათესავს ან ახლობელს. საკონსტიტუციო სასამართლოსთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ ამგვარი პირის არ დაშვება შეიძლება განხორციელებულიყო უსაფუძვლოდ და სწორედ ამისგან თავდაცვა უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი.¹⁷²⁵ სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონოდა კერძო სააპელაციო საჩივრის დაშვებას სამოქალაქო პროცესში: „მართალია, ასეთი წესი ცალკეულ შემთხვევებში რამდენადმე გაახანგრძლივებს სასამართლო პროცესს, მაგრამ ეს არსებითად იქნება არა საქმის განხილვის გაჭიანურება, არამედ ისეთი აუცილებლად საჭირო საპროცესო მოქმედების შესრულება, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დაცვასა და სამოქალაქო სამართალწარმოების სწორად წარმართვას.“¹⁷²⁶

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2005 წელს განიხილა საკითხი, რომელიც შეეხებოდა პატიმრობის გასაჩივრების აკრძალვის საკითხს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მესამე პუნქტთან მიმართებით.¹⁷²⁷ მოსარჩელის განცხადებით, დაცვის უფლება ადვოკატის ყოლის გარდა გულისხმობდა ზემდგომ ინსტანციაში მიმართვას და უფლებების შესაბამის დაცვას სისხლის სამართლის პროცესის (აღკვეთის ღონისძიების გასაჩივრების) კონტექსტში. საკონსტიტუციო სასამართლომ შემდეგი არგუმენტაციით უპასუხა აღნიშნულ არგუმენტს და 2004 წლის 16 თებერვლის #1/1/186 გადაწყვეტილებისგან განსხვავებული სტანდარტით გადაწყვიტა საკითხი: „კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე სადავო მუხლების კონტიტუციურობის შემოწმებას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებითაც მოითხოვს, რომელიც გარანტირებულ დაცვის უფლებას შეეხება. მოსარჩელის აზრით, ვინაიდან გასაჩივრების უფლების აკრძალვის გამო ვერ განახორციელა ზემდგომ სასამართლოში თავისი უფლებების დაცვა, ამით შეიზღუდა ერთ-ერთ ინსტანციაში მისი დაცვის უფლების განხორციელების შესაძლებლობა. სასამართლოს აზრით, საკითხის ასე დაყენება კონტიტუციასთან მხოლოდ არაპირდაპირ მიმართებას გამოხატავს.“¹⁷²⁸

¹⁷²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, პ.2;

¹⁷²⁵ იქვე;

¹⁷²⁶ იქვე;

¹⁷²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 17 მარტის #2/3/286 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე ოლეგ სვინტრამე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁷²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 17 მარტის #2/3/286 გადაწყვეტილება, პ.5;

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად ადასტურებს იმას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მესამე პუნქტთან მიმართებით განსხვავებული მიდგომა აქვს სამოქალაქო და სისხლის სამართლისთვის, როდესაც საკითხი შეეხება ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებას და დაცვის უფლებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაცვის უფლება ასევე განიხილა ადმინისტრაციული კანონმდებლობის კონტექსტში. ამ საქმეში დაცვის საგანს წარმოადგენდა „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის რამდენიმე დებულება, რომელთა მიხედვითაც თუკი პირი არ ეთანხმებოდა საგადასახადო ორგანოს მიერ დაკისრებულ დარიცხვას შეეძლო მიემართა არბიტრაჟისთვის, მაგრამ აღნიშნული არ აჩერებდა მოთხოვნის აღსრულებას.¹⁷²⁹ მოსარჩევეების მიხედვით, დაცვის უფლება იურიდიული ფაქტის დადგენას უნდა უსწრებდეს წინ და არა პირიქით, მოსდევდეს მას. მათი პოზიციის მიხედვით, არბიტრაჟისთვის მიმართვა ავტომატურად უნდა ყოფილიყო დაკისრებული სანქციის აღსრულების შეჩერების საფუძველი.¹⁷³⁰

ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ დაცვის უფლება და შესაბამისად კონსტიტუციის 42-ე მუხლის მესამე პუნქტი არ ჩათვალა დარღვეულად და დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში კონსტიტუციის მოთხოვნა იყო დაცული, რადგან მხარეს ეძლეოდა მიყენებული ზიანის სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეცხრე პუნქტიდან გამომდინარე. საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საარბიტრაჟო სასამართლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, ჩაითვალა კონსტიტუციის შესაბამის სასამართლო სტრუქტურულ ერთეულად. შესაბამისად, პირს, რომელსაც მიაჩნდა, რომ მისი უფლებები იყო დარღვეული შეეძლო მიემართა სასამართლოსთვის და მოეთხოვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება და მისი უფლებების რეტროაქტიულად დაცვა. ყოველივე აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა კონსტიტუციასთან შესაბამისად მიიჩნია.

3.2. სუბიექტები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე საქმეში განმარტებული აქვს ის კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტით დაცული სუბიექტი.

საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქმე „საქართველოს მოქალაქეები გიორგი წაქაძე და ნონა ხაზარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომელშიც დაცვის საგანი იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულება, რითაც მხარისთვის სავალდებულო ხდებოდა შესაბამისად

¹⁷²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 30 დეკემბრის #1/2-14/19 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე ალექსანდრე დანელია და მოქალაქე გიორგი ცომაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁷³⁰ იქვე;

სერთიფიცირებული ადვოკატის პროცესში წარმოდგენა.¹⁷³¹ საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული საქმე არ მიიღო არსებითად განსახილველად, რადგან სარჩელიდან და მხარის არგუმენტაციიდან არ იკვეთებოდა შემდეგი გარემოებები:

- მოსარჩელის უშუალოდ რომელი უფლება ირღვეოდა;
- სარჩელში წარმოდგენილი არგუმენტაცია ასაბუთებდა, რომ მოქალაქეებს არ შეეძლებათ სასამართლოსთვის მიმართვა ადვოკატთა მიერ დადგენილი მაღალი გადასახადების გამო.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აღნიშნულ საქმეში მითითებულია ორი მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელსაც ხაზი უნდა გაესვას. კონსტიტუციის 42–ე მუხლის მესამე პუნქტით შესაძლებელია მხოლოდ საკუთარი უფლებების დაცვა და აკრძალულია *actio popularis* მიმართვა. ასევე აუცილებელია დაცვის უფლების ინსტრუმენტალური გამოყენება.

ზემოაღნიშნული საქმის მსგავსი დაცვის საგანი განიხილებოდა იმავე წლის 24 მაისს გამოტანილ განჩინებაში.¹⁷³² საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა საკასაციო და საოლქო სასამართლოებში ადვოკატის მანდატორული რეპრეზენტაციის წესი. სასამართლომ ზემოთ მითითებული არგუმენტაციით უარყო მოსარჩელეთა მოთხოვნა და დამატებით ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ სადავო აქტი არ იყო ძალაში შესული. აქედან გამომდინარე, სასამართლომ არ მიიჩნია მოსარჩელები უფლებამოსილ სუბიექტებად ედავათ საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე აუთოქმედებელი ნორმატიული აქტის გარშემო.

საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა ასევე ერთი საქმე, სადაც პრობლემური იყო მოსარჩელის ქმედუნარიანობა და, შესაბამისად, სასარჩელო უფლებამოსილება, ედავა საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე.¹⁷³³ დაცვის საგანს წარმოადგენდა 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულება, რომელიც იძლეოდა შესაძლებლობას, გაგრძელებულიყო სისხლის სამართლის სამართალწარმოება, თუ დადგინდებოდა, რომ პირი შერაცხადი იყო დანაშაულის ჩადენისას, მაგრამ შემდგომ იმყოფებოდა ფსიქიკური აშლილობის მდგომარეობაში.¹⁷³⁴ მოსარჩელის განცხადებით, ამ შემთხვევაში მას ეზღუდებოდა უფლება დაეცვა თავისი ინტერესები პირადად და ასევე განეხორციელებინა დაცვის დეტალების შეთანხმება ადვოკატთან.¹⁷³⁵ მოსარჩელის განცხადებით, აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს კონსტიტუციის 42–ე მუხლის მესამე პუნქტთან. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო არსებითად

¹⁷³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 3 თებერვლის #1/3/315 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები გიორგი წაქაძე და ნონა ხაზარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁷³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 24 მაისის #1/11/328 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – შურა დოლიძე, ნორა ფულარიანი, მერი ბარამიძე და ნუნუ გვარამაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁷³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 4 აპრილის #1/1/437 საოქმო ჩანაწერი საქმეზე საქართველოს მოქალაქე კახაბერ ხუნდაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁷³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 4 აპრილის #1/1/437 საოქმო ჩანაწერი, I.4;

¹⁷³⁵ იქვე;

განსახილველად საქმე, რითაც დადასტურდა, რომ დაცვის უფლება პირს აქვს იმის მიუხედავად, თუ როგორ ფსიქიკურ კონდიციაში იმყოფება და რა ლეგალური (მაგალითად, შეურაცხადი პირი) სტატუსით სარგებლობს.

3.3. უფლების შეზღუდვის საფუძვლები

2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ დაცვის უფლება გულისხმობს პირადად ან დამცველის მეშვეობით თავის დაცვის შესაძლებლობას სასამართლოში. ამავე გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მხედვლობაში მიღებით, ჩამოთვალა ის შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია დაცვის უფლების შეზღუდვა:¹⁷³⁶

- სისხლის სამართლის საქმის განხილვა განსასჯელის დაუსწრებლად შეიძლება ნებადართული იქნეს გამონაკლის შემთხვევებში, თუ ხელისუფლების ორგანოები მოქმედებდნენ სათანადოდ ოპერატიულად, მაგრამ ვერ შეძლეს გაეფრთხილებინათ პირი სასამართლო მოსმენის შესახებ (1985 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე “კოლოზა იტალიის წინააღმდეგ”);
- აგრეთვე განსასჯელის დაუსწრებლად სასამართლო განხილვა დაიშვება მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესებში ავადმყოფობის ზოგიერთ შემთხვევაში (ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1978 წლის 8 ივლისის განჩინება საქმეზე “ენსლინი და სხვები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ”);
- მხარეს შეუძლია, თავად თქვას უარი ამ უფლებაზე, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა უარის თქმა ეჭვს არ იწვევს და თან ახლავს მინიმალური გარანტიები აღნიშნული უფლების მნიშვნელობის გათვალისწინებით (1993 წლის 23 ნოემბრის გადაწყვეტილება “პუატრიმოლი საფრანგეთის წინააღმდეგ”);
- ამასთან, თუ განსასჯელი უარს ამბობს დასწრებაზე, მას უნდა ჰქონდეს უფლება იურიდიულ წარმომადგენლობაზე. (იხ., 1994 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე “პელადოა ნიდერლანდების წინააღმდეგ”, სადაც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და მე-3 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის დარღვევები).

საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ შემთხვევას, როდესაც საქმის განხილვის პროცესის მონაწილეს ადგილზე თათბირით უფარდებდნენ თავისუფლების აღკვეთას ან სხვა სანქციას სასამართლოსთვის უპატივცემულობის გამო. ამ შემთხვევის მიმართ სასამართლომ აღნიშნა: „ასევე, შესაძლოა, ადგილზე თათბირით გადაწყვეტილების მიღებით არ დაირღვეს დაცვის უფლება, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ საქმეში მონაწილე მხარე, რომელსაც სასამართლოს უპატივცემულობისთვის უფარდებენ თავისუფლების აღკვეთას, დარბაზში იმყოფება

¹⁷³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.2;

დამცველთან ერთად. მაგრამ, ამასთან, აუცილებლად გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: დაცვით უზრუნველყოფა გულისხმობს არა მხოლოდ ფიზიკურად დამცველის ყოლას, არამედ დაცვისთვის ადეკვატურად მომზადების შესაძლებლობასაც. ამიტომ კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს მინიმალურ, ამასთან გონივრულ, საკმარის დროს იმისათვის, რომ პირს ჰქონდეს შესაძლებლობა, დაიცვას თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით.¹⁷³⁷

როგორც ზემოაღნიშნული სასამართლო საქმეებიდან ხდება ნათელი, საკონსტიტუციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი სხვადასხვა პროცედურული გარანტიები, რათა შეზღუდული დაცვის უფლება იქნას სხვა მხრივ კომპენსირებული. 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოადგინა ასევე კომპარატივისტული კვლევა, რომელიც შეეხებოდა გამარტივებულ სამართალწარმოებას და დაცვის უფლებას ზოგადად: „მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, აღნიშნოს, რომ მსგავსი კატეგორიის საქმეებზე ე.წ. „გამარტივებული სამართალწარმოების“ პროცედურა ფართოდაა გავრცელებული როგორც კონტინენტური, ისე საერთო სამართლის ქვეყნებში. ეს პროცედურა გულისხმობს, რომ სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები სამართალდარღვევის აღსაკვეთად. თუმცა სახელმწიფოთა უმეტესობის კანონმდებლობა გამარტივებული პროცედურით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების დროს ითვალისწინებს პირის იმ პირობებით უზრუნველყოფის მინიმუმს, რასაც ითხოვს უფლება სამართლიან სასამართლოზე. კერძოდ, რიგ სახელმწიფოებში (აშშ, ინგლისი, შოტლანდია და სხვა) ეს პირობებია: 1. საქმის განხილვის შეჩერება და მცირე დროის გამოყოფა, რათა პირი დაუფიქრდეს თავის ქცევას და გაანალიზოს იგი; 2. მოსამართლის ვალდებულება, დეტალურად ამცნოს პირს სამართალდარღვევის შინაარსისა და მისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომის თაობაზე; 3. პირის შესაძლებლობა, წარმოადგინოს განმარტებები მისი ქმედების შესახებ ან/და ბოდიში მოიხადოს; 4. იურიდიული წარმომადგენლობის საკითხის გადაწყვეტა.“¹⁷³⁸

საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, ზეპირი განხილვა არის ერთ-ერთი კომპონენტი, რომელიც მნიშვნელოვანია უფლებების პირადად და ასევე დამცველის საშუალებით დასაცავად. აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია სასამართლოს მიდგომა ზედა ინსტანციაში საქმის განხილვის მიმართ. 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებაში შემდეგი შინაარსის განმარტება გააკეთა სასამართლომ: „ზედა ინსტანციაში ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა ასევე, ყოველთვის არ ჩაითვლება კონსტიტუციური უფლების შელახვად, თუ დაცვით სარგებლობის შესაძლებლობა უზრუნველყოფილი იყო თავისუფლების აღკვეთის შეფარდების პროცესში. ამასთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მსჯავრდებულის დასწრებას სააპელაციო სტადიაზე ისე მნიშვნელოვნად არ მიიჩნევს, როგორც პირველი ინსტანციის განხილვისას. თუ სააპელაციო სასამართლო განიხილავს მხოლოდ სამართლებრივ საკი-

¹⁷³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, II.3.2;

¹⁷³⁸ იქვე;

თხებს, მოსმენა მსჯავრდებულის თანდასწრებით არ არის აუცილებელი. განსხვავებული შემთხვევაა, როცა სააპელაციო სასამართლო საქმის ფაქტობრივ გარემოებებსაც იხილავს. საკითხის შეფასებისას, აქვს თუ არა პირს დასწრების უფლება, ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რამდენად სჭირდება სააპელაციო სასამართლოს მისი დასწრება ფაქტების დასადგენად.¹⁷³⁹

ზედა ინსტანციაში საქმის განხილვის მიმართ დადგენილი სტანდარტები დაცვის და სამართლიანი სასამართლოს უფლების პოზიციიდან მანამდეც იყო საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი. 2003 წლის 3 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე, რომელშიც დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები, რომლის მიხედვით საკასაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო განეხილა დავა ზეპირი მოსმენის გარეშე.¹⁷⁴⁰ მოსარჩლეები ითხოვდნენ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ და მესამე პუნქტებთან და 39-ე მუხლთან¹⁷⁴¹ მიმართებით. ამ საქმეში მოსამართლეთა აზრი ორად გაიყო, 2 წევრის მოსაზრებით ნორმა იყო კონსტიტუციასთან შეუსაბამო, ხოლო მეორე ნაწილი მის კონსტიტუციასთან შესაბამისობას უჭერდა მხარს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ხმათა გაყოფის გამო სადავო ნორმა კონსტიტუციასთან შესაბამისად იქნა მიჩნეული.¹⁷⁴²

საკონსტიტუციო სასამართლოს ორი წევრი დაეთანხმა მოსარჩლეთა პოზიციას და მიიჩნია, რომ ნორმა კონსტიტუციასთან შეუსაბამო იყო. მათ მიერ პირველ რიგში მოხდა ზეპირი განხილვის უფლების იდენტიფიცირება, რომლის დროსაც დაეყრდნენ კონსტიტუციის 42-ე მუხლს (ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის მხედველობაში მიღებით) და 39-ე მუხლს (რომელიც თავის მხრივ ეყრდნობოდა კონსტიტუციის 85-ე მუხლს). „არაკონსტიტუციურობის პოზიციამ“ შემდეგნაირად განმარტა კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი: „საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი უფლებას აძლევს ყოველ ადამიანს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. სასამართლო დაცვაზე უფლების რეალიზება პროცესუალური ნორმების და საშუალებების ერთობლიობით მიიღწევა, სამართალწარმოების პრინციპების დაცვით, რომლებიც უზრუნველყოფენ სამართლიანი

¹⁷³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, II.3.2;

¹⁷⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 3 ივლისის #2/6/205,232 გადაწყვეტილება საქმეზე 1. მოქალაქე ავთანდილ რიქამაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 2. მოქალაქე ნელი მუმლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁷⁴¹ ეს უკანასკნელი გამოიყენებოდა სუბსიდიარულად, კონსტიტუციის სხვა დანაწესების შესაბამისად. მოსარჩლეები და სასამართლო კოლეგიის ერთი ნაწილი ეყრდნობოდნენ კონსტიტუციის 39-ე და 85-ე მუხლების ერთობლივ ინტერპრეტაციას, რომლის მიხედვითაც გამომდინარეობდა უფლება ზეპირ სასამართლო განხილვაზე, როგორც შეჯიბრებითი სამართალწარმოების ერთ-ერთი კომპონენტი;

¹⁷⁴² საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 3 ივლისის #2/6/205,232 გადაწყვეტილება არ ახდენს იმ მოსამართლეთა იდენტიფიცირებას, რომლებმაც დაუჭირეს მხარი სადავო აქტის კონსტიტუციურობის (შემდგომში – „კონსტიტუციურობის პოზიცია“) ან არაკონსტიტუციურობის (შემდგომში – „არაკონსტიტუციურობის პოზიცია“) გადაწყვეტილებას;

მართლმსაჯულების განხორციელებას და მოქალაქეთა დარღვეული უფლებების აღდგენას. სასამართლოზე მიმართვის უფლება არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ სარჩელის შეტანით, იგი მოიცავს სამოქალაქო პროცესის ყველა სტადიას, მოქალაქეთა საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით აღიარებული უფლებების დაცვას ამ სტადიებზე. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არა მარტო უნდა არსებობდეს, არამედ პრაქტიკულად რეალიზებადი უნდა იყოს.¹⁷⁴³

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა აღნიშნული პოზიცია ასევე იღებს მხედველობაში კონსტიტუციის 39-ე და 85-ე მუხლების ერთობლივად წაკითხვას და ადგენს უფლებას სასამართლოს ზეპირ განხილვაზე.¹⁷⁴⁴ აღნიშნული პოზიცია დამატებით კონცენტრირდება იმ საკითხზე, თუ რამდენად აუცილებელია სამართლებრივ საკითხებზე საჩივრის განხილვის შემთხვევაში საქმის ზეპირი განხილვა. გადაწყვეტილების „არაკონსტიტუციურობის პოზიციამ“ დაასაბუთა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი საკასაციო სამართალწარმოება არ წამოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივი დავის გადაწყვეტას, არამედ, გარკვეულ შემთხვევაში შესაძლებელი იყო არსებითი გადაწყვეტილების გამოტანაც უზენაესი სასამართლოს მიერ.¹⁷⁴⁵ მოსამართლეთა ამ ნაწილის განცხადებით უზენაეს სასამართლოში საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა არ წარმოადგენდა სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვას, არამედ – სრულ აკრძალვას.¹⁷⁴⁶

მოსამართლეთა მეორე ნაწილი, რომელიც ნორმის კონსტიტუციურობას უჭერდა მხარს, მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო საკასაციო უფლებამოსილების განხორციელებისას ახდენდა მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტას და შესაბამისად არ იყო აუცილებელი ზეპირი განხილვა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების „კონსტიტუციურობის პოზიცია“ დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე “ფრედინი შვედეთის წინააღმდეგ”, სადაც ევროსასამართლომ დაადგინა, რომ საქმის ზეპირი განხილვა მხოლოდ და მხოლოდ ერთი ინსტანციის სამართალწარმოებაზე ვრცელდებოდა.¹⁷⁴⁷ „კონსტიტუციურობის პოზიცია“ დამატებით კონცენტრირდა კონსტიტუციის 42-ე მუხლის არააბსოლუტურ ხასიათზე: „ავღნიშნავთ, რომ შეუძლებელია უფლება გამოყენებული ან გაგებული იქნეს შეუზღუდავად, გარკვეული სამართლებრივი ბოჭვის გარეშე. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ “ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს”. საერთო სასამართლოების სისტემა და სამართალწარმოების წესი კი დადგენილია კანონით, რომელიც უფრო

¹⁷⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 3 ივლისის #2/6/205,232 გადაწყვეტილება, არაკონსტიტუციურობის პოზიცია, პ.1;

¹⁷⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 3 ივლისის #2/6/205,232 გადაწყვეტილება, არაკონსტიტუციურობის პოზიცია, პ.2,3;

¹⁷⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 3 ივლისის #2/6/205,232 გადაწყვეტილება, არაკონსტიტუციურობის პოზიცია, პ.5,6;

¹⁷⁴⁶ იქვე;

¹⁷⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 3 ივლისის #2/6/205,232 გადაწყვეტილება, კონსტიტუციურობის პოზიცია, პ.1;

დაწვრილებით განსაზღვრავს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას. კონსტიტუციის 42-ე მუხლმა დაამკვიდრა სასამართლოსადმი მიმართვის ძირითადი პრინციპი, რაც განხორციელებული უნდა იქნეს სპეციალური საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე.¹⁷⁴⁸

გადაწყვეტილების შემდგომი ნაწილი ეთმობა იმის დასაბუთებას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ შეიცავდა სამართლიანი სასამართლოს უფლების ამკრძალავ დებულებას და დამატებით განმარტებულ იქნა, რომ „აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევთ, რომ საკასაციო სასამართლო საქმეს ვერ განიხილავს (ვერც ზეპირად და ვერც ზეპირი განხილვის გარეშე) თუ არ იქნა რეალიზებული და განხორციელებული საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საქმის არაზეპირი განხილვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლო უნდა გამოდიოდეს იქიდან, თუ რამდენად არის გამართლებული აღნიშნული გადაწყვეტილება და იგი უნდა ეფუძნებოდეს თანაზომიერების პრინციპს.“¹⁷⁴⁹

მოსარჩელეთა ერთ–ერთი არგუმენტი იყო ის, რომ მათ არ ეძლეოდათ შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული მართლმსაჯულების განხორციელების შესაძლებლობა, რაც თავის მხრივ ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის 42-ე მუხლს. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების პასუხი აღნიშნულზე იყო შემდეგი: „ამრიგად, ვერ გავიზიარებთ მოსარჩელე მხარის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი გულისხმობს არა მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას, არამედ სასამართლოში საქმის განხილვის პრინციპებსაც. მივიჩნევთ, რომ მხარეები სასამართლოში საქმის წარმოებას იწყებენ სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით, რითაც ახდენენ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლების რეალიზაციას და მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი ვისაუბროთ სამართალწარმოების შეჯიბრებითობის პრინციპის განხორციელების თაობაზე.“¹⁷⁵⁰

3.4. დასკვნა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შემდეგ შესაძლოა შემდეგი ძირითადი საკითხების განსაზღვრა:

- დაცვის უფლება გულისხმობს პირის უფლებას დაიცვას თავი პირად ან დამცველის მეშვეობით;
- პირადად დაცვის გარანტია გულისხმობს პროცესზე დასწრების და პოზიციის გამოთქმის უფლებას და შესაძლებლობას;

¹⁷⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 3 ივლისის #2/6/205,232 გადაწყვეტილება, კონსტიტუციურობის პოზიცია, პ.2;

¹⁷⁴⁹ იქვე;

¹⁷⁵⁰ იქვე;

- დაცვის უფლება წარმოიშობა, როდესაც პირს ეკისრება შესაბამისი კანონისმიერი პასუხისმგებლობა;
- საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მესამე პუნქტი მოიცავს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მეხუთე პუნქტით დადგენილ რეგულირებას;
- ადვოკატის მოწვევის უფლება დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან;
- საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან იდენტიფიცირდება დაცვის უფლების ხარისხობრივი (კვალიტატიური), დროითი (ტემპორალური), რაოდენობრივი (კვანტიფიკაციური) ელემენტები, ასევე ალტერნატიული დაცვის საკითხი და ამ უფლების სუბიექტური მხარე;
- დაცვის უფლება ვრცელდება როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე;
- დაცვის უფლება სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებისთვის ვრცელდება გასაჩივრების უფლებაზე განსხვავებით სისხლისსამართლებრივისგან;
- დაცვის უფლება ექვემდებარება შეზღუდვას თუკი დაცულია შესაბამისი სტანდარტები, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით.

3.5. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სამართლოს საოქმო ჩანაწერი

საქართველოს მოქალაქე კახაბერ ხუნდაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 4 აპრილის #1/1/437 საოქმო ჩანაწერი/

საქართველოს საკონსტიტუციო სამართლოს განჩინება

საქართველოს მოქალაქეები გიორგი წაქაძე და ნონა ხაზარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 3 თებერვლის #1/3/315 განჩინება/

საქართველოს საკონსტიტუციო სამართლოს გადაწყვეტილებები

მოქალაქე ალექსანდრე დანელია და მოქალაქე გიორგი ცომია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 30 დეკემბრის #1/2-14/19 გადაწყვეტილება/

1. მოქალაქე ავთანდილ რიჟამაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
2. მოქალაქე ნელი მუმლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

/საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 3 ივლისის #2/6/205,232 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 დეკემბრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქე გიორგი წაქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 თებერვლის #1/1/186 გადაწყვეტილება/

მოქალაქე ოლეგ სვინტრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 17 მარტის #2/3/286 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები – შურა დოლიძე, ნორა ფულარიანი, მერი ბარამიძე და ნუნუ გვარამაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 24 მაისის #1/11/328 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება/

4. 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი

4.1. დაცული სფერო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთ საქმეში მოუწია კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტის შინაარსის განხილვა. 1999 წელს სასამართლომ ეს დებულება პირველად განმარტა.¹⁷⁵¹ ამ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტის მომწესრიგებელი კანონმდებლობა, რომელმაც გარკვეული კატეგორიის პირებს გაუუქმა შესაბამისი პენსიის მიღების უფლება. საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების მიხედვით, ამ შემთხვევაში ირღვეოდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტი, რადგან კანონმა უკუქცევით გააუქმა მანამდე დანიშნული პენსია. საკონსტიტუციო სასამართლომ, ბევრ სხვა ფორმალურ კრიტერიუმთან კონსტიტუციური წარდგინების შეუსაბამობის პარალელურად, დამატებით აღნიშნა საქმის არსებითად განუხილველობის მთავარი მიზეზი: „სასამართლო კოლეგია მიუთითებს, რომ კონსტიტუციის ამ დებულებით განისაზღვრება კანონის უკუმაღლა პასუხისმგებლობის საკითხთან კავშირში, უფრო ზუსტად – სამართალდარღვევასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობასთან მიმართებით. ამას აშკარად ადასტურებს კონსტიტუციის ციტირებული დებულების წინა წინადადება – “არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა”. კონსტიტუციური წარდგინებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სადავო მუხლის მიხედვით, პენსიონერთ. ჩადუნელის მხრივ სამართალდარღვევაზე და მასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება.“¹⁷⁵²

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ განჩინებაში ორი მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა:

- საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევების მიმართ, როდესაც სახეზეა სამართლებრივი პასუხისმგებლობა მომდინარე სამართალდარღვევიდან და ნებისმიერი სხვა შემთხვევაში რეგულირება ნორმის შინაარსს სცდება;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ მიიღებს საქმეს არსებითად განსახილველად, თუკი წინასწარვე არ დადასტურდა სადავო ნორმატიული აქტის შემხებლობა სამართალდარღვევასთან.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ 2002 წელს გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელშიც საკითხის გადაწყვეტის განსხვავებული მიდგომა აირჩია.¹⁷⁵³ განსახილველ საქმეში დავის საგანი იყო საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრების ერთობლივი ბრძანების დებულება, რომელიც არეგულირებდა „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან“ გადმოყვანილი ავტომანქანების

¹⁷⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 სექტემბრის #1/6/115 განჩინება საქმეზე ხაშურის რაიონული სასამართლოდან შემოტანილი კონსტიტუციური წარდგინება;

¹⁷⁵² იქვე;

¹⁷⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 23 აპრილის #2/1/130 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე გურამ შამანიდის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს წინააღმდეგ;

განბაჟების საკითხს. მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ სადავო აქტით ირღვეოდა მისი კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტით გარანტირებული უფლება, რაც კონკრეტულად მინისტრთა ბრძანების უკუძალით მის მიმართ გამოყენებაში გამოიხატებოდა. დამატებითი არგუმენტი შეეხებოდა განმეორებითი განბაჟების მოთხოვნას. მოსარჩელეთა სასარჩელო მოთხოვნა არ შეეხებოდა სამართალდარღვევიდან მომდინარე პასუხისმგებლობას, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლომ მაინც მიიღო საქმე განსახილველად და შემდეგი დასაბუთება წარმოადგინა: „სასამართლო კოლეგია ვერ გაიზიარებს მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას იმ ნაწილშიც, რომ სადავო ბრძანებით ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტით აღიარებული მისი უფლებები, რაც იმაში გამოიხატება, რომ მოსარჩელის თქმით, სადავო ბრძანება უკუძალით ეხება მას და ავალდებულებს „განმეორებით განაბაჟოს“ მის დროებით სარგებლობაში არსებული ცხინვალის რეგიონში მუდმივად მცხოვრები პირის კუთვნილი, ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სანომრე ნიშნების მქონე ავტომანქანა. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებების განმეორებით განბაჟებას. ხოლო რაც შეეხება ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის „ორგანოების“ მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით განბაჟებულ და რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებებს, ისინი სამართლებრივი თვალსაზრისით არც განბაჟებულად და არც რეგისტრირებულად არ ითვლებიან.“¹⁷⁵⁴

ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ განსახილველად მიიღო სარჩელი, რომელიც შეეხებოდა უკუძალის საკითხს არა სამართალდარღვევიდან მომდინარე პასუხისმგებლობის პერსპექტივიდან, არამედ, რომელიც ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან მომდინარეობდა. თავისთავად ამ ნორმების დარღვევა საბოლოოდ რაიმე ტიპის სამართალდარღვევას და შესაბამის პასუხისმგებლობას გამოიწვევდა, მაგრამ ეს მიმართება საკმაოდ ირიბია. ეს გადაწყვეტილება ან გამოწვევას წესიდან, რომელიც 1999 წლის 22 სექტემბრის განჩინებაში იქნა დადგენილი, ანდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა უკუძალასთან მიმართებით ფართოა, შესაბამისად, გულისხმობს და ვრცელდება ბლანკეტურ ნორმებზეც, რომლებიც თავის მხრივ პასუხისმგებლობის დამაკისრებელი ნორმების მატერიალურ შინაარსს განსაზღვრავენ.

ზემოაღნიშნულ საქმეში ასევე მნიშვნელოვანია ე.წ. ლეგალურობის კრიტერიუმი. აღნიშნული გულისხმობს პასუხისმგებლობის დაკისრებას აუცილებლად ლეგიტიმური ორგანოს მიერ მიღებული ნორმების მეშვეობით. საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე მოსარჩელე მხარის არგუმენტაცია ემყარებოდა მოსაზრებას, რომ მათ „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქში“ განაბაჟეს ავტომანქანა შესაბამის დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მათ მიერ სადავო აქტით დაკისრებული ხელახალი განბაჟება განიხილებოდა, როგორც ახალი სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც

¹⁷⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 23 აპრილის #2/1/130 გადაწყვეტილება;

ინტერვენციას ახდენდა უკვე დასრულებულ ურთიერთობაში და აქედან გამომდინარე არღვევდა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეში პირველადი სამართლებრივი ურთიერთობა არ მიიჩნია კანონიერად და ლეგიტიმურად და აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობის უკუძალით დაკისრებაზე არ იმსჯელა.

საკონსტიტუციო სასამართლომ შემდგომ საქმეებშიც დაადასტურა მისი მიდგომა ზემოაღნიშნული საკითხების მიმართ და პენსიის შემცირების საკითხის არაკონსტიტუციურობა არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად, რადგან სცდებოდა მუხლის დაცული სფეროს ფარგლებს.¹⁷⁵⁵

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2005 წელს განიხილა საქმე, რომელიც შეეხებოდა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესახებ რეგულირებებს.¹⁷⁵⁶ მოსარჩელეთა არგუმენტაციით სადავო რეგულირება, რომელიც საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს დაემატა წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტთან, რომლის მიხედვითაც პასუხისმგებლობა უნდა იქნას დაკისრებული ქმედების შეფარდების დროს მოქმედი კანონით. მოსარჩელები აცხადებდნენ, რომ სადავო სამართლებრივი აქტები ვრცელდებოდა არამხოლოდ მიმდინარე, არამედ წარსულ ურთიერთობებზეც. საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის ეს პოზიცია ორი მიზეზის გამო.¹⁷⁵⁷

- სადავო ნორმით არ ხდებოდა რაიმე ახალ სამართალდარღვევად ქმედების მიჩნევა, რადგან სახელმწიფო ქონების უკანონო დაუფლება ყოველთვის დასჯადი ქმედება იყო;
- ფინანსური შემოსავლების კანონიერების დასაბუთება მხოლოდ სადავო ნორმებით არ იყო გათვალისწინებული და შესაბამისად, გამოირიცხებოდა უკუძალიაზე და მდგომარეობის დამძიმებაზე მსჯელობა. აღნიშნული სფეროს რეგულირება საკანონმდებლო ორგანოს სრულ პრეროგატივად იქნა მიჩნეული.

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეში გამოიყენა ე.წ. „ნამდვილი“ და „არანამდვილი“ უკუძალას შორის დიფერენცირება¹⁷⁵⁸, რომელიც გულისხმობს პასუხისმგებლობისას სამართალურთიერთობის მიმდინარეობის და

¹⁷⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 10 მარტის #1/2/358,360 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეების – (1) რევაზ გოგელიას კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის #358) და (2) ანრი ზურიკაშვილის კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის #360) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 19 მაისის #2/9/381 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – გრიგოლ შალამბერიძე, ზაურ ამილახვარი და ვალიკო როგავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁷⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება საქმეზე 1) მოქალაქეები: ლილი თელია, არჩილ მეფარიძე და გურამ თოხაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 2) მოქალაქე სერგო გოგატიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 3) მოქალაქე როსტომ ბოლქვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁷⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება, პ.8;

¹⁷⁵⁸ ამ საკითხზე სასამართლო პრაქტიკა უფრო ვრცლად ქვემოთაა განხილული;

თავისებურების მიხედვით უკუძალის საკითხის გადაწყვეტას. აღნიშნული მსჯელობა, ისევე როგორც სხვა მნიშვნელოვანი საკითხი განმარტებულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებაში.¹⁷⁵⁹ გადაწყვეტილების პარალელურად სამმა მოსამართლემ წარმოადგინა და დაურთო საქმეს განსხვავებული აზრი.

ამ საქმეში დავის საგანი იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მესამე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც: „სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამსუბუქებს სასჯელს აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამკაცრებს სასჯელს უკუძალა არა აქვს.“ სამივე მოსარჩელის მტკიცებით, სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადებას, რომლის თანახმადაც, „კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“.

ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ გააკეთა მნიშვნელოვანი სამართლებრივი განმარტებები, რომელთა განხილვის შემდგომ ნორმატიული აქტის გარშემო მსჯელობა იქნება წარმოდგენილი. ამ საქმიდან დადგინდა კონსტიტუციური ნორმის ინტერპრეტაციის რამდენიმე საკითხი, კერძოდ 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტის ორი წინადადების ურთიერთმიმართება, უკუძალის აკრძალვა, როგორც ამ პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინება, ამ მუხლის აბსოლუტურობა და წესიდან გამონაკლისის არარსებობა, უფრო მსუბუქი კანონის სავალდებულო მოქმედების პრინციპი, კონსტიტუციის ამ დებულების შინაარსის ელემენტების განსაზღვრება, ნამდვილი და არანამდვილი უკუძალის გამიჯვნა და სხვა.

საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტის მიხედვით დაცულია კანონიერების პრინციპი, რომელიც ლათინური მაქსიმით #nullcum crime#, si#e lege მოიხსენიება.¹⁷⁶⁰ ამ პრინციპის ერთ-ერთ გამოვლინებად მიიჩნია საკონსტიტუციო სასამართლომ კანონის უკუძალის აკრძალვის საკითხი, რაც კანონთა დროში მოქმედების განმსაზღვრელ გარემოებად იქნა მიჩნეული.¹⁷⁶¹ საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს უკვე ჩადენილი ქმედების სამართალდარღვევად გამოცხადებას და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას.¹⁷⁶² საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა იმგვარია, რომ აღნიშნული აკრძალვა მოქმედებს, როგორც სამართალშემოქმედი, ისე სამართალშემფარდებელი ორგანოების მიმართ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობიდან პირველ რიგში უნდა გამოვყოთ არგუმენტაცია კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტის ორი წინადადების ურთიერთმიმართების შესახებ. სასამართლომ აღნიშნა,

¹⁷⁵⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁷⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.1;

¹⁷⁶¹ იქვე;

¹⁷⁶² იქვე;

რომ პირველი წინადადება ადგენდა რომ ქმედება დაკავშირებული იყო წინარე განსაზღვრულ სამართალდარღვევასთან, ხოლო მეორე იმპლიციტურად იხსენიებდა პასუხისმგებლობას. შესაბამისად სასამართლომ განაცხადა: „პასუხისმგებლობა იქაა, სადაც სახეზეა სამართალდარღვევა, რაც კიდეც ერთხელ ადასტურებს 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის ინსტიტუციურ ერთიანობას და შესაბამისად, მათი შეფასებისას ლოგიკურ ურთიერთგანპირობებულობას. ამდენად, უკუძალის აკრძალვის გარანტიები მოცემულია კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის როგორც პირველ, ისე მე-2 წინადადებაში. კანონის უკუძალის აკრძალვის პრინციპი კონსტიტუციის ამ პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, გულისხმობს იურიდიული პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი კანონისათვის უკუძალის აკრძალვას.“¹⁷⁶³

ერთ–ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია უკუძალის აკრძალვასთან და საქართველოს კონსტიტუციის 42–ე მუხლის მეხუთე პუნქტთან, არის მისი აბსოლუტური ხასიათი. ანუ პრინციპი, რომლის მიხედვითაც არავის ეკისრება პასუხისმგებლობა რეტროაქტიული კანონის საფუძველზე, არ ექვემდებარება შეზღუდვას, თუკი პირის საუარესოდ ხდება საკითხის ნორმატიული მოწესრიგება.¹⁷⁶⁴ საკონსტიტუციო სასამართლომ მკაფიოდ გამოკვეთა ის ინტერესი, რომელიც კონსტიტუციის 42–ე მუხლის მეხუთე პუნქტიდან გამომდინარეობს და რომლის უზრუნველყოფასაც ემსახურება კონსტიტუცია ამ მიმართებით: „ამ პრინციპის დაუცველობის შემთხვევაში საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებოდა არა მარტო ცალკეული ადამიანის კონსტიტუციური უფლებები, არამედ ღირებულებათა წესრიგი, სამართლებრივი უსაფრთხოება, რომელიც თავად წარმოადგენს კონსტიტუციურ უფლებათა არსებობის (დაცვის) საძირკველს. ღირებულებათა ნორმატიული წესრიგი ცალკეული მოქალაქის ქცევათა დეტერმინაციის საშუალებაა. ასეთი წესრიგის პირობებში ადამიანებს აქვთ გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელმწიფო იმოქმედებს სამართლით დადგენილ ფარგლებში და მის მიერ ჩადენილ მოქმედებას შეაფასებს არსებული ნორმატიული სინამდვილის პირობებში.“¹⁷⁶⁵

დამატებით აღსანიშნავია საქართველოს კონსტიტუციის 42–ე მუხლის მეხუთე პუნქტის პირველი ორი წინადადების სტანდარტების წარმოჩენა და გამოიჯვნა ერთმანეთისგან. ეს დებულებები ახდენენ უკუძალის აკრძალვას, როდესაც პასუხისმგებლობა დგინდება ან სასჯელი მძიმდება პირის საუარესოდ. თავის მხრივ თუკი პასუხისმგებლობა უქმდება ან პირის სასარგებლოდ მცირდება სასჯელი, უკუძალა უნდა გავრცელდეს. საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებაში, სხვა საკითხებთან ერთად, ერთ–ერთი საკითხი იყო იმის დადგენა თუ რა მიმართება იყო უკუძალის მარეგულირებელ ზემოაღნიშნულ ორ დანაწესს შორის. მოსარჩელეთა განცხადებით, კონსტიტუციის 42–ე მუხლის მეხუთე პუნქტი ადგენდა მხოლოდ და მხოლოდ უკუძალის აკრძალვის გარანტიას და აქედან არ გამომდინარეობდა იმპერატიული დანაწესი, რომლის მიხედვითაც

¹⁷⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.4;

¹⁷⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.1;

¹⁷⁶⁵ იქვე;

შემამსუბუქებელი ან გამაუქმებელი კანონები ავტომატურად მოქმედებენ.¹⁷⁶⁶ თვითგადაწყვეტილების რამდენიმე პარაგრაფი ცკვიმ გვარმინიშნებას იძლევა, რომ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და გამაუქმებელი კანონმდებლობა წარმოადგენს ნებადართულ გამოწვევის უკუძალის აკრძალვის წესიდან, მაგრამ იგი არ მოქმედებს იმპერატიულად.¹⁷⁶⁷ იგივე შინაარსის წინადადებას იყენებს სასამართლოს წევრი გადაწყვეტილების განხვავებულ აზრში.¹⁷⁶⁸ მაგრამ, ამის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლომ პირდაპირ მიუთითა, რომ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და გამაუქმებელი კანონმდებლობის სავალდებულო მოქმედება არის კონსტიტუციით დაცული და რომ კანონმდებელი აღნიშნულის საწინააღმდეგო დებულებას ვერ მიიღებს: „მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს კანონის დასაშვები და აუცილებელი მოქმედების ფარგლები. კანონმდებლის დისკრეცია, მისი ნების მოქმედების ფარგლები, კონსტიტუციითაა შეზღუდული. ამაზე მეტყველებს “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის 47-ე... მუხლიც, რომლის თანახმად, კანონმდებელს შეუძლია, მიანიჭოს ნორმატიულ აქტს უკუძალა, მაგრამ მისი უფლებამოსილება შეზღუდულია კონსტიტუციით. საფრთხე რომ არ შეექმნას კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს, აღნიშნულ კანონში ხაზგასმითაა გამოყოფილი ის შემთხვევები, რასაც კანონმდებელი ვერ შეცვლის თავისი ნორმატიული ნებით. კერძოდ, “ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას უკუძალა არა აქვს“. ამ დებულების უარყოფელ ნორმას კანონმდებელი ვერ მიიღებს. კანონმდებელი ასევე შეზღუდულია ამავე მუხლის იმ კონსტიტუციური დებულებით, რომ, თუ სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ კანონით გაუქმდა ან შემსუბუქდა პასუხისმგებლობა ასეთი სამართალდარღვევის ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა.“¹⁷⁶⁹

პასუხისმგებლობის შემსუბუქების ან გაუქმების დებულება (ანუ კანონის i# bi#am partem მოქმედება), ზემოაღნიშნული პარაგრაფის ბოლო წინადადების მიხედვით, არის კონსტიტუციური დებულება და შესაბამისად, უკუძალის აკრძალვის არა მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევას წარმოადგენს, არამედ მიჩნეულია იმპერატიული მოქმედების წესად.

4.1.1. ქმედება, სამართალდარღვევა, პასუხისმგებლობა

სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზისას პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტის სხვადასხვა კომპონენტი (ქმედება, სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობა), რომელიც ექვემდებარება განმარტებას.

¹⁷⁶⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, I.3.9;

¹⁷⁶⁷ გადაწყვეტილება, რამდენიმე ადგილას შეიცავს შემდეგი სახის სიტყვებს – „მას შეიძლება მიეცეს“, „კანონმდებელს შეუძლია მიანიჭოს“, 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.1.6,7;

¹⁷⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ქეთევან ერემაძის განხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილებაზე, პ.13;

¹⁷⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.12;

ქმედება არის ის კატეგორია, რომელიც პასუხისმგებლობის აუცილებელი და იმანენტური ელემენტია: „ამდენად, კონსტიტუციის თანახმად, თავისთავად, ქმედების შიშველი ფაქტი კი არაა პასუხისმგებლობის კუთხით შეფასების ობიექტი, არამედ ქმედება, რომელიც ნორმატიულადაა მიჩნეული სამართალდარღვევად.“¹⁷⁷⁰

ამავდროულად სასამართლომ განსაზღვრა სამართალდარღვევის სამი იმანენტური ელემენტი – წინასწარ განსაზღვრულობა, საჯარო ხელმისაწვდომობა და არაინდივიდუალიზებული ხასიათი – და ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას ზოგადად ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში: „ამით კონსტიტუცია იცავს მოქალაქეს სამართლის ნეგატიური ზემოქმედებისაგან. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის პირველი წინადადება უზრუნველყოფს პირის შესაძლებლობას წინასწარ დადგენილი, საჯაროდ ხელმისაწვდომი და არაინდივიდუალიზებული სამართლებრივი წესების შესაბამისად, შეძლოს იმის განჭვრეტა თუ რა ქმედებები წარმოადგენს სამართალდარღვევებს და საკუთარი ქცევის შესაბამისად წარმართვა, რაც უმნიშვნელოვანესი გარანტიაა თვითნებური დევნისა და ბრალდების წინააღმდეგ.“¹⁷⁷¹

საკონსტიტუციო სასამართლომ ცალკე იმსჯელა დანაშაულზე, როგორც ცალკეული სამართალდარღვევის ერთ-ერთ ტიპზე: „კანონის უკუძალის აკრძალვა, როგორც ზემოთ ითქვა, კანონიერების პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა. ეს პრინციპი განმტკიცებულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის პირველ ნაწილში, რომელიც ამბობს, რომ „ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს“. ეს დებულება, როგორც წესი, გამორიცხავს დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიღებელი კანონის გავრცელებას მის ჩადენამდე არსებულ ურთიერთობებზე. ეს გარემოება მიგვანიშნებს იმაზე, რომ დანაშაული შეფასებითი კატეგორიაა. კერძოდ, ნორმატიული შეფასებით იწყება მისი, როგორც დანაშაულისა და დასჯადი ქმედების არსებობა (სიცოცხლე). როცა ესა თუ ის კონკრეტული ქმედება არ იყო ნორმატიული შეფასების საგანი მისი ჩადენის დროს, ის ასეთად ვერ იქცევა იმის გამო, რომ მსგავსი ქმედებანი მომავალში გახდა ამ შეფასების ობიექტი. სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული ნორმის შეფასებისას, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუცია მსგავსი ნორმით ამომწურავად გადმოსცემს კანონის უკუძალის აკრძალვას.“¹⁷⁷²

სხვადასხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისგან განსხვავებით, საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი კანონიერების პრინციპი და მისი ერთ-ერთი კომპონენტი უკუძალის აკრძალვა, ვრცელდება ზოგადად „სამართლებრივი პასუხისმგებლობის“ მიმართ.¹⁷⁷³ კონსტიტუციაში

¹⁷⁷⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.1;

¹⁷⁷¹ იქვე;

¹⁷⁷² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.14;

¹⁷⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.2;

მოაზრებული ტერმინი სამართალდარღვევა, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, როგორც ნებისმიერი სახის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ როგორი დროითი მიმართება აქვთ „ქმედების“ და „სამართალდარღვევის“ კატეგორიებს. ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა: „...კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის აღნიშნული წინადადებები ორგანულ ერთიანობას ქმნიან და უზრუნველყოფენ, რომ სამართალდარღვევა, რომელიც პასუხისმგებლობის საფუძველია და თავად პასუხისმგებლობა ამ სამართალდარღვევის გამო, როგორც სახელმწიფოს მიერ გატარებული იძულებითი ღონისძიებების ერთობლიობა, იქნება იმგვარი, როგორც ამას განსაზღვრავდა სამართალდარღვევის ჩადენის მომენტში მოქმედი კანონმდებლობა.“¹⁷⁷⁴

საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით გაუსვა ხაზი აღნიშნულ პრინციპს: „მე-5 პუნქტის პირველი წინადადება ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ ათვლის წერტილი გამოსაყენებელი კანონის დასადგენად არის ქმედების განხორციელების დრო. შესაბამისად, იმის გადაწყვეტისას, პირის მიერ განხორციელებული ქმედება არის თუ არა სამართალდარღვევა და დადებითი პასუხის შემთხვევაში რა პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს პირს მისთვის, კანონმდებელს გააჩნია სრულიად გარკვეული კონსტიტუციური დირექტივა, რომ გამოსაყენებელ კანონად უნდა ჩაითვალოს ქმედების ჩადენის დროს მოქმედი კანონი. რომელიმე სხვა უფრო გვიან მიღებული (გამოცემული) კანონის გამოყენება სამართალდარღვევებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის ჩაითვლება უკუძალის მინიჭებად და კონსტიტუციის დარღვევადაც, თუ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან გამაუქმებელ კანონთან არ გვაქვს საქმე.“¹⁷⁷⁵

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განმარტა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტში მოხსენიებული ტერმინი „პასუხისმგებლობა“. საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, ეს უკანასკნელი იყო ორი სახის – სუბიექტური და ობიექტური – პასუხისმგებლობის ერთობა: „ტერმინი „პასუხისმგებლობა“ უნდა განიმარტოს ფართოდ და მასში უნდა ვიგულისხმოთ ნებისმიერი იურიდიული პასუხისმგებლობა. რაც შეეხება პასუხისმგებლობის გაუქმებას, აქ, პირველ რიგში, იგულისხმება ამა თუ იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედების სამართალდარღვევათა კატალოგიდან ამორიცხვა. შესაბამისად, ქმედებისათვის პასუხისმგებლობის დაწესება იქნება ამ ქმედების სამართალდარღვევად გამოცხადება. პასუხისმგებლობა, ასეთი შეფასების პირობებში უქმდება ან დგინდება როგორც ნორმატიული კატეგორია. ამასთან ერთად, პასუხისმგებლობის გაუქმებას ან დაწესებას კონკრეტულ პირთან მიმართებით შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინაც, როცა იგი არსებობას განაგრძობს, როგორც ნორმატიული სინამდვილე. ეს მაშინაა შესაძლებელი, როცა ქმედების დასჯადობა საერთოდ არ გაუქმებულა, მაგრამ გაუქმებულია კონკრეტული ქმედების დასჯადობა კონკრეტული სუბიექტის მიმართ. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობის გაუქმება ან დაწესება უნდა

¹⁷⁷⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.3;

¹⁷⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.9;

შეფასდეს 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის ფარგლებში. კონსტიტუციის ეს ნორმა იძლევა გარანტიებს იმ შემთხვევაშიც, როცა ხდება პასუხისმგებლობის დამძიმება.¹⁷⁷⁶

როგორც ზემოთ აღნიშნა, საკონსტიტუციო სასამართლო ამ საქმეში შემოიფარგლა მხოლოდ და მხოლოდ კანონის უკუძალის აკრძალვის პრინციპის განხილვით. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იქნა წარმოდგენილი ტესტი, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს ნებისმიერი სადავო აქტის შეფასება, რათა დადგინდეს კანონის უკუძალის კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ გამოყენების შემთხვევები: „ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონი მაშინ არის კონსტიტუციის შეუსაბამო, თუ მას მინიჭებული აქვს უკუქცევითი ძალა და ამავე დროს ის აწესებს ან ამკაცრებს პირის პასუხისმგებლობას. შესაბამისად, სადავო ნორმის კონსტიტუციურობის საკითხის გადასაწყვეტად, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებზე: 1. იძლევა თუ არა სადავო ნორმა კანონის უკუძალით გამოყენების შესაძლებლობას; 2. იწვევს თუ არა პასუხისმგებლობის დაწესებას ან გამკაცრებას ხანდაზმულობის ვადის მომწესრიგებელი ან პირობითი მსჯავრის გამომრიცხველი ნორმების უკუძალით გავრცელება;“¹⁷⁷⁷

4.1.2. „ნამდვილი“ და „არანამდვილი“ უკუძალა

საკონსტიტუციო სასამართლომ პირველ რიგში განმარტა კანონის უკუძალის ინსტიტუტი. ამ უკანასკნელი დეფინიციის ქვეშ არ მოიაზრება ნებისმიერი აქტი, რომელსაც შემხებლობა აქვს კანონის წარმოშობამდე არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე. სამართალდარღვევებთან მიმართებით კანონის უკუძალის საკითხის გადაწყვეტისას პირველ რიგში დიფერენცირება უნდა მოხდეს ნამდვილ და არანამდვილ უკუძალას შორის. სასამართლოს განცხადებით: „ნამდვილი უკუძალა გულისხმობს კანონის მოქმედების გავრცელებას იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვა და განხორციელდა ახალი კანონის ამოქმედებამდე და იწვევს წარსულში მომხდარი სამართლებრივი ურთიერთობების შედეგების შეცვლას. კანონის ასეთი უკუძალა, ესაა კლასიკური, ინსტიტუციური ხასიათის უკუძალა, რაც, როგორც წესი, აკრძალულია და დაშვებულია გამონაკლისი სახით, როცა ახალი კანონი უკეთეს პირობებში აყენებს უფლების სუბიექტს.“¹⁷⁷⁸

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განმარტა „არანამდვილი უკუძალა“: „კანონის არანამდვილი უკუძალა ნიშნავს კანონის მოქმედების გავრცელებას იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობიან ახალი კანონის მიღებამდე, მაგრამ არსებობას აგრძელებენ მისი მოქმედების პერიოდშიც. კანონის არანამდვილი უკუძალა არ იწვევს ახალი კანონის ამოქმედებამდე წარმოშობილი და დასრულებული სამართლებრივი შედეგების შეცვლას.“¹⁷⁷⁹

¹⁷⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.5;

¹⁷⁷⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.4;

¹⁷⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.6;

¹⁷⁷⁹ იქვე;

საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ უკუძალის აკრძალვა არ იყო აბსოლუტური და რომ ამას მრავალი ქვეყნის სამართალი აღიარებდა. თუკი უკუძალა დაუშვებლად იქნებოდა მიჩნეული ყველა საკითხის მიმართ, სამართალურთიერთობის თავისებურების მიუხედავად, ადამიანთა უფლებების დროში უწყვეტობასა და სტაბილურობას სერიოზული საფრთხე შეექმნება.¹⁷⁸⁰

საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს მხოლოდ კანონის ნამდვილ უკუძალას, როდესაც სამართლებრივი პასუხისმგებლობის დამძიმებაზე ან დაწესებაზეა საუბარი.¹⁷⁸¹ აღნიშნული გავლენას არ ახდენს კანონის არანამდვილ უკუძალაზე, რომელიც სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა კანონის დროში მოქმედების აუცილებელ და ბუნებრივ ფორმად.¹⁷⁸² ამ დროს რელევანტური არ არის ის ფაქტი, უმჯობესდება, თუ უარესდება პირის მდგომარეობა, რადგან არანამდვილი უკუძალის დროს ამას მნიშვნელობა არ აქვს.¹⁷⁸³ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ამ შემთხვევაში არც არის რეალურად უკუძალა სახეზე და უბრალოდ რეტროსპექტული ურთიერთობების მიმართ მოქმედებს ახალი კანონი: „უფლების არსებობა-ფუნქციონირება ხშირ შემთხვევაში საჭიროებს ახალი ნორმატიული სინამდვილისადმი მის შეგუებას იმის მიუხედავად, რა გავლენას ახდენს კანონი ამ უფლების შინაარსზე. ეს, ცხადია არ ნიშნავს იმას, რომ გამორიცხულია განგრძობად ურთიერთობებზე ძველი კანონის მოქმედება. ის, თუ რომელი კანონი გავრცელდება მათზე, ეს კანონმდებლის გადასაწყვეტია. ყოველი კონკრეტული ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე წყვეტს კანონმდებელი ამ საკითხს.“¹⁷⁸⁴

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონის უკუძალის ფორმის შესაფარდებლად აუცილებელია სამართლებრივი ურთიერთობის შედეგების დადგენა, მათი ცვლილების შემთხვევაში გამოირიცხება რეტროაქტიული უკუძალის გამოყენების შესაძლებლობა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „რადგანაც კანონის უკუძალა გულისხმობს წარსულში მომხდარი სამართლებრივი ურთიერთობების შედეგების შეცვლას, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს, რომელი კანონია გამოსაყენებელი კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობების შედეგების დასადგენად და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გაირკვეს მოხდა თუ არა გვიან მიღებული კანონით ამ შედეგების შეცვლა. სამართლებრივი ურთიერთობის სხვადასხვა ელემენტი შეიძლება ხორციელდებოდეს არა დროის ერთ განსაზღვრულ მომენტში, არამედ სხვადასხვა დროს. კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის გათვალისწინებით თავისთავად იმის გარკვევა, თუ რომელი კანონია გამოსაყენებელი და როდის აქვს ადგილი ურთიერთობის სამართლებრივი შედეგების შეცვლას ანუ უკუძალას, შესაძლებელია არ იყოს ერთმნიშვნელოვანი. შესაბამისად, სამართლებრივ სივრცეში არა მარტო

¹⁷⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.6;

¹⁷⁸¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.7;

¹⁷⁸² იქვე;

¹⁷⁸³ იქვე;

¹⁷⁸⁴ იქვე;

ის საკითხია პრობლემური თუ როდის შეიძლება ჰქონდეს და როდის არის აკრძალული კანონისთვის უკუძალის მინიჭება, არამედ რთულია იმის გარკვევაც, როდის გვაქვს საქმე კანონის უკუძალასთან.¹⁷⁸⁵

საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, საქართველოს კონსტიტუცია ადგენს ფიქსირებულ სტანდარტს, რომელიც ავტომატურად უკავშირდება სამართლებრივი ურთიერთობების შედეგებს. ასეთი დროა პირის მიერ სამართალდარღვევისთვის რელევანტური ქმედების ჩადენის დრო.¹⁷⁸⁶

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ უნდა მოხდეს ნამდვილი და არანამდვილი უკუძალის სწორად და ჯეროვნად გამოყენება, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება კონსტიტუციით დაცული სტანდარტი იქნას არასწორად გაფართოებული ან/და პირიქით ის სამართალურთიერთობა, რომელიც შესაბამისი გარანტიებით დაცვას იმსახურებს, დარჩეს უგულვებელყოფილი: „საკმარისია ნამდვილი უკუძალა იქნეს გამოყენებული იქ, სადაც არაა მისი ადგილი, ყოველი ახალი კანონიდან, მის ძალაში შესვლამდე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ გამოსაყენებელი იქნება მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც აუმაღლებს სუბიექტის მდგომარეობას და ამდენად, კანონი ნაწილობრივ იქნება სავალდებულო სუბიექტისათვის. თუკი სამართალშემფარდებელი საპირისპიროდ მოიქცევა და არანამდვილ უკუძალას მიმართავს იქ, სადაც ნამდვილი უკუძალის ადგილია, საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება უკუძალის აკრძალვით დაცული სიკეთე და ახალი კანონები თავისი შედეგებით ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გავრცელდება, როგორც წარსულზე, ისე მომავალზე, არანამდვილი უკუძალა შთანთქმავს ნამდვილ უკუძალას და ადამიანები კონსტიტუციური დაცვის მიღმა დარჩებიან.“¹⁷⁸⁷

ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა ის ზოგადი სტანდარტი, რომელიც მოქმედებს არანამდვილი უკუძალის მიმართ, მისი ძირითადი გამართლება და არსი: „არანამდვილი უკუძალის შემთხვევაშიც კანონთა თვისობრივი ტრანსფორმაცია ისე უნდა მოხდეს, რომ პიროვნების უფლებრივი მდგომარეობის გაუარესება განსაკუთრებული და გარდაუვალი აუცილებლობით იყოს ნაკარნახევი, რათა ამან არ გამოიწვიოს კანონისაგან მისი სუბიექტების გაუცხოება. უფლების ნებისმიერი შეზღუდვა პიროვნებამ შეიძლება მტკივნეულად აღიქვას, მაგრამ როცა სახეზეა ამისი ნორმატიული აუცილებლობის შეგნება, იმისი შეგნება, რომ კანონმდებლის ადგილზე რომ ყოფილიყო, თვითონაც ისე მოიქცეოდა, როგორც მოიქცა კანონმდებელი, ამ გაუცხოებას საფუძველი გამოეცლებოდა. ამიტომაცაა, რომ კანონებისადმი სანდოობა მათი კონსტიტუციურობის პრეზუმფციის მნიშვნელოვანი საფუძველია.“¹⁷⁸⁸

საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე მოპასუხე მხარე აპელირებდა

¹⁷⁸⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.8;
¹⁷⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.9;
¹⁷⁸⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.10;
¹⁷⁸⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.11;

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონზე და მიუთითებდა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა დებულებების ამ კანონთან ერთობლიობაში განხილვის შემთხვევაში ყველა სამართლებრივი ბუნდოვანება გაქარწყლდებოდა. ამის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლო არ დაეთანხმა ამ არგუმენტს, რადგან სისხლის სამართლებრივი რეგულირება სპეციალური იყო ამ შემთხვევაში.¹⁷⁸⁹ სასამართლოს წევრმა გადაწყვეტილების ამ ნაწილთან დაკავშირებით წარმოადგინა განსხვავებული აზრი.¹⁷⁹⁰

საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე მოსარჩელები ითხოვდნენ სისხლის სამართლის კოდექსის მესამე მუხლის პირველი ნაწილის არაკონსტიტუციურობას (მათი ერთი ნაწილი მთლიანად, ხოლო მეორე მხოლოდ მეორე წინადადებას ხდიდა სადავოდ). მათი მთავარი არგუმენტი იყო ის ფაქტი, რომ სადავო აქტი (მესამე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება) უკუძალას კრძალავდა მხოლოდ მაშინ, როდესაც სასჯელის დამძიმება ხდებოდა ან/და დანაშაულებრიობა წესდებოდა. მოსარჩელეთა აზრით, აღნიშნული ავიწროებდა კონსტიტუციის სტანდარტს, რომელიც კრძალავდა უკუძალის გამოყენებას პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი ან დამამძიმებელი ნორმების არსებობის შემთხვევაში. მოსარჩელების მტკიცებით, სადავო ნორმა ავიწროებდა კონსტიტუციის სტანდარტს და იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი ნორმები უკუძალით ყოფილიყო გამოყენებული.¹⁷⁹¹ მოსარჩელებმა მოიყვანეს ორი მაგალითი, რომლებიც მათზე გავრცელდა უკუძალის აკრძალვის პრინციპის დარღვევით. მოსარჩელე ელგუჯა საბაურის მიმართ გამოყენებულ იქნა პირობითი მსჯავრის მარეგულირებელი ახალი (ქმედების ჩადენის შემდეგ მიღებული) კანონმდებლობა, რომელიც ამძიმებდა მის სამართლებრივ მდგომარეობას. საქართველოს სახალხო დამცველს და რუსეთის მოქალაქე გიორგი მანიას მაგალითად მოჰყავდათ ხანდაზმულობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის რეტროაქტიულად გამოყენების საკითხი.

ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ არ ცნო არაკონსტიტუციურად ნორმატიული აქტი, მაგრამ მოახდინა მისი რეკონსტრუქციული განმარტება კონსტიტუციის შესაბამისად. დამატებით საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა სისხლის სამართლის მიზნებისთვის ხანდაზმულობის ვადების და პირობითი მსჯავრის მიმართ უკუძალის გამოყენების საკითხი. საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო აქტის სიტყვები „დანაშაულებრიობის დაწესება“ განმარტა ფართოდ და მასში მოაზრა რიგი საკითხები, რომლებიც თუმცა ლიტერალური განმარტებით პირდაპირ არ იკითხებოდა მასში, მაგრამ გამომდინარეობენ მისგან. სასამართლოს საწყისი მსჯელობა ემყარება შემდეგ წანამდვარს: „როცა კონსტიტუციით შესაძლებელია პასუხისმგებლობის

¹⁷⁸⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.15;

¹⁷⁹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის კონსტანტინე ვარმელაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილებაზე;

¹⁷⁹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.16;

გაუქმება-დადგენა განიმარტოს ქმედების არსებობის, როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მდგომარეობა, რატომ არ შეიძლება სისხლის სამართლის სადავო ნორმაში მოცემული გამოთქმა „ქმედების დანაშაულებრიობის“ გაუქმება-დაწესება, გავიგოთ ქმედების ყოფიერების მსგავსი გამოვლინება.“¹⁷⁹²

ამ საქმეში სასამართლომ მრავალი განმარტება გააკეთა ზოგადად ნორმის ინტერპრეტაციაზე, ნორმატიულ აქტზე და მის განმარტების მნიშვნელობაზე და საბოლოოდ აღნიშნა, რომ თვით სისხლის სამართლისთვის არ იყო უცხო ნორმის ფართო განმარტება. ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის მიხედვით, ნორმის ინტერპრეტაცია და ნორმატიული შინაარსი გაიგივებულია ერთმანეთთან: „ნორმის ფართო განმარტება, როცა ამის საშუალებას იძლევა ნორმისა და ფაქტს შორის არსებული ურთიერთობა, არ იწვევს სამართლებრივი ცნებებისა და კატეგორიების ერთმანეთში აღრევას. როცა კანონის მიზნებიდან გამომდინარე, ნორმატიულად შეიძლება ამა თუ იმ ცნებას მიეცეს ფართო მნიშვნელობა, რატომ არ შეიძლება მან ასეთივე ხასიათი შეიძინოს სასამართლოს მიერ გონივრული, ფართო განმარტების გზით.“¹⁷⁹³

4.1.3. „სასჯელის“ და „ქმედების დანაშაულებრიობის“ კატეგორიების მიმართება უფრო ზოგად კატეგორიასთან „პასუხისმგებლობასთან“

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა „სასჯელის“ და „ქმედების დანაშაულებრიობის“ კატეგორიების მიმართება უფრო ზოგად კატეგორიასთან „პასუხისმგებლობასთან“. აღნიშნული სასამართლომ განახორციელა მთლიანი სისხლის სამართლებრივი წესრიგის ერთიანი ორგანიზმის ფარგლებში. საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, ქმედების დანაშაულებრიობასა და დასჯადობაში გამოიხატება მთელი სისხლის სამართლის არსება და ყველა სისხლის სამართლებრივი ღონისძიება, მიუხედავად მისი სახელწოდებისა. სასამართლოს მსჯელობით, ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი ღონისძიება დაკავშირებულია ზემოაღნიშნულ ორ კატეგორიასთან და მისგან გამომდინარეობენ. ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის იმანენტურ ცნებებად იქნა განხილული.¹⁷⁹⁴ სასამართლომ იქვე აღნიშნა „დანაშაულებრიობისა“ და „დასჯადობის“ ცნებებს შორის მიმართება: „აღნიშნულ კატეგორიათა ურთიერთგანპირობებულობაზე მიგვანიშნებს ამავე კოდექსის პირველი მუხლის პირველივე ნაწილი, რომელიც აყალიბებს სისხლის სამართლებრივი მოწესრიგების საგანს. მართალია, „დანაშაულებრიობისა“ და „დასჯადობის“ ცნებები არ არიან ერთმანეთის იდენტური, მაგრამ ისინი მიზეზშედეგობრივი, ლოგიკური აუცილებლობით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. არ არსებობს დასჯადობა დანაშაულებრიობის გარეშე. ყველა დასჯადი ქმედება

¹⁷⁹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.18;

¹⁷⁹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.19;

¹⁷⁹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.21;

დანაშაულებრივი ქმედებაა.“¹⁷⁹⁵

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის დეფინიცია მოახდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად, როგორც მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, რომელიც თავის მხრივ ექვემდებარება განსაზღვრებას სისხლის სამართლის კოდექსით. ამის შესაბამისად, სასამართლომ განსაზღვრა, რომ პასუხისმგებლობა შინაარსობრივად ვლინდება სასჯელში და ეს უკანასკნელი განხილულ იქნა როგორც პირველის ყოფიერების ფორმა.¹⁷⁹⁶ საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტს, რომ სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავდა ცალ-ცალკე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და სასჯელისგან გათავისუფლების საფუძვლებს. საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედვით, პირველ შემთხვევაში სასჯელი (ანუ პასუხისმგებლობა) იყო ჰიპოტეტური და სავარაუდო, ხოლო მეორე შემთხვევაში რეალური და ფაქტზე დამყარებული მსჯელობა. შესაბამისად, სასამართლომ ეს განსხვავება ახსნა როგორც პასუხისმგებლობის შესაძლებლობის და სინამდვილის მდგომარეობა და განსაკუთრებული ყურადღება არ მიანიჭა ამ ფაქტს.¹⁷⁹⁷ ამავე საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ წევრს განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა, რომელიც წერილობით იქნა წარმოდგენილი და სადაც მთავარი ყურადღება ეთმობა „დანაშაულებრიობის“ და „სასჯელის“ ცნებებს.¹⁷⁹⁸

4.1.4. ხანდაზმულობის ვადა

ამ მსჯელობის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო პასუხისმგებლობის გაუქმების/ დამძიმების შემთხვევა და განაცხადა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა „სუბიექტური პასუხისმგებლობისგან“ გათავისუფლებას. აქედან გამომდინარე სადავო აქტის დებულების „აუქმებს/ამძიმებს დანაშაულებრიობას“ განმარტება უნდა მომხდარიყო არამხოლოდ სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, არამედ, არაპირდაპირაც.¹⁷⁹⁹

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა ხანდაზმულობის ვადების მიმართ დადგენილი კანონის უკუძალის ყველა შესაძლო შემთხვევა და მოდელი და დაადგინა, თუ რომელი მათგანი იყო თავსებადი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის სტანდარტთან: „სადავო ნორმების შეფასებისას მხედველობაშია მისაღები ხანდაზმულობის ინსტიტუციური ბუნება. ზოგი ქვეყანა მას მიიჩნევს მატერიალურ-სამართლებრივ ინსტიტუტად და

¹⁷⁹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.21;

¹⁷⁹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.22;

¹⁷⁹⁷ იქვე;

¹⁷⁹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ქეთევან ერემადის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილებაზე, პ.7-12;

¹⁷⁹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.24;

ყველა შემთხვევაში გამორიცხავს რეტროაქტიულად გამოყენებას. ზოგი კი მას თვლის პროცესუალურ სამართლებრივ ინსტიტუტად, რომლის რექტროაქტიულობა ეჭვს არ იწვევს. „შერეული“ სისტემის თანახმად ხანდაზმულობის გაგრძელება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ჯერ არ ამოწურულა. ქართულ სამართალში შერეული სისტემის ნიშნები დასტურდება. ხანდაზმულობის ვადებში ხორციელდება პირის სისხლის სამართლებრივი დევნა. ახალი კანონის რეტროაქტიულობა იკრძალება, მაშინ როცა ამოწურულია ძველი კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები. ხანდაზმულობის ვადის გაზრდის შემთხვევაში კანონისათვის უკუძალის მიცემა იწვევს იმ სამართლებრივი რეალობის რეანიმაციას, რაზედაც ხანდაზმულობის ძველი ვადის გასვლით ითქვა უარი, რაც შეფასების სივრციდან ამორიცხა კანონმდებელმა. ასეთ შემთხვევაში პირს უჩნდება კანონიერი მოლოდინი იმისა, რომ მის მიმართ რეპრესიული ზომები აღარ იქნება გამოყენებული. მაშასადამე, ქმედება, რომელსაც კონკრეტულ ვითარებაში დაკარგული ჰქონდა დანაშაულებრივი ხასიათი, კვლავ იძენს ასეთ ხასიათს. ამიტომაც ეს შემთხვევა ფართო განმარტებით, გულისხმობს იმას, რომ კანონმდებელმა კონკრეტული პირის ხანდაზმული ქმედება შეფასებაუნარიანად ჩათვალა, როგორც დანაშაულებრივი ქმედება. ეს სხვა არაფერია, თუ არა, არაპირდაპირი, ფართო გაგებით, ქმედების დანაშაულებრიობის დაწესება. ის, რაც ნორმატიულად იყო დანაშაულებრივი, კონკრეტული პირის მიმართაც დანაშაულებრივად ცხადდება. ამდენად, სადავო ნორმის მეორე წინადადებაში არსებულ გამოთქმაში „აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას“, ფართო განმარტებით შეიძლება მოვიაზროთ ახალი ხანდაზმულობის ვადის გავრცელება იმ ურთიერთობაზე, რომლის მიმართაც გასული იყო ძველი კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა. როცა კანონმდებელი ისე ზრდის ხანდაზმულობის ვადებს, რომ ჯერ არ ამოწურულა ძველი კანონით დადგენილი ხანდაზმულობა, ეს შემთხვევა არ შეიძლება მივიჩნიოთ კონსტიტუციის დარღვევად. იგი ეწინააღმდეგება კანონის უკუძალის აკრძალვის კონსტიტუციურ პრინციპს და არც სადავო ნორმით გათვალისწინებული აკრძალვის ფარგლებში არ მოიაზრება. მართალია, ამ შემთხვევაშიც პირის უფლებრივი სფერო განიცდის გარკვეულ უარყოფით ზემოქმედებას იმით, რომ მის მიმართ ხანგრძლივდება სისხლისსამართლებრივი დევნა, მაგრამ ეს ნორმატიული სინამდვილე მართლდება სამართლებრივი უსაფრთხოების ინტერესებით. კანონმდებელი ამით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პირის სისხლისსამართლებრივი დევნისათვის არ არის საკმარისი ძველი კანონით დადგენილი ვადები. ვინაიდან სამართლიანი მართლმსაჯულება მოითხოვს ხანდაზმულობის განსაზღვრულ ვადებს, შეუძლებელია პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება მარტოოდენ იმ საფუძვლით, რომ ძველი კანონით სხვა ვადა იყო დადგენილი. სანამ არ დასრულებულა ხანდაზმულობის ვადა, მანამ სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტს არ წარმოეშობა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მატერიალური უფლება. პირს ვერ ექნება იმისი კანონიერი მოლოდინი, რომ სახელმწიფო არ ან ვერ განახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში. ხანდაზმულობის ვადის ამოწურვამდე, პირს ვერ ექნება ლეგიტიმური მოლოდინი, რომ ის გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. ვადის ამოწურვამდე, ხანდაზმულობის გაგრძელება არ ხელყოფს პირის შესაძლებლობას წინასწარ განჭვრიტოს მისი ქმედების სამართლებრივი

შედეგი. ქმედების სამართლებრივი შედეგების პროგნოზირების მხრივ, მდგომარეობა ხანდაზმულობის გაგრძელებამდე და გაგრძელების შემდეგ იდენტურია. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის ამოწურვამდე, მისი გაგრძელება ვერ შელახავს პირის ლეგიტიმურ მოლოდინებს. ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე, როგორც არ უნდა შეიცვალოს მისი ხანგრძლივობა, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს ამ ვადის წყვეტად. ყველა შემთხვევაში იგი განიხილება როგორც ერთიანი ვადა. საკმარისია დავუშვათ ხანდაზმულობის ვადის გაორება, რომ აზრი დაეკარგება ძველი კანონით დადგენილ შემცირებულ ვადებში პირის დევნას, ვინაიდან იგი არ იქნება საკმარისი იმ მიზნის მისაღწევად, რა მიზნითაც დადგინდა აღნიშნული ვადები და ამ ლოგიკით მისი დაუყოვნებლივ გათავისუფლება უნდა მოხდეს. როცა კანონმდებელი ადგენს, რომ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება შესაძლებელია განსაზღვრულ ვადებში, შეუძლებელია მისი განხორციელება სხვა ვადებში. როცა შეუძლებელია დევნის საფუძვლებისა და ინტერესების გაორება, შეუძლებელია ამ დევნის განხორციელების ვადის გაორება. არ შეიძლება ერთი და იგივე დანაშაულისათვის არსებობდეს სხვადასხვა ხანდაზმულობის ვადა. ამასთან ერთად, არ არის გამორიცხული, თავად ხანდაზმულობა წარმოადგენდეს პირის უფლებას, როცა კანონმდებელი ამკარად სცილდება მისი განსაზღვრის პრინციპებს და ამით სისხლისსამართლებრივი დევნის „უკვდავებას“ უწყობს ხელს. ვადის არაგონივრული, უსაფუძვლო გაგრძელება იმით კი არ უნდა აღმოიფხვრას, რომ მას არ მიეცეს უკუძალა, არამედ იმით, რომ კანონმდებელმა იმოქმედოს კონსტიტუციური პასუხისმგებლობით და სწორად განსაზღვროს ეს ვადები. როცა კანონმდებელი არღვევს ამ ვალდებულებას, მაშინ შეფასების ობიექტი ხდება თავად ხანდაზმულობის ვადა. პირის ხელშეუვალი უფლებაა ის, რომ მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობდეს გონივრულ ვადებში. ვინაიდან სისხლის სამართლებრივი დევნა გულისხმობს იმ მოქმედებების განხორციელებას, რაც აუცილებელია პირის მიმართ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონებით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების უზრუნველსაყოფად, კანონმდებელს უნდა ჰქონდეს უფლება, საამისოდ გამოიყენოს იმდენი ვადა, რამდენიც გონივრულად აუცილებელია. აღნიშნულის მტკიცებისას გასათვალისწინებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტი, რომლის თანახმადაც, ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება არ წარმოადგენს კონვენციის მე-7 მუხლის დარღვევას (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ცოემე და სხვები ბელგიის წინააღმდეგ“, პუნქტები 149-151).¹⁸⁰⁰

აღნიშნული საკითხის გარშემო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრმა განსხვავებული აზრი დაურთო საქმეს, რომლის მიხედვითაც ხანდაზმულობის ვადების დროში მოქმედების ერთადერთი კონსტიტუციასთან შესაბამისი შემთხვევა არის მისი მატერიალურ სამართლებრივი დეფინიცია.¹⁸⁰¹ საკონსტიტუციო სასამართლოს

¹⁸⁰⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.24,25;

¹⁸⁰¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ვახტანგ გვარამიას განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილებაზე;

გადაწყვეტილების მიხედვით, აღნიშნული მიდგომა არ გამომდინარეობდა კონსტიტუციიდან და მის მიერ დადგენილ ადამიანის უფლებათა სტანდარტებიდან: „ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქცია არ უნდა გასცდეს სისხლის სამართლის მოქმედების სივრცეს და ამ გარანტიის იმ ფარგლებს, რაც აუცილებელია პირის უფლების დაცვისა და სამართლებრივი უსაფრთხოების მშვიდობიანი, გაწონასწორებული თანაარსებობისათვის. სისხლის სამართალი პირის უფლების დასაცავად იძლევა იმდენ გარანტიას, რამდენიც აუცილებელი და შესაძლებელია.“¹⁸⁰²

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა ხანდაზმულობის ვადის დინების ბუნება, აღნიშნა, რომ მისი გასლის შემდეგ პასუხისმგებლობის დაკისრება ყველა შემთხვევაში იქნებოდა პასუხისმგებლობის „გაცოცხლება“: „ეს კი იმისი აღიარებაა, რომ დანაშაულებრივმა ქმედებამ დაკარგა შეფასებისუნარიანობის ის თვისება, რაც აუცილებელი იქნებოდა პირზე პასუხისმგებლობის დასაკისრებლად და მეორეც, სისხლისსამართლებრივი ქმედება, რომელიც დანაშაულად კვალიფიცირდება არა როგორც ფაქტობრივი სინამდვილის, არამედ როგორც იურიდიული სინამდვილის ფაქტი, კარგავს თავის თვისობრიობას კონკრეტული პირის მიმართ.“¹⁸⁰³

საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადების მიხედვით, ხანდაზმულობის ვადების ნამდვილი უკუმაღის მეშვეობით რეინკარნაცია ეწინააღმდეგება კანონის განჭვრეტადობის და სანდოობის პრინციპებთან, რადგან ამ შემთხვევაში ეჭვის ქვეშ დგება პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებული პირის უფლების რეალურობა.¹⁸⁰⁴ სასამართლომ ამ არგუმენტაციის უზრუნველსაყოფად მიუთითა სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოთა პრაქტიკა და ვენეციის კომისიის სასამართლო მეგობრის მოსაზრება.¹⁸⁰⁵

საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მესამე მუხლი (სადავო აქტი) არ უთითებდა და პირდაპირ, სიტყვასიტყვით არ კრძალავდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მისი გაზრდის შესაძლებლობას. მაგრამ მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში ტერმინი „აწესებს პასუხისმგებლობას“ უნდა იქნას განმარტებული ფართოდ და სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქციიდან ინკორპორირებულ იქნა პრინციპი, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართალში ნებისმიერი განმარტება უნდა განხორციელდეს კერძო პირის სასარგებლოდ: „ვინაიდან კანონმდებელი პირდაპირ არ ლაპარაკობს უკუმაღის აკრძალვის სხვა შემთხვევებზე, მათი გამორიცხვა მხოლოდ მაშინ იქნებოდა ლეგიტიმური, თუკი ნორმა არ მოგვცემდა ფართო განმარტების შესაძლებლობას. როცა კანონში არ არსებობს პირის საზიანო ჩანაწერი, ამ ჩანაწერის არარსებობა არ ნიშნავს არსებული ნორმის პირის საზიანოდ განმარტებას. როცა ლაპარაკია

¹⁸⁰² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.25;

¹⁸⁰³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.26;

¹⁸⁰⁴ იქვე;

¹⁸⁰⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.28;

ფართო განმარტების შესახებ, ამის საფუძველია არა მარტო უკუმაღლის აკრძალვის გარანტიაზე მითითება, არამედ ის ფაქტი, რომ სისხლის სამართალში ნებისმიერი განმარტება პირის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს და არა მის საზიანოდ, რაც მოცემულ საქმეზე მოწვეულმა სპეციალისტმაც დაადასტურა. ეს აქსიომატური დებულება სისხლის სამართლის მთელი ორგანიზმის თვისებაა და მისი საგარანტიო ფუნქციის გამოვლინება. უფრო მეტიც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც ამავე პოზიციაზეა. ეს გარემოება მიგვანიშნებს იმაზე, რომ სისხლის სამართლის ნორმაში ჩადებული ნების განმარტებისას, არ უნდა აღმოვჩნდეთ ტერმინთა ტრადიციული მნიშვნელობის ტყვეობაში და მთელი სამართლის საერთო სულისკვეთების აზრით უნდა შეფასდეს ნორმატიული ნება.¹⁸⁰⁶

4.1.5. სასჯელის დამძიმების ცნება, პირობითი მსჯავრი

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე შეაფასა სადავო სამართლებრივი აქტის ტერმინის – „ამძიმებს სასჯელს“ კონსტიტუციურობა, პირობითი მსჯავრის მაგალითზე. ერთ–ერთი მოსარჩელე აცხადებდა, რომ მის მიმართ გამოყენებულ იქნა პირობითი მსჯავრის მომწესრიგებელი კანონმდებლობა უკუმაღლით და ამის საფუძველი იყო სადავო აქტი. საკონსტიტუციო სასამართლომ პირველ რიგში განმარტა სასჯელის დამძიმების ცნება და აღნიშნულში მოაზრა არა მხოლოდ სანქციის კატეგორიის ან რაოდენობრივი და კვანტიტატიური დეტერმინანტების ზრდა, არამედ მისი მოხდის ფორმის, თვისობრივი მდგომარეობის ტრანსფორმირება: „პირობითი მსჯავრი, მართალია, არ წარმოადგენს სასჯელის სახეს, მაგრამ იგი ყოველთვის სასჯელთან არის დაკავშირებული. კანონში მოცემული დებულება „ამსუბუქებს“ ან „ამძიმებს“ სასჯელს, არ უნდა გავიგოთ მხოლოდ სასჯელის კატეგორიების სახეცვლილება შემსუბუქებისა და დამძიმების კუთხით. სასჯელი, ამ შემთხვევაში, არ უნდა გავიგოთ როგორც სანქციის მხოლოდ რაოდენობრივი მახასიათებელი. მნიშვნელოვანია მისი თვისობრივი მდგომარეობა, რაც ვლინდება არა მარტო კონკრეტული კატეგორიის სანქციაში, არამედ ამ სანქციის არსებობის (რეალიზაციის) ფორმაში. ვინაიდან ნებისმიერი სანქციის მიზანი პირზე გარკვეული ზემოქმედებით ხორციელდება, არ იქნებოდა სწორი კანონის უკუმაღლის აკრძალვის გარანტიების შეფასებისას ამ ფაქტორების მნიშვნელობა გამოგვერიცხა. ცალკეული სასამართლო პრეცედენტები მეტყველებენ იმას, რომ სასჯელის სიმსუბუქე ან სიმძიმე (სიმკაცრე), როგორც მისი არსების განმსაზღვრელი ნიშან-თვისებანი, პრაქტიკულად, შეიძლება ვლინდებოდეს მთელი იმ დროის განმავლობაში, ვიდრე მას შეუძლია გავლენა მოახდინოს სუბიექტის უფლებრივ მდგომარეობაზე.“¹⁸⁰⁷

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პირობითი მსჯავრის გაუქმება მიჩნეულ იქნა სასჯელის არაპირდაპირ გამკაცრებად და სასჯელის მოხდის ფორმად. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ცვლილება საგარანტიო ფუნქციით დაცულ

¹⁸⁰⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.29;

¹⁸⁰⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.31;

სფეროში მოიაზრა სასამართლომ. აღნიშნულთან მიმართებით არ აქვს მნიშვნელობა იმ ფაქტს, რომ სასჯელის ოდენობა უცვლელია და არ იცვლება პირობითი მსჯავრის გამოყენებისას: „როცა პიროვნებას სასჯელის მოხდის ნაცვლად პირობითი მსჯავრი ეკისრება, ეს, არაპირდაპირი გაგებით სასჯელის შემსუბუქებაზე უფრო მეტი შედეგის მატყვნილებაა. კანონმდებელი ამ ნორმატიული დანაწესით დანაშაულის სუბიექტს აძლევს შესაძლებლობას, თავიდან აიცილოს სასჯელი. ამიტომაც სასჯელის არაპირდაპირ გამკაცრებად უნდა ჩაითვალოს დანაშაულებრივი ქმედებისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმება მისი ჩადენის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის გათვალისწინებული სასჯელთა სისტემაში. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პირობითი მსჯავრი არაპირდაპირ სასჯელთა სისტემის სივრცეშია.“¹⁸⁰⁸

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ამ გადაწყვეტილებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი განმარტება გააკეთა, რომელიც შეეხებოდა უკუძალის გავრცელების საკითხს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის დებულებების მიმართ. საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, უკუძალის აკრძალვის გარანტია მხოლოდ კოდექსის კერძო ნაწილით დადგენილი დებულებების მიმართ მოქმედებდა. ამის საპირისპიროდ საკონსტიტუციო სასამართლომ მკაფიოდ მიუთითა შემდეგი: „მცდარად უნდა ჩაითვალოს ის აზრი, რომ სადავო ნორმები, რომლებიც უკუძალის აკრძალვის პრინციპს ეხება, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილით მოწესრიგებული ურთიერთობების მიმართ და შესაბამისად, აღნიშნული გარანტიები არ უნდა გავრცელდეს პირობით მსჯავრზე. მართალია, კოდექსის ზოგადი ნაწილის მთავარი დანიშნულება კერძო ნაწილში გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებების კვალიფიკაციასა და სასჯელთა შეფარდებაში ვლინდება, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ზოგადი ნაწილის ნორმები ერთიმეორეს არ განაპირობებენ. უკუძალის აკრძალვის გარანტია მთელი სისხლის სამართლისათვის როგორც ნორმათა ორგანული კავშირისათვის გათვალისწინებული გარანტიაა და არა მისი ერთი ნაწილისათვის. როცა საუბარია კანონის უკუძალაზე, აქ მოიაზრება სისხლის სამართლის ნორმათა მთელი სხეული.“¹⁸⁰⁹

საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებაზე წარმოდგენილი იქნა სასამართლოს წევრის განსხვავებული აზრი, რომელიც არ დაეთანხმა ნორმათა კონსტიტუციურად მიჩნევის საკითხს. მისი განცხადებით, ნორმათა აღნიშნული ინტერპრეტაცია არ წარმოადგენდა ერთადერთ სწორ და შესაძლებელ სამართლებრივ განმარტებას.¹⁸¹⁰

¹⁸⁰⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.32;

¹⁸⁰⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.33;

¹⁸¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ქეთევან ერემადის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2009 წლის 13 მაისის #1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილებაზე;

4.1.6. კანონიერების და პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2011 წლის 11 ივლისს გამოიტანა გადაწყვეტილება, სადაც ასევე იქნა განმარტებული კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტით დადგენილი გარანტიის შინაარსი და მისი ელემენტები.¹⁸¹¹ ამ საქმეში დავის საგანი იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის 5¹-ე ნაწილი, რომლის მიხედვითაც გადახდისუუნარო არასრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდა ეკისრება მის მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს.

ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ პირველ რიგში განმარტა ის გარანტიები, რომლებიც დაცულია კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტით:¹⁸¹²

- ამ დებულებით დადგენილია ზოგადად პირის პასუხისმგებლობის საფუძვლები;
- ნებისმიერი სასჯელი და დანაშაული მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული სისხლის სამართლის კანონში;
- იგი ემყარება საყოველთაოდ ცნობილ პრინციპებს, რომელთა მიხედვით „არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე“ და „არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე“ (#nullum crime# si#e lege, #nulla poe#a si#e lege);
- აკრძალულია პირის საზიანოდ სისხლის სამართლის კანონის ფართოდ განმარტება (ანალოგიით);
- სასამართლოები ვალდებული არიან მოახდინონ ნორმის განმარტება იმგვარად, რომ პირმა განჭვრიტოს, თუ მისი რომელი ქმედება ან უმოქმედება იწვევს პასუხისმგებლობას და რომელი არა;
- გარანტია, რომელიც კონსტიტუციის დასახელებულ დანაწესშია განმტკიცებული, კანონიერების პრინციპის განუყოფელი ელემენტია. კანონიერების პრინციპი პირს იცავს სახელმწიფოს მიერ სისხლისსამართლებრივი იძულების თვითნებური გამოყენებისა და გავრცელებისაგან, იმავდროულად, უზრუნველყოფს შესაძლებლობით, რომ წინასწარ განჭვრიტოს საკუთარ ქმედებაში სისხლისსამართლებრივი წესით აკრძალული ნიშნების არსებობა.

საკონსტიტუციო სასამართლომ გამოყო ის სამი ძირითადი დებულება, რომელიც კონსტიტუციის 42-ე მუხლიდან გამომდინარეობდა და ეხებოდა პირის პასუხისმგებლობაში მიცემის საფუძვლებს:¹⁸¹³

- ეს პუნქტი კრძალავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედობისთვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სისხლისსამართლებრივ დარღვევად არ ითვლებოდა;

¹⁸¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის #3/2/416 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁸¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის #3/2/416 გადაწყვეტილება, II.3.38;

¹⁸¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის #3/2/416 გადაწყვეტილება, II.3.40;

- ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საფუძვლად აუცილებლად უნდა ედოს ქმედობა (სამართალდარღვევა);
- ადგენს, რომ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისათვის მხოლოდ ის პირი აგებს პასუხს, რომელმაც ასეთი ქმედება ჩაიდინა (პირადი, პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპი).

ამ საქმეში მოსარჩელები დავობდნენ ზემოაღნიშნული მესამე პრინციპის გარშემო და შესაბამისად საკონსტიტუციო სასამართლოს მთავარი განსახილველი საკითხი იყო სწორედ პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპის შინაარსი: „პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი ადგენს, რომ ჩადენილი ბრალეული ქმედებისთვის პასუხს აგებს მხოლოდ მისი ჩამდენი პირი და არა სხვა, მესამე პირი, რომელიც კონკრეტული სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი არ არის. არ შეიძლება პირმა აგოს პასუხი იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენაშიც მისი ბრალეულობა არ დგინდება. პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი სისხლის სამართალში ნიშნავს, რომ პირის პასუხისმგებლობის საკითხი მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგეს, თუ მას ბრალი პირადად, ინდივიდუალურად მიუძღვის მისი მოქმედების ან უმოქმედობისათვის. ამ პრინციპს სისხლის სამართალში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მკაცრად პერსონალურია. პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი იცავს პირს იმისგან, რომ მან არ აგოს პასუხი იმ ქმედებისათვის, რომელიც მას არ ჩაუდენია. პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი მოიცავს არა მარტო ფორმალურ სამართლებრივ გარანტიებს, არამედ ვრცელდება მატერიალური სამართლის სხვადასხვა სფეროზე.“¹⁸¹⁴

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ საქმეში უნდა დაედგინა, თუ რამდენად წარმოადგენდა სადავო აქტით დადგენილი რეგულაცია სისხლისსამართლებრივ სასჯელს, რომლის მიმართაც, თავის მხრივ, ვრცელდებოდა ზემოაღნიშნული პირადი პასუხისმგებლობის პრინციპით განსაზღვრული სტანდარტი. ამ მიმართებით, სასამართლომ წარმოადგინა ტესტი, რომელიც ამათუიშ ღონისძიების სისხლისსამართლებრივად შეფასების საკითხს ეხებოდა: „იმავედროულად, პასუხისმგებლობა შეიძლება არ იყოს გათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, მაგრამ მისი სიმძიმის, გამოწვეული ეფექტის და უფლებების შეზღუდვის ხარისხის გათვალისწინებით, იგი შესაძლოა სასჯელთან გათანაბრდეს, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც პასუხისმგებლობად სასჯელის კლასიკური ფორმები არის გამოყენებული. კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის არსის, მისი სამართლებრივი ბუნების განსაზღვრისას მხედველობაშია ასევე მისაღები მიზანი, რომლის მისაღწევადაც გამოიყენება იგი. შესაბამისად, პასუხისმგებლობის ბუნება, ფუნქცია, მიზნები და სხვა ელემენტები განასხვავებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სხვა სახის უემოქმედების ზომისაგან.“¹⁸¹⁵

¹⁸¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის #3/2/416 გადაწყვეტილება, II.3.40; ამ პრინციპთან დაკავშირებით იხილეთ ასევე: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 21 ივლისის #1/51 გადაწყვეტილება საქმეზე ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება;

¹⁸¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის #3/2/416 გადაწყვეტილება, II.3.41;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ ღონისძიების სისხლისსამართლებრივად მიჩნევისთვის აუცილებელია სანქციის შემდეგი თავისებურებების გათვალისწინება:

- სიმძიმე;
- გამოწვეული ეფექტი;
- უფლების შეზღუდვის ხარისხი;
- პასუხისმგებლობის მიზანი.

ამ შემთხვევაში სანქციის გათანაბრება ხდება სისხლისსამართლებრივ სასჯელთან და აქედან გამომდინარე ვრცელდება შესაბამისი სტანდარტები. გარდა ამისა, სასამართლომ მეორე მიდგომაზეც მიუთითა, რომელიც გულისხმობდა პასუხისმგებლობის მიზანზე კონცენტრაციას.

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეში დამატებით მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა კრიმინალიზაციასთან და პასუხისმგებლობის მხოლოდ და მხოლოდ ქმედების მიხედვით განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით: „...სისხლის სამართალი ქმედების სამართალია, კრიმინალიზაციის ობიექტია არა პიროვნება, არამედ შერაცხადი პირის ქმედება. ეს, თავის მხრივ, მიუთითებს იმაზე, რომ სისხლის სამართლებრივი ქმედების შემადგენლობა არსებითად აღწერილი უნდა იქნეს სისხლის სამართლის კოდექსში. ქმედების არსებითად აღწერის გარეშე შეუძლებელია ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალის დადგენა, რომელთა გარეშე, თავის მხრივ, შეუძლებელია ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია და პირზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება.“¹⁸¹⁶

საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ სადავო სამართლებრივი აქტი არ ადგენდა მშობლის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და, შესაბამისად, არ არსებობდა წინააღმდეგობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტთან მიმართებით. ამ დასაბუთებამდე სასამართლო მივიდა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, მათ შორის, როგორც ზემოთ აღნიშნა, განმარტა კანონიერებისა და პირადი პასუხისმგებლობის პრინციპების შინაარსი, არსი და სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის მიხედვით არ იყო დადგენილი მშობლის/მეურვის/მზრუნველის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დანაშაულის შემადგენლობის სახით.¹⁸¹⁷ ასევე მიღებულ იქნა მხედველობაში სხვადასხვა ფაქტორები, რომლებიც პირდაპირ ადასტურებდნენ, რომ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი იყო არასრულწლოვანი მსჯავრდებული პირი და არა მისი კანონიერი წარმომადგენლები, მშობლის (მეურვის, მზრუნველის) მიმართ არ ვრცელდება ის სამართლებრივი შედეგები, რაც მოჰყვება გამამტყუნებელ განაჩენს (პირის ნასამართლობა, დანაშაულის რეციდივი და სხვ.),¹⁸¹⁸ მშობლის (მეურვის, მზრუნველის) მიმართ სახელმწიფოს ქმედება არ

¹⁸¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის #3/2/416 გადაწყვეტილება, II.3.43;

¹⁸¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის #3/2/416 გადაწყვეტილება, II.3.44;

¹⁸¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის #3/2/416 გადაწყვეტილება, II.3.45;

შეიცავს პირზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ელემენტებსა და მიზნებს (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება (პრევენცია), დამნაშავის რესოციალიზაციის ელემენტები, ზემოთ აღნიშნული დამატებითი სამართლებრივი შედეგები).¹⁸¹⁹

სასამართლომ გადახდისუუნარო არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მშობელზე (მეურვეზე/მზრუნველზე) ჯარიმის გადახდის დაკისრება არ მიიჩნია სასჯელად, რადგან: „სასჯელი, როგორც სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ღონისძიება, არის სახელმწიფოს რეაქცია ჩადენილ დანაშაულზე, როგორც უკვე აღინიშნა, თუ ქმედებისთვის არ არის გათვალისწინებული დასჯადობა, ეს მიუთითებს, რომ ეს ქმედება არ არის დანაშაული. რადგან სასჯელს აქვს მკაცრად პერსონალური ხასიათი, სასჯელი შეეფარდება მხოლოდ დამნაშავეს და არა სხვა პირს. სადავო ნორმა მკაფიოდ მიუთითებს, რომ სასჯელი (ჯარიმა) ეკისრება გადახდისუუნარო არასრულწლოვან მსჯავრდებულს. შესაბამისად, სისხლის სამართლის კანონის მიზანს არ წარმოადგენს გადახდისუუნარო არასრულწლოვნის მშობელზე (მეურვეზე, მზრუნველზე) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.“¹⁸²⁰

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ფულადი სანქციის აღსრულება თავისებურებით ხასიათდებოდა, რითაც იგი განსხვავდებოდა სხვა სასჯელებისგან: „ფული, მისი ისტორიულად ჩამოყალიბებული ბუნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული თავისებურებით ხასიათდება. ის, თავისუფლებისაგან განხვავებით, არ არის ისეთი შეუცვლელი სიკეთე, რომელიც ერთი პირიდან მეორეზე გადასვლისას კარგავს თავის მნიშვნელობას. ჯარიმის სხვა სისხლისსამართლებრივი სანქციებისაგან გამორჩეული ხასიათი ვლინდება სწორედ იმაში, რომ შესაძლებელია, მისი გადახდა განახორციელოს დამნაშავის ნაცვლად სხვა პირმა ისე, რომ მიღწეულად ჩაითვალოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნები და, ამასთან, ეს უკანასკნელი არ იქნეს განხილული პასუხისმგებლობის მატარებელ პირად. ჯარიმას აქვს უნიკალური ხასიათი, რაც მას იმგვარ სისხლისსამართლებრივ სანქციად ხდის, რომლის სამართლებრივი გზით შესრულება დამნაშავის მაგივრად სხვა პირსაც შეუძლია“.¹⁸²¹

ამ დასაბუთებით საკონსტიტუციო სასამართლომ შექმნა ერთგვარი საგამონაკლისო შემთხვევა, როდესაც სასჯელის მოხდის პერსონალური ხასიათი ჯარიმის, როგორც სასჯელის აღსრულების ნაწილში განსხვავებულად მოქმედებს: „ფულის ეს თავისებურება ჯარიმის (ფულის) გადახდას უკარგავს იმ პერსონალურ ხასიათს, რომელიც გააჩნია, მაგალითად, თავისუფლების შეზღუდვის ან ადკვეთის ფორმით სასჯელის მოხდას. ამდენად, თუ, მაგალითად, თავისუფლების შეზღუდვის/ადკვეთის აღსრულებას პერსონალური ხასიათი გააჩნია, ჯარიმის აღსრულების პროცესი

¹⁸¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის #3/2/416 გადაწყვეტილება, II.პ.52;

¹⁸²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის #3/2/416 გადაწყვეტილება, II.პ.46;

¹⁸²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის #3/2/416 გადაწყვეტილება, II.პ.51;

გადაცემადი საგნის – ფულის სახელმწიფოსთვის გადაცემაში გამოიხატება. შესაბამისად, დამნაშავეზე სასჯელის პიროვნული ზემოქმედების ეფექტი (და ამ ეფექტის ხარისხი) სააღსრულებო მოქმედებისაგან (ჯარიმის გადახდევინება ან, მაგალითად, პირის მოთავსება პატიმრობის ვადის მოსახდელად) დამოუკიდებლად დგება და ის მხოლოდ დამნაშავის პიროვნებისკენაა მიმართული.¹⁸²²

4.2. სუბიექტები

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის სუბიექტის განსაზღვრავად რამდენიმე რელევანტური კრიტერიუმი იქნა დადგენილი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2004 წლის 19 მარტს გამოიტანა განჩინება, სადაც სარჩელით სასამართლოს მიმართა არა იმ პირმა, რომელიც იყო კონკრეტული სამართალურთიერთობის მონაწილე, არამედ, „მოსარჩელის წარმომადგენელი“.¹⁸²³ სასამართლოს განცხადებით, აღნიშნული იყო actio popularis შემთხვევა და შესაბამისად, ესეთი პირი არ იყო კონსტიტუციით დაცული გარანტიის სუბიექტი.¹⁸²⁴

გარდა აღნიშნულისა, საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი პირი არ იყო იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომელიც განსაზღვრული იყო სადავო აქტით. ანუ არ არსებობდა სადავო აქტს და მოსარჩელეს შორის სამართლებრივი შემხებლობა.¹⁸²⁵ საკონსტიტუციო სასამართლომ 2006 წელს გამოიტანა განჩინება, სადაც კიდევ ერთხელ დაფიქსირდა აღნიშნული მიდგომა.¹⁸²⁶ დამატებით განჩინებაში პირდაპირ მიეთითა, რომ 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტის სუბიექტია ადამიანი. ამის საპირისპიროდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა 2011 წლის 11 ივლისს მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც 42-ე მუხლის სუბიექტად მოხსენიებულია „პირი“ და არა უშუალოდ ადამიანი.¹⁸²⁷

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტით განსაზღვრული გარანტიით სარგებლობისთვის აუცილებელია, რომ პირი იყოს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი. თუ სადავოდ არის მიჩნეული სისხლის სამართლის დებულება, მას შემხებლობა უნდა ჰქონდეს პირთან

¹⁸²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის #3/2/416 გადაწყვეტილება, II.3.60;

¹⁸²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 19 მარტის #1/5/278 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქის ლალი სარალიძის წარმომადგენელი გოჩა ძინძიბაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁸²⁴ იქვე;

¹⁸²⁵ იქვე;

¹⁸²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 10 მარტის #1/2/358,360 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეების – (1) რევაზ გოგელიას კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის #358) და (2) ანრი ზურიკაშვილის კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის #360) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁸²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის #3/2/416 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.38;

და აუცილებელია, მიმდინარეობდეს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა. ეს მიდგომა დაადგინა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2008 წლის 24 აპრილის განჩინებაში.¹⁸²⁸ სასამართლომ შემდეგი დასაბუთება გამოიყენა ამ შემთხვევაში: „მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სასამართლოსათვის უცნობია და წინასწარ ზუსტი დამაჯერებლობით შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ მის მიმართ აუცილებლად განხორციელდება სისხლის სამართლებრივი დევნა, იგი აუცილებლად გახდება სადავო ნორმით გათვალისწინებული ურთიერთობის სუბიექტი და წარმოიშობა მისი უფლებების დარღვევის უშუალო, რეალური და პირდაპირი საფრთხე.“¹⁸²⁹

4.3. უფლების შეზღუდვის საფუძვლები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული აქვს, რომ აღნიშნული უფლება აბსოლუტურ ხასიათს ატარებს¹⁸³⁰ და შესაბამისად მისი შეზღუდვა არ დაიშვება.¹⁸³¹ ამ მუხლით დადგენილ აკრძალვაში მოდიფიცირება შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული დაცული სფეროს გაფართოებით ან შემცირებით, რაც ამ თავში მსჯელობის ფარგლებს სცილდება.

4.4. დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შემდეგ შესაძლოა შემდეგი ძირითადი საკითხების განსაზღვრა:

- საკონსტიტუციო სასამართლოს აშკარად და მკაფიოდ აქვს მითითებული, რომ 42-ე მუხლით დადგენილი გარანტია ვრცელდება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როდესაც სახეზეა პირის პასუხისმგებლობა;
- კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტით დადგენილი გარანტია გულისხმობს, რომ პასუხისმგებლობის დაკისრება აუცილებლად ლეგიტიმური ორგანოს მიერ მიღებული ნორმების მეშვეობით უნდა მოხდეს;
- პასუხისმგებლობა იქაა, სადაც სახეზეა სამართალდარღვევა, რაც კიდევ

¹⁸²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 24 აპრილის #1/5/449 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი სიორდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.2;

¹⁸²⁹ იქვე;

¹⁸³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.1;

¹⁸³¹ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტის მიხედვით დადგენილია უკუძალი აკრძალვა და ამავდროულად განსაზღვრულია საგამონაკლისო წესი, რომლის მიხედვითაც კანონს, თუ ის აუქმებს ან ამსუბუქებს პასუხისმგებლობას, უკუძალა აქვს. აღნიშნული, როგორც ზემოთ აღინიშნა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განიხილება ცალკე უფლებად 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტის ფარგლებში და შესაბამისად მასზე, როგორც შეზღუდვის საფუძვლზე, ცალკე აღარ მოვახდენთ კონცენტრირებას;

ერთხელ ადასტურებს 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის ინსტიტუციურ ერთიანობას და შესაბამისად, მათი შეფასებისას ლოგიკურ ურთიერთგანპირობებულობას;

- უკუძალის აკრძალვის გარანტიები მოცემულია კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის როგორც პირველ, ისე მე-2 წინადადებაში;
- საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტით დაცულია კანონიერების ძირითადი პრინციპი, რომელსაც ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული საზოგადოებისთვის;
- საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტის მიზნებისთვის განმარტა „პასუხისმგებლობის“, „სამართალდარღვევის“ და „ქმედების“ კატეგორიები ინდივიდუალურად;
- პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და გამაუქმებელი კანონმდებლობის სავალდებულო მოქმედება არის კონსტიტუციით დაცული;
- კანონის უკუძალის აკრძალვა არის საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტით გარანტირებული ერთ-ერთი კომპონენტი, რომელიც კანონის დროში მოქმედების საკითხს ეხება, სასამართლომ განსაზღვრა ის ტესტი, რომლის ფარგლებშიც ხდება კონკრეტული სამართალურთიერთობის შეფასება;
- საქართველოს კონსტიტუცია არ აკრძალავს კანონის არანამდვილ უკუძალას და ეხება მხოლოდ და მხოლოდ რეტროსპექტულ რეგულირებას;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სპეციალური განმარტება მისცა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილ ხანდაზმულობის ვადების და პირობითი მსჯავრის ინსტიტუტებს და მოაქცია ისინი უკუძალის აკრძალვის ფარგლებში;
- მატერიალურ კანონმდებლობაში ნორმათა განმარტება ყოველთვის ინდივიდის სასარგებლოდ უნდა განხორციელდეს, როდესაც სახეზეა პირის პასუხისმგებლობა;
- ღონისძიების სისხლის სამართლებრივად მიჩნევისთვის აუცილებელია სანქციის შემდეგი თავისებურებების გათვალისწინება: სიმძიმე, გამოწვეული ეფექტი, უფლების შეზღუდვის ხარისხი, პასუხისმგებლობის მიზანი;
- სასამართლოები ვალდებულნი არიან მოახდინონ ნორმის განმარტება იმგვარად, რომ პირმა განჭვრიტოს, თუ მისი რომელი ქმედება ან უმოქმედება იწვევს პასუხისმგებლობას და რომელი არა;
- საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტიდან გამომდინარე აკრძალულია პირის საზიანოდ სისხლის სამართლის კანონის ფართოდ განმარტება (ანალოგიით) და ამასთან ნებისმიერი დანაშაული და სასჯელი მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული სისხლის სამართლის კანონში;
- კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტი ადგენს, რომ ჩადენილი

დანაშაულებრივი ქმედებისათვის მხოლოდ ის პირი აგებს პასუხს, რომელმაც ასეთი ქმედება ჩაიდინა (პირადი, პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპი);

- საკონსტიტუციო სასამართლომ შექმნა ერთგვარი საგამონაკლისო შემთხვევა, როდესაც სასჯელის მოხდის პერსონალური ხასიათი ჯარიმის, როგორც სასჯელის აღსრულების ნაწილში განსხვავებულად მოქმედებს;
- საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტი აბსოლუტური უფლებაა და არ ექვემდებარება შეზღუდვას.

4.5. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები

ხაშურის რაიონული სასამართლოდან შემოტანილი კონსტიტუციური წარდგინება /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 სექტემბრის #1/6/115 განჩინება/

საქართველოს მოქალაქის ლალი სარალიძის წარმომადგენელი გოჩა მინძიბაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 19 მარტის #1/5/278 განჩინება/

საქართველოს მოქალაქეების – (1) რევაზ გოგელიას კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის #358) და (2) ანრი ზურიკაშვილის კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის #360) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 10 მარტის #1/2/358,360 განჩინება/

საქართველოს მოქალაქეები – გრიგოლ შალამბერიძე, ზაურ ამილახვარი და ვალიკო როგავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 19 მაისის #2/9/381 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე გიორგი სიორდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 24 აპრილის #1/5/449 განჩინება/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 21 ივლისის #1/51 გადაწყვეტილება/

საქართველოს მოქალაქე გურამ შამანიძის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 23 აპრილის #2/1/130 გადაწყვეტილება საქმეზე/

1) მოქალაქეები: ლილი თელია, არჩილ მეფარიძე და გურამ თოხაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 2) მოქალაქე სერგო გოგიტიძე

საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 3) მოქალაქე როსტომ ბოლქვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის #2/5/309,310,311 გადაწყვეტილება/

საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება/

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის #3/2/416 გადაწყვეტილება/

5. 42-ე მუხლის მე-7 პუნქტი

5.1. დაცული სფერო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით აქვს მხოლოდ ერთი განმარტება გაკეთებული 2003 წელს.¹⁸³² ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა მოსარჩელემ, რომელიც ითხოვდა საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სხვადასხვა დებულებათა არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელთა მიხედვით დადგენილი იყო დიფერენცირება კანონის არსებით და არარსებით დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებზე. აღნიშნული განსხვავება, მოსარჩელის აზრით, წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს კონსტიტუციის რამდენიმე დებულებასთან, მათ შორის კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტთან მიმართებით. არგუმენტაცია ემყარებოდა იმ დებულებას, რომლის მიხედვითაც მტკიცებულება უნდა ყოფილიყო კანონის შესაბამისად მოპოვებული და წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ გააჩნდა იურიდიული ძალა. სასამართლოს წინაშე მოსარჩელე მხარე ითხოვდა სადავო აქტების არაკონსტიტუციურად ცნობას, რადგანაც სადავო აქტი გარკვეულ იურიდიულ შედეგებს უკავშირებდა მხოლოდ კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს და არა უბრალო „კანონსაწინააღმდეგო მტკიცებულებებს“. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული არგუმენტი უარყო შემდეგი არგუმენტაციით: საკონსტიტუციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელებმა ვერც კონსტიტუციურ სარჩელში და ვერც განმწესრიგებელ სხდომაზე ვერ შეძლეს მოეყვანათ მტკიცებულებები სარჩელის საფუძვლიანობის თაობაზე. მოსარჩელეთა ადვოკატის ძირითადი არგუმენტები ემყარებოდა იმას, რომ სადავო ნორმებში ხაზი აქვს გასმული კანონის არსებით დარღვევას და სწორედ ასეთი მითითება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის იმ მუხლებს, რომელთა მიმართებითაც მოითხოვენ სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას. მათ აზრით კანონის ამგვარი დიფერენციაცია შეიძლება მავნე პრაქტიკის დანერგვის საფუძველი გახდეს. ამის საილუსტრაციოდ სარჩელში მოყვანილია თბილისის საოლქო სასამართლოს განაჩენი მოქალაქე ალექსანდრე აბრამიშვილისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება მოქალაქე ივანე ოჩიგავას საქმეზე. ორივე საქმეში სასამართლო მიუთითებდა კანონის არარსებით დარღვევაზე, რაც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების მიღებას. საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონის ამა თუ იმ ნორმის არასწორად გაგება და მისი არასწორად გამოყენება არ წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის არსებითად განსახილველად მიღების საფუძველს და მსგავს არგუმენტებს სასამართლო მტკიცებულების სახით ვერ შეაფასებს.

¹⁸³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 23 მაისის #2/10/231 განჩინება საქმეზე მოქალაქეები ივანე ოჩიგავა და ალექსანდრე აბრამიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

5.2. სუბიექტები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტის სუბიექტი, როგორც ცალკე აღებული, არ აქვს განმარტებული.

5.3. უფლების შეზღუდვის საფუძვლები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეშვიდე პუნქტის შეზღუდვის საფუძვლები, როგორც ცალკე აღებული, არ აქვს განმარტებული.

5.4. დასკვნა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს მდიდარი პრაქტიკა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეშვიდე პუნქტთან მიმართებით. შესაბამისად, დასკვნების გაკეთება შესაძლებელი იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის განვითარების საფუძველზე.

5.5. საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება

მოქალაქეები ივანე ოჩიგავა და ალექსანდრე აბრამიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 23 მაისის #2/10/231 განჩინება/

6. 42-ე მუხლის მე-8 პუნქტი

6.1. დაცული სფერო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ საქმეში განმარტა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მერვე პუნქტი.¹⁸³³ ამ საქმეში სასამართლოს წინაშე სადავოდ იყო გამხდარი საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ორი დებულება, რომლებიც ადგენდნენ დაცვის მხარის ვალდებულებას ეცნობებინა გამომძიებლისთვის ან პროკურორისთვის ექსპერტიზის ჩატარებისა და ექსპერტის წინაშე დასმული საკითხთა შესახებ. მოსარჩელე მხარე აცხადებდა, რომ აღნიშნული რეგულაცია წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მერვე პუნქტთან, რომლის თანახმად, „არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით“. საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა საქმეზე სპეციალისტად მოწვეული პირის მოსაზრება და აღნიშნული მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.¹⁸³⁴

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმაზე არ გაავრცელა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მერვე პუნქტი: „სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს ადამიანის უფლებას, არ მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებს მტკიცებულებათა ორ ისეთ სახეს, როგორებიცაა, ერთი მხრივ, ჩვენება, ხოლო, მეორე მხრივ, ექსპერტის დასკვნა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული სადავო ნორმები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, ვინაიდან არ არსებობს კონსტიტუციასთან მათი მიმართება და კოდექსის აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული საკითხები საქართველოს კონსტიტუციით არ არის გადაწყვეტილი.“¹⁸³⁵

6.2. სუბიექტები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მერვე პუნქტის სუბიექტი, როგორც ცალკე აღებული, არ აქვს განმარტებული.

6.3. უფლების შეზღუდვის საფუძვლები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეშვიდე პუნქტის შეზღუდვის საფუძვლები, როგორც ცალკე აღებული, არ აქვს განმარტებული.

¹⁸³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁸³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, პ.4;

¹⁸³⁵ იქვე;

6.4. დასკვნა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს მდიდარი პრაქტიკა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-8 პუნქტთან მიმართებით. შესაბამისად, დასკვნების გაკეთება შესაძლებელი იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის განვითარების საფუძველზე.

6.5. საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-8 პუნქტთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება/

7. 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი

7.1. დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. აღნიშნული მუხლი ამ სახით მოდიფიცირდა 2010 წლის 15 ოქტომბრის (#3710) კონსტიტუციური ცვლილებებით. მანამდე მუხლი შემდეგი შინაარსის იყო: „ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან.“

ამ პუნქტში განხორციელებული ცვლილების მიხედვით, სახელმწიფო და თვითმმართველი ორგანოებისგან გამოცალკედა ავტონომიური რესპუბლიკა და იგი ცალკე ერთეულად ფორმულირდა მუხლის მიზნებისთვის, როგორც შესაძლო ზიანის მიმყენებელი სახელმწიფო ორგანო. ასევე მოხდა ზიანის მიყენების ანაზღაურების დიფერენცირება და სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანი სახელმწიფოს სახსრებიდან, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის და თვითმმართველობის ორგანოთა მხრიდან მომდინარე ზიანი შესაბამისი საბიუჯეტო სახსრებიდან ანაზღაურდება. საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე საქმეში განმარტებული აქვს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეცხრე პუნქტის ძველი რედაქცია. იმდენად რამდენადაც ეს შესაძლებელია აღნიშნული სამართლებრივი განმარტება ვრცელდება დღეს მოქმედ რეგულირებაზეც.

საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეცხრე პუნქტის შინაარსის განმარტება მოახდინა 1996 წელს.¹⁸³⁶ ამ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა საგადასახადო კანონმდებლობის გარკვეული დებულებები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იყო სასამართლოსთვის მიმართვადაუფლებების დაცვა, მაგრამ ამ მოქმედებას არ ჰქონდა სუსპენზიური ეფექტი საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების ან მოქმედების მიმართ. მოსარჩელე სადავოდ ხდიდა აღნიშნულ რეგულირებას, რადგან თვლიდა, რომ ირღვეოდა სასამართლოსთვის მიმართვის და დაცვის კონსტიტუციური უფლებები. მათი არგუმენტაციით, დაცვის და სასამართლოსთვის მიმართვის უფლება იურიდიული მოქმედების წინმსწრები და არა მომდევნო უნდა ყოფილიყო. საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააყმაცოფილა სასარჩელო მოთხოვნა და ამ არგუმენტაციის პროცესში გამოიყენა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 მუხლი. მოსარჩელების მოთხოვნა, წინასწარი დაცვის უფლების შესახებ, გაბათილებულ იქნა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 მუხლით და მასში განსაზღვრული რეტროაქტიული რესტიტუციის შესაძლებლობით: „ამასთან, საქართველოს

¹⁸³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 30 დეკემბრის #1/2-14/19 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე ალექსანდრე დანელია და მოქალაქე გიორგი ცომაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

კონსტიტუციის 42 - ე მუხლის მე - 9 პუნქტის თანახმად, “ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან”. აქედან გამომდინარე: ყველასთვის გარანტირებულია უკანონოდ მიყენებული ზარალის ანაზღაურება; ზარალი მიყენებული უნდა იყოს სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან; მიყენებული ზარალი ანაზღაურდება სასამართლოს წესით; ანაზღაურება მოხდება სრულად სახელმწიფო სახსრებიდან. კონსტიტუციის ზემოაღნიშნულ მუხლს უკავშირდება “საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ” კანონის 12-ე მუხლის პირველი პუნქტი: “საგადასახადო სამსახურის მიერ არასწორად გადახდევინებული გადასახადების თანხები და სხვა სავალდებულო გადასახადები ექვემდებარება დაბრუნებას, ხოლო საგადასახადო სამსახურების და მათი თანამდებობის პირთა მიერ არამართლზომიერი ქმედითი გადასახადის გადამხდელისათვის მიყენებული ზარალი (მათ შორის ხელიდან გაშვებული სარგებელი) ანაზღაურდება დადგენილი წესით”.¹⁸³⁷

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული მუხლის უფრო საფუძვლიანი და დეტალური განმარტება მოახდინა 2009 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებაში.¹⁸³⁸ ამ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა 1998 წლის 20 თებერვლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულება, რომელიც სისხლის სამართლის სამართალწარმოების ფარგლებში მიყენებული ფიზიკური ზიანის ანაზღაურებას უქვემდებარებდა მხოლოდ იმ შემთხვევას, „თუ დაავადება გამოიწვეულ იყო საპატიმრო ადგილებში დაპატიმრებულის ყოფნის რეჟიმის დარღვევით“. მოსარჩელეთა განცხადებით, აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მეშვიდე პუნქტის მეორე წინადადებასთან და 42-ე მუხლის მეცხრე პუნქტთან.¹⁸³⁹ დამატებით მოსარჩელები მიუთითებდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეხუთე მუხლის მეხუთე და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ პაქტის მე-9 მუხლის მეხუთე პარაგრაფებზე და შესაბამის სამართალწარმოების პრაქტიკაზე.¹⁸⁴⁰

ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ პირველ რიგში განმარტა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეცხრე პუნქტის შინაარსი. სასამართლომ ხაზი გაუსვა ამ ნორმის მატერიალურ და პროცედურულ მხარეებს და აღნიშნა შემდეგი: „საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში საუბარია, ზოგადად, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ მიყენებულ ზიანზე. ამ ნორმით

¹⁸³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 30 დეკემბრის #1/2-14/19 გადაწყვეტილება;

¹⁸³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁸³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, I.3.4;

¹⁸⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, I.3.5;

გათვალისწინებულია როგორც მატერიალური, ასევე, პროცესუალური ხასიათის კონსტიტუციური გარანტიები. 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი ყველას ანიჭებს უფლებას მოითხოვოს და მიიღოს ზარალის ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან. გარდა ამისა, ყველასთვის არის უზრუნველყოფილი სამართლებრივი დაცვის საშუალება – სასამართლოსათვის მიმართვა. ნათლად არის დადგენილი ანაზღაურების მასშტაბებიც – ზარალი სრულად უნდა ანაზღაურდეს. ამ სახით ჩამოყალიბებული კონსტიტუციური ნორმა კანონმდებელს უტოვებს თავისუფალი მოქმედების ვიწრო არეალს, რაც, უპირატესად, კონსტიტუციური მოთხოვნების დაცვით პროცედურული საკითხების მოწესრიგებას მოიცავს.¹⁸⁴¹

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კონსტიტუციის მე-18 მუხლის მეშვიდე პუნქტის მეორე წინადადება წარმოადგენდა 42-ე მუხლის მეცხრე პუნქტის სპეციალურ შემთხვევას, რომელიც გამოყოფილია, იქიდან გამომდინარე რომ ადამიანის თავისუფლებას განსაკუთრებული კონსტიტუციური წონა აქვს.¹⁸⁴² საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი ავსებს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მეშვიდე პუნქტს და ის საკითხები რაც არ არის დარეგულირებული ამ უკანასკნელით (ზიანის ოდენობა და სამართლებრივი დაცვის მასშტაბები) მოცულია პირველით და თავისთავად მოქმედებენ.¹⁸⁴³

საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებული ხაზი გაუსვა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეცხრე პუნქტით და მე-18 მუხლის მეშვიდე პუნქტის მეორე წინადადებით დადგენილ მატერიალურ სამართლებრივ სტანდარტებს.¹⁸⁴⁴

- სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან ადგილი უნდა ჰქონდეს უკანონო მოქმედების ფაქტს;
- პირს უნდა მიადგეს მატერიალური ზიანი;¹⁸⁴⁵
- უკანონო ქმედებას და ზიანს შორის უნდა იყოს მიზეზობრივი კავშირი;¹⁸⁴⁶
- ზიანი უნდა ანაზღაურდეს სრულად.¹⁸⁴⁷

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტი ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის ორივე ზემოაღნიშნულ დებულებას, რადგან ეს მუხლი ავიწროებდა იმ სუბიექტთა წრეს (და შესაბამისად სამართლებრივი დაცვის საშუალებებს¹⁸⁴⁸), რომლებსაც შეეძლოთ

¹⁸⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.2;

¹⁸⁴² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.3–4;

¹⁸⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.5;

¹⁸⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.7;

¹⁸⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.22;

¹⁸⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.20;

¹⁸⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.23;

¹⁸⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.19;

ზიანის ანაზღაურების მიღების მოთხოვნის წარდგენა,¹⁸⁴⁹ ავიწროებდა იმ შემთხვევებს, როდესაც შეიძლებოდა ზიანის ანაზღაურება¹⁸⁵⁰ და ასევე მცირდებოდა კომპენსაციის მამტაბების მაქსიმუმი¹⁸⁵¹. ვინაიდან სადავო სამართლებრივი აქტი შეეხებოდა თავისუფლების აღკვეთას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ ფაქტს და გამოიჭნა ერთმანეთისგან კანონიერი და უკანონო დაკავება და დაპატიმრება კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეცხრე პუნქტის მიზნებისთვის: „დაპატიმრებულის ყოფნის რეჟიმის დარღვევა, თავისთავად, ამძიმებს სიტუაციას, მაგრამ საკუთრივ რეჟიმში ყოფნა არის უკანონოდ ან დაუსაბუთებლად დაპატიმრებული პირისათვის ზიანის მიმყენებელი. ამის გამო შესაძლებელია მას მიადგეს ფიზიკური ზიანიც. საქმეზე “პაპონი საფრანგეთის წინააღმდეგ” ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დაკავება perse, გარდაუვლად მოქმედებს პატიმრებზე, რომელთაც სერიოზული დაავადებები აქვთ. ამდენად, თავისთავად პატიმრობის ფაქტი, მიუხედავად იმისა რა პირობებში მიმდინარეობს იგი, გულისხმობს ტანჯვის გარკვეულ ხარისხს და ეს სტრესი, ერთის მხრივ, შეუთავსებელია ზოგიერთი დაავადების კლინიკასთან, მეორე მხრივ კი თავად ზრდის დაავადებების რისკს. ადამიანს, რომელიც ამ დისკომფორტს და ტანჯვას ექვემდებარება კანონის დარღვევით შეფარდებული და დაუსაბუთებლად შერჩეული აღკვეთის ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს კონსტიტუცია ანიჭებს დაპატიმრებასთან მიზეზობრივ კავშირში მყოფი ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების უფლებას.“¹⁸⁵²

საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ საქმეში¹⁸⁵³ მოუწია იმის განმარტება, თუ რამდენად შეიძლებოდა მიჩნეულიყო სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ მიყენებული ზიანი კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეცხრე პუნქტით განსაზღვრული რეგულირების საგნად.¹⁸⁵⁴ საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულ მოთხოვნას უარყოფითი პასუხი გასცა: „საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით, “ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფოს მხრიდან”. როგორც ვხედავთ, კონსტიტუციის მითითებული ნორმა გარკვევით გამოყოფს იმ პირთა წრეს, რომელთა უკანონო ქმედების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების

¹⁸⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.პ.18;

¹⁸⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.პ.20;

¹⁸⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.პ.23;

¹⁸⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.პ.21.;

¹⁸⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 30 ივლისის #1/5/489-498 გაჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ოთარ კვეციტაძე და იზოლდა რჩეულიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁸⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 30 ივლისის #1/5/489-498 გაჩინება, აღნიშნული საქმის თანახმად, საქვეთი საზოგადოების 91.4%-ის მფლობელია სახელმწიფო, ხოლო 8.6%-ის მფლობელია სს „რელასის“ შრომითი კოლექტივი;

მოთხოვნის უფლებას გარანტირებული. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, სს „ენერჯია XXI“ არ განეკუთვნება დასახელებულ პირთა წრეს. შესაბამისად, კონსტიტუციურ სარჩელებში არ არის მოყვანილი სათანადო არგუმენტაცია სადავო ნორმის კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეცხრე პუნქტთან მიმართების შესახებ.¹⁸⁵⁵

7.2. სუბიექტები

2009 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეცხრე პუნქტის სუბიექტი, როდესაც აღნიშნული რეგულირება გამიჯნა კონსტიტუციის მე-18 მუხლის მეშვიდე პუნქტისგან: „საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტი სახელმწიფო ორგანოებისა და მოსამსახურეთა უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების კონკრეტულ შემთხვევას შეეხება. ეს ნორმა, 42-ე მუხლის მე-9 პუნქტისაგან განსხვავებით, მისი შინაარსიდან გამომდინარე, ვრცელდება მხოლოდ უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ ფიზიკურ პირებზე, რადგანაც შეუძლებელია იურიდიული პირის დაკავება ან დაპატიმრება.“¹⁸⁵⁶

ამ მუხლის სუბიექტთა წრეს საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო და დამატებით აღნიშნა: „სადავო ნორმა ავიწროებს იმ სუბიექტთა წრეს, რომლებსაც აქვთ უფლება მოითხოვონ და მიიღონ უკანონო ან დაუსაბუთებელი დაპატიმრების შედეგად მიყენებული ფიზიკური ზიანის ანაზღაურება. ამ პირთა წრიდან გასაჩივრებული ნორმა გამოჰყოფს მათ, ვინც დაავადდა საპატიმრო ადგილებში დაპატიმრებულის ყოფნის რეჟიმის დარღვევის გამო. ეს ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტს, რომელიც ადგენს ყველა უკანონოდ დაპატიმრებული პირისათვის, გამონაკლისის გარეშე, კომპენსაციის უფლებას. სადავო ნორმა არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტსაც, სადაც გარკვევით არის აღნიშნული, რომ სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურება ყველასათვის არის გარანტირებული. რაიმე გამონაკლისი ძირითადი უფლების სუბიექტთა მხრივ ამ ნორმითაც გამორიცხულია.“¹⁸⁵⁷

საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთ საქმეში აღუნიშნავს, რომ ამ უფლებით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ პირს¹⁸⁵⁸, ამასთან, ხაზგასმულია ის საკითხი, რომ აუცილებელია პირს რეალურად მიაღდეს ზიანი, რათა ამ მუხლის სუბიექტი გამხდეს.¹⁸⁵⁹

¹⁸⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 30 ივლისის #1/5/489-498 განჩინება, II.3.4;

¹⁸⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.3;

¹⁸⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.18;

¹⁸⁵⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 18 მარტის #2/7/225 განჩინება საქმეზე მოსარჩელე გურამ სოსელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.3;

¹⁸⁵⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 17 ივნისის #2/2/438 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ვახტანგ ცქიფურიშვილი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, II.3.2;

7.3. უფლების შეზღუდვის საფუძვლები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ იმპლიციტურად აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეცხრე პუნქტით დადგენილი უფლება აბსოლუტური შინაარსის მატარებელი იყო.¹⁸⁶⁰ საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ როდესაც მცირდება მიყენებული ზიანის ოდენობის ანაზღაურების შესაძლებლობა,¹⁸⁶¹ სახელმწიფო მოხელეთა გარკვეული ქმედებები არ ექვემდებარება რესტიტუციას,¹⁸⁶² იზღუდება უფლების მატარებელ სუბიექტთა წრე¹⁸⁶³ ან იზღუდება სამართლებრივი დაცვის მექანიზმი,¹⁸⁶⁴ სახეზეა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეცხრე პუნქტის ავტომატური დარღვევა. სასამართლოს განცხადებით ეს ნორმა კანონმდებელს უტოვებს თავისუფალი მოქმედების ვიწრო არეალს, რაც, უპირატესად, კონსტიტუციური მოთხოვნების დაცვით დამატებითი პროცედურული საკითხების მოწესრიგებას გულისხმობს.¹⁸⁶⁵

7.4. დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შემდეგ შესაძლოა შემდეგი ძირითადი საკითხების განსაზღვრა:

- საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეცხრე პუნქტის მიხედვით დადგენილია აბსოლუტური უფლება;
- 42-ე მუხლის მეცხრე პუნქტის მიხედვით დადგენილია ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირის უფლება მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სახელმწიფოს იმ მოქმედებათა გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რომელიც უკანონოდ განხორციელდა;
- კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეცხრე პუნქტის მიხედვით დადგენილია, რომ ზიანი უნდა ანაზღაურდეს სრულად;
- კონსტიტუციის მე-18 მუხლის მეშვიდე პუნქტის მეორე წინადადება წარმოადგენდა 42-ე მუხლის მეცხრე პუნქტის სპეციალურ შემთხვევას, რომელიც გამოყოფილია, იქიდან გამომდინარე რომ ადამიანის თავისუფლებას განსაკუთრებული კონსტიტუციური წონა აქვს;
- კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი ავსებს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მეშვიდე პუნქტს და ის საკითხები რაც არ არის დარეგულირებული ამ უკანასკნელით (ზიანის ოდენობა და სამართლებრივი დაცვის მამტაბები) მოცულია კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით;

¹⁸⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.20.

¹⁸⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.23;

¹⁸⁶² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.20;

¹⁸⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.18;

¹⁸⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.19;

¹⁸⁶⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება, II.3.2;

- კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეცხრე პუნქტი ანაზღაურების წყაროდ განსაზღვრავს იმ კონკრეტულ ორგანოებს (სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო), რომლიდანაც ან რომლის მოსამსახურეთაგან მომდინარეობს ზიანი.

7.5. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები

მოსარჩელე გურამ სოსელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 18 მარტის #2/7/225 განჩინება/

საქართველოს მოქალაქე ვახტანგ ცქიფურიშვილი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 17 ივნისის #2/2/438 განჩინება/

საქართველოს მოქალაქეები – ოთარ კვენეტაძე და იზოლდა რჩელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 30 ივლისის #1/5/489–498 განჩინება/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

მოქალაქე ალექსანდრე დანელია და მოქალაქე გიორგი ცომია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 30 დეკემბრის #1/2–14/19 გადაწყვეტილება/

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #2/3/423 გადაწყვეტილება/

მუხლი 43

1. საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც 5 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.
2. სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს. სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.
3. სახალხო დამცველის უფლებამოსილება განისაზღვრება ორგანული კანონით.

საქართველოს კონსტიტუციის დასახელებულ მუხლთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა არა აქვს.

კონსტიტუციის 43-ე მუხლი ქმნის სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) ინსტიტუტის კონსტიტუციურ გარანტიას. აღიარებს მის კონსტიტუციურ უფლებას ზედამხედველობა გაუწიოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. სავარაუდოდ, ამ უმნიშვნელოვანესმა ფუნქციამ განაპირობა, რომ კანონმდებელი კონსტიტუციის დასახელებულ დებულებას მე-2 თავში მოიაზრებს.

მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან მიმართებით საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილება: ომბუდსმენს მინიჭებული აქვს საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება, თუ მას მიაჩნია, რომ დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი;¹⁸⁶⁶ ის, ასევე უფლებამოსილია ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.¹⁸⁶⁷ საქართველოს სახალხო დამცველს მინიჭებული აქვს ასევე არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება¹⁸⁶⁸.

¹⁸⁶⁶ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ 1996 წლის 31 იანვრის საქართველოს ორგანული კანონი, #95-რს, 39-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი;

¹⁸⁶⁷ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ 1996 წლის 16 მაისის საქართველოს ორგანული კანონი, #230-III, 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი;

¹⁸⁶⁸ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ 1996 წლის 31 იანვრის საქართველოს ორგანული კანონი, #95-რს, 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.; „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ 1996 წლის 16 მაისის საქართველოს ორგანული კანონი, #230-III, 21-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტი;

მუხლი 44

1. საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს.
2. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები.

შესავალი

1. დაცული სფერო
2. სუბიექტები
3. დასკვნა
4. საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლთან მიმართებით

შინაარსი

საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლი არ ადგენს უფლებრივი შინაარსის მქონე გარანტიას, არამედ იგი ავალდებულებს საქართველოს იურისდიქციაში მყოფ ყველა პირს, დაემორჩილოს შესაბამის საკანონმდებლო მოთხოვნებს (პირველი პუნქტი) და ადგენს ზღვარს უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისას (მეორე პუნქტი). ამასთან, იურისდიქცია არ განისაზღვრება მხოლოდ ტერიტორიით და ნებისმიერი ის პირი, რომელსაც სამართლებრივი კავშირი გააჩნია მასთან (ქვეყანასთან), ექვევა ქვეყნის იურისდიქციის ქვეშ. იმავდროულად უნდა აღინიშნოს, ამ მუხლის მოქმედების ფარგლებში ნებისმიერი პირის მოქცევას განაპირობებს ის გარემოება, რომ ისინი საქართველოს იურისდიქციაში კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლების ძალით შემოვიდნენ და ამდენად, მათ წარმოემოხაზა შესაბამისი ვალდებულებაც, რადგან არ არსებობს უფლება შესაბამისი ვალდებულების გარეშე.

1. დაცული სფერო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2010 წელს საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ გააკეთა საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლის განმარტება.¹⁸⁶⁹ ამ საქმეში მოპასუხე მხარის არგუმენტაცია ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ საქართველოში არამცხოვრებ უცხოელების ან მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის აკრძალვა განპირობებული იყო და გამომდინარეობდა კონსტიტუციის 44-ე მუხლიდან. ამ ფონზე საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოადგინა მსჯელობა, რის შედეგადაც განიმარტა საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლის რამდენიმე კონცეპტუალური საკითხი.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომით, ამ მუხლის პირველი პუნქტი ერთი მხრივ, ზღუდავს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყოველ პირს, მათ შორის უცხოელებს და აპარტიდებს და მეორე მხრივ, არ გამორიცხავს ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების გავრცელებას საქართველოს ტერიტორიაზე არმყოფ პირებზე, თუ მათზე ვრცელდება ქვეყნის იურისდიქცია. სასამართლომ განაცხადა: „44-ე მუხლის პირველი პუნქტი საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების ვალდებულებით ზღუდავს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყოველ პირს, მათ შორის უცხოელებსა და აპარტიდებს. ეს ნორმა ზოგადად ახდენს იმის დეკლარირებას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს სახელმწიფოს მიერ დადგენილი მართლწესრიგი. ის არ გამორიცხავს საქართველოს ტერიტორიაზე არმყოფ პირებზე, ქვეყნის იურისდიქციის ფარგლებში, ასეთი ვალდებულების გავრცელებას“.¹⁸⁷⁰

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული დებულება დამატებით დააზუსტა კონსტიტუციის 44-ე მუხლის მეორე პუნქტის განმარტების

¹⁸⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.11.8;

¹⁸⁷⁰ იქვე;

შედეგად, რომლის მიხედვითაც ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები. საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 44-ე მუხლის მოქმედება დაუკავშირა პირთა არა ტერიტორიული ნიშნით საქართველოსთან კავშირს, არამედ, საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მოქცევას. სასამართლომ კონსტიტუციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით განაცხადა: „ამ ნორმის მიზნებისათვის, თუკი უცხოელებზე და აპატრიდებზე, რომლებიც არ ცხოვრობენ საქართველოში, არგავრცელდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის ვალდებულება (მათზე საქართველოს იურისდიქციის გავრცელების ფარგლებში), მათ მიერ საქართველოში მცხოვრები პირების უფლებების და თავისუფლებების დარღვევის შემთხვევაში, ამაზე რეაგირების შესაძლებლობა არ იქნება. შესაბამისად, ეს ადამიანები საქართველოს კანონმდებლობის შეუსრულებლობით საქართველოში მცხოვრები პირების უფლება-თავისუფლებათა დარღვევის გამო პასუხს არ აგებენ. ასეთ პირობებში კი აზრს კარგავს ადამიანის უფლებების ადამიანისვე უფლებებით შეზღუდვის კონსტიტუციური პრინციპი“.¹⁸⁷¹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის მიხედვით, საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლი არ წარმოადგენს დაბრკოლებას „საქართველოში არმცხოვრები პირების საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის უფლებების და თავისუფლებების სუბიექტებად მიჩნევისათვის“¹⁸⁷², რადაგან „44-ე მუხლის მე-2 პუნქტი, მოითხოვს ინტერესთა ისეთ დაბალანსებას, როდესაც ყველა შესაძლო უფლების დამრღვევს (და არა მხოლოდ საქართველოში მცხოვრებ პირებს) ეკისრება ვალდებულება, არ დაარღვიოს სხვათა უფლებები საკუთარი თავისუფლების რეალიზაციის პროცესში“.¹⁸⁷³

2. სუბიექტი

საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლის სუბიექტები შესაძლებელია განვსაზღვროთ როგორც თვით მუხლის საფუძველზე, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებაზე დაყრდნობით (ამ საკითხის უკეთ წარმოჩენისათვის, აქ გამეორებულია ის ციტატები, რომლებიც ზემოთ უკვე მივუთითეთ).

კონსტიტუციის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის სუბიექტი არის როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი. დამატებით შეგვიძლია მოვიშველიოთ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიც ადამიანზე, როგორც 44-ე მუხლის სუბიექტზე, იმსჯელა სასამართლომ და აღნიშნა: „თუ კონსტიტუციის მიზანია ადამიანის უფლებების (თუნდაც მხოლოდ ქვეყნის მოქალაქეების ან მხოლოდ ქვეყანაში მცხოვრები პირების უფლებების) დაცვა, ეს სრულიად არაეფექტური იქნება, თუ კონსტიტუცია ყველა შესალო სუბიექტზე, ადამიანის უფლებების ყველა პოტენციურ დამრღვევზე არ გავრცელებს ამ

¹⁸⁷¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება, კ.ი.8;

¹⁸⁷² იქვე;

¹⁸⁷³ იქვე;

ვალდებულებას და მხოლოდ საქართველოში მცხოვრებ პირებს შეზღუდავს ამ თვალსაზრისით. ნიშანდობლივია, რომ თავად ნორმის ტექსტიც არ იძლევა ვიწრო განმარტების საფუძველს“.¹⁸⁷⁴

დამატებით, სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტების საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ 44-ე მუხლის პირველი პუნქტის სუბიექტს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყოველი პირი, მათ შორის უცხოელები და აპარტიდები, ასევე, საქართველოს ტერიტორიაზე არმყოფი პირები, რომლებზეც ვრცელდება ქვეყნის იურისდიქცია. სასამართლომ განაცხადა: „44-ე მუხლის პირველი პუნქტი საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების ვალდებულებით ზღუდავს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყოველ პირს, მათ შორის უცხოელებსა და აპარტიდებს. ეს ნორმა ზოგადად ახდენს იმის დეკლარირებას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს სახელმწიფოს მიერ დადგენილი მართლწესრიგი. ის არ გამორიცხავს საქართველოს ტერიტორიაზე არმყოფ პირებზე, ქვეყნის იურისდიქციის ფარგლებში, ასეთი ვალდებულების გავრცელებას“.¹⁸⁷⁵

საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლის მეორე პუნქტის სუბიექტია „სხვა“ ადამიანი, თუმცა ეს არ გამორიცხავს კონსტიტუციის 45-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობას, რომელშიც აღნიშნულია, რომ კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება იურიდიულ პირებზეც.

3. დასკვნა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის/განმარტების ანალიზის საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ

- საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლის შინაარს განაპირობებს მისი მეორე პუნქტი;
- კონსტიტუციის 44-ე მუხლის მოქმედება უკავშირდება პირთა არა ტერიტორიული ნიშნით კავშირს საქართველოსთა, არამედ, საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მოქცევას;
- კონსტიტუციის 44-ე მუხლის პირველი პუნქტი საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების ვალდებულებით ზღუდავს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა პირს, მათ შორის უცხოელებსა და აპარტიდებს;
- კონსტიტუციის 44-ე მუხლი არ გამორიცხავს საქართველოს ტერიტორიაზე არმყოფ პირებზე, ქვეყნის იურისდიქციის ფარგლებში, ასეთი ვალდებულების გავრცელებას;
- 44-ე მუხლის პირველი პუნქტის სუბიექტს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყოველი პირი, მათ შორის უცხოელები და აპარტიდები, ასევე, საქართველოს ტერიტორიაზე არმყოფი პირები, რომლებზეც ვრცელდება ქვეყნის იურისდიქცია.

¹⁸⁷⁴ იქვე;

¹⁸⁷⁵ იქვე;

4. საქმე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-44 მუხლთან მიმართებით

გამოყენებული სასამართლო გადაწყვეტილება:

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება/

მუხლი 45

კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.

შესავალი

1. დაცული სფერო
- 1.1. შეზღუდვის საფუძველი
2. სუბიექტი
3. დასკვნა
4. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 45-ე მუხლთან მიმართებით განიხილა

შესავალი

კონსტიტუციის 45-ე მუხლი რომელიმე კონკრეტული უფლების ამლიარებელ ან დამდგენ ნორმას არ წარმოადგენს, თუმცა მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იურიდიული პირების საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით დაცული უფლებების (მათი შინაარსის გათვალისწინებით) სუბიექტებად ასაღიარებლად.

1. დაცული სფერო

ერთ-ერთ საქმეში, რომელიც შეეხებოდა მოქალაქეთა სარჩელს და დაკავშირებული იყო კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნებისას დამფუძნებლის მიერ შეტანილი ქონების მესაკუთრის განსაზღვრასთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა: „საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის მიხედვით, კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე. შპს, რომელიც ნებაყოფლობით ყალიბდება თვითონ ხდება შეტანილი ქონების მესაკუთრე და მას ისივე იცავს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი, როგორც ნებისმიერ ფიზიკურ პირს. ქონება, რომელიც პარტნიორებმა შეიტანეს საზოგადოებაში არ ქმნის მათ საერთო საკუთრებას და ამ ქონებაზე არ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით საერთო საკუთრებისათვის დადგენილი ნორმები. იურიდიული პირის ქონება, იურიდიული პირის, როგორც სამართლის სუბიექტის საკუთრებაა და არა მისი დამფუძნებლების, ან მასში მონაწილეების. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი საკუთრების გარეშე დარჩება, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლს, რომლის შესაბამისად, იურიდიული პირი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზაციულ წარმონაქმნად არის მიჩნეული.“¹⁸⁷⁶

მოსარჩელე, რომელიც იურიდიულ პირს წარმოადგენდა, მიიჩნევდა, რომ სადაო ნორმები არღვევდა „საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით გარანტირებულ სიცოცხლის უფლებას და 37-ე მუხლით დაცულ ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლებას“.¹⁸⁷⁷

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: „...მოსარჩელეს სწორად არ აქვს გაგებული საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი ნორმების შინაარსი. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცული სიკეთე არის ადამიანის სიცოცხლე. მოსარჩელეს როგორც იურიდიულ პირს, ეს სიკეთე არ აქვს. იურიდიულ პირს არ აქვს ჯანმრთელობაც და შესაბამისად, ის ვერ ისარგებლებს საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი უფლებით, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის

¹⁸⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 29 იანვრის #2/36-7 გადაწყვეტილება საქმეზე იური კირაკოსიანი, სპირიდონ ვართანიანი, მარტიროს ჩარდუხიანი, პეტრე საფარიანი, სერგო ვართანოვი, ქეთევან ტოტოლაშვილი, ასკან მანუკიანი, როზა პოდოსიანი, სვეტლანა პერეგულკო, ნოდარ გიგაშვილი და შოთა მექვაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.1;

¹⁸⁷⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის #2/3/441 განჩინება საქმეზე „საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I.პ.10;

უვნებელ გარემოში. სიცოცხლე და ჯანმრთელობა არის ის სიკეთე, რაც შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ ფიზიკურ პირს, როგორც ცოცხალ არსებას. აქედან გამომდინარე, იურიდიული პირის ნებისმიერი მსჯელობა მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების პირდაპირი ან ირიბი დარღვევის თაობაზე ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული“.¹⁸⁷⁸

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეზე მიღებულ განჩინებაში აღნიშნა, რომ „...მოსარჩელე, როგორც იურიდიული პირი, წარმოადგენს სამართლებრივ კონსტრუქციას, ფიქციას, რომელიც, როგორც უკვე აღნიშნა, თავისი ბუნებიდან გამომდინარე ვერ იქნება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების სუბიექტი. ამდენად, ეს უფლებები არ განეკუთვნება იმ უფლებათა რიგს, რომლებიც, თავისი შინაარსის გათვალისწინებით, შეიძლება გავრცელდეს იურიდიულ პირზე“.¹⁸⁷⁹

როდესაც უფლების შინაარსზე საუბარი, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ უფლებით სარგებლობა იურიდიულ პირს თავად უნდა შეეძლოს და არა ის ფაქტი, რომ იურიდიული პირის საქმიანობაა მიმართული რომელიმე უფლების დასაცავად.

სასამართლომ აღნიშნულ საკითხზე განაცხადა: „ის გარემოება, რომ მოსარჩელე მიზნად ისახავს საქართველოში თამბაქოს ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგს და ამ გზით ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბებული პრაქტიკით, არ წარმოშობს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას იმ პირობებში, როდესაც უშუალოდ მოსარჩელის უფლების დარღვევა ან შესაძლო დარღვევა არ დასტურდება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული „კანონის 39-ე მუხლის “ბ” ქვეპუნქტით, სხვა პირთა ინტერესების დასაცავად კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის უფლება მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველს ეძლევა (ე.წ. აბსტრაქტული კონტროლი)“. აქედან გამომდინარე, ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული მოსარჩელის წარმომადგენლის განცხადება, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას მოსარჩელეს აძლევს მისი წესდება, სპეციფიკა და საქმიანობა“.¹⁸⁸⁰

სასამართლომ სწორედ აღნიშნული საფუძველით მიიჩნია, რომ „...მოსარჩელე არ არის კონსტიტუციური სარჩელის შემოტანაზე უფლებამოსილი სუბიექტი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლებებთან დაკავშირებით. “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვს პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ დაირღვა ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მისი უფლებები და თავისუფლებები. აქედან გამომდინარე, მოსარჩელე უნდა წარმოადგენდეს კონსტიტუციური უფლების

¹⁸⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის #2/3/441 განჩინება, II.3.5;

¹⁸⁷⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის #2/3/441 განჩინება, II.3.8;

¹⁸⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის #2/3/441 განჩინება, II.3.9;

სუბიექტს, იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს აღნიშნული უფლების დარღვევაზე მსჯელობა.¹⁸⁸¹

ერთ-ერთი საქმე, რომელზეც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უფლების შინაარსზე იმსჯელა და სწორედ მისი გათვალისწინებით შეაფასა უფლების დამდგენი ნორმით დაცული სფერო, დაკავშირებულია კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ უფლებასთან. საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში განაცხადა:

„41-ე მუხლის მე-2 პუნქტი შეეხება ინფორმაციას, რომელიც „დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან“. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნორმაში გამოყენებულია ტერმინი „ადამიანი“, საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის თანახმად, მისი გავრცელება, შინაარსის გათვალისწინებით, შეიძლება არა მხოლოდ ფიზიკურ პირზე, არამედ იურიდიულ პირზეც. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ჯანმრთელობა არის სიკეთე, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ფიზიკური პირისათვის – ცოცხალი არსებისათვის (განჩინება #2/3/441 - II,5). აქედან გამომდინარე, იურიდიულ პირზე საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი არ ვრცელდება ოფიციალურ წყაროებში არსებული ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების ნაწილში“.¹⁸⁸²

სასამართლომ ასევე იმსჯელა, შესაძლებელია თუ არა კონსტიტუციის 45-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე იურიდიული პირის ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაცია მივიჩნიოთ კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ უფლებად: „კოლეგიის აზრით, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი ფინანსებთან და შესაბამისად, მატერიალურ სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცვის კუთხით თანაბრად შეეხება როგორც ფიზიკურ, ასევე, იურიდიულ პირებს. ოფიციალურ წყაროებში დაცულია ინფორმაცია, რომელიც გარდა ფიზიკური პირებისა, ასახავს იურიდიული პირების აქტივობებს და მდგომარეობას მატერიალურ სფეროში და არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ ის არ გახდება ცნობილი მესამე პირთათვის.“¹⁸⁸³

ერთ-ერთ საქმეში მოსარჩელეს წარმოადგენდა პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც მიუთითებდა, რომ საარჩევნო კოდექსში განხორციელებული დამატების შედეგად (სადავო ნორმით) ცალკეულ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის შუალედური არჩევნები გადაიდო, რითაც, მოსარჩელის მოსაზრებით, დაირღვა არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისა და ამომრჩევლების კონსტიტუციით მინიჭებული უფლება, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველი პუნქტი.¹⁸⁸⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად.

¹⁸⁸¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის #2/3/441 განჩინება, II.3.7;

¹⁸⁸² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის #2/3/406,408 გადაწყვეტილება საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II.3.18;

¹⁸⁸³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის #2/3/406,408 გადაწყვეტილება, II.3.20;

¹⁸⁸⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 30 ივლისის #1/3/480 განჩინება საქმეზე პოლიტიკური მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I.3.7;

საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ რეფერენდუმის ან არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შესახებ დავის განხილვის კომპეტენციას სასამართლო ახორციელებს უფლებამოსილი სუბიექტის მიერ კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის საფუძველზე, სუბიექტა წრე, რომლებიც უფლებამოსილნი არიან არჩევნების საკითხებზე სარჩელი შეიტანონ საკონსტიტუციო სასამართლოში განსაზღვრულია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე და 37-ე მუხლებით.¹⁸⁸⁵ „ამ ნორმების შესაბამისად, ... მოსარჩელე ... არის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად შექმნილი არასამეწარმეო იურიდიული პირი. ამდენად, მოსარჩელე არ არის უფლებამოსილი, დასახელებული კომპეტენციის ფარგლებში იდავოს საკონსტიტუციო სასამართლოში ... როგორც არჩევნების/საარჩევნო პროცესის მომწესრიგებელი სადავო ნორმის კონსტიტუციურობის თაობაზე“.¹⁸⁸⁶

ერთ-ერთ საქმეში პოლიტიკური პარტია ასაჩივრებდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხებთან დაკავშირებულ სადავო ნორმებს. მოსარჩელე კონსტიტუციურ სარჩელში მიუთითებდა, რომ სადავო ნორმებით ირღვეოდა საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად, სახელმწიფო ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას, ქვეყნის მდგრად განვითარებას საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სახელმწიფომ სადავო ნორმებით ეს ვალდებულება დაარღვია.¹⁸⁸⁷

საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: „...ბუნებრივია, იურიდიული პირები ვერ იქნებიან ყველა კონსტიტუციური უფლების (მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე 36-ე და რიგი სხვა მუხლებით გათვალისწინებული უფლებების) სუბიექტები. შესაბამისად, ისინი უფლებამოსილნი არიან მხოლოდ იმ კონსტიტუციური უფლებების დასაცავად მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს, რომლებიც მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება იურიდიულ პირებზე“.¹⁸⁸⁸

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დასახელებულ დავასთან მიმართებით ზოგადად იმსჯელა საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტის შინაარსზე და აღნიშნა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლი, ზოგადად, ეხება ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის უფლების გარანტირებას, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას. ამ მუხლით დაცული სფეროს შინაარსის გათვალისწინებით, ბუნებრივია, იურიდიული პირები ვერ სარგებლობენ ამ უფლებით (შესაბამისად, არ არიან კონსტიტუციის 37-ე მუხლის სუბიექტები). მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის უფლების

¹⁸⁸⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 30 ივლისის #1/3/480 განჩინება, II.3.1;

¹⁸⁸⁶ იქვე;

¹⁸⁸⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის #1/3/511 განჩინება საქმეზე „საქართველოს მწვანეთა პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.1;

¹⁸⁸⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის #1/3/511 განჩინება, II.3.2;

სუბიექტად მიჩნევისათვის, მნიშვნელობის მქონე ვერ იქნება ის გარემოება, რომ გარემოს დაცვა ზოგადად, ამ ორგანიზაციის საქმიანობის, ინტერესის თუ ზრუნვის სფეროს წარმოადგენს ... გარემოს დაცვისადმი განსაკუთრებული ინტერესი და ამ სფეროში მისი საქმიანობა, თავად პარტიას, როგორც იურიდიულ პირს ჯანმრთელობის დაცვის უფლების სუბიექტად ვერ აქცევს. ამასთან, ვერცერთი იურიდიული პირი, ისევე როგორც ფიზიკური პირი, ვერ იდავებს სხვა სუბიექტების უფლებების დასაცავად.¹⁸⁸⁹ შესაბამისად, სასამართლომ მოსარჩელე არ მიიჩნია უფლებამოსილ სუბიექტად და სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად.

ერთ-ერთ საქმეში რამდენიმე პოლიტიკური პარტია¹⁸⁹⁰ სადავოდ მიიჩნევდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის რიგ ნორმებს საქართველოს კონსტიტუციის შემდეგ მუხლებთან მიმართებით: მე-14 მუხლთან, 26-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, 29-ე მუხლის პირველ პუნქტთან, 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან და 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით დაუსაბუთებლად მიიჩნია,¹⁸⁹¹ სხვა მოთხოვნების ნაწილში აღნიშნა, რომ ის „actio popularis“ წარმოადგენდა. სასამართლომ კიდევ ერთხელ განმარტა: „იმისათვის, რომ მოსარჩელემ სადავოდ გახადოს ესა თუ ის ნორმა, საჭიროა მან ნათლად და არაორაზროვნად წარმოაჩინოს, რომ იგი უკვე წარმოადგენდა ან სამომავლოდ, დიდი ალბათობით, იქნება სადავო ნორმით განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი (სადავო ნორმატიული აქტის მის მიმართ რეალურად გამოყენების ფაქტი), რამაც შემდგომში იძლევა გამოიწვიოს მისი კონსტიტუციური უფლებების სავარაუდო დარღვევის შესაძლებლობა ... მოსარჩელების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა წარმოადგენს არა საკუთარი, არამედ დაინტერესებულ პირთა (მესამე პირთა) მხრიდან შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების გარეშე სხვისი უფლების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვას. ასეთი სარჩელი წარმოადგენს „actio popularis“, რომლის დასაშვებობას საკონსტიტუციო სამართალწარმოება არ ითვალისწინებს“.¹⁸⁹²

1.1. შეზღუდვის საფუძველი

გამომდინარე იქიდან, რომ 45-ე მუხლი თავად არ ადგენს რომელიმე კონკრეტულ უფლებას, იურიდიული პირების მიერ სხვა უფლებებით სარგებლობისას გამოყენებული უნდა იქნას შესაბამისი უფლებისათვის დადგენილი შეზღუდვის საერთო საფუძველები. ამავდროულად, ხსენებულ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება გაკეთებული არ აქვს.

¹⁸⁸⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის #1/3/511 განჩინება, II.3.3;

¹⁸⁹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 ნოემბრის #1/4/529 განჩინება საქმეზე პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“, პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“ და „საქართველოს მწვანეთა პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

¹⁸⁹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 ნოემბრის #1/4/529 განჩინება, II. 3.6

¹⁸⁹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 ნოემბრის #1/4/529 განჩინება, II. 3.3

2. სუბიექტი

კონსტიტუციის 45-ე მუხლის სუბიექტებს, ბუნებრივია, იურიდიული პირები წარმოადგენენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმისათვის, რომ იურიდიული პირი იქცეს კონსტიტუციით დაცული უფლების სუბიექტად (სადაც უფლების მარეგულირებელი მუხლი მხოლოდ ადამიანის/ყველას უფლებაზე აკეთებს აპელირებას), აუცილებელია, შეფასდეს კონკრეტული უფლების შინაარსი.

3. დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განხილვის შედეგად შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

- როდესაც უფლების შინაარსზე საუბარი მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ უფლებით სარგებლობა იურიდიულ პირს თავად უნდა შეეძლოს და არა ის ფაქტი, რომ იურიდიული პირის საქმიანობაა მიმართული რომელიმე უფლების დასაცავად;
- სიცოცხლე და ჯანმრთელობა არის ის სიკეთე, რაც შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ ფიზიკურ პირს, როგორც ცოცხალ არსებას. აქედან გამომდინარე, იურიდიული პირის ნებისმიერი მსჯელობა მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების პირდაპირი ან ირიბი დარღვევის თაობაზე ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული;
- ჯანმრთელობა არის სიკეთე, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ფიზიკური პირისათვის – ცოცხალი არსებისათვის. აქედან გამომდინარე, იურიდიულ პირზე საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი არ ვრცელდება ოფიციალურ წყაროებში არსებული ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების ნაწილში“;
- საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი ფინანსებთან და შესაბამისად, მატერიალურ სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცვის კუთხით თანაბრად შეეხება როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს;
- იურიდიული პირები არ არიან ყველა კონსტიტუციური უფლების (მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე 36-ე და რიგი სხვა მუხლებით გათვალისწინებული უფლებების) სუბიექტები;
- გარემოს დაცვისადმი განსაკუთრებული ინტერესი და ამ სფეროში მისი საქმიანობა, თავად პარტიას, როგორც იურიდიულ პირს ჯანმრთელობის დაცვის უფლების სუბიექტად ვერ აქცევს.

4. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 45-ე მუხლთან მიმართებით განიხილა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები

საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის #2/3/441 განჩინება /

პოლიტიკური მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 30 ივლისის #1/3/480 განჩინება/

„საქართველოს მწვანეთა პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის #1/3/511 განჩინება/

პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“, პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“ და „საქართველოს მწვანეთა პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 ნოემბრის #1/4/529 განჩინება/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართოს გადაწყვეტილებები

იური კირაკოსიანი, სპირიდონ ვართანიანი, მარტიროს ჩარდებჩიანი, პეტრე საფარიანი, სერგო ვართანოვი, ქეთევან ტოტოლაშვილი, ასკან მანუკიანი, როზა პოდოსიანი, სვეტლანა პერეგულკო, ნოდარ გიგაშვილი და შოთა მექვაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 29 იანვრის #2/36-7 გადაწყვეტილება/

საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის #2/3/406,408 გადაწყვეტილება/

მუხლი 46

1. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში შეზღუდოს კონსტიტუციის მე-18, მე-20, 21-ე, 22-ე, 24-ე, 25-ე, 30-ე, 33-ე და 41-ე მუხლებში ჩამოთვლილი უფლებანი და თავისუფლებანი. საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია, არა უგვიანეს 48 საათისა ეს გადაწყვეტილება შეიტანოს პარლამენტში დასამტკიცებლად.
2. თუ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შემოღებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, სხვაწარმომადგენლობითორგანოთაარჩევნები ტარდებაამდგომარეობის გაუქმების შემდეგ. ქვეყნის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი #3272-სსმI, #2, 07.02.2004წ., მუხ.5)

შესავალი

- 1. დაცული სფერო**
 - 1.1. 46-ე მუხლის შინაარსი
- 2. სუბიექტი**
- 3. დასკვნა**
- 4. საკმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლთან მიმართებით**

შესავალი

აღნიშნული ნორმა მიგვანიშნებს, საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის იმ რეალობის შესახებ, რომელსაც შესაძლოა საზოგადოება შეეჯახოს, როდესაც სერიოზული საფრთხე დაემუქრება საჯარო წესრიგს. ხელისუფლების ვალდებულება განსაზღვროს, ნამდვილად არსებობს თუ არა ასეთი საფრთხე და ნამდვილად მოითხოვს თუ არა კრიზისული სიტუაცია შეზღუდვის ზომების გატარებას, რა მოცულობით, ხარისხითა და ინტენსივობით უნდა იქნეს ეს ზომები გამოყენებული. მაგრამ, მიუხედავად საფრთხისა, რთულია იმის წარმოდგენა, რომ მისი არსებობის დროსაც სახელმწიფომ არ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები დემოკრატიული ღირებულებების დასაცავად. ნორმა მიანიშნებს, რომ სახელმწიფო ასეთ სიტუაციაში მოქმედებს ფართო გათვალისწინების თავისუფლებით, მაგრამ მისი ფარგლები განუსაზღვრელი არ არის. სახელმწიფოს ურყევი ნება უნდა იყოს, რომ მან მსგავსი რეალობის დროსაც კი არ ხელყოს უფლებები და თავისუფლებები, თუ მათ მიმართ შეზღუდვა არ იქნება მიმართული ამ საფრთხის გადასალახავად/თავიდან ასაცილებლად.

1. დაცული სფერო

1.1. საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლის შინაარსი

საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლით დადგენილია ადამიანის უფლებების და თავისუფლებების შეზღუდვის ერთ-ერთი საფუძველი – საგანგებო და საომარი მდგომარეობა. აღნიშნული მუხლის მეორე პუნქტს დაემატა მეორე წინადადება 2004 წლის 6 თებერვლის #3272-რს „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონით. შესაბამისად, კონსტიტუციის ამ ნორმიდან გამომდინარე, ქვეყნის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში საქართველოს პარლამენტი წყვეტს დანარჩენ ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარების საკითხს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში მოახდინა აღნიშნული მუხლის განმარტება.¹⁸⁹³ დადგინდა ამ მუხლის შინაარსი და მოქმედების ფარგლები და ასევე განისაზღვრა ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის ამ მუხლის მოქმედებისა და გამოყენების კონკურენციის საკითხი.

2004 წლის 25 მაისის #15/290,266 საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2003 წლის 22 დეკემბრის ორგანული კანონის და მის საფუძველზე გამოცემული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის 2004 წლის 7

¹⁸⁹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 25 მაისის #15/290,266 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (სულ 67 დეპუტატი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის წინააღმდეგ და საქართველოს მოქალაქე თამაზ დიასამიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის წინააღმდეგ;

იანვრის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ განკარგულების კონსტიტუციურობა კონსტიტუციის 46-ე მუხლთან მიმართებით.

მოსარჩელები აღნიშნავენ, რომ სადავო ნორმატიული აქტების მოქმედებამ უშუალოდ ხელყო მათი, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრთა, კონსტიტუციური უფლებები. სადავო აქტები ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურს უფლებამოსილებას ანიჭებდა მოქალაქეებისათვის შეეზღუდა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ძირითადი უფლებანი, მაშინ, როცა ასეთი შეზღუდვები დასაშვებია მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს. გარდა ამისა, სადავო კანონი შესაძლებლად მიიჩნევა საქართველოს კონსტიტუციის 45-ე და 47-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვასაც.¹⁸⁹⁴

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 46-ე მუხლით მოწესრიგებულ ურთიერთობებზე მსჯელობისას კონსტიტუციის რამდენიმე მუხლზე მიუთითა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლზე, რომელიც ადგენს, რომ საქართველოს ტერიტორიული მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ. მაგრამ ამავდროულად განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლი განსაზღვრავს იმ უფლებამოსილებათა ჩამონათვალს, რომელსაც მხოლოდ უმაღლესი სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ამ მუხლში ჩამოთვლილი არცერთი უფლებამოსილება არ შეიძლება მოქცეულიყო ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობაში.¹⁸⁹⁵ ასევე დამატებით მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლზე, რომელიც აცხადებს, რომ საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია და ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.¹⁸⁹⁶

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დავის გადაწყვეტის მიზნებისათვის მიუთითა ასევე საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე, რომელიც ადგენს, რომ „მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფოთა ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება ... საგანგებო და საომარ მდგომარეობათა სამართლებრივი რეჟიმის დადგენა და შემოღება“¹⁸⁹⁷, და განმარტა, რომ „ეს კონსტიტუციური ნორმა მოიცავს ორპირობას დამოითხოვს მათსავალდებულო დაცვას. სახელდობრ: 1. მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციაში შედის საგანგებო და საომარი მდგომარეობის სამართლებრივი რეჟიმის დადგენა – ანუ საომარი და საგანგებო მდგომარეობის არსის, მისი შემოღების საფუძველების, გამოცხადებისა და გაუქმების წესის,

¹⁸⁹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 25 მაისის #15/290,266 გადაწყვეტილება;

¹⁸⁹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 25 მაისის #15/290,266 გადაწყვეტილება, პ.1;

¹⁸⁹⁶ იქვე;

¹⁸⁹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 25 მაისის #15/290,266 გადაწყვეტილება, პ.11;

პროცედურების, ასეთი მდგომარეობის გამოცხადებაზე უფლებამოსილი სუბიექტების, ამ დროს შესაძლო ღონისძიებათა განხორციელების და მასთან დაკავშირებული ყველა სხვა საკითხის განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, საომარი და საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი რეჟიმის დამდგენი სამართლებრივი ბაზა შეიძლება შექმნას მხოლოდ საქართველოს უმაღლესმა სახელმწიფო ორგანოებმა. უფრო ზუსტად კი ეს საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს საკანონმდებლო პრეროგატივაა; 2. საგანგებო და საომარი მდგომარეობის შემოღება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი რეჟიმის შესაბამისად, შეუძლია მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებს. ზუსტად ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი რეჟიმი დაადგინა საქართველოს კანონმდებლობამ, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის სათანადო ნორმებმა (46-ე მუხლი და 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი) და საქართველოს კანონმა „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“. დასახელებულ ნორმატიულ ბაზაზე დაყრდნობით, მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს მიენიჭა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლება, ამასთან, ამ გადაწყვეტილების საქართველოს პარლამენტში დასამტკიცებლად შეტანის ვალდებულებით“.¹⁸⁹⁸

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან ნაწილზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების სამართლებრივი რეჟიმის უფლებამოსილება ჰქონდა მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებს შესაბამისი აქტებით. სასამართლომ კონსტიტუციის 46-ე მუხლის შინაარსის გარკვევისას ამ ნორმის მიზნებისათვის იმსჯელა საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებაზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით სადავო აქტით „ხელყოფილია საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ საქართველოს ნებისმიერ ნაწილში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს, რაც გამორიცხავს ნებისმიერი სხვა სუბიექტისათვის ამ უფლების მინიჭებას“.¹⁸⁹⁹

სასამართლომ კონსტიტუციის 48-ე მუხლთან კონტექსტში, ასევე განსაზღვრა პარლამენტის კომპეტენცია. სასამართლომ განმარტა: „საკანონმდებლო საქმიანობა საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა. მრავალი სხვა ქვეყნის კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლით არ არის გათვალისწინებული პარლამენტის უფლებამოსილებათა ამომწურავი ჩამონათვალი, მათ შორის არც საკანონმდებლო საქმიანობის ფარგლებში გადასაწყვეტი საკითხები. თუმცა, ... კონსტიტუციაში არის მითითებითი ნორმები, რომლებიც მთელი რიგი საკითხების მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით მოწესრიგებას ითვალისწინებს. ... ეს ნორმები სწორედ საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის დაზუსტებას ემსახურება და შესაბამისად, აღნიშნული საკითხების

¹⁸⁹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 25 მაისის #15/290,266 გადაწყვეტილება, პ. II;

¹⁸⁹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 25 მაისის #15/290,266 გადაწყვეტილება, პ. III;

გადაწყვეტა კატეგორიულად მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლით გათვალისწინებული საკანონმდებლო საქმიანობის სფეროში ექცევა. ამიტომ საქართველოს პარლამენტის მიერ გადასაწყვეტი საკითხების სხვა ორგანოების მიერ გადაწყვეტა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლს. ... საქართველოს პარლამენტი ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებების გარდა ახორციელებს ასევე სხვა უფლებამოსილებებსაც, რომლებიც კონსტიტუციის მთელი რიგი ნორმებით აქვს მინიჭებული. საქართველოს პარლამენტის ასეთ უფლებამოსილებებს შორის არის საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლითა და 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება, დაამტკიცოს საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებები საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და ამ დროს კონსტიტუციურ უფლებათა ვისუფლებათა შეზღუდვის თაობაზე“.¹⁹⁰⁰

სასამართლომ კონსტიტუციის ნორმის შინაარსის გარკვევისას ყურადღება გაამახვილა ამ ნორმის რეალიზაციისას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიებზე და, შესაბამისად, მათი შეზღუდვის კონსტიტუციურ საფუძველზე. ამით საკონსტიტუციო სასამართლომ ფაქტობრივად განსაზღვრა კონსტიტუციის 46-ე მუხლის სუბიექტები, ანუ კონსტიტუციური ორგანოები, რომლებიც ახდენდნენ ძირითად უფლებათა შეზღუდვას/მოქმედების დროებით შეჩერებას. სასამართლომ განმარტა: “კონსტიტუციის დასახელებული ნორმის რეალიზაციისას ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიებს წარმოადგენს სამი პირობა 1) ამ უფლებით სარგებლობს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი; 2) პრეზიდენტი ვალდებულია, გადაწყვეტილება უფლებათა შეზღუდვის შესახებ არა უგვიანეს 48 საათისა შეიტანოს პარლამენტში დასამტკიცებლად. ეს უკანასკნელი გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. მაშასადამე, საქართველოს კონსტიტუციის კატეგორიული მოთხოვნაა, რომ უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობით სარგებლობდეს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი, ამ გადაწყვეტილების პარლამენტში დასამტკიცებლად წარდგენის ვალდებულებით, რაც გამორიცხავს ნებისმიერი სხვა ორგანოს თუ თანამდებობის პირის მსგავს შესაძლებლობებს. 3) საქართველოს პრეზიდენტის ეს უფლება შეზღუდულია კიდევ ერთი გარემოებით. მას შეუძლია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებათა შეზღუდვა, რაც გამორიცხავს სხვა უფლებების შეზღუდვას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო კანონით დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლის სამივე მოთხოვნა. კერძოდ, დადგენილია, როგორც ამ უფლებით მოსარგებლე საქართველოს კონსტიტუციით გაუთვალისწინებელი სუბიექტები, ისე გავრდილია შესაზღუდავ უფლებათა წრეც – სადავო კანონი შესაძლებლად მიიჩნევს საქართველოს კონსტიტუციის 45-ე და 47-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვასაც ... ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო კანონი არა მხოლოდ კომპეტენციის დარღვევით არის მიღებული და აჭარის ავრ ხელისუფლების ორგანოებს ანიჭებს საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა

¹⁹⁰⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 25 მაისის #15/290,266 გადაწყვეტილება, პ.IV;

განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტის შესაძლებლობას, არამედ იმავდროულად არღვევს საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს“.¹⁹⁰¹

სასამართლომ რამდენიმე საქმეში კონსტიტუციის მუხლებით დაცული უფლებაში ჩარევის ფორმებისა და ფარგლების მისანიშნებლად მიუთითა კონსტიტუციის 46-ე მუხლზე. სასამართლომ ამ საქმეებში კონსტიტუციის მე-17 და მე-19 მუხლებით დაცული უფლების აბსოლუტურობის¹⁹⁰² ან მნიშვნელობის¹⁹⁰³ დასადასტურებლად აღნიშნა 46-ე მუხლთან კონტექსტში.

სასამართლომ განაცხადა: „იმავდროულად, არის აბსოლიტური უფლებები, რომლებიც შეზღუდვას არ ექვემდებარება. ზუსტად ასეთ უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება პატივისა და ღირსების ხელშეუვალობის უფლება. ამ უფლების უზრუნველყოფელი მე-17 მუხლი, სხვა მუხლებისაგან განსხვავებით, არ მოიცავს დათქმას მისი შესაძლო შეზღუდვის თაობაზე. ეს უფლება არ არის ასევე მოხსენიებული საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებებს შორის, რომელთა შეზღუდვა დაიშვება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს“.¹⁹⁰⁴

„ნებისმიერი კონსტიტუციური უფლების შინაარსის განსაზღვრისას, არსებითი მნიშვნელობა აქვს უფლებაში ჩარევის ფორმასა და ფარგლებს“ ... „ამ მხრივ საყურადღებოა საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლი, რომელიც საომარი და საგანგებო მდგომარეობის დროს მე-19 მუხლით დაცული უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. ამკარაა, რომ უფლებათა სისტემაში კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულ უფლებას განსაკუთრებული ადგილი და მნიშვნელობა აქვს. კონსტიტუცია მას უფლებათა იმ კატეგორიას განაკუთვნებს, რომელთა შეზღუდვა დაუშვებელია სახელმწიფო უშიშროების, უსაფრთხოების თუ სხვა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მიზნების მისაღწევად“.¹⁹⁰⁵

2. სუბიექტი

როგორც ზემოთ აღინიშნა, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა ის სუბიექტები, ვისაც შეეძლოთ საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებების დროებითი შეზღუდვა/შეჩერება საგანგებო ან

¹⁹⁰¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 25 მაისის #15/290,266 გადაწყვეტილება, პ. III;

¹⁹⁰² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის #2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 1;

¹⁹⁰³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად მიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშყარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.9;

¹⁹⁰⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის #2/1/241 გადაწყვეტილება, პ. 1;

¹⁹⁰⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483, 487, 502 გადაწყვეტილება, II.3.9;

საომარი მდგომარეობის დროს.¹⁹⁰⁶ ასეთად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც იღებს პირველად გადაწყვეტილებას და შემდგომ საქართველოს პარლამენტი, რომელიც ამტკიცებს მას. სასამართლოს განცხადებით, საქართველოს კონსტიტუცია ადგენს შესაბამის სუბიექტებს და განსაზღვრავს უფლებათა შეჩერების პროცედურას და აღნიშნული უფლებამოსილების და კომპეტენციის დელეგირება დაუშვებელია.¹⁹⁰⁷

შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ კონსტიტუციის 46-ე მუხლი სამი პირობისგან შედგებოდა:¹⁹⁰⁸ 1. მხოლოდ პრეზიდენტს აქვს მინიჭებული უფლება შეზღუდოს ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; 2. აღნიშნული დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს პარლამენტს, და მხოლოდ პარლამენტი უფლებამოსილი დაამტკიცოს (ან არ დაამტკიცოს) ეს გადაწყვეტილება; 3. საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლი ახდენს იმ უფლებათა კონკრეტულ ჩამონათვალს, რომლებიც ექვემდებარებიან დროებით შეზღუდვას/შეჩერებას;

ამდენად, სასამართლომ კონსტიტუციის 46-ე მუხლის შინაარსის გარკვევისას ყურადღება გაამახვილა ამ ნორმის რეალიზაციისას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიებზე, მათი შეზღუდვის კონსტიტუციურ საფუძველზე. შესაბამისად, კონსტიტუციის ამ ნორმით გარანტირებული უფლებით სარგებლობს/სუბიექტს წარმოადგენს ყველა ის ადამიანი, ვისზეც ვრცელდება კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები და ვინც მიიჩნევს, რომ შესაბამისი გარემოებათა არსებობისას კონსტიტუციის ამ ნორმის საწინააღმდეგოდ შეეზღუდა უფლება/თავისუფლება.

3. დასკვნა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებული აქვს საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლის ძირითადი შინაარსი. ახსნილია მისი ძირითადი მახასიათებლები:

- განსაზღვრულია, რომ საგანგებო და საომარი მდგომარეობის შემოღება მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა მართვა-გამგეობას მიკუთვნებული საკითხია;
- მხოლოდ იმ უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებს აქვთ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის შემოღების უფლებამოსილება, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციაშია პირდაპირ განსაზღვრული;
- საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა ის სუბიექტები, ვისაც შეეძლოთ საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებების დროებითი შეზღუდვა/შეჩერება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს. ასეთად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია საქართველოს

¹⁹⁰⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 25 მაისის #15/290,266 გადაწყვეტილება, პ.III;

¹⁹⁰⁷ იქვე;

¹⁹⁰⁸ იქვე;

პრეზიდენტი, რომელიც იღებს პირველად გადაწყვეტილებას და შემდგომ საქართველოს პარლამენტი, რომელიც ამტკიცებს მას;

- დადგენილ იქნა კონსტიტუციის 46-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების დელეგირების დაუშვებლობა;
- საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლი ახდენს იმ უფლებათა კონკრეტულ ჩამონათვალს, რომლებიც ექვემდებარებიან დროებით შეზღუდვას;
- სასამართლო კონსტიტუციური უფლების შინაარსის განსაზღვრისას, კონსტიტუციის მუხლებით დაცულ უფლებაში ჩარევის ფორმებისა და ფარგლების მისანიშნებლად მიუთითებს კონსტიტუციის 46-ე მუხლზე;
- კონსტიტუციის 46-ე მუხლით გარანტირებული უფლებით სარგებლობს/სუბიექტს წარმოადგენს ყველა ის ადამიანი, ვისზეც ვრცელდება კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები და ვინც მიიჩნევს, რომ შესაბამისი გარემოებათა არსებობისას კონსტიტუციის ამ ნორმის საწინააღმდეგოდ შეეზღუდა უფლება/თავისუფლება;

სამომავლოდ შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლომ ისჯელოს იმ საკითხზე, თუ რამდენად ექვემდებარება საქართველოს სასამართლოების (საერთო ან საკონსტიტუციო) იურისდიქციას კონკრეტული უფლებების შეჩერების ან საგანგებო და საომარი მდგომარეობის შემოდების შესახებ გადაწყვეტილებები და რამდენად გამომდინარეობს აღნიშნული კონსტიტუციიდან.

4. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კონსტიტუციის 46-ე მუხლთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის #2/1/241 გადაწყვეტილება/

საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (სულ 67 დეპუტატი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის წინააღმდეგ და საქართველოს მოქალაქე თამაზ დიასამიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 28 ივნისის # 1/3/209,276 გადაწყვეტილება/

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად მიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483, 487, 502 გადაწყვეტილება/

მუხლი 47

1. საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.
2. საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით, საქართველო თავშესაფარს აძლევს უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.¹⁹⁰⁹
3. დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, ან იმ ქმედობისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება.¹⁹¹⁰

¹⁹⁰⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნულ ნორმასთან მიმართებაში პრაქტიკა არ გააჩნია;

¹⁹¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნულ ნორმასთან მიმართებაში პრაქტიკა არ გააჩნია;

შესავალი

1. დაცული სფერო
 - 1.1. 47-ე მუხლის პირველი პუნქტის შინაარსი
2. სუბიექტი
3. დასკვნა
4. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლთან მიმართებით

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია ზოგადი და კონკრეტული დებულებები, რომელიც ეხება უცხოელ მოქალაქეებს, მოქალაქეობის არმქონე პირებს და ატარებენ მატერიალურ-სამართლებრივ შინაარსს.

1. დაცული სფერო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებული აქვს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველი პუნქტი. მეორე და მესამე პუნქტების განმარტების წინაშე სასამართლო არ დამდგარა სამართალწარმოების არსებული პრაქტიკის ფარგლებში.

1.1. 47-ე მუხლის პირველი პუნქტის შინაარსი

კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული მუხლი პირველად განმარტა 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებაში, რომელშიც დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოში არმცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის შეუძლებლობა.¹⁹¹¹ მოპასუხე სადავო ნორმის ერთ-ერთ გამართლებად მიიჩნევდა საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლს. აღნიშნულ საქმეზე „სასამართლო მეგობრის“ მოსაზრების ფარგლებში წარდგენილ იქნა კონსტიტუციის ამ მუხლის აღნიშნული დებულების ინტერპრეტაცია. „სასამართლო მეგობრის“ განცხადებით ყოველი უფლების სამართალსუბიექტობა განპირობებულია უფლების სუბიექტის საქართველოს იურისდიქციასთან შემხებლობით. მათი განმარტებით, კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველი პუნქტი არ ამცირებდა კონკრეტული უფლების სუბიექტთა წრეს და ამ ფონზე მათ წარმოადგინეს უფლებათა ორი ტიპი:¹⁹¹² 1) რომელთა რეალიზაცია დამოკიდებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნასთან (მაგალითად, ქორწინების უფლება); 2) რომელთა რეალიზაცია შესაძლებელი იყო საქართველოს საზღვრებს გარეთაც (მაგალითად, მემკვიდრეობის უფლება); „სასამართლო მეგობრის“ მოსაზრების მიხედვით, კონსტიტუციის 47-ე მუხლი ვრცელდებოდა მხოლოდ საქართველოში მცხოვრებ უცხოელებზე და ღიად ტოვებდა იმ უცხოელთა საკითხს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე არ ცხოვრობენ, მაგრამ ექვევნიან საქართველოს იურისდიქციის ქვეშ.¹⁹¹³ აქედან გამომდინარე, მათი მოსაზრებით, კონსტიტუციის 47-ე მუხლი ვერ იქნებოდა იმ ნორმის მიღების

¹⁹¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I.3.3;

¹⁹¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება, I.3.33;

¹⁹¹³ იქვე;

საფუძველი, რომელიც კრძალავდა საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქის, ან აპარტიდის უფლებრივ მდგომარეობას.

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეში განმარტა, თუ რამდენად იყო კონსტიტუციის 47-ე მუხლი მაკვალიფიცირებელი პირთა წრის, ან ტერიტორიული ნიშნის მიხედვით კონკრეტული კონსტიტუციური უფლებით სარგებლობისათვის.¹⁹¹⁴

პირველ რიგში საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველი პუნქტი, მიუთითა, რომ კონსტიტუციის 47-ე მუხლი არ ეხებოდა საქართველოში არმცხოვრებ უცხოელებსა და აპატრიდებს და მათ უფლებრივ მდგომარეობას. სასამართლომ აღნიშნა, რომ აკრძალვის არარსებობიდან გამომდინარე, კონსტიტუციის 47-ე მუხლი არ გამოიციხავდა საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები აპატრიდების და უცხოელების უფლებრივი გათანაბრების შესაძლებლობას. ანუ ნორმა არ შეიცავდა ნეგატიურ აკრძალვას, იგი კონსტრუირებული და რეგლამენტირებული იყო მხოლოდ პოზიტიური შინაარსით.

კერძოდ, სასამართლომ განაცხადა: „47-ე მუხლის პირველი პუნქტის დანიშნულება არის საქართველოში მცხოვრები უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებრივი გათანაბრება საქართველოს მოქალაქეებთან, კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა. ამ ნორმის მიზანი არ არის საქართველოს ტერიტორიაზე შემოღებული გარკვეული რეგულაციის საქართველოს ტერიტორიაზე არმცხოვრები პირების მიმართ გავრცელების აკრძალვა. ნორმის შინაარსი ამოიწურება იმით, რომ საქართველოში მცხოვრებ უცხოელებსა და აპატრიდებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვთ, გარდა კონსტიტუციით და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. ის საერთოდ არ ეხება საქართველოში არმცხოვრები უცხოელებისა და აპატრიდების უფლებრივ მდგომარეობას. ვინაიდან ნორმაში არ არის უშუალო მითითება საქართველოში არმცხოვრები უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების საქართველოს მოქალაქეებთან უფლებრივი გათანაბრების აკრძალვის თაობაზე, ამდენად ის არ გამოიციხავს კონსტიტუციის სხვა ნორმებით ამ პირების გათანაბრების შესაძლებლობას“.¹⁹¹⁵

საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით დააზუსტა, თუ რა სამართლებრივი საფუძველით უნდა დადგენილიყო უცხოელ პირთა (იმის მიუხედავად ცხოვრობდა თუ არა იგი საქართველოში) უფლებრივი მდგომარეობა.

კერძოდ, სასამართლომ იქვე განმარტა: „ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 47-ე მუხლის პირველი პუნქტი ვერ დაავიწროებს, პირთა წრის მიხედვით, იმ კონსტიტუციური უფლებების ფარგლებს, რომელთა სუბიექტიც ადამიანია. სულ მცირე, აზრს დაკარგავს მეორე თავში ტერმინების „ადამიანი“,

¹⁹¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება, II.3.6;

¹⁹¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება, II.3.7;

„პირი“, „ყველა“ გამოყენება. ამიტომ გადამწყვეტი ამ თვალსაზრისით არის ის, რომ თითოეული კონსტიტუციური უფლება თავად განსაზღვრავს ამ უფლების სუბიექტებს, შესაბამისად, საქართველოში არმცხოვრები უცხოელების კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის საკითხი უნდა გაირკვეს თავად ამ უფლების მარეგლამენტირებელი კონსტიტუციური ნორმის (ყოველი კონკრეტული უფლების) ფარგლებში. ბუნებრივია, ეს წარმოშობს კანონმდებლის ვალდებულებას, 47-ე მუხლზე დაყრდნობით კანონით გამონაკლისების დადგენისას, გაითვალისწინოს კონკრეტული კონსტიტუციური უფლებების მარეგლამენტირებელი ნორმების მოთხოვნები.¹⁹¹⁶

კიდევ ერთი საკმე, რომელშიც საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლი, ეხებოდა უცხოელთათვის სასოფლო სამეურნეო მიწის საკუთრების აკრძალვას. ამ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვდა სადავო ნორმის გაუქმებას კონსტიტუციის 47-ე მუხლთან მიმართებით იმ მოტივით, რომ მას, როგორც უცხოელს, ეზღუდებოდა საკუთრების უფლება.¹⁹¹⁷

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე აღნიშნულ საკმეზე „სასამართლო მეგობრის“ მოსაზრების ფარგლებში წარდგენილ იქნა კონსტიტუციის ამ მუხლის აღნიშნული დებულების ინტერპრეტაცია. „სასამართლო მეგობრის“ განცხადებით: კონსტიტუციას ამ ნორმით შემოაქვს სამართლის სუბიექტების უფლებრივი გამიჯვნის კონცეფცია და იძლევა უნივერსალურობის პრინციპის ნათელ განმარტებას. უფლებრივად ყველა თანასწორია, თუ უთანასწორობა არ გამომდინარეობს კონსტიტუციისა და კანონის ტექსტიდან. კონსტიტუციის 47-ე მუხლის გათვალისწინებით, „სასამართლოს მეგობარი“ ასკვნის, რომ კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებული საკუთრების და მისი შექმნის უფლების სუბიექტთა წრე არ შემოიფარგლება არც ქვეყნის მოქალაქეებით, არც ქვეყანაში მცხოვრები უცხოელებით.¹⁹¹⁸

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საკმეში დეტალურად განსაზღვრა საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის მიზნები და ძირითადი შინაარსი: „საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის მიზანია საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ კონსტიტუციური უფლებების გავრცელების ფარგლების განსაზღვრა. აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს კონსტიტუციური უფლებების მოქმედებას პირთა წრის მიმართ და ადგენს გარანტიას, რომ კონსტიტუციის მე-2 თავით გარანტირებული კონსტიტუციური უფლებები საქართველოში მცხოვრებ უცხოელებზე ვრცელდება საქართველოს მოქალაქეთა თანაბრად, თუ საწინააღმდეგო თვით კონსტიტუციიდან არ გამომდინარეობს“.¹⁹¹⁹

¹⁹¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება, II.3.7;

¹⁹¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება საკმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონჟესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I.3.3;

¹⁹¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, I.3.16;

¹⁹¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.93;

საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ კონსტიტუციის 47-ე მუხლი განსაზღვრავდა არა კონკრეტულ უფლებას, არამედ სხვა ძირითადი უფლებების მოქმედების ფარგლებს საქართველოში მცხოვრები უცხო სახელმწიფოს მოქალაქეების, ან მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ. საკონსტიტუციო სასამართლომ დააზუსტა აღნიშნული და გამიჯნა კონსტიტუციის 47-ე მუხლის სტანდარტი დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპისგან.

კერძოდ, სასამართლომ განმარტა: „კანონის წინაშე თანასწორობის უფლება განმტკიცებულია კონსტიტუციის მე-14 მუხლით, რაც გულისხმობს იმას, რომ კანონი არსებითად თანასწორ პირებს ერთნაირად უნდა მოეპყროს, არსებითად უთანასწორობებს კი პირიქით. კონსტიტუციის მე-14 მუხლი მიემართება კანონს და ადგენს, თუ როგორი არ შეიძლება იყოს იგი. ამისგან განსხვავებით, კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველი პუნქტი მიემართება თავად კონსტიტუციური უფლებების შინაარსს და მიუთითებს, რომ მათი სუბიექტი მოქალაქეებთან ერთად საქართველოში მცხოვრები უცხოელიცაა და, ამავე დროს, კონკრეტული კონსტიტუციური უფლების დაცვის, უფლებით სარგებლობის ხარისხი საქართველოში მცხოვრები უცხოელისა და საქართველოს მოქალაქისათვის ერთნაირია, თუკი კონსტიტუციური უფლების გავრცელების სხვა საწინააღმდეგო წესი უშუალოდ კონსტიტუციიდან არ მომდინარეობს“.¹⁹²⁰

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოში მუდმივად არ მცხოვრები პირების მიმართ კონკრეტული კონსტიტუციური უფლებით სარგებლობის საკითხი უნდა გაირკვეს თავად ამ უფლების მარეგლამეტირებელი კონსტიტუციური ნორმის (ყოველი კონკრეტული უფლების) ფარგლებში. ხოლო ამისგან განსხვავებით, კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველი პუნქტი საქართველოში მცხოვრებ უცხოელს „...აძლევს იმის გარანტიას, რომ კონსტიტუციური უფლებები, თავისი შინაარსის მიუხედავად, მის მიმართ გავრცელდება ისევე, როგორც იგი ვრცელდება საქართველოს მოქალაქის მიმართ, თუ კონსტიტუცია რომელიმე კონსტიტუციურ უფლებას პირდაპირ არ განსაზღვრავს საქართველოს მოქალაქის ექსკლუზიურ უფლებად“.¹⁹²¹

საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობით, კონსტიტუციის 47-ე მუხლს უფლებრივი თვალსაზრისით ერთ სიბრტყეში გადაჰყავს საქართველოს მოქალაქე და საქართველოში მცხოვრები უცხოელები ან მოქალაქეობის არმქონე პირები. ეს არის ზოგადი წესი, რომლიდანაც გამონაკლისი შესაძლებელია და საჭიროებს კონსტიტუციურ ან კანონისმიერ ფორმას. ამ კონტექსტში საკონსტიტუციო სასამართლომ გარკვეული განმარტება გააკეთა კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით:

„კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველი პუნქტი არ განსაზღვრავს იმას, თუ როგორი უნდა იყოს კანონმდებლობა, რომელიც უცხოელის უფლებებს არეგულირებს. იმ შემთხვევაში, როდესაც კანონით იზღუდება უცხოელის

¹⁹²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.97;

¹⁹²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.3.98;

ესა თუ ის უფლება, ეს შეფასებადია თავად ამ უფლებასთან. ხოლო კანონით უცხოელისა და საქართველოს მოქალაქის სხვადასხვა სამართლებრივ მდგომარეობაში ჩაყენება კი შეფასებადია კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ კანონის წინაშე თანასწორობის უფლებასთან. მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ნორმები, როგორც კანონის წინაშე თანასწორობის უფლების მზღლუდავი ნორმატიული რეგულირებები, ვერ შეფასდება კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, ვინაიდან კანონის საფუძველზე სხვადასხვა შესაძლებლობის მინიჭება არ ნიშნავს იმას, რომ მოსარჩელის კონსტიტუციური უფლებები არათანაბარი ხდება საქართველოს მოქალაქესთან მიმართებით ან მას რომელიმე კონსტიტუციური უფლება ერთმევა“.¹⁹²²

საკონსტიტუციო სასამართლოს დამატებით აქვს განმარტებული, თუ რით არის განპირობებული საქართველოში მცხოვრები უცხო სახელმწიფოს მოქალაქეების ან მოქალაქეობის მქონე პირების განსაკუთრებული სტატუსი იმ პირებთან შედარებით, რომლებიც სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოვრობენ. სასამართლომ განაცხადა: „საქართველოში მცხოვრები უცხოელები მჭიდროდ არიან დაკავშირებულები სახელმწიფოსთან, ისინი წარმოადგენენ ქართული საზოგადოების წევრებს და საქართველოს მოქალაქეების მსგავსად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ყოფა-ცხოვრებაში, მის წინსვლასა და განვითარებაში. უცხოელები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, ინტენსიურად ექცვიან საქართველოს სამართლებრივი რეგულირების სფეროში და ნორმატიული წესრიგის ფორმირება, როგორც წესი, საქართველოს მოქალაქის თანაბრად ახდენს გავლენას მათ საქმიანობაზე, არსებობასა და განვითარებაზე. დემოკრატიული საზოგადოების არსებობა მოითხოვს მისი თითოეული წევრის უფლების პატივისცემას. საზოგადოების წევრებისათვის განვითარების თანაბარი შესაძლებლობების შექმნას. სწორედ საქართველოში მცხოვრები უცხოელის სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირი განაპირობებს იმას, რომ კონსტიტუციამ მათ განსაკუთრებული სტატუსი მიანიჭა და კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის კონტექსტში მნიშვნელოვნად გაუთანაბრა საქართველოს მოქალაქეებს“.¹⁹²³

საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირის უფლებრივი მდგომარეობა განიხილა ასევე ერთ-ერთ საქმეში. სადავო ნორმის მიხედვით, შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირები არ შეიძლებაოდა ყოფილიყვნენ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირები. მოსარჩელეთა აზრით, აღნიშნული კონსტიტუციური უფლების სუბიექტი არის ყველა, მოქალაქეობის სტატუსის მიუხედავად. სადავო ნორმა, რომელიც არაკონსტიტუციურად გამოცხადდა, არ იყო დაყენებული კონსტიტუციის 47-ე მუხლთან მიმართებით და ამაზე სასამართლოს არ უმსჯელია.¹⁹²⁴

¹⁹²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.პ.99,100;

¹⁹²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება, II.პ.94,95;

¹⁹²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად დიმიტური და კახა კუკავა, საქართველოს

2. სუბიექტი

საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლით გარანტირებული უფლების მატარებელი სუბიექტების საკითხი, მუხლის თავისებურებებიდან გამომდინარე, აქტიურადაა განხილული პირველ (დაცული სფერო) პარაგრაფში. აქვე გავიმეორებთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებას: „47-ე მუხლის პირველი პუნქტის დანიშნულება არის საქართველოში მცხოვრები უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებრივი გათანაბრება საქართველოს მოქალაქეებთან, კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა. ამ ნორმის მიზანი არ არის საქართველოს ტერიტორიაზე შემოდებული გარკვეული რეგულაციის საქართველოს ტერიტორიაზე არმცხოვრები პირების მიმართ გავრცელების აკრძალვა. ნორმის შინაარსი ამოიწურება იმით, რომ საქართველოში მცხოვრებ უცხოელებსა და აპატრიდებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვთ, გარდა კონსტიტუციით და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. ის საერთოდ არ ეხება საქართველოში არმცხოვრები უცხოელებისა და აპატრიდების უფლებრივ მდგომარეობას“.¹⁹²⁵

3. დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველ პუნქტში ჩამოყალიბებული სტანდარტები შეიძლება ასე შეჯამდეს:

- 47-ე მუხლის პირველი პუნქტის დანიშნულება არის საქართველოში მცხოვრები უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებრივი გათანაბრება საქართველოს მოქალაქეებთან, კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა;
- ამ ნორმის მიზანი არ არის საქართველოს ტერიტორიაზე შემოდებული გარკვეული რეგულაციის საქართველოს ტერიტორიაზე არმცხოვრები პირების მიმართ გავრცელების აკრძალვა;
- ნორმის შინაარსი ამოიწურება იმით, რომ საქართველოში მცხოვრებ უცხოელებსა და აპატრიდებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვთ, გარდა კონსტიტუციით და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა;
- 47-ე მუხლი საერთოდ არ ეხება საქართველოში არმცხოვრები უცხოელებისა და აპატრიდების უფლებრივ მდგომარეობას. ვინაიდან ნორმაში არ არის უშუალო მითითება საქართველოში არმცხოვრები უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების საქართველოს მოქალაქეებთან უფლებრივი გათანაბრების აკრძალვის თაობაზე, ამდენად ის არ გამორიცხავს კონსტიტუციის სხვა ნორმებით ამ პირების გათანაბრების შესაძლებლობას;

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.120–128;

¹⁹²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება, II.3.7;

- 47-ე მუხლი განსაზღვრავს კონსტიტუციური უფლებების მოქმედებას პირთა წრის მიმართ და ადგენს გარანტიას, რომ კონსტიტუციის მე-2 თავით გარანტირებული კონსტიტუციური უფლებები საქართველოში მცხოვრებ უცხოელებზე ვრცელდება საქართველოს მოქალაქეთა თანაბრად, თუ საწინააღმდეგო თვით კონსტიტუციიდან არ გამომდინარეობს;
- უცხოელები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, ინტენსიურად ექცევიან საქართველოს სამართლებრივი რეგულირების სფეროში და ნორმატიული წესრიგის ფორმირება, როგორც წესი, საქართველოს მოქალაქის თანაბრად ახდენს გავლენას მათ საქმიანობაზე, არსებობასა და განვითარებაზე;
- საქართველოში მცხოვრები უცხოელები მჭიდროდ არიან დაკავშირებული სახელმწიფოსთან, ისინი წარმოადგენენ ქართული საზოგადოების წევრებს და საქართველოს მოქალაქეების მსგავსად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ყოფა-ცხოვრებაში, მის წინსვლასა და განვითარებაში. სწორედ საქართველოში მცხოვრები უცხოელის სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირი განაპირობებს იმას, რომ კონსტიტუციამ მათ განსაკუთრებული სტატუსი მიანიჭა და კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის კონტექსტში მნიშვნელოვნად გაუთანაბრა საქართველოს მოქალაქეებს.

4. საქმეები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება/

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები _ ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე/

„დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ /საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება/

ავტორთა შესახებ

თეიმურაზ ტულუში

საქმიანობის სფერო: ადამიანის უფლებათა სამართალი, კონსტიტუციური სამართალი.

განათლება: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართლის მაგისტრი (1998წ.).

სამუშაო გამოცდილება: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თვითმმართველობისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან მუშაობის გურიის სამსახური (1999-2003წწ.); საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი (2003-2006წწ.); საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლეო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტი (2006წ.); საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის მთავარი მრჩეველი (2006-2010წწ.); საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (2010-2011წწ.), ამავე დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი (2011-2013წწ.);

გიორგი ბურჯანაძე

საქმიანობის სფერო: სისხლის სამართალი, ადამიანის უფლებათა სამართალი, კონსტიტუციური სამართალი.

განათლება: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართალის ბაკალავრი (2009წ.); ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართალის მაგისტრი (2011წ.); ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის შედარებითი კონსტიტუციური სამართლის მაგისტრი (2012წ.); ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი.

სამუშაო გამოცდილება: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (2009–2010წწ.); საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების დეპარტამენტი (2010–2011წწ.); ევროკავშირის პროექტი «სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა» (2012-2013წწ.).

აკადემიური საქმიანობა: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი (2013წ.); აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი (2013წ.).

გიორგი მშვენიერაძე

საქმიანობის სფერო: ადამიანის უფლებათა სამართალი, კონსტიტუციური სამართალი.

განათლება: აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართლის მაგისტრი (2005წ.); კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი.

სამუშაო გამოცდილება: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალი (2002–2003წწ.); ფონდი „სამართლიანი არჩევნები“ (2004წ.); საქართველოს სახალხო დამცველის დასავლეთ საქართველოს რეგიონული სამმართველო (2005წ.); საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში (2006-2012წწ.); საქართველოს სახალხო დამცველის მთავარი მრჩეველი (2006-2008წწ.); გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა, პროექტი «სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერება» (2008-2012წწ.); საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მთავარი მრჩეველი (2012წ.); ევროკავშირის პროექტი «სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა» (2012 -2013წწ.).

აკადემიური საქმიანობა: კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასისტენტ პროფესორი (2008-2013).

გიორგი გოცირიძე

საქმიანობის სფერო: ადამიანის უფლებათა სამართალი, კონსტიტუციური სამართალი.

განათლება: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართლის მაგისტრი (2005 წელი); ჩრდილოეთ ოკეანის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა (აშშ) კანონის უზენაესობისა და დემოკრატიული მმართველობის სამაგისტრო პროგრამა (2012-2013 წწ.)

სამუშაო გამოცდილება: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (2003წ.); ფონდი სამართლიანი არჩევნები (2004წ.); თავისუფლების ინსტიტუტი (2004-2006წწ.); თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახური (2006წ.); სახალხო დამცველის აპარატი (2006-2008წწ.); გაეროს განვითარების პროგრამის „ადრეული რეაბილიტაციის და მდგრად განვითარებაზე გადასვლის ხელშეწყობის პროექტი“ (2008-2009წწ.); საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საკონსტიტუციო სამართალწარმოების იურისტი (2009-2012წწ.);

ვახუშტი მენაბდე

საქმიანობის სფერო: ადამიანის უფლებათა სამართალი, კონსტიტუციური სამართალი.

განათლება: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართლის ბაკალავრი (2008წ.).

სამუშაო გამოცდილება: საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში (2008–2010წწ.); საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თავისუფლებისა და თანასწორობის სამმართველო (2008–2009წწ.); საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ცენტრი (2009–2010წწ.); საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პროექტი „გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა საქართველოში“ (2010–2013წწ.); საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში (2011–2013წწ.). ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (2013წ.)

აკადემიური საქმიანობა: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი (2010–2013წწ.); საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი მოწვეული ლექტორი (2011–2013წწ.); საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მოწვეული ლექტორი (2012წ.); ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი (2013წ.)

შენიშვნები:

